ბ. თავზიშვილი

სახალხო განათლებისა ⁄ პედაგოგიკური აზროვნების ისტორია საქართველოში

I

სახალხო განათლება და პედაგოგიკური იდეები XII-19 ს. პირველ ნახევარსა და XX-იან წლებში

პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის
გამომცემლობა
თბილისი—1948

1801—1871

ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡᲐᲒᲐᲜ

ჩვენი „სახალხო განათლებისა და პედაგოგიკური აზროვნების ისტორიის“ მეორე წიგნში განხილულია პერიოდი 1801-დან 1871 წლამდე. ეს პერიოდი, რომელიც საქართველოს რუსეთთან შეერთებით დაიწყო, ორ ძირითად ეტაპს შეიცავს. პირველს წარმოადგენს XIX საუკუნის პირველი ნახევარი, ხოლო მეორეს—სამოციანი წლები. ამის მიხედვით უფრო მართებულად მივიჩნიეთ ეს ნაშრომი ორ ნაწილად წარმოგვედგინა:

I. სახალხო განათლება და პედაგოგიკური იდეები XIX საუკუნის პირველ ნახევარში;

II. სახალხო განათლება და პედაგოგიკური იდეები XIX საუკუნის 60-იან წლებში.

საქართველოს ისტორიის XIX საუკუნის პირველი ნახევარი, ეს დიდი და რთული მანძილი, არ წარმოადგენს ერთ უცვლელ ეტაპს, არა, ის შეიცავს განვითარების ორ განსხვავებულ სტადიას: 40-იან წლებამდე და 40—50-იან წლებს. ეს სტადიები ჩვენ ცალკე არ გამოგვიყვია, მაგრამ მათ თავისებურებათა გარკვევა არ გამოგვრჩენია მხედველობიდან პირველი ნაწილის როგორც შესავალ წერილში, ისე მის გასწვრივ.

60-იანი წლები წარმოადგენენ ერთს მთლიანს, აღნიშნული პერიოდის დამასრულებელ ეტაპს. ეს ეტაპი ხანგრძლივი არ არის, მაგრამ აქ, ახალ ეკონომიურ ვითარებასთან დაკავშირებით, საფუძველი ჩაეყარა ახალ სოციალურ-პოლიტიკურ მოძრაობას, ახალ კულტურულ იდეებს. მართალია, ამ იდეების განვითარება შემდეგ პერიოდშიც წარმოებდა, მაგრამ რამდენადაც ბევრი მათგანი, კერძოდ სახალხო განათლებისა და პედაგოგიკის დარგში, ამ ეტაპზე უკვე მკაფიოდ გამოიკვეთა, ჩვენ აქ ვახდენთ მათ მიმოხილვა-გაირჩევას.

საქართველოს ახალი ისტორიის პირველი პერიოდი (1801—1871) დაახლოებით იმავე წლებში იწყება, რომლებშიც დაიწყო ახალი

მსოფლიო ისტორიის პირველი პერიოდი (საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია, 1789), ხოლო მისი დამთავრება ზუსტად ემთხვევა უკანასკნელის დამთავრებას (საფრანგეთ-პრუსიის ომები და პარიზის კომუნა, 1870—71), და ეს სავსებით გასაგები, კანონზომიერი მოვლენაა. 1870 წლისათვის საქართველოში დამთავრდა საგლეხო რეფორმა, ხოლო 1871 წელს ლოკომოტივმა გადასერა საქართველოს მიწა-წყალი და მისმა საყვირმა მოსახლეობას კაპიტალიზმის გამარჯვება აუწყა.

ცნობილია, რას მოასწავებდა, საერთოდ, კაპიტალიზმის გამარჯვება ეკონომიურად, სოციალურად და იდეოლოგიურად. ამ მხრივ საქართველოშიც ანალოგიურ მდგომარეობასთან გვქონდა საქმე. ჩვენთვის აქ საინტერესოა აღვნიშნოთ სახალხო განათლების რა მომენტებთან იყო დაკავშირებული ეს გამარჯვება, როგორც საქართველოს ახალი ისტორიის პირველი პერიოდის დასასრული.

XIX საუკუნის 60 იანი წლების დამლევს საქართველოს სახალხო განათლების ისტორიაში ადგილი ჰქონდა მთელ რიგ წყალგამყოფ მომენტებს პირველსა და მეორე პერიოდებს შუა, მაგრამ მათ შორის ძირითადია მოვლენათა სამი ჯგუფი:

1. მოისპო საქართველოსა და მთელი ამიერკავკასიის სახალხო განათლების სისტემის თავისებურებათა გათვალისწინება: ადგილობრივ პირობებთან მისი შეფარდების პრაქტიკა. 1867 წელს უკანასკნელად გამოიცა კავკასიის სასწავლო ოლქის დებულება (ოთხი წლით), რის შემდეგაც მოხდა საქართველოსა და მთელი კავკასიის განათლების სისტემისა და ორგანიზაციის ნიველირება სრულიად რუსეთის საიმპერიო განათლების სისტემასთან.

2. ბატონ-ყმობის გადავარდნასა და განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობასთან დაკავშირებით შეიქმნა სახალხო სკოლები. 60-იანელთა კულტურულ-საგანმანათლებლო იდეები კაბინეტებიდან ხალხში გადადის, ბრძოლა სწავლა-განათლებისათვის საქართველოში პოლიტიკურ ხასიათს იღებს და ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთ ძირითად მომენტს წარმოადგენს.

3. შეიქმნა ახალი პედაგოგიკა და პედაგოგიური განათლების ქსელი. მეცნიერული დიდაქტიკისა და ახალი მეთოდების მიხედვით დაიწყო სასკოლო სწავლების პროცესის აგება. აღზრდა-განათლების ახალი მიზნები და ბავშვის ინტერესები დაედვა საფუძვლად სახელმძღვანელოების შედგენის საქმეს. პედაგოგთა კვალიფიციური

კადრების მოსამზადებლად დაარსდა სამასწავლებლო ინსტიტუტი, პედაგოგიური სასწავლებლები და სპეციალური კურსები. შეიქმნა პედაგოგიკური ლიტერატურა.

აღნიშნული მოვლენებით დამთავრდა საქართველოს სახალხო განათლებისა და პედაგოგიკის ახალი ისტორიის პირველი პერიოდი XIX საუკუნის 60-იანი წლების დასასრულს, და იმავე მოვლენებით დაიწყო მისი მეორე პერიოდი 70-იანის დასაწყისში.

*

საჭიროდ მიგვაჩნია აქვე მოვახდინოთ ჩვენი შრომის ძირითადი წყაროებისა და სპეციალური ლიტერატურის მიმოხილვაც.

რამდენადაც საქართველოს სახალხო განათლებისა და პედაგოგიკის ისტორია დღემდე, სამწუხაროდ, არ ყოფილა დაწერილი, იმდენად ზედმეტია ლაპარაკი ამ საგანზე რაიმე სისტემატური კურსის ან მთლიანი გამოკვლევის არსებობის შესახებ. ასეთი კურსი ან გამოკვლევა არ მოგვეპოვება ამ ისტორიის არც ცალკე პერიოდებზე. საქართველოს სახალხო განათლებისა და პედაგოგიკის ისტორიის მეცნიერული კვლევა უკანასკნელ ათწლეულში დაიწყო და ჯერ მხოლოდ რამდენიმე ცალკე საკითხისა და მცირეოდენი საარქივო ფონდების დამუშავებით განისაზღვრება. აქ განხილული პერიოდის ისტორიის წყაროები ისევე მცირე და ფრაგმენტულია, როგორც სხვა პერიოდებისა, იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ ამ პერიოდის წყაროებში უფრო მეტია საეკვო და ურთიერთსაწინააღმდეგო მასალა, რაც ძალიან საზღვრავს მათი გამოყენების ისედაც ვიწრო ფარგლებს.

წინამდებარე შრომის პირდაპირი წყაროების სახით ჩვენ, პირველ ყოვლისა, გამოყენებული გვაქვს: 1) საარქივო მასალა (საქ. ცენტრ. არქივის ფონდები: 2, 4, 5, 107, 112, 139, 201, 426, 544; საქ. მუზეუმის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების ფონდი: 388, 1652; მოსკოვის „Центральный государственный архив древних актов", „ქართული საქმეები" 1803 წ., № № 8, 39; საქართველოს პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის არქივი, № № 13, 33, 47, 103, 150; 2) XIX ს. პირველი ნახევრისა და 60-იანი წლების ქართული და რუსული პრესა და სხვა მასალა, მითითებული ჩვენი ტექსტის თავთავის ადგილას.

ჩვენ მიერ გამოყენებული ოფიციალური დოკუმენტები ძალიან ფრთხილ და კრიტიკულ დამოკიდებულებას მოითხოვენ. ხშირად

ბევრი ცნობა ამ დოკუმენტების მიხედვით საეჭვო ან გაუგებარია, ზოგჯერ კი—აშკარა ყალბი. მაგალითად, კავკასიის მეფისნაცვლის ანგარიშში 1860—61 წლისათვის კავკასიის გუბერნიების სკოლებისა და მოსწავლეთა სტატისტიკაში აღნიშნულია, რომ ერევნის გუბერნიაში 1860 წელს იყო 10 სკოლა 593 მოწაფით, ხოლო 1861 წელს კი—104 სკოლა 2029 მოწაფით; ბაქოს გუბერნიაში 1860 წელს იყო 11 სკოლა 871 მოწაფით, ხოლო 1861 წელს—383 სკოლა 6489 მოწაფით (Акты, собр. Кавк. археограф. комис., XII, 1375, 1380). პირველივე შეხედვით ცხადი ხდება, რომ ეს ციფრები სანდო არ არის. როგორ მოხდა, რომ ერთი წლის განმავლობაში ერთ (ერევნის) გუბერნიაში 94 ახალი სკოლა გაიხსნა, მოწაფეთა რიცხვი კი სამნახევარჯერ გაიზარდა, ხოლო მეორე (ბაქოს) გუბერნიაში იმავე ხნის განმავლობაში 372 ახალი სკოლა გაიხსნა, მოწაფეთა რიცხვი კი შვიდჯერ მეტად გაიზარდა! სხვა, უფრო სანდო წყაროების (პრესა, საარქივო მასალა) საშუალებით გამოირკვა, რომ ხსენებულ ანგარიშში 1860 წლისათვის გათვალისწინებულია მარტოოდენ ოფიციალური სასწავლებლები და მათი მოსწავლენი, ხოლო 1861 წლისათვის კი სასწავლებელთა და მოსწავლეებთან ერთად გათვალისწინებულია ეკლესიებთან და მიზგითებთან არსებული სკოლებიც თავისი მოწაფეებით. ასევე უნდო, მაგრამ შედარებით უფრო ზომიერი, ცნობებია აქ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების მიმართაც.

აღნიშნული ანგარიშის მიხედვით 1860 წელს კავკასიაში იყო 105 სასწავლებელი 6459 მოწაფით, ნამდვილად კი ამ წელს მარტო საქართველოში იყო 145 სასწავლებელი 7850 მოწაფით. რაც შეეხება ანგარიშში მოყვანილ 1861 წლის ცნობებს—ისინი, როგორც ვნახეთ, ისე არიან დაცილებული სინამდვილეს, როგორც ცა—დედამიწას.

კავკასიის კალენდარში 1871 წლისათვის წერია, რომ 1869 წელს ქუთაისის გუბერნიაში იყო 55 სასოფლო სკოლა 1860 მოწაფით, ხოლო კავკასიის სასწავლო ოლქის მხრეთნიელის ანგარიშში 1869 წლისათვის აღნიშნულია—73 სკოლა 2046 მოწაფით. ასეთი შეუსაბამობა ოფიციალურ და პრესის ცნობებს შორის ძალიან ხშირია და განსაკუთრებით იმ პერიოდში, რომელსაც ჩვენ ამ წიგნში ეხებით.

კავკასიის ოფიციალურ დაწესებულებათა, კერძოდ სასწავლო ოლქის, ანგარიშებისა და სტატისტიკის გამოყენების სიძნელეს ქმნიდა აგრეთვე ის გარემოებაც, რომ იქ საქართველო ცალკე გამოყოფილი არ არის, ხოლო ქუთაისისა და თბილისის გუბერნიების სივრცე და მოსახლეობა 60-იან წლებამდის არ ემთხვეოდა საქართ-

ველოს ტერიტორიასა და მოსახლეობას და, მაშასადამე, ამ გუბერნიების ციფრები საქართველოს ციფრებად ვერ გამოდგებოდა. ამასთან, საქართველოს მკვიდრ მოსახლეობად და ქართველ მოწაფეებად მთელ რიგ ოფიციალურ ცნობებში მხოლოდ ქართლელები და კახელები არიან წარმოდგენილი; იმერლებს, გურულებს, მეგრელებს და სხვა ქართველ ტომებს მეფის მოხელეები ქართველებად არა სთვლიდნენ, და ძალიან ხშირად სტატისტიკურ ცხრილებში ეს ტომები ქართველთა რიცხვში არ იგულისხმება. მაგალითად, კავკასიის სასწავლებელთა მთავარი ინსპექტორის, ი. ნევეროვის, ანგარიშში 1866 წლისათვის აღნიშნულია, რომ ამიერკავკასიის გიმნაზიებში 1866 წელს ირიცხებოდა: რუსი—463, სომეხი—392, იმერელი—360, ქართველი—220, მესხეთელი—62 (დაწყებითი სკოლების მოსწავლეთა ნაციონალურ შემადგენლობაში ამათ გარდა ცალკეა გამოყოფილი გურულები და მეგრელები). ინსპექტორს თვითონვე უგრძვნია ასეთი უცნაური დაყოფით გამოწვეული უხერხულობა და სქოლიოში აღნიშნავს: „დაყოფა ქართველებად და იმერლებად დაშვებულია აქ მხოლოდ იმისათვის, რომ ნაჩვენები იქნეს განსხვავება ერთი და იგივე ტომის (ხაზი ჩვენია—გ. თ.) ამ ორ ტოტს შორის განათლებისაკენ ლტოლვის საქმეში“ (Циркуляр главного инспектора по управлению Кавк. учебн. округом, V—VI, 14—15, 1867). დარწმუნებული, რომ ასეთი „დასაბუთებით“ გადალახულია ზემოაღნიშნული უხერხულობა, იგივე მოხელე 1869 წელს, ახლა უკვე ოლქის მხრუნველის თანამდებობით გათაბამებული, აღნიშნავდა, რომ ქუთაისის გიმნაზიაში ირიცხება: რუსი—75, ქართველი—13, სომეხი—14, იმერელი—299, გურული—23, მეგრელი—61 და ა. შ. ყოველივე ამას რუსეთის მეფის მოხელეები აკეთებდნენ არა იმ მიზნით, რომელზეც ნევეროვი მიუთითებდა, არამედ იმისათვის, რომ ქართველი ხალხი შემცირებული და დაქუცმაცებული სახით წარმოეგვინათ და უარეყოთ მისთვის ცალკე სკოლების დაარსებისა და ერთიან (ქართულ) ენაზე სწავლების საჭიროება.

სავანგებოდ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ოფიციალურ ანგარიშებსა და მიმოხილვებში კერძო სასწავლებელთაგან შედიოდა მხოლოდ ეთავარმართებლის (მეფისნაცვლის) ან სასწავლო ოლქის სათანადო ნებართვის მქონე, ოფიციალურად აღრიცხული სკოლები. ამ ნებართვის გარეშე მოქმედი კერძო, საშინაო და ეკლესიებთან არსებული სკოლები, რომლებიც XIX საუკუნის 60-იან წლებამდე ქართველთა ზორის პირველდაწყებითი სწავლა-განათლების მთავარ წყაროს

წარმოადგენდნენ,—ოფიციალური ანგარიშების გარეშე რჩებოდნენ და ჩვენი ხალხის განათლებაზე ლაპარაკის დროს მათ როლსა და მათ ქსელში ჩაბმულ ახალგაზრდობას მხედველობაში არ იღებდნენ. ეს-ეც იმ მიზნით ხდებოდა, რომ ქართველ მოსწავლეთა რიცხვი და მათი ხვედრითი წონა შემცირებულად წარმოედგინათ.

ყოველივე ამის შედეგად, საკვირველი არაა, რომ კავკასიის, კერძოდ, საქართველოს, სახალხო განათლების მდგომარეობა ზოგჯერ ყალბადაა წარმოდგენილი ოფიციალურ დოკუმენტებში. აქედან ბუნებრივია, რომ ჭეშმარიტების დასადგენად ჩვენ გვიხდებოდა ნაკლებად სანდო, ოფიციალური ცნობების შეცვლა ან კორექტირება სხვა წყაროების (პრესა, მოგონებანი, სანდო ოფიციალური და არაოფიციალური საბუთები) მიხედვით, რომ მაქსიმალურად გაგვენელებია ხსენებული დოკუმენტების საეჭვო მნიშვნელობა საქართველოს სახალხო განათლებისა და პედაგოგიკის ისტორიისათვის.

*

რამდენიმე სიტყვა ჩვენი თემის ცალკეულ საკითხებზე არსებული ლიტერატურის შესახებ.

XIX ს. პირველი ნახევრისა და 60-იანი წლების საქართველოს სახალხო განათლებისა და პედაგოგიკის ისტორიის კურსი ან გამოკვლევა, როგორც ვთქვით, არ მოგვეპოება, ხოლო მის ცალკე საკითხებზე არსებული ლიტერატურა * ძალიან მცირეა და თან ცალ-

---

* [Е. Болховитинов]—Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ея состоянии, 1802, СПБ. ეს წიგნი მხოლოდ სათაურით და გამოქვეყნების თარიღით იქცევს მკითხველის ყურადღებას. ავტორს ძალიან საპატიო მიზანი ჰქონია დასახული: გაეცნო რუსი მკითხველისათვის ახლად შეერთებული საქართველოს ისტორია და ლიტერატურა, საეკლესიო და სასწავლო საქმე, მაგრამ ძალიან მკრთალად და ღარიბადაა, მეტი რომ არა ვთქვათ, წარმოდგენილი ყველა ეს დარგი, განსაკუთრებით კი სასწავლო საქმე. ამ ასგვერდიან წიგნში მხოლოდ 8 გვერდს უთმობს ავტორი მას, კმაყოფილდება საკმაოდ ცნობილი ქართული ორიგინალური და თარგმნილი სამეცნიერო-სასწავლო წიგნების ჩამოთვლით და აღნიშნავს, რომ ეს წიგნები ჯერ კიდევ დაუბეჭდავია და ხელნაწერების სახით იხმარება თბილისის სკოლებში. ის არაფერს ამბობს ამ სკოლების შესახებ და თუ ჩვენ მაინც ვიხსენიებთ მის წიგნს, მხოლოდ იმის გამო, რომ ის პირველი რუსული წიგნია საქართველოზე, რუსეთთან მისი შეერთების შემდეგ.

А. Н. Модзаловский—Ход учебного дела в бывшем Кавказском намостничестве, 1880 („Памятная книжка Кавказского учебного округа" за 1880 г.), აგრეთვე ცალკე ამონაბეჭდი იმავე წელს, ხოლო შემდეგ, დამატების სახით, შეტანილი მის წიგნში: „Очерк истории воспитания и обучения",

მხრივი. მაგრამ თუ ამავე დროს იმასაც გავითვალისწინებთ, რომ პედაგოგიკური იდეების შესახებ ამ მცირედშიც არაფერი მოიპოვება, ადვილად წარმოვიდგენთ სიძნელეს, რომელიც უნდა გადალახოს მკვლევარმა ჩვენი სახალხო განათლებისა და პედაგოგიკის მთლიანი ისტორიის შექმნის მიზნით.

ამ წიგნის პირველ ნაწილში ზოგიერთი მოსაზრების დასაბუთებისათვის ჩვენ გვიხდება მივმართოთ მხატვრულ ლიტერატურას. მაგალითად, XIX ს. 40-იანი წლების საქართველოს ხალხური, საშინაო, სკოლებისა და მათ მასწავლებელთა მუშაობის მეთოდების შესახებ გამოყენებულია ილია ჭავჭავაძე (მოთხრობები), აკაკი წერეთელი („ჩემი თავგადასავალი", „ალმზრდელი"), სოფრ. მგალობლიშვილი („წარსულიდან"), გიორგი წერეთელი („ჩვენი ცხოვრების ყვავილი"); თბილისის სასულიერო სემინარიის რეჟიმის დასახასიათებლად გამოყენებულია გაბოჩენილი რუსი მწერალი ნ. გპომიალოვსკი („Очерки бурсы") და სხვ.

მხატვრული ლიტერატურის ფაქტი, მართალია, სინამდვილის უშუალო ფაქტი არ არის, მაგრამ რამდენადაც ის ამ უკანასკნელის რეალურ ასახვას წარმოადგენს, იმდენად მისი გამოყენება უეჭ-

---

ნაწ. II, გამოც. მესამე. 1899. მოდხალევსკი ეყრდნობა მხოლოდ ოფიციალურ საბელმწ. დოკუმენტებს, უმთავრესად—კავკასიის სასწავლებელთა და სასწავლო ოლქის დებულებებს, და სჭორედ ამ დებულებათა და მათ საფუძველზე გახსნილი ოფიციალური სკოლების მიმოხილვას ფურო წარმოადგენს იგი, ვიდრე კავკასიის სასწავლო საქმის ისტორიულ ნაკვეთს. ამ წიგნაკში, როგორც თვით ავტორი აღნიშნავს: „არ შესულა ცნობები კავკასიის სასულიერო და სამხედრო სასწავლებელთა, აგრეთვე სხვადასხვა საშუალო სასულიერო დაწესებულებათა და საბიბლიოთეკოებათა შესახებ, რომლებიც ღებულობდნენ მონაწილეობას კავკასიაში განათლების გავრცელების საქმეში". ეს, ოასაკვიოველია, დიდი ნაკლია, მაგრამ, რამდენადაც ეს ნარკვევი წარმოადგენს კავკასიის სახელმწიფო სასწავლებელთა დებულებისა და სხვა ოფიციალური მასალის დალაგებისა და ისტორიული თვალსაზრისით გაშუქების პირველ ცდას, იმდენად მას თავის დროზე უეჭველად ენებოდა გარკვეული ღირებულება ამ სასწავლებელთა ისტორიის შესწავლის საქმეში.

ალ. ფრონელი—„მოკლე მიმოხილვა სწავლა-განათლების საქმისა ჩვენში" („საქართველოს კალენდარი", 1890, 242). წერილი მოკლეა და თანაც ზოგად მსჯელობას შეიცავს. ფაქტიური მასალა ძალიან მცირეა. მაგალითად, XIX ს. პირველი ნახევრის მთელს მანძილზე, გარდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლისა და გიმნაზიისა, ის არც ერთ სკოლას არ იხსენიებს.

В. Н. Романовский—„Развитие учебного дела на Кавказе и в бывшем царстве Грузинском в XIX в.", 1901; ეს წერილი, რომელიც 69 გვეოდს. შეიცავს, დართული აქვს ავტორის წიგნს: Очерки из истории Грузии, 1901.

ველად შეიძლება მეცნიერული თვალსაზრისით. ძველი და შუა საუკუნეების ისტორია უხვად სარგებლობს მხატვრული ლიტერატურით ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების დასადგენად ან გასარკვევად, მაგრამ ეს მარტო იმით კი არ აიხსნება, რომ ამ ეპოქების ისტორიისათვის მეცნ ერულ-ისტორიული საბუთები ნაკლებად შოიპოვება და მკვლევარი იძულებულია მხატვრულ ლიტერატურას შიმართოს, როგორც საბუთს, არამედ იმითაც, რომ მხატვრულ ლიტერატურას, როგორ ც ადამიანის შეგნებაში გადამუშავებულ რეალურ სინამდვილეს, ყოველთვის ჰქონდა და ექნება სათანადო მნიშვნელობა ადამიანთა შოლკაწეიბ-ს ამა თუ იმ მოძენტის გასაშუქებლად. ამიტომ სავსებით მიზანშეწონილად უნდ ა მივიჩნიოთ მხატვრული ლიტერატურის გამოყენება მეცნიერული არგუმენტაციის მნიმვნელობით, მით უმეტეს, ისეთ შემთხვევებში, როდესაც მხატვრულ ლიტერატურას აკუთვნებენ არა პირველადი წყაროს როლს, არამედ მიმართავენ მას, როგორც დამა ებით საბუთს სხვა წყაროებით დადასტურებული ისტორიული სინამდვილის საილუს ერაციოდ. ჩვენს წიგნში სწორედ ამ მნიშვნელობით არის გამოყენებული მხა ტვრული ლიტერატურა, და ეს სავსებით ბუნებრივ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

წერილი კომპილატური ხასიათისაა. ავტორს გამოყენებული აქვს მოდზალევსკის ხემოდასახელებული წიგნაკი, რ. მ ერ გ ე რ ი ს „Свод статист. сведений по учебным заведениям Канк. учебного округа". პ ო პ ო ვ ი ს „Развитие учебного дела на Кавказе за последние 20 лет (ж. „Русская школа", 1901) და კავკასიის სასწავლო ოლქის ანგარიშები. რ ო მ ა ნ ო ვ ს კ ი ს ხსენებული წერილი ამ მასალების ერთგვარ მონ ტაჟ წარმოადგენს. XIX ს. 80-იან წლებამდის ეი უმთავრესად მ ოდზალევსკის უბრალო, ხბირად ტექსტუალური განმეორებაა.

Е(пископ) К(ирион) — Краткий очерк истории грузинской церкви я экзархата за XIX столетие, 1901; ამ ნარკვევში IV თავი: „Духовно-просветительная деятельность" დათმობილი აქვს საქართველოს ეგზარხატის სასულიერო სასწავლებელთა მოკლე ისტორიულ მიმოხილვას. ავტორი უმთავრესად ობილისისა და ქუთაისის სასულიერო სემინარიებზე ამახვილებს ყურადღებას. არკვევს აღნიშნულ სასწავლებელთა დაარსების პირობებს, მათ სტრუქტურას, სასწავლო და აღზრდელობ ითი მუშაობის ხასიათს, მმართველობის სისტემას. ის ძსოლოდ ოფიციალურ და საკმაოდ ცნობილ სასულიერო სასწავლებელთა მიმოხილვით კმაყოფილდება და ამ ენად ნარკვევი ფ-ქტიური მასალით სრული არ არის.

Семен Эсадзе — Историческая записка о управлении Кавказом, 1907; ამ წიგნის „დანართებში" რამდენიმე გვერდი დათმობილი აქვს სასწავლო საქმის მიმოხილვას კავკასიაში „Учебная часть" (176)—1761. და „Учреждения ведомства императрицы Марии" (176—180). მიმოხილვა ძალიან მოკლე და კომპილატურია. ის არსებითად წარმოადგენს ზოგიერთი ოფიციალური დოკუ-

ამ ნაშრომის პირველ ნაწილში განხილულია ზოგი ისეთი საკითხი და ფაქტიური მასალა, რომელიც უფრო ძველ პერიოდს ეხება ვიდრე XIX საუკუნის პირველ ნახევარს. ასეთებია სწავლა-აღზრდის ძველი წესები და სწავლების მეთოდები, ცნობები XVIII საუკუნის მეორე ნახევარში აღზრდილ მასწავლებელთა (ოსტატთა) და განათლების დარგის იმ წარმომადგენელთა შესახებ, რომლებიც კვლავ აგრძელებდნენ თავის ნოღვაწეობას XIX საუკუნის პირველ ნახევარში, XVIII საუკუნეში შექმნილი სახელმძღვანელოები, რომლებიც XIX საუკუნის პირველ ნახევარშიც იხმარებოდნენ და სხვ. ცხადია, ასეთ საკითხებსა და მასალას ჩვენ აქ ვიხილავთ მხოლოდ ნაწილობრივად, ძალიან მოკლედ, რადგანაც მათი ყოველმხრივი განხილვა ჩვენი ნაშრომის პირველი წიგნის ამოცანაა. რაც შეეხება XIX საუკუნის 60-იან წლებში წარმოშობილ ზოგიერთ პედაგოგიკურ იდეას, პედაგოგიკური განათლების ფორმას, სასწავლებელთა ტიპს, სახელმძღვანელოს, აგრეთვე უმაღლესი განათლებისათვის ბრძოლას, სასწავლო დარგში მეფის კოლონიურ პოლიტიკას და სხვა მოვლენებს, რომლებიც წარმოიშვნენ აღნიშნულ წლებში, ან-

---

მენტისა და საელმწიფო სკოლის დასახელებას, უკეთეს შემთხვევაში ამ დოკუმენტების შინაარსის გადმოცემას.

ახალი ლიტერატურიდან XIX ს. პირველი ნახევრისა და 60-იანი წლების ს. ხალხო განათლების ცალკე საკითხებზე აღსანიშნავია: პედ. მეცნ. ინსტიტუტის კრებული „სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში", I ნაწილი 1937. ამ კრებულში მოთავსებულია ექსკლუზიური ნაწერი ხსენებული პერიოდის საერო და სასულიერო განათლების სხვადასხვა საკითხზე (ტ. ხუნდაძე — „საერო განათლება საქართველოში XIX ს. პირველ ნახევარში", ი. ბაკურაძე — „ტფილისის სასულიერო სემინარია 1817—1835 წლებში", სოკ. ძიმისტარაშვილი — „კერძო სასწავლებლები საქართველოში 1830—1836 წლებში", პროფ. ვ. ბერიძე — „სიმონ კუტი ფირცხალავა", მ. ბერძენიშვილი — „პირველი ბეჭდური არითმეტიკისათვის", თ. ბეგიაშვილი — „ქართული ენა ტფილისის სასულიერო სემინარიაში 1859—1867 წლებში", ტ. ხუნდაძე — „ტფილისში უმაღლესი სასწავლებლის დაარსების ისტორიისათვის"). ეს წერილები პირველადი წყაროების მიხედვით აშუქებენ აღებულ თემებს და, მიუხედავად მათი ეპიზოდური ხასიათისა, საგრძნობლად უწყობენ ხელს აღნიშნული პერიოდის სახალხო განათლების მთლიანი ისტორიის შესწავლის საქმეს; Ш. Чхатия, — Тбилиси в XIX столетии. ამ სოლიდური ნაშრომის X თავი „Школы и народное образование" ეხება თბილისის სასკოლო განათლების მდგომარეობას XIX საუკუნის პირველ ნახევარში. უფრო დაწვრილებით კი 60-იან წლებში. საკითხი განხილულია ამავე პერიოდის საქართველოს სახალხო განათლების ისტორიასთან დაკავშირებით და ამდენად ნარკვევის მეცნიერული მნიშვნელობა ბევრად სცილდება მისი უშუალო თემით განსაზღვრულ ფაროგლებს.

კოტა უფრო ადრეც, მაგრამ თავისი ვრცელი და უფრო სრულყოფილი განვითარება შემდეგ პერიოდში ჰპოვეს,—ჩვენ განვიხილავთ ამ ნაშრომის მე-3, დამამთავრებელ წიგნში.

შეიძლება საჭირო იყოს იმის განმარტებაც, რომ ზოგიერთ საკითხს—მაგალითად, სასკოლო ქსელი, სახელმღვანელოები,—რაც საერთოა ამ ნაშრომის ორივე ნაწილისათვის, უფრო დეტალურად ვარჩევთ პირველ ნაწილში, ვიდრე მეორეში. ეს ხდება იმიტომ, რომ XIX საუკუნის პირველ პერიოდში (რომელსაც ნაშრომის პირველი ნაწილი ეხება) სკოლებისა და სახელმძღვანელოთა რიცხვი ძალიან მცირეა და ამიტომ ყოველი მათგანის მიგნება და შესწავლა განსაკუთრებულ ინტერესსა და საჭიროებას წარმოადგენდა. რაც შეეხება სკოლებსა და სახელმძღვანელოებს XIX საუკუნის 60-იან წლებსა და შემდგომ პერიოდში,—აქ იმდენად გაიზარდა მათი რიცხვი, რომ მიზანშეწონილად დავინახეთ შევჩერებულიყავით მხოლოდ პედაგოგიურ და სპეციალურ სასწავლებლებზე, ხოლო მასობრივი, სახალხო სკოლების მიმართ კი დავკმაყოფილებულიყავით მათი ტიპების დახასიათებით და სტატისტიკური ცნობებით. ამავე სახით გვიხდება სახელმძღვანელოების გარჩევაც.

დასასრულ, ავტორს საჭიროდ მიაჩნია აღნიშნოს, რომ ამ ნაშრომის რამდენიმე თავი ცალკე იყო გამოქვეყნებული. სახელდობრ, „ილია ჭავჭავაძის პედაგოგიკური იდეები“ დაიბეჭდა 1938 წელს, მისი „პედაგოგიკური თხზულებების“ შესავალი წერილის სახით, ხოლო „პედაგოგიკური განათლება“ XIX საუკუნის პირველ ნახევარსა და 60-იან წლებში, „ხალხური სწავლა-აღზრდის ძველი წესები და სწავლების მეთოდები“—საქართველოს პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის შრომებში 1944 და 1947 წლებში.

V. 1947

ნაწილი პირველი

სახალხო-განათლება და პედაგოგიკური იდეები მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში

სახალხო განათლება და პედაგოგიკური იდეები მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში

I. საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრება

1801 წელს, გარეშე მტრებთან მუდმივი ომებით მოქანცული და რუსეთის იმპერიის აღმოსავლური პოლიტიკის გავლენის სფეროში მოქცეული საქართველო, იძულებული გახდა რუსეთს შეერთებოდა.

რუსეთის ქვეშევრდომობაში საქართველოს მიღების მანიფესტი, რომელიც კონფირმებული იყო იმპერატორ ალექსანდრე I მიერ 1801 წლის 12 სექტემბერს, საზეიმოდ აუწყებდა ქართველ ხალხს:

„არა აღორძინებისათვის ძალთა, არა ნივთთათვის, არა განვრცელებისათვის საზღვართა, და ესრეთცა უკვე ვრცელსა ქვეყანასა ზედა იმპერიასა შინა მივიღებთ ჩვენ თვის ზედა ტვირთსა საქართველოს სამეფოსა მმართველობასა... ძალმან გარემოებათა ამათ, ზოგად ამის ძლით გრძნობამან თქვენმან, და ხმამან საქართველოისა ერისამან, მოგვზიდნეს ჩვენ არა დავუტეოთ და არა მივსცეთ მსხვერპლად განსაცდელისა ენა ერთმორწმუნეთა, მომცემელთა ხვედრისა თვისისა დიდსულისა რუსეთის საფარველისადმი“ *.

მაგრამ ამ, თითქოს ნაციონალური სოლიდარობის, ჰუმანურ აქტში იმალებოდა საქართველოს ანექსიისა და რუსეთის იმპერიის ერთ-ერთ პროვინციად მისი გადაქცევის სინამდვილე.

---

* მანიფესტი საქართველოს რუსეთთან შეერთებისა. („Не для приращения сил, не для корысти, не для распространения пределов и так уже обширнейшей в свете империи приемлем мы на себя бремя управления царства Грузинского... Силу ходатайств сих, общее посему чувство ваше и глас грузинского народа преклонили нас не оставить и не предать на жертву бедствия язык единоверный, вручивший жребий свой великодушной защите России“ იქვე).

რუსეთთან საქართველოს შეერთება უახლეს ისტორიოგრაფიაში ითვლება „უმცირეს ბოროტებად“. **უ მ ც ი რ ე ს ა დ** ითვლება იგი იმიტომ, რომ საქართველოსათვის, მისი სასიცოცხლო ინტერესების თვალსაზრისით, მიზანშეწონილი იყო რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლა, რამდენადაც ეს საკმაოდ იცავდა მას აღმოსავლურ სახელმწიფოთა ბარბაროსულ თავდასხმათაგან და აჩქარებდა მისი ევროპული გაერთიანების პროცესს; **ბ ო რ ო ტ ე ბ ა დ** ითვლება იგი იმიტომ, რომ საქართველო რუსეთის ქვეშევრდომობაში მოქცევით ჩაეყენებულ იქნა კოლონიური ქვეყნის პირობებში.

საქართველოსა და რუსეთთან შეერთების პროგრესული მნიშვნელობა უკვე დიდი ხანია უდავო ჭეშმარიტებად არის აღიარებული. ამ წიგნშიც საკმაო მასალა მოიპოვება ამ დებულების საილუსტრაციოდ. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ რეაქციამდელი რუსეთის სახით ჩვენ საქმე გვქონდა არსებითად ორ რუსეთთან; ერთი იყო—რუსეთი ოფიციალური: რუსეთი მეფისა და რეაქციონერებისა, რუსეთი „ხალხთა საპყრობილე“, მეორე კი—რუსეთი „ნათელი გონებისა“, რუსეთი მოწინავე კულტურის, რუსეთი რევოლუციურ-დემოკრატიული.

რუსეთთან შეერთების პირველ წლებში საქართველოს ჯერ კიდევ არ შეეძლო გაცნობოდა მოწინავე რუსეთს. აქ ხაშინ მხოლოდ ოფიციალური, მეფის რუსეთი მკვიდრდებოდა თავისი სასტიკი და მოუხეშავი კოლონიური რეჟიმით. ამხანაგმა **ს ტ ა ლ ი ნ მ ა**, 1941 წელს, ცარიზმის დროის რუსეთის რეჟიმის ასლად ჩასთვალა ჰიტლერის რეჟიმი,* და ეს საკმაოდ ნათლად და ყოველმხრივ ააშკარავებს მეფის ხელისუფლების რეაქციულობუნებას. აქედან ადვილად წარმოსადგენია, რა მძიმე და აუტანელი უნდა ყოფილიყო მეფის რუსეთის მიერ ხალხის, განსაკუთრებით პატარა ერების, ეკონომიური, პოლიტიკური და სულიერი შევიწროებისა და, საერთოდ, კოლონიური ჩაგვრის მთელი სისტემა.

რუსეთის მეფის ხელისუფლების დამყარებით საქართველოში შეწყდა უკანასკნელის მრავალსაუკუნოვანი თავისთავადი არსებობა. პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვით საქართველომ დაკარ-

---

* „По сути дела гитлеровский режим является копией того реакционного режима, который существовал в России при царизме („О Великой Отечественной войне Советского Союза“, 26, 1917).

ვა თავისი ეკონომიური და კულტურული ცხოვრების მოწესრიგების უფლებაც. ფაქტიურად ის თავის თავს აღარ ეკუთვნოდა.

ცარისტული რუსეთის გაბატონება კავკასიაში დაიწყო უკანასკნელის პოლიტიკური „დაპყრობით". საქართველო ნებაყოფლობით შეუერთდა რუსეთს, მაგრამ მისი დამორჩილება მხოლოდ იარაღის ძალით ხდებოდა. უფრო მძაფრად და ხანგრძლივად მეფის ხელისუფლება ეომებოდა კავკასიელ მთიელთა ტომებს. დაპყრობა კავკასიისა, „ამ უზარმაზარი ციხე-სიმაგრისა" — გენერალ ერმოლოვის გამოთქმით — გაძელდებოდა რ0-იან წლებამდე, მაგრამ არც ამ პერიოდის შემდეგ ჩამქრალა პერმანენტული შეიარაღებული აჯანყებანი, რომლებიც გადაიზარდა ამიერკავკასიის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობად ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ.

კავკასიის „ეკონომიური „დაპყრობა" რუსეთის მიერ მოხდა გაცილებით უფრო გვიან, ვიდრე პოლიტიკური" (ლენინი, III, 487). ამ პროცესს აჩქარებდა კავკასიის მხარეთა, და მათ შორის საქართველოს, სამეურნეო ცხოვრების ჩამორჩენილობა და კარჩაკეტილობა: წარმოების პრიმიტული ხერხები, უვარგისი გზები და ნაპაფერის სატრანსპორტო საშუალებათა უქონლობა. კავკასიის პოლიტიკურმა დაპყრობამ გზა გაუკაფა საქართველოში რუსული კაპიტალის თავისუფალ შემოჭრას. აზიური და ევროპული საქონლის იმპორტის შეზღუდვა, შეღავათიანი საბაჟო ტარიფების გაუქმება (1831), რუსეთთან მიმოსვლისა და რუსული საქონლის შემოტანის საშუალებათა გაუმჯობესება, აგრეთვე რუსეთიდან ვაჭარ-მრეწველთა გამოწვევა, საუკეთესო სავაჭრო პუნქტებში მათი დაბინავებით, და მთავრობის მთელი რიგი სხვა ღონისძიება რუსული სავაჭრო კაპიტალის მფარველობისათვის ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა მას, რომ გაეძლო ყოველგვარი კონკურენციისათვის და დაეპყრო საქართველოს ბაზრები. ეს იწვევდა ადგილობრივი ვაჭრობის, მანუფაქტურისა და ხელოსნობის გამოცოცხლებას. მაგრამ, საერთოდ, საქართველოს მრეწველობა XIX ს. პირველ ნახევარში ძაინც ძალიან სუსტად ვითარდებოდა. საქართველოში რუსული საქონლის შიმართ მფარველობითი პოლიტიკის დაწესების გამო აღარ აღუდგენიათ ადგილობრივი ქარხნები და სხვა საწარმოები (ზარბაზნის, თოფის წამლის, სპილენძის, ზეთსახდელი, შუშის; ზარაფხანა და კუსტარული მრეწველობის ზოგიერთი საწარმო), რომლებიც კი არსებობდნენ აქ რუსეთთან შეერთებამდე.

30-იან წლებამდე მეფის მთავრობა საქართველოს სახალხო მეურნეობას აჩერებდა მხოლოდ წვრილი, მომპოებელი მრეწველობის დონეზე (მაგალითად, 1835 წ., ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, მთელ საქართველოში იყო მხოლოდ ერთი აბრეშუმსახვევი ფაბრიკა თბილისში). მაგრამ შემდეგში კავკასიის არმიის გაძლიერებამ, ადმინისტრატიულ, სამეურნეო და კულტურულ დაწესებულებათა რიცხვის გაზრდამ და ამასთან დაკავშირებით საქალაქო მოსახლეობის გამრავლებამ, ძლიერ გაზარდა მოთხოვნილება სხვადასხვა სამრეწველო საქონელზე და საკვებ პროდუქტებზე. საზღვარგარეთიდან და რუსეთიდან შემოტანილი საქონელი უკვე ვეღარ აკმაყოფილებდა გაზრდილ მოთხოვნილებებს და, ამასთან, ძვირიც ჯდებოდა. ამ გარემოებამ, კაპიტალიზმის დაწყებითი სტადიის ყველა წინააღმდეგობასთან დაკავშირებით, გამოიწვია ადგილობრივი საწარმოო ძალების, საფაბრიკო-საქარხნო შრომის განვითარება. ამ პროცესის შემდგომი ტემპების შესახებ თვალსაჩინო წარმოდგენას იძლევა ის ფაქტი, რომ 1858 წელს მარტო ქალაქ თბილისში იყო უკვე 7 ფაბრიკა-ქარხანა და წვრილი საწარმო.

—

წარმოების კაპიტალისტური სისტემის განვითარებამ დააჩქარა მეურნეობის ძველი ნატურალური ფორმებისა და ფეოდალურ ურთიერთობათა დაშლა საქართველოში.

თავადაზნაურული არისტოკრატია მალე არ შერიგებია რუსულ ბიუროკრატიულ რეჟიმს. მისი ზედაფენა ამ რეჟიმში ხედავდა თავისი ყოფილი პრივილეგიების დაღუპვას და ყოველი ღონისძიებით ებრძოდა მის განმტკიცებას, ცდილობდა აღედგინა დამოუკიდებელი საქართველოს სამეფო. მაგრამ რუსეთის მეფის ხელისუფლებას არ შეეძლო ინდიფერენტული ყოფილიყო ქართველ მემამულეთა მტრული განწყობილების მიმართ. ის, პირველ ყოვლისა, იძულებული იყო მასში ეძებნა საქართველოში გაბატონებისა და მმართველობის საიმედო დასაყრდენი. ამიტომ რეპრესიებს მის წინააღმდეგ ჯერ არ სთვლიდა მიზანშეწონილად. უფრო ეფექტიანად მიაჩნდა ლოიალობის ტაქტიკა, და რუსეთის მეფე მართლაც შეუდგა მსხვილ ქართველ თავადაზნაურთათვის მიწების, გლეხების, სესხის და მუდმივი პენსიების უხვად დარიგებას; ანიჭებდა მათ აგრეთვე სხვადასხვა საპატიო წოდებას, მაღალ სახელმწიფო თანამდებობებს, ჩინებს, ორდენებს, მუნდირებს და სხვ.. უფლებრივი მდგომარეობით კი ისინი

გაუთანაბარა რუსეთის თავადაზნაურობას. ამით ის ცდილობდა ჯერ მათ ნეიტრალიზაციას, შემდეგ კი თავის მხარეზე გადაყვანას. ამის მიღწევა მართლაც შესძლო მეფის ხელისუფლებამ, მაგრამ არც ისე ადვილად და უმტკივნეულოდ.

რაც შეეხება გლეხობას—ეკონომიურად მისი მდგომარეობა უფრო გაუარესდა, რადგანაც მეტად გართულდა ბატონყმური ურთიერთობისა და ექსპლოატაციის ფორმები, პოლიტიკურად კი მან დაკარგა ის ელემენტარული უფლებებიც კი, რითაც სარგებლობდა იგი საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე. მას აღარ შეეძლო ესარგებლნა თავისი დედა ენით რუსეთის მთავრობის ადგილობრივ ორგანოებში, ის მოკლებულ იქნა უბრალო ადამიანურ დამოკიდებულებასაც. ახალი გადასახადების, ბაჟების, რეკვიზიციის, ბეგარისა და ეკონომიური დამონების სხვა ფორმების სისტემა, აგრეთვე საქართველოს საუკეთესო მიწების კოლონიზაცია უცხო მოსახლეობით, გამარუსებელ პოლიტიკასთან დაკავშირებული ნაციონალური ჩაგვრის გაძლიერება და მეფის მოხელეების აღმაშფოთებელი თავხედობა, ქართველ მშრომელ მოსახლეობაში იწვევდა აჯანყებებს მეფის რეჟიმისა და ადგილობრივ მემამულეთა წინააღმდეგ. *

იმის წარმოსადგენად, თუ როგორი სისასტიკით უსწორდებოდა აჯანყებულებს რუსეთის მეფის ხელისუფლება, საკმარისია გავიხსენოთ საქართველოს მთავარმართებლის, გენერალ ერმოლოვის (1816—27) სიტყვები: „აჯანყებული სოფლები დავწვით და გავანადგურეთ, ბაღები და ვენახები ძირიანად ავჩეხეთ და მრავალი წლის განმავლობაშიც ვერ აღადგენენ მოღალატენი თავის პირვანდელ მდგომარეობას. უკიდურესი სიღარიბე იქნება მათი სასჯელი“.** ამასვე ლაპარაკობს პლ. ზუბოვიც: ყველა მთავარმართებელი საქართველოში ცდილობდა ცეცხლითა და მახვილით გაეკაფა თავისთვის გზა კავკასიის ხეობათა შიგნი“.***

საკვირველი არაა, მეფის ხელისუფლება აიძულებდა ქართველ მოსახლეობას ებრძოლა მის წინააღმდეგ, ხოლო ზოგ შემთხვევაში კი მთელი სოფლები და თემები (მაგალითად, სამხრეთ საქართვე-

---

* XIX ს. 50-იანი წლების დასასრულამდე საქართველოში ადგილი ჰქონდა 5 დიდს, მასობრივ აჯანყებას (1804, 1812—13, 1819—20, 1841 და 1857 წლებში) და რამდენიმე ცალკე გამოსვლას.

** „Записки А. П. Ермолова во время управлении Грузией“, 112.

*** Пл. Зубов — Картина Кавказского Края, 72, 1834.

ლოდან და აფხაზეთიდან) სამუდამოდ მოშორებოდნენ თავის მამულსა და ადგილეურეს. ამასთან, მეფის ადგილობრიეი ხელისუფლება რუსეთის შორეულ ადგილებში ასახლებდა „უკმაყოფილო“ ქართველი სამეფო კარის წარმომადგენლებს, ოპოზიციურად განწყობილ ინტელიგენციას და ყოველი სახის პოლიტიკურ დამნაშავეებსა და „მოღლატეებს“. ასახლებდა დამნაშავეთა და „მოღალატეთა“ მცირეწლოვან შვილებსაც, რუსულ სასწავლებლებში გაგზავნის სახით, მაგრამ ისე, რომ სამშობლოში დაბრუნების უფლება ერთმეოდათ; ასე, მაგალითად, 1820 წ. მთავარი შტაბის უფროსი სწერდა საქართველოს მთავარმართებელს გენ. ერმოლოვს: „ხელმწიფე იმპერატორმა, თქვენი უდიდებულესობის განხრახვის თანახმად, უმაღლესად კეთილ ინება: მთიელ ხალხში, გურიაში, იმერეთში და სამეგრელოში მღელვარების უმთავრეს გამომწვეეთა და მოღალატეთა შვილები, გაიგზავნონ აღსაზრდელად სამხედროთა ობლების განყოფილებებში,* საიდანაც ისინი უნდა გადავიდნენ რუსეთის შიგნით განლაგებულ პოლკებში“.**

მე-19 საუკუნის დასაწყისი პერიოდის საქართველოს შინაგან საზოგადოებრივ ეკონომიურ ცხოვრებაზე ლაპარაკის დროს არ შეიძლება არ გავიხსენოთ ის სტიქიური უბედურება, რომელიც მას დაატყდა იმერეთისა და სამხრეთ-საქართველოს შიმშილისა და ჭირის სახით 1810—1812 წლებში. იმერეთის მმართველი სიმონოვიჩი თავის პატაკში გენერალ რატიშჩევისადმი წერდა: „არაჩვეულებრივმა განსაცდელმა, რაც იმერეთს თავს დაატყდა 1810—1811—1812 წლების განმავლობაში, წინათ მომხდარი საყოველთაო სახალხო მღელვარებისა, შემდეგ შიმშილისა, თურქებთან ომისა და გადამდები ავადმყოფობისაგან, ქვეყანა უბედურების უფსკრულში გადაჩეხა. ხალხის მეტი ნაწილი ამოწყდა, ზოგი გაიფანტა მეზობლად მდებარე ადგილებში და უმცირესი კი დარჩა თავის უბედურ ბინებში“.*** ოფიციალური გამოანგარიშებით, იმერეთში იმ წლებში ამომწყდართა რიცხვი უდრიდა 42000-მდე სულს, ფაქტიურად კი ეს რიცხვი 60 ათასს აღემატებოდა.

---

* „სამხედროთა ობლების საიმპერატორო სახლი“ იყო საოფიცრო სასაწავლებელი დახურული (ინტერნატი) ტიპისა, დაარსებული 1798 წ. პეტერბურგში. ჰქონდა 2 განყოფილება, პირველი—კეთილშობილთა შვილებისათვის, მეორე—საერთო, „სალდათების შვილებისათვის“. 1829 წ. „სამხედროთა ობლების სახლს“ დაერქვა „პავლეს კადეტთა კორპუსი“—გ. თ.

** Акты, VI, часть I, 36.

*** Акты, V, 473.

მეფის ხელისუფლება არ ღებულობდა რადიკალურ ზომებს გადამდებ სნეულებათა წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ის არ ფიქრობდა მშრომელი ქართველი ხალხის, განსაკუთრებით გლეხობის, ჯანმრთელობაზე და, საერთოდ სასიცოცხლო ინტერესებზე.

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთის მეფის ხელისუფლება აწარმოებდა საქართველოს ტერიტორიის საუკეთესო ადგილების „გამდიდრებას“ ახალი მოსახლეობით. „ცარიზმმა განზრახ დაასახლა განაპირა ქვეყნების საუკეთესო კუთხეები კოლონიზატორული ელემენტებით იმ მიზნით, რომ ადგილობრივი მკვიდრნი ყველაზე უარეს რაიონებში გაეძევებინა და ნაციონალური შუღლი გაეძლიერებინა“ (სტალინი — „მარქსიზმი და ნაც.-კოლონ. საკითხი“, 83, 1934). საქართველოს ეს კოლონისტები იყვნენ რუსი სექტანტები, რასკოლნიკები და დუხობორები, გერმანელები, ბერძნები და აგრეთვე სომხები გადმოსახლებული ოსმალეთიდან და სპარსეთიდან. უკანასკნელნი სახლდებოდნენ უმთავრესად აღმოსავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით ქ. თბილისში. მართალია, მრავალი მოსულთაგანი ჩქარა გაითქვიფა ქართველ მოსახლეობაში ან შეერია მას,* მაგრამ რუსეთის ცარიზმმა, როდესაც ის შეუდგა უცხო ელემენტებით საქართველოს უფრო ორგანიზებულ დასახლებას, დაიწყო კოლონიზატორებისათვის განცალკევებული ნაყოფიერი მიწების გამოყოფა და ამით, ადგილობრივ მკვიდრთა გამოძევებისა და ეროვნული შუღლის გაღვივების გარდა, აბრკოლებდა გადმოსახლებულთა ასიმილაციის პროცესს.

40-იანი წლების დასაწყისიდან, როცა საგარეო ომიანობისა და შინაგან აჯანყებათა შემდეგ სათანადოდ დალაგდა საქართველოს სამოქალაქო ცხოვრება, როცა ქართველმა ხალხმა ჭრილობები მოიშუშა და მშვიდობიან შრომას დაუბრუნდა, მისმა რიცხვმა იწყო უკვე თვალსაჩინო ზრდა.** უფლებისათვის ბრძოლასა და შრომაში ქმნიდა იგი ცხოვრების მინიმალურ პირობებს და უკეთესი მომავლის იმედით იკრეფდა თავის ძალებსა და ეროვნულ ენერგიას.

---

* ჩარლზ დარვინი იხსენიებს დოქტორ როლეს „Der Mench, seine Abstammung“ etc. 1865, p. 99), რომელიც ხანიკოვის დაკვირვებათა საფუძველზე წერს: „საქართველოში დასახლებულ გერმანელთა ოჯახების უმრავლესობამ ორი თაობის განმავლობაში შეიძინა შავი თმა და თვალები“ (Происхождение человека и подбор по отношению к полу, I, 187, 1874).

** აკადემიკოსი ბროსე 1838 წელს აღნიშნავდა: „Народонаселение Грузии прежде было значительнее, чем ныне (1.500.000 жит.)“ ЖМНП, 1838, № 8, 286), მაგრამ ეს ციფრი ძალიან გადაჭარბებულია.

ცარიზმის კოლონიურმა პოლიტიკამ თავი იჩინა სახალხო განათლების დარგშიც. „ცარიზმი განზრახ ანვითარებდა განაპირა ქვეყნებში პატრიარქალურ-ფეოდალურ ჩაგვრას იმ მიზნით, რომ მასები მონობაში და მცონარეობაში ჰყოლოდა... ცარიზმი ავიწროებდა, ხოლო ზოგჯერ პირდაპირ აუქმებდა ადგილობრივ სკოლას, თეატრს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს, იმ მიზნით, რომ მასები ბნელეთში დაეტოვებინა. ცარიზმი ძირშივე ჰკვეთდა ადგილობრივი მოსახლეობის საუკეთესო ადამიანთა ყოველგვარ ინიციატივას“ (ი. ს ტ ა ლ ი ნ ი — „მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიალური საკითხი“, 83).

სწორედ ასეთი იყო რუსეთის თვითმპყრობელობის პოლიტიკა ქართველთა „განაპირა ქვეყნის“ მიმართაც.

სახალხო განათლების, ბეჭდვითი სიტყვის, თეატრალური ხელოვნების, და სხვა ასეთი საგანმანათლებლო დაწესებულებები და წამოწყებანი, რომლებიც შევიდა ან შედიოდა საქართველოს ცხოვრების პრაქტიკაში XVIII საუკუნის დასასრულს, — სრულიად ან თითქმის სრულიად იქნა გაუქმებული XIX ს. დასაწყისში. რუსეთის მეფის ხელისუფლებამ საქართველოში თავისი დაფუძნების პირველ წელსვე გააუქმა თელავის სემინარია და თბილისის ცოტად თუ ბევრად ცნობილი ქართული სკოლები, უარჰყო საქართველოს უკანასკნელი მეფის, გიორგი XII მიერ 1799 წელს მოწონებული პროექტი (ბატონიშვილ იოანე ბაგრატიონისა), რომელიც ითვალისწინებდა 3 უმაღლესი სასწავლებლის დაარსებას (თბილისსა, თელავსა და გორში), დევნიდა და ფანტავდა ქართველ მეცნიერებს, ლიტერატორებს, კულტურა-განათლების მუშაკებს, აფერხებდა ყოველ ადგილობრივ თაოსნობას ქართველთა შორის წერა-კითხვისა და განათლების გავრცელების საქმეში.

კოლონიური პოლიტიკის ინტერესებისადმი იქნა აგრეთვე დაქვემდებარებული რელიგიაც. რუსეთის თვითმპყრობელობას კარგად ესმოდა, რომ კავკასიაში რუსიფიკატორული პოლიტიკისა და ამ კუთხის სულიერი გარდაქმნის ერთ-ერთ უმახვილეს იარაღად სკოლის გარდა, შეიძლებოდა გამოეყენებინა ეკლესიაც. მაგრამ როგორც ძველ ქართულ სკოლას, ისე ეკლესიას ვერ გამოიყენებდნენ ამ ამოცანის შესასრულებლად. ძველი ქართული სკოლის გაუქმება შეიძლებოდა, მაგრამ ასე ადვილად ვერ გაბედავდნენ საქართველოს ძველთაძველი, მართლმადიდებელი ეკლესიის გაუქმებას.

საქართველოს ეკლესია თავიდანვე ასრულებდა სათანადო კულტურულ-საგანმანათლებლო როლს: ავრცელებდა წერა-კითხვას, ინახავდა სკოლებს, ამრავლებდა ლიტერატურულ წერილებს და, რაც შთავარია, იცავდა ქართულ ენას. სწორედ ეს როლი უნდოდათ ჩაშლოერთმიათ მისთვის რუსეთის მეფის მოხელეებს და დაეკისრებინათ ხულ საწინააღმდეგო, ზემოთ ნაჩვენები. მისია. პირველად ამ მიმართულებით ჯერ კიდევ 1803 წელს გაილაშქრა საქართველოს მთავარმართებელმა გენერალმა ციციანოვმა, რომელმაც საქართველოს კათოლიკოსს ანტონ II მოსთხოვა ეპარქიების, ეპისკოპოსთა რაოდენობისა და სხვა მაღალ სასულიერო თანამდებობათა შემცირება. შემდეგ რუსეთის მთავრობამ გააუქმა საქართველოს კათოლიკოსის თანამდებობა, მინიმუმამდე დაიყვანა კათედრების რიცხვი და გაატარა საქართველოში საეკლესიო რეფორმა იმ მიზნით, რომ ქართული ეკლესია რუსეთის მეფის ხელისუფლებისათვის დაემორჩილებინა, შეეცვალა საეკლესიო გადასახადები (რაც გადაიქცა იმერეთში 1819—20 წლების გლეხთა აჯანყების ერთ-ერთ მიზეზად), გადაეყვანა სამღვდელოება ჯამაგირზე და ამით გაეხადა იგი საბელმწიფოსაგან დამოკიდებული ეკონომიურად და უფლებრივად.

რუსეთის თვითმპყრობელობამ ამ გზით მოახერხა საქართველოს ეკლესიის ნაწილობრივ დამორჩილება, მაგრამ სანამ ღვთისმსახურება და სხვა რელიგიური წესები ქართველ მოსახლეობაში მშობლიურ ენაზე სრულდებოდა, ქართული ეკლესიის წინააღმდეგ ცარისტული რუსეთის ბრძოლა არ შენელებულა. განსაკუთრებით მკაცრ ფორმებში წარმოებდა ეს ბრძოლა საქართველოს ეგზარხოსად ცნობილი რიაზანელი ეპისკოპოსის თეოფილაქტე რუსანოვის დანიშვნის (1817) შემდეგ. ამ ბრძოლის პარალელურად მეფის ხელისუფლება შეუდგა მთიან საქართველოსა და კავკასიაში მისიონერული ორგანიზაციების („ოსეთში ქრისტიანობის აღმადგენელი კომისია", 1814 წ., „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოება", 1860 წ. და სხვ.) შექმნას, რომლებიც ჯვარითა და სახარებით ამტკიცებდნენ მეფის ჟანდარმულ ხელისუფლებას კავკასიაში და სულიერ მონობაში აგდებდნენ თავისუფლებისმოყვარულ მთიელ მოსახლეობას.

საქართველოს დამორჩილებისა და გარდაქმნის ამოცანები XIX საუკუნეში განსაზღვრავდნენ აგრეთვე მისი სახელმწიფოებრივი მართვის სისტემას. გასული საუკუნის დასაწყისში, როდესაც წარმოებდა საქართველოს პოლიტიკური „დაპყრობა", მხარეს მართავდა

კავკასიის არმიის (კორპუსის) მთავარსარდალი, რომელიც ამავე დროს იყო საქართველოს მთავარმართებელიც.

მასთან არსებული ე. წ. „საქართველოს უმაღლესი მთავრობა“ 4 ექსპედიციით (აღმასრულებელი, სამოქალაქო, სისხლის-სამართლის და სახაზინო) წარმოადგენდა, უკეთეს შემთხვევაში, უბრალო აღმასრულებელ ორგანოს, მაგრამ კანონმდებლობითს კი სრულიად არა. ასევე — „საქართველოს მძართველი“, რომელსაც უნდა შეეცვალა მთავარმართებელი ყველა სამოქალაქო საქმის დარგში, მაგრამ ფაქტიურად მოკლებული იყო ყოველგვარ სერიოზულ სახელმწიფოებრივ უფლებას.

აღკვეთილი იყო ქართველი საზოგადოებრიობის მონაწილეობა თავისი ქვეყნის მართვის საქმეში. გვერდს უვლიდნენ ქართველთა მიერ თავისი მშობლიური კუთხის ხელმძღვანელობის საუკუნეობრივ ტრადიციებს. ქართველი თავადაზნაურობის მორალური დაკმაყოფილების მიზნით, მის წარმომადგენლებს უფლება მიეცათ ყოფილიყვნენ „საქართველოს უმაღლესი მთავრობის“ წევრებად; მართლაც შედიოდნენ ისინი ზემოთ დასახელებულ ექსპედიციებში და ქმნიდნენ მათ უფროსებთან ერთად უმაღლესი „მთავრობის“ საერთო საკრებულოს, მაგრამ არსებითად მათ ანგარიშს არაევინ უწევდა. არ ჰქონდათ ნდობა და არც კი შეჰყავდათ ისინი იმ საქმის კურსში, რომელიც თითქოს მათი მოქმედების სფეროს ეკუთვნოდა. მაგრამ არა მხოლოდ ექსპედიციის ქართველი წევრები იყვნენ გაუგებარ მდგომარეობაში ან თავაზიანად იგნორირებული, არამედ მთელი „საქართველოს უმაღლესი მთავრობა“ წარმოადგენდა არსებითად ჩვეულებრივ „საგუბერნიო სამმართველოს“, სადაც ყოველივე, გუბერნატორის ნების გარდა, უბრალო ნომინალობა იყო და მეტი არაფერი.

საქართველო არ სარგებლობდა არათუ სუვერენული უფლებებით, თუნდაც სამოქალაქო დარგში, არამედ ის მოკლებული იყო იმ უფლებებსაც კი, რომლებიც ჰქონდათ საერთოდ რუსეთის ქვეშევრდომებს.* ზოგიერთი ბეცი მთავარმართებელი კრძალავდა კიდეც იმას, რომ ქართველები ქვეშევრდომებად ჩაეთვალათ.**

---

* ამაზე 1837 წელს ნიკოლოზ I-ის ყურადღებას აქცევდა ქართველი პოეტი და გენერალი ალ. ჭავჭავაძე (ალ. ჭავჭავაძე, თხზულებები, ი. გრიშაშვილის რედაქციით, 251, 1940, თბილისი).

** მაგალითად, 1801 წ. საქართველოს მთავრმართებელმა გენ. კნორინგმა ოფიციალურად აუკრძალა გენერალ ლაზარევს ეხმარა საქართველოს მიმართ სიტყვა „ქვეშევრდომობა“, რომელიც მას თითქოს არ ჰქონდა მიბიჭებული (Акты, I, 353).

XIX ს. ორმოციან წლებამდე, ამიერკავკასიაში თავისი ძალაუფლების საბოლოოდ განმტკიცებამდე, მეფის მთავრობა ფორმალურად არ აღიარებდა საქართველოს სახელის გაუქმებას და ამის გამო ვერ ბედავდა გადაეხაზა იგი და საქართველოსთვის ერთბაშად ეწოდებინა რუსეთის გუბერნია. მაგრამ თანდათანობით ისეთი უმნიშვნელო რეფორმის გატარებამ, როგორიც იყო „საქართველოს მმართველის" თანამდებობის გაუქმება (1841) და მისი შეცვლა სამოქალაქო გუბერნატორის თანამდებობით, საქართველოს დაყოფა მაზრებად, ქართველი მოურავების ინსტიტუტის გაუქმება, შინაგანი წესრიგის დამცველი პოლიციის შემოღება, რუსი ბოქაულების ინსტიტუტის შექმნა და სხვა მთელმა რიგმა ადმინისტრაციულმა ღონისძიებამ მმართველობის სისტემის ნიველირებისათვის უკვე ფორმალურადაც მოამზადა ნიადაგი „საქართველოს ყოფილი სამეფოს" გადასაქცევად რუსეთის ერთ-ერთ გუბერნიად; და მართლაც, 1841 წელს, რუსეთის სახელმწიფო საბჭოს მიერ ამიერკავკასიის მმართველობის სარეორგანიზაციოდ 1837 წელს გამოყოფილი სპეციალური კომისიის* მუშაობის შედეგად, საქართველოს ეწოდა „საქართველო — იმერეთის გუბერნია".

აქეთკენვე იყო მიმართული სასამართლოს წარმოების სისტემაც. რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ საქართველოში სამოქალაქო სასამართლოს წარმოება ფორმალურად კიდევ დიდხანს მიმდინარეობდა საქართველოს მეფის ვახტანგ VI (1675—1737). კოდექსის მიხედვით, მაგრამ სამართლის მწარმოებლად იყენებენ უმთავრესად რუსი „მეკანონეები", რომლებსაც არ ესმოდათ არც ქართული ენა, არც ვახტანგის კანონები და სრულიად არ იცნობდნენ ხალხის საადათო სამართალს. სისხლის სამართლის საქმეებში ვახტანგის კანონები თავიდანვე იქნა აღკვეთილი, რუსული კანონებიკი სავსებით გაუგებარი იყო ხალხისათვის და, ამგვარად, ორივე შემთხვევაში ის კანონები, რომლებიც ძალაში იყო საქართველოს ტერიტორიაზე XIX ს. 70-იან წლებამდე, წარმოადგენდნენ ოფიციალურ „ზეპირ კანონებს", რომლითაც პროკურორებს, ისპრავნიკებს, კომისრებს, მსაჯულებს და სასამართლოს სისტემის მთელ აპარატს ეძლეოდა საშუალება უხეშად და დაუსჯელად გაეთელათ ჩვენში ხალხური მართლმსაჯულების ისტორიულად შემუშავებული ნორმები და ტრადიციები. ამას გარდა, საქმეების დაუბოლოოებელ ვაკანუ-

* სენატორ განის კომისია.

ნებას ინსტანციებში, აპელაციის უფლების გაუქმებას, სასამართლოში თარჯიმნებისან პატიოსანი თარჯიმნების უყოლობას და კანონების მეთვალყურეთა უსაზღვრო თავნებობას, მექრთამეობასა და სხვა ბოროტმოქმედებებს ხალხი გამოჰყავდა მოთმინებიდან, იწვევდა ბის შეჯახებას ხელისუფლებასთან, რაც ხალხისათვის ერთობ ძვირმე შედეგებით თავდებოდა.

საქართველოსა და კავკასიის მართვის სისტემას, რომელიც სავსებით შეეფერებოდა ცარიზმის ინტერესებს ამ ქვეყნების საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ნაციონალური დამონების საქმეში, იცავდა სპეციალურად შერჩეული ადმინისტრაციული აპარატი, რომელიც გამოირჩეოდა მეფის ტახტისადმი მონური მორჩილებით, ერთი მხრით, და უსულგულო დამოკიდებულებით ადგილობრივი უქმაგოდა მშვიდობიანი მოსახლეობისადმი — მეორე მხრით. „სულ ცუდი ფეოხელეებისაგან არის ქვეყანა ნაკლოვანებაში",—წერდა XIX ს. 30-იან წლებში ქართველი მწერალი იოანე ბაგრატიონი („კალმასობა"). ისინივე ჰყავდა მხედველობაში 1837 წ. გამოჩენილ ქართველ პოეტს ნიკოლოზ ბარათაშვილს, როდესაც წერდა, რომ „ჩინოვნიკების წრე არ გამოდგება ზნეობის ჩამოყალიბებისათვის"-ო („ლექსები, პოემა, წერილები").

უმრავლესობა იმ მოხელეთა, რომლებსაც საქართველოში ნიშნავდნენ, გარდა იმისა, რომ გონებრივად იყო ჩამორჩენილი, აღშფოთებას იწვევდა თავისი ავანტურით, აფიორით, ძარცვით, ძალადობით, ჯაშუშობით, მექრთამეობით, ხაზინის ქურდობითა და სისხლის სამართლის სხვა დანაშაულით. ზოგიერთები კი აქეთ მოემართებოდნენ ჩინ-ორდენების, საშოვრის, წოდებისა და სხვა სიკეთის საძებრად. "ახალგაზრდა ტიტულოსანი მრჩეველები მოდიან აქ მხოლოდ სანუკვარი ასესორის ჩინისათვის" („Молодые титулярные советники приезжают сюда за чином ассесорским, толико вожделенным")—წერდა ა. პუშკინი 1829 წ. თბილისში ყოფნისას.* ეს მოხელეები ბევრ რამეში აჭარბებდნენ ხლესტაკოვებს, ლიაპკინ-ტიაპკინებს და გოგოლის გალერიის სხვა გაიძვერა არამზადებს, და არაფრით განსხვავდებოდნენ სალტიკოვ-შჩედრინის „ბატონ ტაშკენტელთაგან", იმ „გულკეთილ ვაჟთაგან", რომელთაც „სული მისდიოდათ ჭამაში" და ჰქონდათ „კარგად განვითარებული მტაცებლური ინსტინქტები".

---

* „Путешествие в Арзрум".

საქართველოში, რუს ბიუროკრატთა მმართველობის სისტემის ამ უმსგავსოებას არ მალავდნენ არც რუსი მეცნიერები, არც მეფის დაყენებული დიდი თანამდებობის პირნი. ასე, მაგალითად, ისტორიკოსი ნ. დ უ ბ რ ო ვ ი ნ ი წერდა: „მოხელეთა ბოროტმოქმედება უკიდურეს საზღვრამდე მიდიოდა. დაწესებულებებში ქართველებს არა მხოლოდ ლანძღავდნენ საჯაროდ, არამედ კიდეც სცემდნენ, მარტოოდენ ეპვის გამო იჭერდნენ მათ, უკრავდნენ უკან ხელებს, აცვამდნენ კისერზე მარყუშს და, მსგავსად სისხლის სამართლის დამნაშავეთა, ატარებდნენ ფეხით 50 ვერსზე და უფრო შორს მანძილზეც. მოხელეებსა და ოფიცრებს ძალით მიყავდათ ქალები და ქალიშვილები სოფლებიდან და აუპატიურებდნენ“.* 1830 წ. სენატორები კ უ ტ ა ი ს ო ვ ი და მ ე ჩ ნ ი კ ო ვ ი საქართველოში სამოქალაქო მართვა-გამგეობის რევიზიის შედეგად აუწყებდნენ იუსტიციის მინისტრს მათ მიერ შეგროვილი ცნობების მიხედვით, რომ: საკუთრად საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეებში ბოროტმოქმედება და უწესრიგობა აჭარბებს ყოველგვარ საზომს, მაგრამ თუ განვიხილავთ მაჰმადიანური პროვინციის მართვა-გამგეობას, აღმაშფოთებელია მმართველთა მიერ ხალხის წამება.** ბოროტმოქმედებას ეწეოდნენ არა მხოლოდ წვრილი მოხელენი, ძალიან ხშირად დიდი თანამდებობის პირნიც არ თაკილობდნენ მას. ცნობილია, მაგალითად, რომ საქართველოს პირველი მთავარმართებელი გენერალი კ ნ ო რ ი ნ გ ი (1801—1802) დანაშაულობათა და დამნაშავეთა აწკარა მფარველობისათვის, იმპერატორმა ალექსანდრე I რუსეთში გაიწვია, ხოლო საქართველოს მმართველი, ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი კ ო ვ ა ლ ე ნ ს კ ი (1801—1803) სისტემატური მექრთამეობისათვის და სხვა თანამდებობრივი ბოროტმოქმედებისათვის იმავე ალექსანდრე I თანამდებობიდან გადააყენა, როგორც „საქართველოსათვის მავნებელი“ ადამიანი, პასუხისგებაში მისცა და გადაასახლა გეორგიევსკში. ცნობილი გენერალი ა. მ ე ნ შ ი კ ო ვ ი 1842 წ., როდესაც სამხედრო მინისტრი ა. ი. ჩ ერ ნ ი შ ე ვ ი და „სტატს-სეკრეტარი“ პ ო ზ ე ნ ი საქართველოში იქნენ მივლინებული ადმინისტრაციულ რეფორმათა რევიზიისათვის, გესლიანად ოხუნჯობდა: „გაემგზავრნენ ჩვენი ახალი არგონავტები კოლხიდანო. თუმცა ჩერნიშევი მოახერხებს იქ ოქროს საწმისის (руно) პოვნა.

* Н. Дубровин, Закавказье в 1803—1806 гг., 53.

** ც. ისტ. არქივი, ლენინგრადის განყ. „კავკასიის კომიტეტი“, ს. 56, ფურც 50—52.

ბაგრამ გაკრეკს მას არა ის, არამედ პოზენი". ასე ძარცვავდა და არბევდა საქართველოს მოსახლეობას—მეფის ყველა მოხელე, დიდიდან პატარამდე, და ეს წარმოადგენდა გლეხთა აჯანყებების ერთ-ერთ მთავარ მიზეზს XIX ს. პირველი ნახევრის საქართველოში.

საქართველოს მართვა-გამგეობის რუსული მონარქული სისტემა ემსახურებოდა ხალხისა და მთავრობის ურთიერთისაგან გათიშვის საქმეს. ის ხელს უწყობდა აგრეთვე ქალაქსა და სოფელს შორის, გლეხობასა და ინტელიგენციას შორის განხეთქილებას, და ურთიერთობის გამწვავებას. მართვა-გამგეობის ფორმები და მეთოდები სრულიად არ შეესაბამებოდა მის საგანს, სამოქალაქო და სამხედრო დაწესებულებათა ფუნქციები ერთმანეთში იყო არეული, ხოლო საზოგადოებრივი ცხოვრების მთელი რიგი დარგები მთლიანად რჩებოდა მმართველ ორგანიზაციათა მოქმედების გარეშე.

დაუსრულებელი მისწრაფება საქართველოს მართვა-გამგეობის სისტემის ნიველირებისა რუსეთის იმპერიის ცენტრალური რაიონების მართვა-გამგეობის სისტემასთან და ამით გამოწვეული ხშირი ცვლა მთავრობის დაწესებულებათა და თანამდებობის პირებისა, ხალხს არ აძლევდა შესაძლებლობას რამდენადმე მაინც გარკვეულიყო ამ უკანასკნელთა მუშაობის მეთოდებში და ურთიერთდამოკიდებულების ფორმებში. ამ დაწესებულებებსა და პირებს არ შეეძლოთ ესარგებლნათ რაიმე ავტორიტეტით მოსახლეობაში და, რა გასაკვირველია, თუ ისინი არ სარგებლობდნენ ხალხის პატივისცემით.

მმართველობის ამგვარმა სისტემამ XIX ს. პირველი ნახევრის საქართველოში შეზღუდა პიროვნების ინიციატივა, ძირი გამოუთხარა ადამიანისადმი ადამიანის ნდობას და დააწესა პედანტური გამოყენება კანონისა, რომელიც არ შეეფერებოდა ადგილობრივი ცხოვრების ისტორიულად შემუშავებულ ნორმებს. ეს სისტემა ამტკიცებდა ბატონყმური უფლებამოვალეობის საწყისებს, ემყარებოდა მხოლოდ შეიარაღებულ ძალას და ქვეყნისა და ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს ტლანქად უმორჩილებდა კავკასიის არმიის სამხედრო ინსტიტუტს.

რუსეთის მეფის მართვა-გამგეობის სისტემის შესახებ, საზოგადოდ, კ. მარქსი წერდა: „რუსეთის მმართველობის სისტემა ქველგან, სადაც კი ის დაკავშირებულია ფეოდალურ დაწესებულებებთან, განა იგივე არ არის, რაც სამხედრო ოკუპაცია, რომელშიც

ხამოქალაქო ხელისუფლება და იურიდიული იერარქია ორგანიზებულია სამხედრო საწყისებზე და ხალხს აწევს შესანახად".*

საქართველოს და მთელი ამიერკავკასიის მაგალითზე ამ სიტყვებმა პოვეს თავისი ახალი დადასტურება.

—

პირველი არსებითი გარდატეხა საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, მისი ანექსიის შემდეგ, მოხდა 30-იან წლებში. ეს გარდატეხა დაკავშირებული იყო რუსეთის თვითმპყრობელობის ადგილობრივი ხელისუფლების წინააღმდეგ 1832 წლის შეთქმულების აღმოჩენასთან.

დიდი რუსი რევოლუციონერი-დემოკრატი ა. გერცენი ამბობდა, რომ „ნიკოლოზის ეპოქა (1825—1855) იყო გარეგანი მონობისა და შინაგანი განთავისუფლების საკვირველი ეპოქა". ამ დებულების ერთ-ერთ მკაფიო ილუსტრაციას წარმოადგენს ჩხენებული ეპოქის დამდეგის საქართველო, სადაც მძლავრად იჩინა თავი მეფის კოლონიური მონობისაგან განთავისუფლების შინაგანმა ტენდენციამ ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სახით.

რუსეთის ცარის ული ხელისუფლების მიერ ქართველი ხალხის სასტიკი შევიწროვების ზემოაღნიშნული ფაქტები, განსაკუთრებით ნაციონალური დამონების ფაქტები, თანდათან ზრდიდა და აღრმავებდა ხალხის უკმაყოფილებას. „თუმცა ფორმალურად საქართველო ითვლებოდა არა დაპყრობილად რუსული იარაღის მიერ, არამედ რუსეთთან ნებაყოფლობით შეერთებულ ჩხარედ, მაგრამ მას განაგებდნენ მეფის მოადგილენი თავიანთ მოხელეთა წმინდა რუსული აპარატით. კასაგებია, რომ ისინი არამცთუ მარტო არ იცავდნენ საქართველოს სახალხო ინტერესებს, არაფერად არც ესმოდათ ეს ინტერესები. მათ ოპოზიციისაკენ მიჰყავდათ ქართველ დიდებულთა წოდებაც კი, რომელიც სინდისიერად, საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგოდ, ემსახურებოდა ბეფის თვითმპყრობელობას".** ეს წოდება და საქართველოს მთელი მაღალი თავადაზნაურული არისტოკრატია, მიუხედავად ზემოდასახელებული მატერიალური

---

* К. Маркс и Фр. Энгельс, Соч., IX, 397.

** М. Калинин, К 60-летию со дня рождения товарища Сталина, 4, 1939.

პრივილეგიებისა, რომელიც რუსეთის მეფის ხელისუფლებამ მიანიჭა მათ, მწვავედ განიცდიდნენ თავის პოლიტიკურ და უფლებრივ შეზღუდულობას. მათ არაფერს ეკითხებოდნენ არათუ ქვეყნის, არამედ ადგილობრივი, თავისი პატარა კუთხის მართვის საქმეზეც კი, ალარ უწევდნენ ანგარიშს არათუ სახელმწიფოს მაღალი მოხელენი, არამედ უბრალო კაპიტან-ისპრავნიკები და პოლიციელები. ესენი საჭიროდ არ თვლიდნენ მიემართათ ქართველი თავადებისა და აზნაურებისათვის მათსავე მამულში მცხოვრებ გლეხთა საკითხებზეც კი. საქართველოს თავადაზნაურობას მწვავედ ჩაგრავდა აგრეთვე ქართული ენის განდევნა სახელმწიფო და სასამართლო დაწესებულებათაგან და ამის გამო უვიც და უზნეო თარჯიმანთა ხელში ჩავარდნა. ყოველივე ამან და საქართველოში რუსეთის მონარქიის ბატონობისა და მმართველობის ზემოაღნიშნულმა ტლანქმა ფორმებმა მიიყვანა ქართველი თავადაზნაურული არისტოკრატიიქამდის, რომ მან 30-იანი წლების დამდეგისათვის შექმნა მსხვილი „საიდუმლო საზოგადოება", რომელსაც განზრახული ჰქონდა 1832 წლის დამლევს მოეწყო საყოველთაო შეთქმულება რუსი მმართველების წინააღმდეგ საქართველოში.

ამხანაგი ს ტ ა ლ ი ნ ი წერდა, რომ „საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ—ქართველმა თავადაზნაურობამ იგრძნო, თუ რა საზარალო იყო მისთვის ძველი პრივილეგიებისა და ძლიერების დაკარგვა, რომლებიც მას ქართველი მეფეების დროს ჰქონდა, იუკადრისა „უბრალო ქვეშევრდომობა" და მოინდომა „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს გ ა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა". ამით მას უნდოდა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა თ ა ვ ე შ ი ქ ა რ თ ვ ე ლ ი მ ე ფ ე ებ ი დ ა თ ა ვ ა დ ა ზ ნ ა უ რ ო ბ ა დ ა ე ყ ე ნ ებ ი ნ ა და, ამ ვ ვ ა რ ა დ, მ ა თ თ ვ ი ს გ ა დ ა ე ც ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი ხ ა ლ ხ ი ს ბ ე დ ი ღ ბ ა ლ ი! ე ს ი ყ ო ფ ე ო დ ა ლ უ რ-შ ო ნ ა რ ქ ი უ ლ ი „ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ზ მ ი". ვერც ერთი შესამჩნევი კვალი ვერ დააჩნია ამ „მოძრაობამ" ქართველების ცხოვრებას. ვერც ერთი ფაქტით ვერ ისახელა მან თავი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქართველი თავადაზნაურების ზოგიერთ შეთქმულებას რუსი მმართველების წინააღმდეგ კავკასიაში."* ერთ-ერთ ასეთ შეთქმულებად შეიძლება ჩაითვალოს 1832 წლის შეთქმულება.

1832 წლის შეთქმულების უახლოესი მიზანი—კავკასიის რუსული მმართველობის დამხობა, უმაღლეს ქართველ არისტოკრატიასთან

* ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზულებანი, I, 32—33, 1947.

აკავშირებდა საშუალო თავადაზნაურობასა და ინტელიგენციას, რომლებიც არანაკლებად განიცდიდნენ რუსეთის ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის სასტიკ რეჟიმს. ერთ-ერთ მიზეზს, რამაც ქართველი ინტელიგენცია შეთქმულებამდე მიიყვანა, როგორც ჩანს სასამართლოში მათ წარმომადგენელთა მიერ მიცემული ჩვენებიდან, წარმოადგენდა მთავრობის უარყოფითი დამოკიდებულება ქართველი მოსახლეობის სახალხო განათლების ქსელის გაფართოებისადმი კერძოდ, ბიბლიოთეკების, სახალხო სკოლების და უმაღლესი სასწავლებლის უქონლობა საქართველოში. „საიდუმლო საზოგადოების" აღნიშნულ მიზნისათვის შეუძლებელი იყო მხარი არ დაეჭირათ საქართველოს სხვადასხვა რაიონის „მოუსვენარ" გლეხებსაც, რომელთაც უფრო მძიმედ, ვიდრე საზოგადოების სხვა ფენებს, აწვა ძარცვის, რბევის, აბუჩად აგდებისა და ეროვნული დამონების მონარქიული სისტემა.

ამიტომ 1832 წ. შეთქმულება მოფიქრებული იყო მისი ხელმძღვანელების მიერ ძალიან ფართო მასშტაბით. „საიდუმლო საზოგადოების" (შეთქმულების) ასეთ „ყოვლისგამაერთიანებელ" მიზანთან დაკავშირებით, მის ხელმძღვანელობაში ჩვენ ვხედავთ როგორც მაღალი არისტოკრატიის წარმომადგენლებს, რომლებიც უმრავლესობას წარმოადგენენ, ისე საშუალო თავადაზნაურობის და დემოკრატიული ინტელიგენციის წარმომადგენლებსაც, რომლებიც შეადგენენ უმცირესობას. უმრავლესობაში შედიოდნენ ქართველი ბატონიშვილები და თავადები, ხოლო უმცირესობას წარმოადგენდნენ: გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და ჟურნალისტი სოლომონ დოდაშვილი (1805—1836); მწერლები: ალ. ორბელიანი (1801—1869), ვახტანგ ორბელიანი (1812—1890), გიორგი ერისთავი (1811—1864), სოლ. რაზმაძე (1793—1852); ლიტერატორები და საზოგადო მოღვაწეები: ფილადელფოს კიკნაძე, იოსებ მამაცაშვილი; პედაგოგი ზაალ ავთანდილაშვილი, პოდპორუჩიკები ელიზბარ და დიმიტრი ერისთავები, კაპიტანი ზ. ჩოლოყაშვილი და სხვ. 1832 წ. შეთქმულებაში მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე ქართველი პოეტები: ალ. ჭავჭავაძე (1786—1846) და გრიგოლ ორბელიანი (1804—1883), პუბლიცისტი დიმიტრი ყიფიანი (1814—1887) და ბევრი სხვა. სულ შეთქმულების საქმეზე პასუხისგებაში იქნა მიცემული 145 კაცი სხვადასხვა წოდებისა და რწმენისა. „საზოგადოების" ასეთ სხვადასხვაგვარ სოციალურ შემადგენლობას არ შეიძლებოდა კვალი არ დაეჩნია შეთქმულების საბოლოო მიზნის შემუშავებაზე, და

შას მართლაც არ გააჩნდა ერთიანი მიზანი. მასალებიდან ჩანს, რომ წარმატების შემთხვევაში, ე. ი. თუ საქართველო განთავისუფლდებოდა რუსეთის თვითმპყრობელობისაგან, შეთქმულების ხელმძღვანელთა უმრავლესობას სურდა აღედგინა დამოუკიდებელი საქართველოს სამეფო, მთავრობა უნდა ყოფილიყო შედგენილი ორი პალატისაგან: ზ ე დ ა პ ა ლ ა ტ ა, ქართველი მეფის მეთაურობით და მთავარი მინისტრების შემადგენლობით, და ქ ვ ე დ ა პ ა ლ ა ტ ა, რომელიც იქნებოდა შედგენილი ყველა მაზრის დეპუტატებისაგან. ამგვარად, შეთქმულების ხელმძღვანელთა უმრავლესობა ესწრაფვოდა რა დამოუკიდებელი საქართველოს სამეფოს აღდგენას, გამოხატავდა დიდ ფეოდალთა ინტერესებს და ხელახლა აყენებდა საქართველოს ირანულ-თურქულ ორიენტაციის გზაზე, ე. ი. აბრუნებდა ქვეყანას უკან XVIII საუკუნის დასასრულის მდგომარეობისაკენ და მით აფერხებდა საქართველოს სინამდვილეში ისტორიული განვითარების კანონზომიერ პროცესს.

1832 წლის შეთქმულების უმცირესობის წარმომადგენლები კი არ ფიქრობდნენ მოეწყვიტათ ქართველი ხალხი რუსეთისაგან, საქართველოს სამეფოს აღდგენას კი შეუძლებლად სთვლიდნენ. ისინი წარმოადგენდნენ 30-იანი წლების ქართველი საზოგადოების განათლებულ, პროგრესულ ნაწილს, კარგად იცნობდნენ დასავლეთ ევროპისა და რუსეთის მოწინავე იდეებს—თავისუფლებისა, თანასწორობისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეებს. ბევრი მათგანი კარგად იცნობდა აგრეთვე 1825 წ. რუსი დეკაბრისტების პროგრამას, ისინი თარგმნიდნენ და არჩევდნენ მომავალი სახელმწიფოებრივი წყობილების მათ (მაგ., პესტელის) გეგმებს, აკრიტიკებდნენ დეკაბრისტების სამხედრო-საორგანიზაციო ხასიათის შეცდომებს, რომლებმაც გამოიწვია მათი დამარცხება, თარგმნიდნენ და ავრცელებდნენ რ ი ლ ე ე ვ ი ს წერილებსა და რევოლუციურ ლექსებს.*

„საიდუმლო საზოგადოების“ წევრმა სოლომონ რ ა ზ მ ა ძ ე მ გადმოთარგმნა ქართულ ენაზე სენის დეპარტამენტის პრეფექტის 1830 წლის 19 ოქტომბრის მოწოდება „თვისთა თანამოქალაქეთა მიმართ.“ ამგვარად, 1832 წლის შეთქმულების უმცირესობა არა მარტო იცნობდა, არამედ გატაცებული იყო დეკაბრისტებისა და 1830 წლის საფრანგეთის რევოლუციის რესპუბლიკური იდეებით.

---

* ს. დ ო დ ა შ ვ ი ლ მ ა თარგმნა რილეევის მიერ სიკვდილისწინ ცოლისადმი მიწერილი წერილი, პოეტმა გრიგოლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ მ ა კი მისი „ნალივაიკოს აღსარება“ ლექსიდან „ნალივაიკო“.

შეთქმულების უმცირესობის ასეთი განწყობილებები იცოდნენ სხვა ხელმძღვანელებმაც, კერძოდ, დიმიტრი ბატონიშვილმა, რომელიც ხშირად „ესაუბრებოდა მასთან მოსიარულეებს თავისუფლების შესახებ, უხსნიდა საფრანგეთის უფლებებს, მისი მოსახლეობის თავისუფალ ცხოვრებას, მეფის შეზღუდულ ძალა-უფლებას და იმას, თუ როგორი ხმა აქვს საფრანგეთის თითოეულ მოქალაქეს მეფეების არჩევის დროს, და, ბოლოს, რა აჯანყებებს ჰქონდა ადგილი საფრანგეთში“.**

რუსეთისა და საქართველოს მომავალი სახელმწიფოებრივი წყობილება „საიდუმლო საზოგადოების“ უმცირესობის წევრებს, მიუხედავად ერთგვარი მერყეობისა, მაინც ერთნაირად ჰქონდათ წარმოდგენილი: ისინი მხარს უჭერდნენ რესპუბლიკას. ასე, მაგალითად, ოქროპირ ბატონიშვილმა, „საზოგადოების“ ერთ-ერთ ყველაზე უფრო რადიკალურ წარმომადგენელთან, სოლომონ დოდაშვილთან, საუბრის დროს, იცოდა რა მისი დადებითი დამოკიდებულება რესპუბლიკური წყობილებისადმი, განაცხადა: „დიახ, ბატონო ქართველებო, ეცადეთ საქართველოს განთავისუფლებას, ამასთან მე მსურს საქართველოს თავისუფლება არა ივისათვის, რომ ვინმე ბაგრატიონთა გვარიდან გამეფდეს აქ, არაპედ მისთვის, რომ საქართველო გახდეს რესპუბლიკად“.*

1832 წლის შეთქმულება მზადდებოდა 1826—27 წლებიდან. პირველად მისი შექმნის აზრი და ორგანიზაცია აღმოცენდა დეკაბრისტული მოძრაობის გავლენით, ქ. პეტერბურგს, საქართველოდან გადასახლებულ ბატონიშვილებსა და პეტერბურგში მოსწავლე ქართველ ინტელიგენტთა შორის, მაგრამ მალე შეთქმულების ცენტრი ჩამოყალიბდა თბილისში, ს. დოდაშვილის, ალ. ორბელიანის, ელიზბარ ერისთავის შემადგენლობით. შეთქმულების მომზადება და გამოსვლა იყო ორგანიზებული, გეგმიანი. „საზოგადოების“ წესდება, შიფრი („საიდუმლო ანბანი“), პაროლები, შერქმეული სახელები, პროკლამაციები, ახალი წევრების მიღება, პირველი გამოსვლის მკაფიო გეგმა და აჯანყების პირველი ლამისა და გადატრიალების გარკვეული პროგრამა, აგრეთვე კონსპირაციის სხვადასხვა ფორმა განცვიფრებს იწვევს თავისი ზედმიწევნითი მოფიქრებულობით და საზრისიანობით. შეთქმულებისა და

---

* „1832 წლის შეთქმულება“, გ. გოზალიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით, 62.

აჯანყებისათვის მზადება მიმდინარეობდა როგორც თბილისში, ისე აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში. შეთქმულების ხელმძღვანელები იყვნენ დაკავშირებული ირანთან, ოსმალეთთან და რუსეთის წინააღმდეგ იმ დროს მეომარ კავკასიის მთიელ ტომებთან. ისინი აგრეთვე დაკავშირებული იყვნენ ირანში მყოფ ინგლისის მისიასთან,* რომელიც მხარს უჭერდა საქართველოდან გაქცეულ ემიგრანტ ალექსანდრე ბატონიშვილს. ამას გარდა, საფრანგეთის საკონსულოს მდივნის, ლეტელიეს, მეშვეობით და ფრანგი ისტორიკოსის მარი ბროსეს დახმარებით შეთქმულებმა დაამყარეს კავშირი საფრანგეთის ზოგიერთ წრეებთან. „საიდუმლო საზოგადოების“ წევრები ამზადებდნენ შეიარაღებულ ძალას მთავრობის მიმართ უკმაყოფილო გლეხთაგან საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. შეთქმულებმა მოახერხეს აგრეთვე თავის მხარეზე გადმოეყვანათ თბილისის სასწავლო ბატალიონი, შემდგარი რიგითი რუსი ჯარისკაცებისაგან. ქართველი არისტოკრატი ქალები კერავდნენ „რევოლუციურ ბაირაღებს“ და აჯანყების დროს განზრახული ჰქონდათ ჩაეცვათ მამაკაცთა კოსტუმები და მამაკაცებთან ხელი-ხელჩაკიდებული ებრძოლნათ „მტრის“ წინააღმდეგ. ამას გარდა, 1831 წელს, პოლონეთის აჯანყების დამარცხების შემდეგ, საქართველოში გადმოსახლებულ პოლონელ პატრიოტთაგან შეთქმულები აწყობდნენ 500-კაციან რაზმს, რომელიც უნდა მიხმარებოდა აჯანყებულ ქართველებს. 1832 წლის შეთქმულებას მხარს უჭერდნენ აგრეთვე პატიოსანი და მოწინავე რუსი მოხელეები: ანდრეი მელნიკოვი (თბილისის პოლიცმეისტერი), პეტრე ზავილეისკი (თბილისის სამოქალაქო გუბერნატორი), დიმიტრი პაუშენკო (დუშეთის მაზრის ისპრავნიკი) და სხვ.

აჯანყების დასაწყისი შეთქმულების ხელმძღვანელებს უნდოდათ შეეფარდებინათ ირანთან, ოსმალეთთან და კავკასიელ მთიელებთან ომის მდგომარეობის უფრო შესაფერისი პერიოდისათვის, აგრეთვე პოლონეთის ამბების უფრო დაძაბული მომენტისათვის, რომელიც დასავლეთისაკენ მიიზიდავდა რუსეთის არმიის ნაწილს. მაგრამ კავკასიაში სამხედრო მოქმედებათა წარმატებამ და პოლონეთის აჯანყების ჩაქრობამ რამდენიმეჯერ გადაადებინა მათ აჯანყების ვადები.

---

* ინგლისს ეშინოდა რუსეთის გავლენის სფეროების გაფართოებისა ირანსა და აღმოსავლეთზე და ამიტომ სიამოვნებით უჭერდა მხარს „კავკასიიდან რუსების განდევნის“ იდეას.

საბოლოოდ გადატრიალება (აჯანყება) დანიშნული იყო 1832 წ. 20 დეკემბრისათვის, მაგრამ 9 დეკემბერს „საიდუმლო საზოგადოების“ წევრმა თავადმა ფალავანდიშვილმა გასცა შეთქმულები, რომლებიც სასწრაფოდ იქნენ დატუსაღებულნი და მიცემულნი სამხედრო სასამართლოში.

1832 წლის შეთქმულება არ იყო დამყარებული მის აღოცანათა შესაბამის რეალურ ძალაზე და, მიუხედავად ფართო გეგმებისა და კარგი ორგანიზაციისა, მას არ შეეძლო წარმატების მოპოვება. მაგრამ არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ 1832 წ. „საიდუმლო საზოგადოება“ წარმოადგენდა საქართველოს ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველი, თავადაზნაურულ ეტაპის მსხვილ პოლიტიკურ ორგანიზაციას. ის სრულიადაც არ მოგვაგონებდა მასონურ საზოგადოებას ან კარბონარულ მოძრაობას, როგორც წერენ ზოგიერთი ისტორიკოსები. მაგრამ მას არ შეეძლო გამარჯვება, ვინაიდან მის ხელმძღვანელთა უმრავლესობის მიზანი—საქართველოს სამეფოს აღდგენა—უკვე ანაქრონიზმს წარმოადგენდა, ხოლო მისი უმცირესობის იდეები—თანასწორობა და რესპუბლიკა—თუმცა არ იყო ნაადრევი XIX ს. პირველი ნახევრის საქართველოსათვის, მაგრამ მათი გახორციელებისათვის ბრძოლას რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობასთან მჭიდრო პოლიტიკური კავშირის გარეშე არ შეიძლებოდა მოჰყოლოდა რაიმე რეალური შედეგი.

—

1832 წლის შეთქმულების აღმოჩენას და მის მოწინავე ხელმძღვანელთა დასჯას, აგრეთვე ახალგაზრდა ქართველი ინტელიგენციის წინააღმდეგ მიღებულ რეპრესიებს არ შეეძლო არ გამოეწვია გარკვეული გარდატეხა მეფის რუსეთისადმი დამოკიდებულების საკითხში.

პირველ ყოვლისა, ამ საკითხში მკვეთრად გაიმიჯნა ქართველი საზოგადოების სხვადასხვა ფენა. საქართველოს მაღალმა თავადაზნაურობამ, რომელიც თავისი შთამომავლობით ჯერ კიდევ XVIII ს. მეორე ნახევრის საქართველოს ეკუთვნოდა, დაჰკარგა ძველის აღდგენის ყოველივე იმედი, დაჰკარგა ნაციონალური პერსპექტივა. მას უკვე აღარ ჰქონდა რაიმე გმირობის უნარი და „ივერიის დამარხულ დიდებაზე“ მწარე ოცნებით შეურიგდა თავისი აღსასრულის მოახლოებას. ქართველმა საშუალო თავადაზნაურობამ, რომელიც

დარწმუნდა „რუსთა ხელმწიფის ძლიერებაში“, ხელი აიღო მის წინააღმდეგ ყოველგვარ ბრძოლაზე. ასეთი ბრძოლა მან მიიჩნია არა მარტო უსარგებლოდ, არამედ მავნედაც კი, თვით საქართველოს სასიცოცხლო ინტერესების თვალსაზრისით. ამიტომ მეფის ხელისუფლებისადმი წინააღმდეგობის უარყოფიდან ის გადავიდა მასთან თანამშრომლობაზე და შეურიგდა საქართველოს სუვერენულ უფლებათა უხეშად გაუქმების სინამდვილეს. მაგრამ მალე დეკლასირებულ ქართველ არისტოკრატიაში იმდენად განმტკიცდა რუსულ ბიუროკრატიზმთან შეზრდის ტენდენციები, რომ ის ადვილად დაადგა ნაციონალური ნიჰილიზმის და გადაგვარების გზას. პოეტმა ნიკოლოზ ბარათაშვილმა მშვენივრად გადმოგვცა მისი განწყობილება:

„რის ქართველობა, რა ქართველობა,
ვითომ რას გვავნებს უცხო ტომობა?!“

ეს არისტოკრატია მზად იყო მეფის ჩინებზე და ორდენებზე გაეყიდა თავისი „მრავალტანჯული“ სამშობლო და ხშირად მისი წარმომადგენლები კიდეც ეჯიბრებოდნენ მსხვილ რუს მოხელეებს რუსეთის ტახტისადმი ერთგულებაში. ამ არისტოკრატიის იდეოლოგმა თავადმა გ. ბაგრატიონ-მუხრანელმა შემდეგში თეორიულადაც კი დაასაბუთა მისი ნიჰილიზმი, ამტკიცებდა რა იგი „მცირერიცხოვან ტომთა ან ეროვნებათა მსხვილ ეროვნულ ერთეულებთან შერწყმის აუცილებლობას, სუსტ ეროვნებათა ინდივიდუალობის საფასებით მოსპობამდე, გაბატონებული ეროვნების სასარგებლოდ“.*

შერიგებისა და თანამშრომლობის გზას დაადგა ქართველი ინტელიგენციაც, რომელიც იმ დროს ძირითადად თავადაზნაურული იყო. მისი ერთი, კონსერვატული ჯგუფი დამშვიდებულად ათავსებდა თავის სამშობლოს ღრმა სიყვარულს მეფის რუსეთის ერთგული ქვეშევრდომობის გრძნობებთან. ამ ჯგუფის მთავარი წარმომადგენლები: პოეტები—ალექსანდრე ჭავჭავაძე, გიორგოლ ორბელიანი, მომავალი დრამატურგი გიორგი ერისთავი, პუბლიცისტი დიმიტრი უფიანი და აგრეთვე რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი, ფილოლოგი დავით ჩუბინაშვილი, ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი, გე-

* Г. Багратион-Мухранский, О существе национальной индивидуальности и об образовательном значении крупных народных единиц, 24—25, 1872.

ნერლები კონსტანტინე და იოსებ მამაცაშვილები ბოლომდე რჩებოდნენ საქართველოს ჭეშმარიტ პატრიოტებად და მეფის რუსეთის ერთგულ მსახურებად. ამ გზის შინაგანი წინააღმდეგობა განისაზღვრებოდა 30—40-იანი წლების ინტელიგენციის პოლიტიკური მოუმწიფებლობით, მაგრამ მან მაინც შორს მოიტოვა თავისი თავადაზნაურული წოდების ვიწრო ინტერესები და მეფის რუსეთთან კავშირში ხედავდა ქართველი ხალხის „ახალი აღორძინების" შესაძლებლობას.

განცალკევებულად იდგა ქართველი ინტელიგენციის მეორე, უფრო მოწინავე ჯგუფი, რომელიც საქართველოს ყოფნას რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში სთვლიდა ისტორიულად გარდაუვალ მოვლენად, რაც აუცილებელი იყო წინათ დაქუცმაცებული საქართველოს გასაერთიანებლად, მასში მშვიდობიანობის დასამყარებლად, შრომის გასავითარებლად და კულტურის ასამაღლებლად, რათა შექმნილიყო მომავალში მისი დამოუკიდებელი არსებობის შესაძლებლობა. ეს ჯგუფიც თანამშრომლობდა მეფის ხელისუფლებასთან, მაგრამ ეჭვით უყურებდა საქართველოსადმი მის „კეთილ-მზრახველ მფარველობას". ამ ჯგუფის მოთავარი წარმომადგენელთაგანი, განათლებული გენერალი ივ. აბხაზი ფიქრობდა, რომ ეს „მფარველობა" უნდა გაგრძელებულიყო დაახლოვებით ას წელს. „საქართველოს ეყოლება მას დროსა მრავალნი მსწავლულნი კაცნი, საზოგადოება შეიცვლება"* და სამშობლო ისევ დაადგება დამოუკიდებელი განვითარების გზას. ქართველი ინტელიგენციის ამ მოწინავე ჯგუფს 30-იან წლებში ეკუთვნოდნენ 1832 წ. შეთქმულების ხსენებული მონაწილენი: ფილოსოფოსი და ლინგვისტი სოლომონ დოდაშვილი, პედაგოგი ზაალ ავთანდილაშვილი (ავთანდილოვი), პოეტი-მთარგმნელი სოლომონ რაზმაძე, პუბლიცისტი ალ. ორბელიანი, შემდეგ კი ამავე ჯგუფს ემხრობოდნენ დიდი ქართველი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი, პოეტები ვახტანგ ორბელიანი, მიხეილ თუმანიშვილი, ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე. ქართველი ინტელიგენციის ამ წრეში განვითარდა ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ჰოძრაობისა და რესპუბლიკანიზმის იდეები, რომლებმაც თავისი გამოსახულება ჰპოვეს როგორც

* გრ. ორბელიანი, „მგზავრობა ჩემი თბილისიდან პეტერბურგამდის", 1831 („საუბარი ივ. აბხაზთან") პ. ინგოროყვას პუბლიკაცია, ჟ. „მნათობი", 1940, № 2.

ლიტერატურაში (ნ. ბარათაშვილის პოემა „ბედი ქართლისა“, 1839 წ.), ისე პოლიტიკაში (1832 წლის შეთქმულებისა და გურიის 1841 წლის აჯანყების ცალკეულ მონაწილეთა შეხედულებები).

—

ქართველი საზოგადოებრივობის გადასვლა ახალ გზებზე ერთბაშად არ მომხდარა. ის ჯერ კიდევ 30-იანი წლებიდან, ცნობილი სავხედრო მოღვაწისა და პატრიოტის ივ. აბხაზის გამოთქმით, ცხოვრობდა უსაგნოდ, დაეხეტებოდა უგზოდ, ვითარცა ბნელსა ღამესა შინა“, მაგრამ 1832 წლის შეთქმულების დამარცხების შემდეგ, როდესაც ძველი გზები საბოლოოდ იქნა უარყოფილი, ხოლო ახალი კი საესებით ჯერ კიდევ არ იყო გარკვეული, ქართველი საზოგადოებრივობის უსაგნო ცხოვრება, ბნელში ხეტიალი, კიდევ უფრო გაღრმავდა და არათანაბრად გრძელდებოდა 50-იან წლებამდის. შემთხვევითი არაა, რომ უფრო გვიან, სამოციანელთა მეთაური, გამოჩენილი ქართველი მწერალი ილია ჭავჭავაძე, იმავე ტერმინებით ახასიათებდა 40-იან და ნაწილობრივ 50-იან წლებსაც საქართველოში: „და ქართველი ორმოციანისა და ორმოცდა-ათიანის წლებისა დარჩა უსაგნოდ, ვარჯიშობას მოკლებული, მარტო, სულით ობოლი, სასოებამიხდილი. როგორც ბურუსიანი, ღრუბლიანი, თბილი და მშვიდი დღე, ისე იხედებოდა მაშინდელი ჩვენი ცხოვრებაც. არც წვიმა სადმე, არც ქარიშხალი; ელვას რომ ათასში ერთხელ ვღირსებოდით, დიდი ღვთის წყალობა იქნებოდა... დიახ, ასეთი გახლდათ ის წარსული დრო მე-40 და 50 წელთა, დრო მიძინებისა და ჩვენის გონებრივისა და ეროვნულის მიმძინარებისა, მოქანცულობისა“.*

თუმცა 40—50-იანი წლების ამ დახასიათებაში მუქი ფერები ჭარბობს, მაგრამ ძირითადად ის სწორია.

30-იანი წლების დასასრულისათვის ახალ პოლიტიკურ სიტუაციაში გადასვლასთან დაკავშირებული კრიზისის გადაწყვეტამ თან გაიყოლა ქართველი საზოგადოების ძველი მოღვაწეები. უკვე აღარ არსებობდა ქართულ კულტურაზე აღზრდილი ძველი ინტელიგენცია. შეთქმულების აღმოჩენის შემდეგ ის გადასახლებული იყო რუსეთში ან საერთოდ დაქსაქსული. ახალი, რუსეთში და რუსულ კულტურაზე აღზრდილი ქართველი ინტელიგენცია კი, 40-იანი წლების

* ი. ჭავჭავაძე, VII, 6—9, 1928.

დასაწყისში ჯერ კიდევ სუსტი იყო და თვითგამორკვევის პერიოდში იმყოფებოდა. ეს ახალი ინტელიგენცია უმთავრესად შედგებოდა საქართველოს საშუალო სკოლების (თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის, 1829 წლიდან—გიმნაზიის და სასულიერო სემინარიის) კურსდამთავრებულთა და იმ ქართველი სტიპენდიანტებისაგან, რომლებიც გაგზავნილი იყვნენ რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში და დაბრუნდნენ სამშობლოში უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ. ესენი ჰყავდა მხედველობაში პოეტ ნიკო ბარათაშვილს 1842 წელს, მეფე ირაკლი II ხსოვნისადმი ნაძღვნილ ლექსში:

„ჟ.მთ ვითარებით გარდახვეწილთ შენთ შვილთ მიდამო
მოაქვთ მამულში განათლება და ხმა საამო“.

მაგრამ ამ ინტელიგენციის მოღვაწეობის ხასიათი იყო წმინდა მეცნიერულ-ლიტერატურული. იგივე ნ. ბარათაშვილი 1841 წ. სწერდა პოეტ გრიგოლ ორბელიანს, რომ „ლიტერატურა ჩვენი, ღვთით, დღე და დღე შოულობს ახალთა მოყვარეთა. ნრავალნი ყმაწვილნი კაცნი, მოცლილნი სამსახურითგან, მკუდროებაში და მარტოობაში შეეწევიან მამეულს ენას, რაოდენიცა ძალუძთ. ესე საზოგადო სული ბუნებითის ენის ტრფიალებისა ყმაწვილთ კაცთა შორის აღმოაჩენს, რომ ქართველთ არა სძინავთ გონებით“.* 40-იანი წწ. ინტელიგენციის ერთ-ერთი წარმომადგენელი, ლერმონტოვის მეგობარი, კონსტანტინე მამაცაშვილი, თავის მოგონებებში ადასტურებს ნ. ბარათაშვილის აზრს და ამბობს, რომ „ჩვენი დროს გატარება იყო ლაპარაკი მაშინდელ ლიტერატურაზე, სწავლაზედ, სხვადასხვა გარემოებებზედ“.** იმავე წრეში წარმოიშვა აზრი საქართველოს ისტორიის შექმნისა და კერძო ოჯახებში გაფანტულ ხელნაწერების და სამშობლოს ისტორიის სხვა ძეგლების შეკრებისა, ასე რომ მეცნიერულ-ლიტერატურულ სფეროში 40-იანი წლების ქართველი ინტელიგენცია, აღზრდილი, უმთავრესად, გერცენის, ბელინსკის, ოგაროვის, გრანოვსკის, ი. ტურგენევის, პ. ანენკოვის და სხვათა მოწინავე დემოკრატიულ იდეებზე, იყო გაბედული და ინიციატური, მაგრამ იმის გამო, რომ მას ნათლად არ ჰქონდა გარკვეული თავისი ნაციონალური პერსპექტივა,—ის პრაქტიკულად ნაკლებად

---

* ნ. ბარათაშვილი, ლექსები, პოემა, წერილები, 81, 1939.

** გახ. „დროება“, 1881, 206.

მოქმედი იყო და სუსტ გავლენას ახდენდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე საერთოდ.

ამ გარემოებათა გამო, XIX საუკუნის 40-იანი წლების საქართველოში მოხდა გათიშვა ხალხსა და ინტელიგენციას შორის. ამიტომ ამ წლებში ქართველი საზოგადოების ცხოვრება მართლაც ეფარდელად მიმდინარეობდა, მართლაც შესუსტდა მისი მოქმედების ტონუსი. მას უკვე აღარ ჰყავდა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მტკიცე, პოლიტიკურად მებრძოლი მეთაურები. აღარ იყვნენ სოლიდური, პოლიტიკურად მოაზროვნე ხელმძღვანელები. აღარავინ იყო, რომ მიმართულება მიეცა ცალკეული ნიჭიერი პირების და საერთოდ საზოგადოების განვითარებისათვის. ამ აზრის დასადასტურებლად სავსებით საკმარისია სასოწარკვეთილებით აღსავსე წერილი ნიკოლოზ ბარათაშვილისა, რომელიც მან მისწერა 1843 წ. პოეტ გრ. ორბელიანს: „მე შინაგანი ხმა მიწევს საუკეთესო ხვედრისაკენ, გული მეუბნება, რომ შენ არა ხარ ახლანდელის მდგომარეობისათვის დაბადებულიო. ნუ გძინავსო. მე არა მძინავს, მაგრამ კაცი მინდა, რომ ამ პატარა ღრე-კლდეს გამიყვანოს და დავდგე გაშლილს ადგილს. ოჰ, რა თავისუფლად ამოვისუნთქავ მაშინ, რა ხელმწიფურად გადავხედავ ჩემს ასპარეზსა“.* მაგრამ არ იყვნენ იმ დროს ასეთ „გაშლილ ადგილას გამყვანი“ ადამიანები. იმ დროს ყველა ნიჭიერი ლიტერატორი,—მისივე სიტყვით,—მუშაობდა „მკუდროებაში და განმარტოებულად“, არ იყო ადამიანი, რომელსაც შეეძლო შემოეკრიბა ისინი და გადაექცია ერთიან, მოქმედ ძალად.

სწორედ ეს 40-იანი წლები აღმოჩნდა რუსი ხმართველებისათვის ყველაზე უფრო შესაფერის დროდ ქართული კულტურის განვითარების წასამართავად რუსულ ფორმებში.

დაიწყო საქართველოს კულტურული „დაპყრობა“ რუსეთის მეფის ხელისუფლების მიერ; ის (დაპყრობა) დაუკავშირეს თანდათანობით გაძლიერებულ რუსიფიკაციის პროცესს, რომლის უხეში და ძალდატანებითი მეთოდები საჭიროდ მიიჩნიეს დროებით შეცვლილიყო სხვა უფრო მოხერხებული და მოქნილი მეთოდებით.

ამ „დაპყრობის“ დასაწყისს დაემთხვა კავკასიაში მეფისნაცვლად მ. ს. ვორონცოვის დანიშვნა (1844—1854), რომლის პირფე-

* ნ. ბარათაშვილი, ლექსები, პოემა, წერილები, 83, 1939.

რობა და ლოიალობა კარგად ნიღბავდა მის ნამდვილ განზრახვებს, საქართველოსა და მთელი კავკასიის რუსიფიკაციის საქმეში.

მეფის რუსეთთან ამიერკავკასიელ ხალხთა უფრო მჭიდროდ შერწყმისა და ამით ამ ხალხთა ნაციონალურ თავისებურებათა გაუქმების დაჩქარებისათვის, ვორონცოვი მიზანშეწონილად თვლიდა მათ შორის რუსული ყოფა-ცხოვრების წესების დანერგვას ადგილობრივი ყოფა-ცხოვრების ერთგვარი გარდაქმნით ევროპული კულტურის საფუძველზე. ამასთან, მას არ შეეძლო არ გამოხმაურებოდა ხალხის მზარდ მოთხოვნილებებს კულტურის დარგში და ამის შედეგად, მის დროს, თბილისში მოეწყო მუდმივი რუსული თეატრი (1845), შეიქმნა პერიოდული პრესა (გაზ. „კავკაზი“, 1846), დაიწყო „კავკასიის კალენდრების“ გამოცემა (1846 წლიდან), დაარსდა თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა (1846), დაარსდა მუდმივი ქართული თეატრი (1850) და „რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიური განყოფილება“ (1850), აღდგენილ იქნა მაგნიტური და მეტეოროლოგიური ობსერვატორია (1850), დაიწყო ქართული ყოველთვიური ჟურნალ „ცისკარი“-ს გამოცემა (1852 წლიდან). ეკონომიური ცხოვრების დარგში ვორონცოვის მიერ გატარებული იქნა რიგი ღონისძიებები ქალაქ თბილისის მოსაწყობად ევროპულ ყაიდაზე. გაფართოვებულ იქნა ვაჭრობა აღმოსავლეთთან, გაიხსნა „საზოგადოებრივი მხრუნველობის პრიკაზი“ („Приказ общественного призрения“) გამსესხებელი ბანკით და შემნახველ-გამსესხებელი ხაზინით (1849), აღდგენილ იქნა „კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება“ (1850) და სხვ.; ადგილობრივი (განსაკუთრებით თბილისის) მოსახლეობისა და, პირველ რიგში, თავადაზნაურული წოდების ყოფა-ცხოვრების გარდასაქმნელად და კარჩაკეტილობის აღმოსაფხვრელად ვ ო რ ო ნ ც ო ვ მ ა გააცნო ევროპული საღამოების, ასამბლეების, ბალების, მასკარადების და კონცერტების მართვა, დააარსა კლუბები, საქველმოქმედო წრეები და საკრებულოები, ხელს უწყობდა სალონების მოწყობას,* ახშირებდა რაუტებს და ბანკეტებს და „ფინჯან ყავასა და ჩაიზე“ წვეულებებს; ფართოდ ნერგავდა ევროპულ ცეკვებს, სეირნობებს, გასართობ-თამაშობებს და კულტუ-

* 40-იანი წლების დასაწყისში უკვე არსებობდა ქართველი ინტელიგენციის საკმაოდ „გაბრწყინვალებული“ სალონი—ანა ორბელიანისა, სადაც ქართველ კულტურულ ძალებთან ერთად იკრიბებოდნენ რუსი და ევროპელი ლიტერატორები.

რული ურთიერთობის სხვა ფორმებს; მხურვალედ ესარჩლებოდა აგრეთვე ევროპული კოსტუმების, გარეგნული მორთულობისა და ტუალეტის, ეტლების ევროპული მოდების და ყოფა-ცხოვრების სხვა წესების შემოღებას.

ვორონცოვის ყველა ამ ღონისძიებას ობიექტურად არ შეეძლო სარგებლობა არ მოეტანა ხალხისათვის, თუმცა სუბიექტურად ის მათ ატარებდა როგორც უფრო მოხერხებულ საშუალებებს ნაციონალური განვითარების გზიდან ქართველი საზოგადოების აცდენისა და რუსებთან მისი უმტკივნეულო ასიმილაციის მიზნით. რუსი ისტორიკოსი ვ. ნ. ივანენკო წერდა ვორონცოვის შესახებ: „მას კარგად ესმოდა, რომ რუსეთის მთავარი ინტერესი იმ დროს მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ ეს ახალი ქვეშევრდომები დაეკავშირებინა თავისთან დაურღვეველი კავშირით, რათა მათ დავიწყებოდათ ერთმორწმუნე და თვისტომი მთავრობები, შეყვარებოდათ რუსეთის მონარქიის კეთილგანწყობილი და მხრუნველი მთავრობა და შეეგნოთ, რომ დამორჩილებული ხალხების ბედნიერება და სიკეთე ნდგომარეობს ისევ და ისევ იმაში, რომ ხელი აიღონ უნიადაგო ოცნებაზე და თავისი დედინაცვალი შეიყვარონ მშობელ დედასავით“.* თავად ვორონცოვს შეეძლო ეს სავსებით გარკვეული, მაგრამ ლამაზი საბურავით შეფეთქილი პოლიტიკა გაეხადებინა აქ როგორც უაღრესად კეთილმეგობრული განწყობილება ამიერკავკასიის ხალხებისადმი, ხოლო მას არ შეეძლო გულახდილად არ მოეხსენებია იმპერატორისათვის თავისი ჭეშმარიტი განზრახვები ადგილობრივი მოსახლეობის გარუსების შესახებ. ქართული თეატრის გახსნასთან დაკავშირებით იმპერატორისადმი წარდგენილ 1849—50 წლების ანგარიშში ვორონცოვი წერდა: „ასეთ შედეგს შეიძლება ექნეს ყველაზე უფრო კეთილნაყოფიერი გავლენა მეცნიერებისა და გემოვნების განვითარებაზე,—ზნე-ჩვეულებათა გაფაქიზებაზე და რუსებთან ადგილობრივ მკვიდრთა შერწყმაზე“.** ქართველი ინტელიგენციის უმრავლესობა გულუბრყვილოდ უცქეროდა ვორონცოვის მოქნილ მეთოდებს, მაგრამ ზოგიერთი კრიტიკულად განწყობილი და ცხოვრების უფრო ფხიზელი მეთვალყურე ნათლად ხედავდა მის ზრახვებს. ასე, მაგალითად, 40—50 წლების ქართველი მწერალი და პუბლიცისტი ალ. ორბელიანი,

---

* В. Н. Иваненко, Гражданское управление Закавказьем 34, 88.

** Акты, X, 831.

ჩამოთვლიდა რა ვორონცოვის მიერ ქართული კულტურისათვის ხელისშეწყობის ზოგიერთ ფაქტს, წერდა: „ესეები სულ მოჩვენება იყო ვორონცოვისაგან, რომ საქართველოს ხალხი გართულები იყვნენ დროებითაც ამაებაში და მთავრობაზე ცუდი ფიქრი აღარავის არა ჰქონდეს“.* შემდეგ ალ. ორბელიანი სრულიად სწორად აღნიშნავს, რომ ვორონცოვს ესაჭიროებოდა „გაერთო“ ქართველები იმიტომაც, რომ ჩამოეშორებინა მათი ყურადღება შამილისა და დაღისტანში წარმოებული ომებისგან.

40—50 წლებში კიდევ უფრო გაძლიერდა კავკასიაზე რუსეთის კაპიტალის შემოტევა, რაც საფუძვლიანად უთხრიდა ძირს ძველ, მამა-პაპეულ მეურნეობას საქართველოში. მეფისნაცვალი ვ ო რ ო ნ - ც ო ვ ი, როგორც ამ მოძრაობის აგენტი, მრავალნაირად აჩქარებდა თავადაზნაურული ყოფა-ცხოვრების ლიკვიდაციის პროცესს. მაგრამ იმის გამო, რომ საქართველოს და მთელი ამიერკავკასიის კაპიტალიზაცია მიიმართებოდა ე. წ. პ რ უ ს ი უ ლ ი გ ზ ი თ და ხედავდა რა ვორონცოვი ქართველ თავადაზნაურობაში მეფის ხელისუფლების საიმედო დასაყრდენს, ყოველგვარად უწყობდა ხელს მის შეზრდას რუსულ ბურუჟუაზიულ ურთიერთობათა ახალ სისტემასთან. სწორედ ამაში გამოიხატებოდა მისი პირფერობისა და ლოიალობის პოლიტიკა საქართველოსა და ამიერკავკასიის მოსახლეობის მაღალი ფენებისადმი.

—

ქართველი ხალხის ამაღელვებელი ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტთაგანი XIX საუკუნის პირველ ნახევარში—არის ბრძოლა თავისი კულტურისა და განათლებისათვის. კოლონიური რეჟიმის პირობებშიც კი არ სტოვებდა ის მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგებს და შეძლებისამებრ ცდილობდა მათ განვითარებას თავის ქვეყანაში.

XVIII საუკუნის საქართველო, როგორც ცნობილია, უკვე დაადგა ევროპული სწავლა-განათლების გზას. მისი ისტორია იძლევა მთელ რიგ მნიშვნელოვან ფაქტებს ამის დასადასტურებლად. „უკანასკნელი ბაგრატიდების მეფობის დროს,—წერს ფრანგი ისტორიკოსი მ. ბ რ ო ს ე, — ევროპის გონებრივმა მოძრაობამ ამ ქვეყნამდისაც მიაღწია“ **. რუსეთთან შეერთების შემდეგ, მართალია

* საქართველოს მუზეუმი, S ფონდი, № 1662.
** М. Б р о с с е — ЖМНП, 1839, VIII, 310.

მეფის ბიუროკრატია აფერხებდა ქართული კულტურის ევროპიზაციის პროცესს, აფერხებდა საქართველოს ურთიერთობას დასავლეთთან, უკრძალავდა ან ყოველნაირად უძნელებდა ევროპელ მეცნიერებს, ლიტერატორებს და მოგზაურებს საქართველოში შემოსვლას,* მაგრამ განვითარების პროცესის ისტორიული აუცილებლობა უფრო ძლიერი აღმოჩნდა. უფრო ძლიერი აღმოჩნდა ხალხი და მისი ბრძოლა ახალი კულტურისა და განათლებისათვის.

ამ ბრძოლაში ქართველი ხალხი მარტო არ ყოფილა. მას, პირველ ყოვლისა მხარს უჭერდა მოწინავე რუსი საზოგადოება და თუ საქართველოს კულტურული განვითარებისადმი რუსეთის ცარიზმი აშკარა მტრობას იჩენდა, ცივილიზაციისა და განათლების ნაცვლად, ის აქ ნერგავდა ობსკურანტიზმსა და უვიცობას, „ავიწროებდა, ხოლო ზოგჯერ პირდაპირ აუქმებდა ადგილობრივ სკოლას, თეატრს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს იმ მიზნით, რომ მასები ბნელეთში დაეტოვებინა“ (ი. სტალინი, — „მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიალური საკითხი“, 83, 1934), სამაგიეროდ ამის პარალელურად მოწინავე რუსი საზოგადოების საუკეთესო, განათლებული ადამიანები აქტიურად ეხმარებოდნენ ქართველებს იმავე ევროპული კულტურისათვის ბრძოლაში. მეტი ნაწილი ამ მოწინავე რუსებისა იმყოფებოდა საქართველოში იძულებით, როგორც გადმოსახლებულნი, და ისინი, ა. ს. პუშკინის გამოთქმით, „საქართველოს უცქეროდნენ, როგორც გაძევების ადგილს“.** მათ რიცხვში იყვნენ მომავალი დეკაბრისტები: პოეტი ვ. კიუხელბეკერი და იაკუბოვიჩი; დეკაბრისტები: ა. ა. ბესტუჟევ-მარლინსკი და მისი ძმა პ. ა. ბესტუჟევი, კ. მუსინ-პუშკინი, თ. ვიშნევსკი, ნ. კოჟევნიკოვი, მ. პუშკინი და ნ. ორეიცკი; ჟურნალისტები: პ. სენკოვსკი („თბილისის უწყებათა“ რუსული გამოცემის რედაქტორი, 1828—32 წწ.), გ. გორდეევი, პ. სტეპანოვი; მათ გარდა, 20—40 წწ. სხვადასხვა დროს საქართველოში ცხოვრობდნენ დიდი რუსი მწერლები: ა. ს. გრიბოედოვი (1822, 1825, 1827, 1828 წწ.), რომელსაც თბი-

* მაგალითად, 1834 წ. ფრანგ მეცნიერებს მ. ბროსეს და ლევალიანს მეფის მთავრობამ ჯერ აუკრძალა სამეცნიერო მიზნით შემოსვლა საქართველოში და სომხეთში, შემდეგ კი დაუწესა მკაცრი, საიდუმლო მეთვალყურეობა. გრაფები ბეკენდორფი და ნესელროდე აბრალებდნენ მათ ჯაშუშობას (Акты, VIII, 962).

** А. Пушкин, Путешествие в Арзрум.

ლისში დასწერა თავისი კომედიის „ვაი ჭკუისაგან“-ის პირველი ორი აქტი, და ახლო ნათესავისა და მეგობრის ალ. ჭავჭავაძის* მეშვეობით მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქართველ კულტურულ საზოგადოებასთან; ა. ს. პუშკინი, რომელიც თუმცა ცოტახანს ცხოვრობდა საქართველოში (1829 წ.), მაგრამ ახლოს გაეცნო ქართული ლიტერატურის წარმომადგენლებს (გადათარგმნა ერთი ლექსი ქართველი პოეტის დიმიტრი თუმანიშვილისა) და, ნ. ვ. გოგოლის სიტყვით, „იყო გამსჭვალული და გაჟღენთილი მისი (კავკასიის—გ. თ.) საუცხოო მიდამოებით, სამხრეთის ცით, მშვენიერი საქართველოს მინდორ-ველით“,** და „მგზნებარე კოლხიდა“ დარჩა მის (პუშკინის) ერთ-ერთ საყვარელ თემად; მ. ი. ლერმონტოვი, რომელიც ლექსისათვის „პუშკინის სიკვდილზე“ გადმოსახლებული იქნა საქართველოში 1838 წელს. აქ გაეცნო იგი ქართველი ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლებს, ხალხის ყოფაცხოვრებასა და ფოლკლორს, რაც ნაწილობრივ კიდეც აისახა მის შემოქმედებაში; ა. ი. ოდოევსკი, პოეტი-დეკაბრისტი, გადმოყვანილი ციმბირიდან საქართველოში 1837 წელს. აქ მან დასწერა რამდენიმე ლექსი რუსეთ-საქართველოს მეგობრობის შესახებ („Брак Грузии с русским царством“ და სხვ.); ლ. ნ. ტოლსტოიც იმყოფებოდა საქართველოში, მართალია, ერთ წელზე ნაკლები დროით (1851 წ.), მაგრამ მისმა დამკვირვებელმა თვალმა სწრაფად შეამჩნია ხალხის ხასიათი, განსაკუთრებით კავკასიელთა მღელვარების მიზეზები, რამაც მას მისცა მასალები „ჰაჯი მურატი“-სა და სხვა მოთხრობებისათვის. 30—50 წლებში საქართველოში ცხოვრობდნენ აგრეთვე სხვა რუსი მწერლები და მეცნიერები: პლ. ზუბოვი, ი. ზ. ხანიკოვი, ა. ნ. მურავიოვი, გ. გ. გაგარინი (მხატვარი), ი. პ. პოლონსკი, დუნკელ-ველინგი და სხვ., რომლებიც ძალიან ახლოს იდგნენ ქართულ საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებასთან და ხელს უწყობდნენ ევროპულ საფუძველზე მის დამკვიდრებას. არ შეიძლება არ აღინიშნოს აგრეთვე საქართველოში უცხოელი მწერლებისა და მეცნიერების—ისტორიის აკადემიკოსის მარი ბროსეს, ისტორიკოს ადოლფ ბერჟეს, მწერალ ფრიდრიხ ბოდენშტედტის და აგრეთვე

---

* გრიბოედოვს ჰყავდა ცოლად ალ. ჭავჭავაძის ქალიშვილი—ნინო.

** Н. В. Гоголь, Несколько слов о Пушкине, Собр. соч., VI, 60, 1937.

მოკლე ხნით ალ. დიუმას (მამა) და სხვათა ყოფნა და მოღვაწეობა, რასაც გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა ევროპულ კულტურასთან ქართული საზოგადოების უფრო მეტი დაახლოებისათვის.

40—50 წლებში ქართველი ინტელიგენციის ბრძოლა განათლებისათვის ადვილდებოდა აგრეთვე მისი კულტურული ურთიერთობით სომხეთისა და აზერბაიჯანის დიდ განმანათლებლებთან. ქალაქი თბილისი იმ დროს წარმოადგენდა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელი ამიერკავკასიის განათლების ცენტრს. აქ ცხოვრობდნენ და ლიტერატურულ მუშაობას ეწეოდნენ სომეხი მწერალი ხაჩატურ აბოვიანი (1805—1848), აზერბაიჯანელი მწერლები და მეცნიერები — მირზა-შაფი (1804 — 1850), აბას ბაკიხანოვი (1794—1847), აზერბაიჯანის გამოჩენილი განმანათლებელი (მწერალი და ფილოსოფოსი) მირზა ფატალი ახუნდოვი (1814—1878) და სხვ. მათ ჰქონდათ მჭიდრო ურთიერთობა აღნიშნული დროის ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებთან, თანამშრომლობდნენ მათთან ლიტერატურასა და თეატრალური ხელოვნების დარგში და აწარმოებდნენ შეერთებულ ბრძოლას ამიერკავკასიის ხალხთა კულტურის განვითარებისათვის.

ქართული ცხოვრებისა და ყოფის ევროპიზაციას XIX საუკუნეში უყურებდნენ სხვადასხვაგვარად: ქართველი მოღვაწეები ესწრაფვოდნენ მის ათვისებას და გატარებას უშუალოდ ნაციონალურ ფორმებში, მაგრამ მეფის რუსეთის წარმომადგენლებს (ვორონცოვი და სხვ.) საქართველოს ევროპიზაცია ესმოდათ, როგორც მისი მოსახლეობის უბრალო გარუსება ძალდატანების გზით ან მშჯიდობიანი სახით. ბრძოლა ქართველი მოწინავე საზოგადოებისა მეფის ადგილობრივ ბიუროკრატიასთან ამ საკითხის ირგვლივ, დაწყებული XIX ს. პირველ წლებში, გრძელდებოდა სულ, ცარიზმის დამხობამდე და, თუ ქართველმა ხალხმა კოლონიური შევიწროების პირობებში არათუ შეინარჩუნა თავისი ნაციონალური არსებობა, არამედ დაიცვა კიდეც თავისი უფლება მაღალ კულტურასა და განათლებაზე, ეს მოხდა, ეჭვეორებთ, იმითაც, რომ მას მხარს უჭერდნენ რუსი მეცნიერები და მწერლები, რევოლუციონერები და დემოკრატები, რომელთა წარმომადგენლებიც XIX საუკუნეში, ნებით თუ უნებლიეთ, ცოტა თუ ბევრი ხნით, ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ საქართველოში.

ამასთან არ შეიძლება დავივიწყოთ 50-იანი წლების რუსეთის ცივილიზატორული როლი აღმოსავლეთში. ენგელსი აღნიშნავდა

რა, რომ „რუსეთმა შეითვისა გაცილებით მეტი ელემენტი განათლებისა და განსაკუთრებით კი—მრეწველობისა“, წერდა, რომ ის „მართლაც ასრულებს პროგრესულ როლს აღმოსავლეთის მიმართ“ *... განვითარების ისტორიის კანონზომიერების მიხედვით, 40-იანი და 50-იანი წლების რუსეთს, მისი მზარდი კაპიტალიზმით და მასთან დაკავშირებული განათლებით, არ შეიძლებოდა ობიექტურად არ ეთამაშა პროგრესული როლი აღმოსავლეთის ხალხთა მიმართ, რომელთაც ჰქონდათ უფრო ჩამორჩენილი მეურნეობა და შედარებით ჩამორჩენილი კულტურა. მაგრამ სულ სხვაგვარი იყო აქ პროგრესული როლი მოწინავე რუსი ადამიანებისა, რომლებიც სუბიექტურადაც ეხმარებოდნენ აღმოსავლეთის ხალხს მოწინავე კულტურის დაუფლების საქმეში.

ყოველივე ეს აძლევდა საფუძველს ქართველ პოეტს ალ. ჭავჭავაძეს ეთქვა, რომ კავკასიაში რუსების განმტკიცებით

„გაიხსნა გზა და ეშვათ ივერიელთ სასოება,
რომე მუნით შევიდეს მათ შორის განათლება“

—

გასული საუკუნის დასაწყისში განათლებული ქართველები ახერხებდნენ მცირედი რამ გაეკეთებიათ ქართული კულტურის განვითარების დარგში. პირველ ხანებში მათ ანგარიშს უწევდნენ ხელისუფლების წარმომადგენლები და ქართველი ხალხისადმი იმპერატორის „კეთილ“ განზრახვათა დასადასტურებლად მხარსაც კი უჭერდნენ მათ ზოგიერთ კულტურულ ღონისძიებას.

პირველ ყოვლისა შევეხოთ თეატრს. თბილისში თეატრის აღდგენის პირველი ცდა ეკუთვნის 1803 წელს. საქართველოს მმართველი კოვალენსკი სწერდა ამ წელს მთავარმართებელ ციციანოვს: „თბილისში თეატრის მოწყობას საფუძველი ჩაეყარა ჩემი წინადადებით, ჩვენი საერთო შეთანხმებით გრაფ მუსინ—პუშკინთან, სამხედრო გენერალიტეტთან და რუსეთის სხვა მოხელეებთან, აგრეთვე მეფის სახლთან და აქაურ პატივცემულ თავადებთან... თამაშობდნენ უმთავრესად უკვე გამოცდილი პირები, კეთილშობილ სამოქალაქო მოხელეთაგან“ *.

თეატრალური წარმოდგენები ეწყობოდა უფრო გვიანაც, მაგრამ, ამას გარდა, 1823 წ. გურიაში ჩამოვიდა ევროპელი აკრობატ-

* К. Маркс и Фр. Энгельс, Сочинения, XXI, 211.
** Акты, I, 19.

კომედიანტების ჯგუფი, რომელმაც თავისი წარმოდგენებით, ფრანგი მოგზაურის შევ. გამბას ცნობით,* ისე მოხიბლა გურიის მთავარი მამია გურიელი (1789 — 1826), რომ უკანასკნელმა საბოლოოდ დასტოვა იგი გურიაში, — მოუკრა რამდენიმე ჰექტარი მიწა და უბოძა 5 კომლი გლეხი**. ქართული წყაროს მიხედვით, მამია გურიელმა „გააჩინა იქ იარმანკა, რომელზედაც შემდგომ და შემდგომ მოვიდოდნენ ხალხნი მთელის სამთავროითგან, შეხალისებულნი სხვადასხვა სანახავებითა, რომელსაცა წარმოადგენდნენ ხოლმე მოლდავითგან ანუ ვლახიითგან მოწოდებულნი ფიგლიარები და მეკომედიები“**.

20-იან წლებში საოჯახო სპექტაკლებს მართავდნენ კერძო სახლებსა და სასწავლებლებში. თბილისში ა. ს. გრიბოედოვის ყოფნის დროს განსაკუთრებით გახშირდა საოჯახო სპექტაკლები რუსულ ენაზე. 1825—27 წწ. და უფრო გვიანაც თბილისში დგამდნენ გრიბოედოვის უკვდავ კომედიას „ვაი ჭკუისაგან“. 1832 წელს სათეატრო წარმოდგენები თბილისში გახდა ქართული პერიოდული პრესის განხილვის საგნადაც. ასე, მაგალითად, ცნობილი ქართველი მეცნიერი სოლომონ დოდაშვილი აღფრთოვანებით იხსენიებდა 1832 წლის თბილისის წარმოდგენებს მის მიერ რედაქტირებულ იმავე წლის ქართულ ჟურნალში.*** 40-იან წლებში თბილისში იდგმებოდა აგრეთვე ქართველი პოეტის ალ. ჭავჭავაძის თარგმანები ფრანგი კლასიკოსებისა: რასინის („ესთერი“, „ფედრა“), კორნელის („სინა“, „ედიპი“) და ვოლტერისა („ზაირა“, „ალზირა“).

წარმოდგენები იმართებოდა იმერეთშიც: მხედველობაში გვაქვს „ქორწილი იმერეთის თავადისა“, კომედია, ქმნილი აზნაურის ოქროპირ წერეთლისაგან და წარმოდგენილი თავის საკუთარ სოფელში 1 აპრილს 1845 წელს“.****

1845 წ. თბილისში გაიხსნა რუსული თეატრი სცენისმოყვარე გ. პ. იაცენკოს ხელმძღვანელობით. 1851 წლიდან რუსული თეატრი ძველი შენობიდან ახალ, სპეციალურ შენობაში (თამამშევის

---

* „Voyage dans la Russie Méridionale et particulièrment dans les provinces situées au—delà du Caucase“, I, 122, 1826.

** „გურიის ამბები“, 56, 1919.

*** „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“, 1832, №2, 47

**** ეკ. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი, 1, 291.

ჰასაჟში) გადავიდა, მისი ხელმძღვანელი გახდა რუსი მწერალი ვ. ა. ს ო ლ ო გ უ ბ ი, და შეიქმნა მუდმივი დასი.

40-იან წლების დასასრულს დაიწერა გ. ე რ ი ს თ ა ვ ი ს კომედია „გაყრა“, რომელიც 1849 წ. რამდენჯერმე იქნა დადგმული მის სახლში, ს. ხიდისთავში (გორის რაიონი), და სხვა პიესები. 1850 წ. მოწინავე ადამიანების თაოსნობით თბილისში მოეწყო მუდმივი ქართული თეატრი იმავე გ. ერისთავის ხელმძღვანელობით. მალე თეატრის რეპერტუარი გამდიდრდა როგორც თვით ერისთავის, ისე სხვა ავტორთა (ზ. ანტონოვის, ჯაფარიძის, მეიფარიანის, დვანიძის და სხვ.) ახალი პიესებით.* ეს პიესები ასახავდნენ იმ დიდი კონფლიქტის სხვადასხვა მომენტს, რაც იმ დროს მწვავედ იგრძნობოდა მიმავალ ფეოდალურ-მემამულურ სამყაროსა და მომავალ ბურჟუაზიულ ურთიერთობათა შორის. გიორგი ერისთავის თეატრმა დიდი როლი ითამაშა ქართველი ხალხის ყოფაცხოვრების გარდაქმნისა და მისი საზოგადოებრივი განვითარების ახალ გზებზე განმტკიცების საქმეში.

1851 წ. თბილისში გაიხსნა იტალიური ოპერა იტალიელი მუსიკოსის ბ ა რ ბ ი ე რ ი ს ხელმძღვანელობით. ადგილობრივი მოსახლეობა აღტაცებით შეხვდა ოპერას. გაზ. „კავკაზი“ წერდა: „თბილისის საზოგადოება მთელ ზამთარს ტკბებოდა მისთვის უცხო მოვლენით—ოპერით. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა სწრაფად გაიგეს და დააფასეს მიმზიდველობა სიმღერისა და მუსიკისა, რომლებიც აღელვებენ, ხიბლავენ ადამიანის სმენასა და გულს“. ოპერა განსაკუთრებით იზიდავდა ახალგაზრდობას: „რამდენიმე აქაურ ბიჭს ბაგენი გაუღია, ხარბად მიუპყრია თავისი დიდი, შავი, გამომეტყველი თვალები. ყურადღებით ისმენს მუსიკასა და სიმღერას“. დასასრულს ავტორი უმატებს: „ყველაზე უფრო საინტერესო ის არის, რომ დუქნიდან რაღაცეების მომტანმა ბიჭმა ფული მთხოვა არა არაყისათვის, არა ჩაისათვის... „მომეცით, ბატონო, [თეატრისათვის“-ო**.

---

* 1846 წელს დაიწერა აგრეთვეე ალექსანდრე (ჯ ა მ ბ ა კ ურ ი ა ნ ი) ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს პიესა „მეფე დავით აღმაშენებელი“ ისტორიული დრამა 4 მოქმედებად. მაგრამ მისი დადგმა ძნელი იყო ტექნიკურად. ამას თვით ავტორიც გრძნობდა; პიესის ბოლოს იგი წერდა: „თუ დაინახონ... წარმოადგინონ, მაგრამ მე ეს უფრო წასაკითხად დავსწერე“.

** „Кавказ“, 1852, №12.

ასე დაიწყო ჩამოყალიბება თბილისის თეატრალურმა ცხოვრებამ და სასცენო კულტურისადმი მოსახლეობის მზარდმა ინტერესმა ძალიან ჩქარა ჩააყენა თბილისი მოწინავე თეატრალურ ქალაქთა რიგში.

მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს კულტურული ცხოვრების ყველაზე უფრო მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა ქართული პერიოდული პრესის შექმნა. პერიოდიკის მოთხოვნილება რომ ადრევე არსებობდა ჩვენში, ამას ადასტურებს ჯერ კიდევ 1799 წ. ქართული გაზეთის დაარსების განზრახვა, მაგრამ სწორედ ოცი წელი გახდა საჭირო მის განსახორციელებლად. პირველი ნომერი „საქართველოს გაზეთის“ სახელწოდებით გამოვიდა 1819 წ. 8 მარტს ქ. თბილისში. ის გამოდიოდა კვირაში ერთხელ. გამოცემა კი, დროის პირობების მიხედვით, ეკუთვნოდა კავკასიის ცალკე კორპუსის შტაბს და ამ გარემოებით განისაზღვრებოდა მისი კურსიც. „საქართველოს გაზეთი“ უფრო ოფიციალურ ორგანოს წარმოადგენდა, ვიდრე საზოგადოებრივი ბეჭდვითი სიტყვის იარაღს. მასში იბეჭდებოდა ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობის დადგენილებები და განკარგულებანი, მთავრობისა და კერძო განცხადებები, საზღვარგარეთული და ადგილობრივი ქრონიკა (ამბები, შემთხვევები), საინფორმაციო ცნობები და სხვა ასეთი. თუმცა „საქართველოს გაზეთის“* განცხადებაში გაზეთის ამოცანების შესახებ ნათქვამი იყო, რომ „ქართული გაზეთის გამომცემნი მომეტებულად არ ჰრაცხავენ რათა აცნობონ საზოგადოებასა რომელიმე ცნობანი წარმატებისათვის საეროსა განათლებისათა ევროპასა შინა“ (№ 3, 1819), მაგრამ სინამდვილეში კი ასეთი ცნობები არ თავსდებოდა გაზეთის ფურცლებზე. მასში არაფერი იბეჭდებოდა საქართველოს და სხვა ქვეყნების პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების შესახებ. ის იყო მშრალი, უსიცოცხლო და ძალიან მცირე ტირაჟიანი. მას შეიძლება ჰქონდა განსაზღვრული მნიშვნელობა მხოლოდ მით, რომ ისტორიულად წარმოადგენდა პირველ გაზეთს საქართველოში და მთელს კავკასიაში. „ქართულმა გაზეთმა“ შესწყვიტა თავისი არსებობა 1821 წლის დამლევს.

მეორე ქართულ გაზეთად უნდა ჩაითვალოს „ტფილისის უწყებანი“, რომელიც გამოდიოდა 1828 წლიდან, იმავე სახელწოდების რუსული

---

* 1820 წ. მეორე ნახევრიდან მას დაერქვა „ქართული გაზეთი“.

ვაზეთის პარალელურად.* „ტფილისის უწყებანი“ იყო ევროპული ტიპის გაზეთი, რომელსაც ჰქონდა გარკვეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურული მნიშვნელობა. მასში, გარდა მთავრობის ოფიციალური ბრძანებებისა, იბეჭდებოდა სტატიები და შენიშვნები ახალი ისტორიის, ლიტერატურის, ეკონომიური ცხოვრების, ბიბლიოგრაფიის დარგებიდან და აგრეთვე მხატვრული თხზულებები, განსაკუთრებით რუსი მწერლებისა; „ტფილისის უწყებანი“-ს რუსული გამოცემის რედაქტორი იყო პ. სენკოვსკი, ხოლო თანამშრომლები კი—ნიკ. მურავიოვი, გ. გორდეევი და სხვები. ქართულ გამოცემას ხელმძღვანელობდა სოლომონ დოდაშვილი (დოდაევ—მაგარსკი).

ქართული პერიოდული პრესის ისტორიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა „ტფილისის უწყებანი“-ს ქართული გამოცემის ლიტერატურულ დამატებას—სახელწოდებით: „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“. ის გამოდიოდა 1832 წლიდან ორჯერ თვეში, იმავე ს. დოდაშვილის რედაქტორობით. სტრუქტურით, მოცულობით, თემატიკით და მასალის ნაირსახეობით „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ იყო ჟურნალის ტიპის გამოცემა და საქართველოს საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში მართებულად ითვლება იგი პირველ ქართულ ჟურნალად.** მასში იბეჭდებოდა მოთხრობები და ლექსები, ისტორიული და ლიტერატურული სტატიები, კრიტიკული შენიშვნები და სხვ. „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ გამოდიოდა მხოლოდ ქართულ ენაზე. მის ირგვლივ გაერთიანდნენ 30-იანი წლების თბილისის ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები. პირველი ქართული ჟურნალის მიზანი, როგორც წერდა მისი რედაქტორი, იყო ბრძოლა „შესაწევნელად განათლებისა, გავრცელებისათვის ბუნებითისი ენისა ჩვენისა და მიახლოვებისათვის განბძნობილთა მცხოვრებთა ევროპიისათა“.*** ჟურნალი მოუწოდებდა ხალხს ევროპული კულტურისა და ცივილიზაციისაკენ და, რაც ერთობ მნიშვნელოვანია, მასში ფარული სახით პირველად შემოიჭრა ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეები და კერძოდ, იმავე ფორმით ჟურნალი ეწეოდა მო-

---

* 1832 წ. „ტფილისის უწყებანი“ გამოდიოდა აზერბაიჯანულ ენახეც.

** ს. ხუნდაძე, დიმიტრი ყიფიანი, 65, 1936; პ. გუგუშვილი, ქართული ჟურნალისტიკა, 1, 79, 1943.

*** „სალიტ. ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ 1832, № 5.

მავალი 1832 წ. შეთქმულების მიზნების პროპაგანდას. მას შეეძლო შეესრულებინა ფრიად პროგრესული როლი ქართული კულტურის ისტორიაში, მაგრამ ძალიან ჩქარა, იმავე 1832 წელს—შეთქმულების აღმოჩენასა და მისი ხელმძღვანელების, მათ რიცხვში ს. დ ო დ ა-შ ვ ი ლ ი ს, დაპატიმრებასთან ერთად—შეწყდა მისი გამოცემაც.

1832 წლიდან 1838 წლამდე საქართველოს არ ჰქონდა პერიოდული პრესა. მთავრობა გართული იყო შეთქმულების მონაწილეთა და სხვა მეამბოხე და „თავისუფალ მოაზროვნეთა" ძებნით და საქართველოდან მათი გაძევებით: პირდაპირ დამნაშავეებისა—სამუდამოდ ან დროებით, ხოლო ეჭვმიტანილებისა—სამხედრო სამსახურში „გაწესებით" რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში.

მოსახლეობა მალე იქნა „დაწყნარებული", მაგრამ დიდხანს არ შეიძლებოდა დარჩენა პრესის გარეშე. შინაურ ურთიერთობათა და გარეშე ამბების განვითარება დაბეჯითებით მოითხოვდა პერიოდული ორგანოს დაარსებას, და 1838 წელს ადგილობრივი მთავრობა შეუდგა ოფიციალური ყოველკვირეული გაზეთის „ამიერკავკასიის მოამბის" („Закавказский вестник"-ის) გამოცემას, რუსეთის შიდა გუბერნიების გაზეთ „საგუბერნიო უწყებათა" ტიპის მიხედვით. „Закавказский вестник"-ი ივსებოდა მთავრობის განკარგულებებითა და ცნობებით და ყველაზე უფრო ნაკლებად მოგვაგონებდა ლიტერატურული ცხოვრების ორგანოს. ზოგჯერ ეს გაზეთი გამოდიოდა „არაოფიციალური ნაწილის" დამატებით, მაგრამ მასშიც თავსდებოდა თითქმის მხოლოდ კერძო პირთა და სავაჭრო საზოგადოებათა განცხადებები და ძალიან იშვიათად—ისტორიული ხასიათის სტატიები. „Закавказский вестник"-ი და მისი „არაოფიციალური ნაწილი" გამოდიოდა მხოლოდ რუსულ ენაზე და ვრცელდებოდა მარტოოდენ დაწესებულებებსა და სამხედრო ნაწილებში.

1939 წლიდან თბილისში იწყო გამოსვლა „ქართულმა კალენდარმა" ქართველი ისტორიკოსისა და ფილოლოგის პლატონ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი ს რედაქტორობით; ქართული გაზეთი კი აღარ აღუდგენიათ, და ეს იმ დროს, როდესაც ქართულ ენასა და ასოებს მიმართავდა არა მხოლოდ მთელი ქართველი მოსახლეობა, არამედ სომხებისა, ბერძნებისა და მაჰმადიანთა უმრავლესობაც კი, რომლებიც იმ დროს საქართველოში ცხოვრობდნენ.*

---

* თბილისის სომეხ ვაჭართა დავთრები ქართულად იწერებოდა, და ზოგჯერ ცალკე გამოცემები სომხურ ენაზე იბეჭდებოდა ქართული ასოებით, მაგ., „ლოცვა ნერსესისა—სომეხთა პატრიარქისა" გამოიცა 1843 წ., თბილისში, სომხურ ენაზე, ქართული ტრანსკრიფციით.

საქ. მუზეუმის ფონდებში მოიპოვება აგრეთვე ლოცვანი და სხვა მასალა სომხურ და თურქულ ენებზე ქართული ანბანით (ხელნაწ. განყ. ფ. Н № 160, 161 და სხვ.).

40-იან წლების დასაწყისში თბილისის ქართველი ინტელიგენციის ერთმა მოწინავე ჯგუფმა სცადა თითონ აეღო ქართული ბეჭდვითი ორგანოს გამოცემის ინიციატივა და, მართლაც, 1842—45 წლებში მან სპეციალური „გამოცხადებით“,* აცნობა ხალხს ყოველთვიური ჟურნალის „ს ი ნ ა თ ლ ი ს“ გამოცემის განზრახვა. მოხაზული იყო ჟურნალის ძალზე ფართო და სერიოზული პროგრამა, სახელდობრ: ისტორია, მხატვრული ლიტერატურა და კრიტიკა, ეკონომიკა და ვაჭრობა, სამართალი, პედაგოგიკა (სწავლების მეთოდები), ხელოვნება (მუსიკა, ფერწერა, ქანდაკება), თარგმანები უცხო ენებიდან („საუკეთესო სტატიები ყველა საგნებზე“) და საერთო ცნობები ევროპის ხალხთა ხელოვნებისა და მეცნიერების სფეროდან; ამასთანავე განზრახული ჟურნალის გამომცემლები და ხელმძღვანელები (გ. ერისთავი, დავით და მიხ. მაჩაბლები, კ. და დ. მაღალაშვილები, ე. თულაშვილი, ს. ფურცელაძე, ივ. აბაშიძე, ს. რჩეულიშვილი, გივი ამილახვარი, ელისაბედ ჯავახიშვილი, ლ. ზედგინიძე და სხვ.) აღნიშნულ განცხადებაში მხურვალედ მოუწოდებდნენ ქართველ ხალხს აემაღლებინათ თავისი განათლება და შეეძინათ „სასარგებლო ცოდნა“. ისინი მოაგონებდნენ ხალხს, რომ „აწინდელი საქართველო—იმერეთის ღუბერნია, ოდესმე ყვავილოვნებდა სწავლითა და ხელოვნებითა... ახლა იგი ჰსდგას კვალად მისივე განათლების ხარისხსა ზედა, ვითარცა იპოებოდა ჟამთა მტერთაგან შეიწროებისასა და ვიდრე უდარესსაცა, უზრუნველობისა გამო ჩვენისა. აწ სადღა არიან ჩახრუხაძენი, შავთელნი, რუსთაველნი და პეტრიწნი, სადღა ისმის ტკბილხმოვანება ბესიკისა, სად გამოიცემიან ფილოსოფიურნი და ღვთისმეტყველებითნი ტექსტნი ანტონისანი. ყოველივე დრომან მიჰფარა და სიბრძნეთა ქართველთა ვითა აჩრდილნი მათთანვე წახდნენ; დაუტეეს მხოლოდ კვალი ჩვენისა მეხსიერებისა შინა მათისა ყოფობისა“.**

შემდეგ ხსენებული ჯგუფი მოაგონებდა ყველას, რომ „განათლებულთა ქართველთაგან რომელიმე გვართა ამას წინათ დაუწყიათ ქართულსა ენასა ზედა გამოცემა ჟურნალისა (ლაპარაკია 1832 წ. ს. დოდაშვილის ჟურნალზე—გ. თ.), მაგრამ უბედურთა შემთხვევათა გამო (ლაპარაკია 1932 წ. შეთქმულების გამჟღავნებაზე—გ. თ.)

---

* „კვალი“, 1896, № 35; „გამოცხადება“ არაა დათარიღებული, მაგრამ შინაარსის მიხედვით შეიძლება მისი დათარიღება 1842—45 წწ.

** „კვალი“, 1896, № 35.

სასარგებლოსა და საქებსა მაღალსა განზრახვასა ამას არა ჰქონია წარმატება". დასასრულ ინიციატორები მოუწოდებდნენ ქართველ ხალხს ხელი მოეწერათ ჟურნალ „სინათლეზე", რომელიც, მათი სიტყვით, „არის ღონე ჩვენის განვითარებისა, გამდიდრებისა და ცხოვრებისა ჩვენისა კეთილმდგომარეობაში მოყვანისა".*

შემთხვევით არაა ამ განცხადებაში ნაგულისხმევი სოლომონ დოდაშვილის 1832 წ. ჟურნალი („სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი"). ჟურნალი „სინათლე" აპირებდა მისი გზით სიარულს, და გასაკვირი არაა, რომ მეფის ხელისუფლებამ საკმაოდ სწორად გაიგო განცხადების აზრი და ჩაშალა ამ ჟურნალის გამოცემის საქმე.

ჟურნალ „სინათლის" გამოცემა ჩაიშალა, მაგრამ ფორმალურად მაინც რომ დაეკმაყოფილებინათ ქართველი ინტელიგენციის მოთხოვნილება პერიოდიკის დარგში, 1845 წ. თბილისში მთავრობის დახმარებით დაიწყეს ყოველკვირეული ქართული გაზეთის „კავკასიის მხარეთა უწყებანი"-ს გამოცემა 40-იანი წლების ქართველ ლიტერატორთა შორის ყველაზე უკიდურესი კონსერვატორისა და კონფესიონალისტის — პლატონ იოსელიანის რედაქტორობით. ამ გაზეთში იბეჭდებოდა ძირითადად რუსული „ზაკავკაზსკი ვესტნიკ"-ის მასალების თარგმანები და ზოგჯერ ორიგინალური ისტორიული, ფილოლოგიური და არქეოლოგიური სტატიები და შენიშვნები, რომელნიც თვით რედაქტორის კალამს ეკუთვნოდა, მაგრამ არც ამ ახალი ქართული გაზეთის არსებობა გაგრძელებულა დიდხანს. იმავე 1846 წლის ბოლოს შესწყვიტა მან თავისი არსებობა.

1846 წელს თბილისში დაიწყო გამოსვლა ნახევრადოფიციალურმა რუსულმა გაზეთმა „Кавказ"-მა, რომელმაც იარსება 71 წელიწადი.** ის იყო ევროპული ტიპის სერიოზული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მეცნიერულ-ლიტერატურული ორგანო.

ქართული გაზეთის—„კავკასიის მხარეთა უწყებანის"—დახურვის (1846) შემდეგ, ხუთი წლის განძავლობაში საქართველოში არ იყო

---

* „კვალი", 1896, № 35

** 1846—47 წ. „კავკაზი" გამოდიოდა სომხურ ენაზეც („კავკას") კარინიანის რედაქციით. დამოუკიდებელმა სომხურმა გაზეთმა „არარატმა" კი დაიწყო გამოსვლა 1850 წლიდან გ. პატკანიანის რედაქტორობით. „არარატი" წარმოადგენდა პირველ სომხურ პერიოდულ ორგანოს მთელ კავკასიაში.

პერიოდული ორგანო ქართულ ენაზე. მოწინავე ქართველი საზოგადოების ინტერესის გაცხოველების ფაქტი პერიოდული პრესისადმი, რაც ასე ცხადად გამომჟღავნდა ვრცელი ქართული ჟურნალ „სინათლის“ ორგანიზაციის ცდაში, უკვე გარკვეულ შიშს იწვევდა მთავრობის ორგანოებში და არაპირდაპირი გზით მათ უფრო ენერგიულად დაიწყეს ბრძოლა ქართული პერიოდული პრესის შექმნის წინააღმდეგ. ამით, უმთავრესად, შეიძლება აიხსნას პეტერბურგის ქართველი სტუდენტების და სხვა კულტურული ძალების ცდა 40-იანი წლების დასასრულს დაეარსებიათ პეტერბურგში ქართული ჟურნალი „არე“, რაც აგრეთვე არ დაგვირგვინდა წარმატებით.

მხოლოდ 1852 წელს მოახერხა ქართველი მოწინავე საზოგადოებრიობის წარმომადგენელმა, ზემოხსენებულმა მწერალმა და ქართული თეატრის ხელმძღვანელმა გ. ერისთავმა ქ. თბილისში ქართული ჟურნალის „ცისკარის“ გამოცემის ნებართვის მიღება.

„ცისკარი“ გამოდიოდა 1852—53 წწ. ყოველთვიურად გ. ერისთავის რედაქტორობით. შემდეგ 3 წლით შეწყდა მისი გამოცემა. 1857 წლიდან მისი რედაქტორი გახდა მწერალი ივ. კერესელიძე, რომლის ხელმძღვანელობითაც ჟურნალმა იარსება 1875 წლამდის, სხვა პერიოდულ გამოცემების პარალელურად. „ცისკარს“ არ ჰქონდა გარკვეული პროგრამა და კურსი. ის თავისუფლად ათავსებდა უკიდურეს კონსერვატულსა და რეაქციულსაც ახალ, რევოლუციურთან; ამიტომ მის ფურცლებზე იბეჭდებოდნენ ორივე მიმდინარეობის წარმომადგენლები. მაგრამ 60-იანი წლების დასაწყისში, განსაკუთრებით ბეჭდვითი სიტყვის მოწინავე რევოლუციური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეებით გამსჭვალული ორგანოების გაჩენის შემდეგ, ჟურნალმა „ცისკარმა“ ბევრი მხრით დაჰკარგა თავისი აქტუალობა, რის შედეგადაც კიდევ უფრო შემცირდა მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა.

ქართველი ხალხის განათლების ერთ-ერთ პირობას XIX საუკუნის პირველ ნახევარში წარმოადგენდა წიგნების გამომცემლობა. ამ ხნის განმავლობაში ქართული წიგნები იბეჭდებოდა თბილისში (5 სტამბაში), ქუთაისში, საჩხერეში, მოზდოკში, პეტერბურგში და მოსკოვში. აქამდე მონახულ და აღწერილ ქართულ ბეჭდვითს პროდუქციაში 1801 წლიდან 1860 წლამდე აღნიშნულია 182 სხვადასხვა სახელწოდების წიგნი, მათ შორის, მხატვრული ლიტერატურიდან—22 სახელწოდებისა, სახელმძღვანელო—13, საანბანო წიგნი—7, ენ-

ციკლოპედიური კრებული და ქრესტომათია—4, ქართული გრამატიკა—6, ისტორიიდან—14, მედიცინიდან—3, ფილოსოფიიდან—2, გეოგრაფიიდან—2, ქართული კალენდარი—4, ლექსიკონი—3. თითო სახელწოდების წიგნი ბუნებისმეტყველებიდან, ლინგვისტიკიდან, სოფლის მეურნეობიდან, კომერციიდან, კულინარიიდან და ა. შ. უფრო ბევრი წიგნია რელიგიისა და საეკლესიო ისტორიიდან, ბლომადაა აგრეთვე ოფიციალური გამოცემები; ამას გარდა, ბევრი წიგნი საქართველოზე 60-იან წლებამდე გამოიცა რუსულ ენაზე როგორც ქართველი, ისე რუსი ავტორებისა. საქართველოს შესახებ იბეჭდებოდა წიგნები უცხო ენებზეც, მაგრამ თითქმის ყველა საქართველოს გარეთ.

არ იქნება მართებული, რომ XIX ს. პირველი ნახევრის საქართველოს განათლების მდგომარეობაზე ვიმსჯელოთ მხოლოდ ბეჭდვითი სიტყვის მდგომარეობის მიხედვით. იმ დროს წიგნების ბეჭდვა ცალკე მოღვაწეთა პირადი მამაცობისა და გმირობის საქმეს წარმოადგენდა და ამიტომ ადვილი წარმოსადგენია—რა შესაძლებლობა უნდა ჰქონოდა ბეჭდვითი სიტყვას აღნიშნულ პერიოდში. შედარებით ყველაზე უფრო სრულ წარმოდგენას ქართული ინტელექტური ცხოვრებისა, ძალისა და მასშტაბის შესახებ იძლევა ქართული კულტურის მრავალი ათასეული ხელნაწერი ძეგლი საქართველოს, ლენინგრადის, მოსკოვის და აგრეთვე უცხოეთის მუზეუმებსა და სხვა ძეგლთსაცავებში. საუკუნეობით ელოდნენ და ახლაც ელიან ისინი მკვლევარებსა და სტამბის დაზგებს, რომ უფრო მეტად შეაფრქვიონ თავისი სხივები მშობლიური ძხარის სულიერი კულტურის მაღლობებს.

არ შეიძლება დავივიწყოთ წიგნთსაცავ-ბიბლიოთეკების როლი ქართველი ხალხის განათლების საქმეში. XIX ს. პირველ ნახევარში კულტურის ასეთი კერები განაგრძობდნენ არსებობას უმთავრესად ეკლესიებთან, მონასტრებთან, მსხვილი თავადების სასახლეებში და დიდი სახელმწიფო მოღვაწეების სახლებში. ეკლესიებთან და მონასტრებთან იყო მოთავსებული წიგნთსაცავები, მეტწილად საეკლესიო-რელიგიური ნაწერებისა, მაგრამ კერძო პირთა ბიბლიოთეკებში იყო ათასობით სხვადასხვა წიგნი ქართულ, ფრანგულ, იტალიურ, რუსულ, ლათინურ, ბერძნულ, სპარსულ, სომხურ და სხვა ენებზე.

ახალციხეში იოანე ნათლისმცემლის ეკლესიასთან 1855 წელს კი-

დევ არსებობდა მდიდარი ბიბლიოთეკა, დატოვებული ჰ. შაკულიანის მიერ, სადაც წიგნების უმრავლესობა ლათინურ, ფრანგულ და იტალიურ ენებზე იყო.

განსაკუთრებით განთქმული იყო სამეგრელოს მფლობელების ლევანისა და დავით დადიანების წიგნთსაცავები. არ ჩამორჩებოდნენ აგრეთვე თავადების გურიელის, წერეთლის, ორბელიანის, ერისთავის ბიბლიოთეკები. ზოგიერთ ამ ბიბლიოთეკაში ინახებოდა უძვირფასესი ნაბეჭდი ან ხელნაწერი წიგნები, ასე, მაგალითად, ჟურნალისტ კ. თ. ერისთავის მოწმობით, თავად ალ. წერეთლის ბიბლიოთეკაში, საჩხერეში, ინახებოდა ხელნაწერი დედანი ა. ს. გრიბოედოვის კომედიისა „ვაი ჭკუისაგან".*

პროფ. ალ. ცაგარელის ცნობით, ქართული ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნების ძვირფასი ბიბლიოთეკები ჰქონდათ აგრეთვე რუსეთში მცხოვრებ ქართველ მეცნიერებსა და განათლების მოღვაწეებს. ასე, მაგალითად, პროფ. დ. ი. ჩუბინაშვილს (ჩუბინოვის) ბიბლიოთეკაში ინახებოდა 282 ხელნაწერი წიგნი სხვადასხვა სახელწოდებისა, თეიმურაზ ბატონიშვილის ბიბლიოთეკაში —206, თავად იოანე გრუზინსკის ბიბლიოთეკაში—394, დავით დადიანის ბიბლიოთეკაში—218 (მხოლოდ ხელნაწერი ქართული წიგნები) და სხვ. მრავალი ქართული ხელნაწერი წიგნები ინახებოდა აგრეთვე საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსკოვის არქივში და ქ. კრაკოვის ჩარტორიჟსკის მუზეუმში.**

XIX ს. პირველი ნახევრის ქართული ბიბლიოთეკები დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ ინტელიგენციაში. აღნიშნული დროის კერძო მიწერ-მოწერიდან ჩანს, რომ ისინი ამარაგებდნენ წიგნებით არათუ მხოლოდ ადგილობრივ მკითხველებს, არამედ ძალიან ხშირად მათ აბონენტებს წარმოადგენდნენ შორეული რაიონებისა და ქალაქების მცხოვრებლებიც, მაგრამ აღნიშნული ბიბლიოთეკები თანდათანობით ნიავდებოდა. 1861 წ. ისტორიკოსი დ. ბაქრაძე მწუხარებით აღნიშნავდა: „ჩვენში ძველი წიგნების მეასედი აღარსად არის. სხვა სულ გატანილია და დაბნეული".***

---

* „Кавказ", 1857, № 83, 420: („ყველაზე უძვირფასესი საუნჯე საჩხერეში— ეს არის ა. ს გრიბოედოვის, მისი უკვდავი კომედიის „ვაი ჭკუისაგან"-ის ნამდვილი ხელნაწერი—თავად ალ. წერეთლის ბიბლიოთეკაში".

** А. Цагарели, Сведения, I.

*** წინასიტყვაობა ი. ბატონიშვილის წიგნისა „კალმასობა", 1895, ბ3. XIX.

რუსეთის მეფის მთავრობა ნაკლებად ზრუნავდა ხალხისათვის ბიბლიოთეკების მოწყობაზე. 1830 წ რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა მიანდო საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორს ზ ა ვ ი ლ ე ი ს კ ი ს თბილისში საჯარო ბიბლიოთეკის დაარსება,* მაგრამ ბინისა და სახსრების უქონლობის გამო ბიბლიოთეკა არ იქნა გახსნილი. ხუთი წლის შემდეგ თბილისის ინტელიგენციამ თვითონ აიღო ინიციატივა საქალაქო ბიბლიოთეკის მოწყობისა საქველმოქმედო სახსრებით, მაგრამ შემოწირულებათა თანხამ მხოლოდ 80 მანეთს მიაღწია. საქართველოს მთავარმართებელი რ ო ზ ე ნ ი 1835 წ. ატყობინებდა განათლების მინისტრს უ ვ ა რ ო ვ ს, რომ სახელმწიფოებრივი დოტაციის გარეშე შეუძლებელია დაარსდეს თბილისში საჯარო ბიბლიოთეკა, მაგრამ ასეთი დოტაცია არსად ჩანდა.

მოწინავე ქართველი ადამიანები ისევე მწვავედ განიცდიდნენ ბიბლიოთეკის უქონლობას თბილისში, როგორც სკოლების სიმცირეს. პოეტი გრიგოლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, 1834 წელს, დასავლეთის ხალხთა ყოფაცხოვრებითი კულტურის გაცნობის შედეგად, წერდა, რომ ბიბლიოთეკებისა და სკოლების გარეშე ასე ადამიანურად ჩვენ ვერ ვიცხოვრებთო.**

1840 წელს პუბლიცისტმა დიმიტრი ყ ი ფ ი ა ნ მ ა, აღნიშნული კულტურული მოთხოვნილების რამდენადმე დაკმაყოფილების მიზნით, მოაწყო თბილისში, საკუთარ ბინაზე, პატარა სახალხო ბიბლიოთეკა, ხოლო, 1842 წელს, მისივე ინიციატივით თბილისის მოწინავე ინტელიგენტთა ჯგუფმა*** მოახერხა მიეღო ამიერკავკასიის მხარის მთავარმართებლის გ ო ლ ო ვ ი ნ ი ს ა გ ა ნ თბილისში კერძო საქალაქო ბიბლიოთეკის გახსნის ნებართვა. მარტო ეს ბიბლიოთეკა უწევდა მომსახურებას თბილისის მოსახლეობას 4 წლის განმავლობაში. მხოლოდ 1846 წელს დაარსდა თბილისის „ს ა ჯ ა რ ო ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ა“, რომელიც ინახებოდა სახელმწიფო ბიუჯეტზე.****

---

* Акты, VII, 23.

** გრ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, წერილები, I, 22.

*** დ. ყიფიანი, ხ. ფალავანდიშვილი, გ. ერისთავი, გრ. ორბელიანი, ნიკ. ბარათაშვილი, ალ. ჭავჭავაძე, ლ. მელიქიშვილი, მ. თუმანიშვილი, კ. მუხრანსკი, ვ. ბელიაევი, ი. ნახაროვი, დ. ჭავჭავაძე, დ. ჯორჯაძე, კ. დადიანი და სხვ., სულ 30 კაცი (დ. ყ ი ფ ი ა ნ ი, მემუარები, 104).

**** დაწვრილებით: ნ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე. „კ მარქსის სახ. საკ. სახელმწ. ბიბლიოთეკა“, საჯარო ბიბლიოთეკის „შრომები“, IV, 1.

50-იანი წლების დასაწყისიდან ადგილობრივი ინტელიგენტების თაოსნობით პატარა საქალაქო ბიბლიოთეკები იხსნებოდა საქართველოს სხვა ქალაქებშიც (1852 წ. სიღნაღშიც კი მოეწყო საქალაქო ბიბლიოთეკა, რომელმაც 400 წიგნით დაიწყო თავისი არსებობაა.*

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ XIX ს. პირველი ნახევრის ქართული კულტურის ერთ ყველაზე უფრო დიდ ფაქტორს წარმოადგენდა მეცნიერება და მხატვრული ლიტერატურა.

XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული მეცნიერების განვითარება უმთავრესად ჰუმანიტარულ დარგებში გამომჟღავნდა. ამ დარგებიდან კი პირველ ყოვლისა აღსანიშნავია ისტორიულ-ფილოლოგიური და ფილოსოფიური მეცნიერებანი.

საქართველოს ისტორია, ფილოლოგია და ფილოსოფია უფრო მდიდარი მემკვიდრეობითა და ტრადიციით გადმოვიდნენ მე-19 საუკუნეში, ვიდრე სხვა დარგები და ეს უპირატესობა მათ კიდეც შეინარჩუნეს ამ საუკუნის მანძილზე. უფრო მკაფიოდ განისაზღვრა ამ მეცნიერებათა შესწავლის საგანი და კვლევის მეთოდი. დაიწყო საქართველოს ისტორიის მასალების სისტემატური შეგროვება. გაფართოვდა უშუალო, პირველად წყაროებზე მუშაობა და უცხოური ლიტერატურის გამოყენების პრაქტიკა. ამით ხასიათდება მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ისტორიული მეცნიერების ყველაზე უფრო თვალსაჩინო წარმომადგენლის თეიმურაზ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი ს (1782—1846) დიდი ნაშრომი „ისტორია დაწყებითდან ივერიისა, ე. ი. გიორგიისა რომელ არსს სრულიად საქართველოსა“, გამოქვეყნებული 1848 წელს, და სხვა ისტორიული ხასიათის ნარკვევები. თეიმურაზ ბაგრატიონის (ბატონიშვილის) სახელთან არის აგრეთვე დაკავშირებული ქართული საფას-საზომის მეცნიერული შესწავლის დასაწყისი, მასვე ეკუთვნის სერიოზული გამოკვლევა: „განმარტებანი ვეფხვის-ტყაოსნისა“ და სხვა ორიგინალური შრომები და თარგმანები. საქართველოს ისტორიის და ქართული ფილოლოგიის წინაშე მე-19 საუკ. პირველ ნახევარში უდიდესი დამსახურება მიუძღვის გამოჩენილ ფრანგ მეცნიერ-ორიენტალისტს მარი ბ რ ო სე ს (1802—1880), რომლის 271 მეცნიერული ნაშრომიდან უმეტესობა მიძღვნილია საქართველოს ისტორიისა, ქართული ენისა და ლიტერატურის საკითხებისადმი. საქართველოს ისტორიისა და ქარ-

* „Кавказ“ 1852, № 10.

თული ფილოლოგიის დარგში მეტად ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწეოდნენ აგრეთვე პლატონ იოსელიანი (1809—1875), ავტორი მრავალრიცხოვანი მეცნიერული და მეცნიერულ-პოპულარული ნაშრომებისა საქართველოს ისტორიის, ქართული არქეოლოგიის, ენისა და ლიტერატურის და კულტურის სხვა საკითხებზე, დავით ჩუბინაშვილი (1813—1891), ავტორი უდიდესი მეცნიერული ღირებულების მქონე „ქართულ-რუსულ-ფრანციული ლექსიკონისა“ (1840), „რუსულ-ქართულ ლექსიკონისა“ (1846), ორტომიანი „ქართული ქრესტომათიისა“ (1846) და ქართული საისტორიო და ლიტერატურული ძეგლების შემკრები და გამომცემელი. ცალკე უნდა აღინიშნოს ქართული ნუმიზმატიკის მეცნიერული შესწავლის ფუძემდებელი მიხეილ პეტრეს-ძე ბარათაშვილი (1786—1856), თავისი სერიოზული გამოკვლევით („Нумизматические факты грузинского царства“), რომელიც ვრცელ რუსულ ტექსტთან ერთად გამოიცა შემოკლებული ქართული და ფრანგული რედაქციებით 1844 წ.; მან პირველად აღწერა თავისი დიდი შრომით და გატაცებით შეკრებილი ძეგლები საქართველოს ნუმიზმატიკისა.

ქართულ ფილოსოფიურ მეცნიერებათაგან, რომელთაც განვითარების მაღალ საფეხურს მიაღწიეს მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში, აღსანიშნავია ლოგიკა და ფსიქოლოგია. პირველის მთავარი წარმომადგენელი იყო ჩვენ მიერ არა ერთგზის ხსენებული, გამოჩენილი მეცნიერი სოლომონ დოდაშვილი (1805—1836). მან დასწერა და გამოსცა ფილოსოფიის შესავლის სახით „Логика“ („Курс философии, часть первая, 1827). ეს იყო ლოგიკის პირველი ორიგინალური წიგნი რუსულ ენაზე, რომელშიც ლოგიკის ცნებისა, მისი საგნის გარკვევისა. და მოკლე ისტორიის შემდეგ, ლაკონიურად არის გარჩეული გონების, აზროვნების, მსჯელობის, ცნებების, დასკვნისა და მტკიცების არსი და ძირითადი კანონები. სოლომონ დოდაშვილი არის აგრეთვე მთავარი წარმომადგენელი მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ქართული პედაგოგიკისა, რასაც ჩვენ ამ წიგნში სპეციალურად ვეხებით. ფსიქოლოგიური მეცნიერების წარმომადგენელია გერასიმე ქიქოძე (1826—1896) თავისი მეტად სერიოზული ნაშრომით „Основания опытной психологии“, რომელიც გამოქვეყნდა 1858 წელს, ავტორის მაშინდელ სასულიერო წოდებაში შერქმეული—არქიმანდრიტ გაბრიელის—სახელით. ადამიანის ფსიქიურ პროცესებს გერასიმე ქიქოძე იკვლევს „ცდისეული

ᲛᲔᲝᲓᲘᲡᲐ“ და ᲣᲨᲣᲐᲚᲝ ᲓᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲑᲐᲗᲐ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲖᲔ. „ᲩᲕᲔᲜ ᲕᲪᲓᲘᲚᲝᲑᲓᲘᲗ, ᲬᲔᲠᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘ, ᲛᲗᲔᲚᲘ ᲛᲡᲯᲔᲚᲝᲑᲐ ᲡᲣᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲓᲐᲒᲔᲔᲤᲣᲫᲜᲔᲑᲘᲐ ᲘᲡᲔᲗ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲖᲔ ᲓᲐ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲖᲔ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲡᲐᲕᲡᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘᲐ ᲤᲘᲖᲘᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲘᲖᲘᲙᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲗ ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜ ᲐᲒᲕᲔᲪᲘᲚᲔᲑᲘᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲜᲐᲧᲝᲤᲝ ᲗᲔᲝᲠᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲰᲘ�პᲝᲗᲔᲖᲔᲑᲘ“ (2). ᲔᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ �გᲐᲓᲐᲡᲬᲠᲐ ᲛᲐᲜ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲗ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲐᲐᲛᲐᲦᲚᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲠᲣᲡᲣᲚ-ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝᲒᲘᲐ.

ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲡ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘᲐ ᲠᲝᲛᲐᲜᲢᲘᲖᲛᲘᲗ ᲓᲐ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲛᲘᲗ. XIX Ს. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲮᲔᲕᲠᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲠᲝᲛᲐᲜᲢᲘᲖᲛᲘ, ᲜᲐᲢᲣᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕ-ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ, ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚ ᲤᲐᲖᲐᲨᲘ ᲨᲔᲕᲘᲓᲐ. ᲛᲐᲜ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝᲓ ᲓᲐᲡᲘᲫᲚᲘᲐ ᲘᲠᲐᲜᲣᲚᲘ ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲛᲝᲢᲘᲕᲔᲑᲘ, ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲒᲐᲜᲛᲢᲙᲘᲪᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲜᲘᲐᲓᲐᲒᲖᲔ ᲓᲐ ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲘᲛᲐᲦᲚᲔᲖᲔ ᲓᲐᲓᲒᲐ. ᲔᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲪ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚ ᲘᲥᲜᲐ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ XVIII ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲨᲘ, ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲐ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲛᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲛᲐ ᲞᲝᲔᲢᲛᲐ ᲐᲚ. ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔᲛ (1786—1846), ᲮᲝᲚᲝ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲠᲝᲛᲐᲜᲢᲘᲖᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲐ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚ ᲡᲐᲬᲧᲘᲡᲔᲑᲖᲔ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲧᲕᲐᲜᲐ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲖᲔ, ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲓ, ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲝᲔᲢᲘᲡ Ⲛ. ᲑᲐᲠᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ (1817—1845) ᲡᲐᲮᲔᲚᲗᲐᲜ. ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲠᲝᲛᲐᲜᲢᲘᲖᲛᲡ ᲛᲘᲔᲙᲣᲗᲕᲜᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲞᲝᲔᲢᲔᲑᲘ: ᲒᲠ. ᲝᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘ, (1804—1883), ᲕᲐᲮᲢ. ᲝᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘ (1812—1890), ᲛᲘᲮ. ᲗᲣᲛᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ (1818—1875), ᲓᲐᲕ. ᲛᲐᲩᲐᲑᲔᲚᲘ (1814—1873). XIX Ს. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲮᲔᲕᲠᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲠᲝᲛᲐᲜᲢᲘᲖᲛᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲗᲓᲐ ᲠᲝᲛᲐᲜᲢᲘᲖᲛᲘᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ, ᲖᲝᲒᲐᲓ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ-ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲬᲧᲐᲠᲝᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ Ა�გᲠᲔᲗᲕᲔ ᲐᲛ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲞᲔᲪᲘᲤᲘᲙᲘᲓᲐᲜ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲐᲜᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲥᲛᲔᲑᲘᲗ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ, ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲓ ᲠᲝᲛᲐᲜᲢᲘᲖᲛᲘᲡ ᲢᲘᲞᲘᲣᲠᲘ ᲓᲐ „ᲛᲐᲠᲐᲓᲘᲣᲚᲘ ᲗᲔᲛᲔᲑᲘᲡ“ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲠᲝᲛᲐᲜᲢᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲨᲘ ᲭᲐᲠᲑᲐᲓᲐᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚ-ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘᲡ ᲛᲝᲢᲘᲕᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲐᲓ ᲐᲡᲐᲮᲐᲕᲓᲜᲔᲜ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡᲐᲓᲛᲘ.

XIX ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲮᲔᲕᲠᲘᲡ ᲐᲓᲠᲔᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲛᲘ ᲐᲦᲛᲝᲪᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲐ�პᲘᲢᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲒᲐᲠᲘᲟᲠᲐᲟᲖᲔ, ᲬᲐᲠᲛᲝᲘᲨᲕᲐ ᲤᲔᲝᲓᲐᲚᲣᲠᲘ ᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ. ᲙᲐ�პᲘᲢᲐᲚᲘᲡ ᲫᲚᲔᲕᲐ-

ᲨᲝᲡᲘᲚᲘ ᲛᲡᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐ, ᲑᲐᲢᲝᲜᲧᲛᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲒᲛᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲓᲐᲙᲚᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲝᲑᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲗᲐᲕᲐᲓᲐᲖᲜᲐᲣᲠᲣᲚᲘ ᲧᲝᲤᲘᲡᲐᲓᲛᲘ, ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲤᲔᲝᲓᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲐᲠᲩᲐᲙᲔᲢᲘᲚᲝᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲘᲓᲔᲐ, ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲗᲐᲜᲐᲡᲬᲠᲝᲠᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲘᲓᲔᲔᲑᲘ ᲓᲐᲔᲓᲕᲐ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲐᲓ ᲐᲓᲠᲔᲣᲚᲘ ᲠᲔᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ: ᲞᲝᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲣᲠᲒᲘᲡ Გ. ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ (1813—1864), ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲣᲠᲒᲘᲡ Ზ. ᲐᲜᲢᲝᲜᲝᲕᲘᲡ (1820—1854), ᲑᲔᲚᲔᲢᲠᲘᲡᲢᲘᲡ Ლ. ᲐᲠᲓᲐᲖᲘᲐᲜᲘᲡ (1818—1870), ᲑᲔᲚᲔᲢᲠᲘᲡᲢᲘᲡ Დ. ᲭᲝᲜᲥᲐᲫᲘᲡ (1830—1860) ᲓᲐ ᲡᲮᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲡ. ᲠᲔᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲐᲒᲠᲔᲗᲔᲕᲔ XIX ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲨᲘ ᲛᲝᲛᲬᲘᲤᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲔᲚᲔᲢᲠᲘᲡᲢᲘ ᲒᲠ. ᲠᲩᲔᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ (1819 — 1877), ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲐᲓ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚ ᲗᲔᲛᲔᲑᲖᲔ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ.

ᲐᲡᲔᲗᲘᲐ XIX ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲮᲔᲕᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕ-ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲘᲚᲘ, ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲤᲝᲜᲘ ᲘᲛᲐᲕᲔ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

II. სასკოლო ქსელი

1. „განათლება“—მეფის მოხელეთა გაგებით

საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ოფიციალური „მესვეურები“ მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში, რასაკვირველია, არ იცნობდნენ ქართველ ხალხს საერთოდ, კერძოდ, მის განათლებას. მათ წარმოდგენა არ ჰქონდათ იმ კულტურულ ძეგლებსა და ტრადიციებზე, რომლითაც ეს ხალხი მე-19 საუკუნის მიჯნასთან მოვიდა. მეფის კოლონიზატორები ვერ არჩევდნენ ერთმანეთისაგან აღმოსავლეთის ჩამორჩენილ პროვინციებსა და, შედარებით, უფრო განათლებულ სამხრეთ-დასავლეთის მხარეებს, რომლებიც XVIII—XIX საუკუნეებში რუსეთის იმპერიაში მოექცნენ. მათ ყველგან ერთნაირად მოჰქონდათ თავი განმანათლებლებად, და იმისათვის, რომ იმპერატორის წინაშე თავი გამოეჩინათ „უძნელეს ადგილობრივ პირობებში“ მუშაობით, ყოველნაირად ცდილობდნენ დაემცირებინათ აღნიშნული მხარეების მკვიდრთა კულტურის დონე და ხშირად ადგილობრივ მცხოვრებთ ბარბაროსებად, უვიცებად და ველურებად იხსენიებდნენ. მეფის რუსეთის ხსენებული კოლონიზატორები, რომლებიც გარეგნულად სამხედრო მუნდირებით ან გენერლის აქსელბანტებით იყვნენ მორთულნი, არსებითად წარმოადგენდნენ სამხედრო თვალსაზრისით კარგად გაწკრთნილ, მაგრამ საერთოდ ნაკლებად განათლებულ პირებს, რომლებიც არ იცნობდნენ არც რუსი ხალხის და არც არარუსი ერების კულტურას და არც პატივს ცემდნენ მას. მათ საკუთარი შეეფერებოდა გამოჩენილი რუსი მწერლის სალტიკოვ-შჩედრინის „ტაშკენტელ-განმანათლებელთა“ დახასიათება: „ტაშკენტელები—კრებითი სახელია... ტაშკენტელი—განმანათლებელია: განმანათლებელი საერთოდ, განმანათლებელი ყოველ ადგილას და როგორც უნდა იყოს, და ამასთანავე განმანათლებელი, რომელსაც მეცნიერება არ აწუხებს; მაგრამ არაა ამით დარცხვენილი, ვინაიდან, მისი აზრით, მეცნიერება შექმნილია არა

 განათლების გასავრცელებლად, არამედ მის შესავიწროებლად" („Господа ташкентцы").

ცნება „განათლება" უცნაურად ესმოდათ მეფის კოლონიზატორებს. არარუს ეროვნებათა წარმომადგენლებს, უმაღლესი განათლებაც რომ ჰქონოდათ, გაუნათლებლად სთვლიდნენ. ქართველი მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ XIX ს. დასაწყისში არ იცოდა რუსული ენა და რუსული წერა-კითხვა; ამიტომ საკვირველი არაა, თუ რუს კოლონიზატორებს გაუნათლებლად მიაჩნდათ იგი, მიუხედავად იმისა, რომ ამ მოსახლეობას უეჭველად ჰქონდა სათანადო კულტურა, ოტა არ ჰყავდა მაღალი განათლებით აღჭურვილი პიროები, მეცნიერებისა და ლიტერატურის გამოჩენილი მოღვაწეები, და საკმაოდ იყო მათში გავრცელებული წერა-კითხვის ცოდნა მშობლიურ ენაზე.

ასე, მაგალითად, მეფის მთავრობის ცნობილი მოხელე, ისტორიკოსი ნ. დუბროვინი წერდა:

„რუსეთის ქვეშევრდომობაში საქართველოს შესვლის დროს ეს ქვეყანა იდგა განვითარების ფრიად დაბალ საფეხურზე. იმ დროს საქართველოს განათლება განისაზღვრებოდა წერა-კითხვის ცოდნით თავის ბუნებრივ ენაზე... იმერეთში კიდევ უფრო უარესი მდგომარეობა იყო. მეფე სოლომონი ბოდიშს იხდიდა, რომ ციციანოვს პასუხს ვერ აძლევდა წერილებზე იმის გამო, რომ მისი მდივანი თბილისში წავიდა ნათესავების სანახავად. ხოლო (მეფის) მახლობელთა შორის კი არავინ იყო წერა-კითხვის მცოდნე".*

არ შეიძლება ეჭვი შეგვეპაროს იმაში, რომ ხსენებული ისტორიკოსი სხვაგვარად წარმოიდგენდა XIX ს. დასაწყისი პერიოდის საქართველოს განათლების დონეს, რომ ქართველთა განათლება მაშინ განსაზღვრული ყოფილიყო თუნდაც მხოლოდ წერა-კითხვის ცოდნით, მაგრამ არა ბუნებრივ, ე. ი. ქართულ, არამედ რუსულ ენაზე. რაც შეეხება მის მსჯელობას იმერეთის განათლების შესახებ, აღნიშნულ მიზეზთან დაკავშირებით, რომელიც სოლომონ II ართშევდა საშუალებას ეპასუხა ციციანოვის წერილებზე—ეს ამტკიცებს დუბროვინის მიერ სახელმწიფოთა პოლიტიკურ ურთიერთობაში დიპლომატიის როლის ფრიად გულუბრყვილო გაგებას. იმერეთის უკანასკნელი მეფის, სოლომონ მეორის, მიწერმოწერიდან საქართველოს მთავარმართებლებთან და მათ შორის ციციანოვთან, ჩანს,

* Н. Дубровин—„Закавказье от 1803—1806 г.", 448.

რომ სოლომონი განხრახ და სხვადასხვა მოგონილი საბაბით აჭიანურებდა პასუხებს მათ წერილებზე იმ მიზნით, რომ ეს პასუხები ყოველმხრივ შეეთანხმებინა საერთო მდგომარეობასთან. ამასთან, ვინც ოდნავად მაინც იცნობს სოლომონის მოღვაწეობას, მისთვის ცნობილია, რომ ის გარშემორტყმული იყო მაღალგანათლებული პიროებით, მწერლებით და მეცნიერებით, და რომ მისმა „მახლობლებმა“ იცოდნენ არა მხოლოდ ქართული ენა, არამედ სპარსული, თურქული, რუსული და ფრანგული ენებიც, ისინი განაგებდნენ ქუთაისის სტამბას და მთელი იმერეთის სამეფოს ბეჭდვითი სიტყვის წარმოებას. ამას გარდა, სოლომონს ამ შესაძლებლობათა არსებობის შემთხვევაშიც შეეძლო მდივნის დროებითი არყოფნა დაესახელებია ციციანოვისადმი პასუხის დაგვიანების მიზეზად, ვინაიდან წერა-კითხვის ყველა მცოდნეს, და ხშირად მაღალგანათლებულ ადამიანსაც კი არ შეუძლია სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დიპლომატიური წერილების შედგენა.

თუ ასე ფიქრობდა მეცნიერი, ისტორიკოსი, ადვილი წარმოსადგენია, როგორღა უცქერიდნენ ქართველი ხალხის განათლებას მეფის სწავლამოუთავებელი გენერლები და სხვა მოხელეები. პ ა ვ ლ ე I-ის სრულუფლებიანი მინისტრი, დანიშნული 1799 წ. საქართველოს მეფის კარზე, ხოლო შემდეგ, 1801 წლიდან, საქართველოს მმართველი პ. კ ო ვ ა ლ ე ნ ს კ ი, საქართველოში თავისი მოსვლიდან ერთი წლის შემდეგ, წერდა: „შინაგან კეთილმოწყობას, მართლმსაჯულების წესს, ხალხის განათლებას... მიუხედავად ამ საგანზე ჩემი მეთვალყურეობისა, დღემდის დასაბამი არა ჰქონია“ *.

XVIII საუკუნის საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების ჩვენი შიმოხილვიდან ძნელი არაა დავასკვნათ, რამდენად სტყუის კოვალენსკი. ისტორიკოს პლატონ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი ს მოწმობით „ესრეთ კეთილად დაწესებული სამეფო, ვითარცა საქართველოისა, სარწმუნოებითა, ეკლესიებითა, მონასტრებითა, მდივანბეგებითა, სწ ა ვ ლ ი თ ა დ ა ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ი თ ა, გუთნითა და ხვნითა, თესვითა და მკითა, პ ა ტ ი ო ს ნ ე ბ ი თ ა დ ა ზ რ დ ი ლ ო ბ ი თ ა ღ ლ ა ვ ს ე, ესრეთ ბრწყინვალე სამეფოისა ტახტითა და თავად-აზნაურობითა, სამღვ-

* П. К о в а л е н с к и й—„Записки о Грузии“, Акты, I, 123. (ეს ლეგენდა კოვალენსკის შემდეგ გაიმეორეს ბ ურ ნ ა შ ო ვ ა — Картина Грузии, 4—5; ლ ი ტ ვ ი ნ ო ვ ა—Акты, II,—407—II); ლ. ნ. მ ო ძ ა ლ ე ვ ს კ ი ი — Очерк истории воспит. и обучения, ч. II, 484; ვ. რ ო მ ა ნ ო ვ ს კ ი ი— Очерки из истории Грузии, прилож., 1.

დელოთა წესითა და საეროსა სიმდიდრითა: თოფითა და ზარბაზნითა და ხალხის სიმხნითა და ვაჟკაცობითა ჩაბარდა სადმე დიდს» რუსეთის იმპერიასა“ *. ყოველივე ამას კოვალენსკი ვერ ამჩნევდა. ის პირდაპირ სიბრმავეს იჩენდა აგრეთვე XVIII საუკუნის დასასრულის საქართველოს მართლმსაჯულების წესისადმი იმ დროს, რ ო დ ე ს ა ც ხსენებული წესი სრულდებოდა მეფე ვ ა ხ ტ ა ნ გ VI ყ ო ვ ე ლ მ ხ რ ი ვ ა დ დამუშავებული კანონთა კ რ ე ბ უ ლ ი თ, რომელიც კ ო დ ი ფ ი ც ი რ ე ბ უ ლ ი იყო XVIII საუკუნის დასაწყისში. უპასუხისმგებლობა აგრეთვე კოვალენსკის მტკიცება, თითქოს ხალხის განათლებას საქართველოში 1800 წელს დასაბამი არ ჰქონდა. ამ უტიფრული „მტკიცების“ ფასი ნათელი გახდება, თუ წარმოვიდგენთ, რომ ხსენებულ წელს აღმოსავლეთ საქართველოში, როგორც უკვე აღნიშნული იყო, არსებობდა ერთი სემინარია უმაღლესი სკოლის ტიპისა, 30-ზე მეტი სასწავლებელი და მრავალი ელემენტარული სკოლა ეკლესიებთან და მონასტრებთან. ქართული საზოგადოების განათლების ცხადი მაჩვენებელი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში იყო მხატვრული ლიტერატურა. აკადემიკოსი მ. ბ რ ო ს ე წერდა: „თუ რომელიმე ხალხის გონებრივი განათლების დონის შესახებ უნდა ვიმსჯელოთ ლიტერატურული სტატისტიკის მიხედვით, ამ შემთხვევაში არაარის-რა იმაზე ადვილი, რომ დავაფასოთ საქართველოს გონებრივი განათლება“...** რუსეთის დესპანი კაპიტანი იაზიკოვი, რომელიც XVIII ს. 70-იან წლებში საქართველოში ცხოვრობდა, თავის მოგონებებში საქართველოზე წერდა: „რაც შეეხება კეთილშობილ ქალებს ყველა წერა-კითხვის მცოდნეა. წარჩინებული ოჯახები თავიანთ ქალებს წერა-კითხვას უსათუოდ ასწავლიდნენ“.*** მაგრამ კოვალენსკი ამის მსგავსს არაფერს, ხედავდა და არც ესმოდა; ან რა იყო მოსალოდნელი იმ კაცისაგან, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს მმართველად ყოფნის დროს, მექრთამეობისა და სისხლის სამართლის სხვა ბოროტმოქმედებისათვის არათუ მხოლოდ გადაყენებულ იქნა თანამდებობიდან, არამედ დაპატიმრებული და სამართალში მიცემული იმპერატორ ალექსანდრე I პირდაპირი მითითებით.

---

* პლ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, გიორგი მეექვსეტის ცხოვრება, 1936, 204.

** „Журнал МН Просвещения“, 1839, VIII, 309—310; იხილე აგრეთვე: [Е. Болховитинов]— Историческое изображение Грузии, 73—74, 1802.

*** А. Ц а г а р е л и —Сведения, I, გვ. XXII.

არც ციციანოვი ჩამორჩა სხვებს, მაგრამ ის დასკინოდა უკვე თავადაზნაურობის „უვიცობას“. 1803 წელს თბილისში მთავრობის სკოლის გახსნასთან დაკავშირებით ციციანოვი სწერდა იმპერატორს:

„აქაური თავადაზნაურობის უკიდურესმა უვიცობამ, რომლის უმეტესმა ნაწილმა თავისი მშობლიური ენაც კი არ იცის წესების მიხედვით, მაიძულა მე საქმიანად შევდგომოდი საქართველოში განათლების პირველი სხივების შეტანის ძოგვარებას, თუ მთელი ხალხისათვის არა, აქაური თავადაზნაურობისათვის მაინც, ისე რომ თაობა, რომელიც ამჟამად ყრმობის ჰასაკში იმყოფება, ეზიაროს იმ ნეტარებას, რომელსაც მას უმზადებს რუსეთის მართებლობა“ *.

ციციანოვი, რომელმაც ცუდად იცოდა ქართული ენა, არ ჰქონდა წარმოდგენა მის გრამატიკულ ან სტილისტიკურ ნიუანსებზე, მაინც მსჯელობდა მათზე და სხვებს უვიცად სთვლიდა მათი უცოდინარობის გამო. ეს იმიტომ ხდებოდა, რომ, თუ რუსეთის იმპერატორს დაარწმუნებდა იგი ქართველი თავადაზნაურობის, როგორც საზოგადოების მოწინავე ფენის, „უკიდურეს უვიცობაში“, ეს განუმტკიცებდა ციციანოვს „საქართველოში განათლების პირველი სხივის“ შეტანის პიონერობის სახელს და აამაღლებდა იმ კულტურული „ნეტარების“ მნიშვნელობასაც, რომელიც მზადდებოდა პეტერბურგში რუსეთის იმპერიის „ინოროდცებისა“ და განაპირა კუთხეებისათვის.

როგორი იყო, მაინც, ნამდვილი მიზნები რუსეთის იმპერატორისა და მის მოხელეთა ახლადშეძენილი „ქართველთა მხარის“ განათლების მიმართ? ის ჩვენი მკითხველისათვის საკმაოდ ცნობილია, მაგრამ ამ საკითხზე უკვე ნათქვამის დასადასტურებლად დავასახელებთ კიდევ იმ ფაქტს, რომ 1801 წ. 12/XI უმაღლესად დამტკიცებულ დადგენილებაში—საქართველოს შინაგანი მმართველობისა და საქართველოს თანამდებობათა შტატების ხარჯთა გაწერიგების ცხრილის შესახებ—არაა გათვალისწინებული არცერთი თანამდებობა განათლების დარგში და არცერთი კაპიკი ამ მიზნისათვის. საქართველოს განათლების საქმე დამყარებული იყო მთლიანად კავკასიის კორპუსის მთავარსარდლის კეთილ ნება-სურვილზე; ეს მთავარსარდალი კი „ზრუნავდა“ საქართველოს განათლებაზე მხოლოდ

* Акты, II, 196.

შემთხვევითი „ადგილობრივი შემოსავლის“ მიხედვით. მაგრამ ეს შემოსავალი იხარჯებოდა მარტოოდენ ადგილობრივი „კეთილშობილი“ წოდების წარმომადგენელთა და რუს მოხელეთა შვილების გასანათლებლად.

რაც შეეხება სახალხო სკოლებს—ასეთებს, მართალია, არ ივიწყებდა მეფის ხელისუფლება, მაგრამ მათი მოწყობისა და შენახვისათვის არც „ადგილობრივი“ შემოსავალი ემეტებოდა. ასე, მაგალითად, ალექსანდრე I, 1801 წლის 12 სექტემბრის რესკრიპტში, საქართველოს მთავარსარდლის გენ. კნორინგისადმი, წერდა:

„სამოქალაქო ნაწილში განზრახული წყობილების აღდგენასთან ერთად არანაკლებ საჭიროდ მიგვაჩნია იმავე მხარის (საქართველოს—გ. თ.) სასულიერო ნაწილიც თანაბარ წესრიგში იქნეს მოყვანილი. ამ სტატიის მოსაგვარებლად საჭირო ცნობების შეკრებისთანავე ნუ დააყოვნებთ დაწვრილებით მაცნობოთ ამის შესახებ, და ამასთანავე გაითვალისწინოთ სასულიერო სასწავლებელთა დაარსებაც; ის პატივისცემა, რომლითაც სარგებლობს ეს (სასულიერო) წოდება საქართველოში და მისი გავლენა ჭკუა-გონებაზე წარმოადგენს მოხერხებულ საშუალებას, რომ მისი მეშვეობით იქნეს იქ შეტანილი დაწყებითი სახალხო განათლება“.*

ამგვარად, იმპერატორი თვითონ არ ფიქრობდა საქართველოში სახალხო სკოლების დაარსებას, მაგრამ არაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო, თუ ასეთ სკოლებს გახსნიდა სასულიერო წოდება საკუთარი ხარჯით და მეთვალყურეობით. მიუხედავად ამისა, სინამდვილეში სასულიერო წოდებას მაინც არ ჰქონდა უფლება მთავრობის ორგანოების ნებართვის გარეშე სკოლების გახსნისა, ხოლო ასეთ ნებართვებს კი, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ან სრულად ვერ იღებდნენ, ანდა—ათეული წლების დაგვიანებით.

ჩვენ ვნახავთ აგრეთვე, როგორ აფერხებდა მეფის ხელისუფლება კერძო პირთა და საზოგადოებათა ინიციატივას განათლების გავრცელების საქმეში. მხოლოდ „პოლიტიკურად კეთილსაიმედო“ პირები და ასეთთაგან შემდგარი საზოგადოებანი ღებულობდნენ სკოლების გახსნის ნებართვას და ისიც სახელმწიფოს სასტიკი კონტროლის პირობით.

---

* Акты, I, 431.

მიუხედავად ამისა, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება, აქედან გამომდინარე ხალხის განათლების აუცილებლობა და მოწინავე სოციალური წრეები აიძულებდნენ მთავრობას მიეღო თუნდაც პალიატური ზომები განათლების გასავრცელებლად.

2. პირველი ნაბიჯი

რუსეთთან საქართველოს შეერთების დროისათვის (1801) რუსეთის იმპერიის სახალხო განათლებას დარგში ჯერ კიდევ მოქმედებდა 1786 წლის „სახალხო სასწავლებელთა წესდება“, რომელიც აღარ შეეფერებოდა რუსეთის სახალხო განათლების ახალ სტადიას. ამ წესდების საფუძველზე შექმნილი ზოგადი განათლების სკოლის ორი ტიპი: მ ც ი რ ე—ორკლასიანი და მ თ ა ვ ა რ ი—ოთხკლასიანი სკოლები (ავსტრიის ტრივიალური და მთავარი სკოლების მიხედვით), ისე როგორც რუსეთის სახალხო განათლების მთელი სისტემა, თავისი პრინციპებით და ორგანიზაციით უკვე საგრძნობლად ჩამორჩებოდა XIX ს. დასაწყისი პერიოდის რუსეთის საგანმანათლებლო ამოცანებს. 1786 წლის წესდება, არსებითად, მიღებული იყო ფრანგული განმანათლებლობის საპირისპიროდ, მიუხედავად მისი სულის ჩამდგმელის—ე კ ა ტ ე რ ი ნ ე II—ფორმალური სოლიდარობისა XVIII ს. საგანმანათლებლო ფილოსოფიის იდეებისადმი. რუსეთში ამ იდეებისა და განსაკუთრებით საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციის სოციალურ-პოლიტიკური იდეების თანდათანობით განვითარების საერთო ფონზე 1786 წლის წესდება გამოიყურებოდა მეტად კონსერვატულად. მასში არ იყო გათვალისწინებული სოფლის სკოლები და ამიტომ ადგილი არ ჰქონდა საყოველთაო განათლების პრინციპს, მასში არ იყო სასკოლო სისტემის თანამიმდევრობა და მთლიანობა, ის უყურადღებოდ სტოვებდა საკითხს ქალთა განათლების შესახებ და მოსწავლეთა მორალურ-აღმზრდელობითი სისტემას სცვლიდა „ადამიანისა და მოქალაქის მოვალეობათა წიგნის“ * მშრალი დარიგებებით, რომელიც ასახავდა

---

* წიგნი „ადამიანისა და მოქალაქის მოვალეობათა“ შესახებ მიეწერება ავსტრიელ სერბს თ. ი. ი ა ნ კ ო ვ ი ჩ დ ე-მ ი რ ი ე ვ ო ს, რომელიც რუსეთში მოვიდა 1782 წ. ეკატერინე II მოწვევით—განათლების ახალი სისტემის შესამუშავებლად. მისი მონაწილეობით იმავე წელს შედგენილ „რუსეთის იმპერიაში

„განათლებული აბსოლუტიზმის“ ადამიანის ზნეობრივ ნორმებს. გარდა ამისა, ამ წესდების მიხედვით რუსეთში შექმნილი სასწავლებლები არ ფინანსდებოდნენ სახელმწიფოებრიეი ბიუჯეტიდან და არსებითად არ წარმოადგენდნენ სახელმწიფო სასწავლებლებს არა მარტო სამეურნეო, არამედ არც სასწავლო-ადმინისტრატიული მუშაობის მხრივ.

რუსეთთან საქართველოს შეერთებისთანავე მეფის მთავრობამ გააუქმა ქართული ნაციონალური კულტურის მთელი რიგი დაწესებულებანი. მაგრამ ამასთანავე მას საუცხოოდ ესმოდა, რომ თავის ცოტა თუ ბევრად განათლებულ მოხელეთა წოდების გარეშე, ადგილობრივ არისტოკრატიულ წრეში განსაზღვრული ბიუროკრატიული კულტურისა და განათლების დანერგვის გარეშე და, ბოლოს, რუსული ბეჭდვითი სიტყვის, სკოლისა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებათა სათანადო გამოყენების გარეშე შეუძლებელი იყო შეექმნა საქართველოში მმართველობისა და ბატონობის მტკიცე საფუძველი. „მთავარ სასწავლო მართველობასთან“ მოქმედი „რუსეთის იმპერიაში სახალხო სასწავლებელთა დამაარსებელი კომისიის“ წევრი პეტრე სვისტუნოვი, 1801 წ. აუწყებდა რა საქართველოს მთავარმართებელს, გენერალ კნორინგს, „რუსეთის იმპერიაში“ და „მაშასადამე, ადგილობრივ მხარეშიც განათლების წარმმატებელ“ ღონისძიებათა შესახებ, სთხოვდა მას „მიეწოდებინა ამ კომისიისათვის დაწერილებითი ცნობები ქართული სასწავლებლების მდგომარეობის შესახებ, — სად, რას და რომელი წიგნებით „ნაბეჭდით თუ ხელნაწერით“ ასწავლიან და ა. შ.*

პეტერბურგიდან ასეთი „შთაგონების“ შემდეგ კნორინგმა და საქართველოს მმართველმა კოვალენსკიმ გადაწყვიტეს პრაქტიკულად განეხორციელებინათ კომისიის განზრახვა საქართველოში რუსული სკოლების დაარსების მიმართ.

პირველ ნაბიჯად ამ მიმართულებით უნდა ჩაითვალოს მთავრობის ორკლასიანი დაწყებითი სასწავლებლის დაარსება ქ. თბილისს 1802 წ. 22 სექტემბერს. ეს სკოლა იყო გან-

---

სახალხო სასწავლებელთა დაწესების გეგმის“ საფუძველზე აღმოცენდა 1786 წლის „რუსეთის იმპერიის სახალხო სასწავლებელთა წესდება“.

* Акты, I, 500.

კუთვნილი ქართველ თავადაზნაურთა შვილებისათვის. მიღებულ იქნა 45 მოწაფე.*

მისი გახსნიდან რამდენიმე დღის შემდეგ საქართველოს მთავარმართებლის მიერ დამტკიცებულ იქნა „წესები ქ. თბილისში პირველად დაარსებულ სასწავლებლის მასწავლებელთა და მოსწავლეთათვის". წესები შეიცავდა 4 თავს: სასწავლებლის სტრუქტურის, სასწავლო გეგმის, სასწავლო ხელსაწყოების და მასწავლებელთა, მოწაფეთა და დირექტორის მოვალეობათა შესახებ. ამ წესების თანახმად, სასწავლებელი შესდგებოდა 2 კლასისაგან. I კლასში გათვალისწინებული იყო რუსული და ქართული ენების და ელემენტარული არითმეტიკის სწავლება, II კლასში – რუსული და ქართული ენების (ამავე ენათა გრამატიკების), არითმეტიკის, გეომეტრიის, საღვთო სჯულის, ისტორიის (სამოქალაქო და საეკლესიო), გეოგრაფიის, „ზნეობის" („დარიგებანი ადამიანისა და მოქალაქის მოვალეობათა შესახებ") და ხატვის სწავლება. მეცადინეობა უნდა წარმოებულიყო ქართულ და რუსულ ენებზე.

აღნიშნულმა სასწავლებელმა ძალიან ცოტა ხანს იარსება. მისი დახურვის მიზეზი იმ'მე' მდგომარეობდა, რომ, პირვანდელი განზრახვის წინააღმდეგ, ის გამოდგა არა რუსულ-ქართული, არამედ წმინდა რუსული სასწავლებელი. მოსწავლეებს არა ესმოდათ-რა არც თავისი მასწავლებლისა, არც სკოლისა საერთოდ და იძულებული იყვნენ მალე მიეტოვებინათ იგი**.

თბილისის 1802 წლის სასწავლებელი სტრუქტურით, სასწავლო გეგმით და მართვა-გამგეობით წარმოადგენდა 1786 წ. რუსეთის იმპერიის წესდებით გათვალისწინებულ „მცირე სასწავლებელთა" რამდენადმე შეცვლილ ტიპს, მაგრამ სოციალური დანიშნულებით ის მკვეთრად განირჩეოდა მათგან თავისი კონსერვატიზმით. განსხვავებით „მცირე სასწავლებელთაგან", რომლებიც წარმოადგენდნენ „არაწოდებრივ, ორივე სქესისათვის მისაწვდომ და ბუნებრივ", ე. ი.

---

* სასწავლებლის დირექტორად დანიშნეს ნადვორნი სოვეტნიკი კორნეევი, რუსული ენის მასწავლებლად—კანცელარიის მსახურები პლეშჩეევი და პოკროვსკი, ქართული ენისა—მამა გრიგოლი; „მეცნიერებათა მასწავლებლები" კი კნორინგმა რუსეთიდან გამოიწერა.

** ხოლო საქართველოს მმართველი კოვალენსკი იმისაკვის, რომ დაეშალა სასწავლებლის დახურვის ნამდვილი მიზეზი, არწმუნებდა ციციანოვს, რომ „მოწაფეებმა შესწავიტეს სკოლაში სიარული აქაური ხალხის ველური ხნეჩვეულების გამო" (Акты, II, 196).

მშობლიურ ენაზე მოწყობილ სასწავლებლებს,—1802 წლის თბილისის სასწავლებელი იყო წოდებრივი (განკუთვნილი მხოლოდ თავადაზნაურობისათვის), მაშასადამე, არა ყველასათვის მისაწვდომი; მასში ღებულობდნენ მხოლოდ მამრობითი სქესის ბავშვებს, ამავე დროს ის არ იყო მშობლიური ენის სკოლა, უფრო მეტიც, მას აკისრებდნენ ქართველი ხალხის რუსიფიკაციის საქმის სამსახურს. ამას გარდა, 1802 წ. თბილისის დაწყებითი სასწავლებელი არ შედიოდა რუსეთის იმპერიის „სასწავლებელთა მთავარი მმართველობის" სისტემაში, რომელიც 1802 წელს შეუერთდა სახალხო განათლების სამინისტროს; ის ყოველმხრივ (ადმინისტრატიულ, სამეურნეო და სასწავლო საქმეში) ექვემდებარებოდა საქართველოს მთავარმართებელს, რომელიც ყოველთვის უფრო „მნიშვნელოვანი" სამხედრო პოლიტიკური საქმეებით იყო დატვირთული და ნაკლებად დაინტერესებული სასწავლებლის ცხოვრებით.

1802 წელს დაარსებული თბილისის პირველი სასწავლებლის მოულოდნელი თვითლიკვიდაციის შემდეგ გავიდა თითქმის 2 წელი მეორე, ახალი სასწავლებლის დაარსებამდე.

3. 1804 წლის წესდება

ამ მოკლე ხნის განმავლობაში რუსეთის სახალხო განათლების ცხოვრებაში მოხდა ორი მნიშვნელოვანი მოვლენა. პირველი—რუსეთის იმპერიის სახალხო განათლების სამინისტროს შექმნა 1802 წელს, მთელი იმპერიის სახალხო განათლების საქმის მართვა-გამგეობის ცენტრალიზაციის მიზნით, და მეორე—სამინისტროს მიერ „სახალხო განათლების წინასწარი წესების" შემუშავება 1803 წელს და ამ წესების საფუძველზე „უნივერსიტეტებისადმი დაქვემდებარებულ სასწავლებელთა წესდების" აღმოცენება 1804 წელს.

პ ა ვ ლ ე პ ი რ ვ ე ლ ი ს ფეოდალურ-მონარქიული რეაქციის პერიოდში რუსული სკოლის ცხოვრებაში კიდევ უფრო გაღრმავდა 1786 წლის წესდებით ორგანიზებული სკოლის ნაკლოვანებანი. პავლე I ცდილობდა გაეღრმავებინა გათიშულობა ხალხსა და სკოლას შორის და სკოლა დაებრუნებინა რუსეთის „ძველის-ძველ თავისებურებათადმი". ის ცდილობდა რუსი საზოგადოებრივობა და სკოლა კიდევ უფრო ჩამოშორებოდა დასავლეთ ევროპის პროგრესულ და ლიბერალურ იდეებს, და ეს გახდა მეფის წინააღმდეგ ახალგაზრდა ბურჟუაზიული ოპოზიციის აღმოცენების ერთ-ერთი მიზეზი.

ალექსანდრე I-ს ერთნაირად ეშინოდა როგორც დასავლეთიდან მოჰავალი თავისუფლებისა და თანასწორობის რევოლუციური იდეებისა, ისე თავის ქვეყანაში შესაძლო „სახალხო მღელვარებისა“, რაც შეიძლება გამოეწვია ამ იდეების წინააღმდეგ მისი ბრძოლის აუცილებლობას. ამ ორივე საფრთხისაგან თავის გადარჩენის ძმოცანამ აიძულა იგი ფორმალურად მხარი დაეჭირა 1789 წ. საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის იდეებისათვის როგორც საერთოდ, ისე კერძოდ განათლების საქმეებში, მაგრამ ფაქტიურად ყოველივე გაეკეთებია, რომ ეს იდეები ხალხამდე არ მისულიყო.

სახალხო განათლების ახალი სისტემის შემოღება გამოწვეული იყო არსებული სისტემის ზემოაღნიშნულ ძირითად ნაკლოვანებათა, თუნდაც ფორმალური გადალახვის აუცილებლობით, და რუსეთში საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის საგანმანათლებლო იდეების გავრცელების ფაქტით. სწორედ ამ აუცილებლობიდან გამომდინარეობდა 1804 წლის „უნივერსიტეტებისადმი დაქვემდებარებულ სასწავლებელთა წესდება“.

რუსეთის სახალხო განათლების ახალი წესდება, ითვალისწინებდა რა ქალაქისა და სოფლის მთელი მოსახლეობისათვის სასწავლებელთა სხვადასხვა ტიპს და აძლევდა რა უფლებას ყველა წოდებას მიებარებია შვილები რომელ მათგანშიც სურდა, აღიარებდა სახალხო განათლების ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო ბ ი ს ა და არაწოდებრივობის პრინციპს. სტოვებდა რა ძალაში 1803 წლის „წესების“ პირველ პარაგრაფს იმის შესახებ, რომ „რუსეთის იმპერიაში სახალხო განათლება წარმოადგენს განცალკევებულ სახელმწიფოებრივ ნაწილს“, 1804 წლის წესდება სახალხო განათლების სისტემას ანიჭებდა სახელმწიფოებრივ ხასიათს. ის აწესებდა დაწყებითი და საშუალო სკოლების სამ ძირითად ტიპს: ს ა მ რ ე ვ ლ ო ს—ერთკლასიანებს, როგორც ქალაქისა, ისე სოფლისათვის, ს ა მ ა ზ რ ო ს—ორკლასიანებს, სამაზრო და საგუბერნიო ქალაქებისათვის და გ ი მ ნ ა ზ ი ე ბ ს—ოთხკლასიანებს, საგუბერნიო ქალაქებისათვის. სასწავლებელთა ამ ტიპებს შორის სასწავლო გეგმის მიხედვით წესდებოდა მთლიანობა და თ ა ნ ა მ ი მ დ ე ვ რ ო ბ ა: სამრევლო სკოლები ამზადებდნენ სამაზრო სკოლების პირველი კლასისათვის, სამაზრო სკოლები—გიმნაზიის პირველი კლასისათვის, გიმნაზიები კი—უნივერსიტეტებისათვის; აქედან სასწავლებლის თითოეული მომდევნო ტიპი შენდებოდა წინა სკოლის ბა-

ზაზე, და ამგვარად, სამაზრო სასწავლებლებს ამთავრებდნენ ბავშვები სწავლების მე-3 წელს, ხოლო გიმნაზიებს კი—მე-7 წელს.

1804 წლის წესდება მოითხოვდა აგრეთვე სწავლების შეერთებას პრაქტიკულ მუშაობასთან (§ 28) და შრომის განსაზღვრულ დარგში ელემენტარული ტექნიკური ჩვევების დანერგვას მოწაფეებში (§§ 84, 119).

ყველა ტიპის სკოლაში სწავლება იყო უფასო.

1804 წლის წესდების ჩამოთვლილმა ნიშნებმა (საყოველთაობა და არაწოდებრივობა, განათლების სახელმწიფოებრივი ხასიათი, ყველა ტიპის სკოლების ერთიანობა და თანამიმდევრობა, სწავლების დაკავშირება პრაქტიკულ მუშაობასთან, უფასო სწავლება და ა. შ.) მისცა უფლება რუსეთის პედაგოგიკისა და სახალხო განათლების სისტემის ბევრ ისტორიკოსს ჩაეთვალათ ეს წესდება ლ ი ბ ე რ ა ლ უ რ ა დ.

თუ 1804 წლის წესდებას განვიხილავთ მხოლოდ ფორმალური თვალსაზრისით, ის მართლაც მოგვეჩვენება ლიბერალურად, მაგრამ თუ წარმოვიდგენთ რუსეთის სახალხო განათლების ფაქტიურ სისტემას, რომელიც ორგანიზებული იყო ამ წესდების შემდეგ, თუ განვიხილავთ მას პრაქტიკული მხრით, ე. ი. ხალხის მიერ წესდების უფლებათა რეალური გამოყენების თვალსაზრისით, ადვილად შეიძლება დავრწმუნდეთ, რომ მისი ლიბერალობა და სიახლე არის უბრალო ფიქცია.

აღნიშნული წესდების მოქმედების მთელი პერიოდის (1804—1828) რუსული სკოლის ისტორია და სტატისტიკა სავსებით ადასტურებს ამ მოსაზრებას. ამასვე ამტკიცებს იმავე პერიოდის საქართველოს ოფიციალური სკოლის ისტორია და ხასიათი.

4. თ ბ ი ლ ი ს ი ს კ ე თ ი ლ შ ო ბ ი ლ თ ა ს ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი

შემდეგ ოფიციალურ (მთავრობის) სასწავლებელს საქართველოში წარმოადგენდა თ ბ ი ლ ი ს ი ს კ ე თ ი ლ შ ო ბ ი ლ თ ა ს ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი, დაარსებული 1804 წელს, საქართველოს მთავარმართებელ ციციანოვის დროს; ალექსანდრე I ის 1803 წ. 8 აგვისტოს რესკრიპტში ციციანოვის სახელზე მას ეწოდებოდა „პირველდაწყებით

მეცნიერებათა სასწავლებელი“ *, მაგრამ გახსნის შემდეგ მას დაერქვა „თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი“.

აღნიშნული სასწავლებლის შესანახად, იმპერატორის თანხმობით, გადაწყვეტილი იყო წელიწადში ეხარჯათ 10.000 მან. იმ „შემოსავლიდან, რომელსაც იღებდნენ საქართველოში „ხარკის სახით ქარის პროვინციიდან შემოტანილ აბრეშუმში“ ** (ამავე თანხიდან ვარაუდობდნენ ყოველწლიურად ეხარჯათ 2200 მანეთი მოსკოვის უნივერსიტეტის პანსიონში 8 ახალგაზრდა ქართველის შესანახად, რომლებიც იქ უნდა ეგზავნათ ყოველწლიურად თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის დამთავრების შემდეგ).

თუმცა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი იყო დაარსებული მაღალი წოდების ბავშვებისათვის, მაგრამ პირველ ხანებში, ვინაიდან არ იყო ამ სასწავლებელში სწავლის მსურველ თავადაზნაურთა საკმაო რიცხვი, იღებდნენ მოქალაქეთა და სასულიერო წოდების ბავშვებსაც. ამასთან, თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლებში ბავშვთა უფრო მეტი რიცხვის მიზიდვის მიზნით, მოწაფეთათვის დაწესებულ იქნა „წამახალისებელი ჯამაგირი“ („Поощрительное жалованье“), თითოეულისათვის ხუთი მანეთის რაოდენობით ყოველთვიურად. „წამახალისებელ ჯამაგირს“ აძლევდნენ სასწავლებლის არსებობის მთელი დროის განმავლობაში (ასეთივე „ჯამაგირი“ არსებობდა პირველხანად პეტერბურგის გიმნაზიის (1725) და შემდეგ მოსკოვისა (1775) და ყაზანის (1804) გიმნაზიების მოწაფეთათვის). თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი დასაწყისში იყო ორკლასიანი, და სასწავლო გეგმა ძირითადად არ განსხვავდებოდა 1802 წლის თბილისის სკოლის სასწავლო გეგმისაგან. სწავლა წარმოებდა ქართულ და რუსულ ენებზე, ე. ი. ეთსა და იმავე საგნებს ასწავლიდნენ პირველად ქართულ ენაზე (ე. წ. ქართული კლასი), შემდეგ რუსულზე (ე. წ. რუსული კლასი)***.

---

* Акты, II, 198; აგრეთვე. „Центр. госуд. архив древних актов“, груз. дела, 1803, № 8. 39 (მოსკოვი).

** Акты, I. 196 (ციციანოვმა დაადგა ხარკად ქარ-ბელაქნის ლეკებს, მათი დამორჩილების შემდეგ, 1160 ლიტრა (220 ფ.) აბრეშუმი ან 13 200 მ. ვერცხლით წელიწადში).

*** რუსი მოწაფეები თავისუფლდებოდნენ „ქართული კლასისაგან“, ე. ი. ქართულ ენაზე საგნების სწავლისაგან, მაგრამ ქართული ენის, როგორც საგნის სწავლა, სავალდებულო იყო მათთვისაც.

1806 წელს გადაწყვიტეს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი გიმნაზიად გადაეკეთებინათ. საქართველოს მთავარმართებელი ციციანოვი 1805 წ. 28 ნოემბერს მოახსენებდა რუსეთის განათლების მინისტრს ზავადოვსკის, რომ ქართველები ჯერ არ სარგებლობენ მოსკოვის უნივერსიტეტში ბავშვების გაგზავნის უფლებით, ვინაიდან თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი არ იძლევა უნივერსიტეტში შესასვლელად საჭირო საშუალო საგიმნაზიო განათლებას; რაც შეეხება მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებულ გიმნაზიაში ბავშვების გაგზავნას, ამაზე მშობლები უარს ამბობენ, ბავშვთა მცირე ასაკის გამო მათ მიერ თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის დამთავრებისას. ამასთან დაკავშირებით ციციანოვი სთხოვდა ზავადოვსკის მისთვის ნება დაერთო მოსკოვის უნივერსიტეტის პანსიონში გასაგზავნ ქართველ მოსწავლეთათვის განზრახული თანხიდან 2000 მ. წელიწადში „გამოეყენებინა მასწავლებელთათვის და აქვე შეესრულებინა უკვე მთელი საგიმნაზიო სწავლა“.*.

დადებითი პასუხის მოლოდინში თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის სასწავლო გეგმაში 1805 წლიდან შეიტანეს ლათინური და გერმანული ენები, ოოგორც გიმნაზიის სასწავლო საგნები, გათვალისწინებული 1804 წლის წესდებით **.

იმპერატორის ნებართვა მიღებულ იქნა ზავადოვსკისაგან 1806 წ., საქართველოს მთავარმმართველ გუდოვიჩის დროს, და გადაწყვეტილი იყო ამ წლიდან კეთილშობილთა სასწავლებლის პირველი ორი კლასისათვის შემდეგი კლასების თანდათანობითი მიმატებით აეყვანათ ეს სასწავლებელი გიმნაზიის სრულ კურსამდე. 1804 წლის დებულების მიხედვით, გიმნაზიები შესდგებოდა სამრევლო სასწავლებლის 1 კლასისა, სამაზროს—2 კლასისა და „საკუთრივ საგიმნაზიო“—4 კლასისაგან, ასე რომ თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი შეიძლებოდა გადაკეთებულიყო გიმნაზიად 5 წლის განმავლობაში, მაგრამ ამ საქმისადმი არასაკმაო ყურადღების გამო—ციციანოვის მომდევნო მთავარმართებელთა მხრივ—ეს გადაკეთება კარგა ხნით გადაიდო. მცირე ხნის შემდეგ თბილისის კეთილშობილთა

---

* Акты, II, 201.

** ფრანგული ენა, გათვალისწინებული იმავე წესდებით, არ იყო შემოღებული თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში, ვინაიდან მის შეჰცვლელად აქ ითვლებოდა ყველა მოსწავლისათვის სავალდებულო ქართული ენა.

სასწავლებლის ორივე კლასში შეიქმნა ორ-ორი განყოფილება სწავლების 1-წლიანი კურსით თითოეულ მათგანში. ერთ ხანს პირველი კლასი ითვლებოდა უფროს (მაღალ) კლასად, ხოლო მეორე—უმცროს (დაბალ) კლასად.

1810 წელს საქართველოს მთავარმართებელმა ტორმასოვმა სთხოვა რუსეთის განათლების მინისტრს ზავადოვსკის (შემდეგ რაზუმოვსკის) და სამხედრო მინისტრს ბარკლაი დე-ტოლის ზოგადსაგანმანათლებლო კეთილშობილთა სასწავლებლის ნაცვლად თბილისში დაეარსებიათ „კეთილშობილთა სამხედრო სასწავლებელი“, სამხედრო სასწავლებელთა 1805 წლის დებულების მიხედვით. ტორმასოვი ასაბუთებდა თავის აზრს მით, რომ „ადგილობრივ მცხოვრებთა, განსაკუთრებით თავად-აზნაურობის, ხასიათში ჩანერგილია სული და მიდრეკილება სამხედრო სამსახურისადმი“ *. სამხედრო სასწავლებელს უნდა მოემზადებინა მოსწავლეები კადეტთა კორპუსში შესასვლელად. მასში იყო გათვალისწინებული 8-წლიანი სწავლის კურსი და 200-კაციანი კონტინგენტი.

ტორმასოვის თხოვნა უშედეგოდ დარჩა.

შემდეგ წელს ახალმა მთავარმართებელმა პაულუჩმა ხელახლა სთხოვა რაზუმოვსკის, დაეარსებია თბილისში სამხედრო სასწავლებელი, „როგორც ხალხის ნაციონალური ხასიათის შესაბამისი“ **, მაგრამ არც მისი თხოვნა იქნა დაკმაყოფილებული.

1813 წლიდან თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელს მიუყენეს 1804 წლის წესდების § 52, რომლის მიხედვითაც სასწავლებლის სასწავლო გეგმაში შედიოდა „ისტორიული, მეტეოროლოგიური, ტოპოგრაფიული, სტატისტიკური ჩანაწერები (საქართველოზე), რომელშიც უნდა ყოფილიყო ცნობები მიწის მუშაობის, დათესვისა და მომკის დროის, მიწის თვისებების, მიწის მუშაობაში გამოსაყენებელი იარაღებისა და სხვა საგნების შესახებ, რომლებიც საჭიროა საერთო მეურნეობის ზუსტად გაცნობისათვის“.*** ამ საგნების სწავლება, წესდების ხსენებული პუნქტის თანახმად, წარმოადგენდა მასწავლებელთა „დამატებით ვალდებულებას, რომლისთვისაც მათ ჰქონდათ უფლება განსაკუთრებული ჯილდოს მოლოდინისა“, მაგრამ ამ საგნების სწავლებისათვის არ იყო დამზადებული ხსენებული

* Акты, IV, 58.
** Акты, V, 24.
*** იქვე, 275.

„ჩანაწერები“, ე. ი. სასწავლო მასალა, და ამიტომ ეს ღონისძიება შეუსრულებელი დარჩა.

თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი თავისი არსებობის დასაწყისში საკმაო ავტორიტეტით სარგებლობდა მოსახლეობაში. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისა და პედაგოგიური პერსონალის გაუმჯობესებამ, ქართული ენის სწავლებისადმი ცოტად თუ ბევრად ღირსეულმა დამოკიდებულებამ და მისმა ნამდვილმა გამოყენებამ მეცნიერებათა სწავლების პროცესში და აგრეთვე მოსწავლეთა კარგმა წარმატებამ, აამაღლა კეთილშობილთა სასწავლებლის ავტორიტეტი. ასე, მაგალითად, სასწავლებლის გახსნიდან 2 წლის შემდეგ, 1806 წ., 60 მოწაფისაგან შემდგარი კონტინგენტი უკვე აღარ აკმაყოფილებდა სასწავლებელში შესვლის მსურველთ, და თბილისის მცხოვრებთა თხოვნით საქართველოს მთავარმართებელმა გუდოვიჩმა მისწერა საქართველოს მმართველს ლიტვინოვს გაედიდებინა კეთილშობილთა სასწავლებლის კონტინგენტი კიდევ 25 კაცით.

აღნიშნული სასწავლებლის ავტორიტეტს ქმნიდა უმთავრესად სასწავლებლის დირექტორი ალ. პეტრიაშვილი, რომელიც ასრულებდა ამ თანამდებობას 1804 წლიდან 1811 წლამდე. მთელი ამ ხნის განმავლობაში მან შესძლო სასწავლო-აღმზრდელობითი რეჟიმი აეყვანა სათანადო სიმაღლეზე. მაკრამ აღნიშნული თანამდებობიდან ალ. პეტრიაშვილის განთავისუფლების (1811 წ.) შემდეგ თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის ავტორიტეტი გარკვეულად შეირყა თვით „კეთილშობილთა“ თვალშიც. ამის ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ ქართული ენა, როგორც სწავლების ენა, ჯერ ნაწილობრივ, შემდეგ კი სრულიად იქნა გამოძევებული (ის რჩებოდა მხოლოდ სასწავლო საგნად), შემოღებულ იქნა მკაცრი დისციპლინა, პედაგოგიური პერსონალი არ შეეფერებოდა თავის დანიშნულებას არც თავისი განათლებით და პედაგოგიური ოსტატობით, არც ზნეობრივად და, რაც მთავარია, სასწავლებელს არ მოჰქონდა მოსახლეობისათვის ნამდვილი სარგებლობა როგორც მეცნიერული ცოდნის გავრცელებით, ისე პრაქტიკული მუშაობისათვის (სამსახურისათვის) მოსწავლეთა მომზადებით. ამის გამო, 1811 წლიდან, მთელი 10 წლის განმავლობაში, მოსწავლეები ხშირად სტოვებდნენ სასწავ-

ლებელს. ზოგჯერ განთესვის პროცენტი აღწევდა 50-ს და მეტს (მაგალითად, 1811—1815 წწ.)*.

სასწავლებელთა მთავარი მმართველობა არ მალავდა და საკმაოდ სისწორით აღნიშნავდა მოწაფეთა განთესვის მიზეზს. ასე, მაგალითად, საქართველოს მთავარმართებელი რტიშჩევი 1814 წ. სწერდა სამოქალაქო გუბერნატორს სიმონოვიჩს: „დაარწმუნეთ მასწავლებლები და თვით სასწავლებლის დირექტორის თანამდებობის ამსრულებელი ბუკრინსკი, რათა უფრო ბეჯითად ასწავლონ ბავშვებს და ყურადღება მიაქციონ მათ, ვინაიდან მთავარმა მმართველობამ შენიშნა უკვე მასწავლებლების უმოქმედობა და შეიძლება ამის გამოც ზოგიერთი მშობელი არ აგზავნის თავის ბავშვებს სასწავლებელში, რადგანაც ვერ ხედავს მისგან რაიმე სარგებლობას. ამის დამამტკიცებელი ისაა, რომ ზოგიერთი ბავშვი, ორი წლის სწავლის შემდეგ, ვერ ახერხებს რუსულად ერთი სიტყვის თქმასაც კი“.**

ცხადი იყო, რომ სასწავლებლის საზოგადოებრივი როლის ასამაღლებლად საჭირო იყო მისი ავტორიტეტის დაცემის ხსენებული მიზეზების გადალახვა, მაგრამ სიმონოვიჩმა სხვა ვერაფერი მოიგონა, გარდა იმისა, რომ გასცა განკარგულება არ მიეღოთ მოსწავლენი სამსახურში, სანამ ისინი არ დაამთავრებდნენ კეთილშობილთა სასწავლებლის ან მისი შესაბამისი საზოგადოებრივი ან კერძო სასწავლებლის სრულ კურსს.

ჩქარა, ამის შემდეგ, თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის ოთხი განყოფილება (ორ-ორი თითოეულ კლასში) გადაკეთდა ცალკე კლასებად და ამნაირად ის შეიქნა 4-კლასიანი სასწავლებელი.

1819 წლიდან სამხედრო განათლების მიღების მსურველთათვის (სამხედრო სამსახურში ან სპეციალურ სამხედრო სასწავლებლებში შესასვლელად) თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის სასწავლო გეგმაში შეტანილ იქნა: გეოდეზია, საველე ფორტიფიკაცია, სამოქალაქო არქიტექტურა, სიტუაცია, აგრეთვე თათრული (აზერბაიჯანული) ენა და ცეკვა. ამასთან დაკავშირებით იმავე წელს სასწავლებელში დამატებით გაიხსნა V კლასი.

ამგვარად, 1820 წლისათვის თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში ისწავლებოდა: საღვთო სჯული, რუსული ენა, გერმანული ენა, ლათინური ენა, ქართული ენა, თათრული (აზერბაიჯანული) ენა, არითმეტიკა, ალგებრა, გეომეტრია, საველე ფორტიფიკაცია,

* 1814—1815 წელს კეთილშობ. სასწავლებელში ირიცხებოდა 156 კაცი.
** Акты, V, 276.

სიტუაცია, გეოდეზია, სამოქალაქო არქიტექტურა, საყოველთაო, რუსეთის და საქართველოს ისტორია, საყოველთაო და რუსეთის გეოგრაფია, ხაზვა, ხატვა.

1823 წ. თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელს მიუმატეს VI კლასი და სასწავლო გეგმითაც იგი არსებითად უკვე ძალიან მიუახლოვდა გიმნაზიას, მაგრამ ოფიციალურად ეს სახელი ჯერ კიდევ არ ეწოდებოდა. ამ სასწავლებლის გადაკეთება გიმნაზიად გამოწვეული იყო არა მხოლოდ იმით, რომ თბილისში საჭირო იყო ოფიციალური საშუალო სასწავლებელი, რომელიც იურიდიულ უფლებას მისცემდა მოსწავლეებს უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად, არამედ იმითაც, რომ აემაღლებინათ სასწავლებლის საალმზრდელო და საგანმანათლებლო მუშაობა და მოწაფეთა წარმატება გიმნაზიის სასწავლო-პედაგოგიური პროცესის, აღმზრდელობითი რეჟიმის, მმართველობისა და კონტროლის დაწესებით*.

1828 წ. სიპიაგინი, რომელმაც განაახლა თხოვნა განათლების მინისტრ შიშკოვისადმი თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის გადაკეთების შესახებ, სწერდა, რომ „ამ სასწავლებელში არ არიან წესიერი მასწავლებლები, არ არის საგნების წესიერი განაწილება და, მაშასადამე, არც წარმატებაა მოსწავლეთა მხრივ, თუმცა ისინი ბუნებით ნიჭიერნი არიან და ყოველთვის ბეჯითად ჰკიდებენ ხელს მეცნიერებას“ **.

ამ ნაკლოვანებათა აცილების ერთ-ერთ ძირითად პირობად ის სამართლიანად თვლიდა აღნიშნული სასწავლებლის გიმნაზიად გადაკეთებას, რაც განხორციელდა 1829 წელს.

თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელმა თავისი არსებობის 25 წლის მანძილზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა XIX ს. ქართული კულტურის ისტორიაში. ის ამზადებდა ადმინისტრაციულ-სამოქალაქო სამსახურის მოხელეებს, 1804 წ. წესდებით გათვალისწინებული სამრევლო და სამაზრო სკოლების მასწავლებლებს და მთარგმნელ-თარჯიმანებს სამოსამართლო-ადმინისტრატიულ დაწესებულებათათვის***. თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის მო-

---

* დაწვრილებით თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის შესახებ: ტრ. ზუნდაძე — „საერო განათლება საქართველოში XIX ს. პირველ ნახევარში“, კრებული, „სწავლა-განათლების ისტორია საქართველოში“, I, 74—87, 1937.

** Акты, VII, 62.

*** XIX ს პირველი ნახევრის განმავლობაში დიდი მოთხოვნილება იყო მთარგმნელებზე ადგილობრივი ენებიდან რუსულზე — და პირიქით, მაგ., 1812 წ. მხოლოდ საქართველოს მთავარმართებლის კანცელარიის შტატში ირიცხებოდა

წინაკე მასწავლებლები აწარმოებდნენ მუშაობას ადგილობრივი ხასიათის სასწავლო წიგნების შედგენაზე (ქართული ენა, გრამატიკა, ქართული ლიტერატურის ისტორია, საქართველოს ისტორია და სხვ.). ამ სახელმძღვანელოთა ნაწილი იბეჭდებოდა ციციანოვის მიერ 1804 წელს, ამავე სასწავლებელთან მოწყობილ სტამბაში. კეთილშობილთა სასწავლებელში მიიღეს განათლება საქართველოს ისეთმა გამოჩენილმა საზოგადო მოღვაწეებმა, როგორიც იყვნენ: ფილოლოგი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი დ. ჩუბინაშვილი, პუბლიცისტი, ლიტერატორი და პედაგოგი დიმიტრი ყიფიანი, სამხედრო მოღვაწე ლევან მელიქიშვილი, მწერალი, მთარგმნელი რუსულიდან ქართულად ი. გარსევანიშვილი, ლიტერატორები კონსტანტინე მამაცაშვილი და დ. ჯორჯაძე, მწერლები ნ. ბარათაშვილი, გრ. ორბელიანი, გ. ერისთავი, მიხ. თუმანიშვილი და სხვ.

თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის ირგვლივ იკრიბებოდნენ იმ დროის მოწინავე ადამიანები, მის კედლებში თარგმნიდნენ, წერდნენ, ადგენდნენ სასწავლო, დამხმარე და საკითხავ წიგნებს, ხელნაწერ ალმანახებს და მხატვრულ ნაწარმოებთა ქრესტომათიებს.

—

XIX საუკუნის დასაწყისში სხვა სკოლების გახსნის ცდაც იყო საქართველოში. თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი, წარმოადგენდა რა სასწავლებელს თავადაზნაურთა და მაღალი კლასის მოხელეთათვის, სულ უფრო და უფრო მეტად ისაზღვრებოდა აღნიშნული ფენების მოთხოვნილებით. ხალხს არ ჰქონდა სახელმწიფო სკოლები, არ იყო აგრეთვე არც საზოგადოებრივ სასწავლებლები. შედარებითი მშვიდობიანობა, რომელიც დამყარდა საქართველოში XIX ს. დასაწყისში, უკვე წარმოადგენდა ერთ-ერთ მთავარ შესაძლებლობას ხალხში განათლების შესატანად. მაგრამ, ვიმეორებთ, მისთვის არ იყო სკოლები. ამასთან დაკავშირებით საგრძნობლად იზრდებოდა მოსახლეობის მოწინავე ფენებისა და, პირველ ყოვლისა, ქალაქის საზოგადოების უკმაყოფილება.

---

6 მთარგმნელი—ქართული, სომხური, ირანული, არაბული, თურქული ენებისათვის და ერთიც „სიტყვიერი მთარგმნელი" ანუ თარჯიმანი (მთხოვნელებთან საუბრისათვის). Акты, V, 19.

ყოველივე ეს შესამჩნევი იყო ჯერ კიდევ მთავარმართებელ პ. ციციანოვის დროს. ციციანოვი არა სთვლიდა ამ უკმაყოფილებას სასარგებლოდ საქართველოში ახალი წესრიგის განმტკიცებისათვის და 1804 წ. 31 მაისს სწერდა განათლების მინისტრ ზავადოვსკის, რომ მას განზრახული აქვს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის მოსწავლეთა კონტინგენტის გადიდება 10 კაცით „მღვდლების შვილებისაგან", რომელთაც ჩინებულად იციან ქართული ენა და არიან არანაკლებ 15 წლის ასაკისა—იმისათვის, რომ მოკლე დროში გვყავდეს მასწავლებლები გორში და თელავში განზრახული სკოლების თავის დროზე მოსაწყობად*. კეთილშობილთა სასწავლებლის კონტინგენტი მართლაც იქნა გადიდებული, მაგრამ ამ ადგილებში სკოლები დიდხანს არ დაარსებულა. ამას გარდა, XIX ს. პირველ ათწლედის დამლევს, საქართველოს მმართველმა ლიტვინოვმა (1806—1809) ითხოვა ნებართვა თბილისში და საქართველოს სხვა ადგილებში სახალხო სკოლების გახსნისა. მას განზრახული ჰქონდა ამ სასწავლებელთა შესანახად გამოეყენებია მარკიტანტებისაგან (ვაჭრობის უფლებისათვის) შემოსული თანხები. მაგრამ არც ეს ცდა დამთავრებულა წარმატებით: ლიტვინოვის დროს არც თბილისში, არც სხვაგან სახალხო სკოლები არ დაარსებულა.

ამგვარად, XIX ს. პირველი 15 წლის განმავლობაში აღმოსავლეთ საქართველო რჩებოდა მთავრობის მხოლოდ ერთი, თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის ამარა, ხოლო იმერეთსა და მთელ დასავლეთ საქართველოს არა ჰქონია არცერთი სახელმწიფო სკოლა. ამ გარემოებამ აიძულა აღმოსავლეთ საქართველოს სამოქალაქო გენერალ-გუბერნატორი და იმერეთის მმართველი სიმონოვიჩი, 1814 წელს თავის პატაკში მთავარმართებელ რტიშჩევისადმი, გამოეთქვა სურვილი „იმერეთში, ქ. ქუთაისში სკოლის დაარსებისა, რათა ამ სკოლაში ესწავლებინათ მეცნიერებათა პირველი საწყისები, ე. ი. ქართული და რუსული ანბანი, არითმეტიკა და საღვთო სჯული". ამისათვის სიმონოვიჩს უნდოდა „მხოლოდ ორი მასწავლებელი, ერთი რუსულის მცოდნე ქართველი, მეორე კი რუსი"**. ქუთაისის სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სწავლის გაგრძელების მსურველთ, სიმონოვიჩის ვარაუდით, შეეძლოთ თბილისის კე-

* Акты, II, 199.
** Акты, V, 498.

თილშობილთა სასწავლებელში შესვლა. არ ვიცით, მიიღო თუ არა თანხმობა პატაკის ავტორმა, მაგრამ იმ დროს ქუთაისში მთავრობას არავითარი სასწავლებელი არ გაუხსნია.

ყოველგვარი სკოლის გარეშე რჩებოდა აგრეთვე ზღვისპირიც, კერძოდ, აფხაზეთი. 1810 წ. აფხაზეთის ერთი სასულიერო პირთაგანი, იოანე იოსელიანი, ამბობდა, რომ „აფხაზეთის შცხოვრებნი წერა-კითხვის უცოდინარნი და გაუნათლებელნი არიანო“ *, და მოითხოვდა ლუხუნის (ლიხნის) ეკლესიასთან დაწყებითი სკოლის გახსნას პირველად 12 მოწაფით. ამ სკოლაში, მისი აზრით, აფხაზ ბავშვებს უნდა ესწავლათ რუსული და ქართული ენები, საეკლესიო კითხვა და წერა და საეკლესიო გალობა. იოსელიანის მოთხოვნას მბარი არ დაუჭირეს ცენტრში (თბილისში). მას არ მისცეს რუსული ენის მასწავლებელი, დანარჩენი საგნებისათვის კი ის თავის ხარჯზე შოულობდა მასწავლებლებს.

სკოლების გახსნის შესახებ მთელი ამ ოფიციალური მიწერ-მოწერის წარმოებას მეფის მოხელეები სთვლიდნენ საჭიროდ მხოლოდ იმიტომ, რომ ეჩვენებინათ ქართველი ხალხისათვის ახლადშეერთებული ქვეყნის განათლებაზე რუსეთის იმპერატორის „დაუღალავი ზრუნვა“. ფაქტიურად კი ყველა ეს განხრახვა, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის ბევრი სხვა დაპირება, არ განხორციელებულა.

5. თბილისის სასულიერო სემინარია და სასულიერო სასწავლებლები

მესამე ოფიციალური სასწავლებელი XIX ს. პირველ ნახევრის საქართველოში იყო თბილისის სასულიერო სემინარია, დაარსებული 1817 წელს „სასულიერო-საეკლესიო მსახურთა შვილების სწავლებისათვის და სასულიერო სამსახურისთვის მათ მოსამზადებლად“. ამას გარდა, თბილისის სასულიერო სემინარიას ეკისრებოდა მასწავლებელთა მომზადებაც 1817 წლიდან საქართველოში გასახსნელ სამაზრო სასულიერო სასწავლებელთათვის.

სასულიერო სასწავლებლის დაარსება თბილისში დაპროექტებული იყო ჯერ კიდევ 1809 წლიდან. ასე, მაგალითად, საქართველოს

* Акты, VI, ნაწ. II, 851.

მთავარმართებელი გენ. ტორმასოვი 1809 წ. 6 ივნისს ქართველი სამღვდელოების დაჟინებითი მოთხოვნით სწერდა უწმ. სინოდის ობერ-პროკურორს გალიცინს, რომ „სასულიერო წოდების ბავშვთა სასწავლებლად ფრიად საჭიროა თბილისში სასულიერო სემინარიის დაარსება, რომ ამგვარად თავის დროზე აქ გვყავდეს განათლებული სასულიერო წოდება და არა ისეთი, როგორიც ახლაა, რომლის უდიდესი ნაწილიც უკიდურესად უცოდინარია, ბევრი მათგანი კი ძლივ-ძლივობით კითხულობს, და ამასთან ხშირია მაგალითი, რომ მღვდლებმა სრულიადაც არ იციან წერა“ *. უწმინდესი სინოდი არ აჩქარებდა პასუხს და ტორმასოვმა ეს მიიღო, როგორც უარი მის მიერ ნათხოვნი სემინარიის გახსნაზე. ამიტომ 1811 წ. თავის მიმართვაში გალიცინისადმი მან ხელახლა აღძრა საკითხი საქართველოში არა სასულიერო სემინარიის, არამედ სასულიერო გიმნაზიის დაარსებისა „მღვდლებისა და დიაკვანთა შვილებისათვის“; პირველად უნდა მიეღოთ 60 კაცი **. სასულიერო გიმნაზია უნდა დაარსებულიყო ისეთივე მიზნით, როგორც 1809 წ. ნათხოვნი სასულიერო სემინარია. ამასთანავე ტორმასოვს საჭიროდ მიაჩნდა საქართველოში სამაზრო სკოლების გახსნა ყველა მოქალაქეთათვის.

ამ სკოლებში ითვალისწინებდნენ ბავშვებისათვის რუსული ენის, ქართული ენის და არითმეტიკის სწავლებას***. 1811 წ. 30 ივნისს ალექსანდრე I დაამტკიცა სინოდის მოხსენება, რომელშიც ნათქვამი იყო „სასულიერო-საეკლესიო მსახურთა შვილების სწავლებისათვის და სასულიერო წოდებისათვის მათ მოსამზადებლად დაწესებულ იქნეს პირველ შემთხვევაში გიმნაზიის ნაცვლად სასულიერო-სემინარია, რაც შეეხება სამაზრო სასწავლებელს, ასეთები გაიხსნას შესაფერ ადგილებში მაშინ, როდესაც საამისოდ სემინარიაში მომზადებული იქნებიან მასწავლებლები“.****. მაგრამ იმპე-

---

* Акты, IV, 139—140 (ჩვენ უკვე ვწერდით, რომ შეფის რუსეთის მოხელეები, მათ შორის გენ. ტორმასოვიც, უჭიცებად სთვლიდნენ ყველა ადგილობრივ მკვიდრს, რომელთაც არ იცოდნენ რუსული ლაპარაკი, და წერა-კითხვის უცოდინარებად მიაჩნდათ ყველა, ვინც ვერ წერდა და ვერ კითხულობდა რუსულად, მიუხედავად მათი განათლების დონისა მმობლიურ ენაზე).

** Акты, IV, 163.

*** ამ სამაზრო სასწავლებლებს არ ჰქონდა არავითარი მსგავსება 1804 წლის წესდებით გათვალისწინებულ სამაზრო სასწავლებლებთან. ტორმასოვის სამაზრო სასწავლებლები უფრო ელემენტარული იყო, ვიდრე იმავე წესდებით გათვალისწინებული სამრევლო სასწავლებლები.

**** Акты, IV, 169.

რატორის სანქციის შემდეგაც საჭირო გახდა ექვსი წელი იმისათვის, რომ სინოდის გადაწყვეტილება სისრულეში მოსულიყო.

სასულიერო სემინარია ზეიმით გაიხსნა 1817 წლის 1 ოქტომბერს, ავლაბარში. ის მოათავსეს შენობაში, რომელიც წინათ ეკუთვნოდა საქართველოს დედოფალს (მეფე ერეკლე II მეუღლეს) დარეჯანს. ერთდროულად სემინარიასთან გაიხსნა სასულიერო სასწავლებელიც, როგორც სემინარიისათვის მოსამზადებელი საფეხური.

თბილისის სასულიერო სემინარიის გახსნის პირველ წელს მასში მიღებულ იქნა 16 კაცი (ნაწილი თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლიდან, ნაწილსაც შეადგენდნენ კერძო სკოლების მოსწავლენი ან ინდივიდუალური წესით აღზრდილნი), მასთან დაარსებულ სასულიერო სასწავლებელში კი—30.

თბილისის სასულიერო სემინარია სათანადო (ათწლიანი) საორგანიზაციო პერიოდის შემდეგ შესდგებოდა სამი განყოფილებისა ანუ კლასისაგან: I. უმცროსი განყოფილება (რიტორიკის, 1827 წლიდან ფილოლოგიის კლასი), II. შუა განყოფილება (ფილოსოფიის კლასი, 1823 წლიდან), III. უფროსი განყოფილება (ღვთისმეტყველების კლასი, 1827 წლიდან). სწავლების ვადა თითოეულ ამ განყოფილებაში ანუ კლასში იყო ორწლიანი; ამგვარად, მთელ სემინარიაში სწავლება გრძელდებოდა 6 წელს.

სემინარიის სასწავლო გეგმაში შედიოდა შემდეგი დისციპლინები: 1) რიტორიკის (ფილოლოგიის) კლასში: რიტორიკა, საყოველთაო (სამოქალაქო) ისტორია, საეკლესიო ისტორია, რუსეთის ისტორია, საყოველთაო გეოგრაფია და რუსეთის გეოგრაფია, გალობა, რუსული და ქართული ენები (პრაქტიკული მეცადინეობა თარგმანებზე. რუსულიდან ქართულად და პირუკუ); 2) ფილოსოფიის კლასში: ფილოსოფია, ფილოსოფიის ისტორია, საყოველთაო (სამოქალაქო) ისტორია, საეკლესიო ისტორია, გალობა, რუსული და ქართული ენები, პრაქტიკული მეცადინეობა თარგმანებზე რუსულიდან ქართულად და პირუკუ; 3) ღვთისმეტყველების კლასში: ღვთისმეტყველება, ეკლესიის ისტორია, გერმენევტიკა, ახალი აღთქმა*.

---

* შემდეგში სემინარიის სასწავლო გეგმა განიცდიდა ერთგვარ ცვლილებებს დისციპლინების რიცხვის გაფართოებისა ან შემცირების მხრივ კლასების მიხედვით. 1835 წლიდან შემოიღეს ბერძნული და ლათინური, შემდეგ კი ახალი უცხო ენებიც (ფრანგული, გერმანული) და ამ წლიდან თბილისის სემინარიის კურსდამთავრებულთ სტუდენტის წოდება ენიჭებოდათ.

1833 წელს თბილისის სასულიერო სემინარიასთან გაიხსნა ბურსა (რომელიც 1827 წელს იყო ნავარაუდევი).

თბილისის სასულიერო სემინარიამ იარსება ზუსტად 100 წელიწადს (1817—1917). ამ ხნის განმავლობაში ის რამდენჯერმე იყო რეორგანიზებული დროის მოთხოვნებთან შეგუების მიზნით. რეორგანიზაცია უმთავრესად ეხებოდა მის შინაგან ცხოვრებას: აღზრდა-განათლების შინაარსს. ემსახურებოდა რა თავის მიზანს, მართლმადიდებელი ეკლესიის ერთგულ მსახურთა აღზრდას, თბილისის სასულიერო სემინარია მიისწრაფვოდა: „დაემყნა აღსაზრდელთა გონებასა და გულში ქრისტიანულ საწყისთა ისეთი რტოები, რომლებიც ისტორიისა და მეცნიერების მიერ აღიარებული არიან ყველაზე უფრო ნაყოფიერად და კეთილ-სასარგებლოდ“ *. ასეთ, ყველა სასულიერო სასწავლებელთათვის საერთო, პრინციპებზე შენდებოდა განათლების სისტემა თბილისის სასულიერო სემინარიაში. ბუნებრივია, რომ სემინარიის სასწავლო-აღმზრდელობითი რეჟიმიც უნდა ყოფილიყო მართლმადიდებელი ეკლესიის ჭეშმარიტ მისიონერთა მომზადების ამოცანების შესაბამისი, და მართლაც, სემინარიაში მთელი მისი არსებობის განმავლობაში გაბატონებული იყო სწავლების წიგნურ-სქოლასტიკური მეთოდები: დოგმატიზმი, ზეპირობა, ტექსტების უაზრო დასწავლა, მექანიკური გამეორება და მოსწავლეთა გონების დამაჩლუნგებელი სწავლების სხვა ხერხები. „პედაგოგიური სისტემის მთავარი თვისება ბურსაში (სემინარიაში—გ. თ.)—ესაა ზეპირობა, ზეპირობა საშინელი და მომაკვდინებელი. ის სჭვალავდა მოსწავლის სისხლსა და ხორცს. ასოს გაჭოტოვება, სიტყვის გადასმა ითვლებოდა დანაშაულად“— წერს ნ. გ. პ ო მ ი ა ლ ო ვ ს კ ი. ასეთივე თვისება ახასიათებდა თბილისის სასულიერო სემინარიის პედაგოგიურ სისტემასაც. აქ მუდამ ბუდობდა ინტრიგა, შოვინიზმი, ლოთობა, გარყვნილობა და უზნეობის სხვა სახეები პედაგოგიურ პერსონალსა და ადმინისტრაციაში. სემინარიის ადმინისტრაცია მოითხოვდა მოწაფეთაგან ბრმა მორჩილებას, აწყობდა მათ შორის დაბეზღებას, ნერგავდა პირფერობას, მიყურებას და ადამიანის ღირსების დამამცირებელ სხვა თვისებებს. სწორედ თბილისის სასულიერო სემინარიის შესახებ ლაპარაკობდა ამხანაგი ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, რომ აქ ადგილი ჰქონდა... „თვალის-

* Пл. Иоселиани, Речь, произнесенная в зале Тифл. дух семинарии по случаю торжества пятидесятилетия, 21, 1867.

დევნებას, შპიონაჟ'ს, სულში ჩაძვრომას, აბუჩად აგდებას" * და მოსწავლეთა დამცირების სხვა ფორმებს. წესრიგის დასაცავად სემინარიის ადმინისტრაცია ხშირად მიმართავდა როზგს, კარცერსა და მოსწავლეთა დასჯის სხვა სასტიკ ზომებს.

1833 წლიდან თბილისის სემინარიაში შემოიღეს ე. წ. კონდუიტის წიგნი, სადაც მოწაფეთა წარმატებისა და ყოფაქცევის ნიშნებს გარდა, შეჰქონდათ მათ მიერ დისციპლინის დარღვევის ყოველგვარი ფაქტი, ყოველი დანაშაული. კვირაში ერთხელ ინსპექტორი აჯამებდა ამ ფაქტებს, დანაშაულის სახეებს და ადგენდა სასჯელის ფორმას: გარიცხვა, კარცერი, როზგი, „ლინეიკა", დაჩოქება, კუთხეში გაჩერება და სხვ.

განსაკუთრებით მკაცრად სჯიდნენ სემინარიაში ე. წ. „კრამოლური", ე. ი. რევოლუციური ლიტერატურის კითხვისათვის. აკრძალული იყო რუსეთის მოწინავე მოაზროვნეების, რევოლუციური დემოკრატების ბ ე ლ ი ნ ს კ ი ს, ჩ ე რ ნ ი შ ე ვ ს კ ი ს, დ ო ბ რ ო ლ უ ბ ო ვ ი ს, პ ი ს ა რ ე ვ ი ს და სხვ. კითხვა. აკრძალული იყო აგრეთვე დ ა რ ვ ი ნ ი და ბუნებისმეტყველი-მატერიალისტები.

მიუხედავად ასეთი მკაცრი რეჟიმისა, თბილისის სასულიერო სემინარია მაინც იზიდავდა მოსწავლეთა საკმაოდ დიდ კონტინგენტს. ეს გარემოება უნდა აიხსნას იმით, რომ სემინარიაში მიღება არ იყო შეზღუდული სოციალური (წოდებრივი) წარმოშობით, და, რაც მთავარია, ის უფრო სოლიდურ ცოდნას იძლეოდა, ვიდრე გიმნაზია. ასე, 1860 წლისათვის თბილისის სასულიერო სემინარიის სასწავლო გეგმაში, ზემოაღნიშნული საგნების გარდა, შედიოდა როგორც სავალდებულო: უმცროს განყოფილებაში (1—2 კლ.) ალგებრა, გეომეტრია, ბოტანიკა; შუა განყოფილებაში (3—4 კლ.) ფსიქოლოგია, ლოგიკა, რუსული და ქართული სამოქალაქო ისტორია, ფიზიკა, ზოოლოგია, სახალხო მედიცინა; უფროს განყოფილებაში (5—6 კლ.) არქეოლოგია, სოფლის მეურნეობა, სახალხო მედიცინა (გაგრძელება), მეფუტკრეობა. ამას გარდა სემინარია აწარმოებდა მოსწავლეთა პრაქტიკულ მომზადებას პედაგოგიური მუშაობისათვის, ჰ ონდა პანსიონი და საერთო საცხოვრებელი ყველა მოსწავლისათვის და სტიპენდიები სამღვდელოების შვილთათვის. უმთავრესად ეს, და არა საეკლესიო სამსახურისათვის მომზადების „დაუცხრომელი" სურვილი, იზიდავდა მოსწავლეებს სასულიერო სემინარიაში. ამ გა-

* И. Сталин, Беседа с немецким писателем Ем. Людвигом, 10, 1939.

რემოების წყალობით სემინარიაში ხშირად სწავლობდნენ მშრომელთა წრიდან გამოსული მომავალი საზოგადო მოღვაწეები: მეცნიერები, პუბლიცისტები, მწერლები, რევოლუციონერები; ასე, მაგალითად, თბილისის სემინარიაში 1871 წლამდე მიიღეს განათლება ფილოსოფოსმა და პედაგოგმა სოლომონ დოდაშვილმა, ისტორიკოსებმა პლ. იოსელიანმა, დ. ბაქრაძემ, პუბლიცისტმა ნ. ბერძენიშვილმა, ლიტერატორმა დ. ფურცელაძემ, ფსიქოლოგმა გერასიმე ქიქოძემ (შემდეგში ეპისკოპოსი), გამოჩენილმა პედაგოგმა ი. გოგებაშვილმა, მწერლებმა დ. ჭონქაძემ, ლ. არდაზიანმა, ნ. ლომოურმა და ს. მგალობლიშვილმა, ისტორიკოსებმა თედო ჟორდანიამ და მ. ჯანაშვილმა, ფილოლოგიის პროფესორმა ა. ცაგარელმა, მედიცინის პროფესორმა ვ. პეტრიაშვილმა, ისტორიკოსმა ნ. ხიზანიშვილმა, პედაგოგებმა გერასიმე კალანდარაშვილმა, გ. იოსელიანმა, ნ. ცხვედაძემ, და მრ. სხვ.; თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლობდნენ აგრეთვე XIX ს. მეორე ნახევრის გამოჩენილი სოციალისტები და რევოლუციონერები (XIX ს. მეორე ნახევარში თბილისის სასულიერო სემინარიის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ზოგიერთ მომენტს ჩვენ შემდეგ შევეხებით).

მაგრამ შეეძლო თუ არა რამდენადმე მაინც ხელი შეეწყო მოწინავე ადამიანთა მომზადებისათვის სასულიერო სემინარიის აღნიშნულ რეჟიმსა და პედაგოგიკურ სისტემას? ძალიან ხშირად ეს რეჟიმი და პედაგოგიკური სისტემა იძლეოდა სრულიად საწინააღმდეგო შედეგებს. ამ დებულების ბრწყინვალე დადასტურებას გვაძლევს ზემოხსენებული გამოჩენილი რუსი მწერალი ნ. გ. პომიალოვსკი. პირველ ყოვლისა, ამას ამტკიცებს იგი ყველაზე უფრო დოგმატიური დისციპლინის „საღვთო სჯულის“ სწავლების მაგალითზე: „რელიგია, თუმცა ის არ ისწავლება ბურსაში ცეცხლითა და მახვილით, როგორც ეს ჩვეულებრივ მაჰმადის თაყვანისმცემლებს, მაგრამ მას ქადაგებენ როზგით, შიმშილით, თავიდან თმის გლეჯით, ცემით და ყურის წევით. მაგალითად, ლობოვი ბრძანებს „აიტაცონ მოწაფე ჰაერში, ცხვირის წინ დაუდვან „საღვთო სჯული“ და იმავე დროს უძახონ ველური ხმით: „ისწავლე, ახლავე ისწავლე გაკვეთილი“. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბურსის უფროსები, ასეთი მოქცევით, თანდათანობით და შეუჩნეველად, მაგრამ უაღრესად რადიკალური გზით, მიმართავენ თავის მოწაფეთა მსოფლმხედველობას

სრული ათეიზმისაკენ“.. ასევე ითქმის სხვა დისციპლინებზეც. სემინარიის ბურსას შეგირდი კარასი „სწავლობდა თითოეულ გაკვეთილს, როგორც თავის უბოროტეს მტერს, რომელიც მისი ნებისყოფის გარეშე დაუფლებოდა მის ტვინს, და კარასი თანდათანობით, დღითიდღე, პოულობდა სახელმძღვანელოში უამრავ აბდაუბდას, უმსგავსოებას; ამან განავითარა მასში ანალიზი და კრიტიციზმი, და შემდეგში, როდესაც მკვირცხლად უპასუხებდა გაკვეთილს, ის იმავე დროს თავისთვის ფიქრობდა: „ღმერთო, მაღალო, ე რა სისულელეს ვროშავო!“ კარასი, ხანგრძლივი პირადი გამოკვლევების შედეგად, სავსებით დარწმუნდა, რომ ბურსაკულ მეცნიერებას, სხვანაირად შესწავლილს, შეუძლია ადამიანის დაღუპვა, და მხოლოდ მისი მეთოდით გამოდგება ის მასალად, რომელზედაც, როგორც მახინჯ მოვლენაზე მუშაობის შედეგად, შეიძლება არ დაავადდეყოფდე ამ აბდაუბდით, განივითარო საკუთარი სააზროვნო ნიჭი, ანალიზი, მახვილგონიერება და ცხოვრების გამოცდილებაც კი. ვერც კი ხვდებოდნენ ღვთივკაბრძნობილი პედაგოგები, რომ ბევრი კარგი მოწაფე ისე ეპყრობოდა სახელმძღვანელოებს, როგორც ფსიქიატრი ეპყრობა სიგიჟის სამწუხარო მოვლენას. აი, რით აიხსნება ის უცნაური გარემოება, თუ როგორ და რა სახით გამოვიდა ბურსიდან ამდენი საქმიანი და ნიჭიერი ადამიანი, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ითვისებდნენ სწავლას, რომელიც სასაცილოდ იყო აგდებული ყველა განათლებულ ადამიანთა მიერ“.*

სასულიერო (და არა მხოლოდ სასულიერო) სასწავლებელთა პედაგოგიური სისტემის ასეთ შინაგან წინააღმდეგობაში ხედავს პომიალოვსკი ბურსაკის არა მხოლოდ ხსნას, არამედ მის განვითარებასაც. ის ქმნის მატერიალისტური ბუნების ადამიანებს და „როდესაც მათთვის, — განაგრძობს პომიალოვსკი, — დგება იდეების დუღილის დრო, იკრება მათ წინაშე ძირითადი საკითხები,

---

* Н. Помяловский, Полное собр. сочинений, II, „Очерки бурсы“, 123, 1935. დამახასიათებელია, რომ 1862 წელს თბილისის სასულიერო სემინარიის მიმართ სწორედ ასეთსავე აზრს გამოსთქვამდა მისი უკანასკნელი, საღვთისმეტყველო კლასის მოწაფე მოსე ქიქოძე: „(სემინარიის) მმართველობა, აიძულებს რა მოსწავლეებს, სურვილის წინააღმდეგ, ეკლესიაში სიარულს და ხღუდავს რა მათ თავისუფლებას,—ამით გულს უგრილებს მათ ლოცვებისადმი“. ბურსის რეჟიმისადმი დაუმორჩილებლობის გამო, მ. ქიქოძე იმავე წელს გამორიცხეს თბილისის სას. სემინარიიდან (საქ. ცენტრ. ისტ. არქივი, თბილისის სემინ.რიის საქმე, 1862 წლისა, № 70—92).

რომლებიც მოითხოვენ კატეგორიულ პასუხს, იწყება რწმენათა მსხვრევა,—ეს ადამიანები, თავისი დიალექტიკის ძალით, ცხოვრებასა და ბუნებაზე დაკვირვების წყალობით, სწყვეტენ იმ წინააღმდეგობათა და ეპვების ქსელს, რომლებმაც მოიცვეს მათი სული, იწყებენ ისეთი მწერლების კითხვას, როგორიცაა, მაგალითად, ფეიერბახი, რომლის აკრძალული წიგნის რუსული თარგმანი, მიძღვნილიც კია ბურსაკებისადმი...* პირველად ამ ბურსაკებს ენანებათ ის მარადისობა, რომელიც მათ, როგორც მატერიალისტებმა, უნდა უარყონ, მაგრამ შემდეგ ისინი პოულობენ თავის თავში ძალას თავის უარყოფასთან შესარიგებლად, მშვიდდებიან სულიერად და მაშინ ათეისტი ბურსაკისათვის აღარ არსებობს უკანდახევა თავის განვითარების გზაზე"**.

აი, მხატვრული და ამავე დროს ღრმამეცნიერული ახსნა საკითხისა, თუ როგორ შეიძლებოდა მომზადებულიყვნენ მოწინავე მეცნიერები, საზოგადო მოღვაწენი და რევოლუციონერები სასულიერო სასწავლებლების და, კერძოდ, თბილისის სასულიერო სემინარიის კედლებში. ამომწურავად გასცა პასუხი ამავე კითხვაზე ი. ბ. სტალინმა ლუდვიგთან საუბრის დროს: „სულ სხვა საქმეა სასულიერო სემინარია, სადაც მაშინ ვსწავლობდი. პროტესტის ნიშნად იმ დამამცირებელი რეჟიმის და იეზუიტურ მეთოდების წინააღმდეგ, რომელთაც ადგილი ჰქონდათ სემინარიაში, მე მზად ვიყავი გავმხდარიყავ და მართლაც გავხდი რევოლუციონერი, მარქსიზმის, როგორც ნამდვილად რევოლუციური მოძღვრების მომხრე"***.

ამგვარად, თბილისის სასულიერო სემინარიას, მისი შეზღუდული, კლერიკალური მიზნებისა და მის ხელმძღვანელთა სუბიექტური ზრახვების მიუხედავად, მაინც მოჰქონდა, ობიექტურად, გარკვეული სარგებლობა XIX საუკ. ქართული კულტურისა და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის.

—

1818 წლიდან საქართველოში დაიწყეს აგრეთვე სასულიერო—სამაზრო და სამრევლო—სასწავლებლების გახსნა 1809 წლის დებულების მიხედვით. პირველი სასულიერო სასწავლებელი, როგორც ზე-

---

* ლაპარაკია ფეიერბახის წიგნზე — ქრისტიანობის რაობა, გ. თ,

** Н. Помяловский, II, 143, 1935.

*** И. Сталин, Беседа с немецким писателем Ем. Людвигом 9—10, 1939.

მოთ იყო აღნიშნული, გაიხსნა თბილისის სასულიერო სემინარიასთან, ამ უკანასკნელის დაარსებასთან ერთად. 1818 წ. სასულიერო სასწავლებლები გაიხსნა აგრეთვე საქართველოს სამაზრო ცენტრებში (გორში, თელავში, სიღნაღში, 1821 წელს ქუთაისში,* 1829 წელს სამეგრელოსა და გურიაში და ა. შ.).

სასულიერო (სამაზრო) სასწავლებლების პარალელურად დაიწყო სამრევლო სასწავლებლების გახსნა. სამაზრო სასულიერო სასწავლებლები დასაწყისში იყო ერთკლასიანი, ორი განყოფილებით, თითოეული 1-წლიანი კურსით, სამრევლო სკოლები კი იყო 2-კლასიანი, სწავლების ორწლიანი კურსით.

სამაზრო სასულიერო და სამრევლო სასწავლებლების სასწავლო გეგმა განსაზღვრული იყო 1809 წლის ხსენებული წესდებით. სამაზრო სასულიერო სასწავლებლებში ისწავლებოდა: 1. საღვთო სჯული, 2. არითმეტიკა, 3. რუსული ენა (გრამატიკა, თარგმანები ქართულ ენაზე და ქართულიდან რუსულზე), 4. ქართული ენა (გრამატიკა, თარგმანები რუსულ ენაზე და რუსულიდან ქართულზე). სამრევლო სასწავლებლებში სწავლობდნენ: 1-ლ კლასში: 1. რუსულ ენას (წერა-კითხვა), 2. ქართულ ენას (წერა-კითხვა) და 3. ე. წ. „საუბრებს" (ქართულ—რუსულ ენებზე). მე-2 კლასში: 1. საღვთო სჯულს, 2. რუსულ ენას (გრამატიკას), 3. ქართულ ენას (გრამატიკას), 4. არითმეტიკას.

სამრევლო სკოლები (როგორც წესი) უნდა არსებულიყვნენ სამაზრო სასულიერო სასწავლებლებთან, როგორც მოსამზადებელი საფეხური ამ სასწავლებელთათვის, ისე როგორც სამაზრო სასწავლებლები სასულიერო სემინარიებისათვის. მაგრამ, არსებითად, სამაზრო სასულიერო და სამრევლო სასწავლებლები არ სხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან არც სტრუქტურით, არც სწავლების ვადებით და არც სასწავლო გეგმებით. ამის გამო სინამდვილეში, ისინი ერთად და ერთსა და იმავე დროს თითქმის არ არსებობდნენ (მაგალითად, 1829 წლისათვის საქართველოში 7 სასულიერო სასწავლებლის არსებობის დროს იყო მხოლოდ ერთი სამრევლო სასწავლებელი სოფ.

---

* ქუთაისში სასულიერო სასწავლებლის დაარსება გადაწყვეტილი იყო უწმ. სინოდის მიერ ჯერ კიდევ 1814 წელს გორის ეპისკოპოსის დოსითეოზის წარდგენით: „იმერეთში სამღვდელო და საეკლესიო მსახურთა შვილებისათვის დაარსდეს სასულიერო სასწ. ვლებელი ქ. ქუთაისში" (Акты, V, 409).

ონში). მაგრამ 1833 წლიდან სასულიერო სასწავლებელთა სასწავლო გეგმა გაფართოვდა. ესენი გადაიქცნენ 4-კლასიან სასწავლებლებად 4-წლიანი კურსით. სამრევლო სასწავლებლები კი 40-იან წლებამდე აღარ ვრცელდებოდნენ, ხოლო 40-იანი წლების დასაწყისიდან მათ ხსნიდნენ, უმთავრესად, სოფლებში (სამაზრო სასწავლებელთაგან დამოუკიდებლად), როგორც ელემენტარულ სასწავლებლებს 2 ან 3-წლიანი კურსით.

სასულიერო სასწავლებლები ემსახურებოდნენ უმთავრესად სასულიერო წოდების პირთა შვილებს. საქართველოს ეგზარხოსმა ფეოფილაქტემ სავალდებულოდ გაუხადა ყველა მღვდელს, რომელსაც კი ჰყავდა ბავშვები 10-დან 15 წლის ასაკისა, ეტარებინა ისინი სასულიერო სასწავლებელში.* სამაზრო სასულიერო სასწავლებლებში და სასულიერო სემინარიაში ისინი შეადგენდნენ უმრავლესობას, მაგრამ სამრევლო სკოლებში სწავლობდნენ უმთავრესად გლეხთა შვილები.

საქართველოს XIX ს. პირველი ნახევრის ზოგიერთ სამაზრო სასულიერო სასწავლებელში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა სათანადო სიმაღლეზე იდგა. პროვინციის სასწავლებელთაგან გამოირჩეოდა მარტვილის სკოლა. 1854 წ. მწერალი კ. ბოროზდინი ქ. სენაკში შეხვედრია მენიკი დადიანის (აფხაზეთის მთავრის ყოფ. მეუღლე) ამალის ახალგაზრდებს და აღტაცებით წერდა მათზე: „ეს მშვენივრად გაწაფული, ზრდილობიანი, მოხერხებული, გრაციოზული, თითქმის ყველა რუსულის მცოდნე, უმთავრესად მარტვილის სასულიერო სასწავლებელში მოსწავლე ახალგაზრდობა, ოსტატურად ასრულებდა ყველა ცეკვებს და გუნდურ მეგრულ სიმღერებს“**.

თბილისის სასულიერო სემინარიისა და საქართველოს სასულიერო სასწავლებელთა შესანახი თანხების ასიგნობა ხდებოდა საქართველოს სასულიერო დიკასტერიის შემოსავლიდან: 5.100 მანეთის რაოდენობით—სემინარიისათვის და 4.100 მანეთის რაოდენობით—სასულიერო სასწავლებელთათვის; ფაქტიურად კი ამ ფულს გლეხებს ახდევინებდნენ ***.

---

* საქ. ცენტრ. არქ. საქ. ეგზარხატის საქმე, ფ. 544, ფრც. 1.

** К. Бороздин, Воспоминания, Мингрелия и Сванетия, 135.

*** Акты, V, 228 (დაწვრილებით თბილისის სასულიერო სემინარიისა და სასულიერო სასწავლებელთა შესახებ; Е(пископ) К(ирион)—Краткий очерк истории грузинской церкви, 1901, 161—182; ი. ბაკურაძე, „თბილისის

საქართველოს ყველა სასულიერო სასწავლებელი ექვემდებარებოდა საქართველოს ეგზარხატს და მისი მეშვეობით უწმინდეს სინოდს პეტერბურგში.

6. „ურთიერთსწავლების" სკოლა

რუსეთის მეფის ხელისუფლება, როგორც ცნობილია, ძალიან ცოტას ზრუნავდა ხალხის კეთილდღეობაზე, კერძოდ მის განათლებაზე; ძალიან ცოტას ხარჯავდა ის საერთოდ განათლებაზე და, კერძოდ, „ინოროდცების" განათლებაზე (XIX საუკუნის 30-იან წლებამდე მეფის ხელისუფლებას არ დაუხარჯავს არცერთი კაპიკი ქართველი ხალხის განათლებაზე. თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი, სასულიერო სემინარია, სასულიერო და საერო სასწავლებლები ინახებოდა მხოლოდ და მხოლოდ ადგილობრივი სახსრებით). ქვეყანას კი სკოლები ესაჭიროებოდა და არ შეიძლებოდა ამ მხრივ არ დაეკმაყოფილებინათ ხალხის ელემენტარული მოთხოვნილება მაინც, მაგრამ ხელისუფლება ცდილობდა არაფერი დაეხარჯა ამ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. და აი, 1819 წ. დაარსდა „ურთიერთსწავლების მეთოდით მომუშავე სკოლების მომწყობი საზოგადოება", რომელსაც მიენდო თავისი ფილიალების მეშვეობით ბ ე ლ ი ს ა (1753—1832) და ლ ა ნ კ ა ს ტ ე რ ი ს (1778—1838) ურთიერთსწავლების მეთოდით მომუშავე სკოლების გახსნა. ეს სკოლები სწავლების პროცესში მასწავლებელთა თანაშემწეებად (მონიტორებად) თვით მოწაფეებს იყენებდნენ, და ამიტომ არ მოითხოვდნენ დიდ ხარჯებს. იაფი ჯდებოდა მათი შენახვა და რუსეთის მეფის მთავრობა ხალხისათვის მოითხოვდა სწორედ ასეთ სკოლებს, ანდა არსებულ სახალხო სკოლებში სწავლების შემოღებას ამ მეთოდით.

1819 წ. აღნიშნული საზოგადოების მინდობით გრაფი ტ ო ლ ს ტ ო ი სწერდა საქართველოს მთავარმართებელს ე რ მ ო ლ ო ვ ს დაეარსებინა ღარიბებისათვის (ე. ი. ხალხისათვის) ურთიერთსწავლების სკოლები რუსეთის სხვა გუბერნიების მსგავსად და, მარ-

---

სასულიერო სემინარია", კრებულში „სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში", I, 107—126.

ლაც, 1820 წ. მაისიდან, ასეთი სკოლა (77 მოწაფით) გაიხსნა თბილისში კავკასიის ცალკე კორპუსის შტაბთან*.

7. კათოლიკური და სომხური სკოლები

მართლმადიდებელი სამღვდელოების გვერდით, XIX ს. პირველ ნახევარში საგანმანათლებლო მუშაობას თავიანთ მრევლთა შორის საქართველოში აწარმოებდნენ აგრეთვე კათოლიკურ-მისიონერული სექტა და სომეხი სამღვდელოება.

კათოლიკ-მისიონერთა პროზელიტური მოღვაწეობა საქართველოში XIX ს. დასაწყისში რამდენადმე მიყუჩდა. რუსეთის კანონმდებლობამ გააუქმა საქართველოში ძველთაგანვე არსებული რელიგიის თავისუფლება, კერძოდ, მან აკრძალა მართლმადიდებლური სარწმუნოების შეცვლა კათოლიკურზე. მიუხედავად ამისა, აღნიშნულ დროს საქართველოში მყოფი კაპუცინები მაინც განაგრძობდნენ კათოლიციზმის პროპაგანდას საგანმანათლებლო მუშაობის სახით, ვითომდა მხოლოდ კათოლიკეთა შორის. ასეთი პროპაგანდის ერთ-ერთ საშუალებად ისინი სთვლიდნენ სკოლას.

როგორც ცნობილია, კათოლიკებს ჯერ კიდევ XVII—XVIII საუკუნეებში ჰქონდათ დაწყებითი სკოლები გორსა და ქუთაისში. კათოლიკური სკოლები განაგრძობდნენ არსებობას XIX ს. პირველ ნახევარშიც.** 1815—1817 წწ. თბილისის კათოლიკებმა ააგეს ახალი შენობა სკოლისათვის. ასწავლიდა ერთი მასწავლებელი, რომელიც ჯამაგირს ღებულობდა „ძმობის“ კუთვნილ 9 დუქნის შემოსავლიდან. ამას გარდა, ქართველი კათოლიკები XIX ს. პირველ ნახევარში განაგრძობდნენ ბავშვების გზავნას რომში (რომის კოლეგიაში) საშუალო და უმაღლესი განათლების მისაღებად. ასე, მ. თამარაშვილის ცნობით: „1834 წ. 6 სექტემბერს, უფროსმა პატრმა მიიღო მოწერილობა—ორი ქართველი ახალგაზრდა გაეგზავნა რომის კოლეგიაში სასწავლებლად“,*** რაც მის მიერ კიდეც იქნა შესრულებული.

---

* Акты, VI, ч. I, 137; იმავე წელს ურთიერთსწავლების სკოლა გაიხსნა ასტრახანშიც, 381 მოწაფით.

** მიქ. თამარაშვილი, კათოლიკობის ისტორია საქართველოში, 1902, 502—503; აგრეთვე, „Российские владения за Кавказом“, I, 27, II, 59; Пл. Иоселиани, Описание древностей гор. Тбилиси, 236.

*** მიქ. თამარიმვილი, კათოლიკობის ისტორია საქართველოში“ 1902, 517.

30-იანი წლების დასასრულს კათოლიკური სკოლები არსებობდნენ ქ. ახალციხესა და მის რაიონში, მაგრამ ამ სკოლებმა, აგრეთვე სკოლებმა ქუთაისსა და გორში, მიიღეს კერძო ხასიათი და ვერ აკმაყოფილებდნენ ოსახლეობის მოთხოვნილებებს. ამით აიხსნება, რომ 1841 წ. პატრი ბონავენტური შუამდგომლობდა საქართველოს მთავარი სამმართველოს წინაშე ქ. გორში, ქ. ქუთაისში, ქ. ახალციხეში და აგრეთვე ქ. ალექსანდროპოლში კათოლიკური სასწავლებლების დაარსების შესახებ. ამ სკოლებში ქალაქ ქუთაისსა და ქალაქ გორში გათვალისწინებული იყო სწავლება რუსულ (რუსთათვის) და ქართულ (ქართველთათვის) ენებზე, ქალაქ ახალციხესა და ქალაქ ალექსანდროპოლში კი რუსულ და სომხურ (მსურველთათვის) ენებზე*.

კათოლიკების ასეთი ზრუნვა სკოლების გახსნაზე აიხსნება არა იმდენად განათლების, რამდენადაც კათოლიკური სარწმუნოების („ფრანგობის") გავრცელების მიზნით. ალ. ორბელიანი სამართლიანად აღნიშნავდა: „რაც აქაურს კათოლიკის პატრებს შეეხება, ამათზედ ეს უნდა ვსთქვათ, რომ ისინი იმას სცდილობდნენ, რომ ქართველები გაეფრანგებინათ და სხვა ევროპიულს კი კარგს არას უქადაგებდნენ იმათ"**.

XIX ს. პირველ ნახევარში საქართველოში გაჩნდა აგრეთვე სომეხ-გრიგორიანელთა სკოლებიც.

1801 წელს თბილისში უკვე არსებობდა ერთი სომხური სკოლა მოღნის ეკლესიასთან. სომეხთა არქიმანდრიტი გრიგოლი 1801 წელს სწერდა კნორინგს: „სამი (სომხური) ეპარქიიდან, სასულიერო წოდებისათვის მხოლოდ ერთ—ეჩმიაძინის ეპარქიაში არის სასწავლებელი ბავშვთათვის და ქ. თბილისში, —მოღნის ეკლესიასთან; ასწავლიან იქ ბავშვებს სომხურ და ქართულ ენებზე. თავის სწავლას ისინი ამთავრებენ გრამატიკით";*** მაგრამ 1820 წლისათვის, თურქთა სამფლობელოებიდან საქართველოში სომეხთა კოლონიზაციის შედეგად, თბილისში სომეხთა რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა. საჭირო გახდა მეორე სომხური სკოლის დაარსება, რათა რამდენადმე მაინც დაეკმაყოფილებინათ თბილისის სომხური მოსახლეობის მოთხოვნილება განათლების დარგში. თუმცა სომეხთა ბავშ-

* Акты, IX, 115.

** ალ. ორბელიანი, ნაწერ(ებ)ი, 139—140.

*** Акты, I, 539.

ვებს ღებულობდნენ თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში და მართლმადიდებელთა სასულიერო სემინარიაშიც კი, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი. სომეხთა არქიეპისკოპოსმა ნერსესმა 1823 წ. დააარსა თბილისში კერძო დაწყებითი სკოლა, მაგრამ მას არ შეეძლო გამოეშვა სათანადოდ მომზადებული კადრები სომხური ეკლესიის სამსახურისათვის. ამ გარემოებამ გამოიწვია აუცილებლობა თბილისში სომხური სასულიერო სემინარიის დაარსებისა, რომელიც აღმოცენდა 1824 წ. არქიეპისკოპოს ნერსესის დაწყებითი სკოლის ბაზაზე. ნერსესის სკოლის სემინარიად გადაკეთება, რაც თვით ნერსესმა მოახდინა, არ იქნა მოწონებული და დადასტურებული უმაღლესი ხელისუფლების მიერ. ამას გარდა, სტრუქტურით, მერყეევი სასწავლო გეგმით, მასწავლებელთა კადრების ჩამორჩენილობით, ის არ წარმოადგენდა საშუალო სასწავლებელს და 1836 წლამდე ის ოფიციალურადაც სასულიერო სასწავლებლად იწოდებოდა. მაგრამ საქართველოს მთავარმართებელი როზენი, რომელიც დაეთანხმა სომეხთა პატრიარხ იოანესის აზრს თბილისში სომხური სემინარიის გახსნის შესახებ, 1836 წ. მიმართავდა შინაგან საქმეთა მინისტრს ბლუდოვს „თბილისში არსებული სომხური სასწავლებელი გადაეკეთებინათ სასულიერო სემინარიად“,* რაც კიდეც განხორციელდა „უმაღლესი დასტურით“ იმავე წელს.

1836 წელსვე, სომხურ ფილოლოგიაში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და საგამომცემლო საქმის კოორდინირებისათვის, როზენი „ფრიად სასარგებლოდ“ სთვლიდა თვით სომხეთში, ეჩმიაძინში, „უმაღლესი სასწავლებლის გახსნას აკადემიის სახელწოდებით“,** მაგრამ ეს აზრი მაშინ ნაადრევად იქნა ჩათვლილი. ეჩმიაძინის სასულიერო აკადემია ნამდვილად გაიხსნა მხოლოდ 1874 წ. სომეხთა სამღვდელოებისა და „სრულიად სომეხთა კათოლიკოსის“ გეორგ IV თაოსნობითა და სახსრებით.

8. სახალხო განათლების მმართველობა და ხელმძღვანელობა

სახალხო განათლების ერთ-ერთ ყველაზე მოუწესრიგებელ მხარეს XIX ს. ოცდაათიან წლებამდე საქართველოში წარმოადგენდა მისი

---

* Акты, VIII, 302, იხ. აგრეთვე: Гакстгаузен—Закавказский край, 14—15.

** Акты, VIII, 302.

მართვა-გამგეობის და ხელმძღვანელობის სისტემა. „საქართველოს უმაღლეს მთავრობასთან“, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არ იყო არც სპეციალური ორგანო და არც ცალკე პირი სკოლის მართვა-გამგეობისათვის გამოყოფილი. საქართველოს მთავარმართებლები კი, რომლებიც ერთდროულად წარმოადგენდნენ კავკასიის კორპუსის მთავარსარდლებსაც, კავკასიის პერმანენტულ ომებთან დაკავშირებით, სულ ლაშქრობაში იმყოფებოდნენ და, სურვილიც რომ ჰქონოდათ, მაინც არ შეეძლოთ გაეწიათ ნორმალური ხელმძღვანელობა მათდამი მინდობილი მხარის სწავლა-განათლების საქმისათვის.

რუსეთის იმპერიაში სახალხო განათლების ადმინისტრატიული მართვის სისტემა, დაწყებული ჯერ კიდევ 1803 წლის „წინასწარი წესებით“ და ძალაში დატოვებული 1804 წლის წესდების შემდეგაც, ითვალისწინებდა რუსეთის გაყოფას ექვს სასწავლო ოლქად, ანუ „ზოლად“ (პეტერბურგის, მოსკოვის, ვილნოს, დორპატის, ხარკოვის, ყაზანის). თითოეული სასწავლო ოლქი ემორჩილებოდა მზრუნველს, რომელიც ერთდროულად იყო განათლების სამინისტროსთან არსებულ „სასწავლებელთა მთავარი მართებლობის“ წევრიც, ცხოვრობდა პეტერბურგში და იქიდან ხელმძღვანელობდა თავის სასწავლო ოლქს. ადგილებზე კი, ე. ი. სასწავლო ოლქების ცენტრებში, ამ უკანასკნელთა მართვა მინდობილი ჰქონდა უნივერსიტეტების რექტორებს.

საქართველოსა და კავკასიის სასწავლებლებზე 1803 წლის „წესებისა“ და 1804 წლის „წესდების“ კანონი ფაქტიურად არ ვრცელდებოდა, მართვა-გამგეობის დარგში კი, როგორც ნათქვამი იყო, ისინი ემორჩილებოდნენ საქართველოს მთავარმართებელს და მისი მეშვეობით რუსეთის განათლების მინისტრს ან იმპერატორს უშუალოდ. მხოლოდ 1814 წ. თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი (იმ დროისათვის მთავრობის ერთადერთი სასწავლებელი) მიწერილ იქნა ყაზანის სასწავლო ოლქზე და დაქვემდებარებული ყაზანის უნივერსიტეტის რექტორისადმი. ეს იყო ფორმალური აქტი; ოლქის სიშორისა და მისი ხელმძღვანელების მხრივ თბილისის სასწავლებლისადმი ინტერესის უქონლობის გამო, ამ უკანასკნელის მართვის პრაქტიკაში არაფერი შეცვლილა. მაგრამ 1819 წ. შემდეგ, როდესაც ყაზანის სასწავლო ოლქის მზრუნველად გახდა ცნობილი რელიგიური ფანატიკოსი და მანიაკი მ. ლ. მ ა გ ნ ი ც კ ი, თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი არათუ სარგებლობდა მის მხრივ რაიმე ხელმძღვანელობით, არამედ აწყდებოდა აშკარა დაბრკოლებას

თავის სასწავლო და ადმინისტრატიულ-სამეურნეო განვითარების საქმეში. მაგნიცკი ზედმეტად სთვლიდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელს და ეძებდა შესაფერის მომენტს, რომ დაეხურა იგი. ამ გარემოების გამო, საქართველოს მთავარმართებელმა, გენერალმა ერმოლოვმა, 1823 წელს გამოითხოვა მეფის ნებართვა თბილისის სასწავლებლის ყაზანის სასწავლო ოლქიდან ხარკოვის სასწავლო ოლქში გადარიცხვის შესახებ. ხარკოვის ოლქის გამგებლობაში კავკასიის ყველა სახელმწიფო სასწავლებელი იმყოფებოდა 1840 წლამდე.

სახალხო განათლების სისტემა, შემოღებული 1804 წლის წესდების მიხედვით, თანდათანობით კარგავდა „ლიბერალიზმის" ფორმას და მალე მივიდა თავის „პროგრესულ" იდეათა ფაქტიურ გაუქმებამდე და არა მხოლოდ პრაქტიკაში, არამედ პრინციპშიც.

ალექსანდრე I პერიოდის მეფის რუსეთს არსებითად არასოდეს არ ჰქონია იდეური ნათესაობა ბურჟუაზიულ ლიბერალიზმთან, მაგრამ 1812 წლის სამამულო ომის შემდეგ, რომელმაც გამარჯვება მოუტანა უმთავრესად ფეოდალურ რეაქციას მთელ დასავლეთ ევროპაში და საფუძველი ჩაუყარა 1815 წ. „საღვთო კავშირს" რუსეთის, პრუსიის და ავსტრიის ნახევარფეოდალურ სახელმწიფოებს შორის—კვლავ წამოდგა ფეხზე რუსეთის თავადაზნაურობა, რომელმაც მოითხოვა არა მხოლოდ თავისი პოლიტიკური, არამედ კულტურულ-საგანმანათლებლო უფლებების გაფართოებაც. რეაქციულმა თავადაზნაურობამ მართლმადიდებელი ეკლესიის სანქციით მოითხოვა განათლების წოდებრივობა და წარუდგინა მეფეს დიდი მოთხოვნილებები მისი წოდებრივი პრივილეგიების უზრუნველსაყოფად სახალხო განათლების საქმეში.

1804 წლის წესდება უკვე სრულებით აღარ შეესაბამებოდა 1815 წ. შემდეგ დამყარებულ პოლიტიკური რეაქციის სულს. პირველ გალაშქრებად მის წინააღმდეგ უნდა ჩაითვალოს პეტერბურგის სასწავლო ოლქის მზრუნველის ს. ს. უვაროვის პროექტი (პეტერბურგის გიმნაზიის გარდაქმნისა); ეს პროექტი, უმაღლესად დამტკიცებული 1811 წელს, მიმართული იყო სკოლების ერთიანობისა და არაწოდებრივობის პრინციპის წინააღმდეგ და გიმნაზიის სასწავლო გეგმიდან რიცხავდა საერთო განათლების ზოგიერთ საგანს, მინიმუმამდე კვეცავდა საათებს ბუნებისმეტყველებასა და ტექნოლოგიაში; სამაგიეროდ იმავე გეგმაში შეჰქონდა საღვთო სჯული, ბერძნული ენა და სხვა საგნები, აძლევდა გიმნაზიას კლასიკურ ხა-

სიათს და ეკლესიას უქვემდებარებდა. რეაქციის გაძლიერებისა და სახელმწიფო ცხოვრებაზე რელიგიის გავლენის გაფართოების ყველაზე უმაღლეს მომენტს წარმოადგენდა სახალხო განათლებისა და სასულიერო პროზელიტიზმის გაერთიანება 1817 წ., რაც გამოიხატა, პრუსიის მაგალითის მიხედვით, „სასულიერო საქმეთა და სახალხო განათლების ერთიან სამინისტროს“ დაარსებაში, გამოუსწორებელი მისტიკოსის ა. ნ. გ ო ლ ი ც ი ნ ი ს მეთაურობით.

ახალ სამინისტროს პირველ ნაბიჯს (1819) წარმოადგენდა უვაროვის პროექტის გავრცელება განათლების მთელ სისტემაზე. „ადამიანისა და მოქალაქის ვალდებულებათა“ წიგნის სწავლების ნაცვლად შემოღებულ იქნა „საღვთო წერილის კითხვა“.* სამაზრო სკოლებიდან გამოირიცხა „ბუნებისმეტყველებისა და ტექნოლოგიის დაწყებითი წესები“, გიმნაზიებიდან—„ფილოსოფიისა და კაზმულ სიტყვათა მეცნიერების დაწყებითი კურსი“, „პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი საფუძვლები“, „სავაჭრო მეცნიერებათა საფუძვლები და ტექნოლოგიის საფუძვლები“ („ცირკულარული წინადადება გიმნაზიებში, სამაზრო და სასულიერო სასწავლებლებში სასწავლო საგნების შესახებ“, 1819 წ.). ასე საფუძვლიანად იყო შეკვეცილი ის საგნები, რომლებიც ამზადებდა მოწაფეებს პრაქტიკული მუშაობისათვის. მთელი იმპერიის გიმნაზიები კეთდებოდა კლასიკურად და ყველა სასწავლებელში „ქრისტიანული სათნოება“ გახდა „ჭეშმარიტი განათლების საფუძველი“.

1824 წ. სასულიერო საქმეთა და სახალხო განათლების ერთიანი სამინისტრო, რომელმაც ვერ გაამართლა ვერც მეფისა და ვერც უწმ. სინოდის იმედები, გაუქმებულ იქნა. გ ო ლ ი ც ი ნ ი კი, რომელსაც ბრალად დაედო არამართლმადიდებლობა,—გადააყენეს. მაგრამ იმ წელსვე აღდგენილმა სახალხო განათლების სამინისტრომ ა. შ ი შ კ ო ვ ი ს მეთაურობით კიდევ უფრო გააძლიერა რეაქციული საწყისები სახალხო განათლების დარგში. 1824 წელს, „სასწავლებელთა მთავარმართებლობაში“ შიშკოვი აცხადებდა, რომ მეცნიერებათა „სიჭარბე ისევე, როგორც მათი ნაკლებობა, ეწინააღმდეგება ჭეშმარიტ განათლებას. მთელი ხალხისა ან მისი უთანაზომიერო რიცხვის სწავლება მოიტანდა უფრო მეტ ზიანს, ვიდრე სარგებლობას“.**

---

* იგივე მოხდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლებშიც.

** „Собр. распор. по министерству народного просвещения“, I.

რეაქციამ გაიმარჯვა. 1804 წლის წესდების ძირითადი პრინციპები სავსებით იქნა უარყოფილი. საჭირო იყო ახალი წესდება და იმავე 1824 წელს შიშკოვმა წამოაყენა თავისი „ძირითადი საწყისები", რომლებიც მიჩნეული უნდა ყოფილიყო ახალი წესდების გამოსავალ პრინციპებად. პირველი საწყისი ამბობდა: „აღზრდა ხალხისა მთელს ჩვენს იმპერიაში, მიუხედავად სარწმუნოებათა და ენათა სხვადასხვაობისა, უნდა იყოს რუსული", მერვეში კი ნათქვამი იყო, რომ „ხელმწიფე და მამულის სარგებლობა ახალგაზრდობის აღზრდისაგან მოითხოვს ეკლესიის ერთგულ შვილებს და ერთგულ ქვეშევრდომებს, ღმერთისა და მეფისათვის თავდადებულ ადამიანებს".

1827 წელს შიშკოვისადმი გაგზავნილ ნიკოლოზ I რესკრიპტში სასწავლებელთა მოწყობის ახალი საფუძვლების შესახებ ნაბრძანები იყო დაეკეტათ გიმნაზიების კარები „შინაყმებისა და საბატონო გლეხებისათვის". ამგვარად, შიშკოვის ხსენებულ სიტყვასა და „ძირითად საწყისებში" და ნიკოლოზ I რესკრიპტში ნათლად იყო ნაჩვენები, რომ განათლების ახალი სისტემა უნდა აგებულიყო წოდებრივობის, მართლმადიდებლობისა და დიდმპყრობელობის საფუძვლებზე.

9. 1828 წლის წესდება

„უნივერსიტეტების უწყებაში მყოფ გიმნაზიებისა და სასწავლებლთა ახალი წესდება" დამტკიცდა 1828 წელს. სასწავლებელთა ტიპები და ნომენკლატურა რჩებოდა ძველი: 1) პირველდაწყებით მეცნიერებათა ანუ სამრევლო სასწავლებლები, 2) სამაზრო სასწავლებლები, 3) გიმნაზიები.

სამრევლო სასწავლებლები იყო ერთკლასიანი; იქ ასწავლიდნენ: „1) საღვთო სჯულს, მოკლე კათეხიზისს და საღვთო ისტორიას, 2) საეკლესიო და სამოქალაქო ნაბეჭდი წიგნების კითხვას და ხელნაწერების კითხვას, 3) სუფთაწერას, 4) არითმეტიკის პირველ ოთხ მოქმედებას" (§ 15). სამრევლო სასწავლებლები იხსნებოდნენ „ყველგან, სადაც კი სახსრები გამოინახებოდა," და წარმოადგენდნენ სასწავლებლებს „ყველა მდგომარეობისა და ორივე სქესის პირთათვის".

სამაზრო სასწავლებლები იყო 3-კლასიანი; მათში ასწავლიდნენ: 1) საღვთო სჯულს, 2) რუსულ ენას, 3) არითმეტიკას, 4) გეომეტ-

რიას, 5) გეოგრაფიას, 6) რუსეთისა და საყოველთაო ისტორიას, 7) სუფთაწერას, ხაზვას და ხატვას. სამაზრო სასწავლებლები იხსნებოდა სამაზრო ქალაქებში (თითო) და საგუბერნიო და სატახტო ქალაქებში (უფრო მეტი, მოთხოვნილების მიხედვით). ისინი განკუთვნილნი იყვნენ ყველა მდგომარეობის ადამიანების, მეტწილად ვაჭრების, ხელოსნების და ქალაქის სხვა მცხოვრებთა შვილებისათვის. მათში ასწავლიდნენ „მხოლოდ მამრობითი სქესის ბავშვებს".

გიმნაზიები იყო 7-კლასიანი: მათში ასწავლიდნენ: 1) საღვთო სჯულს, 2) რუსულ ენას (გრამატიკას) და სიტყვიერებას, 3) ლოგიკას, 4) ლათინურ ენას, 5) გერმანულ ენას, 6) ფრანგულ ენას, 7) ბერძნულ ენას (მხოლოდ „უნივერსიტეტებთან არსებულ გიმნაზიაში"), 8) მათემატიკას („კონუსისებურ ნაკვეთობათა ჩართვით"), 9) გეოგრაფიას, 10) სტატისტიკას, 11) ისტორიას, 12) ფიზიკას, 13) სუფთაწერას, ხაზვას და ხატვას. გიმნაზიები არსებობდა სატახტო, საგუბერნიო და სხვა დიდ ქალაქებში. მათ ჰქონდათ ორგვარი მიზანი: ა) მოემზადებინათ უნივერსიტეტებისათვის და ბ) მიეცათ ზოგადი განათლება მათთვის, ვისაც არ ჰქონდა უნივერსიტეტში შესვლის სურვილი; მაგრამ „გიმნაზიის დაარსების უმთავრესი მიზანია თ ა ვ ა დ ა ზ ნ ა ურ თ ა და მ ო ხ ე ლ ე თ ა ბ ა ვ შ ვ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს რიგიანი აღზრდის საშუალებათა მიწოდება" (§ 137).

ამგვარად, 1828 წლის წესდებას სახალხო განათლების სისტემაში შემოჰქონდა წოდებრივობის პრინციპი და აუქმებდა სკოლების ერთიანობას.* ქალიშვილებს ეძლეოდათ მხოლოდ დაწყებითს, ე. ი. სამრევლო სასწავლებლებში სწავლის უფლება. სწავლების ენად იმპერიის ყველა სასწავლებელში, და მათ რიცხვში არარუს ხალხთა სკოლებშიც, აღიარებულ იქნა რუსული ენა. საერთოდ, 1828 წლის წესდება სავსებით შეესაბამებოდა ნიკოლოზ I პერიოდის რეაქციის პოლიტიკურ ინტერესებს.

10. 1829 წლის დებულება

XIX ს. 20-იანი წლების დასასრულისათვის ვაჭრობისა და მრეწველობის სათანადო გამოცოცხლებამ, სოციალურ ურთიერთობათა გამწვავებამ და ქართველი საზოგადოების აქტივობის გაძლიე-

---

* საეკლესიო სასწავლებლები არ ამხადებდნენ სამაზრო სასწავლებელთათვის ისევე, როგორც უკანასკნელნი—გიმნაზიებისათვის. გიმნაზიების 1—IV კლასებში შესასვლელად დაწესებული იყო მისაღები გამოცდები.

რებამ გამოიწვია სკოლების ქსელის გაფართოებისა და განათლების გარკვეული სისტემის შემუშავების აუცილებლობა.

აღმოსავლეთ საქართველოს გენერალ-გუბერნატორი სიპიაგინი 1827 წ. სთხოვდა განათლების მინისტრს შიშკოვს ეშუამდგომლა იმპერატორის წინაშე თბილისში, გორში, სიღნაღში, თელავში, ქუთაისში და საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვა სამაზრო ცენტრებში სამაზრო (საერო) სასწავლებელთა გახსნის ნებართვის შესახებ. სკოლების რიცხვის გასადიდებლად, მთავრობის ღონისძიებათა გარდა, შესამჩნევად განვითარდა კერძო სკოლების გახსნის პრაქტიკაც. მაგრამ ყოველივე ეს ხდებოდა უგეგმოდ და მათი გახსნისა და შენახვის რეალური შესაძლებლობის გაუთვალისწინებლად. საჭირო იყო გეგმიანობა სახალხო განათლების ქსელის გაფართოებისა და მისი ორგანიზაციის საქმეში. ამ საჭიროებამ გამოიწვია „ამიერკავკასიის სასწავლებელთა დებულების“ შექმნა 1829 წელს.

ამიერკავკასიის სასწავლებელთა 1829 წლის დებულება* გამომდინარეობდა სრულიად რუსეთის სასწავლებელთა 1828 წლის წესდებიდან. მაგრამ მას მხედველობაში უნდა მიეღო ამიერკავკასიის ნაციონალური და გეოგრაფიული თავისებურებანი, ცალკეულ ადგილებზე სასწავლებელთა განაწილების საკითხი, ადგილობრივი სკოლების ქსელის მართვა-გამგეობის ფორმა, სასწავლებლის შტატი და ბიუჯეტი, ადგილობრივი გიმნაზიებისა და სამაზრო სასწავლებელთა სასწავლო გეგმა და სხვ. ყველა დანარჩენ შემთხვევაში ა. კ. დებულება ახალს არაფერს წარმოადგენდა სრულიად რუსეთის 1828 წლის წესდებასთან შედარებით.

ამიერკავკასიის 1829 წლის დებულება ითვალისწინებდა ერთ გიმნაზიას თბილისში და სამაზრო (საერო) სასწავლებლებს თბილისში, გორში, თელავში, სიღნაღში, დუშეთში, ახალციხეში, ქუთაისში, სამეგრელოში (სამეგრელოს მფლობელის ნებართვით,**) გურიაში და სომხეთისა და აზერბაიჯანის სამაზრო ცენტრებში (შუშა, ნუხა, შემახა, ბაქო, დერბენტი, ერევანი, ნახიჩევანი, ორდუბათი) და ამიერკავკასიის ზოგიერთ სხვა ადგილას.

---

* Полн. собр. зак. Рос. имп. (ПСЗРИ), IV, 571, № 3060.

** ვინაიდან სამეგრელო მაშინ ფორმალურად ჯერ კიდევ არ შედიოდა რუსეთის იმპერიაში.

II. თბილისის გიმნაზია და სამაზრო სასწავლებლები

თბილისის გიმნაზია, რომელიც 1829 წლის დებულებით ამავე წელს უნდა გახსნილიყო, ფაქტიურად გაიხსნა 1830 წელს, საქართველოს მთავარმართებელ პასკევიჩის დროს. უფრო სწორად, თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი გადაკეთდა გიმნაზიად.

თბილისის გიმნაზიის მიზანი, „დებულების" მიხედვით, მდგომარეობდა „ქართველი [თავადაზნაურობისა და მოხელეთა ბავშვ]ების შესაფერისად აღზრდის საშუალებათა უზრუნველყოფაში".

გიმნაზია შედგებოდა 7 კლასისაგან. მის სასწავლო გეგმაში, 1828 წლის წესდებით გათვალისწინებულ საგნებს გარდა, შედიოდა: ქართული და თათრული (აზერბაიჯანული,—გ. თ.) ენები და რუსული სამართლისმცოდნეობა და სასამართლოს წყობილება, ხოლო ლათინური ენა რჩებოდა ფაკულტატურ საგნად. სომეხი საზოგადოების შუამდგომლობით გიმნაზიის სასწავლო გეგმაში 1831 წლიდან შემოღებულ იქნა სომხური ენაც, მხოლოდ მსურველთათვის. რუსული სამართლისმცოდნეობისა და სასამართლოს წყობილების სწავლება დაიწყეს გვიან, როგორც დამატებითი საგნებისა, რომელიც არ იყო გათვალისწინებული 1828 წ. ზოგად-საიმპერიო წესდებით. გიმნაზიაში ექვს (II—VII) კლასში რუსულ ენას ჰქონდა დათმობილი კვირაში $31^1/_2$ ს., მათემატიკას—$28^1/_2$ ს., ქართულ ენას—18 ს., გერმანულს და ფრანგულ ენებს—$16^1/_2$ ს. თითოეულს, გეოგრაფიას, ისტორიას (IV კლასიდან) და საღვთო სჯულს—15 ს. თითოეულს, სუფთაწერას, ხატვას და ხაზვას—$13^1/_2$ ს. თითოეულს, თათრულ ენას (IV კლასიდან), ფიზიკას (VI კლასიდან) და სამართლისმცოდნეობას (VII კლასიდან)—6 ს. თითოეულს.

ვნახოთ ცხრილიც*.

(ცხრილში I კლასის საგნები ნაჩვენები არ არის, ვინაიდან ამ კლასში ისწავლებოდა არა „მეცნიერებანი" ანუ სასწავლო დისციპლინები, არამედ წერა-კითხვა, ელემენტარული ანგარიში პირველი ათეულის ფარგლებში და ლოცვები).

---

* ПСЗРИ, IV, 571, № 3060

ხასწავლო საგნებისა და საათების ცხრილი თბილისის გიმნაზიისათვის 1829 წლის დებულებით

	კვირეული გაკვეთილების რიცხვი კლასების მიხედვით							სულ ტოტალური	სულ საათების რაოდენობა კვირაში
	I	II	III	IV	V	VI	VII		
1. საღვთო სჯული	—	2	2	2	2	1	1	10	15
2. რუს. სიტყვ. და ლოგიკა	—	4	4	4	3	3	3	21	31½
3. ენა ქართული	—	2	2	2	2	2	2	12	18
4. „ თათრული	—	—	—	2	2	2	2	8	12
5. „ გერმანული	—	2	2	2	2	2	1	11	16½
6. „ ფრანგული	—	2	2	2	2	2	1	11	16½
7. მათემატიკა	—	4	4	3	3	3	2	19	28½
8. გეოგრ. და სტატისტიკა	—	2	2	2	1	1	2	10	15
9. ისტორია	—	—	—	2	2	3	3	10	15
10. ფიზიკა	—	—	—	—	—	2	2	4	6
11. რუსეთის სამართლისმცოდნეობა და სასამართლოს წყობილება	—	—	—	—	—	—	4	4	6
12. სუფთაწერა	—	4	4	1	—	—	—	9	13½
13. ხატვა და ხაზვა	—	2	2	2	2	1	—	9	13½
სულ გაკვეთილი	—	24	24	24	22	22	22	138	—
საათები	—	36	36	36	33	33	33	—	207

შენიშვნა: თათრულ ენას სწავლობენ თბილისის გიმნაზიის საბაზინო ხარჯზე მყოფი მოწაფეები და თავის ხარჯზე მყოფი ის პანსიონერები და მოწაფეები, რომელთათვისაც გიმნაზიის უფროსი ამას საჭიროდ დაინახავს (ПСЗРИ, IV, 571, № 3060).

ამგვარად, გიმნაზიის მოსწავლეთა კვირეული დატვირთვა გიმნაზიის II, III და IV კლასებში უდრიდა 36 საათს, ხოლო V, VI და VII კლასებში—33 საათს თითოეულ კლასში*.

გიმნაზიასთან არსებობდა წესდებით გათვალისწინებული პანსიონი სახელმწიფო ხარჯზე. პანსიონში პირველად ინახავდნენ 40 მოწაფეს, მათ შორის ქართველ თავადაზნაურთა შვილი იყო 30, დანარჩენი ათი კი—რუს მოხელეთა შვილები. თბილისის გიმნაზიასთან პანსიონის გახსნა ნაკარნახევი იყო არა იმდენად ქართველ თავადაზნაურთა ბავშვებისათვის მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით, რამდენადაც იმ განზრახვით, რომ ჩამოეშორებინათ ისინი ოჯახისა და ოჯახში სალაპარაკო (მშობლიური) ენისაგან და, პანსიონის რუსულ ატმოსფეროში მუდმივი ყოფნით, მათ სავალდებულო სალაპარაკო ენად გაეხადათ რუსული ენა.

თბილისის გიმნაზიაზე პირველ ხანებში იხარჯებოდა ყოველწლიურად 5870 მან. ასიგნაციებით. ამ თანხიდან პანსიონზე იხარჯებოდა 24000 მან. მაგრამ შემდეგში, პანსიონერთა რიცხვის გადიდებასთან (ორმოციანი წლების დამლევს მათი რიცხვი შეადგენდა 80-ს) ერთად, იზრდებოდა მისი შესანახი სახსრებიც.

გიმნაზიასთან არსებობდა ბიბლიოთეკა მოწაფეთათვის, რომელიც 1840 წელს ითვლიდა სხვადასხვა სახელწოდების 3000 წიგნზე მეტს; გიმნაზიასთან არსებობდა აგრეთვე კარგად მოწყობილი ფიზიკური კაბინეტი.

არ შეიძლება არ აღინიშნოს თბილისის გიმნაზიის მოწაფეთა კლასგარეშე მუშაობა 30-იანი წლების მანძილზე. გიმნაზიის უფროსი კლასის მოწაფეებს ჰქონდათ სამეცნიერო-ლიტერატურული წრე, რომელიც თვითგანვითარებითი ხასიათის მუშაობის პარალელურად, მასწავლებელთა ხელმძღვანელობით ეწეოდა სახელმძღვანელო წიგნების თარგმნასა და შედგენას, ხოლო 1835 წლიდან კი სცემდა ხელნაწერ ჟურნალს რუსულ ენაზე „Цветок Тифлисской гимназии“ („თბილისის გიმნაზიის ყვავილი“). ჟურნალში მონაწილეობდნენ გიმნაზიის შემდეგი მოწაფეები: იასე ანდრონიკაშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, მიხეილ ბებუთაშვილი,

---

* ცხრილიდან ჩანს, რომ ქართულ ენას აჭვს საათების მნიშვნელოვანი რიცხვი; ეს იმიტომ ხდებოდა, რომ რუსეთის ადგილობრივ ხელისუფლებას ეაპიროებოდა რიგიანი თარჯიმანები რუსულიდან ამ ენაზე, რისი მიღწევაც შეუძლებელი იყო მისი შესწავლისადმი სერიოზული დამოკიდებულების გარეშე.

ბ. ბეჟანოვი, გარსევან ვარლამიშვილი, ეგორ ვილემსი, ალექსანდრე მონასტირსკი, ლევან მელიქიშვილი, ივანე ტიტკოვი, მიხ. თუმანიშვილი, მირიან ჭყონია და სხვები. ჩვენამდე მოღწეული ნომრების (1, 2, 3, 5) მიხედვით ირკვევა, რომ „ყვავილი“ თავისი დანიშნულებით და სტრუქტურით რამდენადმე წარმოადგენდა თბილისში იმ დროს საკმაოდ გავრცელებულ ო. სენკოვსკის ჟურნალის: „Библиотека для чтения“-ს მიბაძვას. ჟურნალში უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი 6 განყოფილება: 1) რუსული სიტყვიერება (ლექსები და პროზა), 2) უცხოეთის სიტყვიერება, 3) მეცნიერება და ხელოვნება. პირველ ნომერში გამოქვეყნებული პროგრამის მიხედვით „ყვავილს“ უნდა ჰქონოდა კიდევ სამი განყოფილება: 4) მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, 5) კრიტიკა, 6) ნარევი, მაგრამ ჩვენამდე მოღწეულ ნომრებში ესენი არ ჩანან.

„რუსული სიტყვიერების განყოფილების“ პროზაში მასალის უმეტესობა ეხება საქართველოს. აქ მოთავსებულია ნიკოლოზ ბარათაშვილის „წერილი სოფლიდან“, გარს. ვარლამოვის — „ფურცელი კახეთზე“, გრაფ გორსკის (მიხ. თუმანიშვილი) — „ქართლში მისვლა“, ლ. მელიქიშვილის—„წერილები საქართველოდან“, ი. ანდრონიკაშვილის—„წერილებიდან კახეთზე“ და სხვ. „უცხოეთის სიტყვიერების“ განყოფილებაშიც ჭარბობს ქართული ელემენტი. აქ ვხვდებით: სოლ. დოდაშვილის — „ქართული ლიტერატურის მოკლე მიმოხილვას“ და „ირაკლი II მეფობას“. ეს წერილები გადმოთარგმნილია მიხ. თუმანიშვილის მიერ ჟურნალიდან: „სალიტერ. ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ (№ 1, 1832 წ.), ამავე განყოფილებაშია ნაწყვეტები „ვისრამიანიდან“ თარგმანი ნიკ. ბარათაშვილისა და მიხ. თუმანიშვილისა და სხვა მასალა.*

„თბილისის გიმნაზიის ყვავილი“ უდავოდ განიცდის „1832 წ. ქართული შეთქმულების“ მემარცხენე ფრთის გავლენას. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ჟურნალი ათავსებს ამ შეთქმულების გამო რეპრესირებული სოლ. დოდაშვილის წერილებს, შეჰხარის თავისუფალ ცხოვრებას, აღვივებს სამშობლოს (საქართველოს) სიყვარულს, გლეხობის პატივისცემას. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები „ყვავილში“

---

* უფრო დაწვრილებით „თბილისის გიმნაზიის ყვავილის“ შესახებ იხ. მიხ. ხელთუბნელი—„სალიტერატურო-საზოგადოებრივი წარსულიდან“ (თ. მე-3. შენიშვნებით), 1938.

არა გვხვდება. მას უკვე დაწყებული ჰქონდა ლექსების წერა „ყვავილის“ პერიოდში, მაგრამ მხოლოდ ქართულად და ამასთან ის ჯერ კიდევ არ ამჟღავნებდა თავის პოეტობას.

მართალია, „ყვავილის“ პირველ (სატიტულო) გვერდს აწერია: „შედგენილია საკლასო სავარჯიშოებიდან“-ო, მაგრამ ეს მხოლოდ ნაწილობრივ. ჟურნალის მასალის უდიდესი ნაწილი არ წარმოადგენს საკლასო წერითი სავარჯიშოებს. ეს წარწერა ჟურნალის განცემის ნებართვის გასაადვილებლად იყო გაკეთებული და ერთგვარ „ვიზა“-ს წარმოადგენდა.

თბილისის გიმნაზიის მოსწავლეთა რიცხვი დასაწყისში ძალიან უმნიშვნელოდ იზრდებოდა; ასე, მაგალითად, 307 მოსწავლიდან 1831 წელს, ის ავიდა 467-მდე 1847 წელს, მაგრამ შემდეგ პირველ კლასში მისაღებთა კონტინგენტი იმდენად გაიზარდა, რომ 50 იანი წლების დასასრულს საჭირო გახდა პარალელური კლასების გახსნა.

თბილისის გიმნაზიის კურსდამთავრებულთა რიცხვიდან ყოველწლიურად სახელმწიფო ხარჯზე უნდა ეგზავნათ ათ-ათ კაცი რუსეთის კადეტთა კორპუსებში და ამიერკავკასიის სკოლებისათვის მასწავლებელთა მოსამზადებლად, ხუთ-ხუთი კაცი პეტერბურგისა და მოსკოვის უნივერსიტეტებში.* მართალია, იყო წლები, როცა მოსწავლეთა უფრო მცირე რიცხვი ან სულ არავინ გაუგზავნიათ აღნიშნულ სასწავლებლებში, მაგრამ 40-იან წლების მეორე ნახევრიდან რუსეთში, უმაღლესი განათლებისათვის, მოსწავლეთა გაცილებით მეტი რიცხვი იგზავნებოდა.

1834 წ. აკადემიკოსი კუპფერი სთხოვდა როზენს თბილისის გიმნაზიასთან მეტეოროლოგიურ და მაგნეტურ დაკვირვებათა სადგურის (სისტემის) დაარსებას და ობსერვატორიის აშენებას, რაც ჩქარა იქნა განხორციელებული.

სამაზრო (საერო) სასწავლებლების გახსნა საქართველოში დაიწყო 1830 წლიდან. ქუთაისში სამაზრო სასწავლებელი გაიხსნა 1830 წ., გორში—1830 წ., თელავში—1830 წ., სამეგრელოში (სოფ. ნაოღალევში)—1830 წ., ახალციხეში—1831 წ., სიღნაღში—1831 წ., დუშეთში—1834 წ., თბილისში—1836 წ. და ა. შ. სამაზრო სასწავლებლები განიკუთვნებოდა „ყველა მდგომარეობის ხალხისთვის“ და მიზნად ისახავდა დაწყებითი ცოდნის გავრცელებას.

---

* საქართველოს მთავარმმართველი პასკევიჩი ამბობდა: „ქართველი მოსწავლე ახალგაზრდობა უნდა იგზავნებოდეს რუსეთში, რათა შეიცვალოს თავისი ნაციონალური მიჯართულება“

პირველად ამიერკავკასიის სასწავლებლები, 1829 წლის დებულების მიხედვით, შედგებოდნენ ორი კლასისაგან და მათში სწავლების კურსი განისაზღვრებოდა 2 წლით.*

ამ სასწავლებელთა სასწავლო გეგმაში იმავე დებულების მიხედვით შედიოდა: 1. საღვთო სჯული (საღვთო ისტორია), 2. რუსული ენა, 3. ადგილობრივი ენები (ქართული—ყველა სკოლაში, სომხური და აზერბაიჯანული კი იმ ადგილთა სკოლებში, სადაც ჰარბობდა სომხური ან აზერბაიჯანული მოსახლეობა), 4. არითმეტიკა (4 მოქმედება), 5. სუფთაწერა.

რუსულ ენას სამაზრო სასწავლებლებში ეთმობოდა 4 საათი თითოეულ კლასში, საღვთო სჯულს—4, არითმეტიკას—3, სუფთაწერას—3, ქართულ ენას—2, მოსწავლეთა დატვირთვა თითოეულ კლასში უდრიდა 24 საათს კვირაში.

აი ცხრილიც, ამოღებული 1829 წ. დებულებიდან (ПСЗРИ, IV, 571).

	სასწავლო საგნები		გაკვ. რიცხვი კვირაში		გაკვეთილ. რაოდენობა კვირაში	საათების რაოდენობა კვირაში
			I კლ.	II კლ.		
1.	საღვთო სჯული	.	4	4	8	12
2.	რუსული ენა	.	4	4	8	12
3.	ადგილობრივი ენა	.	2	2	4	6
4.	სუფთაწერა	.	3	3	6	9
5.	არითმეტიკის საწყისები	.	3	3	6	9
	სულ გაკვეთილი	.	16	16	32	—
	სულ საათი	.	24	24	—	48

მოსწავლეთა რიცხვი სამაზრო სასწავლებლებში სწრაფად იზრდებოდა. ასე, მაგალითად, თუ ზემოხსენებულ 4 ადგილის (ქუთაისი,

* 1828 წ. საერთო საიმპერიო წესდების მიხედვით, როგორც უკვე იყო აღნიშნული, „სწავლების კურსი სამაზრო სასწავლებლებში იყოფა სამ კლასად, თითოეულზე დანიშნულია თითო წელიწადი" (§ 55). ასე რომ საქართველოსა და ამიერკავკასიის სამაზრო სასწავლებლებში სწავლების კურსი შემოკლებული იყო ერთი კლასით (წლით). მაგრამ ეს ცოტა ხნით: ამიერკავკასიის სასწავლებელთა 1835 წ. დებულებით საქართველოსა და ამიერკავკასიის სამაზრო სასწავლებელთა კურსი 3 წლით (კლასით) განისაზღვრა.

გორი, თელავი, ნაოღალევი) სასწავლებლებში 1830 წელს შეეიდა მხოლოდ 64 მოწაფე, 4 წლის შემდეგ მათში უკვე 273 მოწაფე ითვლებოდა.* იმავე (1834) წელს საქართველოს ყველა სამაზრო სასწავლებელში, დუშეთის სასწავლებლის გამოკლებით, ირიცხებოდა 444 მოწაფე (მთელ ამიერკავკასიაში კი—622**). 1837 წ. საქართველოს ზემოჩამოთვლილი 8 ადგილის სასწავლებლებში სწავლობდა 564 მოწაფე, 10 წლის შემდეგ კი—958 მოწაფე. თუმცა ხსენებული დებულების მიხედვით სამაზრო სასწავლებლებში მიღება არ იყო შეზღუდული წოდებრივობის ნიშნით, მაგრამ ფაქტიურად სამაზრო სასწავლებლებში აბსოლუტურ უმრავლესობას (64%-ს) შეადგენდნენ თავადაზნაურობის, როგორც უფრო შეძლებული წოდების ბავშვები. 1834 წ. საქართველოს სამაზრო სასწავლებლებში 444 მოწაფიდან თავადაზნაურთა და მოხელეთა შვილი იყო 284, მოქალაქეთა და ვაჭართა—153, დანარჩენთა—7; ამიერკავკასიის სხვა ადგილებში კი (შუშა, ერევანი, ბაქო, ნუხა, ელისავეტპოლი) იმავე წელს 178 მოწაფიდან აზნაურთა, ბეგთა და მოხელეთა შვილები შეადგენდნენ 40, მოქალაქეთა და ვაჭართა—128, დანარჩენთა—10.

1829 წლის დებულების მიხედვით დაარსებულ ამიერკავკასიის სამაზრო სასწავლებლებში ისე დაბალი იყო სწავლების დონე, რომ მათ არ შეეძლოთ მოსწავლეთა მომზადება გიმნაზიებისათვის (თუმცა ამ დებულებით (§ 36) მათ ეს უფლება ეძლეოდათ 1828 წ. წესდებით გათვალისწინებულ რუსეთის სამაზრო სასწავლებელთაგან განსხვავებით) და არც დაბალ სამსახურებრივ თანამდებობათა დაკავებისათვის.

1829 წლიდან თბილისის გიმნაზიის და ამ წლის დებულების მიხედვით გასახსნელ სამაზრო სასწავლებელთა ყველა ხარჯი შეტანილ იქნა სახელმწიფო ბიუჯეტში. 1830 წ. თითოეულ სამაზრო სასწავლებელზე წლიურად იხარჯებოდა 3800 მან. ასიგნაციებით. ამ სასწავლებელთა ახალი შენობების ასაგებად გადადებულ იქნა 20000 მ. თითოეულისათვის. ამიერკავკასიის ყველა სასწავლებელზე იხარჯებოდა 119700 მ. წლიურად.***

მძიმედ, ნელი ტემპით იზრდებოდა სახელმწიფო და ოფიციალურ-სასულიერო სასწავლებელთა ქსელი საქართველოში. 30-იანი წლების დასასრულისათვის ასეთ სასწავლებელთა რიცხვი 28-ს

* Акты, VIII, 97.
** იქვე.
*** Акты, VII, 63.

ძლივს აღწევდა და ეს იმ დროს, როცა ხალხის ინტერესი და მისწრაფება განათლებისაკენ სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. ხალხი განწირული იყო ამ მხრივ, მაგრამ თუ მან მაინც შესძლო დაეცვა თავისი უფლება განათლებაზე—ამაში პატარა როლს არ თამაშობდა ქართული ეკლესია და ოჯახი.

12. საეკლესიო-სამონასტრო და სამინაო სკოლები

XIX ს. დასაწყისში საქართველოში კვლავ აგრძელებდნენ არსებობას მთელი რიგი ძველი სკოლები ეკლესია-მონასტრებთან და კერძო ოჯახებში. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა და კათედრების გაუქმებით (1811) მრავალი საეკლესიო-სამონასტრო სკოლა გაუქმდა, მაგრამ დროთა ვითარებისა გამო მოთხოვნილება ელემენტარულ განათლებაზე ისე იზრდებოდა, რომ ბევრი ასეთი სკოლა კვლავ გაიხსნა 20—30-იან წლებში. განსაკუთრებით გაიზარდა ინდივიდური სწავლების კერძო პრაქტიკა.

იმ ცნობილი ძველი საეკლესიო-სამონასტრო სკოლებიდან, რომლებიც კვლავ აგრძელებდნენ თავის არსებობას XIX ს. პირველ ნახევარში, უნდა მოვიხსენიოთ: თ ბ ი ლ ი ს ში—„დავით მღვდელი ჩუბინიძის“ სკოლა იოანე ნათლისმცემლის ეკლესიასთან,* რომელშიც სწავლობდა ცნობილი ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი** (ეს სკოლა დაიხურა 1817 წელს). აქვე იყო სკოლები სიონის, კალოუბნის, მეტეხის, ქვაშვეთის, ანჩისხატის და სხვ. ეკლესიებთან; განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ფერიცვალების მონასტერთან არსებული სკოლა, სადაც კარგად იყო დაყენებული რუსული ენის სწავლების საქმე 20-იან წლებში.

ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ში (თბილისის გარდა): სკოლა შუამთის მონასტერთან, რომელშიც 30-იან წლებში ასწავლიდა ცნობილი ლიტერატორი, 1832 წ. შეთქმულების მონაწილე ფილადელფოს კ ი კ ნ ა ძ ე და სადაც ერთ დროს სწავლობდა პოეტი რაფიელ ე რ ი ს თ ა ვ ი; სკოლები ნეკრესის, ახტალის, ალავერდის, იოანე ნათლისმცემლის, გარეჯის, ბოდბის (რომელიც

---

* იოანე ნათლისმცემლის ეკლესია იყო ახლანდელი ბარათაშვილის (ყოფ. მუხრანის) ხიდთან, მარჯვენა მხარეზე (პ. კ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი—ძველი ანჩისხატის ეკლესია თბილისში, 48).

** პლ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, 261, 1936.

1833 წელს შეუერთდა თელავის სასულიერო სასწავლებელს), ნინოწმინდის, ლარგვისის, რუისის, ურბნისის, რუსთავის, მცხეთის, ხამთავროს, სამთავისის, მეტეხის, გორის სამ ეკლესიასთან, ნიქოზის, წილკანის, მანგლისის, ხირსის, მღვიმის და სხვა ეკლესია-მონასტრებთან.

დასავლეთ საქართველოში: გელათის, ხონის (30-იანი წლებიდან—„სვიმონ კუტის სკოლად" წოდებული), ჭყონდიდის, ბიჭვინთის, მარტვილის, ნიკორწმინდის, ჯრუჭის, ხობის, ხოპის, ცაგერის, სორის (რაჭა), ცაიშის, სარკვის, ჯუმათის, შემოქმედის („დუმბაძე ბერის სკოლა"), უდაბნოს, უბისის და სხვა ეკლესია-მონასტრებთან.

გარდა სხვადასხვა წყაროებში გაფანტული ცნობებისა, რომლებიც ადასტურებენ აღნიშნულ ეკლესია-მონასტრებთან სკოლების არსებობის ფაქტებს, აღსანიშნავია ანტონ II კათალიკოსის პასუხი საქართველოს მთავარმართებელ კნორინგისადმი: 1801 წლის თებერვალში, უკანასკნელის შეკითხვაზე,—„არის თუ არა (საქართველოს) ეპარქიაში სასწავლებლები, და თუ არის—სად, რას ასწავლიან მათში და ვინ ინახავს", ანტონი II უპასუხებდა: „ბავშვებს ასწავლიან ქართლისა და კახეთის ყველა ეპარქიაში* წერა-კითხვას და გალობას. ამ მოწაფეებს თავიანთ ოჯახებში ინახავენ".** ეს სკოლები, როგორც ჩანს ანტონის პასუხიდან, ელემენტარული ანუ წერა-კითხვის სკოლები იყვნენ, მაგრამ მათ გარდა ეპარქიის ცენტრებში და კათედრულ ტაძრებთან არსებობდნენ საშუალო ტიპის სკოლებიც, რომლებშიც ასწავლიდნენ რიტორიკას, გრამატიკას, ფილოსოფიას, ფიზიკას, ლოგიკას, ისტორიას, ღვთისმეტყველებას. მწერალი-მემუარისტი ი. ქართველიშვილი (1772—1816) გადმოგვცემს, რომ ახტალის ეკლესიასთან არსებულ სკოლაში ეპისკოპოსი ვ. ერისთავი ასწავლიდა მას „რიტორიკას, კატეღორიებს, ლოგიკას, მეტაფიზიკას."*** წილკანის არქიეპისკოპოსი იოანე 1800 წელს წერდა ანტონს: „მყავს ოთხი მოწაფე, რომელთაც ვასწავლი მეცნიერებათა, ახლა ისინი გადიან ლოგიკას".**** ასეთივე საშუალო

---

* დასავლეთი საქართველო მაშინ ჯერ კიდევ არ იყო შეერთებული რუსეთის იმპერიასთან.

** Акты, I, 529—530.

*** იოანე ქართველიშვილი, მემუარები, საქ. მუზ. ხელნაწ., ფ. А, 1196.

**** Акты, I, 533.

ტიპის სკოლა იყო ბოდბის მონასტერთანაც. „ამ უდაბნოებსა და ეკლესიებში მიიღებდა ჩვენი ერი სრულს სწავლა-განათლებასა. აქ ასწავლიდნენ წერას, კითხვას, გალობას, გრამატიკას, რიტორებას, ფილოსოფიას, ღვთის შეტყველებას, სამღვთოთა წიგნთა, კატეხიზმოს, ძველთა სამეფოთა ისტორიასა და სხვა საგანთა“ (ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, 1, 42).

XIX ს. პირველ ნახევარში არსებობდნენ აგრეთვე ქალთა მონასტრები კარგად მოწყობილი ქალთა სკოლებით (ბოდბის, მცხეთის, თელავის, ჯრუჭის, საჩხერის, მღვიმის და სხვ.). ამ სკოლებში წერა-კითხვის, ლოცვებისა და გალობის, ხოლო ზოგიერთ მათგანში (ბოდბე) სამეცნიერო საგნების გარდა, ასწავლიდნენ ჭრა-კერვას და სხვა სადიასახლისო საქმეებს.

გარკვეული სარგებლობა მოჰქონდათ ეკლესია-მონასტრებთან არსებულ სკოლებს ხალხის განათლებისათვის, მაგრამ მათი რიცხვი არ იყო საკმარისი; ამასთან, ეს სკოლები უმთავრესად მამრობითი სქესის ბავშვებს ემსახურებოდნენ. ამის გამო მათ პარალელურად საქართველოში XIX ს. პირველ ნახევარში არსებობდნენ ე. წ. „საშინაო სკოლები“ და ფართოვდებოდა საშინაო ინდივიდუური სწავლების პრაქტიკა. „საშინაო სკოლები“ ეწოდებოდა ბავშვთა ჯგუფური სწავლების სახლებს (სადგომებს, ბინებს). აქ ასწავლიდნენ წერა-კითხვას, ანგარიშს, ლოცვებს, ხოლო გოგონებს, ამას გარდა —ხელსაქმეს. ასწავლიდნენ მეტ შემთხვევაში „საშინაო განათლების“ მქონე ქალები, იშვიათად კი სათანადო სახელმწიფო ან სასულიერო სასწავლებელში სწავლამიღებული პირები. „საშინაო სკოლებში“ ასწავლიდნენ მამაკაცებიც, მაგრამ ყველა ესენი, გარდა მცირე გამონაკლისისა, იყვნენ მოხუცებულნი ან ინვალიდები, მაგრამ მათ შორის ხშირად ერიენენ მცოდნე (თვითგანათლების გზით) და ხანგრძლივი პრაქტიკით პედაგოგიურად დახელოვნებული, ავტორიტეტული მასწავლებლები (იხ. აქვე, თავი—„მასწავლებლობა და პედაგოგიური ზრდა“).

საშინაო სკოლებში სხვადასხვა ასაკის სოფელი ახალგაზრდობა სწავლობდა, მაგრამ ძირითად, თუ შეიძლება ითქვას, კონტინგენტს 9—12 წლის ბავშვები წარმოადგენდნენ. მიღების (მიბარების) დრო არ იყო განსაზღვრული, მაგრამ უმთავრესად ეს ხდებოდა შემოდგომის მიწურულში, სასოფლო სამუშაოების დამთავრებისას, სწავლა კი გაზაფხულის გასკლამდე გრძელდებოდა. სკოლაში ბავშვები მიდიოდნენ დილას (ზოგან—ნასადილევს) და სადი-

ლობამდის ან სამხრობამდის რჩებოდნენ. ჰქონდათ ერთი ან ორი დასვენება. საშინაო სკოლის სასწავლო საგნებს წარმოადგენდა ქართულ წერა-კითხვაში „გაწაფვა“ და „ციფრების დასწავლა“, ე. ი. ელემენტარული ანგარიში ასის ფარგლებში. ეს უკანასკნელი (ანგარიში) ყველა სკოლაში არ იყო. ქალთა საშინაო სკოლაში კი იგი იშვიათად ისწავლებოდა. სამაგიეროდ ხელსაქმე (ჭრა-კერვა, ქსოვა, ქარგვა) ყველა მათგანში იყო შემოღებული. არც სწავლების ხანგრძლივობა იყო რეგლამენტებული. ზოგან „ერთ-ორ წელს“ გრძელდებოდა, ე.ი. მანამ, სანამ მოწაფეები წერა-კითხვაში „თვალს გაიტეხდნენ“ და „ციფრებს“ ისწავლიდნენ, ზოგან კი (ქალთა სკოლებში) გათხოვებამდე რჩებოდნენ.

საშინაო სკოლებში ქალ-ვაჟთა ერთად სწავლება იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენდა. ხშირად ერთს სოფელში ქალთა სკოლაც იყო და ვაჟთაც. მოწაფეთა რიცხვი თითოეულ მათგანში ჩვეულებრივად 10—20-მდე აღწევდა. მეკადინეობის დროს ბავშვები ისხდნენ ტახტზე, მაგრამ უფრო ხშირად კი ისინი ფეხმოკეცილი ისხდნენ ხის იატაკზე დაფენილ სუფთა ჩოლობზე ან ქეჩაზე—ნახევარწრედ. მათ წინ, შუა ადგილას, ბალიშზე ან დაბალ სკამზე იჯდა მასწავლებელი, რომელსაც გვერდზე მოკრძო წვრილი ჯოხი ედო. ეს ჯოხი ხმამაღლა გუნდური კითხვის დროს თითქოს დირიჟორის ჯოხის ფუნქციას ასრულებდა (კითხვის ტაქტის ან რიტმის რეგულირებისათვის), სხვა დროს კი დაფაზე დაწერილი ასოების ან ციფრების საჩვენებლად იხმარებოდა. ბავშვების ცელქობის შემთხვევებში მასწავლებელი (ოსტატი) ახლო მსხდომთ „ხორცს უჩმეტდა“, თმას ან ყურს უწევდა, ხოლო შორს მსხდომთ კი ჯოხით აშინებდა.

„საშინაო სკოლები“ XIX ს. პირველი ნახევრის საქართველოში ბევრი იყო. ისინი არსებობდნენ თითქმის ყველა სოფელში, მღვდლის ოჯახებთან, ძალიან ხშირად გლეხთა სახლებშიც. ყოველი მათგანი ატარებდა თავისი მასწავლებლის ან იმ ოჯახის უფროსის სახელს, რომელთანაც იგი არსებობდა. „საშინაო სკოლებმა“ თავის გამოხატულება ჰპოვეს მხატვრულ ლიტერატურაშიც. ერთი საშინაო ქალთა სკოლა („ეფროსინეს სკოლა“) აწერილი აქვს მწერალ სოფრომ მგალობლიშვილს მოთხრობაში „წარსულიდან“. ამავე მოთხრობაში ნახსენებია ვაჟთა საშინაო სკოლაც—„ისიდორე გეგელაშვილის სკოლა“. ვაჟთა საშინაო სკოლის ნათელ სურათს გვიხატავს აგრეთვე ილია ჭავჭავაძე მოთხრობაში—„გლახის ნაამბობი“. დამსახურებული მასწავლებლის გიორ-

გი ნათაძის მიერ შეკრებილ მასალებში არის საკმაოდ ვრცელი ცნობები XIX ს. ორმოცდაათიანი წლების დასასრულისა და 60-იანი წლების დასაწყისის „საშინაო სკოლების“ შესახებ საქართველოში: მართა ნათაძის სკოლა სოფ. მერეთში, ანა ამილახვრისა —ცხინვალში, კურდღელაშვილისა — თელავში, ანა წერეთლისა — საჩხერეში, გვიტია მაჭავარიანისა — ს. ჩორვალში, ფურცელაძისა — ს. ტყისთავში, მაგდა რცხილაძისა — ს. შაშიანში, სოფიო ჯანაშვილისა — ს. ბოდბეში, პეტრე ხელაშვილისა — ს. ვაქირში, ჯავახიშვილისა — ს. ხოვლეში, დიაკონ მძინარიშვილისა* და მრ. სხვ.

ივ. გომელაური იხსენიებს სიმ. ბენაშვილის საშინაო სკოლას ს. ზემოშაჩხაანში. ზ. ედილი გადმოგვცემს ცნობას საინგილოში მღვდ. ქიტიაშვილის სკოლის არსებობის შესახებ.**

კოტე დიმიტრის-ძე ყიფიანის მეუღლე, ნინო ყიფიანი (დაბადებული 1868 წელს), გვაწვდის აგრეთვე საინტერესო ცნობებს სოფ. ძვიმლეთში (გორის ყ. მაზრა) არსებული „ძალუა ერმონიას“ (ანტონ ტატიშვილის ქვრივის) საშინაო სკოლის შესახებ.***

არაიშვიათად „საშინაო სკოლები“ არსებობდნენ თავადაზნაურთა სახლებშიც, სადაც გლეხი ბავშვების მასწავლებლებად გამოდიოდნენ თვით ოჯახის დიასახლისები—ივ. მუხრანსკის ოჯახში, სოფ. მუხრანში, როსტომ წერეთლის (აკაკის მამის) ოჯახში, ს. საჩხერეში და სხვ.

ინდივიდური საოჯახო აღზრდის პრაქტიკა გავრცელებული იყო უმთავრესად თავადაზნაურობაში. ამ წოდების ბევრი წარმომადგენელი ქირაობდა გუვერნიორებს, აღმზრდელებს, მასწავლებლებს და დიდი ხნით აძლევდა მათ საკუთარ შვილებს აღსაზრდელად. ეს პრაქტიკა XIX ს. პირველი ნახევრის საქართველოში არაფრით განირჩეოდა ასეთივე პრაქტიკისაგან იმავე პერიოდის დასავლეთ ევროპასა და რუსეთში, საჭიროა მხოლოდ აღინიშნოს, რომ მაღალი ქართველი არისტოკრატიის შვილების აღმზრდელთა შორის ხშირად იყვნენ უცხოელები და რუსები. მათ უმთავრესად იწვევდნენ უცხო ენების მასწავლებლებად, ხოლო უცხო ენების, განსაკუთრებით

---

* პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტ. არქივი, ს. 103, გვ 52—72; ამ სკოლების რეჟიმისა და სასწ. მუშაობის შესახებ იხ. აქვე: „სწავლა-აღზრდის ძველი წესები და მეთოდები“.

** ზ. ედილი, „საინგილო“, 34.

*** ნინო ყიფიანის ხელნაწერი ინახება ჩვენთან.

ფრანგულის ცოდნით, ბევრი ქართველი არისტოკრატის ოჯახი გამოირჩეოდა აღნიშნულ დროში. ცნობილია, მაგალითად, რომ სამეგრელოს მთავრის ლევ. დადიანის შვილების აღსაზრდელად 1804 წელს მოწვეულ იქნა უნგრელი მ ა რ ტ ი ნ ი, ფილოსოფიის მცოდნე, რომელიც ერთი წლის შემდეგ, გენერალ ციციანოვის მოწვევით, გადავიდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის გერმანული და ლათინური ენების მასწავლებლად.*. 1854 წელს, სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის დავ. დ ა დ ი ა ნ ი ს შვილების აღმზრდელად, ფრანგი ქალი ბ ე რ გ ი ს შემდეგ, მოწვეულ იქნა მწერალი კ. ბ ო რ ო ზ დ ი ნ ი, რომელმაც საქართველოში 25 წლის ცხოვრების შედეგად დაგვიტოვა მშვენიერი „მოგონებანი“ სამეგრელოსა და სვანეთის შესახებ.

საშინაო ინდივიდური სწავლების გზით მიიღო დაწყებითი განათლება ბევრმა ქართველმა გამოჩენილმა მწერალმა და მეცნიერმა: გრ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ მ ა, ნ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ მ ა, გ. ე რ ი ს თ ა ვ მ ა, მიხ. თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ მ ა, დიმ. ბ ა ქ რ ა ძ ე მ, მ. გ უ რ ი ე ლ მ ა, აკაკი წ ე რ ე თ ე ლ მ ა, ილია ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე მ, ეკა-ფ შ ა ვ ე ლ ა მ და ბევრმა სხვამ.

13. კერძო სკოლები და პანსიონები

ზემოხსენებული საეკლესიო-სამონასტრო და საშინაო სკოლები შეშაობდნენ არაორგანიზებულად, მტკიცე სასწავლო გეგმის გარეშე, სწავლა-აღზრდის პედაგოგიური საფუძვლების გაუთვალისწინებლად; ამასთან, საეკლესიო-სამონასტრო სკოლები, მცირეოდენის გამოკლებით, არსებობდნენ მხოლოდ სოფლად და ხალხის მოთხოვნილებებს, ცხადია, ვერ აკმაყოფილებდნენ. ამის გამო XIX ს. დასაწყისშივე საქართველოს ქალაქებსა და მსხვილ დაბებში აღმოცენება იწყეს კერძო სკოლებმა და პანსიონებმა. 1804 წლის „უნივერსიტეტებისადმი დაქვემდებარებულ სასწავლებელთა წესდების“ (§§ 141—158) თანახმად, კერძო სკოლის ან პანსიონის გახსნის ნებართვას უშუალოდ იძლეოდა სათანადო ოლქის უნივერსიტეტის რექტორი მას შემდეგ, რაც დაინტერესებული პირი წარუდგენდა მას თხოვნას სასწავლო გეგმისა და მოსაწვევი მასწავლებლების დახასიათების დართვით და ცნობას სწავლისა და პანსიონში შესანახი ქირის ნავარაუდევი რაო-

* Акты, II, 201.

დენობის შესახებ. კერძო სკოლის გამხსნელ-შემნახველი ფორმალურად თავისუფალი იყო სასწავლო გეგმის საგნების შერჩევაში; მას ეკალებოდა მხოლოდ რუსული ენის აუცილებლად გათვალისწინება და სწავლების ისეთი მეთოდების შემოღება, რომლებიც „უნდა ემსგავსებოდნენ აღნიშნულ (გიმნაზიებსა, სამაზრო და სამრევლო) სასწავლებლებში შემოღებულ მეთოდებს“.

რამდენადაც რუსეთის იმპერიის სასწავლებელთა 1804 წლის წესდება ფაქტიურად არ იყო გამოყენებული საქართველოში, იმდენად აქ, XIX ს. ოცდაათიან წლებამდე, კერძო სკოლები და პანსიონები იხსნებოდა აღნიშნული წესების გარეშე. უფრო მეტიც: ეს სკოლები და პანსიონები საქართველოში იხსნებოდა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ცნობის გარეშე, ისინი არსად არ იყვნენ აღრიცხულნი და სახელმწიფო კონტროლს ხელიდან უსხლტებოდნენ. მხოლოდ 1878 წლის წესდების მიღების შემდეგ შეიქნა შესაძლებელი დაახლოებითი აღრიცხვა საქართველოს კერძო სკოლებისა. ამ წესდების მიხედვით „არავითარი კერძო სასწავლებელი არ შეიძლება გაიხსნას სასწავლებელთა მმართველობის გარეშე“ (§ 309), ხოლო არსებული კერძო სკოლები კი აუცილებლად უნდა გაეტარებინათ რეგისტრაციაში. 1830 წელს საქართველოს მთავარმართებელმა პასკევიჩმა განკარგულება გასცა დაეხურათ ქ. ახალციხისა და მისი ოლქის ყველა კერძო სკოლა, რადგანაც ამ სკოლების უმრავლესობა ეკუთვნოდა „ნაკლებად სანდო“ სომეხ-გრიგორიანულ და კათოლიკურ სასულიერო წოდებას. მიუხედავად ამისა, ეს სკოლები ფაქტიურად მაინც აგრძელებდნენ არსებობას ინდივიდურ-ჯგუფური სწავლების სახით.

1834 წელს საქართველოს მთავარმართებელმა ბარონმა როზენმა უბრძანა აღმოსავლეთ საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორს, ახალციხის ფაშალაკის (ოლქის) უფროსს და იმერეთის მმართველს, შეეკრიბათ ცნობები კერძო სკოლებისა და მასწავლებელთა შესახებ. ამ არასრული ცნობების* მიხედვით ირკვევა, რომ 1834 წელს აღმოსავლეთ საქართველოში არსებობდა: თბილისში (გარეუბნის ჩათვლით)—18 სკოლა 305 მოწაფით, გორში—4 სკოლა 205 მოწაფით, თელავში—3 სკოლა 60 მოწაფით, დუშეთში—2 სკოლა 45 მოწაფით, სულ—24 სკოლა 510 მოწაფით; ახალციხის

* საქ. ცენტრ. არქივი, ს. № 4, სერია ბ—კერძო სკოლების შესახებ და ს. № 38, გვ. 45—46; აგრეთვე პედაგ. მეცნ. ინსტიტუტის არქ., ს. № 13.

ოლქში—24 სკოლა 413 მოწაფით; იმერეთში: ქუთაისში—7 სკოლა 154 მოწაფით, ვაკის ოლქში (ვაკე—იმერეთი)—8 სკოლა 108 მოწაფით, შორაპნის ოლქში—6 სკოლა • 152 მოწაფით (გურია-სამეგრელოს და სხვა რაიონების შესახებ ცნობები არ აღმოჩნდა). სულ იმერეთში—21 სკოლა 434 მოწაფით. ასე, მთელ საქართველოში, გურია-სამეგრელოს, სვანეთისა, აჭარისა და რაჭა-ლეჩხუმის გამოკლებით, 1834 წლისათვის იყო 72 კერძო სკოლა 1457 მოწაფით. ნაციონალური ნიშნის მიხედვით აღმოსავლეთ საქართველოში 27 სკოლიდან იყო ქართული (ქართულ ენაზე სწავლებით) 6 სკოლა, სომხური—10, შერეული—ქართულ-სომხურ-რუსული (ე. ი ქართულ, სომხურ და რუსულ ენებზე სწავლებით)—1, ქართულ-სომხური—9 და 1 სკოლა თბილისში ლათინურ (კათოლიკე-მისიონერთა ბავშვებისათვის), ქართულ და სომხურ ენებზე სწავლებით. ახალციხის ფაშალიკში 24 სკოლიდან იყო: ქართული—6, სომხური—9, თურქული—2, სომხურ-ქართული—2, თურქულ-არაბული (ე. ი. თურქულ და არაბულ ენებზე სწავლებით)—4 და 1 სკოლა ს. აწყურში ქართველი ებრაელებისათვის ებრაული ენის (წ-კითხვის) სწავლებით. იმერეთში 21 სკოლიდან 18 იყო ქართული და 3 ებრაული (ქ. ქუთაისში, სადაც სწავლობდნენ ებრაელი ბავშვები და ასწავლიდნენ ამავე ტომის მასწავლებლები. აქ, ებრაულ სკოლებში, ებრაულ წ-კითხვასთან ერთად ასწავლიდნენ ქართულსაც).

ამგვარად, 1834—1835 წლისათვის ჩვენ ვღებულობთ საქართველოს კერძო სკოლების ასეთ ქსელს:

ადგილმდებარეობა	კერძო სკოლების რიცხვი						მოსწავლეთა რიცხვი				
	ქართულ ენაზე	სომხურ ენაზე	თურქულ ენაზე	ქართულ-სომხურ	სხვა ენებზე	სულ	ქართველი	სომები	ოსმალო	სხვები	სულ
აღმოსავ. საქართველო .	6	10	—	9	2	27	203	390	—	17	610
ახალციხის რაიონი .	6	9	4	2	3	24	125	175	93	20	413
იმერეთი .	18	—	—	—	3 ებრ.	21	401	—	—	33 ებრ.	434
სულ საქართველოში (გურია-სამეგრ., აჭ-რის, სვანეთისა და რაჭა-ლეჩხუმის გარეშე) .	30	19	4	11	8	72	729	565	93	70	1457

XIX ს. დამდეგის კერძო პანსიონებიდან აღსანიშნავია პ. ნ. ახ-ვ ე რ დ ო ვ ა ს ქალთა პანსიონი, რომელიც დაარსდა ქ. თბილისში 1820 წელს ქართველი არისტოკრატიისა და მაღალი წოდების სამ-ხედრო და სამოქალაქო პირთა შვილებისათვის.*

ახვერდოვას პანსიონში ასწავლიდნენ ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებს, ანგარიშს, მუსიკას, ხატვას, ხელსაქმესა და ცეკ-ვებს.

ამ პანსიონს გარდა თბილისში XIX ს. 20-იან წლებში არსე-ბობდა აგრეთვე 3—4 ინტელიგენტური ოჯახი, რომლებსაც სათა-ნადო საფასურით აჰყავდათ აღსაზრდელად ბავშვთა პატარა ჯგუ-ფები. ასწავლიდნენ რუსულ და ფრანგულ ენებს და მუსიკას.

საქართველოს ახალგაზრდობა კერძო სკოლებში მიდიოდა, პირ-ველ ყოვლისა, იმიტომ რომ ცოტა იყო, როგორც აღვნიშნეთ, სა-ხელმწიფო და სასულიერო სასწავლებელთა რიცხვი, განსაკუთრე-ბით სოფლად, სადაც ს ა ე რ ო სამრევლო სკოლები სრულებით არ არსებობდა. მეორეც—იმიტომ, რომ ამ მცირერიცხოვან სახელმწიფო და სასულიერო სკოლებში სწავლება მიმდინარეობდა არა ნშობ-ლიურ, ე. ი. არაგასაგებ ენაზე. აჰ საერთო მიზეზებს, რომლებიც ყველა ადგილობრივ ეროვნებათა მოსწავლეებს თანაბრად აიძულებდა მიემართათ კერძო სკოლებისათვის,—საქართველოში მცხოვრებ ლო-მეხ ახალგაზრდობისათვის ემატებოდა კიდევ ერთი მიზეზი: 30-იან წლებამდის საქართველოში სომხური ენა არ იყო დაშვებული არც სასწავლო საგნად და არც სჯავლების საშუალებად. არ იყო არც სომეურ-მონოფიზიტური სამრევლო სკოლები. ეჩმიაძინის ეპარქიას, სიშორის გამო, არ შეეძლო თვალყური ედევნებინა საქართველოში მოსახლე სომხების განათლებისათვის, ხოლო საქართველოს მართლ-მადიდებელი ეკლესია და ეპარქია არ იყვნენ დაინტერესებული მო-ნოფიზიტური სარწმუნოების სომეხი ახალგაზრდობის აღზრდა-განათ-ლებით. 1834 წლისათვის საქართველოში იყო მხოლოდ 3 სომხურ-გრიგორიანული სასულიერო სკოლა (2 თბილისში და 1 პროვინ-ციაში). ამიტომ გასაგებია, რომ სომხის სავაჭრო ბურჟუაზია და ხელოსანთა წოდება, რომლებსაც ყველაზე მეტად სჭირდებოდათ წერა-კითხვის ცოდნა, იძულებული იყვნენ შვილები კერძო სკო-ლებში ეტარებინათ. აქედან—მოზრდილი რიცხვი კერძო სომხური

* პ. ნ. ახვერდოვას პანსიონში იზრდებოდნენ პოეტ ალ. ჭავჭავაძის ქალიშვილებიც.

სკოლებისა აღმოსავლეთ საქართველოში და ახალციხის ოლქში, სადაც სახლდებოდა XIX ს. დასაწყისში ოსმალეთიდან და ირანიდან გამოსული სომხობა. მაგრამ კერძო სკოლები ხშირად არსებობდა არა იმდენად ხალხის განათლებისათვის, რამდენადაც მათ შემნახველთა მატერიალური სარგებლობისათვის.

XIX ს. 30 იან წლების დასაწყისში კერძო სკოლებისა და საშინაო აღზრდის პრაქტიკა გაფართოვდა რუსეთის შიდა გუბერნიებშიც. მრავალი მოწინავე რუსი ადამიანი იყო ჩაბმული ამ პრაქტიკაში და ჩქარა რუსეთის ცენტრალური ქალაქების მრავალი კერძო სკოლა საგრძნობ კონკურენციას უწევდა მთავრობის სკოლებს თავის ავტორიტეტიანი პედაგოგიური პერსონალით. ეს გარემოება ახალგაზრდობის საკმაოდ სოლიდურ რიცხვს იზიდავდა კერძო სკოლებსა და პანსიონებში. ამასთან, ძალიან ხშირად, კერძო სასწავლებლებიდან ხალხში გადიოდა აღზრდის ახალი პრინციპები და ზოგჯერ რევოლუციური იდეებიც. ნ ი კ ო ლ ო ზ I პერიოდის სასწავლო უწყებას ადვილად შეეძლო დაენახა ამაში როგორც მთავრობისა და სასულიერო სასწავლებელთა ავტორიტეტის შელახვა, ისე 1830 წ. ივლისის რევოლუციისა და პოლონეთის 1830—31 წლის მოძრაობის გამოხმაურების ნიშანი და „მთავრობის საწინააღმდეგო“ განწყობილების გავრცელების საშიშროება. მაგრამ, თუ კერძო სკოლების აკრძალვა ძნელი იყო, სამაგიეროდ ძალიან ადვილი აღმოჩნდა მათზე სასტიკი სახელმწიფო კონტროლის დაწესება. 1828 წლის წესდების მიხედვით კერძო სასწავლებლები ეპორჩილებოდნენ: „სატახტო და საგუბერნიო ქალაქებში—გიმნაზიების დირექტორებს უშუალოდ, ხოლო სამაზრო და სხვა ქალაქებში—მაზრის სასწავლებელთა ზედამხედველს“ (§ 311). ამავე წესდებით კერძო სკოლათა პატრონებს მიეცათ გაფრთხილება: „თვალყური ადევნონ მასწავლებელთა სწავლებასაც, და თუ აღმოჩნდა, რომ ისინი ბოროტი განზრახვით ან თუნდაც დაუდევრობით, მავნე აზრებს უნერგავენ მოწაფეებს,—პასუხს აგებს სასწავლებლის პატრონი ისეე, როგორც მასწავლებელი“ (§ 315). მაგრამ 1831 წლიდან კერძო სასწავლებელთა მეთვალყურეობა ეკისრებოდათ აგრეთვე სამხედრო და სამოქალაქო გუბერნატორებს, რომლებსაც ევალებოდათ კერძო სკოლების გახსნისა და შენახვის წესების დარღვევის ყველა შემთხვევა ეცნობებინათ შინაგან საქმეთა და განათლების მინისტრებისათვის „მის იმპერატორობითი უმაღლესობისათვის მოსახსენებლად“.

საქართველოს კერძო სკოლები XIX ს. 40-იან წლებამდის თავიანთი მოუწყობლობით, მერყეევი სასწავლო გეგმებით და განათლების შინაარსით ვერც კი შეეჯრებოდნენ მთავრობისა და სასულიერო უწყების სასწავლებელთ, მაგრამ მრავალი მათგანი თავისი აღმზრდელობითი გავლენით ადგილობრივ ახალგაზრდობაზე, სწავლების მშობლიური ენით და ეროვნული ხასიათით უფრო მეტად იზიდავდა მოწაფეებს, ვიდრე მთავრობისა და სასულიერო უწყების სათანადო სასწავლებლები. 1832 წლის „ქართველთა შეთქმულების“ აღმოჩენის შემდეგ კერძო ქართული სკოლების ეს „ეროვნული სული“ უკვე გარკვეულად აფიქრებდა მეფის ადგილობრივ ხელისუფლებას, და 1834 წელს საქართველოს მთავარმართებელმა როზენმა, ცენტრალური მთავრობის სათანადო მითითებათა საფუძველზე, გამოსცა ბრძანება იმ კერძო სკოლების დახურვის შესახებ, რომლებსაც არა ჰქონიათ ოფიციალური ნებართვა 1828 წლის წესდებისა და კერძო სასწავლებელთა შესახებ შემდგომ განკარგულებათა მიხედვით; ხოლო ნებართვის აღება კი ძალიან რთულ პროცედურას წარმოადგენდა, რაც ძოგონებული იყო მხოლოდ იმისათვის, რომ გაეძნელებინათ მისი მიღება. მართლაც, საქართველოს კერძო სკოლების მდგომარეობა შემდგომ პერიოდში მთელი სიცხადით გვაჩვენებს, როგორ მცირდებოდა ქართველ სასულიერო პირთა და ერისკაცთა კერძო სკოლები და როგორ იზრდებოდა მათ მაგივრად რუს და უცხოელთა მიერ გახსნილ კერძო სკოლათა და პანსიონების რიცხვი.

XIX ს. 40-იანი წლებიდან კერძო სკოლები და პანსიონები, რომლებიც იხსნებოდა ხელისუფლების სათანადო ნებართვით, ამიერკავკასიისა და საქართველოს ქალაქებში, იმყოფებოდა ამიერკავკასიის სამმართველო საბჭოს სასწავლო ნაწილის, ხოლო 1849 წლიდან, კავკასიის სასწავლო ოლქის ორგანიზაციის შემდეგ, ამ უკანასკნელის მეთვალყურეობის ქვეშ.

1843 წელს, ამიერკავკასიის მთავარმართებელმა ნეიდგარდტმა, ნიკოლოზ პირველის 1842 წლის 12 ნოემბრის განაწესის მიხედვით, ნება დართო უფროს მასწავლებელ რაევსკის და სამაზრო სასწავლებლის შტატის ზედამხედველის მონასტირსკის მეუღლეს გაეხსნათ თბილისში 2 პანსიონი, პირველს—ვაჟებისა—25 მოწაფისათვის, ამ რიცხვის 60 მდე გადიდების უფლებით და მეორეს—ქალებისა—15-დან 30-მდე მოწაფისათვის.* 1845 წლამდე გაიხსნა კი-

* Акты, IX, 615.

დევ 2 კერძო ვაჟთა პანსიონი ჰაკესი და იანიცკისა. ქ. თბილისის 4 კერძო პანსიონში 1845 წელს სწავლობდა 163 მოწაფე.* რაევსკის პანსიონი 1846 წელს შეუერთდა ჰაკეს პანსიონს, გადავიდა თბილისის გიმნაზიის სასწავლო გეგმაზე და აძლევდა მოწაფეებს საშუალო განათლებას,** სხვა პანსიონები კი მუშაობდნენ სამაზრო სასწავლებელთა ან გიმნაზიის პირველი სამი კლასის სასწავლო გეგმით.

კერძო პანსიონების რიცხვი სწრაფად იზრდებოდა თბილისში და ყველა ისინი, მეფის მოადგილის მ. ვორონცოვის თქმით, „საკმარისი იყვნენ მოწაფეებით“.

XIX ს. 50-იანი წლების დასაწყისიდან პანსიონების გახსნა დაიწყო საქართველოს პროვინციაშიც. ცნობილია, მაგალითად, პანსიონები ქუთაისში და გორში. ქუთაისის პანსიონი გაიხსნა „კეთილშობილთა ბავშვებისათვის“ 50-იანი წლების დამლევს, ქუთაისის გენერალ გუბერნატორ კოლუბაკინის (1855—1857) ინიციატივით, ხოლო გორის პანსიონი კი—რუსული ენის მასწავლებელ ნიკიტინისა და ფრანგული ენის მასწავლებელ დორეს ინიციატივით.***

იზრდებოდა აგრეთვე კავკასიის სასწავლო ოლქისადმი დაქვემდებარებული კერძო სკოლების რიცხვიც. 50-იან წლებში მარტო ქ. თბილისში გაიხსნა 7 ახალი სკოლა-პანსიონი,**** მოსწავლეთა მოზრდილი კონტინგენტით. ამ პერიოდის ქ. თბილისის კერძო სკოლებიდან გამოირჩეოდა ტერ-აკოფოვის (და მონასტირცევის) სკოლა, გახსნილი 1858 წელს, რომელიც 1865 წლიდან გადაკეთდა კერძო გიმნაზიად; კანონიჩის ვაჟთა პანსიონი (გახსნილი 1859 წელს), რომელშიც 1863 წელს სწავლობდა ალ. ყაზბეგი. უფრო მეტად გაძლიერდა მოწაფეთა რიცხვი ქალთა კერძო სკოლებსა და პანსიონებში. „ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი, წმ. ნინოს სახელობის აღმზრდელობითი დაწესებულება და ქალთა ზოგიერთი კერძო სასწავლებელი უკვე ვეღარ იტევენ საზოგადოებრივი აღზრდის მიღების ყველა მსურველს“-ო,—წერდა გაზეთი

---

* გაზ. „Закавказский вестник“ (არაოფიც. გამოცემა), 1845, № 7, 58.

** 1848 წლიდან, 4 წლის განმავლობაში, ჰაკესა და რაევსკის პანსიონში სწავლობდა ილია ჭავჭავაძე, ხოლო 1859—1862 წლებში კი—ალ. ყაზბეგი.

*** გორის პანსიონში 50-იანი წლების მეორე ნახევარში იზრდებოდა მწერალი დავით გიორგის-ძე ერისთავი.

**** საქ. ცენტრ. არქ. საქმე კერძო სასწავლებელთა შესახებ—№ 4.

„კავკაზ“-ი 1854 წელში (№ 69). ამ გარემოებამ მისცა საბაბი ამ ერ-კავკასიის ქალთა ინსტიტუტის ყ. დამრიგებელს ევგენია ფავრს, „თავის მრავალრიცხოვან ნაცნობთა თხოვნით“ გაეხსნა თბილისში ქალთა პანსიონი 1854 წელს.* გახსნის პირველსავე წელს იქნა მიღებული 47 ქალიშვილი. პირველად ფავრის პანსიონი ორწლიანი კურსით განისაზღვრებოდა. ასწავლიდნენ საღვთო სჯულს, არითმეტიკას, გეოგრაფიას, ისტორიას, რუსულს, ფრანგულს, ქართულს და სომხურ (მსურველთ) ენებს. პანსიონში შენახვის ქირა წელიწადში განისაზღვრებოდა 210 მანეთით. ძალიან ჩქარა ფავრის პანსიონის სწავლის კურსი გაგრძელებულ იქნა 4 წლამდე, შემდეგ 6-მდე, ხოლო 1875 წლიდან ის გადაკეთდა კერძო გიმნაზიად.** ევგენია ფავრის შემდეგ პანსიონს ხელმძღვანელობდა დენისოვას (დენისენკოს) ქალი, ხოლო 1875 წლიდან გადავიდა მარსოვების ხელში.

ამ კერძო სკოლებსა და პანსიონებს გარდა, 50-იან წლებში თბილისში არსებობდა მუსიკალური სკოლა არტისტ ლიუდვიგ ძაინოს ხელმძღვანელობით.*** ქართველთაგან ამ სკოლაში მიიღეს მუსიკალური განათლება მომღერლებმა ქორიძემ (ბასი) და ბერიძემ (ტენორი), რომელიც წარმატებით გამოდიოდა თბილისში 60-იან წლებში.

14. გურიისა და სამეგრელოს მფლობელთა სკოლები

XIX ს. 30 იან წლების საქართველოში სახელმწიფო სასულიერო და კერძო სკოლებს გარდა, არსებობდა სამეგრელოსა და გურიის მფლობელთა მიერ დაარსებული სასწავლებლებიც.

მამია გურიელმა (1789—1826), გურიის უკანასკნელმა მთავარმა, „რომელიც ზრუნავდა ხალხის მოქალაქეობის განათლებისათვის, ყმაწვილთა სასწავლებლად გააჩინა მან ოზურგეთში სკოლა... ზნეობათა გასანათლებლად დააწესა მან თავის სახლში საღამოს შესაქცევი შეკრებილება ასამბლეების მსგავსად (ე. ი. ბა-

---

* Акты, XI, 965

** ფავრის პანსიონში იზრდებოდნენ ქართველი მწერალი ქალები ეკატერინე გაბაშვილი და ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა (1858 წლიდან).

*** „Кавказ“, 1866, № 67; 1869, № 30.

ლისა), გამოიყვანა ევროპიდან მუსიკის მასწავლებელი, შეადგინა თავისი მუსიკა და ჩვეულებად გააჩინა ევროპიული ტანცები".*

ამგვარად, 30-იანი წლების პირველ ნახევარში გურიის მთავარი აარსებს სკოლას ქ. ოზურგეთში, ხელს უწყობს მუსიკალურ განათლებას და საერთოდ ევროპული კულტურის გავრცელებას თავის მპარეში.

ასეთივე მზრუნველობას განათლებაზე სამეგრელოში იჩენდა ამ მპარის ფაქტიური მმართველი ნიკო დადიანი. 1818 წ. მის მიერ სამეგრელოს მფლობელის ლ. დადიანისათვის (1792—1845) შედგენილი „დასტურლამა"-ს ერთ-ერთი პუნქტი მოითხოვდა:

„უმჯობეს ამათდა და უპირველეს ამათსა, სახსოვრად შენისა ვინაობისა და კეთილობისათვის, და აგრეთვე საზოგადოდ მხრუნველობისათვის შვილთა მამულთა შენთასა, მოიყვანეთ ერთი სხოლასტიკოსი (ესე იგი მასწავლებელი), რომელმან იცოდეს ქართული და რუსული სამეცნიერო წერილი და დაადგინეთ სადაც ჯერ გიჩნდეს სამფლობელოსა თქვენსა თვისისა სახლით და სახმარებელითა, რათა განანათლოს ძენი შენნი და შვილნი მამულთა შენთანი და იქნეს ყოვლითურთ ბედნიერება სამფლობელოსა შინა შენსა და შენ დაუვიწყებლად გადიდებდენ და სახელი შენი დაიწეროს აღუხოცელსა ძეკლსა ზედა; და იქმნე შენ მამა ძველისა კოლხიდაისა, ვითარცა რუსეთისა პირველი პეტრე ალექსის-ძე, და გეწოდოს ლეონ, განმანათლებელი და განმაახლებელი კოლხიდაისა (ე. ი. მენღრელიისა)".**

1830 წელს, გარდა 1829 წლის წესდების მიხედვით ს. ნაოღალევში გახსნილ სამაზრო სასწავლებლისა, ლევან დადიანმა გადასწყვიტა განსაკუთრებული სკოლის დაარსება სამეგრელოს წარჩინებული გვარეულობისათვის. ამავე წელს ის სთხოვდა აღმოს. საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორს—სტრეკალოვს „დაენიშნა მასწავლებელი სამეგრელოს ნორჩ თავადთა და აზნაურთათვის. ეს წარმოადგენს ჩვენს საერთო სურვილს"-ო,*** სწერდა ლევან დადიანი. მან გამოჰყო სპეციალური შენობა სკოლისათვის, დაუნიშნა მასწავლებელს სრული კმაყოფა და 200 მანეთი ჯამაგირი წლიურად.

---

* „გურიის ამბები", გურიის უკანასკნელი მთავარი მამია გურიელი და კნეინა ეკატერინე მამია გურიელის ასული ჩაჩუასი, 55.

** ნიკო დადიანი, „დასტურლამა", 38.

*** Акты, VII, 393.

15. სასოფლო სკოლების უქონლობა

ამგვარად, 40 იანი წლებისათვის მთელს დასავლეთ საქართველოში (მომავალ ქუთაისის გუბერნიაში) იყო მხოლოდ 2 სახელმწიფო (მთავრობის) სამაზრო სასწავლებელი—ქ. ქუთაისსა და ს. ნაოღალევში, ერთი სამაზრო სასულიერო სასწავლებელი ს. მარტვილში და ორი სკოლა—გურიის მთავრისა და სამეგრელოს მფლობელისა. თუ გავიხსენებთ, რომ ეკლესია-მონასტრებთან არსებული კერძო სკოლები, ელემენტარული იყვნენ,—შეგვიძლია დავრწმუნდეთ, რომ დასავლეთ საქართველოს ახალგაზრდობა მოკლებული იყო რიგიანი დაწყებითი განათლების მიღების საშუალებასაც კი.

ამიერკავკასიის სასწავლებელთა 1829 წლის „დებულება", როგორც აღვნიშნეთ, გვერდს უვლიდა სამრევლო სკოლებს, რომლებიც გათვალისწინებული იყო რუსეთის 1828 წლის წესდებით. სამრევლო სკოლები ამ წესდების მიხედვით განკუთვნილი იყო უმთავრესად სოფლის მოსახლეობისათვის, ე. ი. ხალხის ფართო წრეებისათვის და ამიტომ მათი მიჩქმალვა ნიშნავდა სახალხო სკოლების უარყოფას, გლეხთა განათლების უგულვებელყოფას. მეფის რუსეთი, 1828 წ. წესდებით, რუს ხალხს ასე თუ ისე მაინც აძლევდა განათლების ელემენტარულ საშუალებას—სამრევლო სკოლებს, მაგრამ ამიერკავკასიის ხალხებს ამ მიზერულ სიკეთესაც კი უსპობდა. მართალია, ამიერკავკასიის სამაზრო სასწავლებლები ბევრით არ განსხვავდებოდნენ 1828 წლის წესდებით გათვალისწინებულ სამრევლო სკოლებისაგან, მაგრამ ეს სასწავლებლები ამიერკავკასიის 1829 წ. დებულებით არსებობდნენ მხოლოდ სამაზრო და სხვა ქალაქებში. ისინი, ამგვარად, მომსახურებას უწევდნენ ქალაქის მოსახლეობას, თავადაზნაურებს და მოხელეებს (ამასვე აბტკიცებს ამ სასწავლებელთა მოწაფეების ზემოაღნიშნული სოციალური შემადგენლობაც). საქართველოსა და ამიერკავკასიის სოფლის მოსახლეობა, უმთავრესად მშრომელი გლეხობა, მოკლებული იყო მთავრობის სასწავლებლებს. 1829 წ. „ამიერკავკასიის სასწავლებელთა დებულება", ისევე როგორც შემდეგ დებულებები, ნათლად ადასტურებდა ცარიზმის პოლიტიკას „ინოროდცების" მიმართ, რომელიც „განზრახ ანვითარებდა განაპირა ქვეყნებში პატრიარქალურ-ფეოდალურ ჩაგვრას, რომ მასები მონობაში და მცონარეობაში ჰყოლოდა" (ს ტ ა ლ ი ნ ი).

ყოველ შუამდგომლობას მოსახლეობისათვის სკოლების გახსნის შესახებ უშედეგოდ სტოვებდნენ და ეს ხდებოდა ხალხის მღელვარების ერთ-ერთ ძიზეზად. ბოლოს, საქართველოს ეგზარხოსი ევგენი იძულებული იყო ამ გარემოებისათვის მიექცია მთავრობის ყურადღება, და თავის საიდუმლო მიმართვაში ამიერკავკასიის მხარის მთავარმართებელ გოლოვინისადმი 1839 წელს, აღნიშნავდა რა, რომ ქუთაისის ერთადერთი სასწავლებელი არ არის საკმარისი მთელი იმერეთისა და გურიისათვის, აუცილებლად მიაჩნდა „მთავრობას გაეხსნა სახალხო სკოლები იმერეთისა და გურიის სხვა ოლქებში“,* მაგრამ გოლოვინი არ ჩქარობდა.

საქართველოში სასკოლო ქსელის გაშლას არანაკლებ აფერხებდა თავადაზნაურობის სხვადასხვა წარმომადგენელიც. ბატონყმობის ინსტიტუტი, როგორც ცნობილია, მემამულეებს აძლევდა საკუთრების უფლებას თავიანთ ყმებზე. ეს უკანასკნელები მოკლებული იყვნენ როგორც ყველა სამოქალაქო, ისე განათლების უფლებასაც. თავის მებატონეთა ნებართვის გარეშე მათ არ შეეძლოთ მიებარებინათ შვილები რომელიმე სასწავლებელში. ძალიან უხეშად სარგებლობდა ზოგიერთი თავადაზნაური თავისი უფლებით, და იმის შიშით, რომ ხელიდან არ წასვლოდა სკოლაში მიბარებული თავის ყმათა შვილები, ის ართმევდა მათ საეკლესიო და ელემენტარული სკოლებით სარგებლობის უფლებასაც კი. ასე, სოფ. თორთიზის მღვდელი ჩინჩალაძე 1818 წელს ატყობინებდა საქართველოს ეგზარხოს ფეოფილაქტეს, რომ თავადმა დიასამიძემ ნება არ დართო მას გაეგზავნა თავისი შვილი გორის სასულიერო სასწავლებელში, რადგანაც თავადი მას თავის ყმად სთვლიდა**. 1820 წელს, თელავის მაზრის აზნაურმა პ. სულხანიშვილმა თბილისის სასულიერო სემინარიის ადმინისტრაციას მოსთხოვა გამოერიცხა სემინარიიდან მოწაფე ქიტუნაშვილი (მარკოზოვი), როგორც მისი ყმა, რომელიც შესულა ამ სასწავლებელში მისი ნებართვის გარეშე (სემინარიის ადმინისტრაციამ დაუკოვნებლივ შეასრულა პატივცემული აზნაურის მოთხოვნა). ასეთ ფაქტებს ადგილი ჰქონდა შემდეგაც. საქართველოს ზემოხსენებული ეგზარხოსი ევგენი სწერდა გოლოვინს: „გურიის არხიმანდრიტმა არსენმა 1836 წლის 23 ივლისს შემატყობინა მე, რომ გურიაში განხრახული სასულიერო სას-

---

* Акты, IX, 107.

** საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 139, ს. 201.

წავლებელი შეუძლებელია გაიხსნას იმის გამო, რომ იქაური მფლობელები არ აძლევენ ნებას ეკლესიის მსახურთ გაგზავნონ შვილები სასწავლებელში, რადგანაც ეშინიათ დაჰკარგონ მათზე თავისი მეგმამულებრივი უფლება".* 1844 წელს სოფ. ქსოვრისის მღვდელი ბუაძე სწერდა: „ჩემი ეკლესიის მრევლის ხალხი, ზოგი თავისი დაუდევრობით, ხოლო ზოგიერთი კი მემამულის ბრძანებით არ აძლევს თავის შვილებს სოფლის სასწავლებელში"**. ასე, მეფის ხელისუფლებასთან ერთად საქართველოს მემამულეებიც საგრძნობლად აფერხებდნენ ქართველი გლეხობის განათლების საქმეს.

16. ეროვნულ უმცირესობათა განათლების საქმე

30—40 წლებში განათლებისადმი გარკვეულ ინტერესს იჩენდნენ საქართველოში მოსახლე სხვა ეროვნებანიც. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს სამხრეთ-ოსები. არაერთხელ მიუმართავთ მათ საქართველოს მთავარმართებელთადმი სკოლების გახსნის შესახებ. 1834 წელს როზენი სწერდა სამხედრო მინისტრს ა. ჩერნიშევს „საკუთრივ ოსების საზოგადოებათა სურვილზე, რომ მათ ჰქონდეთ სასწავლებლები ბავშვთა გასანათლებლად".—„მთელი საზოგადოებები შუამდგომლობდნენ,—სწერდა მათზე როზენი,—მღვდლების გაგზავნისა და სკოლების გახსნის შესახებ".*** მაგრამ სკოლებისა და მასწავლებელთა მაგივრად საძხრეთ-ოსებს მისცეს მაშინ ერთი ბოქაული და გაუხსნეს პოლიციელ ყაზახთა პოსტები.

არც შემდეგ შესუსტებულა ამიერკავკასიის პატარა ერების ლტოლვა განათლებისაკენ; ამ მხარის მმართველობის სისტემის რეორგანიზაციისათვის გამოკოფილი სახელმწიფოს საბჭოს კომისია (სენატორ განის კომისია) 1841 წელს იძულებული იყო აღენიშნა ეს ფაქტი თავის გადაწყვეტილებაში „სახალხო სკოლების შესახებ": „ამიერკავკასიის მხარის მოსახლეთა სურვილი მიაბარონ თავიანთი შვილები სასწავლებელში იმდენად ძლიერია, რომ შორეული მთიელებიც კი, ისეთები, როგორიც არიან ჭარის ლეკები და ოსები, გამუდმებით სთხოვენ ამის შესახებ მმართველობას. ვსცნობდით რა სასარგებლოდ და საჭიროდ რამდენადაც შეიძლებოდა ხელი შეგვეწყო

* Акты, IX, 105.
** საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 115, ფრც. 224.
*** Акты, VIII, 426—7.

განათლებისაკენ ამიერკავკასიელთა ასეთ შესანიშნავი ლტოლვისთვის, ჩვენ მივიღეთ ზომები ბავშვთა მოსათავსებლად სამრევლო სკოლებში".* მაგრამ ამ ზომების რეალობის შესახებ ლაპარაკობს ის ფაქტი, რომ იმ დროს და 40-იან—50-იან წლების განმავლობაში არც სამხრეთ ოსეთში და არც ჭარის პროვინციაში არ იყო და არც გაუხსნიათ არცერთი სამრევლო სკოლაც კი, ხოლო სხვაგან არსებულ სკოლებში ოსები და ლეკები ერთეულებსაც ძლივს წარმოადგენდნენ.

სხვა ეროვნებათა სკოლებიდან XIX ს. 30-იან წლებში აღსანიშნავია ერთი ბერძნული და ორი გერმანული სკოლა. პირველი არსებობდა ბორჩალოს დისტანციაში, ალავერდის ქარხანასთან, ბერძენი მოსახლეობის ბავშვებისათვის. ასწავლიდნენ ბერძნულ და რუსულ წერა-კითხვას და ანგარიშს. გერმანელთა სკოლები არსებობდა თბილისსა და ეკატერინოფელდში (ბორჩალოს დისტანცია) გერმანელი კოლონისტებისათვის.** ეს სკოლებიც პირველდაწყებითი საფეხურისა იყვნენ. გერმანული და რუსული ენების და ანგარიშს გარდა, აქ (მაგ., ეკატერინოფელდში) პრივატული წესით, პრაქტიკულად ასწავლიდნენ მებაღეობისა და მებოსტნეობის ელემენტებს.

17. 1835 წლის დებულება

ამიერკავკასიის სასწავლებელთა უშუალო მმართველობა 1829 წ. ადგილობრივი დებულების მიხედვით დაკისრებული ჰქონდა თბილისის გიმნაზიის დირექტორს, რომელიც ამავე დროს ითვლებოდა ამიერკავკასიის სასწავლებელთა დირექტორადაც. საერთო ხელმძღვანელობას კი ახორციელებდა საქართველოს მთავარმართებელი, რომელიც სახალხო განათლების საკითხებზე უშუალოდ უკავშირდებოდა რუსეთის განათლების მინისტრს.

1829 წლის „ამიერკავკასიის სასწავლებელთა დებულების" გამოყენების 5 წლის გამოცდილებამ ცხადჰყო, რომ ის არ უპასუხებდა ადგილობრივი ცხოვრების მოთხოვნილებებს. მისი ვითომდა „სპეციფიკურობა", ამიერკავკასიის პირობებისადმი შეფარდების თვალსაზრისით, ფიქცია აღმოჩნდა; ის არ უწევდა ანგარიშს ადგილობრივი მოსახლეობის ნაციონალურ თავისებურებებს, არც ტერიტო-

* Акты, IX, 33.

** „Российские владения за Кавказом", II, 260.

რიულ ფაქტორს სასწავლებელთა განაწილების საქმეში, არც ერთიანობასა და თანამიმდევრობას სასკოლო განათლების სისტემაში და არც მოსწავლეთა მომზადებას ადგილობრივი პრაქტიკული ცხოვრებისათვის. ამას გარდა, არ ყოფილა დაარსებული ამ დებულებით გათვალისწინებული ყველა სკოლა. სასწავლებელთა რიცხვი სრულებით არ შეეფერებოდა სწავლის მსურველთა რიცხვს. თვით ქალაქ თბილისშიც კი, 1830 წლისათვის, დაახლოებით 30.000 მცხოვრებზე იყო მხოლოდ მთავრობის ერთი სასწავლებელი—გიმნაზია, ერთი სასულიერო სემინარია, სასულიერო სასწავლებლით და ერთიც სომხურ-გრიგორიანული სასულიერო სასწავლებელი.

1832 წ. „ქართული საიდუმლო საზოგადოების" წევრები ს. დ ო დ ა შ ვ ი ლ ი და ზ. ა ვ თ ა ნ დ ი ლ ა შ ვ ი ლ ი საგამომძიებლო ორგანოების დაკითხვებზე აცხადებდნენ, რომ საზოგადოების წევრთა შეხვედრებზე ისინი „ლაპარაკობდნენ საქართველოს სასწავლებელთა მცირერიცხოვანობაზე, ბიბლიოთეკისა და სტამბის მოწყობაზე, ღარიბ მოსწავლეთა დახმარებაზე, რუსეთის უნივერსიტეტებში ახალგაზრდობის გაგზავნაზე და სხვა კულტურულ საკითხებზე. მაგრამ „საიდუმლო საზოგადოების" აღმოჩენა-ლიკვიდაციით გაქრა მისი საგანმანათლებლო პერსპექტივებიც.

მეფის მთავრობა არც 1832 წლის შემდეგ ფიქრობდა საქართველოსა და ამიერკავკასიის სახალხო განათლების სისტემის რადიკალურ გარდაქმნას, მაგრამ ზემოაღნიშნული გარემოებანი დაბეჯითებით მოითხოვდნენ მასში სათანადო ცვლილებების შეტანის აუცილებლობას და, პირველ ყოვლისა, 1829 წლის დებულების შეცვლას. საქართველოს მთავარმართებელ რ ო ზ ე ნ ი ს განკარგულებით და რუსეთის განათლების მინისტრის უ ვ ა რ ო ვ ი ს თანხმობით, 1834 წელს შეადგინეს ამიერკავკასიის სასწავლებელთა ახალი დებულება, რომელიც „უმაღლესად" იქნა დამტკიცებული 1835 წლის 12 მაისს.*

ამიერკავკასიის სასწავლებელთა ახალი, 1835 წლის, დებულება ბევრად იმეორებდა 1829 წლის დებულებას, მაგრამ ის რამდენადმე მაინც ითვალისწინებდა ადგილობრივ თავისებურებებს. პირველ ყოვლისა, 1835 წლის დებულება სპობდა გათიშვას გიმნაზიასა და სამაზრო სასწავლებელთა შორის იმით, რომ უკანასკნელთათვის ითვალისწინებდა 3 კლასს, ნაცვლად 2 კლასისა, რომელიც 1829 წლის დებულებით იყო ნაგულისხმევი. ამასთან დაკავშირებით სამაზრო

* ПСЗРИ, X, 406, № 8, 123.

სასწავლებელთა სასწავლო გეგმაში შეტანილ იქნა: 1) საღვთო სჯული, 2) რუსული ენა (გრამატიკა), 3) გეოგრაფია, 4) ისტორია, 5) არითმეტიკა, 6) დაწყებითი გეომეტრია, 7) სუფთაწერა, 8) ხატვა და ხაზვა, 9) ადგილობრივი ენები. ამით სამაზრო სასწავლებელთა კურსდამთავრებულებს უკვე რეალური საშუალება ეძლეოდათ შესულიყვნენ გიმნაზიის შესაფერის (ცოდნის მიხედვით) კლასში (ეს უფლება ფორმალურად დეკლარირებული იყო 1829 წლის დებულებითაც, მაგრამ ფაქტიურად, როგორც აღვნიშნავდით, სამაზრო სასწავლებელთა შეზღუდვა სამრევლო სკოლების სასწავლო საგნებით აუქმებდა მას).

ამასთან, 1835 წლის დებულება, გამოდიოდა რა იმ ფაქტიდან, რომ ადგილობრივი მოსახლეობის ბავშვებს სწავლის პირველ წლებში არ ესმოდათ რუსული ენა, შესაძლებლად აღიარებდა გიმნაზიის პირველ ორ კლასში გაკვეთილების ახსნა ეწარმოებიათ ადგილობრივ, მშობლიურ, ენაზე. ხოლო სამაზრო სასწავლებლებში, ამ უფლების გარდა, დებულება ნებას აძლევდა მასწავლებლებს, საჭიროების შემთხვევებში, დედა-ენისათვის მიემართათ უფროს (მე-3) კლასშიც.

აღსანიშნავია, რომ 1835 წლის დებულებით სამეგრელოსათვის ადგილობრივ (სახალხო) ენად, მართალია, ცნობილი იყო მეგრული, მაგრამ რადგანაც ამ ენაზე მწერლობა არ არსებობდა, სამეგრელოს სკოლებში შემოდიოდა ქართული ენის სწავლება.

1835 წლის დებულებით გათვალისწინებული იყო აგრეთვე ყოველწლიურად 10-მდე „კეთილზნეობიანი, ნიჭიერი და სწავლაში წარჩინებული თავადაზნაურული შთამომავლობის ბავშვების“ გზავნა რუსეთის კადეტთა კორპუსებში და 5-მდე თბილისის გიმნაზიის წარჩინებულად კურსდამთავრებულ მოსწავლეთა გზავნა რუსეთის უნივერსიტეტებში.

18. ქალთა განათლება

40-იანი წლების დასაწყისში, როგორც თავიდანვე აღვნიშნეთ, საქართველოს კულტურულ „დაპყრობას“ მეფის ხელისუფლება აწარმოებდა ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველი დარგის გაძლიერებული რუსიფიკაციით.

ამ პოლიტიკის პრაქტიკულ გატარებას რუსეთის ბიუროკრატია აკისრებდა სკოლას, თეატრს, პრესას, ეკლესიას და სხვა საზოგა-

დოებრივ დაწესებულებებს. მაგრამ 40-იანი წლების დასაწყისიდან ამ პოლიტიკას იგი აკისრებდა აგრეთვე ოჯახს, როგორც უფრო ეფექტიან საშუალებას. ამ მიზნით, პირველ ყოვლისა, უფრო ადვილი იქნებოდა თავადაზნაურთა ანუ „კეთილშობილთა“ ოჯახების გამოყენება. ილია ჭავჭავაძის თქმით, „თევზის გახრწნა თავით იწყება“, და მართლაც, მაშინდელი ქართველი ხალხის „მოთავედ“-აღიარებულ თავადაზნაურობაში ყველაზე ადრე გამოჩნდა გადაგვარების ნიშნები. ყველაზე ადრე ამ წოდებამ დაიწყო თავისი დედა-ენის შეცვლა რუსული ან ფრანგული ენით, ყველაზე ადრე მან დაიწყო თავისი წრის ბავშვების აღზრდა მშობლიური ენის გარეშე. მეფის ხელისუფლების ადგილობრივი წარმომადგენლები ყოველნაირად უწყობდნენ ხელს ასეთი განწყობილებების გაღრმავებას ქართველ თავადაზნაურობაში და ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთ საშუალებად მათ მიაჩნდათ თავადაზნაურთა ოჯახის ქალების, მომავალი დედების, აღზრდა რუსული თვითმპყრობელური სულისკვეთებით.

მეორე მხრით, ვხედავთ საწინააღმდეგო ტენდენციას: XIX ს. 40-იან წლებში საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებაში შესამჩნევად გაიზარდა დაბალი ფენებიდან გამოსულ ქართველ ქალთა როლი. წიგნიერების არაოფიციალური გავრცელების საქმეში ისინი წარმოადგენდნენ მთავარ ძალას. ქალები კრეფდნენ ბავშვებს თავიანთ სახლებში და ასწავლიდნენ ქართულ წერა-კითხვას და ანგარიშს, ისინი აწყობდნენ „კვირადღის სკოლებს“ მოზრდილთათვის, აწყობდნენ პატარა ბიბლიოთეკებს და ხელს უწყობდნენ წიგნის გავრცელებას მოსახლეობაში. ყოველივე ეს მოითხოვდა ამ ქალთა ზოგადი და პედაგოგიური კულტურის ამაღლებას და მათ ფართოდ გამოყენებას საგანმანათლებლო მუშაობაში. ამასთან, საოჯახო აღზრდის პრაქტიკის გაუმჯობესების ამოცანები კიდევ უფრო აძლიერებდნენ ამ აუცილებლობას. მაგრამ მთავრობა არ ზრუნავდა მშრომელ ქალთა არც ზოგად განათლებაზე და არც მათ მომზადებაზე პედაგოგიური მოღვაწეობისათვის.

შემთხვევითი არ იყო ის გარემოება, რომ რუსეთის იმპერიის 1804-ისა და 1828 წლის წესდებები და ამიერკავკასიის 1829-ისა და 1835 წლის დებულებები სასწავლებელთა შესახებ არ ითვალისწინებდნენ ქალთა განათლებას: მის საპიროებასა და ორგანიზაციას. ამ ფაქტშიც ნახა თავისი მკაფიო გამოხატულება ქალთა უუფლებო მდგომარეობამ რევოლუციამდელ რუსეთში. მაგრამ სხვა იყო „კეთილშობილი“ ქალი და მისი აღზრდა-განათლება. მეფის ხელისუფ-

ლებას არ შეეძლო არ გამოეჩინა მისადმი სათანადო მზრუნველობა და ჯერ კიდევ 1764 წელს დაარსდა პეტერბურგში „კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი“, რომელიც შემდეგ სმოლნის ინსტიტუტის სახელით იყო ცნობილი. XIX ს. დასაწყისიდან მსხვილ საგუბერნიო ქალაქებშიც დაარსდა კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტები, თუმცა საერთო სახალხო განათლების სისტემაში ისინი არ შედიოდნენ.

საკმაო მზრუნველობით ეკიდებოდა რუსეთის მთავრობა ქართველ არისტოკრატ ქალთა აღზრდის საქმესაც.

1830 წელს საქართველოს მთავარმართებელმა პასკევიჩმა „უქვეშევრდომილესი მოხსენებით“ აღძრა შუამდგომლობა თბილისში „მცირეწლოვან კეთილშობილ ქალწულთათვის“ პანსიონის გახსნისა და ამ მიზნით ყოველწლიურად 2500 მანეთის გაღების შესახებ.* პანსიონი იმავე წელს იქნა გახსნილი. მოსწავლეთა კონტინგენტი განისაზღვრებოდა 30-ით. პანსიონს პირველად განაგებდა კომერსანტ კასტელას ქვრივი, რომელსაც ჰქონდა სათანადო პედაგოგიური გამოცდილება „ეკატერინეს სახელობის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტში“ (პეტერბურგი) მუშაობისა. თბილისის „კეთილშობილ ქალთა პანსიონი“ არ სარგებლობდა საზოგადოების ყურადღებით.** სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა ძალიან დაბალ დონეზე იდგა აქ და ვერც მოსწავლეთა საკმაო რიცხვს იზიდავდა. თავისი არსებობის 10 წლის მანძილზე მან ძალიან ცოტა გააკეთა იმისათვის, რომ ადგილობრივ ქალთა შორის ევროპული კულტურა დაენერგა და მათგან საუკეთესო დედები აღეზარდა. ამის გამო აღნიშნული პანსიონი 1840 წელს, მთავარმართებელ გოლოვინის დროს, გადაკეთებულ იქნა „ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტად“. წესდება და შტატი დამტკიცებულ იქნა „უმაღლესად“ იმავე 1840 წელს, მაგრამ ხარჯთაღრიცხვა გათვალისწინებულ იქნა 1841 წელს და ინსტიტუტმა ფაქტიურად მუშაობა 1842 წლიდან დაიწყო.

ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტი (ქ. თბილისში) გათვალისწინებული იყო თავადაზნაურთა და მოხელეთა წოდების

---

* Акты, VII, 68—69.

** მაგალითად, 1832 წელს, საკმარისი იყო პანსიონის გამგის, კასტელას ქვრივის, გათხოვება და თბილისიდან წასვლა, რომ პანსიონი დროებით დახურულიყო. საქართველოს ახალმა მთავარმართებელმა როზენმა იმავე წელს ალადგინა იგი და გამგედ დანიშნა მორდვინოვა—დანილევიჩი.

80 ქალიშვილისათვის. აქედან 60 უნდა ყოფილიყო სახაზინო ხარჯზე, ხოლო 20 კი—საკუთარზე. ინსტიტუტში იყო 3 კლასი, თითოეული 2 განყოფილებით. სწავლა თითოეულ კლასში გრძელდებოდა 2 წელს. ინსტიტუტის სასწავლო გეგმაში შედიოდა: საღვთო სჯული, ისტორია, რუსული ენა და ლიტერატურა, ფრანგული ენა და ლიტერატურა, გეოგრაფია, ფიზიკა, ბუნებისმეტყველება, არითმეტიკა, ქართული ენა (მსურველთათვის), სომხური ენა (მსურველთათვის), ხატვა, ხელსაქმე, მუსიკა და ცეკვები.

ინსტიტუტი იმყოფებოდა სახელმწიფო ბიუჯეტზე; პირველ ხანად მასზე იხარჯებოდა 24.000 მანეთი წელიწადში.

ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტი იყო დახურული ტიპის სასწავლებელი, პანსიონით. ის მოწყვეტილი იყო საზოგადოებრივ ცხოვრებას და პროგრესულ იდეებს. მისი რეჟიმი გამოირჩეოდა სიმკაცრით და კარჩაკეტილობით. პედაგოგიური პერსონალი არ იდგა თავისი დანიშნულების სიმაღლეზე. ინსტიტუტში ყველაზე უფრო მნიშვნელოვნად სთვლიდნენ ესწავლებინათ ბავშვებისათვის ფრანგული ენა,* ცეკვები და „წესიერ საზოგადოებაში“ თავისდაჭერის მანერები, გონებრივ განათლებას და პრაქტიკული ცხოვრებისათვის მომზადებას კი ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ამით აიხსნება, რომ ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტი, რომელსაც „კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი“ ეწოდებოდა, არ ამზადებდა საზოგადოების განათლებულ წევრებს და კარგ აღმზრდელებს. ისინი ძალზე მოწყვეტილი იყვნენ სამოქალაქო, საზოგადოებრივ ცხოვრებას. ქალთა აღზრდის საქმის კარგი მცოდნე რუსი მწერალი ნ. ვ. გოგოლი წერდა, რომ „კარგ აღზრდას, როგორც ცნობილია, იძენენ პანსიონებში, ხოლო პანსიონებში, როგორც ცნობილია, კეთილ-სათნოების საფუძველს წარმოადგენს სამი საგანი: ფ რ ა ნ გ უ ლ ი ე ნ ა—აუცილებელი საოჯახო ცხოვრების ბედნიერებისათვის, ფ ო რ ტ ე პ ი ა ნ ო—მეუღლის სასიამოვნო წუთებისათვის და, ბოლოს, საკუთრივ, ს ა მ ე უ რ ნ ე ო ნაწილი: ქსოვა ქისებისა და სიურპრიზებისა“. ქართველი „პანსიონერ-ქების“ შესახებ ამ სტილით ლაპარაკობდა მწერალი გრიგოლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ც: 1834 წელს ერთ-ერთ წერილში ნინო ჭავჭავაძე—გრი-

* ამ ინსტიტუტის ქალთა აღზრდა-განათლების სწორედ ეს მხარე აღნიშნა მოგზაურმა ა. ჰ ა ა ს ტ ჰ ა უ ზ ე ნ მ ა 1843 წელს: „თბილისში ამჟამად უკვე არსებობს დიდი პანსიონი, სადაც ქართველი ქალიშვილები ფრანგულად მუსაიფობენ და კითხულობენ ბალზაკის რომანებს“ („Закавказский край“, I, 77).

ბოედოვისადმი, პანსიონერი ქართველი ქალიშვილების* შესახებ წერდა: „...მიებარენ პანსიონში, სადაც ისწავლეს რამდენიმე ფრანგული სიტყვა და შესცვალეს რა ქოშები „ბაშმაკებით“, ჰგონიათ, რომ დაამთავრეს აღზრდის კურსი. ნახევრად რუსები, ნახევრად ფრანგები, ნახევრად ქართველები—ნუთუ მათ შეუძლიანთ იყვნენ კეთილი ცოლები“?** ასე აფასებდნენ პანსიონერ ქალთა აღზრდა-განათლებას ჩვენი გამოჩენილი მწერლები და, ცხადია, არც ტყუვდებოდა მათი დაკვირვებული თვალი.

1846 წელს თბილისში მოეწყო „წმ. ნინოს სახელობის ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება“. მის დანიშნულებას შეადგენდა საქართველოს და ამიერკავკასიის ქალთა განათლებისათვის ხელის შეწყობა. ამ მიზნით საზოგადოება შეუდგა, პირველ ყოვლისა, ქალთა სასწავლებლების გახსნას და იმავე 1846 წელს თბილისში, ხოლო 1847 წელს ქუთაისში მან გახსნა „წმ. ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებლები“, „კეთილი ცოლებისა და ოჯახის კარგი დედების მოსამზადებლად“ (წესდებიდან). ყველა ამ სასწავლებელთან არსებობდა დახურული ტიპის პანსიონი. მათ სტრუქტურაში თავდაპირველად გათვალისწინებული იყო 2 კლასი სამ-სამი განყოფილებით. თითოეულ განყოფილებაში სწავლა გრძელდებოდა ერთ წელს. ასე რომ წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლებში სწავლების კურსი 6-წლიანი იყო ისე, როგორც ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტში.***

წმ. ნინოს სასწავლებელთა სასწავლო გეგმებში პირველხანად შედიოდა: საღვთო სჯული, არითმეტიკა, რუსული ენა გრამატიკით, ქართული და სომხური ენები (მსურველთათვის), გეოგრაფია, ისტორია (საყოველთაო და რუსული), სუფთაწერა, გალობა, ცეკვები.

თბილისისა და ქუთაისის წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლების კონტინგენტი პირველხანად არ იზრდებოდა საკმაო სისწრაფით; ასე, თუ თბილისის სასწავლებელში, მისი გახსნის წელს, მიღებული იყო 30 ქალიშვილი,—ხუთი წლის შემდეგ იქ სწავლობდა 106 გოგონა. ქუთაისის სასწავლებელში დაარსების წელს მიღებული იყო 15

---

* მხედველობაში ჰქონდა პ. ნ. ახვერდოვას პანსიონი.

** გრ ორბელიანი, „წერილები“, 1, ა. გაწერელიას რედაქციით და შენიშვნებით, 34, 1936.

*** ბოლო დროს აღნიშნულ სასწავლებლებში იყო 8 კლასი, სწავლების 8-წლიანი კურსით.

მოწაფე, ხოლო მისი არსებობის ხუთი წლისთავისთვის მათი რიცხვი 32-ს აღწევდა.

წმ. ნინოს სასწავლებლებში ღებულობდნენ ყველა წოდების ქალწულებს, მაგრამ მას შემდეგ, რაც სწავლისა და პანსიონში ბავშვის შენახვის ქირად 50 მანეთი დააწესეს, ის გადაიქცა შეძლებულთა შვილების სასწავლებლად.

წმ. ნინოს სახელობის თბილისის საქველმოქმედო საზოგადოება არსებობდა უმთავრესად შემოწირულებებზე. ამის გამო მისი მოღვაწეობა ქალთა განათლების გავრცელების საქმეში ძალიან შეზღუდული იყო. მართალია, აღნიშნულ სასწავლებლებს გარდა, მან გახსნა კიდევ ასეთები შემახაში (1848 წელს), ერევანში, წმ. რიფსიმეს სახელობისა (1850 წელს) და თელავში (1865 წელს), მაგრამ ქალთა ახალგაზრდობის ფართო ფენების კულტურულ განვითარებაზე მეტად უმნიშვნელო გავლენას ახდენდა.

ყოველგვარი განათლების გარეშე რჩებოდა კავკასიის მუსლიმან ქალთა მოზარდი თაობანი და აგრეთვე სომეხ-ქალთა ახალგაზრდობის დიდი უმრავლესობა, რომელიც ისლამის ყოფა-ცხოვრების დიდ გავლენას განიცდიდა. აღმოსავლეთის ქალთა სოციალურ-ეკონომიური ჩაგვრა, მათი კარჩაკეტილობა და უფლებრივი დაბეჩავება, ისეთი აუცილებელი თანამგზავრებით, როგორიც იყო ჩადრი, ფარანჯა და მონობისა და უვიცობის სხვა ფორმები, ჯერ კიდევ მაგრად იყო ფეხმოკიდებული XIX ს. პირველი ნახევრის კავკასიის მუსლიმანთა ცხოვრებაში. უკეთუ მუსლიმან ქალს თავისი ქოხიდანაც კი არ შეეძლო გამოსვლა სახის დაუფარავად,—გასაგებია, რომ სკოლები და სხვა საზოგადო თუ სახელმწიფო დაწესებულებები მათთვის არ არსებობდა. ამის გამო, აღნიშნულ ქალთა სასწავლებლებში მუსლიმანი ქალიშვილები იმ დროს სრულებით არ იყვნენ, მიუხედავად იმისა, რომ ორი ამ სასწავლებელთაგანი არსებობდა ჭარბი მუსლიმანი მოსახლეობის ქალაქებში (შემახა, ერევანი).

19. სამხედრო სასწავლებლები

რუსეთის მეფის ხელისუფლება კავკასიაში თავისი პოლიტიკური ბატონობის განმტკიცებისათვის საჭიროდ სთვლიდა ეს ბატონობა დაემკვიდრებია საბხედრო ძალაზე და კავკასიის არმიის ოფიცერთა შემადგენლობა შეევსო ადგილობრივი კადრებით. ამის საბმედო წყაროდ მეფის ხელისუფლება სთვლიდა ქართველ თავადაზნაურო-

ბას და თავიდანვე ამ წოდებიდან იწყო მან ოფიცერთა მზადება. როგორც ვწერდით, ჯერ კიდევ 1805 წელს იყო გადაწყვეტილი თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის კურსდამთავრებულთაგან ყოველწლიურად გაეგზავნათ ხოლმე რამდენიმე კაცი რუსეთის კადეტთა კორპუსებში. აღნიშნული გვქონდა აგრეთვე, რომ 1810 და 1811 წლებში, მთავარმართებელ ტორმასოვისა და პაულუჩის დროს, აღძრული იყო შუამდგომლობა საქართველოში სამხედრო სკოლის დაარსების შესახებ, მაგრამ შუამდგომლობა უშედეგოდ დარჩა.

არტილერიის ოფიცრების მოსამზადებლად 1816 წელს თბილისში არსებობდა საარტილერიო სასწავლებელი (რომელშიც, ი. მეუნარგიას ცნობით, 1817 წელს სწავლობდა პოეტი გრიგოლ ორბელიანი).*

1819 წელს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელს (ესეც ზემოთა გვაქვს ნათქვამი) მიეცა სპეციალური საქხედრო განხრა — მის სასწავლო გეგმაში სამხედრო საგნების შეტანით — იმ მიზნით, რომ აქ კურსდამთავრებულთ გაადვილებოდათ კადეტთა კორპუსების უფროს კლასებში სწავლის გაგრძელება.

1825 წ. საქართველოს მთავარმართებელმა ერმოლოვმა, მთავარი სამხედრო შტაბის უფროსის ბარონ ი. თ. დიბიჩის შუამავლობით, კვლავ გამოითხოვა იმპერატორის ნებართვა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის კურსდამთავრებულთაგან კადეტთა კორპუსებში და სამხედროთა ობლების სახლში (Военно-сиротский дом) ყოველწლიურად რამდენიმე ყმაწვილის გზავნის შესახებ.

1828 წელს სამხედრო გუბერნატორი სიპიაგინი კვლავ სთხოვდა განათლების მინისტრს შიშკოვს ეშუამდგომლა იმპერატორის წინაშე თბილისში კადეტთა კორპუსის გახსნის შესახებ, მაგრამ მისი შუამდგომლობაც უშედეგოდ დარჩა.

1835 წლიდან, ამიერკავკასიის სასწავლებელთა ახალი დებულება, როგორც აღვნიშნეთ, ითვალისწინებდა თბილისის გიმნაზიიდან ყოველწლიურად ათი მოწაფის გზავნას რუსეთის კადეტთა კორპუსებში, რაც უკვე ფაქტიურად ხორციელდებოდა.

რუსეთის მეფის ხელისუფლების ცენტრალური ორგანოები ყოველთვის უარყოფდნენ საქართველოს მთავარმართებელთა შუამდგომლობას თბილისში კადეტთა კორპუსის ან მისი მსგავსი სამხედრო სასწავლებლის დაარსების შესახებ. მიზეზი იყო არა იმდენად ის, რომ თავიდან აეცილებინათ მათი შესანახი ხარჯები, რამდენადაც—

* ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, 48-50, 1941.

ხელისუფლების პოლიტიკა: მომავალი ქართველი სამხედრო მოღვაწეები ჭაბუკობაშივე მოეცილებიათ სამშობლოსა და ყოველივე ეროვნულს, რათა აღზრდილიყვნენ ისინი ცენტრალურ რუსეთში თვითმპყრობელური სულისკვეთებით. მეფის მთავრობა უმეტეს შემთხვევებში მართლაც ქმნიდა მათგან რუსეთის ტახტისადმი ერთგულ სამხედრო მოხელეებს.

რაც შეეხება დაბალ ოფიცერთა კადრების მოსაბზადებელ სამხედრო სკოლებს,—ასეთების გახსნის ნებას იშვიათად, მაგრამ მაინც აძლევდნენ ხოლმე საქართველოს. ასე, მაგალითად, XIX ს. 30-იანი წლების დამდეგს საქართველოში დაიწყეს ე. წ. „სამხედრო მოსწავლეთა სკოლების“ გახსნა. 1836 წელს საქართველოს მთავარმართებელმა ბარონმა როზენმა ადგილობრივ (ქართველ) თავადაზნაურთაგან დაბალი წოდების ოფიცერთა მომზადების მიზნით, „უმაღლესი ნებართვით“ თბილისში გახსნა სამხედრო სკოლა, რომელშიც სწავლობდნენ ბავშვები 8 წლიდან 15 წლის ასაკამდე. 1844 წელს „სამხედრო მოსწავლეთა სკოლა“ გაიხსნა აგრეთვე თბილისის (კავკასიის) მესანგრეთა ბატალიონთან. ამ სკოლაში ყოველწლიურად იღებდნენ 40 მოწაფეს თავადაზნაურთა წოდებიდან. სკოლაში იყო 3 კლასი: უმცროსი, საშუალო და უფროსი. უფროს კლასში ასწავლიდნენ: საღვთო სჯულს, რუსულ გრამატიკას, ისტორიას, არითმეტიკას, ალგებრას, ლონგიმეტრიას, პლანიმეტრიას, გეოგრაფიას, ფორტიფიკაციას, არტილერიას, ხატვას და ხაზვას.*

სამხედრო სკოლები („კანტონისტების სკოლები,“ „პოლკის სკოლები“ და „არტილერიის სკოლები“) იხსნებოდა სხვა სამხედრო ნაწილებსა და შტაბებთანაც როგორც თბილისში, ისე ამიერკავკასიის სხვა პუნქტებში (ქუთაისი, თელავი, დუშეთი და სხვ.). ამ სკოლებს აკისრებდნენ აგრეთვე პოლიტიკურ ამოცანას—„კავკასიის მხარის გარუსებას“. და ამას არც ფარავდნენ კავკასიის სამხედრო ძალაუფლების უმაღლესი წარმომადგენელნი: „ზოგიერთ მთავარ ბინებთან (штаб-квартира) მოწყობილი იყო სკოლებიც. ამ სკოლებში სწავლობდნენ წერა-კითხვას სალდათების შვილები და ის დაბალი ჯარისკაცები, რომელნიც ემზადებოდნენ უნტერ-ოფიცრებად... განსაკუთრებით კარგად იყო დაყენებული ყარაბაღის დრაგუნების სკოლა (ლაპარაკია XIX ს. 30-იან წლებზე—გ. თ.), სადაც ოფიცერთა ხელმძღვანელობით, რომელთა შორის ბევრი იყო განათლებული, პრო-

---

„Кавказ“, 1846, № 22, 86—87.

გრამა თანდათან ისე ფართოვდებოდა, რომ შეიცავდა ზოგიერთ სამ-ხედრო მეცნიერებათა დარგსაც კი. სასწავლო საქმის ასეთმა დაყენებამ შემდგომ ამ სკოლას მისცა შესაძლებლობა, საგანმანათლებლო მუშაობის გარდა, სამსახური გაეწია აგრეთვე პოლიტიკური მიზნებისათვის და შეძლებისდაგვარი წვლილი შეეტანა (კავკასიის) მ ხ ა-რ ი ს გ ა რ უ ს ე ბ ი ს დ ი დ ს ა ქ მ ე შ ი.“*

XIX ს. 50-იანი წლებიდან მთელი რიგი სამხედრო მოსწავლეთა სკოლები, რომლებსაც ხშირად ადგილობრივი მოსახლეობა „სალ-დათის სკოლებს“ უწოდებდა, გადაკეთდა ჩვეულებრივ ნორმალურ სკოლებად 3—4-წლიანი კურსით. ისინი კვლავ რჩებოდნენ სამხედრო-ნაწილებთან და ინახებოდნენ სახაზინო ხარჯზე, მაგრამ ამ სკოლებ-ში ღებულობდნენ ყველას როგორც სამხედრო, ისე საერო წოდების-ყმაწვილებს. სწავლა-აღზრდის რეჟიმი კვლავ რჩებოდა ძველი, ყა-ზარმული, როზგითა და მოსწავლეთა რეპრესიების სხვა მკაცრი ფორ-მებით. მეცნიერული დისციპლინების სწავლება ამ სკოლებში არ სარგებლობდა დიდი პატივისცემით. სამაგიეროდ პრაქტიკული მე-ცადინეობა მებაღეობასა, მებოსტნეობასა, მედურგლეობასა და მე-ჩექმეობაში კარგად იყო დაყენებული. ამ მხრივ საქართველოსა და ამიერკავკასიაში უფრო მეტად იყო ცნობილი თ უ ქ უ რ მ ი შ ი ს (ახლა-წითელ-წყაროს) „სალდათის სკოლა“,** რომელიც 70-იანი წლების-დასაწყისში საცხენისში იქნა გადატანილი, და აღბულახის სკოლა.

კავკასიის არმიის სამედიცინო მომსახურეობის მიზნით 1816—17 წლისათვის თბილისის ჰოსპიტალთან შეიქმნა ს ა მ ხ ე დ რ ო-ს ა-ფ ე რ შ ლ ო ს ა ს წ ა ვ ლ ებ ე ლ ი სამხედრო ფერშლების მოსამზა-დებლად. სკოლაში ღებულობდნენ 13 წლის ასაკ-გადაცილებულ-ბავშვებს, რომელთაც უნდა ჰქონოდათ პირველდაწყებითი განათლება. სწავლა იყო 3-წლიანი. ასწავლიდნენ: 1) რუსულ ენას, 2) ლათინურ-ენას, 3) არითმეტიკას, 4) საღვთო სჯულს, 5) ანატომიას, 6) ფარ-მაკოლოგიას, 7) რეცეპტურას, აგრეთვე „ავადმყოფის მოვლას“ და-ჩქარი დახმარების აღმოჩენას მიმკვდარებულთა (мнимоумерший) და უეცრად ავადგამხდართათვის. 1869 წელს თბილისის სამხედრო-

---

* „Утверждение русского владычества на Кавказе“, под ред. П о т т о, III, ч. II, 590, 1904.

** თუქურმიშის „სალდათის სკოლას“ იხსენიებს ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე თავის-მოთხრობაში—„სახრჩობელაზე“—როგორც სკოლას, სადაც ბავშვებს „სულს-უყროლებდნენ რუსულის ლანძღვითა და თრევითა, სულს ართმევდნენ ცემა-ტყეპითა“.

საფერშლო სკოლამ ზეიმით აღნიშნა თავის მოსწავლეთა მე-50 გამოშვება. ამ დროის განმავლობაში მან მოამზადა 1500 ფერშალი კავკასიის არმიისათვის.*

20. პროფტექნიკური განათლება

სახალხო მეურნეობის განვითარების ამოცანები საქართველოში იწვევდა სპეც-ტექნიკური სკოლების შექმნას სოფლისა და ქალაქის მრეწველობის ცალკე დარგებისათვის კვალიფიციური კადრების მოსამზადებლად. ამის აუცილებლობა წინათაც იგრძნობოდა. ასე, 1828 წელს აღმოსავლეთ საქართველოს გენერალ-გუბერნატორი სიპიაგინი ფინანსთა მინისტრ კანკრინის წინაშე აყენებდა საკითხს საქართველოში სოფლის მეურნეობის გაუმჯობესების მიზნით „ევროპული მიწათმოქმედების შემოღებისა“ და „სანიმუშო ფერმების დაარსების“ შესახებ. მას საჭიროდ მიაჩნდა ნიჭიერ გლეხებს მებაღეობა ესწავლათ და „ამ გზით მებაღეობის მეცნიერება გაევრცელებიათ მთელ ამ მხარეში (საქართველოში)“. ამასთან, სიპიაგინს განზრახული ჰქონდა „სახაზინო უწყების გლეხებიდან 12 ბიჭი გაეგზავნა მოსკოვის სამიწათმოქმედო სკოლაში სწავლის მისაღებად“, ხოლო ადგილობრივად ტექნიკური კადრების მზადებისათვის სიპიაგინს სურდა „თბილისში სკოლა-სახელოსნოს დაარსება, სადაც სახაზინო გლეხთა შვილებს—უფასოდ, ხოლო მემამულეთა შვილებს კი ზომიერი ფასით უნდა ესწავლათ ორი ხელობა: საზეინკლო და სადურგლო“.** სიპიაგინმა ამ სკოლის წესდების პროექტიც კი შეადგინა.

კანკრინმა იმავე წელს მოიწონა სიპიაგინის განზრახვა და მიანდო მას თბილისში სახელოსნო სკოლის მოწყობის ხარჯთაღრიცხვის შედგენა, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ხარჯთაღრიცხვა „ძალიან მძიმე აღმოჩნდა“ ხაზინისათვის და სიპიაგინის განზრახული სკოლა აღარ დაარსებულა.

1829 წელს საქართველოში აბრეშუმის მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებით კანკრინი თავის წერილში საქართველოს მთავარმართებელ პასკევიჩისადმი საჭიროდ სთვლიდა თბილისის აბრეშუმსახვევ ქარხანასთან დაეარსებია აბრეშუმსახვევი სას-

---

* „Кавказ“, 1869, № 63.

** Акты, VII, 165.

წავლებელი. კანკრინი პირდებოდა მას, რომ მასწავლებლებს ამ სასწავლებლისათვის გამოუგზავნიდა იმავე წელს პეტერბურგში დაარსებული ტექნოლოგიური ინსტიტუტიდან.* მაგრამ 1834 წელს, როგორც სჩანს, ამ ინსტიტუტის კურსდამთავრებულთაგან თბილისში მასწავლებლად წამომსვლელი არავინ აღმოჩნდა, რის გამოც კანკრინი იმავე წელს სთხოვდა საქართველოს მთავარმართებელს საქართველოდან 4 ყმაწვილი გაეგზავნა აღნიშნულ ინსტიტუტში მათგან თბილისის აბრეშუმსახვევი სასწავლებლის მასწავლებელთა მოსამზადებლად.**

1841 წელს სენატორ განის კომისიამ სცნო „აუცილებლად გლეხთა ბავშვებისათვის მოწყობილიყო პრაქტიკული სამიწათმოქმედო სკოლა სანიმუშო მიწათმოქმედების, მებაღეობის და მესაქონლეობის ფერმით“.*** ამ სკოლის შენახვა ეკისრებოდა 1832 წელს დაარსებული „სამიწადმოქმედო და მანუფაქტურული მრეწველობისა და ვაჭრობის ხელისშემწყობ საზოგადოებას“.

სახავდნენ სხვა ღონისძიებებსაც სოფლის მეურნეობისა და მრეწველობისათვის კვალიფიციური მუშაკების მოსამზადებლად, გამოქონდათ დადგენილებები სპეციალური სკოლების გახსნის შესახებ, მაგრამ ამ ღონისძიებათა და გადაწყვეტილებათაგან ბევრი ან სრულებით არ ხორციელდებოდა, ანდა—ათეული წლების შემდეგ. ტექნიკურ სასწავლებელთა გახსნისა და სპეციალისტთა მომზადების საქმის მოუგვარებლობა ძალიან აფერხებდა ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის ზრდას, რასაც გადაჭრით მოითხოვდა ამ მხარეში კაპიტალისტური წარმოების განვითარების აუცილებლობა.

40-იან წლებში განსაკუთრებული სიმახვილით იგრძნობოდა მიწათმოწყობისა და სამიჯნო მეურნეობის კვალიფიციური მუშაკების საჭიროება. 1840 წლისათვის თბილისში არსებული ტოპოგრაფების სკოლა სრულებით ვერ აკმაყოფილებდა ასეთი მუშაკების მომზადების ამოცანას. ამის გამო 1846 წელს გადაწყვიტეს ცალკე კავკასიის კორპუსის ტოპოგრაფთა № 3 როტასთან**** დაარსებულიყო „კავკასიის სამიჯნო სკოლა“. დებულება ამ სკოლისა „უმაღლესად“ იქნა დამტკიცებული იმავე 1846 წელს,*****

* Акты, VIII, 179.

** იქვე, 195.

*** იქვე, IX, 35.

**** სამიჯნო საქმეს მაშინ ხელმძღვანელობდნენ სამხედრო უწყებანი.

***** ПСЗРИ, XXI, № 20373, 1846.

მაგრამ ფაქტიურად ის გაიხსნა 1847 წლის 17 მარტს. კავკასიის სამიჯნო სკოლა ამზადებდა მომიჯნეებს და მიწისმზომელთა თანაშეწეებს. ის გათვალისწინებული იყო 50 კაცისათვის, უმთავრესად ადგილობრივი მოსახლეობიდან. ღებულობდნენ ყმაწვილებს 12 წლიდან 16 წლის ასაკამდე. სკოლაში შესასვლელად საჭირო იყო რუსული წერა-კითხვის ცოდნა, რუსული გრამატიკის საწყისები და ქრისტიან ბავშვთათვის, დამატებით, კატეხიზისის ცოდნა. სწავლის ვადა განსაზღვრული იყო 4 წლით. სასწავლო გეგმაში (1855 წლისათვის) შედიოდა: საღვთო სჯული, რუსული სიტყვიერება, რუსეთის ისტორია, ქართული ენა, თათრული (აზერბაიჯანული) ენა, არითმეტიკა, გეომეტრია, ალგებრა, სწორხაზოვანი და სფერული ტრიგონომეტრია, ლოგარითმების თეორია, ზოგადი გეოგრაფია, მათემატიკური გეოგრაფია, გეოდეზია, სამიჯნო კანონები, კალიგრაფია, ხატვა და ხაზვა, პრაქტიკული გადაღებანი და სამიჯნო საქმე, საფრონტო (სამხედრო) განათლება და ცეკვები.* მოწაფეები ცხოვრობდნენ პანსიონში, სახელმწიფო ხარჯზე და სწავლის დამთავრების შემდეგ (მომიჯნის ან მიწისმზომლის თანაშემწის წოდებით) ვალდებული იყვნენ ემსახურათ კავკასიაში არა უმცირეს 10 წლისა.

1849 წელს თბილისის სამიჯნო სკოლის 50 მოწაფიდან ეროვნების მიხედვით იყო: რუსი—19, ქართველი—16, სომეხი—13, გერმანელი—2. სკოლის შესანახად ყოველწლიურად იხარჯებოდა 7.600 შანეთი. 1854 წლიდან თბილისის სამიჯნო სკოლა გადავიდა კავკასიის სასწავლო ოლქის გამგებლობაში.

40-იანი წლების დამდეგიდან ამიერკავკასიის მმართველ წრეებში განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია კომერციულმა განათლებამ. ვაჭრობისა და სავაჭრო დაწესებულებათა ქსელის განვითარება მართლაც მოითხოვდა კომერციის მუშაკთა მომზადებას. საქართველოსა და ამიერკავკასიაში ჯერ კიდევ არ იყო მათი მამზადებელი სკოლები ან ორგანიზაციები. აუცილებელი ხდებოდა ამიერკავკასიის მკვიდრთა გზავნა რუსეთის კომერციულ სასწავლებლებში. 40-იანი წლების დასაწყისში ასეთი სასწავლებლები არსებობდა მოსკოვში, პეტერბურგში, ტაგანროგში, ოდესაში (1851 წლიდან) და სხვაგან. ყველაზე უფრო ძველი იყო მოსკოვის სასწავლებელი (1772 წლიდან), მაგრამ უფრო კარგად მოწყობილი კი—პეტერბურგისა. ამის გამო საქართველოს მმართველები ამ უკანასკნელს აძლევდნენ უპირატე-

* Акты, XI, 789.

სობას და ურჩევდნენ კომერციული განათლების მსურველ ქართველ ახალგაზრდობას პეტერბურგის სასწავლებელში მიეღო ეს განათლება. ამ მიზნით, 1841 წელს ცნობილმა მეცნიერმა და პედაგოგმა პლატონ იოსელიანმა რუსულიდან სთარგმნა და გამოსცა ქართულ და სომხურ ენებზე „მოკლე ცნობა მათთვის, რომელთაცა სურთ შვილთა თვისთა მიცემა ს.-პეტერბურღის კომერციის ანუ სავაჭროსა სასწავლებელსა შინა“ (1841, თბილისი, გვ. 34). სატიტულო გვერდზე აწერია, რომ ეს ცნობარი გადათარგმნილია მთავრობის ბრძანებით, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს ადგილობრივი ხელისუფლების დაინტერესებას სავაჭრო ურთიერთობის განვითარებით XIX საუკუნის ორმოციანი წლების საქართველოში.

21. სახალხო განათლების მმართველობის სისტემა 40-იან წლებში. 1848 წლის დებულება

ამიერკავკასიის სამოქალაქო მმართველობის სისტემის გარდაქმნა 1840 წელს, საიმპერიო სახელმწიფო საბჭოს სპეციალური (სენატორ განის) კომისიის პროექტის მიხედვით, არ შეხებია ამ მხარის სასწავლო საქმეს.

რუსეთის განათლების სამინისტროსადმი ამიერკავკასიის სასწავლებელთა დაქვემდებარება, ხარკოვის სასწავლო ოლქის მეშვეობით, უნაყოფო გამოდგა. უფრო სწორად: ეს მეშვეობითი დაქვემდებარება ზედმეტ რგოლად ითვლებოდა სამინისტროსა და აღნიშნულ სასწავლებელთა შორის და ფაქტიურად ძალიან ართულებდა უკანასკნელის მართვა-გამგეობის და ხელმძღვანელობის საქმეს. ამ გარემოების გამო, განათლების მინისტრმა ს. უვაროვმა, იმპერატორის ნებართვით, 1840 წელს გააუქმა ამიერკავკასიის სასწავლებელთა დაქვემდებარება ხარკოვის ოლქისადმი და შექმნა დამოუკიდებელი თანამდებობა „ამიერკავკასიის სასწავლებელთა ინსპექტორისა“, რომელიც უშუალოდ უკავშირდებოდა სამინისტროს საქართველოსა და ამიერკავკასიის სასწავლებელთა ყველა საქმეზე. 1842 წლიდან, იმ მიზნით, რომ მთავარ ინსპექტორს მჭიდრო კონტაქტი ჰქონოდა ადგილობრივ ხელისუფლებასთან, ამ თანამდებობაზე ნიშნავდნენ ამიერკავკასიის მთავარ სამმართველოს ერთ-ერთ წევრს.*

---

* 1842 წელს ამიერკავკასიის სასწავლებელთა მთავარ ინსპექტორად დაინიშნა ამიერკავკასიის მთავარ სამმართველოს წევრი გენერალი ქოხანოვი.

1844 წლიდან, როგორც ვწერდით, საქართველოსა და მთელი კავკასიის მმართველობის სისტემა რამდენადმე შეიცვალა. ნაცვლად საქართველოს მთავარმართებლისა (1838 წლიდან — ამიერკავკასიის მთავარმართებლისა), რომელიც ფაქტიურად მთელ კავკასიას განაგებდა, დაინიშნა მ ე ფ ი ს ნ ა ც ვ ა ლ ი კ ა ვ კ ა ს ი ა შ ი. მეფისნაცვალს ეძლეოდა ფართო რწმუნებანი კავკასიაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული მმართველობის ერთიანი სისტემის დამყარების საქმეში.

მეფის პირველი ნაცვალი კავკასიაში მ. ს. ვ ო რ ო ნ ც ო ვ ი (1844—1854) ადგილობრივი ცხოვრების კულტურული გარდაქმნის იმ ღონისძიებათა გარდა, რომლებზეც ჩვენ ზემოთ ვილაპარაკეთ, შეუდგა სახალხო განათლების სისტემის გაუმჯობესებას თავისი პოლიტიკის შესაფერისად. პირველ ყოვლისა, მოიწადინა კავკასიაში სასწავლებელთა რიცხვის გადიდება. იმპერატორთან წარდგენილ 1845—46 წლის ანგარიშში ვორონცოვი აღნიშნავდა: „კავკასიის მხარეში ამჟამად არსებული სასწავლებლები არ არიან საკმარისი მოსახლეობის რიცხვის მიხედვით და ვერ აკმაყოფილებენ საერთო მოთხოვნილებებს“.*

მართლაც, 1845 წლის დამლევს ქ. თბილისში 40.000 მცხოვრებზე იყო 1 გიმნაზია (ვაჟებისა), 2 სასულიერო სემინარია (ერთი-მართლმადიდებლური, ერთიც — სომხურ-მონოფიზიტური), 1 ქალთა ინსტიტუტი, 8 დაწყებითი სკოლა (აქ არ შედის კერძო სკოლები და პანსიონები). ამ სასწავლებლებში, სომხური სემინარიის გარდა, სწავლობდა 1301 მოწაფე, აქედან 1235 მამრობითი სქესისა და 66 დედრობითი სქესისა; ნაციონალური შემადგენლობის მიხედვით: ქართველები — 625, სომხები — 497, რუსები — 143, დანარჩენები — 33; მცხოვრებთა 1 ათასზე მოდიოდა 38 მოწაფე (1 : 38).**

ნ ი კ ო ლ ო ზ პირველის რეაქციის პერიოდში (1825 — 1855) რუსეთის ოფიციალური სკოლა საესებით დაუქვემდებარეს ფეოდალურ-ბურჟუაზიულ წესწყობილებისა და ეკლესიის ინტერესებს. ეს ტენდენცია, დაწყებული ალექსანდრე I მეფობის უკანასკნელ ათწლედში, ახლა მკაფიოდ გამოიხატა ნიკოლოზ I ცნობილ საბწვერო-ვან ფორმულაში: თვითმპყრობელობა, მართლმადიდებლობა და ხალხურობა. განათლების მინისტრი ს. ს. უ ვ ა რ ო ვ ი, 1843 წელს, ამ

---

* Акты, X, 841.

** „Кавказ“, 1846, № 8, 32.

ფორმულას აძლევდა შემდეგნაირ განმარტებას: „...სამინისტრომ თვითმპყრობელობის აღიარებით მტკიცედ განიზრახა პირდაპირი გზით დაუბრუნდეს რუსულ მონარქიულ საწყისს, ზეელი მისი მოცულობით, ...გამოთქმა—მართლმადიდებლობა—საკმაო სიცხადით არკვევს სამინისტროს ლტოლვას ყოველივე დადებითისადმი ქრისტიანული რწმენის მიმართ და ყველა იმ ოცნებითი მოჩვენებების გადალახვისაკენ, რომლებიც ძალიან ხშირად ჩრდილავენ ეკლესიის საღვთო გადმოცემებს.* ფორმულის მესამე ელემენტის—ხალხურობის—განმარტებისათვის უვაროვი აყენებდა დებულებას: „(სახელმწიფოს) სახე შეიძლება იცვლებოდეს წლობით, მაგრამ ფიზიონომია კი არ უნდა შეიცვალოს“—და ამით, ე. ნ. მედინსკის სამართლიანი შენიშვნით, ხალხურობის პრინციპი „უვაროეს ესმოდა რუსული ნაციონალიზმისა და ბატონყმური თვითმყოფობის აზრით“.**

ამგვარად, აღნიშნული სამი პრინციპი, რომლებიც დაედვა საფუძვლად ნიკოლოზ I ეპოქის ახალთაობათა აღზრდას, განსაზღვრავდა სამინისტროს პოლიტიკას როგორც სახალხო განათლების საერთო ამოცანების, ისე სწავლა-განათლების შინაარსის მხრივ. მიუხედავად 1828 წლის კანონისა, ყველა საფეხურის სკოლების სასწავლო გეგმებში და აღმზრდელობითი მუშაობის პროგრამებში შეჰქონდათ ცვლილებები აღნიშნული სამწვეროვანი ფორმულის მიხედვით. იმ მიზნით, რომ მაქსიმალურად მოეწყვიტა რუსეთი დასავლეთის პროგრესულ-რევოლუციური იდეებისაგან, განსაკუთრებით 1830 წლის პოლონეთის ამბებისა და საფრანგეთის რევოლუციის, აგრეთვე დასავლეთი ევროპის 1848 წლის რევოლუციის პერიოდებში, ნიკოლოზ I კრძალავდა ყოველგვარ ურთიერთობას უცხოეთის მეცნიერებთან (რუსეთის მეცნიერთა გზავნას უცხოეთში და უცხოეთის მეცნიერთა გამოწვევას რუსეთში, ლიტერატურის გაცვლა-გამოცვლას უცხოელებთან და სხვ.), შემოიღო პროფესორთა ლიტოგრაფიულად დაბეჭდილი ლექციების წინასწარი ცენზურა, გააუქმა უნივერსიტეტების მმართველობის დემოკრატიული ფორმები, გააძლიერა გიმნაზიებში სწავლების კლასიკური სისტემა, აუკრძალა კერძო სკოლებისა და პანსიონების გახსნა იმ უცხოელებს, რომელთაც არ ჰქონ-

---

* „Десятилетие министерства народн. просвещения“, 3, 1844.

** Проф. Е. Н. Медынский, История русской педагогики“, 136, 1938.

დათ რუსეთის ქვეშევრდომობა, გააძლიერა პოლიციური რეჟიმი საშუალო სასწავლებლებში და დააწესა ჟანდარმული მეთვალყურეობა სასწავლო საქმეზე საერთოდ. გამოჩენილი რუსი პედაგოგი პ. კაპტერევი ამ უკანასკნელი ღონისძიების შესახებ წერდა: „ნიკოლოზ I მეფობის დროს ცდილობდნენ, რომ სკოლა დაექვემდებარებიათ ჟანდარმთა კორპუსის ოფიცრებისათვის, რომ ჟანდარმთა ოფიცრებს ევლოთ გამოცდებზე... და შემჩნეულის შესახებ ეძლიათ საიდუმლო ცნობები თავის უფროსებისათვის, რომ ადგილობრივ სამოქალაქო ხელისუფლებას, განსაკუთრებით კი გენერალ-გუბერნატორებს, სისრულეში მოეყვანათ ხოლმე თავისი ღონისძიებები სკოლებში, სასწავლო მთავრობის მონაწილეობის გარეშე“.* ამას გარდა განათლების სამინისტრო ფიქრობდა, რომ „თავისუფალი აზროვნებისაგან ყმაწვილკაცობის დასაცავ საიმედო საშუალებას წარმოადგენს: პირველი—საღვთო სჯულის გარკვეულად სწავლება, ერთგულ ქვეშევრდომთათვის პირდაპირ მოვალეობებზე ახლო მითითებით, მეორე—სხვა სასწავლო საგნების სწავლების დროს არ იქნეს დაშვებული არაფერი ისეთი, რასაც შეეძლება ყმაწვილების ჯერ კიდევ მოუმწიფებელ გონებაში შეარყიოს ან შეამციროს რწმენა ჩვენი მთავრობის ძირითად დაწესებულებათა აუცილებლობისა და სარგებლობისა“.**

განსაკუთრებით მკაფიო გამოხატულება ნიკოლოზის რეაქციამ ჰპოვა სასკოლო განათლების საფუძვლად წოდებრივობის პრინციპის აღიარებაში. ამ ღონისძიებებს, რომლებიც დაბალი წოდების ხალხს უკრძალავდა უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში შესვლას (1828 წლის წესდება და განათლების სამინისტროს სპეციალური განკარგულებანი), 1845 წელს დაემატა სწავლის ქირის გადიდება უნივერსიტეტებსა და გიმნაზიებში, რაც, განათლების მინისტრის ს. უვაროვის განცხადებით, უმთავრესად გამოწვეული იყო „განათლებისაკენ ახალგაზრდობის შესაკავებლად“. მაგრამ არც ეს ღონისძიება აღმოჩნდა საკმარისი ნიკოლოზ I-სათვის. მას განსაკუთრებით აფიქრებდა დემოკრატიული ფენების მისწრაფება ცოდნისაკენ და ერთგულმა მინისტრმაც ჩქარა აცნობა იმპერატორს, რომ „ამ საგანზე უკვე მიღებულია... გადამეტრელი ღონისძიებანი, რომლებიც... გამოიღებენ... სათანადო შედეგებს“.***

* П. Ф. Каптерев, История русской педагогики, 331, 1915.
** „Собр. распор. по минист. народн. просвещения“, II, 995.
*** С. Князьков и Н. Сербов, Очерк истории народ. образ. в России до эпохи реформ Александра II, 217.

ნიკოლოზ I მეფობის პერიოდში ძალიან მტკიცედ და თანამიმდევრულად ტარდებოდა აგრეთვე რუსეთის იმპერიის არარუს ეროვნებათა სკოლების გარუსების პოლიტიკა (პოლონეთში, ბელორუსიაში, ბალტიის მხარეში, კავკასიაში და სხვ.). ყველაზე უფრო უხეშ ფორმებში ეს პოლიტიკა ტარდებოდა პოლონეთში, პოლონეთის 1830 წლის აჯანყების შემდეგ, და საქართველოში—1832 წლის შეთქმულების ლიკვიდაციის შემდეგ. პოლონეთის სკოლებში, გარდა იმისა, რომ საგნების სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, 30-იან წლებში გაუქმებულ იქნა პოლონური ენის სწავლება, რაც თითქოს მეამბოხე „პოლონიზმის სულს“ ნერგავდა ახალგაზრდობაში. საქართველოში კი, სადაც სწავლება ყველა საგნისა გიმნაზიის ყველა კლასში და სამაზრო სასწავლებელთა უფროს კლასებში წარმოებდა აგრეთვე რუსულ ენაზე—გვერდი აუხვიეს და ფაქტიურად გააუქმეს ამიერკავკასიის 1835 წლის დებულების 22-ე და 53-ე პუნქტები, რომელთა მიხედვითაც გიმნაზიის პირველ 2 კლასში და სამაზრო სასწავლებლებში ნებადართული იყო ქართული ენით სარგებლობა საგნების სწავლების დროს.

მეფის ნაცვალი კავკასიაში მ. ს. ვორონცოვი ცდილობდა მიეღო შესაძლო დამოუკიდებლობა თავისი მხარის პოლიტიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო გამგეობაში. ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებად ამ მხრივ უნდა ჩაითვალოს მის დროს შემუშავებული ახალი „დებულება კავკასიის სასწავლო ოლქისა და მის ქვემდებარე სასწავლებელთა შესახებ“, 1848 წელს, და ამ დებულების საფუძველზე დაარსებული „კავკასიის სასწავლო ოლქი“.*

ახალი, 1848 წლის დებულება გამოიწვია ერთი მხრით—აუცილებლობამ სახალხო განათლების სისტემა შეფარდებოდა საქართველოს და მთელი კავკასიის საზოგადოებრივ-ეკონომიური ცხოვრების ახალ მოთხოვნილებებს დაბალი და საშუალო კვალიფიკაციის ტექნიკური, სასოფლო-სამეურნეო, პედაგოგიური, სამხედრო და ადმინისტრატიული კადრების მომზადებისა და აგრეთვე რუსეთის უმაღლეს სკოლებში გასაგზავნი კონტინგენტების შექმნის დარგში. მეორე მხრით, ახალი დებულების აუცილებლობა გამომდინარეობდა მთელი კავკასიის ადმინისტრაციულ-ეკონომიური და პოლიტიკური მმართვე-

---

* კავკასიის სასწავლო ოლქის პირველი მზრუნველი იყო ვ. ნ. სემიონოვი, ხოლო 1852 წლიდან 1860 წლამდე—ბარონი ა. პ. ნიკოლაი.

ლობის ერთ სისტემაში გაერთიანების ფაქტიდან, რაც თავის მხრივ იწვევდა მთელი კავკასიის სასწავლო საქმის მმართველობის უნიფიცირებას და გაერთიანებას.

1848 წლის დებულების საფუძველზე შექმნილი კავკასიის სასწავლო ოლქი აერთიანებდა სახალხო განათლების სამინისტროს ქვემდებარე სასწავლებლებს კავკასიაში და უშუალოდ ემორჩილებოდა კავკასიის მეფისნაცვალს და განათლების მინისტრს.

კავკასიის სასწავლო ოლქი იყოფოდა 5 დირექციად: თბილისის, ქუთაისის, შემახა-დერბენტის, სტავროპოლის და შავიზღვისპირის.

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სასწავლებლები შედიოდნენ თბილისის და ქუთაისის დირექციაში. თ ბ ი ლ ი ს ი ს დ ი რ ე ქ ც ი ა შ ი შედიოდა: თბილისის გიმნაზია, თბილისის კომერციული გიმნაზია, სამაზრო სასწავლებლები: გორისა, დუშეთისა, სიღნაღისა, თელავისა, აგრეთვე ერევნისა, ელისავეტპოლისა, ნახიჩევანისა და ალექსანდროპოლისა; ქვეშეთის ორკლასიანი სამრევლო სასწავლებელი. ქ უ თ ა ი ს ი ს დ ი რ ე ქ ც ი ა შ ი შედიოდა: ქუთაისის გიმნაზია, ახალციხისა და ოზურგეთის სამაზრო სასწავლებლები, ხონისა და რედუტკალეს ორკლასიანი სამრევლო სასწავლებლები.

საქართველოსა და კავკასიის სხვა სასწავლებლები რჩებოდნენ სასულიერო, სამოქალაქო და სამხედრო უწყებათა გამგებლობაში.

კავკასიის სასწავლო ოლქის მმართველობა ეკისრებოდა ოლქის მზრუნველს, რომელსაც ყავდა ერთი თანაშემწე და სახელმწიფო სასწავლებელთა ინსპექტორი. მზრუნველთან არსებობდა აგრეთვე საბჭო, სახელმძღვანელოების შემდგენი კომიტეტი და საცენზურო კომიტეტი.

1848 წლის დებულება ახლებურად განმარტავდა გიმნაზიების, სამაზრო და სამრევლო სასწავლებელთა მიზნებსა და ამოცანებს:

„კავკასიის სასწავლო ოლქის გიმნაზიებს აქვთ სამგვარი ამოცანა: 1) მომზადება ახალგაზრდობისა კავკასიის მხარეში სახელმწიფო სამსახურისათვის, 2) აღჭურვა აუცილებელი ცოდნით იმ მოწაფეებისა, რომლებიც გიმნაზიაში კურსის დამთავრების შემდეგ მოისურვებენ სწავლის გაგრძელებას უნივერსიტეტებში და 3) მიაწოდოს მათ, ვინც არ იწყებს სამსახურს, მოხავალი წოდების მიხედვით გამოსადეგი ცოდნა“.*

---

* „Кавказ“, 1849, № 8.

„კავკასიის სასწავლო ოლქის სამაზრო სასწავლებლებს აქვთ სამგვარი ამოცანა: 1) მომზადება ღარიბ აზნაურთა და მოხელეთა ბავშვებისა სახელმწიფო სამსახურისათვის დაბალ სამმართველოებში საერთოდ; 2) მიწოდება ქალაქისა და სხვა თავისუფალ წოდებათა ბავშვებისათვის მათთვის აუცილებელი ცოდნის შეძენის საშუალებისა; 3) მომზადება როგორც მაღალი, ისე სხვა თავისუფალ წოდებათა ბავშვებისა გიმნაზიებში შესასვლელად“.

„სამრევლო სასწავლებლები შეიძლება იყოს ორგვარი: საერთო, რომელთა მიზანსაც წარმოადგენს გავრცელება პირველდაწყებითი ცოდნისა, რომელიც საჭიროა ყველაზე უფრო დაბალ წოდებათა ხალხისათვის, და სპეციალური, რომლებშიც საერთო სამრევლო სკოლებში სასწავლო საგნებს გარდა ისწავლება ამა თუ იმ წოდების ხალხთათვის აუცილებელი საგნები“.*

აღნიშნულ დებულების საფუძველზე საქართველოში დამატებით იხსნებოდა ორი გიმნაზია: ერთი (მეორე) თბილისში—„კომერციული“, და ერთიც—ქუთაისში.

თბილისის პირველი გიმნაზია დებულებით იწოდებოდა სათავადაზნაურო, ხოლო ქუთაისისა—საგუბერნიო (შემდეგში თბილისის გიმნაზიას ეწოდა—საგუბერნიო (1853 წლიდან), შემდეგ—კლასიკური (1864 წლიდან) და ბოლოს—თბილისის ვაჟთა პირველი გიმნაზია).

დებულება არკვევდა აგრეთვე გიმნაზიების, სამაზრო და სამრევლო სასწავლებელთა მოსწავლეების სოციალურ შემადგენლობასაც, სახელდობრ § 50 ამბობს: „ამ სასწავლებელთა დაარსების (ლაპარაკია გიმნაზიაზე—გ. თ.) მიზნის თანახმად თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში მიიღებიან ხოლოდ თავადაზნაურთა, ბეგების, მელიქების, აღალარების, მთისა და მომთაბარე ხალხის მამასახლისთა შვილები და როგორც ადგილობრივ, ისე რუს მოხელეთა შვილები, აგრეთვე, მართლმადიდებელი და სომხურ-გრიგორიანული სარწმუნოების მღვდლებისა და დიაკვნების შვილები; თბილისის კომერციულ გიმნაზიაში მიიღება სავაჭრო წოდებისა და უაზნოთა („რაზნოჩინცების“) შვილები, ხოლო ქუთაისის, სტავროპოლისა და ეკატერინოდარის გიმნაზიებში—ყველა თავისუფალი წოდების პირთა შვილები, გარდა სახაზინო, საეკლესიო და მემამულეების გლეხთა შვილებისა.**

---

* „К-вказ“, 1849, № 10.
** იქვე, № 8.

სახაზინო, საეკლესიო და მემამულეთა გლეხების შვილებს არ ღებულობდნენ არც სამაზრო სასწავლებლებში. მხოლოდ სამრევლო სკოლებში შეეძლოთ მათ შესვლა, მაგრამ აქაც საჭირო იყო მთელი რიგი მატერიალური და ყოფაცხოვრებითი ხასიათის სიძნელეთა გადალახვა. რაც შეეხება გიმნაზიებთან არსებულ პანსიონებში ბავშვთა შენახვის უფლებას, საჭიროა აღინიშნოს, რომ ეს პანსიონები, დებულების (§ 75) მიხედვით, განზრახული იყო მხოლოდ თავადაზნაურთა, თავადაზნაურული წოდების მოხელეთა, მელიქთა, მაღალ სამუსლიმანო წოდებათა და მთიელ-ტომთა საპატიო პირების ბავშვებისათვის.

1848 წლის დებულება გიმნაზიების სტრუქტურას საზღვრავდა 8 კლასით: „ერთი მოსამზადებელი ანუ სამრევლო, ორი სამაზრო და ხუთი საკუთრივ' გიმნაზიისა". ამასთან, აღნიშნული დებულებით, თბილისისა და სტავროპოლის გიმნაზიებთან არსდებოდა ორ-ორი სპეციალური კლასი „უნივერსიტეტში შესასვლელად მოწაფეების მომზადებისათვის და სამაზრო სასწავლებელთა, გიმნაზიის დაბალი კლასებისა და აგრეთვე საშინაო მასწავლებელთა მოსამზადებლად". აღნიშნულ სპეციალურ კლასებში უნდა მიეღოთ მსურველნი კავკასიის ყველა გიმნაზიიდან, ამ გიმნაზიებში სრული კურსის დამთავრების შემდეგ.

სამაზრო სასწავლებლები შედგებოდა 3 კლასისაგან: „ერთი სამრევლო ანუ მოსამზადებელი და ორი საკუთრივ სამაზრო".

საერთო სამრევლო სასწავლებლები შედგებოდა ერთი ან ორი კლასისაგან, სახსრების მიხედვით, ხოლო სპეციალური სამრევლო სასწავლებელი იყო მხოლოდ 2-კლასიანი.

კავკასიის სახელმწიფო სასწავლებელთა ხელმძღვანელობა, 1848 წლის დებულების მიხედვით, განისაზღვრებოდა შემდეგი სახით: გიმნაზიების მმართველად უშუალოდ ითვლებოდნენ დირექტორები და ინსპექტორები. გიმნაზიის ინსპექტორების დასახმარებლად ინიშნებოდნენ შტატისა და შტატგარეშე ზედამხედველები. ამას გარდა, „იმის უახლოესი მეთვალყურეობისათვის, თუ როგორ აკმაყოფილებენ გიმნაზიები მათი დაარსების ადგილობრივ მიზნებს, მათთან იმყოფება საპატიო მზრუნველი, რომელსაც ირჩევს ადგილობრივი თავადაზნაურობის კრება".

სამაზრო სასწავლებლებს განაგებდნენ შტატის ზედამხედველები. ისინი ინიშნებოდნენ ამ თანამდებობაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღმოაჩნდებოდათ აუცილებელი ადმინისტრატიულ-პედაგოგიური

გაბოცდილება. ამას. გარდა, სამაზრო სასწავლებლებში ნიშნავდნენ (ან ირჩევდნენ) საპატიო ზედამხედველებს იმის მეთვალყურეობისათვის, თუ როგორ აკმაყოფილებდა სასწავლებელი ადგილობრივი მოსახლეობის სასწავლო მოთხოვნილებებს.

სამრევლო სკოლები უშუალოდ ემორჩილებოდნენ მაზრის სამრევლო სასწავლებელთა შტატის ზედამხედველებს, ხოლო ადგილობრივ ხელმძღვანელობას (მეთვალყურეობას) ახორციელებდა რუსული ენის მასწავლებელი საგუბერნიო სკოლების დირექტორის დანიშვნით.

ასაკი გიმნაზიებში შესასვლელ მოსწავლეთა განსაზღვრული იყო შემდეგნაირად: „მოწაფეები, რომლებიც შედიოდნენ პირველ ან მოსამზადებელ კლასში, უნდა ყოფილიყვნენ არა უმცირეს 8-სა და არა უმეტეს 11 წლის ასაკისა, მეორე კლასში—არა უმცირეს 9-სა და არა უმეტეს 12 წლისა, მესამეში—არა უმცირეს 10-სა და არა უმეტეს 13 წლისა, მეოთხეში—არა უმცირეს 11-სა და არა უმეტეს 14 სა, მეხუთეში—არა უმცირეს 12-სა და არა უმეტეს 15 წლისა. მე-5 კლასს ზევით გიმნაზიაში მოწაფეები არ მიიღებიან“ (§ 39). იგივე ასაკი ძირითადად განსაზღვრული იყო გიმნაზიების პანსიონებში შესაყვან ბავშვებისათვის. ასაკგადასულებს გიმნაზიაში ღებულობდნენ თავისუფალ მსმენელთა უფლებით.

1848 წლის დებულებით განსაზღვრული იყო გიმნაზიების სამაზრო და სამრევლო სასწავლებელთა ახალი სასწავლო გეგმები:

გიმნაზიების სასწავლო გეგმაში შედიოდა: 1) საღვთო სჯული, 2) რუსული გრამატიკა, რიტორიკა, პიიტიკა და რუსული სიტყვიერების ისტორია, 3) არითმეტიკა, ალგებრა, ლონგიმეტრია, პლანიმეტრია და სტერეომეტრია, 4) გეოგრაფია (ზოგადი და რუსეთისა), 5) ისტორია (საერთო და რუსეთისა, კავკასიის ხალხთა ისტორიით), 6) ფიზიკა, 7) კანონმდებლობის ისტორია, სამართლისმცოდნეობა და სასამართლოს წყობილება, 8) სოფლის მეურნეობა და სამოქალაქო არქიტექტურა (აზნაურთა შვილებისა და სხვა მსურველთათვის), კომერციული არითმეტიკა, ბუხჰალტერია, კომერციული გეოგრაფია, საქონელმცოდნეობა და კომერციული უფლება (სავაჭრო წოდებათა შვილებისათვის და სხვა მსურველთათვის), 9) ადგილობრივი ენები (ქართული, თათრული (აზერბაიჯანული), სომხური—თბილისის გიმნაზიისათვის, ქართული და თათრული—ქუთაისის გიმნაზიისათვის), 10) ფრანგული ენა და სიტყვიერება, 11) ლათინური ენა, 12) სუფთაწერა, 13) ხატვა-ხაზვა.

ქართული ენა, როგორც უმრავლესობის ენა, ითვლებოდა სავალდებულოდ საქართველოს გიმნაზიების ყველა მოწაფისათვის, თათრულ და სომხურ ენებს კი სწავლობდნენ მხოლოდ მსურველები. ფრანგულ და ლათინურ ენებს სწავლობდნენ მხოლოდ ის მოწაფეები, რომლებიც გიმნაზიის კურსის დამთავრების შემდეგ შედიოდნენ უნივერსიტეტებში.

თბილისისა და სტავროპოლის გიმნაზიების სპეციალურ კლასებში უნდა ესწავლებინათ აგრეთვე გერმანული ენა (მათთვის, ვისაც სურდა უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტზე შესვლა), ზოგადი პედაგოგიკა და დიდაქტიკა (მათთვის, ვისაც გიმნაზიის დასრულების შემდეგ უნდა დაეკავებია მასწავლებლის თანამდებობა).

საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სამაზრო სასწავლებელთა სასწავლო გეგმებში შედიოდა შემდეგი საგნები: 1) საღვთო სჯული, 2) რუსული ენა და რუსული ენის გრამატიკა, 3) ქართული ენა, 4) არითმეტიკა, 5) გეოგრაფია, 6) საკანცელარიო საქმე და 7) სუფთაწერა.

საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სამრევლო სასწავლებელთა სასწავლო გეგმაში შედიოდა: 1) საღვთო სჯული, 2) რუსული წერა-კითხვა, 3) არითმეტიკა (ოთხი მოქმედება). ქართული ენისა და საღვთო სჯულის სწავლა სამრევლო სკოლებში ეკისრებოდა ადგილობრივ მღვდელს.

1843 წლის დებულება განსაზღვრავდა აგრეთვე სწავლების მეთოდს (დაწყებით კლასებში) სასწავლო წლის დროს, ითვალისწინებდა სახელმძღვანელოებისა და დამხმარე წიგნების შედგენის, განხილვისა და გამოცემის საქმეს, რასაც შემდგომ თავებში ვეხებით.

ამ დებულებით განსაზღვრული შტატის მიხედვით კავკასიის სასწავლო ოლქის სამმართველოზე წელიწადში იხარჯებოდა 13.330 მ., თბილისის სასწავლებელთა დირექციაზე—74.780 მ., ქუთაისის სასწავლებელთა დირექციაზე—31.835 მან., სულ—119.945 მანეთი ვერცხლით.

კავკასიის სასწავლო ოლქის 1848 წლის დებულების დამტკიცებისა და შემოღების მომენტში რუსეთის იმპერიაში მოქმედებდა 1828 წლის წესდება იმ ცვლილებებით, რომელნიც მათში შექონდა განათლების სამინისტროს ცალკეული ცირკულიარებითა და განკარგულებებით. კავკასიის სასწავლო ოლქის დებულება არსებითად არ განსხვავდებოდა აღნიშნული წესდებიდან. ამ წესდებით გათვალისწინებული სახალხო განათლების პრინციპები და პოლიტიკური

საფუძვლები, აგრეთვე სასწავლო პროცესის ორგანიზაციის ფორმები, დარჩნენ, ძირითადად, კავკასიის 1848 წლის დებულებაშიც. ცვლილება შეეხო მხოლოდ სასწავლებელთა სტრუქტურას, რაც გაპოწვეული იყო კავკასიის სასწავლებელთა თავისებური დანიშნულებით და ადგილობრივი პირობებით. მაგალითად, რუსეთის 1828 წლის წესდებით გათვალისწინებული გიმნაზიების ორგვარი მიზნის მაგივრად, 1848 წლის კავკასიის დებულება ლაპარაკობს სამგვარი მიზნის შესახებ. მესამე მიზანს (კავკასიის გიმნაზიებისა) წარმოადგენდა: „ახალგაზრდობის მომზადება სახელმწიფო სამსახურისათვის კავკასიისა და ამიერკავკასიის მხარეში". აქედან—ცვლილებაც გიმნაზიების სასწავლო გეგმებსა და სტრუქტურაში: ნაცვლად გიმნაზიის 7 კლასისა (1828 წლის წესდების მიხედვით) 1848 წლის დებულება კავკასიის გიმნაზიებში აწესებდა 8 კლასს, ხოლო ამ გიმნაზიების სასწავლო გეგმებში, სწავლების ადგილობრივ ამოცანებთან დაკავშირებით, შედიოდა ისეთი საგნები, როგორიც იყვნენ: კავკასიის ხალხთა ისტორია, კანონმდებლობის ისტორია, სამართლისმცოდნეობა და სასამართლოს წყობილება, სოფლის მეურნეობა და სამოქალაქო არქიტექტურა, კომერციული არითმეტიკა, ბუხჰალტერია, კომერციული გეოგრაფია, საქონელმცოდნეობა და კომერციული სამართალი და აგრეთვე ადგილობრივი ენები. ამგვარად, კავკასიის გიმნაზიების მესამე მიზანი უნდა ყოფილიყო პრაქტიკული მუშაკების მომზადება იუსტიციის ორგანოებში, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საწარმოებში სამსახურისათვის და აგრეთვე სხვადასხვა დაწესებულებათა კანცელარიებში მთარგმნელთა, ბუხჰალტერთა, მოანგარიშეთა და სხვა პროფესიებისათვის.

სამაზრო სასწავლებლებს კავკასიის სასწავლო ოლქის 1848 წლის დებულებით უფრო ცხადი და გარკვეული დანიშნულება ჰქონდათ, ვიდრე 1828 წლის წესდებით. დაბალ თანამდებობათათვის პრაქტიკულ მუშაკთა მომზადების გარდა, კავკასიის სამაზრო სასწავლებლები ამზადებდნენ აგრეთვე მოსწალეებს გიმნაზიებში შესასვლელად, რაც აღნიშნულ წესდებაში არ არის გათვალისწინებული. კავკასიის სამაზრო სასწავლებელთა სასწავლო გეგმაში შეტანილია აგრეთვე „საკანცელარიო საქმე", განსხვავებით რუსეთის სამაზრო სასწავლებელთაგან.

ამგვარად, კავკასიის სასწავლო ოლქის 1848 წლის დებულება იცავდა სასწავლებელთა ერთიანობისა და თანამიმდევრობის პრინციპს; ზოგადსაგანმანათლებლო მიზნებს გარდა, სასწავლებლებს

აკისრებდა მოსწავლეთა მომზადებას პრაქტიკული მუშაობისათვის. მაგრამ ამ გარემოებაში არ შეიძლება დავინახოთ ნიკოლოზ I რაიმე აბნისტია კავკასიის ხალხისადმი ან ვორონცოვის „ლიბერალიზმი და ლოიალობა". ყოველივე ეს, უპირველეს ყოვლისა, კეთდებოდა თვით ხელისუფლების ინტერესებით. კავკასიის მართვა-გამგეობის სამეურნეო-ადმინისტრატიული, საგანმანათლებლო და სასამართლო აპარატის გაფართოება და განმტკიცება მოითხოვდა ადგილობრივ მოსამსახურეთა მრავალრიცხოვანი, საიმედო კადრების მომზადებასა და გამოყენებას. ეს კადრები უნდა ყოფილიყო თავადაზნაურთა და სხვა პრივილეგირებულ წოდებათაგან. კავკასიის სასწავლო ოლქის სამაზრო სასწავლებლები, როგორც აღნიშნეთ, ისევე წოდებრივი ხასიათისა იყვნენ, როგორც გიმნაზიები, და ამიტომ მათ შორის ერთიანობისა და თანამიმდევრობის პრინციპის განხორციელება უზრუნველყოფდა აღნიშნულ წოდებათა და კავკასიაში გადმოსახლებულ ბიუროკრატიის შვილთათვის დაუბრკოლებლივ გადასვლას სამაზრო სასწავლებლებიდან გიმნაზიებში და აქედან უნივერსიტეტებში, რომ სწორედ მათგან მიეღოთ აღნიშნული კადრები.

1848 წლის დებულება, სახალხო განათლების სისტემაში. წოდებრივობის პრინციპის გატარებით, კავკასიის სკოლების მაგალითზე ადასტურებდა იმ ფაქტს, რომ მეფის ხელისუფლება საზოგადოების გაბატონებულ ფენებს აძლევდა ყველა უფლებას საშუალო და უმაღლეს განათლებაზე და უქმნიდა მათ ყოველნაირ პრივილეგიებს ამ უფლების უზრუნველსაყოფად სინამდვილეში; ხოლო გლეხთა მასები მოკლებული იყვნენ ამ საკეთეს: მეფის მთავრობას საზიანოდ მიაჩნდა მათი ასე თუ ისე სერიოზული განათლება და ყოველნაირად უძნელებდა მათ არა მარტო უმაღლეს და საშუალო სკოლებში სწავლას, არამედ ისეთი ტიპის დაწყებით სკოლებშიც კი, როგორიც იყო ორ კლასიანი სამაზრო სასწავლებლები.

22. სასწავლო დრო. ვაკაციები. სწავლის ქირა. აფესფაცია

ინტერესს არ იქნება მოკლებული საკითხი სასწავლო წლის, სასწავლო დღის, ვაკაციების, გამოცდებისა და სწავლის ქირის შესახებ XIX ს. პირველი ნახევრის სკოლებში.

საქართველოსა და ამიერკავკასიის სასწავლებლებში XIX ს. პირველ ნახევარში სასწავლო წლისათვის ერთიანი, მტკიცე ვადები

არ არსებობდა. სრულიადრუსეთის სასწავლებელთა 1804 წლის წესდება სასწავლო წლის ვადად გიმნაზიებისათვის ადგენდა პერიოდს I აგვისტოდან I ივლისამდე, ვაკაციის დროდ კი აწესებდა მხოლოდ ერთ თვეს—ივლისს. ასევე სამაზრო სასწავლებლებშიც. რაც შეეხება სამრევლო (სახელმწიფო) სასწავლებლებს, რომლებიც უმეტესად სოფლად არსებობდნენ, აქ სწავლა გრძელდებოდა 6 ან 7 თვეს წელიწადში (ოქტომბრიდან აპრილამდე), რომ დანარჩენი დრო მოწაფეებს სასოფლო მუშაობაში გაეტარებინათ.

სასოფლო სკოლებში, 1828 წლის წესდებით, სწავლა გრძელდებოდა წელიწადში 4—5 თვეს. „იწყება სასოფლო სამუშაოების დასრულებისას და გრძელდება ამ სამუშაოების დაწყებამდე". ზუსტ დროს კი საამისოდ ადგენდა გუბერნიის სასწავლებელთა დირექტორი.

1828 წლის წესდების მიხედვით, ვაკაციის ერთი დრო (ივლისი), იმპერიის ყველა ზონისათვის სავალდებულო აღარ არის. კლიმატური პირობების (სარტყელის) მიხედვით, არდადეგების დროს საზღვრავდა უნივერსიტეტის რექტორი მის ქვემდებარე სასწავლებელთათვის.

ამასთან დაკავშირებით, ამიერკავკასიის სასწავლებელთა 1829 წლის დებულება ამიერკავკასიის სახელმწიფო სასწავლებელთათვის ვაკაციების დროდ აწესებს ორ თვეს: ივლისსა და აგვისტოს, ხოლო კავკასიის სასწავლო ოლქის 1848 წ. დებულებით კი—კავკასიის ოლქის გიმნაზიებსა და სამაზრო საშრევლო სასწავლებლებში სასწავლო წელი იწყებოდა 1-ლ იანვარს; წლიური, გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდები ტარდებოდა 15 ნოემბრიდან 25 დეკემბრამდე, საზაფხულო არდადეგების დრო კი რჩებოდა ძველი (ივლისი, აგვისტო).

მიღება წარმოებდა წელიწადში ერთხელ—სასწავლო წლის დაწყებისას; სხვა დროსაც შეიძლებოდა მიღება სხვადასხვა კლასში, მაგრამ სასწავლო წლის დაწყებიდან გავლილი მასალის ჩაბარების შემთხვევაში.

სასულიერო სასწავლებლებში, მაგალითად, თბილისის სასულიერო სემინარიაში, სასწავლო წელი იწყებოდა 1 სექტემბერს. ვაკაციის დროთ დაწესებული იყო ორ თვე—ივლისი და აგვისტო. ამას გარდა მოწაფეები ისვენებდნენ ორ-ორი კვირით ზამთარსა და გაზაფხულზე.

მეცადინეობა ყველა სასწავლებელში წარმოებდა ყოველდღე, გარდა კვირა-უქმე დღეებისა. უმეტეს შემთხვევებში მეცადინეობა ნიმდინარეობდა დილით და ნაშუადღევს (ნასადილევს) თანაბარი

დროის განმავლობაში. შაბათობით და სხვა უქმე დღეების წინ ნაშუადღევს მეცადინეობა არ წარმოებდა.

გაკვეთილი გიმნაზიებსა და სამაზრო სასწავლებლებში გრძელდებოდა 1 ს. და 30 წუთს (1828 წლის წესდებით). სამრევლო და საოფლო სკოლებში კი—თითო საათს. როგორც წესი, დღეში იყო ოთხი გაკვეთილი: ორი დილით და ორი ნაშუადღევს. ასე—ყველა სასწავლებელში და ყველა კლასში, გარდა პირველი კლასებისა, რომლებშიც ნაშუადღევს მეცადინეობა არ წარმოებდა.

სასწავლო წლის განმავლობაში ტარდებოდა „დახურული" და საჯარო გამოცდები. დახურული ეწოდებოდა ისეთ გამოცდებს, რომელიც წარმოებდა საგაზაფხულო არდადეგების წინ და აწარმოებდნენ თვით სკოლის მასწავლებლები და ადმინისტრაცია უცხო პირების დაუსწრებლად. საჯარო გამოცდები წარმოებდა სასწავლო წლის დამლევს კლასიდან კლასში გადაყვანისა და სასწავლებლის დამთავრების დროს. მას ჰქონდა საზეიმო ხასიათი—ესწრებოდნენ მთავრობის ორგანოებისა და საზოგადოების წარმომადგენელნი.

სასწავლო წელი მთავრდებოდა სათანადო აქტით (საზეიმო სხდომით). აქტებზე ისმენდნენ სასწავლებლის უფროსის ანგარიშს განვლილი წლის მუშაობის შესახებ, მასწავლებელთა მოხსენება-რეფერატებს, მოწაფეთა დახასიათებებს და მათი თვითშემოქმედების ნიმუშებს. ცხადდებოდა შემდეგ კლასში გადასულ (ან კურსდამთავრებულ) მოწაფეთა სია, აჯილდოებდნენ საუკეთესო მოწაფეებს და კურსდამთავრებულთ ურიგებდნენ ატესტატებს.

ატესტატები იყო სამგვარი: ბრწყინვალე წარმატებისა (ეძლეოდა მოწაფეებს, რომლებმაც გამოსაშვები გამოცდების დროს მიიღეს ყველა საგანში ნიშანი 5), მოწონებული წარმატებისა (რომლებმაც ყველა საგანში მიიღეს ნიშანი არა ნაკლებ 4-ისა) და საკმაო წარმატებისა (ანუ ჩვეულებრივი, ეძლეოდა მოწაფეებს, რომლებმაც მიიღეს ნიშანი არა ნაკლებ 3-ისა).

ბრწყინვალე წარმატების ატესტატით კურსდამთავრებული მაღალი და საშუალო წოდების პირნი სამსახურში შესვლისთანავე ღებულობდნენ მე-14 კლასის სახელმწიფო მოხელეთა ხარისხს. ხოლო მოწონებული ატესტატით კურსდამთავრებულნი, ასეთ ხარისხს ღებულობდნენ ერთი წლის „გულმოდგინე სამსახურის" შემდეგ.

სამაზრო სკოლების წარმატებულად კურსდამთავრებულ დაბალი წოდების პირებსაც ეძლეოდათ ერთი უპირატესობა, მაგრამ უპირატესობა—განსაკუთრებული: 1848 წლის დებულებით ისინი

თავისუფლდებოდნენ... ჯოხით დასჯისაგან (ანუ როზგისაგან), მაგრამ არა ყველანი, არამედ მხოლოდ სავაჭრო წოდების პირები (§ 105).

სწავლის ქირა თავიდანვე არ ყოფილა ამიერკავკასიაში; 1829 წლიდან შეწყდა წამახალისებელი „ჯამაგირის“ (სტიპენდიების) გაცემა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის მოწაფეთათვის. მაგრამ სწავლის ქირა მაშინვე არ ყოფილა შემოღებული. სწავლა ყველა სასწავლებელში, გარდა პანსიონებისა, უფასო იყო. მაგრამ 40-იან წლებში, როდესაც მოსწავლეთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა, ხოლო მთავრობა კი აღარ იყო დაინტერესებული მისი შემდგომი ზრდით, შემოდის სწავლის ქირა, როგორც სწავლის გავრცელების შემფერხებელი საშუალებათაგანი. 1845 წელს რუსეთის განათლების მინისტრის გრაფ უვაროვის მოხსენებაზე სწავლის ქირის გადიდების შესახებ იმპერატორმა ნიკოლოზ I დაწერა: „Сообразить, нет ли способов затруднить доступ в гимназию для разночинцев“ („მოიფიქრეთ, არის თუ არა საშუალებები გიმნაზიებში უაზნოთა შესვლის გასაძნელებლად“).* ერთ-ერთ ასეთ საშუალებად გამონახულ იქნა სწავლის ქირის გადიდება რუსეთის იმ გიმნაზიებში, რომლებშიც ის ადრე იყო შემოღებული, და ახლად შემოღება— ყველა დანარჩენებში.

1846 წლიდან სწავლის ქირა შემოდის საქართველოს გიმნაზიებშიც. ამ წელს იგი განისაზღვრებოდა 3 ვერცხლის მანეთით წლიურად. 1848 წ. დებულებამ დააკანონა ეს ოდენობა მხოლოდ გიმნაზიის თავისუფალ მსმენელთათვის. მაგრამ სიღარიბის მოწმობის წარდგენის შემთხვევაში ქირის გადახდისაგან ესენიც თავისუფლდებოდნენ. სამაზრო და სამრევლო სკოლებში რჩებოდა უფასო სწავლა. 1857 წლიდან სწავლის ქირა გიმნაზიებში გადიდებულ იქნა 5 მანეთამდე წელიწადში და ხდებოდა ყველა მოწაფეს. 1864 წელს ქირა აყვანილ იქნა 10 მანეთამდე წელიწადში, ხოლო 1867 წლიდან დაწესებულ იქნა 15 მანეთი 1—4 კლასებში და 20 მან. დანარჩენებში.

პანსიონებში ბავშვების შესანახი ქირა 1848 წლის დებულებით განისაზღვრებოდა: თბილისის გიმნაზიასთან არსებულ პანსიონში— 200 ვერცხლის მანეთით, ხოლო ქუთაისისა და სტავროპოლის გიმნაზიებთან არსებულ პანსიონებში—160 მანეთით წელიწადში.

---

* Собр. постановл. по минист. просвещ., I, ч. 2.

23. სასკოლო განათლება და მისი მმართველობა 50-იან წლებში

XIX ს. 40-იანი წლების მეორე ნახევრიდან საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების გამოცოცხლებამ გამოიწვია სასკოლო ქსელის შემდგომი ზრდა. გარდა „წმ. ნინოს სახელობის ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების“, სამხედრო მოსწავლეთა და სპეც. ტექნიკური სასწავლებლებისა, რომლებზეც უკვე ვწერდით, ამ პერიოდისათვის აღსანიშნავია სკოლების გახსნა საქართველოს განაპირა ადგილებში და ამიერკავკასიის მუსლიმანი მოსახლეობისათვის.

1846 წელს ვორონცოვისა და უწმ. სინოდის შეთანხმებით, აფხაზეთში (ბიჭვინთაში) აფხაზეთის არქიმანდრიტთან მოეწყო სასულიერო სასწავლებელი „აფხაზთა ბავშვების გასანათლებლად“.*

1847—48 წწ., მთიელ ქართველთა თხოვნით, ვ ო რ ო ნ ც ო ვ მ ა „გასცა განკარგულება თიანეთში დაეარსებინათ საერთო სკოლა თუშ-ფშავ-ხევსურთათვის“.** მაგრამ, რადგანაც სკოლის შენობა არ იყო, თვით ადგილობრივმა მოსახლეობამ ააშენა იგი 2—3 წლის განმავლობაში და სკოლამ ფაქტიურად არსებობა დაიწყო 1852 წლიდან, ორწლიანი კურსით. თიანეთის სკოლასთან დაარსდა პანსიონი გლეხთა ბავშვებისთვის. სკოლის გახსნის პირველ წელს მასში სწავლობდა 35 ბავშვი. ხაზინა თიანეთის სკოლაზე ხარჯავდა 1250 მანეთს წელიწადში.

ადგილობრივი მუსლიმანი მოსახლეობის განათლების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ქ. თბილისში 1847—48 წლებში დაარსდა ორი სკოლა: ერთი ა ლ ი ს მოძღვრების მიხედვით (1847 წ.) და მეორე ო მ ა რ ი ს მოძღვრების მიხედვით (1848 წ.). მაგრამ ეს ძალიან ცოტა იყო. აზერბაიჯანის ძირეულ მოსახლეობას სახელმწიფო სკოლა არ გააჩნდა. ამ გარემოების გამო 1850 წელს ვორონცოვმა გამოითხოვა იმპერატორის ნებართვა ამიერკავკასიაში კიდევ 8 მუსლიმანური სკოლის გახსნისა. აქედან სამი სკოლა დაარსდა სუნიტები სათვის (თბილისსა, შემახასა და დერბენტში) და 5 — შიიტებისათვის (თბილისსა, განჯასა, შუშასა, შემახასა და ბაქოში). ყველა ეს სკოლა იმავე 1850 წელს გაიხსნა. ესენი იყვნენ დაწყებითი ტიპის სკოლები და არსებობდნენ სახელმწიფო ხარჯზე. სწავლება მიმდინარეობდა მშობლიურ (აზერბაიჯანულ) ენაზე.

---

* Акты, X, 226 — 227.

** იქვე, 856.

ამიერკავკასიისიის მუსლიმანური სკოლები სარგებლობდნენ აზერბაიჯანში საკმაო ავტორიტეტით. მათი გახსნის წელს (1-50) ამ სკოლებში (თბილისის ორი სკოლის გამოკლებით) სწავლობდა 586 მოსწავლე, შემდეგში კი ეს სკოლები ვეღარ იტევდნენ ყველა მსურველს. მაგრამ ხანმოკლე იყო მათი არსებობა. მთავრობამ არ გაუწია ანგარიში ამიერკავკასიის მუსლიმანი ხალხის ინტერესებს და 1861 წელს კავკასიის მეფისნაცვალმა ბარიატინსკიმ საჭიროდ დაინახა „მეფისნაცვლის თანხები გაენთავისუფლებიათ ამ სკოლების ხარჯებისაგან“, ვინაიდან მუსლიმანები ვითომც ამ დროისათვის „არამც თუ გაურბოდნენ რუსულ სკოლებს, არამედ დიდი სიხარულით აძლევდნენ ბავშვებს ამ სკოლებში“.* ამის გამო მთავრობის ხარჯზე მყოფი ამიერკავკასიის მუსლიმანური სკოლები 1861 წელს ყველგან დაიხურა. მაგრამ ელემენტარულ მუსლიმანური სკოლები მეჩითებთან კვლავ არსებობდნენ და მრავალრიცხოვნადაც. თუ 1850 წელს კავკასიაში იყო დაახლოებით 700 მეჩითი სკოლებითურთ, 1861 წლისათვის მათი რიცხვი ბევრად არ შემცირებულა. რაც შეეხება დაღისტნის მუსლიმანურ სკოლებს—სოფლებში: აკუშა, ცუდახარ, ყუნზახ, ყუმუხ, ახტი და სხვ.—ისინი ძველებურადვე გამოირჩეოდნენ კარგად მოწყობილი სკოლებით, სადაც ბავშვები სწავლობდნენ არაბულ წერა-კითხვას ყურანისა და სხვა მუსლიმანური წიგნების საკითხავად.

—

არ შეიძლება გვერდი აუხვიოთ ქართველი სასულიერო წოდების როლს XIX ს. 40-იანი წლების სახალხო განათლების საქმეში.

30-იანი წლების დასასრულს უწმინდესი სინოდის 1836 წ. 29/X მითითებით და საქართველოს ეგზარხატის წინადადებით, საქართველოს ეკლესია-მონასტრებთან დაიწყეს ერთკლასიანი სამრევლო სკოლების გახსნა. საარქივო მასალების მიხედვით, 5 წლის განმავლობაში (1841 — 1845 წწ.) მარტო აღმოსავლეთ საქართველოში (ქართლ-კახეთში) გაიხსნა 55 სასოფლო სამრევლო სკოლა 56 მასწავლებლით და 558 მოწაფით.** დასავლეთ საქართველოში ამ პერიოდის სამრევლო სკოლების რიცხვის შესახებ ზუსტი ცნობები არა

---

* Акты, XII, 192.

** ც. არქ. საქ. ეგზარხატის კანც. საქმე, ფ. 139, № 11838, ფრც. 2—3 და შემდ.

გვაქვს, მავრამ რამდენადაც ასეთი სკოლების გახსნა, აღნიშნული მითითების მიხედვით, აქაც საეალდებულო იყო სოფლის საშტატო ეკლესიების მღვდლებისათვის, უნდა ვიფიქროთ, რომ მათი რიცხვი აქ ნაკლები არ იქნებოდა, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ სამრევლო სკოლები ჯუმათში, შემოქმედში, ხონში, გელათში, ონში, ჭყონდიდში, ხობში, მარტვილში, ცაგერში, ცაიშში, ბიჭვინთაში.

40-იანი წლების საეკლესიო-სამრევლო სკოლები ელემენტარული ტიპისა იყვნენ. სწავლა 2—3 წელს გრძელდებოდა; ასწავლიდნენ: საღვთო სჯულს, ქართულ წერა-კითხვას, სუფთაწერას, ხოლო ზოგიერთ სკოლაში რუსულ წერა-კითხვასაც.* სასოფლო სამრევლო სკოლებში ღებულობდნენ ყველა წოდების ბავშვებს. სწავლება საგნებისა ყველგან ქართულად წარმოებდა. სასწავლო და ადმინისტრატიულ დარგში აღნიშნული სკოლები საქართველოს ეგზარხოსს ემორჩილებოდნენ.

ხსენებული ტიპის სასოფლო სამრევლო სკოლების რიცხვი 70-იან წლებამდე უმნიშვნელო ზრდას განიცდიდა (მღვდლებს ამ სკოლებში მასწავლებლობისათვის დამატებითი ჯამაგირი არ ეძლოდათ და არ იყვნენ დაინტერესებული მათი არსებობით), 70-იანი წლებიდან, სოფლად სახელმწიფო სკოლების თანდათანობითი გამრავლების გამო, მათი რიცხვი მცირდებოდა, ხოლო 80-იანი წლებიდან ისინი შეიცვალენ ახალი ტიპის საეკლესიო-სამრევლო სკოლებით.

—

როგორც ნათქვამი იყო, კავკასიის სასწავლო ოლქის 1848 წლის დებულება დამატებით ითვალისწინებდა: კომერციულ გიმნაზიას თბილისში და სამრევლო (საერო) სკოლებს: ქვეშეთში მთიელ მცხოვრებთათვის; ონში (პანსიონით) რაჭა-ლეჩხუმის და სვანეთის მცხოვრებთათვის ყულევში (რედუტკალე) ადგილობრივი ბერძენი მოსახლეობისათვის.

50-იანი წწ. დასაწყისში ეს სასწავლებლები მართლაც დაარსდნენ. თბილისის კომერციული გიმნაზია განკუთვნილი იყო ახ.ლ-

* ც. არქ. საქ. ეგზარხატის კანც. საქმე, ფ. 139. № 10015, ფრც 2—7, 8—10, 13—15, 22—23.

გაზრდობის მოსამზადებლად საეკლესიო-სამრევლო მოღვაწეობისათვის და კომერციულ ცოდნათა გავრცელებისათვის.*

1850 წელს თბილისში გერმანელ-ხელოსანთათვის გაიხსნა სამრევლო სასწავლებელი.** იმავე წელს ვორონცოვს განზრახული ჰქონდა გაეხსნა თბილისში კადეტთა კორპუსი, მაგრამ ეს განზრახვა ჰეტერბურგის ოფიციალურ (სახელმწიფო) წრეებში მიჩნეულ იქნა ჯერ კიდევ ნაადრევად.

1851 წლისთვის საქართველოში განათლების სამინისტროს უწყების ხაზით არსებობდა:

3 გიმნაზია—787 მოსწავლით,

6 სამაზრო სასწავლებელი—433 მოსწავლით,

6 სამრევლო (საერო) სასწავლებელი—218 მოსწავლით,

5 დამოუკიდებელი პანსიონი—68 მოსწავლით (3 ვაჟთა, 2 ქალთა).

ამგვარად, სულ სახელმწიფო სასწავლებლების რიცხვი უდრიდა 20 ს—1506 მოსწავლით.*** ამას გარდა, იყო კიდევ 16 სასულიერო სასწავლებელი (მათ შორის 2 სასულიერო სემინარია) 860 მოსწავლით; ეკლესია-მონასტრებთან არსებულ და კერძო სკოლების რიცხვი, არასრული ცნობებით, უდრიდა 83-ს 2300 მოსწავლით; პოლკებთან არსებული სკოლების (სამხედრო მოსწავლეთა სკოლების) რიცხვი უდრიდა 16-ს 620 მოსწავლით. ქალთა სასწავლებელთა რიცხვი უდრიდა 3-ს (თბილისის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი, თბილისის და ქუთაისის წმ. ნინოს სასწავლებლები) 218 მოსწავლით; იყო აგრეთვე ერთი სამიჯნო სკოლა 50 მოსწავლით.

ამგვარად, 1850 წელს მთელ საქართველოში სულ იყო 139 დაწყებითი და საშუალო სასწავლებელი 5554 მოსწავლით.

იმავე დროისათვის (უფრო ზუსტად 1851 წლისათვის) კავკასიის სასწავლო ოლქის ყველა სასწავლებელში (5 გიმნაზია, 20 სამაზრო და საოლქო სასწავლებელი, 315 სამრევლო და სხვა დაწყებითი სკოლები) სწავლობდა სულ 8413 მოსწავლე, მათგან 8117 ვაჟი და 296 ქალი.**** ამას გარდა, კავკასიაში იყო აგრეთვე, მიახლოებით,

---

* ასეთი სასწავლებლის საჭიროება წინათაც იყო. ასე, ვორონცოვი 1845—46 წწ. თავის ანგარიშში წერდა: „სასარგებლო იქნებოდა თბილისში კომერციული სასწავლებლის გახსნა“ (Акты, X 842).

** Акты, X, 897.

*** „Кавказский календарь“ на 1851 г., 59.

**** Акты, X, 897.

30 სკოლა პოლკებთან 1040 მოსწავლით, 5 ქალთა სასწავლებელი 310 მოწაფით, ერთი სამოქალაქო სკოლა 50 მოწაფით და 3 სასულიერო სემინარია 420 მოწაფით. სულ კავკასიაში იყო 419 სკოლა 10.273 მოწაფით.

—

კავკასიის სასწავლო ოლქის 1848 წლის დებულებას ჰქონდა სამი წლის საცდელი ვადა. ის ძირითადად უპასუხებდა დროის მოთხოვნილებებს და ამიტომ 1853 წელს საბოლოოდ დამტკიცდა იგი უმნიშვნელო ცვლილებებით: 1) ხუთი დირექციის მაგივრად, სასწავლო ოლქი გაიყო 4 დირექციად: თბილისის, ქუთაისის, სტავროპოლისა და შავიზღვისპირის. შემახისა და დერბენტის გუბერნიების სასწავლებლები შეიდნენ თბილისის დირექციის შედგენილობაში, ხოლო ერევნის გუბერნიის სასწავლებლები—ქუთაისის დირექციის შედგენილობაში; 2) თბილისის გიმნაზიას—სათავადაზნაურო ნაცვლად ეწოდა საგუბერნიო. თბილისის კომერციული გიმნაზია შეუერთდა თბილისის საგუბერნიო გიმნაზიას და მის მაგივრად დაარსდა კომერციული სასწავლებელი; სამაზრო სასწავლებლებს ახალი დებულება დამატებით უსახავდა პედაგოგიურ მიზანს: „ყველა თავისუფალი მდგომარეობის პირთა მომზადება პირველდაწყებით სასწავლებელთა და კერძო სკოლების მასწავლებელთა თანამდებობის დასაჭერად“ (§ 79). ამას გარდა 1853 წლის დებულებით, ადგილობრივ ენათაგან სავალდებულო იყო: თბილისის გიმნაზიაში—ქართული და თათრული (აზერბაიჯანული) პირველი ორი კლასის ყველა მოსწავლისათვის, ხოლო მაღალ კლასებში ერთი მათგანი, მოწაფეების არჩევით... ქუთაისის გიმნაზიაში—ქართული ყველა მოწაფეთათვის და თურქული—სახაზინო ხარჯზე მყოფ მოწაფეთათვის. სომხური ენა კი „ყველა იმ გიმნაზიაში, სადაც კი იგი ისწავლება, სავალდებულოა მხოლოდ სომხებისათვის“ (§ 41).

კავკასიის სასწავლო ოლქის 1853 წლის დებულება სცვლიდა გიმნაზიების სტრუქტურასაც: ნაცვლად 8 კლასისა, რაც გათვალისწინებული იყო 1848 წლის დებულებით და ეწინააღმდეგებოდა იმ დროს რუსეთის იმპერიაში მოქმედ 1828 წლის წესდებას, 1853 წლის დებულებამ აღადგინა 7-კლასიანი გიმნაზია აღნიშნული წესდების შესაფერისად.

კავკასიის სასწავლო ოლქის 1853 წლის დებულების დამტკიცებასა და გამოყენებასთან დაკავშირებით, უფრო მკაფიოდ იქნა გამოაშკარავებული ხაქართველოსა და ამიერკავკასიაში სახალხო გა-

ნათლების ახალი ორგანიზაციის პოლიტიკური ამოცანა: მაქსიმალური დაახლოება რუსეთის საერთო სახალხო განათლების სისტემასთან. კავკასიის საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრების „დაახლოვება“ რუსეთის საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებასთან, რომელიც გაცილებით ადრე იყო დაწყებული, როგორც ვიცით, ძალიან დააჩქარა ვ ო რ ო ნ ც ო ვ მ ა, ხოლო განათლების სისტემის მხრივ ეს ტენდენცია გამოხატა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა ბარონ ნ ი კ ო ლ ა ი მ 1851 წელს, ახალი დებულების პროექტის შედგენისას. მისი აზრით, დებულებას უნდა ჰქონოდა მუდმივი საერთო კანონის ხასიათი, მიუხედავად ადგილობრივ თავისებურებათა და სასწავლებელთა ქსელში, ტიპებში და სტრუქტურაში შესაძლო ცვლილებებისა». 1853 წლის 29 ოქტომბერს, ახალი დებულების „უმაღლესად“ დამტკიცებისას, მმართველი სენატის მიმართ იმპერატორის ბრძანებაში („უკაზ“) კატეგორიულად იყო ნათქვამი: „კავკასიის ოლქის სასწავლებელთა წყობილება დ ა უ ა ხ ლ ო ვ დ ე ს ი მ წყობილებას, რომელიც შემოღებულია შიდა გუბერნიების სათანადო სასწავლებელთათვის და, ამგვარად, კ ა ვ კ ა ს ი ა შ ი დ ა კ ა ვ კ ა ს ი ი ს ი ქ ი თ თ ა ნ დ ა თ ა ნ ო ბ ი თ ი ქ ნ ე ს შ ე მ ო ღ ე ბ უ ლ ი ს ა ხ ა ლ ხ ო გ ა ნ ა თ ლ ე ბ ი ს ი გ ი ვ ე ს ი ს ტ ე მ ა, რ ო მ ე ლ ი ც ა რ ს ე ბ ობ ს ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ს ხ ვ ა ნ ა წ ი ლ ე ბ შ ი“. ამით კავკასიის სასწავლო ოლქს ეძლეოდა სრულიად გარკვეული პოლიტიკური დირექტივა: დამთავრებულიყო მისი დამოუკიდებლობა, თუნდაც ფორმალური, და წინანდელი ამოცანა—ადგილობრივი ცხოვრების პირობებთან შეწყობა-შეგუებისა—უნდა შ ე ც ვ ლ ი ლ ი ყ ო რ უ ს ე თ ი ს ი მ პ ე რ ი ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა ს თ ა ნ შ ე წ ყ ო ბ ი ს ა მ ო ც ა ნ ი თ. კავკასიაში რუსული სახალხო განათლების სისტემის თანდათანობითი შემოღება, რომელიც ფაქტიურად ადრევე იყო აგრეთვე დაწყებული, 1853 წლის ხსენებული ბრძანებით, კანონად იქცა. ძაგრამ, მიუხედავად ამისა, ადგილობრივი გარემოებანი და თავისებურებანი კანონზე უფრო ძლიერი აღმოჩნდნენ და ამ „შემოღებას“ ზუსტად 20 წელი დასჭირდა.

50-იანი წლების მეორე ნახევრის განმავლობაში საქართველოსა და მთელი კავკასიის დაწყებითი და საშუალო განათლების ქსელში არაფერი მნიშვნელოვანი ცვლილება მომხდარა. 1853 წლის დებულების დამტკიცების შემდეგ ადგილობრივი ხელისუფლება ზრუნავდა უფრო მეტად იმაზე, რომ რუსული განათლების სისტემა დაენერგა საქართველოში, ვიდრე გაეფართოებინა სასწავლებელთა ქსელი ან

გაეუმჯობესებინა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა სკოლებში. მეორე მხრით, აღსანიშნავია, რომ მ. ს. ვორონცოვის მიერ კავკასიის მეფისნაცვლის პოსტის დატოვებამ 1854 წელს, უარყოფითი გავლენა მოახდინა განათლების ქსელის გაფართოებაზე. მისი ერთ-ერთი უკანასკნელი ღონისძიება საქართველოს სკოლათა ქსელის გაფართოების დარგში იყო გადაწყვეტილება თბილისში საარქიტექტორო სასწავლებლის დაარსებისა 1853 წელს, მაგრამ დასტოვარა მან თავისი თანამდებობა, ეს სასწავლებელი აღარ გაუხსნიათ, ვითომდა ბინის უქონლობის გამო.

1855 წლისათვის საქართველოში იყო 36 ოფიციალური, კავკასიის სასწავლო ოლქის ქვემდებარე, სასწავლებელი (აქედან 2 გიმნაზია, 10 სამაზრო სასწავლებელი, ერთი ოთხკლასიანი სასწავლებელი, 7 სამრევლო (საერო) სკოლა, 12 კერძო სკოლა და 4 პანსიონი) —2032 მოწაფით.

დირექციების მიხედვით:*

დირექცია	გიმნაზიები		სამაზრო სასწავლებ.		დაწყებითი სკოლები		კერძო სკოლები		ს უ ლ	
	რიცხვი	მოწაფეთა რიცხვი	რიცხვი	მოწაფეთა რიცხვი	რიცხვი	მოწაფეთა რიცხვი	რიცხვი	მოწაფეთა რიცხვი	სკოლების რიცხვი	მოწაფეთა რიცხვი
თბილისის	1	337	10	953	5	264	12	367	28	1921
ქუთაისის	1	174	4	419	6	138	—	—	11	731
ს უ ლ	2	511	14	1372	11	402	12	367	39	2652

აღნიშნულს გარდა საქართველოში იმავე (1855) წლისათვის იყო: 3 ქალთა სასწავლებელი 268 მოწაფით, 17 სასულიერო სასწავლებელი (მათ შორის 2 სემინარია, 6 სამაზრო სასულიერო სასწავლე-

* Л. Н. Модзалевский, Очерк истории воспитания и обучения. ч. II, приложение, 513—514, 1899.

თბილისისა და ქუთაისის დირექციებში იყო ცოტა უფრო მეტი სკოლა და მოწაფეთა რაოდენობა, ვიდრე საქართველოში, ვინაიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ დირექციებში უფრო მეტი ტერიტორია და მოსახლეობა შედიოდა, ვიდრე იყო საქართველოს ტერიტორია და მოსახლეობა.

ბელი, 9 სამრევლო სკოლა) — 980 მოწაფით,* ეკლესიებთან და მონასტრებთან არსებული სკოლების რიცხვი (დაუზუსტებელი ცნობით) უდრიდა 72, მოწაფეთა რიცხვი კი – 2016, ორი მუსლიმანური სკოლა (ერთი შიიტების, ერთი სუნიტების) — 47 მოწაფით, 16 სამხედრო (პოლკებთან არსებული) მოსწავლეთა სკოლა — 630 მოწაფით და 1 სამიჯნო სკოლა—50 მოწაფით.

სულ, საქართველოში 1855 წლისათვის იყო 147 სასწავლებელი 6023 მოწაფით.

—

ვორონცოვის შემდგომი მეფისნაცვლები კავკასიაში, მ ურ ა ვ ი ო ვ ი და ბ ა რ ი ა ტ ი ნ ს კ ი, მხოლოდ სამხედრო-პოლიტიკური საქმეებით იყვნენ გატაცებული: პირველი — რუსეთ - ოსმალეთის (ყირიმის) ომით 1853-1856 წწ., მეორე კი კავკასიის მთიელი მოსახლეობის საბოლოოდ განადგურება - დამორჩილებით, იმ მოსახლეობისა, რომელიც ჯერ კიდევ 20-იანი წლებიდან იბრძოდა რუსეთის მეფის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ. ამიტომ ხსენებული მეფისნაცვლები ძალიან მცირე დროს ანდომებდნენ სახალხო განათლებას.

„ყირიმის ომმა გამოაშკარავა ბატონყმური რუსეთის ლპობა და უილაჯობა“ (ლენინი); მან გამოაშკარავა მაშინდელი რუსეთის არა შარტო ტექნიკურ-ეკონომიური ჩამორჩენილობა, არამედ კულტურულიც. თუმცა ნ. ვ. გ ო გ ო ლ ი ჯერ კიდევ 1845 წელს წერდა, რომ „რუსეთის შიგნით ათი წლის განმავლობაში იმდენი ამბავი ხდება, რამდენიც სხვა სახელმწიფოებში არ მოხდება ნახევარ საუკუნეშიც კი“,** მაგრამ ეს ტემპი მაინც არ იყო საკმარისი, რომ შეძლებულიყო მისი (რუსეთის) ჩქ:რა გამოყვანა ნახევრად-პატრიარქალური მდგომარეობიდან. განსაკუთრებით ჩამორჩენილი იყო იგი სახალხო განათლების დარგში. ასე, მაგალითად, 1855 წელს რუსეთში სწავლობდა: უმაღლეს სკოლებში—4.025 კაცი, ვიმნაზიებში —17.817 და დაწყებით სკოლებში—94.298, სულ მთელი იმპერიის ყველა სასწავლებელში—116.140 მოსწავლე.***

50-იანი წლების მეორე ნახევარში რუსეთის მოსწავლეების საერთო რიცხვი, ყირიმის კამპანიის შედეგებთან დაკავშირებით, არ

* Кавказский календарь на 1855 г., 540—1.
** Н. В. Гоголь, Собр. соч., VI, 328, 1937.
*** С. Князьков и Н. Сербов, 1, 222—223.

გაზრდილა. არ გაზრდილა მოსწავლეთა რიცხვი არც საქართველოში. ერთადერთ, ასე თუ ისე, მნიშვნელოვან მოვლენად ამ პერიოდის საქართველოს სახალხო განათლების დარგში უნდა ჩაითვალოს საბაღოსნო სკოლების დაარსება; მაგრამ ესეც მხოლოდ ფორმალურ აქტს წარმოადგენდა.

—

თბილისში 1833 წლიდან და ქუთაისში 1852 წლიდან არსებული მებაღეობის საცდელი ფერმები დაარსებიდანვე ისახავდნენ მიზნად „თეორიული და პრაქტიკული ცოდნით აღჭურვილი" მებაღეების მომზადებას და ამ მიზნით ამ ფერმებთან თავიდანვე არსებობდა საბაღოსნო სასწავლებლები. მაგრამ 50-იანი წლებიდან, სოფლის მეურნეობის, კერძოდ, მებაღეობის განვითარებამ და „კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების" მოღვაწეობის გაფართოებამ გააძლიერა კულტურულ მებაღე-სპეციალისტების საჭიროება. ამის გამო თბილისისა და ქუთაისის ფერმებს მისცეს მხოლოდ სასწავლო დანიშნულება და 1855 წელს უწოდეს მათ „საბაღოსნო სასწავლებლები".* 1857 წელს ეს დაადასტურა უმაღლესმა მთავრობამ, ხოლო ერთი წლის შემდეგ კავკასიის მეფისნაცვალმა ბარიატინსკიმ დაამტკიცა „თბილისის სახაზინო საბაღოსნო სასწავლებლის" წესდება, რომელიც შეუფარდეს ქუთაისის სასწავლებელსაც. ამ წესდების მიხედვით, ხსენებულ სასწავლებლებს „მიზნად ჰქონდათ მხარეში გაუმჯობესებული მებაღეობისა და მებოსტნეობის გავრცელება სასწავლებელთან სანიმუშო ბაღის გაკეთებით და გამოცდილი მებაღეების მომზადებით, უპირატესად ადგილობრიეთაგან".**

საქართველოს საბაღოსნო სასწავლებლებში ღებულობდნენ ახალგაზრდა ვაჟებს 14-დან 17 წლის ასაკამდე. სასწავლებელთა სტრუქტურაში გათვალისწინებული იყო 2 ორ-ორწლიანი კურსი და, მაშასადამე, სწავლა გრძელდება 4 წელიწადს. სწავლის პროცესში უპირატესობა ეძლეოდა პრაქტიკულ მეცადინეობას. სასწავლო გეგმაში თავდაპირველად შედიოდა: ზოგადი განათლების საგნებიდან: რუსული ენა და არითმეტიკა, ხოლო სპეციალური საგნებიდან: მებაღეობა, მეღვინეობა და მებოსტნეობა. პრაქტიკული მეცადინეობა იწყებოდა პირველი კურსიდანვე.

---

* Акты, XI, 775, ქუთაისის საბაღოსნო სასწავლებლის მოწყობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა აკადემიკოს ნიკო მარის მამა, იაკობ მარი.

** Акты, XII, 123—124.

√ თბილისისა და ქუთაისის საბაღოსნო სასწავლებელთა პარალელურად თბილისის ბოტანიკურ ბაღთან აგრძელებდა არსებობას სპეციალური სასწავლებელი, რომელიც ამზადებდა მებაღეებს საქალაქო პარკებისათვის.

საბაღოსნო სასწავლებელთა კონტინგენტი პირველად ძალიან მცირე იყო (მაგალითად, თბილისის სასწავლებლის კონტინგენტი 1855—57 წლებში განსაზღვრული იყო 15 კაცით, აქედან 10—სახაზინო და 5—საკუთარ ხარჯზე). საბაღოსნო სასწავლებლის კურსის დამთავრების შემდეგ, სახელმწიფო ხარჯზე მოსწავლენი ვალდებული იყვნენ 10 წლის განმავლობაში დარჩენილიყვნენ კავკასიის ხელისუფლების განკარგულებაში ადგილობრივ სამსახურში მათი გამოყენების მიზნით.

სამივე ზემოხსენებულ საბაღოსნო სასწავლებლებზე მთავრობა ხარჯავდა 7.761 მანეთს წელიწადში. აქედან თბილისის სასწავლებელზე—3.261 მანეთს და თბილისის ბოტანიკურ ბაღთან არსებულ სასწავლებელზე—2000 მანეთს.*

მთავრობის სკოლათა ქსელს 50-იანი წლების მეორე ნახევარში მიემატა ორი დაწყებითი (სამაზრო სკოლის) ტიპის სასწავლებელი: ფოთში და სოხუმში და ერთი ელემენტარული სკოლა სოფ. სვირში 1856 წელს. ეს უკანასკნელი გახსნა კერძო სკოლის სახით ყოფ. მღვდელმა სიმონ მიქაძემ (მიქიევმა), მაგრამ შემდეგ წელში სვირის სკოლა კავკასიის სასწავლო ოლქის უწყებაში გადავიდა.**

ცალკე უნდა აღინიშნოს ქუთაისის პირველდაწყებითი სასწავლებელი. ის გაიხსნა 1858 წლის 15 ოქტომბერს, შედგებოდა 3 განყოფილებისაგან და ინახებოდა ხაზინის ანუ სასწავლო ოლქის ხარჯზე. ღებულობდნენ ყველა წოდების ბავშვებს. 1859 წლის 1 იანვარს 40 მოწაფიდან ნახევარზე მეტს შეადგენდა გლეხებისა და ქალაქის წვრილ მოხელეთა შვილები. 1867 წელს ქუთაისის პირველდაწყებითი სასწავლებელი გადაკეთდა ორ-კლასიან სკოლად. სწავლება წარმოებდა, დაახლოებით, სამაზრო სასწავლებელთა სასწავლო გეგმის მიხედვით, და ზოგადგანათლებითი დისციპლინების სწავლების პარალელურად ამ სკოლაში ასწავლიდნენ აგრეთვე სადურგლო და სახარატო ხელობას, გიმნასტიკას, მუსიკას და გალობას.*** ქუთაისის დაწყებითი სკოლის ადმინისტრატიულ-

---

* Акты, XI, 778.
** იქვე, XI, 746-7.
*** საქ. ცენ. არქ., ფ. 107, საქმე 13223, ფრც. 178—180.

პედაგოგიური პერსონალიდან გამოირჩეოდა მასწავლებელი ა. მ რ ე ვ ლ ი შ ვ ი ლ ი, რომელსაც 1858 წლიდან 20 წელზე მეტხანს ეპირა სკოლის ზედამხედველის თანამდებობა და გატაცებით უწყობდა ხელს სწავლების ახალი მეთოდების შემოღებას, თვალსაჩინოების პრინციპის გამოყენებას, აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებას და აგრეთვე სკოლისგარეშე კითხვის ორგანიზაციისა და მოსწავლეთა ფიზიკური შრომის რაციონალიზაციის საქმეს.* ქუთაისის დაწყებითი სკოლის მოწაფეთა რიცხვი ძალიან სწრაფად იზრდებოდა. ასე, თუ 1859 წლის იანვრისათვის აქ 40 ბავშვი სწავლობდა, ერთი წლის შემდეგ ეს რიცხვი 102-მდე ავიდა, ხოლო 1861 წელს მან 194 მიაღწია.**

(1872 წლის დებულების საფუძველზე ქუთაისის დაწყ. სასწავლებელი გადაიქცა 3-კლასიან სასწავლებლად ორი მოსამზადებელი განყოფილებით, ხოლო 1882 წელს ის გადაკეთდა სამოქალაქო სასწავლებლად).

—

ინტერესს არ არის მოკლებული ერთი უშედეგო პროექტირება ქალთა განათლების დარგში, რომელსაც ადგილი ჰქონდა XIX ს. 50-იანი წლების მეორე ნახევარში.

რუსეთის განათლების სამინისტრო ბოლოს მიხვდა, რომ „დღევანდლამდე მიღებული ღონისძიებანი დედრობითი სქესის ბავშვთა გასანათლებლად საკმაოდ ვერ აკმაყოფილებდნენ ჩვენი დროის მოთხოვნილებებს“ და, ხელმწიფის 1856 წლის 5 მარტის ბრძანებით, ის „შეუდგა მზადებას პირველ ხანად საგუბერნიო ქალაქებში ქალთა სკოლების მოსაწყობად გიმნაზიებთან მიახლოებული სწავლების კურსის მიხედვით“. ამასთან დაკავშირებით განათლების მინისტრი ა. ნ ო რ ო ვ ი იმავე წლის 28 მარტის სპეციალური ცირკულიარით სთხოვდა იმპერიის სასწავლო ოლქების მზრუნველებს შეეტყობინებიათ მათი ოლქის რომელ ქალაქებშია „უფრო დაკინებით“ საპირო ქალთა სკოლების დაარსება, რა თანხა სპირდება ამას, რა საგნები უნდა ასწავლონ ამ სკოლებში და როგორი უნდა იყოს მათი მმართველობა.

---

* 60-იანი წლების დასაწყისში ქუთაისის დაწყ. სასწავლებელში ანუ „მრევლოვის სკოლაში“—როგორც მაშინ უწოდებდნენ—სწავლობდა ქართველი მწერალი დავ. კ ლ დ ი ა შ ვ ი ლ ი.

** საქ. ცენტ. არქ., ფ. 107, საქმე 13223, ფრც. 178—180.

კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი ა. ნ ი კ ო ლ ა ი აღნიშნული ცირკულიარის მიღებისთანავე შეეკითხა ამ საგანზე ამიერკავკასიის გუბერნატორებს და თბილისისა და ქუთაისის სახალხო სკოლების დირექტორებს,* რომელთაგანაც მიიღო ადგილობრივ ქალთა განათლებისადმი მათი დამოკიდებულების მეტად დამახასიათებელი ცნობები.

ქუთაისის გუბერნატორი კ ო ლ უ ბ ა კ ი ნ ი თავის პასუხში (1856 წ. 10 მარტს) არ სცნობდა აუცილებლად ქალთა ახალი სკოლების დაარსებას ქ. ქუთაისში და აგრეთვე ქ. ახალციხეში, რომელიც მაშინ ქუთაისის გუბერნიაში შედიოდა. მისი აზრით, აღნიშნული ქალაქების შეძლებული კლასების ქალიშვილებს შეეძლოთ ესწავლათ ქ. ქუთაისის წმ. ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელში, ხოლო ხელშოკლეთა ქალიშვილებისათვის შესაძლოდ მიაჩნდა განსაკუთრებული განყოფილების გახსნა იმავე სასწავლებელთან. „საშუალო ან მხოლოდ საბეგრო და სავაჭრო წოდების“ ქალთა სასწავლებლების შესახებ კოლუბაკინი წერდა: „ასეთი სასწავლებლები დაუშვებელი იქნებიან გარკვეულ დრომდე, ვინაიდან ქალიშვილებს აძლევენ ისეთ განვითარებასა და მიმართულებას, როგორიც ეწინააღმდეგება საშუალო კლასის საოჯახო ცხოვრების პირობებსა და რელიგიურ წარმოდგენებს“.** ასეთივე აზრის იყო ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორი პ ე ს ო ჩ ი ნ ს კ ი ც.

ერევნის გუბერნატორი, ერევნის გუბერნიისა და ნახიჩევნის მხარის (ერევანი, ნახიჩევანი, ორდუბათი, ალექსანდროპოლი) სამაზრო სკოლების ზედამხედველთა ცნობების საფუძველზე, სწერდა: „მე მივედი იმ დასკვნამდე, რომ ერევნის გუბერნიის არა მარტო მუსლიმანები, არამედ სომხებიც არ გაგზავნიან თავიანთ ქალიშვილებს სკოლებში, რომ ამხანად საკმარისია არსებული წმ. რიფსიმეს ქალთა სასწავლებელი“.***

დერბენტის გუბერნატორი კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს უპასუხებდა: „საზოგადო განათლება ჯერ კიდევ არ ესმით აქაურ მუსლიმანებს, რომლებიც შეადგენენ აქაური ქალაქების (დერბენტი, ყუბა) მთავარ მოსახლეობას“.

შემახის გუბერნატორი ატყობინებდა, რომ მისი გუბერნიის ქალაქები (შემახა, შუშა, ნუხა, ბაქო, ლენქორანი, სალიანი) „ძლივს

---

* საქ. ცენტ. არქ., ფ. 107, საქმე 426, ფრც. 2—8.
** იქვე, ფრც 8—9, 13—14, 85.
*** იქვე.

ფარავენ ადგილობრივი პოლიციების შესანახ და სხვა აუცილებელ მოთხოვნილებათა ხარჯებს და სასწავლებელთა შესანახად არაფრის გამოყოფა შეუძლიანთ, მაღალ წოდებათაგან დახმარების მიღება კი უფრო ნაკლებად არის მოსალოდნელი".* ხოლო დირექტორი თბილისის დირექციისა, რომელიც თბილისის გუბერნიის სკოლებს გარდა აერთიანებდა აგრეთვე შემახისა და დერბენტის გუბერნიების სკოლებსაც, სამაზრო სკოლების ზედამხედველთა ცნობების საფუძველზე, ადასტურებდა რა დერბენტისა და შემახის გუბერნატორების ცნობას, სწერდა, რომ: ნუხასა, შუშასა, ბაქოსა და დერბენტში „ამჟამად ქალთა სასწავლებლების დაარსება —უნაყოფოა. მოსახლეობა ამ ქალაქებში უმთავრესად მუსლიმანურია. ხოლო საპატიო და გავლენიანი მუსლიმანები, რომლებსაც ვუსვამდით საკითხს მათ ქალიშვილთათვის სასწავლებლის დაარსების შესახებ, ყველგან გვეხმაურებოდნენ, რომ ქალიშვილების მიბარება საზოგადო დაწესებულებებში სრულიად ეწინააღმდეგება მათ ძირეულ ჩვეულებებს. ასევე გვიპასუხებდნენ სომხებიც, რომლებმაც თავის ცხოვრებაში, განსაკუთრებით კი ქალების ჩაკეტვაში, სავსებით შეითვისეს მუსლიმანთა ჩვეულებები".

ამიერკავკასიის გუბერნატორებისა და დირექციების დირექტორთა ლორსახსოვარ მსჯელობაში ამიერკავკასიის ქალთა განათლების შესახებ, გამოირჩეოდა თბილისის ქალაქის თავისა და თბილისის გუბერნიის სამაზრო სასწავლებელთა ზედამხედველების საწინააღმდეგო აზრი აღნიშნულ საკითხზე.

თბილისის ქალაქის თავი აღნიშნავდა თბილისში ქალთა განათლების კიდევ უფრო გაფართოების აუცილებლობას. მისი სამართლიანი აზრით, კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი და წმ. ნინოს სასწავლებელი მოსწავლეთა მცირე რაოდენობით იყვნენ შემოფარგლული და სრულებით ვერ აკმაყოფილებდნენ მრავალრიცხოვანი ქალაქის მოთხოვნილებებს ქალთა განათლების საქმეში. ქალაქის თავი მოითხოვდა დახურული ტიპის ქალთა ერთი სასწავლებლის დაარსებას პანსიონით ანდა წმ. ნინოს სასწავლებლის გაფართოებას ვაჭართა და საშუალო წოდების ქალთათვის (მაღალი წოდების ქალთათვის, როგორც ვიცით, 1841 წლიდან არსებობდა კეთილშობილ ქალთა სასწავლებელი), ხოლო ქალაქის მოხელეთა და, საერთოდ,

* საქ ცენტ. ი. არქ., ფ. 107, საქმე 426, ფრც. 8—9, 13—14, 85.

ხელმოკლე წოდების ქალთათვის ის მოითხოვდა დაწყებითი ტიპის ქალთა სამი ღია სკოლის დაარსებას (ავლაბარში, კუკიაში და ვანქის საყდართან). კონტინგენტს თითოეული სკოლისათვის ის საზღვრავდა 50 მოწაფით. ეს სკოლები უნდა ყოფილიყო ელემენტარული სწავლების 2—3-წლიანი კურსით, და წერა-კითხვის (მშობლიურ და რუსულ ენებზე), ანგარიშისა და საღვთო სჯულის გარდა, იქ უნდა ესწავლებინათ ხელსაქმე (ჭრა-კერვა) და საოჯახო მეურნეობა. ახალი სკოლები უნდა ყოფილიყვნენ სახაზინო ხარჯზე; ხოლო დახურულ, პანსიონიან სასწავლებელში წესდებოდა სწავლისა და პანსიონში შესანახი ქირა 40 მანეთის რაოდენობით წელიწადში.

სიხარულით შეხვდნენ ქალთა სასწავლებელთა დაარსების განზრახვას თბილისის გუბერნიის ქალაქ სიღნაღისა და ქ. გორის მცხოვრებნი, როგორც ეს ჩანს სიღნაღისა და გორის სამაზრო სასწავლებელთა ზედამხედველობის ცნობით. პირველი წერდა, რომ სიღნაღი „დიდი აღტაცებით“ შეხვდა აღნიშნულ განზრახვას და „დაგვპირდა ყოველნაირ დახმარებას მის განსახორციელებლად“, ხოლო მეორე, თავის რაპორტში ამბობდა, რომ ქ. გორის მცხოვრებნი „ცხოველი მადლობით შეხვდნენ ამ განზრახვას და განაცხადეს, რომ ამ კეთილი ამოცანის შესრულებისათვის ისინი ყოველთვის გაიღებენ ნებაყოფლობით შესაწირავებს... მათ უნდათ ჰქონდესთ იმ სახის სკოლა, როგორიცაა თბილისის წმ. ნინოს სასწავლებელი“.*

თელავის მაზრის სკოლების ზედამხედველი თუმცა იტყობინებოდა, რომ „თავიანთ ქალიშვილთათვის განათლების მიცემის მსურველნი ძალიან ცოტანი არიან“, მაგრამ მაინც საჭიროდ სცნობდა გაეხსნათ თელავში ერთი პირველდაწყებითი (ერთკლასიანი) სასწავლებელი.

ზემოაღნიშნულ ცნობათაგან ძნელი არ არის დავასკვნათ, რამდენად გადაუდებელ საჭიროებას წარმოადგენდა ამიერკავკასიაში ქალთა განათლების ქსელის გაშლა და, პირველ ყოვლისა, ჭარბი მუსლიმანი მოსახლეობის იმ ქალაქებში, რომლებიც უარს აცხადებდნენ ასეთ განათლებაზე ჩამორჩენილობისა და მატერიალური სივიწროვის გამო. მაგრამ კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის საბჭომ სხვანაირად გაიგო და მზრუნველი სიამოვნებით დ ა ე თ ა ნ ხ მ ა გუბერნატორებისა და სასწავლებელთა დირექციების დირექტორების „დასაბუთე-

* საქ. ც. ი. არქ., ფ. 107, საქმე 426, ფრც. 114—122.

ბულ“ აზრს აღნიშნულ ქალაქებში ქალთა სასწავლებლების გახსნის მიზანშეუწონლობის შესახებ. თბილისის მიმართ კი მზრუნველი აღნიშნავდა, რომ აქ უკვე არსებობს შესაფერისი დახურული სასწავლებელი (კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი, წმ. ნინოს სასწავლებელი, პანსიონები) მაღალი და საშუალო წოდების ქალთათვის და ამის გამო „აღარ მიიჩნია საჭიროდ საზოგადო აღზრდის ახალი სახის შექმნა“, ხოლო, ქალაქის ღარიბ ქალთა ახალგაზრდობისათვის მზრუნველმა ვერაფერი ნახა იმაზე უკეთესი, რომ „მიენდო ყოველი ეკლესიის მღვდლისათვის გაეხსნა პატარა სკოლა თავის მრევლის ბავშვებისათვის“.* ქალაქ გორში მზრუნველმა საკმარისად მიიჩნია „პირველდაწყებითი (ქალთა) სკოლის დაარსება ქალაქის შემოსავლის ანგარიშზე“. მაგრამ სხვა ქალაქებში კი ასეთი ელემენტარული ქალთა სკოლების დაარსებაც კი „ნაადრევად“ მიიჩნია მისმა მალალკეთილშობილებამ.

რუსეთის განათლების სამინისტრო არაფრად შეწუხებულა კავკასიის ხელისუფალთა უდიერი დამოკიდებულებით ადგილობრივი მოსახლეობის ქალთა განათლებისადმი. მან ყველაფერი მოუწონა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს, გარდა ერთისა: არ მიიჩნია საჭიროდ დაარსებულიყო თუნდაც პირველდაწყებითი ქალთა სკოლა ქ. გორში და ასეთივე ელემენტარული სკოლები თბილისის ეკლესიებთან.

ასე უშედეგოდ ჩაიარა ამიერკავკასიაში ქალთა სასწავლებლების მეტისმეტად გახმიანებულმა პროექტირებამ 1856 წელს.

(საჭიროა გავიხსენოთ აგრეთვე უშედეგო პროექტირება თბილისის უმაღლესი სასწავლებლისა 1857 წელს, მაგრამ ამის შესახებ იხილეთ აქვე ცალკე თავი: „ბრძოლა უმაღლესი განათლებისათვის საქართველოში XIX ს. პირველ ნახევარში).

—

XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს სასკოლო ქსელის მიმოხილვის დასასრულს, სკოლებისა და მოსწავლეთა რაოდენობის მთლიანი სურათისათვის, ზედმეტი არ იქნება წარმოვადგინოთ სათანადო ცხრილი, შედგენილი სხვადასხვა საბუთისა და წყაროს მიხედვით.

---

* საქ. ც. ი. არქ., ფ. 107, საქმე 426, ფრც. 150.

1860 წლისათვის საქართველოს სახალხო განათლება ციფრებში გამოიხატებოდა შემდეგნაირად:

№ №	სასწავლებელთა დასახელება	თბილისის გუბ.*		ქუთაისის გუბ.		მთელ საქართველოში	
		სასწ-თა რიცხვი	მოწ-თა რიცხვი	სასწ-თა რიცხვი	მოწ-თა რიცხვი	სასწ-თა რიცხვი	მოწ-თა რიცხვი
1.	გიმნაზია (ვაჟთა) .	1	420	1	380	2	800
2.	სამაზრო სასწავლებელი .	6	624	3	412	9	1036
3.	სასულიერო სასწავლებელი . .	7	352	8	420	15	772
4.	კომერციული სასწავლებელი .	1	86	—	—	1	86
5.	სასულიერო სემინარია . .	2	133 (მართლმ.) 175 (სომხ.)	—	—	2	308
6.	კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი .	1	100	—	—	1	100
7.	წმ. ნინოს სასწავლებელი .	1	120	1	70	2	190
8.	სამივჯნო სასწავლებელი .	1	50	—	—	1	50
9.	საბაღოსნო სასწავლებელი .	2	45	1	25	3	70
10.	დაწყებითი სასწავლებელი .	5	486	7	918	12	1404
11.	სკოლები პოლკებთან .	8	360	6	295	14	655
12.	სკოლები ეკლესია-მონასტრებთან .	43	1060	25	790	68	1850
13.	მუსლიმანური სკოლა .	2	78	—	—	2	78
14.	კერძო სკოლა .	9	288	4	163	13	451
	სულ . .	89	4399	56	3451	145	7850

საქართველოს მოსწავლეთა რიცხვი ეფარდებოდა მოსახლეობის რიცხვს შემდეგნაირად:

* არაქართული მაზრების გამოკლებით.

გუბერნიები	მოსახ-ლეობის რიცხვი*	მოწა-ფეთა რიცხვი	ერთ ათას-ზე სწავ-ლობდა	შეფარ-დება
თბილისის .	502.339	4399	8,8	1:114
ქუთაისის	431 418	3451	8	1:125
მთელ საქართველოში . .	933.757	7850	8,4	1:119

მოყვანილი ციფრები, პირველ ყოვლისა, ლაპარაკობენ, რომ სახელმწიფო სასწავლებელთა რიცხვი ძალიან ცოტაა. ამ სკოლებში სწავლობს დაახლოებით 50% მთელ მოსწავლეთა და უმთავრესად მაღალი წოდების მოსახლეობიდან. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ სახელმწიფო და კავკასიის ოლქისადმი დაქვემდებარებული სკოლები უპირატესად არსდებოდა ქალაქებში და ქალაქის ტიპის დასახელებულ პუნქტებში — ნათელი გახდება, რომ სოფლის მოსახლეობის უდიდესი მასები მთავრობის სკოლების უქონლობის გამო (რასაც თვითონ მეფისნაცვალიც კი არ ფარავდა), იძულებული იყვნენ მიემართათ კერძო და ეკლესია-მონასტერთან და მეჩითებთან არსებული სკოლებისათვის. ამით აიხსნება ასეთ სკოლათა შედარებით დიდი რიცხვი საქართველოში, სომხეთში და აზერბაიჯანში, ხოლო ჩრდილოეთ კავკასიაში (სტავროპოლის გუბერნია და ყუბანი) ამ სკოლების მაგიერობას რამდენადმე ასრულებდა სამხედრო მოსწავლეთა და პოლკებთან არსებული სკოლები. 50-იანი წლებიდან სახელმწიფო და კერძო სკოლების რიცხვის შემდგომ ზრდასთან დაკავშირებით ეკლესია-მონასტრებთან არსებული სკოლების რიცხვი თანდათან კლებულობს, თუმცა სწავლების მშობლიური ენა კვლავ რჩებოდა ამ სკოლებში მოსწავლეთა მიზიდვის მნიშვნელოვან ფაქტორად.

ციფრები გვიჩვენებენ აგრეთვე საქართველოში განათლების გავრცელების მასშტაბს. მოსწავლეთა რიცხვის შეფარდება მოსახლეობის რიცხვთან (მე-19 საუკუნის 50-იანი წწ. დასასრულისათვის) გვიჩვენებს, რომ თუ წინათ საქართველოში პირველი ადგილი ეჭირა თბილისის გუბერნიას, 60-იანი წლებიდან ქუთაისის გუბერნიის ჩა-

* 1859 წლისათვის (Акты, XII, 1321).

შორჩენას თბილისის გუბერნიიდან ადგილი აღარა აქვს, ხოლო 60-იან წლების შემდეგ, როგორც ვნახავთ, მდგომარეობა კიდევ იცვლება.

მოყვანილი ნომენკლატურა საქართველოს სკოლის ტიპებისა ნათლად გვაჩვენებს, რომ მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში (და მთელ კავკასიაში) სრულებით არ არსებობს სპეციალური პედაგოგიური სასწავლებლები მასწავლებელთა მოსამზადებლად.

ამავე ნომენკლატურიდან ჩანს, რომ საქართველოში მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ძალიან სუსტადაა განვითარებული სპეც. ტექნიკური განათლება. 1860 წლისათვის სახელმწიფო და კავკასიის სასწავლო ოლქის ქვემდებარე სასწავლებელთა მთელი რიცხვიდან აქ იყო მხოლოდ 4 სპეციალური სკოლა (1 სამიჯნო და 3 საბალოსნო) 120 მოწაფით.

ამგვარად, საქართველოს სასკოლო ქსელი მე-19 საუკუნის 60-იან წლებამდის სრულებით არ უპასუხებდა სპეციალური პედაგოგიური განათლების მქონე მასწავლებელთა კადრების მომზადების ინტერესებს და მხოლოდ უმნიშვნელოდ ითვალისწინებდა ქალაქის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობისათვის კვალიფიციური სპეციალისტების მომზადების ამოცანებს.

III. მასწავლებლობა და პედაგოგიური შრომა

XIX საუკუნის პირველ ნახევარში ძალზე მცირე იყო, როგორც ვხედავთ, საქართველოს სკოლების რიცხვი, მაგრამ არც ისინი იყვნენ უზრუნველყოფილი პედაგოგიური პერსონალით. ჩვენ არ ვლაპარაკობთ პროფესიული განათლების პედაგოგებზე (XIX საუკუნის სამოციან წლებამდის საქართველოში, როგორც აღვნიშნეთ, არ ყოფილა არცერთი სპეციალური პედაგოგიური სასწავლებელი და, რასაკვირველია, პროფესიული განათლების პედაგოგების მომზადება არც შეიძლებოდა), მხედველობაში გვაქვს სათანადო ზოგადი განათლების პედაგოგები ელემენტარული მეთოდიკური მომზადებით. ასეთებიც კი იშვიათად მოიპოვებოდნენ. საქართველოს სახელმწიფო, სასულიერო და კერძო სკოლებში ბევრ შემთხვევაში ასწავლიდა სრულიად შეუფერებელი ხალხი: კანცელარიის მოხელენი, დიაკვნები, დემობილიზებული სალდათები და ურიადნიკები, წერაკითხვის ოდნავ მცოდნე დედაკაცები, კუტი, დავრდომილი და სხვა დასახიჩრებული ადამიანები, რომლებიც აღარავითარი მუშაობისათვის არ ვარგოდნენ, გარდა „პედაგოგიური" მოღვაწეობისა.

1. ძველი ოსტატები

ბედნიერ გამონაკლისს წარმოადგენდნენ XVIII ს. მიწურულში თბილისის, თელავის და რუსეთის სასულიერო სემინარიებში ნასწავლი ან შესაფერისი კერძო განათლების გზით მომზადებული მასწავლებლები, რომლებიც XIX საუკუნის პირველ მეოთხედში კელავ წარმატებით აგრძელებდნენ პედაგოგიურ მუშაობას თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში, შემდეგ გიმნაზიაში ან სხვა სკოლებში.

ამ მასწავლებელთა ჯგუფიდან შეიძლება გავიხსენოთ:

ი ო ა ნ ე მ ღ ვ დ ე ლ ი — კალოუბნის ეკლესიასთან არსებული სკოლის მასწავლებელი (XVIII ს. მიწურულიდან), რომელთანაც სწავ-

ლობდა, სხვათა შორის, ცნობილი მემუარისტი და პედაგოგი იოანე ქართველიშვილი. უკანასკნელის გადმოცემით, იოანე მღვდელი იყო მეტად განათლებული პირი, წარჩინებული მასწავლებელი და გულისხმიერი აღმზრდელი.

ი ო ა ნ ე წ ი ლ კ ნ ე ლ ი—არქიეპისკოპოსი, წილკანის ეკლესიასთან არსებული საშუალო ტიპის სკოლის მასწავლებელი. 1800 წლის 1 მარტისთვის მას ჰყავდა 4 მოწაფე, „რომლებსაც ასწავლიდა მეცნიერებათა“, მათ შორის ლოგიკას.*

ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს თ ა ვ ი—ახტალის ეპისკოპოსი (შემდეგ საქართველოს ეგზარხოსი), ახტალის ეკლესიასთან არსებული საშუალო ტიპის სკოლის მასწავლებელი. მან ასწავლა იოანე ქართველიშვილს „რიტორიკა, კატიღორია, ლოღიკა, მეტაფიზიკა“.

ი ო ა ნ ე ო ს ე ს შ ვ ი ლ ი (მიქაძე)—ფიზიკისა და საღვთო წიგნების მასწავლებელი.

ი ო ა ნ ე ქ ა რ თ ვ ე ლ ი შ ვ ი ლ ი—იულონ ბატონიშვილის ძეთა მასწავლებელი, შემდეგ, 1804 წლიდან, თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის ქართული ენის მასწავლებელი. 1806 წ. ამ სასწავლებელში „გულმოდგინე, დაუცხრომელი მუშაობისათვის „რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I, იოანე ქართველიშვილი დააჯილდოვა ოქროს ჯვრით. იოანეს ძვირფასი პედაგოგიური იდეები გაბნეულია მის „მემუარებში“, რომელიც ჯერ კიდევ არაა გამოცემული.

ნ ე ო ფ ი ტ ე მ ღ ვ დ ე ლ - მ ო ნ ა ზ ო ნ ი—თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის ქართული ენის მასწავლებელი 1804 წლიდან. ანტონ კათოლიკოსმა, საქართველოს მთავარმართებლის პ. ციციანოვის თხოვნით, ნეოფიტე გაათავისუფლა იოანე ქართველიშვილთან ერთად, ყოველგვარი საეკლესიო სამსახურისაგან (მასწავლებლად დანიშვნის გამო).

ა ლ ე ქ ს ი პ ე ტ რ ი ა შ ვ ი ლ ი—თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის დირექტორი 1804 წლიდან 1810 წლამდის. ალექსი პეტრიაშვილი იყო წარჩინებული პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. მან 1796 წელს დაასრულა ასტრახანის სასულიერო სემინარია და შემდეგ, 2 წლის განმავლობაში, მსახურობდა მღვდლად კიზლიარში (ჩრდ. კავკასია). 1798 წლიდან მუშაობდა იქვე, რუსი ჯარის პოლკში, იმავ თანამდებობაზე. 1803 წ. სინოდმა გაათავისუფლა იგი ბერად შესადგომად, მაგრამ იმავე წელს საქართველოს მთავარმართებელმა გენე-

* Акты, 1, 533.

რალმა პ. ციციანოვმა წამოიყვანა თბილისში თავის კანცელარიის მთარგმნელის თანამდებობაზე.

1804 წელს ალ. პეტრიაშვილი დაინიშნა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის დირექტორად. კარგი ადმინისტრატორისა და მასწავლებლის სახელი ჰქონდა მას მოპოვებული. პეტრიაშვილმა, მართლაც, მშვენივრად ააწყო სასწავლებლის მუშაობა. ასწია მოსახლეობის თვალში სასწავლებლის ავტორიტეტი, გაზარდა მოწაფეთა კონტინგენტი, მოაწყო სტამბა სასწავლებელთან, შეადგინა ქართული ენისა და ლიტერატურის ქრესტომათია, იოანე ქართველიშვილთან ერთად სთარგმნიდა რუსული ენიდან სახელმძღვანელოებს და ხელმძღვანელობდა მათ ბეჭდვას სასწავლებლის სტამბაში. 1806 წელს მთავარმართებლის პ. ციციანოვის შუამავლობით სთხოვა მეფეს თავის თანამდებობიდან განთავისუფლება, ბერად აღკვეცის მიზნით. მაგრამ ალექსანდრე I, მიიღო რა ციციანოვისაგან საუცხოო დახასიათება პეტრიაშვილისა, როგორც დირექტორისა და მასწავლებლისა, არ გაათავისუფლა იგი. სამაგიეროდ, იმპერატორმა პეტრიაშვილი დააჯილდოვა წმ. ანას II ხარისხის ორდენით და პირადად მის სახელზე მოცემულ რესკრიპტში სწერდა: „მე მსურს და მესიამოვნება, რომ თქვენ განაგრძოთ თქვენი მუშაობა სასწავლებლის მმართველად, ნასში მოსწავლეთა განათლებისათვის“.* 1810 წელს პეტრიაშვილმა კვლავ აღძრა შუამდგომლობა მეფის წინაშე დირექტორის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ. შუამდგომლობა დაკმაყოფილებულ იქნა, ვინაიდან მას მხარი დაუჭირა მთავარმართებელმა ტორმასოვმა. უკანასკნელს განზრახვა ჰქონდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი სამხედრო სასწავლებლად გადაეკეთებინა და მის სათავეში სასულიერო პირის გაჩერება აღარ შეიძლებოდა. განთავისუფლებისას პეტრიაშვილმა მიიღო ფულადი ჯილდო 2000 მანეთის რაოდენობით.

ფილადელფოს (ნიკიფორე, ნიკოლოზ) კიკნაძე—ბერი, ცნობილი ნწიგნობარი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე, მთელ რიგ საზოგადო და საეკლესიო მოღვაწეთა აღმზრდელ-მასწავლებელი, უკანასკნელად შუამთის მონასტერთან არსებული სკოლის მასწავლებელი. ზ. ჭიჭინაძე გადმოგვცემს მისი მოწაფისა და შემდეგ მეგობრის მღვდელ-მონაზონ გენადის ნაამბობს: „მართლაც შესანიშნავი კაცი იყო (ფილადელფოსი), ბერების მოყვარე, გლეხკა-

* Акты, III, 25.

ცების ძმა და ყველას ამხანაგი. შუამთას ჰქონდა სასწავლებელი და უფასოდ ასწავლიდა თავადაზნაურის, თელავის მოქალაქეებისა და გლეხთა შვილებს. ჩვენ ბერებსაც ბევრ რაჰეს გვასწავლიდა".*

დავით ჩუბინიძე—მღვდელი. თბილისის ნათლისმცემლის ეკლესიასთან არსებული სკოლის მასწავლებელი. პლატონ **იოსელიანი** მის შესახებ წერს: „დავით მღვდელი ჩუბინიძე, ნათლისმკემლის ეკლესიისა აწ დაქცეულისა და იესე დეკანოზი, შვილი მისი ამას აქვნდა მუნ სასწავლებელი, სადაცა მეცა ვსწავლობდი ქართულისა კითხვასა და წერასა".**

გიორგი თუმანიშვილი—მწიგნობარი (სასკოლო სახელმძღვანელო კრებულის „მრავალყვავილოვანის" შემდგენელი), მასწავლებელი. პლ. იოსელიანის გადმოცემით, გიორგი თუმანიშვილი იყო „ძე ეგნატე მდივნისა, მოყვარე მწიგნობრისა და მწერლობისა" (იქვე, 264).

იოანე ხელაშვილი—თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის ღრმად განათლებული და იშვიათი პედაგოგი 1816 წლამდის, სოლ. დოდაშვილის და გრ. ორბელიანის მასწავლებელი.

ზაქარია სიდამონიძე (დეკანოზი)—თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის ქართული ენის მასწავლებელი 1804—1814 წლებში, ხოლო 1818—1819 წლებში კი თელავის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი.

იესე ჩუბინაშვილი (დეკანოზი, ცნობილი ფილოლოგის დავით ჩუბინაშვილის მამა)—თბილისის სასულიერო სემინარიის ქართული ენის მასწავლებელი 1818 წლიდან.

ივანე იალღუზიძე—ცნობილი მწერალი, „ალღუზიანის" ავტორი; თბილისის სასულიერო სემინარიის დაბალი კლასის ქართული ენის მასწავლებელი 1818—1822 წლებში.

იესე გარსევანიშვილი—გორის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი და ზედამხედველის მოადგილე***—20-იან წლებში.

---

* ზ. ჭიჭინაძე, ფარული საზოგადოება და ფილად. კიკნაძე, 15.

** პლ. **იოსელიანი**, ცხოვრება... 261, 1936.

*** იესე გარსევანიშვილმა 20-იან წლებში რუსულიდან სთარგმნა: **ვოლტერი**—„ლიუდოვიკ XIV მეფობა", 1831 წ.; **პლუტარქი** („ცხოვრება-აღწერანი დიდებულთა მამაკაცთა"); **ჰომეროსი** („ილიადა"), 1836; **ფენელონი** („მიმოსვლელობანი ტელემაქოსისანი",—„похождения" უთარგმია შეცდომით, როგორც „მიმოსვლელობანი"); **მილტონი**—„ისტორია", 1833; **ჰეროდოტე**—„ისტორია" I და II, 1836.

ეფრემ ალექსიშვილი (ალექსი-მესხიშვილი) — თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის ქართული ენისა და საღვთო სჯულის მასწავლებელი 1816 წლიდან 1830 წლამდის, ხოლო მანამდე კი ანჩისხატის ეკლესიასთან არსებული სკოლის მასწავლებელი. მისგან ისწავლა ქართული წერაკითხვა პოეტმა გრიგოლ ორბელიანმაც.

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში სხვადასხვა დროს პედაგოგიურ ასპარეზზე მოღვაწეობდნენ აგრეთვე ისეთი გამოჩენილი მწერლები და მეცნიერები, როგორიც იყვნენ: დავ. ჩუბინაშვილი, პლატონ იოსელიანი, სოლ. დოდაშვილი, ალექსანდრე ჩიქოვანი (პოეტი, 1828—30 წლებში ასწავლიდა ქართულ ენას კეთილშობილთა სასწავლებლებში), დიმ. ყიფიანი, დან. ჭონქაძე და თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის, გიმნაზიისა და თბილისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული, მოწინავე პედაგოგები.

აღნიშნულ პირების გარდა, XIX ს. პირველ ნახევარში საქართველოს სკოლებში სხვებიც იყვნენ ასევე მოწინავე და განათლებული პედაგოგები. ჩვენ ვიცით ნიკ. ბარათაშვილის, დიმ. ბაქრაძის, რაფ. ერისთავის, ალ. ორბელიანის, გ. ერისთავის, კ. მამაცაშვილის და სხვ. საზოგადო მოღვაწეთა ბიოგრაფიებიდან, რომ მათ კარგად განათლებული და საყვარელი მასწავლებლები ჰყავდათ, მაგრამ ამ ჩვენმა მეცნიერებმა და მწერლებმა არაფერი შემოგვინახეს მათ შესახებ,—ვინაობაც კი არა. სამაგიეროდ, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, სოფრ. მგალობლიშვილი და სხვა მწერლები თავის ნაწერებში გვაწვდიან ძვირფას ცნობებს პირადად თავიანთი და, საერთოდ, მათი პერიოდის მასწავლებელთა და სკოლების შესახებ.

2. ოფიციალური წოდების მასწავლებელნი

სხვაგვარი იყო მდგომარეობა XIX ს. პირველი ნახევრის საქართველოს სახელმწიფო სკოლების მასწავლებელთა მიმართ. ამ სკოლებშიც მოინახებოდა საერთოდ განათლებული და გამოცდილი პედაგოგები, მაგრამ სპეციალური პედაგოგიური განათლების მქონე მასწავლებლებზე ზედმეტია ლაპარაკი.

1802 წელს საქართველოს მთავარმართებელმა კნორინგმა თბილისის კეთილშობილთათვის დაარსებულ „პირველდაწყებით სასწავლებელში“ რუსული ენის მასწავლებლად დანიშნა თავისი კანცელარიის მოხელეები პლეშჩეევი და პოკროვსკი, რომლებიც ვითომდა „ნასწავლ“ ხალხად ითვლებოდნენ, მაგრამ არსებითად ესენი ცოდნა საკანცელარიო სამსახურის მასშტაბით განისაზღვრებოდა. პედაგოგიური მუშაობის მათ არაფერი გაეგებოდათ. მათ დააფრთხეს მოწაფეები თავისი უდიერი ქცევით და ლოთობით. 1803 წელს, ივნისში, მთავარმართებელმა პ. ციციანოვმა ხელახლად დასაარსებელი სასწავლებლისათვის რუსეთის განათლების მინისტრს, ზავადოვსკის, სთხოვა გამოეგზავნა თბილისში რუსული ენისა და სხვა დისციპლინების მასწავლებლები. ზავადოვსკიმ დაუყოვნებლივ შეასრულა ციციანოვის თხოვნა, მაგრამ მის მიერ გამოგზავნილი მასწავლებლები ს. გულიაევი და პ. მალცევი ძალიან შორს იდგნენ თავისი დანიშნულებიდან. პირველი მათგანი ჩქარა უკანვე გაისტუმრა ციციანოვმა, როგორც გაუნათლებელი და უზნეო (მის მაგივრად დაინიშნა სტუდენტი ბუკრინსკი), ხოლო პ. მალცევმა და შემდეგ მოწვეულმა მასწავლებელმა ლუბკინმა თავი ისახელეს საარაკო ლოთობით. საქართველოს მმართველი ახვერდოვი მათ შესახებ 1810 წ. სწერდა საქართველოს მთავარმართებელს—ტორმასოვს, რომ „მასწავლებლები—მალცევი და ლუბკინი ვარჯიშობენ რა ლოთობაში, ჩადიან სხვადასხვა უკადრის საქციელს ღამით, ხმაურობენ, არახუნებენ, აწუხებენ ოეზობლებს, ხოლო უწმაწური სიტყვებით შეურაცხყოფას აყენებენ მათ... ასეთი ლოთობისაგან ავად გახდნენ და, თუ არ შევაწყვეტინეთ და არ ვუმკურნალეთ, შეიძლება დაიხოცონ“.*

ეს პირები იყვნენ იმ სკოლის მასწავლებლები, რომელიც ჯერ კიდევ ხელმძღვანელობდა თავისი წინამორბედის—1802 წელს დაარსებულ პირველდაწყებითი სასწავლებლის „წესებით“. ამ წესებში კი რამდენადმე მაინც გარკვეული იყო მასწავლებლის ზნეობრივი მოვალეობა: „წოდება მასწავლებლისა არის თანამდებობა ჩინებული და საყურადღებო, ვინაიდან იგი ამზადებს საზოგადოების სასარგებლო წევრებს... მასწავლებლებს მოეთხოვებათ აგრეთვე, რომ ისინი საკუთარი ყოფაქცევით და მოქმედებით მაგალითს აძლევდნენ თავის მოწაფეებს კეთილსინდისიერებაში, ალერსიანობაში, ზრდი-

* Акты, IV, 59.

ლობაში, კაცთმოყვარეობაში და მუყაითობაში. უნდა მოარიდონ მათ სიტყვით და საქმით ყოველგვარი მაცდუნებელი, უკადრისი და უმართებულო“.*

როგორც ვხედავთ, აღნიშნული წესდება მართლა ჩინებულად არკვევს მასწავლებლის ზნეობრივ მოვალეობას, მაგრამ მისი ასრულება თითქოს არავის მოეთხოვებოდა. ყოველ შემთხვევაში XIX ს. პირველ ნახევარში საქართველოს სახელმწიფო და სასულიერო სასწავლებლებში იშვიათად მოიპოვებოდნენ თავისი ყოფაქცევითა და მოქმედებით სამაგალითო მასწავლებელნი.

1828 წ. იმავე კეთილშობილთა სასწავლებლის შესახებ გენ. სიპიაგინი სწერდა განათლების მინისტრს ადმირალ შიშკოვს: „თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი თავისი თანამედროვე მდგომარეობით არ შეეფერება მთავრობის მოლოდინს... ამ სასწავლებელში არ არიან არც რიგიანი მასწავლებლები, არც საგნების მართებული განაწილება“...**

არც ამის მომდევნო პერიოდში შეცვლილა მდგომარეობა. უვიცი, ზნედაცემული და ინტრიგანი მასწავლებლები გამოირჩეოდნენ ბავშვების შეუბრალებლად ცემით და გაროზგვით. 30—40 წლების თბილისის ვაჟთა გიმნაზია, სასულიერო სემინარია და სამაზრო-სასულიერო და სამოქალაქო სასწავლებლები ასეთი ფაქტების მრავალ მაგალითს იძლევიან.

დიმიტრი ყიფიანი (1814—1887) თავის მემუარებში XIX ს. 20—30-იანი წლების სკოლების შესახებ აღნიშნავს: „როგორც სასულიერო სემინარიაში, აგრეთვე კეთილშობილთა სასწავლებელშიაც ერთს ადგნენ... რაიმე დანაშაულისათვის ხელის გულზე სახაზავით ცემას“.***

ხელის გულზე სახაზავით ცემას ემატებოდა ყურებისა და თმების მოწევა, დაჩოქება და შემდეგ როზგიც.

ილია ჭავჭავაძე 40-იანი წლების სასკოლო რეჟიმის დასახასიათებლად თავის ნარკვევში „კაკო“ (რომელიც „გლახის ნაამბობის“, „კაცია ადამიანისა“ და „კაკო ყაჩაღის“ ერთ ერთ მთლიან ვარიანტს წარმოადგენდა) 1857 წ. მოგვითხრობს შემდეგს:

---

* Акты, I, 511.

** იქვე, VII, 62.

*** დიმ. ყიფიანი, მემუარები, 3, 1930.

„მივარდა კოლას გახარებული ოსტატი, რო მიეცა შემთხვევა ვისმეს ცემისა.—გამოშალე ხელი,—დაუყვირა წარბ-შეკრულმა ოსტატმა. კოლამ ხელი არ გაუშალა.—ძაღლო, არ გესმის, გამოშალე მეთქი,—შეჰყვირა უფრო მრისხანეთ... და გადააწნა ერთი ათიოდე სახაზე ბეჭებზედ საწყალ კოლას, რომელსაც დანაშაული არა ჰქონდა რა. მერე გამოათრია სკამიდან, თმებით წამოითრია და დაახალა ფიცრის იატაკზედ, მუხლებზედ.—მე შენ გასწავლი, როგორ უნდა იქცეოდე, ჯერ პატარა დამაცა!—უთხრა დორბლიანმა ოსტატმა და ერთიც წაუთავა ლაწანი ყბაში“.*

XIX ს. 40—50-იან წლებში რუსეთის იმპერიის სკოლებში გამეფებული იყო როზგი და „ლინეიკა“. 1828 წლის წესდებით (§ 205) ოფიციალურად იყო იგი დაშვებული, მოწაფეთა სათანადო სასჯელის ფორმად. აკაკი გადმოგვცემს, რომ მისი ბავშვობის პერიოდში 50-იანი წლების დასაწყისს ქუთაისის გიმნაზიაში „სტოროჟებს“ ყოველდღე თითო ურემი როზგი მოჰქონდათ. „დღე არ იქნებოდა,—იგონებს აკაკი,—რომ ყმაწვილების წივილ-კივილით იქაურობა არ ყოფილიყო გაყრუებული“. იყო შემთხვევები, როდესაც ამ გიმნაზიაში ზოგიერთ მოწაფეს დღეში ოთხჯერ და ხუთჯერ როზგავდნენ. აკაკისავე თქმით, მოწაფე კრიჟანოვსკი ერთ დღეს ოთხჯერ გაროზგეს და როცა იმავე დღეს მეხუთედ მოუნდომეს გაროზგვა, მან თვითმკვლელობა არჩია, გიმნაზიიდან გაიქცა და რიონში გადახტა თავის დასახრჩობად. მოწაფე ჭაჭიაშვილს „ერთხელ გამხეცებულმა ზედამხედველმა შუამდე აახლიჩა ყური, გაუსივდა და რამდენიმე დღის განმავლობაში ისევ დაუწყო შეხორცება. მაგრამ ვინ აცალა შეხორცება. სტაცებდნენ ხელს და ხელახლა აგლეჯდენ“. „ბავშვი იძულებული გახადეს გასულიყო სასწავლებლიდან“.

ძალიან ხშირად მოწაფეთა დასჯის ერთ-ერთ ფორმად იყენებდნენ მათ დაჩოქებას ორივე მუხლით. „დანაშაულის“ მიხედვით ეს სასჯელი იყო სხვადასხვა ხანგრძლივობისა. ზოგჯერ ორ-სამ საათს ხან კი გაკვეთილის მთელი დროის განმავლობაში გრძელდებოდა იგი. დაჩოქილ ბავშვს სასკოლო ცხოვრების გარეშე არ სტოვებდნენ: გამოკითხავდნენ, ეკითხებოდნენ, აწერინებდნენ კიდეც. ზოგჯერ ბავშვები ისე ეჩვეოდნენ დაჩოქილ მდგომარეობაში გაკვეთილის თხრობას, რომ ნორმალური სახით, ერთ ხანს, ველარც კი ახერხებდნენ მას (იხ. აკაკი წ ე რ ე თ ლ ი ს „ჩემი თავგადასავალი“).

---

* ილია ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, პედაგოგიური თხზულებანი, 416, 1938 წ.

როზგთან ერთად იყენებდნენ აგრეთვე „ლინეიკას“—სახაზავს. ამ „საბრძოლო“ იარაღითაც ასახიჩრებდნენ ბავშვებს, უწყლულებდნენ მათ ხელის გულს, ლოყებს, თავს, ბეჭებს. თვით ჩვენ წწერალსაც არ ასცდა „ლინეიკის“ სუსხი. ერთ დღეს მას შვიდჯერ დაჰკრეს სახაზავი ხელის გულზე. „ეს დღე იყო და მას აქეთ ველარ გამოვბრუნდი,—წერს ა კ ა კ ი,—არ იქნა, ველარ გადავიგდე გულზე ეს შემთხვევა. წერაში ხელი გამიფუჭდა და დღესაც კიდევ გაურკვევლად ვწერ“ („ჩემი თავგადასავალი“).

გინნაზიისა და სხვა საშუალო სკოლის მასწავლებლები ხშირად უფროს მოწაფეებსაც იყენებდნენ თავის „ბრძოლაში“ დისციპლინის და წესრიგისათვის. გიორგი წ ე რ ე თ ლ ი ს ცნობით, ქუთაისის გიმნაზიაში ყავდათ „დაყენებული“ „სტარშები“—უფროსი კლასების მოწაფეთაგან. „სტარშებს“ ევალებოდა მოწაფეთა გამოკითხვა და არადამაკმაყოფილებელი პასუხების შემთხვევაში—მათი ცემა წნელით ან „ლინეიკით“.

„ხელი გამოშალე, შეჰყვირა „სტარშმა“. დიტომ ამ სიტყვაზე, რაც შეეძლო ისე დაიყვირა. ამ ხმამ „უჩიტელი“ გააოცა; იმას ეგონა ხარი წაუქცევიათ და ყელსა სჭრიანო. მოვარდა უცბად პირველ „ტაბლიცასთან“ და აჩქარებით დაიწყო კითხვა: „Что такое, что с ним? —Его не знает... не хочет бить (ვითომ: მან არ იცის და არც უნდა რომ ვცემოო).—Ах, ты каналья, как ты смеешь реветь! —დაუყვირა „უჩიტელმა“ დიტოს.

—Дай руку,—შეჰყვირა უჩიტელმა.

გამოაშლევინეს აღრიალებულ დიტოს ხელი და ხუთჯერ ისეთი უშიშვლეს ხელის გულზე, რომ ყმაწვილს უნებურად ხელები დაეკრუნჩხა. დიტომ გააბა საშინელი ყვირილი. რომ მთელი კლასის ყურადღება არ მიექცია ამ საგანზე, უჩიტელმა გაგზავნა ის „სტოროჟის“ ოთახში და დაუკეტა კარები“ („ჩვენი ცხოვრების ყვავილი“).

ამ „უფროს მოწაფეებს“ ავალებდნენ აგრეთვე თავიანთ სასწავლებელთა მოწაფეებზე მეთვალყურეობას სკოლის გარეთ, უბნების მიხედვით; მათ ფუნქციას შეადგენდა თავიანთი საცხოვრებელი უბნების მოწაფეთა საშინაო ცხოვრებისა და ქუჩაში მათი ყოფაქცევის შესახებ სათანადო ცნობების შეგროვება და წარდგენა კლასის დამრიგებლისა ან ინსპექტორისათვის. ეს უკანასკნელნი „უფროს“ მოწაფეთა მიერ წარმოდგენილი ცნობებიდან დანაშაულებრივი ხასიათის ფაქტებს აღნუსხავდნენ თითოეულ მოწაფეზე არსებულ „კონდუიტის“ წიგნში და მიუსჯიდნენ სათანადო სასჯელს.

აკაკი გვაძლევს ძველ მასწავლებელთა მთელ გალერეიას. თქვენ აქ ნახავთ განათლების მოხელეს, რომელიც მხოლოდ ბავშვების ცემა-გვემით არის დაინტერესებული და მოუთმენლად ეძებს რაიმე მიზეზს, რომ სცემოს მოწაფეებს დაუსრულებლად, რომელიც მოხარულია ერთსა და იმავე დროს ორი ბავშვი გაროზგოს „ერთი იმიტომ, რომ თმა წამოგზდიაო და მეორეც იმიტომ, რომ მეტად ძირში მოგიჭრიაო“.

აქ არის მასწავლებელი, რომელსაც ნამდვილ სწავლად მხოლოდ ის მიაჩნია, რომ ბავშვი თუთიყუშივით იმეორებდეს წიგნის ტექსტს, არაფერი ესმოდეს კი ამ ტექსტისა, მოკლებული იყოს დაკვირვების უნარს, აზრის გამოთქმის საშუალებას, საკუთარ მსჯელობას.

აქვე ვხვდებით მასწავლებელს, რომელიც შემთხვევით მოხვედრილა პედაგოგის თანამდებობაზე, სძულს ეს პროფესია, სახე მუდამ ჩამოტირის, დაღუშულია და საშინლად ეჯავრება მხიარული და მომღიმარი ბავშვი; ეშინია ახალი სიტყვის, გაურბის პოლიტიკას და გერცენის მარტო სახელის გაგონებაზეც კი ისტერიულად ყვირის: „აქ არ ვყოფილვარ, არა გამიგონია რა, არცა გითქვამს რაო“ და სხვ.

ამ გალერეიას ამკობს აგრეთვე უწყინარი, თვინიერი, კეთილი, მაგრამ ლოთი მასწავლებელი, რომელიც არც თავისი საგნებით არის დაინტერესებული, არც მოწაფეთა წარმატებით, რომელსაც მუდამ „ისე გაჟღენთილი ჰქონდა გვამი არაყით, რომ ხანდიხან რომ კიდეც არ დაელია, ისე თავი'თავად მოუვიდოდა სიმთვრალე. ერთხელ მოუარა გაკვეთილების დროს და მოწაფეს, რომელიც დაფასთან იდგა და გეომეტრიულ სახეებსა ხატავდა, მიაყვირა: აბა ჩამოუარე ლეკურიო და ტაშის კვრა დაიწყო“ („ჩემი თავგადასავალი“).

ძველი სკოლის მთელი მმართველობა: დირექტორი, ინსპექტორი, ზედამხედველი, მასწავლებელთა დიდი ნაწილი და „სტოროჟებიც“ კი,— ერთგულად ემსახურებოდა მეფის საგანმანათლებლო პოლიტიკას, ახშობდა ახალგაზრდობაში თავისუფალი აზროვნების შესაძლებლობას, ბორკავდა მის ინიციატივასა და თვითმოქმედებას, უკლავდა მას ხალისს და შრომის სურვილს.

ღოველივე ასეთ სიველურეს სჩადიოდნენ ოფიციალურ მუნდირში გამოწყობილი მასწავლებლები, ისინი, ვინც მოწოდებული იყვნენ აღეზარდათ ბავშვები „მაღალი სულით, მახვილი გონებით და სპეტაკი ზნეობით“.

ასეთი „მასწავლებლები“ არც არაფერს აძლევდნენ მოწაფეებსა და არც არაფერს სთხოვდნენ მათ, გარდა ერთისა—უსიტყვო მორჩილებას. მხოლოდ ამაში ხედავდნენ ისინი თავის დანიშნულებას და მსჯელობდნენ ისე, როგორც ნ. ვ. გოგოლის ცნობილი ჩიჩიკოვის მასწავლებელი: „ნიჭი და უნარი? ეს სისულელეა. მე ვუყურებ მხოლოდ ყოფაქცევას. სრულ ბალს (მაღალ ნიშანს) დავუწერ მას, ვინც ანა-ბანა არ იცის, მაგრამ სანაქებოდ უჭირავს თავი, ხოლო ვისშიაც მე ვხედავ ბოროტ სულსა და დამცინაობას, თუნდა სოლონსაც სჯობდეს, მაინც ნულს დავუწერ“.

უეჭველია, ხსენებულ პერიოდში მოიპოვებოდნენ თავისი მოწოდების სიმაღლეზე რამდენადმე მაინც მდგარი ოფიციალური სკოლის მასწავლებლები; ისეთნი, როგორიც იყო, თუნდაც, იმავე დიმ. ყიფიანის ერთ-ერთი მასწავლებელი, გვარად მანასეინი, რომლის დროსაც დიმიტრის თქმით: „ყურების ან თმების აწევა, სახაზავით ცემა, დაჩოქება ან სხეულის სხვაგვარი სასჯელი... გულში გასავლებადაც კი შეუძლებელი იყო“ („მემუარები“, 8), ნიკ. დენენტიევი, თბილისის გიმნაზიის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი 30-იან წლებში, აგრეთვე აკაკი წერეთლის ერთ-ერთი მასწავლებელი, გვარად ტროე, გიორგი წერეთლის ერთ-ერთი მასწავლებელი გვარად უმანსკი და სხვები, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ასეთი მასწავლებლები იშვიათად მოიძებნებოდნენ.

3. ხალხური წოდების მასწავლებელნი

ძველ სახალხო სკოლებში, რომლებიც ხალხური აღზრდა-განათლების წესებითა და მეთოდებით მოქმედებდნენ, XIX ს. პირველ ნახევარში ბევრი ფიზიკურად მახინჯი და სრულიად საპყარი მასწავლებელი მუშაობდა, მაგრამ თავისი ცოდნით და პედაგოგიური საქმის სიყვარულით საყოველთაო სიმპათია და პატივისცემა ჰქონდათ დამსახურებული. ასე, მაგალითად, გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან ხონის წმ. გიორგის ეკლესიასთან არსებულ უძველეს სკოლაში მასწავლებლობდა ვაკე-იმერეთში კარგად ცნობილი სეიმონ კუტი ფირცხალავა. ამ სეიმონ კუტს „ორი ქვედა კიდური არ ჰქონდა განვითარებული, მარტო ნიშნები ღა აჩნდა, არც ხელებით ყოფილა საღი: მარჯვენაზე სამი თითი ჰქონდა, მარცხენაზე

—ორი, მოკლედ, საპყარი იყო“.* მიუხედავად ამისა, ის განათლებული, ნაკითხი კაცი იყო; ჰქონდა შემუშავებული სწავლების საკუთარი მეთოდები და საკმაო ეფექტიან პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა. სასტიკი იყო, მაგრამ სამართლიანი. ამის გამო ყველა პატივისცემით ეპყრობოდა, აფასებდა, მიმართავდა, რჩევა-დარიგებას სთხოვდა.

ძველი სახალხო და კერძო სკოლის განათლებული მასწავლებლის ერთ-ერთ ტიპურ მაგალითს წარმოადგენდა 50-იან წლებში სამეგრელოში პოპულარული მასწავლებელი ბერუკა ჯიუქია. ეს იყო „ადამიანი ჭალარაშერეული, მეტად საზრისიანი და გამომეტყველი სახით. ზეპირად იცოდა მან საღვთო წერილი, საეკლესიო წიგნები, ვეფხისტყაოსანი და ჩახრუხაძის თხზულება. კითხულობდა ვახუშტსა და ვახტანგს და ხელნაწერ თარგმანებში ჰეროდოტესა და არისტოტელს“.** მართალია, ეს ბერუკა ძველი, დახავსებული მეთოდით ასწავლიდა ბავშვებს წერა-კითხვას, მაგრამ ეს უფრო მის სპეციალურ-პედაგოგიური განათლების უქონლობაზე ლაპარაკობს, ვიდრე ზოგადი განვითარების სისუსტეზე.

XIX ს. პირველი ნახევრის ქალთა საშინაო სკოლების მასწავლებელთა შესახებ სათანადო წარმოდგენას გვაძლევს სოფრომ მგალობლიშვილის მოთხრობის—„წარსულიდან“—ერთ-ერთი მოქმედი პირი ეფროსინე.

„ეფროსინეს ჰყავდა ექვსი-შვიდი შეგირდი, სოფლის გოგოები; ზოგი მოჰყავდა თერთმეტ-თორმეტი წლისა, ათის წლისაზე პატარას არასოდეს არ მიიღებდა ხოლმე... „საკითხავად ეფროსინეს ბევრი ძველი ხელთნაწერი წიგნები ჰქონდა: მზითევში მოყოლილი „ვეფხის-ტყაოსანი“, „დავითიანი“, „სიბრძნე-სიცრუის“ არაკები. ამას გარდა საეკლესიო წიგნები ხომ სულყველა ჰქონდა“.***

„ეფროსინე ძმვენიერი მკითხველი იყო „ვეფხის-ტყაოსნისა“-თითქმის ზეპირად იცოდა „ვეფხის-ტყაოსანი“ და „დავითიანი“, კითხულობდა მშვენივრად, ხმაგაბმით, თითქოს საგალობელს რამეს ამბობსო“. ეფროსინეს უყვარდა შეგირდებისათვის „ხორცის მოჩქმეტა“, არც ლანძღვას ერიდებოდა, მაგრამ უყვარდათ იგი ბავშვებს და მათ მშობლებსაც.

---

* პროფ. ვ. ბერიძე—სვიმონ კუტიფერაცხალავა, კრებული „სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში“, 1937, 144.

** „Кавказ“, 1864, № 14.

*** „მოამბე“, 1899, № 3, 134—135.

4. მოხეტიალე მასწავლებლები

XIX ს. ორმოცდაათიან წლებში საქართველოში, განსაკუთრებით აღმოსავლეთ და ზღვისპირის საქართველოში, გავრცელდა აგრეთვე ე. წ. მოხეტიალე მასწავლებელთა პრაქტიკა. პატარა სოფლები და ახალშენები მოკლებული იყვნენ საშუალებას საკუთარი სკოლა მოეწყოთ მაშინ, როცა სწავლის სურვილი დიდი ჰქონდათ. და აი, ასეთ ადგილებში ფეხი მოიკიდა „მოხეტიალე მასწავლებლობამ". ასეთ მასწავლებლობას, შეიძლება ითქვას ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, ეწეოდნენ ნახევრად უვიცი ყოფილი სალდათები, ურიადნიკები, სამოქალაქო უწყების დაბალი რანგის ყოფ. მოხელეები, რომლებიც აღარ ვარგოდნენ თავისი სამსახურისათვის, და სხვა ასეთები. აღსანიშნავია, რომ მოხეტიალე მასწავლებელთა პრაქტიკას ადგილი ჰქონდა როგორც დასავლეთ ევროპაში (scholares vagantes), ისე რუსეთში („мастера грамоты"), უკრაინაში („дьяки мандрованные") და სხვაგან. მშობლები ქირაობდნენ მოხეტიალე მასწავლებლებს დროებით, 2—3 თვით აძლევდნენ სახლში ბინას, ქირას და ინახავდნენ ამ ხნის განმავლობაში. თუ ეს დრო საკმარისი არ აღმოჩნდებოდა, რომ ყმაწვილს წერა-კითხვა და ელემენტარული ანგარიში ესწავლა, მათ ვადას კიდევ უგრძელებდნენ. მაგრამ, თუ არც ეს ღონისძიება სჭრიდა, ე. ი. ყმაწვილი ვერაფერს სწავლობდა, მაშინ მოხეტიალე მასწავლებელი ამბობდა, რომ „ამ ყმაწვილისათვის ღმერთს ნიჭი არ მიუცია და მე რას გავხდებიო". ამით სტოვებდა ის ერთ სოფელს ან ოჯახს, რომ მეორე სოფელში ან ოჯახში ისეთივე „წარმატებით" გაეგრძელებინა თავისი „პედაგოგიური" მოღვაწეობა.

5. კერძო მასწავლებელ-აღმზრდელები

არც კერძო მასწავლებლები და გუვერნიორები იდგნენ თავისი დანიშნულების სიმაღლეზე. XIX ს. პირველ ნახევარში ქართველ არისტოკრატთა და მეშჩანთა ოჯახებში მრავლად მოიპოვებოდნენ უცხოელი (განსაკუთრებით ფრანგები) და რუსი აღმზრდელ-მასწავლებლები, რომელთაც არც მეცნიერება იცოდნენ და არც პედაგოგიური დახელოვნება გააჩნდათ. ამ მხრივ რუსეთში იყო განსაკუთრებული მდგომარეობა. XIX ს. პირველ ნახევარში ფრანგულის არცოდნა რუსეთის დიდ ქალაქებში—ჩამორჩენილობას მოასწავებდა.

„რუს აზნაურთა ოჯახებში არასდროს არ ყოფილა იმდენი ფრანგი დამრიგებელ-გუვერნიორი, როგორც ალექსანდრე პირველის მეფობის პერიოდში:—„დაწყებული ნამდვილი დიდგვაროვანი ემიგრანტებიდან და აგრეთვე ცრუმოსახელე მარკიზებისა და აზნაურებიდან, რომლებიც თავის რჩენისათვის იწყებდნენ ენების მასწავლებლობას, და გათავებული ნაპოლეონის არმიის მედოლეებით, რომლებიც ტყვედ იყვნენ დარჩენილი რუსეთში და ასწავლიდნენ ფრანგულ ენას, ცეკვებსა და კარგ მანერებს".* მათი მოდგმისა და ყაიდის იყო აგრეთვე ა. პუშკინის გრინიოვის მასწავლებელი ბეპრე: „თავის სამშობლოში ის იყო პარიკმახერი, პრუსიაში—სალდათი, შემდეგ მოვიდა რუსეთში pour êtr outchitel (რომ გამხდარიყო მასწავლებელი), თუმცა კარგად არ ესმოდა ამ სიტყვის მნიშვნელობა" და მრავალი სხვა უცხოელი თუ ადგილობრივი აღმზრდელ-მასწავლებელი, რომლებიც საკმაოდ არიან ცნობილი რუსულ და ქართულ მხატვრულ და სამეცნიერო ლიტერატურაში. მეცნიერებას რომ ვერ ასწავლიდნენ ასეთი დამრიგებელ-გუვერნიორები—ცხადია, მაგრამ იქნებ აღმზრდელებად და ზნეობის მასწავლებლებად მაინც ვარგოდნენ? გამონაკლისები ჰქაც ერივნენ, მაგრამ, როგორც წესი, არც საამისოდ იყვნენ ისინი მოწოდებული. უმართებულოდ დავიწყებული, მაგრამ ნიჭიერი და მახვილი თვალის პატრონი რუსი პედაგოგი ა. პროკოპოვიჩ-ანტონსკი, 1823 წელს სავსებით სამართლიანად წერდა მათ შესახებ: „მრავალი მამა ახვევს თავის შვილს მასწავლებელთა გროვას, რომ მათ სხვადასხვა ენები ასწავლონ და გონება გაუმახვილონ, მაგრამ მათში არ არის არცერთი, რომელიც შესძლებდა ესწავლებინა მისთვის პირველი და მნიშვნელოვანი მეცნიერება—იყოს კეთილი, პატიოსანი, გულშემატკივარი,—იყოს ადამიანი".**

ასეთები იყვნენ კერძო მასწავლებლები რუსეთში, ასეთები იყვნენ ისინი საქართველოშიც, და, ცხადია, ამგვარივე ხასიათის უნდა ყოფილიყო მათი „პედაგოგიური" საქმიანობის საფუძველზე აგებული საშინაო აღზრდა-განათლებაც თავადაზნაურთა და მეშჩანურ ოჯახებში. რუსეთის დიდი მწერალი ალ. პუშკინი სწორედ ასეთი საოჯახო აღზრდის პრაქტიკიდან გამოდიოდა, როდესაც გადაჭრით

---

* „История XIX века", под ред. Левисса Рамбо, II, 148.

** „Собрание образцовых русских сочинений и переводов в прозе", изд. второе, ч. I, 59, 1823, СПБ.

ილაშქრებდა მის წინააღმდეგ. 1826 წელს, იმპერატორისადმი წარდგენილ წერილში „О народном воспитании“ პუშკინი აღნიშნავდა: „საოჯახო აღზრდა რუსეთში არის ძალიან ნაკლოვანი, მეტად უზნეო. ბავშვი გარემოცულია მხოლოდ მონებით. ხედავს საზიზღარ მაგალითებს, თვითნებობს ან მონობს, არ იძენს რაიმე წარმოდგენას სამართლიანობაზე, ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებაზე, ნამდვილ პატიოსნებაზე. მისი აღზრდა იფარგლება მხოლოდ ორი ან სამი უცხო ენით და ყველა მეცნიერებათა საწყისებით, რომელთაც ასწავლის რომელიმე დაქირავებული მასწავლებელი. აღზრდა კერძო პანსიონებში ცოტათია უკეთესი. აქაც და იქაც იგი თავდება მოსწავლის 16 წლის ასაკში. მერყეობა ამაოა: რაც უნდა მოხდეს, აუცილებელია კერძო აღზრდის ჩახშობა... ანდა, ყოველ შემთხვევაში, კერძო აღზრდის ძალზე გაძნელებით, მთავრობა ადვილად შესძლებს საზოგადოებრივ აღზრდის გაუმჯობესებას შეუდგეს“.*

პუშკინს არ მოსწონდა თავისი დროის საოჯახო აღზრდა, რადგანაც ვერ ხედავდა მას საიმედო ხელმძღვანელთა და შესაფერის აღმზრდელ-მასწავლებელთა ხელში. ის მოითხოვდა საზოგადოებრივ აღზრდის გაუმჯობესებას და ამ გაუმჯობესებული საზოგადოებრივი აღზრდის სისტემაში ყველა ჯსაკის ბავშვთა აღზრდის მთელი საქმის გადატანას.

6. მასწავლებელთა მოვალეობანი

როგორ იყო განსაზღვრული მასწავლებელთა მოვალეობანი სკოლების ოფიციალურ წესდებათა მიხედვით? XIX ს. სამოციან წლებამდის რუსეთში, როგორც ვიცით, გამოიცა 1804 წლის და 1828 წლის წესდებანი. ამ წესდებებში, რომლებიც უმთავრესად სახალხო განათლების სისტემის ორგანიზაციას, სკოლების სტრუქტურას, ტიპებს, საფეხურებს, სასწავლო გეგმებსა და მმართველობის ორგანიზაციას ეხებიან, მცირეოდენი ადგილი აქვთ დათმობილი მასწავლებელთა უფლება-მოვალეობის, მათი მომზადებისა და სასწავლო მეთოდიკურ საკითხებს.

XIX ს. პირველ ნახევარში ამ საკითხებზე რუსეთსა და საქართველოში ძალიან ცოტა რამ იწერებოდა. პეტერბურგის „მთავარი

---

* А. С. Пушкин, Сочинения: дневник, записки, исторические статьи и разные заметки, изд. 3-ье, 191-3, 1887.

პედაგოგიური ინსტიტუტი“ და მოსკოვის, ყაზანის და ხარკოვის უნივერსიტეტები არ იყვნენ დაინტერესებული თეორიულ-პედაგოგიური და დიდაქტიკურ-მეთოდიკური პრობლემებით. კიდევ უფრო მიუტოვებელ უყურადღებობას იჩენდნენ ამ პრობლემებისადმი ხსენებული ინსტიტუტების დახურვის შემდეგ რუსეთის უნივერსიტეტებთან დაარსებული პედაგოგიური კურსები (საშუალო სკოლების მასწავლებელთა მოსამზადებლად). კონსტანტინე უშინსკიმდე, სამწუხაროდ, არც პედაგოგიურ ლიტერატურაში აშუქებდნენ ამ პრობლემებს ჯეროვანი სიღრმითა და სერიოზულობით. განა დამახასიათებელი არ არის რუსეთის XIX ს. პირველი ნახევრის პედაგოგიკისათვის ის ფაქტი, რომ სამოციან წლებამდის ყველაზე საუკეთესო დიდაქტიკურ წიგნად რჩებოდა ეკატერინე II დროს, 1783 წელში, იანკოვიჩის მიერ დასავლეთის ლიტერატურიდან გადმოკეთებული „სახელმძღვანელო სახალხო სკოლების პირველი და მეორე კლასის მასწავლებლებს“?

მართალია, ეს სახელმძღვანელო პირველი დიდაკტიკური ნარკვევია რუსულ პედაგოგიურ ლიტერატურაში, მართალია, მასში ბევრი მეტად საინტერესო „დარიგება“ და სახელმძღვანელო აზრია გამოთქმული სწავლების თეორიისა და მეთოდიკის საკითხებზე, მაგრამ მისი კვლავ რეკომენდაცია XIX ს. 40-იან წლებში, როგორც სახელმძღვანელოსი—ლაპარაკობს პედაგოგიკური განათლების ჩამორჩენილობაზე აღნიშნულ პერიოდში.

ამ ნაკლს, როგორც ჩანს, გრძნობდნენ XIX ს. პირველი ნახევრის რუსეთის განათლების ხელმძღვანელი წრეები და მისი რამდენადმე მაინც გამოსწორების ცდას წარმოადგენდა ზემოაღნიშნულ წესდებათა სათანადო მუხლებში გადმოცემული დიდაქტიკური მოსაზრებანი.

ასე, 1804 წლის წესდების IV თავი („გიმნაზიის მასწავლებელთა მოვალეობანი, საერთო ყველა მასწავლებელთათვის“), მასწავლებლის საორგანიზაციო და შინაგანაწესის ხასიათის მოვალეობათა გარდა, მიუთითებს მასწავლებლებს: მოწაფეთა ყურადღების კონცენტრაციის აუცილებლობაზე გაკვეთილის დროს, ახალი მასალის სიცხადითა და სისწორით გადაცემისა და მცირეწლოვანთათვის სწავლების პროცესის გამარტივებისა და გაადვილების საჭიროებაზე. ამ თავის ერთი მუხლი (41) მოუწოდებს მასწავლებლებს: „მიაჩვიონ ბავშვები შრომისმოყვარეობას, აღძრან მათში ხალისი და მისწრაფება მეცნიერებისადმი, რომელიც სასწავლებლიდან გასვლის

შემდეგ აიძულებდა მათ ეზრუნათ შემდგომ თვითგანვითარებაზე (სრულყოფაზე)". წესდება ავალებს მასწავლებლებს: იზრუნონ მოწაფეთა არა მარტო გონებრივ, არამედ ზნეობრივ განვითარებაზეც (ზრდილობა, პატიოსნება, კეთილშობილება, სიმართლე, უფროსების და ურთიერთის პატივისცემა და სხვ.), „უყვარდეთ ბავშვები და ეპყრობოდნენ მათ, როგორც მშობლები თავის შვილებს, მაგრამ არ დაივიწყონ, რომ ისინი უნდა ფლობდნენ ბავშვებს, ხელმძღვანელობდნენ მათ, აიძულებდნენ იყონ გამგონენი და იმორჩილებდნენ მათ". წესდება მოითხოვს, რომ მასწავლებლებმა „პირველ ყოვლისა კარგად გაიგონ ბავშვის ხასიათი და თვისებები, რომ უკეთ მართავდნენ მას" (44). ამას გარდა, 1804 წლის წესდება გარკვეულად მოითხოვს მასწავლებელთაგან, რომ ყოველი მათგანი „პედაგოგიურ თათბირებზე" აცნობდეს კრებას „მოწაფეთა მეცადინეობისა და წარჰატებების შესახებ, და გამოთქვამდეს თავის აზრებს: როგორ ვაქციოთ სწავლება უფრო საინტერესო და როგორ გავაუმჯობესოთ სწავლების წესები" (49).

1828 წლის წესდებაში, მთელ რიგ დიდაქტიკურ მითითებათა შორის, დაწყებითი (სამრევლო) სკოლების მასწავლებელთათვის რეკომენდებულია ორი მეთოდი—ჩვეულებრივი და ლანკასტერის. რას გულისხმობდნენ ჩვეულებრივ მეთოდად—ეს წესდებაში არ არის გარკვეული, ხოლო ლანკასტერის მეთოდის შესახებ. კი ქვემოთ გვექნება საუბარი (თავი VI). აქ შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ეს მეთოდი იყო უფრო ადვილი (მასწაელებელთათვის), და მრავალრიცხოვან კლასებში გამოსადეგი. ამიტომ იყო, რომ წესდება სწორედ ამ მეთოდის გამოყენებას მოითხოვდა დაწყებითი სკოლების მასწავლებელთაგან იმ სახით, როგორც ის მის ავტორებს ე. ბელსა (1739—1832) და ჟ. ლანკასტერს (1778—1836) ჰქონდათ შემუშავებული. აღსანიშნავია, რომ ეს წესდება ურჩევს მასწავლებლებს გამოიყენონ ეკატერინე II დროის შედგენილი, ზემოაღნიშნული „სახელმძღვანელო—მასწავლებელთათვის", განსაკუთრებით ურჩევს იმ მასწავლებელთ, რომელნიც ურთიერთსწავლების ანუ ლანკასტერის მეთოდით მუშაობდნენ. წესდებაში ამას გარდა აღნიშნულია: „მასწავლებელს ყოველთვის უნდა ჰქონდეს მხედველობაში მოსწავლეთა როგორც ასაკი, ისე შეგნების საფეხური (დონე), ხსნიდეს მარტივად და ყველასათვის გასაგებად და, უნდა აქცევდეს რა მეტ ყურადღებას მცირე წარმატების მქონე მოწაფეებს, არ უნდა ივიწყებდეს ამავე დროს ბეჯით მოწაფეებს

სხვათა წაკაქეზებლად“ (29). ამასთან, წესდება ავალებს მასწავლებლებს მიაჩვიონ მოწაფეები დამოუკიდებელ მუშაობას, მსჯელობას, „საკუთარი ჭკუა-გონებით მოქმედებას“ და სასტიკად უკრძალავს „გაკვეთილების უბრალო კარნახს, რომელიც ემსახურება ზეპირად მექანიკურ დასწავლას“ (160).

ამიერკავკასიისა და კავკასიის სასწავლებელთა დებულებები 1829 და 1835 წლებისა „ამიერკავკასიის სასწავლებელთა შესახებ“ და 1848 და 1853 წლებისა „კავკასიის სამოსწავლო ოლქისა და მის უწყებებში შემავალ სასწავლებელთა შესახებ“,—ახალს არაფერს შეიცავენ აღნიშნულ საკითხებზე. მაგალითად, დაწყებით სკოლებში სწავლების მეთოდის შესახებ 1829 და 1835 წწ. დებულებები, იმეორებენ რა 1828 წლის საიმპერიო წესდებას, მოითხოვენ ურთიერთ-სწავლების ანუ ლანკასტერის მეთოდს, ხოლო 1848 წლის წესდება კი მოითხოვს მის გამოყენებას ადგილობრივი ენების შესწავლის დროსაც: „სამაზრო სასწავლებლის პირველსა თუ მოსამზადებელ კლასებში სწავლება უმთავრესად ლანკასტერის მეთოდით უნდა წარმოებდეს და კავკასიის სამოსწავლო ოლქის სკოლების ხელმძღვანელებს ევალებათ განსაკუთრებით იზრუნონ ამ მეთოდის გამოყენებისათვის ადგილობრივი ენების შესასწავლად“ (18). იგივე მეთოდი არის მითითებული სამრევლო სასწავლებელთა მიმართაც (§ 120).

ამგვარად, ზემოაღნიშნულ წესდებასა და დებულებებში უეჭველად ვხედავთ სათანადო პედაგოგიურ-დიდაქტიკურ მითითებებს მასწავლებელთათვის, ბევრ მათგანს საერთოდ დიდი მნიშვნელობა ექნებოდა პედაგოგიური პროცესის რაციონალიზაციისათვის, მაგრამ მთავრობა ამ დოკუმენტებში მხოლოდ მიუთითებდა მასწავლებლებს მათ დანიშნულებას; არსებითად კი ნაკლებად ზრუნავდა იმისათვის, რომ მათ პრაქტიკულად მიეღწიათ ამ დანიშნულებისათვის.

7. მასწავლებელთა მომზადება-დანიშვნის წესი

აღნიშნული პერიოდის საქართველოს სახელმწიფო სკოლების, უმთავრესად საშუალო სკოლების, ძირითადი საგნების მასწავლებლები რუსეთიდან იგზავნებოდნენ. მაგრამ განათლებულ მასწავლებელთაგან ცოტანი იყვნენ აქ წამოსვლის მსურველნი. ამიერკავკასიის გიმნაზიებისა და სამაზრო სკოლების მასწავლებლებს ისეთივე უფლებები და უპირატესობანი ჰქონდათ, როგორიც რუსეთის გიმ-

ნაზიეპისა და სამაზრო სკოლების მასწავლებლებს, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ რუსეთიდან საქართველოში წამოსულიყვნენ მასწავლებლობის საძებრად. XIX ს. 20-იან წლებში ამიერკავკასიის სახაზინო სკოლებში მასწავლებლის თანამდებობაზე იწვევდნენ უკვე რუსეთის სასულიერო სასწავლებელთა და სამხედროთა-ობლების თავშესაფარში აღზრდილ პირებს, მაგრამ არც ასეთები მოისწრაფვოდნენ ამიერკავკასიისაკენ. ამან აიძულა საქართველოს მთავარმართებელი ა. ერმოლოვი მოეთხოვა უმაღლესი მთავრობისაგან რუსეთიდან საქართველოში სამასწავლებლოდ წამომსვლელთათვის მიეცათ XIV კლასის მოხელის ხარისხი, ერთდროული დახმარება 200—300 მანეთამდე ასიგნაციებით, გზის ფული, ბინა და გადიდებული ჯამაგირი. მაგრამ არც ეს ღონისძიება იყო გადამწყვეტი. რუსეთში მომზადებული მასწავლებლები თვითონ რუსეთის სკოლებს არ ჰყოფნიდა, ისე მცირე იყო მათი რიცხვი. მიუხედავად ამისა, ადგილობრივად (საქართველოში) მასწავლებელთა მოსამზადებელი დაწესებულების შექმნაზე არავინ ზრუნავდა. 1829 წლის დებულება „ამიერკავკასიის სასწავლებელთა შესახებ“ აღნიშნავს, რომ „თბილისის გიმნაზიის მასწავლებლები იგზავნება სახალხო განათლების მინისტრის განკარგულებით უნივერსიტეტისა და მთავარი პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა შემადგენლობიდან“.* რაც შეეხებოდა ქართული და თათრული (აზერბაიჯანული) ენების მასწავლებლებს—მათ ირჩევდა გიმნაზიის საბჭო და ამტკიცებდა ადგილობრივ სასწავლებელთა უფროსი. არა მარტო გიმნაზიების, არამედ სამაზრო სასწავლებელთა მასწავლებლების დანიშვნაც კი ამავე წესით ხდებოდა (§ 31) იმ განსხვავებით, რომ თუ გიმნაზიის მასწავლებლებად აუცილებელი იყო რუსეთის რომელიმე უნივერსიტეტისა ან პეტერბურგის მთავარი პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა გამოგზავნა მინისტრის მიერ,—სამაზრო სასწავლებელთათვის ეს აუცილებლობა უპირატესობით ანუ სასურველობით იყო შეცვლილი.

მიუხედავად ამისა, ფაქტიურად კავკასიის გიმნაზიებში ნეტად მცირერიცხოვანი იყო უნივერსიტეტებისა და პეტერბურგის მთავარი პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებული მასწავლებლობა, ხოლო სამაზრო სასწავლებლებში კი ასეთები სრულებით არ მოიპოვებოდნენ. ამიტომ იყო, რომ 1835 წლის დებულებით გიმნაზიე-

* ПСЗ Российской имп., 1829, IV, 571, № 3060; п. 3.

ბის მასწავლებლებად უნივერსიტეტებისა და ხსენებული ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა დანიშვნა მიჩნეულია უკვე არა აუცილებელ, არამედ უპირატეს (§ 16) საქმედ, ხოლო სამაზრო სასწავლებელთათვის ასეთი მასწავლებლების მოწვევა უკვე აღარ არის გათვალისწინებული, როგორც განუხორციელებელი სურვილი.

1848 წლიდან, კავკასიის სასწავლო ოლქის შექმნის გამო სახელმწიფო სკოლების მასწავლებელთა მოწვევა ოლქის მზრუნველის ხელში გადავიდა.

XIX ს. პირველ ნახევარში, როგორც ვწერდით, საქართველოში არ ყოფილა არცერთი სპეციალური პედაგოგიური სასწავლებელი დაწყებითი და საშუალო სკოლების მასწავლებელთა მოსამზადებლად. ხოლო იმ სასწავლებელთაგან, რომლებიც თავის ძირითადი მიზნის პარალელურად, მაგრამ არაპირდაპირი გზით, ამზადებდნენ დაწყებითი სკოლის მასწავლებლებს, შეიძლება მოვიხსენიოთ თბილისის საასულიერო სემინარია და თბილისის გიმნაზია.

თბილისის სემინარიაში 50-იან წლებამდის სპეციალურ პედაგოგიურ დისციპლინებს არ ასწავლიდნენ და, მაშასადამე, მას არ შეეძლო პედაგოგიკური განათლების მქონე კადრების მომზადება, მაგრამ რამდენადაც ამ სასწავლებელში კურსდამთავრებულნი, თავისი სპეციალური პროფესიის (მღვდლობის) პარალელურად, ძალიან ხშირად ასრულებდნენ სასულიერო სასწავლებელთა და ეკლესია-მონასტრებთან არსებული სკოლების მასწავლებლობას,—იმდენად მხოლოდ, შეგვიძლია ვილაპარაკოთ თბილისის სემინარიაზე, როგორც დაწყებითი სკოლის მასწავლებელთა მოსაამზადებელ დაწესებულებაზე XIX ს. პირველ ნახევარში.

ასევე უნდა ითქვას თბილისის გიმნაზიის შესახებაც. გიმნაზიის კურსდამთავრებულ ახალგაზრდებსაც უხდებოდათ დაწყებით (სამაზრო სასწავლებლებსა და გიმნაზიის პირველ კლასში) მასწავლებლობა. არც მათ გააჩნდათ რაიმე სპეციალური პედაგოგიური განათლება. მართალია, 1848 წლის დებულებით, თბილისის და სტავროპოლის გიმნაზიებთან გათვალისწინებული იყო საპედაგოგიო კლასი, ორი განყოფილებით, გიმნაზიის კურსდამთავრებულთა მოსამზადებლად გიმნაზიის დაბალი კლასებისა და სამაზრო სკოლების მასწავლებლობისა და შინამასწავლებლობისათვის (§ 57), მაგრამ თბილისის გიმნაზიასთან ასეთი კლასი ფაქტიურად არ გახსნილა.*

* საქ. ცენტ. არქ., ფ. 423, ს. 270, 63.

სტავროპოლის სპეციალური საპედაგოგიო კლასის პირველ განყოფილებაში ასწავლიდნენ იმ საგნების გაფართოებულ კურსს, რომლებიც მათ უნდა ესწავლებინათ, ასწავლიდნენ აგრეთვე პედაგოგიკასა და დიდაქტიკას (დიდაქტიკაში გულისხმობდნენ კერძო მეთოდიკებს). მეორე განყოფილებაში საპედაგოგიო კლასის მსმენელები ეწეოდნენ პრაქტიკულ-მეთოდურ მუშაობას: აძლევდნენ პრაქტიკულ (სავარჯიშო) გაკვეთილებს გიმნაზიის დაბალ კლასებში.

საქართველოსა და კავკასიის საშუალო სკოლებისათვის მასწავლებელთა მცირეოდენ რიცხვს ამზადებდნენ აგრეთვე რუსეთის უნივერსიტეტებსა და პეტერბურგის მთავარ პედაგოგიურ ინსტიტუტში. როგორც ვიცით, ჯერ კიდევ 1835 წლის დებულება ითვალისწინებდა თბილისის გიმნაზიის კურსდამთავრებულთაგან ყოველწლიურად ხუთიოდე ახალგაზრდა სტიპენდიანტის გზავნას მოსკოვისა და პეტერბურგის უნივერსიტეტებში (§ 80), მაგრამ 40-იანი წლების მეორე ნახევრიდან ეს პრაქტიკა უფრო გაფართოვდა, სტიპენდიანტთა რიცხვი გაიზარდა. 1849 წლის დებულებით „რუსეთის უმაღლეს და სპეციალურ სასწავლებლებში კავკასიის და ამიერკავკასიის მკვიდრთა აღზრდის შესახებ“ — პეტერბურგის მთავარ პედაგოგიურ ინსტიტუტში კავკასიელ სტიპენდიანტთათვის გათვალისწინებული იყო 10 ადგილი, აქედან 5 ადგილობრივთათვის და 5 კავკასიაში მცხოვრებ რუსთათვის; ამას გარდა, პეტერბურგისა და მოსკოვის უნივერსიტეტებში კავკასიელთათვის გათვალისწინებული იყო 40 ადგილი (გარდა საქიმო ფაკულტეტისა) და მოსკოვის ლაზარევის სახელობის აღმოსავლეთ ენათა ინსტიტუტში 20 ადგილი. ამ ადგილთა უმრავლესობას მომავალი პედაგოგები იკერდნენ.

მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში საქართველოს ძალიან მცირერიცხოვანი სასწავლებლებიც კი მძაფრად განიცდიდნენ მასწავლებელთა ნაკლებობას. ზემოხსენებული დებულებებით გათვალისწინებული ზოგიერთი სკოლა, როგორც აღვნიშნეთ, არ იხსნებოდა ან ძალიან გვიან, და ეს, პირველ ყოვლისა, ხდებოდა მასწავლებელთა უყოლობის გამო (შენობის უქონლობაც უშლიდა მას ხელს, მაგრამ მთავარ მიზეზს პირველი წარმოადგენდა). ამას გარდა, არსებულ სასწავლებლებში მთელი რიგი საგნებისა არ ისწავლებოდა იმავე მიზეზის გამო. იყო შემთხვევებიც, როცა ამა თუ იმ საშუალო სასწავლებლის უფროსი კლასის მოწაფეები ასრულებდნენ მასწავლებლის მო-

ვალეობას იმავე სასწავლებლის უმცროს კლასებში.* არც სასოფლო სამრევლო სკოლები იყვნენ უზრუნველყოფილი მასწავლებლებით. აქ ხშირად ასწავლიდნენ უცენზო, საშინაო განათლების მქონე პირები, მაგრამ იმდენად დიდი იყო მოთხოვნილება მასწავლებლებზე, რომ მხოლოდ წერა-კითხვის მცოდნე პირებიც კი გამოსადეგად გრძნობდნენ თავს პედაგოგიურ ასპარეზზე.**

8. მასწავლებელთა უფლებრივ-მაჰვრიალური პირობები

ამიერკავკასიის მასწავლებელთა და სასწავლებელთა ხარჯთაღრიცხვის მტკიცე ცხრილი პირველად განისაზღვრა ამიერკავკასიის სასწავლებელთა 1829 წლის შტატით, რომელიც დამტკიცებულ იქნა ამავე წლის დებულების მიღებასთან დაკავშირებით. მაგრამ, სანამ ამ შტატს შეეხებოდეთ, საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ამიერკავკასიის 1829—1835 წლებისა და კავკასიის სასწავლო ოლქის 1848 წლის დებულებათა მიხედვით, ამიერკავკასიის სახელმწიფო სასწავლებელთა მასწავლებლები იყოფოდნენ უ ფ რ ო ს და უ მ ც რ ო ს მასწავლებლებად. უფროს მასწავლებლებად ითვლებოდნენ ძირითად „მეცნიერებათა“, რუსული ენისა და სიტყვიერების და ლათინური ენის მასწავლებლები.***

გეოგრაფიის, რუსული გრამატიკის,**** ქართული, გერმანული, ფრანგული და თათრული (აზერბაიჯანული) ენების, ხატვა-ხაზვის და სუფთაწერის მასწავლებლები კი, მაშასადამე, უმცროს მასწავლებელთა რანგს ეკუთვნოდნენ. მაგრამ, შემდეგ პერიოდში, განათ-

---

* მაგალითად, 1823 წელს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის უფროსი კლასის მოწაფე ღ ა მ ბ ა რ ა შ ვ ი ლ ი (გამბაროვი) დაინიშნა ამავე სასწავლებლის პირველი კლასის ქართული და რუსული ენების მასწავლებლად (Акты, V, 139).

** 1852 წელს სახელმწიფო ყმა, სოფ. ორტაევიდან, თომა ჩ ო ჩ ი შ ვ ი ლ ი, რომელმაც მხედრული წერა-კითხვა შინ ისწავლა, სთხოვდა საქ. ეგზარხოსს მიეცა მისთვის უფლება ხელმეორედ გაეხსნა სკოლა სოფ. როკაში, ოსეთში (Ц. А. Э. Груз. экз., ф. 139, № 1610S, 1—2).

*** თბილისის გიმნაზიის სპეციალური კლასების ფრანგული, ქართული და თათრული (აზერბაიჯ.) ენების მასწავლებლებიც უფროს მასწავლებლებად ითვლებოდნენ.

**** რუსულ გრამატიკას, 1829 წლის დებულების მიხედვით, ცალკე საგნად სწავლიდნენ და რუსული ენისა და სიტყვიერებისაგან გამოყოფილად ასწავლიდნენ მაგრამ ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა.

ლების ცენზის მიხედვით, მათ შორისაც იყო განსხვავება ხელფასის ოდენობის მხრივ.

უმცროს მასწავლებლებად ითვლებოდნენ აგრეთვე ე. წ. მეორე ანუ სათადარიგო მასწავლებლები.

ეს გარემოება თავის გამოხატულებას, ცხადია, ნახულობდა ხელფასის ცხრილში, საშტატო განრიგებაში.

გადავხედოთ ჯერ 1829 წლის შტატს:

„ამიერკავკასიის სასწავლებელთა შტატი“.*
1829 წლის 2 აგვისტო

სად, სახელდობრ	გასავლის მუხლები	მანეთები (ასიგნაციებით)	
		ერთს	სულ
გიმნაზია ტფილისში	დირექტორს . .	3.500	3.500
	ინსპექტორს .	3.000	3.000
	ოთხ უფროს მასწავლებელს .	2.500	10,000
	საღვთო სჯულის მასწავლებელს .	1.400	1.400
	უმცროს მასწავლებლებს, სახელდობრ:		
	1. რუსული გრამატიკის და გეოგრაფიის,		
	2. ქართულის, 3. გერმანულის, 4. ფრანგული ენების . .	1.600	6.400
	5. თათრული ენის მასწავლებელს . .	1.100	1.100
	ხატვის, ხაზვის და სუფთაწერის მასწავლებელს .	1.100	1.100
	პირველი ანუ მოსამზადებელი ჯგუფის მასწავლებელს . .	1.400	1.400
	კანცელარიის მოსამსახურეებს:		
	ერთს, უფროსი თანრიგისას .	800	800
	მეორეს, უმცროსი თანრიგისას . . .	300	300

* ПСЗРИ, IV, № 3060, 571, 1829.

სად, სახელ-დობრ	გასაელის მუხლები	მანეთები (ასიგნაციებით)	
		ერთს	სულ
	მასვე ულუფის და ტანთსაცმლის .	—	100
	ბიბლიოთეკისა და ხელსაწყოსათვის . .	—	1.000
	მოწაფეებს საჩუქრად .	—	150
	სამგზავრო, სასწავლებელთა დასათვალიერებლად .	—	1.200
	საკანცელარიო, ნივთებისათვის .	—	250
	სახლის, დაბალ მოსამსახურეთა და სხვა ხარჯებისათვის	—	3.000
			34.700
მასთან პანსიონი	40 სახაზინო ხარჯზე მყოფ მოწაფეთათვის .	450	18.
	სამ ზედამხედველს .	1.000	3.000
	სახლის, მოსამსახურეთა და სხვა ხარჯებისათვის		3000
			21.000
	სულ ტფილისის გიმნაზიაზე, პანსიონით		58.700
	გარეშე ამისა ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებლის გიმნაზიად გადასაკეთებლად .		3.000
სამაზრო სასწავლებლები, ყველგან ამიერკავკასიაში	პირველი და მეორე კლასის მასწავლებებს	1.000	2.000
	მათგანში ერთ-ერთს, ზედამხედველის მოვალეობის ამსრულებელს, დამატებით	—	250
	საღვთო სჯულისა და ამავე დროს ადგილობრივი ენის მასწავლებელს .	600	600
	მოწაფეებს საჩუქრისათვის . .	—	50

სად, სახელ-დობრ	გასავლის მუხლები	მ.ნეთები (ასიგნაციებით)	
		ერთს	სულ
	ბიბლიოთეკისა და სასწავლო ნივთებისათვის . .	—	150
	ბინის ქირა, მოსამსახურე და სხვა ხარჯები .	—	750
	სულ ერთ სასწავლებელზე .		3.800
	ყველა 20 სასწავლებელზე . .		76.000
	ამოიგად გიმნაზიაზე პანსიონით და სასწავლებლებზე ყოველწლიურად . .		134.700
	და ერთდროულად .		3.000

ხელფასებს გარდა, რუსეთის 1828 წლის დებულებით, გიმნაზიების დირექტორები, ინსპექტორები, მასწავლებლები და პანსიონების ზედამხედველნი, აგრეთვე სამაზრო სასწავლებელთა შტატის ზედამხედველნი და მასწავლებლები 20 წლის სამსახურის შემდეგ ღებულობდნენ პენსიას ხელფასის ნახევრის ოდენობით, ხოლო 25 წლის სამსახურის შემდეგ—ხელფასის მთელი ოდენობით (§ 295). უკეთუ 25 წელზე მეტს იმსახურებდნენ—პენსიაც, სათანადოდ, ემატებოდათ (§ 296). აღნიშნული თანამდებობის პირთა სიკვდილის შემთხვევებში უფლება დახმარების და პენსიის მიღებისა რჩებოდათ მათ ქვრივებს: ქვრივებს, რომელთა ქმრები კვდებოდნენ სამსახურში 20 წლის შესრულებამდე, ეძლეოდა ერთდროული დახმარება ქმრის წლიური ჯამაგირის ოდენობით, ხოლო ქვრივებს, რომელთა ქმრებიც კვდებოდნენ სამსახურში 20 წელსა და მეტ ხანს ყოფნის შემდეგ, ეძლეოდათ მათი ქმრებისათვის განკუთვნილი პენსია (§ 298).

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოსა და ამიერკავკასიის სახაზინო სკოლების მასწავლებლები სარგებლობდნენ იმავე უფლებებით, როგორითაც რუსეთის სახელმწიფო სკოლების მასწავლებლები, მაგრამ ამიერკავკასიის სასწავლებელთა 1829 წლის დებულებით, გარდა ამისა საქართველოში და სომხეთის ოლქის სასწავლო უწყებაში დანიშნულ მოხელეებს მინიჭებული ჰქონდათ ჩინის მიღებაში იგივე უპირატე-

სობა, როგორც საერთოდ იქ გაწესებულ სამოქალაქო სამსახურის მოხელეებს; მასწავლებლებს, რომლებიც იმსახურებენ ამ მხარეში არა ნაკლებ ექვსი წლისა, პენსიის მისაღებად სასწავლო დარგში განკუთვნილი ვადა უმცირდებოდათ ხუთი წლით როგორც მათ, ისე მათი ოჯახის წევრებს (§ 46).

ამასთან, საქართველოში და სომხეთის ოლქში რუსეთიდან გამოწესებულ მასწავლებლებს, სამგზავრო ფულის გარდა, ეძლეოდათ ერთი თვის ხელფასი აუნაზღაურებლად (§ 47).

სახელმწიფო სასწავლებელთა მასწავლებლები სარგებლობდნენ აგრეთვე სახელმწიფო მოხელეთათვის განკუთვნილი ხარისხებით.

გიმნაზიის დირექტორს ენიჭებოდა VII, ხოლო ინსპექტორს VIII კლასის სახელმწიფო მოხელის ხარისხი. გიმნაზიის უფროს მასწავლებლებს ენიჭებოდათ IX კლასის ხარისხი, უმცროსებს X-სა, ხოლო ხატვა-ხაზვის მასწავლებლებს კი—XII კლასისა.

სამაზრო სასწავლებელთა მასწავლებლებს ენიჭებოდათ XII კლასის ხარისხი, გარდა ხატვის მასწავლებლებისა, რომლებიც XIV კლასის მოხელეებს წარმოადგენდნენ.

საერო (სახელმწიფო) საშრევლო სასწავლებელთა მასწავლებლები სარგებლობდნენ XIV კლასის მოხელეთა (ჩინოვნიკთა) ხარისხით, სანამ სამსახურში იმყოფებოდნენ, ხოლო 12 წლის „გულმოდგინე და წესიერი სამსახურის“ შემდეგ ეს ხარისხი რჩებოდათ სასწავლებლიდან განთავისუფლების შემდეგაც (§ 35).

უკეთუ დირექტორს ან მასწავლებლებს სასწავლებელში დანიშვნამდე უფრო მაღალი კლასის ხარისხი ჰქონდა—ეს ხარისხი მას რჩებოდა სასწავლებელში სამსახურის დროსაც.

1829 წელს დაწესებული ხელფასები დიდხანს არ შეცვლილა. მაგრამ 1840—1843 წლებში მოხდარმა ფულის რეფორმამ და აგრეთვე იმ გარემოებამ, რომ ამიერკავკასიის ყველა ადგილას, ცხოვრების პირობების სხვადასხვაობის გამო, ერთნაირი ოდენობის ხელფასის არსებობა არ მიიჩნიეს მიზანშეწონილად—1848 წელს, ახალ დებულებასთან დაკავშირებით, დამტკიცებულ იქნა ახალი შტატი და გიმნაზიის მასწავლებელთათვის ხელფასებიც დიფერენცირებულ იქნა საცხოვრებელი (სამსახურის) ადგილის მიხედვით.

კავკასიის სასწავლო ოლქის 1848 წლის 18 დეკემბერს დამტკიცებული შტატი ითვალისწინებდა წლიურად (ვერცხლის მანეთებით):

თანამდებობა	ადგილი	ხელ-ფასი	ხარჯე-ბის	ბინის	სულ
გიმნაზიის დირექტორი	თბილისის	1200	360	360	1920 მან.
	ქუთაისის	1000	300	300	1600 „
გიმნაზიის ინსპექტორი	თბილისის	900	350	სახაზ. ბინა	1250 „
	ქუთაისის	900	250	სახაზ. ბინა	1150 „
საღვთო სჯულის მასწავლებელი (უფროსი, მართლმ. სარწმ.)	თბილისის გიმნაზიაში	800	—	240	1040 „
	ქუთაისის გიმნაზიაში	500	—	150	650 „
უფროსი მასწავლებლები მეცნიერებათა	თბილისის გიმნაზიაში	800	—	240	1040 „
	ქუთაისის გიმნაზიაში	700	—	210	910 „
უფროსი მასწავლებლები ენებისა	თბილისის გიმნაზიაში	700	—	210	910 „
	ქუთაისის გიმნაზიაში	500	—	150	650 „
უმცროსი მასწავლებლები მეცნიერებათა	თბილისის გიმნაზიაში	600	—	180	780 „
	ქუთაისის გიმნაზიაში	500	—	150	650 „
უმცროსი მასწავლებლები—ენების, ხატვა-ხაზვისა და სამოქ. არქიტექტ.	თბილისის გიმნაზიაში	500	—	150	650 „
	ქუთაისის გიმნაზიაში	400	—	120	520 „

სამაზრო სასწავლებელთა მასწავლებლებს:

თანამდებობა	ადგილი	ხელფასი	ბინის	სულ
ზედამხედველი .	ყველგან	700 მან.	სახაზინო ბინა	700 მან.
მასწავლებლები: რუსული ენის, არითმეტიკის, გეოგრაფიის, საკანც. საქმის და სუფთაწერის	ყველგან	400	სახაზინო ბინა ან 120 მან.	400 „ 120 „
მასწავლებლები საღვთო სჯულისა და ქართული ენისა . .	ყველგან	200	—	200 „

სამრევლო სკოლის მასწავლებლებს ეძლეოდათ 200 მანეთიდან 250 მანეთამდე წელიწადში, მათი სამსახურის ადგილის მიხედვით.

1848 წლის დებულებით კავკასიის ოლქის სამმართველოს და თბილისისა და ქუთაისის დირექციების მთელი შტატი შედგებოდა 158 კაცისაგან. აქედან ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი შეადგენდა 30, დანარჩენი (128) კი პედაგოგიურ პერსონალს. ცალკე ერთეულების მიხედვით:

დაწესებულება	ადმინისტ. ტექნ. პერ.	პედაგ. პერსონ.	სულ.
ოლქის სამმართველო .	15 კაცი	—	15 კაცი
თბილისის დირექცია .	8	92	100 „
ქუთაისის დირექცია . .	7 „	36	43 „

პედაგოგიურ პერსონალში ნაგულისხმევია აგრეთვე გიმნაზიების ინსპექტორები და სამაზრო სასწავლებელთა ზედამხედველები, რომლებიც პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდნენ.

როგორი იყო კავკასიის სასწავლო ოლქის შტატისა და მასწავლებელთა ხელფასის ზრდა 20 წლის განმავლობაში, 1829 წლის დებულების მიღებიდან 1848 წლის დებულების დამტკიცებამდე?

1829 წლის დებულებით ამიერკავკასიის სასწავლებელთა შტატი განისაზღვრებოდა 90 კაცით. აქედან 3 შეადგენდა ადმ. ტექნ. პერსონალს (ერთი ამიერკავკ. სასწავლებელთა დირექტორი, რომელიც ამავე დროს იყო თბილისის გიმნაზიის დირექტორიც, და 2—კანცელარიის მოხელე), დანარჩენი 87 კი პედაგოგიურ პერსონალს წარმოადგენდა (მათ შორის 4 ზედამხედველი თბილისის გიმნაზიის პანსიონისა). ამგვარად, ამ ციფრების შედარება 1848 წლის თბილისისა და ქუთაისის დირექციის ანუ მთელი ამიერკავკასიის სასწავლებლების შტატის ციფრებთან გვაძლევს:

წლები	ადმინ.-ტექნ. პერსონალი ოდენობა	პედაგოგ. პერსონალი ოდენობა	სულ	მომატება გამოიხატა		
1829 წელს	3	87	90	ადმინ.-ტექნ. პერსონ.	პედაგოგ. პერსონალისა	სულ
1849 წელს	15	128	143	12	41	53

მოყვანილი ციფრებიდან საშუალება გვაქვს გამოვყოთ საკუთრივ საქართველოს ტერიტორიაზე მომუშავე პედაგოგიური პერსონალის ზრდის მაჩვენებელი ციფრებიც.

ზემოხსენებულ დებულებათაგან ვიცით, სად რა ტიპის და რამდენი სკოლა იყო გახსნილი ამიერკავკასიის ტერიტორიაზე, რამდენი მასწავლებელი ჰყავდა თითოეულ ამ სკოლას. საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ოფიციალურ, ე. ი. სახაზინო (გიმნაზია, სამაზრო) სკოლებში 1835 წლის დებულების მიხედვით ირიცხებოდა 56 მასწავლებელი (მათ შორის 4 ზედამხედველი თბილისის გიმნაზიის პანსიონისა), ხოლო 1848 წლის დებულებით საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სახაზინო სასწავლებელთა (გიმნაზიები, სამაზრო და საერო-სამრევლო სკოლები) შტატში გათვალისწინებულია 104 მასწავლებელი (მათ შორის 4 ზედამხედველი თბილისისა და 3 ქუთაისის გიმნაზიასთან არსებულ პანსიონებისა).

ერთი შეხედვით თვალსაჩინოა განსხვავება. მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ 1849 წლიდან საქართველოს პედაგოგიური პერსონალის გადიდება 48 კაცით გამოიწვია უმთავრესად ორმა

ახალმა საშუალო სასწავლებელმა: თბილისის კომერციული გიმნაზიისა და ქუთაისის გიმნაზიის დაარსებამ (20-მდე ერთეული) და თბილისის გიმნაზიის შტატის გადიდებამ, პარალელური განყოფილებების გახსნის გამო (10—12 ერთეულით), ნათელი გახდება, რამცირეოდენი რიცხვით (15—16) არის გადიდებული 20 წლის მანძილზე საქართველოს სახელმწიფო—საერო, სამაზრო და სამრევლო სკოლების მასწავლებელთა რიცხვი, იმ სკოლებისა, რომლებიც უფრო ახლოს იყვნენ ხალხთან, ვიდრე გიმნაზიები.

აღნიშნული 20 წელი (1829—1849) არის საქართველოს ახალი ისტორიის ერთ-ერთი მეტად რთული პერიოდი საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში მომხდარი დიდი გარდატეხით, რომელზეც ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი. დიდი იყო ამ პერიოდში ხალხის ლტოლვა განათლებისაკენ და ამ დროს ასეთი უმნიშვნელო გადიდება პედაგოგიური პერსონალისა, რაც ამავე პერიოდის ოფიციალური სკოლების ქსელის ასევე უმნიშვნელო ზრდის მაჩვენებელია, ერთხელ კიდევ ცხად ჰყოფს მეფის მთავრობის პოლიტიკას საერთოდ და განსაკუთრებით კი „ინოროდცების“ განათლების მიმართ.

უმნიშვნელოდ გაიზარდა აღნიშნულ პერიოდში მასწავლებელთა ხელფასიც. 1829 წლის შტატით ხელფასი გათვალისწინებული იყო ასიგნაციებით. ხოლო 1 მანეთი ასიგნაციით დაახლოებით უდრიდა 30 კაპიკს ვერცხლით.* ეს უნდა გვქონდეს მხედველობაში ქვემორე ციფრების შედარებისას:

თანამდებობა	წლიური ხელფასი 1829 წელს		წლიური ხელფასი 1849 წელს ვერცხ. მან-ებით	
	ასიგნაციებით	პარიტეტი ვერცხ. მანეთებში	თბილისში	ქუთაისში
გიმნაზიის დირექტორს	1500 ბ.	1050 მ.	1920 მ.	1600 მ.
გიმნაზიის ეფროს მასწავლებლებს	2500 მ.	750 მ.	1040 მ	910 მ.
გიმნაზიის უმცროს მასწავლებლებს	1600 მ.	480 მ.	780 მ.	650 მ.
სამაზრო სასწავლებელთა ძირითად მასწავლებლებს . . .	1000 მ.	300 მ.	520 მ.	ყველგან
სამაზრო სასწავლებელთა ქ. ენისა და სხვა ადგილობრივ ენების მასწავლებლებს	600 მ.	180 მ.	200 მ.	ყველგან

* 1840—43 წლის ფულის რეფორმით 1 საკრედიტო მანეთი ღირდა 3½ მანეთი ასიგნაციით.

. როგორც ვხედავთ, ყველაზე მცირე მომატება. ხვდა სამაზრო სასწავლებელთა ქართული და სხვა ადგილობრივი ენების მასწავლებლებს, რომლებიც ძალიან ხშირად საღვთო სჯულსაც ასწავლიდნენ, როგორც სასულიერო პირები. ამით ხელისუფლებას სურდა დაეცა საქართველოს სკოლებში ძმობლიური ენის ავტორიტეტი მორალურად და მოესპო მისი სწავლების ინტერესი მატერიალურად.

სასულიერო სასწავლებელთა ხელმძღვანელებსა და მასწავლებლებს ხელფასი უფრო მცირე ოდენობისა ჰქონდათ, ვიდრე სახელმწიფო სასწავლებელთა ხელმძღვანელებსა და მასწავლებლებს. განსხვავება შესატყვის სახელმწიფო და სასულიერო სასწავლებელთა (გიმნაზია—სასულიერო სემინარია, სამაზრო საერო სასწავლებელი—სამაზრო სასულიერო სასწავლებელი) მასწავლებლების ხელფასს შორის უდრიდა 10-დან—20%-მდე. პენსიებისა და შეღავათების მხრივაც იჩაგრებოდნენ სასულიერო სასწავლებელთა მასწავლებლები. ასე, მაგალითად, თბილისის სემინარიის მასწავლებლები 1824 წლამდე არ სარგებლობდნენ რუსეთიდან საქართველოს სამოქალაქო სამსახურში გამოწესებულ მოხელეთათვის განკუთვნილი შეღავათებით (1803 წ. 19 დეკემბრის კანონი): არც ჩინისა და პენსიის მიღების უფლებით, არც საგზაო ხარჯებით და არც ერთდროული დახმარებით. სასულიერო სასწავლებელთა ქართველი მასწავლებლები არც აღნიშნული წლის შემდეგ გაუთანასწორებიათ სახელმწიფო სასწავლებელთა მასწავლებლებისათვის. მათ არ ეძლეოდათ ერთდროული დახმარება, ხოლო ჩინზე და პენსიაზე წარდგენის ვადები ნახევარჯერ აღემატებოდა რუს მასწავლებელთათვის დაწესებულ ვადებს.

—

სულ სხვაგვარი და თავისებური იყო კერძო, საშინაო და საეკლესიო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურება. კერძო სკოლების და პანსიონების მასწავლებლები სპეციალური შეთანხმებით ან ხელშეკრულებით იყენენ დამოკიდებული სკოლის (პანსიონის) შემნახველ-პატრონებთან, რომლებიც, როგორც წესი, უფრო ნაკლებ ხელფასს აძლევდნენ მათ, ვიდრე ეძლეოდა სახელმწიფო ან სასულიერო სასწავლებელთა მასწავლებლებს. პენსიები და სხვა შეღავათები მათთვის არ არსებობდა.

საშინაო და საეკლესიო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურება წარმოებდა თვით მოსწავლეთა მიერ ნატურით. ეს

წესი ძველთაგან მოდიოდა. მაგალითად, ვახტანგის კანონები აწესებენ სათანადო ნატურალურ გამოსაღებს მასწავლებელთა სასარგებლოდ, მაგრამ ეხლოლოდ შეძლებულ მოწაფეთაგან. XIX საუკუნის პირველ ნახევარში იგივე წესი არსებობს, მაგრამ არა როგორც იურიდიული ნორმა, არამედ როგორც მორალური, ხალხური წესი.

ერთ ასეთ ტიპურ მაგალითს XIX ს. 40—50-წლებიდან ეხება ამავე პერიოდის საზოგადო მოღვაწე, ლიტერატორი, შემდეგ გაზ. „კავკაზ"-ის რედაქტორი ნ. ბერძენიშვილი (ბერძენოვი).

„წერა-კითხვის უეჭველად შესწავლის მხურვალე სურვილის მქონე პირები... მიებარებოდნენ ხოლმე—ვინმე დიაკონს, რომელიც იწყებდა იმით, რომ აძლევდა მათ ხელში რუხი, სქელი ქაღალდის ნაგლეჯს, რომელზეც ავად თუ კარგად ეწერა ანბანი (ბეჭდური ხომ ხსენებაშიც კი არ იყო),* ე. ი. ქართული ალფაბეტის 37 ასო, ხოლო მას უშუალოდ მისდევდა შემდეგი ორიგინალური შინაარსის ლოცვა: „ქრისტე მაცხოვარო, წარმართე სწავლა ამა-და-ამის საკეთილდღეოდ, რომ გაქებდეს და გადიდებდეს შენ და გემსახურებოდეს შენ. მიეცი მას შენი შიში და გაუხსენი მეხსიერება, რომ წერა-კითხვა ისწავლოს და შემდეგ არ დაივიწყოს თავისი დამრიგებელი და ყოველ შაბათს ცხადდებოდეს მასთან ძღვენით—ამინ".

რაში გამოიხატებოდა ეს ძღვენი და კმაყოფილდებოდა თუ არა ამით მასწავლებელი? ნ. ბერძენიშვილი აგრძელებს:

„გარდა ყოველკვირეული ძღვენისა, რომელიც შედგებოდა პურისა, ყველისა და მწვანილისაგან, მოწაფის შეძლების მიხედვით, უკანასკნელი ცხადდებოდა მასწავლებელთან ახალ წელს და აღდგომას კიდევ უფრო განსაკუთრებული მისალოცით, რასაც ერთვოდა ორაბაზიანებით მორჭობილი ვაშლი, ცხვარი და ღიპიანი დოქით ღვინო.

ასეთი მძიმე გარემოებით იყო განაპირობებული უბრალო ხალხის განათლება ჩვენ დრომდე, გარდა მეტად იშვიათი გამონაკლისისა".**

---

* ავტორი სცდება. ბეჭდური ქართული ანბანი საქართველოში XVIII ს. დასაწყისიდან იხმარება. თუმცა მის პარალელურად ხელნაწერილი ანბანიც ვრცელდებოდა—გ. თ.

** „Кавказ", 1862, № 53.

როგორ და რა მეთოდით ასწავლიდნენ ეს მთავარ-დიაკონები— ამას სხვა ალაგას ვეხებით. მხოლოდ ეს კი უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა ასეთი მასწავლებელი ცდილობდა ბავშვს ისე გაეტეხა თვალი კითხვაში, რომ ზემომოყვანილი ლოცვის უკანასკნელი წინადადება მაინც გარკვეულად წაეკითხა და არ დავიწყებოდა.

არსებითად ასეთივე იყო ქალთა საშინაო სკოლის მასწავლებელთა შრომის ანაზღაურებაც, მაგრამ არა ყოველთვის და ყველგან.

უფრო ხშირად კი საშინაო სკოლის „კურსდამთავრებულ“ ქალთათვის დაწესებული იყო საოსტატო ფული, რასაც მხოლოდ გათხოვებისას უხდიდა მისი საქმრო საცოლეს ოსტატს.

სოფრომ მგალობლიშვილის ხსენებული მოთხრობის („წარსულიდან“) ერთ პერსონაჟს, ეფროსინეს, „წესად დადგენილი ჰქონდა, რომ იმ ქალიშვილს, რომელსაც იმასთან ჰქონდა სწავლა გათავებული, უიმისოდ ვერ გაათხოვებდნენ; ჯერ იმისათვის უნდა ბიეტანათ საოსტატო და შემდეგ დალოცავდა და ჯვარს დასწერდნენ: გლეხკაცობა, განსაკუთრებით შეძლებული გლეხკაცობა ეტანებოდა ამისთანა ნასწავლ-ქალიშვილებსა, რომლებსაც ამასთან მზითევში უთუოდ ქარგა უნდა გაჰყოლოდათ. ქორწინების წლოვანებამდის სწავლობდნენ ეფროსინესთან გოგოები; სწავლაში არას აძლევდნენ. ხხოლოდ ძღვენს მიართმევდნენ ხოლმე შობა-ახალწელიწადს და ნათლიღება-აღდგომასა; ამას გარდა, რაც კი რამ გაუჩნდებოდათ სახლში შეგირდების მშობლებს: ახალი ლობიო, ახალი კიტრი, ვარიები, კარაქი, თაფლის პურები, არ მოაკლებდნენ ხოლმე ეფროსინესა. ეს იყო მაგისი სასყიდელი სწავლებისათვის“.*

—

XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს სახელმწიფო და სასულიერო სასწავლებელთა მასწავლებლობის უმრავლესობა ზოგადი და პედაგოგიური განათლებით არ შეეფარდებოდა თავის მაღალ დანიშნულებას. მისი ჩამორჩენილობა ხელს უწყობდა საქართველოს სკოლებში სწავლების დოგმატური მეთოდების და მკაცრი, პოლიციური, მოსწავლეთა ადამიანური ღირსების დამამცირებელი რეჟიმის ბატონობას მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში.

მოწინავე მასწავლებელთა ცალკეული ცდები აღზრდა-განათლების ახალი მეთოდების შემოღებისა და აღზრდის ახალი ფორმების.

* „მოამბე“, 1899, № 8, 138.

გამოყენებისა ,ყისვე იკვეთებოდა სასწავლო-ადმინისტრატიული ორგანოების უხეში ჩარევით; მასწავლებელთაგან მოითხოვდნენ უსიტყვოდ ეხელმძღვანელათ და გაეტარებიათ პრაქტიკაში კავკასიის სასწავლო ოლქის ბზრუნველის და მისი ხელქვეევითი ორგანოებისა და პირების ინსტრუქციები და განკარგულებანი სასწავლო რეჟიმისა და მეთოდების შესახებ. მოწინავე მასწავლებელთა ყოველი ინიციატივა და თაოსნობა სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის რაციონალიზაციის და თავიანთი გამოცდილების განზოგადოების საქმეში ითვლებოდა ანტისახელმწიფოებრივი ხასიათის აქტად და იდევნებოდა ისე, როგორც ყოველი ახალი და გაბედული ნაბიჯი ნიკოლოზ პირველის სუსხიანი რეაქციისა და, საერთოდ, რევოლუციამდელ პერიოდში.

მასწავლებელთა უფლებრივ-მატერიალური და მორალური მდგომარეობა XIX ს. პირველ ნახევარში იყო ისევე შეზღუდული და სავალალო, როგორც შემდეგ, როდესაც ყველასათვის აშკარა გახდა მეფის „მთავრობის უაღრესად დაუდევარი, უაღრესად ურცხვი და უაღრესად საზიზღარი თვითნებობა მასწავლებლებთან დამოკიდებულებაში“ (ლენინი).

IV. ხალხური სწავლა-აღზრდის ძველი წესები

მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის მთელს მანძილზე კვლავ მიმართავდნენ ჩვენში ბავშვთა აღზრდის ძველ, ხალხურ წესებს, კვლავ ძალაში რჩებოდა ძველი ტრადიცია-ჩვეულებანი სწავლა-აღზრდის დარგში. ეს წესები და ტრადიცია-ჩვეულებები პირვანდელ სახეს აღარ ატარებდნენ. მხოლოდ შორეული და ახლო გადმონაშთების სახით ვხვდებით მათ აღნიშნულ პერიოდში და აქ იმდენად ვლაპარაკობთ მათზე, რამდენადაც ისინი ამ პერიოდის ხალხურ პედაგოგიკასაც ახასიათებდნენ როგორც ფიზიკური და ზნეობრივი აღზრდის, ისე წერა-კითხვის სწავლების მხრივ.

1. ფიზიკური აღზრდის წესები

ქართველი ბავშვის ფიზიკური აღზრდის დარგში მე-19 ს. პირველი ნახევრის მანძილზე ახალი არსებითად არაფერი გვხვდება. საერთოდ ცნობილია, რომ ფიზიკური აღზრდის ფორმები ძალიან კონსერვატულია. ძველი ეპოქის სპარტანული აღზრდა, არსებითად ვერ შესცვალა შუასაუკუნეების რაინდულმა აღზრდამ და ახალ საუკუნეებშიც კვლავ მოწოდების საქმედ რჩებოდა. ხოლო ძველი რომაელი მწერლის, ი უ ვ ე ნ ა ლ ი ს ლოზუნგი: „Ut sit mens sana in corpore sano" (ჯანსაღი სული უ ნ დ ა ი ყ ო ს ჯანსაღ სხეულში),* ახლაც საბრძოლო მოწოდებაა ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის საქმეში.

ფიზიკური აღზრდა ყველასათვის და ყველგან დაკავშირებული იყო შრომის პროცესთან და სამხედრო მომზადებასთან; ძირითადი გარდატეხა შრომის პროცესში და სამხედრო მომზადების ტექნი-

---

* დ ა ბ ა რ ა ჯ ო ნ ლ ო კ ი ს მიერ შემოკლებული „mens sana in corpore sano" (ჯანსაღი სული ჯანსაღ სხეულში), ან ახლანდელი: „ჯანსაღ სხეულში— ჯანსაღი სული".

ქაში მოახდინა კაპიტალისტური წარმოების წესის გამარჯვებამ და ჩქარიად აქედან იწყება ფიზიკური აღზრდის ფორმების არსებითად გარდაქმნა ახალი საწარმოო იარაღების კეთება-გამოყენებისა და სამხედრო ტექნიკის მოთხოვნილებათა შესაბამისად.

მე-19 ს. პირველი ნახევრის საქართველოში ბავშვთა ფიზიკური აღზრდის ძირითადი გარდაქმნისათვის ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი ახალი ტექნიკური საფუძველი. ამიტომ იგი არსებითად ისევ ძველ ფორმებში ვითარდებოდა აღნიშნული პერიოდის მანძილზე.

გავიხსენოთ თუნდაც რამდენიმე რიტუალი, დაკავშირებული ბავშვის დაბადების მომენტთან:

მოსარჩენ ქალს ყოველგვარ შრომას არიდებდნენ, ცდილობდნენ კარგი მშობიარობა ჰქონოდა, სალი ბავშვი დაებადა. მთელი ოჯახი სიხარულით ელოდა ამ დღეს.

ბავშვის დაბადებას მამაკაცები, ცხადია, არ ესწრებოდნენ, არც ბავშვის მამა. ის გარეთ ან სხვა ოთახში იყო — მეუღლის მორჩენისა და შვილის შეძენის მოლოდინში. მან იცოდა, რომ მიახარებდნენ ბავშვის დაბადებას და სამახარობლოც მზად ჰქონდა.

ფშავ-ხევსურეთში, საინგილოში, თუშეთსა და მთიულეთში თემური წყობილების მახინჯი ნაშთი და ჩამორჩენილობა ჯერ კიდევ ისე ძლიერი იყო აღნიშნულ პერიოდში (მე-19 ს. პირველ ნახევარში), რომ მშობიარე ქალი უწმინდურად ითვლებოდა და სახლიდან დაცილებულ ბოსელში ან უბრალო ფანჩატურში — „მშობიარის ქოხში" — უნდა მოელოგინებია სრულებით მარტოდმარტო. ის აქ, ბოსელში, რჩებოდა არა ნაკლებ ორი კვირისა, ყველასაგან მიტოვებული; მხოლოდ საჭმელ-სასმელი მიჰქონდა მოხუც ქალს დღეში ერთხელ, მაგრამ ახლოს არც ის ეკარებოდა: ბოსლის ბანის სანათურიდან აწვდიდა და მყისვე შინ ბრუნდებოდა. საქართველოს სხვა კუთხეებში მაგაკვ მოვლენას ადგილი არ ჰქონია. პირიქით, იქ დიდ მზრუნველობას იჩენდნენ მელოგინე ქალისადმი: უწყობდნენ ლოგინს, იბარებდნენ ბებია-ქალს, უთბობდნენ წყალს და მოლოგინების შემდეგ არა ნაკლებ ორი კვირისა ლოგინიდან არ აყენებდნენ; უელიდნენ, ყოველივე საოჯახო საქმეს მეზობლები და ნათესავები უკეთებდნენ.

როგორც მრავალ სხვა ქვეყანაში, ისე საქართველოშიც, ვაჟის დაბადება უფრო მეტ სიხარულს იწვევდა, ვიდრე ქალისა. ვაჟის დაბადებისას მისი ამყვანი ბებია იტყოდა: „იხარე ჭერო, მოკვდი

მტერო“, ხოლო ოჯახის მამა თოფს დასცლიდა, რომ სოფლისთვის ახალი მეომრის შემატება ეხარებინა და თან მავნე სულები დაეფრთხო, შემდეგ ღვინოს გადაავლებდნენ მას, რომ მაგარი ჯანისა გამხდარიყო; თუ გოგო დაიბადებოდა — მეორეზე ვაჟი შეგძენოდეთო, ანდა: ეს ერთი გოგო, დანარჩენი ვაჟებიო, იტყოდა ბებიაქალი. ახალშობილს ყველას არ აჩვენებდნენ: თვალი არ ეცეს, არ დაინამსოსო, შემდეგ კი ბავშვის ხოჭიჭზე და აკვანზე ჰკიდებდნენ, ან თავქვეშ ამოუდებდნენ ნახშირს, მძივს, ღორის დინგს, ჯორის ძუას, ჯვარს, ალვის ხის ტოტის ნაჭერს და სხვა ამულეტებს, თილისმებს, რომ ბავშვს ავი თვალი არა სცემოდა, ფათერაკი ასცილებოდა. ახალშობილის მამა, ბავშვის დაბადების გამო, მიმლოცველებს უმართავდა ლხინს, რომელსაც „ძეობა“ ეწოდებოდა.*

ბავშვის მომავალი სოციალური დანიშნულება განსაზღვრავდა მისი აღზრდის შინაარსს. ქართველი ხალხის აბსოლუტური უმრავლესობის, დაბალი და საშუალო ფენების ახალგაზრდობა ემზადებოდა გარკვეულ სამეურნეო ფუნქციის შესასრულებლად, და ეს, პირველ ყოვლისა, ჯანსაღი, მაგარი, ამტანი და მალხაზი თაობის აღზრდას მოითხოვდა. ამიტომ თავიდანვე აჩვევდნენ ბავშვებს სიცივეს, ავდარს, ფეხშიშველ სიარულს, სირბილს, ცხენოსნობას, ცურვას, იარაღის ხმარებას, ფარიკაობას, ნიშანში სროლას. ასე ზრდიდნენ გასული საუკუნის 40-იან წლებში გლეხობაში გაბარებულ აკაკი წ ე რ ე თ ე ლ ს ა ც სხვა ბავშვებთან ერთად:

„საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ სპარტანულად გვზრდიდნენ. არ გვარიდებდნენ არც სიცივეს, არც დარს და არც ავდარს. დილ-დილობით ცვრიან ველზე ფეხშიშველას უნდა გვერბინა. პირველი თოვლი რომ მოვიდოდა, ფიფქზე რამდენჯერმე უნდა გაგვერბინ-გამოგვერბინა; დასოვლებული და სიცივისაგან დაჭარხლებული ფეხები ცეცხლზე უნდა შეგვეშრო... ახალ გაზაფხულზე რომ წვიმა მოვიდოდა, ჩვენ სახლის ღარს თავს უშვერდით, რომ ოქროს ხუჭუჭი ამოგსვლოდა“ („ჩემი თავგადასავალი“).

ამგვარ ფიზიკურ აღზრდას, რასაკვირველია, წინასწარ მოფიქრებული სისტემის სახე არა ჰქონია, მაგრამ რაოდენ სტი-

---

* ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, მთის რაჭა, 52, 1930; ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე - ლ ო მ ი ა. „ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებული რიტუალი მთიან ქართლში“, საქ. ზეუ. მოამბე, IV, 1928; ეკ. ბ. თ ე დ ო რ ა ძ ე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, 11, 37—38, 1939., ხ. ე დ ი ლ ი, საინგილო, 109, 1947.

ქიურიც არ უნდა ყოფილიყო იგი, აღნიშნულ ელემენტებს მაინც ყველგან, საქართველოს ყველა კუთხეში, შეიცავდა.

ფიზიკური აღზრდის მხრივ ქართველ და მის მეზობელ მთის ხალხთა შორის ყოფილა ნაწილობრივი მსგავსება. ფრანგი მოგზაური ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე, რომელიც საქართველოში იყო 1833 წელს, თავის „მოგზაურობაში" აღნიშნავს, რომ „აფხაზებს, ნაწილობრივ ქართველებსაც, ისეთივე აღზრდის სისტემა აქვთ, როგორც ჩერქეზებს, ხოლო ეს უკანასკნელნი კი ბავშვებს (ვაჟებს) წრთვნიან ყოველგვარ ფიზიკურ ვარჯიშობებში, ცხენოსნობაში და აგრეთვე ასწავლიან სათანადო ხერხის გამოყენებას სახიფათო ლაშქრობისას".* ასეთივე იყო, დაახლოებით, ვაჟთა ფიზიკური აღზრდა კავკასიის სხვა ხალხთა შორის.**

—

ქალთა ფიზიკური აღზრდის დარგში, გარემოსადმი შეგუების თვალსაზრისით, აღსანიშნავია ზრუნვა ქალიშვილის ტანის კულტურაზე. ცდილობდნენ ქალი ყოფილიყო ლამაზი, სუფთა, ნაზი; ჰქონოდა მას მაღალი ტანი, ვიწრო წელი, ვიწრო პირი, ვიწრო ფეხისგული, მკვრივი კუნთები, გრძელი ნაწნავი, თეთრი და მწყობრი კბილები, პატარა ცხვირი და ყური. დიუბუა მონპერე დასახელებულ წიგნში ამბობს: „ჩერქეზთა ქალებს შეეძლიანთ თავისი სილამაზით შეედარონ ქართველ ქალებს და კაცმა არ იცის რომელ მათგანს დაუთმოს პირველობა".*** და ეს სილამაზე ქართველი და ჩერქეზი ქალებისა იყო არა მარტო ბუნების მინაცემი, არამედ გარკვეული სოციალური ზრუნვით შენაძენი თვისებაც. მაგრამ ქართველი ქალის გარეგნობაზე ზრუნვა სრულებით არ იყო დაკავშირებული მისი სხეულის გვემასთან, რასაც ადგილი ჰქონდა კავკასიის მუსლიმან და იმავე ჩერქეზ ხალხთა შორის. მაგალითად, შორა ბექმუზინი გადმოგვცემს, რომ ადიღეს (ჩერქეზთა—გ. თ.) „ქალიშვილებს შვიდი წლის ასაკიდან შეუკრავდნენ წელს ტარსიკონით (Сафьян), რომ უფრო მოყვანილი გამო-

---

* Fr. Dubois De Montpereux, Voyage autour du Caucase, I, 115, 1839

** Надеждин, Природа и люди на Кавказе и за Кавказом, 141; Шора Бекмузин-Ногмов, История адыхейского народа КК на 1862 г., 35.

*** „Voyage...", 121.

სულიყვნენ... ხოლო როცა მათ გაათხოვებდნენ, ნეფე თავის საცოლეს დანით გაუჭრიდა ზონარს, რომლითაც გაკერილი იყო ეს ტარსიკონი, მაგრამ ისე ფრთხილად, რომ არ გაეჭრა არც ხორცი და არც ტარსიკონი. ხოლო თუ ის დააზიანებდა ან ეროს, ან მეორეს — ჩაითვლებოდა დიდ სირცხვილად. ახალგაზრდა ქალი ამ კორსეტის მოხსნისთანავე იწყებდა შეესებას ისეთი სისწრაფით, რომ რამდენიმე დღეში მკერდი შესამჩნევად უსრულდებოდა... წელის შეკვრა ვნებს ჯანმრთელობას, მისგან ბევრს ჭლექი ემართებაო", — ასრულებს ბ ე ქ მ უ ზ ი ნ ი.* მართლაც ადვილად წარმოსადგენია 7 წლის ასაკიდან გათხოვებამდე წელშეკრულ გოგონას ფიზიკური მდგომარეობა, და ასე, ამ ველურ ჩვეულებას ეწირებოდა ადამიანის ჯანმრთელობა მთელ რიგ მთიელ მუსლიმანთა ზორის, მე-19 საუკუნის 60-იან წლებამდის.

2. ქალთა აღზრდის შინაარსი და ყოფაქცევის წესები

ქალთა ფიზიკური აღზრდის აღნიშნული წესები მათი აღზრდის გარეგან მხარეს შეეხებოდა, ხოლო მათი მომავალი სოციალური დანიშნულება, საოჯახო მეურნეობა, დიასახლისობა განსაზღვრავდა მათი აღზრდის შინაარსს.

მომავალი საოჯახო მეურნეობის ამოცანებთან დაკავშირებით საქართველოში, როგორც ყველგან, ნორჩი ასაკიდანვე ასწავლიდნენ გოგონებს ხელსაქმეს: ჭრა-კერვას, ქსოვას, ოქრომკედს, სახეების ამოკერვას, საღებავების კეთებას, ჭილობის კეთებას, ბოსტნის მოვლას, წამლების მომზადებას და სხვ.

ხელსაქმის სწავლა საქართველოში, რასაკვირველია, მარტო ოჯახით არ ამოიწურებოდა. ხელსაქმეს ასწავლიდნენ საშინაო სკოლებში, ინდივიდუალური სწავლების დროს და აგრეთვე ქალთა ოფიციალურ სასწავლებლებში. ქალთა და ვაჟთა ს ა შ ი ნ ა ო სკოლებში სწავლების წესები და მეთოდები არსებითად ერთნაირი იყო, განსხვავება მხოლოდ სწავლების შინაარსსა და მოცულობას ეხებოდა. იმ დროს, როცა ვაჟთა საშინაო სკოლებში, ან ინდივიდური წესით მათი სწავლების დროს მარტო წერა-კითხვის, ლოცვებისა და ელემენტარული ანგარიშის („ციფრების") სწავლით

* „История адыхейского народа", КК за 1862 г., 35.

იფარგლებოდნენ, — ქალთა საშინაო სკოლებში ან ინდივიდუ-
რი წესით მათი სწავლების დროს ამ „თეორიულ“ საგნებს გარ-
და, როგორც აღვნიშნეთ, ასწავლიდნენ ხელსაქმეს, დიასახლისო-
ბას, პირადი ტუალეტის წესებს, ყოფაქცევის ნორმებს. რაც შე-
ეხება ცოდნას — ქალებს უფრო მეტს ასწავლიდნენ. ისინი, ჯერ
ერთი, ვაჟებზე მეტ ხანს რჩებოდნენ საშინაო სკოლებში თუ კერ-
ძო ოსტატის ხელში და მეორეც — სწავლის დროს უფრო ნაკლე-
ბად იყვნენ დატვირთული საოჯახო-სამეურნეო საქმეებით და მეტ
დროს ანდომებდნენ სწავლის საქმეს. აქედან გასაგებია, რომ ხალ-
ხური სწავლა-აღზრდის სისტემაში ქალები უფრო მეტ ცოდნას
იძენდნენ, როგორც წესი, ვიდრე ვაჟები. მამია გ უ რ ი ე ლ ი ს
(გურიის უკანასკნელი მთავრის, 1789 — 1826) ასულის ეკატერინეს
აღზრდის შესახებ დარჩენილია ასეთი ცნობა:

„აღზრდა მისი იყო ამგვარი, ვითარსაცა მიიღებენ ანუ მიიღებდნენ ოდესმე
საზოგადოდ ყოველნი ქალნი თავადთა და კეთილშობილთანი ყოველთა კაკა-
სიის აქეთ მდებარეთა საქრისტიანოთა თემა შ'ა სარწმუნოება იყო ქვა ზღუდ-
ეილი, რომელსა ზედაცა უნდა დაფუძნებულიყვნენ და განშლილიყვნენ ყო-
ველნი ცნობანი და გრძნობანი კეთილშობილის ქალისანი; და ფ'დ ხშირად მოხ-
დებოდა რომელ, მომაშორებელნი მისნი რომელთამე კანონთაგან, სხვათა კანონ-
თა განაძლიერებდნენ მას შორის კერპობის ხარისხამდე. რაკამს ოდენ წარმოს-
დგებოდა პირველი ღონისძიება სწავლების დაწყებინებისა, მაშინვე მოაყოლებ-
დნენ დავითნს, შ'დ* დაუჯდომელს, სამოციქულს, სახარებას, დაბადებას და
სხვათა საღმრთოთა წიგნებთა, რომელთაც ქალნი კეთილშობილნი სწავლობდნენ
აქამომდე, რომელ ხშირად გაუძნელდებოდათ ბაასი მათთანა თვითქმის ღრდელ-
თაცა კარგად მცოდნეთა; ხოლო საეროსა აღზრდასა მათსა დააბოლოვებდნენ
ხელთსაქმენი: გაწყობილება მოკითხვის წიგნისა ნათესავთა და მოკეთილეთა
მიმართ; მოთხრობითი აღწერა მამისა ანუ ნათესავისა ვისმე მოქმედებათა;
კითხვა საგმიროთა პოემათა და სხვათა ამ გვართა თხზულებათა, რომელნიცა
აღამაღლებდნენ გრძნობათა მათთა ყოვლითა კეთილობითა და წარმართვად
შინაურთა საქმეთა სასიამოვნოდ მამის ანუ ქრმისათვის. ერთის სიტყვით,
წ ი გ ნ ო ბ რ ი ვ ი ა ღ ზ რ დ ა ქ ა ლ თ ა მ რ ა ვ ლ ი თ ა ე ე მ ა ტ ებ ო დ ა
ა ღ ზ რ დ ა ს ა კ ა ც თ ა ს ა,** რომელნიცა მიმოიქცეოდნენ უმეტესად საქმეთა
შ'ა სიმარდისა და მხნეობისათა. აქა იგულ-ხმების რომელ, ფ'დ სხვა-და-სხვა
გვარი იყვნენ ხარისხნი სადამდინაც მიაწევდნენ ქალნი ამ გვარის აღზრდილ-
ბითა: გარნა უეჭველ-არს ესე, რომელ ყოველთა ხარისხთა ზ'ა და მით უძლიე-
რესად რაოდენ უმაღლეს იქმნებოდა ხარისხი ესე, შთაენერგებოდათ მათ გრძნო-
ბაი დაურღეველისა ერთგულებისა მამა-პაპათა სარწმუნოებისადმი და განუსა-
ზღვრებული ყოვლისა ბის სიძულილი რაიცა ეწინააღმდეგებოდა ქრისტიანობასა.

---

* შემდგომად — გ. თ.

** ხახი ჩ'ენია — გ. თ.

სხვა სარწმუნოების ქმრის შერთვაი, უმეტესადღა გამოცელაი თვით სარწმუნოებისა, მიაჩნდათ ამ გვარად აღზრდილთა ქალთა ესრედ ძლიერ უბედურებად, რომელ გონება მათი ვერღა გამოიბატევდა უდიდესსა. ძლიერსა გრძნობასა ამას გამოსწოვდნენ ოგინი მშობლისა ძუძუთაგან, შეითვისებდნენ პირველის მეხსიერების გახსნისთანავე და გულში შთაიბეჭდიდნენ პირველთათანავე შემეცნებათა. უეჭველ-არს ესეცა რომელ ქალნი უდიდესთა გვართანი აღიზრდებოდნენ ამ კანონებით უმტკიცესად და ესრეთ იყო აღზრდილი ეკატერინე გურიელი ვ"ა ქალი საქრისტიანოს თემის მფლობელისა".*

მართალია, აქ აღწერილია მთავრის ასულის სწავლა-აღზრდის წესი, მაგრამ დამახასიათებელია იგი არა მარტო მსხვილი თავადაზნაურობისათვის, არამედ არსებითად საშუალო და დაბალი ფენებისათვისაც. ამ წესით მთავარი ყურადღება ექცევა ქალთა აღზრდას მტკიცე ქრისტიანული სარწმუნოებისა, დროის შესაფერისი წიგნურობისა და მაღალი კეთილშობილი ზნეობის საფუძველზე. ამ უკანასკნელ გარემოებას განსაკუთრებით აღნიშნავს მე-19 ს. 50—60-იანი წლების პუბლიცისტი და მწერალი ალ. ორბელიანი (1801—1869). ის წერს:

„მე ძველი დედა-კაცების ხელში ვარ დაბადებული, იმათ ხელში გაზრდილი და მინამ ორმოცდაოთხის წლისა შევსრულდებოდი, სულ იმათთან ვიყავი, თუ ოდესმე გარემოება არ განმაშორებდა. მაშ, მგონია ამდონი დრო ჩემთვის საკმაოა, რომ მე ისინი ძალიან კარგად მეცნა, მით უმეტესად, რომ იმათ ყოფაცხოვრებას ვიკვლევდი და ვსწავლობდი, ამიტომ რომ დიდად მომწონდა. იმ ჩვენს დედა-კაცებს ჯერ ყმაწვილობაში საღმრთო წერილს ასწავლიდნენ, შემდეგ ქცევას, მიმოხვრას, თავის უმანკოების სიწრფელის სიმართლითა, თან ცდილობდნენ ყოველი წმინდა და პატიოსანი ხასიათი ჩაეწვეთათ, თავის მოთმინებით, იმათ ბუნებაში; და ბოლოს, როდესაც დრო მოვიდოდა, გაათხოვებდნენ, — და ეს ხასიათები ქალს განძად და საუნჯედ გაჰყვებოდა თავის ქმრისა და იმის სახლის გასაბედნიერებლად. მე თამამად ვიტყვი, რომ ჩემი გული იმათთან ყოფნით ყოვლის კეთილის მადლით განათლებული იყო ხოლმე. რა არა ჰქონდათ იმათ კარგი თვისებანი. დარბაისლური, მართებული ლაპარაკი თუ ზრდილობიანი გახუმრებით მხიარულება. მე ჩემს დღეში არ მახსოვს, რომ იმათ ერთი ბეწვა წინააღმდეგობა და მაღალი სიტყვა ეთქვათ ერთმანეთისათვის რამა. ყოველთვის მშვიდობიანად და გონივრულად ლაპარაკობდნენ და მშვიდობიანად თავის აზრებს უმტკიცებდნენ ერთმანეთს, და ამასთან ყოველი იმათი ლაპარაკი კარგ საგნებზედ იყო: მიწის მოსავალზე, თუ ვენახებზედ, სახლის მეურნეობაზედ თუ საქვეყნოზედ და სხვანი, ასე, რომ იმათში თავის დღეში ჭორი არ ითქმოდა, თორემ ტყუილი და სიცრუე როგორ შეიძლებოდა, ის მართებული გვამები ქალალდსაც ითამაშებდნენ, ნარდსაც და ჭადრაკსაც, მაგრამ ყველას

* „გურიის ამბები", 62—64

თავი დროზედ. კიდეც იგალობებდნენ და სოფლურ სიმღერასაც იმღერებდნენ, ასე, რომ ზოგს თვალებში ცრემლები მოუვიდოდათ იმათ მშვენიერს გალობაზე და სიმღერაზედ".*

ქართველი ქალების, შედარებით, თავისუფალი ურთიერთობა მამაკაცებთან შრომაში და ყოფაცხოვრებაში, უეჭველად მოქმედებდა ქალ-ვაჟთა ერთად აღზრდის საოჯახო ფორმებზე. მშობლების დამოკიდებულება შვილებთან ერთგვარი იყო, ერთნაირად ზრუნავდნენ მათზე, ერთნაირი ინტერესით ეკიდებოდნენ მათ მომზადებას მომავალი საზოგადოებრივი ფუნქციებისათვის.

ქალის, შედარებით, თავისუფალი მოქმედების უფლება საქართველოში სათანადო გავლენას ახდენდა მათთან ახლო ურთიერთობაში მყოფ სხვა ერებზეც, მაგალითად, ჩერქეზ ხალხზე. ჩერქეზები მე-6 საუკუნიდან მე-17 საუკუნემდე ქრისტიანები იყვნენ და ეს უადვილებდა მათ ყოფაცხოვრებითს ურთიერთობას ქართველებთან. მე-17 საუკუნიდან ისლამმა გამოდევნა იქედან ქრისტიანობა, მაგრამ ყოფაცხოვრების გარდაქმნა ისლამის საფუძველზე ბოლომდე ვერ შესძლო. ვერც ქალის დაბეჩავება, ვერც ჩადრში გახვევა და შინ ჩაკეტვა. „ახალგაზრდა ქალიშვილები, — წერს დიუბუა ჩერქეზთა შესახებ, — თავის ატალიკებთან (აღმზრდელებთან—გ. თ.) ცხოვრების დროს სწავლობენ სირმის ქსოვას, ტანისამოსის კერვას, კალათების წვნას, ჩალის ჭილობის კეთებას და სხვა — ადვილ და სასიამოვნო საქალო საქმეებს. ისინი არ იმყოფებიან კარჩაკეტილ მდგომარეობაში აღმოსავლეთის ქალების მსგავსად, პირიქით, ყმაწვილებთან ერთად მონაწილეობას ღებულობენ ერთნაირ გასართობებში. მათ არ ემჩნევათ არც სიმხდალე, არც მორცხვობა; როცა მათ მშობლებს გარეშე პირი ესტუმრება, ისინი მას ემსახურებიან".**

აქ უმთავრესად ლაპარაკია მე-19 ს. დასაწყისი პერიოდის ქალთა ზნეობრივი აღზრდის შესახებ, მაგრამ არა ნაკლებ იქცევს ყურადღებას ამავე პერიოდის ქალთა გონებრივი აღზრდაც. როგორც ძველად, ისე მე-19 ს. პირველ ნახევარში წერა-კითხვის მასობრივი გავრცელების მთავარ ძალას საქართველოში ქალი წარმოადგენდა. გავიხსენოთ არქანჯელო ლამბერტი, რომელიც 1633 წელს შემოვიდა ჩვენში და ოცი წელი დაჰყო. ის ამ-

---

* ალ. ორბელიანი, ნაწერი, 150—151.

** Vayage..., 121.

ბობდა: „ქართული წერა-კითხვა დღეს სულ მოსპობილი იქნებოდა აქ, რომ ქალებს არ შეეწახათ იგი. ისე, რომ, თუ ვისმე უნდა კითხვა შეისწავლოს უნდა რომელსამე ქალს მიებაროს სასწავლებლად".* ამასვე ამბობდა, თუ გავიხსენებთ, რუსეთის ელჩი, კაპიტანი ი ა ზ ი კ ო ვ ი, რომელიც მე-18 საუკ. 70-იან წლებში იმყოფებოდა ჩვენში;** ასევე იყო შემდეგაც. მე-19 ს. პირველ ნახევარში, რუსეთის მეფის კოლონიური რეჟიმისა და ბატონყმობის ახალი, უფრო მკაცრი ფორმების დამყარებამ, შეზღუდა ჩვენში ქართველ ქალთა პირადი და საზოგადოებრივი ინიციატივა წერა-კითხვის გავრცელების საქმეში, მაგრამ მათ ისევ ჰქონდათ შენარჩუნებული ცხოველი სიყვარული ქართული წიგნებისა, მათ მზითევს ძველებურად ამკობდა ხელნაწერი თუ ბეჭდვური „ვეფხის-ტყაოსანი";*** შესაძლებლობის მიხედვით ისინი კვლავ ეწეოდნენ მასწავლებლობას, არ ივიწყებდნენ დედაენისა და ცოდნის სიყვარულს.

3. გაბარება-გაძიძება

მე-19 ს. პირველ ნახევარში საკმაოდ გავრცელებული იყო ჩვენში აგრეთვე გ ა ბ ა რ ე ბ ა - ძ ი ძ ა ო ბ ა. ეს ჩვეულებაც ძველთაგან მომდინარეობდა. პირველ წიგნში მოკლედ ვეხებით ჩვენ ამ ჩვეულებას, როგორც გლეხკაცობისა და თავადაზნაურობის სოციალური ურთიერთობის გარკვეულ ფორმას. აქ მხოლოდ იმის აღნიშვნა გვინდა, რომ ეს ჩვეულება აღნიშნულ პერიოდშიც არსებობს და ჩვენი მოწინავე ადამიანები დიდი მნიშვნელობის საზოგადოებრივ მოვლენად აღიარებენ მას.

---

* არქ. ლ ა მ ბ ე რ ტ ი, სამეკრელოს აღწერა, 174.

** A. Цагарел, «Сведения о груз. письм.», I, გვ. XXIII.

*** ა კ ა კ ი წერს: „ის ქორწილი საქებრად არ ჩაითვლებოდა და ის მზითევი მზითვად არ იხსენიებოდა, თუ რომ მზითვის სიაში პირველად „ვეფხის ტყაოსანი" არ იქნებოდა მოხსენიებული... ერთ თავადს გაუთხოვებია ქალი, მზითევში გაუტანებია „ვეფხის ტყაოსანი", მაგრამ სიძეს უკანვე დაუბრუნებია მისთვის. ამ შემთხვევას ისე გაუკვირვებია სიმამაცი, რომ საარაკოდ დაუწერია ქვაზე ამბავი ამგვარად:

„ქალი მყვანდა ედეეს ზრდილი, ოქრო ხეტეუტ თმაოსანი,
გავათხოვე, მზითკად მიკეც ჩემი „ვეფხის-ტყაოსანი",
მაგრამ ისევ დაბიბრუნა, თურმე იყო სვანოსანი" და სხვ.

სვანოსანი, ესე იგი უმეცარი, უსწავლელი, გაუგებარი სვანივითო" („სამი ლექცია „ვეფხის-ტყაოსანზე").

ალ. ორბელიანი აღნიშნავს, რომ დიდკაცებისა და ვლეხების შვილებს „ერთად“, განუყრელად აღზრდა „აახლოვებდა მათ და კეთილ განწყობილებას ქმნიდა მათ შორის.“ მაგრამ ჩვენი ავტორი აჭარბებს, როცა დაბალ და მაღალ წოდებათა შვილების ერთად აღზრდის ფაქტში „კარგი და კეთილი თანაწყობრობის“ ნიშნს ხედავს.*

გაბარება-ძიძაობას, როგორც საზოგადო მოვლენას და ჩვენს ისტორიულ ჩვეულებას, მეტად საინტერესო საქმედ თვლიდა აგრეთვე აკაკი წერეთელიც. თავადაზნაურობის მიერ თავიანთ შვილების გაბარებას გლეხობაში გასაზრდელად, აკაკის აზრით, შემდეგი მიზეზი და საფუძველი ჰქონდა:

„ეს გაზრდილ-გამზრდელობა აკავშირებდა ერთმანეთთან სხვადასხვა წოდებას, გარდა ნათელ-მირონობის: თითქმის სისხლ-ხორცობა არ მიაჩნდათ ისე მტკიცე კავშირად, როგორც გამზრდელ-გაზრდილობა“ („ჩემი თავგადასავალი“).

აკაკის ამ მოსაზრებაში უეჭველად არის სათანადო სიმართლე. თუ იმის თქმა არ შეიძლება, რომ ძიძაობის გამო „ამ უკანასკნელ (მე-19—გ. თ.) საუკუნემდე ჩვენს ქვეყანაში უფრო კაცური და კეთილი განწყობილება იყო მაღალ და დაბალ წოდებას შუა, ვიდრე სხვა ქვეყნებში“ (იქვე), იმის უარყოფა მაინც არ შეიძლება, რომ ძიძაობისა და ბავშვთა გაბარების წესის გამო მაღალი წოდების ბავშვები ახლოს ეცნობოდნენ ცხოვრებას, ხალხს, გლეხთა შრომისა და ყოფის პირობებს, რაც მათ მომავალ მოქალაქეობრივ ფორმირებაზე უეჭველად დადებით გავლენას ახდენდა. თვითონ აკაკი წერეთელი გულწრფელად აღიარებდა:

„თუ კი რამ დარჩა ჩემში კარგი და კეთილი, უფრო იმის წყალობით, რომ მე სოფელში ვიყავი გაბარებული და გლეხების შვილებთან ერთად ვიზრდებოდი“ (იქვე).

აკაკი წერეთლის კარგი და კეთილი ბევრით იყო დამოკიდებული მის აღმზრდელ-ძიძაზე. ამ კეთილშობილი გლეხი-მანდილოსნის ხელში დაიწყო ზრდა „ყელზე ღინჭილა-შებმულმა, ხითხითა ბიჭმა“, მომავალმა დიდმა პოეტმა.

---

* ალ. ორბელიანი, ნაწერი, 234—235.

გაბარებას მე-19 ს. პირველ ნახევარში ადგილი ჰქონდა აგრეთვე აფხაზ, ჩერქეზ და სხვა ხალხშიც.

ფრ. დიუბუა დე მონპერე ხსენებულ წიგნში ეხება რა მე-19 ს. 30-იანი წლების ჩერქეზთა აღზრდის ზოგიერთ საკითხს, წერს:

„თავადებს ჩვეულებად აქვთ თავისი შვილები მცირე ასაკიდან თავის ვასალებს მიაბარონ. ვასალს მიჰყავს თავადის შვილი, წრთვნის მას ყოველ ფიზიკურ ვარჯიშობებში, ცხენოსნობაში და აგრეთვე ასწავლის მას სათანადო ხერხის გამოყენებას სახიფათო ლაშქრობისას... ასეთივე აღზრდის სისტემა აქვთ აფხაზებს, ნაწილობრივ ქართველებსაც (ხაზი ჩვენია, გ. თ.). მშობლები არაფერს აძლევენ აღმზრდელს ანუ თურქულად „ატალიკს", არც მის შრომაში და არც ბავშვის შენახვაში... ატალიკი ასწავლის ყმაწვილს აგრეთვე მჭერმეტყველების დიდ ხელოვნებას და მსჯელობას იმისათვის, რომ იგი შემდეგში ბრწყინავდეს ერთგვარად იმპროვიზებულ სეიმებზე, რომლებზეც ირჩევა ხალხის ინტერესებთან დაკავშირებული ყველა საქმე".

„ატალიკი" ხშირად ზრუნავს თავისი აღზრდილის დაქორწინებაზეც; როცა კი იპოვნის ყმაწვილი თავის შესაფერის ქალწულს, იტაცებს მას თავისი მეგობრების დახმარებით და შემდეგ მათთან ერთად ქალიშვილის მშობლებს უხდის ყალიმს ანუ ქალიშვილის გამოსაყიდ თანხას. ეს ყალიმი განისაზღვრება ურთიერთ შეთანხმებით და შესდგება თოფებისა, ხმლებისა, ხარებისა, ცხენებისა და სხვა ამგვარისაგან. მაგრამ თავისი აღზრდილის შეუფერებელი დაქორწინებისათვის ატალიკი თავისი სიცოცხლით აგებს პასუხს...

„ჩვეულებრივად მამა ხვდება თავის შვილს მხოლოდ უკანასკნელის დაქორწინების შემდეგ, როდესაც ის თავის მამის სახლში ბრუნდება (ატალიკიდან, გ. თ.). მისი დაბრუნების აღსანიშნავად იმართება დიდი ზეიმი, რომელზეც ყველა ნათესავს იწვევენ. ზეიმის შემდეგ ატალიკი ბრუნდება შინ საჩუქრებით დატვირთული. ამიერიდან იგი თავისი აღზრდილის ოჯახში სარგებლობს ნათესავის უფლებით და არც არაფერს შეუძლია მისი დარღვევა. უკეთუ ატალიკი გლეხია, მას აზნაურობას ანიჭებენ. აღზრდილს რჩება ურყევი სიყვარული თავისი ატალიკისა და ეს ადვილი გასაგებიცაა, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ უცხოობას, რომელიც უნდა არსებობდეს მამასა და შვილს შორის, რადგანაც მათ ასე გვიან გაიცნეს ერთმანეთი..."*

ჩერქეზული გაბარების აქ გადმოცემულ წესს ძალიან შორეული მსგავსება აქვს გაბარების ქართულ წესთან. პირველ ყოვლისა, ქართველ გაბარებულ ბავშვს აღმზრდელის ოჯახში მხოლოდ სასკოლო ასაკამდე, ე. ი. 7—8 წლამდე სტოვებდნენ თავისი მშობლები. აქედან, აღმზრდელს არ შეეძლო ეზრუნა აღსაზრდელის

* Fr D. De Montpereux, Voyage autour du Caucase, I, 115—117, 1839.

გაწვრთნისათვის ცხენოსნობაში და არც მის დაქორწინებაზე. არც იმის შემთხვევები ვიცით, რომ გლეხი აღმზრდელისათვის აზნაურის წოდება მიენიჭებიოთ (ამის უფლება ქართველ თავადებს არა ჰქონიათ).

რაც შეეხება ბავშვებისათვის მჭევრმეტყველების სწავლებას, ამას ადგილი ჰქონდა ფშავ-ხევსურეთშიც. მრავალი გადმოცემით და მოგზაურთა ცნობებით დასტურდება, რომ ხევსურეთში XIX ს. პირველ ნახევარში კვლავ არსებობენ „ზეპირი სკოლები" ახალგაზრდობისათვის მჭევრმეტყველების სასწავლებლად და „მელექსეობაში" სავარჯიშოდ.

სხვაგვარია გაბარება-გაძიძების ფორმა და წესები აფხაზეთში. ის არსებითად არ განსხვავდება ქართულ გაძიძების ფორმა-წესებისაგან. ნიკო ჯანაშია თავის ეთნოგრაფიულ წერილებში აფხაზთა შესახებ, აღნიშნავს:

„აქ ძალიან გავრცელებულია ბავშვების გაძიძავება. კეთილშობილ ქალისათვის სიკვდილია, რომ მან შინ თავისი შვილი თავისი ძუძუთი გაზარდოს. რაც უნდა ღარიბი იყოს, მაინც უნდა ბაღანა გააძიძაოს. შეძლებულ და გავლენიან კეთილშობილის შვილს აქ იტაცებენ ხოლმე გასაზრდელად. ძიძობას რაიმე მატერიალური სარგებლობისათვის არა ჰკისრულობენ აქაურნი მკვიდრნი, პირიქით, მამამძუძე წაგებაშია. აქ მხოლოდ იმიტომ ზრდიან სხვის შვილებს, რომ თავის ოჯახი დაუნათესაონ იმ ოჯახს, ვის შვილსაც ზრდიან; არამც თუ ოჯახი, მთელი გვარი ენათესევებათ. სასყიდლისათვის რაც უნდა ღარიბი იყოს აფხაზის ქალი, მაინც არ გაგიზრდით ბაღანას; ეს მოჯამაგირეობად მიაჩნიათ, და, საზოგადოდ, მოჯამაგირეობა აფხაზისათვის სამარცხვინოა. როცა ბაღანა მოჰყავს ძიძას, მაშინ იციან ცოტა რამ საჩუქრები ძიძისათვის. ბაღანა რომ წამოიზრდება, დიდის ამბით და საჩუქრებით მოჰყავთ მამისას. ამ ბაღანას წაყვანას აქ ჰქვიან „ცაღრა-გარა". აი, მაშინ ვალდებულია ბაღანას პატრონი დაასაჩუქროს მამამძუძე (აბაძეი) და დედამძუძე (ანაძეი) და აგრეთვე მათი მხლებელნი. მთელი გამზრდელობის გვარი ჰფიცულობს გაზრდილის სახელს; ეს მათი წმინდათა-წმინდაა".*

---

* ნიკო ჯანაშია. აფხაზები. ზოგი რამ ჩვეულება ბავშვების დაბადების და აღზრდის დროს", „მოამბე, 1897, № II, გვ. 44.

იხ. აგრეთვე Н. Державин, Абхазия в этнографическом отношении, СМОМПК, XXXVII, გვ. I, 26.

ამგვარად, აფხაზები, რომლებიც ისტორიულად იყვნენ დაკავშირებული ქართველ ხალხთან მტკიცე საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობით, ახლო იყვნენ მათთან ყოფა-ცხოვრების მიხედვითაც. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ ტრადიციის მორალური მნიშვნელობა (აღმზრდელისა და აღსაზრდელის ოჯახთა ფსიქოლოგიური დაახლოება), რომლის მიხედვითაც აფასებდნენ მას როგორც სხვაგან, ისე საქართველოშიც.

თავადაზნაურთა ბავშვების გაბარება გლეხობაში გასაზრდელად, როგორც გარკვეული სოციალური ურთიერთობის ფორმა ამ წოდებათა შორის, დაკავშირებული იყო ბატონ-ყმობის ინსტიტუტთან, და უკანასკნელის გადავარდნასთან — პირველიც გაუქმდა.

4. დაწინდვის წესი

კიდევ ერთი შორეული გადმონაშთის—„ბ ა ვ შ ვ თ ა დ ა წ ი ნ დ ვ ი ს“ წესის შესახებ. დაწინდვა ეწოდებოდა ჩვილი ბავშვობის, ანუ აკვნის პერიოდშივე ქალთა თუ ვაჟთა დანიშვნას სარძლოდ თუ სასიძოდ. როდესაც ორი ნაცნობი, მაგრამ არა ნათესავი ოჯახი ერთმანეთთან დაახლოება-დანათესავებას ისურვებდა, ერთი მათგანი, თუ მას პატარა გოგონა ჰყავდა, დაანიშვნინებდა მეორე ოჯახის პატარა ბიჭის მშობელს სარძლოდ ან პირუკუ (მეორე ოჯახის პატარა ვაჟის მშობელი დაანიშვნინებდა მას პირველის პატარა გოგონას მშობლებს სასიძოდ). არა იშვიათად ბავშვების დანიშვნა ხდებოდა იმ დროს, როცა ისინი ჯერ კიდევ დაბადებული არ იყვნენ, ე. ი. თუ ერთ ოჯახს ქალი ეყოლებოდა, უნდა გაჰყოლოდა ცოლად მეორე ოჯახის ვაჟს, თუ ასეთი მიეცემოდა ამ მეორე ოჯახს, ანდა პირუკუ — მეორის ქალი პირველის ვაჟს. ეს შეთანხმება დარღვეულად ითვლებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ორივე ოჯახს ერთი და იმავე სქესის ბავშვები მიეცემოდა.

ძველად, მე-12 საუკუნემდე, როგორც უკვე გვაქვს აღნიშნული ამ ნაშრომის პირველ წიგნში, ჩვილ ბავშვთა „გვირგვინის კურთხევის“ წესიც არსებობდა ჩვენში, მაგრამ რუის-ურბნისის 1103 წლის კრების „ძეგლის წერამ“ (მუხ. „ლ“) აკრძალა იგი, როგორც პრიმიტიული და საზიანო წესი და ნებადართულად დასტოვა მხოლოდ „დაწინდვა“ და ისიც „უკეთუ საჭიროდ რადმე იყოს“.

ბავშვთა „დაწინდვის“ წესი მე-19 ს. პირველი ნახევრის საქართველოში აღარ არსებობდა. დარჩენილი იყო მხოლოდ მისი გადმონაშთი და ისიც მთის უბნებში: მთის რაჭაში, ქვემო სვანეთში, საინგილოში, მთიულეთში; დაბადებამდე ბავშვების დანიშვნა აღარც ამ რაიონებში არსებობდა, ხოლო აკვანში დანიშვნა კი წარმოებდა ძველებური წესის ცოტაოდენი ცვლილებით.

5. სწავლის ნყურვილი

ქართულ ხალხურ მეტყველებაში ხშირად გვხვდება ისეთი გამოთქმები ლექსად და პროზად, რომლებიც წერა-კითხვის არმცოდნე კაცის ნაღვლიან ბედს გვაგრძნობენ. ქართველი ადამიანი, პირველ ყოვლისა, ღრმად განიცდის თავისი შვილის უსწავლელობას:

„უსწავლი შვილის დედასა
რა მოაშორებს სევდასა“.

არანაკლებად განიცდიდა იგი საკუთარ უწიგნურობასაც:

„მე ერთი საწყალი, უსწავლელი კაცი ვარ“;
„უსწავლელი კაცი ბრმა არის“;
„უწიგნო კაცს რა ჰკუა მოეთხოვება“;
„ეჰ, ასეთია უწიგნოს ბედი“,

და მრავალი სხვა, თავისი უსწავლელობის მომჩივანი, სევდიანი სიტყვები.

რამდენადაც ასე მწარედ გრძნობდა ადამიანი თავის უსწავლელობას, იმდენად ძლიერი იყო მისი მისწრაფება განათლებისაკენ. მართალია, უმეტეს შემთხვევაში ეს მისწრაფება განუხორციელებელი რჩებოდა, მაგრამ მუდამ კვებავდა მას იგი სწავლის ჩაუქრობელი სურვილით და აცოცხლებდა ამ სურვილს თაობიდან თაობამდე. მე-19 ს. პირველ ნახევარში კვლავ დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ ჩვენში ზეპირი ანუ „უწიგნო“ სკოლების მასწავლებლებს, კვლავ დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ ხალხური სიტყვიერების მცოდნე პირები, ხოლო „ვეფხის-ტყაოსნის“ ზეპირად დასწავლაში ხომ ნამდვილი შეჯიბრი იმართებოდა. „მისი წყალობით წერა-კითხვა და მწიგნობრობის ხალისი თანდათან მტკიცდებოდა ხალხში“-ო, წერს აკაკი წ ე რ ე თ ე ლ ი თავის

„თავგადასავალში“, და მართლაც, ის წარმოადგენდა ყველაზე უძლიერეს კულტურულ სტიმულს ქართული წერა-კითხვისა და წიგნიერების გავრცელების საქმეში.

სკოლა, როგორც კოლექტიური სწავლა-განათლების დაწესებულება და გამოცდილი მასწავლებლის სამოღვაწეო ასპარეზი, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა სწავლის მსურველთა შორის. მე-19 ს. პირველ ნახევარში ხალხს უკვე კარგად ესმოდა სკოლის უპირატესობა ინდივიდური, საოჯახო სწავლისა და სწავლების პრაქტიკასთან შედარებით, ამიტომ ბავშვის მიბარება სკოლაში სასახელო საქმედ მიაჩნდათ. სკოლაში მიბარებული შვილების დედ-მამას ამაყად ეჭირა თავი და ხალხიც დამსახურებულად უთვლიდა ამ სიამაყეს.

ბავშვის გაგზავნა სკოლაში დიდი მოვლენა იყო ქართველი ოჯახის ცხოვრებაში. ამისათვის ადრიდანვე ემზადებოდნენ: უკერავდნენ ბავშვს ახალ ტანსაცმელს და ჩანთას, იძენდნენ მისთვის საჭირო ნივთებს, ხოლო სკოლაში გაგზავნის დღე ხომ ერთგვარ დღესასწაულს წარმოადგენდა. სასკოლოდ „გამოწყობილ“ ყმაწვილს მთელი ოჯახი აცილებდა სახლის ეზოდან. მაგრამ სანამ მამა მისი ან ოჯახის უფროსი მას სკოლაში მისაბარებლად წაიყვანდა, — ბებია, დედა ან გამდელი მიიყვანდა მას მახლობელ მდინარესთან ან წყაროს წყალთან, ფეხსაცმელებს გაახდევინებდა, ხელში რაიმე წიგნს ან ნაბეჭდ (ნაწერ) ქაღალდს მისცემდა, ორივე ფეხით ჩააყენებდა წყალში და იტყოდა: „ასე წყალივით კითხვა ისწავლეო“ (ე. ი. შეუჩერებლად, რაკ-რაკით, თავისუფლად). ამ წესით დაიწყებინეს სწავლა ეგნატე ნინოშვილსაც.

ხალხური განათლების წესებმა თავისი გამოხატულება ჰპოვეს აგრეთვე საშინაო სკოლების სასწავლო მუშაობაშიც. ჩვენ უკვე გარკვეული გვაქვს ამ სკოლების ორგანიზაციული მხარე და მათი დანიშნულების საკითხი, ვილაპარაკეთ მათ ოსტატ-მასწავლებელთა მომზადებისა და მუშაობის ფორმების შესახებაც. სურათის სისრულისათვის საჭირო იქნება აგრეთვე მოკლედ აღვნიშნოთ: როგორი იყო მეცადინეობის საერთო რეჟიმი და სწავლების ფორმა* საქართველოს საშინაო სკოლებში მე-19 ს. პირველი ნახევრის მანძილზე?

---

* სწავლების მეთოდების შესახებ იხ. მომდევნო, VI თავი.

სასწავლო მუშაობის ზუსტი, საერთო წესები არ შეიძლებოდა ყოფილიყო საშინაო სკოლებში, მაგრამ ზოგად-ტიპური მოვლენები აქ გარკვეულად მოჩანს. მეცადინეობის ფორმას საშინაო სკოლაში შეიძლება მხოლოდ პირობით ვუწოდოთ გაკვეთილი; მას ზოგან ალოს უწოდებდნენ, ზოგან ეამს, ზოგან კი განარკვს, ან გასაკვეთს. დღეში ჰქონდათ ორი-სამი გაკვეთილი. ერთი გაკვეთილი მთავრდებოდა მაშინ, როცა ამ გაკვეთილზე წარმოებული მეცადინეობით დაიღლებოდნენ, ე. ი. თუ გაკვეთილზე კითხვა წარმოებდა (კითხვის გაკვეთილი), ეს გაკვეთილი ანუ ალო მთავრდებოდა მაშინ, როცა მოწაფეები კითხვით დაიღლებოდნენ. ასევე წერის და ანგარიშის გაკვეთილებზე. დაღლილობის ფაქტს აღნიშნავდა ოსტატი.

გაკვეთილზე ხშირად, განსაკუთრებით კითხვისა და ანგარიშის დროს, საშინელი ხმაურობა იდგა. კითხვის გაკვეთილზე ხმაურობას იწვევდა ის გარემოება, რომ ბავშვები სულ სხვადასხვა ტექსტს კითხულობდნენ (ერთნაირი საკითხავი მასალის უკმარობის გამო) და თანაც ხმამაღლა. მაგალითად, სოფრომ მგალობლიშვილის „ეფროსინეს სკოლაში" კითხვის დროს ისმოდა: „ნახეს ერთი მოყმე ვინმე" (შოთა), „ისმინე სწავლის მძებნელო" (გურამიშვილი), „კუ და მორიელი დაძმობილდნენ" (საბა), „ჩემო შაქარზე უტკბილესო შვილო ეფროსინე" (მოკითხვის წერილი) და ნაწყვეტები „დავითნიანიდან". ასე, 15—20 მოწაფე და ამდენივე სხვადასხვანაირი ტექსტის ხმამაღლა კითხვა!

„სწავლების დროს იდგა ერთი გნიასი — წერს სოფრომი — ყველა თავისთვის სწავლობდა, ხმამაღლა ამბობდა ასოების სახელებსა: ანუ, ბანუ, განუ... ოსტატს, ასე უწოდებდნენ მასწავლებელს, ისე გამახვილებული ჰქონდა ყურთა სმენა, რომ ხმით ყველას იცნობდა, განსაკუთრებით ოსტატი ქალები; თვითონ გაკვეთილის დროს ქარგვას ჩაუჯდებოდა, თავსაკრავს ჰკერავდა ან ჩიხტიკოპს აკეთებდა, ან კიდევ ჰქსოვდა რასმესა, მაგრამ თუ შეეშლებოდა ვისმეს ამ არეულ-დარეულ ხმაურობის დროს, თავაუღებლივ თავის საკუთარ სამუშაოდან, დაუძახებდა: კაკატო შეგეშალა, ბანის შემდეგ დონი კი არა, განია. ახლა სხვას გაუსწორებდა, ახლა სხვასა. შეგირდები ტახტზე ისხდნენ მოკეცილები. ნაბარათევის ნაფხრეწი მუხლზე ედოთ და საჩვენებელი თითით ასდევ-ჩასდევდნენ ასოებს. როცა კითხვა გათავდებოდა, ხელაქმეს ასწავლიდა:

ჯერ წინდა-პაიჭის ქსოვას, შემდეგ ჩიხტი-კოპის გამოკრა-გამოწყობას, მერე ოქრომკედით ანუ აბრეშუმის ძაფის ქარგვასა, თავსაკრავების კერვასა, სხვადასხვა სახეების გამოყვანასა, შემდეგ ჭრა-კერვასა. ამით თავდებოდა სწავლება".* გაკვეთილების ანუ „სწავლის" დასასრულს უფროსი მოწაფე ან მთელი გუნდი ერთად კითხულობდა „ლოცვას შემდგომად სწავლისა": „გმადლობთ შენ, შემომქმედო, რამეთუ ღირს გვყავ ჩვენ მადლსა შენსა ყურადღებისათვის სწავლისა. აკურთხენ ჩვენნი მთავარნი, მშობელნი და მასწავლებელნი, მიმყვანელნი ჩვენდა ცნობად კეთილისა და მრგვეც ჩვენ ძალი და სიმხნე, რათა ახლად შევუდგეთ სწავლასა ამას. ამინ".

საშინაო დავალებებს, როგორც წესი, არ აძლევდნენ. შინ დაბრუნებისას, ბავშვს ბევრი საოჯახო საქმე ელოდა, მაგრამ სწავლის დროც რომ ეშოვა. საკუთარი სასწავლო ნივთები, პირველ ყოვლისა კი წიგნები, არა ჰქონდა, რომ დამოუკიდებლად ემაცადინა. საშინაო დავალებათა პრაქტიკა შემოვიდა სახელმძღვანელო წიგნების გავრცელების შემდეგ სამოციანი წლებიდან და ისიც ოფიციალური სკოლების მიბაძვით.

ასევე, ოფიციალური სკოლების მიბაძვით, შემოდის საშინაო სკოლებში გამოცდებიც. გამოცდები იმართებოდა წელიწადში ერთხელ — ზაფხულის დამდეგს, მხოლოდ იმ მოწაფეთათვის, რომლებიც ამთავრებდნენ საშინაო სკოლას. ესწრებოდნენ მშობლები, სოფლის უფრო წარჩინებული თავადი ან აზნაური, მღვდელი, მამასახლისი. ბავშვები ამ დღეს ჩვეულებრივზე უკეთ ჩაცმულნი შოდიოდნენ სკოლაში. „სასკოლო" შენობა და ეზოც ახლად დასუფთავებული ხვდებოდა სტუმრებს. საგამოცდო გამოკითხვას, როგორც წესი, აწარმოებდა მღვდელი, მისი არყოფნის შემთხვევაში — თვითონ ოსტატი. ბავშვები შიშსა გრძნობდნენ გამოცდების წინ და ყველა მათგანი კენჭებს ილაგებდა უბეში, რომ ვითომ გული ქვასავით მაგარი ჰქონოდა. ჰკითხავდნენ გავლილ მასალას. აკითხებდნენ, აწერინებდნენ, ჰკითხავდნენ ანგარიშს, ლოცვებს („საღვთო წერილს"). განსაკუთრებით სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტუმრებზე სტოვებდა მოწაფეთა მიერ ლექსების ზეპირად კითხვა საერთოდ, კერძოდ კი—„ვეფხის-ტყაოსნიდან" და „გურამიანიდან".

---

* ს. მგალობლიშვილი, მოგონებანი, 34, 1938.

დასასრულ, სტუმრები, მადლობას უხდიდნენ ოსტატს და ეს უკანასკნელიც საკადრისი სადილით უმასპინძლდებოდა მათ.

ამ გამოცდებს არავითარი სავალდებულო ხასიათი არა ჰქონია. ისინი უფრო მეტად ოსტატების ინიციატივით იმართებოდნენ, რომ „სახელი გაეთქვათ", ხალხის ყურადღება დაემსახურებინათ და მოსწავლეთა მეტი რიცხვი მოეზიდნათ.

გამოცდების შემდეგ საშინაო სკოლების მოწაფეებს ითხოვდნენ ორი თვით საზაფხულო არდადეგებზე, რასაც ქართლში ს ა ო რ თ ვ ე ო ს უწოდებდნენ.

მოსწავლე ბავშვებს მზრუნველობით და გულისხმიერებით ეკიდებოდნენ ოჯახში. შეძლებისამებრ უწყობდნენ მათ ხელს სასკოლო მეცადინეობისას, მაგრამ სიღარიბე და ხელმოკლეობა მოსახლეობის უმრავლესობისა, განსაკუთრებით გლეხობისა, ძალიან ზღუდავდა ბავშვთა სწავლა-განათლების ბევრ კეთილ სურვილს და ამოცანას. ფეხშიშველი და ტანთჩაუცმელი ბავშვები ხშირად აცღენდნენ მეცადინეობას, სკოლაში ვერ დაიარებოდნენ მთელი ზამთრის განმავლობაში. ოდნავ შეძლებული ქართველი ოჯახი კი არაფერს იშურებდა შვილის სასწავლად. ალ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი გადმოგვცემს:

„(დედამ) თავის შვიდი წლის ვაჟი გააღვიძა (გვერდით ცალკე ქვეშაგებში უწვა), და უთხრა: „ადე შვილო, ილოცე, ჩაი დალიე და მერე შენს ოსტატთან წადი სასწავლებლად". ფხიზელი, მორჩილი შვილი, ჩქარა წამოდგა, გამდელმა ჯერ პირი დააბანინა, მასუკან ტანისამოსი ჩააცვა და შემდეგ ალოცეს... დედამ ყმაწვილს პატარა მოთეთრო პურის ყუა წინ დაუდვა და ჭიქით ჩაი წინ დაუდგა. ჩაი რომ გაათავეს, ყმაწვილის ლალას მოუწოდეს, და ყმაწვილის მამამ უთხრა:

„ეს შენი გაზრდილი ჩემს დედიდაშვილს, ამის ოსტატს ბერს ი ო ს ტ...თან მიიყვანე, ჩემს მაგიერ უთხარ, ამას რომ პირველი კანონი დავითნი გაუთავებია, დიდად ვმადლობთ იმასაც და იმის შეგირდსაც — ამას. ესეც მოახსენე ჩემს მაგიერ, დღეს სადილად ჩვენთან მობრძანდნენ ამ თავის შაგირდით". ამასთან იმ ყმაწვილს რამდენიმე დარიგება მისცეს, ლოყაზედ კოცნით გაისტუმრეს და ყმაწვილიც სიამოვნებით წავიდა".*

---

* ა ლ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, „ჩვენი ძველი სახეულობანი", იხ. მისი ნაწერ[ებ]ი, 142—143.

ეს ოჯახი, რასაკვირველია, გამონაკლისია. უმრავლესობის ბავშვებს კი არ გააჩნდათ არც გამდელი, არც ლალა, და საშინელი სიღატაკისა და ხშირად ობლობის პირობებში უხდებოდათ „წიგნის სწავლა“.

6. ზნეობრივი აღზრდა

საშინაო სკოლებსა, ოჯახებსა და ინდივიდური წესით სწავლების პრაქტიკაში სათანადო ყურადღება ექცეოდა აგრეთვე ბავშვთა ზ ნ ე ო ბ რ ი ვ ა ღ ზ რ დ ა ს ა ც. წერა-კითხვის, ლოცვებისა და ელემენტარული არითმეტიკის სწავლების დროს ბავშვებს აცნობდნენ ყოფა-ცხოვრების წესებს, ხალხური ზნეობის ნორმებს. ზრდილობა, სიმართლე, პატიოსნება, მორიდება, პირდაპირობა, თავდაბლობა, სხვაზე მზრუნველობა, უფროსების პატივისცემა, გამგონეობა, თავის დაჭერა სტუმრებთან და ხალხში, შეხვედრა, მისალმება და გამოსალმება, საუბრის წესი (მოსაუბრის მოსმენა და ზრდილობიანი პასუხი), დავალების დროულად შესრულება, დისციპლინა და ხალხური მორალის სხვა ნორმები ოსტატ-მოსწავლეთა საუბრის მუდმივ საგანს წარმოადგენდა. ამასთან ოსტატები ხშირად, მაგალითისათვის, მიუთითებდნენ მოწაფეებს მათთვის მახლობელ პირზე, რომელიც ცნობილი იყო თავის მაღალი ზნეობით და მისაბაძი თვისებებით.

დამსახურებული პედაგოგი გიორგი ნ ა თ ა ძ ე თავის მოგონებაში მისი დედის მართა ნათაძის საშინაო სკოლის მოსწავლეთა შესახებ, ამბობს: „როცა დაიღლებოდნენ კითხვით და წერით, ცოტას შეასვენებდა, მერე ატარებდა, სიარულს ასწავლიდა, რომ ტლანქად არ ებიჯებინათ და სიარულში სინაზე და სინარნარე ჰქონოდათ, მერე ასწავლიდა უფროსებთან სიტყვა-პასუხს, ზრდილობიან ლაპარაკს: მობრძანდი, დაბრძანდი, მიირთვი, ბრძანე, მადლობას მოგახსენებთ... სახლში წასვლის წინ აალაგებდნენ ყველაფერს, სახლს დაგვიდნენ, წყალს მოიტანდნენ ; შინ წასვლისას: მშვიდობით ბრძანდებოდეს ოსტატ“.* ასე იყო სხვა საშინაო სკოლებშიც, მაგრამ ზნეობრივი აღზრდის საქმეში მთავარ ძალას მაინც ოჯახი წარმოადგენდა. მშობლების მაგალითი იყო პირველი გაკვეთილი შვილებისათვის. ქართული ოჯახი გამოირჩეოდა თავისი

* პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის არქივი, ს. 103 (92), გვ. 53.

ზნეობრივი წესებით. ის იყო პირველი სკოლა ზნეობრივი აღზრდისა. მშობლების დამოკიდებულება შვილებისადმი ასწავლიდა უკანასკნელთ დამოკიდებულებას ხალხთან, უფროსებთან, ადამიანის ღირსებათა დაცვას, პიროვნების პატივისცემას. ვაჟა ფშაველა წერს:

„ხევსური თავის შვილს სიყრმიდანვე სითამამეს, სიამაყეს აჩვევს; მამა თავის დღეში პატარა შვილს ხელს არ დააკარებს, არა სცემს; გაუბამს საუბარს, როგორც დიდ კაცს, მოისმენს იმისაგანაც პასუხს და მსჯელობას, როგორც დარბაისელი, გამოცდილი კაცისაგან. როდესაც ბალღი სახლში შედის, იქ, თუნდ ორმოცი დროული მოხუცებული კაციც იყოს, ყველანი მაშინვე ფეხზე აუდგებიან და მიესალმებიან: მოხვედი (სახელი) მშვიდობითაო!"* ასეთსავე მზრუნველობას იჩენდნენ მშობლები შვილებზე სვანეთში და მთიან საქართველოს ზოგიერთ სხვა უბანში.**

ალ. ორბელიანი აგვიწერს თავის ზნეობრივ აღზრდას:

„ჩემ ყმაწვილობიდგან ვიდრე სამხედრო სამსახურში შევიდოდი, ჩემი დედმამა (მაგრამ ათის წლისას მე მამა აღარ მყვანდა) ასე უმანკოთ და წმინდათ მზრდიდნენ, რომ არც ყურით ცუდი რამ უნდა გამეგონა არც თვალით ცუდი მენახა რამე. თვითონ ხომ, რასაკვირველია, ასე მიფრთხილდებოდნენ, მაგრამ მოხუცებული გამდელიც მოჩენილი იყო ამისთვისა, ხნიანი კაცი ლალათ და ერთი კიდევ პატარა მოახლე, რომელიცა თუ წავიდოდი სადმე ანუ გამგზავნიდნენ, ის ხნიანი ჩემი ლალა გამომყვებოდა და ერთი კიდევ სხვა მოსამსახურე, რომლებიცა ყოველს ცუდსა მარიდებდნენ თვალით, ყურით. ასე მიფრთხილდებოდნენ და შინ უფრო გამდელ-მოახლე ყურს მიგდებდნენ, ეს არის ჩვენი ძველი გაზრდილობა ჩვენი საუკეთესო სახლისშვილებისა".***

ეს იყო ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი თავადაზნაურთა შვილების ზნეობრივი აღზრდისა, მაგრამ, ამასთან, ალ. ორბელიანი გადმოგვცემს:

---

* ვაჟა-ფშაველა, ეთნოგრაფიული წერილები, 119, 1937.

** მთიან ადგილებში სახლის ბეჭესვე გადმობიჯებული ადამიანი მუდამ საფრთხეში იმყოფებოდა: მტერი ან მხეცი არ დასცემოდა, ან არსად გადაჩეხილიყო, ამიტომ მის შინ დაბრუნებას ეგებებოდნენ სასიხარულო შეძახილით: მოხველ (ან მოსულხარ) მშვიდობითაო.

*** ალ. ორბელიანი, ჩემი შეცთომილება, საქ. მუზ. წ-კ. ს. ფ., 1659.

„სიცელქეს და თამაშობას კი არ მიშლიდნენ ჩემს ტოლ-ყმაწვილებთან და კრივშიც წამიყვანდნენ ხოლმე უფრო ამისათვის, რომ ვაჟკაცობის გული მიეცესო. ცხენითაც ხშირად მატარებდნენ. იმავ ყმაწვილობითვე ასე კარგათ ვიჯექი ცხენზე და ასე კარგათ ვხმარობდი, როგორც კარგი მხედარი. სროლასაც მასწავლიდნენ ნიშანზე და ძალიან კარგათაც ვესროდი. არამც თუ ჩვენი საუკეთესო სახლის შვილები, ასე იზრდებოდნენ გლეხკაცებისაც, ასე, რომ მთელი საქართველო შემოეარათ ერთს „შეგარცხვინას" ვერ გაიგონებდნენ, არამც თუ ლანძღვა ან გინება გაეგონათ ერთმანეთში". ასეთივე გაზვიადებით გვიხატავს ავტორი ძველ ზრდილობასაც: უწინ სად გაიგონებოდა უშვერი სიტყვა საქართველოში, სადაც წმინდა სახარების ზნეობისა ქცევა იყო ხოლმე უწინ ჩვენში და მიზდევნიდნენ სამღთო წერილისა და დარიგებას ყოვლის თავის სიმართლითა".*

ასე სწავლობდა ბავშვი ზრდილობასა და ყოფა-ცხოვრების პოზიტიურ ნორმებს. მაგრამ ყველა ოჯახი ხომ არ იდგა ამ ნორმების სიმაღლეზე. ის, რაც აკლდა ოჯახს, მოიპოვებოდა წიგნებში, ზღაპრებში, იგავ-არაკებში, ზმებში და ანდაზებში. მთელი რიგი ოჯახებისა მე-19 ს. პირველ ნახევარში წარმოადგენდა „ზეპირ სკოლებს", ფანათლებისა და ზნეობრივი აღზრდის უმრეტ წყაროს. ერთი ასეთი ოჯახი — სკოლა აღწერილი აქვს სოფრომ მგალობლიშვილს:

„საღამოს ჟამზე, როდესაც ჭრაქს ან ქონის სანთელს აანთებდნენ, მთელი სახლობა შეიყრებოდა ხოლმე დარბაზში; სახლის უფროსი ედიშერი, დიდი მოყვარული მწიგნობრობისა, აკითხებდა ხოლმე თავის რძალს ეფროსინეს „ვეფხის-ტყაოსანს" ან „დავითიანს", თავის შვილს ისიდორეს კი უფრო „სიბრძნე-სიცრუის" არაკებსა და სამღვთო წიგნებსა. ხშირად სოფლიდან მოგროვდებოდნენ ხოლმე ქალებიც და კაცებიც და ყურს უგდებდნენ კითხვასა...

— ჩემო რძალო, აბა ის მითხარი, „დავითიანში" რომ არის ქალი და ყრმა, როგორები უნდა იყვნენ?

---

* ალ. ორბელიანი, ჩემი შეცთომილება, საქ. მუზ. წ.-ქ. ს. ფ., 1659.

— „უნდა ქალმან და ყმაწვილმან დახუროს ბაგე კბილისა,
ფეხი არ ახსნას საბლითა და ენა შებორკილისა;
არ მისცეს ნება შეძვრისა წარბს, წამწამს, თვალის კილოსა,
და არც ვინ თვით სხვა გაკილოს, არც სხვისგან გაიკილოსა".

— ჰე; ჰეი! მე და ჩემმა ღმერთმა, ქალი სწორე მაგითანა უნდა, დალოცვილს რა ნაირ მოუწყვია და! იტყოდნენ ხოლმე გაოცებული გლეხები. ასე მიდიოდა დღე და ღამე ედიშერის სახლში დრო და იწვრთნებოდა მაშინდელი ახალგაზრდობა" („წარსულიდან").

სოფრომ მგალობლიშვილი, როგორც რეალისტი მწერალი, ტიპურ გარემოებას აგვიწერს. ასე იყო ბევრგან, საქართველოს მრავალ კუთხეში; ასეთ ოჯახებში იწვრთნებოდა ჩვენი ახალგაზრდობა გონებრივად, იზრდებოდა ზნეობრივად, და ასე ყოველთვის, განსაკუთრებით კი. სკოლების სიმცირის დროს.

ბავშვის მორალური იერის გამომუშავებაზე მოქმედებდა არა მარტო წიგნსა და ზღაპრებში გადმოცემული ამბები, არა მარტო იგავ-არაკებით, ზმებით და ანდაზებით გამოხატული ზნეობრივი პრინციპები, არამედ თვით ალმზრდელის პიროვნება. საშინაო სკოლის და ინდივიდური წესით მომეცადინე ოსტატი, როგორც წინა თავშიც გვქონდა აღნიშნული, თავისი „პროფესიული" შემოსავლით არ იყო დაინტერესებული. ოსტატი უმეტეს შემთხვევაში თავის სამასწავლებლო მოღვაწეობას უთავსებდა სხვა რაიმე საოჯახო-სამეურნეო ან საკულტო (მღვდელ-დიაკვნები) საქმეს და თავის საარსებო წყაროდ ეს საქმე მიაჩნდა. მასწავლებლობას იგი, მცირეოდენ გამონაკლისს გარდა, საქველმოქმედო მოღვაწეობად სთვლიდა, „საქვეყნო" ან „სულის საქმედ" აღიარებდა; ერთი სიტყვით, მორალურ მოვალეობად მიიჩნევდა. ამიტომ ის განსაკუთრებული სიმახვილით განიცდიდა თავის მოღვაწეობაში როგორც წარმატებას, ისე მარცხს. დიდი იყო ოსტატის სიხარული მისი მოწაფის (შეგირდის) მიერ „სწავლის" დასრულებისა და დამოუკიდებლად „საქმეზე" გასვლის დროს. ნამოწაფარის ქორწილში ოსტატი ყველაზე მეტ პატივისცემაში იყო. მათ შორის მტკიცე, ნათესაური კავშირი იბმებოდა.

ჩვენ ერთხელ გვქონდა შემთხვევა აღგვენიშნა,* რომ ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში ხალხის წრიდან გამოსული აღმზრდელის განსაკუთრებული პასუხისმგებლობის მაგალითი მისი აღზრდილის მიმართ, გადმოცემულია აკაკის პოემა „გამზრდელში". ეს პოემა ხალხური წარმოშობისაა, მაგრამ რადგანაც მისი ხალხური ვარიანტი ჯერ ზუსტად არ არის დადგენილი, ვსარგებლობთ აკაკის ტექსტით: საფარ-ბეგმა თავის აფხაზ მეგობართან სტუმრობის დროს დაარღვია მეგობრობის წმინდა გრძნობა და მისი მეუღლის, ნაზიბროლას, სარეცელი შებღალა. აფხაზი არა ჰკლავს საფარს, როგორც თავის დედის რძით გაზრდილ მეგობარს, ხოლო ავალებს:

„წადი ნახე ის მოძღვარი, ვინც შვილივით გამოგზარდა,
და უამბე შენი პირით, რაც სირცხვილი დაგემართა".

საფარ-ბეგი მიდის ყაბარდოში და, შეურაცხყოფილი აფხაზი ამხანაგის დავალებისამებრ, ყველაფერს უამბობს თავის აღმზრდელსა და მასწავლებელს ჰაჯი-უსუბს, რომელიც „ცნობილია მხოლოდ ჭკუით და გონებით". ჰაჯი-უსუბი ამ ამბის საპასუხოდ ფეხზე აყენებს დამბაჩას. საფარი ფიქრობს, რომ მასწავლებელი ჰკლავს მას — ულირსს მოწაფეს, და მკერდს უშვერს ტყვიას.

„მაგრამ უსუბ ეუბნება: „შემ სიკვდილის რა ღირსი ხარ!
სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ, რომ კაცად ვერ გამიზრდიხარ!
წარმოსთქვა და საფეთქელში მიიჭედა ცხელი ტყვია!...
ჩაიკეცა სულთმობრძოლი, წამლის კვამლში გაეხვია".

ისტორიამ თითქმის არც იცის აღმზრდელის დანიშნულების ასე მკვეთრად განცდის ფაქტი. აკაკის მარტივი სტილით გადმოცემულ ამ დიდ ადამიანურ ტრაგედიას მაღალი მორალის ბეჭედი აზის. ცივია ეს მორალი, მაგრამ მეტად მახვილი და ბასრი. ჭკუით და გონებით ცნობილი აღმზრდელი თავის საზოგადოებრივ შრომას შესცქერის, როგორც საკუთარ სიცოცხლეს. მან ნახა თავისი შრომის უქმი ნაყოფი და სიცოცხლეც გაიუქმა.

---

* „აკაკი წერეთელი და სახალხო განათლება", თბილ. უნ-ტის საიუბილეო კრებ. „აკაკი წერეთელი", 150, 1940.

მეტად ულმობელია ეს განაჩენი საკუთარი თავის მიმართ, მაგრამ, სამაგიეროდ, ეს არის აღმზრდელის სიბრძნე, მისი პასუხისმგებლობის დიდი მწვერვალი.

7. ფიზიკური დასჯის საკითხი

საქართველოს ხალხური სწავლა-აღზრდის პროცესში, ბავშვთა ზნეობრივი განვითარებისადმი მშობელთა და მასწავლებელთა (ოსტატთა) დამოკიდებულების მიმოხილვისას, თვალში გვეცემა ერთი, ქართული ხალხური (საოჯახო) განათლებისათვის მეტად დამახასიათებელი, გარემოება: ბავშვის უ ხ ე შ ი ფ ი ზ ი კ უ რ ი დ ა ს ჯ ი ს, როგორც გ ა მ ა ს წ ო რ ე ბ ე ლ ი ღონისძიების, უ ა რ ყ ო ფ ა.

მე-19 ს. დასაწყისამდე ჩვენ არ მოგვეპოვება რაიმე ცნობა იმის შესახებ, რომ საქართველოს საშინაო სწავლა-აღზრდის დროს ადგილი ჰქონოდეს მოწაფის უხეშ ფიზიკურ დასჯას, როგორც მის გამასწორებელ ღონისძიებას. იეზუიტური და რუსული „დომოსტროის“ ფიზიკური დასჯის სისტემა ჩვენმა საოჯახო აღზრდამ ძველად, მე-19 ს. დამდეგამდე, არ იცოდა. ასევე როზგიც. საქართველოში ის შემოდის მე-19 ს. დასაწყისიდან, მაგრამ არაოფიციალურ, ე. ი. საშინაო და ეკლესია-მონასტრებთან არსებულ სკოლებში მაინც არ იყო მისი ჭაჭანება.

ჩვენი საშინაო სწავლა-აღზრდის პროცესში ცელქობისა, გაუგონრობისა და უყურადღებობისათვის იცოდნენ „ხორცის მოჩმეტა“ და „თმის მოწევა“ გოგონებისათვის, „წკეპლა“, დაჩოქება და „ყურის აწევა“ ვაჟებისათვის. ამას გარდა, ცელქობისათვის ხშირად გაიყვანდნენ ბავშვს და ძაფით ბალახზე მიაბამდნენ, რომ არ განძრეულიყო და ძაფი არ გაეწყვიტა ან ბალახი არ მოეგლიჯა, თორემ უფრო მკაცრი სასჯელი (წკეპლა) ელოდა.

აქ შეიძლება გავიხსენოთ ერთი ანდაზა:

„შვილი გაზარდე მტრულადა
მოყვრულად გამოგადგება“.

ჯერ ერთი—ეს ანდაზა სრულებით არ არის პოპულარული საქართველოში, და მეორეც—ის ტიპურ გარემოებას არ გამოხატავს. სიტყვა „მტრულად“, ცხადია, არ უნდა გავიგოთ პირდაპირი მნიშვნელობით, მაგრამ რაგინდ რბილი, ნართაული აზრითაც არ უნ-

და გავიგოთ, იგი მაინც არ შეეფერება ქართული ოჯახისა და ქართველი მშობლის დამოკიდებულებას შვილებისა და საერთოდ ახალგაზრდობისადმი. მტრულად ან ცემა-ტყეპის შიშით აღზრდილი შვილისაგან მოყვრობას არავინ ელოდა ჩვენში, — ის კი ყველამ იცოდა, რომ ამგვარად აღზრდილი ბავშვები მხდალი, დონდლო და მონური სულის პატრონები გამოდიოდნენ.

V. სწავლების მეთოდები და ფორმები

XIX საუკუნის პირველი ნახევრის პედაგოგიური კულტურის დაბალმა დონემ თავისი ყველაზე უფრო მკაფიო გამოხატულება ჰპოვა სწავლების მეთოდებსა და ფორმებში. ზოგადი დიდაქტიკისა და კერძო მეთოდიკების სილარიბე, პირველ ყოვლისა, ემჩნევა სწავლების ხერხებსა და სახელმძღვანელოებს.

1. კითხვის მეთოდიკა. ანბანის გაცნობა. ანბანთქებანი. დამარცვლა. ამოსალები

წიგნიერების დასაწყისს და გადამწყვეტ საფეხურს ძველად კითხვა წარმოადგენდა.

ქართული ანბანის შესწავლას საქართველოს სკოლებში და კერძოდ (ხალხური სწავლების მეთოდებით) მომუშავე მასწავლებელთა პრაქტიკაში — კითხვით იწყებდნენ: ჯერ ანბანის ყველა ასოს ეცნობოდნენ რიგის მიხედვით და შემდეგ იწყებდნენ მათ წერას იმავე თანამიმდევრობით.

ასოების მოხაზულობას პირველად, ცხადია, აცნობდა მასწავლებელი. ის იწყებდა იმით, რომ აჩვენებდა ბავშვებს მუყაოზე ან ფიცრის ნაჭრებზე (ფირფიტებზე) გამოყვანილ ახალ ასოს ან დაუწერდა ამ ასოს დაფაზე და ეტყოდა მის სახელს. 2—3 მოწაფე გაიმეორებდა ცალ-ცალკე და შემდეგ ყველა ერთად ხმამაღლა. შემდეგ მასწავლებელი ავალებდა მოწაფეებს მოეძებნათ ეს ახლადგაცნობილი ასო მოზრდილ მუყაოზე ალფაბეტური წესით დაწერილ სრულ ანბანში, რომელიც ყოველი მათგანის წინ იდვა ან, უკიდურეს შემთხვევაში, კედელზე იყო გაკრული. მაგრამ მასწავლებელი ამით არ ამთავრებდა ახალი ასოს გაცნობას. ის, როცა შეამოწმებდა, რომ მოწაფეებმა ახალი ასო სწორად მიაგნეს ანბანში, წინადადებას აძლევდა ყველა მათგანს იგივე ასო და მისთანა ასოები ეძებნა მათთვის განკუთვნილ საკითხავ მასალაში ან სა-

ზელმძღვანელო წიგნების შემთხვევით გადაშლილ გვერდზე. საბოლოოდ, იმავე ასოს, მასწავლებელი მოაძებნინებდა ყველა მოწაფეს მათ წინ დაწყობილ მუყაოს ან ხის პატარა ფირფიტებზე დაწერილ მრავალ სხვადასხვა ასოში. ამით თავდებოდა ასოს გაცნობა და მასწავლებელი გადადიოდა შემდგომ ახალ ასოზე იმავე წესით, და ასე ბოლომდე, ე. ი. უკანასკნელ ასომდის.

ეს იყო ანბანის სახის, ანუ მოხაზულობის გაცნობა, მაგრამ მისი „დასწავლისათვის" საჭირო იყო ასოების თანამიმდევრულად, ე. ი. „ჩათვლით" ანუ „რიგზე" დაზეპირება. მთელი ეს პროცესი მოწაფეთა მექანიკურ მეხსიერებაზე იყო დაფუძნებული. მასწავლებელი წარმოსთქვამდა ასოების სახელებს, მაგრამ არა იმ წმინდა, გამხოლოებული ბგერით, როგორითაც ის მთლიან სიტყვაში გამოითქმის, არამედ — სხვა ბგერის ან ბგერების თანხლებით, მაგალითად: ა-ს მაგივრად—ან (ი), ლ-ს მაგივრად—ლას (ი), პ-ს მაგივრად — პ ა რ (ი), ჰ-ს მაგივრად — ჰ ა ე და სხვ. მოწაფეებიც ამავე გამოთქმით იმეორებდნენ და სწავლობდნენ მთელ ანბანს. ან, ბან, გან, დონ, ენ, ვინ და ასე — ბოლომდის. დამახსოვრების თვალსაზრისით მასწავლებელი ჯგუფ-ჯგუფად აწოდებდა ბგერებს; თითოეულ ჯგუფში შედიოდა 4 ან 5 ბგერა. პირველი 4-5 ბგერა შეადგენდა პირველ დასამახსოვრებელ ჯგუფს, მეორე 4 — 5 ბგერა — მეორე ჯგუფს და ასე შემდეგ. მოწაფეები ცალკე ჯგუფებს ადვილად იმახსოვრებდნენ, მაგრამ მათი შეერთება და მთელი ანბანის ალფაბეტური თანამიმდევრობით გაზეპირება უძნელდებოდათ.

1867 წელს „დროებაში" მ. ბ ე თ ა ნ ი შ ვ ი ლ ი თავისი სიყმაწვილის ანუ 30-იანი წლების პერიოდში ქართული წერა-კითხვის სწავლების შესახებ ამბობს:

„ექვსი წლისა ვიყავი, როდესაც ჩემმა მშობლებმა მიმაბარეს ერთ მღვდელს. მე დილით წავიდოდი მღვდელთან და საღამოს შოვდიოდი ხოლმე სახლში. მღვდელმა პატარა ქაღალდზე დაწერა „ა"-ნ „ბ"-ანი, გადააკრა პატარა ფიცარზედ, მამცა ხელში გადაკრული ფიცარზე ანბანი, მაჩვენა პირველი ასო „ა" და მითხრა, რომ „დღეს საღამომდის მარტო ეს ასო გაიზეპირეო". მეც მიხაროდა ადვილი დასასწავლი არის მეთქი და მთელს დღეს ერთ ასოს ეზეპირობდი. საღამოზე მღვდელმა მათქმევინა ზეპირად ასო „ა", მეც იმწამსვე წამოვიძახე. გახარებულმა მღვდელმა გამიშვა სახლ-

ში და თანაც დაუმატა: „ამაღამ ლოგინშიც რომ დაწვე, ნასწავლი ასო მაინც იზეპირეო, თორემ დაგავიწყდებაო“. და ასე შემდეგშიც: „ისევ ის ზეპირობა, თავის მტვრევა და სხვა არაფერი. განვლო ორმა თვემ და მე ჯერ ანბანი ვერ დავისწავლე“. ბეთანიშვილი დაასკვნის, რომ „უწინ საქართველოში ყველგან (ამ) ერთს მეთოდზე ასწავლიდნენ ანა-ბანას“.*

დიდხანს ავარჯიშებდნენ ბავშვებს ანბანის გაზეპირებაში; ბევრს საშუალებას მიმართავდნენ ამ მიზნით; ერთ-ერთ საშუალებას ისევ გალექსილ „ანბანთ-ქებანი“ წარმოადგენდნენ. მე-19 ს. პირველ ნახევარში კვლავ ვრცელდებოდა ჩვენში ბ ე ს ი კ ი ს „ანბანთ-ქება: „ალალებს ბაგებს გულთ დასადაგებს“, გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი ს და სხვა, ხშირად უავტორო, ანბანთ-ქებანი, რომელნიც შემდეგ, უკვე მეორე ნახევარში, ა კ ა კ ი ს „ქართული ან-ბანი“-თ შეიცვალა. მაგრამ ეს გალექსილი „ანბანთ-ქებანი“, ჯერ ერთი, ყველა მასწავლებელმა არ იცოდა, მეორე, რაც მთავარია, თვით მოწაფეებმა ჯერ კითხვა არ იცოდნენ (მხოლოდ ასოებს იზეპირებდნენ), ხოლო მასწავლებლისაგან რამდენჯერმე წაკითხულ ლექსს ზეპირად ბოლომდე ვერა სწავლობდნენ, დასწავლილ ნაწილს კი ჩქარა ივიწყებდნენ. მეორე უფრო გავრცელებულ და უფრო ეფექტიან საშუალებას ანბანის გასაზეპირებლად წარმოადგენდნენ მუყაოზე ან პატარა („ტკაველიან“) ქალალდგადაკრულ ფიცრებზე რიგით დაწერილი ანუ როგორც ამბობდნენ, „გამოყვანილი“ მთელი ქართული ანბანები. მუყაოს ან ფიცრის თითო ასეთი ნაჭერი ყველა მოსწავლეს ეძლეოდა, რომ ყველგან, სკოლაში თუ შინ, ესწავლათ „შეუპოვრად“ და „მიჯინებულად“. და ბოლოს ბავშვის ნაკლებად დატვირთულ მეხსიერებას მაინც შეჰყავდა მის ცნობიერებაში ქართული ანბანის თუ ყველა ასო არა—პირველი ნაწილი მაინც, და ამით მთელი ანბანის დ ა ს წ ა ვ ლ ა ს დ ა მ თ ა ვ რ ე ბ უ ლ ა დ სთვლიდნენ. მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ეს იყო გულუბრყვილო ვარაუდი. რამდენადაც მოწაფეები ასო-ბგერებს სწავლობდნენ მხოლოდ მხედველობითი და სმენითი მეხსიერებით, მაგრამ მარცვალ-სიტყვის ანუ კითხვისა და მოტორული პროცესის ანუ წერის გარეშე, იმდენად ეს სწავლა მექანიკური წრთვნის შედეგი იყო. ამიტომ მათ ადვილად ეშლებოდათ ანბანის თანამიმდევ-

* „დროება“, 1867, № 27.

რობა, განსაკუთრებით შუალედის შემდეგ, ხოლო თავისი რიგიდან ამოვარდნილი ასო-ბგერის გრაფიკული სახე ავიწყდებოდათ.

ანბანის „დასწავლას“ მოსდევდა მარცვლების „დასწავლა“, არც ეს იყო ადვილი პროცესი. მისი არსი მდგომარეობდა იმაში, რომ ქართული ანბანის ყოველი თანხმოვანი სათითაოდ უნდა შეერთებოდა ყოველ ხმოვანს და ისე გამოთქმულიყო. მაგალითად: ასო „ბ“ ხუთივე ხმოვანს (ა, ი, ე, ო, უ-ს) და გამოითქმოდა ასე:

ბ-ან და ა-ნ	=	ბა		გ-ან და ა-ნ	=	გა
ბ-ან და ი-ნ		ბი		გ-ან და ი-ნ	„	გი
ბ-ან და ე-ნ	„	ბე		გ-ან და ე-ნ	„	გე
ბ-ან და ო-ნ	„	ბო		გ-ან და ო-ნ	„	გო
ბ-ან და უ-ნ	„	ბუ		გ-ან და უ-ნ	„	გუ

და ასე შემდეგ, დასრულებამდის. ყველა თანხმოვანისაგან ხმოვანთან შეერთებით სდგებოდა ხუთ-ხუთი მარცვალი და, მაშასადმე, ქართული ანბანის 29 თანხმოვანიდან (ძველი ორთოგრაფიით) სდგებოდა 145 მარცვალი, რომელიც ზეპირად უნდა დაესწავლათ მოწაფეებს. დასწავლა ხდებოდა ჯგუფ-ჯგუფად: ჯერ სწავლობდნენ ერთი თანხმოვნის 5 მარცვალს (ბა, ბე, ბი, ბო, ბუ), შემდეგ მეორისას (გა, გე, გი, გო, გუ) და ასე გრძელდებოდა ბოლომდის ბავშვთა გულისშემღონებელი და მომქანცველი პროცედურა, რომელსაც ა რ ა ვ ი თ ა რ ი მეცნიერული და მეთოდიკური ღირებულება არა ჰქონია და მხოლოდ ძველი ტრადიციით აგრძელებდა თავის არსებობას XIX ს. პირველ ნახევარში (ამ პროცედურის წარმოშობისა და გამოყენების ცდების შესახებ ჩვენ გვაქვს ლაპარაკი ს უ ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს ა და სხვების ანბანთა გარჩევისას, ჩვენი ნაშრომის პირველ წიგნში).

ანბანისა და მარცვალთა თანმიმდევრობის დაზეპირება-დასწავლა ძნელი იყო, მაგრამ ის გაცილებით ნაკლებ სიძნელეს წარმოადგენდა მოწაფეთათვის, ვიდრე კ ი თ ხ ვ ი ს პ რ ო ც ე ს ზ ე გადასვლა. ასო-ბგერებიდან სიტყვის შედგენა ანუ ე. წ. ა მ ო ს ა ღ ე ბ ი, პირდაპირ ტანჯვას წარმოადგენდა მათთვის. სიძნელე, პირველ ყოვლისა, იმაში მდგომარეობდა, რომ ანბანის ასო-ბგერები მარცვალ-სიტყვაში და ცალკე ერთნაირად არ გამოითქმოდნენ. მაგალითად, როგორც აღვნიშნეთ, ასო-ბგერა ა მარცვალში, ისე როგორც სიტყვა-წინადადებაში, გამოითქმოდა როგორც ა, ხოლო

ცალკე—როგორც ა-ნი, ასო-ბგერა ლ მარცვალში (სიტყვაში, წინადადებაში) გამოითქმოდა როგორც ლ, ცალკე როგორც ლ-ასი და ასე ყველა სხვა ასო-ბგერა. ამგვარად, ანბანში ასო-ბგერის სახელწოდებისა და სიტყვაში მისი გამოთქმის სხვადასხვაობა უძნელებდა ბავშვს მიხვედრილიყო, რომ აქ ორივე შემთხვევაში ერთსა და იგივე ასო-ბგერასთან ჰქონდა საქმე. ძნელი იყო მისთვის მიხვედრილიყო, რომ მარცვალი ბა შედგებოდა ბან-ისა და ანისაგან, რადგანაც ამ ორი ასო-ბგერის შეერთება მისი ცნობიერებაში ქმნიდა ბანან-ს და არა ბა-ს. სიტყვა თ ო ხ ი ასო-ბგერებისაგან ბავშვს უნდა ამოეკითხა ანუ ამოელო ჯერ მარცვლებად თო და ხი, შემდეგ კი ერთ მთლიან სიტყვად—თოხი, მაგრამ ეს მარცვლები და სიტყვა შემდეგნაირად დგებოდა: თ-ან და ო-ნ—თო, ხ-ან და ი-ნ—ხი, თო და ხი—თოხი; ასევე სიტყვა მუხა: მ-ან და უ-ნ—მუ, ხ ან და ა-ნ—ხა, მუ და ხა—მუხა. სიტყვის გამოყვანა შეიძლებოდა დაუმარცვლავადაც, მაგალითად, მ-ან, უ-ნ, ხ-ან, ჯ-ნ—მუხა და სხვ. ამ პროცესს ეწოდებოდა ა მ ო ს ა ღ ე ბ ი, ე. ი. ასო-ბგერებიდან მარცვალ-სიტყვის შედგენა ანუ ამოღება.

ამოსაღებზე გადადიოდნენ რამდენიმე ასოს გაცნობისთანავე, მაგრამ, როგორც წესი, მასზე გადადიოდნენ მთელი ანბანის შესწავლის შემდეგ. აკაკი წ ე რ ე თ ე ლ ი „თავგადასავალში“ წერს „მ ო კ ლ ე ხ ა ნ შ ი ა ნ ბ ა ნ ი ც ვ ი ს წ ა ვ ლ ე დ ა ა მ ო ს ა ღ ე ბ ი ც დ ა ვ ი წ ყ ე ო“. ამავე საკითხზე ა კ ა კ ი თავის „ანბანში“ გვაწვდის აგრეთვე ასეთ ცნობას:

„ხვალ ამოსაღებს დაიწყებ,
რადგან გემატა დღეს ჯანი
მთლად „ანა-ბანის“ დასწავლით,
მაგრამ ჯერ დაგვრჩა ეს „ჯ-ანი“.

ჯ-ანით თითქმის მთავრდებოდა ქართული ანბანი და, ამგვარად, ა კ ა კ ი ს ამ ლექსითაც ვრწმუნდებით, რომ ამოსაღებს, მცირე გამონაკლისის გარდა, იწყებდნენ ყველა ასოს შესწავლა-დამახსოვრების შემდეგ.

დამსახურებული პედაგოგი ლადო ბ ზ ვ ა ნ ე ლ ი, რომელსაც ამოსაღებით უსწავლია ქართული კითხვა, ამბობს:

„ძირითადი ნაკლი ამ მეთოდისა (ლაპარაკია ამოსაღებზე, გ. თ.) იყო ის, რომ ბავშვი, თუმცა რიგზე გაიზეპირებდა მთელ ან-

ბანს ჩათვლით, მაგრამ ცალცალკე დანაწილებით გამოკითხვის დროს, ასოებს ვეღარ სცნობდა, ამიტომ რიგზე გაზეპირების შემდეგ კიდევ დიდხანს უნდა ევარჯიშებინათ ბავშვები გამოყოფილი ასოების სახელების შესასწავლად. ანბანის კარგად ცოდნა მას არ უადვილებდა მარცვლების შეერთებას, დასწავლა-ამოკითხვას. არ ექცეოდა ყურადღება იმ გარემოებას, რომ ერთი ასოს გამოსახულება უფრო მარტივი იყო, მეორისა კი უფრო რთული და ძნელი დასამახსოვრებელი; თვით პროცესი ხმების შეერთებისა მოსწავლეთათვის გაუგებარი იყო. მოსწავლეებს არ ესმოდათ თანი და ინი როგორ გახდა „თი“, სანი და ონი — „სო“ და სხვ..

ეს მეთოდი დიდ ტანჯვა-წვალებას განაცდევინებდა ბავშვებს. ბევრი ცრემლი უღვრიათ მათ ამ წესის საშუალებით კითხვის დასწავლის დროს. ხშირად მასწავლებელი, მოთმინებიდან გამოსული, ლანძღვა-გინებით და ცემა-ტყეპით უმასპინძლდებოდა მოსწავლეს. მე თვითონ მინახავს წერა-კითხვის სკოლებში ძველად ბავშვის წიგნის ის გვერდი, რომელზედაც ანბანი იყო დასტამბული, სისხლის წვეთებით იყო დასვრილი იმიტომ, რომ გაჯავრებულ მასწავლებელს, რომელსაც ვერ გაურკვევია ამოსაღები მაგიდასთან მჯდომარე ბავშვისათვის, ჩაუკრავს მისთვის თავში, ამ უკანასკნელს კი ცხვირი დაუკრავს მაგიდაზე და სისხლი წავარდნია. აი, ეს არის ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთი იმისა, თუ ამ მეთოდით, როგორ უჭირდათ ბავშვებს ხმის ამოღება და ამოსაღებ-ამოკითხვის შეთვისება“.*

ამოსაღებს მიმართავდნენ 70-იან წლებამდის როგორც საშინაო, ისე მთელ რიგ ოფიციალურ სკოლებშიც.

ამოსაღებისა და მისი სიძველეების მომსწრე ხალხი სულ უკანასკნელ დრომდე კიდევ გვხვდებოდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. მაგალითად, პროფ. ი. ც ი ნ ც ა ძ ე გადმოგვცემს:

„1926 წელს გურიაში ჩემი პაპის უმცროსმა ძმამ ნიკოლოზ ცინცაძემ ჩემთან საუბარში მოიგონა „უდაბნოში“** სწავლის სიძნელე საერთოდ და გაკვირვება გამოთქვა, თუ როგორ უძლებენ ახლანდელი ახალგაზრდები 10—15 წლის განმავლობაში დაუსრუ-

---

* ხელნაწერი; ინახება ჩვენთან, გ. თ.

** „უდაბნო“, მონასტერი გურიაში, ამჟამად ჩოხატაურის რაიონში, რომელთანაც არსებობდა დაწყებითი სასწავლებელი, გ. თ.

ლებლივ სწავლასო, და ისიც სხვადასხვა საგნებისო. ჩემს შეკითხვაზე თუ მათ რა უძნელდებოდათ „უდაბნოში“ მეცადინეობის დროს, მიპასუხა: „ყველაზე ძნელი ანბანის სწავლის დროს „ამოღება“ იყოო. მე ვთხოვე განემარტა რას ნიშნავდა „ამოღება“, რადგანაც ასეთი ტერმინი მე პირველად გავიგონე. ჩემმა მოსაუბრემ ასე განმიმარტა: ანბანს ხომ ჯერ ზეპირად ვსწავლობდით, ან, ბან, თან, ინ, ვინ, მაგრამ როდესაც სიტყვა დაიწერებოდა, მაგალითად, „კაცი“ ჩვენ ასე წავიკითხავდით: კან, ან, ცან, ინ, ამის შემდეგ უნდა ამოგვეღო ძირითადი და სიტყვა (კაცი) გამოგვეყვანაო, ამას ეწოდებოდა ამოღება“-ო.*

—

დიდი დრო სჭირდებოდა ამოსაღებში დახელოვნებას. ხშირად ერთი წელიც კი, და მთელი ამ დროის განმავლობაში ბავშვებს ვერავითარი აზრი ვერ გამოჰქონდათ კითხვიდან. იმეორებდნენ ტექსტებს, იმეორებდნენ დაუსრულებლად, ზეპირადაც სწავლობდნენ, მაგრამ რას? — არ იცოდნენ. არცოდნის მიზეზად სთვლიდნენ კითხვაში ნაკლებ ვარჯიშს და კვლავ განმეორებას ავალებდნენ მოწაფეებს. საკითხავი მასალის მიცემის დროს თვითონ მასწავლებლები უნიშნავდნენ მოწაფეებს რამდენჯერ უნდა წაეკითხათ მათ ეს მასალა. და რომ ბავშვებს კითხვის პროცესში არ დავიწყებოდათ ან არ შეშლოდათ განმეორების სათვალავი—იყენებდნენ მისი აღრიცხვისათვის სხვადასხვა საშუალებას. დავასახელებთ სამს: სკვნილი, ჩხირები, წერტილები.

ს კ ვ ნ ი ლ ი — წარმოადგენდა მსხვილ ძაფს, რომელსაც ჰქონდა სიგრძე არა უმეტეს ერთი მეტრისა. ეს ძაფი (წვრილი ბაწარი, იმერეთში — თოკი) გასკვნილი იყო რამდენიმე ალაგას, მაგრამ არა უმცირეს ათისა. ძაფი ბავშვს ეჭირა ხელში მურგვად დახვეული და რამდენჯერაც წაიკითხავდა დანიშნულ ტექსტს, იმდენჯერ მურგვიდან გამოჰყოფდა თითო ნასკვს და ჩაუშვებდა ძირს. როცა ამ, ძირსჩაშვებული, ე. ი. მურგვიდან გამოყოფილი ნასკვების რიცხვი მიაღწევდა განმეორების რიცხვს—მოწაფე კითხვას შეწყვეტდა. ასე იქცეოდა ყველა, მიუხედავად ასაკისა, მეხსიერების მდგომარეობისა, ტექსტის სიძნელე-სიადვილისა.

---

* ხელნაწერი; ინახება ჩვენთან, გ. თ.

ა კ ა კ ი წ ე რ ე თ ე ლ ი „ბაში-აჩუკში“ გვაწვდის გარკვეულ ცნობას სკვნილის შესახებ. „ზაალის მეუღლეს მუხლებზე გადაეშალა დავითნი და „ჭირის კანონს“ კითხულობდა, სკვნილი ეჭირა ხელში და რამდენჯერაც კი გაათავებდა იმ ერთსადაიმავე ფსალმუნს, დაიწერდა პირჯვარს, ჩააგდებდა სკვნილს და მიუბრუნდებოდა ისევ თავიდან... უნდა ორმოცჯერ წაეკითხა“. იქვე, მოთხრობის დასაწყისში (სქოლიოში) ა კ ა კ ი გვაძლევს სკვნილის განმარტებას: „ძველად, კითხვის დროს მოწაფეებს ეჭირათ ხელში წერილი ბაწარი ანუ მსხვილი ძაფი, ათგან გამოსკვნილი. რამდენჯერაც წაიკითხავდნენ, იმდენ ნასკვს ჩააგდებდნენ კრიალოსანივით. ათს რომ გაათავებდნენ, თუ კიდევ საჭირო იქნებოდა, თავიდან დაიწყებდნენ, აი, ამ ძაფს ანუ ბაწარს ერქვა სკვნილი“.

ჩ ხ ი რ ე ბ ი ანუ ჯოხები, კითხვის აღრიცხვის მეტად მარტივ ხერხს წარმოადგენდა. თითოეულ მოწაფეს წინასწარ, კითხვის ე. ი. ამოსაღების დაწყებამდე ჰქონდა იგი დამზადებული—50 ცალამდე. კითხვის დაწყების დროს ჩხირების მთელი კონა ედო ან მარცხნივ, ან მარჯვნივ. ყოველი წაკითხვისთანავე ამოიღებდა კონიდან ერთ ჩხირს და მოწინააღმდეგე მხარეს გადადებდა. როცა ტექსტს ზეპირად იტყოდა, დათვლიდა ამ მხარეზე გადმოწყობილ ჩხირებს იმის გამოსარკვევად, თუ რამდენჯერ დასჭირდა ტექსტის წაკითხვა მისი ზეპირად დასწავლისათვის. გამოირკვეოდა, ვთქვათ — 30-ჯერ წაკითხვის შემდეგ ტექსტი ზეპირად იცოდა, ამ მოსწავლეს ეწოდებოდა ოცდაათჯოხიანი. თვით მოსწავლე, მისი ამხანაგები და მასწავლებელიც დარწმუნებული იყვნენ, რომ ესა და ეს მოსწავლე ყოველ საჭირო ტექსტს ოცდაათჯერ წაკითხვის შემდეგ ზეპირად იტყოდა. ზემოხსენებული ნ ი კ ო ლ ო ზ ც ი ნ ც ა ძ ე 17 ჯოხიანი ყოფილა, მაგრამ იგი აღტაცებით იგონებდა მის სიყრმის ამხანაგს მგალობლიშვილს, რომელიც თურმე „ცხრაჯოხიანი“ იყო. ისე კი მის ამხანაგთა უმრავლესობა ოცდაათიდან ოცდათხუთმეტ ჯოხიანებამდე ყოფილან, მაგრამ მათში ორი 47 ჯოხიანი და ერთი 57 ჯოხიანიც ერია. „ასეთებსო,—ამბობდა ნიკოლოზი, — გამოტვინებულთა სახელი ჰქონდათ შერქმული. მაგრამ, თუ შაინც აჩერებდა მათ მასწავლებელი „უდაბონში“, ერთი იმიტომ, რომ სურსათი მოჰქონდათ „უდაბნოში“ ყველაზე მეტი და, რაც მთავარია, ყველაზე უკეთესი ხმა ჰქონდათ და გალობაში ყველას გვჯობნიდენო“.

წ ე რ ტ ი ლ ე ბ ი, როგორც კითხვის აღრიცხვის ხერხი, ძველის-ძველია. ჯერ კიდევ მე-12 ს-ში, საქართველოს დიდი მეფე დ ა ვ ი თ ა ღ მ ა შ ე ნ ებ ე ლ ი ხმარობდა წერტილებს ამა თუ იმ ტექსტის წაკითხვის რაოდენობის აღსანიშნავად.

წერტილი დაისმებოდა წასაკითხი ტექსტის ბოლოში, ამ ტექსტის ყოველი წაკითხვის შემდეგ. ამგვარად, წერტილთა რაოდენობა მაჩვენებელი იყო იმისა, თუ რამდენჯერ იქნა ტექსტი წაკითხული. წერტილები აღნიშნული მიზნით იხმარებოდა უმთავრესად საკუთარ წიგნებში (ხელნაწერში თუ ბეჭდურში) და რამდენადაც ეს ხერხი გარკვეულ ზიანს აყენებდა წიგნს და საერთოდ ყოველ საკითხავ მასალას — იმდენად მას ფართო გავრცელება არა ჰქონია. ხანგრძლივი ისტორია აქვს ამ ხერხს, მაგრამ ცალკე პირთა პრაქტიკას იგი არ სცილდებოდა. სკოლებში, სადაც ერთი წიგნი ხშირად რამდენიმე ათეულ ბავშვს ემსახურებოდა, აგრეთვე წიგნსაცავ-ბიბლიოთეკებში, აღნიშნული ხერხის გამოყენება არ შეიძლებოდა.

კითხვის აღრიცხვის ხსენებული ხერხები (სკვნილი, ჩხირები, წერტილები) უმთავრესად საზეპირო ტექსტების წაკითხვის რაოდენობის აღსანიშნავად იხმარებოდა და, ცხადია, ამოსაღების დაძლევის ანუ კითხვის დაწყების შემდეგ; მაგრამ ამოსაღების „დასწავლის" დროსაც მიმართავდნენ მას, რადგანაც ამოსაღებს ზეპირად სწავლობდნენ, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, მისი აზრი მოწაფეებს კარგა ხანს სრულებით არ ესმოდათ.

2. წერის მეთოდი

წიგნიერების მეორე საფეხურს წერა წარმოადგენდა. ამიტომ ეს საფეხური იწყებოდა კითხვაში გავარჯიშების შემდეგ. თუმცა ხშირი იყო შემთხვევა, როცა წიგნიერება კითხვის ტექნიკის შემუშავებით თავდებოდა. ზოგჯერ კითხვაში კარგად დახელოვნებულმა პირებმა წერა არ იცოდნენ. მე-19 ს. პირველი ნახევრისა და 60-იანი წლების საქართველოში მღვდელ-დიაკვნებიც კი იყვნენ ისეთები, რომლებმაც ხუცურის და მხედრულის კითხვა ძალიან კარგად იცოდნენ, მაგრამ წერა-კი არც ერთისა არ შეეძლოთ, ხელის მოწერაც კი. მაგრამ ასეთი შემთხვევები (კითხვის ცოდნა წერის გარეშე) მაინც გამონაკლისს წარმოადგენდა. ხოლო, რო-

გორც წესი, წერის პროცესზე გადადიოდნენ ამოსაღების დაძლევის შემდეგ, ე. ი. კითხვის დაწყებისთანავე.*

წერას იწყებდნენ ყოველგვარი წინასწარი ვარჯიშის გარეშე. მასწავლებელი ჯერ დაასახელებდა ასოს, შემდეგ კი დასწერდა მას ხის უბრალო, შეუღებავ, დაფაზე და თუ დაფა არა ჰქონდათ — უბრალო ფიცარზე, ხოლო პატარა ჯგუფების ან ინდივიდუური წესით მუშაობის შემთხვევაში — ხარის ბეჭის ძვალზე. ბავშვები იწერდნენ მასწავლებლის მიერ დაწერილ ასოს თავიანთ ქაღალდებზე ან ბეჭის ძვლებზე. ყოველი ასოს გადმოწერა გრძელდებოდა მანამ, სანამ მოსწავლეები ხელს არ გაიწაფავდნენ მის წერაში, სანამ არ მიამსგავსებდნენ მასწავლებლის დანაწერს. ასოების საჩვენებელი წერა მასწავლებლის მიერ და მათი გადაწერა მოსწავლეთაგან ხდებოდა ანბანის თანმიმდევრობით, ე. ი. იმ რიგით, როგორითაც მათ კითხვა ისწავლეს. არავითარი პედაგოგიური მოსაზრება არ ედვა საფუძვლად ამ მეთოდს. ა-ნის შემდეგ ბავშვები გადადიოდნენ ქართული ალფაბეტის ყველაზე უფრო ძნელად საწერ ასო ბ-ანზე, შემდეგ კი ისევ ადვილად საწერ ასოებს უბრუნდებოდნენ. სიტყვების წერას იწყებდნენ მხოლოდ ყველა ასოების წერის სწავლის შემდეგ.

ქართული კითხვა-წერის აღნიშნული ხალხური წესის განხილვა დიდაქტიკური თვალსაზრისით, ადვილად მიგვიყვანს იმ დასკვნამდე, რომ ჩვენ აქ საქმე გვაქვს კითხვა-წერის სწავლების ე. წ. ა ნ ბ ა ნ უ რ ანუ ასოთშეერთების (**Буквенный, буквослагательный**) მეთოდთან. ეს მეთოდი, როგორც ვიცით ძველთაგანვე იხმარებოდა საქართველოში. ამ მეთოდის მიხედვით ჰქონდათ შედგენილი ს უ ლ ხ ა ნ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს და XVIII საუკუნის სხვა ავტორებს თავისი „ანბანები“. იგივე მეთოდი იხმარებოდა ჩვენში მე-19 ს. პირველ ნახევარში, მაგრამ არა მარტო „საოჯახო სკო-

---

* შინაურ (საოჯახო) სკოლებში „ასოების დასწავლის“ პარალელურად წერის წარმოების ფაქტს აღნიშნავს ს ო ფ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი: „რამდენიმე ასოს დაწერდა მღვდელი ბეჭზე, როგორც მხედრულს, ისე ხუცურსა და რისვაი-ვაგლახით შეასწავლებდა, თან აწერინებდა თვითეულ შეგირდს ბეჭზედვე, რომელიც ყველა ბავშვს ქონდა. („მოგონებანი“, 33).

მაგრამ ეს თი ფაქტები XIX ს. პირველ ნახევარში გამონაკლისს წარმოადგენდა. ასოების სწავლისა და კითხვის პარალელურად წერის წარმოება პირველად, როგორც საერთო მოვლენა, იწყება 1864 წლიდან (იხ. პ. უმიკაშვილის „ქართული ანბანი“ მე-3 გამოკ. წინასიტყვაობა).

ლებსა“ და ინდივიდური სწავლების პრაქტიკაში, არამედ ოფიციალურ სასწავლებლებშიც. ამ მეთოდის საფუძველზე იყო შედგენილი აგრეთვე მე-19 ს. პირველი ნახევრის ქართული ენის (ანბანის) სახელმძღვანელოებიც.

სხვა საკითხია, ხალხიდან გადავიდა ეს მეთოდი სკოლაში, თუ პირუკუ — სკოლიდან ხალხში; ასოთშეერთების ანუ საანბანო მეთოდი, როგორც კითხვა — წერის სწავლებისა და სწავლის უძველესი ხერხი იხმარებოდა ყველგან, როგორც ჩვენში, ისე დასავლეთში, რუსეთში და სხვა ქვეყნებში. ისტორიულად ის იყო პირველი მეთოდი ანბანის სწავლებისა და პედაგოგიკის ისტორიამ, XVII საუკუნემდე არ იცის წერა-კითხვის სწავლების ა რ ს ე ბ ი თ ა დ სხვა მეთოდი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ამ მეთოდის სხვადასხვა ვარიანტს. დიდმა პედაგოგმა ი ა ნ კ ო მ ე ნ ს კ ი მ (1592—1670) იგრძნო, რომ ეს მეთოდი „მძიმე ტანჯვას აყენებს ბავშვის გონებას“, არ შეეფერება მოწინავე დიდაქტიკის პრინციპებსა და წესებს (შეგნებულობა, თანამიმდევრობა, მარტივიდან რთულზე გადასვლა) და 1658 წელს შესცვალა იგი ახალი, ბგერითი მეთოდით, მაგრამ ფართოდ გავრცელება მას დიდხანს არ ღირსებია.

რამდენადაც წერა-კითხვას ხალხი უფრო ადრე სწავლობდა, ვიდრე სკოლა და მასწავლებლის პროფესია აღმოცენდებოდა, ხოლო საანბანო ანუ ასოთშეერთების მეთოდზე ადრე სხვა მეთოდის არსებობა ჩვენ არ ვიცით, იმდენად უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მეთოდი ხალხიდან გადავიდა სკოლასა და მეცნიერებაში. სკოლა და მეცნიერება კი, თავის მხრივ, ავითარებდა ამ მეთოდს და გაუმჯობესებული სახით იმავე ხალხს უბრუნდება.

3. ხარის ბეჭი. ფიქალი. ფიცარი. ჭყორის ფოთოლი

ქართველი ხალხი მრავალგვარ საშუალებას მიმართავდა წერა-კითხვის შესასწავლად, ცოდნის მისაღებად. წერა-კითხვის სწავლების თუ სწავლის პროცესში მე-19 ს. პირველ ნახევარში კვლავ იხმარებოდა ისეთი სასწავლო ნივთები, როგორიც იყო ხ ა რ ი ს ბ ე ჭ ი, ფ ი ქ ა ლ ი (ბ რ ტ ყ ე ლ ი ქ ვ ა), ფ ი ც ა რ ი (დ ა ფ ა), ჭ ყ ო რ ი ს ფ ო თ ო ლ ი.

პ ლ ა ტ ო ნ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი (1809—1875), რომელიც ბავშვობისას თბილისის ნათლისმცემლის ეკლესიასთან არსებულ სკოლაში

ებარა, წერს, რომ ამ სასწავლებელში სწავლობდა იგი „ქართულსა კითხვასა და წერასა ხარის ბეჭის ძვალზედ, დროთა ჩვეულებისა გამო“.* ასევე აკაკი წერეთელიც: „ანბანის წერა ბეჭზე დავიწყეო“, წერს იგი „თავგადასავალში“. იოსებ დავითაშვილი ამბობს:

„ქვაბის მურის მონალესით მომიმზადა მელანია
ხარის ბეჭი დაფად მქონდა, მასწავლიდა მელანია“.

სოფრომ მგალობლიშვილი თავის მოთხრობაში „წარსულიდან“ გვაუწყებს, რომ ისიდორე გეგელაშვილისა და „ეფროსინეს სკოლაში“ ქართულ წერას ბეჭზე ასწავლიდნენ. ასე იყო თითქმის ყველა საშინაო სკოლაში და ინდივიდური წესით მომუშავე მასწავლებელთა პრაქტიკაში.

ხარის ბეჭის დამზადება ძნელი არ იყო. მოხარშული ბეჭის ხორცი ადვილად სცილდებოდა თავის ძვალს, რომელსაც არ სჭირდებოდა რაიმე დამუშავება, რომ „სასწავლო ნივთად“ ქცეულიყო. ამასთან, იგი დიდხანს ძლებდა, ხოლო როცა დაპატარავებული და გაყვითლებული, სასწავლო ნივთად აღარ ვარგიყო, ერთხანს კიდევ რჩებოდა იგი ძველ ოჯახებში, როგორც მოწიწების საგანი, როგორც რელიკვია.

ბეჭის ძვლებზე ასოებს პირველად წერდნენ ჩვეულებრივი მოგრძო ნახშირით, რომელსაც თავი, ფანქრის მსგავსად, წათლილი უნდა ჰქონოდა პატარა და ლამაზი ასოების გამოსაყვანად. მაგრამ, ჩქარა, სიტყვებისა და ტექსტის წერას იწყებდნენ მელნით.** კალამს აკეთებდნენ ბატის ფრთისაგან. წერის დროს ბეჭის ძვალი ედვათ მუხლზე ან კალთაში. ბეჭის ძვალი ასპიდის დაფის მაგიერობას სწევდა ჩვენში. ქაღალდის სიძვირისა და „დროთა ჩვეულებისა გამო“ მისი ხმარება გრძელდებოდა მე-19 ს. 60-იან წლებამდის.

ფიცარსა და ქვაზე წერის პრაქტიკას ადგილი ჰქონდა უმთავრესად თუშეთსა და ფშავ-ხევსურეთში. საამისო ცნობები შემონახულია ხალხურ სიტყვიერებაში.

თუში მელექსე ლაზრო იმედაძე ამბობს:

---

* პლატონ იოსელიანი, „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“, 261, 1936-

** მელანს აკეთებდნენ ქვაბის მურით, კაკლის ხის ქერქის, ყაყაჩოს ყვავილის, ანწლის მწიფე მარცვლისა და სხვა მცენარეთაგან.

„არც სკოლა არის ისწავლო, რომ შეისმინო სიბრძნეა,
ზოგი არს ჩემებრ ნასწავლი, როგორც მე შევისწავლეა.
ის გადაუწერს ფიცარზე ეს არს ანა და ბანია,
მერე დაუწერს სახელებს, რომელიც მარჯვე არია,
დაუწერს სიპის ქვაზედა, ქაღალდის მაგიერია,
არც აქვის საკითხ წიგნები, არც ქაღალდ დასაწერია,
მეც ისე შესწავლილი ვარ, ეხლა რომ ლექსებს ვმღერია,
ესე სწავლობენ მთის ხალხი სკოლებ რომ აქ არ არია".*

ასე იყო ფშავ-ხევსურეთშიც: ფიქალზე ისწავლა წერა ვაჟა-ფშაველას მამამ, პავლემ და თვით ვაჟამაც.* ქვაზე ასოებს წერდნენ ჯერ ნახშირით, ხოლო როცა ტექსტების წერაზე გადადიოდნენ — ფხაჭნიდნენ მასზე ასოებს წვეტიანი ლითონით ან კაჟით.

ამგვარად, ხალხური სწავლა-აღზრდის ძველი წესებისა და მეთოდების გავრცელების მასშტაბი XIX ს. პირველ ნახევარში ძალიან ვრცელია. მათ მიმართავენ არა მარტო საეკლესიო და საშინაო სკოლები და ინდივიდური სწავლების პრაქტიკაში, არამედ სახელმწიფო და სხვა ოფიციალური ხასიათის სკოლებშიც. ამასთან, XIX ს. პირველი ნახევრით არ ამოწურულა ჩვენში ამ წესებისა და მეთოდების გამოყენება. 60-იან და უფრო მოგვიანო წლებშიც ვხედავთ ჩვენში მათ ნაშთებს ქართული ენის ახალი სახელმძღვანელოებისა და წერა-კითხვის ახალი მეთოდების პარალელურად.

4. ურთიერთსწავლების ტრადიცია

არ შეიძლება აქ გვერდი აუხვიოთ საქართველოში ძველთაგან დარჩენილ ურთიერთ-სწავლების ტრადიციას, რაც მე-19 ს. პირველ ნახევარშიც საკმაოდ ფეხმოკიდებული იყო ჩვენში. ეს ტრადიცია უფრო მეტად მიწისმუშაობას მოწყვეტილ პროფესიათა შორის იყო გავრცელებული. მწყემსები, ხელოსნები, მეღვინეები (სირაჯები) და სხვები ერთი მეორეს ასწავლიდნენ წერა-კითხვას და საკითხავი წიგნებით ამარაგებდნენ. ფშავ-ხევსურეთში, მთიულეთში, სვანეთსა და რაჭაში ეს ტრადიცია სულ უკანასკნელ დრომდე რჩებოდა სასკოლო სწავლების პარალელურად. ისტორიკოსი ნიკო ხიზანიშვილი ამბობს:

---

* ს. მაკალათია, თუშეთი, 107.

„ფშაველი მეცხვარეები ერთი-ერთმანეთს ასწავლიან წერა-კითხვას, ერთი-მეორის მასწავლებლები არიან, და ძნელად შეხვდებით ისეთ მეცხვარეს, რომელმაც წერა-კითხვა არ იცოდეს. სად სწავლობთ მეთქი, ვკითხე მე. ცხვარშიო, მიპასუხეს; ხან დედა-კაცები გვასწავლიანო.

თუ ფშაველს „დედა-ენა“ და მეტადრე „ბუნების კარი“ უძევს (ეს უკანასკნელი მას უფრო უყვარს), ბედნიერია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს „საქართველოს მასწავლებელს“ ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ს არც ერთს კუთხეში არა აქვს ისეთი პატივი და დიდება, როგორც აქ, ფშაველებში. და აი, ამისთანა წერა-კითხვის მოსიყვარულე ხალხში ჩვეულება თავისას იზამს და წერა-კითხვა არ აღმოიფხვრება, რადგანაც მას ცხვარში ღრმად აქვს ფესვი გამდგარი. ე ს ჩ ვ ე უ ლ ე ბ ა, როგორც მოგეხსენებათ, წ ა რ ს უ ლ ი ს ნ ა შ თ ი ა, — აგრძელებს ხიზანიშვილი, — იმ წარსულისა, როცა უმეტესად ოჯახში იყო მოთავსებული ჩვენი სწავლა-განათლება“.*

ერთმანეთის სწავლებით მოკლე დროში „იტეხდნენ თვალს“ ფშაველები. ჩქარა იწყებდნენ წიგნების კითხვასა და სხვებსაც უკითხავდნენ. ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა გადმოგვცემს, რა სერიოზულ და რთულ შინაარსიან წიგნებს კითხულობენ ფშაველები ურთიერთსწავლების ან შინაური განათლების შედეგად:

„ღვთისოს გამოეტანა თავისი წიგნები—„ვეფხის-ტყაოსანი“, დავით გურამიშვილის თხზულებანი, „კალმასობა“ იოანე ბატონიშვილისა; მიმსხდარიყვნენ საბძლის გვერდში, ღვთისო უკითხავდა იმათ „კალმასობაში“ იმ ადგილს, სადაც ხელაშვილი შაჰხვდება ბახტრიონისაკენ მიმავალს ფშაველებს და მოუყვება შაჰაბაზის მიერ საქართველოს აკლების და ქეთევან დედოფლის წამების ამბავს. სხვები ყურს უგდებდნენ. „აი ბიჭებო, წინანდელი ფშაველები როგორი ბოღრეები ყოფილან... კითხულობდა დინჯად, მაგრამ მკაფიოდ და გარკვევით“.** ამ ღვთისოს არ ავიწყდება წიგნის კითხვის და მოსმენის ინტერესი აღუძრას თავის ამხანაგებს და მსმენელებს: „დამიგდეთ ყური, ამ წიგნში რა სწერია ფშაველებზე და იმათ ვაჟკაცობაზე, როგორი ბოტები ყოფილან მამა-პაპანი, რა საქმე დაუწევიათ თათრებისადა“.**

---

* ნ. ხ ი ზ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, „ეთნოგრაფიული წერილები“, 8.

** ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა, „ეთნოგრაფიული წერილები“, 71—72.

ურთიერთ სწავლების პრაქტიკა უფრო მეტად ხელოსნებში იყო გავრცელებული. ისინი აარსებდნენ „წერა-კითხვის არმცოდნე შეგირდთა წრეებს „მწიგნობრობის შესასწავლად და გასავრცელებლად". იოსებ დავითაშვილის ბიოგრაფი ნ ი კ ო მ თ ვ ა რ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, იოსებისა და მის მეგობარ წიგნიერ ხელოსანთა შესახებ წერს:

„ესენი ცდილობენ როგორმე შეკრიბონ ხელოსანთა შეგირდები და შეადგინონ ამათგან წრე. პატარა შეგირდებს ამათის ფიქრით, უნდა დაეწყოთ სიარული და ამათაც უნდა წაეკითხათ მათთვის ზოგიერთი ნაწერები ჩვენის მწერლებისა, შეესწავლებინათ უცოდინართათვის წერა-კითხვა. რ ო დ ე ს ა ც ე ს ე ნ ი შ ე ი ს წ ა ვ ლ ი დ ნ ე ნ რ ა ს მ ე ა მ გ ვ ა რ ა დ, მ ო ვ ა ლ ე ნ ი ი ყ ვ ნ ე ნ ს ხ ვ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს ა ც ე ს წ ა ვ ლ ე ბ ი ნ ა თ ი ს ე ვ ე, რ ო გ ო რ ც ა მ ა თ ს ხ ვ ე ბ მ ა შ ე ა ს წ ა ვ ლ ეს წ ე რ ა - კ ი თ ხ ვ ა. ამათ კიდეც შეასრულეს თავიანთი განზრახვა 1876 წელს".*

აქ გადმოცემულია ურთიერთსწავლების მოგვიანო, 70-ნი წლების ფაქტები; ამ პერიოდში, მართალია სკოლების რიცხვი საგრძნობლად იზრდება, მაგრამ უფრო იზრდება წერა-კითხვის შესწავლის მსურველთა რიცხვი, რის გამოც ურთიერთსწავლების პრაქტიკა, დაწყებული გაცილებით ადრე, კვლავ ვრცელდება და უფრო ფართო მასშტაბით, ვიდრე მე-19 ს. პირველ ნახევარში.

რა მეთოდს მიმართავდნენ წერა-კითხვის ურთიერთსწავლების დროს? ასე საკითხის დასმა არ ივარგებდა. ცოტა რამ, რაც დაგვრჩენია ამის შესახებ მოგონებებსა და მხატვრულ ლიტერატურაში, გვაძლევს საბუთს დავასკვნათ, რომ აქ არ გვაქვს და არც შეიძლება გვქონდეს საქმე ერთ გარკვეულ მეთოდთან. სხვადასხვა ხერხს და წესს მიმართავდნენ ურთიერთსწავლების დროს, მაგრამ ის რაც საერთო იყო სწავლების ამ წესებში, იყო გაცილებით უფრო მარტივი და რაციონალური, ვიდრე საანბანო ანუ ასოთშეერთების მეთოდი, რომელიც საშინაო და ოფიციალურ სკოლებში იხმარებოდა მე-19 ს. პირველ ნახევარში.

ანბანის ურთიერთ სწავლებისას დროის ეკონომია და ბუნებრივი სიმარტივე თამაშობდა დიდ როლს. ასობგერების არავითარ მექანიკურ და გულისდამღონებელ გაზეპირებას არ ჰქონდა ადგი-

---

* ნ. მ თ ვ ა რ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, „ლექსები ი. დავითაშვილისა", ბიოგრაფია, IX.

ლი, არც ამოსაღებით სტანჯავდნენ ერთმანეთს. ანბანის ნაჭდვილი შესწავლა, ე. ი. ანბანის გრაფიკული სახის დამახსოვრება კითხვის პროცესში ხდებოდა: წერა-კითხვის მცოდნე პირი, ასოების არმცოდნე თავის ამხანაგს ჯერ დაასწავლიდა ზეპირად რომელიმე პატარა ლექსს (ან უკვე მისთვის ცნობილ ლექსს აიღებდა) ვთქვათ: „საწყალი მელა ჩიოდა, არ მომივიდა ძილია. ერთსა საქათმეს მივაგენ, გამი-ეუთხარე ძირია“ და სხვ. წერა-კითხვის მცოდნე ამხანაგი დაუწერდა მას მთელ ამ ლექსს ქაღალდზე, ან ბეჭზე, ან შქერის ყვითელ ფოთოლზე, ხოლო თუ „დედა-ენა“ მოეპოვებოდა, იქ აჩვენებდა; ეტყოდა, რომ ამ ლექსში რამდენი ხმაც (გულისხმობდა ბგერას) არის, იმდენი ასოა და რომ ეს ასოები ხმებს მისდევენ, (ე. ი. ასოები იმ თანმიმდევრობით არიან ჩაწყობილი ლექსში, როგორც ბგერები). შემდეგ აიღებდა ლექსის პირველ სიტყვას, უჩვენებდა მის ცალკე ასოებს: ს, ა, წ, ყ, ა, ლ, ი; ამოიკითხავდა (დაასახელებდა) მათ, გაამეორებინებდა და ეტყოდა: ყველგან, სადაც ასეთი ასო (მიუთითებდა ს-ზე) შეგხვდეს, იცოდე, რომ ის არის „ს“ (ან ს-ანი), და ასე აცნობდა ლექსის შემდეგი სიტყვების ყველა ასოს. როცა ამ სიტყვებში უკვე ნაცნობი ასო ხვდებოდა, მასაც ამეორებინებდა. უმეტეს შემთხვევაში პირველსავე ტაეპში ხვდებოდნენ ქართული ანბანის ყველა ასოს „მოწაფე“ და „მასწავლებელი“, შემდეგ ტაეპებში კი იმეორებდნენ. „მოწაფე“ თვალს იტეხდა, იმახსოვრებდა ასოების ფორმას.

ამგვარად, რაღაც ერთ საათში აცნობდნენ „მოწაფეს“ ანბანის ყველა ასოს და კითხვასაც აწყებინებდნენ. მაგრამ ჯერ ის მხოლოდ იმ ლექსს „კითხულობდა“, რომელიც მან ზეპირად იცოდა. სხვა ახალ ტექსტზე გადასვლისას, მას ბევრი ასო უკვე დავიწყებული ჰქონდა, მაგრამ, ზეპირად დასწავლილი ლექსი, ვთქვათ, იგივე „საწყალი მელა“ ხდებოდა მისთვის სახელმძღვანელოდ ასოთა სახის აღსადგენად (მოსაგონებლად) და დასამახსოვრებლად. მაგრამ როგორ? დაუშვათ, რომ ახალ ტექსტში მან ვეღარ იცნო ასოები ჩ და თ, ის ამავე ასოებს ეძებს აღნიშნულ, ე. ი. ნაცნობ ლექსში და ჰპოულობს პირველს (ჩ-ანს) მესამე სიტყვაში, მეორეს — მეშვიდეში, და რადგანაც ეს ლექსი მან ზეპირად იცის და ახსოვს, რომ ყოველი ხმა (ანუ ბგერა) სათანადო ასოს უდრის, უცბად ჩათვლის (ჩაიკითხავს) ამ ხმებს თავის ცნობიერებაში და გარკვეულ ალაგას, ე. ი. მესამე სიტყვაში („ჩიოდა“) ნახულობს, რომ

პირველი „ხმა“ ყოფილა ასო ჩ, ასევე აღმოაჩინა ასო თ და განაგრძო ახალი ტექსტის კითხვა ასეთი პროცედურების განმეორების მოლოდინში. მაგრამ ეს პროცედურები სულ რამდენიმე დღეში საჭირო აღარ ხდებოდა. კითხვა უკვე იცოდა.

წერას იწყებდნენ ტექსტების გადმოწერით—უკეთესია ვთქვათ —გამოხატვით. მაგრამ ურთიერთ სწავლების მონაწილენი წერას არაფრად ეტანებოდნენ. ბევრ მათგანს, იმ დროს, როცა კითხვის ოსტატად თვლიდნენ, წერა არ ეხერხებოდა. მათი მწერლობის საჭიროება, უმთავრესად მოკითხვის ბარათების წერით განისაზღვრებოდა.

5. ანგარიშის, რუსული ენის, საღვთო სჯულის სწავლების მეთოდები

პირველ-დაწყებითი სკოლის სხვა საგნების (ანგარიში, საღვთო სჯული, ოფიციალურ და სახელმწიფო სკოლებში—რუსული ენა) სწავლებისას მეთოდების უფრო მეტ სხვადასხვაობას ჰქონდა ადგილი, ვიდრე ჩვენ ეს ვნახეთ ქართული ენის სწავლების მიმართ. ძველი ტრადიცია ამ საგნების სწავლების საქმეში არავის ზღუდავდა, რადგანაც არ იყო ეს ტრადიცია. ანგარიშს ასწავლიდნენ, რასაკვირველია, ძველ საქართველოშიც, მაგრამ ციფრების მაგივრად, უმნიშვნელო გამონაკლისს გარდა, ქართულ ანბანს იყენებდნენ (როგორც ქორონიკონის აღსანიშნავად), ხოლო მე-18 საუკუნიდან არაბული ციფრების სწავლების შემოღებას მე-19 ს. პირველ ნახევარში ჯერ კიდევ არ ჰქონდა დიდი ხნის ისტორია, რომ რაიმე ერთგვარი მეთოდური შტამპი შემუშავებულიყო. უფრო ხანმოკლე იყო ისტორია რუსული ენის სწავლებისა, რომელიც, სასკოლო წესით, ჩვენში იწყება მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან.*

ა ნ გ ა რ ი შ ს XIX ს. პირველი ნახევრის საქართველოს საშინაო და ეკლესია-მონასტრებთან არსებულ პირველ-დაწყებით სკოლებში ასწავლიდნენ 20 ფარგლებში,** მაგრამ არა ყოველთვის და ყველგან. ოთხი მოქმედებიდან ასწავლიდნენ მიმატებას და გამოკლებას ყველგან, ხოლო გამრავლება-გაყოფას იშვიათად. რიცხვის

---

* რუსული ენის სწავლების სკოლა პირველად გაიხსნა თბილისში 1778 წელს.

** უფრო მაღალი ტიპის სკოლებსა და კერძო სწავლების პრაქტიკაში ასწავლიდნენ მთელ არითმეტიკას და, ცხადია, დიდი რიცხვების ფარგლებში.

გამოსახატავად ხმარობდნენ ხელის თიკთებს, ჩხირებს და კენჭებს. ციფრების წერას იწყებდნენ ქართული წერა-კითხვის „დასწავლის“ შემდეგ, რაც, რასაკვირველია, ძალიან უადვილებდა მათ ამ პროცესს. სწავლობდნენ არაბულ ციფრებს, რომელსაც ხშირად „რუსულ ციფრს“ უწოდებდნენ, რადგანაც მისი საყოველთაო სწავლება შემოიღეს რუსეთთან შეერთების შემდეგ და რუსული (ოფიციალური) სკოლების მიბაძვით. ციფრების წერაში თანამიმდევრობა, სიძნელე-სიადვილის მიხედვით — არ არსებობდა. მაგალითად, ადვილად დასაწერი ციფრი „1“-ის შემდეგ ბავშვებს აწერინებდნენ ყველა ციფრზე უფრო ძნელად დასაწერ ციფრს „2“ და ა. შ. ვარჯიში ციფრების „დასწავლა“-დამახსოვრებისათვის და მათი წერა სწარმოებდა იმავე ხერხით, როგორც ანბანისა.

რ უ ს უ ლ ი ე ნ ი ს შესწავლას, გარკვეული მიზეზის გამო, განსაკუთრებული ინტერესით ეკიდებოდა ქართველი მოსახლეობა. მშობლები, მასწავლებლები და თვით მოწაფეებიც ცხადად გრძნობდნენ რუსული ენის ცოდნის საჭიროებას ცხოვრების ყოველ (საშეურნეო, პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ და კულტურულ) დარგში, მაგრამ, შეიძლება ითქვას, XIX ს. პირველი ნახევრის მთელ მანძილზე საქართველოს სკოლა და მასწავლებელი ვერ იდგნენ იმ სიმაღლეზე, რომ დაეკმაყოფილებიათ ხალხის მოთხოვნილება რუსული ენის სწავლების მხრივ. კავკასიის სასწავლო ოლქის 1848 წლის წესდება—გარდა იმ მოვალეობათა, რაც საერთო კანონმდებლობით, დაკისრებული ჰქონდათ ოლქების მზრუნველთ — სპეციალურად ავალებდა კავკასიის ოლქის მზრუნველს „რომ მისდამი რწმუნებული ოლქის სასწავლებელში უპირატესი ყურადღება მიექცეოდა რუსული ენის, როგორც პირველი საჭიროების საგნის, შესწავლას, ურომლისოდაც სხვა საგნების შესწავლა ვერ მიაღწევს თავის ჭეშმარიტ მიზანს“ (მ. 20). მაგრამ, მიუხედავად ამისა ამიერკავკასიის სკოლას იშვიათად გააჩნდა ბეჯდვური რუსული ანბანი და საანბანო სახელმძღვანელოები, ხოლო მასწავლებელს კი — სათანადო ცოდნა რუსული ენისა და მეთოდიკური დახელოვნება. რუსული ანბანის სწავლების საშუალებად საქართველოში იყენებდნენ საანბანო მეთოდს, რომელიც საყოველთაოდ იყო მიღებული XIX ს. პირველ ნახევარში როგორც ჩვენში, ისეც რუსეთში, ხოლო რუსული ენის სწავლების საშუალებად კი მიმართავდნენ თარგმნის მეთოდს, ქართულ (მშობლიურ) ენას.

ეს მეთოდი თავის პრაქტიკულ გამოხატულებას პოულობდა ე. წ. „ქართულ-რუსულ უბნობაში“. სასაუბრო (საუბნო) ტექსტი იწერებოდა ორ ენაზე: ქართულად (მარცხნივ) და რუსულად (მარჯვნივ). ტექსტებს ყოფდა მთელ გვერდზე ვერტიკალურად ჩავლებული ხაზი. მათ შინაარსს წარმოადგენდა ყოფა-ცხოვრებიდან აღებული და მოწაფის დანიშნულების, მისი სწავლის მიზნის შემცველი წინადადებანი. მასწავლებელი ჯერ ეტყოდა მოწაფეებს ქართულ წინადადებას, მაგალითად, „ძენი მამულისანი სწავლობენ“, შემდეგ დასწერდა ამ ფრაზას დაფაზე ან ბეჭის ძვალზე; ამას მოჰყვებოდა მისი რუსული თარგმანი: Сыны родины учатся იტყოდა ამას ჯერ ზეპირად, შემდეგ მიუწერდა დაფაზე ან ბეჭზე ქართულ ტექსტს გვერდით, და გაჰყოფდა მათ ვერტიკალური ხაზით. ამის შემდეგ ბავშვები სწავლობდნენ ზეპირად როგორც ქართულ, ისე რუსულ ტექსტს. რადგანაც რუსული ტექსტის სიტყვები უნდა ყოფილიყო დაწერილი იმ თანამიმდევრობით, როგორც ქართული, ბავშვებმა იცოდნენ, რომ პირველი სიტყვა „сыны“ არის „ძენი“, მეორე — „მამულისანი“ და ა. შ. რამდენიმე ფრაზის გაზეპირების შემდეგ იმართებოდა „უბნობა“ მასწავლებლებსა და მოწაფეთა შორის ნაცნობი სიტყვების გამოყენებით.

ძალიან პრიმიტიული, თანაც მომქანცველი და გულის შემაღონებელი იყო ეს მეთოდი, მაგრამ ათეული წლები რჩებოდა იგი ჩვენს პრაქტიკაში. გრიგოლ ორბელიანის ცნობილი ბიოგრაფი ი ო ნ ა მ ე უ ნ ა რ გ ი ა, გრიგოლის ნაამბობის მიხედვით, აღნიშნავს, რომ მისი ბავშვობის პერიოდში, მაშასადამე XIX ს. პირველ ოცეულში „რუსულ ენას ჯერ კიდევ ხელით ნაწერ რვეულებიდან სწავლობდნენ ამ დროს. ამ რვეულის თავზე პირველი რუსული სიტყვა, ქართულად თარგმნილი, იყო რუსული თანდებული თ ვ ი ს. ბავშვებმაც ამ რვეულს ეს სახელი დაარქვეს. თუ კლასში დააკლდებოდათ ვინმე. — იტყოდა პოეტი,—მეორე დღეს სასწავლებელში (იგულისხმება თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი, გ. თ.) რომ მივიდოდით, მაშინვე ვკითხულობდით ამხანაგებს: „აბა ერთი შენი ოთვისი მათხოვე, გუშინდელი ურროკი გადმოვიწეროო“.*

რუსული ენის სწავლების მეთოდი (ქართულ სკოლებში) თავის მკაფიო გამოხატულებას პოულობდა რუსული ენის სახელ-

---

* ი. მ ე უ ნ ა რ გ ი ა, „ქართველი მწერლები“, I, 48, 1941

ბძღვანელოში, რომელთა შესახებაც შემდეგ თავში („სახელმძღვანელოები“) გვექნება ლაპარაკი.

მაგალითად „შ ე კ რ ე ბ ა რ უ ს უ ლ თ ა უ ბ ნ ო ბ ა თ ა“ ანუ ე. წ. „რაზღავროების“ წიგნი. აქ მოწოდებული მასალა რუსულ-ქართული სიტყვებისა, ტექსტების განლაგება და შინაარსი გვარწმუნებენ იმაში, რომ სიტყვებს და ფრაზებს ზეპირად სწავლობდნენ მთლიანი სახით. ზეპირადვე სწავლობდნენ მათ შესატყვის ნათარგმნ სიტყვებსა და ფრაზებს. ეჭვი არაა, აქ ჩვენ საქმე გვაქვს ე. წ. მთლიანი სიტყვის მეთოდის პირვანდელ ფორმასთან.

ამ მეთოდით ძნელი იყო, ცხადია, რუსული ფონეტიკური სპეციფიკის შესწავლა, სიტყვებისა და ბგერების გამოთქმა, მახვილი, ერთი ბგერის სხვადასხვაგვარად წაკითხვა ანუ გამოთქმა (е ანუ ѣ და э; и ანუ і, й და ы; ю, я), მძიმე და რბილი ნიშნები (ъ, ь) და სხვ.

როდესაც „შეკრებანი“... ანუ „რაზღავორები“ სკოლებში იხმარებოდა, მაშინ ასეთ სიძნელეების გადალახვა შეეძლოთ მოწაფეებს მასწავლებლის დახმარებით, მაგრამ როდესაც „რაზღავორის“ წიგნები თვით მასწავლებლის მაგიერობას ასრულებდნენ, მაშინ ეს სიძნელენი გადაულახავი რჩებოდნენ.

აღსანიშნავია, რომ ნატურალურ (მუნჯურ) მეთოდს რუსული ენის სწავლების დროს, XIX ს. პირველი ნახევრის საქართველოში არსად ჰქონია ადგილი. ეს (ნატურალური ანუ ბუნებრივი) მეთოდი შემოდის XIX საუკუნის 50-იანი წლების შემდეგ, როგორც არა რუს ეროვნებათა რუსიფიკაციის ერთ-ერთი საშუალებათაგანი.

რაც შეეხება ს ა ღ ვ თ ო ს ჯ უ ლ ს — მართალია მის სწავლებას საქართველოს სკოლებში დიდი ხნის ისტორია ჰქონდა, მაგრამ მეთოდის მხრივ მას (სწავლებას) არსებითი ცვლილება არ განუცდია არც XIX ს. პირველ ნახევარში. პარალელურად თხრობისა და საუბრისა, რომელსაც მიმართავდნენ ძველად საღვთო სჯულის კარგი მასწავლებლები, ადგილი ჰქონდა ამ საგნის დოგმატურ, ზეპირ სწავლებას. ლოცვებისა და საღვთისმეტყველო ტექსტების დასწავლა ხდებოდა მექანიკურ გამეორებათა საშუალებით. იმეორებდნენ ჯერ თითოეულ წინადადებას, შემდეგ ორ-ორ და სამ-სამ წინადადებას ერთად და ბოლოს მთელ დასასწავლ ტექსტს.

მექანიკური ვარჯიში და ზეპირ-სიტყვიერი მეთოდი ტექსტის დასწავლისა XIX საუკუნის პირველ ნახევარში საღვთო სჯულის

სწავლებიდან გადაედო სხვა საგნების სწავლებასაც. შესასწავლი ტექსტების ახსნა-განმარტების მაგივრად, ჩამორჩენილი და თავისი თანამდებობისადმი შეუფერებელი მასწავლებლები ფანქრით ან ფრჩხილით აღუნიშნავდნენ ხოლმე მოწაფეებს დასასწავლი ტექსტის ადგილს სახელმძღვანელო წიგნიდან („აქედან აქამდის" — „с энтих до энтих", ან „от селе до селе") ხოლო იქ კი, სადაც სახელმძღვანელოები არ მოიპოვებოდა, მიმართავდნენ კარნახს.

XIX ს. პირველი ნახევრის, კერძოდ, 40-იანი წლების საქართველოს ოფიციალური, სახელმწიფო სკოლის სასწავლო მეთოდების ზეპირ-სიტყვიერი და დოგმატიური ხასიათი გამომდინარეობდა ამ სკოლაში გაბატონებული ფორმალური სწავლების პრინციპიდან (მეხსიერების მექანიკური წვრთნა, უნარიანობის და სხვა ფსიქიკურ ფუნქციათა განვითარების იზოლირება პოზიტივურ ცოდნისაგან, აზროვნების სქოლასტიკური წესები) და სრულიად სამართლიანად ხდებოდა იგი მოწინავე პედაგოგებისა და მწერლების გაკიცხვის საგნად.

დიმიტრი ყიფიანი თავის მოწაფეობის პერიოდის (20-იანი წლები) სწავლების მეთოდების შესახებ ამბობდა:

„როგორც სასულიერო სემინარიაში, აგრეთვე კეთილშობილთა სასწავლებელშიაც ერთს ადგენდნენ: ანიდან ბანამდე უაზროთ გაზეპირებას... ეს იყო და ეს მაშინდელი პედაგოგიური სიბრძნე".

ავტორი არ ივიწყებს ზოგიერთი მისი დროის მასწავლებლის „გადაცემის" მეთოდსაც: „გეოგრაფიის მასწავლებელი, მაგალ., გამოცდის წინ გაკვეთილს აძლევს მოსამზადებლად: ერთს — შვეციაზე; — „არა, სჯობს მე პორტუგალიაზე მომცეთ! — კარგი, პორტუგალია იყოს; მეორეს ისპანიაზე, — ჰა, რაო? შვეციაზე გინდა?— შვეციაზე იყოს..."*

ასე, მ ო წ ა ფ ე ე ბ თ ა ნ შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ი თ ხდებოდა ზოგჯერ გაკვეთილების გადაცემა და საშინაო დავალების მიცემა.

საზეპირო მასალის „დასწავლის" ერთი „მეთოდის" შესახებ (ქუთაისის გიმნაზიაში) ცნობას გვაწვდის გიორგი წერეთელი: „ერთგან ისმის „აზ ესმ... აზ... აზ... ესმ ბოლ ტვოი"... მეორეგან: „ეიზნუ... ეიზნუ... ეიზნუ... ზაჩემ ტი... ზაჩემ ტი... მნე დანა... ეიზნუ, ზაჩემ ტი მნე დანა", მ ე ს ა მ ე გ ა ნ: „სტრეკოზა ი მურავეი":

---

* დ. ყ ი ფ ი ა ნ ი, მემუარები, ს. ხ უ ნ დ ა ძ ი ს რედაქციით, 3, 8,

„პოპრიგუნია, პოპრიგუნია, პოპრიგუნია, — ათჯერ მაინც გაიმეორებს ამ სიტყვებს, მერე განაგრძობს: „ლეტო კრასნოე... ლეტო კრასნოე... ლეტო კრასნოე,... პროპელა... პროპელა... პროპელა“— მღერიან თუ ზეპირ სწავლობენ კაცმა არ იცის“ („ჩვენი ცხოვრების ყვავილი“).

XIX ს. პირველი ნახევრის სწავლების ზეპირ-სიტყვიერი და დოგმატური ხასიათი წარმოადგენდა აკაკი წ ე რ ე თ ლ ი ს მკვეთრი ს ა ტ ი რ ი ს ო ბ ი ე ქ ტ ს ა ც:

„ბავშვებს კაჭკაჭსავით სწ ვ რ თ ნ ი დ ნ ე ნ და არა ა დ ა მ ი ა ნ ი ს შ ვ ი ლ ე ბ ა დ. ყ ო ვ ე ლ ი ს ა გ ა ნ ი უ ნ დ ა მ ხ ლ ო დ ე ზ ე პ ი რ ე ბ ი ა თ მოსწავლეებს, და, აზრი ესმოდათ თუ არა, ამას არავინ ჰკითხავდა“ („ჩემი თავგადასავალი“).

აკაკის დაკვირვებულ თვალს მშვენივრად აქვს ასახული წიგნური ტექსტის უაზრო ზეპირობის მეთოდი, რომელიც სუფევდა მისი ბავშვობის დროის ოფიციალურ სასკოლო განათლების მთელ სისტემაში. აკაკი აგვიწერს ისეთ შემთხვევას, როდესაც სასწავლო მასალა მოწაფემ „ზეპირად არ იცის, მაგრამ თავისი სიტყვით მშვენივრად ხსნის“; ასეთ მოწაფეს „მასწავლებელმა უგდო, უგდო ყური და გაიცინა: — შენი სიტყვებით რომ ბრძანებ განა სწუნობ მაგის დამწერის სიტყვებს — გაუჯავრდა და გააგდო, ცუდი ნიშანიც დაუწერა. მერე მეორედ გაიყვანა, როდესაც გაეზეპირებია და სულმოუბრუნებლად, სულ სხაპასხუპით უთხრა, თუმცა კი არ ესმოდა რას ამბობდა, მოუწონა: „აი როგორ უნდა დასწავლაო“ და კარგი ნიშანიც დაუწერა“ (იქვე).

აკაკი დაასკვნის, რომ „ასე იქცეოდნენ ყველა მაშინდელი მასწავლებლები“ იშვიათი გამონაკლისით. მკითხველი ადვილად წარმოიდგენს გონებრივი სიმახინჯის როგორ წყაროს წარმოადგენდა ძველი კლასიკური გიმნაზია და საერთოდ მთავრობისა და სასულიერო წოდების მთელი რიგი ოფიციალური სკოლები, წარმოიდგენს რატომ უწოდებდნენ გიმნაზიებსა და სემინარიებს მოწაფეთა საპყრობილეს და რატომ იყო, რომ „ერთი დღის კლასში წაუსვლელობა ერთი წლის სიცოცხლეს ერჩიათ“ (გ. წერეთელი).

ასე იყო სინამდვილეში, ხოლო სავალდებულო სახელმწიფო დოკუმენტში, როგორიც იყო სრულიად რუსეთის სასწავლებელთა 1828 წლის წესდება, მასწავლებელთა მოვალეობის შესახებ ჩვენ ვხვდებით შემდეგ, სავსებით საღ მეთოდიკურ მითითებას:

„მოსწავლეთა ასაკის შესაფერისად... დაბალ კლასებში მასწავლებელი უფრო მეტად უნდა უხსნიდეს და ხშირად იმეორებდეს თავის განმარტებებს. ამასთან უნდა ცდილობდეს შეკითხვებისა და ამოცანების საშუალებით მიაჩვიოს ბავშვები მსჯელობას, მოსაზრებას, ერთი სიტყვით, საკუთარი თავით მოქმედებას. მაღალ კლასებში მოსწავლეთა ეს გონებრივი მუშაობა კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს მასწავლებლის ხელმძღვანელობით. გაკვეთილის უბრალო კარნახი, რომელიც მხოლოდ მექანიკურ დაზეპირებას უწყობს ხელს— არავითარ შემთხვევაში არ დაიშვება“ (მუხ. 60).

იშვიათად, ძალიან იშვიათად იყვნენ ასეთი მეთოდიკური მომზადების სიმაღლეზე მდგარი მასწავლებლები. იყვნენ, როგორც გამონაკლისი და სხვანაირად არც შეიძლებოდა. აი, მაგალითად, თბილისის გიმნაზიის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ნიკოლოზ დემენტიევი, 30-იან წლებში, საუკეთესო მეთოდისტად ითვლებოდა, მშვენივრად იყო დაუფლებული პედაგოგიურ ოსტატობას, უყვარდა თავისი პროფესია და მოწაფეები. ი ო ნ ა მ ე უ ნ ა რ გ ი ა წერს, რომ „დემენტიევმა კარგად იცოდა თავისი ხელობა და მისმა შეგირდმა — მათ შორის ბარათაშვილმა— ჩინებულად ისწავლეს რუსული ენა; მეტადრე რუსულ კითხვას უქებდნენ ამ მასწავლებელს.“* მშვენიერი მეთოდისტი იყო აგრეთვე ქუთაისის გიმნაზიის რუსული ენის მასწავლებელი უ მ ა ნ ს კ ი, 50-იან წლებში. მისი მოწაფის გ ი ო რ გ ი წ ე რ ე თ ლ ი ს გადმოცემით, ის მოუწოდებდა თავის მოწაფეებს: „ეცადეთ ნამდვილად იცოდეთ თქვენი გაკვეთილი და არა მხოლოდ ზეპირად. ისე ეცადეთ დაისწავლოთ თქვენი გაკვეთილი, რომ ის შეიქნას თქვენი გონების ნაწარმოები, თქვენი ტვინის ნაყოფი... უმანსკი ცდილობდა როგორმე შეევსებინა მუდამ ზეპირობით დამძიმებული ყმაწვილის მეხსიერება. ცდილობდა, რაც შეიძლებოდა ყმაწვილები გადაჩვეულიყვნენ სიტყვა-სიტყვით მისი გაკვეთილის დასწავლას... უმანსკი ჰკითხავდა ხოლმე ზოგიერთს აზრს გაკვეთილის შესახებ და, თუ რიგიანად მიუგებდენ თავისი საკუ-

* ი. მ ე უ ნ ა რ გ ი ა, ქართველი მწერლები, I, 173.

თარი მოაზრებით, სრულებით კმაყოფილი დარჩებოდა და მაშინვე საუკეთესო „ბალს“ დაუსვამდა“.*

დიახ, იყვნენ ასეთი კეთილშობილი და განათლებული მასწავლებლებიც, მაგრამ გამონაკლისები წესს ვერ სცვლიდნენ, ვერ სცვლიდნენ ძველი სკოლის სასწავლო პროცესის მახინჯ ფორმებს და მეთოდებს.

6. ლანკასტერის სისტემა

რამდენიმე სიტყვა სწავლების ერთი, გავრცელებული ფორმის შესახებ XIX ს. პირველ ნახევარში — ლ ა ნ კ ა ს ტ ე რ ი ს ანუ ურთიერთსწავლების სისტემის შესახებ.

ლანკასტერის სისტემა,** რომელიც მე-19 საუკ. პირველ ნახევარში საკმაოდ იყო გავრცელებული ინგლისში, ამერიკაში, რუსეთში და სხვაგან, — შემოღებული იყო აგრეთვე საქართველოშიც. მისი გამოყენების სასურველობასა და აუცილებლობაზე ლაპარაკობს სრულიადრუსეთის სასწავლებელთა წესდება 1828 წლისა (მ. 29), და ამიერკავკასიის სასწავლებელთა დებულებანი 1829 წლისა (მ. 13), 1835 წლისა (მ. 24), 1848 წლისი (მ. 24), 1848 წლისა (მ. 95 და 118).

ლანკასტერის მონიტორული სისტემის მიხედვით, „გარკვეული კლასის (უმთავრესად დაბალი კლასების) მოწაფეები პატარა, 4—5 წევრიან, ჯგუფებად ი ო დაყოფილი. თითოეულ ჯგუფს კლასის მასწავლებელი (ზედამხედველი) მაღალი კლასების ან იმავე კლასის წარჩინებული მოსწავლეებიდან უნიშნავდა უფროსს ან ხელმძღვანელს. უკანასკნელნი წარმოადგენდნენ მასწავლებლის თანაშეგზეებს (მ ო ი ტ რ ებ). მათ მოვალეობაში შედიოდა დახმარებოდნენ თავის ჯგუფებს გაკვეთილის სწავლაში, გამოეკითხათ ეს გაკვეთილი და დაესვათ სათანადო ნიშანი (ბალი). გაკვეთილის დაწყებისას მონიტორები ამ ნიშნებს ურდგენდნენ მასწავლებელს. მასწავლებელი საერთო და მონიტორის კონტროლის მიზნით რამდენიმე მოწაფეს კვლავ გამოკითხავდა გაკვეთილს

---

* ბ. წ ე რ ე თ ე ლ ი, ჩვენი ცხოვრების ყვავილი, 177, 180; 1894, ქუთაისი.

** უფრო სწორია: ბელ-ლანკასტერის სისტემა, ვინაიდან ჟ. ლანკასტერის (1778—1838) პარალელურად ეს სისტემა შემოიღო აგრეთვე ენ. ბელმა (1753—1832).

და ამოწმებდა როგორც მათ ცოდნას, ისე მონიტორების მიერ ამ ცოდნის შეფასების სისწორეს. იმ კლასებში, სადაც მონიტორებად ამავე კლასის წარჩინებული მოწაფეები ინიშნებოდნენ, მასწავლებელი (ზედამხედველი) გამოჰყოფდა ხოლმე საუკეთესო მოწაფეთაგან ერთ უფროს მონიტორს (თავის თანაშემწეს). მას ევალებოდა თვით მონიტორებისათვის გაკვეთილის გამოკითხვა და ნიშნის დასმა, აგრეთვე მონიტორთა მიერ სხვა მოწაფეთა ცოდნის შემოწმების კონტროლი.

როგორ სახეს იღებდა ეს სისტემა* საქართველოში?

ა კ ა კ ი წ ე რ ე თ ე ლ ს „თავგადასავალში" მოწოდებული აქვს კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი ცნობა: XIX საუკუნის 50-იანი წლების ქუთაისის გიმნაზიაში უფროსი მოწაფეების გამოყენება მასწავლებლის თანაშემწეებად, უმცროს მოწაფეთა ჯგუფების ხელმძღვანელებად ანუ ჟ. ლ ა ნ კ ა ს ტ ე რ ი ს მონიტორული სისტემა. აკაკის მასწავლებელმა, ტ რ ო ე მ:

„თვითეულ სკამს მიუჩინა თითო უფროსი შეგირდი. ისინი ჰკითხავდნენ ყოველ დღე გაკვეთილს მოსწავლეებს და ნიშნებს უსვამდნენ. იმ უფროსებისათვის, — წერს აკაკი, — მერე უნდა შეკითხა და დამესვა ნიშნები. ზოგიერთი მათი შეგირდებიც უნდა შემემოწმებია და ის ნიშნები უნდა მიმერთმია მასწავლებლისათვის. რომ შემოვიდოდა, ისიც გადაათვალიერებდა და დასამოწმებლად გამოიძახებდა ზოგიერთებს".

ურთიერთ-სწავლების, მონიტორულ ფორმას მიმართავდნენ ჩვენში (ისე, როგორც სხვაგან) იმიტომ, რომ ამ ფორმით შესაძლებლად მიაჩნდათ მრავალრიცხოვან კლასებთან მუშაობა, მასწავლებელთა სიმცირით გამოწვეულ სიძნელეთა გადალახვა (რამდენადაც უფროს მოწაფეებს ეკისრებოდათ მათი ფუნქციები) და, რაც მთავარია, ურთიერთსწავლების სისტემით მომუშავე სკოლების შენახვა, აღნიშნული გარემოების გამო, იაფი უჯდებოდა მეფის ხელისუფლებას.

---

* აღნიშნულ ოფიციალურ დოკუმენტში ბელისა და ლანკასტერის მონიტორული სისტემა იწოდება მეთოდად, რაც სწორი არ არის. ჩვენ ვთვლით მას სწავლების ფორმად.

VI. სახელმძღვანელოები

XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს სკოლების სახელმძღვანელოთა შესახებ ლაპარაკის დროს მხედველობაში გვაქვს არა მარტო სპეციალური სასწავლო ლიტერატურა, არამედ ყველა წიგნი, რომელიც კი სკოლებში იხმარებოდა სათანადო საგნის სწავლების ან შესწავლის მიზნით. ძალიან მცირე იყო სპეციალური სახელმძღვანელოების ხვედრითი წონა საერთო ლიტერატურულ პროდუქციაში, მაგრამ, სამაგიეროდ, დაბეჭდილი თუ ხელნაწერი წიგნების დიდი უმრავლესობის მთავარი მომხმარებელი იყო სკოლა და მოსწავლე ახალგაზრდობა. ასე იყო როგორც ჩვენში, ისე რუსეთში XIX ს. პირველი ნახევრის მთელ მანძილზე და თუ გავიხსენებთ, რომ ამ პერიოდში სკოლებისა და მოსწავლეთა რიცხვის ზრდა გაცილებით უფრო სწრაფი იყო ვიდრე საგამომცემლო ტირაჟებისა—ადვილად დავრწმუნდებით, რომ აღნიშნული პერიოდის სკოლა და მოსწავლე თაობა ყოველთვის მწვავედ განიცდიდა სახელმძღვანელო და საკითხავი ლიტერატურის ნაკლებობას. ამიტომ იყო, რომ ხშირად ოფიციალურ სასწავლო უწყებათა მიერ სახელმძღვანელოდ დაშვებული წიგნები თავისი შინაარსით და აღნაგობით ძალიან შორს იყვნენ იმ მეცნიერებათაგან რომლის სწავლებისა თუ შესწავლის მიზნითაც ხდებოდა მათი გამოყენება. ამავე მიზეზით, უმთავრესად, უნდა აიხსნას ის გარემოებაც, რომ ხსენებულ პერიოდში სასწავლო შუშაობის პროცესში ფართოდ იყო გავრცელებული კარნახისა და კონსპექტირების ყოვლად უმსგავსო და საზიანო პრაქტიკა. სახელმძღვანელო ლიტერატურის ნაკლებობას განიცდიდა არა მარტო საშინაო, კერძო და ეკლესია-მონასტრებთან არსებული სკოლები, არამედ სახელწიფო და სასულიერო უწყებათა სასწავლებლებიც.

როგორი იყო მაინც ის სახელმძღვანელოები, რომლებიც კი მოეპოებოდა საქართველოს სკოლასა და მოსწავლე ახალგაზრდობას XIX ს. პირველ ნახევარში?

I. ქართული ენისა და მწერლობის სახელმძღვანელოები

დავიწყოთ ქართული ენის სახელმძღვანელოებით და პირველ ყოვლისა საანბანო და ანბანის შემდეგ საკითხავი წიგნებით.

ქართული ანბანის სწავლების მეთოდიკა, რომელზეც ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ, რამდენადმე უეჭველად გულისხმობდა მის სახელმძღვანელოებს ისე, როგორც დაწყებითი სკოლის ყოველი სახელმძღვანელო—სწავლების მეთოდებს.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში, როგორც ვწერდით, წერა-კითხვის სწავლებაში გაბატონებული იყო ძველი ანბანთშეერთების მეთოდი და საკვირველი არ არის, რომ საანბანო წიგნებიც ამავე მეთოდით იყო შედგენილი. ამ მეთოდით იყო შედგენილი როგორც ის წიგნები, რომლებიც XVIII საუკუნეში შექმნენ და XIX ს. პირველ ნახევარში კვლავ იხმარებოდნენ, ისე ამ უკანასკნელ პერიოდში შექმნილი საანბანო წიგნებიც.

XVIII საუკუნის ნაბეჭდი ქართული ენის სახელმძღვანელოებიდან XIX ს. პირველ ნახევარში კვლავ იხმარებოდა: 1. სულხან-საბა ორბელიანი-ს „ანბანი პირველად სასწავლო ყრმათათვის“, რომელიც ვრცელდებოდა ხელნაწერი ნუსხით. 2. გაიოზი-ს „ანბანი, ლოცვანი, მოკლე საქრისტიანო სწავლა“ დაბეჭდილი ქ. მოზდოკში 1797 წელს.* 3. პროკოპოვიჩი თეოფანეს „პირველი სასწავლო ყრმათა, რომელსა შინა არის ანბანი და დაწყობა ასოთა“, თარგმანი რუსულიდან (ქართული ანბანის ჩართვით) გაბრიელ ჩხეიძისა, გასწორებული და რედაქტირებული არქიმანდრიტ გერმანეს მიერ და დაბეჭდილი ქ. მოსკოვს 1739 წელს, ხოლო ახლად გადაწერილი დიმ. ოქროაშვილის მიერ 1820 წელს, და სხვა საანბანო და ანბანის შემდეგ საკითხავი წიგნები.

---

* საქართველოში ჩამოტანილი ეს „ანბანი“, მთელი რაოდენობით, პირველსავე წლებში გამოილია. 1804 წელს მთავარმართებელ ციციანოვის თხოვნით გაიოზმა გაუგზავნა მას თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლისათვის თავისი „ანბანის“ და თავისივე „ქართული გრამატიკის ექვსას-ექვსასი ეგზემპლარი (Акты, II, 199).

XIX ს. პირველ ნახევარში წინა საუკუნიდან გადმოსულ ქართულ საანბანო და ანბანის შემდეგ საკითხავ წიგნებს გარდა, საკითხავ და წერითი სავარჯიშოების მასალად და სახელმძღვანელოდ საშინაო სკოლებსა და ინდივიდური წესით სწავლებისას, კვლავ იხმარებოდა ისეთი „ხალხური სახელმძღვანელოები“, როგორიც იყვნენ „ანბანთქებანი“,* „ვეფხის ტყაოსანი“, „ვისრამიანი“, „ამირან-დარეჯანიანი“, „სიბრძნე სიცრუისა“, „დავითიანი“ (გურამიანი), „ყარაშანიანი“, „ლოცვანი“, „დავითნი“, სახარება, სამოციქულო და სხვა საეკლესიო თუ საერთო წიგნები და ხელნაწერები („მოკითხვის წიგნები“, ანუ კერძო ბარათები, „გარიგების ქაღალდები“ და სხვ.). ყველაზე უფრო მეტი ხნის ისტორია ჰქონდა „დავითნს“. ეს წიგნი, გარდა იმისა, რომ ყველა აღნიშნულ წიგნებზე უფრო ადრინდელია, შეიცავს შედარებით ადვილ ტექსტებს და განმეორებებს, რაც ანბანის შესწავლის შემდეგ პირველ საკითხავ წიგნად აქცევდა მას. ამასთან მისი ტირაჟები უფრო ხშირი და მრავალრიცხოვანია. როგორც ვწერდით, „დავითნი“ XVIII საუკუნეში თბილისისა და მოსკოვის ქართულ სტამბებში დაიბეჭდა 13 ჯერ, ხოლო XIX ს. პირველ ნახევარში ქუთაისისა და მოსკოვის ქართულ სტამბებში დაიბეჭდა 6 ჯერ, სოლიდური ტირაჟით. აღნიშნული გვქონდა აგრეთვე ისიც, რომ „დავითნის“ სხვადასხვა გამოცემას დართული ჰქონდა „ანბანიც“, რის გამო ეს გამოცემები წარმოადგენდნენ როგორც საანბანო, ისე ანბანის შემდეგ საკითხავ წიგნებს. მაგრამ „დავითნი“ უფრო მეტად ეკლესია-მონასტრებთან არსებულ და მღვდელ-დიაკვანთა „საშინაო სკოლებში“ იხმარებოდა. საერო ხასიათის სკოლებში და ერისკაც მასწავლებელთა პრაქტიკაში კი საკითხავ-სახელმძღვანელო წიგნთა შორის ყველაზე მეტი პოპულარობით და პატივისცემით „ვეფხის ტყაოსანი“ სარგებლობდა (მღვდელ-დიაკვნებიც

---

* აღსანიშნავია „ანბანთქებათა“ წინანდური პოპულარობა XIX ს. პირველ ნახევარში. კვლავ პატივისცემაში რჩებოდა როგორც ავტორიანი (განსაკუთრებით ბესიკის, გურამიშვილის), ისე უავტორო „ანბანთქებანი“. სიფრთხილით ეპყრობოდნენ მათ როგორც ანბანის შესასწავლ საშუალებას, ისე კითხვა-წერის ერთგვარ სახელმძღვანელოს. ასე, მაგალითად, კახეთში, სოფ. იყალთოში ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ნაპოვნ ერთ-ერთ, 1817 წლის, ხელნაწერს (ალ. ამილახვარის „კითხვა-მიკებება“) დართული აქვს „ანბანთქება“ შემდეგი მინაწერით: „ანბანთქება ესე გაბრიელ ბერისაგან გადაწერილი იყო სამ ფურცელ ქაღალდზე და მე სურვილის გამო ამ წიგნზე გადავსწერე დაუკარგაობას მიზეზით—ანნამ“ („არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი“, 1, 260).

მიმართავდნენ „ვეფხის ტყაოსანს“, მაგალითად, მასწავლებელი მღვდელი ილია „გლახის ნაამბობიდან“, მაგრამ არა ყველგან და ყოველთვის).

XIX ს. პირველ ნახევარში შეიქმნა ახალი ხელნაწერი და ბეჭდური საანბანო და ანბანის შემდეგ საკითხავი წიგნები და სახელმძღვანელოები. ამ პერიოდის ნაბეჭდ საანბანო სახელმძღვანელოთა შორის აღსანიშნავია;

1. ტარასი ალექსიშვილის (მღვდელ-მონაზონი) „ქართული ანბანი სასწავლებლად ყრმათა ხუცურისა და მხედრულისა წერილისა“, სახელმძღვანელო დაბეჭდილია მოსკოვს, 1825 წელს, შეიცავს 76 გვერდს; ავტორი თავის ანბანს „სძღვნის სიმდაბლით კეთილგონიერთა ყრმათა საქართველოსათა“. სახელმძღვანელო შედგენილია ასოთშეერთების (საანბანო) მეთოდით. მოცემულია ხუცური და მხედრული ანბანი, პირველ გვერდზე სამი სხვადასხვა ზომის მთავრული შრიფტით, ხოლო მეორე გვერდზე—ნუსხა—ხუცური, მსხვილი და წვრილი შრიფტით, და მხედრული ანბანი. მესამე გვერდზეც ხუცური და მხატვრული ანბანია მოთავსებული, მაგრამ შებრუნებული რიგით, ე. ი. იწყება ალფაბეტის უკანასკნელი ასოთი და მთავრდება პირველით; მეოთხე გვერდიდან იწყება საკითხავი მასალა ჯერ ერთმარცვლოვანი და შემდეგ ორმარცვლოვანი სიტყვებით („ლექსნი ერთმარცვლედნი“ და „ლექსნი ორმარცვლედნი“). საკითხავ ტექსტებად გამოყენებულია „ლოცვები ყოველდღე სათქმელნი“, „სიმბოლო სარწმუნოებისა“ (ხუცურად) და „მოკლე ზნეობითი სწავლანი“ (მხედრულად, „შემოკლებული სამღვდელო ისტორია“ (მხედრულად); ბოლოს მოთავსებულია „გამოხატვა ციფრითა“ (ეკლესიურისა—ანბანით, და სამოქალაქოსი—არაბული ციფრებით)—10.000-მდე. და გამრავლების ტაბულა („ტაბლიცა“). ტარასის ანბანი გამოიცა მხოლოდ ერთხელ (ყოველ შემთხვევაში სხვა გამოცემა ჯერ არსად აღმოჩენილა).

2. პლატონ იოსელიანის „ანბანი ქართული, სასარგებლოდ ქართველთა ახალ მოსწავლეთა ყრმათა“, თფილისი, 1838 წ., შეიცავს 34 გვერდს (გამოცემა მე-7,1853), სახელმძღვანელო შედგენილია საანბანო (ასოთშეერთების) მეთოდით. აქაც ხუცური და მხედრული ანბანია მოცემული ანბანური რიგის მიხედვით. ანბანის შემდეგ იწყება ორ ასო-ბგერიანი მარცვლები ისე, რომ ყოველი თანხმოვანი ასო უერთდება ყოველ ხმოვანს ცალ-ცალკე, მაგალითად: ბა, ბე, ბი, ბო, ბუ; გა, გე, გი, გო, გუ, და ა. შ. რო-

გორც მხედრულად, ისე ხუცურად. შემდეგ მოდის სამ ასო-ბგერიანი მარცვლები: ბრა, ბრე, ბრო, ბრუ; გრა, და სხვ. ამის შემდეგ იწყება ორ და მეტმარცვლიანი სიტყვები. საკითხავად პლატონ იოსელიანსაც იგივე მასალა აქვს გამოყენებული, რაც მაშინ გავრცელებული იყო საანბანო სახელმძღვანელოებში: ლოცვები, „ზნეობითი სწავლა“ და „მოკლენი მოთხრობანი“. აღსანიშნავია, რომ მან ანბანის სახელმძღვანელოში პირველად შემოიტანა ხალხური შემოქმედების ნიმუშები: ზღაპრები, იგავები. წიგნის ენა პლატონისათვის დამახასიათებელი ძველი, მძიმე, არქაული ენაა. ბოლოს ავტორს პირველ გამოცემებში მოჰყავს არაბული ციფრები და მათი შესატყვისი ქართული ასოები მილიონამდის და გამრავლების ცხრილი „სქემა გამრავლებისა; მე-7 გამოცემაში კი მარტო—„რიცხვაობა“ ანუ ციფრები მილიონამდის და მათი სახელწოდებანი მხედრულით. პლატონ იოსელიანის ანბანი გამოიცა თერთმეტჯერ, პირველად 1838-ს და უკანასკნელად 1863 წელს.*

3. ი. კ. (ივანე კერესელიძე) „ანბანი ახალ მოსწავლეთა ყრმათათვის“, ტფილისი, 1856 წ., შეიცავს 24 გვერდს. მეთოდი აქაც ანბანურია, შრიფტი კი მხოლოდ მხედრული: „ანბანი რგვალისა ასოისა“ და „ანბანი წვრილის ასოისა“, შეიცავს 38 ასოსი (ასო ф, რომელიც წინა „ანბანებში“ გვხვდება, აქ აღარ არის). ასოები, როგორც აღნიშნულ მეთოდს შეეფერება, დალაგებულია ანბანური რიგის მიხედვით, შემდეგ, მარცვლები: თითო თანხმოვანი ასო ხმოვანთან: ბა, გა, და, ვა, ზა,—ბე, გე, დე, ზე, და სხვ. ავტორი არა სცნობს არავითარ დიდაქტიკურ პრინციპს. მაგალითად, საკითხავ სიტყვებს იწყებს რთულიდან: სამმარცვლოვანი, ორმარცვლოვანი და შემდეგ ერთმარცვლოვანი: მაგ., ყვი-თე-ლი, წი-თე-ლი; ლუ-რჯი, მწვა-ნე; ჭრა, ხმა, ხვნა და სხვ. საკითხავი ტექსტი უმთავრესად საეკლესიო მასალისაგან შესდგება, იწყება „დილის ლოცვით“ (ივ. კერესელიძის ანბანი გამოიცა სამჯერ—1856, 1858 და 1862 წწ.)**.

---

* პლატონ იოსელიანის „ანბანის“ პირველი და მეექვსე გამოცემის (1838 და 1849) მხოლოდ თითო ეგზემპლარი დაცულია ლენინგრადის, სალტიკოვ-შჩედრინის სახ. ბიბლიოთეკაში. მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე გამოცემები აღარ მოიპოვება. ჩვენ ხელთ გვქონდა მე-7 გამოცემა 1853 თბილისის საჯარო ბიბლ. ფონდიდან. არსებობს აგრეთვე შემდეგი გამოცემებიც: მე-9 (1855), მე-10 (1859), მე-11 (1863).

** უკანასკნელ, 1862 წლის, გამოცემას შეცდომით აწერია „პირველად გამოცემული“, ნამდვილად კი იგი მესამეა. მოგვეპოვება მეორე გამოცემა, 1858 წლისა.

ამ საანბანო სახელმძღვანელოების ტირაჟი და გავრცელების არე იმდენად მცირეა, რომ ქალაქის ოფიციალურ სკოლებსაც ვერ აკმაყოფილებს. 50-იანი წლების დასაწყისში ქუთაისის გიმნაზია, მოკლებულია პლატონ იოსელიანის ანბანსაც კი, რომელიც 1849 წელს მე 6-ედ გამოიცა, და გიმნაზიის პირველი კლასის მოწაფეები აკაკი წერეთლის („ჩემი თავგადასავალი“) და გიორგი წერეთლის („ჩვენი ცხოვრების ყვავილი“) მოწმობით, კედელზე გაკრული „ამოსაღებით“ სწავლობენ ქართულ კითხვას. თუ ასეთია მდგომარეობა სახელმწიფო საშუალო სასწავლებელში, როგორიც არის გიმნაზია, არ უნდა გვიკვირდეს, რომ ქართული წერა-კითხვის სწავლების ხალხურ სახელმძღვანელოებს უფრო მეტად იყენებენ სამაზრო სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებლებში და სამრევლო სკოლებში, რომლებიც უფრო ახლოს იყვნენ ხალხთან, ვიდრე საშუალო სასწავლებლები.

ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოების მხრივ უკეთესად იყო, შედარებით, მომარაგებული საქართველოს სკოლა XIX ს. პირველ ნახევარში. ჭარბად არც ასეთი წიგნები მოიპოვებოდა, მაგრამ მოთხოვნილებაც, შედარებით საანბანო წიგნებთან, ნაკლები იყო. გრამატიკის სახელმძღვანელოებს ხმარობდა მხოლოდ სკოლა და მასწავლებლობა, მოსახლეობა კი ნაკლებად კითხულობდა მას.

XIX ს. პირველ ნახევარში ჩვენ ვხვდებით გრამატიკის ელემენტარულ კურსებს დაწყებითი (დაბალი) სკოლებისათვის და სისტემატურ კურსებს—საშუალოსათვის. პირველთა ჯგუფს ეკუთვნის: იოანე ქართველიშვილის—„ქართული ღრამატიკა“, დაბეჭდილი ორჯერ (1815 და 1825 წწ.), ნუსხა ხუცური და ნაწილობრივ მხედრული შრიფტით; პლატონ იოსელიანის—„პირველ-დაწყებითნი კანონნი ქართულისა გრამატიკისა“, დაბეჭდილი პირველად 1840 წელს,* მეორედ 1851 წ., მესამედ 1863 წ., და სხვა ხელნაწერი სახელმძღვანელოები. მეორეთა ჯგუფს ეკუთვნის: ანტონის ცნო-

---

* პლ. იოსელიანმა თავისი გრამატიკა დასწერა 1831 წელს და წარუდგინა გამოსაცემად თბილისის სას. სემინარიის რექტორს ევგენის. ამ უკანასკნელმა საკ. ეგზარხოს იონასაგან აილო გამოცემის ნებართვა, მაგრამ 8—9 წელი დასჭირდა ამ პატარა წიგნის წინასწარ გასინჯვა-შემოწმებას სხვადასხვა პირთა და ინსტანციების მიერ.

ბილი გრამატიკის მიხედვით მოკლედ შედგენილი „ქართული გრამატიკა“* და სოლომონ დოდაშვილის (დოდაევის)— „შემოკლებული ქართული გრამატიკა“ (დაბეჭდილი 1830 წელს), რომლითაც XIX ს. 30-იან წლებში თვით ავტორი და სხვა პედაგოგები ასწავლიდნენ ქართული ენის გრამატიკას თბილისის გიმნაზიაში და მრავალი (რამდენიმე ათეული) სხვა სახელმძღვანელო ქართული გრამატიკისა.

ქართული გრამატიკის აღნიშნული კურსები, როგორც სასკოლო სახელმძღვანელოები, წარმოადგენდნენ სასწავლო გრამატიკას და ამდენად მასალის ხასიათი, განლაგება და გარკვევა ნაკადია მათი პედაგოგიკური დანიშნულების გათვალისწინებით. ამ მხრივ აღსანიშნავია ხსენებული იოანე ქართველიშვილის მიერ პირველად 1809 წელს შედგენილი „ქართული ღრამატიკა შეთხზული ტფილისის სიკეთილშობილოს სასწავლებლის მოძღვრის პროტოპოპის იოანე ქართველოვისაგან სახმარად მისვე სასწავლებლისა, 1809 წელს ტბილისს“ (ხელნაწერი). მის „წინაითუწყება“-ში ავტორი ამბობს: „თუმცაღა ცნობა კანონთა ღრამმატიკისათა კმად აღწერილ არს განსვენებულისა საქართველოს კათალიკოს პატრიარქის ანტონისაგან მის მიერ ქნილსა ღრამატიკასა შინა; გარნა ვინაითგან სივრცისა გამო მისისა არა ადვილ ძალუცსთ ჰსწავლებად იგი მცირეწლოვანთა ყრმათა, ამისთვის და გულისმოდგინებითა ძლითცა თანამდებობისა ჩემისადმი ეგრეთვე სასარგებლოდცა ყრმათა თანამემამულეთა ჩემთათა დავშვერ შეთხზვასა ხელმყოფმან აღწერად ამისსა ვიმეცადინე მჰსგავს ყოფად სისტემაი მისი როსსიულისა ღრამატიკისა თანა, ხოლო სხვანი კანონი ლექსთწარმოებისა და ლექს თხზულებისანი დავჰსდე ყოველნივე ესრეთნი ვითარცათა მოითხოვდა თვისება ქართულისა ენისა“.**

XIX ს. პირველ ნახევარში საქართველოს სკოლას მოეპოება აგრეთვე ქართული ენისა და ლიტერატურის ერთიანი სახელმძღვანელოებიც. ასეთები წარმოადგენდნენ უფრო მეტად ქრესტომათიებს, ნაკლებად კი—ცალკე ავტორთა ორიგინალურ თხზუ-

---

* ერთი ეგზემპლარი ამ გრამატიკისა, გადაწერილი 1818 წელს ნიკოლოზ დადიანის (ნიკოლაი დადიანოვის) მიერ, აღწერილი აქვს მოსე ჯანაშვილს: Описание рукописей церковного музея, III, 275.

** საქ. მუზ. წ-კ-ს ფ. 4432.

ლებებს. ქრესტომათიული ხასიათის სახელმძღვანელოები მეტ-ნაკ-ლებად შეიცავდნენ ქართულ ანბანს, წერის დედანს. მხატვრული ლიტერატურისა და ხალხური შემოქმედების ნიმუშებს, გრამატიკას, ისტორიულ-გეოგრაფიულ და საბუნებისმეტყველო მასალას. ხოლო ზოგჯერ ამას ემატებოდა აგრეთვე მათემატიკის ელემენტებიც და ასეთ ენციკლოპედიური შინაარსის წიგნებს იყენებდნენ უკვე არა მარტო ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოდ, არამედ მათი საშუალებით სწავლობდნენ სხვა საგნებსაც.

XIX ს. პირველ ნახევარს მრავალი ამ ხასიათის სახელმძღვანელო გადმოჰყვა XVIII საუკუნიდან; მაგალითად, მ ღ ვ დ ე ლ ნ ი კ ო ლ ი ჩ ჩ ა ჩ ი კ ა შ ვ ი ლ ი ს მიერ 1774—1779 წ. შედგენილ-გადაწერილი „კრებული“, რომელშიც შედიოდა ნაწყვეტები: ყარამანიანიდან, ვეფხის-ტყაოსნიდან, ამირან-დარეჯანიანიდან, ბარამ-გურიანიდან, თიმსარიანიდან, სიბრძნე-სიცრუიდან, თეიმურაზ I და თეიმურაზ II ნაწერებიდან, ბაგრატ ბატონიშვილის პოლემიკური „მოთხრობა სჯულთა უღმრთოთა ისმაილიტთაი“, ლექსად გადაკეთებული იაკობ დუმბაძის (შემოქმედელის) მიერ ახალი სათაურით: „უსჯულოისა მუჰამედის და ქრისტიანეთა გაბაასება“ და სხვა მასალა.* XIX ს. პირველ ნახევარში შედგენილ-გადაწერილ ქართული ენისა და ლიტერატურის ქრესტომათიებიდან უნდა აღინიშნოს საქ. მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში დაცული კ რ ე ბ უ ლ ი (570 გვ., ზ.21×18) გადაწერილი 1816 წელს მ ო ს ე ს ა ყ ო რ ღ ა ნ ო ვ ი ს მიერ. ამ კრებულში შეტანილია: წიგნი საარაკო, ლეილ-მეჯნუნიანი, ზილიხანიანი, „სიბრძნე-სიცრუის“ არაკები, და თეიმურაზ II ლექსები (მუნასიბი). „სიბრძნე-სიცრუის“ ტექსტის დასასრულს გვხვდება გადამწერის შემდეგი მინაწერი: „დასრულდა ესე წიგნი სიბრძნისა და სიცრუვისა წერითა და ხელითა მისივე პატრონისა კეთილშობილისა მოსესა ყორღანოვისათა, ოდეს ხელათ ავიღე ამისი წერასა, აღარ მოეშვი და დავასრულე, ვითა ჩემგან შეიძლებოდა ყ რ მ ა თ ა თ ვ ი ს ს ა კ ი თ ხ ა ვ ი (ხაზი ჩვენია, გ. თ.) და მრავალსა ადგილას გამოსადეგი, საღვთოში თუ საეროში და ამხანაგთა თანა შესაქცევარი. რომელმანცა ესე წიგნი აღმოიკითხო დროულმან თუ ყრმამან, მომიხსენიეთ მე ცოდვილი ამისი მწერალი, რომელნიცა თქვენცა იყენეთ

* ამ კრებულის ერთი, როგორც სჩანს, უფრო ვრცელი ეგზემპლარი აღწერილი აქვს მ ო ს ე ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ს: „Описание...“, III, 87.

ხსენებული წინაშე ღვთისა. ამინ“.* ამასთან, კრებულის გადამწერი იძლევა დარიგებას, თუ როგორ უნდა იქნეს წიგნი ხმარებული, რომ იგი არ დაიხეს და არ გაუსუფთავდეს. ეს მინაწერი საერთოდ მოწმობს, რომ „კრებული“ გათვალისწინებულია უმთავრესად სკოლებში სახმარ, სასწავლო წიგნად ყრმათათვის და ეს დარიგებაც მათ საყურადღებოდაა მიწერილი. იმავე მოსესა ყორღანოვს 1834 წ. გადაუწერია „ყ ა რ ა მ ა ნ ი ა ნ ი“, თარგმნილი თურქთა ენიდან დ ა ვ ი თ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს მიერ „ყრმათათვის საკითხავად საამური და სწავლა არის“.**

ფრიად მნიშვნელოვან სახელმძღვანელო წიგნს წარმოადგენს აგრეთვე საქ. მუზეუმის ხელნაწერებში დაცული „კრებული“ გადაწერილი ქ. ბოსკოვს, 1826 წელს, გ ი ო რ გ ი ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი ს (ავალოვის) მიერ. ამ კრებულში მოთავსებულია ვახტანგ VI, ბამუკა ბარათაშვილის, დიმიტრი ორბელიანის, ზაქარია გაბაშვილის, დიმიტრი საკაძის, დიმიტრი ბაგრატიონის, ალექსანდრე ჭავჭავაძის და სხვ. თხზულებანი, აგრეთვე დავით ალმაშენებლის „გალობა სინანულისა“ შემთხვევანი იმერთა მეფის სოლომონის ძისა, გიორგი ალექსანდრესისა“, და საღმთო წერილის მცირეოდენი მასალა. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ამ კრებულის დანართი სრული ასომთავრული ა ნ ბ ა ნ ი შედგენილი მროველი მიტროპოლიტის ნ ი კ ო ლ ა ო ზ ი ს მიერ,*** მაგრამ ეს „ანბანი“. გარჩეულია ჩვენი შრომის პირველ წიგნში და ახლა აღარა გვაქვს რა დასამატებელი.

აქ ჩამოთვლილი ტიპის კრებულები სხვაც მოგვეპოება და არც თუ მცირე რაოდენობით.

გვაქვს ცნობა, რომ „სასწავლო წიგნად“ ქართულ ენასა და ლიტერატურაში იხმარებოდა აგრეთვე ლექსთა კრებული „მრავალ-ყვავილოვანი“ შედგენილი გ ი ო რ გ ი თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ. ამ წიგნის შესახებ პ ლ ა ტ ო ნ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი გადმოგვცემს: „გიორგი თუმანიშვილი, ძე ეგნატე მდივნისა, მოყვარე მწიგნობრობისა და მწერლობისა, ამან შეკრიბა ერთ წიგნათ ლექსნი ძველად თქმულნი და უწოდა ქართველთა მწერლობისა ამის საუნჯესა „მრავალ-ყვავილოვანი“. დღესაცა აქვს შვილსა მისსა ღენერალ-მაიორსა ალექსანდრეს.

---

* საქ. მუზ. ხელნაწ. განყ., H ფ., № 59.

** იქვე, 57.

*** საქ. მუზ. ხელნაწ. განყოფილება, A ფ., № 303 (ექ. თაყაიშვილი — „არხეოლოგიური მოგზაურობანი“, 1,224—225.

მოკვდა 1837 წელსა".* ამჟამად ეს „კრებული აღარ მოიპოება და არც სხვა წყაროებიდან ვიცით რა მასალას შეიცავდა იგი.

სხვა სახელმძღვანელოებიდან უნდა აღვნიშნოთ:

„სასიამოვნო წალკოტი ყრმათათვის ანუ კრება სასიამოვნოთა და რჩეულთა ზღაპართა ცხადითა და ადვილისა ზნეობითისა სწავლითა", გადმოთარგმნილი რუსულიდან თბილისის საასულიერო სემინარიის მოწაფის ანდრია წიწვიანიძის მიერ დაგამოცემული 1842 წელს. „კრება" შეიცავს 69 პატარა მოთხრობას მორალურ-დამრიგებლური ხასიათის თემებზე.

ჩუბინაშვილი (ჩუბინოვი) დავით—„ქართული ქრისტომატია, ანუ გამოკრებილნი ადგილები ქართულთა წერილთაგან", დაბეჭდილი სანკტპეტერბურგს, 1846 წელს ორ ნაწილად. პირველი ნაწილი, გამოცემული ცალკე წიგნად, შეიცავს პროზას, მეორე—პოეზიას. პირველი ნაწილი მიძღვნილია (რუსული წარწერით) პეტერბურგის სასწავლო ოლქის მზრუნველის მ. ნ. მუსინ—პუშკინისადმი. და იწყება რუსულად დაწერილი შესავალი წერილით: „Известия о грузинских книгах, из которых выписки вошли в состав хрестоматии".

ჩუბინაშვილის ქრესტომათიაში შედის შემდეგი მასალა: „სიბრძნე სიცრუვის ზღაპრისაგან", „ამირან დარეჯანიანისაგან", „რუსუდანიანისაგან", „ვისრამიანისაგან", „ქილილა და დამანასაგან", სიგელები, „ტიმოთეს მოგზაურობისაგან", „ქართლის ცხოვრებისაგან", „მამათა ცხოვრებისაგან", „მარტირიკასაგან", "დაბადებისაგან" (ხუცურად), ქართული ანდაზები, „სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა". დასასრულს დ. ჩუბინაშვილის ქრესტომათიის 1 ნაწილს დართული აქვს ხუცური „ანბანა"—შესატყვისი მხედრულით. ქრესტომათიის მეორე ნაწილში მოთავსებულია ვეფხის-ტყაოსანი და „ქართული სიმღერები" ბესიკის, მარიამ ბარათაშვილის (ბარათოვის), მზეჭაბუკ ორბელიანის, ზაალ ბარათაშვილის (ბარათოვის), დიმიტრი თუმანიშვილის (თუმანოვის) და სხვა ლექსები.

„ყრმათა-მეგობარი—პირველად დაწყებისათვის წაკითხვისა, თარგმანი რუსულიდან ივ. კერესელიძის მიერ. ეს წიგნი წარმოადგენს თარგმანს მაქსიმოვიჩის „Друг детей, книга для первоначального чтения", переведенная с русского на грузинский язык Ив. Кереселидзевым". პირველად გამოიცა-

* პლ. იოსელიანი—„ცხოვრება გიორგი მეცამეტისა", 264, 1936.

(ქართული თარგმანი) 1852 წელს. თარგმნილი იყო იგი ძველი, ანტონ პირველის (კათალიკოსის) ენით, რაც ძალიან აძნელებდა მის გამოყენებას. ამის გამო, შემდეგ (1853) წელს კვლავ გამოსცა იგი უკეთესი თარგმანით და ახალი ქართულით. წიგნს ეწოდება: საკითხავი წიგნი ახალმოსწავლეთა ყრმათათვის, თარგმანი რუსულიდან ივ. კერესელიძის მიერ. გამოიცა ოთხჯერ: 1853, 1855 (მესამე გამოცემა არ შენახულა) და 1861 წწ. წიგნს წამძღვარებული აქვს „ანბანი ქართული", ერთმარცვლოვანი, ორმარცვლოვანი, სამმარცვლოვანი, ოთხმარცვლოვანი და ხუთმარცვლოვანი სიტყვები, შეკრებილი მთარგმნელის (ი. კ-ის) მიერ. შემდეგ მიდის „შემოკლებულნი დებულებანი ყურადღების განლვიძებისა და გონების გახსნისათვის". ეს თავი შეიცავს პატარა ნაწყვეტებს სწავლის მნიშვნელობის შესახებ და ცნობებს ბიოლოგიიდან, გეოგრაფიიდან, ფსიქოლოგიიდან, ზოოლოგიიდან, ყოფა-ცხოვრებიდან და სხვ.; მთარგმნელს ჩამატებული აქვს რამდენიმე ადგილი სპეციალურად ქართველ მოსწავლეთათვის: მაგალითად—„მე ვიცი, რომ ამ ჩვენს მხარეს საქართველო ჰქვია და რუსთ ხელმწიფობას ეკუთვნის" (27). წიგნის მეორე ნაწილში წარმოდგენილია—„სხვა და სხვა ანბავი"—არსებითად კი დიდაქტიკური მოთხრობები—სულ 17. დასასრულს: „ფულის ანგარიში" და ხუცური ანბანი, მცირეოდენი საკითხავი მასალით.

ქრესტომათიული ხასიათის კრებულები, ვიმეორებთ, ბლომად მოიპოვება. მათი აღნაგობა და მასალა ნაკლებად განსხვავდება მ. ყორღანაშვილისა და დ. ჩუბინაშვილის ქრესტომათიებიდან. გასაგებია: ახალი ლიტერატურული მასალა XIX ს. პირველ ნახევარში ძალიან იშვიათი იყო, რომ მით განეახლებიათ შემდგენელ-გადამწერთ თავიანთი „კრებულები".

XIX ს. პირველ ნახევარში საქართველოს სკოლებში მოიპოვებოდა ქართული წერის დედნებიც. ისინი ვრცელდებოდნენ ძხოლოდ ხელნაწერი სახით: ან ცალკე ფურცლებზე ან სახელმძღვანელო წიგნებზე მიწერით. მართალია მრავალრიცხოვან გადამწერთა ხელშივავლილი დედნები ჰკარგავდნენ პირვანდელი დედნის სახეს, მაგრამ რამდენადაც ეს პირვანდელი სახე არაეისაგან ყოფილა დადგენილი და, მაშასადამე, ერთი, ყველასათვის საავალდებულო დედანი არ არსებობდა,—ყოველი მასწავლებელი იწერდა ისე, როგორც შეეძლო და საკუთარი „დედნით" ასწავლიდა თავის მოწაფეებს. უფრო სტაბილური, შედარებით, იყო ის დედნები, რომლებიც სა-

ხელმძღვანელო წიგნებს ჰქონდათ დართული, მაგრამ, სამაგიეროდ, მათი გავრცელების არე მცირე იყო ისე, როგორც სქელტანიან წიგნთა, რომელთაც ისინი გასდევდნენ. დღემდე დარჩენილი ასეთი დედნის ერთ-ერთ ნიმუშებად შეიძლება დაკასახელოთ: თ ე ი მ ურ ა ზ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი ს (ბატონიშვილის) დედანი დიდი ასომთავრული ასოებისა, დაწერილი 1811 წ. (საქ. მუზ. ხელნაწ. H—2225), ტ ა რ ა-ს ი ა რ ქ ი მ ა ნ დ რ ი ტ ი ს მიერ 1816 წელს გადაწერილ ს ა ბ ა ს ლექ-სიკონისათვის დართული სუფთად და ლამაზად შესრულებული, კა-ლიგრაფიული წერის სახეები.* ქართული წერის დედნების დაბეჭდ-ვის ცდებიც კი იყო აღნიშნულ პერიოდში: 1832 წლის შეთქმულე-ბის საგამომძიებლო კომისიისათვის მიცემულ ჩვენებებში მღვდელი ე ფ რ ე მ ა ლ ე ქ ს ი შ ვ ი ლ ი ამბობს: „პირველად წარსულის, 1832 წლის ეჰვონებ სეკდემბერში, მოსულიყო უფალი დ ო დ ა ე ვ ი ჩემთან მაშინ, როდესაც მე არ ვიყავ შინ და დაეგდო ქ ა რ თ უ ლ ი პ რ ო-პ ი ს ე ბ ი და ეთქვა თბილისის ღიმნაზიის მოწაფეთა დავით მაჩა-ბელოვისა და ჩემის შვილის ალექსისათვის: უთხარით მოძღვარსა— დირექტორმა სთხოვა ეს დ ე დ ნ ე ბ ი გ ა დ ა ს წ ე რ ო ს კ ა რ გ ს ხ ე ლ ზ ე დ, უ ნ დ ა დ ა ვ ა ბ ე ჭ დ ი ნ ო თ ღ ი მ ნ ა ზ ი ი ს მ ო წ ა ფ ე-თ ა თ ვ ი ს“.** ამ დედნებს ჩვენამდე არ მოღწეულა არც ბეჭდური და არც ხელნაწერი სახით, მაგრამ მათი არსებობის ფაქტის აღნიშ-ვნაც არ უნდა იყოს ინტერესს მოკლებული.

2. რუსული ენის სახელმძღვანელოები

რუსული ენის ˙ავლა XIX ს. პირველ ნახევარში სწარმოებდა რო-გორც ოფიციალურ ანუ სასკოლო სწავლების, ისე არაოფიციალუ-რი ანუ კერძო სწავლებისა და თვითგანვითარების გზით; ამასთან რუსული ენის შესწავლა კერძო სწავლებისა და თვითგანათლების გზით უფრო ფართო და მასობრივი იყო ვიდრე ოფიციალური, სასკო-ლო გზით და ეს განსაზღვრავდა სახელმძღვანელოების ხასიათსაც. სა-ქართველოს ოფიციალურ სკოლებში (თბილისის კეთილშობილთა სა-სწავლებელში, გიმნაზიებში, საჰაზრო სასწავლებლებში, სასულიერო სემინარიასა და სასულიერო სასწავლებლებში და ქალთა სახელმწიფო

* საქ. მუზ. ხელნაწ. განყოფილება, H. ფ., № 288, აგრეთვე, H ფონდის № № 2298, 1420, 1727, 1118.

** 1832 წლის შეთქმულება, I, 291 –1.

თუ საქველმოქმედო საზოგადოებათა სკოლებში) იხმარებოდა რუსეთის ასეთსავე სასწავლებელთათვის განკუთვნილი სახელმძღვანელოები, რომელთა გარჩევასაც ჩვენ აქ არ შეეუდგებით; დავასახელებთ მხოლოდ ერთ-ერთ საანბანო და ანბანის შემდეგ საკითხავ წიგნს, რომელიც XIX ს. პირველი ნახევრის დასასრულს იხმარებოდა; ამით გვინდა ნათელი გავხადოთ ის ფაქტი, რომ ნახევარი საუკუნის განმავლობაში რუსული ანბანის სახელმძღვანელოთა საქმე ბევრით არ წასულა წინ.

რუსული ენის ერთ-ერთი საანბანო და ანბანის შემდეგ საკითხავი წიგნი, რომელიც XIX ს. პირველი ნახევრის დასასრულს იხმარებოდა საქართველოს სახელმწიფო (ანუ რუსულ ენაზე სწავლების) სკოლებში, იყო: „Новейшая полная Российская азбука, заключающая в себе: молитвы, нравоучительные изречения, правила учтивости, понятия, нужные для юношей и для всякого христианина, священную историю ветхого и нового завета, анекдоты, повести, басни, стихотворения для детей, с гравированными картинами". გამოცემულია მოსკოვს 1852 წელს, ავტორი (შემდგენელი) აღნიშნული არ არის. წიგნის შინაარსის (მასალის) შესახებ კი ლაპარაკობს ესოდენ გრძელი მისი სათაური. ანბანი შეიცავს 35 ასოს. შედგენილია ანბანათშეერთების მეთოდით. ასოები განლაგებულია რუსული ანბანის რიგით: პირველად პირველ გვერდზე მოცემულია ბეჭდური ასო А და იქვე მიწერილია მისი სახელი—аз. ქვემოთ (შუაგულში) დახატულია აპელსინით მოვაჭრე, რომელსაც ქვეშ მიწერილი აქვს: А.—апельсины; მეორე გვერდზე: Б.—буки, დახატულია მოვაჭრე ბლინებით, და მიწერილი აქვს: Б.—блины, მესამე გვერდზე—В.—веди, დახატულია მოვაჭრე შაშხით და მიწერილი აქვს: В.—ветчина хорошая და ასე შემდეგ, ბოლომდის. სურათების დანიშნულება გასაგებია, ხოლო, ქვეშ მინაწერები, რომლებსაც ბავშვები გარდა პირველი ასოსი ვერ წაიკითხავენ, განკუთვნილი უნდა იყოს მასწავლებლისათვის, მაგრამ მათი დანიშნულება გაუგებარია. ანბანის დამთავრების შემდეგ იწყება მარცვლები (склады): ყველა თანხმოვანი—ხმოვანთან: ჯერ თანხმოვანი, მერე ხმოვანი: ба, ва, га, да, жа—და ასე შემდეგ, ხმოვანი თანხმოვანთან: аб, ав, аг, ад, аж და ასე ბოლომდის. ორ-ბგერიანი მარცვლებიდან გადადიან სამ-ბგერიან მარცვლებზე: бра, вра, гра. ასე, ყველა თანხმოვანს უერთდება მარცვალი ре,—შემდეგ ри, ро, ру, ры, ре, рю, ря.

ამას მისდევს სიტყვები: ერთმარცვლოვანი (бог, царь), შემდეგ ორმარცვლოვანი (Анг-ел, не-бо), შემდეგ სამმარცვლოვანი (об-ла-ко), ოთხმარცვლოვანი (кра-са-ви-ца), ხუთმარცვლოვანი (а-ме-ри-кан-цы) და, ბოლოს, მრავალმარცვლოვანი სიტყვები (бла-го-по-пе-чи-тель-ный). ამის შემდეგ იწყება სავარჯიშოები და კითხვა ზემოხსენებული მასალისა.

სახელმძღვანელო ძალიან პრიმიტულია; როგორც მეთოდით, ისე ლექსიკით და გრამატიკული ცნობებით არაფრად განსხვავდება XIX ს. დამდეგის სახელმძღვანელოებიდან და მოწმობს იმას, თუ რამდენად ჩამორჩენილი იყო რუსული ენის საანბანო წიგნები კ. დ. უშინსკის სახელმძღვანელოებამდე, 60-იანი წლების დასაწყისამდე.

გაცილებით უკეთესი მდგომარეობა იყო რუსული გრამატიკის სწავლების მხრივ რუსულ, ოფიციალურ სკოლებში. მაგრამ არა საუკუნის დასაწყისიდანვე, არამედ 30-იანი წლებიდან.

1828 წლისათვის თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში რუსული გრამატიკის სახელმძღვანელოდ ხმარობდნენ ნიკოლაი გრეჩის—„Пространная русская грамматика"-ს. 1828 წელს სოლ. დოდაშვილი, რომელიც ამ დროს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში მასწავლებლობდა, ამ წიგნის შესახებ სწერდა იონა ხელაშვილს ს-პეტერბურგს: „დიდათ საჭირო გახლავთ ღრამატიკა რუსული ნიკოლოზ ღრეჩისა, ახალი გამოცემული და განვრცელებული, ინებეთ გამოგზავნა ორისა თუ სამი ეგზემპლიარისა".*

1831 წელს დაწყებითმა სკოლებმა (სამაზრო სამრევლო და საშუალო სასწავლებელთა დაბალმა კლასებმა) მიიღეს ალ. ვოსტოკოვის მშვენიერი გრამატიკა: „Сокращенная русская грамматика—для употребления в низших учебных заведениях".** გრამატიკა შედგება ოთხი ნაწილისაგან: о словопроизведении (предварительные понятия об имени существительном, об имени прилагательном, о местоимении, о глаголе, о наречии, о предлоге, о союзе, о междометии); о словосочинении (введение, о согласовании слов, о уп-

* საქ. მეცნ. აკადემია—„მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის", სოლ. დოდაშვილის წერილები, ს. ხუციშვილის შესავალი წერილითა და შენიშვნებით, II, 108

** იმავე წელს გამოიცა ვოსტოკოვის სრული გრამატიკა.

равлении слов, о составлении периодов и знаках препинания); о правописании (о употреблении букв по произношению, о употреблении букв по месту их); о слогоударении, რომელსაც ერთვის: о стопосложении. ალ. ვოსტოკოვის გრამატიკაში სავსებით სწორადაა შეფარდებული გრამატიკის მეცნიერული სისტემა მის სასწავლო მიზნებთან. განმარტებათა სიზუსტე და გარკვეულობა, მაგალითების სიჭარბე და მოხდენილობა ბრუნვათა და ულვლილებათა ცხრილების სიმარტივე და სხვა ღირსებანი ვოსტოკოვის გრამატიკას აძლევდნენ მაღალ პედაგოგიურ ღირებულებას, რის გამოც ის დიდხანს რჩებოდა რუსული გრამატიკის სახელმძღვანელოდ როგორც რუსეთის, ისე საქართველოს რუსულ სკოლებში.

1846 წლიდან ქართველ ახალგაზრდობას რუსული ენის შესწავლის საქმეში დიდ დახმარებას უწევდა დავით ჩუბინაშვილის (ჩუბინოვის) „Русско-грузинский словарь“, რომელსაც დართული ჰქონდა მოკლე რუსული გრამატიკა ქართულ ენაზე (გამოიცა პეტერბურგში); მეორე წელს მისი „მოკლე რუსული გრამატიკა“ გამოიცა ცალკე (პეტერბურგში) და ძალიან სწრაფად გავრცელდა საქართველოში.

არის ცნობები რუსული ენის სხვა სახელმძღვანელოთა შესახებაც. 1802 წელს დაარსებული თბილისში პირველდაწყებითი სასწავლებლის „წესები“ ითვალისწინებენ შემდეგ სახელმძღვანელოებს I კლასისათვის: „1. ანბანის ტაბულა, 2. მარცვლების ტაბულა, 3. რუსული და ქართული ანბანები, 4. (წერის) დედნები, 5. სუფთაწერის სახელმძღვანელო, 6. სიტყვარი რუსულ და ქართულ ენებზე; II კლასისათვის: 1. გრამატიკა რუსული და ქართული, 2. უბნობანი (разговоры) ორივე ენაზე“ და სხვ.* 1806 წელს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში რუსულ ლიტერატურაში ხმარობდნენ ლომონოსოვის „რიტორიკასა“ და ლიტერატურულ ქრესტომათიას, ხერასკოვის—„Царь или спасенный Новгород“ და სხვა წიგნებს, რომლებიც დაშვებული იყვნენ მოსკოვის საიმპერატორო გიმნაზიის სახელმძღვანელოებად.

არაოფიციალური გზით ანუ კერძოდ და საშინაო სკოლების საშუალებით რუსული ენის სწავლებისა თუ სწავლისათვის, პირველ ყოვლისა, სარგებლობდნენ ე. წ. „რაზღავორების“ წიგნით, რა სახელითაც ცნობილი იყო რუსული ენის პრაქტიკული სახელმძღვა-

* Акты, 1,511.

ნელო: „Собрание российских разговоров—в общежитии употребляемых с приобщением грузинского перевода, в пользу благородного юношества“ („შეკრება რუსულთა უბნობათა საზოგადოდ ცხოვრებასა შინა სახმარებელთა დართვითა ქართულისა თარგმანითასა, სასარგებლოდ კეთილშობილთა ყრმათა“).

„რუსულთა უბნობის“ ანუ „რაზლავორის“ წიგნებმა გარკვეული განვითარება განიცადეს. ჩვენ დრომდე აღმოჩენილია მხოლოდ სამი გამოცემის თითო ეგზემპლიარი: 1819 წელს თბილისში ორჯერ გამოცემულისა და 1 26 მესამედ პეტერბურგში დასტამბულისა. 1819 წლის პირველი გამოცემა (თბილისის საჯარო წიგნთსაცავში დაცული) მეტად უხეიროა. ეს გამოცემა, როგორც ჩანს, გულისხმობდა რუსული კითხვის (ანბანის) არმცოდნეთა მიერ რუსული ენის შესწავლას და ამის მიხედვით რუსული სიტყვები და ფრაზები დაბეჭდილია ქართული ტრანსკრიპციით. ასე რომ, ამ წიგნით რუსული ენის შემსწავლი ვერას დროს ვერ ისწავლიდა რუსულ კითხვას (წერაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი). ამას გარდა, რუსული ფრაზების შესატყვისი ქართული ფრაზები უმეტეს შემთხვევაში საშინელ სიმახინჯეს წარმოადგენს. მაგრამ იმავე წლის მეორე გამოცემიდან ცხადი ხდება, რომ ჩქარა მიხვედრილან აღნიშნულ აბსურდს და აქ, ამ მეორე გამოცემაში, რუსული ფრაზები მოყვანილია რუსული ტრანსკრიპციით, ხოლო მათი შესატყვისი ქართული თარგმნები რამდენადმე მაინკ გასწორებულია. უფრო შესამჩნევად ეს გაკეთებულია მესამე, 1826 წლის, გამოცემაში: „შეკრება რუსულთა უბნობათა...“.

„შეკრების“ პირველ გვერდზე მოცემულია: „Букварь российской с грузинским“—„ანბანი რუსული—ქართულითურთ“—რუსული ანბანის რიგის მიხედვით. ჯერ ასო-ბგერის სახელწოდება (Аз), შემდეგ ასო (а); ამას მოსდევს იმავე სტრიქონში მათი ქართული ტრანსკრიპცია: აზ,ა; ასევე ქვემოთ: Буки,б, ბ у к и, ბ და ასე შემდეგ, ანბანის ბოლომდის. მეორე გვერდზე მოცემულია „ანბანი ქართული რუსულითურთ“ – ქართული ანბანის მიხედვით: ან, ა—Ан, а; ბ а ნ, ბ—Бан, б და ასე შემდეგ, ბოლომდის.

ამგვარად, პირველ 2 გვერდზე იწყება და მთავრდება მთელი ანბანი: რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული. იგულისხმება, რომ მკითხველმა წინასწარ უნდა იცოდეს კითხვა რომელიმე ამ ენაზე და ერთის ცოდნით შეუძლია ისწავლოს მეორე. მესამე გვერდიდან იწყება ენის (რუსულის ან ქართულის) სწავლა სიტყვათა და წინადადებათა საშუალებით: ყველა რუსულ სიტყვას მიწერილი აქვს შესა-

ტყვისი ქართული. მაგალითად: одиннацать—თერთმეტი, воскресенье—კვირა; генварь—იანვარი და ასე რამდენიმე გვერდის (3—8) მანძილზე. ამის შემდეგ იწყება უშუალოდ Разговор 1-й, უბნობა 1—კითხვა-პასუხის ფორმით: Как вы поживаете?—როგორ ცხოვრობთ?

Слава богу—მადლობა ღმერთს

Я здоров—კარგად გახლავარ.

„რაზლავორის“ ამ წიგნში (მესამე გამოცემაში) შეტანილია სულ 100 საუბარი ყოფაცხოვრებისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგზე. შემდგენელს, პირველ ყოვლისა მხედველობაში ჰქონდა რუსული (ან ქართული) ენის შესწავლა, მაგრამ ამასთან ის სასაუბრო, ლექსიკურ მასალას იღებდა ხალხთა ყოფაცხოვრებისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან იმ მიზნით, რომ ენის შესწავლასთან ერთად მკითხველს სათანადო ცოდნაც მიეღო და ამით უფრო გაეზარდა მისი ინტერესი კითხვისადმი.

ქართული ენა ამ გამოცემისა უკეთეს შთაბეჭდილებას სტოვებს, მაგრამ აქაც გვხვდება ცუდი (ენობრივად და ლოგიკურად) თარგმანები, მაგალითად:

რუსული ფრაზა:	თარგმნილია:
„Вы меня обязываете, принимая участие в том, что до меня касается“.	„თქვენ შემკრავთ მე, რადგან მიიღებთ მონაწილეობას ამაზედ, რაც მე შემეხება“ (56).

ტერმინოლოგიაც, უმეტეს შემთხვევაში, რუსულია.

მაგრამ, საერთოდ, „რაზლავორის“ მესამე გამოცემის ქართული ენა გაცილებით უკეთესია, ვიდრე იმდროინდელი, XIX ს. 20-იანი წლების, სახელმძღვანელოების ენა და ბევრად აღემატება ანტონ I „ღვარჭნილ“ ენას, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ ფართოდ იყო გავრცელებული.*

მეთოდი „რაზლავორის“ წიგნის შედგენისა ძალზე პრიმიტულია დიდაქტიკის არცერთი წესი არ არის აქ დაცული, სახელმძღვანელოს შედგენის არცერთი პრინციპი არ არის აქ გამოყენებული.

---

* აი, ერთი ნიმუში „უბნობის“ (მესამე გამოცემის) ენისა: „მითხარი, შენ გახდას იმისი ძმა ლაპარაკობს ფრანციულად?—ის ლაპარაკობს ფრანციულად, იტალიანურად, ნემეკურად და ანგლიურად.

—„როგორ შეუძლიან იმას ცოდნა ამდენის სხვადასხვა ენებისა?—იმას ი სინი კარგად უსწავლია და ბევრიც უვლია“ (გვ. 83).

სიტყვებისა და ფრაზების შერჩევა სიძნელე-სიადვილის მხრივ. ერთ (წინა) საუბარში დასწავლილი სიტყვების გამეორების დოზირება მეორე (მომდევნო) საუბარში და ახალი სიტყვების დამახსოვრების ხერხების გამოყენება სრულებით არა დგას შემდგენელთა წინაშე. ძნელი იყო ამ „რაზლავორებით“ რუსული ენის სწავლა, მაგრამ იმდენად დიდი იყო მისი შესწავლის სურვილი და საჭიროება, რომ ეს წიგნები დიდხანს რჩებოდნენ რუსული ენის სახელმძღვანელოებად ჩვენში. მაგალითად, ნიკოლოზ ბარათაშვილის, გრიგოლ ორბელიანისა და დიმიტრი ყიფიანის ბიოგრაფიებიდან ვიცით, რომ რუსული ენის სწავლა მათ „რაზლავორის“ წიგნებით დაიწყეს. მაგრამ ამ წიგნებს ორმოციან წლებშიც ხმარობდნენ და ისეთი მოწინავე ოჯახებში, როგორიც იყო აკაკი წერეთლის მამის ოჯახი. რუსული კითხვა „რაზლავორის“ წიგნით ვისწავლეო—წერს აკაკი თავის „თავგადასავალში“, და განა მარტო ის სწავლობდა რუსულ ენას ამ წიგნით 40-იან წლებში?

„რაზლავორების“ მსგავს პრაქტიკულ სახელმძღვანელოს წარმოადგენდა გოდერძი ფირალიშვილის (ფირალოვის) რუსულ-ქართული ენის თვითმასწავლებელი, რუსულ-ქართული სახელწოდებით: „Самоучитель, содержащий в себе разговоры, нравоучения и лексикон на российском и грузинском языках“. („თვითმასწავლებელი, რომელიც იპყრობს თვის-შორის ლრაჴმატიკასა, ზნეობის სწავლასა, საუბარსა და ლექსიკონსა რუსულსა და ქართულსა ენასა ზედა“)—გამოცემული პეტერბურგს 1820 წელს. წინასიტყვაობაში ავტორი ამბობს:

„—სრულ-ვჰყავ მბიარულებით სამღთოი თანანდები ესე, და მივიღე თავსა ზედა თვისსა შრომაი ყოვლითა შესაძლო-ყოფითა და გულისმოდგინებითა შეთხზვად წიგნისა ამის თვით-მასწავლებლისა, სასწავლებლად ორთა ენათა, ესე იგი: რუსთა ქართულისა და ქართველთა რუსულისა...

ხოლო ვინაიდგან ესე ვითარი თხზულებაი ქართულისა ენასა ზედა, რუსულითურთ აქამდე არ ყოფილ არს; ამისათვისცა ტრფიალვარ საამურითა სასოებითა, რომელ ესე მისცემს ქართველთა ვითარცა სიყრმეთა შინა, ეგრეთვე ყოვლისა ასაკისათა დიდსა სარგებლობასა, და აგრეთვე რუსთაცა მუნ მყოფთა, უფრორე ამად, რომელ სცნობენ-რა საფუძველსა ენათა თვისებისათა, უადვილესყე ძალ იდებენ ურთიერთისადმი განცხადებასა საქმეთა თვისთასა“.

„თვითმასწავლებელი“ იწყება ქართული ანბანით. ქართულ ასოებს მიწერილი აქვთ მათი გამოთქმა რუსულად (ა—Ан, ბ—Баъ და სხვ.), შემდეგ მარცვლები – მათი გამოთქმით (ბა—ба, გა—га და სხვ.), ციფრები—ანბანური გამოთქმებით და არაბულით (ა—ерти—1; ბ—ори—2 და სხვ.). შემდეგ უფრო სახმარი სიტყვები: ჯერ ქართული სიტყვები ქართული ასოებით, შემდეგ იგივე რუსული ასოებით და ბოლოს—იგივე სიტყვა რუსულად (ღმერთი, гмерти, Бог). ქართულ ანბანს მისდევს რუსული ანბანი, განლაგებული იმავე პრინციპით, ციფრები არაბული და რომაული—შესატყვისი ქართული ასოებით, უფრო სახმარ სიტყვათა ლექსიკონი. მესამე ნაწილი შეიცავს ვრცელ გრამატიკას საერთოდ („ზოგად ღრამატიკისათვის“), ქართული გრამატიკის თავისებურებათა გამოყოფით. მეოთხე თავი შეიცავს „ზნეობის სწავლისათვის“. მეხუთე ნაწილი, რომელსაც აქვს უფრო მეტი პრაქტიკული მნიშვნელობა, წარმოადგენს საუბარს—ჯერ რუსული წინადადებებით და მერე მისი ქართული თარგმანით: „Добрый день, государь мой!—კეთილი დღეი, ხელმწიფეო ჩემო!“ (სულ არის 18 საუბარი). მეექვსე ნაწილი წარმოადგენს რუსულ-ქართულ ლექსიკონს.

გოდერძი ფირალიშვილი თავისი „თვითმასწავლებლით“ აერცელებდა აგრეთვე პედაგოგიკურ იდეებსაც, მაგალითად, აქ ვხედავთ ასეთ ადგილებს:

„В науках обыкновенно успевают, когда рачительно и с прилежанием учатся	სწავლასა შინა ჩვეულებისამებრ უსწრებენ, ოდეს გულმოდგინეობით და მეცადინეობით სწავლობენ“.

ამით ავტორი ფიქრობს რუსული და ქართული ენების ბეჯითად სწავლების პარალელურად დიდაქტიკური იდეებიც გაავრცელოს.

3. ისტორიისა და გეოგრაფიის სახელმძღვანელოები

ისტორიასა და გეოგრაფიაში, არსებული ცნობების მიხედვით, სასწავლო წიგნებად იხმარებოდა „დავით ბაგრატიონის (ბატონიშვილის)—„ისტორია რომელსა ეწოდების ნარკვევი“, თბილისი, 1800 წ.; თეიმურაზ ბაგრატიონის) „ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი, გიორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველოისა“, დაბეჭდილ 1848 წელს, პეტერბურგს; რუდოლ ფ

ფოსტრატის—„ღირსი ცოდნისა ქალაქთა ევროპისათა“—აღწერილ იოანე ქართველ მღვდელ-მონაზონისაგან“,* და მრავალი სხვ.; დარჩენილია ცნობები, რომ რუსულ სკოლებში სარგებლობდნენ სახელმძღვანელო წიგნით: „Новейшая всеобщая география—или описание всех частей света Европы, Азии, Африки, Америки и Южной Индии... с прибавлением Российской географии“, 3 ნაწილად, დაბეჭდილი პეტერბურგს, მესამე გამოცემა, 1803 წელს. გეოგრაფიის სახელმძღვანელოდ იხმარებოდა აგრეთვე „შეყვანილება ღეოღრაფიისა შინა“;** „ღეოღრაფიული ლექსიკონი ახლის აღთქმისა, მპყრობელი თვის შორის ანბანთამებრ დაწყობილებითა აღწერისა ქვეყანათა, სამთავროთა, ქალაქთა, მდინარეთა, ჭალაკთა და სხვა ღეოღრაფიულთა საგანთა... თარგმნილი რუსულიდან ტარასი მღვდელმონაზონის მიერ, დაბეჭდილი პეტერბურგს, 1824 წელს; დავით რეჭტორის—„ღეოღრაფია... ქვეყნის აღწერა“ (საქ. მუზ. ხელნაწ. ფ. A—1414) და სხვა ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნები, რომელთა შორისაც კვლავ დიდი პოპულარობით სარგებლობდა ვახუშტის ისტორია და გეოგრაფია.

4. ფიზიკა-მათემატიკის სახელმძღვანელოები

ფიზიკა-მათემატიკის დისციპლინათა სახელმძღვანელოებს სამაზრო და საშუალო სკოლებისათვის, როგორც ოფიციალურ სასწავლებელთათვის, ღებულობდნენ რუსეთიდან, ხოლო საშინაო წესით მოსწავლენი და ეკლესია-მონასტრებთან არსებულ ქართულ მაღალ-დაწყებით სკოლებში XIX ს. პირველ ნახევარში ხმარობდნენ XVIII საუკუნის ორიგინალურ თუ თარგმნილ სახელმძღვანელოებს. ასეთები იყო: 1. „არიხმეტიკა“, თარგმნილი „ფრანგული ენისაგან“ დიმიტრი ციციშვილის მიერ და მიძღვნილი ვახტანგ VI შვილის ბაქარისადმი, და რამდენიმე სხვა უავტორო სახელმძღვანელო არითმეტიკასა და გეომეტრიაში. ოცდაათიდან წლებში. იხმარებოდა აგრეთვე რუსულიდან თარგმნილი: „Руководство к арифметике для употребления в уездных училищах Российской империи“, ნაწილი პირველი, 1830; ფიზიკაში იხმარე-

* საქ. მუზეუმ. ხელნაწ. განყ., H ფონდი, № 2314.

** ე. თაყაიშვილი—არხ. მოგზ., 1. 289; აგრეთვე: საქ. მუზ. ხელნაწ. განყ. H—646.

ბოდა: ანტონ I მიერ რუსულიდან გადმოკეთებული „შემოკლებული ფიზიკა თეორეტიკებრი";* „ხელმძღვანელობა ფისიკისადმი, სრულ იქმნა წელსა 1814, ტფილისს, დავითის მიერ დიაკონისა გვარად ანანიაშვილისა**; გილიარევსკის ფიზიკა, თარგმნილი რუსულიდან („Энциклопедия и физика") ჩუგუნოვის მიერ 1823 წელს, და სხვა წიგნები, რომელთა შორის ყველაზე მეტი პოპულარობით სარგებლობდა დავ. ბაგრატიონის (ბატონიშვილის) „შემოკლებული ფისიკა, საქართ(ველოს) ახალთა მოსწავლეთათვის შესამეცნებლად ფისიკაისა", დაწერილი 1818 წელს, სანქტ-პეტერბურგს (საქ. მუზ. H-2368). არის დარჩენილი ცნობა ქართული გლობუსისა, მათემატიკური ხელსაწყოებისა და მათემატიკური „მრიცხველობის" არსებობის შესახებ. ფილადელფოს კიკნაძე ერთ-ერთ თავის ჩვენებაში, 1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო კომისიისადმი, აღწერს ერთ თავის სტუმრობას პოეტ ალ. ჭავჭავაძესთან და, სხვათა შორის, ამბობს: „1832 წელს, გაზაფხულზე ვეახელ მას კვალადაცა სათხოვნელად სამონასტროდ ღვინისა, მაშინ შინ ბრძანდებოდა; ვახლდი ერთ ღამეს, მაშინ იმის სახლიდან წამოვიღე გასაშინჯად ძველი ქართული გლობუსი და სხვა მათემატიკის იარაღები. შემდგომ მეც მქონდა ერთი ძველი წიგნი ქართული, მათემატიკური მრიცხველობა, რომელიც მე არ ვიცოდი რა იყო ის, გადავსწერე და მივართვი მეცა სანახავად..."*** სამწუხაროდ ეს სასწავლო ხელსაწყოები და წიგნი არ შენახულა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მათი აღწერა და სპეციალური დანიშნულების გარკვევა.

5. ფილოსოფიური საგნების სახელმძღვანელოები

ფილოსოფიურ დისციპლინათა სახელმძღვანელოები XIX ს. პირველ ნახევარში იხმარებოდა არა მხოლოდ იმ საშუალო სასწავლებლებში, სადაც ეს დისციპლინები ისწავლებოდა (თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი, 1830 წლიდან—გიმნაზია, თბილისის სასულიერო სემინარია), არამედ აგრეთვე მსხვილ ეკლესია-მონასტრებთან არსებულ საშუალო ტიპის სკოლებშიც. XVIII საუკუნის

---

* საქ. მუზ. ხელნ., H ფონდი, № 3445.

** იქვე, H. ფ., № 2068.

*** „1832 წლის შეთქმულება", I.277.

ფილოსოფიური წიგნებიდან, რომლებიც უმთავრესად თბილისისა და თელავის სემინარიებისათვის იყვნენ დამზადებული, ბევრი კვლავ იქნა გადაწერილი XIX ს. პირველ ნახევარში. მაგალითად, აბატ კონდილიაკის „ლოღიკა“, ბაუმეისტერის „ლოღიკა“ და „მეტაფიზიკა“, გადმოკეთებული ანტონ I მიერ, სიმ. ჯულფელის „დიალექტიკა“, მეხითარის „რიტორიკა“, ანსილონის „ესტეტიკებრნი განსჯანი“, თარგმნილი რუსულიდან 1815 წ. დავით ბატონიშვილის მიერ, „ხოლო მე გადავნუსხე თავადის ჩიქოვანის პეტრეს ასულმა მარიამ, სანკტპეტერბურღს წელსა 1817“*. ადამ ფერღიუსონის „მოძღვრება ზნეობითი ფილოსოფიისა“, თარგმნილი რუსულიდან იოანე ბაგრატიონის მიერ, 1817 წ. ს-პეტერბურგს და სხვ.; თეიმურაზ ბაგრატიონმა სთარგმნა რუსულიდან „განსჯანი არისტოტელისანი კეთილისათვის და ბოროტისა“ და გამოსცა 1818 წელს პეტერბურგში; განსაკუთრებით საინტერესო მოვლენას აღნიშნული პერიოდისათვის წარმოადგენდა „საემპირიკო პსიხოლოღია—ანუ დამცველობითი სულთ—მეტყველება, ნათხზი უფლისა სნელესი ნემეცურა ენით რომელთამე სხოლიოებით და ზედად-დაჰრთვაებითურთ“, ნათარგმნი რუსულად ყაზანის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ადიუნქტის ლობკინის მიერ 1813 წ., ხოლო რუსულიდან ქართულად—მ. ი. გ-ს მიერ.** თარგმნილია აგრეთვე სნელეს სხვა ფილოსოფიური წიგნებიც (ლოღიკა, ესტეტიკა, ზნეობით ჰსწავლა). მოიპოებოდა ფილოსოფიურ დისციპლინებში სხვა სახელმძღვანელოებიც, მაგრამ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან მოვლენას XIX ს. პირველი ნახევრის საქართველოს და არა მარტო საქართველოს, მეცნიერული აზრის ისტორიაში წარმოადგენდა სოლ. დოდაშვილის ლოღიკა, დაბეჭდილი 1827 წელს, პეტერბურგს, რუსულ ენაზე: „Курс философии, часть первая, логика—сочинение Соломона Додаева-Магарского“.

სოლომონ დოდაშვილის „ლოღიკა“ დაშვებული იყო ფილოსოფიის სახელმძღვანელოდ თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლებში (შემდეგ გიმნაზიაში) და თბილისის სასულიერო სემინარიაში.

---

* საქ. მუზეუმი, ხელნაწ. H ფ. № 333; იხ. აგრეთვე: თ. ჯორდანია „Описание...“, I, 282 (№ 278).

** ე. თაყაიშვილი—„არხეოლოგიური მოგზაურობანი“, 1,282–283; საქ. სახელმწ. მუზ. ხელნაწ., განყ. H, 217.

ის შეიცავს: ფილოსოფიის საერთო შესავალს, ლოგიკის შესავალს, ლოგიკის მოკლე ისტორიას, შემდეგ საკუთრივ ლოგიკას (გონება, აზროვნების კანონები, მსჯელობა, წესები წინადადებათა სხვადასხვა სახეებისათვის, ცნებები, დასკვნები, მტკიცება). წიგნს თავის მეცნიერულ ღირსებასთან ერთად აქვს დიდი მეთოდიკური ღირებულებაც: მასალის განლაგება გარკვეული სისტემით და თანმიმდევრობით, ნათელი მსჯელობა, განმარტებათა სიცხადე და ფორმულირებათა ლაკონურობა, მარტივი სტილი და გადმოცემის მაღალი ხელოვნება.

6. უცხო ენების სახელმძღვანელოები

თავისებური იყო **უ ც ხ ო ე ნ ე ბ ი ს** სახელმძღვანელოთა მდგომარეობა XIX ს. პირველ ნახევარში. ცნობილია, რომ ამ პერიოდის ქართველი თავადაზნაურობის მაღალ წრეებში საკმაოდ გავრცელებული იყო უცხო (უფრო მეტად—ფრანგული) ენების ცოდნა. ჩქარა, 30-იანი წლებიდან, უცხო ენების კულტურა ფეხს იკიდებს ქალაქის მოსახლეობაშიც. მაგრამ თუ ქართველ თავადაზნაურულ ოჯახებში უცხო ენებს ასწავლიდნენ, უმთავრესად, ინდივიდური წესით, უცხოელი ბონებისა და გუვერნიორების საშუალებით, სამაგიეროდ, ქალაქის მოსახლეობა ამ მიზნით, უმთავრესად, პანსიონებს მიმართავდა. მრავალი ოფიციალური და არაოფიციალური საბუთი არსებობს იმის დასადასტურებლად, რომ ამ პერიოდის საქართველოს სკოლებში უცხო ენების სწავლება არ იყო ცუდად დაყენებული. განსაკუთრებით ეს ითქმის დახურული ტიპის სასწავლებელთა და პანსიონების შესახებ. გავიხსენოთ მოგზაური **ჰ ა ქ ს ტ ჰ ა უ ზ ე ნ ი**, ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტის შესახებ (აქვე, გვ. 134).

რა წიგნებით სწავლობდა ჩვენი ახალგაზრდობა უცხო ენებს XIX ს. პირველ ნახევარში? საქართველოს სკოლებში, სადაც კი უცხო ენები ისწავლებოდა (თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი, გიმნაზია, სემინარია, საფერშლო სასწავლებელი, ახვერდოვის პანსიონი, კასტელას პანსიონი, ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტი, წმინდა ნინოს სახ. ქალთა სასწავლებლები და მრავალი სხვა კერძო სკოლა და პანსიონი), ყველგან ხმარობდნენ საერთოდ, მთელს იმპერიაში გავრცელებულ სახელმძღვანელო წიგნებს რუსული სკოლებისათვის; რაც შეეხება საქართველოს სკოლებისათვის ან ქართულად მოლაპარაკე ბავშვთათვის უცხო ენების სახელმძღვა-

ნელოებს, ჩვენ ასეთები არ დაგვრჩენია, არც ბეჭდვური და არც ხელნაწერი სახით. თუმცა უნდა ვიფიქროთ, რომ საქართველოში ფრანგული ენის ესოდენ გავრცელების ფაქტი, უეჭველად გულისხმობს ფრანგული ენის სახელმძღვანელოების თუნდაც ხელნაწერი სახით არსებობას.

უცხო ენების შესწავლის საქმეში, სპეციალური სახელმძღვანელოების სიმცირის გამო, მათ როლს მრავალ შემთხვევაში ასრულებდნენ საერთოდ ამ ენებზე დაბეჭდილი მხატვრული, მეცნიერულ პოპულარული და ბიოგრაფიული ხასიათის წიგნები. ამა თუ იმ უცხო ენაზე წერა-კითხვის შესწავლის შემდეგ მოწაფეებს აძლევდნენ საკითხავად ასეთ წიგნებს ან ქრესტომათიებს; მათ დართული ჰქონდათ სათანადო ლექსიკონები, ხოლო თუ ლექსიკონები არ მოეპოვებოდათ, ასეთებს ყოველი გაკვეთილისათვის ადგენდნენ თვით მასწავლებლები.

ერთადერთი ბეჭდვური წიგნი, რომელიც გამოიცა XIX ს. პირველ ნახევარში სპეციალურად ქართველი ახალგაზრდობისათვის ფრანგული ენის შესწავლის საქმეში დასახმარებლად, არის „მ ე ტ ო დ უ ლ ი ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი — ქართულ-ფრანციულ-რუსული, მპყრობელი ლექსთა ყოველთა, ნაწილთა სიტყვისათა უმეტეს ხმარებულთა და გაწყობილთა საგანთა ებრ, რიცხვით ვიდრე ოთხი ათასთა; ქმნილ არს ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს მ ო ს წ ა ვ ლ ე თ ა თ ვ ი ს... ა. ს უ ლ ხ ა ნ ო ვ ი ს ა მ ი ე რ“, გამოქვეყნებული 1839 წელს, პეტერბურგში. ეს წიგნი შეიცავს ქართულ ანბანს („ქართული ანბანა“) ფრანგული და რუსული გამოთქმით (an—ა—ан, ban—ბ—бан და ა. შ.), შემდეგ მოდის შემოკლებული ლექსიკონი (Vocabulaire—abrègè—Краткий словарь) ქართულ-ფრანგულ-რუსული თანმიმდევრობით.

გარკვეულ სამსახურს ფრანგული ენის შესწავლის საქმეში ქართველ ახალგაზრდობასა და საერთოდ მოსახლეობას უწევდა აგრეთვე დ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი ს „ქართულ-რუსულ-ფრანციული ლექსიკონი“, გამოცემული 1840 წელს, პეტერბურგში.

7. იოანე ბაგრატიონის წიგნები როგორც სახელმძღვანელოები

ბოლოს არ შეიძლება სპეციალურად არ მოვიხსენიოთ ისეთი ენციკლოპედიური წიგნი, რომელიც არ იყო დაწერილი ხზოლოდ სასწავლო მიზნით, მაგრამ ფაქტიურად ასრულებდა უნივერსალურ სახელმძღვანელოს როლს საშუალო და საშუალოზე უფრო მაღალი განათლების მაძიებელთათვის. მხედველობაში გვაქვს იოანე, ბ ა გ-

რატიონის (ბატონიშვილის) „კალმასობა“, დამთავრებული 1828 წელს პეტერბურგში და გავრცელებული საქართველოში რამდენიმე ნუსხით*. „კალმასობა“ დაწერილია XVIII ს. დიდი „ფრანგული ენციკლოპედიის“ მიბაძვითა და სათანადო იდეური გავლენით; მასში დიალოგის ფორმით არის გადმოცემული თითქმის ყველა, მის დროს ცნობილი, მეცნიერება მკაფიო განმარტებებით, დანიშნულების გარკვევით და ზოგიერთი ძათგანის მოკლე შინაარსის მოთხრობით. ქართული ეროვნული მეცნიერებანი (საქართველოს ისტორია, ქართული ლიტერატურის ისტორია და ქართული ენის გრამატიკა) „კალმასობაში“ წარმოადგენენ საკმაოდ ვრცელ და ორიგინალურ ნაშრომებს, ხოლო სხვა მეცნიერებანი—თავისებურ კომპილაციებს, როგორც ეს ქრესტომათიული სახით შედგენილ სახელმძღვანელოს შეეფერებოდა. აღსანიშნავია აგრეთვე იოანე ბაგრატიონის—„ენციკლოპედია“ ანუ „სხვა და სხვა სწავლათა შეკრებილებანი“ ბავშვთა აღზრდისა და სწავლა-განათლების საკითხებზე. წიგნი, რომელიც ხელნაწერის სახით დაცულია საქ. მუზ. ხელნაწერებში (№ H—2'96), ‘თავრდება მინაწერით: „დასრულდა მცირე ნაშრომი ესე მეფის ძის იოანეს მიერ სასწავლებლად ყრმათათვის“, მაგრამ ის შეიცავს სწავლებას არა მარტო ყრმათათვის, არამედ აგრეთვე ყრმათა შესახებ—ძოზრდილთათვის.

8. მთავრობის ღონისძიებანი სახელმძღვანელოების შექმნისათვის

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ XIX ს. პირველი ნახევრის სკოლა მწვავედ განიცდიდა სახელმძღვანელოების ნაკლებობას. არ ყოფილა არცერთი სასწავლებელი ამ პერიოდში, რომ ყველა საგანში ყოფილიყო მომარაგებული სახელმძღვანელოებით. ოფიციალური წრეები, თეორიულად თუ არა, პრაქტიკულად მაინც გრძნობდნენ, რომ სახელმძღვანელო არის სასწავლო პროცესის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი და ფორმალურად, ‘იწერ-მოწერით, ისინი მართლაც ზრუნავდნენ სახელმძღვანელო ლიტერატურისათვის. მაგალითად, ჯერ კიდევ 1805 წელს საქართველოს მთავარმართებელმა ციციანოვმა, თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლისათვის სახელმძღვანელოების შესაძენად კონსტანტინეპოლ'ში გაგზავნა ბერძენი არქი-

* „კალმასობა“ პირველად დაიბეჭდა თბილისში 1862 წელს დიმ. ბაქრაძის რედაქციით.

მანდრიტი ათანასე, „რომ აქ, ქართული წიგნების ნაკლებობის გამო, ეთხოვა ასეთები იერუსალიმის პატრიარქის ქართული ბიბლიოთეკიდან და სხვა მონასტრებიდან“.* 1833 წელს საქართველოს ეგზარხოსმა მოსემ „მრავნდო მცოდნე კაცებს რუსულ-ქართული ლექსიკონის შედგენა“, რაც იმავე წლიდან დაიწყო.**

იყო შემთხვევები, როდესაც სახელმძღვანელოების გამრავლების საქმეში თვით მოწაფეებიც მონაწილეობდნენ. მაგალითად, 1806 წელს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის დირექტორის ალ. პეტრიაშვილის ინიციატივით, უფროსი კლასის მოწაფეებმა ბებუთიშვილმა, სარაჯიშვილმა და ამვროსოვმა რუსულად გადათარგმნეს „საქართველოს ისტორია“ (ავტორი ცნობილი არ არის), რისთვისაც იმპერატორმა ალექსანდრე I დაჯილდოვა ისინი ოქროს საათებით.

1817 წელს ბოდბის მონასტერთან (სამიტროპოლიტო ტაძართან) არსებული სკოლიდან თბილისის ახლადგახსნილ სასულიერო სემინარიაში 40 სხვადასხვა სახელმძღვანელო გადმოიტანეს. როგორც ვიცით, სახელმძღვანელოები მოჰქონდათ აგრეთვე მოზდოკიდან და სხვა ადგილებიდან, მაგრამ ყოველივე ეს ძალიან მცირე იყო მოთხოვნილებასთან შედარებით. სახელმძღვანელოები არა ჰყოფნიდათ არამც თუ მარტო მოწაფეებს, არამედ არც მასწავლებლებს. თბილისის სემინარიისა და მის ქვემდებარე დაწესებულებათა მიმომხილველი არქიმანდრიტი მიხეილი 1832 წელს წერდა: „სემინარიის ბიბლიოთეკაში ღვთისმეტყველების, ფილოსოფიისა და სიტყვიერების მასწავლებელთათვის არ მოიპოვება სრულიად აუცილებელი სახელმძღვანელოები“.*** ასე ჩიოდნენ შემდეგაც მხოლოდ არა მარტო სასულიერო, არამედ სახელმწიფო უწყების წარმომადგენლებიც, მაგრამ ძალიან ცოტა რამ კეთდებოდა ამ ჩივილის მიზეზის აღმოსაფხვრელად, სახელმძღვანელოების შესაქმნელად.

ამიერკავკასიის სასწავლებელთა შესახებ 1835 დებულებით „საშირო წიგნები და სახელმძღვანელოები“ ამიერკავკასიის სასწავლებელთა დირექციას ეგზავნება სახალხო განათლების სამინისტროსაგან, ხოლო

---

* Акты II, 272.

** საქ. ცს. არქ. ფონდი 139, № 2994, ფურც. 164—166. ვინაობა მცოდნე კაცებისა არ დარჩენილა, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ მთავარი და ერთადერთი, რომელიც ამ საქმეს შერჩა, იყო დ. ჩუბინაშვილი.

*** საქ. ცს. არქ. ფ. 139, № 2994, ფურც. 5—6.

„რუსული და ადგილობრივი ენების შესასწავლი პირველდაწყებითი სახელმძღვანელონი, შეძლებისდა გვარად, უნდა მზადდებოდეს ამიერ-კავკასიის დირექციასთან იმავე ენების მასწავლებელთა მიერ“ (მუხ. 10). სხვანაირად არც შეიძლებოდა. რუსული ენის სახელმ. ძღვანელოს ადგილობრივ ეროვნებათა ბავშვებისათვის და ადგილობრივი ენების სახელმძღვანელოებს რუსეთში მართლაც ვერ დაამზადებდნენ, მაგრამ თუ ქართული (როგორც ადგილობრივი) ენის სახელმძღვანელოები, თბილისში ასე თუ ისე მართლაც მზადდება, სამაგიეროდ, ადგილობრივად შედგენილი რუსული ენის სახელმძღვანელო ქართველ ბავშვთათვის XIX ს. პირველ ნახევარში—ბშვიათია.

კავკასიის სასწავლო ოლქის 1848 წლის დებულება უფრო ფართოდ აყენებდა სახელმძღვანელოთა საკითხს: დაარსდა სპეციალური „სახელმძღვანელოების დასახვის „კომიტეტი“ ოლქის მზრუნველის თანაშემწის თავჯდომარეობით. კომიტეტს ეკისრებოდა „სახალხო განათლების სამინისტროს მიერ მიღებული სახელმძღვანელოების გამოყენება მოსწავლეთა მომავალი დანიშნულების შესაფერისად კავკასიის სასწავლო ოლქში და ახალ სახელმძღვანელოთა დასახვა .ნაცვლად იმ სახელმძღვანელოებისა, რომლებიც რაიმე მიზეზით უვარგისად იქნებიან ცნობილნი ამ მხარისათვის“ (მ. 35). ყველა იმ ცვლილების შესახებ, რომლებიც შეჰქონდა კომიტეტს განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოებში და აგრეთვე კომიტეტის ინიციატივით დასახულ ახალ სახელმძღვანელოებში, ეცნობებოდა ოლქის მზრუნველს; ეს უკანასკნელი ყველა ამ ცვლილებას და ახალ სახელმძღვანელოს თავისი დასკვნით უდგენდა მეფისნაცვალს კავკასიაში და განათლების მინისტრს —დასამტკიცებლად.

ჩქარა „სახელმძღვანელოთა დასახვის კომიტეტთან“ გაიხსნა ქართული სახელმძღვანელოების განყოფილება დიმ. ყიფიანის (თავმჯდომარე), პლ. იოსელიანის, ზ. კორღანაშვილის. ე. ალექსიშვილის, ივ. თურქესტანიშვილის და ზ. მოლოდინაშვილის შემადგენლობით.

გარეგნულად თითქოს ყველაფერი მზად იყო იმისათვის, რომ სახელმძღვანელოები შექნილიყო, მაგრამ ამ ოფიციალური გზით ძალიან მცირე რამ კეთდებოთა. სახელმძღვანელოების ფუნქციებს სხვა წიგნები ასრულებდნენ და ხელისუფლება იძულებული ხდებოდა შერიგებოდა ფაქტიურ მდგომარეობას: ოფიციალური სახელმძღვანელოების პარალელურად სხვა წიგნების გამოყენებას; კვლავ ძალაში რჩებოდა კანონი ამის შესახებ, მაგრამ გარკვეული პირობით: „ნე-

ბადართულია სხვა წიგნებისა და სახელმძღვანელოების გამოყენებაც, რომლებიც მოწონებულია ცენზურის მიერ, მაგრამ მკაცრი მეთვალყურეობით, რომ მათ არ შეეძლოთ მავნე გავლენის მოხდენა ზნეობაზე, სახალხო გრძნობაზე და საერთოდ, ასაღზრდელი ყმაწვილების აზროვნებაზე". ამ მოტივით მრავალი წიგნი იდევნებოდა საქართველოს სკოლებიდან, ათეული წლებით ჭიანურდებოდა ახალი სახელმძღვანელოების შემოწმება, მათი ვარგისიანობის თუ უვარგისობის გარკვევა, და მრავალ ავტორს ერთმეოდა ხალისი და შესაძლებლობა სასწავლო წიგნების შედგენისა.

VII. ბრძოლა უმაღლესი განათლებისათვის

უმაღლესი განათლების მდიდარი და სახელოვანი ტრადიცია მიიტანა ქართველმა ხალხმა XIX საუკუნის მიჯნაზე. 15 საუკუნეს ითვლიდა იგი საკუთარი უმაღლესი განათლების პირველი ცენტრიდან, პონტოს რიტორიკული სკოლიდან; 700 წლოვანი ჭალარა მოსავდა მის წარმოდგენაში პირველ მშობლიურ აკადემიას გელათის მაღლობზე, ხოლო თბილისს-თელავის სემინარიების უდროოდ შეწყვეტილი მაჯისცემა ჯერ კიდევ გაისმოდა მისთვის, როგორც მოწოდება—არ დაეთმო ბრძოლა უმაღლესი განათლებისათვის.

არც დაუთმია. XIX ს. მთელს მანძილზე უმაღლესი სკოლა იყო ქართველი ხალხის საუკეთესო ნაწილის პირდაპირი თუ არაპირდაპირი ბრძოლის საგანი.

როგორც ვიცით, რუსეთთან შეერთების მომენტში (1801) საქართველოს უკვე ჰქონდა იოანე ბაგრატიონის მიერ 1799 წელს შემუშავებული და მეფე გიორგი XII მიერ მოწონებული პროექტი სახელმწიფოებრივი რეფორმებისა, რომლის მიხედვითაც საქართველოში უნდა დაარსებულიყო სამი სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელი—თბილისსა, გორსა და თელავში. ამ სასწავლებელთათვის უნდა მიეჩინათ „მცოდნენი კაცნი რათა ასწავლიდნენ სამეცნიეროსა სწავლასა და სამხედროსაც, აგრეთვე ენებთა“ (ქართულს, რუსულს, ბერძნულს, ლათინურს, სომხურს და თათრულს (ირანულს). უმაღლეს სასწავლებელთა სათავეში უნდა მდგარიყო „განათლებისა მთავარი“, რომელსაც უნდა „ეძლია რიგი“ და ჯამაგირი მასწავლებელთათვის (პროფესორთათვის). ყველა სასწავლებელთა მასწავლებელნი უნდა ყოფილიყვნენ „მეფის (ე. ი. სახელმწიფო) ხარჯითა, ხოლო მოწაფენი თავეთ მშობელთა ხარჯითა ვიდრე შემოსავალთ განვრცობამდე“, ხოლო შემდეგ, როცა სახელმწიფოს შემოსავალი რამდენადმე მაინც გადიდდებოდა, სწავლა ყველა სასწავლებელში უნდა ყოფილიყო უფასოდ.*

* ეს პროექტი ჩვენ გარჩეული გვაქვს ამ ნაშრომის პირველ წიგნში. აქ-მხოლოდ გაკვრით ვახსენებთ მკითხველს იმ ნაწილს, რომელიც უმაღლეს განათლებას შეეხება.

გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ რუსეთის მეფის ხელისუფლება რამდენადმე მაინც შეეცდებოდა აღნიშნული პროექტის განხორციელებას. რუსეთის მონარქია სრულებით არ ფიქრობდა კოლონიურ პირობებში ჩაყენებული საქართველოსათვის ეროვნული უმაღლესი სასწავლებელი გაეხსნა, და არამცთუ ახალი უმაღლესი სკოლა არ შეუქმნია მას საქართველოში, არამედ თბილისისა და თელავის სემინარიებიც კი დახურა და ამ სასწავლებლებში განათლება-მიღებულ მაღალი კვალიფიკაციის მუშაკებს ეჭვითა და უნდობლობით ეპყრობოდა.

მაგრამ თვითმპყრობელობა ეჭვითა და პოლიტიკური უნდობლობით ეპყრობოდა არა მარტო ქართველ და, საერთოდ, რუსეთის იმპერიაში შემავალ არარუს ეროვნებათა განათლებულ პირებს, არამედ რუსეთის წარჩინებულ, განათლებულ მკვიდრთაც. გავიხსენოთ ეკატერინე II წერილი სალტიკოვისადმი: „მდაბიო ხალხს არ უნდა მივცეთ განათლება, თორემ თუ მას ეცოდინება იმდენი, რამდენიც თქვენ და მე—მაშინ აღარ დაგვემორჩილება იმ ზომად, რა ზომაც გვემორჩილება ახლა“. არსებითად ამასვე იმეორებდნენ შემდეგ, XIX ს., რუსეთის ხელისუფალნი და განათლების მინისტრები (შიშკოვი და სხვები).

განსაკუთრებულ უნდობლობას მეფის ხელისუფლების მხრივ იწვევდა უმაღლესი განათლების ცენტრები და უმაღლესი განათლების მქონე პირები, რომლებიც ვერ ურიგდებოდნენ მეფის თვითმპყრობელურ რეჟიმსა და რეაქციას საერთოდ, განსაკუთრებით კინიკოლოზ I დროს.

XIX ს. დასაწყისს რუსეთში უკვე არსებულ სამ უნივერსიტეტს (მოსკოვსა, ვილნოსა და იურიევში (იგივე დერპტი ანუ დორპატი, ახლა—ტარტუ) 1804 წელს მიემატა კიდევ ორი უნივერსიტეტი, ხარკოვსა და ყაზანში, ხოლო 1819 წელს—მესამე, პეტერბურგში. მაგრამ ეს უნივერსიტეტები პირველ ხანებში რუსეთის საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაზე შესაფერისს გავლენას ვერ ახდენდნენ. მათ რომ უმაღლესი განათლების გავრცელებას არ აკისრებდნენ აღნიშნულ პერიოდში, ადასტურებს ის ფაქტიც, რომ 1808 წელს რუსეთის ძველ უნივერსიტეტში, მოსკოვის უნივერსიტეტში, სწავლობდა მხოლოდ 135 სტუდენტი, ხარკოვის—82 და ყაზანის—40. სულ, ე. ი. ამ დროს არსებულ ყველა რუსულ უნივერსიტეტში (დერპტის და ვილნოს უნივერსიტეტები არ იყვნენ რუსული), სწავლობდა 257 სტუდენტი. პეტერბურგის უნივერსიტეტში მისი დაარსების მე-5 წელს (1824) სწავლობდა მხოლოდ 51 სტუდენტი. ოთხივე მათგანში კი ამ (1824) წელს სწავლობდა სულ 1326 სტუდენტი.

1834 წელს დაარსდა კიევის უნივერსიტეტი და 1840 წელს რუსეთის მთელი იმპერიის ყველა უნივერსიტეტში (დერპტის, ვილნოს და ჰელსინფორსის უნივერსიტეტების ჩათვლით) სწავლობდა 2740 სტუდენტი, ხოლო XIX ს. პირველი ნახევრის დასასრულს ანუ 1850 წელს კი—3018 სტუდენტი.* ეს იყო და ეს—მთელ უზარმაზარ იმპერიაში. ასეთი, ჭეშმარიტად დანაშაულებრივი, დამოკიდებულება რუსეთის მეფის მთავრობისა ხალხის განათლებისადმი, კერძოდ კი უმაღლესი განათლებისადმი, იმას ლაპარაკობს, რომ ეს - „მთავრობა ხელს უშლის სახალხო განათლებას რუსეთში, რომ მთავრობა—უდიდესი მტერია სახალხო განათლებისა რუსეთში“ (ლენინი, XVI, 414). და ასეთ პირობებში პატარა საქართველო, რომლისათვისაც რუსეთის „ქვეშევრდომობასაც“ კი ძოწყალებად სთვლიდნენ, ვერას მიიღებდა რუსეთის თვითმპყრობელობისაგან მშვიდობიანი მოლოდინის გზით; და ბრძოლა განათლებისათვის, კერძოდ კი, უმაღლესი განათლებისათვის, გადაიქცა ქართველი ხალხის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ერთ-ერთ მთავარ მომენტად. ამ ტენდენციამ თავიდანვე, ე. ი. XIX ს. დასაწყისიდანვე, მკვეთრად იჩინა თავი. რუსეთის მეფის ხელისუფლება, პოლიტიკური და ტაქტიკური მოსაზრებით, არ სთვლიდა მიზანშეწონილად თავიდანვე და ერთბაშად დაესუსხა თავის „დიდსულოვან მფარველობაში“ მიღებული „ერთმორწმუნე“ ქართველი ერი და, რაც მთავარია, თავისი ბატონობის გასამტკიცებლად საქართველოსა და ამიერკავკასიაში მას სჭირდებოდა ადგილობრივ სამხედრო, ადმინისტრატიულ, სამეურნეო და სასამართლო უწყებებში ჰყოლოდა ყოველმხრივ სანდო და ერთგული უმაღლესი განათლების მქონე ოფიცრები, ადმინისტრატორები, მოსამართლენი, ექიმები, პედაგოგები და სხვა მოხელეები ადგილობრივ მკვიდრთაგან. ამ გარემოებამ აიძულა მეფის ხელისუფლება მიეღო თუნდაც პალიატური ღონისძიებანი რუსულ ენაზე უმაღლესი განათლების მქონე პირთა გასამრავლებლად საქართველოში.

—

პირველ ასეთ ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს საქართველოს მთავარმართებელ პ. ციციანოვის მიერ 1804 წელს უმაღლესად გა-

* С. Князьков и Н. Сербов. Очерки истории народного образования в России до эпохи Александра II, 221; П. Милюков, Очерки по истории русской культуры, II, 339.

მოთხოვილი ნებართვა ჰარის ოლქიდან ხარკის სახით ყოველწლიურად შემოსატანი აბრეშუმის ღირებულებიდან (რაც უდრიდა 10000 მან.), 2200 მანეთი წელიწადში გამოეყენებინა მოსკოვის უნივერსიტეტში (პანსიონში) 8 ქართველი ახალგაზრდის შესანახავად.* მაგრამ ეს იყო წმინდა ფორმალური ღონისძიება, ვინაიდან უშუალოდ უნივერსიტეტში შეიძლებოდა მხოლოდ გიმნაზიის (ან მისგვარი სასწავლებლის) კურსდამთავრებულთა მიღება, ხოლო საქართველოში, ციციანოვის დროს, არ იყო არც გიმნაზია, არც მსგავსი სასწავლებლები და, ცხადია, არც უნივერსიტეტში გასაგზავნი კანდიდატები. მაგრამ თუ ვიფიქრებთ, რომ აქ მთავარმართებელი გულისხმობდა მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებულ გიმნაზიას,—არც აქ მოხერხდებოდა ქართველი ბავშვების გზავნა, მათ მიერ რუსული ენის უცოდინარობისა და მაშინდელი სატრანსპორტო პირობების მიხედვით მოსკოვის დიდ სიშორეზე 8—9-წლიანი ბავშვების გზავნის სიძნელეთა გამო.

თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლებს თავისი არსებობის მთელ მანძილზე (1804—182?) არა ჰქონია იურიდიული უფლება უნივერსიტეტისათვის კონტიგენტების მომზადებისა, თუმცა ამ მიზანს ყოველთვის უსახავდნენ მას ოფიციალურ მიმოწერებში. არც ფაქტიურად შეეძლო მას ამ მიზნის შესრულება, რამდენადაც მისი სასწავლო გეგმა განსხვავდებოდა გიმნაზიის სასწავლო გეგმისაგან და კლასების რიცხვსაც ნაკლებს შეიცავდა, ვიდრე გიმნაზია. ეს გარემოება თავიდანვე ცნობილი იყო და ჯერ კიდევ 1805 წელს, როგორც ვწერდით, აიძულებდა ციციანოვს ეთხოვა რუსეთის განათლების მინისტრ ზავადოვსკისათვის აღნიშნული სასწავლებლის გადაკეთება გიმნაზიად და ამისათვის იმ თანხის გამოყენება, რომელიც გათვალისწინებული ჰქონდა მას 8 ქართველი ახალგაზრდის შესანახად მოსკოვის უნივერსიტეტის პანსიონში. მომდევნო (1806) წელს ციციანოვის შემცვლელმა მთავარმართებელმა გუდოვიჩმა მართლაც მიიღო ზავადოვსკისაგან ნებართვა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის სრულ გიმნაზიად გადაკეთებისა, მაგრამ, როგორც ვიცით, ეს ფაქტიურად 1829 წლამდე არ განხორციელებულა.

თბილისის სასულიერო სემინარია, დაარსებული 1817 წელს, პირველ ხანად მოკლებული იყო უნივერსიტეტში შემსვლელ კონ-

* Акты, II, 199—201.

ტიგენტთა გამოშვების უფლებას, მაგრამ .ფაქტიურად აქ კურსდამ-თავრებულნი მაინც შედიოდნენ უნივერსიტეტებში თავისუფალი მსმენელების უფლებით (ასეთი იყო, მაგალითად, სოლ. დ ო დ ა შ ვ ი ლ ი). 1835 წელს სემინარიის სასწავლო გეგმაში ფრანგული და გერმანული ენების შეტანის შემდეგ, თბილისის სემინარიის კურსდამთავრებულთ ნება მიეცათ სტუდენტებად წოდებულიყვნენ .და უმაღლეს სასწავლებელშიც შესულიყვნენ ნამდვილი სტუდენტის უფლებით.

უმაღლესი განათლების გავრცელებას საქართველოს მმართველები უდგებოდნენ ვიწრო პრაქტიკულ-საქმოსნური თვალსაზრისით. ყველაზე უფრო მეტად ისინი განიცდიდნენ ექიმების უყოლობას. მართალია, როგორც აღვნიშნეთ, უმაღლესი განათლების მქონე ბევრი მოხელე სჭირდებოდათ საქართველოში, მაგრამ მათ იოლად სცვლიდნენ მცირე განათლების მქონე პირებით; ამით თითქოს საქმე არ ფერხდებოდა. სხვა იყო ექიმთა საქმე. ექიმის შეცვლა, ფორმალურად მაინც, არ შეიძლებოდა არაექიმით. 1803 წელს პ. ც ი ც ი ა ნ ო ვ მ ა თბილისში შექმნა „საქართველოს საექიმო სამმართველო" (врачебная управа) და გახსნა საქალაქო აფთიაქი მარიამ დედოფლის ბაღში, მაგრამ, ექიმებისა და პროვიზორების საშინელი სიმცირის გამო, ამ დაწესებულებათა მუშაობა შეზღუდული იყო. ქართველი თავადაზნაურული არისტოკრატია .ექიმობას არ კადრულობდა, თავისი წოდებრივი ღირსების დამამცირებლად სთვლიდა ამ პროფესიას. და 1803 წელს, როდესაც პ. ციციანოვმა გადაწყვიტა ქართველ თავადაზნაურთა შვილების გაგზავნა მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე (რუსული ენის აქვე, თბილისში, რამდენადმე მაინც შესწავლის შემდეგ), მათმა მშობლებმა არ მოისურვეს ამ „მდაბიოთა ხელობის" არჩევა თავისი შვილებისათვის და ციციანოვი იძულებული იყო მიემართა სომეხთა და ღარიბ ქართველ აზნაურთათვის: 1805 წელს იმპერატორისადმი გაგზავნილ რაპორტში ციციანოვი წერდა: „აქ საექიმო წოდების პირთა ნაკლებობა და აქაურ მცხოვრებთა უნდობლობა რუსეთის მკურნალებისადმი, მავალებს მე... უქვეშემორდომილესად წარუდგინო თქვენს იმპერატორობითი უდიდებულესობას—იქნებ ინებოს ბრძანება, რომ მსურველმა სომხებმა, და შეიძლება ასეთები მოიძებნონ ღარიბ ქართველ აზნაურთაგანაც, თავისი შვილები რიცხვით 12 კაცამდე—გაგზავნონ სამედიცინო მეცნიერების შესასწავლად მოსკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტში თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობის სახა-

ზინო ხარჯზე".* ორი თვის შემდეგ ალექსანდრე I სპეციალური რესკრიპტით ატყობინებდა ციციანოვს, რომ „მის წარდგინებას" ექიმებით საქართველოს მომარაგების შესახებ სთვლიდა „საფუძ-ვლიანად" და აძლევდა ნებას ყოველწლიურად მოსკოვის უნივერ-სიტეტის საექიმო ფაკულტეტზე სახელმწიფო ხარჯზე ეგზავნა 12 კაცამდე სომეხთა ან ღარიბ ქართველ აზნაურთა წრიდან.**

როგორც შემდეგი პერიოდის საბუთებიდან ჩანს, არც ამ წრი-დან აღმოჩნდა საექიმო პროფესიისათვის „თავდადებული" პირები, აღარც ციციანოვის მომდევნო მთავარმართებლებს შეუწუხებიათ თავი ამისაკენ ახალგაზრდობის მოწოდებისათვის. პირიქით, ამის სა-წინააღმდეგო ტენდენციას ვხედავთ მათ მოქმედებაში: მაგალითად, 1828 წელს, იმის გამო, რომ კავკასიის კორპუსი განიცდიდა ექიმ-თა პერსონალის მწვავე ნაკლებობას, გენერალი ზ ა კ რ ე ვ ი ჩ ი, სპე-ციალურ მიმართვაში საქართველოს მთავარმართებელ პ ა ს კ ე ვ ი-ჩ ი ს ა დ მ ი, საჭიროდ სთვლიდა ახალგაზრდა ქართველები და სხვა ამიერკავკასიელები გაეგზავნათ მედიკო-ქირურგიული აკადემიის მოს-კოვის განყოფილებაზე ამიერკავკასიისათვის ექიმთა მოსამზადებლად, მაგრამ პასკევიჩმა ვერ დაინახა ეს შესაძლებლად მხოლოდ იმ მო-ტივით, რომ თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში 1828—29 წელს ლათინურ ენას არ ასწავლიდნენ.

XIX ს. 20-იანი წლების დასასრულისათვის უკვე იყო შექმნილი სათანადო რეალური შესაძლებლობანი უმაღლესი განათლების მისა-ღებად რუსულ ენაზეც. თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი თავისი სასწავლო გეგმით ძირითადად უკვე იძლეოდა საკმარ ცოდ-ნას უნივერსიტეტში შესასვლელად, ასევე თბილისის სასულიერო სემინარიაც; ამას გარდა, რუსული ენის ცოდნაც საგრძნობლად გავრ-ცელდა ჩვენში. და აი, სწორედ ამ დროს, აღუდგნენ საქართველოს მმართველებად მოვლენილი მეფის აგენტები უმაღლესი განათლების გავრცელების საქმეს საქართველოში.

ამ გარემოებას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ 1829 წლის დე-ბულებაში „ამიერკავკასიის სასწავლებელთა შესახებ" არაფერია ნათქვამი უმაღლეს სასწავლებელზე. არც ისაა აღნიშნული, რომ ამ დებულებით ახლადდაარსებულ გიმნაზიას ექვს უფლება უნივერ-

---

* Акты, II, 251.

** იქვე, 252.

*** იქვე VIII, 216.

სიტეტში შემსვლელი ახალგაზრდების მომზადებისა, ე. ი. ის უფლება, რომელიც მინიჭებული ჰქონდა რუსეთის იმპერიის ყველა გიმნაზიას და გათვალისწინებული იყო როგორც 1804 წლის წესდებაში „უნივერსიტეტების უწყებაში მყოფ სასწავლებელთა შესახებ“ (§ 4), ისე 1828 წლის წესდებაში „უნივერსიტეტების უწყებაში მყოფი გიმნაზიებისა და სასწავლებელთა შესახებ“ (§ 134). 1829 წლამდე, სანამ თბილისში გიმნაზია არ არსებობდა, საქართველოს მთავარმართებლები თითქოს თავგამოდებით ითხოვდნენ მეფისაგან თბილისში გიმნაზიის დაარსებას, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიზანი უნდა ყოფილიყო უნივერსიტეტისათვის ახალგაზრდობის მომზადება ადგილობრივ მკვიდრთაგან, ხოლო 1829 წელს, როდესაც ეს გიმნაზია უკვე გაიხსნა, ყრუდ აუარეს გვერდი ყველა სხვა გიმნაზიის ამ ერთ-ერთ მთავარ დანიშნულებას და ამით თბილისის გიმნაზია, როგორც განაპირა კუთხისა და „სხვა ხალხთა“ („ინოროდცების“) სასწავლებელი, უფლებრივად ძალზე შეზღუდეს.

ასე დაიწყო უმაღლესი განათლების დევნა საქართველოში რუსეთის მეფის ხელისუფლების მიერ და მიზეზიც სავსებით ნათელი იყო.

ამ დროისათვის საქართველოსა და ამიერკავკასიის რუსული დაწესებულებები მაღალი რანგის მოხელეებზე ისეთ შიმშილს აღარ განიცდიდნენ, როგორც პირველ ათეულ წლებში, ახალ შტატებსაც რუსეთიდან გამოწერილი მოხელეებით ავსებდნენ, ხოლო კავკასიის კორპუსის მიერ საქართველოში დამყარებული სამხედრო დიქტატურის შედეგად, ადგილობრივი მოსახლეობის მღელვარების აღარ ეშინოდათ და აღარც მის სულიერ მოთხოვნილებებს უწევდნენ ანგარიშს.

ასეთი დამოკიდებულება უმაღლესი განათლებისადმი ნაკარნახევი იყო რუსეთში დაწყებული საერთო რეაქციით, რომელიც მოჰყვა პრუსია-რუსეთ-ავსტრიის „საღვთო კავშირის“ შექმნას 1815 წელს. ეს „კავშირი“, მიმართული საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის ნიადაგზე აღმოცენებული თავისუფლებისა და თანასწორობის იდეათა აღმოფხვრისაკენ, პირველ ყოვლისა, უნივერსიტეტებში ხედავდა ამ იდეათა მიმდევარ ხალხს, და მასში („კავშირში“) შემავალი სახელმწიფოების ხელისუფლებმა ერთდროულად აღმართეს მახვილი თავიანთი ქვეყნების უნივერსიტეტების წინააღმდეგ. 1817 წელს, როგორც უკვე ვწერდით, რუსეთის განათლების სამინისტრო გადაკეთდა „სასულიერო საქმეთა და სახალხო განათლების სამი-

ნისტროდ". ხოლო მინისტრად კი დაინიშნა რელიგიის ფანატიკოსი ა. გალიცინი. მის მიზანს შეადგენდა ახალთაობის აღზრდა-განათლება მტკიცედ დაეფუძნებინა მართლმადიდებელი რელიგიისა და თვითმპყრობელობის პრინციპებზე. დაწყებითი და საშუალო სკოლის გადაყვანა ამ პრინციპებზე ადვილ საქმედ მიიჩნიეს, მაგრამ უმაღლესი სკოლა, სადაც საგრძნობლად იყო ფეხმოკიდებული „თავისუფალი აზროვნება" („вольнодумство"),—უხეში დევნის საგანი გახდა.

ფაქტიურად გაუქმდა 1804 წლის ლიბერალური საუნივერსიტეტო წესდებით შექმნილი ავტონომია უნივერსიტეტებისა, პროფესორთა მიერ რექტორის, დეკანებისა და უნივერსიტეტის საბჭოს არჩევის უფლებით და საკუთარი სასამართლოთი. უმაღლესი სკოლა მეფის და პოლიციის მეთვალყურეობას დაუმორჩილეს. განსაკუთრებული რეპრესიები განიცადეს ყაზანისა და პეტერბურგის უნივერსიტეტებმა.

1819 წლის 9 აპრილს სასულიერო საქმეთა და სახალხო განათლების სამინისტროს წარმომადგენელი, პირმოთნე მაგნიცკი, ყაზანის უნივერსიტეტის რევიზიის შედეგად, წერდა: „დრო არის დავდგეთ განათლებულ ხალხთა გვერდით... პარიზში გამოდის ისაიას წინასწარმეტყველობათა ახალი გამოცემა. მთელი ინგლისი სწავლობს ბიბლიის ორიგინალურ ენას, გერმანია, კანტის წყალობით, ფილოსოფიის ლაბირინტის საშუალებით მივიდა სარწმუნოების ტაძრის კარამდე და მხოლოდ ბიბლიაში ეძიებს სიბრძნეს,—და ნუთუ მხოლოდ ჩვენ უნდა დავრჩეთ უკან ნახევარი საუკუნით? მთავრობა მოითხოვს ღვთისმოშიშარ სამხედრო და სამოქალაქო მოხელეებს; ხოლო სწავლულობა ნაცხადი ღმერთის რწმენის გარეშე, არამც თუ არ უნდა მას, არამედ მავნედაც მიაჩნია" (ხაზი ჩვენია). რამდენადაც ყაზანის უნივერსიტეტში მაგნიცკიმ ვერ ნახა „სარწმუნოებაზე აგებული მეცნიერება", მოითხოვა მისი დაქცევა, განადგურება. „ეს განადგურებაო—წერდა იგი—შეიძლება იყოს ორგვარი: ა) უნივერსიტეტის დაკეტვის სახით ან ბ) მისი საჯაროდ დანგრევის სახით". თვითონ კი, ეს „ბნელეთის მოციქული" მოითხოვდა ყაზანის უნივერსიტეტის „საჯაროდ დანგრევას" და თან დარწმუნებული იყო, რომ „ასეთი მტკიცე ნაბიჯი უეჭველად აიძულებდა ევროპის ყველა მთავრობას" გადაესინჯა თავიანთი „ხმალ-ამოწვდილი" განათლების სისტემები.* იმპერატორი

* „Собр. постановлений по министерству народного просвещения", I.

პრინციპში დაეთანხმა მაგნიცკის, მხოლოდ არ მოიწონა უნივერსიტეტის დანგრევის აზრი. მის მოხსენებას დააწერა „зачем разрушать, можно исправить“, სამაგიეროდ მ ა გ ნ ი ც კ ი დანიშნა ყაზანის სასწავლო ოლქის მზრუნველად და მიანდო თვით მას გაეტარებინა ყაზანის უნივერსიტეტის რეფორმა. ექვსი წლის განმავლობაში მაგნიცკიმ, როგორც თვით ოფიციალური გამომკვლევი კომისია აღნიშნავდა 1826 წელს, ყაზანის უნივერსიტეტი მონასტრად აქცია, გარეკა ლიბერალურად განწყობილი პროფესურა და სტუდენტობა, უნივერსიტეტის კედლები საღვთო წერილის ტექსტებით დაფარა, ყოველი საგნის სწავლებას ბიბლია დაუდვა ამოსავალ პრინციპად და, საერთოდ, მთელი სასწავლო პროცესი რელიგიური მისტიკის საბურავში გაჰხვია.

ასეთსავე მდგომარეობაში ჩააყენა პეტერბურგის უნივერსიტეტი პეტერბურგის სასწავლო ოლქის მზრუნველმა რ უ ნ ი ჩ მ ა. ის „განუხრელად“ ხელმძღვანელობდა მაგნიცკის „ინსტრუქციებით ყაზანის უნივერსიტეტისადმი“. რუნიჩი, პირველ ყოვლისა, აუმხედრდა პეტერბურგის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა პროფესორებს: „ფილოსოფიური და ისტორიული მეცნიერებანი,— წერდა რუნიჩი,— ისწავლება უნივერსიტეტში ქრისტიანობის საწინააღმდეგო სულისკვეთებით და სტუდენტთა გონებაში ინერგება საზოგადოებრივი წყობილებისა და კეთილდღეობის დამანგრეველი იდეები“. მსგავსი ბრალდებებით გამოდიოდნენ აგრეთვე ხარკოვისა, დერპტისა და ვილნიუსის უნივერსიტეტის მოწინავე პროფესურის წინააღმდეგ. მართალია, 1824 წელს „სასულიერო საქმეთა და სახალხო განათლების სამინისტროს“ მაგივრად კვლავ აღსდგა ცალკე „სახალხო განათლების სამინისტრო“, მაგრამ ახალი მინისტრი შ ი შ კ ო ვ ი, არ ანელებდა რეპრესიებს უნივერსიტეტების მიმართ. თუ წინა სამინისტროს მოღვაწეები (გალიცინი, მაგნიცკი, რუნიჩი) პროფესურას და მეცნიერებას ებრძოდნენ იმიტომ, რომ მათში ხედავდნენ რელიგიის დოგმათა შემბღალავ ძალას, ახალი სამინისტრო და ადმირალი შიშკოვი აგრძელებდნენ ბრძოლას იმავე პროფესურისა და მეცნიერების წინააღმდეგ, მაგრამ მოტივი აქ იყო უფრო ფართო და სერიოზული. ერთ-ერთ თავის სიტყვაში, ხალხის „ჭეშმარიტი განათლების“ შესახებ, 1824 წელს შიშკოვი ამბობდა: „მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა ს ა ს ა რ გ ებ ლ ო ა. მხოლოდ მაშინ, როცა იხმარება იგი როგორც მარილი და ისწავლება ზომიერად ადამიანთა მდგომარეობისა და იმ საჭიროების მიხედვით, რომელსაც მასში ხედავს ყოველი წოდება... მიწის მუშის შვილს

რომ რიტორიკა ვასწავლოთ—ეს იქნება მისი მომზადება უვარგის, უსარგებლო და, შეიძლება, მავნე მოქალაქეთ".* ამგვარად, უნივერსიტეტსა და მეცნიერებას აღიარებდნენ მხოლოდ მაღალ წოდებათა საკუთრებად, ხალხთა მასებისათვის კი—მავნედ და საზიანოდ. ასეთი იყო მეფის ხელისუფლების დამოკიდებულება მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების მიმართ ყოველთვის, მაგრამ ალექსანდრე I მეფობის უკანასკნელ ათწლედში და ნიკოლოზის I რეაქციის პერიოდში—განსაკუთრებით უხეშ ფორმებში ვლინდებოდა იგი. ამას ზედ ერთვოდა რუსეთის იმპერიაში შემავალ არარუს ეროვნებათა რუსიფიკაციის შიშველი პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც პატარა ერებს მოურიდებლად და ყოველგვარი დიპლომატიის გარეშე ერთმეოდათ საკუთარ ენაზე აღზრდა-განათლების მიღების უფლება.

ასეთ მძიმე საერთო ატმოსფეროში იყო ჩაყენებული უმაღლესი განათლების მდგომარეობა მთელ რევოლუციამდელ რუსეთში და არაფერია საკვირველი იმაში, რომ „ინოროდცების" ქვეყნებს, მათ შორის საქართველოს, კიდევ უფრო მძიმე პოლიტიკურ პირობებში უხდებოდა მისთვის ბრძოლა.

—

ქართველი ხალხის მოწინავე ნაწილი, 30-იანი წლების დასაწყისში, არ შეიძლებოდა შერიგებოდა მშობლიური კულტურის დევნისა და შევიწროების პირობებს, კერძოდ, უმაღლესი განათლების უფლების დაკარგვას. ყველაზე უფრო მწვავედ ამას განიცდიდა ინტელიგენცია, რომლის ახალგაზრდა დემოკრატიული ნაწილი, ის-ის იყო ებმებოდა ახლადფეხადგმულ განმათავისუფლებელ მოძრაობაში ცარიზმის თვითმპყრობელურ-კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ საქართველოში. ეს მოძრაობა ერთ-ერთ თავის საბრძოლო ამოცანად ისახავდა სახალხო განათლებას: სკოლა, ბიბლიოთეკა, სტამბა, განსაკუთრებით უმაღლესი განათლება.

ამ მოძრაობამ თავისი იდეურ-ორგანიზაციული გამოხატულება ჰპოვა 1832 წლის „ქართველთა შეთქმულების" უმცირესობის ანუ დემოკრატიული ფრთის მოღვაწეობაში. ცნობილია, რომ 1832 წლის შეთქმულება რუსეთის მონარქიზმის წინააღმდეგ არ იყო ერთგვარი სოციალური შემადგენლობისა; არც ერთიანი იდეურ-პოლიტიკური პროგრამა ედვა მას საფუძვლად, მაგრამ მის უმცირესობას, რომე-

* „Собр. постан. по минист. нар. просвещ.", I.

ლიც ხსენებულ დემოკრატიულ ფრთას წარმოადგენდა, რუსი დეკაბრისტების გავლენით საკმაოდ გარკვეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური სახე და მიზნები გააჩნდა. ჩვენ ამ წიგნში უკვე გვქონდა ლაპარაკი მის შესახებ; აქ გავიხსენოთ, რომ ეს ფრთა გარკვეული მოთხოვნით გამოდიოდა აგრეთვე კულტურის საკითხებშიც და ამ მოთხოვნათა ერთ მთავარ მომენტს წარმოადგენდა უნივერსიტეტიასე, მაგალითად, 1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო კომისიისათვის წარდგენილ ჩვენებებში ხსენებული უმცირესობის (დემოკრატიული ფრთის) მეთაური სოლომონ დოდაშვილი შეთქმულთა ერთი ჯგუფის თათბირის (რომელიც მის ბინაზე გაიმართა) შესახებ ამბობდა:

„თ. აბზახოვმა მართალია მოიწვია ჩემს სახლში ყველა ეს პირნი. ყველა ესენი ლაპარაკობდნენ თუ რა მოეგონათ კეთილი საქმე საქართველოსათვის. მე შევიტანე წინადადება შეგვეგროვებინა შემოწირულება და ამ შეკრებილი ფულით გვეყიდნა ბიბლიოთეკა, სტამბა და დავხმარებოდით გიმნაზიის ღარიბ მოწაფეებს... ვამბობდით აგრეთვე ნიჭიერი მოწაფეები გაგვეგზავნა უნივერსიტეტში და დაგვენიშნა მათთვის სტიპენდია; ვიმსჯელეთ აგრეთვე იმ შევიწროებაზე, რომელსაც ადამიანი განიცდის სახელმწიფო დაწესებულებებში“.*

იმავე მემარცხენე, დემოკრატიული ფრთის წარმომადგენელი პედაგოგი ზაალ ავთანდილაშვილი თავის ჩვენებაში 1832 წ. 13 დეკემბერს წერდა:

„გაზაფხულის დამლევს თუ ზაფხულის დასაწყისს (მიმდინარე წლისა), თვე და რიცხვი არ მახსოვს, თ. ელიზბარ ერისთავმა დამპატიჟა სადილად, სადაც იყვნენ თავადები ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები; გიორგი ერისთავი (რომელიც ეხლა უკვე პრაპორჩიკია), მასწავლებლები დოდაევი და ყიფიანოვი (დიმიტრი ყიფიანი—გ. თ.), სოლომონ რაზმაძე და არტილერიის პრაპორშჩიკი დიმიტრი ერისთავი, რომელიც იქ გამაცნო ელიზბარმა, მე უკან მომყვა „სუდა ი რასპრავის ექსპედიციაში“ მომუშავე თარჯიმანი იოსებ მამაცოვი, გაშალეს სადილი, რომლის დროსაც გარეშე საგნებს გარდა ილაპარაკეს სასწავლებლების სიმციცის შესახებ საქართველოში და რომ ქართველი ახალგაზრდობის

* „1832 წლის შეთქმულება“, I, 140, 177.

წარმატებით და სწრაფად განათლებისათვის მთავრობამ ტფილისში უნდა დაარსოს უნივერსიტეტი, სამხედრო კორპუსები და სხვა სასწავლებლები".*

შეთქმულების მონაწილეებმა იცოდნენ, რომ მთავარი დანაშაული (მონარქიზმის დამხობის განზრახვა) არ შეიძლებოდა ყოფილიყო აღიარებული, ხოლო კულტურულ დაწესებულებათა და მათ შორის უნივერსიტეტის დაარსების მოთხოვნა არ ჩაეთვლებოდათ მათ დიდ პოლიტიკურ დანაშაულად და ამიტომ ძალდაუტანებლად აღიარებდნენ მას. სინამდვილეში კი მათთვის სავსებით ნათელი იყო, რა ძალას წარმოადგენდა უმაღლესი განათლება ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დიდ და ხანგრძლივ პროცესში და ყოველ-ცხრივ ცდილობდნენ ამ ძალის მოპოვებას ქართველი ხალხისათვის.

1832 წლის შეთქმულება, როგორც ვიცით, აჯანყებამდე (გამოსვლამდე) იქნა აღმოჩენილი და ლიკვიდირებული მეფის ხელისუფლების მიერ, მაგრამ მას უქმად მაინც არ ჩაუვლია. უმაღლესი (განათლებისათვის ბრძოლის საქმეშიც გამოიღო მან მცირეოდენი ნაყოფი: 1829 წლის დებულება ამიერკავკასიის სასწავლებელთა შესახებ 1835 წელს შეიცვალა ახალი დებულებით, რომელიც თბილისის გიმნაზიის თუ ყველა კურსდამთავრებულს არა, ხუთიოდე კაცს მაინც აძლევდა უნივერსიტეტში შესვლის უფლებას. უკანასკნელი მუხლი 1835 წლის დებულებისა აღნიშნავდა:

„გარდა კადეტთა კორპუსისათვის განკუთვნილი ათი ბავშვისა, რუსეთის უნივერსიტეტებში ყოველწლიურად იგზავნება კიდევ თბილისის გიმნაზიის კურსდამთავრებული ხუთიოდე ახალგაზრდა, ადგილობრივ მკვიდრთა თუ რუს მოხელეთა შვილები, რომლებმაც შესძლეს ადგილობრივი ენების შეთვისება, და სახაზინო ხარჯზე იზრდებოდნენ იმ პირობით, რომ ისინი უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ არა ნაკლებ ექვსი წლისა იშსახურებენ მასწავლებლად ამიერკავკასიის სასწავლებლებში".**

—

1835 წელს გამოიცა ახალი საუნივერსიტეტო წესდება,*** რომელმაც გააუქმა 1804 წლის წესდებით უნივერსიტეტებისათვის მი-

* „1832 წლის შეთქმულება", I, 153, 177.
** ПСЗРИ, IV, 571, § 80.
*** იქვე, X, განყ. 1, 841 (№ 8123).

ნიჭებული ავტონომია და აკადემიური თავისუფლება. უნივერსიტეტი დაუკავშირდებარეს ოლქის მზრუნველს, რომელიც უშუალოდ ერეოდა მის საქმეებში. რექტორსა და დეკანებს თუმცა კვლავ უნივერსიტეტის საბჭო ირჩევდა, მაგრამ რამდენადაც საბჭოს თავმჯდომარედ მზრუნველი ითვლებოდა, იმდენად მისი თანხმობის გარეშე არ შეიძლებოდა რექტორისა და დეკანების კანდიდატურის წამოყენება. ინსპექტორს ნაშნავდა ოლქის მზრუნველი უნივერსიტეტვარეშე პირთაგან, რომელიც, არსებითად, მის აგენტს წარმოადგენდა. სტუდენტთათვის შემოიღეს სპეციალური ფორმა. უნივერსიტეტის სასამართლოები საბოლოოდ გაუქმდა. უნივერსიტეტის სასწავლო გეგმაში შეიტანეს საღვთისმეტყველო საგნები (ღვთისმეტყველება, ეკლესიის ისტორია, საეკლესიო სამართალი), როგორც სავალდებულო ყველა ფაკულტეტისათვის.

ასეთი სასტიკი მეთვალყურეობის ქვეშ დაყენებული უმაღლესი სკოლის დაარსება საქართველოშიც კი შესაძლებლად მიიჩნია ადგილობრივმა მთავრობამ და 1839 წელს საქართველოს მთავარმართებელი გ ო ლ ო ვ ი ნ ი ხელმწიფე იმპერატორის წინაშე შუამდგომლობდა თბილისში ისეთი უმაღლესი სასწავლებლის გახსნას, რომელიც „უნივერსიტეტის მაგიერობას შესძლებდა“, მაგრამ მაშინ ამ შუამდგომლობიდან არაფერი გამოვიდა, რადგან თბილისში უმაღლესი სასწავლებლის გახსნა უდროოდ დაინახეს* პეტერბურგის ხელისუფლებმა.

40-იანი წლებიდან ამიერკავკასიის მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებამ, საზოგადოებრივ-ეკონომიური ურთიერთობის გაფართოებამ, ქალაქის მოსახლეობისა და სამოქალაქო დაწესებულებათა ზრდამ გამოიწვია მაღალი კვალიფიკაციის მრავალრიცხოვანი კადრების საჭიროება. რუსეთიდან მაღალი რანგის მოხელეთა გამოწერის პრაქტიკა ამ პერიოდისათვის უკვე ნაკლებ ეფექტს იძლეოდა: ძალიან მცირე იყო მათი რიცხვი და ამასთან ადგილობრივი ცხოვრების პირობებისა და ენების არცოდნა მათ გამოყენებასაც კი აძნელებდა. მეფის ხელისუფლების წარმომადგენელთათვის უკვე ცხადი გახდა, რომ ადგილობრივი კადრების შექმნის გარეშე არ შეიძლებოდა მათი წყობილების განმტკიცება საქართველოსა და ამიერკავკასიაში. ადმინისტრაციული, სასამართლო, კულტურულ-საგანმანათლებლო, ჯანმრთელობისა და სხვა დაწესებულებები შეუფერე-

* გაზ. „Всемирная иллюстрация“, 1871, № 139. შემოკლებით: „დროება“, 1871, 15 X №-ში, საიდანაც მოგვყავს ეს ადგილი.

ბელი და უვარგისი მოხელეებით ივსებოდა. ეს გარემოება ძალიან დაბლა სწევდა მთავრობის დაწესებულებათა ავტორიტეტს ხალხის თვალში და ზრდიდა მის უკმაყოფილებას.

აშკარა შეიქნა, რომ წელიწადში ხუთი კაცის გზავნა რუსეთში უმაღლესი განათლების მისაღებად არარაობა იყო და სწორედ ამ დროს, უფრო ზუსტად, 1840 წელს, ლ. მ ო დ ზ ა ლ ე ვ ს კ ი ს ცნობით, ოფიციალურ წრეებშიც კი „გამოითქვა პირველად აზრი კავკასიაში ცალკე უმაღლესი სასწავლებლის დაარსებისა, მაგრამ მას აკლდა სავსებით აუცილებელი პირობა—ახალგაზრდათა კონტინგენტი, რომლებსაც მიღებული უნდა ჰქონოდათ წესიერი საშუალო განათლება, და ამის გამო ეს აზრი დარჩა ისე, განზრახვის სფეროში“.* (მოდზალევსკის მხედველობაში უნდა ჰქონდეს მთავარმართებელ გ ო ლ ო ვ ი ნ ი ს ზემოხსენებული შუამდგომლობა იმპერატორის წინაშე—თბილისში „უნივერსიტეტის მაგიერობის გაწევი“ უმაღლესი სკოლის დაარსების შესახებ, რაც მოხდა 1839 წელს. 1840 წელში კი ასეთ ფაქტს, ჩვენს ხელთ არსებული ცნობებით, ადგილი არა ჰქონია). მაგრამ მთავრობის ინტერესი გადაუდებლად მოითხოვდა „კავკასიის გადაღმა მტკიცე სამოქალაქო მმართველობის საჩქაროდ დაფუძნებას“ და „სამოქალაქო უწყების ყველა, უკლებლივ, ადგილზე უნარიან და საიმედო მოხელეთა ნაკლებობის“ გადალახვას, და ამ მიზნით 1843 წელს უმაღლესად იყო ნებადართული ყოველწლიურად ამიერკავკასიის მკვიდრი მოსახლეობისაგან სახაზინო ხარჯით ხუთ-ხუთი ყმაწვილი ეგზავნათ პ ე ტ ე რ ბ უ რ გ ი ს ს ა მ ა რ თ ლ ი ს მ ცო დ ნ ე ო ბ ი ს ს ა ი მ პ ე რ ა ტ ო რ ო ს ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ში და ლაზარევის სახელობის მოსკოვის აღმოსავლეთ ენების ინსტიტუტში.* ეს ყმაწვილები უნდა ყოფილიყვნენ გამოსული“ უდიდებულეს და უპატივცემულეს თავადთა, აზნაურთა და აგრეთვე ხანთა და ბეგთა გვარებიდან“.** გამონაკლისის სახით მათ რიცხვში შეიძლებოდა ყოფილიყვნენ შვილები მსხვილი რუსი მოხელეებისა, რომლებიც სამუდამოდ იყვნენ დასახლებული ამიერკავკასიაში.

შემდეგ წელს გადაწყდა თბილისის გიმნაზიის კურსდამთავრებულთაგან ხუთ-ხუთი კაცი ეგზავნათ აგრეთვე: პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ განყოფილებაზე, მოსკოვის უნივერსიტე-

---

* Л. Н. М о д з а л е в с к и й, Ход учебного дела в бывшем Кавказском наместничес.ве, 23, 1880; его-же, Очерк истории воспитания и обучения, II, 502—3.

** Акты, IX. 634—5.

ტის საექიმო ფაკულტეტზე (10 კაცი), პეტერბურგის გზათა ინჟინრების ინსტიტუტში და სააღმშენებლო სასწავლებელში, პეტერბურგის სატყეო და სამიჯნო ინსტიტუტში და კონსტანტინეს სახ. მოსკოვის სამიჯნო ინსტიტუტში. 1845 წლიდან—პეტერბურგის მთავარ პედაგოგიურ ინსტიტუტში და 1846 წლიდან—პეტერბურგის კომერციულ ინსტიტუტში. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს მთავარმართებელს წინადადება მიეცა თბილისის გიმნაზიის უკანასკნელ კლასების სასწავლო გეგმაში დამატებით შეეტანა საგნები, რომელნიც უზრუნველყოფდნენ აღნიშნულ უმაღლეს სასწავლებელთათვის მოსწავლეთა მომზადებას. რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში სახელმწიფო ხარჯზე კურსდამთავრებული ამიერკავკასიელი სტუდენტები ვალდებული იყვნენ ემსახურათ ამიერკავკასიაში არა ნაკლებ 6 წლისა, —საქართველოს მთავარმართებლის მითითების მიხედვით.

ამის შემდეგ დიდი ხანი არ იყო საჭირო ხელისუფლების დასარწმუნებლად, რომ მარტო „უდიდებულესი“ გვარებიდან ვერ შესძლებდნენ გამოენახათ საკმაო რაოდენობისა და ხარისხის კანდიდატები რუსეთის უმაღლეს სკოლებში გასაგზავნად და რომ, ნებსით თუ უნებლიეთ, საჭირო იყო შეეცვალათ რუსეთში გასაგზავნ სტუდენტთა სოციალური შერჩევის პრინციპი. ასე, თუ სამართლისმცოდნეობის ინსტიტუტი ერთხანს მაინც რჩებოდა პრივილეგიური გვარების სასწავლებლად, სამაგიეროდ პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ განყოფილებაზე და ლაზარევის სახელობის მოსკოვის აღმოსავლეთ ენების ინსტიტუტში, იმპერატორის ბრძანებით, შეიძლებოდა დაბალ წოდებათა ახალგაზრდობის გაგზავნაც.

1846 წელს, უმაღლეს მთავრობასთან არსებული „კავკასიის კომიტეტის“ თავმჯდომარე, გენერალი ჩერნიშევი, ატყობინებდა კავკასიის მეფისნაცვალს, რომ მეფის ბრძანებით „სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ განყოფილებაზე და ლაზარევის სახ. მოსკოვის სომხურ ინსტიტუტში გაიგზავნონ ხოლმე თბილისის გიმნაზიის საუკეთესო მოწაფეები, თუნდაც რომ არ ეკუთვნოდნენ ისინი ადგილობრივ მაღალ თავად-აზნაურობას, და, საერთოდ, მოწაფეების შერჩევაში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდეს არა მათ შთამომავლობას, არამედ უნარსა და წარმატებას, რითაც გვაძლევენ კარგ იმედს და იმსახურებენ მთავრობის განსაკუთრებულ მზრუნველობას“.*

* „Кавказ“, 1846, № 9.

სინამდვილეში კი საწინააღმდეგო რამ ხდებოდა: ეძიებდნენ საშუალებებს უმაღლეს სკოლებში შესვლისა და სწავლის გასაძნელებლად: ასე, 1845 წელს, 2 ივნისს, განათლების მინისტრი უვაროვი, იმპერატორისადმი წარდგენილ მოხსენებაში უნივერსიტეტებსა და გიმნაზიებში სწავლის ქირის გადიდების შესახებ, წერდა, რომ ეს ღონისძიება ტარდება: „არა იმდენად სასწავლებელთა ეკონომიური თანხების გასაძლიერებლად, რამდენადაც განათლებისაკენ ახალგაზრდობის ლტოლვის შესაკავებლად სხვადასხვა წოდებათა სამოქალაქო ყოფა-ცხოვრებასთან სათანადო თანაზომიერების ფარგლებში“.* ამგვარად, უნივერსიტეტებსა და საერთოდ უმაღლეს სკოლაში სწავლა შეეძლო მხოლოდ შეძლებულ ხალხს, და საქართველოდანაც სწორედ ამ წრიდან გამოსული ახალგაზრდობა იგზავნებოდა რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში.

ამიერკავკასიელი სტუდენტები რუსეთის უმაღლეს სკოლებში ვერ იჩენდნენ სანაქებო წარმატებას. მათ, პირველ ყოვლისა, უწუნებდნენ რუსული ენის ცოდნას და ამით ხსნიდნენ სხვა საგნებში წარუმატებლობასაც. 1847 წელს მოსკოვის ოლქის მზრუნველი ატყობინებდა მ. ს. ვორონცოვს, რომ კავკასიელ სტუდენტებს არა აქვთ საკმაო მომზადება. ამავე აზრის იყო რუსეთის განათლების მინისტრი ს. უვაროვიც: „თბილისის გიმნაზია შორს არის იმისგან, რომ მის მოწაფეებს შეეძლოთ უნივერსიტეტში პირდაპირ შესვლაო“, ამბობდა იგი და მხარს უჭერდა ვორონცოვის შუამდგომლობას მეფის წინაშე, რომ სახაზინო ხარჯზე მყოფ კავკასიელ სტუდენტებს ერთი წლით გახანგრძლივებოდათ უნივერსიტეტში ყოფნა. იმავე, 1841 წლის ნოემბერში, მეფემ დააკმაყოფილა ეს შუამდგომლობა: კავკასიელ სტუდენტებს უფლება მიეცათ დარჩენილიყვნენ რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში ხუთ წელს, სახაზინო ხარჯზე.

კავკასიის სამეფისნაცვლოს (наместничество) შექმნამ 1844 წელს და ამით კავკასიის ყველა მხარისა და ხალხთა ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების გაერთიანებამ ერთ ადმინისტრაციულ მმართველობაში, როგორც ვიცით, გამოიწვია სახალხო განათლების ქსელის უნიფიცირება ერთიანი მმართველობის სისტემაში, ხოლო ამან კი—კავკასიის ცალკე სასწავლო ოლქისა და ახალი დებულების შექმნის აუცილებლობა. როგორც ვწერდით, კავ-

* Собр. постановлений по министерству народного просвещения II, ч. 2

კასიის სასწავლო ოლქის დებულება „კავკასიის სასწავლო ოლქისა და მის ქვემდებარე სასწავლებელთა შესახებ“ დამტკიცებულ იქნა 1848 წელს. ეს დებულება მზადდებოდა 1845 წლიდან. მის პირველ პროექტებში, 1846—47 წლებში, გათვალისწინებული იყო თბილისში უნივერსიტეტის დაარსება, მაგრამ საკმარისი იყო 1847 წელს ბოსკოვის სასწავლო ოლქის მზრუნველისა და განათლების მინისტრის ხსენებული შენიშვნა, რუსეთის უნივერსიტეტებში გაგზავნილ კავკასიელ სტუდენტთა სუსტი მომზადების შესახებ, რომ კავკასიის მეფისნაცვალს მ. ვორონცოვს, უმაღლესად მოსალოდნელ შთაგონებისაგან თავის დაზღვევის ვარაუდით, უარი ეთქვა მასზე; 1848 წელს, ჩერნიშევთან გაგზავნილ წერილში კავკასიის ცალკე სასწავლო ოლქის შექმნის შესახებ, ვორონცოვი აღნიშნავდა, „საქართველო ჯერ კიდევ არ არის მზად იმისათვის, რომ ჰქონდეს უნივერსიტეტიო“.* მაგრამ ეს იყო მხოლოდ ფორმალური აქტი.

1848 წლის დებულებით საქართველოში დაარსდა მეორე გიმნაზია (ქ. ქუთაისში), და მიეცა მათ (თბილისისა და ქუთაისის გიმნაზიებს) ის უფლებები, რომლებიც მინიჭებული ჰქონდათ რუსეთის გიმნაზიებს სრულიადრუსეთის 1828 წლის წესდებით. უნივერსიტეტებისათვის გიმნაზიების მოსწავლეთა მომზადების შესახებ 1848 წლის დებულება უკვე გარკვევით აღნიშნავდა, რომ „კავკასიის სასწავლო ოლქის გიმნაზიებს აქვთ სამგვარი ამოცანა... 2) აღჭურვა აუცილებელი ცოდნით იმ მოწაფეებისა, რომლებიც გიმნაზიაში კურსის დამთავრების შემდეგ მოისურვებენ სწავლის გაგრძელებას უნივერსიტეტში...“ (მუხ. 48). მაგრამ, ამასთან დებულება სპეციალურად ავალებდა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს, „რომ ოლქის გიმნაზიის მოწაფეებს, რომელნიც განწესებული იქნებიან სატახტო ქალაქების სასწავლებლებსა და უნივერსიტეტებში ჰქონდეთ ყოველგვარი საჭირო ცოდნა ამ სასწავლებლებში შესასვლელად“ (მუხ. 20). დებულებაში გამონახულია ამ დავალების შესრულების გზაც: უნივერსიტეტებისათვის ახალგაზრდათა მომზადების ამოცანა კავკასიაში სპეციალურად დაეკისრა ორ გიმნაზიას—თბილისისას და სტავროპოლისას, რომლებშიც, ჩვეულებრივ, საგიმნაზიო კლასებს ემატებოდა ორ-ორი სპეციალური კლასი; ერთი მათგანი ამზადებდა მოწაფეებს უნივერსიტეტში შესასვლელად (საუნივერსიტეტო კლასი), ხოლო მეორე, როგორც უკვე ვწერდით, გიმნაზიის დაბალი კლა-

* Акты, X, 126.

სებისა და სამაზრო სასწავლებელთა მასწავლებლებს და შინამასწავლებლებს (პედაგოგიური კლასი). უნივერსიტეტში შესვლის მსურველნი სწავლობდნენ იმ საგნებს, რომლებიც მათ უნდა ჩაებარებინათ უნივერსიტეტში შესვლის დროს, ხოლო ისინი კი, ვისაც განზრახული ჰქონდა სამედიცინო ფაკულტეტზე შესვლა, გარდა ამ საგნებისა, სწავლობდნენ გერმანულ ენას. კავკასიის სხვა (ქუთაისის, ეკატერინოდარის) გიმნაზიების მოწაფეებს, რომელთაც სურდათ უნივერსიტეტში შესვლა, თავიანთ გიმნაზიებში კურსის დამთავრების შემდეგ შეეძლოთ შესულიყვნენ თბილისის ან სტავროპოლის გიმნაზიებთან არსებულ საუნივერსიტეტო კლასებში. დებულებით — ქუთაისის გიმნაზიის კურსდამთავრებულთ ემსახურებოდა თბილისის გიმნაზიის საუნივერსიტეტო კლასი, ხოლო ეკატერინოდარისას — სტავროპოლის.*

გიმნაზიების პანსიონებში სახელმწიფო ხარჯზე მყოფი მოწაფეები ვალდებული იყვნენ დაემთავრებიათ პედაგოგიური კლასი და შემდეგ ემსახურათ ამიერკავკასიაში 6 წელს უმცროსი მასწავლებლის თანამდებობაზე, მაგრამ, თუ მოისურვებდნენ უნივერსიტეტში წასვლას, ამ ვალდებულებისაგან თავისუფლდებოდნენ.

ამგვარად, კავკასიის სასწავლო ოლქის 1848 წლის დებულებაში, ძალიან მარტივად სწყდებოდა საკითხი უნივერსიტეტებში გიმნაზიების კურსდამთავრებულთა განწესების შესახებ, მაგრამ კავკასიას სჭირდებოდა არა მარტო ექიმები, პედაგოგები, იურისტები, ბუნებისმეტყველები და მათემატიკოსები, რომელთა გამოშვებაც შეეძლო უნივერსიტეტებს, არამედ ტექნიკურ და სასოფლო-სამეურნეო პროფესიათა წარმომადგენლებიც. ამ გარემოების მოწესრიგების აუცილებლობამ გამოიწვია შემუშავება სპეციალური დებულებისა „რუსეთის უმაღლეს და სპეციალურ სასწავლებლებში კავკასიისა და ამიერკავკასიის მკვიდრთა აღზრდის შესახებ“, რომელიც დამტკიცდა 1849 წელს.

ეს დებულება ითვალისწინებდა კავკასიიდან 160 სტიპენდიანტის გზავნას რუსეთის უმაღლეს და სპეციალურ სასწავლებლებში შემდეგნაირი განაწილებით.**

---

* ფაქტიურად თბილისის გიმნაზიის საუნივერსიტეტო კლასი (ისე, როგორც საპედაგოგო) არ ყოფილა გახსნილი არც 1860 წელს. თბილისის გუბერნატორი 1860 წელს აღნიშნავდა: „თბილისის გიმნაზიასთან დღემდე არ ყოფილა საპედაგოგო და საუნივერსიტეტო კლასები“ (საქ. ცენტრ. არქივი, ფ 423, ს. 270, 63)

** Акты, XI, 731.

სად, რომელ სასწავლებელში	სულ ვაკანსიები	აქედან	
		ადგილობრივთათვის	რუსებისათვის
ქ. პეტერბურგში:			
1. საიმპერატორო უნივერსიტეტში .	20	15	5
2. უმაღლეს პედაგოგიურ ინსტ-ში .	10	5	5
3. სამართლისმცოდნეობის საიმპერატორო სასწავლებელში .	5	4	1
4. გზათა (ინჟენერთა) კორპუსის ინსტ-ში . .	4	3	1
5. სამთო ინჟენერთა კორპუსის ინსტ-ში	4	3	1
6. გზათა სააღმშენებლო სასწავლებელში	6	4	2
7. სატყეო და სამიჯნო ინსტიტუტში .	10	7	3
8. საიმპერატორო სამხატვრო აკადემიაში	2	2	—
9. საკომერციო სასწავლებელში	5	5	—
10. ტექნოლოგიურ ინსტიტუტში .	2	2	—
ქ. მოსკოვში			
11. საიმპერატორო უნივერსიტეტში			
ა) საქიმო ფაკულტეტზე .	20	15	5
ბ) სხვა ფაკულტეტებზე .	20	15	5
12. ლაზარევის სახელობის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტში . . .	20	14	6
13. კონსტანტინეს სამიჯნო ინსტ-ში .	15	10	5
14. საიმპერატორო სააღმზრდელო სახლის სახელოსნო სასწავლებელში .	2	2	—
ქ. ყაზანში			
15. საიმპერატორო უნივერსიტეტში, აღმოსავლური სიტყვიერების განყოფილებაზე .	5	3	2
დ. გორკი-ში (მოგილევის გუბ.)			
16. გორიგორეცკის სამიწადმოქმედო ინსტ-ში	5	4	1
ქ. ოდესაში			
17. მთავარ საბაღოსნო სასწავლებელში . . .	5	4	1
სულ.	160	117	43

1849 წლის დებულების დამტკიცების მომდევნო წელს, თუ სულ არა, 90 სტიპენდიანტი მაინც გაიგზავნა კავკასიიდან რუსეთის უმაღლესსა და სპეციალურ სასწავლებლებში, აქედან 67 იყო ადგილობრივი და 23 რუსი.

1854 წლისათვის ზემოაღნიშნულ სასწავლებლებში სწავლობდა 114 კავკასიელი სტუდენტი.

1849 წლიდან 1854 წლამდე რუსეთის უმაღლესი და სპეციალური სასწავლებლები დაამთავრა 72 კავკასიელმა.

1849 წლის დებულების საფუძველზე პეტერბურგისა და მოსკოვის ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელში შემოიღეს ქართული ენის სწავლება კავკასიელ სტუდენტთათვის. მიზანი ცხადია: არ დავიწყებოდათ ქართული ენა საქართველოსა და კავკასიის მომავალ მუშაკებს.

1849 წლიდან 1867 წლამდე, რუსეთის სატახტო ქალაქების (პეტერბურგისა და მოსკოვის) უმაღლეს სასწავლებელთა კავკასიელ სტუდენტებს ქართულ ენას ასწავლიდა ცნობილი ქართველოლოგი დავით ჩუბინაშვილი.* მთავრობასთან არსებული კავკასიის კომიტეტის საქმეთა მმართველი ბუტკოვი 1849 წლის 29 აგვისტოს ატყობინებდა დ. ჩუბინაშვილს: „თქვენი მაღალკეთილშობილების სურვილის თანახმად, 1849 წლის 11 ივნისის დებულების მე-34 ჯ საფუძველზე, მე დაგნიშნეთ თქვენ ქართული ენის მასწავლებლად სანკტპეტერბურგის კავკასიელ მოსწავლეთათვის, ყველა იმ თანამდებობაზე დატოვებით, რომლებიც ამ ჟამად თქვენ გიკავიათ და მომავალი სექტემბრიდან წელიწადში 643 მ. და 31 კ. დანიშვნით. ის სასწავლებელნი, რომლებშიც თქვენ უნდა ასწავლოთ ქართული ენა კავკასიელ მოსწავლეებს, არიან შემდეგნი: სამართლისმცოდნეობის საიმპერატორო სასწავლებელი, ინსტიტუტები: გზათა ინჟენერებისა, სამთო, სატყეო და სამიჯნო და ტექნოლოგიური; სასწავლებლები: სააღმშენებლო, გზათა და სანკტპეტერბურგის კომერციული, აგრეთვე საიმპერატორო სამხატვრო აკადემია“.** ამას გარდა დ. ჩუბინაშვილი ასწავლიდა ქართულ ენას აღმოსავლეთის ენათა ინსტიტუტში.

---

* Ал. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, I, вып. I, стр. LXXIV.

** იქვე, LXXV.

(უნდა ვიფიქროთ, რომ დ. ჩუბინაშვილი ამ მრავალრიცხოვან უმაღლეს სასწავლებელთა კავკასიელ სტუდენტებს ასწავლიდა ქართულ ენას გაერთიანებულ ჯგუფებად რომელიმე სასწავლებლის შენობაში. სხვანაირად ძნელი იქნებოდა მისთვის ყველა ზემოაღნიშნულ სასწავლებელთა კავკასიელი სტუდენტების ცალ-ცალკე სწავლება, მით უმეტეს, რომ მათთან მეცადინობის პარალელურად ის, როგორც ვნახეთ, ყველა იმ თანამდებობაზე რჩებოდა, რომელიც მას ეპირა 1849 წლისათვის).

1854 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთის სიტყვიერების განყოფილება გადაკეთდა დამოუკიდებელ ფაკულტეტად, რომელთანაც დაარსდა ქართული ენისა და სიტყვიერების კათედრაც. ამ კათედრის ექსტრაორდინარულ პროფესორად მოწვეულ იქნა დ. ჩუბინაშვილი.

1858 წელს დაიხურა (მეორედ) პეტერბურგის მთავარი პედაგოგიური ინსტიტუტი* და კავკასიელი სტიპენდიანტები, რიცხვით 10, გადარიცხეს პეტერბურგისა და მოსკოვის უნივერსიტეტებში, კავკასიის საშუალო სკოლების მასწავლებელთა მოსამზადებლად.

—

XIX საუკუნის 50-იან წლებში კიდევ უფრო გაიზარდა უმაღლესი განათლების მქონე კადრების საჭიროება. მართალია, ამ დროისათვის საკმაოდ იყო გაფართოებული პრაქტიკა საქართველოსა და კავკასიის მკვიდრი ახალგაზრდობის გზავნისა რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში, მაგრამ ამ პრაქტიკამ ვერ გამოიღო ის ნაყოფი, რასაც მისგან ელოდნენ. 160 კაციდან, რომელიც იგზავნებოდა რუსეთში უმაღლესი განათლების მისაღებად, უკან, კავკასიაში, ნახევარიც აღარ ბრუნდებოდა, მაგრამ ყველაც რომ დაბრუნებულიყო, მაინც ვერ დააკმაყოფილებდა მთელი კავკასიის მოთხოვნილებებს მაღალი კვალიფიკაციის კადრებზე.

განვითარება საფაბრიკო-საქარხნო წარმოებისა, სოფლის მეურნეობისა, სამთო და სატყეო მრეწველობისა, საგზაო მეურნეობისა, გაფართოება სამხედრო, ადმინისტრაციული და სასამართლო დაწესებულებათა ქსელისა, გადიდება სასწავლებელთა რიცხვისა, გამოცოცხლება ლიტერატურისა, პრესისა, თეატრისა—მრავალ მაღალ-

* ეს ინსტიტუტი დაარსდა 1804 წელს, პეტერბურგის სამასწავლებლო გიმნაზიის ბაზაზე. 1819 წელს ის (ინსტიტუტი) შეუერთდა ამ წელს დაარსებულ პეტერბურგის უნივერსიტეტს. 1828 წელს ინსტიტუტი გამოეყო უნივერსიტეტს, როგორც დამოუკიდებელი დაწესებულება.

განათლებულ მუშაკსა და ხელმძღვანელს მოითხოვდა, კვლავ აყენებდა უმაღლესი სასწავლებლის დაარსების საკითხს და კიდეც ქმნიდა იმის რეალურ შესაძლებლობას, რომ ასეთი სასწავლებელი დაარსებულიყო ქ. თბილისში. ამასთან ეს უმაღლესი სასწავლებელი მარტოოდენ სასწავლო დაწესებულება არ იქნებოდა, რომ კადრების მომზადებით ამოწურულიყო მისი დანიშნულება; თბილისის უმაღლეს სასწავლებელს უნდა შეესრულებინა სამეცნიერო დაწესებულების ფუნქციებიც, რასაც აგრეთვე დაჟინებით. მოითხოვდა ამიერკავკასიის ცხოვრების ხსენებული დარგების განვითარება.

ორმოცდაათიანი წლების შუალედში, გარდა ადგილობრივი საზოგადოებრივობის მოწინავე წარმომადგენლებისა, თბილისში უმაღლესი სასწავლებლის დაარსებაზე ალაპარაკდნენ ოფიციალურ წრეებშიც. კავკასიის მეფისნაცვალი ბ ა რ ი ა ტ ი ნ ს კ ი აჰყვა ამ ხმას და 1857 წელს წინადადება მისცა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს ბარონ ა. ნ ი კ ო ლ ა ი ს, შეედგინა ამიერკავკასიის უმაღლესი სასწავლებლის დებულებისა და შტატის პროექტი, რაც იმავ წელს იქნა შესრულებული.*

კავკასიის მეფისნაცვალმა გადაწყვიტა ახლადდასაარსებელი უმაღლესი სკოლა ყოფილიყო არა უნივერსიტეტი, რომელიც ამიერკავკასიისათვის ჯერ კიდევ დაუმსახურებლად მიაჩნდა, არამედ—ლ ი ც ე უ მ ი. ოლქის მზრუნველი ა. ნიკოლაი, ამიერკავკასიის ლიცეუმის პროექტის განმარტებითი ბარათში, „ასაბუთებდა“ რა უმაღლესი სკოლის დაარსების აუცილებლობას ამიერკავკასიაში, ამბობდა: „ეს მხარე განათლების მხრივ, ჩამორჩება რუსეთისაგან სულ მცირე—50 წლით“ და ფიქრობდა, რომ უმაღლესი სკოლა შესძლებდა ამ ვადის მნიშვნელოვნად შემცირებას. ის სამართლიანად წერდა, რომ ამიერკავკასიაში „ყოველწლიურად მატულობს რიცხვი მათი, ვინც ცდილობს მიიღოს უმაღლესი განათლება უნივერსიტეტებში“** და ოფიციალურად აღიარებდა, რომ „მთავრობას არ შეიძლება არ სურდეს ამ მხარეში განათლების გავრცელება“, მაგრამ, როცა დაისვა საკითხი ამიერკავკასიის უმაღლესი სკოლის სტრუქტურისა და ამოცანების რეალურად გადაჭრის შესახებ, ა. ნ ი კ ო ლ ა ი მ გამოიჩინა მხოლოდ ვიწრო პრაქტიკული ინტერესი ტექნიკური და ადმინისტრაციული კადრების მომზადებისა ზემოაღნიშნულ დაწესებულებათა და შრომის დარგე-

* Акты, XII, 178.

** იქვე, 179.

ბისათვის და თავის „განმარტებითი ბარათში“ მოურიდებლად წერდა, რომ „ამ მხარეში უმაღლესი განათლების მოთხოვნილება თუმცა კი სჩანს, მაგრამ არ არის იგი საკმაოდ განმტკიცებული, რომ გამომდინარეობდეს მეცნიერების მოთხოვნილების ნათელი შეგნებიდანო“. პატივცემული ბარონი ამიერკავკასიის მოსახლეობას მიაწერდა ერთადერთ სურვილს: უმაღლეს სკოლაში ახალგაზრდობა ემზადებინა უფრო მეტად „თუ არა მხოლოდ და მხოლოდ, სამსახურში შესასვლელად“ და „სამსახურებრივი ხელრისათვის“.* გამოდიოდა რა მეცნიერებისა და პრაქტიკის ამ ყალბი დაპირისპირებიდან, და თანაც ეძებდა რა ახალ შემთხვევას ესიამოვნებინა უფალი მეფისნაცვალი, ა. ნიკოლაი უფრო მიზანშეწონილად სთვლიდა თბილისში დაარსებულიყო არა უნივერსიტეტი, რომელიც, მისი „უგანათლებულესი“ აზრით, ემსახურებოდა წმინდა მეცნიერებას, არამედ —ლიცეუმი, როგორც უფრო პრაქტიკული (გამოყენებითი) ხასიათის უმაღლესი სკოლა.

ამიერკავკასიის ლიცეუმი უნდა ყოფილიყო 3 წლიანი კურსისა. მის პროექტში პირველად გათვალისწინებული იყო ორი ფაკულტეტი: იურიდიულ-პოლიტიკური და მათემატიკური. იურიდიულ-პოლიტიკურ ფაკულტეტზე უნდა ესწავლებინათ იურიდიული მეცნიერებანი, პოლიტიკური ეკონომია და ისტორიული დისციპლინები, ხოლო მათემატიკურზე მათემატიკური, ფიზიკა-ქიმიური და სასოფლო-სამეურნეო დისციპლინები. პროექტით ლიცეუმის სტრუქტურაში გათვალისწინებული იყო აგრეთვე სამხედრო განყოფილება მაღალი წოდების ოფიცერთა მოსამზადებლად. ამ განყოფილების სასწავლო გეგმაში განზრახული ჰქონდათ შეეტანათ სამხედრო საგნები, გათვალისწინებული სამხედრო სასწავლებელთა სპეციალური კურსის იმ პროგრამით, რომელიც დამტკიცებული იყო უმაღლესად 1848 წელს.

ლიცეუმში ლექციების საკითხავად ფიქრობდნენ მოეწვიათ 6 პროფესორი, 3 ადიუნკტ-პროფესორი (ანუ პროფესორის თანაშემწე, ასისტენტი) და გენერალური შტაბის მაღალი წოდების ოფიცრები— სამხედრო განყოფილებისათვის.

ამიერკავკასიის (თბილისის) ლიცეუმში უნდა ეწარმოებინათ თავისუფალი პროფესიის ყველა პირთა მიღება. ნამდვილ სტუდენტთა ჯგუფების პარალელურად უნდა არსებულიყო ექსტერნატიც. ლიცეუმთან ეწყობოდა პანსიონი 60 კაცისათვის. აქედან 20—სახელმ-

* Акты, XII, 179.

წიფო ხარჯზე, დანარჩენი პანსიონერები კი იხდიდნენ 250 მანეთს წლიურად. სწავლის ქირად ნავარაუდევი იყო 25 მანეთი წელიწადში. ლიცეუმის ბიუჯეტი 31.720 მანეთის რაოდენობით დამატებით უნდა ყოფილიყო გამოთხოვილი სახელმწიფო ხაზინიდან, მაგრამ უარის შემთხვევაში, მის გამონახვას ფიქრობდნენ ადგილობრივი წყაროებიდან.

ამიერკავკასიის ლიცეუმის 1857 წლის პროექტი შედგენილი იყო ძალიან უხეიროდ. ამ პროექტით დასახული ამოცანები და სტრუქტურა ლიცეუმისა ნაკლებად უპასუხებდა ამიერკავკასიაში გამოსადეგი კადრების მომზადებას და მეცნიერული ცოდნის გავრცელებას. სტრუქტურაში არ იყო გათვალისწინებული ისეთი ფაკულტეტები ან განყოფილებანი, რომლებსაც შეეძლოთ მომზადება ტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო კადრებისა, ექიმებისა, საზოგადოებრივ მეცნიერებათა პედაგოგებისა, ე. ი. იმ სპეციალისტებისა, რომელთაც ყველაზე უფრო მეტად საჭიროებდა საქართველო და ამიერკავკასია. ამასთან ლიცეუმის ორგანიზატორები სრულებით არ ღებულობდნენ მხედველობაში პროფესორ-ლექტორთა შემადგენლობით მისი უზრუნველყოფის სიძნელეს. იმ დროს, როდესაც ვარაუდობდნენ ისეთი ფაკულტეტების შექმნას, რომელთა ლექტორები რუსეთიდან უნდა მოეწვიათ, არ ფიქრობდნენ საქართველოსა და ამიერკავკასიისათვის მეტის-მეტად საჭირო ისტორია ფილოლოგიის ფაკულტეტის შექმნას (ქართული და სხვა ადგილობრივი ენების, ლიტერატურის, საქართველოსა და კავკასიის ძირითად ხალხთა ისტორიის შესასწავლად), რომელთა ლექტორებიც შეიძლებოდა ადგილობრივად გამოენახათ. დაბოლოს, ძალიან გულუბრყვილო იყო ბარონ ნ ი კ ო ლ ა ი ს ვარაუდი ლიცეუმის სისტემაში სამხედრო სპეციალისტების მომზადების შესახებ.

ამიერკავკასიის ლიცეუმის პროექტი გაეგზავნა გასარჩევად მაღალი თანამდებობის პირებს. ყველაზე უფრო საქმიანი კრიტიკა წარმოადგინა კავკასიის არმიის შტაბის უფროსმა გენერალმა მ ი ლ ი უ ტ ი ნ მ ა, რომელმაც უარყო შესაძლებლობა მაღალი წოდების ოფიცერთა ახალი კადრების მომზადებისა იმ მოძველებული სასწავლო გეგმებით, რომლებიც პროექტის ავტორს ჰქონდა მხედველობაში. ამასთან მილიუტინი შეუძლებლად მიიჩნევდა სამხედრო პირების მომზადების საქმე ყოფილიყო სამოქალაქო დაწესებულების ხელში და ისიც ლიცეუმის სტრუქტურაში.

ბარონმა ნიკოლაიმ, მილიუტინის აზრის გაცნობისთანავე, უარი სთქვა ლიცეუმის პირველ პროექტზე, გამორიცხა სამხედრო გან-

ყოფილება ლიცეუმის სტრუქტურიდან და ახალ პროექტში მისცა მას (ლიცეუმს) მხოლოდ სამოქალაქო ხასიათი. სხვა შენიშვნების მიხედვით, მან ლიცეუმის სტრუქტურაში, ნაცვლად იურიდიულ-პოლიტიკური ფაკულტეტისა შეიტანა იურიდიული, ხოლო მათემატიკის ფაკულტეტი კი შესცვალა კამერალური ფაკულტეტით.*

ამგვ რად, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა ალ. ნიკოლაიმ შეიმუშავა თბილისის ლიცეუმის მეორე, სრულიად ახალი პროექტი, მაგრამ ისევე უხეირო და ადგილობრივი სინამდვილისადმი შეუფერებელი, როგორც პირველი. თბილისის ლიცეუმის ახალი პროექტი წარიგზავნა პეტერბურგს, უმაღლესად დამტკიცებისათვის. მაგრამ იმპერიის უზენაესმა ხელისუფლებამ არ განიხილა იგი: უმაღლესი სასწავლებლის დაარსება საქართველოში ჯერ ისევ ნაადრევად იქნა მიჩნეული.

ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში რუსეთის უნივერსიტეტებში, განსაკუთრებით კი მოსკოვის უნივერსიტეტში, შექმნილი იყო საკმაოდ ძლიერი და გავლენიანი ბირთვი მოწინავე, რევოლუციურად განწყობილი პროფესურისა და ამ პერიოდის უნივერსიტეტები უკვე ახდენდნენ შესამჩნევ გავლენას მეცნიერული აზროვნების განვითარებასა და ხალხის პოლიტიკურ გამოფხიზლებაზე.** უნივერსიტეტი საშიშ დაწესებულებად გადაიქცა მეფის ხელისუფლებისათვის და თუ წინათ „უცხოელთა წინაშე თავგამოჩენის" მიზნით ხსნიდა იგი მათ, ხოლო შემდეგ კი ერთგვარ ნეიტრალობას იჩენდა მათდამი, ახლა, 50-იანი წლებიდან, არსებითად უკვე აფერხებდა მისი ქსელის განვითარებას. ამას ეწეოდა მეფის ხელისუფლება რუსეთის მიმართ და რა გასაკვირია თუ უფრო გაბედულად აფერხებდა იგი არარუს ეროვნებათა მიწაზე უმაღლესი განათლების გავრცელების საქმეს.

---

* კამერალურ მეცნიერებათ ს.შუალო საუკუნეებიდან სთვლიდნენ ადმინისტრაციული სამართლის, ეკონომიურ და ფინანსიურ მეცნიერებათა ერთგვარ მექანიკურ შენაერთს.

** 1849 წელს რუსეთში იყო 9 უნივერსიტეტი და ერთი „მთავარი პედაგოგიური ინსტიტუტი „ყველა ამ (10) უმაღლეს სასწავლებელში სწავლობდა 3.937 სტუდენტი. აქედან თავადაზნაურთა წოდების სტუდენტთა რიცხვი უდრიდა 2 506-ს, ხოლო სასულიერო წოდებისა—279-ს („Современник", 1849, XIV, 40).

VIII. პედაგოგიკური იდეები

XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველო პედაგოგიკური იდეებით უფრო მდიდარია, ვიდრე ეს შეიძლებოდა წარმოგვედგინა ამავე პერიოდის ღარიბი პედაგოგიური პრაქტიკისა და, საერთოდ, ჩამორჩენილი სახალხო განათლების გათვალისწინებით.

იოანე ბაგრატიონის (1768 — 1830) ენციკლოპედიური ნაწარმოები „კალმასობა", მართალია, XIX ს. დასაწყისში დაიწერა, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, თავისი აღნაგობითა და იდეური სამყაროთი, ის მე-18 საუკუნეს ეკუთვნის და ამიტომ ჩვენი შრომის პირველ წიგნში ვარჩევთ მას დაწვრილებით. აქ კი მხოლოდ ის უნდა აღინიშნოს, რომ იოანე ბაგრატიონის (ბატონიშვილის) შეხედულებები აღზრდის შესახებ თავის აქტუალობას არ ჰკარგავდა არც XIX ს. პირველ ნახევარში. გავიხსენოთ, რომ იოანე ბაგრატიონი მახვილი სატირის ფორმით აკრიტიკებს ბავშვთა ფიზიკური და გონებრივი აღზრდის ძველი და მისი დროის სისტემას, ხალხის განათლებისადმი მმართველი წრეებისა და სასულიერო წოდების უდარდელ დამოკიდებულებას, ამათრახებს თავადაზნაურობას იმისათვის, რომ ისინი უფრო მეტად ზრუნავენ ცხენების მოვლა-შენახვაზე, ვიდრე ბავშვების წესიერ აღზრდაზე და აღნიშნავს, რომ ადამიანი ღირს იმათ, რომ მას უფრო მეტი შზრუნველობით ეკიდებოდნენ, ვიდრე ცხოველებს. გავიხსენოთ ისიც, რომ იოანე ბაგრატიონი წერა-კითხვას სთვლის განათლების საშუალებად, ხოლო განათლება კი ესმის როგორც მეცნიერული ცოდნის მიღება და მისი „კალმასობა", დაწერილი XVIII ს. ფრანგი ენციკლოპედისტების გავლენით, შეიცავს საკმაოდ მართებულ განმარტებებს თითქმის ყველა იმ საზოგადოებრივ-ფილოსოფიურ, საბუნებისმეტყველო-მათემატიკურ მეცნიერებათა და აგრეთვე ხელოვნების, ეთიკის და ლიტერატურული ჟანრებისა, რომლებიც კი ცნობილი იყო XVIII ს. დამლევისათვის. ყოველივე ეს ჯერ კიდევ ახალი იყო XIX ს. პირველი ნახევრისა-

თვის და ამდენად იოანე ბაგრატიონის პედაგოგიკური იდეების განხორციელება კვლავ საბრძოლო ამოცანად . რჩებოდა ამ პერიოდისათვის. განუხორციელებელ და, მაშასადამე, საბრძოლო ამოცანად რჩებოდა აგრეთვე 1799 წლის სახელმწიფოებრივ რეფორმათა მის პროექტში წამოყენებული სახალხო განათლების ორგანიზაციის საწყისებიც.

* *
*

XIX ს. პირველი ნახევრის ქართული პედაგოგიური აზროვნების ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენს გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე და მეცნიერი სოლომონ დოდაშვილი.

სოლომონ დ ო დ ა შ ვ ი ლ ი დაიბადა სიღნაღის რაიონის სოფ. მაღაროში 1805 წელს. მამა მისი, მღვდელი იოანე (ივანე) 9 შვილის პატრონი იყო და ღარიბად ცხოვრობდა. სოლომონი პირველად სწავლობდა ბოდბის მონასტერთან არსებულ სკოლაში, ხოლო 1818 წლიდან თბილისის სასულიერო სემინარიასთან არსებულ სასულიერო სასწავლებელში. 1820 წლის 15 სექტემბერს სოლომონ დოდაშვილი გადავიდა თბილისის სემინარიაში რიტორიკის (სიტყვიერების) განყოფილებაზე, ხოლო 1822 წლის 15 მარტს, როდესაც სემინარიის კურსი ჯერ კიდევ არ ჰქონდა დასრულებული, დანიშნეს სიღნაღის სასულიერო-სამრევლო სასწავლებლის უფროსი (მეორე) კლასის მასწავლებლად მცირე ხელფასით (120 მან. წელიწადში).* 1823 წლის 26 ივლისს სოლ. დოდაშვილი თავისი თხოვნით განთავისუფლდა ამ თანამდებობიდან. მას ჯერ განზრახვა ჰქონდა შესულიყო სამხედრო სამსახურში, მაგრამ ჩქარა უარჰყო ეს განზრახვა და უმაღლესი ჰუმანიტარული განათლების მიღება არჩია. 1824 წლის ზაფხულზე სოლ. დოდაშვილი, ბოდბელი მიტროპოლიტის იოანე მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი ს დახმარებით. გაემგზავრა პეტერბურგს, სადაც იმავე წელს ჩაირიცხა საიმპერატორო უნივერსიტეტში, ფილოსოფიის ფაკულტეტის თავისუფალ მსმენელად.

„შვიათი ინტერესითა და მონდომებით სწავლობდა სოლ. დოდაშვილი პეტერბურგის უნივერსიტეტში, მაგრამ უფრო მეტი გულმოდგინებით ეწაფებოდა იგი დამოუკიდებელ კითხვას. წარ-

* საქ. ცენტ. არქ. ფ. 112, საქ., 6, ფურც. 11.

ჩინებული სწავლის შედეგად, ის, მეორე კურსიდან, ნამდვილ სტუდენტად გადარიცხეს.

სოლომონ დოდაშვილის მისწრაფება მიმართული იყო განსაკუთრებით ფილოსოფიურ მეცნიერებათა შესწავლისაკენ. ამის შედეგად მან უნივერსიტეტში სწავლის პერიოდშივე (1824—1827) დასწერა და 1827 წელს გამოსცა წიგნი: „Курс философии, часть первая, Логика, сочинение Соломона Додаева-Магарского.“* თავისი ნაწარმოები მან მიუძღვნა ხარკოვის უნივერსიტეტის რექტორსა და იმავე ოლქის მზრუნველს ალექსი პეროვსკის. ეს მიძღვნა არ აიხსნება მარტო პირადი ნაცნობობით. იმ დროს (1825—1840) საქართველოსა და მთელი კავკასიის სასწავლებლები ფორმალურად ექვემდებარებოდნენ ხარკოვის სასწავლო ოლქს და ამ მიძღვნაში წიგნის ავტორი მიმართავდა რა აღნიშნული ოლქის მზრუნველს: „კავკასიის ჭაბუკ შვილთა გონება საზრდოს ეძებს. და ამ წმინდა მისწრაფებაში ისინი მოგაპყრობენ თქვენ თავის თვალებს და ელიან ამ საზრდოს თქვენი აღმატებულებისაგან“, დარწმუნებული იყო, რომ მზრუნველი მართლა იზრუნებდა კავკასიის სასწავლებელთათვის.

სოლომონ დოდაშვილის წიგნი ჩქარა გავრცელდა მთელს იმპერიაში; მას იყენებდნენ ლოგიკის კურსის სახელმძღვანელოდ საშუალო სასწავლებლებში. მის შესახებ 1827 წელს დაიწერა რეცენზიები „Московский Телеграф“-ში (№ XVIII, 167-8), „Московский вестник“-ში (№ XXII, 201-6) და „Северная Пчела“-ში (№ 72). ეს რეცენზიები ერთხმად იწონებდნენ სოლ. დოდაშვილის „ლოგიკას“, სთვლიდნენ მას „შესანიშნავ თხზულებად“ და „ახალ მოვლენად“ რუსეთის ფილოსოფიურ ლიტერატურაში. მართალია, სოლ. დოდაშვილის „ლოგიკა“ არსებითად კანტის „კრიტიკული“ ფილოსოფიიდან გამომდინარეობს, მაგრამ საკითხების დალაგებით და გაშუქებით, ის უეჭველად ორიგინალურ მეცნიერულ შრომას წარმოადგენს.

პეტერბურგში ყოფნის პერიოდში სოლ. დოდაშვილი არა მარტო მეცნირებით იყო გატაცებული. ცნობისმოყვარე ჭაბუკი ღრმად სწავლობდა ცხოვრების ყოველ მხარეს, განსაკუთრებით პოლიტ-

* ავტორის გვართან მოხსენებული ფსევდონიმი Магарский—მაღაროელი, წარმოსდგება სამშობლო სოფლის სახელიდან—„მაღარო“.

კურ ვითარებას. ის გაეცნო და მიემხრო დეკაბრისტების მოძრაობას, სთარგმნიდა და ავრცელებდა დეკაბრისტულ ლიტერატურას (მაგალითად, რილეევის მიერ, სიკვდილით დასჯის წინ, ცოლისადმი მიწერილს ბარათს). პეტერბურგში სოლ. დოდაშვილი დაუკავშირდა აგრეთვე საქართველოდან იქ გადასახლებულ ბაგრატიონთა გვარეულობას და მეფის ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილ იმ ქართველობას, რომლის წრეშიც დაიბადა საქართველოში მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ მომავალი (1832 წლის) შეთქმულების იდეა და ისახებოდა მისი განხორციელების პრაქტიკული ღონისძიებანი.

1827 წელს სოლ. დოდაშვილმა დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი და სამშობლოში დაბრუნდა. იმავე წლის შემოდგომიდან ის მიიწვიეს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის ქართული ენისა და გეოგრაფიის მასწავლებლად. ამის პარალელურად ის სათავეში ჩაუდგა აღნიშნულ შეთქმულების მომწყობ „საიდუმლო საზოგადოებას“ და მის ხელმძღვანელ ჯგუფს (ალ. ორბელიანი, ელიზბარ ერისთავი, ზ. ავთანდილაშვილი, სოლ. რაზმაძე, ფილ. კიკნაძე, ი. მამაცაშვილი, ზ. ჩოლოყაშვილი და სხვ.).

1828 წლიდან ხელმძღვანელობდა გაზეთ „Тифлисские ведомости“-ს ქართულ გამოცემას. 1830 წელს გამოსცა ქართული გრამატიკის სახელმძღვანელო „შემოკლებული ქართული გრამატიკა“ და შეადგინა ქართული წერის დედანი.

ამ ნაშრომების გარდა, არსებული ცნობების მიხედვით, სოლ. დოდაშვილს ჰქონია კიდევ 14 პატარა თუ დიდი ნაწარმოები ფილოსოფიისა და ფილოლოგიის დარგიდან, მაგრამ მათ ჩვენამდე არ მოუღწევიათ.

1832 წელს სოლ. დ ო დ ა შ ვ ი ლ მ ა დაარსა პირველი ქართული ჟურნალი „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“, რომელსაც მან მიზნად დაუსახა ბრძოლა „მამულის დიდებისათვის და გონების განათლებისათვის“. ეს ჟურნალი, როგორც ვწერდით, ეწეოდა აგრეთვე „საიდუმლო საზოგადოების“ იდეათა შენიღბულ პროპაგანდას.

1832 წელს 9 დეკემბერს „საიდუმლო საზოგადოების“ ღალატით, გაცემასთან დაკავშირებით, დაატუსაღეს შეთქმულების მონაწილენი და სოლ. დოდაშვილს, როგორც შეთქმულების მთავარ ორგანიზატორს, მიესაჯა სიკვდილით დასჯა, ჩამოხრჩობით. მეფემ

ეს სასჯელი შეუცვალა ქ. ვიატკაში 10 წლით გადასახლებით, მაგრამ საქართველოში დაბრუნების სამუდამოდ აღკვეთით.

სოლ. დოდაშვილს ვიატკაში (ახლა ქ. კიროვი) ნება მისცეს ემსახურა გუბერნატორის კანცელარიაში, რომელშიც მაშინ მუშაობდნენ აგრეთვე იქ გადასახლებული რუსეთის დიდი დემოკრატი-რევოლუციონერი ალ. გერცენი და 1832 წლის შეთქმულების მონაწილე იოსებ მამაცაშვილი. ვიატკის გუბერნატორის კანცელარია, გერცენის სიტყვით, „საპყრობილეზე უარესი“ იყო, სავსე მექრთამე, ქურდი, თვალთმაქცი და გაიძვერა მოხელეებით. ამ მოშხამულ და შავ-ბნელ ატმოსფეროში მხოლოდ გერცენი და მამაცაშვილი იყვნენ, რომელთანაც სოლ. დოდაშვილს შეეძლო დაახლოვება და, მართლაც, მათ შორის ჩქარა დამყარდა მეგობრული ურთიერთობა. მაგრამ სოლ. დოდაშვილმა დიდხანს ვერ აიტანა გადასახლებულის მძიმე პირობებში ცხოვრება და ჩრდილოეთის მკაცრი ჰავა; დაავადმყოფდა, ფილტვების ტუბერკულოზის ჩქარი პროცესი გაეხსნა. დოდაშვილის დაავადების შესახებ ცოტა მოგვიანებით ალ. გერცენი იგონებდა: „მან ვერ აიტანა სუსხიანი ჰავა და უბოროტესმა ჭლექმა შეიპყრო. მე ვინახულე იგი რამდენიმე დღით ადრე სიკვდილამდე. ის ძლივსღა სუნთქავდა, მაგრამ მაინც ღრმა რწმენით მითხრა: ოღონდ გაზაფხულზე არ გავხდე უფრო ცუდად, თორემ შეიძლება ჭლექი შემექნესო“.*

1834 წ. ივლისში სოლომონ დოდაშვილმა ვიატკის გუბერნატორის საშუალებით სთხოვა მთავრობას სამხრეთის რომელიმე ობილ გუბერნიაში გადასახლება, მაგრამ ნიკოლოზ პირველმა არ შეიწყნარა ეს თხოვნა.

სოლ. დოდაშვილს დიდხანს აღარ უცოცხლია: 1836 წლის 16 აგვისტოს, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, 31 წლის ჭაბუკს, აღმოხდა მეამბოხე, მაგრამ ობოლი სული. ვიატკის ყრუ მიდამოს მიაბარეს მისი მგზნებარე გული, რომელიც უკანასკნელ წუთამდე ენთო სამშობლოს ცისა და თავისუფლების სიყვარულით.

—

სოლომონ დოდაშვილის საგანმანათლებლო და პედაგოგიკური იდეები მისი საზოგადოებრივ-რევოლუციური მოღვაწეობისა და აზროვნების ერთ-ერთ მთავარ მომენტს წარმოადგენს.

---

* Герцен, Полное собр. соч., III, 19.

მისი იდეალი იყო. თავისუფალი, რესპუბლიკური საქართველო. მეფის რუსეთის სუსხიანი, კოლონიური რეჟიმის პირობებში ამ იდეალის აშკარად გამჟღავნება ისევე ძნელი იყო, როგორც ბრძოლა მისი განხორციელებისათვის. მხოლოდ არალეგალური, ფარული გზით იყო საჭირო მისი დაწყება და სოლომონ დოდაშვილიც საჯარო გამოსვლებში და წერილებში ხშირად მიმართავს ქარაგმასა და ალეგორიას თავისი სოციალურ-პოლიტიკური იდეების გამოსახატავად. კერძო წერილებში კი, ახლობელ და საიმედო პირებთან, ის რამდენადმე უფრო თავისუფლად გრძნობდა თავს და ადვილად მისახვედრი ტონით ამჟღავნებდა თავის ზრახვებს. 1826 წლის დეკემბერში, პეტერბურგიდან თბილისში კეთილშობილთა სასწავლებელში გამოწვესების წინ, ის სწერდა ფილადელფოს კიკნაძეს, რომელიც პეტერბურგს აპირებდა გამგზავრებას: „ჩემს კერძო არა სასიამოვნოდ არის თქვენი აქ დაახლოება, მე ვაზმნობდი სხვასა რაისამე, და ოდეს მთავრობასთან სრულვაყოფ, მაშინ ძალმიძს ცნობად თქვენდა, რომელი აწცა მაქვს იგივე და მსურდა თქვენი მყოფობა ამის მიზეზისათვის საქართველოსა შინა. არა შესახებლად მისსა, სადაც მე მაწესებენ, არამედ სხვა აზმნობა არს სარგებლად მამულისა“.*

ეს წერილი იწერებოდა „1832 წლის შეთქმულების“ მზადების დასაწყის პერიოდში და ახლა ჩვენთვის ნათელია რა აზმნობა ჰქონდა მხედველობაში მის ავტორს, ხოლო გამოჩენილი ქართველი პატრიოტისა და ლიტერატორის ფილადელფოს კიკნაძის დარჩენა საქართველოში მას სურდა შეთქმულებაში მისი ჩაბმის შიზნით. მართლაც ფილადელფოსი, როგორც ვიცით, არამც თუ მარტო ჩაება საიდუმლო საზოგადოების შეთქმულებაში, არამედ მისი ერთ-ერთი ხელმძღვანელი გახდა.

სოლ. დოდაშვილისათვის ცხადი იყო, რომ პოლიტიკური ბრძოლა ხალხის თავისუფლებისა და თანასწორობისათვის უქმი იქნებოდა, თუ იგი არ დაუკავშირებდა ბრძოლას იმავე ხალხის განათლებისათვის. მისთვის ცხადი იყო, რომ გაუნათლებელი ხალ-

---

* „სოლ. დოდაშვილის წერილები“, ს. ხუციშვილის შესავალი წერილით და შენიშვნებით („მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“ II), 1945, 78.

ხი შეგნებულად ვერ დაუჭერდა მხარს პოლიტიკურ ბრძოლას თავისუფლებისათვის და ვერც ისარგებლებდა ამ ბრძოლის შედეგითა და მონაპოვარით. მისი აზრით, ყოველი საზოგადოების კეთილდღეობა და შემძლეობა დამოკიდებულია ხალხის განათლებაზე, მის (საზოგადოების) წევრთა კეთილ აღზრდაზე. სოლომონ დოდაშვილი 1832 წელს წერდა, რომ:

„განათლება არის უუმტკიცესი და უუსაიმედოესი საფუძველი კეთილმდგომარეობისა ყოვლისა საზოგადოებისა; ყოველმან უწყის, რომელ საზოგადოდოება შემდგარი კეთილაღზრდილთა წევრთაგან, შეიქმნების განწმედილს წყაროდ საერთა კეთილმოქმედებათა, დიდებისა და შემძლეობისა; მას შინა სცნობს წმინდა ეკლესია ჰეშმარიტთა ძეთა, მოქალაქეობა—მამულის მოყვარეთა, ხოლო მშობელნი—თავისა ნუგეშსა“.*

სოლ. დოდაშვილს ძალიან ფართოდ აქვს წარმოდგენილი განათლებისა და აღზრდის როლი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ცხოვრებაში. მისი აზრით, საზოგადოების მორალი, ღირსება და, საერთოდ, მომავალი პოტენციური შესაძლებლობანი განპირობებულია ამ საზოგადოების წევრთა განათლებით, მათი აღზრდით, მათი ზნეობრივი და გონებრივი მდგომარეობით, მათი იდეალებით. აქედან ნათელია ის დიდი ინტერესი, რომელსაც იჩენდა იგი ხალხის განათლებისა და ახალთაობათა სწავლა-აღზრდის მიმართ.

ამგვარად, სოლ. დოდაშვილი ჩვენ გვევლინება ყველაზე უფრო ადრეულ განმანათლებლად საქართველოში. ის, როგორც მაღალ-განათლებული ფილოსოფოსი და ფილოსოფიურ თხზულებათა ავტორი, კარგად იცნობდა ფილოსოფიის ისტორიას, მისთვის ცნობილი იყო დასავლეთისა და, კერძოდ, XVIII ს. ფრანგ მატერიალისტ-განმანათლებელთა (დალამბერი, დიდრო, ჰოლბახი) იდეები, აშასთან ის, როგორც პეტერბურგის უნივერსანტი, უფრო ახლოს იცნობდა რუსეთის ადრეულ განმანათლებლებს ა. რადიშჩევს, ნ. ნოვიკოვს, ი. პნინსა და სხვებს. მაგრამ სოლ. დოდაშვილის გზა დამოუკიდებელია, მისი განმანათლებლობა ორიგინალური ხასიათისაა. ის გამოდის არა აბსტრაქტული ადამიანისა და წმინდა გონების პრინციპიდან, არამედ ქართული

* „სალიტერატურო ნაწილში ტფილისის უწყებათანი“, № 2, 1832.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისა და პოზიტივური ცოდნის მიზნებიდან. დ ო დ ა შ ვ ი ლ ი 1828 წელს ამბობდა, რომ „აწინდელსა დროსა მამულისა ჩვენისათვის დიდ ფრიად საჭიროარს სწავლა“.* მაგრამ ეს არ არის ზოგადი ფრაზა. ის გარკვეულად აღნიშნავს რატომ სწორედ ა წ ი ნ დ ე ლ მ ა დრომ (ე. ი. XIX ს. დასაწყისმა პერიოდმა) წარმოშვა სწავლა-განათლების განსაკუთრებული საჭიროება და როგორი უნდა იყოს განათლებული ადამიანი. სოლომონ დოდაშვილი არა სდგას წმინდა რ ა ც ი ო ნ ა ლ ი ზ მ ი ს საფუძველზე და ამით ეთიშება დასავლეთის განმანათლებელთა უმრავლესობას. ის არ სწყდება ე მ პ ი რ ი უ ლ სინამდვილეს ადამიანის დანიშნულებისა და მისი განათლების შინაარსის გარკვევის საქმეში. სოლომონ დოდაშვილისათვის უცხო და მიუღებელია ე. წ. განათლებული აბსოლიუტიზმი, რასაც თავგამოდებით იცავდა დასავლეთის ზოგიერთი განმანათლებელი (ვოლტერი, მონტესკიე და სხვ.). დოდაშვილის განმანათლებლობის განსაკუთრებით დამახასიათებელი თვისებაა ხალხურობა, პატრიოტიზმი და ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სამსახური. მართალია, ეს დამახასიათებელია რუსეთის ადრეულ-განმანათლებელთათვისაც (მაგ., რადიშჩევი), მაგრამ დოდაშვილის პატრიოტიზმი,—როგორც კოლონიურ პირობებში ჩაყენებული სამშობლო მხარის დაპყრობიდებლობისა და პოლიტიკური თავისუფლების, დედაენისა და ეროვნული უფლებების დაცვა,—მაინც თავისებურია და სპეციფიკურ-ქართველური.

XIX ს. დასაწყისი პერიოდის ქართული განათლების უახლოეს ამოცანად სოლ. დოდაშვილს მიაჩნდა მისი აყვანა ევროპული განათლების დონემდე. ამას სთვლიდა იგი პირველ რიგში ქართველი ახალგაზრდობის ეროვნულ, პატრიოტულ საქმედ. მაგრამ რა იყო საჭირო იმისათვის, რომ საქართველოს სახალხო განათლება და კულტურა ამაღლებულიყო აღნიშნულ დონემდე? ქართული მეცნიერებისა და ლიტერატურის განვითარება, პერიოდული პრესისა და საერთოდ ბეჭდვითი საქმის გაფართოება, სკოლების ქსელის გაშლა, ბიბლიოთეკის დაარსება.

ევროპული განათლებისათვის ბრძოლის პროგრამით დაიწყო სოლ. დ ო დ ა შ ვ ი ლ მ ა პირველი ქართული ჟურნალის „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“-ს გამოცემა.

---

* წერილები, III.

„შესაწევნელად განათლებისა, განვრცელებისათვის ბუნებითისა ენისა ჩვენისა და მიახლოვებისათვის განბრძნობილთა მცხოვრებთა ევროპიისათა“.*

მაგრამ არა მარტო სალიტერატურო ორგანოს უსახავდა იგი ასეთ მიზანს. განათლების „შეწევნის“, და ევროპული კულტურით შეიარაღების ამოცანას აყენებდა იგი ქართველი მოსწავლე ახალგაზრდობის წინაშეც, განსაკუთრებით კი რუსეთში უმაღლესი განათლების მისაღებად მიმავალ ქართველ სტუდენტთა წინაშე. განათლების ყველაზე უფრო მსხვილ ცენტრად რუსეთში მას მიაჩნდა ქალაქი პეტერბურგი „სადაცა საყვარელნი მემამულენი (თანამემამულენი—გ. თ.) ჩვენნი იმკიან განათლებასა და მდიდრებთან ცნობათა მიერ“.** პეტერბურგის უმაღლესი განათლება, როგორც აღვნიშნეთ, თვით დოდაშვილმაც იგემა და, საკუთარი გამოცდილების საფუძველზე, სამართლიანად მიაჩნდა იგი ევროპული განათლების მზედ; 1832 წელში ის იმედს გამოსთქვამდა, რომ:

„შესაძლებელი არს, რომელ მზისა მაგის ნაპერწკალი მცირე-მცირედ განვრცელდეს და ოდესმე აღვიდეს მაღალსა ხარისხსა ზედა სრულებისასა“.*

სოლომონ დოდაშვილი დარწმუნებული იყო, რომ უმაღლესი განათლების მზის სხივები საქართველოსათვის ყველაზე უფრო ეფექტიანად შეეძლო ეტყორცნა რუსეთის უმაღლეს სკოლებში მოსწავლე ქართველ სტუდენტობას, თუმცა მისი რიცხვი 30-იან წლებში ჯერ კიდევ ძალიან მცირე იყო. სოლ. დოდაშვილი სპეციალური წერილებით ამხნევებდა პეტერბურგის ქართველ სტუდენტებს „სწავლათა შინა, რომელთაგანაც მამული ჩვენი მოელის ბედნიერებასა“.**

მამულის ანუ სამშობლოს სამსახური და მშობლიური ხალხის განათლების ინტერესები უნდა ყოფილიყო ქართველი ახალგაზრდობის მაცოცხლებელი ძალა. ასეთი გრძნობით, პირველ ყოვლისა, თვით სოლომონი იყო ანთებული და არც ფარავდა იგი ამ გრძნობას. ჯერ კიდევ პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტად ყოფ-

---

* „სალიტ. ნაწ. ტუ. უწყებათანი“, № 5, 1832.
** იქვე, № 2.

ნის დროს, 1826 წლის ნოემბერში, სწერდა იგი თბილისში თავის სულიერ მამას იონა ხელაშვილს:

„ვიკრეფ სიბრძნესა მამულისათვის..., არა თავისა თავისათვის მხოლოდ, გინა ბედნიერებისათვის ვეჰმუშაობ, არამედ სიყვარულისათვის მამულისა, რათა ევროპამან ოდესმე ჰსცნას ივერია საშუალებითა წერილთა სარწმუნოთა". *

მართლაც, რომ ბრძნულია ახალგაზრდა, 21 წლის ყმაწვილის მსჯელობა. ევროპას შეეძლო ეცნო საქართველო მხოლოდ „სარწმუნო" სამეცნიერო და ლიტერატურული ნაშრომებით („წერილებით"), რომელიც ქართულ ენაზე უნდა შექმნილიყო, იმ კულტურული ძეგლებით, რომელიც ქართველ ხალხს უნდა მიეწოდებინა მსოფლიოსათვის, იმ მაღალ-განათლებული პირებით, რომლებიც გამოაჩენდნენ და სახელს მოუხვეჭდნენ თავის სამშობლოს. სოლომონ დოდაშვილმა კარგად იცოდა, რომ ევროპის მიერ ივერიის ცნობა დიდს არაფერს შესძენდა ამ უკანასკნელს, მაგრამ თვით ეს შესაძლო ფაქტი (ცნობა) იქნებოდა იმის მომასწავებელი, რომ საქართველო ავიდა ევროპული კულტურის სიმაღლეზე, რაც იმ დროს მოწინავე ქართველთა და პირველ რიგში თვით დოდაშვილის უახლოეს ამოცანას წარმოადგენდა.

• სოლომონ დოდაშვილი თავისი საზოგადოებრივ-კულტურული იდეალებით, საერთოდ, და, კერძოდ კი, თავის აზრებით განათლების როლის შესახებ შეიძლება უყოყმანოდ მივიჩნიოთ XIX საუკუნის დასაწყისი პერიოდის განმანათლებლად. მის საგანმანათლებლო მოღვაწეობასა და იდეებს, თუ მთლიანად არა, ძირითადად მაინც შეესაბამება ვ. ლენინის მიერ მოცემული კლასიკური დახასიათება განმანათლებლისა. პირველი დამახასიათებელი თვისება რუსეთის XIX ს. 40—60-იანი წლების „განმანათლებლებისა", ლენინის აზრით, — არის „ფიცხელი მტრობა ბატონ-ყმობისა და ყოველი მისი წარმონაქმნისა ეკონომიურ, სოციალურ და იურიდიულ სფეროში", მეორე—„მხურვალე დაცვა განათლებისა, თვითმმართველობისა, თავისუფლებისა, ცხოვრების ევროპული ფორმებისა და, საერთოდ, რუსეთის ყოველმხრივი ევროპიზაციისა" და მესამე —

* წერილები, 74.

„დაცვა ხალხთა მასების, უმთავრესად გლეხობის ინტერესებისა“.* მართალია, სოლომონ დოდაშვილს თავისი დამოკიდებულება ბატონ-ყმობის ინსტიტუტისადმი ოფიციალურად და ფორმალურად არ გამოუთქვამს, მაგრამ მისი ცხოვრება და აზროვნება ამტკიცებს, რომ ფაქტიურად მას მთელი თავისი არსებით ეზიზღებოდა იგი. რაც შეეხება ლენინურად გაგებული განმანათლებლის მეორე და მესამე თვისებებს, ესენი საკუთარი, ყოველი პირობის გარეშე, შეესაბამება სოლომონ დოდაშვილის განმანათლებლობას ისევე, როგორც მის „ზაპადნიკობას“.

ამგვარად, შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ სოლომონ დ ო დ ა შ ვ ი ლ ი იყო XIX საუკუნის საქართველოს ყველაზე უფრო ადრეული განმანათლებელი და ამავე დროს, თავისი მისწრაფებით, ევროპული განათლებისა და კულტურისადმი, ის იყო პირველი „ზაპადნიკი“ საქართველოში და ერთი პირველთაგანი რუსეთის მთელ იმპერიაში.

—

როგორი იყო ახალი თაობის აღზრდა-განათლების მიზანი და შინაარსი სოლ. დოდაშვილის მიხედვით?

სპეციალური პედაგოგიური ხასიათის ნაწერები ამ საკითხებზე მას არა აქვს, მაგრამ მისი შრომებიდან საკმაოდ ნათლად სჩანს როგორც აღზრდისა და სწავლა-განათლების, ისე სკოლის მიზნები და ამოცანები.

ყოველი ადამიანის „საკუთრივ ადამიანურ“ თვისებას, სოლ. დოდაშვილის აზრით, წარმოადგენს ლტოლვა ჰარმონიისაკენ, მთლიანობისაკენ. ეს ჰარმონია და მთლიანობა ძევს როგორც თვით მასში — სუბიექტში, ისე მის გარეთ — ბუნებაში. ადამიანში არსებული ჰარმონია. არის ერთიანობა კანონებისა, რომელთაც მისი განვითარება ექვემდებარება, ხოლო ჰარმონია ბუნებაში — ერთიანობა კანონებისა, რომელნიც სამყაროს მოვლენათა „უსაზღვრო ჯაჭვსა“ და მისი განვითარების საფუძველს წარმოადგენენ. ადამიანის ლტოლვა ანუ მისწრაფება ამ ჰარმონიისაკენ, დოდაშვილის აზრით, არის ადამიანის გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს პროცესი, ხოლო წვდომა ანუ შეცნობა აღნიშნული ჰარმონიისა — განვითარების მ ი-

* Л е н и н, II, 331 (მესამე გამოც.).

ზ ა ნ ი. „ვინც ადამიანს დაკვირვებია, — წერს დოდაშვილი, — მან იცის, რომ იგი მიილტვის რა ჰარმონიისაკენ თავისი ბუნებით, შეუწყვეტლად ეძებს მას აგრეთვე გარე ბუნებაშიც“.*

დოდაშვილი გრძნობს ადამიანის ერთიანობას მატერიალურ ბუნებასთან. ის ფიქრობს, რომ ადამიანის შინაგანი, საკუთარი. ბუნების გასაღები, საერთოდ, გარეშე ბუნებაში ძევს; აქვე უნდა ვეძიოთ წყარო, კერძოდ, მისი სულიერი ცხოვრებისა:

„გ რ ძ ნ ო ბ ა შ ი ა რ ა ფ ე რ ი ა ი ს ე თ ი, რ ა ც ა რ ა რ ი ს ნ ი ვ თ ი ე რ ბ უ ნ ე ბ ა შ ი; გამოცდილება ცხადად ამტკიცებს ამ ჭეშმარიტებას“.** ეს ცნობილი მატერიალისტური დებულება, რომელიც დოდაშვილს სრულიად მართებულად მიაჩნია გამოცდილებით დამტკიცებულ ჭეშმარიტებად, წარმოადგენს, მისი აზრით, ადამიანისა და ბუნების ერთიანობის საფუძველს, და ამავე დროს განაპირობებს ადამიანის მისწრაფებას მთლიანობისაკენ.

ლტოლვა ჰარმონიისაკენ, როგორც აღვნიშნეთ, ყველა ადამიანის დამახასიათებელი თვისებაა და ამდენად ყველა ნორმალური ადამიანი ექვემდებარება განვითარების პროცესს; მაგრამ მიზნის მიღწევა ყველას ხვედრი არაა. დოდაშვილი აღნიშნავს, რომ ადამიანისა და ბუნების ჰარმონიის წვდომა მოითხოვს „გარკვეული ადამიანური ცოდნის ს ი ს ტ ე მ ა ს“ ანუ მეცნიერებას, ფილოსოფიას, რომელიც „არავისათვის არ არის თანდაყოლილი; ის შეძენილ უნდა იქნეს საკუთარი გონების ძალით, საკუთარი მოღვაწეობით“.*** და აი, ეს პროცესი „ადამიანური ცოდნის სისტემის“ შეძენისა ესმის სოლომონ დოდაშვილს როგორც პროცესი აღზრდა-განათლებისა.

რა შეადგენს „ადამიანური ცოდნის“ ანუ მეცნიერების შინაარსს, რომლისაკენაც უნდა მივყავდეთ სწავლა-განათლებას? ა დ ა მ ი ა ნ ი და ბ უ ნ ე ბ ა. მაგრამ რას გულისხმობს ადამიანის ან ბუნების წვდომა? სოლ. დოდაშვილი აღნიშნავს, რომ:

„ჩ ა ვ ს წ ვ დ ე თ ს ა კ უ თ ა რ თ ა ვ ს (ხაზი ავტორისაა, გ. თ.) ნიშნავს ბეჯითად გავსაჯოთ ჩვენს შინაგან მოვლენათა შესახებ,

---

* Сол. Додаев-Магарский, Курс философии, ч. I, Логика, I, 1827.

** იქვე, 24.

*** იქვე, 111.

გავხადოთ რა ჩვენი თავი კ ვ ლ ე ვ ი ს უ შ უ ა ლ ო ს ა გ ნ ა დ. შეცნობა საკუთარი თავისა სხვა არაფერია, გარდა უნარისა მართებულად ვიმსჯელოთ მთელი ჩვენი მოქმედი ძალის შესახებ, ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენთვის ცნობილი გახდება ჩ ვ ე ნ ი ბ უ ნ ე ბ ი ს მოქმედების კანონები, მათი საზღვარი და მიზანი"...*

ამგვარად, ადამიანის არსის შეცნობისათვის საჭიროა მისი შინაგანი მოვლენების, მისი ბუნების კანონების ცოდნა, მისი ფსიქოლოგია. ეს არის ერთი მხარე ადამიანის სწავლა-განათლებისა. მეორე მხარეს წარმოადგენს გარეშე ბუნების ანუ მატერიალური სამყაროს შეცნობა.

„სამყარო არის ურთიერთობათა სისტემა, რომელშიც ყოველივე გაზომილი, აწონილი და გამოანგარიშებულია; ყველაფერი შეკრულია მიზეზთა და შედეგების, საშუალებათა და მიზნების უწყვეტი კავშირით; ყველაფერი ემორჩილება უცვლელ წესებს, მუდმივ კანონებს".**

მხოლოდ ამ კაუზალური თვალსაზრისით მიაჩნია სოლ. დოდაშვილს როგორც გარეშე, მატერიალური, ბუნების, ისე ადამიანის შინაგანი ბუნების მეცნიერული შესწავლა. ყოველ კანონზომიერებას ბუნებასა და ადამიანში აქვს მიზეზობრივი ურთიერთობის ხასიათი და ეს გარემოება, დოდაშვილის აზრით, გვიადვილებს ჩვენ მათ (ბუნება, ადამიანი) ახსნასა და შეცნობას, მაშასადამე სხვისთვის განმარტებასა და სწავლებასაც. სოლ. დოდაშვილის აზრით, სამყაროს მრავალი მოვლენა და მათი ურთიერთობის მრავალი კანონი არ არის ჩვენთვის ცნობილი, მაგრამ მთელი რიგი უცნობი მოვლენებისა და კანონების არსებობა იგულისხმება ცნობილ მოვლენებსა და კანონებთან მათი პოტენციალური ურთიერთობით. ამასთან დაკავშირებით ის აღნიშნავს, რომ „მსოფლიოს კანონების არცოდნა ჯერ კიდევ არ გვაძლევს უფლებას უარვყოთ მათი არსებობა".** ეს მატერიალისტური თეზისი (ნივთების არსებობა ჩვენი ცნობიერების გარეშე) გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ მისი ავტორის მიხედვით დღეს უცნობი მოვლენა შეიძლება ხვალ ნაცნობად ვაქციოთ სწავლა-განათლების საშუალებით. ეს გარემო-

---

* Логика, §§. IV.

** იქვე, 2.

ება ნათლად მიგვითითებს ჩვენ შემეცნებისა და სწავლების ერთიანობისა და სხვაობის პრინციპზე. შემეცნებას ისე, როგორც სწავლას და სწავლებას მივყევართ ცოდნისაკენ, მეცნიერებისაკენ; მაგრამ შემეცნება, როგორც ვიცით, გულისხმობს ჯერ ჩვენთვის უცნობის, ჩვენი ცნობიერების გარეშე არსებულის აღმოჩენას და გაცნობიერებას, სწავლება კი — უკვე აღმოჩენილის და გაცნობიერებულის გადაცემას ანუ სწავლებას მეორისათვის. სოლომონ დოდაშვილი ფიქრობს, რომ უცნობის გადაქცევა ნაცნობად წარმოადგენს პროცესს საგნის შეგრძნებიდან წარმოდგენისა და ცნებისაკენ. ეს პროცესი მკვლევარისათვის არის შემეცნება, ხოლო მოსწავლისათვის სწავლა; შემეცნება — დამოუკიდებელი კვლევისა და აზროვნების გზაა, სწავლა კი — განპირობებულია სწავლებით (მასწავლებლით) ან შესასწავლი საგნებით და მოვლენებით.

განათლების შინაარსს სოლომონ დოდაშვილის მიხედვით, როგორც ვიცით, მეცნიერული ცოდნა განსაზღვრავს, ხოლო თვით მეცნიერული ცოდნის ანუ, უკეთ, მეცნიერების შინაარსს კი მისი საგანი. „სამყარო, როგორც მოვლენა, — წერს დოდაშვილი, — არის ურიცხვი სხვადასხვაობა მრავალი საგნებისა მათი ურთიერთობით; მათი მრავალგვარობა უეჭველად წარმოშობს მრავალგვარობას აზროვნების წესებისა, რომელნიც არიან რა რამდენადმე დამოკიდებული თვით საგნების კერძო თვისებათაგან, ბუნებრივად წარმოადგენენ ნაწილობრივს, შემთხვევითს (ხაზი ავტორისაა — გ. თ.), გამოსადეგს მხოლოდ გარკვეულ საგანთა გვარისათვის, მაგალითად, ისტორიულ, მათემატიკურ და სხვ. ეკრებთ რა ამ წესებს, რომლებიც შეეფარდებიან შეცნობადის ცალკეულ დარგებს, შეგვიძლია მივიღოთ აზროვნების ცალკეული მეცნიერება თითოეული მათგანისათვის“.*

რამდენადაც სოლ. დოდაშვილისათვის შეცნობადის ორი ძირითადი სამყარო — ადამიანი და ბუნება — წარმოადგენენ ჩვენი შემეცნებისა და სწავლების ორ ძირითად ობიექტს, იმდენად ის გულისხმობს მეცნიერებათა ორ ძირითად ჯგუფს: ჰუმანიტარულს და საბუნებისმეტყველოს. მაგრამ „სიმრავლე და მრავალგვარობა“ დარგებისა, რომელნიც აღნიშნულ ორ ძირითად სამყა-

* Логика, 4.

როში არსებობენ, თავის მხრივ გულისხმობენ მრავალ სხვადასხვა მეცნიერებას ყოველი ამ ცალკე დარგის შესახებ.

მაგრამ მას ცალკე აქვს გამოყოფილი „ფილოსოფიური სწავლანი" და ფილოლოგია. „ფილოსოფობა ჩვენი — წერდა დოდაშვილი... მდგომარეობს თეორიასა შინა, პრაქტიკასა და ესთეტიკასა: პირველი არს ცნობა, მეორე ქცევა და მესამე ხელოვნება; კვალად იგივე პირველი, ე. ი. თეორია არს სწავლა გონებისა, მეორე გულისა და მესამე გრძნობისა". ამის მიხედვით თეორიაში ის გულისხმობს ლოგიკას, ფსიქოლოგიას და მეტაფიზიკას, პრაქტიკაში — „ზნეობითი სწავლას (ეთიკა)", სამართალსა და რელიგიას, ესთეტიკაში — გემოვნებას, მჭერმეტყველებასა და პოეზიას. „სადა არს სულისათვის სწავლა?", კითხულობს დოდაშვილი, და უპასუხებს: „იგი არს ფსიხოლოგიასა შინა".* განსაკუთრებით ამახვილებდა იგი ყურადღებას ენისა და საერთოდ სიტყვიერების სწავლებასა და შესწავლაზე, ვინაიდან ამ გზით მდიდრდება და ვითარდება ეს მეცნიერება, ხოლო „სიმდიდრე ენისა არს სიმდიდრე გულის-ხმისყოფისა... და წარმატებანი ენისა და სიტყვიერებისანი ჰმოწმობენ აღმატებასა ერისასა".** საერთოდ კი, სოლომონ დოდაშვილის მართებული აზრით, მიდრეკილება განათლებისადმი და „წარმატებანი სწავლათანი ჰმოწმობენ საზოგადოდ აღმატებასა კაცობრივისა". ამის შედეგად „გამოცხადდებიან ხარისხნი განათლებისანი, აღივსებიან გრძნობანი, გავრცელდებიან სიმრგვალენი გონებისანი შეხედვითა მოქმედებულთა მშვენიერებათადმი".**

აი, ეს მეცნიერებანი წარმოადგენენ განათლების შინაარსს, ხოლო მათი შესწავლა, დაუფლება — მიზანს.

სოლ. დოდაშვილი წერს, რომ „ყოველი მეცნიერების შინაარსი დამოკიდებულია მის იდეასაგან" და სწორედ ამ იდეას გამონახვა მიაჩნია მას პირველ აუცილებელ პირობად მეცნიერების შესწავლის (ან სწავლების) დაწყებისათვის და მისი შინაარსის ადვილად გაგებისა და გაგებინებისათვის.

ამგვარად არკვევს სოლ. დ ო დ ა შ ვ ი ლ ი ახალგაზრდა ადამიანის განათლების მიზანს, რაც მისი საზოგადოებრივი დანიშნულებით აქვს განპირობებული. მხოლოდ ამგვარად გაგებული მი-

---

* წერილები, 133.

** იქვე, 63.

ზანი შეესაბამება ადამიანის მისწრაფებას განათლებისაკენ. მისი მიღწევის რეალური უზრუნველყოფით, სოლ. დოდაშვილის აზრით, „შევქმნით ჩვენ ჰარმონიულ მოღვაწეობას, მივმართავთ რა მას ჩვენი დანიშნულებისაკენ.“*

—

აღზრდისა და სწავლა-განათლების მიზნების გარკვევასთან ერთად სოლ. დოდაშვილს არ შეიძლებოდა უყურადღებოდ დაეტოვებინა თვით ობიექტი აღზრდისა ანუ ბავშვი. ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ ადამიანის შესწავლა ანუ „წვდომა“— დოდაშვილის ტერმინი. რომ ვიხმაროთ — ნიშნავს „ჩვენი შინაგანი (ჩვენ შიგნი მიმდინარე) მოვლენების“, „მთელი ჩვენი მოღვაწეობის ძალის“, „ჩვენი არსის მოქმედების კანონების“ ცოდნას. მხოლოდ ამის შემდეგ მიაჩნია მას შესაძლებლად ლაპარაკი ადამიანზე (ბავშვზე) სათანადო ზეგავლენის ფორმებისა და მისი სწავლების მეთოდების შერჩევის შესახებ. აღნიშნული შინაგანი მოვლენები და მოქმედების კანონები, დოდაშვილის სრულიად მართებული აზრით, თავს იჩენენ ადამიანის მოღვაწეობაში, მის ქცევაში, ხასიათში. მაგრამ დოდაშვილს, პირველ ყოვლისა, აინტერესებს ადამიანი (ან ბავშვი) არა საერთოდ, უკეთ, არა ზოგადკაცობრიული ხასიათი ადამიანისა, არამედ ქართველი ადამიანი, ქართველი ბავშვი და ეს სავსებით გასაგებია: ის სახავს თავის თანამემამულე, ქართველი ბავშვების აღზრდისა და სწავლა-განათლების მიზნებს და უეჭველია მას ამავე ეროვნების ბავშვი და მისი შესწავლა აინტერესებს. მაგრამ ჯერ ვნახოთ როგორ თვისებათა მატარებელია ქართველი საერთოდ, რომ შემდეგ შეგვეძლოს ვიმსჯელოთ ამის მიხედვით ქართველ ბავშვებზე:

„ბუნებამან არ უარგვყო ზნეობითა და ფიზიკურთა ნიჭთა შინა თვისთა. მამული ჩვენი ნაყოფიერ არს. ჰაერი კეთილგანხმული და შეზავებული. თვისებანი გონებისა და გულისანი არიან მიუღებელნი (განუშორებელი—გ. თ.) ღირსებანი, მსგავსად შვილთა ძველისა ელადისათა. გარნა არა განხმულ იყო ჭურჭელი მდიდრისა ბუნებისა, არა ძალგვედვა სარგებლობა ნიჭთა მიერ მისთა და გონებითთა მოქმედებათა ჩვენთა მარადის შეუდგებოდა. საჭიროებანი გა-

* Логика, стр. IV.

რემოებათანი და არა იწარმოებდა თავისი უფლებით სული, წმინდა სიყვარული სწავლათა, სიბრძნის მოყვარეობითი კვეთება სრულებისადმი ზნეობითისა ბუნებისა. ჩვენისა".*

ამგვარად, ს ო ლ. დ ო დ ა შ ვ ი ლ ი აღიარებს, რომ ჩვენი ხალხი დაჯილდოებულია მორალური, ინტელექტური და სენსუალური ნიჭით და შემკულია ფიზიკური ღირსებით ძველი ელადის შვილების მსგავსად. მაგრამ თუ მას დახშული ჰქონდა თავისი მდიდარი ბუნების საგანძური, ვერ სარგებლობდა თავისი ნიჭით, თუ მის გონებრივ მოღვაწეობას მუდამ თან სდევდა შემბორკავი საჭირბოროტო გარემოებანი, არ ვითარდებოდა თავისუფლად მისი სული, წმინდა სიყვარული სწავლა-განათლებისადმი და სიბრძნისმოყვარული მისწრაფება ჩვენი ზნეობრივი ბუნების სისრულისადმი — ეს იმიტომ კი არ ხდებოდა, რომ მას არ ჰქონდა ეს თვისებები და საამისო უნარი, არამედ იმიტომ, რომ მას „არა ძალედვა", ე. ი. წართმეული ჰქონდა საამისო ძალა-უფლება (და თუ გავიხსენებთ, რომ სოლ. დოღაშვილი ამას წერდა 1832 წელს, შეთქმულების წინ, გასაგები გახდება მისი სააგიტაციო, მოწოდებითი მნიშვნელობა).

როგორც ვხედავთ, სოლომონ დოდაშვილი მოითხოვდა ჩვენი ახალგაზრდობისაგან ბრძოლით აღედგინა სულის თავისუფლება, განევითარებინა წმინდა სიყვარული სწავლისადმი და გონივრული მისწრაფება მაღალი, სრულქმნილი ზნეობისაკენ.

აღნიშნული ეროვნული თვისებები ქართველი ხალხისა, სოლომონ დოდაშვილის აზრით, ახასიათებს ყველა ქართველს და, მაშასადამე, ქართველ ახალგაზრდობასაც. მაგრამ ჩვენ ასაღზრდელ და გასანათლებელ თაობას ამას გარდა სჭირდება კიდევ ისეთი თვისებები, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ მომზადებას მომავალი მოღვაწეობისათვის. ასეთი თვისებები სოლ. დოდაშვილის მიხედვით არის: „მ ი დ რ ე კ ი ლ ე ბ ა გ ა ნ ა თ ლ ე ბ ი ს ა დ მ ი ზ რ ა ხ ვ ი ს ა, ძ ი ე ბ ა ჭ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ი ს ა და ც ნ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს ნ ე ბ ი ს ა", ც ნ ო ბ ი ს მ ო ყ ვ ა რ ე ო ბ ა ა ნ უ ი ნ ტ ე რ ე ს ი და სურვილი. ეს თვისებები ყველა ახალგაზრდას გააჩნია და აიხსნება მათი შინაგანი მისწრაფებით ფიზიკური და სულიერი განვითარებისადმი. ესაა მისწრაფება ზრდისაკენ, და ბუნებრივიცაა, რომ მ ო ზ ა რ დ ს ჰქონდეს მისწრაფება ზ რ დ ი ს ა კ ე ნ, სხვანაირად მოზარდი არ

* „სალიტ ნაწ. ტფილ. უწყებათაკანი", № 2, 1832.

წარმოიდგინება, მაგრამ სოლომონ დოდაშვილი ფიქრობს, რომ ეს მისწრაფება ასაღზრდელისათვის ყოველთვის არ არის გაცნობიერებული და ხშირად სტიქიურად მიიმართება. ამ შემთხვევებში მოზარდის შინაგანი მისწრაფება განვითარებისადმი და მისი დანიშნულება ანუ მისი აღზრდის მიზანი არამც თუ არ არიან შესაბამისი, არამედ შეიძლება სრულებით ეწინააღმდეგებოდნენ ერთმანეთს. აქედან გამომდინარე, სოლ. დ ო დ ა შ ვ ი ლ ი მოითხოვს მოზარდის შესწავლას, მის გადაქცევას, როგორც თვითონ ამბობს, — „კვლევის უშუალო საგნად", რათა გამომჟღავნდეს მისი ყველა თვისება, გაცნობიერებულ იქნეს მისი შინაგანი, ბუნებრივი მისწრაფება განვითარებისადმი და ამის შედეგად მოხდეს ამ მისწრაფების მ ო წ ე ს რ ი გ ე ბ ა და მიზანშეწონილი დაქვემდებარება აღზრდის მიზნებისადმი.

დოდაშვილი წერს, რომ ადამიანის „შინაგანი იდეალური ცხოვრება თავისთავად და თავის მოვლენებში, ისე როგორც ორგანიული და ცხოველური არსებობა, არ შეიძლება და არც უნდა იყოს უმწყობრო და უწესრიგო. აქ არის ერთგვარი აუცილებელი წესდებანი, რომლებიც დიდხანს რჩება ფარული გამოუცდელი ხედვისათვის, მაგრამ დაკვირვება გვიჩვენებს მათ, განყენების ძალა მოაქცევს მათ ცნებებში და წარმოგვიდგენს ზუსტ ფორმებში".*

ამგვარად, სოლომონ დოდაშვილის მიხედვით, ადამიანის შ ი ნ ა გ ა ნ ი იდეალური ცხოვრება მჟღავნდება მის (ცხოვრების) მოვლენებში, რომლებიც თავის მხრივ ადამიანის მოღვაწეობის ფორმებში გამოიხატებიან. ჩვენ შეგვიძლია დ ა კ ვ ი რ ვ ე ბ ი ს მეთოდით შევისწავლოთ მხოლოდ ეს მოვლენები და ეს კი მოგვცემს უტყუარ წარმოდგენას თვით შინაგან ცხოვრებაზე თ ა ვ ი ს თ ა ვ ა დ. მოზარდი ადამიანის მისწრაფება განვითარებისაკენ მისი შინაგანი იდეალური ცხოვრების უმთავრესი ნაკადია და თუ ამ ცხოვრების მოვლენები გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევენ თვით შინაგან ცხოვრებაზე, — ცხადად შეგვიძლია აღნიშნული მისწრაფების ბუნებაც გავიგოთ, მოვახდინოთ მისი განყენება ჩვენს წარმოდგენაში და წავმართოთ მწყობრად და მოწესრიგებულად, ადამიანის საზოგადოებრივი დანიშნულების ანუ მისი აღზრდის მიზნის მიხედვით.

---

* Логика, 5.

ასეთია სოლომონ დოდაშვილის შეხედულება მოზარდი ადამიანის შინაგანი, ფსიქიკური ბუნებისა და მისი შესწავლის მეთოდის შესახებ.

—

არ შეიძლება არ აღინიშნოს სოლომონ დოდაშვილის მოძღვრების კიდევ ერთი საუკეთესო მხარე. ეს არის თეორიისა და პრაქტიკის მჭიდრო კავშირის აღიარება. რამდენადაც ადამიანის ცოდნა მის მოღვაწეობაში ვლინდება და ისე მკაფიოდ, რომ უკანასკნელის მიხედვით ვმსჯელობთ მის შესახებ, იმდენად ეს მოღვაწეობა, როგორც აღვნიშნეთ, წარმოადგენს ადამიანის ქცევას, რომელშიც თავს იჩენს როგორც მისი ცოდნა, ისე ცოდნის გამოყენების შედეგი. სოლომონ დოდაშვილი არ ანსხვავებს ადამიანის ქცევას მისი მოღვაწეობის პრაქტიკისაგან: პრაქტიკა და ქცევა მისთვის ერთი და იგივეა,* ვინაიდან ორივე მათგანი გამოყენებითი მნიშვნელობის მოქმედებას წარმოადგენს.

ერთ წერილში იონა ხელაშვილისადმი სოლომონი აღნიშნავს, რომ „ყოველნი მოქმედებანი ჩემნი იმყოფების თეორიულისა ჭეშმარიტებასა შინა დაფუძნებულ, გარნა... პრაქტიკებრსა შინა აღმოჩნდების... თვისად დროსა“.** თეორიულ ჭეშმარიტებაზე დაფუძნებული მოქმედება ინტელექტური პროცესია, რადგანაც მისი უეჭველობა ჯერ კიდევ მოითხოვს ცდით შემოწმებულ საზომს. მაგრამ, თეორიული მოქმედების ჭეშმარიტობის საზომი, სოლომონ დოდაშვილის აზრით, არის მისი პრაქტიკული დანიშნულება, რომელიც ან მორალურ ნორმას უნდა ქმნიდეს ან მატერიალურ ღირებულებას. დოდაშვილი მოითხოვდა ახალგაზრდათა სწავლა-განათლების ისე წარმართვას, რომ მათი თეორიული ცოდნა მომავალში „პრაქტიკებრსა შინა აღმოჩნდეს“.

—

ახალგაზრდობის სწავლა-განათლების მიზნების პრაქტიკულ განხორციელებას სოლ. დოდაშვილი უმთავრესად აკისრებდა სკოლას. ის აღნიშნავდა, რომ „სარწმუნო“ მეცნიერულ-ლიტერატურული ნაშრომების შექმნის უნარის მქონე ახალგაზრდობის მომ-

* წერილები, 132.
** იქვე, 74

ზადება სწორედ სკოლამ უნდა შესძლოს, რადგანაც სკოლას უფრო შეტი საამისო საშუალებანი მოეპოება, ვიდრე ოჯახს ან სხვა დაწესებულებას. მას ახარებდა საქართველოსა და ამიერკავკასიაში სკოლების რიცხვის ოდნავი ზრდაც კი, ვინაიდან „მოწაფენი, რომელნიცა აწ იზრდებიან ხსენებულთა სასწავლებელთა შინა აღგვითქვამენ ფრიად მრავალსა სარგებლობისათვის მამულისა“.* მაგრამ 20—30-იანი წლების საქართველოს სასწავლებელთა რაოდენობა ისე მცირე იყო და ისე მოუწყობელი, რომ სრულებით ვერ აკმაყოფილებდა სწავლის მსურველებს ვერც რიცხვით, ვერც სწავლების ხარისხით. ასე, მაგალითად, 1827 წელს, თბილისში დაბრუნებისთანავე, ერთ-ერთ წერილში იონა ხელაშვილი სადმი სოლომონი აღნიშნავდა... „აქაური სასწავლებელი, თბილისისაც ჯერეთ უწესობასა შინა არს, მოსწავლენი მრავალ არიან და მასწავლებელნი მცირე. არავინ მიაქცევს ყურადღებასა და არცა სჭვრეტენ სწავლათა“.** ერთი წლის შემდეგ ისევ იონასადმი გაგზავნილ წერილში კვლავ მწუხარებით გამოსთქვამდა სოლომონ დოდაშვილი, რომ „სასწავლებელი ჩვენი უწესოსა მდგომარეობასა შინა არსს, არავინ მეცადინეობს განვრცელებასა სწავლათასა და დატეებულ არს თვინიერ ყურადღებისა“ (107). და თუ ასეთ მდგომარეობაში იყო თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი, ადვილი წარმოსადგენია რა ყოფაში იქნებოდნენ საქართველოს სამაზრო და სამრევლო სკოლები, რომლებიც მოკლებული იყვნენ როგორც ღირსეულ მასწავლებლებს, ისე სასკოლო სახელმძღვანელოებსა და სასწავლო ნივთებს. სოლომონ დოდაშვილი იმავე წერილში იმედს გამოსთქვამდა, რომ „გარნა ამის შემდგომ ვგონებ იმეცადინოს მთავრობამან განვრცელებისათვის სწავლათა, ვინაითგან ინება ღმერთმან მშვიდობისა მონიჭება, მტერნი განილტვნენ ძალისა გამო მხედრობითა ჩვენთა და საჟურველთა“; მაგრამ არც მშვიდობიანი ცხოვრების პირობებში ჩქარობდა მეფის ხელისუფლება საქართველოსა და კავკასიაში სკოლების რიცხვის გამრავლებას და როგორც უკვე ვწერდით, 1832 წ. შეთქმულებისა და განზრახული აჯანყების ერთ-ერთ მიზეზად სოლ. დოდაშვილი ასახელებდა ქართველთა უკმაყოფილებას სასწავლებელთა სიმცირის გამო და პედაგოგ ზ. ავთანდილაშვილთან ერთად მოითხოვდა და-

* წერილები, 74.
** იქვე, 101.

ბალი და საშუალო სკოლების გამრავლებას და ერთი უნივერსიტეტის გახსნას საქართველოში.

იმისათვის, რომ სწავლის ყველა მსურველს მიეღო სათანადო სასკოლო განათლება, სოლ. დოდაშვილის აზრით, საჭირო იყო სკოლების არა მარტო რიცხობრივი ზრდა, არამედ მათი სასწავლო მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებაც. ეს აზრი თავისთავად დასაბუთებას არ მოითხოვს, მაგრამ სოლომონის არგუმენტაცია მაინც ახალია და თავისებური: ის ფიქრობს, რომ სწავლის მსურველთა რიცხვი, XIX ს. 30-იანი წლების საქართველოში არც ისე დიდია, რომ მისი შესატყვისი რაოდენობის სკოლების დაარსება რაღაც დიდ საქმედ და იდეალად მივიჩნიოთ. არა, ეს ბუნებრივია, ეს ასეც უნდა ხდებოდეს. მთავარი ისაა, რომ სკოლა, უნდა იყოს იმდენი და იმგვარად მოწყობილი, რომ მან აღუძრას სწავლის სურვილი მათ, ვისაც ეს სურვილი ჯერ კიდევ არა აქვს. ამას სკოლა შეძლებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ აღზრდილი მოქალაქენი თავისი პირადი ცხოვრებით და საზოგადოებრივი მოღვაწეობით სამაგალითო და მისაბაძნი იქნებიან ყველასათვის, და, კერძოდ, მათთვის, ვისაც სწავლა-განათლების დანიშნულება არ ესმის და მისი შეძენის სურვილი ჯერ კიდევ არ გააჩნია. ამგვარად, სკოლა არა მარტო საკმაო და ხელმისაწვდომი უნდა იყოს სწავლის ყველა მსურველისათვის, არამედ ის ამავე დროს უნდა იყოს სწავლა-განათლებისაკენ მომწოდებელი და მისი პირველი პროპაგანდისტი მოსახლეობის ჩამორჩენილ ფენებში.

როდის შესძლებს სკოლა ამ მიზნის ნამდვილ სამსახურს? ამისათვის, დოდაშვილის აზრით, საჭიროა სკოლას ყავდეს კარგად მომზადებული, თავისი საქმით გატაცებული და ხალხის მოსიყვარულე მასწავლებელთა პერსონალი და საკმაოდ იყოს მომარაგებული სახელმძღვანელო და საერთო მეცნიერულ-მხატვრული ლიტერატურით. ეს ორი ელემენტი — მთავარია. მაგრამ ამასთან სოლ. დოდაშვილს არ ავიწყდება, რომ სკოლას უნდა გააჩნდეს შესაფერისი ჰიგიენური პირობები მოსწავლეთა და მასწავლებელთა ნორმალური მუშაობისათვის, უნდა ეწეოდეს ხეირიანი ხელმძღვანელობა და სარგებლობდეს მთავრობის ყურადღებით.

—

აღვნიშნოთ კიდევ ერთი განსაკუთრებული ღირსება სოლ. დოდაშვილის პედაგოგიკური კონცეპციისა: აღმზრდელობი-

თ ი სწ ა ვ ლ ე ბ ი ს ი დ ე ა. მართალია, ეს იდეა ახალი არ იყო საქართველოსათვის; მართალია XVIII საუკუნეში კარგად იყო იგი წარმოდგენილი ქართულ მწერლობასა და პედაგოგიკაში, მაგრამ როგორც ო ჯ ა ხ ი ს ამოცანა. სოლ. დოდაშვილმა აღმზრდელობითი სწავლების იდეა აიყვანა თავისი დროის მეცნიერულ სიმაღლეზე და უმთავრესად სკოლის ამოცანად დასახა იგი.

ადამიანისა და მოქალაქის მაღალი ღირსება ყოველი პიროვნების კეთილშობილი იდეალია. სოლომონ დოდაშვილი ფიქრობს, რომ ეს ღირსება თანდაყოლილი არ არის. მართალია, ყოველი ადამიანი ადამიანად იბადება, მაგრამ ადამიანური ღირსება თან არავის დაჰყვება; ის არის აღზრდით შენაძენი თვისება.

ადამიანისა და მოქალაქის ღირსების პირველი დამახასიათებელი ნიშანი, დოდაშვილის აზრით, არის მამულის სიყვარული. ეს გრძნობა ყველა დანარჩენზე უფრო ძლიერია და მაცოცხლებელი. სამშობლოსა და ხალხის სიყვარული ყოველი ადამიანის წმინდათა-წმინდა მოვალეობაა; მაგრამ ამ მოვალეობის გადაქცევა ადამიანის შინაგან მოთხოვნილებად და მოწოდების საქმედ შეიძლება მხოლოდ აღზრდით. საკუთარ თავზე ჰქონდა სოლომონს გამოცდილი ამ გრძნობის ცხოველმყოფელობა. ის წერდა:

„ს უ რ ვ ი ლ ი ი მ ი ს ა, რ ო მ ს ა ს ა რ გ ებ ლ ო ვ ი ქ ნ ე ჩ ე მ თ ა ნ ა მ ე მ ა მ უ ლ ე თ ა თ ვ ი ს ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს ი ქ ნ ე ბ ა ჩ ე მ ი წ მ ი დ ა მ ო ვ ა ლ ე ო ბ ა... დ ა მ ა მ ო ძ რ ა ვ ებ ე ლ ი შ ე ძ ლ ებ ი ს დ ა გ ვ ა რ ი შ რ ო მ ი ს ა თ ვ ი ს“.*

სოლ. დოდაშვილის ყოველი ნაბიჯი საზოგადოებრივი მოღვაწეობის სარბიელზე მოფიქრებული და გაზომილი იყო სამშობლოს მგზნებარე სიყვარულით და მისი ინტერესების სადარაჯოზე დგომის აუცილებლობით. „მამულის დიდება“, „სიბრძნის შეძენა მამულისათვის“, „აღზრდა თანამემამულეთა“ და სხვა ამგვარი მოწოდების ხმა ესმოდა მისგან ქართველ ახალგაზრდობას როგორც წერილობით, ისე ზეპირსიტყვიერ გამოსვლებში. ის მწარედ განიცდიდა მისი დროის საქართველოს მძიმე საზოგადოებრივ-კულტურულ მდგომარეობას; 1828 წელს, თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის მოწაფეთა გამოცდების დასასრულს გამართულ აქტზე წარმოთქმულ სიტყვაში, ეხებოდა რა საქართველოს წარსულსა და აწმყოს, ამბობდა:

---

* Логика, 6.

„საყუარელი მამული ჩვენი..., რომელიცა ჰბრწყინავდა ოდესმე მაგალითთა შინა განსხვავებულთა კაცთასა სიბრძნითა კეთილმოქმედებითა, შაირათ მთხზველობითა და მხნეობითა“ — „მიიყვანეს... ესე ვითარ ხარისხამდე დამდაბლებისა, რომელ დამვიწყებელი მოქალაქებრისა თავის უფლებისა და თანად წარმწყმედელი მაღალისა მის წინადანიშნულებისა კაცთა და მეფობისა კნინლა უკუე არა განემზადებოდა მსხუერპლად მომყმართა ბარბაროსთა შემძლებლობისა და კუალად უმეტეს უმეცრებისა, რომელიცა არს სარწმუნო თანამგზავრი მონებისა...“* უკანასკნელი, ჩვენს მიერ ხაზგასმული აზრი სოლ. დოდაშვილისა, რომ უმეცრება არის უეჭველი თანამგზავრი მონობისა — შეიცავს უაღრეს სიმართლეს, ნამდვილ პატრიოტულ და, ამავე დროს, რეოლუციურ მოწოდებას ეროვნულ-პოლიტიკური მონობის დასამხობად, განათლების უფლების მოსაპოებლად, და „დავიწყებული მოქალაქეობრივი თავისუფლების“ აღსადგენად.

სოლ. დოდაშვილი იმედით შესცქეროდა ქართველ ახალგაზრდებს „ზრდილთა ამათ სწავლათა მიერ ახალნერგთა სასოებათა საქართველოისათა“ და დარწმუნებული იყო, რომ მათი შესაფერისი აღზრდისა და სწავლა-განათლების შედეგად „ძალგვიძს ჩვენ დაიმედება თავთავისთა სახეობითა აღდგომად სწავლათა შინა და დადგომად არა თუ ოდენ ხარისხსა ზედა პირველისა ღირსებისა ჩვენისასა, ა(რამე)დ ყოფადცა ოდესმე ხარისხსა ზედა ევროპიელთა ერთასა“.**

ცხადად ვხედავთ, რომ სოლ. დოდაშვილი, როგორც პროგრესულად მოაზრე და თავისი დროის ევროპული განათლების სიმაღლეზე მდგომი საზოგადო მოღვაწე, წარსულისაკენ არ იცქირებოდა. თავისი ქვეყნისა და ხალხის მგზნებარე სიყვარული მას ავალებდა მიზანი ეძებნა წინ, მომავალში. მას უნდოდა საქართველო ეხილა არა ძველი, თუნდაც, შედარებით, მაღალი საერთო ღირსებისა და კულტურის დონეზე, არამედ მოწინავე ევროპელი ერების კულტურის სიმაღლეზე. და თუ მას, შეიძლება

---

* „ივერია“, 1887, № 227; სრული ტექსტი: საქ. მუზეუმ. ხელნაწ. განყოფ. წ-ქ. საბ. ფონდი, № 338.

** იქვე

ერთგვარი გაზვიადებითაც უხდებოდა ძველი, მეცნიერებითა (სიბრძნით) და პოეზიით ბრწყინვალე დროის, უმთავრესად XII საუკუნის, საქართველო „დაეპირისპირებინა თავისი დროის, ანუ XIX ს. 20—30-იანი წლების „დამდაბლებული“ საქართველოსათვის — ეს იყო გარკვეული მეთოდი, რომელსაც, შემდეგ, მთელი XIX საუკუნის მანძილზე მიმართავდა ბევრი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე იმისათვის, რომ ამით უფრო გაემძაფრებინათ ქართველი ხალხის შეურიგებლობა მეფის რეჟიმისა და მისი კოლონიური პოლიტიკისადმი.

სოლომონ დოდაშვილის ქართული პატრიოტიზმი შორსაა ვიწრო-ნაციონალისტურ ტენდენციებიდან. პატივისცემით და სიყვარულით ეპყრობოდა იგი სხვა ერებსაც, მათ ღირსებასა და კულტურას. განსაკუთრებული პატივისცემის გრძნობით იხსენიებდა იგი „პატიოსან და მშრომელ“ რუს ხალხს და დიდად აფასებდა „მკვირცხლ მისწრაფებასა... როსიელთასა სწავლათა შინა“.*

სოლომონ დოდაშვილი, რუსი დეკაბრისტების იდეათა მიმდევარი და რესპუბლიკანელი, მთელი თავისი შეგნებით და შესაძლებლობით იღწვოდა ხალხის დამოუკიდებელი და თავისუფალი ცხოვრებისათვის. სისწორით შესწავლილი და სამართლიანად დაფასებული მისი აზროვნება და მოღვაწეობა გვარწმუნებს, რომ ის იყო ქართველი ხალხის XIX საუკუნის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დამწყები, მისი პირველი პერიოდის მოწინავე წარმომადგენელი. განმათავისუფლებელი მოძრაობით იყო განპირობებული მისი კეთილშობილი პატრიოტიზმი. ამ გრძნობას უნერგავდა იგი თავისი დროის ქართველ ახალთაობას და აღიარებდა როგორც სასკოლო, ისე სკოლისგარეშე და საოჯახო აღზრდის ამოცანად. პატრიოტიზმი მიაჩნდა მას აღმზრდელობითი სწავლების ერთ-ერთ მთავარ პრინციპად.

არანაკლები მნიშვნელობის აღმზრდელობითი ხასიათის პრინციპად მიაჩნდა მას აგრეთვე დემოკრატიული პრინციპი სოციალური თანასწორობისა.

სოლომონ დოდაშვილი იყო მოქალაქეთა სოციალური თანასწორობის იდეის მქადაგებელი და მისთვის პრაქტიკულად მე-

---

* „ივერია“, 1887 № 227; სრული ტექსტი: საქ. მეცნ. ეროვნ. ბიბლიოთ. ხელნაწ. განყოფ. წ-კ. სახ. ფონდი, № 389.

ბრძოლი ადამიანი. ჩვენ არ ვამბობთ, რომ ეს ერთგვარი გამოხმაურება იყო საფრანგეთის დიდი რევოლუციისა. საფრანგეთის 1879 წლის ბურჟუაზიული რევოლუციისათვის თანასწორობის იდეა უფრო დეკლარაცია იყო, ვიდრე პრინციპი, ხოლო დოდაშვილისათვის კი არსებითი და რეალური. თანასწორობის იდეის გამოხატულებას მის პედაგოგიკურ მოძღვრებაში წარმოადგენდა სწავლა-განათლების აღიარება საყოველთაო, სახალხო საქმედ, მისი უზრუნველყოფა ყველასათვის, საზოგადოების როგორც გაბატონებული, ისე დამორჩილებული ფენისათვის.

„სწავლასა შინა დიდის კაცისა და მცირისა (შვილები) ერთნი და იგივენი არიან, ე. ი. ერთად შესარიცხ არიან მასწავლებისათანა“.*

ამით სოლომონ დოდაშვილი ამბობს, რომ სწავლა-განათლება არ უნდა იყოს პრივილეგია რომელიმე წოდებისა და მოითხოვს თანაბრად ანუ ერთნაირად და განურჩევლად ეპყრობოდნენ სწავლის ყველა მსურველს მიუხედავად მათი შთამომავლობისა და აწმყო სოციალურ მდგომარეობისა. თანაბარი მოპყრობა დიდკაცთა ანუ თავადაზნაურთა და მცირეთა ანუ გლეხების შვილთადმი „სწავლასა შინა“ სოლ. დოდაშვილს ესმოდა როგორც განათლების ერთნაირი უფლების მინიჭება ყველასათვის და სახელმწიფოს საგანმანათლებლო ღონისძიებათა თანაბარი გავრცელება ყველა წოდების ახალგაზრდობაზე, ისე საერთო, უწოდებრივ, სკოლების გახსნა დაწყებითიდან უმაღლესამდე. ამასთან სოლ. დოდაშვილი მასწავლებელთაგანაც მოითხოვდა ყველა წოდების ბავშვები ერთნაირად „შეერიცხათ“ ანუ მიეჩნიათ სწავლების მთელი დროის განმავლობაში და ერთნაირი დამოკიდებულება ჰქონოდათ ყველა მოწაფისადმი როგორც საგანმანათლებლო, ისე აღმზრდელობითი მუშაობის დროს.

სოლომონ დოდაშვილს დიდ უსამართლობად მიაჩნდა ის ფაქტი, რომ მის დროს თბილისში არსებობდა „კეთილშობილთა სასწავლებელი და შემდეგ გიმნაზია მხოლოდ თავადაზნაურთა და მაღალი რანგის მოხელეთათვის. ის მოითხოვდა მთავრობისაგან, რათა დაბალი წოდების ახალგაზრდობასაც მისცემოდა საკმაო რაო-

* წერილები, 80.

დეკარტის სკოლა დაწყებითიდან უმაღლესამდე და ამ მოთხოვნილებას ის, როგორც ვიცით, არ ფარგლავდა მარტო თეორიული ბრძოლით.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ სოლომონ დოდაშვილი ფართოდ იცნობდა XVIII ს. ფრანგ მატერიალისტებს, განმანათლებლებს, მათ ფილოსოფიურ და პედაგოგიკურ შეხედულებებს. გარდა იმისა, რომ სოლ. დოდაშვილი, როგორც ფილოსოფოსი, სპეციალურად სწავლობდა მათ პეტერბურგში, ისინი ცნობილი იყვნენ საქართველოშიც XVIII საუკუნიდანვე. სოლომონ დოდაშვილი ისე, როგორც მისი უფროსი თანამედროვე იოანე ბაგრატიონი, რამდენადმე იზიარებდა ფრანგი მატერიალისტების შეხედულებას აღზრდის ყოვლადშემძლეობის შესახებ, დებულებას, რომ ადამიანი არის აღზრდისა და გარემოების პროდუქტი.

სოლომონ დოდაშვილი ფიქრობს, რომ აღზრდის გზით შეიძლება ადამიანი იქცეს „სხუა ადამიანად". აღზრდას შეუძლია გარდაქმნას იგი ყოველმხრივ. ერთ-ერთ წერილში იოანე ხელაშვილისადმი სოლომონი აღნიშნავს, რომ „განათლება გონებისა და განვითარება გულისა ხშირად შესცვლის ყოვლადობასა კაცისასა".* გონების განათლება და გულის განვითარება მას ესმის როგორც გონებრივი და ზნეობრივი აღზრდა, რაც საკმაოდ მიაჩნია ადამიანის შეცვლისათვის. აღზრდის ეს ორი სახე მართლაც ძირითადია აღზრდის მთლიან პროცესში, და ადამიანის, როგორც სოციალური არსის, გარდაქმნისათვის სწორედ ამ ორ სახეს აქვს ყველაზე მეტი მნიშვნელობა. მაგრამ სოლომონ დოდაშვილი ძალიან ფრთხილად ეკიდება აღზრდის გზით ადამიანის ყოვლად შეცვლის პრობლემას. ის აღნიშნავს, რომ აღზრდას შეუძლია ადამიანის შეცვლა ხშირად და მაშასადამე, არაყოველთვის და ყოველ პირობებში. ეს დამოკიდებულია ერთი მხრით აღზრდის ხასიათზე და აღმზრდელ გარემოზე და მეორე მხრით ასაღზრდელზე. ის რაც ხშირია—არის წესი, ხოლო არახშირი ანუ იშვიათი—გამონაკლისი. აღზრდას რომ ადამიანის შეცვლა შეუძლია, ამას წესად სთვლის სოლომონ დოდაშვილი, მაგრამ ზოგჯერ ამის შეუძლებლობაც დასაშვებად მიაჩნია მას, როგორც გამონაკლისი. მას არა აქვს პირდაპირი მითითება რა პირობებში გვაქვს საქმე წესთან ანუ

* წერილები, 108.

ხშირ მოვლენასთან და რა პირობებშია მოსალოდნელი იშვიათი მოვლენა ანუ გამონაკლისი, მაგრამ მისი საერთო მსჯელობიდან ამ საგანზე შეიძლება დავასკვნათ: როცა ადამიანის აღზრდის მიზანი და საზოგადოებრივი დანიშნულება სავსებით შეესაბამება მის შინაგან ლტოლვას ანუ მისწრაფებას ჰარმონიისაკენ (მთლიანობისაკენ), მაშინ შეიძლება მისი ყოვლადი შეცვლა და რამდენადაც ასეთი მოვლენა ხშირია, საქმე გვაქვს წესთან, ხოლო როცა ეს შესაბამისობა დარღვეულია, როგორც იშვიათი მოვლენა,—საქმე გვაქვს გამონაკლისთან.

მართალია, აღზრდის საზოგადოებრივი როლის გაგების საკითხში სოლ. დოდაშვილი, როგორც ვწერდით, გამოდიოდა ფრანგი მატერიალისტების მოძღვრებიდან აღზრდის ყოვლადშემძლეობის შესახებ, მაგრამ შესამჩნევად გაუსწრო მათ წინ იმ კორექტივით, რომელიც მან შეიტანა ამ მოძღვრებაში აღნიშნული გამონაკლისის დაშვების სახით. მიუხედავად ამისა, სოლ. დოდაშვილი მაინც ვერ ამაღლდა ადამიანის როლის მატერიალისტურ გაგებამდე, რომლის მიხედვითაც თვით ადამიანი წარმოადგენს თავისი აღზრდისა და გარდაქმნის ძირს, ანუ საფუძველს, რომ ადამიანი თვითონ ქმნის თავის აღზრდის გარემოებას და აღმზრდელი თვით უნდა იყოს აღზრდილი სხვა ადამიანის მიერ, — პრინციპი, რომელიც შემდეგ ჩამოაყალიბა კარლ მარქსმა ფოიერბახის შესახებ მე-3 თეზისში. ამ პრინციპამდე ვერ ავიდა ს. დოდაშვილი და, სწორედ ამით უნდა აიხსნას ნაკლი მისი შეხედულებისა აღზრდის საზოგადოებრივი ფუნქციის გარკვევის საკითხზე.

—

დასასრულს, შეიძლება ინტერესს არ იყოს მოკლებული, აღვნიშნოთ რომელი სოციალური ფენის იდეოლოგად გვევლინება ჩვენ სოლომონ დოდაშვილი.

XIX საუკუნის 20—30 წლებში, როდესაც მისი ახალგაზრდული სული და მსოფლმხედველობა ყალიბდებოდა, საქართველოში ჯერ კიდევ საკმაოდ გაბატონებული იყო თავადაზნაურული კლასი და ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობა. მართალია, ახალი კაპიტალისტური წესი წარმოებისა და ბურჟუაზიული ურთიერთობა მნიშვნელოვან მზარდ ძალას წარმოადგენდა, მაგრამ მისი ხვედრითი წონა ჯერ კიდევ მცირე იყო საზოგადოების ეკო-

ნომიურ სტრუქტურაში. მიუხედავად ამისა, აღნიშნული პერიოდის ბურჟუაზიული ურთიერთობა და იდეოლოგია, როგორც აღმავალი და პროგრესიული, უფრო და უფრო იკიდებდა ფეხს საქართველოს სინამდვილეში და გარკვეულად იწყებდა ბრძოლას თავისი უფლებისა და გამარჯვებისათვის. მაგრამ პეტერბურგში, სადაც სამი გადამწყვეტი წელი (1824—27) დაჰყო სოლომონ დოდაშვილმა, უფრო მკაფიოდ და ფართო მასშტაბით სჩანდა ბურჟუაზიული ურთიერთობის დამკვიდრების პროცესი, რომელიც უკვე შეჭრილი იყო ხალხის ყოფა-ცხოვრებასა და კულტურაში.

ამ ორი, ფეოდალური და ბურჟუაზიული სამყაროს უკანასკნელი შეჯახების პერიოდში სოლომონ დოდაშვილი, აღზრდილი ახალ, მოწინავე იდეებზე, ცხადია, მხარს უჭერდა აღმავალ და პროგრესიულ ბურჟუაზიულ სამყაროს, რადგანაც „ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიური ურთიერთობანი და მათი წინააღმდეგობანი მაშინ ჯერ კიდევ ჩანასახ მდგომარეობაში იყვნენ; ამიტომ ბურჟუაზიული იდეოლოგები მაშინ არავითარ ანგარებას არ იჩენდნენ, პირიქით, დასავლეთშიც და რუსეთშიც მათ სავსებით გულწრფელად სწამდათ საყოველთაო კეთილდღეობა და გულწრფელადვე სწადდათ იგი, გულწრფელად ვერ ხედავდნენ (რამდენადმე არც შეეძლოთ ჯერ დაენახათ) იმ წყობილების წინააღმდეგობებს, რომელიც ბატონყმური წყობილებიდან იზრდებოდა“.*

ლ ე ნ ი ნ ი ს ამ გენიალური სიტყვებით ყოველმხრივ ხასიათდება სოლომონ დოდაშვილიც; მას „სავსებით გულწრფელად სწამდა საყოველთაო კეთილდღეობა და გულწრფელად სწადდა იგი“. ის იყო განმანათლებელი, ხოლო „განმანათლებლები, — როგორც ლენინი ამბობს, — მოსახლეობის არცერთ კლასს არ გამოჰყოფდნენ როგორც თავისი განსაკუთრებული ყურადღების საგანს, ისინი ლაპარაკობდნენ არა მარტო ხალხზე საზოგადოდ, არამედ ერზეც კი საზოგადოდ“.**

ასეთი იყო სოლომონ ივანეს-ძე დოდაშვილი, დიდი ქართველი მეცნიერი და მამულიშვილი. თავისი ხალხის საუკეთესო მომავალი იყო მისი ბრძოლის საგანი. სამშობლოს ღირსეულ მოქალაქეთა აღზრდას შესწირა მან თავისი მღელვარე სული.

---

* Л е н и н, II, 332 (მესამე გამოც.).

** იქვე, 349.

მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ჯეროვანი დაფასება ჯერ კიდევ მომავლის საქმეა.

* * *

XIX საუკუნის პირველ ნახევარში ქართულ პედაგოგიკურ ასპარეზზე მოღვაწეობდა აგრეთვე ცნობილი ისტორიკოსი და ფილოლოგი პლატონ იოსელიანი (1809 — 1875). თავისი შრავალრიცხოვანი შრომების ფაქტიური მასალით ისტორია-ფილოლოგიაში და პედაგოგიური მოღვაწეობით მას დიდი დამსახურება შეუძლია XIX ს. ქართული მეცნიერებისა და სკოლის წინაშე, მაგრამ იდეოლოგიით ის იყო კონსერვატულ-კონფესიონალური მსოფლმხედველობის წარმომადგენელი. ამით იყო განსაზღვრული მისი პედაგოგიკური იდეებიც. პლატონ იოსელიანის სახელმძღვანელოები და მეთოდიკური მითითებები გამსჭვალული არიან ქრისტიანული მორალის დოგმებით ისევე, როგორც იყო მისი ზეპირი გამოსვლები, მაგრამ განსაკუთრებით მკაფიოდ თავისი კონფესიონალურ-პედაგოგიკური შეხედულებები მან ჩამოაყალიბა 1867 წელს. სიტყვაში „თბილისის სასულიერო სემინარიის 50 წლისთავისათვის“ პლატონ იოსელიანი ამბობდა, რომ „მეცნიერება უნდა შუქდებოდეს გონების ღმერთის შუქით“. აღზრდის ამოცანად მას მიაჩნდა „მისწრაფება იმისაკენ, რომ აღსაზრდელთა გონებასა და გულს დაემყნოს ქრისტიანული საწყისების ყლორტები, რომლებიც ისტორიისა და მეცნიერების მიერ ცნობილი არიან ყველაზე უფრო ნაყოფიერად და კეთილმომქმედად“. ეკლესია, პლატონ იოსელიანის აზრით, ისეთივე აღმზრდელობითი დაწესებულებაა, როგორიც სკოლა; მათ ერთნაირი ამოცანები აქვთ და ამის გამო ის დაასკვნის: „სასწავლებლის სახლი უნდა იყოს უპირატესად სამლოცველო სახლი, და სამლოცველო სახლი კი სასწავლებლისა და სკოლის სახლი“.*

პლატონ იოსელიანისა და მის თანამგრძნობთა პედაგოგიკური შეხედულებები გამოხატავდნენ XIX საუკუნის პირველი ნახევრისა და 60-იანი წლების ქართული რეგრესიულ-კლერიკალური თავადაზნაურობისა და სასულიერო წოდების მისწრაფებებს ახალთაობის აღზრდა-განათლების დარგში, მაგრამ იმდენად არქაული

---

* П. Иоселиани, Речь, произнесенная в зале Тифлисской духовной семинарии по случаю торжества пятидесятилетия, 1867, 21—22.

და წარმავალი ხასიათი ჰქონდათ ამ შეხედულებებს თავისი წარმოშობის დროისთვისაც კი, რომ მათ აღარ შეეძლოთ ამავე დროის მოწინავე პედაგოგიური იდეების წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლა და განვითარების შეფერხება.

* * *

XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული პედაგოგიკური აზროვნება არ ამაღლებულა მეცნიერული პედაგოგიკის სისტემის დონემდე. ის შემოიფარგლა აღზრდა-განათლების და სწავლების ცალკე საკითხებით, რომელთა შორის უმთავრესს წარმოადგენდა: აღზრდა-განათლების მიზანი, გონებრივი და ფიზიკური აღზრდა, განათლების შინაარსი, სკოლა, სწავლების ორგანიზაცია, სახელმძღვანელოები. ამ საკითხების დასმასა და გადაჭრაში XIX ს. ქართული პედაგოგიკა არ ჩამორჩებოდა მისი დროის მოწინავე პედაგოგიკურ აზროვნებას, მაგრამ მრავალი პრობლემა აღზრდის თეორიიდან და დიდაქტიკიდან ან სრულებით არ იდგა აღნიშნული პერიოდის ქართული პედაგოგიკის წინაშე, ან ვერ მიიღო ჯეროვანი გადაჭრა. მათ მიეკუთვნება ისეთი დიდი პრობლემა, როგორიცაა საკუთრივ ბავშვი, როგორც აღზრდის ობიექტი და მისი ფსიქო-ფიზიკური თავისებურებანი, მასწავლებელის პროფესიული დანიშნულება, აღზრდის სოციალური გარემო, სწავლების მეთოდები.

ბევრი სხვა საკითხიც რჩებოდა გადაუჭრელი XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ პედაგოგიკურ აზროვნებაში, მაგრამ ეს პრობლემები ძირითადს წარმოადგენენ და, რამდენადაც მათი მეცნიერული დამუშავება მხოლოდ დასაწყის საფეხურზე იმყოფებოდა, იმდენად აღნიშნული პერიოდის ქართული პედაგოგიკის სრულყოფა და მეცნიერული მთლიანობა ჯერ კიდევ წინ იყო.

ნაწილი მეორე

სახალხო განათლება და პედაგოგიკური იდეები მე-19 საუკუნის 60-იანი წლების საქართველოში

სახალხო განათლება და პედაგოგიკური იდეები მე-19 საუკუნის 60-იან წლებში

1. საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრება

XIX საუკუნის 60-იანი წლები საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიურ და კულტურული ცხოვრების ძირითადი გარდატეხის წლებია. ხანგრძლივი ბრძოლა გარდამავალ ფეოდალურ წყობილებასა და აღმავალ კაპიტალისტურ წყობილებას შორის უკანასკნელის გამარჯვებით დამთავრდა. „ეკონომიური განვითარების ძალამ, რომელსაც რუსეთი კაპიტალიზმის გზით მიჰყავდა“, დასცა ბატონყმობის ინსტიტუტი, გამოიწვია საგლეხო რეფორმა, რის შემდეგაც „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში წავიდა ისეთი სისწრაფით, რომ რამდენიმე ათწლედში ხდებოდა გარდაქმნები, რომელთაც ევროპის ზოგიერთ ძველ ქვეყანაში მთელი საუკუნოები დასჭირდათ“.* კაპიტალიზმის განვითარების ასეთ სისწრაფეს რუსეთში ხელს უწყობდა აგრეთვე რკინიგზების მშენებლობა, რაც 60-იანი წლების განმავლობაში ძალიან დიდი ტემპით და მასშტაბით სწარმოებდა. მაგრამ საქართველოში, 60-იანი წლების დასაწყისში, კაპიტალიზმისა და კაპიტალისტური ურთიერთობის სწრაფ განვითარებას საგრძნობლად აფერხებდა საგლეხო რეფორმისა და რკინიგზის გაყვანის მოგვიანება. რუსეთში, როგორც ვიცით, ბატონ-ყმობის გაუქმება და გლეხთა განთავისუფლება მოხდა 1861 წელს, მაგრამ ჩვენში კი ცოტა გვიან და არც ერთდროულად: 1864 წელს გაანთავისუფლეს ქართლ-კახეთის გლეხობა, 1865 წელს—იმერეთისა და გურიისა, 1866 წელს—სამეგრელოსა და

---

* Ленин, XV, 143; ასევე ახასიათებდა რეფორმის შემდეგი დროის რუსეთის მრეწველობის განვითარებას ფრ. ენგელსი. ერთ-ერთ წერილში ნიკოლაი ონ—ისადმი ის აღნიშნავდა: „1861 წლიდან რუსეთში იწყება უახლესი მრეწველობის განვითარება ისეთი მასშტაბით, რომელიც შეეფერება უდიდეს ქვეყანას“ (Маркс и Энгельс, письма, 32).

ლეჩხუმისა, 1870—1871 წლებში—აფხაზეთისა და სვანეთისა. ასევე მოგვიანებით მოხდა საქართველოში რკინიგზის გაყვანაც: 1865 წელს შეუდგნენ მას, მაგრამ მხოლოდ 1871 წელს დაიწყო მისი ექსპლოატაცია და ისიც ნაწილობრივი. მთლიანად, რეგულარული მოძრაობა თბილისი-ფოთის რკინიგზაზე 1873 წელს დაიწყო. მიუხედავად ამისა, საგლეხო რეფორმათა პერიოდის საქართველოში კაპიტალიზმის დამკვიდრება და სწრაფი, თუმცა არათანაზომიერი, განვითარება ისტორიული ფაქტია. ვლადიმირ ილიას-ძე ლენინმა, რუსეთის კაპიტალის მიერ კავკასიის კოლონიად გადაქცევასა და ეკონომიურ დაპყრობასთან დაკავშირებით, მოგვცა რეფორმის მომდევნო დროის კავკასიისა და საქართველოს კაპიტალიზაციის პროცესის ბრწყინვალე ანალიზი:

„რეფორმის შემდგომ ხანაში, ხდებოდა ერთი მხრით კავკასიის ძლიერი კოლონიზაცია, მიწების ფართოდ მოხვნა კოლონისტების მიერ (განსაკუთრებით ჩრდილოეთ კავკასიაში), რომელთაც გასაყიდლად მოყავდათ ხორბალი, თამბაქო და სხვ. და რომელნიც სოფლის მრავალ დაქირავებულ მუშას იზიდავდნენ რუსეთიდან. მეორე მხრით, თანდათან იდევნებოდა ადგილობრივი, ძველისძველი „შინამრეწველური“ სარეწავები, რომლებიც ეცემოდნენ მოსკოვიდან შემოტანილი ფაბრიკატების კონკურენციით. ეცემოდა იარაღის ძველებური წარმოება ტულიდან და ბელგიიდან შემოტანილ ნაკეთებათა კონკურენციით, ეცემოდა რკინის შინამრეწველური დამუშავება შემოტანილი რუსული პროდუქტის კონკურენციით, ეცემოდა აგრეთვე სპილენძის, ოქრო-ვერცხლის, თიხის, ქონის და სოდის, ტყავის და სხვ. შინამრეწველური დამუშავება. ყველა ეს პროდუქტი უფრო იაფად მზადდებოდა რუსეთის ფაბრიკებში, რომელნიც კავკასიაში გზავნიდნენ თავის ნაკეთობას. ეცემოდა რქების დამუშავება ყანწებად საქართველოში ფეოდალური წყობილების და ისტორიული ნადიმების დაცემის გამო, ეცემოდა ქუდის სარეწავი აზიური კოსტუმის ევროპიულით შეცვლის გამო, ეცემოდა ტიკების და კოკების წარმოება ადგილობრივ ღვინოსათვის, რომელიც პირველად გამოვიდა გასაყიდად (რაც იწვევდა კასრის წარმოების განვითარებას) და თავის მხრივ იპყრობდა რუსეთის ბაზარს. ამნაირად რუსეთის კაპიტალიზმი აბამდა კავკასიას საქონლის მსოფლიო ბრუნვაში, ანიველირებდა მის ადგილობრივ თავისებურებებს—ძველებური პატრიარქალური კარჩაკეტილობის ნაშთს—ჰქმნიდა ბაზარს თავისი ფაბრიკებისათვის“.*

საქართველოს მრეწველობის ცენტრს წარმოადგენდა ქ. თბილისი. მისი სწრაფი ტემპით ზრდა, როგორც მთელი კავკასიის ადმინისტრაციული ცენტრისა, იწვევდა აქ მრეწველობის მრავალი დარგის განვითარებას. ასე, მაგალითად, 1865 წელს, „მედიკო-ტო-

* Ленин, III, 487 (მე-3 გამოც.).

პოგრაფიული აღწერილობის მიხედვით“, თბილისის ფაბრიკა-ქარხნების, სახელოსნოებისა და წვრილი მანუფაქტურული ტიპის საწარმოების რიცხვი უდრიდა 96, ამას გარდა იყო აგრეთვე 105 აგურისა, კრამიტისა და კირის ქარხანა.* იმავე წლის თბილისის 71.000 მუდმივი მოსახლიდან ვაჭრობა-მრეწველობასა და სახელოსნო შრომაში ჩაბმული იყო 58,2%. შემდეგ, საქართველოში საგლეხო რეფორმის გატარების შედეგად, ქალაქ თბილისს აწყდებოდა თავისუფალი მუშა-ხელის დიდი რაოდენობა, ხოლო რკინიგზის გაყვანამ ქალაქის მრეწველობა დაუახლოვა ნედლეულის ბაზებს და გააფართოვა საქართველოს სავაჭრო ურთიერთობა რუსეთთან და უცხოეთთან.

საგლეხო რეფორმით კაპიტალს გზა გაეხსნა საქართველოს სოფლის მეურნეობაშიც და საბოლოოდ დასცა მისი ნატურალური ფორმები; ფულის ტრიალმა განავითარა სასაქონლო მიწათმოქმედება და სოფელი ბაზრისაგან დამოკიდებული გახადა.

ბატონყმობის გაუქმების შედეგად გლეხთა ეკონომიური მდგომარეობა არ შეცვლილა. მათი განთავისუფლება, როგორც ვიცით, მოხდა უმიწოდ და ამის გამო ისინი იძულებული ხდებოდნენ მემამულეთაგან აეღოთ მიწები იჯარით ან ეძლიათ დიდი ღალა. „გლეხობის უმიწოდ განთავისუფლებაო, წერდა ი. ჭავჭავაძე, იმას ეგვანებოდა, რომ გლეხისთვის ეთქვათ; „წადი, ეხლა თავისუფალი ხარ, რომ შიმშილით მოკვდეო“. ** ეს მახვილი სარკაზმი, მართლაც, სისწორით გამოხატავდა რეფორმის შემდეგი დროის გლეხთა მძიმე, კაბალურ მდგომარეობას. ამას გარდა: „ბატონყმური მეურნეობის ნაშთები, ვეებერთელა ხარკები და მემამულეებისათვის გამოსასყიდი ფასის გადახდა, რაც ხშირად გლეხური მეურნეობის შემოსავლიანობას აღემატებოდა, იწვევდნენ გლეხთა მასების გაჩანაგებას, გაღატაკებას, აიძულებდნენ გლეხებს წასულიყვნენ სოფლებიდან საშოვრის საძებნელად“.***

ყოველივე ამას თან ერთვოდა მეფის ხელისუფლების უხეში ადმინისტრაციული მმართველობის სისტემა. სოფელს „განაგებდა“ მამასახლისი, მისი კანცელარიის „მწერალი“ და სოფლის მღვდელი.

---

* „მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 1, 182, 1938 (შ. ჩხეტიას პუბლიკაცია).

** ი. ჭავჭავაძე, VIII, 5—6.

*** საკ. კ. პ. (ბ) ისტორია, მოკლე კურსი, 6, 1948.

მაგრამ ესენი იყვნენ უბნის ბოქაულის ნების უბრალო ამსრულებელნი, ხოლო ეს უკანასკნელნი კი მაზრის უფროსისა, რომელიც თავის მხრივ გუბერნატორს ემორჩილებოდა. პოლიციელთა უდიერი საქციელი: გლეხების აბუჩად აგდება, თვითნებობა, როზგი, პანღური, „ნაობახი“ და ძალმომრეობის სხვა ფორმები კიდევ უფრო უხეში და აუტანელი ხდებოდა მშრომელი მოსახლეობისათვის.

ამას თან ერთვოდა სასამართლო დაწესებულებათა უსამართლობა. 1868 წელს გატარებულმა სასამართლო რეფორმამ ხელუხლებლად დატოვა მთავრობის მიერ მოსამართლეთა დანიშვნის პრაქტიკა, ხოლო ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღება კი ნაადრევად იქნა მიჩნეული საქართველოსათვის. კანონიერების მაძიებელი ხალხი კვლავ რჩებოდა მექრთამე და უზნეო მოსამართლეების, მათი მდივნებისა და თარჯიმანების ხელში. ამასთან აღსანიშნავია, რომ საქართველოსათვის ნაადრევად იქნა აგრეთვე ცნობილი რუსეთის შიდა გუბერნიებში 1864 წელს შემოღებული საერობო დაწესებულებები, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. ამ ერობას ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი სთვლიდა „საზოგადოებისათვის მთავრობის დათმობად 60-იან წლებში“.* მაგრამ ქართველ საზოგადოებას ეს „დათმობა“ არ მიუღია.

დევნისა და შევიწროების პოლიტიკა გრძელდებოდა კულტურა-განათლების დარგშიც. 60-იანი წლების ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიური ვითარება: საგლეხო რეფორმა, წარმოების განვითარებისა და სოფლის მეურნეობის გარდაქმნის ამოცანები, აგრეთვე ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ინტერესები გადაუდებლად მოითხოვდნენ ხალხის კულტურისა და ყოფა-ცხოვრების გარდაქმნას, მისი განათლების ამაღლებას. და მართლაც, კანონზომიერად იზრდებოდა მასების ლტოლვა სწავლა-განათლებისაკენ, მაგრამ მთავრობის ღონისძიებები ამ მხრივ ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებდა ხალხის მზარდ მოთხოვნილებას. „მეფის მთავრობა მიისწრაფოდა ჩაეხრჩო ნაციონალური კულტურის ყოველგვარი გამოვლინება, ატარებდა არარუს ეროვნებათა ძალდატანებითი „გარუსების“ პოლიტიკას“.**

---

* Л е н и н, V, 80 (მეორე ალაგას: „საერობო რეფორმა იყო ერთ-ერთი იმ დათმობათაგანი, რომელიც გამოგლიჯა თვითმპყრობელურ მთავრობას საზოგადოებრივი მღელვარების ტალღამ და ოევოლუციურმა შეტევამ“, IV, 129).

** საკ. კ.პ. (ბ) ისტორია, მოკლე კურსი, 7, 1948.

რუსეთის იმპერიის ეროვნული უმცირესობანი, გარდა სოციალურ-ეკონომიური და კულტურული რბევისა და შევიწროებისა, კვლავ განიცდიდნენ ნაციონალურ ჩაგვრასაც: „მეფის ხელისუფლება ხალხთა საპყრობილე იყო. მეფის რუსეთის მრავალრიცხოვანი არარუსი ხალხები სრულიად უუფლებონი იყვნენ, განუწყვეტლივ განიცდიდნენ ყოველგვარ დამცირებასა და შეურაცხყოფას. მეფის მთავრობა აჩვევდა რუს მოსახლეობას ისე ეცქირა ნაციონალური ოლქების მკვიდრი ხალხებისათვის, როგორც დაბალი რასისათვის, ოფიციალურად უწოდებდა მათ „ინოროდცებს“, ნერგავდა ზიზღსა და სიძულვილს მათდამი. მეფის მთავრობა შეგნებულად აღვივებდა ნაციონალურ შუღლს, ამხედრებდა ერთ ხალხს მეორის წინააღმდეგ, აწყობდა ებრაელთა დარბევას, თათარ-სომეხთა ხოცვა-ჟლეტას ამიერკავკასიაში“*.

მეფის კოლონიური პოლიტიკის მწვავე სუსხი თანდათან ზრდიდა ხალხის უკმაყოფილებას. იწყებოდა ახალი ბრძოლა საზოგადოებრივ-ეკონომიური, უფლებრივი და კულტურული ჩაგვრისა და ნაციონალური დევნის სხვა უხეშ ფორმებთან. ფხიზლდებოდა ქართველი ხალხი პოლიტიკურად, ვითარდებოდა მისი ეროვნული თვითშეგნება, ფართოვდებოდა მისი ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ვლადიმერ ლენინი წერდა, რომ „განმათავისუფლებელმა მოძრაობამ რუსეთში განვლო სამი მთავარი ეტაპი, რუსი საზოგადოების სამი მთავარი კლასის შესაბამისად, რამაც თავისი დაღი დაასვა მოძრაობას: 1) პერიოდი თავადაზნაურული, დაახლოებით 1825 წლიდან 1861-მდე; 2) რაზნოჩინული ანუ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული, დაახლოებით 1861 წლიდან 1895-მდე; 3) პროლეტარული, 1895 წლიდან...“**

ასევე მოხდა საქართველოშიც. განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველი ეტაპი ანუ თავადაზნაურული პერიოდი, რის შესახებაც ჩვენ უკვე ვწერდით, შეცვალა მეორე ეტაპმა, ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა პერიოდმა 60-იანი წლების დასაწყისში. მაგრამ, XIX საუკუნის 60-იანი წლების საქართველოს ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა პირველ ხანებში არ იყო საკმაოდ ორგანიზებული. მას აკლდა იდეური სიმტკიცე და პოლიტიკური პერსპექტივის სიცხადე. მას აკლდა მკაფიოდ ჩამოყა-

---

* საკ. კ.პ.(ბ) ისტორია, მოკლე კურსი, 7, 1948.

** Ленин, XVII, 341 (მესამე გამოცემა).

ლიბებული პროგრამა, აკლდა მეთაური და გამოცდილი ხელმძღვანელობა. ჯერ კიდევ 1859 წელს, ცნობილი პუბლიცისტი ალ. ორბელიანი, გრძნობდა რა ახალი პერიოდის ქართველი საზოგადოებისათვის კარგი ხელმძღვანელის საჭიროებას, წერდა: „ჩვენს ქვეყანაში მშვიდობის მეტი აღარა არისრა, აღარც თოფი, აღარც ხმალი... მაშასადამე, სადაც მშვიდობაა, იქ რა არის საჭირო?—სწავლა-განათლება, მიწის ნაყოფიერების გამრავლება და ვაჭრობა, აუცილებელი, გამამდიდრებელი კაცისა. დამიჯერეთ, რომ ყველას ეს ფიქრი უნდა გვქონდეს ეხლა და ეს აზრი საზოგადოდ. ამისათვის ხელთმძღვანელი უნდა გვყავდეს ვინმე უთუოდ, ესეები გვასწაოს და დაგვაყენოს კიდეც ამ ხსენებულთ საგანებზედ...“* ავტორი ფიქრობდა, რომ 60--იანი წლების საქართველოს ყველაზე უფრო მეტად ესაჭიროებოდა ვაჭრობისა და სოფლის მეურნეობის განვითარება და ამის ყველაზე უფრო შესაფერის ხელმძღვანელად მიაჩნდა მემამულე და კომერსანტი, სამსახურიდან გადამდგარი გენერალი, ივანე ბაგრატიონ-მუხრანელი. ის უკვე ხედავდა ახალი ცხოვრების დასაწყისს, მაგრამ მის კონტურებში ჯერ კიდევ ვერ არკვევდა საქალაქო წარმოების წამყვან როლს, ვერ ამჩნევდა ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობათა საფუძველზე აღმოცენებული ნაციონალურ-განმავისუფლებელი მოძრაობის ახალ ფორმებს და, ცხადია, არც ამ მოძრაობის შესაფერისი ხელმძღვანელი შეეძლო მიეგნო მას აღნიშნულ დროს.

XIX საუკუნის 60-იანი წლებისა და შემდგომი პერიოდის საქართველოს ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ამავე პერიოდის რუსეთის რევოლუციურ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან. ამ მოძრაობის ძირითადი ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო იდეები: ტექნიკური პროგრესის აღიარება საქალაქო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საფუძვლად, გლეხებისა და მათი შრომის განთავისუფლება ბატონყმური ურთიერთობისა და ეკონომიური მონობისაგან, მონარქიული ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა და საპარლამენტო სისტემის აღიარება, „განათლების, თვითმმართველობის, თავისუფლების, ცხოვრების ევროპული ფორმებისა და საერთოდ რუსეთის ყოველმხრივი ევროპიზაციის მხურვალე დაცვა“,** ძველი ყოფა-ცხოვრების, მო-

* „ცისკარი“, 1859, X, 180.
** Ленин, II, 331, 1926.

რალის და ყალბი ავტორიტეტების გაბედული კრიტიკა, ხალხის უფლების მოთხოვნა როგორც პოლიტიკურ, ისე კულტურულ ცხოვრებაში და სხვა რევოლუციური მისწრაფებანი გადაიქცა მთელი მოწინავე რუსეთის სამოქმედო პროგრამად XIX საუკ. 60-იან წლებში. ამიტომ, გასაგებია, რომ ამ მოძრაობას ფართოდ ეხმაურებოდა „პოლიტიკური რეფორმების მოთხოვნა მთელი ბეჭდვითი სიტყვისა და მთელი აზნაურობის მიერ, „კოლოკოლის“ გავრცელება მთელს რუსეთში, მძლავრი ქადაგება ჩერნიშევსკისა, რომელსაც შეეძლო ცენზურაში გატარებული სტატიებითაც კი ეზარდა ნამდვილი რევოლუციონერები, პროკლამაციების გაჩენა, გლეხობის მღელვარება,... სტუდენტთა არეულობა*“ და რევოლუციური აფეთქების სხვა მოვლენები.

XIX საუკუნის 60-იანი წლების რუსეთის რევოლუციურ-განმათავისუფლებელ მოძრაობას მეთაურობდნენ რუსი ხალხის სახელოვანი შვილები, დიდი რევოლუციური-დემოკრატები: გერცენი, ჩერნიშევსკი, დობროლუბოვი, ნეკრასოვი, შჩედრინი და „რაზნოჩინული“ ინტელიგენციის სხვა გამოჩენილი წარმომადგენლები: დ. პისარევი, ნ. სერნო-სოლოვიევიჩი და სხვ.

რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობისა და დიდი რევოლუციონერი დემოკრატების იდეებზე აღიზარდნენ XIX საუკუნის 60-იანი წლების საქართველოს სახელოვანი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები: ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, გ. წერეთელი ი. გოგებაშვილი, ნ. ნიკოლაძე, კირ. ლორთქიფანიძე, ს. მესხი, ბეს. ღოღობერიძე, ი. წინამძღვარიშვილი და სხვები. 60-იანი წლების დასაწყისში ისინი რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობდნენ და აღნიშნული მოძრაობისა და იდეების უშუალო გავლენას განიცდიდნენ. ამ იდეებით შეიარაღებულნი დაბრუნდნენ შემდეგ საქართველოში და ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით სათავეში ჩაუდგნენ საქართველოს ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობის ახალ პერიოდს, საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველი დარგის განახლებისათვის დიდსა და ხანგრძლივ ბრძოლას.

ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული მოქმედების პროგრამა საქართველოს XIX საუკუნის 60-იანი წლების საზოგადო მოღვაწეებისა ძირითადად არ განსხვავდება რუსეთის სამოციანელ-

---

* Ленин, IV, 126 (მე-3 გამოც.).

თა ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული პროგრამისაგან, მაგრამ საქართველოს ისტორიული სინამდვილე, მისი ეროვნული ჩაგვრა და, საერთოდ, კოლონიური მდგომარეობა მთელ რიგ ახალ და თავისებურ მომენტებს ქმნიდა ქართველ სამოციანელთა პროგრამაში. ეს თავისებურება და სიახლე პირველ ყოვლისა მათ ეროვნულ-პოლიტიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო ამოცანებში გამოიხატა.

ეროვნულ-პოლიტიკური პროგრამა XIX საუკუნის 60-იანი წლების მოწინავე ქართველი საზოგადოების მესვეურებისა განსაკუთრებული სიცხადით ჩამოაყალიბა 1861 წელს ილია ჭავჭავაძემ თავისი ცნობილი ფორმულით ჩ ვ ე ნ ი თ ა ვ ი ჩ ვ ე ნ ვ ე გ ვ ე კ უ თ ნ ო დ ე ს ო.* ეს მოასწავებდა საქართველოს „დაცემული ვინაობის“ აღდგენას, მის განთავისუფლებას მეფის კოლონიური რეჟიმისაგან და დამოუკიდებელი საზოგადოებრივ-ეკონომიური და კულტურული ცხოვრების უზრუნველყოფას. ილია ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე და ქართველ სამოციანელთა სახელოვანი კოგორტა არ იყვნენ პოლიტიკური სეპარატიზმის მომხრენი. ისინი არ მოითხოვდნენ სახელმწიფოებრივ გამოყოფას რუსეთისაგან, მაგრამ „საკუთარი თავის“ პატრონობას არავის უთმობდნენ. ისინი შორს იყვნენ ძველი საქართველოს აღდგენის იდეისაგან. მათ უკვე „მოკლული ჰქონდათ დარდი წარსულ დროებზე“ და ქართველი ხალხის უახლოესი მომავალი წარმოდგენილი ჰქონდათ „ახალი საქართველოს“ სახით. „უწინდებული საქართველო ჩვენში ყველასაგან მიაჩნია სამუდამოდ წარსულ დროდა, —წერდა ცოტა გვიან იაკობ გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი,... ახალი საქართველო, რომელიც არის საგანი ჩვენის პატრიოტების მოქმედების და ნატვრისა, მიქცეულ უნდა იქნეს არა უკან აზიისაკენ, არამედ წინ, ევროპისაკენ. დასავლეთიდგან უნდა სვას მან განათლება, მეცნიერება და გადმოიტანოს საუკეთესო საზოგადოებრივი წყობილებანი“.**

XIX საუკუნის 60-იანი წლების საქართველოს ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობის იდეურ-პროგრამული ერთიანობა რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიულ მოძრაობასთან და ამ უკანასკნელის ხელმძღვანელთა სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ იდეებთან მშვენივრად გამოხატა იმავე ი. გოგებაშვილმა: „ჩვენს პატრიოტებს სურთ არა მკვდრის აღდგენა, არამედ ცოც-

---

* „ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს“ („მგზავრის წერილები“).

** ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი, რჩეული ნაწერები, 11, 114, 1940.

ხლის გამოყენა ჭაობიდან. იგინი ნატრობენ იმასვე, რასაც მოისურვებდნენ ჩვენს ქვეყანაში რომ ეშოქმედნათ, რუსეთის უნიჭიერესი მოდასავლეთენი („ზაპადნიკები"): ბელინსკი, დობროლუბოვი, ავტორები რომანებისა „ვინ სტყუის" (ა. გერცენი—გ. თ.) და „რა ექნათ" (ნ. ჩერნიშევსკი—გ. თ.), შჩედრინი და სხვანი. ჩვენი პატრიოტების მოქმედება იმ ეროვნულს გზაზე ადგია, რომელიც ხსენებულის მეორე რომანის ავტორმა ჩერნიშევსკიმ ვალად დაადო უკრაინელებს, სახელდობრ, ეროვნული ენის, ლიტერატურის და მეცნიერების აყვავება, შემდეგი თავისებური გამოხატულებით: **„В гостях по временам бывать хорошо, но не дай бог никому не иметь своего собственного угла"*.**

ამ „საკუთარ კუთხისათვის" ბრძოლას ქართველი 60-იანელები, როგორც ვხედავთ, არ წყვეტდნენ რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობიდან, მაგრამ რომელ სოციალურ ფენას ეყრდნობოდნენ ისინი თვით საქართველოში?

სანამ ამ საკითხს ვუპასუხებდეთ, საჭიროა აღვნიშნოთ, რომ XIX საუკუნის 60-იან წლებში საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე მკაცრი კლასობრივი ბრძოლა გაჩაღდა წარმავალ, მაგრამ ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერ თავადაზნაურულ არისტოკრატიასა და ახალგაზრდა, პროგრესულ დემოკრატიას შორის. ეს ბრძოლა ქართულ ლიტერატურაში ცნობილია, როგორც „მამათა და შვილთა" ბრძოლა. თავადაზნაურული არისტოკრატია და მისი მეთაურები: გ. ბაგრატიონ-მუხრანელი, ალ. სულხანიშვილი, გიორგი ბარათაშვილი, ექვთიმე წერეთელი, ბარბალე ჯორჯაძე, ივ. კერესელიძე, პლატონ იოსელიანი, გრიგოლ ორბელიანი და სხვ. წარმოადგენდნენ „მამათა" ბანაკს, თავისი კონსერვატულ-რეაქციული იდეოლოგიით, ხოლო ახალგაზრდა, პროგრესული დემოკრატია და მისი მეთაურები, 60-იანი წლების განმათავისუფლებელი მოძრაობის ზემოაღნიშნული ხელმძღვანელები—„შვილთა" ბანაკს, ეწინავე, რევოლუციური იდეოლოგიით. ამ ბრძოლის შინაარსი ცნობილია: თავადაზნაურული კლასის მეთაურები აღიარებდნენ ბატონყმობის ინსტიტუტს, მეფის ხელისუფლებას, ძველი ყოფა-ცხოვრების ფორმებს და, აქედან გამომდინარე, ძველ კულტურულ ტრადიციებს: ქართული ენის ძველ ნორმებს,

---

* ი. გოგებაშვილი, რჩ. ნაწერები, II, 114, 1940.

ძველ ორთოგრაფიას და ხალხის ინტერესებიდან მოწყვეტილი „წმინდა ხელოვნების“ პრინციპს; 60-იანელი დემოკრატიული ინტელიგენციის მეთაურები კი, როგორც აღვნიშნეთ, მკაცრად ებრძოლნენ არსებულ სინამდვილეს: ბატონყმობას, მონარქიას, ფეოდალურ ყოფა-ცხოვრებასა და კულტურას, ძველი ქართული ენის ნორმებსა და ძველ ორთოგრაფიას, ხალხის ინტერესებიდან მოწყვეტილ ხელოვნებას და მეცნიერებას.

ბაგრამ, XIX საუკუნის მოწინავე ქართველ სამოციანელთა იდეოლოგიური ერთიანობა ჩქარა დაირღვა: კაპიტალისტური წყობილების სწრაფი განვითარებისა და ახალგაზრდა ქართველი ბურჟუაზიული კლასის საბოლოო ჩამოყალიბების საფუძველზე, სამოციანელთა ჯგუფს გაეყო ამ ახალგაზრდა ბურჟუაზიული კლასის იდეოლოგთა ჯგუფი ცნობილ პუბლიცისტის ნიკო ნიკოლაძისა და ბელეტრისტ გიორგი წერეთლის მეთაურობით. ამის შესახებ თვითონ გიორგი წერეთელი წერდა:

„1866 წლიდან გამოჩნდა ახალი, უფრო პროგრესიული მოძრაობა ქართულ ლიტერატურულ-პუბლიცისტურ სფეროში. ამ დროს გამოჩნდა მეორე დასი. განსაკუთრებით თავი იჩინა ამ მეორე დასმა, 1869-დან 1877-მდე. ეს დასი შეჯგუფდა და შეკავშირდა „დროება“—„კრებულის“ რედაქციაში. ამ დასის ნამდვილი წარმომადგენლები იყვნენ ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ს. მესხი, კ. ლორთქიფანიძე და პეტრე უმიკაშვილი... ეს დასი იყო პროგრესიულ-დემოკრატიული მიმართულების მიმდევარი“*.

განცალკევებულად, ყოველგვარი ჯგუფისა თუ დასის გარეშე დარჩნენ XIX საუკუნის 60-იანი წლების დემოკრატიული ინტელიგენციისა და ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ილია წინამძღვრიშვილი და სხვები. ჩვენ უკვე ვიცით მათი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული იდეალები და თუ ვუპასუხებთ საკითხს: რომელი სოციალური ფენის ინტერესებს გამოხატავდა ეს სახელოვანი პლეადა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს დიდი საზოგადო მოღვაწეები, პირველ ყოვლისა,

---

* „ კ ვ ა ლ ი“, 1897, № 46, 815—16. გ. წერეთელი იქვე აღნიშნავს, რომ მეორე დასელებს „შემოუერთდა განკერძოებულათ მოღვაწე აკაკი წერეთელი“. ავტორს მხედველობაში აქვს აკაკის ლიტერატურული თანამშრომლობა ამ დასის ორგანოებში. იდეურად კი აკაკი მათთან არ ყოფილა.

იყვნენ **განმანათლებლები** და განმანათლებლები საერთოდ, როგორც წერს ვ. ი. **ლენინი**: „მოსახლეობის არც ერთ კლასს არ გამოჰყოფდნენ, როგორც თავისი განსაკუთრებული ყურადღების საგანს, ისინი ლაპარაკობდნენ არა მარტო ხალხზე საზოგადოდ, არაჰედ ერზეც კი საზოგადოდ“.* მაგრამ შემდეგ, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, როცა წარმოების განვითარებამ უფრო ნათელჰყო ქართველი საზოგადოების კლასობრივი დიფერენციაციისა და შინაგანი წინააღმდეგობის პროცესი, არ შეიძლებოდა მათ არ შეემჩნიათ ამ პროცესის მამოძრავებელი სოციალური ძალები, კლასები და არ გაერკვიათ თავისი დამოკიდებულება ამ ძალებისადმი, კლასთა ბრძოლის საკითხისადმი. ეს დამოკიდებულება ყველაზე უფრო მკაფიოდ გამოხატა განმანათლებელთა ლიდერმა ილია **ჭავჭავაძემ**.

საზოგადოებრივ ფორმათა განვითარებისა და სახელმწიფოებრივ წყობათა სისტემაზე ლაპარაკის დროს ილია **ჭავჭავაძე** შეგნებულად ეწინააღმდეგებოდა მათ ტრაფარეტულ და შაბლონურ გაგებას. ილია ყოველთვის ცდილობდა გამოენახა ის სპეციფიკა და თავისებურება, რომელიც ამა თუ იმ საზოგადოებრივ ფორმაციას ან სახელმწიფოს ახასიათებდა და მეორისაგან არჩევდა. მაგრამ საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების სპეციფიკისა და თავისებურებათა კვლევის შედეგად ილია ისე შორს წავიდა, რომ მან საზოგადოების კლასობრივი დიფერენციაციის და ანტაგონიზმის მხრივ საქართველო გამოჰყო ევროპის სახელმწიფოთა ისტორიული განვითარების პროცესიდან. ის სისწორით აღიარებდა ევროპის სახელმწიფოების კლასობრივი დაყოფის ფაქტს და ამასთან კლასობრივ ბრძოლას არამცთუ სრულიად ნორმალურად სთვლიდა მათ პირობებში, არამედ მეცნიერულად ასაბუთებდა მის ისტორიულ აუცილებლობას როგორც ფეოდალურ, ისე ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. საქართველოში კი, ილიას აზრით, საზოგადოების კლასებად დაყოფა და კლასობრივი ბრძოლა არ არსებობდა, ვინაიდან არ არსებობდა ამისი გამომწვევი პირობები არც ეკონომიურ, არც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. მოვუსმინოთ, როგორ ასაბუთებს ილია როგორც პირველ, ისე მეორე მოსაზრებას**.

---

* **Ленин**. II. 349 (გამოც. მე-3).

** ილია ამ ტექსტში არ ხმარობს ტერმინს: „კლასი“, მის მაგიერ ხმარობს: ზოდება, დასი, ბანაკი.

ევროპის საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურის შესახებ ილია ჭავჭავაძე წერს:

„ბუა საუკუნოებში ერთი განსაკუთრებული ხელმოქმედება (Промышленность, производство) იყო ევროპაში. ის ხელთმოქმედება მიწის შემეშვება იყო და მის გამო მიწა შეიქმნა ცილებია საგნად... როცა ვაჭრობა გახშირდა, გახშირდა საფაბრიკო და საქარხნო ხელთ-მოქმედება, მაშინ ქონებიმა ძალამ სხვა სახე მიიღო. მაშინ მოძრავმა ქონებამ ფასი გაიდგა და უპირატესი ადგილი დაიჭირა ერის ცხოვრებაში. მაშინ მოძრავთა სიმდიდრის პატრონნი შეეცილნენ საზოგადოებრივს და სახელმწიფოებრივს უფლებას მიწის მფლობელთა, თავად-აზნაურობას და სამღვდელოებას. ეს შეცილება გათავდა საფრანგეთის დიდი რევოლუციით. ამ რევოლუციამ წაჰოაყენა მესამე წოდება „ბურჟუაზია", რომელმაც მიწათმფლობელობას ჩამოაცალა უპირატესობა სახელმწიფო წყობაში და მის მაგიერად დაადგინა მფლობელობა მოძრავის ქონებისა.

ამ ბურჟუაზიამ კიდევ ისე წარმართა საზოგადო და სახელმწიფო საქმე, რომ ეჩისავით სულ თავისკენ მოითალა და ის კი, რამაც საკუთრივ მეჭქმნა იგი მოძრავი სიმდიდრე, წრეს გარეთ დარჩა. ის წრეს გარეთ დარჩომილი—შრომა არის და მისი წარმომადგენელი კიდევ მუშა-კაცია. დღეს ეს მუშა-კაცი იბრძვის ევროპაში, რომ უპირატესობა სახელმწიფო და საზოგადოებრივს წყობაში ეჩავის არ ჰქონდეს განსაკუთრებული და ამისათვის ყოველგვარის წყობის ქვა კუთხედათ სდებს შრომასა, რომელიც ბუნებითად ყველას განმათანასწორებელია, რადგანაც ყველა უნდა მშრომელი იყოს. ამ სახით დღეს ევროპაში წარმომდგარია მეოთხე წოდებაცა, სახელდობრ მუშაკთა, რომელიც სიჭრავლით ყოველს წოდებაზედ უდიდესია. დღეს ეგ წოდება იბრძვის, იბრძვის სასტიკად და მედგრად თავისის დედა-ბრისათვის და იმედიცა აქვს გამარჯვებისა. ჩვენ ეს მცირედი შენიშვნა ინის საჩვენებლად მოვიყვანეთ, რომ ევროპაში, მიზეზია და დიდი საბუთიანიც, წოდებათა შორის დაჯახებისა, ერთმანეთთან ბრძოლისა, ერთმანეთის ცილობისა"*..

ამგვარად, ევროპის საზოგადოების კლასობრივი დანაწილებისა და კლასობრივი ბრძოლის ეკონომიური და პოლიტიკური საფუძვლები ილიას არსებითად სწორად ესმის და სწორადაც აქვს გადმოცემული.

რა მოსაზრება მოყავს ილია ჭავჭავაძეს საქართველოში საზოგადოების კლასებად დაყოფისა და კლასობრივი ბრძოლის უარსაყოფად?

ზემოთ მოყვანილი ტექსტის შემდეგ ილია აგრძელებს:

„ჩვენში რა არის აბა, მაგისი მსგავსი? ჩვენში! თავად-აზნაურობას დღევანდლამდე თითქმის ძარტო ის უპირატესობა ჰქონდა, რომ მოკითხვის წიგნში ბრწყინვალებად იხსენიებოდა და გლეხი კი არა.. ეკონომიური ძალა კი, რომელიც დღეს ჩვენში მარტო მიწის-მფლობელობიდან წარმოდგება, და ყოველივე, რაც ამ ძალის შედეგი ოდესმე იქნება, ჩვენში ვერც ერთმა წოდებამ, ღვთის მადლით, ვერ გაისაკუთრა...

* ი. ჭავჭავაძე, VIII, 57—58 (ხაზი ყველგან ჩვენია —გ. თ.).

რაკი ესენი იყო, რაკი უფლება ქვეყნის გამგეობისა მარტო ბელმწიფესა ჰქონდა და არავის სხვას,—ერთსა რა უნდა შეეშურებოდა მეორესი. ერთი იმასთანას რას დაეხარბებოდა მეორეს, რომ ამით ერთი წყობა მეორეს ჯანზედ გასდგებოდა და ჩაენერგაის განთვითეულების, განცალკევების ბრძნობა წოდებათა შორის, რომელიც ეხლანდელის ევროპის მწვავე ტკივილს შეადგენს. აქ, რასაკვირველია ბევრი ჰოც ითქმის და ბევრი არაც, მაგრამ ჩვენ იმაზედა ვართ დამყარებული, რომ წოდებათა შორის უფლების ცილება ეკონომიურის თუ პოლიტიკურისა, ცილება რომელიც უაღრესი მიხეზი იყო დაუძინებელის განხეთქილებისა სხვა ქვეყნებში, ჩვენში არ არსებობდა... ამით იმის თქმა კი არ გვინდა, რომ ჩვენში გლეხი, თავადი, აზნაური, თუ მღვდელი ყველგან ეგრე ძმურად სცხოვრობდნენ, არა—ძალიან ბევრგან სუფევს განხეთქილება, ხოლო დიდი შეცდომა იქნება, ამის მიხეზი თითონ წოდებათა წყობას, მის შინაგან არსებას, თვისებას, ზნეს და ჩვეულებას და აქედან წარმომდგარ მიდრეკილებას შივაწეროთ, ამის მიზეზი იგივეა, რაც თვითეულ კაცთა შორის: ავიგული, ხარბი თვალი, გრძელი ხელი და ნამუსის ქუდის ამდა"*.

მკითხველი ნათლად ხედავს, რომ თუ ევროპის საზოგადოებაში კლასობრივი დიფერენციაციისა და კლასობრივი ბრძოლის საკითხს ილია ჭავჭავაძე სწორად სწყვეტს, სამაგიეროდ ის არ არის მართალი ქართველი საზოგადოების კლასებად დაყოფისა და კლასობრივი ბრძოლის უარყოფის ცდაში.

რით აიხსნება ეს მოვლენა?

თავისი პერიოდისათვის ილია ჭავჭავაძეს უმთავრეს საზოგადოებრივ ამოცანად მიაჩნდა ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერება. ამას სთვლიდა იგი მომენტის აქტუალურ და გადაუდებელ საკითხად. განა ილია არ წერდა: „აზრი ცხოვრებისა იმაშია, რომ შეიტყო, შეიმცნო: ჟამი რას ითხოვს: ტირილსა თუ სიცილსა, გაყრას თუ შეკრებას, დუმილსა თუ მეტყველებას, სიყვარულსა თუ სიძულვილს, ბრძოლას თუ მშვიდობას"**... და მართლაც დრო და ჟამი აყენებდა გადაუდებელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ამოცანად სწორედ ნაციონალურ-რევოლუციური ბრძოლის გაჩაღებას რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის. საქართველოს განთავისუფლება მეფის რუსეთის სოციალურ-ეკონომიური და სულიერი ბონობისაგან ილია ჭავჭავაძეს მიაჩნდა ყველა ქართველის საერთო ეროვნულ საქმედ, მიუხედავად მათი წოდებრივი, ქონებ-

* ი. ჭავჭავაძე, VIII, 58—61 (ხაზი ყველგან ჩვენია—გ. თ.).
** VII, 82.

რივი და თანამდებობრივი მდგომარეობისა. ამ მონობას ის თელიდა ქართველი ხალხის საერთო მტრად და მის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანები, ილიას აზრით, ყველას აერთიანებდა.

მაგრამ, სამწუხაროდ, ამ საერთო მიზანს იქით, ილია ჭავჭავაძე ვერ ამჩნევდა ქართველი ერის შიგნით არსებულ სოციალურ-კლასობრივ დიფერენციაციას, კლასობრივ ბრძოლას, ანტაგონიზმს.

მიუხედავად ამისა, ზემოაღნიშნულიდან, ჩვენ ვფიქრობთ, არავინ გამოიტანს ისეთ აზრს, რომ ილია ჭავჭავაძე სრულებით ვერ ხედავდა საქართველოს სოფლისა და ქალაქის სოციალური განფენების ფაქტს; მას, როგორც საზოგადოებრივ მოვლენათა ანალიზის დიდი უნარის მქონე პიროვნებას, არ შეიძლებოდა არ დაენახა სინამდვილეში არსებული კლასობრივი ანტაგონიზმის ფაქტები და ფორმები, მაგრამ ეს მას არ მიაჩნდა კლასობრივი ბრძოლის ფაქტებად და ფორმებად; ხოლო, როცა საზოგადოებრივი მოძრაობისა და განვითარების ცალკეულ უბნებზე, ეს კლასობრივი ბრძოლა ისეთი სიცხადით იჩენდა ხოლმე თავს, რომ ილიას დაკვირვებულ თვალს არ შეეძლო არ შეემჩნია,—მაშინ ილია ცდილობდა მის, რაც შეიძლება, რბილ ფორმებში წარმოდგენას. უარყოფს რა ქართველი „ერის წყობ-წყობად დაყოფის“ ფაქტს, ილია იქვე გრძნობს ამ მცდარი დებულებით გამოწვეულ უხერხულობას და შემდეგნაირად არბილებს მას:

„ჩვენ ამით იმის თქმა კი არ გვინდა, რომ ჩვენს ცხოვრებაში სრულიად არ ყოფილა ელემენტები, რომელთ მოძრაობა და განვითარება საქმეს ბრძოლამდე და შეხეთქებამდე მიიყვანდა, თუ დასცალდებოდა“*. ასეთ ელემენტებად მას მიაჩნია, ზემოთ, მის ციტატაში აღნიშნული გარემოება, რომ გლეხი, აზნაური, თავადი ყველგან არ სცხოვრობენ ძმურად და „ძალიან ბევრგან სუფევს განხეთქილება.“ მაგრამ აღსანიშნავია, რომ ეს სოციალური განხეთქილება, ილიას მიხედვით, სუფევს „ძალიან ბევრგან“ და, მაშასადამე, არა ყველგან და ამავე დროს ამ განხეთქილებისა და „ძმური ცხოვრების“ დარღვევის მიზეზად მას მიაჩნია არა სოციალური წყობა, არამედ—„ავი გული, ხარბი თვალი, გრძელი ხელი, ნაძუსის ქედის ახდა“. ამით ილია ჭავჭავაძე სოციალური ანტაგონიზმის ფაქ-

* ი. ჭავჭავაძე, VIII, 56.

ტებს ხსნის არა მათი კანონზომიერი განზოგადოების მეთოდით. არამედ დაჰყავს ისინი „თვითეულ კაცთა შორის“ შესაძლო უთანხმოების კერძო მომენტამდე და ამით აცლის მათ ახსნას საზოგადოებრივ-ისტორიულ საფუძველს.

კლასობრივი ბრძოლის ფაქტები საქართველოს ფეოდალურ (მემამულე) კლასსა და გლეხურ კლასს შორის, ილიას წარმოდგენილი ჰქონდა როგორც მხოლოდ ბატონყმური ურთიერთობის ფაქტები. მართალია, ბატონყმობას ის თვლიდა დიდ უსამართლობად და ბოროტებად და მთელი თავისი შეგნებით იბრძოდა მის წინააღმდეგ,—მაგრამ იგი მას კლასობრივი ბრძოლის ფორმად მაინც არ მიაჩნდა. ილია ჭავჭავაძე როგორც მხატვრულ შემოქმედებაში, ისე მეცნიერულ ნაშრომებში, დაუღალავად აშიშვლებდა და ამარცხებდა ბატონყმობას, სთვლიდა მას ჰუმანიური კაცობრიობისათვის შეუფერებელ მოვლენად და ისტორიის სამარცხვინო პერიოდად. ის მშვენიერად ხედავდა ბატონსა და ყმას შუა არსებულ ანტაგონიზმს და ამავე დროს შეუძლებლად მიაჩნდა მათი შერიგება; განა ილია არ ლაპარაკობს, რომ „ბ ა ტ ო ნ-ყ მ ა ს შ უ ა ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ს ხ ი დ ი ა რ გ ა ი ნ დ ე ბ ა“ („გლახის ნაამბობი“), რომ „გ ლ ე ხ კ ა ც ი ს დ ა ყ მ ი ს ლ ი ტ ო ნ ი ბ ე დ ი ვ ე რ ა, ვ ე რ გ ა ს ძ ლ ე ი ს პ ა ტ ო ნ ი ს ხ ე ლ შ ი („ეპიზ. ყაჩაღის ცხოვრ-დან“), რომ ბ ა ტ ო ნ ს ა დ ა ყ მ ა ს შ უ ა „ხ ი დ ი ა ჩ ა ტ ე ხ ი ლ ი“ და ისინი „ო რ ი ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ქ ვ ე ყ ა ნ ა ა“ („ოთარაანთ ქვრივი“); არსებითად ჩვენ აქ ყველგან ორ მოპირდაპირე და შეურიგებელ სოციალურ კლასთან და კლასობრივ ბრძოლასთან გვაქვს საქმე, თუმცა ილია მათ კლასებად არ აღიარებს, მათ შეურიგებელ ბრძოლას კლასობრივ ბრძოლად არა სთვლის.

ასეთია ილია ჭავჭავაძისა და მის თანამებრძოლ ქართველ განმანათლებელთა და ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურთა შეხედულება კლასთა ბრძოლის საკითხზე. ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი დ ა პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს ჩ ა მ ო რ ჩ ე ნ ი ლ ო ბ ი ს გ ა მ ო, ი ს ი ნ ი ვ ე რ ა მ ა ღ ლ დ ნ ე ნ ი ს ტ ო რ ი უ ლ ი პ რ ო ც ე ს ი ს მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ს ტ უ რ ა გ ა გ ე ბ ა მ დ ე, და ეს იყო მათი აზროვნებისა და მოღვაწეობის ერთი დიდი ნაკლი. მაგრამ ნაკლი საესებით გასაგები და ადვილად ასახსნელი XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს მდგომარეობით.

ახლა შეგვიძლია ეუპასუხოთ ზემოაღნიშნულ საკითხს: რომელი კლასი ნიაჩნდათ პროგრესულად XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ განმანათლებლებს?

საზოგადოებრივი განვითარების თვალსაზრისით, მხოლოდ გლეხობას თვლიდნენ ისინი ნათელი პერსპექტივის მქონე ძალად. გლეხების განთავისუფლებას ქართველი განძანათლებლები, რასაკვირველია, აღტაცებით შეხვდნენ. მაგალითად, ილია ჭავჭავაძე წერდა, რომ ამით:

„მოისპო ჩვენში ერთისაგან მეორის ადამიანობის გაქცევის მიზეზი, კაცი კაცად აღიარეს... ერთს ჩამოაცალეს ის, რაც სიმართლის შეურაცხყოფა იყო, მეორეს დაუბრუნეს ის, რაც უსამართლოდ წართმეული ქონდა“*.

რამდენადაც ილია ჭავჭავაძე ხედავდა, რომ მის დროს ხალხის სოციალურ ფენათა შორის არსებობდა ეკონომიური და უფლებრივი განსხვავება, რომ იყო ისეთი სოციალური კატეგორიის ხალხი, რომელიც უფრო მეტ ქონებას ფლობდა, და უფრო მეტი უფლებით სარგებლობდა,—იმდენად მისთვის გარკვეული იყო, რომ ამ კატეგორიის ხალხს, ერის უმცირესობას, დაპყრობილი ჰქონდა აგრეთვე განსაკუთრებული უფლება და უპირატესობა კულტურასა და სწავლა-განათლებაზე, ხოლო ერის უმრავლესობა, მისი მძრომელი ნაწილი, მოკლებული ეკონომიურ და პოლიტიკურ უფლებებს, მოკლებული იყო აგრეთვე ფაქტიურ უფლებას სწავლა-განათლებაზე, სკოლაზე. ჯერ კიდევ 1863 წელს ამის შესახებ ილია წერდა: „ყველამ კარგად იცის, რომ მეცნიერება და ხელოვნება, ეგ უდიდესი სალარონი, სადაც კაცობრიობის გენია აწყობს ხოლმე გონიერების საუნჯესა—არ არიან ყველასათვის მისაწვდომნი“**. ამ გონებრივი სალაროთი, ილიას თქმით, სარგებლობენ:

„მხოლოდ ამორჩეულნი პირნი, რომელნიც ყველგან ცოტანი არიან,... მხოლოდ იგინი სარგებლობენ და ი ს ა კ უ თ რ ე ბ ე ნ ი მ ა თ ს ა უ ნ ჯ ე ს ა, მ ა შ ი ნ რ ო დ ე ს ა ც ი მ ა თ ი გ ა ნ მ ა ნ ა თ ლ ე ბ ე ლ ი ს ხ ი ვ ე ბ ი ყ ვ ე ლ ა ს ა თ ვ ი ს ს ა ჭ ი რ ო ნ ი ა რ ი ა ნ რ ო გ ო რ ც ა რ ს ე ბ ი თ ი პ უ რ ი“**.

---

* ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, VIII, 5.

იქვე, IV, 74.

ასევე სკოლებიც, რომლებიც სასარგებლო ცოდნას აერცელებენ ხალხში. „მაგრამ, იმათამდინ იმდენად ცოტას მიუწვდება ფეხი, რომ დანარჩენი ხალხის რიცხვთან რომ შევადაროთ, ის ცოტა— წვეთი იქნება ზღვაში. ბევრნი რჩებიან სასწავლებლის გარეთ...“*.

რატომ? ამ კითხვაზე ილია უპასუხებს პოლიტიკური გამჭრიახობით, მაგრამ სიფრთხილით: „განა იმის გამო, რომ უღირსნი და უდანონნი არიან, არამედ ათასი სხვადასხვანაირ მიზეზისა გამო, რომელთაც ჩვენ აქ არ მოვიხსენიებთ“*. ეს ნხედველობაში ჰქონდა გაბატონებული ფენების პრივილეგია სწავლა-განათლებაზე და მოითხოვდა ამ პრივილეგიების ნოსპობას, ყველასათვის თანაბარ და საყოველთაო სწავლა-განათლებას. მისი აზრით, ცოდნა „ყველას ერთნაირად ნოეხდება, ყველას ერთნაირად დაანშვენებს“, და ადამიანი ფასდება არა წოდებრივი და ქონებრივი მდგომარეობით, არამედ ცოდნა-განვითარებით.

ილია მშვენივრად ხედავდა, რომ განათლების გაერცელებას ლარიბი, მშრომელი ხალხი უფრო ნისდევდა, ვიდრე შეძლებული თავადაზნაურობა: „არც ერთი წოდება ჩვენში ისე-გულგრილად არ ეკიდება ამ საქმეს, როგორც თავადაზნაურობა,“**—წერდა იგი.

აქედან ცხადად ჩანს, რომ ყველა წოდებაზე უფრო საიმედო ძალად ილიას მიაჩნდა გლეხობა, მშრომელი ხალხი.

ასევე წყვეტდა საკითხს მისი თანამებრძოლი იაკობ გოგებაშვილი. თავადაზნაურობა მასაც დრომოქმედად მიაჩნდა, სოდო ქართველი ბურჟუაზია კი სუსტ, უდღეურ ფენად. ერთადერთ პროგრესულ ძალად ის აღიარებდა მშრომელ ხალხს, გლეხობას. ნან. თუმცა გვიან, მაგრამ სავსებით გარკვეულად გამოსთქვა თავისი აზრი ამ საგანზე:

„ბევრს არა სწამს მომავალი ქართველი ერისა და სიკვდილს უწინასწარმეტყველებს მას. მაგრამ მათ, რომ დაახლოებით გაიცნონ, თუ რა გამრყვნელს და უდიერს ბიუროკრატიის ხელში იყო იგი მთელის საუკუნის განმავლობაში, და, მიუხედავად ამისა, მან შეინარჩინა ძალა ბრძოლისა და სიცოცხლისა, იგინი ირწმუნებენ ამ ერის მომავალსა... ირწმუნებენ მომავალს არა ქართველის არისტოკრატიისას, რომელიც ჭენებით მიისწრაფება უკან, უფსკრული-

---

* ი. ჭავჭავაძე. IV, 74.

** ი. ჭავჭავაძე, პედაგოგიური თხზულებანი, 304.

საკენ, და ჰყიდის თავის მდიდარ მამულებს, მორწყულს ქართველი ერის სისხლით და ოფლით, უცხოელებზე, არა ქართველი ბურჟუაზიისას, რომელიც უდღეური ბავშვივით წყალდება დედის მუცელში. არამედ „შრომელი ქართველი ხალხისას“*.

ამგვარად, XIX საუკუნის 60-იანი წლების მოწინავე ქართველი რევოლუციური ინტელიგენციის მეთაურებისა და განმანათლებელთა დაბოკიდებულება XIX ს. მეორე ნახევრის საქართველოს საზოგადოებრივი კლასებისადმი სავსებით ნათელია: თავადაზნაურობას ისინი სთვლიდნენ საბოლოოდ განწირულ კლასად, რომელიც, ი. ჭავჭავაძის თქმით, გარეგნულად ხავერდით მოსილი კუბოა, ხოლო შინაგანად „სულისა და ხორკის გახრწნილება“** და რომელმაც, „როგორც წოდებამ, როგორც ცალკე კრებულმა დიდი ხანია უკვე თავის დრო მოჭამა“***. იაკობ გოგებაშვილის მიხედვითაც, თავადები არიან ჩვენი ერის მაღალი, მაგრამ „დამჭკნარი და გამხმარი ტოტები“, რომელნიც „მთელს ერს უტეხენ სახელს“****. ქართველი ბურჟუაზია, თუმცა მოუმწიფებელ, სუსტ ფენას წარმოადგენდა, მაგრამ როგორც უპერსპექტივო ექსპლოატატორი კლასი, რომელიც „ყველაფერს თავისთვის მიითვლიდა“, არ იწვევდა სამოციანელ მოღვაწეთა თანაგრძნობას. ასევე სუსტი იყო 60-იანი წლების ქართველი მუშათა კლასიც. რიცხვობრივი სიმცირისა და სათანადო კლასობრივი თვითშეგნების უქონლობის გამო, მას ჯერ კიდევ არ გააჩნდა გარკვეული საზოგადოებრივ-ეკონომიური და პოლიტიკური პროგრამა, რაც უძნელებდა ქართველ განმანათლებელთ წარმოედგინათ მისი წამყვანი როლი მომავალ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ერთადერთი სოციალური კლასი, გარკვეული ეკონომიურ-პოლიტიკური მდგომარეობითა და ფიზიონომიით, რომელსაც მე-19 საუკუნის 60-იანი წლების საზოგადო მოღვაწეთა მეთაურები მოწინავე და საიმედო ძალად აღიარებდნენ—იყო გლეხობა.

მხოლოდ გლეხობა იყო, მათი აზრით, „სული და გული ჩვენის ეროვნულის იმედებისა“ (ი. ჭავჭავაძე), მხოლოდ გლეხობისა

---

* ი. გოგებაშვილი, რჩ. ნაწერები, II, 531, 1946.

** ი. ჭავჭავაძე, IV, 396.

*** იქვე, IX, 182.

**** ი. გოგებაშვილი, II, 319—320.

და მისი სახით მშრომელი ხალხის აღორძინებაზე იყო, მათ აზრით, „დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის ბედი და უბედ[illegible]*

მართალია, XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურებს, დიდ ქართველ განმანათლებლებს, გლეხობა მიაჩნდათ მშრომელობა ფენის სინონიმად, მაგრამ მშრომელი ხალხის ცნებას ამით არ ზღუდავდნენ. მშრომელი ხალხი, რომელიც წარმოადგენდა, მათ დასაყრდენს, შეიცავდა გლეხობას როგორც ძირითად ფენას, მაგრამ მასთან ერთად მშრომელ ხალხს წარმოადგენდა ყველა მშრომელი, ღირებულების შემქნელი ყოველი ადამიანი, მიუხედავად მისი წოდებრივი მდგომარეობისა. ხოლო საერთო ნიადაგი, რომლის საფუძველზეც შეიძლებოდა სხვადასხვა ქართველ წოდებათა მოწინავე ჯგუფების ან ცალკე პირების გაერთიანება, იყო შრომა.

„შრომისა ახსნა—ეგ არის ტვირთი ძლევამოსილი ამ საუკუნის... და ამ ზვიადმა საუკუნემა უნდა შეას იგი შრომის სუფევა", —აცხადებდა ილია ჭავჭავაძე ჯერ კიდევ 1859 წელს („აჩრდილი"). თავისუფალი შრომა მიაჩნდა მას როგორც ძმობა-ერთობისა და თავისუფლების, ისე სოციალური თანასწორობის საფუძველი. იაკობ გოგებაშვილმა პასუხად საკითხსა: „რომელი დროშის, რომელი ბაირაღის ქვეშ უნდა მოხდეს ეროვნული შეერთება ქართველ წოდებათა?" აღნიშნა: „რასაკვირველია ამ დროშად უნდა გახდეს პრინციპი შრომისა, ის პრინციპი, რომლის გარეშე ჩვენს დროში არც ერთს წოდებას სიცოცხლე და წარმატება არ შეუძლიან"**.

ასეთი ევოლუცია განიცადა საქართველოს XIX საუკუნის მეორე ნახევრის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურებისა და განმანათლებელთა შეხედულებამ საქართველოს სოციალური ფენების (კლასების) და მათი როლის შესახებ საზოგადოებრივი განვითარების პროცესში; უკეთუ ისინი XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან, ე. ი. ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე პერიოდის დასაწყისიდან თითქმის მის დასასრულამდე (1861—1895), ლაპარაკობდნენ ქართველ ხალხზე საზოგადოდ,—შემდეგ აღნიშნული მოძრაობის მესამე პერიოდის დასაწყისიდან (1895), წარმოების განვითარებისა და მუშათა კლასის

---

* ი. გოგებაშვილი, რჩეული ნაწერები, II, 167.
** იქვე, II, 318.

რევოლუციური ბრძოლის გავლენით, ლაპარაკობდნენ მშრომელ ხალხზე საზოგადოდ.

—

მე-19 საუკუნის 60-იანი წლების საზოგადოებრივი ცხოვრების სიახლემ თავისი მკაფიო გამოხატულება ჰპოვა აგრეთვე კულტურისა და განათლების დარგში. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ურთიერთობის შეჭრამ ხალხის ყოფა-ცხოვრებაში, გამოიწვია მისი რადიკალური გარდაქმნა ამ ურთიერთობის საფუძველზე და მოამზადა ნიადაგი ახალი კულტურისა და განათლების დამკვიდრებისათვის.

პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია ახალი ქართული პრესის შექმნა.

60-იანი წლების საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი იდეები, რის შესახებაც ზემოთ ვილაპარაკეთ, და ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, სრულიად ახალ ამოცანებს აყენებდა ქართული პრესის წინაშე. ძველი ჟურნალი „ცისკარი", რომელიც ერთადერთ ქართულ პერიოდულ ორგანოს წარმოადგენდა 60-იანი წლების დასაწყისში*, სრულებით ვერ ერკვეოდა ახალ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში. ის, ძირითადად, კვლავ რჩებოდა ქართველი კონსერვატული ფენების ორგანოდ და ძალზე ჩამორჩებოდა ცხოვრებისა და ქართველი ხალხის ახალ მოთხოვნილებებს. 1862 წელს ილია ჭავჭავაძემ მისცა „ცისკარს" მკაცრი, მაგრამ სავსებით დამსახურებული დახასიათება: „ეგ იმისთანა ჟურნალია, რომელიც დაგვიანებულა და უკან დარჩომია ცხოვრებასა: ცხოვრება წინ წასულა და ის კი უკან მოსჩანჩალებს, როგორც ფეხმოტეხილი ცხვარი თავის ფარასა. თავის ჩანჩალში ის კოპლი ჟურნალი არამც თუ არჩევს და ხსნის, რაც თვალწინ უტრიალებს საზოგადოებასა, არამედ თავმომწონებით ჰკრეფს, რაც თვით საზოგადოებას თავის განვითარების გზაზედ გადაუყრია, როგორც უვარგისი და გამოუსადეგი"**. მართალია, „ცისკარში" ბევრი მოწინავე მწერალი და აზრი ისტამბებოდა, ბევრ ახალ და აქტუალურ პრობლემას გამოხმაურებია იგი თავისი ხანგრძლივი არსებობის

---

* 1862 წლიდან „ცისკრის" დამატების სახით გამოდიოდა მამულის პატრონობის და ვაჭრობის გაზეთი „გუთნის დედა", ივ. კერესელიძის რედაქციით 1873 წლიდან რედაქტორობდა ანტ. ფურცელაძე).

** ი. ჭავჭავაძე, IV, 380.

მანძილზე (1852—53; 1857—75), მაგრამ, რამდენადაც მისი რედაქტორი და თანამშრომელთა დიდი უმრავლესობა ძველი ფეოდალურ-პატრიარქალური ყოფა-ცხოვრებისა და იდეოლოგიის მიმდევრები იყვნენ, იმდენად ჟურნალი „ცისკარი", საერთოდ, ბოლომდე რჩებოდა კონსერვატული და რეგრესული სიტყვის აპოლოგეტად.

ზედმეტია ლაპარაკი რაოდენ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა ახალი პერიოდული ორგანოს შექმნა 60-იანი წლების დასაწყისშივე. ამ საჭიროებას ყველაზე უფრო მახვილად გრძნობდა ილია ჭავჭავაძე, და 1863 წლის დასაწყისიდან შეუდგა ახალი ლიტერატურული ჟურნალის „საქართველოს მოამბის" გამოცემას.

„საქართველოს მოამბის" პირველი ნომრის საპროგრამო წერილი („საქართველოს მოამბეზედ"), რომელიც მის რედაქტორს, ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის, დასაწყისშივე აღნიშნავდა, რომ ცხოვრება რაც გუშინ იყო, ის დღეს აღარ არის... იგი იცვლება. მიდის წინ და მოაქვს განახლება ყოველისფერისა. წესი, ჩვეულება, აზრი, გრძნობა, ენა, რომელიც მაგათი გამომეტყველია, ყოველიფერი იცვლება მის ძლიერ გავლენისაგან". განვითარების ამ ზოგადი, რევოლუციური და მატერიალისტური პრინციპის აღიარებასთან ერთად „საქართველოს მოამბე" თავის პრაქტიკულ, საბრძოლო ამოცანად აცხადებდა: „ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა; მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია".*

ამ მგზნებარე პატრიოტული მიზნით იბეჭდებოდა „საქართველოს მოამბეში" ყველა პუბლიცისტური და კრიტიკულ-ლიტერატურული წერილი, ამ დანიშნულებას ემსახურებოდა ყველა სამეცნიერო და მხატვრული ნაწარმოები. ილია ჭავჭავაძის „საქართველოს მოამბე" იყო ქართველი ხალხის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშე, მისი იდეოლოგი და ორგანიზატორი. ჟურნალის რედაქტორი და თანამშრომელთა უმრავლესობა, ალზრდილნი რუსეთის დიდ მეცნიერთა და რევოლუციონერთა—ბელინსკისა და ჩერნიშევსკის—მოძღვრებაზე, თავის სამშობლოსა და მშობელი ერის ეკონომიური და პოლიტი-

* ი. ჭავჭავაძე, IV, 65, 78.

ეროვნული განთავისუფლების საქმეს ორგანულად უკავშირებდნენ თავისუფლებისა და სოციალური თანასწორობის საერთო იდეებს. „საქართველოს მოამბე“ შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდა გარდასული და გარდამავალი ცხოვრების რეაქციული ნორმების წინააღმდეგ. ის გამოდიოდა „ტვირთმძიმეთა და მაშვრალთა მხსნელი“ იდეებით, მათი მომავლის საღი პერსპექტივით. ჟურნალი არ იფარგლებოდა არსებული ანუ „აწინდელი ცხოვრების წრეში ჩადგომით“; ის „მომავლისაკენ იყო მიმართული“; „რაც უფრო შორსა სცემს ჟურნალის თვალი, მით უფრო კარგია“,—წერდა მის საპროგრამო წერილში ილია ჭავჭავაძე.

ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ თავის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მეცნიერულ-ლიტერატურული ამოცანების შესაბამისად მატერიალისტური მსოფლმხედველობის საფუძველზე იდგა. მატერიალისტურად განიხილავდა იგი თავის მთავარ პრობლემებს, განსაკუთრებით თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის, მეცნიერებისა და რეალური სინამდვილის ურთიერთობის საკითხს. „საქართველოს მოამბის“ ხსენებული საპროგრამო წერილი, ჩამოთვლის რა თავის ამოცანებს, აცხადებს, რომ „ამ ძნელ საქმეში ჟურნალმა უნდა წაიმძღვაროს წინ მეცნიერების სინათლე და ხელოვნების კალამი“, მხოლოდ ამ ორი ღონისძიებით ნიაჩნდა მას შესაძლებლად ჟურნალის ამოცანების გაცნობიერება „ეგა რაც ცნობაშია მოყვანილი, მხოლოდ ისა სცვლის ცხოვრებასა და აკეთებს“. რედაქცია გადაჭრით აცხადებდა, რომ „მეცნიერებასა და ხელოვნებას ჩვენ ვუყურებთ, როგორც ცხოვრების გასაუმჯობესებელ ღონისძიებათა“. ჟურნალი მტკიცედ იცავდა ამ პრინციპს.

მეფის ხელისუფლების მიერ ეროვნულ უმცირესობათა კულტურის კოლონიური დევნა-შევიწროების პირობებში დიდსანს არ შეეძლო არსებობა ქართული ცხოვრების ისეთ განმაახლებელ ორგანოს, როგორიც იყო „საქართველოს მოამბე“ და, მართლაც, მხოლოდ ერთ წელს გაუძლო მან „სულთამხუთავ“ ცენზურას. ჟურნალი დაიხურა, მაგრამ მისი 12 ნომერი, ეს 12 ნაკადული მე-19 საუკუნის ახალი ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა, ისე ღრმად შეისვა საქართველოს მიწამ, რომ ახალი ჯეჯილის აღაღანებას ვერაფერი შეაკავებდა.

ორი წლის (1864—1865) მანძილზე საქართველოს აღარა ჰქონდა მოწინავე ბეჭდვითი სიტყვის ორგანო. „ცისკარი“ ზეიმობდა, მაგ-

რამ არა იმას, რომ მან ბევრი რამ კარგი ისწავლა „საქართველოს მოამბისაგან“, არა—ძლიერი მეტოქის დაღეპვას. 1864 წელს მას გვერდში ამოუდგა ქართველი სამღვდელოებისა და კლერიკალური წრეების ჟურნალი „საქართველოს სასულიერო მახარობელი“, ქართულ-რუსულ ენებზე, ღვთისმეტყველების მაგისტრის, პედაგოგ გიორგი ხელიძის რედაქტორობით. ოთხი წლის განმავლობაში (1864 --68) გამოდიოდა ეს ჟურნალი. წერილები სამოქალაქო თემებზე მასში იშვიათად იბეჭდებოდა და ეხოლოდ იმით ჰქონდა მას არსებობას ერთგვარი ხნიმვნელობა, რომ ის ათავსებდა მასალებს ეკლესიის ისტორიიდან, სასულიერო განათლების წიღვაწეთა ბიოგრაფიებს და ბიბლიოგრაფიული ხასიათის ცნობებს.

მე-19 საუკუნის 60-იანი წლების მოწინავე ქართველ ნოღვაწეებს, რევოლუციონერებსა და დემოკრატებს, დიდხანს, ცხადია, არ შეეძლოთ არსებობა და მოღვაწეობა ბეჭდვითი ორგანოს გარეშე. ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარება გადაუდებლად მოითხოვდა მის შექმნას და 1866 წელს მართლაც შეიქმნა ასეთი ორგანო: „საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „დროება“.

გაზეთი „დროება“, თავისი პრობლემატიკით და თვალსაზრისით, პირველ წლებში „საქართველოს მოამბის“ იდეური მემკვიდრეობის გზას ადგა. მისი რედაქტორები (გიორგი წერეთელი, 1869 წლამდე, სერგეი მესხი, 1869 წლიდან) და თანამშრომელთა ძირითადი ბირთვი ნაციონალურ-გახმათავისუფლებელი მოძრაობისა და ქართველი „რაზნოჩინელი“ ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები იყვნენ და, ბუნებრივია, ამ მოძრაობისა და ინტელიგენციის სამოქმედო პროგრამას იზიარებდნენ. მაგრამ, როგორც ვწერდით, 1869 წლიდან ჩამოყალიბდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მიმართულების „მეორე დასი“ და „გაზეთი „დროება“ უმთავრესად მისი ორგანო გახდა.

სოფლის-მეურნეობის განვითარებამ გამოიწვია უფრო პროგრესული სასოფლო-სამეურნეო ორგანოს შექმნა, ვიდრე „გუთნის დედა“. ეს ამოცანაც იმავე გიორგი წერეთელმა და ს. მესხმა გადაწყვიტეს. მათ 1869 წელს თავიანთი რედაქციით შექმნეს ყოველკვირეული „სასოფლო გაზეთი“, რომელიც 1880 წლამდე ეამოდიოდა (1874 წლიდან პეტრე უმიკაშვილის რედაქციით).

მოწინავე საზოგადოებრივი ლიტერატურული ხასიათის ორგანოს წარმოადგენდა აგრეთვე „სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი „მ ნ ა თ ო ბ ი“, რომელიც დაარსდა 1869 წელს და გამოდიოდა 1872 წლამდე ნიკოლოზ ა ვ ა ლ ი ‘ შ ვ ი ლ ი ს რედაქტორობით. ეს ჟურნალი თავისუფლად ათავსებდა ხალხოსნური და უტოპიური სოციალიზმის იდეებს რევოლუციურ-დემოკრატიულ და ბურჟუაზიულ იდეებთან პოლიტიკური ზომიერებისა და ლიბერალიზმის საფუძველზე.

60-იანი წლების რუსული პერიოდიკიდან საქართველოში აღსანიშნავია გაზეთი „К а в к а з“, რომელიც ბევრ, სერიოზულ და შინაარსიან მასალას ბეჭდავდა ქართული კულტურისა და ყოფა-ცხოვრების საკითხებზე.

პედაგოგიკური პრესა XIX საუკუნის 60-იანი წლების საქართველოში არ ყოფილა. მაგრამ პედაგოგიკურ და, საერთოდ, სახალხო განათლების საკითხებს ამ პერიოდის ჟურნალ-გაზეთები დიდ ადგილს უთმობდნენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ და გაზეთი „დროება“. პირველის 12 ნომრიდან პედაგოგიკის საკითხებს ეხება 6 ნომერი (III, IV, VIII-XI). მოთავსებულ წერილთა შორის აღსანიშნავია ხ. ზ ა ლ ც მ ა ნ ი ს „კონრად კიფერი, ანუ დარიგება ყმაწვილის კარგად აღზრდისათვის“ თარგმანი ლ. ჯანდიერიშვილისა, რედაქტორის (ი. ჭავჭავაძის) წინასიტყვაობით (№ III), და „ბ. ბელინსკის აზრი შვილების აღზრდაზე“ (IX—X), რომელიც წარმოადგენს ბ ე ლ ი ნ ს კ ი ს ცნობილი სტატიის „Две сказки Гофмана и сказки деду шки Иринея“-ს თარგმანს*.

გაზეთ „დროებაში“, 1866—69 წლებში, აღზრდა-განათლების შესახებ მრავალრიცხოვან წერილთა შორის აღსანიშნავია ვასილ პ ე ტ რ ი ა შ ვ ი ლ ი ს, გ. წ ე რ ე თ ლ ი ს და სხვათა წერილები, რომელთაც ჩვენ თავის ადგილას შევეხებით. სახალხო განათლების საკითხებზე წერილებს ბეჭდავდა აგრეთვე „ცისკარი“, „Кавказ“-ი, „საქ. სასულიერო მახარობელი“, „მნათობი“; ასეთი წერილები გვხვდება „სასოფლო გაზეთშიც“.

მე-19 საუკუნის 60-იან წლებში სწრაფი ტემპით იზრდებოდა რუსული ენის ცოდნა საქართველოში. ამ ენის საშუალებით ქართველი საზოგადოება ეცნობოდა რუსულ პრესას, რუსეთის მეცნიე-

* თარგმანი ეკუთვნის ნაკსიმ ღ ო ღ ა ნ ა ძ ე ს.

რებისა და ხელოვნების საუკეთესო ძეგლებს და აგრეთვე დასავლეთი ევროპის ლიტერატურიდან თარგმნილ ნიმუშებს. ჯერ კიდევ 1859 წელს დაკვირვებული პუბლიცისტი ალ. ორბელიანი, აღნიშნავდა რა რუსული ენის გავრცელების ფაქტს საქართველოში, წერდა:

„თუ გონების გაღვიძება და გულისსმიერების გამდიდრება გვინდა, ამ ენას უნდა მივმართოთ; მისი საშუალებით შეგვიძლიან მივიღოთ ევროპიული განათლება; მაშასადამე, რუსული ენა დიდ შემწეობას მოგვცემს ჩვენი საკუთარი ენისა და ლიტერატურის აღდგინებაში, თუ ვისმე ნამდვილად სურს ეს აღდგინება. რაც რომ ძველ დროში საბერძნეთმა და მისმა განათლებამ სიკეთე უყო ჩვენს მამულსა, იმ სიკეთეს ეხლა რუსული ენა უზამს, მერწმუნეთ... რომელსაც ქართველს ნამდვილი ნიჭიერება აქვს და შრომა უყვარს, ის არაოდეს არ შეურაცხჰყოფს მშობლიურ ენასა და თვით იმის სიკეთისათვის შეიძინებს სხვა ენების სწავლასაც“.*

ეს აზრი რუსული და უცხო ენების შესახებ საკმაო პოპულარობით სარგებლობდა 60-იანი წლების საქართველოში და ამიტომ საკვირველი არაა, რომ ამ პერიოდის ქართველი მოწინავე ინტელიგენცია დიდი ინტერესით კითხულობდა ისეთ რუსულ ჟურნალებს, როგორიც იყო: „Современник“ ჩერნიშევსკის მონაწილეობით (1862 წლამდე) და ნეკრასოვის რედაქციით, „Русское слово“, პისარევის მონაწილეობით, „Отечественные записки“ განსაკუთრებით 1867 წლიდან, როდესაც ის ნეკრასოვის ხელში გადავიდა, ხოლო თანამშრომლებად კი მოწვეულ იქნენ სალტიკოვ-შჩედრინი, შემდეგ ა. ოსტროვსკი, გ. უსპენსკი და სხვა გამოჩენილი მწერლები, „Вестник Европы“, სტასულევიჩის რედაქციით. 60-იანი წლების საქართველოში ვრცელდებოდა აგრეთვე გერცენის გაზეთი „Колокол“-ი, განსაკუთრებით 1865 წელს, როდესაც მასში იბეჭდებოდა ნიკო ნიკოლაძის წერილები საქართველოს შესახებ, და სხვა რუსული პერიოდული პუბლიცისტიკურ-ლიტერატურული გამოცემები.** პედაგოგიკური ჟურნალებიდან საკმაო პოპულარობით

---

* „ცისკარი“, 1859, X, 165.

** 60-იან წლებში თბილისში ვრცელდებოდა პეტერბურგისა და მოსკოვის პერიოდულ გამოცემათა უმრავლესობა (Ш. Чхетия, Тбилиси в XIX столетии, 350).

სარგებლობდა ჩვენში „Журнал Министерства народного просвещения (ЖМНП)“, რომელსაც 1860—1862 წლებში რედაქტორობდა კ. დ. უშინსკი, „Педагогический сборник“ ნ. ვესელის რედაქციით, „Детский сад“ ა. სიმონოვიჩის რედაქციით, „Учитель“, ი. პაულსონის რედაქციით.

რუსული ენის ცოდნის შემდგომი უფრო ღრმად დანერგვა ქართველი ინტელიგენციის ყოფა-ცხოვრებაში, კიდეე უფრო აუარესებდა მის მისწრაფებას რუსული პერიოდიკისა და, საერთოდ, მწერლობისადმი; 60-იანი წლების ქართული საზოგადოებრიობა კარგად გრძნობდა ამ პერიოდის რუსული მეცნიერებისა და ლიტერატურის დიდ მნიშვნელობას საკუთარი ეროვნული კულტურის განვითარებისათვის. საკმარისია გავიხსენოთ ილია ჭავჭავაძის სავსებით დამარწმუნებელი მსჯელობა რუსული ლიტერატურისა და მეცნიერების დიდი, ნაყოფიერი ზეგავლენის შესახებ ქართული სულიერი ძალების, გონებისა და აზრის განვითარებაზე (იხ. აქვე, გვ. 523 - 524)*.

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული და საგანმანათლებლო იდეების გავლენა XIX საუკუნის 60-იანი წლების ქართული საზოგადოებრივი აზროვნების გარდაქმნისა და ახალი მიმართულებით განვითარების პროცესზე. რამდენადაც ქართველ 60-იანელთა მეთაურები უმთავრესად ლიტერატორები და პუბლიცისტები იყვნენ, იმდენად ამ სფეროში უფრო მეტად აღიქვამდნენ და განიცდიდნენ ისინი რუსეთის დიდი დემოკრატებისა და რევოლუციონერების ზემოქმედებას. ბელინსკის მოძღვრება იყო პირველი ცხოველმყოფელი ნაკადი, რომელიც ყველაზე უფრო ადრე შეიპრა 60-იანი წლების ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში, როგორც ერთ-ერთი ძლიერი ფაქტორი მის დასამკვიდრებლად რევოლუციურ და მატერიალისტურ საფუძვლებზე.

ზედმეტი არ იქნება ორიოდე სიტყვით აღვნიშნოთ—როგორ შეხვდა ბელინსკის იდეებს XIX საუკუნის 60-იანი. წლების ქართველი ინტელიგენცია.

რუსეთის დიდი კრიტიკოსის ბესარიონ ბელინსკის სახელი ქართულ ლიტერატურაში პირველად გვხვდება XIX საუკუნის

---

* ასეთივე შეხედულებისა იყვნენ ამ საგანზე ი. გოგებაშვილი, აკაკი წერეთელი, ნ. ნიკოლაძე და XIX საუკუნის მეორე ნახევრის მრავალი საზოგადო მოღვაწე.

60-იანი წლების დასაწყისში, როდესაც უკვე მომზადებული იყო ნიადაგი მისი რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების გასავრცელებლად საქართველოში. ამ იდეებს ყველაზე უფრო ადრე გამოეხმაურნენ საქართველოს ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოწინავე წარმომადგენელნი, რომლებიც მათში ხედავდნენ ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობისა და კულტურის ერთ-ერთ დასაყრდენს და მეფის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლის მახვილ იარაღს.

ბელინსკის ლიტერატურული ტრადიციების გამოყენების პირველ ბრწყინვალე მაგალითს საქართველოში წარმოადგენდა ქართველ 60-იანელთა მეთაურის ილია ჭავჭავაძის კრიტიკული წერილები ჟურნალ „ცისკარში“ 1861 წელს. ამ წერილებში ილია ჭავჭავაძე ბელინსკის მატერიალისტური ესთეტიკის მომარჯვებით მკაცრად ილაშქრებს „ცისკარის“ კონსერვატული მიმართულებისა და „ძველი წესების“ მიმდევარ მის თანამშრომელთა („მამათა“ ბანაკის) წინააღმდეგ.

1861 წელს ილია ჭავჭავაძემ მოათავსა „ცისკარში“ ვრცელი წერილი: „ორიოდე სიტყვა თ(ავად) რევაზ შალვას-ძის ერისთავის მიერ კაზლოვის შეშლილის თარგმანზედ“*. ამ წერილში ილია, გარდა იმისა, რომ სასტიკად აკრიტიკებდა როგორც კაზლოვს, ისე მის ქართულ თარგმანს, ანვითარებდა მატერიალისტურ იდეებს „ხელოვნებისა და სინამდვილის კავშირის“ შესახებ. ის გამოდიოდა დებულებიდან, რომ ხელოვნება ცხოვრების ანარეკლია და წერდა: „პოეზია განსახოვნებაა ჭეშმარიტებისა, ცხოვრებისა და არა ჯაკვი უთავბოლოდ გადაბმულ რითმებისა“. ილია ამ წერილში უმთავრესად ეყრდნობოდა ბ. ბელინსკის შეხედულებას (მის დაუსახელებლად) ხელოვნების სოციალურ დანიშნულებაზე და სწორედ ეს იყო მისი კრიტიკის სიმახვილის ერთ-ერთი პირობა. რევაზ ერისთავს გამოესარჩლა „ცისკარის“ კონსერვატული ჯგუფი. ერთი მისი წარმომადგენელი გიორგი ბარათაშვილი** გრძნობდა, რომ ილია ჭავჭავაძე ბელინსკის იდეებით იყო შეიარაღებული და თავის წერილში გესლიანად აღნიშნავდა:

---

* „ცისკარი“, 1861, IV, 586.

** აკაკი წერეთელი თავის „ოავგადასავალში“ აღნიშნავს, რომ გ. ბარათაშვილი იყო ფსევდონიმი ლ. არდაზიანისა, მაგრამ ეს მოსაზრება არ მართლდება.

„უფალი ჭავჭავაძე... წეემზადა პეტერბურგში როგორც დონკიხოტი: ზარცხენა ხელში იპყრა ფარის მაგივრად ბელინსკის ტომები, მარჯვენაში ლექსიკონი უსწორო სიტყვებისა და ესრეთ დაიარაღებული გამოილაშქრა საქართველოზე, რათა ძალ და ძალ აეღო დაფნის გვირგვინი".* ილიას არ დაუყოვნებია და თავის კრიტიკოსებს ჩქარა გასცა „პასუხი", რომელსაც ეპიგრაფად წარუმძღვარა ბ. ბელინსკის შემდეგი სიტყვები: „Из нашей литературы хотят устроить бальную залу и уже зазывают в нее дам; из наших литераторов хотят сделать светских людей в модных фраках и белых перчатках, энергию хотят заменить вежливостью, чувство—приличием, мысль—модною фразою, изящество—щеголеватостью, критику—комплиментами".

ამ წერილში ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძე მართლაც ორტოდოქსალურ მიმდევრობას იჩენს რუსეთის დიდი კრიტიკოსისადმი. ილია ამტკიცებს, რომ ხელოვნება განპირობებულია საზოგადოებრივი ყოფიერებით. ჩვენ გვესმის, ამბობს ილია, „დამოკიდებულება ხელოვნებისა, პოეზიისა ხალხის ცხოვრებაზედ" და ხელოვნების დანიშნულებად მიაჩნია ხალხის კეთილდღეობა, მისი ცხოვრების გაუმჯობესება. ამასთან ილია წერს, რომ „ხელოვნება არის განხორციელება სახეში იდეისა, აზრისა". ის იცავს აგრეთვე ფორმისა და შინაარსის ერთიანობის პრინციპს: „სადაც აზრი არ არის, იქ ენა რაც უნდა კარგი იყოს სულ უქმია... აზრი და მხოლოდ აზრი აძლევს ენას ენის მნიშვნელობას" (217). ილია ჭავჭავაძე გაბედულად, რევოლუციური პირდაპირობით ამხელდა თავის მოპირდაპირეთა რეაქციულ შეხედულებებს ხელოვნების საკითხებზე, და ხშირად, როცა ის არ ერიდებოდა მათ მიმართ მკაცრ გამოთქმებს, „ცისკრის" რედაქტორი ი. კერესელიძე სქოლიოში შენიშნავდა: „ბელინსკის გავლენა ყოველ სიტყვაში მოსჩანსო" (184). კერესელიძეს უკვირდა, რომ ილია ლიტერატორთა შორის ყველაზე მაღლა ბელინსკის აყენებდა. კერესელიძის აზრით, ილიას გატაცება ბელინსკით ნაადრევი და უსაფუძვლო იყო. საამისოდ მას ორი „საბუთი" მოჰყავდა. ერთი ისა, რომ... ბელინსკიმ „თუმცა ფეხი შედგა მოსკოვის უნივერსიტეტში, მაგრამ გაშორიცხულ იქნა" (191); მეორე „საბუთი" უფრო საზოგადოებრივი ხასიათისაა: ბელინსკის იდეები მიაჩნდა მას ნაადრევად საქართველოს

* „ცისკარი", 1861, VI, 165.

XIX საუკუნის 60-იანი წლებისათვის. ასე, მაგალითად, ილიას მიერ თავისი „პასუხის“ ეპიგრაფად აღებულ ბელინსკის ზემოაღნიშნულ სიტყვებს კერესელიძე უკეთებს თავისი კონსერვატული იდეოლოგიისათვის დამახასიათებელ შემდეგ შენიშვნას: „ქართველები ჯერ ევროპისა და რუსეთის განათლებაზე არა დგანან. უ(ფალი) ჭავჭავაძე ბელინსკის ბაძავს და ბელინსკობა ჩვენში არ გამოდგება. თუმცა ბელინსკი საფუძვლიანი და უპირველესი კრიტიკი იყო რუსეთში, მაგრამ როგორათაც სნეული და ზაფრიანი კაცი ყოველთვის ილანძღებოდა და ამ მიზეზით იმისი მიბაძვა არ არის მოსაწონი და თვით რუსეთში ეხლა ვინა ბაძავს იმასა“*. სინამდვილეში კი სულ საწინააღმდეგო ხდებოდა: ბელინსკის მიმბაძველობა და მიმდევართა რიცხვი დღითი-დღე ეზრდებოდა როგორც რუსეთში, ასე ჩვენში, საქართველოში.

1863 წელს ილია ჭავჭავაძემ, როგორც ვიცით, შექმნა თავისი ჟურნალი „საქართველოს მოამბე“. ეს ჟურნალი, ძირითადად, ბელინსკისა და სხვა დიდი რევოლუციური დემოკრატების იდეებით გამოვიდა. ილიას საპროგრამო წერილი „საქართველოს მოამბეზედ“ მატერიალისტური ესთეტიკის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს და, ეჭვს გარეშეა, რომ იგი ბელინსკის ლიტერატურულ-კრიტიკული წერილების შთაგონებით არის დაწერილი. მაგრამ ეს არ იყო საკმარისი. ილიამ გადაწყვიტა უშუალოდ გაეცნო თავისი მკითხველისათვის „ბობოქარი ბესარიონი“ და ამ მიზნით თავისი ჟურნალის III ნომერში მოათავსა ნაწყვეტები პოეზიაზე ბეს. ბელინსკის წერილიდან „Стихотворения М. Лермонтова“ („სფირიდონის და თადეოზის ბაასი“), ხოლო IX—X ნომრებში კი, როგორც ეწერდით, ბელინსკის წერილი: „Две сказки Гофмана, детские сказки дедушки Иринея“ სათაურით: „ბელინსკის აზრი შვილებზე ალზრდაზე.“

ბესარიონ ბელინსკის გავლენას XIX საუკუნის ქართველ სამოკიანელთაგან განიცდიდა აგრეთვე ნიკო ნიკოლაძე. თავისი მსოფლმხედველობის ფორმირების პირველ პერიოდში ნ. ნიკოლაძე ჩერნიშევსკის უშუალო მოწაფე და მიმდევარი იყო, და სწორედ ამიტომ არ შეეძლო მას ასცდენოდა ბელინსკის გავლენას. 1868 წელს ნიკო ნიკოლაძე ჩერნიშევსკის თხზულებათა პირველი გამოცემის წინასიტყვაობაში აღნიშნავდა, რომ 40-იანი წლების დამლევს

* „ცისკარი“, 1861, VI, 133.

ბელინსკიმ და მისმა თანამშრომლებმა გააღვიძეს რუსეთის აზროვნება.* მართალია, ნ. ნიკოლაძის თქმით, ეს იყო წუთიერი გაღვიძება, მაგრამ მან წარუშლელი კვალი დაამჩნია ამ აზროვნების მთელ ისტორიას. შემდგომი პერიოდის ლიტერატურულ-პუბლიცისტურ წერილებში ნ. ნიკოლაძე ხშირად მიმართავდა ბელინსკის და იყენებდა მის თვალსაზრისს სხვადასხვა საკითხის გადასაჭრელად**. ის აღნიშნავდა, რომ „ბელინსკის უკანასკნელი ხანის მოღვაწეობამ", ჩერნიშევსკის წიგნმა „ხელოვნების ესთეტიკური დამოკიდებულება სინამდვილისადმი" და დობროლიუბოვმა დიდი ნაბიჯით წასწიეს წინ რუსეთის ლიტერატურული კრიტიკა.

ბესარიონ ბელინსკის გავლენა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაზე არ შენელებულა. პირიქით, იმდენად დიდი მოაზროვნის სახელი ჰქონდა მას ამ პერიოდის მოწინავე ქართველ საზოგადოებაში, რომ ზოგჯერ იდეური მოწინააღმდეგენიც კი ეფარებოდნენ მის ავტორიტეტს. საკმარისია დავასახელოთ ანტონ ფურცელაძე. როგორც ცნობილია, ანტ. ფურცელაძე პისარევის მიმდევრად ითვლება საქართველოში და როდესაც მას უხდებოდა პისარევის ნიჰილიზმის დაცვა ქართულ პრესაში, ისიც კი ბელინსკის მიმართავდა. 1881 წელს ანტ. ფურცელაძე არწმუნებდა თავის მოკამათეებს, რომ პისარევი არ უარყოფდა პუშკინს. ხოლო თუ ყოველივე ის, რასაც პისარევი წერდა პუშკინზე, არის პუშკინის უარყოფა მაშინო, წერდა ანტ. ფურცელაძე: „პუშკინი უარჰყვეს პისარევამდის ჯერ კიდევ ბელინსკიმ თავის უკანასკნელ სტატიებში, და პისარევამდის კიდევ ჩერნიშევსკიმ და დობროლიუბოვმა და თვით ნეკრასოვმაც კი თავის „Поэт и гражданин"-ში"***. ანტონი ცდილობდა დაეტკიცებინა, რომ ბელინსკისა და პისარევს შორის არ ყოფილა პრინციპული განსხვავება ხელოვნების გაგების საკითხში. მისი აზრით, პისარევი უარყოფდა „წმინდა ხელოვნების" თეორიას, ისევე როგორც ბელინსკიც თავის წერილებში გონჩაროვის შესახებ, და ამით დაასკვნიდა, რომ თითქოს პისარევსა და ბელინსკის შორის აზრთა სხვადასხვაობა არ არსებობდა.

---

* ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, სიმ. ხუნდაძის რედაქციით და წინასიტყვაობით, I, 307.

** Н. Николадзе, „М. А. Бакунин". „Тифлисский листок", 1876, № 143 და სხვ.

*** „იმედი", 1881, VII—VIII, 93.

ბელინსკისა და ჩერნიშევსკის სახელი მჭიდროდ იყო დაკავშირებული XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებასთან. მათ ნაწერებში პოულობდნენ მდიდარ მასალას ამ მოძრაობის იდეათა პროპაგანდისა და ქართული მეცნიერება-ხელოვნების მატერიალისტური და რევოლუციური საფუძვლების განმტკიცებისათვის.

—

რთული და მრავალმხრივი იყო XIX საუკუნის 60-იანი წლების გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა შრომა და საქმიანობა. ცხოვრების თითქმის ყოველი უბანი მოითხოვდა მათ ფხიზელ თვალსა და ყურადღებას. „მარტო ნაწერებით ჩვენი შესამოცე წლების მოღვაწეთა დაფასება დიდი შეცდომა და უსამართლობა იქნება,—ამბობს აკაკი წერეთელი,—წერილობა მათთვის მხოლოდ ერთი, სხვათა შორის, იარაღი იყო ქვეყნის სასამსახუროდ აღებული! ისინი ყოველგან და ყოველთვის აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ, იყვნენ დღიურ მუშებად ჩამდგარი და შავი სამუშაო რამეც არ ეთაკილებოდათ“*. მართლაც დაუღალავ შრომას ეწეოდნენ ისინი სახალხო მეურნეობის (ქალაქის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ახალი ტექნიკური ბაზის შესაქმნელად), საზოგადოებრივი ყოფა-ცხოვრებისა და კულტურის ყოველი დარგის გარდასაქმნელად, ახალი საზოგადოებრივი მორალისა და იდეოლოგიის შესამუშავებლად, ხალხისა და მეცნიერების დასაახლოებლად.

ქართველ სამოციანელთა უშუალო მონაწილეობით გაფართოვდა „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოება“, რომელიც 1850 წელს იყო დაარსებული. მათი ინიციატივით დაარსდა „რუსული ტექნიკური საზოგადოების კავკასიის განყოფილება“ (1868), „გეოგრაფიული საზოგადოება“ (1864), „სამედიცინო საზოგადოება“ (1864), „ხელოვნების გამავრცელებელი საზოგადოება“ (1864), „კავკასიის არქეოგრაფიული კომისია“ (1864), რომელმაც გამოსცა 12 დიდი ტომი საისტორიო დოკუმენტებისა: „Акты, собранные Кавказской археографической комиссией“, და სხვ. გაფართოვდა ქართული წიგნის გამომცემლობის საქმე. ათი წლის მანძილზე (1860—1869) გამოიცა 130-მდე სახელწოდების ქართული წიგნი, რომლის ნახევარსაც მხატვრული

---

* სიტყვიდან გიორგი წერეთლის დასაფლავებაზე, 1900 წლის 16 იანვარს. იხ. კრებული „გიორგი წერეთელი“, 4B, 1900.

ლიტერატურა და სახელმძღვანელოები წარმოადგენს, შეიქმნა „არტისტული წრე“ (1865), რომელიც შემდეგ ცალკე საზოგადოებად გადაკეთდა, დაარსდა „კავკასიის მუზეუმი“ (1865) და სხვ.

XIX საუკუნის 60-იანი წლების მოწინავე ქართველი ინტელიგენცია თავდადებულად შრომობდა ქართული მეცნიერების განვითარებისათვის. ამ პერიოდში ჩამოყალიბდნენ: ისტორიკოსი დიმ. ბაქრაძე (1827—1890), ფილოლოგი ალ. ცაგარელი (1844—1929), ქიმიკოსები: ივ. თარხნიშვილი (1846—1908), ვას. პეტრიაშვილი (1845—1908), რომლებმაც შემდეგ ათწლედში გაშალეს საკვლევო მუშაობა და ასახელეს მშობლიური მეცნიერება.

60-იანი წლების ახალგაზრდა ქართველ საზოგადო მოღვაწეთა ჯგუფმა, ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, მოახდინა ქართული სალიტერატურო ენის რეფორმა, ამოიღო ხმარებიდან ძველი ასოები: უ, ჲ, ჴ, ჯ, ჰ, რომლებიც ზედმეტ ტვირთად აწვნენ ქართულ ზეპირ და წერით მეტყველებას, აფერხებდნენ ენის განვითარებას და მხატვრულ ლიტერატურას სთიშავდნენ ხალხისაგან. ამ ჯგუფმა გაანაახლა ქართული ლიტერატურა ახალი თემებით და იდეებით და განამტკიცა მასში კრიტიკული რეალიზმის, ჰუმანიზმის, ხალხურობისა და პატრიოტიზმის საწყისები.

II. ზოგადი და პროფესიული განათლება

1. ბრძოლა სახალხო სკოლისათვის

XIX საუკუნის 60 იანი წლების საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრება და მისი განვითარების გზები ნათლად არკვევდნენ ამ პერიოდის სახალხო განათლების შინაარსსა და მისი განვითარების გზებს. ცხადი იყო, რომ ქართველი ახალთაობის აღზრდა-განათლება უნდა დამდგარიყო 60-იანი წლების მოწინავე საზოგადოების პოლიტიკურ-ეკონომიური და კულტურული ამოცანების სიმაღლეზე. ეს ამოცანები, პირველ ყოვლისა, მოითხოვდნენ ზოგადი და სპეციალური განათლების გავრცელებას, მისი შინაარსის დადგენას და შესაფერისი სასკოლო ქსელის გაშლას.

აღნიშნული პერიოდის რუსეთში, ბელინსკის, ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის პედაგოგიკური მოძღვრების მიხედვით, ადამიანის ზოგადი განათლების შინაარსი ისაზღვრებოდა მოწინავე, საზოგადოებრივ და საბუნებისმეტყველო-მათემატიკურ მეცნიერებათა საფუძვლების შესწავლითა და ამ ცოდნის პრაქტიკული გამოყენების უნარის შემუშავებით. მართალია, ნ. პიროგოვმა ზოგადი განათლება, ბოლოს და ბოლოს, ჰუმანიტარულ განათლებამდე დაიყვანა, ხოლო დ. პისარევმა კი რეალური განათლებით შემოფარგლა იგი, მაგრამ მისი ძირითადი პრინციპი—ყოველმხრივი განვითარება—დავას არ იწვევდა „რაზნოჩინულ“ ინტელიგენციაში. რაც შეეხება სპეციალურ, პროფესიულ განათლებას,—მისი შინაარსი ისაზღვრებოდა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის სწრაფი განვითარების ამოცანებით. ამ დარგებისათვის საჭირო კადრების მოპზადება, სათანადო წარმოების თეორიული და პრაქტიკული საფუძვლების შესწავლა წარმოადგენდა სპეციალური განათლების შინაარსს.

არსებითად ასეთივე იყო საქართველოს სამოციანელ საზოგადო მოღვაწეთა მესვეურების შეხედულებები ზოგადი და სპეციალური განათლების შესახებ. მათი აზრით: „უმაწვილკაცობამ, რამდენადაც შესაძლოა, ძირეულად (უნდა) შეისწავლოს ევროპული მეცნიერება“

და ეს საჭიროა არა მარტო განათლებისათვის, საერთოდ, არამედ „ჩვენი ქვეყნის საქმისათვის“,* კერძოდ. სპეციალური, პროფტექნიკური განათლების შინაარსის განსაზღვრისას, ისინი გამოდიოდნენ იმ ფაქტიდან, რომ „საქართველო სასოფლო-სამეურნეო ქვეყანაა“ და „ერთადერთი წყარო აქაური ერის ეკონომიურის არსებისა საადგილ-მამულო მრეწველობაა“**; ამასთან, მხედველობაში იღებდნენ საქალაქო წარმოების განვითარებას, ტექნიკის პროგრესულ როლს სახალხო მეურნეობაში და ამის მიხედვით წყვეტდნენ სპეცტექნიკური განათლების შინაარსისა და სკოლის სასწავლო გეგმების საკითხს.

XIX საუკუნის 60-იანი წლების მთავარ ამოცანად სახალხო განათლების დარგში კვლავ რჩებოდა დაწყებითი ცოდნის გავრცელება მოსახლეობის ფართო მასებში, პირველ ყოვლისა, გლეხობაში. ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ უფრო გადიდდა სწავლა-განათლების საჭიროება და გლეხობამაც უფრო მეტად იგრძნო ეს თავის ცხოვრების პირობებში. მეურნეობის ნატურალური ფორმების დაშლა, ვაჭრობისა და ფულის ტრიალის გაძლიერება, საერთოდ, ახალი ეკონომიური და სოციალური ურთიერთობანი გლეხობისაგან გარკვეულ ცოდნას მოითხოვდა. ამასთან, უმიწოდ დატოვებული სოფლის მშრომელი ხალხი ქალაქს აწყდებოდა სამუშაოსა და „საშოვრის“ საძებრად. წერა-კითხვა და ელემენტარული განათლება მისთვის საარსებო საკითხად გადაიქცა.

რუსეთისა და საქართველოს დიდი პედაგოგები და მწერლები კონსტ. უშინსკი, ლ. ტოლსტოი, ი. გოგებაშვილი, ი. ჭავჭავაძე და სხვები დღის გადაუდებელ ამოცანად სთელიდნენ მშრომელ გლეხთა მასებში განათლების შეტანას და სახალხო სკოლების დაარსებას. მარფუტკა და ტარასკა რუსეთში, მაშო და გაბრო საქართველოში—სწავლას მოითხოვდნენ. საკმაო სიცხადით იყო დასაბუთებული მათი სწავლა-განათლების საჭიროება 60-იანი წლების დიდ საზოგადო მოღვაწეთა მიერ. უშინსკიმ შექმნა რუსეთში სახალხო სკოლის ტიპი თეორიულად. „დაბალი ხალხის“ ინტერესებს დაუქვემდებარა მისი მიზნები და შინაარსი, ჰუმანიზმისა და ხალხურობის პრინციპზე დააფუძნა იგი და მეცნიერულად დაასაბუთა მშობლიურ ენაზე სწავლების აუცილებლობა. მის შეხე-

* იხ. აქვე, „ილია ჭავჭავაძის პედაგოგიკური იდეები“ (თ. IV).
** იქვე, 517.

დულებათა მიხედვით, მოითხოვდნენ სახალხო სკოლის დაარსებას საქართველოში პეტრე უმიკაშვილი, იაკობ გოგებაშვილი და სხვები. ესენი გამოდიოდნენ საქართველოს სინამდვილიდან, ქართველი ახალგაზრდობის სწავლა-განათლების თავისებურებათაგან. მაგრამ მშრომელთა განათლებისა და სახალხო სკოლების საჭიროების თეორიული დასაბუთებით, ცხადია, საქმე არ მთავრდებოდა. ხალხს სკოლა არ გააჩნდა, არსებული სკოლები მინიმალურადაც კი ვერ სწვდებოდნენ სწავლის მსურველებს.

იწყებოდა ბრძოლა სახალხო სკოლისათვის.

აღზრდა-განათლება და სკოლა იყო XIX საუკუნის 60-იანი წლების პერიოდული პრესის ერთ-ერთი ყველაზე უფრო დიდი საბრძოლო საკითხი. მოწინავე ქართული პრესა ბრძოლას აწარმოებდა, ერთი მხრით, იმისათვის, რათა ხალხის ნშრომელი მასების ცნობიერებაში შეეტანა შეგნება, რომ „განათლება ყველაფერზე უფრო ძლიერი ძალაა“, რომ 1861 წელი „ის ძველი დრო აღარ არის (თოფითა და ხმლით მებრძოლი) ვაჟკაცთ ქართველების დრო... ახლა სწავლის დროა და მეცნიერებისა“*; მეორე მხრით, ბრძოლას აწარმოებდა იგი ხალხის განათლების უფლებისათვის, სკოლების რიცხვის გადიდებისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

მიუხედავად კაპიტალისტური წარმოების წესის გამარჯვებისა და ახალი საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების დამკვიდრებისა, მეფის ხელისუფლება, 60-იანი წლების დასაწყისში, ჯერ კიდევ არ ფიქრობდა სკოლის გარდაქმნას ამ ცხოვრების შესაბამისად, სკოლა და განათლების მთელი ქსელი კვლავ რჩებოდა ძველი, თავადაზნაურულ-წოდებრივი პრინციპების საფუძველზე; მიუხედავად იმისა, რომ წარმოების განვითარების ინტერესები გადაჭრით მოითხოვდა საბუნებისმეტყველო მათემატიკური ცოდნის გავრცელებას,—განათლების ორგანოთა მეთაურები უპირატესობას აძლევდნენ ჰუმანიტარული განათლების სისტემას, წინააღმდეგ რეალურისა; იმ დროს, როცა 60-იანელთა ლიდერები მტკიცედ იბრძოდნენ მატერიალისტური და რევოლუციური მსოფლმხედველობის შესატანად ხალხში,—სკოლა კვლავ რჩებოდა რელიგიისა და ცრუმორწმუნეობის გავლენაში; მაშინ როდესაც სკოლების გამრავლებისათვის აუცილებელი იყო კერძო ინიციატივის გაბრყენება,—მეფის საგანმანათლებლო უწყება ყოველნაირად აფერხებდა ამ ინიციატივას, და განათლების ძველი

* ალ. ორბელიანი, ნაწერ(ებ)ი, 65—66.

სისტემის მრავალი სხვა მანკირება ხდებოდა XIX საუკუნის 60-იანი წლების პერიოდის რევოლუციური და დემოკრატიული ინტელიგენციის ბრძოლის საგნად.

ამ პერიოდის დასაწყისში ხელისუფლებას არაფრად აშინებდა ეს ბრძოლა და არც არაფერს აკეთებდა სკოლის ქსელის გასაფართოებლად და სწავლების ხარისხის ასამაღლებლად. მემარჯვენე-კონსერვატული წრეები მხოლოდ იმაში ხედავდნენ გამოსავალს, რომ კვლავ ეკლესია-მონასტრებს მიმართავდნენ და შეღაღადებდნენ ხალხისათვის სკოლების დაარსებას. ივანე კერესელიძეს, 1861 წელს, საჭიროდ მიაჩნდა: „საკუთარის სასწავლებლის დაფუძნება ყოველის უეზდის ერთერთს მონასტერში, სადაც იქნებიან მასწავლებლად ქართულის ენის მცოდნე ბერები"*. ასეთ დრომოჭმულ და პალიატურ ღონისძიებებს ზხარს უჭერდა სამღვდელოებაც, მაგრამ საეკლესიო სკოლების ხვედრითი წონა ძალიან მცირდებოდა როგორც რიცხვობრივად, ისე თვისობრივად.

სახელმწიფო სკოლების რიცხვი არ გადიდებულა საქართველოში 60-იანი წლების პირველ 3—4 წელს. არც რუსეთში განუცდია მის რიცხვს მნიშვნელოვანი ზრდა ამ დროის მანძილზე, მაგრამ მოწინავე ადამიანთა ბრძოლას ახალი სკოლის და სახალხო განათლებისათვის უქმად არ ჩაუვლია. ხელისუფლება იძულებული გახდა წაულიყო ერთგვარ დათმობაზე და 1864 წელს გამოსცა ახალი „დებულება დაწყებით სახალხო სასწავლებელთა შესახებ" და „სახალხო განათლების სამინისტროს გიმნაზიებისა და პროგიმნაზიების წესდება", რომლებსაც სათანადო სიახლე შეჰქონდათ სახალხო განათლების საქმეში.

2. 1864 წლის დებულება და წესდება

60-იანი წლების დაწყებითი და საშუალო განათლების რეფორმა გამოიხატა 1864 წლის „დებულებაში დაწყებითი სახალხო სკოლების შესახებ" და „სახალხო განათლების სამინისტროს გიმნაზიებისა და პროგიმნაზიების წესდებაში".

პირველი მუხლი „დებულებისა დაწყებითი სახალხო სკოლების შესახებ" აღნიშნავს, რომ ეს სკოლები „მიზნად ისახავენ განამტკიცონ ხალხში რელიგიური და ზნეობრივი შეგნება და გაავრცე-

* „ცნობარი", 1861, 11, 344.

ლონ პირველდაწყებითი სასარგებლო ცოდნა". სახალხო სკოლებად ითვლებოდნენ: განათლების სამინისტროს დაწყებითი სკოლები, დაწ-ყებითი სასულიერო და საეკლესიო-სამრევლო სკოლები, კერძო პირთა დაწყებითი სკოლები, შინაგან საქმეთა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს სკოლები და საკვირაო სკოლები მოზრდილთათვის. დაწყებითი სახალხო სკოლის სასწავლო საგნებად ითვლებოდა: 1) საღვთო სჯული, 2) წერა კითხვა მხედრული და ხუცური, 3) არითმეტიკა, პირველი ოთხი მოქმედება და 4) გალობა.

დაწყებითი სახალხო სკოლების დაარსების უფლება ეძლეოდა ადგილობრივ სახელმწიფო ორგანოებს, ქალაქის თვითმმართველობებს, სასულიერო უწყებებს, საზოგადოებრივ გაერთიანებებს (სოფლად და ქალაქად) და ყველა კერძო პირს. ამასთან მთავრობის ორგანოებსა და სასულიერო უწყებებს ნება ეძლეოდა სახალხო სკოლები გაეხსნათ თავისი საკუთარი განკარგულებით, ზემდგომი ორგანოების ნებართვის გარეშე, ხოლო საზოგადოებათა და კერძო პირების მიერ სახალხო სკოლების გახსნისათვის საჭირო იყო სამაზრო სასწავლებელთა საბჭოს ნებართვა, რომლის მიღებაც ძნელ საქმეს არ წარმოადგენდა.

სახალხო სკოლებში შესვლის უფლება ეძლეოდა ყოველი სოციალურ-წოდებრივი მდგომარეობისა და სარწმუნოების ბავშვს. დაშვებული იყო ორივე სქესის ერთად სწავლება. სკოლის დამაარსებელ ორგანოს (პირს) შეეძლო შემოეღო სწავლის ქირა თავისი შეხედულებით.

სახალხო სკოლების მმართველობისათვის იქმნებოდა საგუბერნიო და სამაზრო სასწავლებელთა საბჭოები, რომლებშიც შედიოდნენ განათლების სამინისტროს და ადგილობრივი (საგუბერნიო და სამაზრო) ორგანოებისა და სასულიერო უწყების წარმომადგენელნი. სამაზრო სასწავლებელთა საბჭოების უფლება მოვალეობაში შედიოდა სახალხო სკოლების გახსნისა და დახურვის სანქციების გაცემა, სასწავლებლებზე მხრუნველობა, სასწავლო მუშაობის მეთვალყურეობა და ხელმძღვანელობა, სახალხო სკოლის მასწავლებელთა წოდების მინიჭება, და სხვ. საგუბერნიო მასწავლებელთა საბჭო კონტროლს უწევდა სამაზრო საბჭოების მუშაობას, ამტკიცებდა სამაზრო საბჭოების თავმჯდომარეებს, აძლევდა დახმარებას მასწავლებლებს, ხილავდა სამაზრო სასწავლებელთა საბჭოების ანგარიშებსა და სხვ*.

---

* Сб. постановлений по Министерству народного просвещения. III. 12-6.

ამგვარად, 1864 წლის დაწყებითი სახალხო სკოლა იყო სხვადასხვა ტიპისა და ხანგრძლიობისა, მაშასადამე, მას არ გააჩნდა ერთიანი სასწავლო გეგმა და სახელმძღვანელოები, არ ჰქონდა რაიმე უფლება, მოწყვეტილი იყო ზემდგომი ტიპის სკოლებს და არსებითად მღვდლებისა და მემამულეების მზრუნველობის ამარა იყო ძიტოვებული. მართალია, მის მმართველობაში დაშვებული იყო ერთგვარი კოლეგიალობა, მაგრამ თვით იმ ხალხის წარმომადგენლებს, რომელიც ამ სკოლაში სწავლობდა, არაფერს ეკითხებოდნენ. მასწავლებლობას, უკეთეს შემთხვევაში, აკისრებდნენ მღვდლებს, დიაკვნებს და ელემენტარული განათლების მქონე პირებს.

1864 წლის დებულება შედგენილი იყო უმწეოდ, უკულტუროდ. ნისი მიხედვით შექმნილი სკოლა არც სახალხო იყო, არც სახელმწიფო. ორგანიზაციულად ის იყო მემამულეთა და მეშჩანური წრეების ხელში, იდეურად—სამღვდელოებისა. 1864 წლის დებულებას არ ჰქონდა კანონის ხასიათი და მას ბევრგან არ სთვლიდნენ სავალდებულოდ. მართალია, ეს დებულება ერთგვარ გასაქანს აძლევდა კერძო ინიციატივას, მაგრამ იმდენად უმნიშვნელო იყო ამ სკოლებით გასავრცელებელი ცოდნა (საღვთო სჯული, წერა-კითხვა, ელემენტარული არითმეტიკა), რომ მათი რიცხვის გაზრდა არ წარმოადგენდა რაიმე საფრთხეს მეფის ხელისუფლებისათვის.

უფრო მოფიქრებულად იყო შედგენილი 1864 წლის „გიმნაზიებისა და პროგიმნაზიების წესდება“, ე. ი. რეფორმის ის ნაწილი, რომელიც თავადაზნაურობის, ბურჟუაზიისა და, საერთოდ, შეძლებული ფენების განათლებას ეხებოდა.

ამ წესდების დამტკიცება მოხდა საკმაოდ მკაცრი დისკუსიის პერიოდში კლასიკური და რეალური განათლების შესახებ*. ჯერ კიდევ 1811 წელს, პეტერბურგის ოლქის მზრუნველმა ს. უ ვ ა რ ო ვ მ ა (მომავალმა მინისტრმა), პეტერბურგის გიმნაზიას მისცა კლასიკური განხრა და მას შემდეგ დავა კლასიკური თუ რეალური განათლების უპირატესობის შესახებ არ დამცხრალა. კლასიკური განათლების პრინციპს უმთავრესად იცავდნენ განათლების უწყების წარმომადგენელნი, რომლებიც გიმნაზიის მიზნად აღიარებდნენ საერთო განათლებასა და უნივერსიტეტისათვის ახალგაზრდობის მომზადებას. რეალური განათლების პრინციპს კი იცავდნენ მოწინავე პე-

* საქართველოში კამათი ამ საკითხზე დაიწყო 60-იან წლებში, მაგრამ გაგრძელდა შემდგომ პერიოდშიც ამის გამო ჩვენ მას შევეხებით მე-3 წიგნში.

დაგოგები, ნწერლები და, საერთოდ, საზოგადო მოღვაწენი, რომელნიც გიმნაზიის მიზნად მიიჩნევდნენ როგორც ზოგად განათლებას და უმაღლესი სასწავლებლისათვის მოსწავლეთა მომზადებას, ისე მათ აღქურვას პრაქტიკული მუშაობისათვის გამოსადეგი ცოდნა-ჩვევებით. ეს უკანასკნელი მომენტი (მოსწავლეთა მომზადება შომავალი პრაქტიკული მუშაობისათვის), ერთი მხრით, უპასუხებდა გიმნაზიის კურსდამთავრებულთა იმ დიდი უმრავლესობის ინტერესებს, რომელსაც არ ჰქონდა უნივერსიტეტში ზესვლის საშუალება და, მაშასადამე, პრაქტიკული შრომა უნდა დაეწყო, ხოლო, მეორე მხრით, რუსეთის მრეწველობისათვის კადრების მომზადების ინტერესებს. ამდენად რეალური განათლების პრინციპი იყო უფრო პროგრესული და მომენტისადმი უფრო შესაფერისი.

მიუხედავად ამისა, 1864 წლის „გიმნაზიებისა და პროგიმნაზიების წესდებამ“ განათლების ორივე სახე დააკანონა და შემოიღო გიმნაზიის და პროგიმნაზიის ორი ტიპი: კ ლ ა ს ი კ უ რ ი და რ ე ა ლ უ რ ი.

კლასიკური და რეალური გიმნაზიები ერთმანეთისაგან სხვადებოდნენ როგორც სასწავლო გეგმით და სწავლების შინაარსით, ისე უფლებით.

სტრუქტურის მიხედვით ორივე ტიპის გიმნაზიები და პროგიმნაზიები ერთნაირი აღნაგობისა იყვნენ; გიმნაზიები იყო 7 კლასიანი, 7 წლიანი კურსით; პროგიმნაზიები—4 კლასიანი. გიმნაზიის პირველ 4 კლასსა და პროგიმნაზიის კურსს შორის განსხვავება არ იყო და ამდენად პროგიმნაზიიდან გამოუცდელად იღებდნენ გიმნაზიის სათანადო (შესატყვის) კლასში.

კლასიკური გიმნაზიების სასწავლო გეგმაში შედიოდა: საღვთო სჯული, რუსული ენა, ლათინური და ბერძნული ენები, მათემატიკა, ფიზიკა, კოსმოგრაფია, ისტორია, გეოგრაფია, ბუნებისმეტყველება, გერმანული და ფრანგული ენები, სუფთა წერა, ხატვა, ხაზვა; რეალური გიმნაზიების სასწავლო გეგმაში შედიოდა იგივე საგნები, გარდა ლათინური და ბერძნული ენებისა, ხოლო მათემატიკა და ბუნებისმეტყველება, ქიმია, ფიზიკა და კოსმოგრაფია, გერმანული და ფრანგული ენები, ხატვა და ხაზვა—ისწავლებოდა უფრო დიდი პროგრამითა და მოცულობით (მუხ. მუხ. 39, 40).

გიმნაზიების მიზნად წესდებას მიაჩნდა ახალგაზრდობისათვის ზოგადი განათლების მიცემა და მათი მომზადება უნივერსიტეტებისა და სხვა სპეციალურ უმაღლეს სასწავლებელთათვის. ამასთან,

კლასიკური გიმნაზიების კურსდამთავრებულთ იღებდნენ უნივერსიტეტებში, ხოლო რეალური გიმნაზიების კურსდამთავრებულთ კი —სპეციალურ უმაღლეს სასწავლებლებში (მუხ. მუხ. 1, 122). მართალია, წესდება ფორმალურად არ უკრძალავდა რეალისტებს უნივერსიტეტში შესვლას, მაგრამ რამდენადაც რეალურ გიმნაზიებში არ ისწავლებოდა ლათინური და ბერძნული ენები და ზოგიერთი საგნები კი—სხვა მოცულობით, ვიდრე კლასიკურში, იმდენად რეალისტებს უნივერსიტეტებში იღებდნენ ხოლოდ ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტებზე. შემდეგ წლებში მათ ეს უფლებაც დაჰკარგეს.

გიმნაზიებისა და პროგიმნაზიების დაარსება შეიძლებოდა მხოლოდ განათლების მინისტრის განკარგულებით. მინისტრი სწყვეტდა აგრეთვე საკითხს გიმნაზიებისათვის კლასიკური თუ რეალური კურსის მიცემის შესახებ. სახელმწიფო ორგანოებს გარდა, გიმნაზიისა და პროგიმნაზიის გახსნისა და შენახვის უფლება ეძლეოდა კერძო საზოგადოებებს და პირებს, მაგრამ ასეთი გიმნაზიები ექვემდებარებოდნენ კერძო სასწავლებელთა შესახებ არსებულ კანონმდებლობას.

გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში იღებდნენ ყველა მდგომარეობისა, წოდებისა და სარწმუნოების ბავშვებს (53). მაგრამ ამავე დროს წესდებოდა სწავლის ქირა, რის გაძოც ღარიბი, დაბალი წოდების ხალხი ამ უფლებით ვერ სარგებლობდა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ გიმნაზიებთან და პროგიმნაზიებთან 1864 წლის წესდებით პირველად არსდებოდა პედაგოგიური საბჭოები „იმ საკითხების უფრო სწორად და ყოველმხრივად გარჩევისათვის, რომლებიც უპირატესად სასწავლო და საალმზრდელო ნაწილს ეხებოდა“ (57).

ასეთია 1864 წლის „გიმნაზიებისა და პროგიმნაზიების წესდების“ ძირითადი მუხლების შინაარსი*. როგორც ვხედავთ, წესდება რამდენადმე მაინც ეხმაურება 60-იანი წლების დიდი საზოგადოებრივ-კულტურული მოძრაობის საგანმანათლებლო იდეებს: წოდებრივი პრივილეგიების გაუქმება, რეალური გიმნაზიების შემოღება, ზოგადი განათლებისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების გაფართოება, უხეში ფიზიკური დასჯის („როზგის“) უარყოფა და სხვ.

---

* Сб. постановлений по минист. нар. просвещения, III, 1901.

ამ მოძრაობის გავლენა უფრო მკაფიოდ გამომჟღავნდა 1863 წლის საუნივერსიტეტო რეფორმაში, რომელიც დააჩქარა 1861 წლის სტუდენტთა მღელვარებამ და „უწესრიგობამ". აღდგენილ იქნა უნივერსიტეტის ავტონომია, რექტორისა და დეკანების არჩევითი წესი, უნივერსიტეტის საბჭოს მიეცა უნივერსიტეტის უმაღლეს ორგანოს ფუნქციები, აღდგენილ იქნა უნივერსიტეტის სასამართლო სტუდენტთა დანაშაულებრივი საქმეების გასარჩევად; გადიდდა უმაღლეს სასწავლებელთა რიცხვი: გაიხსნა ახალი, ნოვოროსიისკის უნივერსიტეტი ქ. ოდესაში (1865); პოლიტექნიკური ინსტიტუტი ქ. რიგაში (1862); პეტროვო-რაზუმოვსკის სასოფლო-სამეურნეო აკადემია მოსკოვში (1865) და სხ.

დიდხანს არ შერჩენია რუსეთის საშუალო და უმაღლეს სკოლას 1863—1864 წლებში დადგენილი პროგრესულ-ლიბერალური საწყისები. 1866 წელს კარაკოზოვის ტყვიამ ერთბაშად შეარყია თვითმპყრობელობის მყუდროება. 60-იანი წლების რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობა უკვე დიდ საფრთხედ იცნო მეფის ხელისუფლებამ. რეაქცია გაძლიერდა. განათლების აღმავლობის საქმე კვლავ შეფერხდა.

3. სახალხო განათლების მმართველობა. 1867 წლის დებულება

1864 წლის „დებულებისა" და „წესდების დამტკიცების მომენტში" საქართველოსა და მთელს კავკასიაში ფორმალურად კვლავ ძალაში იყო კავკასიის სასწავლო ოლქის 1853 წლის დებულება, მაგრამ ფაქტიურად 1864 წლიდან მას კანონის მნიშვნელობა დაეკარგა. ამ წლიდან კავკასიის სასწავლო უწყება შეუდგა როგორც ახალი, ადგილობრივი „დებულების" შემუშავებას, ისე 1864 წლის სრულიად რუსეთის სახალხო სკოლების დებულებისა და გიმნაზიების წესდების შეფარდებას კავკასიის სასწავლებელთადმი. ამ მუშაობას სამი წელი დასჭირდა. მხოლოდ 1867 წელს იქნა დამტკიცებული კავკასიის სასწავლებელთა ახალი დებულება.

ამ დებულების დამტკიცებამდე კავკასიის სასწავლებელთა მმართველობაში ადგილი ჰქონდა ზოგიერთ ადმინისტრაციულ ცვლილებებს. 1860 წელს კავკასიის მეფისნაცვალმა ბარიატინსკიმ სასწავლო საქმის ხელმძღვანელობის დეცენტრალიზების მიზნით გააუქმა კავკასიის დამოუკიდებელი სასწავლო ოლქი და ოლქის

მზრუნველის თანამდებობა. კავკასიის სასწავლებელთა ხელმძღვანელობა უშუალოდ დაუქვემდებარა გუბერნატორებს, რომლებიც თავიანთ გუბერნიებში ამ ამოცანას ახორციელებდნენ გუბერნიის სასწავლებელთა დირექტორების მეშვეობით. მართალია, 1860 წლის „დებულება კავკასიაში სასწავლო ნაწილის მმართველობის შესახებ“, რომლის მიხედვითაც ჩატარდა ეს რეფორმა, აღნიშნავდა, რომ „კავკასიის მხარის სასწავლო ნაწილისა და საერთოდ ყველა სასწავლებელთა უმაღლესი მმართველობა ეკუთვნის კავკასიის მეფისნაცვალს“*, მაგრამ, ფაქტიურად, ეს გუბერნატორების ხელში იყო.

კავკასიის სასწავლო ოლქისა და მზრუნველის თანამდებობის გაუქმება არ აღმოჩნდა მიზანშეწონილი. გუბერნატორები არაფერს აკეთებდნენ სახალხო განათლებისათვის. მათ არ ესმოდათ და არც აინტერესებდათ ეს საქმე. ხელოვნურად აძნელებდნენ ახალი სკოლების დაარსებას და ყოველნაირად ბორკავდნენ კერძო პირთა და საზოგადოებათა ინიციატივას ამ მიმართულებით; თავისი სურვილით ცვლიდნენ სასწავლო გეგმებს, რის გამოც მოსწავლეებს უძნელდებოდათ ერთი სასწავლებლიდან მეორეში გადასვლა. კავკასიის სასწავლო ოლქის 1853 წლის დებულება აღარ შეესაბამებოდა სასწავლებელთა მმართველობის ახალ სტრუქტურას და 1864 წლის სრულიად რუსეთის „დებულებისა“ და „წესდების“ დამტკიცებამდე კავკასიის გუბერნატორები უპასუხისმგებლოდ ეკიდებოდნენ სასწავლო საქმეს. ამიტომ საკვირველი არაა, თუ ამ ხნის მანძილზე სახალხო განათლების მხრივ საქართველოსა და, საერთოდ, კავკასიაში ჩნიშვნელოვანი არაფერი გაკეთებულა.

1862 წელს, კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობაზე იმპერატორმა ალექსანდრე II დანიშნა თავისი ძმა მიხეილი. მან არ მოიწონა სასწავლო ოლქისა და ოლქის მზრუნველის თანამდებობის გაუქმება და სხვა ადმინისტრაციულ რეფორმებთან ერთად, 1864 წელს აღადგინა კავკასიის სასწავლებელთა ინსპექტორის თანამდებობა**, საკუთარი კანცელარიით. ინსპექტორად დაინიშნა იანუარ ნევეროვი, მოსკოვის ლაზარევის ინსტიტუტის ყოფ. დირექტორი. მას დაეკისრა კავკასიის ყველა ტიპის სასწავლებელთა

* Акты. XII. 68.

** ეს თანამდებობა, როგორც ვწერდით, პირველად შეიქმნა 1842 წლის დამდეგს. მაგრამ მალე, იმავე წლის დამლევს, მისი ფუნქციები გადაეცა „ამიერკავკასიის მთავარ სამმართველოს“ საბჭოდრო წოდების წევრს.

ადმინისტრაციული და სასწავლო-მეთოდიკური ხელმძღვანელობისა და კონტროლის კოორდინირება, საერთოდ ყველა ის ფუნქცია, რომელსაც წინათ ოლქის მზრუნველი ასრულებდა. მასვე დაეკისრა შეედგინა პროექტი კავკასიის სასწავლებელთა ახალი დებულებისა.

საბჭოს 1867 წლის 15 მაისის მინდობილობით კავკასიის მეფისნაცვალმა ამავე წლის 25 ივნისს დაამტკიცა „დებულება კავკასიისა და ამიერკავკასიის სასწავლო ნაწილის შესახებ"*. ეს დებულება გამოდიოდა 1864 წლის სრულიად რუსეთის სახალხო სკოლების დებულებისა და გიმნაზიებ-პროგიმნაზიების წესდებიდან და, არსებითად, წარმოადგენდა „მხოლოდ ხერხს მათ (1864 წლის დებულებისა და წესდების) შესაფარდებლად კავკასიის ხალხის სასწავლებელთათვის და, განსაზღვრავდა იმ თავისებურებებს, რაც ადგილობრივი ნოთხოვნილებებით არის გამოწვეული" (მუხ. 1). ამ თავისებურებებს წარმოადგენდა მმართველობის სტრუქტურა და საასწავლებელთა გეოგრაფიული ფანლაგება, სასწავლო გეგმებში რუსული ენის საათების გადიდება და ადგილობრივი ენების გათვალისწინება, მასწავლებელთა დანიშვნა და მათთვის ადგილობრივი ცხოვრების პირობების მიხედვით ხელფასისა და პენსიების გახსაზღვრა.

კავკასიის „სასწავლო ნაწილი" და მისი მმართველობა, 1867 წლის დებულებით, შეიცავდა: თბილისის, სტავროპოლის, ყუბანის, ქუთაისის და ბაქოს დირექციებსა და ერევნის ინსპექციას.

კავკასიის გიმნაზიებიდან (რომელთაგანაც 3 არსებობდა საქართველოში) ერთი (სტავროპოლის) იყო სრული კლასიკური, ძველი, ბერძნული და ლათინური, ენებით, სამი (თბილისის პირველი, ქუთაისის და ყუბანის) ნახევარკლასიკური, ლათინური ენით, და ორი (თბილისის მეორე და ბაქოსი)—რეალური**.

---

* Сб. распоряжений, напечатанный в циркулярах по управлению Кавк. учебным округом (1867—1871), 9—10.

** კავკასიის სასწავლებელთა მთავარი ინსპექტორი იანუარ ნევეროვი, მეფისნაცვალ მიხეილისადმი 1866 წ. 16 ივლისს წარდგენილ თავის მოხსენებაში კავკასიის სასწავლებელთა ახალი დებულების პროექტის შესახებ, შემდეგნაირი „მეცნიერული" აოგუელენტაციით ასაბუთებდა სრული კლასიკური, ნახევარკლასიკური და რეალური განათლების სიტემის ნაციონალურ პრინციპს:

„მხარის (კავკასიის) იმ ნაწილებში, რომელშიც ჰარბობს წმინდა რუსი მოსახლეობა უნდა იყოს განვითარებული უპირატესად პირველი (ე. ი. სრული კლა-

სასწავლო გეგმები საქართველოს გიმნაზიებისა, განსხვავებით სრულიად რუსეთის 1864 წლის წესდების სასწავლო გეგმებისაგან, ითვალისწინებდა რუსული ენისათვის უფრო მეტ საათებს და შეიცავდა ადგილობრივი ენების სწავლება (ქართულისა—ქართველთათვის, სომხურისა—სომეხთათვის და აზერბაიჯანულისა—აზერბაიჯანელთათვის).

ამასთან აღსანიშნავია, რომ კავკასიის სასწავლებელთა რუს მოწაფეებს უფლება ეძლეოდათ აღარ ესწავლათ ადგილობრივი ენები, რაც შეიძლება იმით აიხსნას, რომ მათ, ადგილობრივ დაწესებულებებში მუშაობისათვის ამ ენების ცოდნა საჭიროდ აღარ მიაჩნდათ.

ყოველი გიმნაზია შეიცავდა 7 ძირითად კლასს და ერთ მოსამზადებელს. ამასთან, კავკასიის მეფისნაცვლის ნებართვით შეიძლებოდა გიმნაზიებთან სპეციალური, უპირატესად, პედაგოგიური კურსების დაარსება სამაზრო და დაწყებითი სკოლებისათვის მასწავლებელთა მოსამზადებლად.

კავკასიის სასწავლებელთა 1867 წლის დებულება ითვალისწინებდა აგრეთვე სამაზრო და დაწყებით სკოლებს.* სამაზრო სკოლის სახელწოდება ენიჭებოდა განათლების სამინისტროს ყველა 3 კლასიან სასწავლებელს და, ამგვარად, სამაზრო სასწავლებელი იყო სამ კლასიანი, ხოლო იქ, სადაც დაწყებითი სკოლა არ არსებობდა, სამაზრო სასწავლებელთან შეიძლებოდა ყოფილიყო მო-

---

სიკური), ქართველ და სომეხ მოსახლეობაში—მეორე (ე. ი. ნახევარკლასიკური), ხოლო მუსლიმანურ მოსახლეობაში—მესამე ანუ რეალური სისტემა კლასიციზმი, აგრძელებს ნეოეროვი, მჭიდროდ არის დაკავშირებული ქრისტიანობასთან: ეს უკანასკნელი აღმოცენდა მის ნიადაგზე და ყოველთვის მისით იკვებებოდა, ამიტომ ძველი ენები და ლიტერატურა, რომლებიც ადამიანის სულიერ ამაღლებაზე მოქმედებენ, წარმოადგენენ უპირატესად ქრისტიანი ბალბის საკუთრებას, მაღალი ევროპული განვითარების განმასხვავებელ თვისებას და არასდროს არ ეთვისებოდნენ ისინი მუსლიმანურ სამყაროს. ამ უკანასკნელისათვის ხელმისაწვდომია მხოლოდ სფერო გონებისა და აზრ სულისა, ამის გარეშე, ეს თავისი უმაღლესი განვითარების—არაბული მეცნიერების აყვავების—პერიოდშიც მხოლოდ პოზიტიურ ცოდნას ამუშავებდა და არაფერი შეუტანია კაცობრიობის სულიერ საგანძურში" (Сборник распоряжений по управлению Кавказским учебным округом, 1867—71, გვ. 131).

* აღსანიშნავია, რომ კავკასიის სასწავლებელთა 1867 წლის დებულება ბალბის ტერმინს „სახალხო" (სკოლა), რომელსაც ადგილი ჰქონდა სრულიად რუსეთის სასწავლებელთა 1864 დებულებაში.

ამაშზადებელი კლასიც. სამაზრო სასწავლებლებში ასწავლიდნენ: საღვთო სჯულს, რუსულ ენას, არითმეტიკას, გეოგრაფიას, რუსეთის ისტორიას, სუფთა წერას და ერთ-ერთ ადგილობრივ ენას (იმის მიხედვით თუ რომელი მათგანი იყო იმ მოსახლეობის უმრავლესობის სალაპარაკო ენა, რომელსაც სათანადო სკოლა ემსახურებოდა).

დაწყებითი სკოლები, გათვალისწინებული უმთავრესად დაბა-სოფლების ორივე სქესის ბავშვებისათვის, იყო ერთკლასიანი და ორკლასიანი. ერთკლასიან დაწყებით სკოლებში ასწავლიდნენ: საღვთო სჯულს, წერა-კითხვას რუსულ და ადგილობრივ ენებზე და ანგარიშს (ოთხ მოქმედებას). ორკლასიან დაწყებით სკოლებში ამ საგნებს გარდა ასწავლიდნენ საღვთო ისტორიას, ელემენტარულ რუსულ გრამატიკას, არითმეტიკას და რუსეთის გეოგრაფიას. ორკლასიან დაწყებით სკოლებთან, მეფისნაცვლის ნებართვით, შეიძლებოდა დაარსება დამატებითი კურსებისა მარტივი ხელოსნობის (ლერგლობა, ზეინკლობა, მეჩექმეობა, ქრა-კერვა და სხვ.) სასწავლად.

დაწყებითი, ორკლასიანი სკოლების კურსდამთავრებულთ შეეძლოთ გადასვლა სამაზრო სასწავლებლის პირველ კლასში. სამაზრო სასწავლებლის კურსდამთავრებულთ კი შეეძლოთ შესვლა კლასიკური გიმნაზიის III კლასში, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მათ ეერძოდ ჰქონდათ ნასწავლი ლათინური და ფრანგული ენები გიმნაზიის პირველი ორი კლასის პროგრამის მოცულობით. რეალური გიმნაზიის III კლასში შესასვლელად კი საჭირო იყო გერმანული ენის ცოდნა ამავე მოცულობით.

კავკასიის სასწავლებელთა ახალი დებულება აწესებდა სწავლის ვადას გიმნაზიებში: IV კლასამდე ჩათვლით—15 მანეთს, ხოლო ზედა კლასებში—20 მანეთს წელიწადში. სწავლის ქირა წესდებოდა აგრეთვე სამაზრო სასწავლებლებშიც, მაგრამ მის ოდენობას საზღვრავდა კავკასიის მეფისნაცვალი სასწავლებელთა მთავარი ინსპექტორის წარდგენით.

განსაზღვრული იყო აგრეთვე ვაკაციების დროც: საზაფხულო ვაკაციები ჩრდილოეთ კავკასიისათვის წესდებოდა 20 ივნისიდან 20 აგვისტომდე, ამიერკავკასიისათვის 15 ივნისიდან 1 სექტემბრამდე. სახამთრო კი—23 დეკემბრიდან 2 იანვრამდე მთელ კავკასიაში.

1867 წლის დებულებით განისაზღვრა აგრეთვე კავკასიის სასწავლებელთა შტატი და ხარჯთაღრიცხვა. მთელი კავკასიისათვის გათვალისწინებული იყო 420 647 მანეთი; აქედან, გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებზე—3 8.237 მან, სამაზრო სკოლებზე—63.720 მ., დაწყებით სკოლებზე—31.190 მანეთი წელიწადში. კერძოდ, თბილისის დირექციაზე იხარჯებოდა 116.795 მ., ხოლო ქუთაისის დირექციაზე კი—73.090 მანეთი.

არ შეიძლება თვალში არ ეცეს მკითხველს მშრომელი ბოსანლეობის, განსაკუთრებით კი გლეხობისათვის განკუთვნილ დაწყებით სკოლებზე გათვალისწინებული თანხის საშინელი სიმცირე—მთელი ხარჯთაღრიცხვის 7,4 პროცენტი. მაგრამ ცნობილია, რომ შეფის რუსეთი ღარიბი იყო ყოველთვის, როცა საქმე ეხებოდა მშრომელი ხალხის განათლებას.

კავკასიის სასწავლებელთა 1867 წლის დებულება იყო უკანასკნელი კავკასიის სასწავლებელთათვის. ის შემოღებული იყო ცდის სახით და ძალაში დარჩა მხოლოდ 4 წელს. ამ ხნის მანძილზე ის გამოხატურებოდა თავის დანიშნულებას: მოემზადებინა პირობები იმისათვის, რომ შემდეგში სრულიად რუსეთის სასწავლებელთა წესდებანი უცვლელად ყოფილიყო შემოღებული კავკასიის სკოლებისათვის. მთავრობის აზრით, 1871 წლიდან კავკასიის ხალხთა და, კერძოდ, საქართველოს განათლების დარგში აღარ არსებობდა ანგარიშგასაწევი თავისებურებანი და ამ წლიდან შეუდგა ადგილობრივ დებულებათა შემუშავებისა და გამოცემის პრაქტიკა.

1867 წლის 9 დეკემბერს, კავკასიის მეფისნაცვლის მთავარ სამართველოს შესახებ მეფის მიერ დამტკიცებული დებულებით (მუხ. 32), აღდგენილ იქნა კავკასიის სასწავლო ოლქი და ოლქის მზრუნველის თანამდებობა. მზრუნველთან იყო საბჭო და ოლქის ინსპექტორი. კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველად 1868 წ. 13 იანვარს დაინიშნა ყოფ. მთავარი ინსპექტორი ი. ნევეროვი.

1867 წლიდან, კავკასიის სასწავლო ოლქის ინსპექტორი, შემდეგ მზრუნველი, სასწავლებელთა ადმინისტრაციულ მეთოდიკური ხელმძღვანელობისა და კონტროლის უკეთესი ორგანიზაციის მიზნით სცემდა პერიოდულ, ყოველთვიურ ოფიციალურ ორგანოს „Циркуляр по управлению Кавказским учебным округом", რომელშიც ოფიციალური მასალის გარდა საგულისხმო მეთოდიკური წერილებიც იბეჭდებოდა.

4. ტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო განათლება

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარება XIX საუკუნის 60-იან წლებში მოითხოვდა ამ განვითარების ტემპის შესაფერის ტექნიკურ და სასოფლო-სამეურნეო განათლებას.

1839 წელს, დამტკიცებულ დებულებას „სახალხო განათლების სამინისტროს სასწავლებლებთან რეალური კლასების" შემოღების შესახებ საქართველოსათვის არ მოჰყოლია რაიმე რეალური შედეგი. ეს კლასები (განყოფილებები) დაარსდა გიმნაზიების მე-6 და მე-7 კლასებთან და სამაზრო სასწავლებელთა მე-2 და მე-3 კლასებთან, ე. ი. გიმნაზიებისა და სამაზრო სასწავლებელთა ორ უკანასკნელ კლასთან. რეალურ კლასებში ისწავლებოდა: პრაქტიკული ქიმია, პრაქტიკული მექანიკა, ხატვა-ხაზვა და ტექნოლოგია (მუხ. 5). ეს საგნები ისწავლებოდა დამატებით, სხვა საავალდებულო საგნების სწავლების შემდეგ, ისიც საღამოს და, საერთოდ, თავისუფალ დროს. ამგვარად რეალური კლასები ყველგან მაინც არ შექმნილა. რუსეთში ის დაარსდა 5—6 ქალაქში, ხოლო საქართველოში კი არსად შემოღებიათ.

რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო სკოლებს რუსეთში, ისინი მართალია 30-იან წლებში იწყებენ არსებობას, მაგრამ მხოლოდ ბაღოსნობისა და მეფუტკრეობის დარგში. საქართველოში ბაღოსნობის სკოლები, როგორც ვწერდით, გაიხსნა 1855 წელს (თბილისსა და ქუთაისში), ხოლო ბელეინეობისა 30-იანი წლების დასასრულს, კახეთში.

40-იანი წლებში რუსეთში უკვე იდგამს ფეხს პროფტექნიკური განათლება. არსდება სპეციალური ტექნიკური სკოლები როგორც უმაღლესი და საშუალო, ისე დაწყებითი განათლების სისტემაში. მართალია, უმაღლესი ტექნიკური განათლება მთელ რუსეთში 4—5 ინსტიტუტით (ტექნოლოგიური, სამთო, სამოქალაქო ინჟენერთა, სატყეო) ამოიწურებოდა, მცირე იყო აგრეთვე საშუალო ტექნიკური სკოლებიც, მაგრამ, სამაგიეროდ, დაბალი სახელოსნო და საერთოდ დაწყებითი პროფესიონალური სკოლები უკვე მრავლად მოიპოვებოდა.

ხელოსნური განათლება საქართველოში იმხანად ვრცელდებოდა შ ე გ ი რ დ ო ბ ი ს წესით ხელოსნების გავრცელებასთან დაკავშირებით. ასწავლიდნენ ხელოსნები ინდივიდურად და პრაქტიკულად. თეორიული ტექნიკური განათლება არ ჰქონდათ არც მასწავლებ-

ლებს, ე. ი. ხელოსნებს (რომელნიც ზოგჯერ სრულიად უწიგნურე ბიც კი იყვნენ), და არც შეგირდებს. ამასთან ეს ხელოსნობა მეტად ვიწრო და კასტურ ხასიათს ატარებდა, შეგირდების სწავლებაც ერთგვარი საიდუმლოებით იყო მოცული, და, ცხადია, ძალიან მცირე იყო მისი გავრცელების მასშტაბი.

სამოციანი წლების დასაწყისში სოფლის მეურნეობის განვითარების მოთხოვნილებებმა წარმოშვეს სასოფლო-სამეურნეო განათლების უფრო გაფართოების საჭიროება. 1862 წელს კონსტანტინე მამაცაშვილი ამის შესახებ წერდა, რომ თანამედროვე სასოფლო მეურნეობა, რომელიც წინაპართა პატრიარქალურ ცხოვრებას შეეფერებოდა, აღარ აკმაყოფილებს ჩვენი გარდამავალი დროის მოთხოვნილებებს. სასოფლო მეურნეობას ის თვლიდა სახალხო სიმდიდრის გადიდების საშუალებად და მისი განვითარების მიზნით მოითხოვდა სასოფლო-სამეურნეო იარაღებისა და მუშაკონელის გაუმჯობესებას. აქედან გამოსვლით მამაცაშვილი მოითხოვდა თვითეულ მაზრაში 3—4 სასოფლო-სამეურნეო სკოლის დაარსებას. ამ სკოლების დანიშნულება, მისი აზრით, მდგომარეობდა განვითარებული სასოფლო-სამეურნეო იარაღების გამოყენებისა და მათი შეკეთების უნარის მქონე ახალგაზრდა ხელოსნების მომზადებაში. სპეც-ტექნიკური საგნებიდან აღნიშნულ სკოლებში, მამაცაშვილის აზრით, უნდა ესწავლებიათ: სადურგლო, სახარატო, საკასრო, საბორბლე, სამჭედლო, საზეინკლო და საუნაგირო საქმე.*

კონსტანტინე მამაცაშვილი იქვე აქვეყნებდა ასეთი სკოლების დაარსების მთელ პროექტს, სათანადო ხარჯთაღრიცხვისა და ნმართველობის ფორმის გარკვევით. ის ამასთანავე დასძენდა, რომ ასეთ სკოლებში გლეხები სიამოვნებით გაგზავნიან თავის შვილებს, რომლებიც მათი უშუალო მეთვალყურეობით ისწავლიანო. მამაცაშვილის პროექტი მოიწონა გრიგოლ ორბელიანმა, რომელსაც მაშინ მეფისნაცვლის მოადგილის თანამდებობა ეჭირა, და შემდეგ წარედგინა იგი ხეფისნაცვალს დასამტკიცებლად.

მაგრამ მეფისნაცვალმა არ ნისცა საქმეს მსვლელობა. ათი დღის შემდეგ „Кавказ"-ის (№ 19) რედაქტორმა ფედოტ ბობილევმა მოათავსა კ. მამაცაშვილის საწინააღმდეგო წერილი, რომელშიც ის აღნიშ-

* „Кавказ", 1862, № 9 და 27; იხ. ავრეთვე ამავე საკითხზე Ал. Прима. „Кавказ" 1862, № 101.

ნავდა, რომ მამაცაშვილის პროექტი არ არის პრაქტიკული და მისი გატარება შეუძლებელია. ამის მთავარ მიზეზად ის ასახელებდა საქართველოს სოფლის მეურნეობის ჩამორჩენას. მისი აზრით, მაშინდელი სოფლის მეურნეობა ისე იყო ჩამორჩენილი, რომ იგი ჯერ კიდევ არ მოითხოვდა მამაცაშვილის პროექტით დასახულ სკოლებს. მეურნეობის „განვითარების კანონი უცვლელია ყველა ქვეყანაში,—წერდა ბობილევი,—არა სკოლები იწვევენ მოძრაობას ამა თუ იმ მრეწველობაში, არამედ თვით ამ მრეწველობის გამაგრება და განვითარება იწვევს სკოლების შემოღებას"*. მაგრამ ბობილევს არ ესმოდა, რომ მისი აზრი იყო ცალმხრივი და სქოლასტიკური, მას არ ესმოდა, რომ სპეციალური საშეურნეო-სახელოსნო სკოლები შეიძლება ყოფილიყვნენ როგორც შედეგი, ისე მიზეზი მეურნეობის განვითარებისა. მას და მასთან ერთად მეფის მთავრობის აგენტებს საქართველოში არ უნდოდათ გაეგოთ, რომ მამაცაშვილის პროექტით განზრახული სკოლები. ერთი მხრით, სწორედ მეურნეობის სათანადო განვითარების შედეგი იყო, ხოლო, მეორე მხრით, ეს სკოლები მისი შემდგომი განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენდნენ. ამასთან მეფის მთავრობა არც ისე იყო დაინტერესებული საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებით და გლეხობის კეთილმდგომარეობით, რომ მამაცაშვილის პროექტი მიეღო და ასეც მოიქცა: მამაცაშვილის სავსებით მომწიფებული და ჩვენი ხალხის საკეთილდღეო აზრი მთავრობამ ფორმალურად მოიწონა, მაგრამ ფაქტიურად მის განხორციელებაზე, თავისი სიჩუმით და უპოქვედობით—უარი სთქვა. ჩინებული წამოწყება ჩაიშალა.

ძნელი იყო ცხოვრების ეარდაუვალი პროცესის შეჩერება. თუმცა ნთავრობა აფერხებდა ტექნიკურ და სასოფლო-სამეურნეო განათლებას ჩვენში,მაგრამ ძისი ინიციატივა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ იკისრა. ასეთი იყო „რუსეთის ტექნიკური საზოგადოების კავკასიის განყოფილება", განსაკუთრებით კი ამ განყოფილების „ხელოსნობის გამავრცელებელი კომისია" ზემოხსენებული საზოგადო მოღვაწის კონსტანტინე მ ა მ ა ც ა შ ვ ი ლ ი ს ხელმძღვანელობით.

---

* ბობილევს ეს ხელს არ უშლიდა, თვალმაჭკურად, მამაცაშვილის სასოფლო-სამეურნეო სკოლებისათვის ერთი „ტექნოლოგიური გიმნაზია" დაეპირდაპირებინა. იმ დროს, როცა დაბალ სასწავლებლებს უდროოდ აცხადებდა, საშუალო სკოლა დროულად მიიჩნია, მაგრამ ეს მხოლოდ იმისთვის, რომ თვალი აეხვია დაინტერესებულ პირთათვის.

რუსეთის ტექნიკური საზოგადოების კავკასიის განყოფილების ამოცანას, კავკასიაში ტექნიკის განვითარებისათვის ხელისშეწყობასთან ერთად, შეადგენდა აგრეთვე ტექნიკური განათლების გავრცელებაც.

1869 წელს ამ საზოგადოების ინიციატივით ნიკოლოზის სახელობის თბილისის დაწყებით სკოლასთან (ავლაბარში) მოეწყო სახელოსნო განყოფილება. უკანასკნელის მიზანს შეადგენდა: „ა) ვაჟებისათვის ხელოსნობის სწავლება ისე, რომ შემდეგში მათ შეძლება ჰქონოდათ სახელოსნოებში მუშაობისა, ბ) ხელოსნობის გავრცელება მხარეში იმ მოწაფეთა ბიერ, რომლებიც სასწავლებლის კურსის დასრულების შემდეგ დაბრუნდებიან თავის საზოგადოებაში“.*

სპეციალურ ხელობათაგან აღნიშნულ განყოფილებაზე ასწავლიდნენ: დურგლობას, ხარატობას, მეკასრეობას, ნქედლობას, ზეინკლობას და სარჩილავ (საკავშირებელ) ხელობებს. ასწავლიდნენ აგრეთვე სახელოსნო ხაზვას და მასალათმცოდნეობას.

სახელოსნო განყოფილებაზე ნიკოლოზის სახ. სასწავლებლიდან გადადიოდნენ მხოლოდ ვაჟები ამ სასწავლებლის კურსის დასრულების შემდეგ. სავალდებულო იყო მხოლოდ ერთი ხელობის შესწავლა. მეცადინეობა ამ განყოფილებაზე გრძელდებოდა ერთ წელს.

იმავე, 1869, წელს თბილისში გაიხსნა „ქალთა სახელოსნო სკოლა“, რომელიც უფრო ხელსაქმის სკოლას წარმოადგენდა, ვიდრე სახელოსნო სასწავლებელს (დაწვრილებით იხ. აქვე: „ქალთა განათლება“).

1870 წელს კ. მამაცაშვილმა კვლავ აღძრა საკითხი დაწყებითი სახელოსნო განათლების გავრცელების შესახებ საქართველოში. ამ წლის იანვარში ის წერდა: „1862 წელს მე ბეჭდვითი სიტყვით განვაცხადე სახელოსნო სკოლების აუცილებლობის შესახებ (№№ 9 და 27 გაზ. „Кавказ“-ისა), მაგრამ, სამწუხაროდ, მაშინ ვერ ვნახე სათანადო თანაგრძნობა ვერც საზოგადოებაში და ვერც მთავრობის პირთა შორის“.**

როგორც ზემოთ ვწერდით, ეს მართლაც ასე იყო, მაგრამ ახლა, 1870 წელს, კ. მამაცაშვილის ამ წერილმა, რომელიც რუსული

* „Кавказ“, 1869, № 128.
** „Кавказ“, № 1, 1870.

ტექნიკური საზოგადოების კავკასიის განყოფილების საყურადღებოდ იყო დაწერილი, გამოიღო სათანადო ნაყოფი და იმავე წელს სოფ. პატარძეულის, მარტყოფის და ქ. დუშეთის დაწ-წებით სკოლებთან გახსნეს სპეციალური სახელოსნო განყოფილებები მსგავსად თბილისის ნიკოლოზის სახელობის დაწყებით სკოლასთან არსებული სახელოსნო განყოფილებისა, იმავე მიზნით და ისეთივე სტრუქტურითა და პროგრამით.

ნიკოლოზის სახელობის თბილისის დაწყებით სასწავლებელთან არსებულმა სახელოსნო განყოფილებამ პირველსავე წლებში მიიზიდა ახალგაზრდობის ყურადღება. ეს განყოფილება არსებობდა. რუსეთის ტექნიკური საზოგადოების ხარჯზე და მდიდარი იყო თავისი მატერიალური ბაზით (სახელოსნოები, ხელსაწყო-იარაღები, ფინანსიური შესაძლებლობანი და სხვ.). იყო აგრეთვე უზრუნველყოფილი როგორც ზოგადი საგნების, ისე სპეც-ტექნიკური საგნების მასწავლებლებით. მიუხედავად ამისა, სახელოსნო განყოფილება მაინც შეზღუდული იყო თავის მოქმედებაში: ის არ წარმოადგენდა დამოუკიდებელ დაწესებულებას და როგორც ადმინისტრაციულად, ისე სასწავლო-პედაგოგიურ მუშაობაში, ნიკოლოზის სახ. სასწავლებელს ექვემდებარებოდა, და ეს იმ დროს, როცა ამ სასწავლებლის ადმინისტრაცია სახელოსნო განყოფილებას ჯეროვან ხელმძღვანელობას ვერ უწევდა, განსაკუთრებით ტექნიკური სწავლების დარგში. ამის გამო „ტექნიკური საზოგადოების კავკასიის განყოფილების“ 1871 წლის ანგარიშში აღნიშნული იყო, რომ სხვა სასწავლებელთან სახელოსნო განყოფილების მოწყობის ცდამ ვერ გაამართლა თავისი თავი და იმავე წლიდან, საზოგადოების დადგენილებით, სახელოსნო განყოფილება გამოეყო ნიკოლოზის სახ. სასწავლებელს, გადავიდა კუკიას, საკუთარ შენობაში, და გადაკეთდა სრულიად დამოუკიდებელ „სკოლა-სახელოსნოდ (სახელოსნო სასწავლებლად)“, რომელიც სულ მოკლე ხანში სასწავლო-საჩვენებელ სახელოსნოდ იქნა აღიარებული.

1871—1872 სასწავლო წლის დასაწყისში თბილისის სახელოსნო სასწავლებელს ჰქონდა სამი ძირითადი სახელოსნო: სადურგლო, საზეინკლო და სამქედლო. ამისდა მიხედვით ამზადებდა კვალიფიცირებულ დურგლებს, ზეინკლებსა და მქედლებს. სწავლის ხანგრძლივობა პირველ ხანად იყო 2 წლიანი, შემდეგ 3 წლიანი, ხოლო 80-იანი წლების დასაწყისიდან კი თბილისის სახელოსნო

სასწავლებელში შემოღებულ იყო ოთხი კლასი სწავლების 4 წლიანი კურსით.

1871 წელს თბილისის სახელოსნო სასწავლებელში სწავლობდა 32 მოსწავლე, აქედან 12 ქართველი, 9 რუსი, 10 სომეხი, შემდეგ წლებში მოსწავლეთა რიცხვი საგრძნობლად იზრდებოდა.

თბილისის სახელოსნო სასწავლებელი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხაზით ექვემდებარებოდა კავკასიის ოლქის მზრუნველს, ხოლო ადმინისტრაციულად რუსეთის ტექნიკური საზოგადოების კავკასიის განყოფილების „ხელოსნობის გამავრცელებელ კომისიას".

—

სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარება საქართველოში XIX საუკუნის წლებიდან მომდინარეობს. მართალია, ცალკეულ შეძლებულ პირებს და ჩვენში გადმოსახლებულ ზოგიერთ უცხოელ და რუს მოხელეებს უფრო ადრეც ჰქონდათ დაწყებული კულტურული მეურნეობა, მაგრამ ადგილობრივ მკვიდრთა აგროკულტურული მოძრაობა ორმოცდაათიან წლებში დაიწყო. ქართველი თავადაზნაურობისა და მემამულეთა კონსერვატული წრეები ამ მოძრაობას მტრულად შეხვდნენ გიორგი ერისთავის „გაყრის" გმირის, ანდუყაფარ დიდებულიძის მსგავსად, მაგრამ ეს უფრო იმიტომ, რომ ამ წრეებს ევროპული აგრონომიული ცოდნის წარმომადგენლად მიიჩნდათ ანდუყაფარის ძმის, ივანეს, მსგავსი „აგრონომები", რომლებიც ქართულ ღვინოს „გლუპოსტად" თვლიდნენ, „ზვარში აპირებდნენ ვაზების დაჭრას და იმის წილად თუთეების ჩაყრას", ანდა ვენახში სასეირნო გზების გაყვანას. არსებითად კი ყველასათვის ნათელი იყო, რომ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის განვითარებისათვის აუცილებელი იყო არა ცრუ-აგრონომები, არამედ ნამდვილი სასოფლო-სამეურნეო განათლებით შეიარაღებული სპეციალისტები.

სოფლის მეურნეობის დარგებიდან ყველაზე უფრო ზეტად მებაღეობა-მევენახეობაზე ზრუნავდნენ და პირველი სკოლებიც, როგორც აღვნიშნეთ, სწორედ ასეთი სპეციალობით წარმოიშვნენ.

მეღვინეობის პირველი სკოლა დაარსდა კახეთში, რამდენადაც კახეთი, როგორც უმთავრესად მეღვინეობის კუთხე, პირველ ყოვლისა, მეღვინეობის სპეციალისტებს მოითხოვდა. ჩვენამდის მოღწეული ცნობით, კახეთში, სოფ. კონდოლში (თელავის რაიონი)

1865 წლისათვის მართლაც არსებობდა მეღვინეობის სახაზინო სკოლა, რომელიც კვალიფიციურ მეღვინეებს ამზადებდა.

1866 წელს კონდოლის სკოლა ინახულა ცნობილმა მოგზაურმა, პროფესორმა ალ. პეტცოლდმა.* ეს ის სკოლა უნდა იყოს, რომელიც 30-იანი წლების ბიწურულში იყო აქ (კახეთში) დაარსებული.

საკითხი სამიწათმოქმედო სკოლის დაარსების შესახებ დაისვა 1868 წელს, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მიერ. მაგრამ ფაქტიურად ასეთი სკოლა გაიხსნა ცოტა გვიან. 1871 წლის 20 თებერვალს, ლოჭინის ხევში თბილისიდან 20 კილომეტრის მანძილზე. ლოჭინის სამიწათმოქმედო სკოლის მიზანი იყო კვალიფიციური სასოფლო-სამეურნეო კადრების მომზადება მებაღეობასა, მეაბრეშუმეობასა, მეფუტკრეობასა, მეღვინეობასა და მეცხენეობაში. ამგვარად, ლოჭინის სამიწათმოქმედო სკოლა კომბინირებული სტრუქტურის სასწავლებელი იყო. ის იმყოფებოდა კავკასიის სოფლის ნეურნეობის საზოგადოების გამგებლობაში (რომელიც მის შესანახად ყოველწლიურად ხარჯავდა 997 მანეთს).

ლოჭინის სამიწათმოქმედო სკოლას, მისი საზეიმო გახსნის მომენტისათვის ჰქონდა კარგად მოწყობილი ქიმიური ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო კოლექციები, სამიწათმოქმედო იარაღები, სპეციალური ბიბლიოთეკა, საკმაოდ დიდი ტერიტორია საცდელი სამუშაოებისათვის, ჰყავდა აგრეთვე მუშა-საქონელი და სხვ.

დასაწყისში ლოჭინის სკოლა გათვალისწინებული იყო 50 მოწაფისათვის. აქედან 20 სახელმწიფო და 30 საკუთარი ხარჯით. მისი წესდების მიხედვით: „სკოლაში ღებულობენ ყველა მდგომარეობის ახალგაზრდებს არა უმცირეს 16 წლის ასაკისა, მომლებმაც უნდა იცოდნენ რუსული წერა-კითხვა. სწავლება სკოლაში გრძელდება 4 წელს და ითვალისწინებს როგორც სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესებულ საშუალებათა გაცნობას, ისე მისი უმთავრესი მეცნიერული საფუძვლების შესწავლას".**

ამის შესაფერისად ლოჭინის სამიწათმოქმედო სკოლაში უნდა ესწავლათ: „1. რუსული ენა, 2. გეოგრაფია და რუსეთის ისტორია, 3. არითმეტიკა, 4. ბუნებისმეტყველება, 5. კლიმატოლოგია, 6. მიწათმოქმედება, 7. მებოსტნეობა, 8. მეველეობა, 9. მცენა-

---

* „Der Kaukasus", XVI, 1866.
** „Кавказский календарь" на 1871 г., 368.

რეთმ-ოდნეობა, 10. მეღვინეობა, 11. მეფუტკრეობა და მეაბრეშუმეობა, 12. მესაქონლეობა, 13. მეურნეობის ორგანიზაცია, 14. სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის დამუშავება, 15. საღეთო სჯული".*

ლოქინის სამიწათმოქმედო სკოლა წარმოადგენდა მაღალ-დაწყებითი სპეციალური-სასწავლებლის ტიპს. მეცადინეობა ოფიციალურად სწარმოებდა რუსულ ენაზე, მაგრამ ქართველი ყმაწვილებისათვის პირველი ორი წლის განმავლობაში იყენებდნენ ქართულ ენასაც.

—

XIX საუკუნის 60-იანი წლების ტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო სკოლები მეტად ღარიბნი იყვნენ მასწავლებელთა კადრებით. ზოგადი განათლების საგნებს უკეთეს შემთხვევაში ასწავლიდნენ საშუალო, მაგრამ არა პედაგოგიური განათლების მქონე მასწავლებლები, სპეციალურ საგნებს კი, მცირეოდენ გამონაკლისს გარდა, ასწავლიდნენ უბრალო პრაქტიკოსი მუშაკები: მებაღეები, მევენახეები, მესაქონლენი და სხვ., რომელთაც ჭცირე წარმოდგენა ჰქონდათ თავის საგნის მეცნიერული საფუძვლების შესახებ.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ 187' წლამდე არსებულ ტექნიკურ და სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებს არ შეეძლოთ დაეკმაყოფილებიათ ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილებები სპეც-ტექნიკური კადრების მხრივ. მათი სტრუქტურისა და სასწავლო გეგმების შესწავლა გვარწმუნებს, რომ ისინი წარმოადგენდნენ მოსამზადებელ საფეხურს შემდეგ პერიოდში (70—80-იან წლებში საქალაქო და სასოფლო მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებით გაშლილი პროფ-ტექნიკური განათლებისათვის.

5. ქალთა განათლება

ქალთა აღზრდის თეორია და პრაქტიკა 60-იან წლებში საგრძნობლად შეიცვალა. თუ XIX საუკუნის პირველ ნახევარში ქალთა აღზრდის მიზნები და ფორმები რადიკალურად განსხვავდებოდა ვაჟთა აღზრდის მიზნებისა და ფორმებისაგან, ახლა, 60-იან წლებში, ეს განსხვავება აღზრდის მიზნების მხრივ ძალიან შემცირდა, ხოლო აღზრდის ფორმების მხრივ კი დაყვანილ იქნა იმ ნორმა-

* „Кавк. календ". на 1871, 368—370, „Кавказ", 1871, № 123.

ლურ სხვადასხვაობამდე, რომელსაც მოითხოვდა ორი სხვადასხვა სქესის ბავშვთა აღზრდის ამოცანები. მართალია, 1861 წელს „ცისკარის“ კონსერვატული ჯგუფის წარმომადგენელი ალექსანდრე სულხანიშვილი წინააღმდეგი იყო საზოგადოებრივი აღზრდისა, როდესაც წერდა, „დედაკაცნი საზოგადოდ არიან უკეთესად აღზრდილნი ვიდრე მამაკაცნი“, იმიტომ რომ დედაკაცები ბალხს ნაკლებად ხვდებიან და ამით ადვილად იცავენ თავის ზნეობრივ სიწმინდესა,* მაგრამ აღნიშნულ პერიოდში ასეთი აზრები ცხოლოდ ძველის ნაშთების სახით გვხვდებოდნენ. ახალი და ძირითადი ქალთა აღზრდის საქმეში გამომდინარეობდა ქალ-ვაჟთა თანასწორობის პრინციპიდან. ეს პრინციპი ქართულ ენასა და ლიტერატურას არც წინათ ეუცხოვებოდა,** მაგრამ მათი პრაქტიკული განხორციელებისათვის 60-იან წლებში დაიწყო სათანადო საზოგადოებრივი ბრძოლა. ამ ბრძოლამ ქალთა აღზრდის საკითხებშიც ჰპოვა თავისი გამოხატულება.

1860 წელს ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე აღნიშნავდა:

„ახლანდელი დრო მჭიდროდ არის შეკავშირებული წარსულ დროსთან. როგორათაც კაცი, ისე ქალი თითქმის ისეთნივე არიან საქართველოში, როგორც უწინ ყოფილან; ისევ ის სისხლი მომდინარეობს ქართველს დედათ-სქესის ძარღვებში და ისევ ის თვისებაები შეადგენენ იმის ხასიათს,—თვისებაები, რომლებითაც მიიქცევენ თვით ევროპიულთ საზოგადო ყურადღებას, ესე იგი—სიტურფე, სასიამოვნო საუბარი და მიმზიდავი მანერები საზოგადოებაში და გონების ნიჭიერებანი. კითხვისა და წერის სურვილი, რომელსაც აღმოაჩენენ კნ. ჯორჯაძისა და სხვანი, დიაღ საქებარი არის. სასურველია, რომ ჩვენი ქალები უფრო და უფრო შეეჩვიენენ კითხვასა და წერასა, კითხვა-წერა ადამიანს გონებას გაუხსნის და გონების გახსნა დაგვაყენებს ჭეშმარიტს გზაზედა“.***

---

* „ცისკარი“, 1961 წ., № 5.

** შოთა რუსთაველის ქალ-ვაჟთა თანასწორობის იდეას რომ თავი დავანებოთ, ქართულ ენაში დარჩენილია ისეთი გამოთქმა როგორც „დედაკაცი“. ეს ტერმინი უეჭველია ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ დედა ანუ ქალი ისეთივე კაცია ანუ ადამიანი, როგორც მამა ანუ ვაჟი, მამაკაცი, ე. ი. ქალიც და ვაჟიც თანაბარი კაცები ანუ ადამიანები არიან. ხოლო გამოთქმები: ქალ-ვაჟი, დედ-მამა, და-ძმა, ცოლ-ქმარი, სიდედრ-სიმამრი ყველგან ქალს აძლევენ პრიოოიტეტს. პირველ რიგში ყოველთვის ქალი იხსენიება.

*** დიმ. ბაქრაძე, „ქართველი ქალები“, გვ. 14.

„ცისკრის“ პროგრესული ჯგუფის წარმომადგენელი პეტრე ჩარექიშვილი (ქუთაისი) 1863 წელს, ქალთა აღზრდა-გახათლების საკითხებზე ანვითარებდა უფრო მეტად საგულისხმო აზრებს: „იმ დროში, რომელშიაც კაცის აზრნი და იდეანი სიჩქარით ცვლებიან და განიწმინდებიან ყოველთა საშუალო საუკუნეთა შეცდომილებათაგან, ამით გვაახლოვებენ ჩვენ ქეშმარიტებისადმი, რომელშიაც მეცნიერება და განათლება იქმონან დიდსა ნაბიჯსა წარმატებისა და განათლებისა გზაზედ, და უკანასკნელ, რომელშიც იბადებიან და დაბადებასთანვე თხოულობენ დაუყონებლივსა გარდაწყვეტასა მრავალნი სხვადასხვა გვარნი კითხვანი შესახებელ საზოგადოებით და სახელმწიფოთ ცხოვრებით საგნებთა, ხოლო ამათ რიცხვში პირველი უჭირავს ქალის აღზრდასა“...*

ქალის პირდაპირ დანიშნულებას პეტრე ჩარექიშვილი ხედავს არა მარტო მამაკაცის მეუღლეობაში და ოჯახისა და სახლის გონიერ მმართველობაში, არამედ მას ქალი მიაჩნია:

„გულმხურვალე დედად, აღმზრდელად ახალის ჩთამამავლობისა, რომელიც გონიერითა სიყვარულითა გახსნის და განამტკიცებს შვილებში ყოველსა უმაღლესთა სულიერთა ნიჭთა და თვისისა ცხოვრებისა მაგალითით წარუდგენს მათ მიმზიდველობითსა ყოველთა კეთილ მოქმედებათა, მოძრაობათა და რწმუნებათა“.

შემდეგ პეტრე ჩარექიშვილი დაასკვნის:

„აქედან ცხადად ჰსჩანს თუ რა დიდნი და უაღრესნი არიან ზნეობითნი მოვალეობანი ქალისა და მაშასადამე აღსასრულებლად მათთა რაოდენათ მოუცილებელი საჭირო არს მისთვის მიღება კანონიერისა აღზრდისა, გინა განათლებისა, რომელიც აკმაყოფილებდეს ყოველთა მოთხოვნილებათა ამ ჩვენისა თანამედროულისა ცხოვრებისას“.**

პეტრე ჩარექიშვილი იბრძვის იმ „ფერად-ფერადი“, რეგრესული აზრების წინააღმდეგ, რომლებიც ქალის დანიშნულებას ზღუდავენ მხოლოდ ოჯახის დიასახლისობით და ხელსაქმით, ეკლესიური წესების უგნური აღსრულებით, ქმრის სურვილისა და ბრძანებისადმი მონური და ბრმა მორჩილებით. ის იბრძვის ყველა იმ „დაწინაურებულ“ და „განათლებულ“ გვამთა წინააღმდეგ, რომლებიც „ფიქ-

---

* „ცისკარი“, 1862, II, 302.

** იქვე, 303—304.

რობენ, თუ აღზრდა ქალისა მდგომარეობს ამაში, რომ იმას შეეძ-ლოს ბრწყინვალედ გამოჩენა სახოგადოებაში... ტრატარი ფრან-ციცულსა ენაზედ". ჩარექიშვილს არ მიაჩნია ქალისათვის საკმარი-სად „ტურფად მიხრა-მოხრა, კეკლუცად ტანცაობა, ალერსიანად შეხვედრა... და... ცოდნა როგორმე ფორტეპიანის დაკვრისა".* ის ქალისათვის როგორც ვხედავთ, მოითხოვს ისეთ კანონიერ აღზრდა-განათლებას, რომელიც უნდა შეეფერებოდეს და აკმაყოფილებდეს მისი პერიოდის, ე. ი. XIX საუკუნის 60-იანი წლების ყოველ მოთ-ხოვნილებას.

რაში მდგომარეობს ეს „კანონიერი" აღზრდა კონკრეტულად? პ. ჩარექიშვილი, როგორც პროგრესულად მოაზრე და განათლე-ბული მოქალაქე, მეცნიერული სისწორით არკვევს მის შინაარს. ის წერს:

„კანონიერი აღზრდა ქალისა მდგომარეობს პ ა რ ა ლ ე ლ უ რ გ ა ხ ს ნ ა ს ა შინა სამთა მათ ელემენტთა ესე იგი ფ ი ზ ი კ უ რ თ ა ზ ნ ე ო ბ ი თ თ ა, გ ო ნ ე ბ ი თ თ ა ნ ი ჭ თ ა და ძ ალ თ ა მ ი ს თ ა**".

ფიზიკური აღზრდა ქალისა, ჩ ა რ ე ქ ი შ ვ ი ლ ი ს აზრით, აუცი-ლებელია, უპირველეს ყოვლისა, საოჯახო დიასახლისობისა, ჯანსაღ-ი შვილის შობისა და დედობრივი მოვალეობის შესრულებისა-თვის, ზნეობრივი აღზრდა-მორალური სიმტკიცისათვის, ხოლო გო-ნებრივი განათლების შესახებ წერს შემდეგს:

„გონებით გახსნა ქალისათვის საჭიროა მარტო იმისათვის კი არა, რომ გონიერად და საადვილოთ მართოს და განაგოს ი ა ვ ი ს ო ჯ ა ხ ე ბ რ ი ვ ი მოვალეობა, არამედ იმისთვისაც, რათა პირველს დაწ-ყებითს შვილის აღზრდაში გადასცეს იმათ ნამდვილი და უტყუა-რი ცნებანი სხვადასხვა ნივთებზედ; ამისათვის უსაჭიროესი არს, რომ თვითონ მან წინათვე იქონიოს კანონიერი. და სწორე შეხედვა ყოველ ქვეყნის საგანზედ, რომ ყოველს ნივთს უწოდოს თავისი საკუთარი სახელი და მაშასადამე ყოველს ნივთზედ იქონიოს სწო-რე და შეუცდომელი სჯა. ხოლო ამაების შეძენა არ შეიძლება, თუ კაცს არა აქვს გონება გახსნილი და ესრეთი გახსნა შეიძლება ხო-ლოთ სწავლისა და მეცნიერების გაცნობით და შესწავლით".***

---

* „ცისკარი", 303—304.

** იქვე, 304.

*** იქვე, 1863, № 2, 302.

შემდეგ პეტრე ჩარექიშვილი აღნიშნავს, რომ ამიერკავკასიის ქალთა სასწავლებლები: ინსტიტუტი და „ზავედენიები“ სრულებით ვერ ასრულებენ ქალთა რაციონალური აღზრდის საქმეს ვერც ფიზიკური, ვერც ზნეობრივი და ვერც გონებრივი აღზრდა-განათლების მსრივ. ეს გარემოება დიდ საზოგადოებრივ ბოროტებად ცნაჩნია მას განსაკუთრებით იმიტომ, რომ ფიზიკურად, ზნეობრივად და გონებრივად ჩამორჩენილი ქალი არ გამოდგება ოავისი შვილების ანუ ჩვენი მომავალი თაობის წესიერად აღზრდისათვის. ასეთი ქალები სწორედ იმ მარივ დაამახინჯებენ ჩვენ თაობას, რა მხრივაც ისინი ჩამორჩენილი არიან, ე. ი. ფიზიკურად, ზნეობრივად და გონიკრულად; ეს კი ჩვენი მომავლის სრულ დაღუპვას მოასწავებს.

ჩარექიშვილმა იცის ის პედაგოგიური ქეშმარიტება, რომ ბავშვი როგორც ნოზარდი არსი, ადვილად ექვემდებარება ოჯახურ წრეს, უფრო ნელად კი დედის ზეგავლენას. „სიტყვა-პასუხი, ყოფა-ქცევა და მოქმედება მშობელთა ‘მიბაუოთა უნებურად დაინერგება და აღიბეჭდება ჩვილ და ადვილად მიმღებელ ყმაწვილთა ხასიათზე“, წერს იგი, და მტკიცედ მოითხოვს, რომ ქალიშვილი, როგორც მომავალი დედა, უნდა იყოს უფქველად საფუძვლიანად აღზრდილი და განათლებული. პეტრე ჩარექიშვილი არ კმაყოფილდება ქალთა აღზრდა-განათლების ზოგადი მიზნებისა და ამოცანების დასახვით. მან იცის, რომ ამ მიზნების მიღწევა შეიძლება ხმოლოდ მეცნიერული ცოდნის შეძენით, ყველა ძირითადი მეცნიერული დისციპლინის შესწავლით „სრული ენციკლოპედიური განათლებით“, როგორც წერს იგი, და ჩამოთვლის იმ დისციპლინებს, რომლებიც, მისი აზრით, უნდა შედიოდნენ ქალთა აღზრდის წრეში: ესენი არიან:

1. „ისტორია, როგორც მაჩვენებელი მრთელისა განვლილისა ცხოვრებისა“. 2. „გეოგრაფია, განუშორებელი თანაშეკწე ისტორიისა...“ 3. „ბუნებითი სწავლანი (საგნები, ესე იგი ბიოლოგია, ბოტანიკა, ზინერალოგია, ფიზიკა, ხიმია, და ფიზიალოგია, როგორც ძაჩვენებელნი რაოდენ სცნა კაცმან ბუნებაი და ყოველნი ძალნი მისნი“. 4. „არითმეტიკა, ალგებრა და გეომეტრია, როგორც უადვილესად გამხსნელნი გონებითა ნიჭითა ჩვენთა“. 5. სახალხო გიგიენა და ფიზიკური აღზრდა. 6. ხელსაქმე, ე. ი. ქრა-კერვა და აგრეთვე ერთ-ერთ საგნად ავტორის აზრით იგულისხმება. 7. საქრისტიანო მოძღვრება.

ასე ფართოდ აქვს წარმოდგენილი პ. ჩარექიშვილს სასკოლო-საგანმანათლებლო საგნების ნომენკლატურა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამავე წერილში ავტორი ეხება მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლის აუცილებლობასაც, საკმაოებით ნათელი შეიქმნება რაოდენ პროგრესულად სამოქმედოა იგი ძირითად მეცნიერებათა რიგს, რომლის შესწავლაც უნდა უზრუნველყოს საშუალო სკოლამ საერთოდ და კერძოდ კი ქალთა საშუალო სასწავლებლებმა. ეხლოდ ამ „სრული ენციკლოპედიური განათლების“ გზით მიაჩნია მას შესაძლოდ ქალთა საზოგადოებრივ-კულტურული განთავისუფლება და მათი აქტიური ვათანასწორება მამაკაცებთან: „მხოლოდ ესრეთითა განათლებისა მას შეუძლიან განთავისუფლება იმ მონებიდამ, რომელშიაც არიან ეხლა ცხოველის ჩვეულებისაგან, და ბაშინ მოიპოვიან თავის სრულს ღირსებას, სიმართლესა, პატივს თანასწორ მამაკაცთა, რომელსაც ეხლა სრულებით მოკლებულნი არიან“*...

ასეთია პეტრე ჩარექიშვილის მეტად საგულისხმო და მეცნიერული სტატია ქალთა განათლების შესახებ, ასეთია ის უაღრესად მოწინავე იდეები, რომელიც მან საფუძვლად დაუდვა ქალთა აღზრდის საქმეს და რომლის მიხედვითაც გაარკვია ქალის დიდი საზოგადოებრივი და კულტურული როლი საერთოდ, კერძოდ კი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში და, მაშასადამე, პედაგოგიური მოღვაწეობის დარგში.

—

ქალთა ზოგადი განათლების ღია სასწავლებელთა ქსელი რუსეთის იმპერიაში გაიშალა XIX ს. 60-იანი წლებიდან. 1860 წლის სპეციალური დებულებით დაწესებულ იქნა ქალთა სასწავლებლების ორი ტიპი: პირველი თანრიგისა 6 წლიანი კურსით და მეორე თანრიგისა—3 წლიანი კურსით. 1862 წლიდან შემოდის დედოფალ მარიამის სახელობის ქალთა გიმნაზიები, სწავლების 7 წლიანი კურსით.

საქართველოში, XIX საუკუნის 60-იან წლებში, ქალთა ღია სასწავლებლების გახსნა კვლავ კერძო ინიციატივით დაიწყო. ჟურნალი „ცისკარი“ და გაზეთი „Кавказ“-ი 1861—63 წლებში სისტემატურად ათავსებდნენ წერილებს ქალთა განათლებისა და სკო-

* „ცისკარი“, 1863, II, 308

ლების შესახებ. მოითხოვდნენ ქალთა სახალხო, სამოქალაქო ტიპის სკოლებს და გიმნაზიებსაც კი*.

1860—1865 წლებში ქალთა ელემენტარული სკოლები ადგილობრივი მოსახლეობის დემოკრატიული ფენებისათვის გაიხსნა თბილისში „საქველმოქმედო საზოგადოების მიერ". პირველი ქალთა სკოლა მან გახსნა 1860 წელს ავლაბარში, ხოლო 1862 წელს კი დამატებით 4 სკოლა „ულარიბესი მშობლების ბავშვთა უფასოთ სწავლებისათვის": პირველი — ვერაზე, მეორე—მამადავითის, მესამე—სოფხის ბაზრის (ახლა ლესელიძის ქ.) და მეოთხე—კუკიის უბანში**. ამ სკოლებში ასწავლიდნენ წერა-კითხვას რუსულ და მშობლიურ ენებზე, არითმეტიკას, საღვთო სჯულს და „განსაკუთრებით ქალის საოჯახო საქმეებს" (ე. ი. ჭრა-კერვა, ხელსაქმე).

თბილისის საქველმოქმედო საზოგადოების სკოლებში ილეშდნენ გოგონებს 8—13 წლის ასაკში. 1862 წლის მაისში ამ ზემოაღნიშნულ 5 სკოლაში სწავლობდა 86 გოგონა. აქედან ქართველი 23, სომეხი 31, რუსი 26, გერმანელი 3 და პოლონელი 3. თბილისის საქველმოქმედო საზოგადოებამ შემდეგ წლებში (1866—70) გახსნა კიდევ 5 სკოლა. ოთხი ქალთა: ნავთლუღში, ხარფუხში, მუხრანსკის (ახლა—ბარათაშვილის) ხიდთან და ბარიატინსკის (ახლა—ჯორჯიაშვილის) ქუჩაზე, და ერთი ვაჟთა „კალიუჩი ბალკა"-ს (ახლა მოსკოვის ქუჩის) უბანში. 1870 წელს ამ ვაჟთა სკოლასთან გაიხსნა ქალთა განყოფილებაც. 1870 წლისათვის აღნიშნულ საზოგადოებას ჰქონდა სულ 9 სკოლა 380 მოწაფით.

1865 წელს ქალთა ელემენტარული სკოლა გაიხსნა აგრეთვე ქ. ქუთაისში ქუთაისის გუბერნატორის მეუღლის ს. ი. მირსკაიას მზრუნველობით. პირველი 5 წლის განმავლობაში ამ სკოლაში სწავლობდა 109 გოგონა. (გ. წერეთელი. თხზ. სრ. კრებ. I, 74—75).

1865 წელს თბილისში დაარსდა ქალთა I თანრიგის ლია სახელმწიფო სასწავლებელი, პედაგოგიური ციკლით (იხ. აქვე თავი „პედაგოგიური განათლება").

1867 წლის 1 სექტემბრიდან გორის სამაზრო სასწავლებელთან გაიხსნა ე. წ. „ნასადილევის კლასები" ქალთათვის. ასწავლიდნენ სამაზრო სასწავლებლის მასწავლებლები ამავე სასწავლებლის გვ-

---

* „Кавказ", 1862, №№ 55, 56 (Е. Михайлова—„О воспитании женщины").

** იქვე, 1862, №№ 6, 22.

ვით და პროგრამით. 1868 წელს ასეთივე „ნასადილევის კლასები“ ქალთათვის გაიხსნა დუშეთში დუშეთ-თიანეთის დაწყებით სასწავლებელთან. ამ „კლასებში“ მეცადინეობა სწარმოებდა ნასადილევს (სასწავლებლის ძირითადი კონტიგენტის (ვაჟების) მეცადინეობის დამთავრების შემდეგ), სწავლა იყო სამ წლიანი.

1866 წელს ქ. თელავში გაიხსნა წმ. ნინოს სახელობის ქალთა საზოგადოების სასწავლებელი (თბილისისა და ქუთაისის ასეთივე საერწავლებლების სტრუქტურით, გეგმით და პროგრამით). 1867 წლიდან თელავის წმ. ნინოს სასწავლებელი ერეკლე II სასახლეში იყო მოთავსებული.

ხელოსნური წარმოების გავრცელებასთან დაკავშირებით 1868 წელს ნიკოლოზის სახელობის თბილისის სასწავლებელთან გაიხსნა ქალთა სახელოსნო განყოფილება 50 მოწაფისათვის. ეს განყოფილება მხოლოდ საოჯახო ხელსაქმის სწავლებით ისაზღვრებოდა, მაგრამ შემდეგი წლიდან ის გადაკეთდა დამოუკიდებელ „ქალთა სახელოსნო სკოლად“. ამ სკოლის მიზანი იყო „ქალაქის ღარიბი მოსახლეობის ქალთა სქესის ბავშვებისათვის ელემენტარული ზოგადი განათლების მიცემა, უმთავრესად კი ხელოსნობის სწავლება, რომლითაც მათ შეეძლებათ თავის რჩენა“*.

ქალთა სახელოსნო სკოლის სასწავლო გეგმაში შედიოდა: საღვთო სჯული, რუსული ენა, მშობლიური ენა, არითმეტიკა, ისტორია (რუსეთის), გეოგრაფია (ფიზიკური და ზოგადი), ბუნებისმეტყველება, ხაზვა, სუფთა წერა; ხელოსნობიდან ასწავლიდნენ: ტანსაცმელის, თეთრეულის, ქოშებისა და ხელთათმანების კერვას; ჩანთების, ბუდეებისა და ხალათების კერვას, სამკინძაო საქმეს და სხვა წერილმან ხელობას. ქალთა სახელოსნო სკოლაში იღებდნენ გოგონებს 10 წლის ასაკს ზევით. სკოლა შეიცავდა 4 კლასს (ოთხწლიან კურსს).

60-იანი წლების დამლევიდან ქალთა სახელმწიფო სასწავლებლების დაარსებას შეუდგნენ აგრეთვე საქართველოს პროვინციის ქალაქებშიც. პირველი ასეთი სასწავლებელი 1870 წელს დაარსდა ქ. სოხუმში. შემდეგი წლიდან ის ქალთა პროგიმნაზიად გადაკეთდა. 1870 წელს ქალთა სასწავლებლები დაარსდნენ აგრეთვე ფოთში და ონში; შემდეგ წლებში კი ყველა დაბაში.

---

* „Кавказъ“, 1869, № 53.

XIX საუკუნის 60-იანი წლების ქალთა განათლების გავრცელების საქმეში სათანადო როლი ითამაშა აგრეთვე სამღვდელოებამ ე. წ. „სასულიერო წოდების ქალთა სასწავლებლების“ შემოღებით.

სასულიერო წოდების ქალთა სასწავლებლების დაარსებას რუსეთის იმპერიაში შეუდგნენ 1843 წლიდან. ბათი დაარსებით მხედველობაში ჰქონდათ არა იმდენად ქალთა განათლება საერთოდ, რამდენადაც სასულიერო სემინარიების კურსდამთავრებულთათვის, ე. ი. მომავალ მღვდელთათვის, სათანადოდ განათლებული და მეოჯახე ცოლების მომზადება. პირველი ასეთი სასწავლებელი რუსეთში დაარსდა 1843 წელს—ცარსკოე სელოში, შემდეგ ნიკოლაევში (1846 წ.) და სხვაგან. 1866 წლისათვის, აღნიშნულ სასწავლებელთა რიცხვი რუსეთის ყველა ეპარქიაში აღწევდა 30-მდის, მოსწავლეთა რიცხვი კი 2.000-ზდის.

1849 წელს 28 ოქტომბერს პეტერბურგის მიტროპოლიტი ისიდორე სწერდა შუამთის (კახეთი) წინამძღვარს არქიმანდრიტ ქრისტეფორეს: „ვღებულობ რა მხედველობაში, რომ საქართველოს ეპარქიაში არ არის არავითარი სასწავლებელი, სადაც ქალთა სქესის ობლებს, რომელთაც არა ჰყავთ ახლო ნათესავები, შეეძლოთ თავის შეფარება და წესიერი აღზრდის მიღება, ვსთვლი ძალიან საპირიოდ და სასარგებლოდ მოეწყოს ასეთი სასწავლებელი სანთავროს დედათა სავანესთან. მიენდოს ნოლონნებს ამ ობლებზე მზრუნველობა და მათთვის წერა-კითხვისა და ხელოვნური ხელსაქმის სწავლება“,* ბაგრამ ამ საქმის პრაქტიკულად ნოგვარებამ 17 წლით დაიგვიანა. მხოლოდ 1865 წელს, ქართველი საღვდელოების ინიციატივით, საქართველოს ეგზარხოსმა ევსევიმ აღძრა შუამდგომლობა უწმინდესი სინოდის წინაშე—მცხეთის სანთავროს დედათა მონასტერთან „სასულიერო წოდების ქალთა ქართული სასწავლებლის“ დაარსების შესახებ—გაფართოებული პროგრამით.

1866 წლის 4 იანვარს უწმინდესმა სინოდმა დაამტკიცა საქართველოს ეგზარხოსის—ევსევის—შუამდგომლობა და სასწავლებელი ფაქტიურად გაიხსნა იმავე წლის მარტში. მიღებულ იქნა 20 მოსწავლე, უმთავრესად ღარიბი და ობოლი სასულიერო წრის გოგონები 9—12 წ. ასაკისა. სასწავლებელთან არსებობდა პანსიონი. როგორც სასწავლებელი, ისე პანსიონი ინახებოდა სინოდის ხარჯზე.

---

* Еп. Кирион—„Краткий очерк истории Груз. церкви“, 149

აღნიშნული სასწავლებლის მიზანს შეადგენდა „მტკიცე მართლმადიდებელ ქრისტიან ქალთა აღზრდა, რომლებიც მართლმორწმუნეობით ენდა ეწესებურონ ეკლესიას და ოჯახს“.

მცხეთის საკთავროს დედათა მონასტერთან არსებული ქალთა სასწავლებელი იმყოფებოდა კავკასიაში მეფის მოადგილის მეუღლის, ოლგა თეოდორეს ასულის, მზრუნველობის ქვეშ, ხოლო მწართველობის ხელოვ ის ექვემდებარებოდა საქართველოს საეპარქიო საბმარველოს, სასწავლებლის სათავეში იდგა აღნიშნული მონასტრის იღუმენი, რომელსაც ჰყავდა მოადგილედ სასწავლებლის ზედამხედველი ქალი; სწავლის კურსი მცხეთის ქალთა სასწავლებელში განისაზღვრებოდა ექვსი წლით. სასწავლებელი შეიცავდა სამ კლასს: დაბალს, საშუალოს და მაღალს. ამგვარად, თვითეულ კლასში სწავლა ორ-ორი წლით განისაზღვრებოდა.

სასწავლო გეგმა, რომელიც დადგენილი იყო სასწავლებლის დებულების ნე-16 მუხლით,* შედგებოდა შემდეგი საგნებისაგან: საღვთო სჯული, ეკლესიის, განსაკუთრებით ქართული ეკლესიის ისტორია, ქართული ენა (საეკლესიო და საწოქალაქო), რუსული, ნაწილობრივ სლავიანური საეკლესიო ენა, ანგარიში, გეოგრაფია (განსაკუთრებით რუსეთისა და საქართველოსი), რუსეთისა და, უპირატესად, საქართველოს ისტორია, საეკლესიო გალობა რუსულ და ქართულ ენებზე, სუფთა წერა, ხელსაქმე სხვადასხვა სახისა და მეოჯახეობა.

მცხეთის ქალთა სასწავლებელში მასწავლებლობა და დაბრიგებლობა შეეძლოთ მცხეთის ტაძრისა და სამთავროს დედათა მონასტრის მღვდელ-მონაზონებს და სხვა, შესაფერისი განათლების მქონე პირებს, მაგრამ ყველაზე მეტი უპირატესობა ამ თანამდებობაზე დასანიშნავად ეძლეოდა თბილისის წმ. ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებლის კურსდამთავრებულთ.

ცალკე უნდა აღინიშნოს მკხეთის ქალთა სასწავლებელში შემოღებული სწავლების პრინციპები, რაც განსაზღვრული იყო ამავე სასწავლებლის წესდების 32-ე მუხლით: „საერთოდ, სასწავლო ნაწილის ხაზით, უფროსები და მასწავლებლები უნდა სცდილობდნენ, რომ მოსწავლეები სასწავლო საგნებს ითვისებდნენ არა იმდენად მეხსიერებითა და ზეპირი დასწავლით, რაოდენადაც გონებითა და

* „საქართველოს საეკლ. მახარობელი“, 1866, №..., 153

გულით, აზროვნების საშუალებით და საკუთარი შემეცნებისა და დარწმუნების გზით*".

—

როგორც ვხედავთ ქალთა სასწავლებელთა ქსელი ჯერ კიდევ ძალიან სუსტია XIX საუკუნის 60-იან წლებში. მაგრამ უფრო სუსტია ამ სასწავლებელთა აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო როლი. 60-იანი წლების ქართული და რუსული პერიოდული პრესა არა ერთხელ აღნიშნავდა იმ ფაქტს, რომ ამ პერიოდის ქალთა სასწავლებელნი ძალიან შორს იდგნენ თავის დანიშნულებისაგან. 1866 წელს გაზეთ „Кавказ"-ის ერთი თანამშრომელი, რუსული მაგარი ნიშნის (ъ) ფსევდონიმით, წერდა:

„რაღა უნდა ითქვას ქალთა სასწავლებლების ხასიათისა და მიზნების შესახებ? ისინი უმწეონი არიან როგორც მეცნიერული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. ბევრი მათგანი დიდი ხანია არსებობს, მაგრამ ცხოვრებაზე მათი გავლენა ან უმნიშვნელოა ან საზიანო"**.

განსაკუთრებით ილაშქრებდნენ ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტის წინააღმდეგ, რომელიც 1863 წლიდან 7 კლასს შეიცავდა. ამ ინსტიტუტში კურსდამთავრებულიო, წერდა იგივე ავტორი, „არ შეიძლება იყოს კარგი დიასახლისი, ან კარგი მეუღლე —ეს თითქმის საყოველთაო აზრია". შემდეგ გაზეთი ასკვნიდა: „მოგვეცით კარგი დედები და მეუღლენი თუნდაც ფრანგული ენისა და კოხტა მანერების გარეშე. მოგვეცით ჩვენ ქალები, რომელთაც შეეძლებათ თავიანთი მოწოდების მნიშვნელობის გაგება, დაფასება"***.

ასეთი იყო საქართველოს მოწინავე ადამიანთა აზრი ქალთა დახურული და ოფიციალური სასწავლებლების შესახებ, აზრი მართლაც საყოველთაო, სავსებით სწორი და მიუდგომელი.

6. სასკოლო ქსელი

XIX საუკუნის 60-იანი წლების პირველ ნახევარში სახელმწიფო სკოლების რიცხვს გარდა ერთი, პირველი თანრიგის ქალთა სასწავლებელისა, (1865 წელი), რომელსაც,

---

* „საქართველოს საეკლ. მახარობელი", 1866, № 157.
** „Кавказ". 1866, № 34.
*** იქვე, 1866, № 34.

როგორც ვწერდით, ვეხებით, უფრო დაწვრილებით, მომდევნო თავში („პედაგოგიური განათლება"), მიეშატა რამდენიმე დაწყებითი სკოლა მთელ საქართველოში. ცალკე საზოგადოებათა სკოლებიდან აღსანიშნავია: 30-მდე ელემენტარული სკოლა „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოებისა", რომელიც 1860 წელს დაარსდა, 5 დაწყებითი სკოლა თბილისის „საქველმოქმედო საზოგადოებისა" და ერთი სამხატვრო სკოლა „ხელოვნების გამავრცელებელი საზოგადოებისა" (1864).

არსებულ სახელმწიფო სასწავლებელთა ნომენკლატურაში შეიტანა მცირეოდენი ცვლილება: 1865 წელს, თბილისის სამაზრო კომერციული სასწავლებელი, სრულიად რუსეთის 1864 წლის „გიმნაზიებისა და პროგიმნაზიების წესდების" მიხედვით, როგორც ვწერდით, გადაკეთდა **რეალურ გიმნაზიად**,* ხოლო თბილისის საგუბერნიო გიმნაზია გადაკეთდა **ნახევარკლასიკურ გიმნაზიად**, ერთი ძველი (ლათინური) ენით.

სამხედრო ნაწილებთან (პოლკებთან, ბატალიონებთან) არსებული სკოლების შესახებ უნდა ითქვას, რომ მათი რიცხვი 60-იან წლებში იმდენად არ გაზრდილა, რამდენადაც განიცადეს . სათანადო ცვლილებები დანიშნულებისა და სტრუქტურის მხრივ. ახალი სკოლებიდან აღსანიშნავია: 1862 წელს, ზუგდიდში მდგარ სასაზღვრო, № 31, ათასეულთან (ბატალიონთან) გახსნილი „სამხედრო მოსწავლეთა სკოლა",** რომელიც შეიცავდა ორ მოსამზადებელ, პირველ და მეორე კლასებს. ასწავლიდნენ საღვთო სჯულს, რუსულ და ქართულ ენებს, არითმეტიკას, სუფთა წერას, ხატვას, გიმნასტიკას და სიმღერას (გალობას). პირველი წლის დამლევს ამ სკოლაში სწავლობდა 58 მოწაფე. მათგან ქართველი 55

---

* ადგილობრივი ოფიციალური პრესა და თანამდებობის პირები კი კომერციული სასწავლებლის გადაკეთებას **რეალურ გიმნაზიად** მიაწერდნენ მხოლოდ კავკასიის მეფისნაცვლის ნება-სურვილს:

„მისმა იმპერატორობითი უმაღლესობამ კავკასიის მეფისნაცვალმა, თბილისის საგუბერნიო გიმნაზიაში მოწაფეთა დიდძალი რიცხვის მოგროვების შედეგად გამოწვეული სიძნელეების დაძლევის მიზნით და აგრეთვე იმისათვის, რომ თბილისისა და, საერთოდ, ამიერკავკასიის ყმაწვილკაცობას გაუადვილდეს იმპერიის უმაღლეს სპეციალურ სასწავლებლებში შესვლა და გავრცელდეს ამ მხარეში ზუსტ მეცნიერებათა ცოდნა,—ინება სასარგებლოდ ეცნო თბილისის სამაზრო კომერციული სასწავლებლის ახლავე გადაკეთება **ოეალურ გიმნაზიად**" („Кавказ", 1863, № № 59, 73).

** „Кавказ", 1863, № 42.

(51 მეგრელი და 4 იმერელი), რუსი 3. წოდებრივად: თავადაზნაურთა შვილები—45, სასულიერო წოდების—7, გლეხების—6. სკოლის სათავეში იდგა ბატალიონის ოფიცერი. საშეუერნეო ნაწილში სკოლა ემორჩილებოდა ბატალიონს, სასწავლო ნაწილში კი ქუთაისის გუბერნიის სკოლების დირექტორს.

ასეთივე ტიპის სასწავლებელი „დაწყებითი სამხედრო სკოლის“ სახელწოდებით, გაიხსნა აგრეთვე ქუთაისის პოლკთან.

1862 წელს, თბილისში. სახაზინო ხარჯზე დაარსდა საბაზრო სასწავლებელთა ტიპის „სამხედრო სასწავლებელი“*. ეს სასწავლებელი ამზადებდა დაბალი რანგის ოფიცრებს (უნტერ-ოფიცრებს), სამხედრო მწერლებს, მომიჯნეებს, მიწისმზომელთა თანაშემწეებს, ტოპოგრაფებს. ანგვარად, ამ სასწავლებელს დაეკისრა საბიჯნო სასწავლებლის ფუნქციებიც და ამის გამო თბილისის საბიჯნო სასწავლებელში იმავე 1862 წელს შეწყდა ახალ მოწაფეთა მიღება, ხოლო 3 წლის შემდეგ დაიხურა. პირველად თბილისის სამხედრო სასწავლებლის სახაზინო ხარჯზე მყოფი კონტინგენტი განისაზღვრა 50 კაცით, თავის ხარჯზე მყოფთა რიცხვი კი დამოკიდებული იყო შენობის სივრცეზე, ხოლო ერთი წლის შემდეგ. ამ სასწავლებლის დებულების მე-2 მუხლით, სახაზინო ხარჯზე მყოფ მოწაფეთა რიცხვი გადიდდა 155 კაცამდე, თავის ხარჯზე მყოფთა რიცხვი—245-მდე, გარედან მოსიარულეთა რიცხვი კი 100-მდე. თავის ხარჯზე მყოფთათვის დაწესებული იქნა წლიური გადასახადი 75 მანეთის რაოდენობით. თბილისის სამხედრო სასწავლებელში იღებდნენ ყველა წოდების ახალგაზრდებს. მაგრამ რამდენადაც სწავლა ნოლოდ რუსულ ენაზე სწარმოებდა, იმდენად ქართველი ბავშვები, პირველ ხანად, ნაკლებად შედიოდნენ ამ სასწავლებელში.

კავკასიის არმიისათვის ოფიცერთა მომზადების საქმიროებან გამოიწვია აგრეთვე თბილისში საიუნკრო სკოლის დაარსება 1866 წელს. სკოლა ექვემდებარებოდა კავკასიის სამხედრო ოლქს.

XIX საუკუნის 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან სრულიად რუსეთის სახალხო სკოლების 1864 წლის დებულების გამოქვეყნების შემდეგ, სამხედრო ნაწილებთან არსებული სკოლები („სამხედრო მოსწავლეთა სკოლები“), რომლებიც ამ პერიოდში, არსებითად, ზოგადი განათლების ელემენტარულ სკოლებს წარმოადგენდნენ, თანდათან ეყოფოდნენ სამხედრო ნაწილებს და აღნიშ-

* „Кавказ“. 1862, № 91.

ნული დებულების მიხედვით გადადიოდნენ სახელმწიფო ორგანოების ან საზოგადოებათა გამგეობაში. 1875 წლისათვის ეს პროცესი სავსებით დამთავრდა.

კერძო სკოლებისა და პანსიონების რიცხვი უფრო მეტი სისწრაფით იზრდებოდა 60-იან წლებში. მიზეზი ნათელია: სახელმწიფო და ოფიციალური სკოლების სიმცირე განათლებაზე ხალხის მზარდ მოთხოვნილებებთან შედარებით.

1862 წელს თბილისში დაარსდა ვაჟთა ახალი პანსიონი. დამაარსებელი იყო დავით ყიფიანი, რომელსაც დამთავრებული ჰქონდა პეტერბურგის უნივერსიტეტი კანდიდატის ხარისხით. ყიფიანის პანსიონი მუშაობდა გიმნაზიის პროგრამით და „გაზ. „იკონომიკაზ“-ის 1862, № 98 გადმოცემით უზრუნველყოფილი იყო საუკეთესო მასწავლებლებით.

60-იანი წლების მაძინდელ თბილისში გაიხსნა აგრეთვე: ხატენოვსკის ქვრივის ქალთა პანსიონი (1860), ტერ-აკოფოვის ვაჟთა პანსიონი (1862). ხლამოვის ვაჟთა პანსიონი (1863); აგრძელებენ არსებობას ფავრის ქალთა პანსიონი, ბიუ-ს ვაჟთა პანსიონი, გაკესა და კანონიჩის ვაჟთა პანსიონი*, ჟინიუ-ს ქალთა და ვაჟთა პანსიონი და სხვ. 1867 წელს მეცნიერების კანდიდატმა მონასტირცევმა და აღნიშნულმა ტერ-აკოფოვმა ამ უკანასკნელის პანსიონის ბაზაზე გახსნეს კერძო გიმნაზია, თბილისის სახელმწიფო ნახევარკლასიკური გიმნაზიის პროგრამით.

60-იან წლებში თბილისში დაარსდა აგრეთვე ორი ფრანგული კერძო სკოლა-პანსიონი. ამ პერიოდში ფრანგული ენა, რუსული ენის პარალელურად, მაღალი ქართველი არისტოკრატიის საალაპარაკო ენად იქცა. ასევე ითქმის თბილისის ნახევარი რუსი არისტოკრატიის ოჯახების შესახებ, რომლებიც ცენტრალური რუსეთის თავად-აზნაურობისა და ბიუროკრატიის მსგავსად ფრანგულ ენაზე სცვლიდა თავის მშობლიურ ენას. ამის გამო თბილისში ფართოდ გავრცელდა ფრანგული ენის ცოდნა. 60-იანი წლების პრესაში ხშირად აცხადებდნენ ფრანგული ენის მასწავლებელთა საჭიროების და უფრო ხშირად კი ამ ენის სწავლების შესახებ. მაგრამ ინდივიდური წესით ფრანგული ენის სწავლება არ აკმაყოფილებდა საამისო მოთხოვნილებებს. ამ გარემოებამ გამოიწვია

* დაიბეჭდა 18 7 წელს.

ფრანგული სკოლის (მომავალი ლიცეუმის) დაარსება თბილისში 1864 წელს*.

ფრანგულ სკოლაში პირველ წელს ასწავლიდნენ: ფრანგულ ენას (უმთავრესად), რუსულ ენას, ხატვას და ელემენტარულ კურსს ისტორიიდან, გეოგრაფიიდან და არითმეტიკიდან (შემდეგ წლებში ამ საგნების სწავლება ფრანგულ ენაზე უნდა წარმოებულიყო და მართლაც ლიცეუმში ყველა საგანს ფრანგულად სწავლობდნენ. მეორე წელს (მეორე კლასში) ემატებოდა გერმანული ენა, მესამე წელს ინგლისური. სწავლების კურსი, ამგვარად, 3 წელს გრძელდებოდა და აზადებდა მოწაფეებს გიმნაზიის მე-4 კლასისათვის).

ფრანგული სკოლის დამაარსებელი თბილისში (1864 წელს) იყო მოქ. შარლე, რომელიც ამავე დროს ასწავლიდა ფრანგულ ენასა და ლიტერატურას.

შარლეს სკოლა პირველ წელსაევ შეიკვსო, მაგრამ ფრანგული ენის სწავლის მსურველები კიდევ ბლომად იყვნენ თბილისში. ამ გარემოებამ გამოიწვია 1867 წელს მეორე ფრანგული ენის სკოლის (კლასების) დაარსება ბოქ. ფულკის მიერ.

ფულკის ფრანგული სკოლა უმთავრეს ყურადღებას აქცევდა ენის შესწავლას და ნაკლებად იყო დაინტერესებული ზოგადი განათლების საგნებით. მას უფრო პრაქტიკული ხასიათი ჰქონდა. მოსწავლეები პატარა ჯგუფებად იყვნენ დაყოფილი და ფრანგული ენის შესწავლაში უფრო მეტ წარმატებას აღწევდნენ, ვიდრე სხვა სკოლებში.

ცალკე პანსიონები და კერძო სკოლები 60-იან წლებში დაარსდა აგრეთვე ქუთაისში, გორში, სოხუმში და სხვაგან. ცალკე პანსიონებს გარდა განათლების უწყების რუსი მოხელეები ჩვენში განსაკუთრებული გულმოდგინეობით ხსნიდნენ დასურულ პანსიონებს სხვადასხვა სასწავლებლებთან, მაგრამ არა იმდენად იმისათვის, რომ ხელი შეეწყოთ განათლების გავრცელების საქმისათვის. პანსიონები იხსნებოდა შეძლებული ფენების ახალგაზრდობისათვის, რაც ძალიან დიდ უმცირესობას წარმოადგენდა, მაგრამ მთავარი ისაა, რომ პანსიონები იხსნებოდა ადგილობრივი ახალგაზრდობის გარუსების მიზნით. მაგალითად, 1867 წლის ანგარიშში კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის მოადგილე ილიაშენკო ბწუხარებით აღნიშნავდა, რომ „თბილისშიაც კი, რომელმაც ამიერ-

* „Кавказ", 1864, 77, 78.

კავკასიის ქალაქებიდან ყველაზე უფრო მეტად შეითვისა რუსული ცივილიზაცია, ბავშვებმა... ძალიან ცუდათ იციან რუსული ენა, ხოლო ადგილობრივი ენები კი თავისუფლად—აქედან გამომდინარეობს აუცილებლობა პანსიონების დაარსებისა საერთოდ"*. პანსიონებში ქართული ენა (ისე როგორც სხვა ადგილობრივი ენები) არ იყო დაშვებული. ბავშვები მოწყვეტილი იყვნენ თავის ოჯახებს, ეროვნულ წრეს, რომ დედა-ენა დავიწყებოდათ. განსაკუთრებით მოწადინებას იჩენდნენ ქალთა პანსიონების გახსნის საქმეში. შორსმჭვრეტელმა კოლონიზატორებმა იცოდნენ, რომ თუ მომავალ ქართველ (და საერთოდ ყველა არარუს) დედას მშობლიური ენა არ ეცოდინებოდა, მისი შვილებიც ვეღარ ისწავლიდნენ მას ოჯახში და სკოლაც უკვე „გარუსებულ" ბავშვებს მიიღებდა. მართალია, პანსიონებში რუსულ ენას საგსებით ვერ ეუფლებოდნენ, მაგრამ მშობლიურ ენას მართლაც ივიწყებდნენ და სწორედ ეს იყო მთავარი და არსებითი მეფის ტახტის ერთგული ბიუროკრატიისათვის.

აღმზრდელობითი მუშაობას დახურულ პანსიონებში არ აწარმოებდნენ. ერთი ინსპექტორი ან ზედამხედველი ვერ სწვდებოდა ასობით პანსიონერს. 60-იანი წლების თბილისის გაზეთებში ხშირად ვხვდებით ასეთ საყვედურებს: „გიმნაზიის ინსპექტორს საქმე აქვს თითქმის 200 ბიჭთან. მას არ შეუძლია საფუძვლიანად გაეცნოს ყველა თავისი მოსწავლის სულიერ თვისებებს, რის გამოც იძულებულია განისაზღვროს მათი ჯ ო გ უ რ ი წ რ თ ვ ნ ი თ".**

მიუხედავად ამისა, არსებული სკოლები არამც თუ ქალაქად, პროვინციაშიც კი ვერ იტევდნენ სწავლის მსურველებს. 1863 წელს კონსტ. მ ა მ ა ც ა შ ვ ი ლ ი წერდა: „ამ ჟამად საქართველოს პროვინციის ყველა სკოლა, რომელიც კი დაარსებულია მთავრობის მიერ, გავსებულია მოწაფეებით"***. მაგრამ ძალიან მცირე იყო მთავრობის სკოლების რიცხვი.

ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ფაქტორს 60-იანი წლების სახალხო განათლებაში წარმოადგენდა თვით ხალხის ინიციატივა. თუ ამ დრომდე ხშირი იყო შემთხვევა, როცა გლეხები თავის შვილებს მოსამსახურედ აძლევდნენ თავადებს, მღვდლებს, ვაჭრებსა

---

* Ц и р к у л я р, 1863 г., № 6. 41.

** „К а в к а з", 1863, № 53.

*** ი ბ ე ვ, 1863, № 32.

და ხელოსნებს მხოლოდ იმისათვის, რომ წერა-კითხვა ესწავლებინათ, ახლა იმდენად გაიზარდა განათლების საჭიროება, რომ ხალხი თავისი სახსრებით და ყოველგვარი ნებართვის გარეშე ხსნიდა სკოლებს და იწვევდა ძასწავლებლებს. ამ პერიოდის პრესაში ხშირად იბეჭდებოდა ცნობები სოფლად, ადგილობრივი ინიციატივით, სკოლის გახსნის შესახებ*. პირველი ხუთი წლის მანძილზე (1860—65) ერთიმეორეზე გაიხსნა სკოლები ისეთ სოფლებში როგორიც იყვნენ: ველისციხე, ენისელი, შაშიანი, ხაშმი, მარტყოფი, პატარძეული, ხოვლე, კავთისხევი და სხვ. დაბებში: სურამში, ცხინვალში, ზესტაფონში და მრავალ სხვა ადგილას.

თავისივე ინიციატივით აგროვებდა ხალხი ფულს სკოლების გასაკსნელად. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა იმერეთი და რაჭა. ასე, მაგალითად, რაჭის მაზრის გლეხობამ 1865 წელს შეაგროვა 3.308 ნანეთი დაწყებითი სკოლის დასაარსებლად (მოგზაური რადე, რომელმაც საქართველო შემოიარა 1864 წელს, თავის „წინასწარ ანგარიშებში" საგანგებოდ აღნიშნავდა რაჭველებისა და სვანების ზრდილობასა და განათლების ნიჭს).**

სკოლების დასაარსებლად ფულს აგროვებდა აგრეთვე ხონის უბნისა და შორაპნის მაზრის გლეხობა და ქ. სიღნაღის მოსახლეობა. ასევე დიდ ინტერესს იჩენდა განათლებისადმი სამეგრელოც. 1865 წელს, კ. ბოროზდინის ცნობით, სამეგრელოს ხალხი ისე იყო მოწყურებული სწავლას, რომ „ამ საზოგადო რეფორმის დროს სოფლებში მოსახლეობამ თავისთავად გასსნა სკოლები".***

შედარებით, ნაკლებ აქტიობას იჩენდა ქალაქ თბილისის დემოკრატიული მოსახლეობა. აქ 60-იანი წლების პირველ ნახევარში არა ჩანს ისეთი მოძრაობა განათლებისათვის, როგორც ეს დიდ ქალაქს და საქართველო-კავკასიის ცენტრს შეეფერებოდა. თბი-

---

* მაგალითად, ჟურნ. „ცისკარი", 1862 წელს სარედაქციო წერილში აღნიშნავდა: „თავადმა გიორგი ქაიხოსროსძე ჯავახიშვილმა და მისმა მეუღლემ კ. მარიამ იოსებ მამაცაშვილის ასულმა გააკეთეს თავის მამულზედ. თავისივე ხარჯით სახლი შეგირდების მოსათავსებლად და აგრეთვე შეაბზადეს ყოველი, რაც სასწავლებელს ს ხლისათვის საჭირო იყო, მასწავლებლად იქნებიან თითონ ცოლქმარნი და სოფლის მღვდელი (№ 10, 187).

** „Кавказ", 1863, № 3.

*** კ. ბოროზდინი, რ. ერისთავი, მურიე—ბატონყმობა სამეგრელოში, 65.

ლისის დემოკრატიული ფენების ნრავალეროვანი შემადგენლობა, და მაშასადამე სსვადასხვა ენაზე მომეშავე სკოლის საჭიროება, სიღარიბე, წვრილი ხელოსნობისა და ვაჭრობისაკენ ლტოლვა, ურთიერთ გათიშულობა და, საერთოდ, სოციალური ინტერესების სსვადასხვაობა ართმევდა ამ ძიძრაობას ერთიან, კომპაქტურ ხასიათს და ანელებდა ბრძოლას სწავლა-განათლებისათვის. მთავრობასა და ქალაქის მმართველობას არ აწუხებდა დემოკრატიული მოსახლეობის უვიცობა და ჩამორჩენილობა. კავკასიის სასწავლებელთა მთავარი ინსპექტორი საკმაო ცინიზმით აღნიშნავდა თავის ანგარიშში 1865 წელს, რომ „თბილისში ხალხისათვის დღემდე არაფერი გაკეთებულა და ღარიბ ბავშვებს არ შეუძლიანთ საფუძვლიანად ისწავლონ სადმე წერა-კითხვა არა მარტო რუსულ, არამედ თავის მშობლიურ ენაზე".

60 იანი წლების პირველი ნახევრის თბილისის კერძო სკოლების შესახებ დარჩენილი ცნობებიდან ვიცით, რომ 1862 წელს „ირაკლი გრუზინსკიმ დააფუძნა ორი სახალხო სასწავლებელი ტფილისში. ერთი აღლაბარში და ერთი მთაწმინდაში, თავის საკუთარი ხარჯითა. ამ სასწავლებლებში ასწავლიან რუსულსა და ქართულსავე ენაზედ. ასწავლიან არითმეტიკასა და სხ"*. ფილიპე გოგიჩაიშვილის გადმოცემით ამ ერეკლე ბაგრატიონის (გრუზინსკის) ერთ-ერთ აღნიშნულ სკოლაში 1862—64 წლებში ქართულ ენას ასწავლიდა ცნობილი ლიტერატორი და პედაგოგი პეტრე უმიკაშვილი (1838—1904)**.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ სკოლებისა და მასწავლეთა რიცხვის გადიდებისათვის ბრძოლის პარალელურად 60-იანი წლების ქართული პრესა და პუბლიცისტიკა არ ივიწყებდა აგრეთვე ბრძოლას სწავლების ხარისხისათვის. ჯერ კიდევ 1861 წელს ივ. კერესელიძე წერდა რომ „განათლების წარმატება მოსწავლეთა რიცხვში კი არ ჩდგომარეობს,—განათლების წარმატება მდგომარეობს სწავლის თვისებაში და ღირსებაში"***. ასევე წერდნენ შემდეგ წლებშიც, ნაგრამ პრაქტიკული ღონისძიებანი სწავლების ხარისხის ასამაღლებლად ჯერ კიდევ არ სჩანდა.

---

* „ცისკარი", 1862, X, 197.

** პ. უმიკაშვილი—ხალხური სიტყვიერება, ფ. გოგიჩაიშვილის რედაქციით და წინასიტყვაობით, I, გვ. XII, 1937.

*** „ცისკარი", 1861, VI, 344.

საქართველოს სასწავლებელთა და მოსწავლეთა რაოდენობა 1865 წლის დამლევისათვის.*

№	სასწავლებელთა დასახელება	თბილისის გუბ.**		ქუთაისის გუბ.		საქართველოში	
		სასწავლებელთა რიცხვი	მოსწავლეთა რიცხვი	სასწავლებელთა რიცხვი	მოსწავლეთა რიცხვი	სასწავლებელთა რიცხვი	მოსწავლეთა რიცხვი
1	გიმნაზია (ვაჟთა) . .	2	875	1	587	3	1462
2	სამაზრო და სოფლის სასწავლებელი	6	675	3	520	9	1214
3	სასულიერო სემინარია (მართლმადიდებ. საერ. წ.)	1	170	—	—	1	170
4	სასულიერო სამ. ზ. სასწავლ.	5	194	2	79	7	273
5	სასულიერო სამრევ. სასწ.	3	329	3	384	6	713
6	წმ. ნინოს ქალთა სასწავლ.	1	132	1	78	2	210
7	კეთილშობ. ქალთა ინსტ.	1	115	—	—	1	115
8	სამხედრო სასწავლებელი .	1	332	1	300	2	632
9	საფერშლო სასწავლებელი	1	120	—	—	1	120
10	დაწყებითი სასწ. (მთავრობის)	6	580	7	838	13	1418
11	დაწყებითი სასწ. (სასოფლო საზოგადოებათა) . .	10	260	32	862	42	1122
12	სამრევლო სკოლა (ეკლესიებთან და ცალკე) .	25	524	45	987	70	1511
13	ქრისტიანობის აღმადგ. საზოგ. სკოლა	13	274	19	353	32	627
14	მთიელთა სკოლა .	2	82	1	58	3	140
15	პოლკის სკოლა . . .	5	356	3	85	8	441
16	საბაღოსნო სასწავლებელი	2	52	1	32	3	84
17	კერძო სკოლა და პანსიონი	36	1146	6	202	44	1348
18	თბილ. საქველმოქმედო საზოგადოების სკოლა .	5	160	—	—	5	160
19	თბ. ქალთა პირველი თანრიგის სასწავლებელი .	1	108	—	—	1	108
	სულ	126	6503	125	5365	251	11 868

* საქ. ცენტ. არქივი, ფ. 110, ს. 158; А. Пасербский—„О состоянии учебной части на Кавказе и за Кавказом в 1865 г.," К К на 1867 г.' 377—386; „Отчет главного инспектора учебных завед.—за 1866 г.", Циркуляр по управл. главн инсп. 1867, V—VI, 15.

** განჯის მაზრის გამოკლებით.

ციფრები გვიჩვენებენ, რომ ხუთი წლის მანძილზე (1860—1865) მოწაფეთა რიცხვი გაიზარდა 51%-ით. ეს ზრდა გამოიწვია უმთავრესად საგლეხო რეფორმის პერიოდში გაშლილმა სახალხო ინიციატივამ განათლების დარგში. მაგალითად, 1865 წლისათვის საქართველოს მოსწავლეთა მთელი რიცხვიდან (11.868) სოფლის მოსახლეობისათვის განკუთვნილ სკოლებში სწავლობდა ნახევარზე მეტი. სასოფლო სკოლებისა და სოფლელ მოსწავლეთა ზრდის უფრო ჩქარი ტემპი ახასიათებს ქუთაისის გუბერნიას.

სახელმწიფო (მთავრობის) სკოლებისა და მათი მოწაფეების რიცხვის ზრდა უმნიშვნელოა. რაც შეეხება ეკლესია-მონასტრებთან არსებულ სკოლებს—მათი რიცხვი ძალზე შემცირდა (განსაკუთრებით თბილისის გუბერნიაში) სამრევლო და სოფლის საზოგადოებათა და კერძო სკოლების რიცხვის გადიდების გამო. ამავე გარემოებამ გამოიწვია პოლკებთან არსებული სკოლების რიცხვის შემცირებაც.

—

60-იანი წლების მეორე ნახევარში, საგლეხო რეფორმის პროცესში, სახალხო დაწყებითი სკოლების რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა. მართალია, სახელმწიფო და სასულიერო უწყებათა სკოლების რიცხვს ბევრი არაფერი მიმატებია (გაიხსნა სამაზრო და მისი ტიპის სასწავლებლები ფოთში, ოზურგეთში და ზუგდიდში 1867 წელს და ორკლასიანი დაწყებითი სკოლები ონში, ხონში და ახალქალაქში 1870 წელს), მაგრამ, სამაგიეროდ, კერძო საზოგადოებანი და პირები იჩენდნენ სათანადო აქტივობას განათლების გავრცელების საქმეში. ამ მხრივ აღსანიშნავია „კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოება“, რომელსაც 1871 წლისათვის ჰქონდა 42 სკოლა, 1356 მოწაფით, და „თბილისის საქველმოქმედო საზოგადოება“ თავისი 9 სკოლით, 397 მოწაფით. სხვა კერძო საზოგადოებათა სკოლებიდან შეიძლება მოვიხსენიოთ: „მუსიკალური საზოგადოების“ მუსიკალური სკოლა, აღდგენილი 1870 წელს სამი განყოფილებით: ფორტეპიანოს, ვოკალის, მუსიკის თეორიის, და „სამხატვრო საზოგადოების“ სამხატვრო სკოლა ერთი (ფერწერის) კლასით.

სასკოლო ქსელის გაშლის მთავარ ძალას კვლავ ხალხი წარმოადგენდა. ქართველი გლეხობა გრძნობდა, რომ მეფე და სამღვდელოება არ მისცემდნენ მას შესაფერის განათლებას და თვით კისრულობდა თავის შვილთა სწავლა-აღზრდის თაოსნობას. ამ

ზბრივ კვლავ გამოირჩეოდა იმერეთი და რაჭა დასავლეთ საქართველოში და გორისა და სიღნაღის მაზრები—აღმოსავლეთში. კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი თავის ანგარიშში 1869 წლისათვის აღნიშნავდა: „რუსების შემდეგ ყველაზე უფრო მეტ ლტოლვას სწავლისადმი იჩენენ იმერლები... 73 სასოფლო სკოლაში (ქუთ. გუბ.) 2046 მოწაფეა*". ამასვე იმეორებდა იგი შემდეგი (1870) წლის ანგარიშშიც („ამიერკავკასიის მოსახლეობიდან ყველაზე მეტი თანაგრძნობით სკოლას ეკიდება ქუთაისის გუბერნიის იმერელი მოსახლეობა"*), რასაც დასძენდა, რომ დაბა ხონის მცხოვრებლებმა სპეციალური „პრიგოვორებით" იკისრეს ყოველწლიურად იხადონ 1256 მანეთი ორკლასიანი სკოლის შესანახად, ხოლო ქუთაისის გუბერნიის სასოფლო საზოგადოებანი კი იღებენ თავის თავზე ქუთაისის გუბერნიაში სამასწავლებლო სემინარიის მოსაწყობ და შესანახ ხარჯებსო**. საშუალო სკოლასაც დიდძალი ხალხი აწყდებოდა დასავლეთ საქართველოში. 1866 წლის ანგარიშში კავკასიის სასწავლებელთა მთავარი ინსპექტორი ი. ნეველროვი წერდა: „ქუთაისის გიმნაზია და საერთოდ ქუთაისის გუბერნიის ყველა სასწავლებლები გაქედილია მოწაფეებით. პირველში (ე. ი. გიმნაზიაში) მე იძულებული ვიყავი შემეჩერებინა მოწაფეთა მიღებაო".***

კავკასიის ოლქის მთავარი ინსპექტორი 1866 წლის ანგარიშში აღნიშნავდა, რომ სიღნაღის მოსახლეობა 1866 წელს მოითხოვდა პროგიმნაზიის გახსნას, ამისათვის უსასყიდლოდ უთმობდა მას

---

* Циркуляр, 1870, IV, 34.

** Циркуляр. 1871. V—VI, 58; „ხონის საზოგადოების პრიგოვორი" 1869 წ. 4 სექტემბრის თარიღით, იხახება ც. არქ. ფ. 107, ს. 13, ფ. 6; ასევე საქმეში (გვ. 34) აღნიშნულია, რომ ხონის მაზრის აზნაურებმა უარი სთქვეს სკოლის შენობის აგებისა ვის მათზე შეწერილი ფულის გადახდაზე. გლეხებმა თავიანთ შორის გაინაწილეს მათ მიერ შემოსატანი თანხაც, მაგრამ დაადგინეს: აზნ ურთა შვილებს მხოლოდ იმ შემთხვევაში მისცემოდათ ხონის სასწავლებელში სწავლის უფლება, თუ წელიწადში 25 მანეთს გადაიხდიდენ სწავლის ჯერად (გლეხთა შვილებისათვის დაწესებული იყო 3 მან.).

*** „Кавказ", 1867, № 74. მაგრამ ეს გარემოება, რაც პირველ ყოვლისა ხალხის სათანადო კულტურულობის მაჩვენებელია, ხელს არ უშლიდა იმავე ნეველროვს ერთი წლის შემდეგ, 1867 წ. ანგარიშში ურცხვად განეცხადებია: „რუსი სალდათი სრული სამართლიანობით შეიძლება ითვლებოდეს კავკასიის მხარის ბეშმარიტ ცივილიზატორადო" (Циркуляр, 1868, VI, 40).

კარგ შენობას და ყოველწლიურად კისრულობდა 1000 მანეთის გადახდასო.

ამგვარად, ხალხის დაუცხრომელ ლტოლვას განათლებისაკენ მეფის მთავრობა იმით უპასუხებდა, რომ სახელმწიფო სკოლის კონტინგენტს, ნაცვლად გადიდებისა, ზღუდავდა ძალიან მცირე რიცხვით. არც სასულიერო უწყება იჩენდა ინტერესს სახალხო განათლებისადმი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მის ცალკე წარმომადგენლებს. მაგალითად, ეპისკოპოს გ ა ბ რ ი ე ლ ს XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის იმერეთის სახალხო განათლების საქმეში. ისტორიკოსი მოსე ჯანაშვილი გადმოგვცემს: „წარსული საუკუნის 60-იან წლებიდან იმერეთს კეთილ-ანგელოზად მოევლინა მსოფლიოში უდიდეს მქადაგებლად მიჩნეული გაბრიელი, ეს ნამდვილი, ცოცხალი აკადემია დასავლეთ საქართველოსთვის. მან დახსნა მრავალი სკოლები და სკოლებთან ბიბლიოთეკები, მან ბრძანება გასცა ჯვარი არ დაეწერათ, თუ ნეფე-პატარძალმა ხელისმოწერა მაინც არ იცოდნენ. მან ამოირჩია თანამშრომლებად მრავალი ნიჭიერი და ნასწავლი კაცები და მათი შემწეობით მწიგნარობა და განათლება მოჰფინა ქვეყნის ისეც ნიჭიერ ხალხს“*.

გაბრიელ ქ ი ქ ო ძ ე განათლებული, ხალხის მოყვარული ადამიანი იყო და მღვდელმთავრის ანაფორა ხელს არ უშლიდა მას თავის საგანმანათლებლო მოღვაწეობაში, ხოლო სამღვდელოება, საერთოდ, ძალზე ჩამორჩენოდა ცხოვრებას 60-იანი წლებიდან. მათი ხელმძღვანელობით არსებული სკოლებიც მეტად პრიმიტიულად გამოიყურებოდნენ ამ პერიოდში. ოლქის მზრუნველი 1868 წლის ანგარიშში სამართლიანად აღნიშნავდა: „სოფლის სკოლები, რომლებიც მხოლოდ სოფლის სასულიერო წოდების ხელში იმყოფებიან, მცირე გამონაკლისს გარდა, ვერ აღწევენ თავის მიზანს. მღვდლებს არა აქვთ არც დრო, არც საშუალება ამ საქმის წარმატებით წარმოებისათვის“**.

რამდენადაც ქართველ სამღვდელოებას XIX ს. 60-იან წლებში თავისი ეკლესია-მონასტრებთან არსებული სკოლების მოვლა-პატრონობაც კი უძნელდებოდა, იმდენად ზედმეტია ლაპარაკი მის

---

* მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული წიგნი და ქართული ბიბლიოთეკა „კ. მარქსის სახელობის სსსრ საჯ.რო ბიბლიოთეკის შრომები“, V, 271, 1940.

** Ц и р к у л я р, 1883, VI—VII, 12.

მიერ ახალი სკოლების გახსნაზე სასულიერო უწყების დახმარების გარეშე*. ამასთან აღსანიშნავია, რომ 60-იანი წლების მოწინავე იდეების გავრცელებისა და იმის გამო, რომ ქართულ ენაზე მღვდელმსახურების წარმოება საკმაო სიმწვავით იდევნებოდა რუსეთის მეფისა და სინოდის მიერ, ქართველ სამღვდელოებაში თავი იჩინა სეკულარიზაციის (სამოქალაქო სამსახურში გადასვლის) ტენდენციამ. ჯერ კიდევ 1861 წლიდან თბილისის სასულიერო სემინარიის მოწაფეებს ხელწერილი ართმევდნენ, რომ კურსის დამთავრების შემდეგ უეჭველად სასულიერო უწყებაში ემსახურათ**.

მიუხედავად სასტიკი, იეზუიტური, რეჟიმისა, რომელიც ბატონობდა სასულიერო სემინარიაში, ქართველი ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილი, მაინც ამ სასწავლებელს ეტანებოდა. ეს ხდებოდა იმ დროს, როცა აღნიშნულ ახალგაზრდობას საეკლესიო სამსახური უფრო ნაკლებად იზიდავდა, ვიდრე სამოქალაქო. ქართული ენისა და საქართველოს სამოქალაქო და საეკლესიო ისტორიის სწავლება, ქართველ მასწავლებელთა საუკეთესო წარმომადგენლები, უფრო მეტი სიახლოვე ქართველ ხალხთან და ადგილობრივ ცხოვრებასთან, არსებობის ხანგრძლივი ტრადიცია და ის მიზეზები, რომლებზეც ჩვენ ზემოთ (გვ. 89) ვილაპარაკეთ—აიძულებდა ახალგაზრდობის ერთ ნაწილს თბილისის სემინარიაში შესულიყო საშუალო განათლების მისაღებად. რაც შეეხება ეკლესიისა და სარწმუნოების სამსახურს—ეს, როგორც აღვნიშნეთ, ყველაზე ნაკლებად იზიდავდა ქართველ მოსწავლეებს და სწორედ ამის გამო სემინარიის V—VI კლასებში, სადაც საღვთისმეტყველო საგნების სწავლება ჰარბობდა, ნაკლებად რჩებოდნენ ისინი, ხოლო კურსის დამთავრების შემდეგ აშკარად გაურბოდნენ საეკლესიო სამსახურს. ეს გარემოება ძალიან აფიქრებდა საქართველოს ეგზარქოსს, რომელმაც 1871 წლის დასაწყისში სთხოვა კავკასიის მეფისნაცვალს გაეწია მისთვის დახმარება სასულიერო სემინარიების 1867 წლის წესდების 181 მუხლის*** უზრუნველსაყოფად. მეფის-

---

* აღნიშნულ წლებში მხოლოდ აფხაზეთში, ახალათონში, გაიხსნა ერთი სკოლა („Абхазия и в ней Ново-Афонский Симоно-Канатитский монастырь", 1b5); ჭოისტიანობის აღმადგენელი სახოგადოების ერთი სკოლა იყო აგრეთვე ილორში (იქვე. 131).

** ს ც. არქ., თბილ. სემინ საქმე, 58—85; № 76, 3—4, 27—28.

*** ამ მუხლის ძალით სემინარიის იმ მოსწავლეებს, რომლებიც კურსის დასრულების შემდეგ სამოქალაქო სამსახურში შედიოდნენ, უნდა გადაეხადათ სემინარიაში სწავლის დროს მათზე დახარჯული თანხა. ამის შესატყვისი მუხლები შეტანილი იყო აგრეთვე სასულიერო აკადემიების წესდებაშიც.

ნაცვალმა მიმართა შინავან საქმეთა სამინისტროს, რომელშიც 1871 წელს 21 მაისს მართლაც გამოსცა ცირკულიარი „სემინარიაში საბაზინო ხარჯზე მოსწავლეთათვის ფულის გადახდევინების შესახებ, მათ მიერ სასულიერო უწყებებიდან სამოქალაქოში გადასვლის შემთხვევაში“. ეს ცირკულიარი იმავე წელს გამოიგზავნა ჩვენში „კუთვნილებისამებრ სახელმძღვანელოდ“*.

—

კერძო სასწავლებელთა რიცხვის ზრდამ 60-იანი წლების დასასრულისათვის გამოიწვია უფრო მეტი გეგმიანობის აუცილებლობა ამ ქსელის ორგანიზაციის საქმეში. კერძო სკოლის გახსნის უფლება, როგორც ვწერდით, 1864 წლიდან ყველასა ჰქონდა: კერძო პირებს, ჯგუფებს, ორგანიზაციებს, საზოგადოებებს. ამასთან დაკავშირებით მიზანიც (კერძო სკოლების დაარსებისა) სხვადასხვა გვარად ესმოდათ. იყო, მაგალითად, ბევრი შემთხვევა როცა კერძო სკოლა იხსნებოდა მართლა სახალხო განათლების მოთხოვნილებათა მომსახურეობისათვის, განსაკუთრებით იმ უბნებში, სადაც სწავლის მსურველთა რიცხვი დიდი იყო, ხოლო სახელმწიფო და სასულიერო სკოლების რიცხვი კი მცირე. იყო აგრეთვე შემთხვევები, როცა კერძო სკოლას ხსნიდნენ მოწინავე პირები, რომელიმე ახალი პედაგოგიურ-მეთოდური იდეების მიმდევარნი, და მიზნად ისახავდნენ, მოსახლეობის განათლებასთან ერთად, ეწარმოებინათ ცდები და სათანადო დაკვირვებანი ახალი პედაგოგიური იდეის პრაქტიკული განხორციელების ან სწავლების ახალი მეთოდის პრაქტიკულად შემოწმების დარგში**. მაგრამ არ შეიძლება ამასთანავე არ აღინიშნოს, რომ ზოგიერთი კერძო პირი ან კერძო ჯგუფი სკოლას ხსნიდა კოჭერციული ეფექტიანობის მიზნით: რაც შეიძლება ბავშვთა მეტი რიცხვის მოზიდვა და სწავლის ქირის ბლომად აკრეფა, ისე-კი მათ სრულებით არ აინტერესებდათ ხალხის განათლების საქმე და აქედან გამომდინარე, სრულებით არ ფიქრობდნენ თავისი სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ვარგისობასა და სიკეთეზე.

საკვირველი არ არის, რომ კერძო სკოლების ტიპებსა და საფეხურებს მეტისმეტად ანარქიული სახე ჰქონდათ. სკოლების შემ-

---

* Циркуляр. 1871. VII—VIII, 7.

** მაგალითად, 1870 წელს დაბა ყვირილაში (ზესტაფონში) დავ. ღამბაშიძემ გახსნა ვაჟთა დაწყებითი სკოლა, რომელშიც თვითონ ასწავლიდა წერა-კითხვას ახალი, ბგერითი მეთოდით.

ნახველთა შეხედულებაზე იყო დამოკიდებული სკოლის ტიპისა თუ საფეხურის განსაზღვრა. არ ჰქონდათ მხედველობაში კერძო სკოლების ერთიანობა სასწავლო გეგმებისა და პროგრამების მხრივ და მათი თანამიმდევრობის პრინციპი, ხოლო მათ შესაბამისობას სახელმწიფო სასწავლებელთა შესატყვისი ტიპებისა და საფეხურებისადმი შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა. ეს გარემოება ერთობ უძნელებდა საქმეს იმ ახალგაზრდობას, რომელიც კერძო სკოლებში სწავლობდა. ამ კურსის დასრულების შემდეგ, აღნიშნული მიზეზის გამო, ის ველარ გადადიოდა მაღალი ტიპისა და საფეხურის სახელმწიფო სკოლებში.

სამოციანი წლების დასასრულს რუსეთის განათლების სამინისტრომ საჭიროდ სცნო შეეტანა აუცილებელი გეგმა და სისტემა კერძო სასწავლებელთა ქსელის ორგანიზაციის საქმეში და ამ მიზნით 1868 წელს, 19 თებერვალს, უმაღლესი ბრძანებით შეცვლილ იქნა სასწავლებელთა შესახებ 1828 წლის წესდების, 1864 წლის წესდებისა და დებულების და უმაღლეს ბრძანებულებათა სათანადო მუხლები კერძო სასწავლებელთა შესახებ.

1868 წლის 19 თებერვლის დამატებათა და ცვლილებათა მიხედვით დაწესებულ იქნა: კერძო სასწავლებელთა სამი თანრიგი: პირველი ანუ მაღალი თანრიგის, მეორე თანრიგის და მესამე თანრიგის სასწავლებლები. პირველი (მაღალი) თანრიგის კერძო სასწავლებელთა სისტემაში შედიოდა არა უმცირეს 6 კლასიანი სასწავლებლებისა, მეორე თანრიგის სასწავლებელთა სისტემაში— არა უმცირეს 3 კლასიანი სასწავლებლებისა, ხოლო მესამე თანრიგის სასწავლებელთა სისტემაში ყველა 2 და 1 კლასიანი სასწავლებელი. კერძო სასწავლებელთა გახსნის უფლება ეძლეოდა ყველა რუს მოქალაქეს ან რუსეთის ქვეშევრდომს, უკეთუ იგი წესიერი ზნეობისა და კეთილსაიმედო პირი იქნებოდა ადგილობრივი სასწავლო ოლქის უფროსის შეხედულებით. ამასთან, პირველი თანრიგის კერძო სასწავლებელთა გახსნის უფლების მიმღებ პირს უნდა ჰქონოდა უმაღლესი განათლება, ხოლო მეორე და მესამე თანრიგის კერძო სასწავლებელთა გახსნის უფლების მიმღებ პირებს კი უნდა ჰქონოდათ „საშინაო“ მასწავლებელთა წოდება (ე. ი. საშუალო ან სპეციალური პედაგოგიური განათლება). ქალებს მეტი შეღავათი ეძლეოდათ კერძო სასწავლებელთა გახსნის საქმეში. მაგალითად, პირველი თანრიგის კერძო სასწავლებლის გახსნა შეეძლო „საშინაო დამრიგებლის“ (საშუალო განათლების) წოდების მქონე

ყოველ რუს ან რუსეთის ქვეშევრდომ ქალს, ხოლო, მესამე თანრიგის კი—დაწყებითი სკოლის მასწავლებლის წოდების მქონე ქალს.

სასწავლო გეგმის საგნებს კერძო სკოლებში საზღვრავდა სასწავლებლის დამაარსებელი (შემნახველი) პირი ან ჯგუფი იმ ვალდებულებით, რომ გეგმაში აუცილებლად შეეტანა: საღვთო სჯული და რუსული ენა, ხოლო, იმ კერძო სკოლებში კი, სადაც ისწავლებოდა ისტორია და გეოგრაფია, დამატებით შეეტანა რუსეთის ისტორია და რუსეთის გეოგრაფია. ამის გარდა, ყოველი კერძო სასწავლებლის დამაარსებელს (პატრონს) ევალებოდა თავისი სასწავლებლის სასწავლო გეგმა წარედგინა დასამტკიცებლად იმ სასწავლო ოლქის მზრუნველისათვის, რომელშიც კერძო სასწავლებელი არსდებოდა.

პირველი თანრიგის კერძო სასწავლებლებს, რომლებიც სახელმწიფო კლასიკური გიმნაზიის სასწავლო გეგმებით მუშაობდნენ, შეიძლებოდა, განათლების მინისტრის ნებართვით, მინიჭებოდა კერძო კლასიკური გიმნაზიის სახელწოდება.

კერძო გიმნაზიის კურსდამთავრებულ მოწაფეებს შეეძლოთ უმაღლეს სასწავლებლებში შესვლა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი გიმნაზიის დამთავრებისას, სასწავლო ოლქის წარმომადგენელთა დასწრებით, ჩააბარებდნენ გამოცდებს სახელმწიფო კლასიკური გიმნაზიის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა საგანში და ამაკე სასწავლებლის პროგრამების მიხედვით.

ამგვარად, 1868 წლიდან კერძო სასწავლებელთა გახსნისა და შენახვის საქმე რამდენადმე მაინც მოწესრიგდა. კერძო სკოლების ტიპები და სტრუქტურა დაუახლოვდა სახელმწიფო სასწავლებელთა ტიპებსა და სტრუქტურას, გაირკვა მათი (კერძო სკოლების) სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შედგენა-დამტკიცების წესი, განისაზღვრა ფაქტიურად მათი შედგენის კრიტერიუმი და აგრეთვე შინაარსი და მოცულობა*.

ამას გარდა, კერძო სკოლები 1868 წლიდან უფრო მეტად დაუქვემდებარეს სახელმწიფო კონტროლს. ამ გარემოებას ერთი უარ-

---

* ფორმალურად ეს არ ყოფილა, მაგრამ ის ფაქტი, რომ კერძო სკოლები თავისი სტრუქტურით დაუახლოვდნენ სახელმწიფო სკოლებს და შესაძლებელი იყო მათ ეარგებლათ სახელმწიფო სასწავლებლის უფლებებით, იმ შემთხვევაში თუ მისი უკანასკნელთა სასწავლო გეგმებით და პროგრამებით იმუშავებდნენ,— უკვე საზღვრავდა, არსებითად, კერძო სკოლების სასწავლო გეგმებს და პროგრამებს.

ყოფითი შედეგი მოჰყვა: იმ კერძო სკოლებში, რომლებშიც ჯერ კიდევ ტრიალებდა ქართული ეროვნული სული, უკვე ძნელი ან შეუძლებელი გახდა სასწავლო გეგმების, პროგრამების, სახელმძღვანელოების და მასწავლებელთა შერჩევა ნაციონალური ინტერესების (ქართული ენის დაცვისა და საერთოდ ქართული კულტურის სამსახურის) მიხედვით. ამ პერიოდიდან ოფიციალური წრეები კერძო, დაწყებითი სკოლებშიც კი მოითხოვდნენ სწავლებას რუსულ ენაზე და ქართველ მასწავლებელთა დანიშვნას აშკარად გაურბოდნენ. იყო შემთხვევები, როცა საქართველოს განაპირა კუთხეებში კერძო პირთა ან საზოგადოებათა სკოლებს ქართულის არამცოდნე მასწავლებლებს უგზავნიდნენ, მათი ენა მოწაფეებს არ ესმოდათ და იძულებული ხდებოდნენ სწავლა მიეტოვებინათ. სამოსწავლო ოლქი ასეთ ფაქტებს იმითი ხსნიდა, რომ თითქოს მოწაფეებს და მოსახლეობას სწავლა არ უნდოდათ და სკოლის დაშაარსებელთ აიძულებდნენ დაეხურათ ასეთი სკოლები (მაგ., შორაპნისა და გორის მაზრებში 1870—71 წლებში).

ამგვარად, 1868 წელს კერძო სკოლების ცხოვრებაში გატარებულ ღონისძიებებს ზემოაღნიშნულ დადებით მომენტებთან ერთად თან სდევდა სერიოზული უარყოფითი შედეგები.

—

XIX საუკუნის 60-იანი წლების სასკოლო ქსელის მდგომარეობისა და მისი სტატისტიკის გათვალისწინების შედეგად ძნელი არ იქნება დავასკვნათ:

ოფიციალური, სახელმწიფო და სასულიერო უწყების სასწავლებელთა ხვედრითი წონა საქართველოს განათლების სისტემაში უფრო მცირეა, ვიდრე ხალხური, არაოფიციალური სკოლებისა, რომელშიც სწავლობს მოსწავლეთა საერთო რიცხვის ნახევარზე მეტი;

სასკოლო ქსელის გაშლის ყველაზე უფრო ძლიერ ფაქტორს წარმოადგენს თვით ხალხის, უმთავრესად გლეხობის ინიციატივა. ბატონყმობისგან განთავისუფლებული გლეხობა თვითონ თაოსნობს თავისი სწავლა-განათლების საქმეს, როგორც მორალურად, ისე მატერიალურად, და უფრო მეტ აქტივობას იჩენს ამ მხრივ, ვიდრე თავადაზნაურობა;

სწრაფად მცირდება ეკლესია-მონასტრებთან არსებული სკოლების რიცხვი და მათ მაგივრად სწრაფად იზრდება დამოუკიდებელი სასოფლო-სამრევლო სკოლების რიცხვი სათანადო სასწავლო გეგმებით და სასწავლო რეჟიმით;

შეიქმნა ქალთა განათლების გარკვეული სისტემა როგორც ზოგადი, ისე პროფესიული განათლების სკოლების მოწყობით.

საძირკველი ჩაეყარა პროფტექნიკურ განათლებას სახელოსნო და სასოფლო-სამეურნეო სკოლებისა და სპეციალური კურსების შექმნით.

7. სკოლამდელი აღზრდა

სკოლამდელი აღზრდის საზოგადოებრივი სისტემა, როგორც ცნობილია, წარმოიშვა მრეწველობის განვითარების იმ საფეხურზე, რომელზეც საჭირო შეიქმნა ქალის ჩაბმა წარმოებაში, და ამის გამო მისი განთავისუფლება ბავშვთა საშინაო აღზრდისაგან.

საქართველოს მრეწველობის განვითარებაში ასეთი საჭიროება წარმოიშვა XIX საუკუნის 60-იან წლებში. საფაბრიკო-საქარხნო წარმოებამ ამ პერიოდში ბუნებრივად მოითხოვა ქალის, როგორც იაფი მუშა-ხელის გამოყენება და იმისათვის, რომ მას შეძლებოდა სახელოსნოებში და ფაბრიკა-ქარხნებში მუშაობა, აუცილებელი იყო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა ქსელის შექმნა, რომელსაც უნდა ეკისრნა მშრომელ ქალთა მცირეწლოვანი შვილების მოვლა-პატრონობა მათ მშობელთა მუშაობის მთელი დროის განმავლობაში. ასეთ დაწესებულებებს წარმოადგენდნენ საბავშვო ბაღები, რომელთა წარმოშობას ჩვენში, ისე როგორც რუსეთშიც, წინ უსწრებდა უპატრონო ბავშვების თავშესაფართა შექმნა.

ჯერ კიდევ 1827 წელს თბილისის სანხედრო გუბერნატორი ციპიაგინი სთხოვდა მინაგან საქმეთა მინისტრს გაეხსნა თბილისში „სააღმზრდელო სახლი, რომელიც, პირველ ყოვლისა, განკუთვნილი უნდა ყოფილიყო „უბედურ“ (ანუ „უკანონოდ“ და დედამამის მიერ მიტოვებულ) ახალშობილთათვის*.

40-იანი წლების დასაწყისამდე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მოწყობის საკითხი აღარ დასმულა: ხოლო ამ წლებში კი „პირველი აზრი თბილისში ბავშვების თავშესაფართა დაარსების შესახებ ეკუთვნის ამიერკავკასიის მთავარმართებლის გენერალ ბოლოვინის (1838—1842) მეუღლეს, მაგრამ ეს განზრახვა სისრულეში არ ყოფილა მოყვანილი“**.

სკოლამდელი აღზრდის პირველი დაწესებულება თბილისში გაიხსნა 1859 წელს. მეფისნაცვალი ბარიატინსკი 1857 წელს

* Акты, VII, 2.
** Акты, XII, 223.

სთხოვდა უმაღლეს მთავრობასთან არსებულ კავკასიის კომიტეტს (პეტერბურგში) მიეღო მეფის ნებართვა თბილისში მცირეწლოვან ბავშვთა თავშესაფარის გახსნისათვის. ამ თავშესაფარს, ბარიატინსკის აზრით, უნდა გაეწია „მზრუნველობა და სათანადო განათლება მიეცა იმ ხალხის ბავშვებისათვის, რომელსაც დღისით მუშაობის გამო არა აქვს საშუალება თავისი შვილების მოვლა-პატრონობისა“*. იმავე წელს შეიმუშავა მან „კავკასიაში ბავშვების თავშესაფართა“ პროექტი და გაგზავნა მეფისათვის წარსადგენად. 1858 წლის 8 თებერვალს ალექსანდრე მეორემ დაამტკიცა იგი და შემდეგ წელს ამ პროექტის მიხედვით თბილისში გაიხსნა მცირეწლოვან ბავშვთა თავშესაფარი. თავშესაფარში იღებდნენ სხვადასხვა წარმოებაში მომუშავე ბოშებელთა ბავშვებს 3-დან 10 წლის ასაკამდე. რამდენადაც თავშესაფარში დაწყებითი სკოლის პირველი სამი წლის ასაკის ბავშვებსაც იღებდნენ, იმდენად ბავშვთა მთელი რიცხვი გაყოფილი იყო 2 ჯგუფად. პირველს შეადგენდა ბავშვები 3—7 წლ. ასაკისა, მეორეს კი 8—10 წლისა. ამის მიხედვით მხოლოდ პირველი ჯგუფი წარმოადგენდა არსებითად სკოლამდელ ჯგუფს შესაფერისი პროგრამით და მუშაობის მეთოდებით, ხოლო მეორე ჯგუფში კი მეცადინეობა მიმდინარეობდა დაწყებითი სკოლის კურსით: ასწავლიდნენ საღვთო სჯულს, წერა-კითხვას და არითმეტიკას*.

სკოლამდელი აღზრდის მეორე დაწესებულება საქართველოში გაიხსნა 1865 წელს. ის ეკუთვნოდა თბილისის საქველმოქმედო საზოგადოებას. განკუთვნილი იყო ბავშთათვის ექვსი კვირის ასაკიდან 6 წლის ასაკამდე. ამ დაწესებულებასაც „თავშესაფარი“ ეწოდებოდა. იღებდნენ „უპირატესად იმ ღარიბ მშობელთა შვილებს, რომლებიც თავს ირჩენენ დღიური მუშაობით თავის სახლს გარეშე და ამიტომ არა აქვთ საშუალება ბავშვები თავისთან იყოლიონ“**.

1868 წელს თბილისში დაარსდა 2 საბავშვო ბაღი. ერთი კუკიას უბანში, მ. ჯაბადარის ქალის ხელმძღვანელობით, ხოლო მეორე სოლოლაკში, ლიდია ლავრენკოს ხელმძღვანელობით.*** ამ უკანასკნელს განაგებდა პედაგოგიური საბჭო, რომელშიც შე-

---

* Петр. XII, 2 9.
** „Кавказ“, 1866, 13.
*** „Кавказ“, 1868, 49, 53.

დიოდა კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტის ინსპექტორი ბეს. ლო-ლობერიძე. ორივე საბავშვო ბაღში ,იღებდნენ ორივე სქესის ბავშვებს 3—7 წლის ასაკში. მეცადინეობა მიმდინარეობდა სპეციალური, საბავშვო ბაღისათვის დამახასიათებელი პროგრამით.

60-იანი წლების დასასრულს, 1870 წელს, თბილისში დაარსდა კიდევ ერთი საბავშვო ბაღი, პეტერბურგის ჟურნალ „Детский сад"-ის (1866—68) ყოფ. რედაქტორ-გამომცემლის ა. ხიმონოვიჩის ქალის ხელმძღვანელობით*.

თბილისის ქართველი საზოგადოება დიდი თანაგრძნობით ეგებებოდა ყოველი საბავშვო ბაღის გახსნას. ყველა გრძნობდა ამ დაწესებულებათა აუცილებლობას და ცდილობდა სახელი და პოპულარობა მოეხვეჭა მათთვის. ამ მხრივ პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია გაზეთი „დროება" და მისი რედაქტორი გ. წერეთელი. 1868 წელს, როგორც კი გამოქვეყნდა ცნობა ზემოაღნიშნული საბავშვო ბაღების დაარსების განზრახვის შესახებ, გ. წერეთელმა თავის წერილში: „უჩინ-მაჩინის ქუდოსანი და იმის საუბარი მკითხველთან" („დროება" №№ 19,20) რამდენიმე გვერდი დაუთმო მას; „ორიოდე სიტყვა „საყმაწვილო ბაღზე", რომლის დაარსებაც უნდათ ტფილისში", მან მიუძღვნა ბავშვთა აღზრდის მნიშვნელობას ხალხის მომავალი ცხოვრებისათვის, გაარჩია პესტალოცისა და ფრებელის შეხედულებანი ადრეული ასაკის ბავშვთა აღზრდის შესახებ და ასეთი მოწოდებით დაასრულა:

„ღმერთმან წარუმართოს ხელი იმ პირებსა, რომელთაც ჭსურთ ტფილისში გახსნან საყმაწვილო ბაღი ჩვენის ახალგაზრდობის საკეთილდღეოთ. მაგრამ არც ერთი ამისთანა საქმე საზოგადოების შეუწევნელათ არ მოხერხდება; ამისათვის რამდენედაც ძვირფასია საზოგადოებისათვის იმისი შთამომავლობის სიკეთე, იმდენათ უნდა შეეწიოს ამ კეთილს საქმესა. განსაკუთრებით ჩვენმა დედებმა უნდა მიაქციონ იმას ყურადღება, ატარონ ამ ბაღში თავიანთი შვილები და იქ ნახული და გამოცდილი საშუალება თვითონაც მოიხმარონ შინაურს აღზრდაში"**.

---

* ამ ჟურნალიდან ერთი წერილი „ახალგაზრდა დედებს და ყმაწვილ ქალებს" დაიბეჭდა 1866 წ. გაზ. „დროებაში" (№№ 26, 31—33, 40, 41).

** გ. წერეთელი, თხზ. სრული კრებული, ს. ხუნდაძის რედაქციით, I, 234.

8. სკოლისგარეშე განათლება

სკოლისგარეშე განათლებას 60-იანი წლების ახალგაზრდობა იძენდა საკვირაო სკოლებში და სათანადო ლიტერატურულ წრეებში.

საკვირაო სკოლების პრაქტიკა ჩვენში, ისე როგორც რუსეთში, დაიწყო XIX საუკუნის 50-იანი წლების მიწურულიდან. ეს სკოლები განკუთვნილი იყო მოზრდილთათვის და სასკოლო ასაკს გადაცილებული ახალგაზრდობისათვის. აქ ასწავლიდნენ წერა-კითხვას და არითმეტიკას, ზოგიერთ მათგანში კი ამას გარდა ისტორიას, გეოგრაფიას და სხვა საგნებს. ერთ-ერთი ყველაზე უფრო ცნობილი საკვირაო სკოლა არსებობდა 1859 წლიდან კავკასიის სამეჯნო სასწავლებელთან, ქართული და რუსული განყოფილებით. ამ სკოლაში სწავლობდნენ ადგილობრივი მცხოვრებნი 30 წლის ასაკამდე, რომლებიც პუბლიცისტ ნ. ბერძენოვის სიტყვით „გულმოდგინედ დადიოდნენ ამ სკოლაში"*. 1862 წელს სამეჯნო სასწავლებელთან არსებულმა საკვირაო სკოლამ გამოსცა მ. ყიფიანისა და ვახტანგ თულაშვილის მიერ რუსი ავტორის (ფოგელის) არითმეტიკიდან ქართულად გადმოკეთებული სახელმძღვანელო.

1866 წელს „კვირა-დღის სკოლა" დაარსდა აგრეთვე თბილისის სასულიერო სემინარიასთან. ეს სკოლა განკუთვნილი იყო ღარიბი ახალგაზრდებისათვის, რომლებიც მხოლოდ კვირა-დღეს იცლიდნენ სწავლისათვის. ასწავლიდნენ სემინარიის უფროსი კლასების მოწაფეები. ამ სკოლას განაგებდა სასულიერო სემინარიის პედაგოგიკის მასწავლებელი (პროფესორი) გ. ხელიძე.

უფრო კარგად იყო მოწყობილი ალექსანდრეს სახელობის თბილისის სამასწავლებლო სემინარიასთან არსებული საკვირაო სკოლა. ის უზრუნველყოფილი იყო როგორც მასწავლებლებით, ისე სახელმძღვანელოებითა და სხვა სასწავლო ნივთებით.

საქართველოს პროვინციაში საკვირაო სკოლები არსებობდნენ ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოების ზოგიერთ სასწავლებელთან. 1870 წლისათვის ამ საზოგადოებას ჰქონდა 6 საკვირაო სკოლა.

საკვირაო სკოლები, როგორც წესი, მუშაობდნენ დაწყებითი სკოლების სასწავლო გეგმებით და მათივე პროგრამებით. სასწავ-

---

* „Кавказ", 1862, 53; „Новое обозрение", 1901, 5617.

ლო საგნების სწავლების გარდა ამ სკოლების მასწავლებლები ატარებდნენ მსმენელებთან საუბრებს სამეცნიერო და ყოფა-ცხოვრების საკითხებზე*.

მასწავლებლები საკვირაო სკოლებში სწავლებისათვის არავითარ გასამრჯელოს არ იღებდნენ. პროფესიულ მასწავლებლებს, გარდა, საკვირაო სკოლებში ლექციებსა და საუბრებს ატარებდნენ: პუბლიცისტები, მწერლები, ექიმები, იურისტები, აგრონომები, სხვადასხვა დარგის საზოგადო მოღვაწეები და ხალხოსნები.

მრავალრიცხოვან სწავლამოწყურებულ ახალგაზრდობას იზიდავდა საკვირაო სკოლების ქსელი. ამიტომ ბუნებრივია, მათი რიცხვი სწრაფად იზრდებოდა როგორც რუსეთში, ისე ჩვენში. რუსეთში საკვირაო-სკოლების აღმოცენება დაიწყო 50-იანი წლების დამლევს (1859 წლიდან) და რაღაც სამი წლის განმავლობაში მისმა რიცხვმა 316-ს მიაღწია**. მაგრამ რამდენადაც ასეთ სკოლებში უფრო მეტად მშრომელი ახალგაზრდობა სწავლობდა, ხოლო მასწავლებლობას, უმეტეს შემთხვევაში, მოწინავე, რევოლუციურად განწყობილი ინტელიგენცია ეწეოდა, იმდენად ეს სკოლები ჩქარა გადაიქცნენ რევოლუციონური აზრის გამავრცელებელ კერებად და არაა საკვირველი, რომ მეფის მთავრობამ არ დააყოვნა მათი დევნა და შევიწროება. ნიკო ნიკოლაძე 1866 წელს საუსებით სამართლიანად აღნიშნავდა:

„ორმოცდაათიანი წლების დამლევს ახალგაზრდებმა თითქმის ყველგან დააარსეს ეგრეთწოდებული საკვირაო სკოლები, სადაც ხელოსნებისა და საერთოდ მშრომელი ხალხისათვის წერა-კითხვა და მეცნიერების ელემენტარული ცნობები უნდა ესწავლებინათ. მთავრობის მიერ შევიწროებათა გამო საკვირაო სკოლები ფრიად სამწუხარო მდგომარეობაში ჩავარდნენ: მათ ათასგვარ მავნე განზრახვას აბრალებდნენ, ფეხდაფეხ დასდევდნენ, ზედამხედველებად უნიშნავდნენ გიმხაზიის დირექტორებს, ხუცებსა და მსგავს უვიცებს, რომელთა მოვალეობა იყო, სადაც ჯერ არს, დაებეზღებინათ მუქთი მასწავლებელი, თუ იგი ვითომდა კანონის საწინააღმდეგო სიტყვას იტყოდა“***.

---

* Циркуляр, 1871, IV, 53.

** Н. В. Чехов, Народное образование в России с 60-х годов XIX в., 16.

*** ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ს. ხუნდაძის რედაქციით, I, 229.

. მაგრამ ცხოვრებისა და განვითარების კანონის წინააღმდეგ პრძოლა არც თუ ისე ადვილი აღმოჩნდა. საკვირაო სკოლებს პოლიციური მეთვალყურეობის პირობებშიც კი არ უშინდებოდა მუშა-ახალგაზრდობა. 70-იანი წლებიდან საკვირაო სკოლები მთავრობისა და სასულიერო უწყების ორგანოებს დაუქვემდებარეს, მაგრამ მათი როლი და მნიშვნელობა სკოლისგარეშე განათლების საქმეში არ შემცირებულა.

სკოლისგარეშე განათლების ერთ-ერთ სახეს 60-იან წლებში წარმოადგენდნენ აგრეთვე ე. წ „კითხვის წრეები“ (кружок чтения) და ლიტერატურული შეკრებანი. ამ წრეებსა და შეკრებებზე იკითხებოდა რეფერატები სხვადასხვა სამეცნიერო-ლიტერატურულ თემებზე, წარმოებდა მხატვრულ ნაწარმოებთა კითხვა-გარჩევა და დისპუტები.

1861 წ. 3 თებერვალს პეტრე უმიკაშვილი თავის დღიურში წერდა: „ამ საღამოზე შევყარე ოთხი ყმაწვილი გიმნაზიიდან, მოვილაპარაკეთ და შევადგინეთ პატარა საზოგადოება. კვირაში ერთხელ შევიკრიბებით და ქართულ წიგნებს ვიკითხავთ, ვილაპარაკებთ და ნაწერებს გავარჩევთ... ჩემი ცდა ის იქნება, რომ პირველად ენაში ცოტაოდენი გაკეთდეს, მამულის სიყვარული ჩაუვარდეთ გულში და შრომობდნენ... სემინარიაშიც ფეხის შედგმა მინდა. ღმერთო შენით. დღეის სწორს შევიკრიბებით და „ვეფხვის ტყაოსნის“ კითხვას ვაპირებთ. ამას გარდა ვთხოვე, რომ რუსულიდან რამ გადმოსთარგმნონ“*. პეტრე უმიკაშვილის წრე იყო ყველაზე უფრო ადრინდელი წრე თბილისის ქართველი მოწაფეებისა 60-იან წლებში. მის შემდეგ ასეთი სალიტერატურო წრეები მოეწყო სასულიერო სემინარიაში (1862), წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელში (1864), პირველი თანრიგის ქალთა სასწავლებელში (1867) და სხვაგან.

1862 წლის თებერვალში მოწაფეთა ლიტერატურული წრე დაარსდა ქ. ქუთაისშიც. „კავკაზის“ კორესპონდენტი წერს:

„ქუთაისი, თებერვლის 11... ჩვენ გენერალ-გუბერნატორს მოუვიდა საბედნიერო აზრი—მოეწყო შაბათობით თავის სახლში რიგი ლიტერატურულ-პედაგოგიური კითხვისა გარკვეული, წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით. ეს კითხვა მოგვარდა ისე, რომ უკეთესი არ შეიძლება; მასზე იკრიბება 60—70 კაცი ორივე სქესისა. როგორც ქალთა, ისე კაცთა შორის ბევრია ადგილობრივი...

* ა. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, გვ. XII.

ეი. უკვე ორი თვე არის, რაც ეს საღამოები დაიწყო და ცოცხალი თანაგრძნობა ამ მშვენიერი საქმისადმი არ ცხრება, არც დამფუძნებელისა და არც ხალხის მხრივ.

ამ ლიტერატურულ კითხვას დაერქვა პ ე დ ა გ ო გ ი უ რ ი იმიტომ, რომ ის დაარსებულია უმთავრესად გიმნაზიის უფროსი კლასის მოსწავლეთათვის, იმ მიზნით, რომ განავითაროს მათში ზნეობრივად კეთილშობილი მისწრაფებანი და სურვილი საქმიანი კითხვისა"*.

ამ შეკრების ანუ წრის გეგმის წინასიტყვაობის მიხედვით, მის მიზანს შეადგენდა წევრთა ზნეობრივი და ესთეტიკური გრძნობების განვითარება, თანამედროვე ცხოვრების საკითხებში გარკვევა და ისტორიის შესწავლა.

დასადასტურებლად იმისა, რომ მართლაც ცხოველი ინტერესი ჰქონდათ წრის წევრებს დამოუკიდებელი მუშაობისა და განვითარებისადმი,—შეიძლება აღვნიშნოთ, რომ მარტო ორი თვის განმავლობაში, ე. ი. რვა შეკრებაზე წრეში წაკითხულ და გარჩეულ იქნა გრანოვსკის, სოლოვიოვის, პუშკინის, მაიკოვის, გოგოლის, ლერმონტოვის და გრიბოედოვის სხვადასხვა თხზულებანი და რამდენიმე კრიტიკული წერილი მათ შესახებ. შემდეგ წლებში ამავე წრემ გაიცნო „ვეფხის-ტყაოსნის" შინაარსი.

იონა მ ე უ ნ ა რ გ ი ა გადმოგვცემს, რომ 60-იანი წლების დასასრულს, ქ. ქუთაისში გიორგი ღ ო ღ ო ბ ე რ ი ძ ე ს თ ა ნ კვირაში ერთხელ იკრიბებოდა ადგილობრივი ინტელიგენცია**, რომელიც აქ „მართავდა სალიტერატურო საღამოებს, საცა იკითხებოდა ჩვენი მწერლობის ახალი ნაწარმოებნი... ამ საღამოებმა კარგი ზეგავლენა იქონიეს ქუთაისის ახალგაზრდობაზე. მოზარდი თაობა უფროსი კლასებისა, თუ საშუალო სასწავლებელში სწავლადამთავრებულნი, „ულვაშაშლილნი, წვერგამო" აქედან სწავლობდნენ, რომ არა პურითა მხოლოდ შეეძლო კაცს ცხოვრება, რომ მამულის შვილთათვის, გარდა საგნების შესწავლისა და სამსახურის ერთგულებისა, საჭირო იყო ეროვნული გრძნობის აღზრდა. და

---

* „К а в к а з", 1862, № 13.

** აკაკი წერეთელი, მაჩია გურიელი, დიმ. ბაქრაძე, პეტრე ნაკაშიძე, გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, სერგეი მესხი, გერასიმე კალანდარაშვილი და სხვ.

განმტკიცება, სიყვარული ქართული ენისა, მწერლობისა, ისტორიისა და კულტურისა"*.

70-იანი წლებიდან სკოლისგარეშე სალიტერატურო წრეები და შეკრებანი უფრო გამრავლდნენ და უფრო გაიზარდა მათი ხვედრითი წონა ქართველი ახალგაზრდობის ზოგადი განათლების ამაღლების საქმეში.

* * *

XIX საუკუნის 60-იანი წლების საქართველოს სასკოლო განათლების ისტორიის ყოველმხრივ გაშუქებისათვის საჭირო იყო შევხებოდით აგრეთვე ამ პერიოდის პირველად გამოცემულ სახელმძღვანელოებს, მაგრამ რამდენადაც 60-იანი წლების ახალი ქართული სახელმძღვანელოები,** და ქართველ მოწაფეთათვის განკუთვნილი რუსული ენის სახელმძღვანელო*** წარმოადგენენ ასეთივე სახელმძღვანელოების იმ ხანგრძლივი ისტორიის დასაწყისს, რომელიც 70-იანი წლებიდან გრძელდებოდა, ჩვენ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ მათი მიმოხილვა არ მოგვეწყვიტა შემდგომი პერიოდის სახელმძღვანელოთა ისტორიისაგან და ამ ნაშრომის მე-3 წიგნისათვის გადაგვედვა.

XIX საუკუნის 60-იან წლებში გაფართოვდა აგრეთვე მოძრაობა ქართველი მოწინავე ინტელიგენციისა უმაღლესი განათლებისათვის, და გაიშალა ბრძოლა ბეფის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ სახალხო განათლების დარგში, მაგრამ ორივე ეს საკითხი, იმავე მოსაზრებით, გადაგვაქვს ჩვენი შრომის მომდევნო წიგნში და ვფიქრობთ ერთად და მთლიანი სახით წარმოვადგინოთ ამ მოძრაობისა და ბრძოლის ისტორია XIX სააკუნის მეორე ნახევარში.

---

* ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, II, 163, 1944.

** მაგალითად: დიმ. ფურცელაძის—„ქართული ანბანი და წიგნი საკითხავი მდაბიო ხალხთათვის" (1863), ს. მდივანოვის—„ანბანი ქართული" (1863), პ. უმიკაშვილის—„ქართული ანბანი" (1864), ი. გოგებაშვილის—„ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის" (1865), მისივე—„ბუნების კარი" (1868); მ. ყიფიანისა და ვ. თულაშვილისაგან რუსულიდან გადმოკეთებული ფოგელის არითმეტიკა (1862), აგრეთვე რუსულიდან გადმოკეთებული „ანბანი და სასარგებლო წურთვნანი ყმაწვილთათვის" (1868) და მრ. სხვ.

*** გ. კალანდარაშვილი, „რუსული ენის დაწყებითი პრაქტიკული კურსი ქართველთათვის" (1866, მეორე გამოც. 1868).

III. პედაგოგიური განათლება

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან სასკოლო ქსელის შემდეგში გაშლისა და მოსწავლეთა რიცხვის გადიდების გამო კიდევ უფრო აუცილებელი გახდა მეცნიერულ საფუძვლებზე დამკვიდრებულიყო პედაგოგიური განათლება საქართველოში, უფრო შესაჩნევი გაეხდა-რიყო მისი როლი ახალთაბათა აღზრდის საქმეში და, საერთოდ, ჩვენი კულტურის ისტორიაში.

რამდენადაც XIX ს. სამოციანი წლებიდან ჩვენი კულტურის განვითარების ახალი გზები კიდევ უფრო მჭიდროდ გადაეჯაჭვა რუსეთის კულტურის განვითარების გზებს, იმდენად პედაგოგიური განათლებაც, ცხადია, დაკავშირებული იყო რუსეთის პედაგოგიური განათლების მდგომარეობასთან. მაგრამ XIX ს. მთელ მანძილზე რუსეთში არ არსებობდა არცერთი სამეცნიერო-პედაგოგიური და ფსიქოლოგიური დაწესებულება, არ არსებობდა რაიმე ექსპერიმენტული ლაბორატორია პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური კვლევა-ძიებისათვის. 60-იანი წლებიდან არ არსებობდა არც უმაღლესი პედაგოგიური ინსტიტუტი და არც პედაგოგიური ფაკულტეტები უმაღლეს სასწავლებლებთან. პეტერბურგის ერთადერთი „მ თ ა ვ ა რ ი პ ე დ ა გ ო გ ი უ რ ი ინ ს ტ ი ტ უ ტ ი“, რომელშიც 1853 წლიდან 1857 წლამდე სწავლობდა რუსეთის დიდი დემოკრატი-რევოლუციონერი და ლიტერატორი ნ. ა. დ ო ბ რ ო ლ უ ბ ო ვ ი, მიზნად ისახავდა „კურსდამთავრებული სტუდენტები თავისი ცოდნით და მ ე ფ ი ს ა დ მ ი ერ თ გ უ ლ ი სამსახურით მზად ყოფილიყვნენ პატივი დაედოთ თავის აღზრდის ადგილისათვის“, ხოლო, თვით დობროლუბოვის ცნობით, ამ ინსტიტუტში თავიდანვე მეფობდა რელიგიის ქურუმთა შემდეგი პრინციპი: „სარწმუნოებისათვის ცოდნა არ არის საჭირო, ხოლო ცოდნისათვის კი სარწმუნოება აუცილებელია“.

ასეთი პრინციპის საფუძველზე მოქმედი პედაგოგიური ინსტიტუტი, რასაკვირველია, ვერ მეასრულებდა ნამდვილი მეცნიერული პედაგოგიური განათლების დაწესებულების როლს. მაგრამ 1858 წელს ეს ინსტიტუტიც დაიხურა და ამის შემდეგ რუსეთში დამოუკიდებელი პედაგოგიური ინსტიტუტი აღარ შეუქმნიათ მთელი XIX საუკუნის განძავლობაში. ამით აიხსნება რუსული პედაგოგიკის ფუძემდებელის კ. დ. უშინსკის (1823—1871) თავგამოდებული ბრძოლა უნივერსიტეტებთან პედაგოგიური ფაკულტეტების დასაარსებლად. 1867 წელს, აკენებდა რა იგი საკითხს „ადამიანის ყოველმხრივი შესწავლისა" და აღზრდის აუცილებლობის შესახებ, წერდა:

„უკეთუ პედაგოგიკას სურს აღზარდოს ადამიანი ყოველმხრივ, მან, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაიკოს იგი აგრეთვე ყოველმხრივ... მაგრამ, გვეტყვიან, რომ ასეთ შემთხვევაში საჭირო გახდება ცალკე და ფართო ფაკულტეტი პედაგოგებისათვის. მართლაც, რატომ არ უნდა იყოს პედაგოგიური ფაკულტეტი? უკეთუ უნივერსიტეტებში არსებობს არა მარტო მედიკური, არამედ კაბერალური ფაკულტეტიც კი და არ არის პედაგოგიური—ეს მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ ადამიანი ჯერჯერობით უფრო უფრთხილდება თავისი სხეულისა და მოდგმის ჯანმრთელობას, ვიდრე თავის ზნეობრივ სისაღეს და უფრო მეტად ზრუნავს მომავალი თაობის სიმდიდრეზე, ვიდრე მის კარგად აღზრდაზე. საზოგადოებრივი აღზრდა არ არის ისე პატარა საქმე, რომ არ ღირდეს მისთვის ცალკე ფაკულტეტის დაარსება! ხ

ლო ჩვენ თუ დღემდის ვაბრალებდით ტექნოლოგებს, აგრონომებს, ინჟინრებს, არქიტექტორებს, მედიკებს, კამერალისტებს, ფილოლოგებს, მათემატიკოსებს და არ ვამხადებდით აღმზრდელებს—არ უნდა გვიკვირდეს, რომ აღზრდის საქმე მიდის ცუდად, და რომ თანანელ ეროვნ საზოგადოების ზნეობრივი მდგომარეობა სრულებით არ შეეფერება მის ინტელექტებს, გზებს, ფაბრიკებს, მის მეცნიერებას, ვაჭრობას, და მრეწველობას.

პრაქტიკული ინიშვნელობა ასეთი პედაგოგიური, საერთოდ, ანთროპოლოგიური ფაკულტეტისა მეტად დიდი იქნებოდა. პედაგოგები რიცხვით მეტად ბევრ ადამიანებზე უფრო მეტი არიან საჭირო და უკეთუ ჩვენ მედიკებს ვაანდობთ ჩვენს ჯანმრთელობას, სამაგიეროდ აღმზრდელებს ვანდობთ ჩვენი ბავშვების ზნეობრივობასა და ჭკუა-გონებას, ვანდობთ მათ სულსა და ამასთან ერთად ჩვენი საზოგადოების მომავალსაც".*

კ. დ. უშინსკის ასეთ ფრიად მნიშვნელოვან, პროგრესულ მოთხოვნას პედაგოგიური განათლების გაფართოებისა და მისი ხა-

---

* К. Д. Ушинский, Человек как предмет воспитания, I, стр. XI—XII.

რისხის გაუმჯობესების მიმართ, ძალიან ცივად და უყურადღებოდ შეხვდნენ რუსეთის მაშინდელი ნახევრადფეოდალური და ბურჟუაზიული წრეები. სრულიად სამართლიანად შენიშნავს უშინსკი, რომ აღნიშნული საზოგადოებრივი წრეები „უფრო მეტად ზრუნავდნენ მომავალი თაობის სიმდიდრეზე, ვიდრე მის კარკ აღზრდაზე", და რომ მათი ზნეობრივი მდგომარეობა ძალიან ჩამორჩენილი იყო მათივე, შედარებით მაღალი, ეკონომიური მდგომარეობის შესაფერის ნოთხოვნილებათა ვან.

რუსეთის იმპერიაში XIX ს. მთელ მანძილზე არ ეღირსა განპორკიელება უშინსკის ოცნებას: პედაგოგიური ფაკულტეტები, როგორც აღნიშნეთ, არსად შექმნილა.

უფრო ცუდ მდგომარეობაში იყო ქართული პედაგოგიური განათლების საქმე. 60-იან წლებამდის საქართველოში ჯერ კიდევ არ არსებობდა არც უმაღლესი და არც საშუალო პედაგოგიური სასწავლებელი. პედაგოგიკის ცოდნაც მეტად იშვიათი იყო ჩვენში. პედაგოგიური თეორიის არსებობა ხხოლოდ მოწინავე პედაგოგებმა და მეცნიერებმა იცოდნენ, ფართო წრეებს პედაგოგიკური კულტურა არ გააჩნდათ და ამიტომ ჩვენი ქვეყნის ბავშვთა და მოზარდთა სწავლა-განათლების პრაქტიკა მოკლებული იყო თეორიულ საფუძველს და მეცნიერული განზოგადოების შესაძლებლობას:

—

50-იანი წლების დასასრულს და 60-იანის დასაწყისში, რუსეთიდან ქართველ თერგდალეულთა დაბრუნებამდე, ჩვენში ჯერ კიდევ საგრძნობლად იყო ფეხმოკიდებული შუასაუკუნეობრივი, კონსერვატული იდეები როგორც საზოგადოებრივი აზროვნების სფეროში, ისე, კერძოდ, ბავშვთა აღზრდა-განათლების საქმეში. ამ იდეათა მატარებელ ფენებს წარმოადგენდნენ, ერთი ხხრით, ძველი არისტოკრატია და, მეორე ხხრით, სამღვდელოება. პირველის მსოფლმხედველობას გამოხატავდა ჟურნალი „ცისკარი", ხოლო ხეორისას—ჯერ ივგივე „ცისკარი" და შემდეგ, 1864 წლიდან, ჟურნალი „საქართველოს საეკლესიო მახარობელიც".

აღნიშნულ პერიოდში „ცისკარის" ერთი ჯგუფი სრულიად აშკარად ილაბქრებს ევროპული განათლებისა და აღზრდის პრინციპებისა და ფორმების წინააღმდეგ. ამ ჟურნალის თანამშრომელი ალექსანდრე სულხანოვი (სულხანიშვილი), ახასიათებს რა დასავლეთ ევროპის განათლების პროგრესულ თეორიებს, როგორც

მიუღებელსა და რეგრესულს საქართველოს სინამდვილისათვის, წერს შემდეგს:

„უპირველესი მიზეზი წეს-შეშლილობისა დასავლეთის ევროპაში არის უეჭველად ნაკლებულობა სარწმუნოებისა, ამასთან ერთად, რომ მუნ აღიზრდების ყრმა ცრუ მცნობელობითა.—წინააღმდეგ ამისა ჩვენში განათლება არის მიწევნულ იმ სიმაღლესა, საიდანაც ... განანათლებს ადამიანთა და არა თვალბნელ ყოფს. უფალმან ... ბოს მტკიცება აწინდელის ჩვენის განათლებისა და დაგვაშ... წესსა შინა ჩვენის სარწმუნოებისასა და თვით მყრობელობისასა.— ესე მიანიშებს კაცობრიობას უმეტეს სარგებლობასა ვიდრე ... გონებსმჯელობა ფილოსოფოსთა, რომელთაც არა ძალუძსთ ... რობა არცა ერთისა ცრემლისა, ჰეშმარიტი ფილოსოფოსი ... არს ჰსჯული ქრისტესი—ბედნიერ არს იგი, რომელიცა ... დროში არა არს ფილოსოფოსი, არამედ ჰეშმარიტი ქრისტიანე“..*

ალ. სულხანიშვილისა და „ცისკრის“ ზოგიერთ სხვა თანამშრომელთა აზრი ჩვენში ევროპული განათლების შემოღების წინააღმდეგ და ახალთაობის აღზრდის საფუძვლად ქრისტიანული სარწმუნოების აღიარების შესახებ, უეჭველია, წარმოადგენდა ... ულ ფეოდალური წრეებისა და რეაქციული სამღვდელოების სულისკვეთებას სახალხო განათლებისა და მეცნიერების დარგში. მაგრამ ბურჟუაზიული ურთიერთობისა და კულტურის შეჭრა 60-იანი წლების ქართველ საზოგადოებაში, თანდათან აცლიდა საფუძველს აღნიშნულ სულისკვეთებას და ძალიან ჩქარა იმავე „ცისკარში“ დაიწყო სულხანიშვილის საწინააღმდეგო იდეათა ... განდა.

„ცისკარს“, როგორც ვწერდით, არ ჰქონდა ერთი მტკიცე ... მართულება და ერთი გარკვეული პროგრამა. მის ფურცლებზე ... ვხვდებით როგორც აშკარა რეაქციულ-კონსერვატულ გა... ბილებას, ისე მეტად პროგრესულ მისწრაფებებს. სულხანიშვილის ტიპის თანამშრომელთა და თვით მისი რედაქტორის, ივ. ... ლიძის პარალელურად მის ფურცლებზე გამოდიან სრულიად ... ლი აზროვნებისა და მოწინავე საქმის მწერლები. ასეთი ... რეობა ნათლად მოჩანს სახალხო განათლების საკითხებშიც. ... აღზრდის ძველი წესებისა და იეზუიტური რეჟიმის დაცვასთან ... თად აქ გაისმის მისი აშკარა კრიტიკაც.

---

* „ცისკარი“ 1861, VII, 261.

60-იანი წლების ბავშვთა აღზრდისა და აღმზრდელთა დაბალი კულტურის შესახებ „ცისკრის“ ერთი თანამშრომელი, ჯ ვ ა რ ე ლ ი ს ფსევდონიმით, თავის „აღსარებაში“ აღნიშნავს: „ჩვენს კურთხეულ ქვეყანაში აკვნის ბავშვს აჩვევენ, რომ უფროსის მორჩილება და შიში ჰქონდეს“; როცა ბავშვი სტირის შიმშილის ან სხვა მიზეზით, აბეზარებენ მას ბოჩოლათი და სხვა ქვეწარმავალთა ან ნადირის სახელით, ხოლო ამასთან აკვანშივე „ნანინას“ მელოდიებთან ერთად ეფერებიან მას ღენერლობის სიყვარულს, პენსიისა და ჩინზე ოცნებობას, კარგი ცოლის შერთვას და ღვთის წყალობას. შემდეგ ასწავლიან ენის მიტანას, დაბეზღებას, და იმის მაგივრად, რომ მათ ასწავლა-განათლებაზე იფიქრონ, სამემკვიდრეო ადგილმამულის დატოვებაზე ოცნებობენ.*

აღნიშნული პერიოდის კონსერვატულ წრეებს განათლებულ ადამიანად მიაჩნდათ ევროპულ კოსტუმში გამოწყობილი და საქველმოქმედო საქმეებზე, განსაკუთრებით სკოლებისა და ბიბლიოთეკების დიარსებაზე მოლაპარაკე ადამიანები, თუმცა თვითონ მათ შეიძლება წერა-კითხვაც კი არა სცოდნოდათ.

სწორედ ასეთი განათლების გამო კითხულობდა 1862 წელს ცნობილი იუმორისტი მ ო ლ ა ყ ბ ე (მიხ. თუმანიშვილი): „არ ვიცი რას ეძახიან განათლებას, შინაგან თვისებას თუ გარეგან შემხედაობასს“ მართლაც, გარეგნობით ფასდებოდა მაშინ განათლებული ადამიანის ღირსება აღნიშნული წრეების თვალში. „ვრძელ მანეტიანნი ბრეგ აწევით და იღლიაში ჯოხამოჩრილები — აი ახლანდელი განათლებულნი კაცნი“,—ამბობს მკაცრი სარკაზმით იგივე მოლაყბე და ეგრძელებს,—ამგვარი პირნი ყოველს წრეზე თამაშობენ თავიანთ როლს. სასწავლებლის დაფუძნებაში ყველაზე ბევრსა ყვირიან და ყველაზე მცირე ნაყოფი გამოუათ ხელთაგან; ძველი წიგნების ბეჭდვაში ყველაზე მეტს მაღლა ხმოვანებენ და ყველაზე მცირე ნაყოფია რჩებიან.“** განათლების ასეთი იდეალი ამაში ყველაზე მეტად ეფასებათ და ახალ ეპარ-მრეწველთა და თავადაზნაურობის მოლიბერალო ჯგუფებს; მართალია, ამ ჯგუფებმა დანიელ ჭ ო ნ ქ ა ძ ი ს „კნიაზ ლიბერალს“ იმით გაუსწრეს, რომ დასავლეთიდან შემოსული „ბრბობა-თავისუფლების“ იდეა მათ სწრაფად ბიიღეს, მაგრამ როგორც ა ხ ა ლ ი მ ო დ ა; ისე რომ ამ იდეის განხორციელებას „მდაბიო

* „ცისკარი“ 1863, VIII, 421—6.

** „ცისკარი“ 1862, I, 103—104.

ხალხის“ მხოლოდ განათლებაზე და ძველი ხელნაწერების გაბოლებაზე ლაპარაკში ხედავდნენ.

50-60-იანი წლების ქართულ კონსერვატულ წრეებში ერთთვალსაჩინო ძალას წარმოადგენდა საღვთისმეტყველება, რომელიც ცდილობდა სახალხო განათლების მთელი საქმე ეკლესიისათვის დაექვემდებარებინა და სწავლა-განათლებისათვისაც რელიგიური ხასიათი მიეცა.

ქართული საქრისტიანო ეკლესია სასულიერო პირთა პედაგოგიურ მოღვაწეობას თვლიდა არა მარტო სარწმუნოებრივ დოგმათა გაერცელების საშუალებად ჩვენს ახალგაზრდობაში, არამედ აგრეთვე ზნეობრივი აღზრდის ყველაზე უფრო სანდო წყაროდ. სარწმუნოება მორალის საფუძვლად აღიარებული იყო ძველადაც როგორც ჩვენში, ისე დასავლეთ ევროპასა და რუსეთშიც. ცნობილია, მაგალითად, კომენსკის, პესტალოცის, უშინსკის და სხვა პედაგოგთა შეხედულებანი ზნეობრივი აღზრდის თვალსაზრისით რელიგიის სწავლების შესახებ. საქართველოში უფრო ძველად გვხვდება რელიგიისა და მორალის მჭიდრო კავშირის აღიარების იდეები და სარწმუნოების ნორმებით ეთიკური ნორმების განპირობადების ცდები. სასულიერო აღზრდა განათლების წარმომადგენელი და ზოგი სხვები ადამიანის ქცევის წესებს მისივე ღვთაებრივი საწყისის გამოვლინების ფორმებად აღიარებდნენ, ხოლო XIX ს. პირველი ნახევრის ეკლესია, საეკლესიო უწყება და სასულიერო ლიტერატურა. პლატონ იოსელიანის იდეური მეთაურობით, ქრისტიანული დოგმატიკის გაერცელებასთან ერთად, თავის პირდაპირ მოვალეობად თვლიდნენ საზოგადოებრივ მორალზეც ემოქმედნათ და ეს უკანასკნელი თავის ვალად ქვეშ დაეყენებინათ.

მათი პროპაგანდის ერთ მთავარ ბაზას წარმოადგენდა აგრეთვე სკოლა და, საერთოდ, სახალხო განათლება.

ცნობილი ისტორიკოსი, პედაგოგი და ღვთისმეტყველი პლატონ იოსელიანი, მეტად კონსერვატულ და ორთოდოქსულ-რელიგიურ იდეებს იცავდა ახალთაობათა აღზრდის საქმეში. აქის საილუსტრაციოდ საკმარისია დავასახელოთ მისი „სიტყვა“, წარნოთქმული თბილისის სასულიერო სემინარიის დარბაზში, მისი არსებობის ორმოცდაათი წლისთავის გამო, 1867 წლის 1 ოქტომბერს.* პლატონ იოსე-

* დაიბეჭდა ჯერ გაზ. „Кавказ“-ში 1867, № 90, ხოლო შემდეგ ცალკე ბროშურად.

ლიანი ფიქრობდა, რომ ქრისტიანული სარწმუნოების ულორტები წარმოადგენდნენ ახალგაზრდობის ტვინისა და გულის ყველაზე უფრო ნაყოფიერ და კეთილშობილ საზრდოს. „დეე დარწმუნდნენ ყველა მოსწავლენი,—ამბობს იგი, რომ სახარებისა და ქრისტეს გარეშე არ არსებობს არც შემეცნება, არც კეთილმოქმედება და არც სამეფო, არც ხალხი“.* ამ რეაქციული დებულებიდან გამოსვლით პლატონ იოსელიანი ფიქრობს, რომ ქრისტიანული სარწმუნოება უნდა უნათებდეს გზას ყოველგვარ მეცნიერებას და, კერძოდ, აღზრდა-განათლების მეცნიერებასაც** ქრისტიანული ფილოსოფია, იოსელიანის აზრით, აძლევს ყოველ მეცნიერებას მის დანიშნულებას და მიზანს, იგი საზღვრავს აგრეთვე აღზრდის მიზნებსა და ამოცანებს: ამ აუცილებლობით ხსნის იოსელიანი იმ ფაქტს, რომ ძველად სკოლები მხოლოდ ეკლესია-მონასტრებთან არსებობდნენ. არც XIX საუკუნეში მიაჩნდა მას შესაძლებლად ეკლესიისა და სკოლის ჯათიშვა ერთმანეთისაგან და მოითხოვს, რომ სკოლა არსებობდეს ეკლესიის „მაცოცხლებელი“ გავლენისა და კონტროლის ქვეშ. იოსელიანი ამბობს:

„მასწავლებელთა და მოსწავლეთა ყურადღებას არ უნდა გამოეპაროს ნსოდელი მეცნიერების პრინციპი: ფიზიკური ბუნების მიზანი მდგომარეობს ღვთიური სამყაროს მიზნებში. მხოლოდ ამ საუკეთესოზე შეიძლება ყმაწვილთა ნაყოფიერი აღზრდა. ასეთი აღზრდა არკვევს მართლმადიდებლური აღზრდის ხასიათს. ასეთი იყო ძველად ქართველი ყმაწვილების აღზრდა, ასეთია ახლა..., და, რასაკვირველია, ასეთი იქნება იგი სამუდამოდ“.***

—

მართალია, XIX ს. სამოციან წლებში პლატონ იოსელიანის ამგვარი ანტიმეცნიერული შეხედულებანი ბავშვთა აღზრდის სა-

---

* Пл. Иоселиани, Речь, произнесенная в зале Тифлисской духовной семинарии по случаю торжества пятидесятилетия, 1867, 24.

** იქვე, 24.

*** იქვე, 23.

კითხებზე უკვე არჩაულად გამოიყურებოდნენ, მაგრამ მათ კიდევ ჰქონდათ სათანადო გავლენა ქართველი საზოგადოების ჩამორჩენილ წრეებსა და სასულიერო სასწავლებელთა და საეკლესიო სამრევლო სკოლებზე.

60-იანი წლების დასაწყისში ჯერ კიდევ ხშირი იყო შემთხვევა, როცა ერთადერთ განმანათლებლად სოფელში და ზოგჯერ მთელს მრევლში ითვლებოდა მარტო მღვდელი. ის იყო როგორც სასულიერო, ისე საერო განათლების ერთადერთი ფიგურა და ახალგაზრდობის მასწავლებელი.

მაგრამ როგორ ასრულებდა ქართველი სამღვდელოება ნაკისრ ნოვალეობას სახალხო განათლების დარგში? უნდა აღინიშნოს, რომ თავისი წოდებრივი, კასტური პრივილეგიების შენარჩუნების მიზნით სამღვდელოება, რასაკვირველია, არ იზრუნებდა ხალხის ფართო განათლებისათვის, ვინაიდან განათლებულ მრევლში მას არ შეეძლო არ დაენახა თავისი მოწინააღმდეგე საზოგადოებრივი ძალა. ამიტომ იყო, რომ 50-60-იან წლებში, ისე როგორც შემდეგაც, სამღვდელოების ინიციატივა ახალთაობის სწავლა-აღზრდის საქმეში ვიწრო მასშტაბის სასულიერო განათლებისა და ელემენტარული („პირველდაწყებითი") საერო განათლების გავრცელებით ამოიწურებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ სამღვდელოება ხშირად ამ საქმესაც მერკანტელური თვალსაზრისით უდგებოდა და შემოსავლის ერთ-ერთ წყაროდ თვლიდა.

სასულიერო წოდების ისეთი ორგანოც კი, როგორიც იყო „საქართველოს სასულიერო მახარობელი", რომელსაც, ალბათ, ვერ დავწამებთ სამღვდელოებისადმი მიუდგომლობას, ხშირად არ ინდობდა სამღვდელოებას განათლების საქმეში უმოქმედობისა და ზოგჯერ თავისი მატერიალური მიზნებისათვის ამ საქმის გამოყენების გამო. მაგალითად, 1865 წელს, ამ ჟურნალის დეკემბრის №-ში, მომავალი საზოგადო მოღვაწე და პედაგოგი გიორგი იოსელიანი სამართლიანად ამათრახებს სამღვდელოებას აღნიშნული საქციელისათვის. იოსელიანის აზრით, სამღვდელოების მოვალეობა ხარტო წირვა-ლოცვით არ უნდა განისაზღვრებოდეს; სამღვდელოების ერთ უმთავრეს მოვალეობას შეადგენს ემსახუროს ხალხს, „აჩვენოს მას ჭეშმარიტი გზა განათლებისა" და, ბოლოს, „ყრმების აღზრდა ანუ საზოგადოდ ხალხის სწავლება აგრეთვე ვა-

ლი არის მღვდლებისა".* ამ მოვალეობას, გიორგი იოსელიანის მიხედვით, სამღვდელოება შეასრულებს ისეთი საშუალებით, როგორც არის „სასოფლო სასწავლებლების (შკოლების) გახსნა ახალმოზარდე ყმაწვილებისათვის". მართალია, ეს უფრო მეტად მთავრობის საქმედ მიაჩნია გ. იოსელიანს, მაგრამ, მისი აზრით, სამღვდელოებასაც შეუძლია ამ მხრივ ბევრი გააკეთოს. მაგრამ არ აკეთებს. იოსელიანი წერს:

„ბევრი მოიპოვებიან საქართველოში ისრეთნი მდიდარნი მღვდლები, რომელთაც არა თუ უბრალო შკოლების გაშართვა შეუძლიანთ, არამედ თვით ყმაწვილებსაც შეინახავენ თავიანთ ხარჯზედ. ძაგრამ ვაი გაუმაძღრობას! მამონის თაყვანისმცემელნი არიან და მათგან ან მამული ან მათი სულიერი შვილები რა სიკეთეს უნდა მოელოდნენ?"**

მამონის (ქონების) სიყვარულით გატაცებულ მღვდლებს, იოსელიანის თქმით, „ქრთამი თუ არ მისცა კაცმა, ისე არაფერს გააკეთებენ". ასეთი მკაცრი განაჩენი სამღვდელოების მიმართ საერთოდ, მცირეოდენი გამონაკლისით, სწორი და სამართლიანია. გამონაკლისს წარმოადგენენ მღვდლები, რომლებსაც გამოხატავდა ი. ჭავჭავაძის გაბროს მასწავლებელი „გლახის ნააზრობიდან", უმრავლესობა კი ჩვენი სამღვდელოებისა ხალხის განათლებაზე ზრუნავდა იმდენად, რამდენადაც მას სჭირდებოდა ეკლესიის განათლებული მსახურნი და ასწავლიდა ახალგაზრდობას წერა-კითხვას იმდენად, რამდენადაც ის ამისათვის სათანადო გასამრჯელოს ღებულობდა ფულით ან ნატურით.

გიორგი იოსელიანი კიცხავს 60-იანი წლების სამღვდელოებას აგრეთვე იმისათვის, რომ ეს უკანასკნელი უფრო მეტად ზრუნავს „ვისი შვილების ქონებრივ სიმდიდრეზე, ვიდრე გონებრივ-განვითარებაზე."** „ისა არა სჯობს,—წერს იოსელიანი,—რომ შვილები მდიდარი დატოვონ ქვეყანაზედ ფულით და სწავლით, ვიდრე ფულებით".*** ის მოითხოვს, რომ მღვდლებმა სკოლების გახსნაზე ზრუნვასა და წერა-კითხვის სწავლებასთან ერთად უკითხონ გლეხობას, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, სხვადასხვა მოთხრობა, „თუ

* „საქართველოს სასულიერო მახარობელი" 1865, დეკემბერი, 192.

** იქვე, 194.

*** ასეთივე მდგომარეობა, როგორც ვნახეთ, აღნიშნული აქვს კ. დ. უშინსკის 1867 წელს რუსეთის სინამღვილიდან.

**** „საქართველოს სასულიერო მახარობელი" 1865, დეკემბერი, 195.

გინდ სიბრძნე სიცრუის წიგნისაგან“, და აწარმოონ მათთან საუბარი სწავლა-განათლების საკითხებზე. ამით, იოსელიანის აზრით:

„ხვა არ იყოს რა, ამას მაინც გაიგებენ საწყალი ჩვენი გლეხები და მათი შვილები, რომ მათ არა აქვთ დახმული კარი განათლებისა და სწავლისა. იმათ გონიათ, რომ კითხვა და წერა, ანუ საზოგადოდ სწავლა, ხოლოდ თავადთა და აზნაურთა კუთვნილება არის“.*

ჩვენი საძღვდელოება მაინც შორს დარჩა ამ ამოცანის შესრულებიდან. გიორგი იოსელიანის მოწოდებას და გაკიცხვას არ შეეძლო. არსებითად შეეცვალა სამღვდელოების დამოკიდებულება სახალხო განათლებისადმი. მღვდლებს არ შეეძლოთ შეეტანათ გლეხობაში იმის შეგნება, რომ მას „არა აქვს დახშული კარი განათლებისა“, და ვერც იქაში დაარწმუნებდნენ ისინი გლეხებს, რომ მაშინ სწავლა-განათლება თავადაზნაურთა პრივილეგიას არ წარმოადგენდა.

—

ძველ კონსერვატულ და საარწმუნოებრივ იდეებს აღზრდა-განათლების დარგში არ შეიძლებოდა არ გამოეწვია სათანადო წინააღმდეგობა ევროპული განათლების წარმომადგენელი,—პროგრესული საზოგადოებრივობის ხრივ. 60-იანი წლების დასაწყისში უკვე ნაბადიყო საქართველოში ნიადაგი დასავლეთ ევროპისა და რუსეთის ანაევ პერიოდის მოწინავე იდეების დასანერგად. ამიტომ იყო, რომ ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძის პლეადის გამოჩენამდე ჩვენში დაიწყო კრიტიკა ძველი საზოგადოებრივი ცხოვრებისა საერთოდ, კერძოდ კი სახალხო განათლების პრინციპებისა და ფორმებისა. ეს კრიტიკა ამავე „ცისკრის“ მოწინავე ჯგუფმა დაიწყო.

ცნობილი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე დიმიტრი ბაკრაძე შშვენივრად გრძობდა, რომ მისი დროის აღზრდა-განათლება მოწყვეტილი იყო საზოგადოების ინტერესებს, რეალურ სინამდვილეს, და ხოლოდ ფორმალური ცოდნით ზღუდავდა ჩვენ ახალგაზრდობას. ილია მქრებდა რა იგი ასეთი აღზრდა-განათლების წინააღმდეგ, 1861 წელს, წერდა:

„ეშმაკური განათლება ისე სწავლათ საგნების ბითვისებაში (შეთვისებაში, გ. თ.) არა მდგომარეობს, როგორც მიხდო-

---

„* საქართველოს სასულიერო მახარობელი“ 1865, დეკემბერი, 195.

მილობაში საზოგადო საჭიროებათა და მათ აღსრულებაში საზოგადოებისაგან ვე. ასე ესმით ეს განათლებულ ქვეყნებში. თვით ამერეთ-იმერეთშიაც ასე იყო ძველ დროში".*

დიმიტრი ბაქრაძე ე. წ. რეალური განათლების სისტემის ერთ-ერთ აღრეულ წარმომადგენლად შეიძლება ჩაითვალოს ჩვენში. მის მოწოდებას ჭეშმარიტი განათლებისაკენ თან სდევდა ამ განათლების განმარტება, მისი ახლებურად გაგება: საზოგადოებრივ საჭიროებათა გათვალისწინება და მისი განხორციელებისათვის ბრძოლა, ე. ი. სწავლის დაკავშირება ხალხის ცხოვრებასთან, მის რეალურ მოთხოვნილებებთან, მის პრაქტიკულ საქმიანობასთან.

აქედან გამომდინარე, გაისმა აგრეთვე ხმა ე. წ. „დარბაისლური და დიდკაცური აღზრდის იდეებისა და წესების წინააღმდეგ. „ცისკრის" მოწინააღმდეგე ჯგუფის წარმომადგენელი პ(ეტრე) უ(მიკაშვილი), 1862 წელს ძველი აღზრდის კრიტიკასთან ერთად გვაძლევს ახალი აღზრდის საესებით სწორ მეცნიერულ გაგებას. ის წერს:

„რაც დარბაისლურ და დიდკაცურ გარემოებას ეჭირება, იმგვარი ახალგაზრდის გაწურთვნა, აღზრდა ჰგონიათ, რასაკვირველია იმისთვის შკოლური აღზრდა, ესე იგი, ახალი ენების, ბუნების, საგნებისა და ისტორიის კილოკავად ცოდნა საკმაო იქნება. შაგრამ აღზრდას ამაზე უფრო დიდი ადგილი უნდა ეჭიროს: საკუთრად აღზრდისაგან უნდა შოვითხოოთ გონებითის და ზნეობითის ძალის გახსნა, მეხსიერების განმახვილება, გემოვნების უმჯობესობაში მოყვანა და იმისთანა თვისებები როგორიც არიან მოთმინება და მშვიდობიანობა. მოკლეთ ვსთქვათ, აღზრდამ უნდა—მოსწავლე ახალგაზრდა მტკიცე ხასიათის კაცი გამოიყვანოს და ამგვარი ნიჭი და შეძლება მისცეს, რომ პატიოსნურად მოეხმაროს მამულს ქვეყანასა და რომელ საზოგადოების სასელიც მისცეს ბედმა იმ საზოგადოების დამაბეგვენებელი იყოს".**

აღზრდის შინაარსის ამგვარად გარკვევა ნათლად სახავდა იმ გზებს, რომლითაც უნდა წამართულიყო ბავშვთა აღზრდა-განათლების საქმე ოჯახსა და სკოლაში. ადამიანის გონებრივი, ზნეობრივი და ესთეტიკური (გემოვნება) განვითარება—როგორც აღზრდის სამი ძირითადი სახე, უშიკაშვილის მიერ აქ დაკავშირებულია

---

* „ცისკარი" 1861, III, 416.

** „ცისკარი" 1862, VIII, 191—2.

მამულისა (სამშობლოსა) და ქვეყნის პატიოსანი სამსახურის ამოცანებთან, საზოგადოების სახელოვან წევრთა მომზადების საქმესთან.

ეს იყო ერთ-ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი, შეიძლება ითქვას, ახალი პერიოდის მაუწყებელი მომენტი ქართული პედაგოგიკის ისტორიაში. მაგრამ ყველაზე უფრო მკვეთრად და თანამიმდევრულად აღზრდის ახალი იდეებისა და განათლების ახალი შინაარსისათვის იბრძოდა ილია ჭავჭავაძის „საქართველოს მოამბე", რომელზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

—

როგორ იყო დაყენებული მასწავლებელთა მომზადების საქმე 60-იანი წლების საქართველოში?

მასწავლებელთა დიდი უმრავლესობა, რასაკვირველია, არც 60-იან წლებში შეეფერებოდა თავის საპატიო თანამდებობას. არ შეეფერებოდა არც ზოგადი და სპეციალური პედაგოგიური განათლებით, არც მორალური თვისებებით. ჩვენ ქვემოთ გვექნება საუბარი ხსენებული პერიოდის იმ სასწავლებელთა შესახებ, საიდანაც, სხვათა შორის, მასწავლებლებიც გამოდიოდნენ, მაგრამ ასეთი სასწავლებლები იმდენად მცირერიცხოვანი იყო, რომ მასწავლებელთა კადრების მოთხოვნილებებს ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებდნენ და იმას გარდა ეს სასწავლებლები უფრო მეტად ოფიციალურ მოხელეებს ზრდიდნენ, ვიდრე სწავლულ და პედაგოგიურად დახელოვნებულ მასწავლებლებს. ამიტომ საესებით გასაგებია, რომ 60-იანი წლების ქართული პრესა, ამ პერიოდის საზოგადო მოღვაწეთა მოგონებები და საარქივო მასალა, ფეტად საკალალო მდგომარეობას აგვაწერენ მასწავლებელთა პედაგოგიური მომზადებისა და მათი ზოგადი ცოდნის დახასიათების საქმეში.

მართალია, კერძო და საქველმოქმედო წრეების სკოლებში, ისე როგორც კერძოდ მომუშავე შინამასწავლებელთა შორის, უეჭველად მოიპოვებოდნენ განათლებული, ზრდილობიანი, პედაგოგიური ოსტატობით აღჭურვილი და ბავშვთა აღზრდის საქმისათვის თავდადებული პირები, მაგრამ ოფიციალურ სახელმწიფო და სასულიერო უწყებათა სკოლებში ასეთები გამონაკლისს წარმოადგენდნენ.

1861 წელს „ცისკარი“ მწუხარებით აღნიშნავდა, რომ „ცუდთა აღმზრდელთა რიცხვი მეტობენ ვიდრე მდის კარგთანი“.*

ცუდ, ე. ი. გაუნათლებელ, უზრდელ და ჯალათ მასწავლებელთა რიცხვი ისე მწვავედ იგრძნობოდა ამ დროს და იმდენად აუტანელი იყო მათი მავნე საქმიანობის შედეგი, რომ მოწინავე საზოგადოება ამას ვერ ითმენდა, ვერ ურიგდებოდა თავისი მომავალი თაობის დამახინჯებას და მკაცრად კიცხავდა მათ. 1861 წელს, ამ საზოგადოების გულისწყრომა გამოხატა ვ. ს. წერეთელმა მრისხანე სიტყვებით:

„შეჩვენებულ იქნენ უკუნისამდე ის მასწავლებელნი, რომელშიაც წაინდა უმანკო სული ჰაბუკისა ილუპეის“.**

ჩაგრამ ასეთი პროტესტები საქმეს ვერ შველოდა. ხელისუფლების სრულიად უმნიშვნელო ღონისძიებანი პედაგოგიური კადრების შობზადებისათვის ძალიან შორს იყო ხალხის მზარდ მოთხოვნილებათაგან. სწავლა-განათლების მსურველთა რიცხვი სწრაფად იზრდებოდა, მაგრამ კარგი მასწავლებელი, როგორც ვსთქვით, იშვიათი იყო და უვიც მოხელეებს რჩებოდათ ეს საპატიო ასპარეზი.

„ცისკარის“ ზემოხსენებული თანამშრომელი ჯვარელი 1863 წელს წერდა:

„როცა თორმეტი წლის შეიქმნება ან მეტის, მაშინ საწყალ ბავშვს მშობელი მისცემს სადმე ღემნაზიაში ანდა შკოლაშიდ სასწავლებლად. იქ თუ როგორ ასწავლიან ყმაწვილებს ყველას კარგად მოგეხსენებათ: ღირს მხოლოდ თქვენს შვილებს უნახოთ ყურები და ხელის თითები! გასაკვირია რამ გაუზარდა იმ რიგად ან ყურები ან თითები“.***

ჯვარელს ესმის, რომ ბავშვების კარგად და მეცნიერულად აღზრდა არ შეიძლება მოეთხოვებოდეს უვიც და ჯალათ აღმზრდელებს. ის სინანულით ამბობს ქალთა ინსტიტუტის ზედამხედველებისა და „კლასნი-ქალების“ ანუ „კლასნი-დამების“ შესახებ, რომ მათი საქმენი ჯეროვნად არ არის აღწერილი ლიტერატურაში „თორემ (თუ) ვინმე აგვიწერს ნამდვილ იმათ ცხოვრებას და მიმართულების აზრს, მაშინ ცხადათ და ჭეშმარიტად გვეცოდინება ყმაწვილი ქა-

* V, 67.

** „ცისკარი“ 1861, X.

*** „ცისკარი“ 1863, VIII, 424.

ლების ცოდნა და განათლება თუ როგორი ბრძანდებიან! „რავარიც მღვდელი იმისთანა ერიო,“ იტყვის ანდაზა“.*

60-იანი წლების პროგრესულ საზოგადოებას კარგად ესმოდა, რომ ბავშვების აღზრდა უმთავრესად აღმზრდელზეა დამოკიდებული, და რომ ცუდი აღმზრდელი ცუდ თაობას აღზრდის.

1862 წელს გიორგი ერისთავი აღნიშნავდა რა, რომ ოსტატი „სწავლული იყოს და კეთილის ქცევისა“, წერდა:

„თუ მასწავლებელნი ცუდნი იქნებიან და ცუდს ქცევისანი შენიშვილიც ცუდის ყოფაქცევისა შეიქმნება უეჭველ“.**

ბოწინაველ მშობელთათვის ეს ნათელი იყო. ისინი ხედავდნენ თავის შვილთა სულიერი და ხორციელი დამახინჯების ფაქტებს, მაგრამ ისე უკონტროლოდ მოქმედებდნენ ეს უვიცი და ჯალათი „მასწავლებლები“, იმდენად ექმაგებოდნენ მათ მთავრობის ოფიციალური ორგანოები და მსხვილი ბოხელეები, რომ ძნელი იყო მათ წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის წარმოება. აღსანიშნავია, რომ მსხვილ თავადაზნაურობასაც კი უძნელდებოდა ეს ბრძოლა იმ შემთხვევაშიც, როდესაც ძველი სკოლის მკაცრ რეჟიმს მათი შვილებიც განიცდიდნენ.

—

XIX ს. სამოციანი წლების ქართული პედაგოგიკური კულტურისა და მასწავლებელთა ჩამორჩენილობა იმითაც უნდა აიხსნას, რომ ამ პერიოდამდის ჩვენში არ იყო სპეციალური პედაგოგიური განათლების სასწავლებლები. მართალია, თბილისის სასულიერო სემინარია, თბილისის და ქუთაისის გიმნაზიები და წმინდა ნინოს სახელობის თბილისისა და ქუთაისის ქალთა სასწავლებლები აღნიშნულ პერიოდში ამზადებდნენ სათანადო კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლებს სამაზრო, სასულიერო და საერო სასწავლებელთათვის და საშრევლო სკოლებისათვის, მაგრამ მათ არა ჰქონდათ სპეციალური პედაგოგიური მოსამზადება და უმრავლეს შემთხვევაში თავის დანიშნულებას, როგორც ვნახეთ, არ შეეფერებოდნენ. მაგრამ მათ კვალიფიკაციას რომ თავი დავანებოთ, ისინი არც რიცხობრივად იყვნენ საკმარისი საქართველოს დაწყებითი სკოლების მზარდი ქსელისათვის. ველარც ღვდელ-დიაკვნები, ფოფოდიები, და სხვა კერძო მასწავლებელ-აღმზრდელნი სწვდებოდნენ საშინაო

* „ცისკარი“ 1863, VIII, 426.

** „ცისკარი“ 1862, 10, 76.

განათლების მიღებისა და უბრალო წერა-კითხვის მსურველთა მოთხოვნილებებს.

60-იანი წლების მეორე ნახევარში, ბატონ-ყმობის ინსტიტუტის დაცემასთან დაკავშირებით, როგორც ვწერდით, სწრაფად გაიზარდა სასწავლებელთა და მოსწავლეთა რიცხვი. აღნიშნული გექონდა აგრეთვე, რომ 1865—66 წლისათვის საქართველოში იყო 250-ზე მეტი სასწავლებელი—11000-ზე მეტი მოსწავლით. მაგრამ სწავლის მსურველთა რიცხვი გაცილებით მეტია, ვიდრე შესაძლებლობა მათი დაკმაყოფილებისა. „ცისკრის" გადმოცემით, ეს სკოლებიც ვერ უზრუნველყოფენ მსურველებს. „ასობით არიან კანდიდატები ქალები და ვაჟები პანსიონებში მისაღებად, მოუთმენლივ მოელიან ნიშობლები და გაიხსნა თუ არა ერთი ვაკანსია, ამ ერთს ვაკანსიას ორმოცი და სამოცი ჰყავს მაყურებელი. კლასებში აღარ არის ალაგი, სადაც შეიძლებოდეს დაწესებულის რიცხვზედ მეტის მოთავსება".* ხალხი იძულებული იყო კვლავ ნიეგარეთა ინდივიდური, საშინაო სწავლა-განათლებისათვის.

ნართლაც, გაიშალა საშინაო განათლების ქსელი და კერძო მასწავლებლობის პრაქტიკა. სასულიერო წოდების, თავადაზნაურობისა და გლეხთა სახლებში კვლავ ეწეოდნენ ჯგუფურ და ინდივიდურ სწავლებას. თუმცა ეს სწავლება ყოველგვარი გეგმისა და პროგრამის გარეშე მიმდინარეობდა, ნაგრამ მოსწავლეთა რიცხვი მაინც მატულობდა.

ხალხი თავის ხარჯით ხსნიდა სკოლებს. მაგრამ მეოდნე მასწავლებლები რომ არ ჰყოფდა, ხშირად უსწავლელ პირებს იწვევდა მასწავლებლად. ამის ერთ ფაქტს სამეგრელოს ცხოვრებიდან გადმოგვცემს კ. ბ ო ტ ო ზ ი ნ ი 1865 წელს: „სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ჯერჯერობით სამეგრელოში სასწავლებლები ძალიან ცოტაა... სწავლის სურვილი კი დიდი აქვთ აქაურებს, ისე დიდი, რომ სოფლებში აქა-იქ თავისთავად გაიხსნა სკოლები, სადაც მასწავლებლად თითქმის უვიცნი არიან".**

ანგვარად, სასწავლებელთა და მოსწავლეთა რიცხვის ზრდა, საშინაო სწავლა-აღზრდის პრაქტიკის გაფართოება, უწიგნურობის აცილების ნრავალი სხვა ცდა და ნოუნზანებელ მასწავლებელთა გამრავლება გადაუდებელ ამოცანად აყენებდა საკითხს განათლებულ ნასწავლებელთა რიცხვის გაზრდის შესახებ.

---

* „ცისკარი" 1866. III, 12.

** კ. ბ ო ტ ო ზ ი ნ ი, რ. ჟ ო ი ს თ ა ვ ი და მ ო ს ი ე, ბატონყმობა სამეგრელოში, 1927, ტ5.

ყოველივე ამან საქართველოს მმართველი წრეები იძულებული გახადა გაეხსნათ თბილისში 1865 წელს ქალთა პირველი თანრიგის პედაგოგიური გახხრის სასწავლებელი (კავკასიის მეფისნაცვლის მეუღლის) ოლგა თეოდორეს ასულის სახელობისა და 1866 წელს ვაჟთა სამასწავლებლო სკოლა ალექსანდრე II სახელობისა.

თ ბ ი ლ ი ს ი ს პ ი რ ვ ე ლ ი თ ა ნ რ ი გ ი ს ქ ა ლ თ ა ს ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი. ოლგა თეოდორეს ასულის სახელობის თბილისის ქალთა სასწავლებლის წესდება დამტკიცებულ იქნა 1865 წ. 12 მარტს, ხოლო არსებობას იწყებს იგი აპრილის თვიდან კუკიაში, ისარლოვის სახლებში. ამ სასწავლებლის მიზანს შეადგენდა „საშინაო“ მასწავლებელთა მომზადება. მისი წესდება (მუხლი 47) სასწავლებლის მიზნის შესახებ ამბობს: „ქალაქის ყველა წოდებისა და სარწმუნოების მოსახლეობას მისცეს საშუალება თავიანთ ქალიშვილებს მიაღებინონ მათი მოთხოვნილების ზესაფერისი განათლება საოჯახო ცხოვრებიდან მოუწყვეტლად“.* ეს ქალთა სასწავლებელი არსებობდა ოლგა თეოდორეს ასულისა და კავკასიაში მეფის მოადგილის ხარჯზე. იგი წარმოადგენდა სპეციალური საშუალო ტიპის სასწავლებელს, რუსეთის იმპერიაში არსებული ე. წ. პირველი თანრიგის (разряд) ქალთა სასწავლებლის უფლებით; მოსწავლეთა ასაკი განისაზღვრებოდა 7—8 წლიდან 17—18 წლამდის, ე. ი. პირველ კლასში მიიღებოდა 7—8 წლის ასაკის გოგონები, ხოლო სრული კურსი კი უნდა დაემთავრებინათ არა უგვიანეს 18 წლის ასაკისა. სასწავლებლის კურსი განიყოფებოდა სამ ციკლად: 1. ელემენტარული, 2. ზოგადი განათლებისა და 3. სპეციალურ-პედაგოგიური.

ელემენტარული ციკლი წარმოადგენდა სასწავლებლის პირველ საფეხურს. სწავლება ამ საფეხურზე შეიცავდა 2 კლასს (1—2) და განისაზღვრებოდა 2 წლით; ასწავლიდნენ: 1. საღვთო სჯულს (მოკლე კატეხიზმო, ძველი და ახალი აღთქმის ისტორია), 2. წერა-კითხვას რუსულ ენაზე, 3. წერა-კითხვას მშობლიურ ენაზე, 4. არითმეტიკას (ოთხი მოქმედების ფარგლებში) და 5. ზოგიერთი ძირითადი დისციპლინის** ელემენტარულ კურსს. ნებაყოფლობით ანუ ფაკულტატურ საგნებად ჩიჩნეული იყო: ფრანგული და გერმანული ენები, ცეკვა და მუსიკა.

---

* „Кавказ“, 1865, 22.

** ამ დისციპლინების შერჩევა ფაქტიურად დამოკიდებული იყო სასწავლებლის ადმინისტრაციაზე.

ზოგადი განათლების ციკლი წარმოადგენდა სასწავლებლის მეორე საფეხურს 2 კლასით (3—4) და ორი წლის კურსით. ამ საფეხურზე ისწავლებოდა: 1. საღვთო წერილი (ძველი და ახალი აღთქმის ვრცელი ისტორია, ლიტურგია და ქრისტიანული ეკლესიის ისტორია), 2. რუსული ენა და სიტყვიერება, 3. ზოგადი და რუსეთის ისტორია, 4. ზოგადი და რუსეთის გეოგრაფია, 5. არითმეტიკა და მათემატიკური განზომილების ელემენტები, 6. ფილოსოფიური პროპედევტიკა, 7. სუფთაწერა, 8. ხატვა, 9. ხელსაქმე, 10. გალობა და 11. მშობლიური ენა. ფაკულტატურ საგნებად ისწავლებოდა: გერმანული, ფრანგული, ქართული, სომხური და თათრული ენები, ცეკვა და მუსიკა.*

სპეციალურ-პედაგოგიური ციკლი წარმოადგენდა სასწავლებლის მესამე საფეხურს. ეს საფეხურიც შეიცავდა 2 კლასს (5—6) ორწლიანი კურსით. ამ ციკლში შედიოდა პირველ და მეორე საფეხურზე გავლილი საგნების გაღრმავებული შესწავლა (პირველ წელს, ე. ი. მე-5 კლასში), ხოლო ახალ საგნებად ემატებოდა ზოგადი პედაგოგიკის საფუძვლები დიდაქტიკით და პრაქტიკული (საცდელი) გაკვეთილების გადაცემა ელემენტარული ციკლის (ე. ი. დაბალ) კლასებში.

თბილისის 1-ლი თანრიგის ქალთა სასწავლებლის სათავეში იდგა დირექტორი,** რომელიც, წესდების მიხედვით, „სამსახურით, მუსდირით ანუ კლასით უდრის გიმნაზიის დირექტორებს“, ხოლო ამ სასწავლებლის მასწავლებლები სარგებლობდნენ გიმნაზიების მასწავლებელთა უფლებით.

თბილისის ქალთა სასწავლებლის კურსის დასრულების შემდეგ ოსწავლეთ ენიჭებოდა „შინაური“ მასწავლებლის წოდება დაწყებითი სკოლების (1—2 კლასში) სწავლების უფლებით.

სასწავლებელი კარგი ავტორიტეტით სარგებლობდა თბილისის საზოგადოებაში. გახსნის პირველ წელს (1865) მასში მიღებულ იქნა 107 ქალიშვილი 7—9 წლის ასაკისა, შემდეგში სწავლის მსურველთა რიცხვი ყოველწლივ იზრდებოდა.

1869 წელს თბილისის 1-ლი თანრიგის ქალთა სასწავლებლებთან, მასწავლებელთა ჯგუფის ინიციატივით, გაიხსნა ქალთა

* რუა მოწაფეებს უნდა ესწავლათ რომელიმე აქ დასახელებული ენა. ფაკულტატური საგნების სწავლებისათვის ბავშვებს ახდევინებდნენ დამატებით ქირას.

** 1868 წლიდან—ინსპექტორი.

ერთწლიანი პედაგოგიური კურსები როგორც ამავე სასწავლებლებში კურსდამთავრებულთა, ისე თბილისის სხვა სასწავლებელთა პედაგოგების კვალიფიკაციის ასამაღლებლად. კურსებზე იკითხებოდა ლექციები ფიზიკა-მათემატიკაში, რუსულ ენასა და სიტყვიერებაში, პედაგოგიკასა და კერძო მეთოდიკებში. მეცადინეობას აწარმოებდნენ თბილისის საშუალო სკოლების მოწინავე მასწავლებლები. პედაგოგიკასა და დიდაქტიკაში ლექციებს კითხულობდა ამავე სასწავლებლის ინსპექტორი ლ. მოდზალევსკი (კ. დ. უშინსკის მოწაფე). კურსები მსმენელთა დიდ რიცხვს იზიდავდა. ასე, მაგალითად, მისი გახსნის 3—4 თვის შემდეგ, 1870 წლის თებერვალში, კურსებზე 102 ქალი სწავლობდა.

1870 წლის 2 ოქტომბერს აღნიშნულ სასწავლებელს მოემატა მე-7 პედაგოგიური კლასი. მიზანი იყო მოსწავლეთა მომზადება სამასწავლებლო მოღვაწეობისათვის სწავლა-აღზრდის საქმის თეორიული და პრაქტიკული „გაცნობის საშუალებით“.* პედაგოგიკასა და დიდაქტიკას კითხულობდა ლ. პ. მოდზალევსკი (კვირაში 2 ს.), მე-7 კლასის მოსწავლეები პრაქტიკულ გაკვეთილებს აძლევდნენ იმავე სასწავლებლის დაწყებით კლასებში.

მე-7 პედაგოგიური კლასის გახსნით სრულებით შეიცვალა ქალთა სასწავლებლის მესამე საფეხურის (სპეციალურ-პედაგოგიური ციკლის) სასწავლო გეგმა. მას მიეცა ზოგადი ხასიათი და არსებითად გადაკეთდა ქალთა გიმნაზიების V—VI კლასების გეგმის მიხედვით. ეს იყო წინასწარგანსაზღვრული ღონისძიება, რომ სასწავლებელი გიმნაზიად გადაკეთებულიყო, და, მართლაც, იმავე 1870 წელს თბილისის 1-ლი თანრიგის ქალთა სასწავლებელი „უმაღლესი“ ბრძანებით გადაკეთდა ქალთა გიმნაზიად, 7 კლასით. ეს იყო პირველი ქალთა გიმნაზია მთელს საქართველოსა და ამიერკავკასიაში.

თბილისის სამასწავლებლო სკოლა. 1866 წელს თბილისში დაარსდა სამასწავლებლო სკოლა. იგი დაარსა კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმადგენელმა საზოგადოებამ.

ეს საზოგადოება შექმნილი იყო 1860 წლის ივნისში (კავკასიის მეფისნაცვლისა და საქართველოს ეგზარხოსის თავჯდო-

---

* Циркуляр попеч. КУО, 1870, IX—X, 28.

ბარეობით) და მიზნად ისახავდა აღედგინა და გაემტკიცებინა მართლმადიდებლური ქრისტიანობა კავკასიის იმ მთიელ ტომებსა და განაპირა მოსახლეობაში, რომლებშიც გავრცელებული ან ფეხმოკიდებული იყო მაჰმადიანური სარწმუნოება. მათში საქართველოს მოსახლეობიდან შედიოდნენ: თუშ-ფშავ-ხევსურები, სვანები, სამურძაყანოელები, მესხები, ჯავახები, უდინები; არაქართველ ტომთაგან: აფხაზები, ოსები. აღნიშნული მიზნის მისაღწევად საზოგადოება მიმართავდა როგორც ეკლესიების დაარსებას, ისე დაწყებითი სკოლების გახსნას ქრისტიანული განათლების გავრცელებისათვის. ეს სკოლები განზრახული იყო ორივე სქესის ბავშვებისათვის და შეიცავდნენ 2-ს, ზოგან 3 კლასს და ამის მიხედვით 2—3 წლიანი სწავლების კურსს. ასწავლიდნენ საღვთო სჯულს, რუსულ და ქართულ (მშობლიურ) ენებს, ანგარიშს, გალობას:

ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების სკოლების რიცხვი სწრაფად იზრდებოდა. 1865 წლისათვის მას კავკასიაში ჰქონდა 58 დაწყებითი სკოლა, აქედან 32 საქართველოს განაპირა კუთხეებსა და სამხრეთ ოსეთში. სწავლება უმთავრესად რუსულ ენაზე წარმოებდა. მოწაფეთა რიცხვი აღნიშნულ სკოლებში ამ დროისათვის 1007 აღწევდა. საზოგადოებისათვის უკვე ნათელი იყო, რომ სკოლების რიცხვის შემდგომი ზრდა ძალიან ფერხდებოდა მასწავლებელთა სიმცირის გამო. განსაკუთრებულ იშვიათობას წარმოადგენდა რუსულ ენაზე მოლაპარაკე პედაგოგიური კადრები. ამ გარემოებამ გამოიწვია თბილისში ს ა მ ა ს წ ა ვ ლ ებ ლ ო ს კ ო ლ ი ს დ ა ა რ ს ებ ა. სკოლა გაიხსნა 1865 წლის დეკემბერში თბილისის განაპირა უბანში, ნავთლუღში. მას ეწოდა მეფე ალექსანდრე II სახელი.*

თბილისის ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო სკოლა საფინანსო-სამეურნეო დარგში ექვემდებარებოდა ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებას, ხოლო სასწავლო-პედაგოგიური მუშაობის დარგში—კავკასიის სასწავლებელთა სამმართველოს მთავარ ინსპექტორს (1867 წლიდან კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს). მისი მიზანი იყო მასწავლებელთა მომზადება დაწყებითი სკოლებისათვის. თავდაპირველად თბილისის სამასწავლებლო სკოლა შეიცავდა 3 კლასს სწავლების 3-წლიანი კურსით.

* „Кавказ" 1865, № 32; 1866, № 76; 1867, № 80.

მოწაფეებს ღებულობდნენ არა უმცირეს 16 წლის ასაკისას, რომ-ლებსაც უნდა ჰქონოდათ დამთავრებული დაწყებითი სკოლა ანდა ამავე სკოლის პროგრამით უნდა ჩაებარებინათ გამოცდები: 1. საღვთო სჯულში (მოკლე კატეხიზმო და საღვთო ისტორია), 2. რუსულ ენაში (რუსული წერა-კითხვა ადგილობრივ მკვიდრთა ბავშვებს), 3. არითმეტიკაში (ოთხი მოქმედება მთელ რიცხვებზე).

სამასწავლებლო სკოლის გახსნას დიდი ინტერესით შეხვდა თბილისის ახალგაზრდობა. გახსნის მომენტშივე იქნა შევსებული 1-ლი კლასის წინასწარ განზრახული კონტინგენტი 23 კაცის რაოდენობით (მათ შორის იყო 16 ქართველი), მაგრამ ამ სკოლაში შესვლის მსურველთა დიდი რიცხვის გამო, ადმინისტრაცია იძულებული იყო კონტინგენტი გაედიდებინა 40 კაცამდე. მოწაფეები მოდიოდნენ თბილისის სხვადასხვა სასწავლებლიდან,* ხშირად საშუალო სასწავლებელთა ზედა კლასებიდანაც კი.

სკოლასთან არსებობდა პანსიონი სახელმწიფო ხარჯზე. მოწაფეთა უმრავლესობა პანსიონში ცხოვრობდა.

ალექსანდრეს სახელობის თბილისის სამასწავლებლო სკოლა იზიდავდა ახალგაზრდობას იმით, რომ იგი ამზადებდა არა მარტო ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოების, არამედ, საერთოდ. საქართველოს ყველა დაწყებითი სკოლის მასწავლებლებს, წარმოადგენდა საერო ტიპის სასწავლებელს, რომელიც თავისუფალი უნდა ყოფილიყო სასულიერო სასწავლებელთა და გიმნაზიებში გამეფებული სქოლასტიკურ-დოგმატიკური მეთოდებისა და ადამიანის ღირსების დამამცირებელი რეჟიმისაგან. ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ თბილისის სამასწავლებლო სკოლა იყო სრულიად ახალი ტიპის პედაგოგიური სასწავლებელი (მეორე მთელ იმპერიაში,** ეს იყო პროტოტიპი რუსეთში ახალი სამასწავლებლო

---

* სამასწავლებლო სკოლის პირველ კლასში შედიოდნენ უმთავრესად თბილისის სასულიერო სემინარიისა და სასულიერო სასწავლებლის მოწაფეები. ეს გარემოება იწვევდა ამ სასწავლებელთა -გარკვეულ დისკრედიტაციას; ამის გამო სასულიერო სემინარიის ოექტორმა ვ ი კ ტ ო რ ი ნ მ ა კატეგორიულად მოითხოვა სამასწავლებლო სკოლის დირექტორის ზ ა ხ ა რ ო ვ ი ს ა გ ა ნ არ მიეღო მას სამასწავლებლო სკოლაში სასულიერო სემინარიისა და სასულიერო სასწავლებლის მოწაფეები. მაგრამ ამ უკანასკნელთა ლტოლვა იმდენად ძლიერი იყო სამასწავლებლო სკოლისადმი, რომ რექტორის ვერავითარმა ზეკ.რ: ვერ გაჭრა.

** პირველი იყო ქ. მოლოდჩენში. მოსკოვში კი—სამხედრო სამასწავლებლო სემინარია, რომელიც ამზადებდა მასწავლებლებს _დაწყებით სამხედრო სასწავ-

სემინარიებისა, რომლებიც 1870 წელს დებულების მიხედვით იქნენ დაარსებული). მართლაც, თბილისის ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო სკოლა მისი გახსნის პირველი წლიდანვე პერიოდულ პრესაში და ფართო საზოგადოებაში ყოველთვის სემინარიად იწოდებოდა. კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი თავის ანგარიშებში 1867—1868 წლისათვის წერდა, რომ თბილისის სამასწავლებლო სკოლას მისი ადმინისტრაცია მხოლოდ თავმდაბლობით უწოდებს სკოლას, არსებითად კი იგი არის სამასწავლებლო სემინარია.

თბილისის სამასწავლებლო სკოლა, თავისი სტრუქტურით (3 კლასი), სწავლის ხანგრძლივობით (3-წლიანი) და, პირველ ყოვლისა, თავის სასწავლო გეგმით, მოსწავლეთა პედაგოგიურ-მეთოდური მომზადებით და პრაქტიკულ-სავარჯიშო გაკვეთილების ორგანიზაციით იყო 1870 წლის დებულებით დაარსებული სემინარიის ტიპის სასწავლებელი. მის სასწავლო გეგმაში შედიოდა შემდეგი საგნები: 1. საღვთო სჯული, 2. რუსული ენა, 3. პედაგოგიკა (დაწყებითი სკოლის დისციპლინების კერძო მეთოდიკებით), 4. ისტორია, 5. გეოგრაფია, 6. არითმეტიკა, 7. გეომეტრია, 8. ჰიგიენა, 9. პოპულარული მედიცინა, 10. ბუნებისმეტყველება (ზოგადი ცნობები), 11. სუფთაწერა, 12. ხაზვა-ხატვა, 13. გალობა, 14. გიმნასტიკა. გარდა ამისა სამასწავლებლოს სკოლის მოწაფეები იღებდნენ აგრეთვე სათანადო პრაქტიკულ ცოდნა-ჩვევებს სასოფლო-სამეურნეო და სახელოსნო შრომის ზოგიერთი დარგების (მებაღეობა, ხარატობა, დურგლობა, ზეინკლობა, მკინძაობა) შესახებ.

თბილისის სამასწავლებლო სკოლის დაარსებიდან ერთი წლის შემდეგ, წესდების თანახმად, მასთან გაიხსნა პირველდაწყებითი სასწავლებელი „სამასწავლებლო სკოლის მოსწავლეთა პრაქტიკული ვარჯიშობისათვის“ (წესდ. მე-3 მუხ.). ეს სასწავლებელი იყო ორწლიანი. აქ ასწავლიდნენ: საღვთო სჯულს, რუსულ ენას, არითმეტიკას, სუფთაწერას, გალობას.

არ იქნება ინტერესმოკლებული მოვიყვანოთ სამასწავლებლო სკოლის ცხრილი (1867 წ.) კლასების მიხედვით, საგნების განა-

---

ლებელთათვის. კავკასიაში პირველი სემინარია გაიხსნა 1869 წელს („კუბანის სამასწავლებლო სემინარიის“ სახელწოდებით) სტანიცა სტაროკორსუნსკაიაში, რომელიც 1870 წლიდან ქ. ეკატერინოდარში გადაატანეს.

წილებით და მათთვის განკუთვნილი კვირეული საათების აღ-ნიშვნით:*

საგნების დასახელება	I კლ.	II კლ.	III კლ.
1. საღვთო სჯული	4	3	1
2. პედაგოგიკა	—	2	2
3. რუსული ენა	6	4	8
4. გეოგრაფია	3	2	—
5. ისტორია	—	3	3
6. არითმეტიკა, გეომეტრია, ხაზვა	6	4	2
7. ბუნებისმეტყველება	5	3	2
8. ჰიგიენა და პოპულ. მედიცინა	—	—	2
9. სუფთაწერა	2	2	—
10. გალობა	2	2	2

ადგილობრივი ენები არ ითვლებოდა სავალდებულოდ და ამიტომ არც გეგმაში შედიოდა. ქართველი მოსწავლეები ᲒᲨობლიურ ენას სწავლობდნენ სავალდებულო გაკვეთილების დამთავრების შემდეგ, კვირაში 4 საათს.

გიმნასტიკა, ბაღებსა და სახელოსნოებში მუშაობა, მართალია, სავალდებულო იყო, მაგრამ ცხრილში არც ეს მეცადინეობანი შედიოდა, თუმცა მოსწავლეები მას ასრულებდნენ ზუსტად განსაზღვრულ დღეებსა და საათებში.

ეს ცხრილი მოწმობს, რამდენად მცირემნიშვნელობის ადგილი აქვს დათმობილი პედაგოგიკას პედაგოგიურ სასწავლებელში (კვირაში ორ-ორი საათი II და III კლასებში) და რაოდენი უპირატესობით სარგებლობს აქვე საღვთო სჯული. გარდა ამისა, პედაგოგიკის კურსში თითქმის სრულებით არ იყო გათვალისწინებული თეორიული პედაგოგიკისა და პედაგოგიკის ისტორიის საკითხები. ოლქის მზრუნველი თავის ანგარიშში, 1868 წელს, ალექსანდრეს-სახელობის თბილისის სკოლის მდგომარეობის შესახებ არ მალავს,

* „Кавказ" 1867 № 80.

რომ ამ სკოლაში პედაგოგიკის კურსი 1867 წელს წარმოადგენდა ცალკე პედაგოგიურ თემებზე შედგენილი მონოგრაფიების უბრალო კრებულს და არა სისტემატურ კურსს. სახელდობრ, ამ წლის პედაგოგიკის პროგრამაში შედიოდა მთლიანად: I. დიდაქტიკური საკითხები („1. სწავლების წესები, რაც მოწაფეს ეხება, 2. წესები, რაც სწავლების საგანს ეხება, 3. სწავლების წესები, რაც მასწავლებელს ეხება, და 4. სწავლების წესები, რაც გარეშე გარემოებას ეხება), II. თვალსაჩინო სწავლება, III. წერა-კითხვის სწავლება, IV. მშობლიური ენის სწავლება, V. არითმეტიკის სწავლება, VI. ადგილობრივ მკვიდრთათვის რუსული ენის სწავლება".*

ეს გარემოება, ერთი მხრით, აიხსნება იმით, რომ მაშინ ჯერ კიდევ არ იყო დადგენილი ზოგადი პედაგოგიკის კურსის შინაარსი, ხოლო, მეორე მხრივ—არ იყვნენ პედაგოგიკის კვალიფიციური სპეციალისტები, ლექტორ-მასწავლებლები.

კერძო მეთოდიკების კურსს (ყველა იმ საგნისა, რომელიც დაწყებით სკოლაში ისწავლებოდა), როგორც ვხედავთ, მოსწავლეები ეცნობოდნენ პედაგოგიკის კურსიდან. ამას გარდა, ყოველი საგნის მასწავლებელს ევალებოდა ესწავლებინა აგრეთვე თავისი საგნის სწავლების მეთოდიკაც. ამიტომ ცხრილში კერძო მეთოდიკების საათები ცალკე არ იყო გამოყოფილი. ეს, რასაკვირველია, არ არის ნორმალური გარემოება, რაც მოწმობს პედაგოგიკურ მეცნიერებაში ჯერ კიდევ დაბალ დონეს 60-იანი წლების დასასრულისათვის.

მართალია, ალექსანდრეს სახელობის თბილისის სამასწავლებლო სკოლაში პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების, სწავლება არ იყო დაყენებული სათანადო სიმაღლეზე, ნაგრამ, სამაგიეროდ, კარგად იყო მოგვარებული მოსწავლეთა პრაქტიკულ-მეთოდიკური მომზადება.

მოსწავლეები მესამე კლასში იწყებდნენ პედაგოგიურ პრაქტიკას. საცდელ გაკვეთილებს აძლევდნენ სამასწავლებლო სკოლასთან არსებულ პირველდაწყებით სასწავლებელში. ამ გაკვეთილებს ესწრებოდნენ საგნის მასწავლებლები, კლასის დამრიგებლები და თავისუფალი პრაქტიკანტები. გადაცემული გაკვეთილის შემდეგ წარმოებდა მისი გარჩევა აღნიშნულ პირთა შემადგენლობაში.

ქართული ენა თბილისის სამასწავლებლო სკოლაში (სემინარიაში) არ ითვლებოდა სავალდებულო საგნად და ამის გამო არც

* Циркуляр КУО, 1868, № 8, 44—45.

�aილში შედიოდა. სასწავლებელი, რომელიც ამზადებდა მასწავლებლებს უმთავრესად საქართველოს სკოლისათვის, ქართველი ტომის მოსწავლეების აბსოლუტური უმრავლესობით,—არ თვლიდა საჭიროდ ქართული ენის შემოღებას. სკოლის დირექტორი ზ ა ხ ა რ ო ვ ი, როგორც მეფის კოლონიური პოლიტიკის ერთგული მიმდევარი და რუსიფიკატორი, სასტიკად სდევნიდა ქართულ ენას, თუმცა ამას ფორმალურად არ ამჟღავნებდა, ის არ უწევდა ანგარიშს იმ ფაქტს, რომ ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოებისა და საერო-ოდ დაწყებით სკოლებში, რომელთათვისაც ამზადებდა იგი მასწავლებლებს, ქართული ენა სავალდებულო საგანი იყო და, მაშასადამე, საჭირო იყო ამ საგნის მასწავლებელთა მომზადებაც. ეს გარემოება არ გამოპარვია მხედველობიდან სამოციანელი ქართველი ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლებს. მაგალითად, გ ი ო რ გ ი წ ე რ ე თ ე ლ ი 18[illegible]7 წელს თბილისის სამასწავლებლო სკოლის (სემინარიის) სასწავლო გეგმაში ქართული ენის შეუტანლობის გამო სწერდა კ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე ს: „ზემოხსენებულ მასწავლებლების სემინარიას უნდა ეწოდოს „Учительская семинария". ამ სასწავლებელში ქართული ენა არ უნდა იყოს. როდესაც ამ სასწავლებელში შეასრულებენ სწავლას ყმაწვილები, შემდეგ იმათ გაგზავნიან მასწავლებლებად „სასოფლო სკოლებში", სადაც იმათ გლეხების ყმაწვილებს უნდა ასწავლონ რუსული წერა-კითხვა და ლაპარაკი, ქართული კი არასგზით არ უნდა ასწავლონ. ასე, ამრიგად, მთელი ხალხობა უნდათ გაარუსონ... ვერიდოთ ძმაო, რომ მყობადში დედ-მამის მკვლელი არ დაგვიძახონ".*

თბილისის სამასწავლებლო სკოლაში ქართული ენის სწავლების აკრძალვის ფაქტი იყო ერთ-ერთი პირველი გაბოლაშქრება ქართული ეროვნული კულტურის წინააღმდეგ სამოციან წლებში. ჩვენმა მოწინავე ინტელიგენციამ იცოდა, რომ თუ სახალხო სკოლებს ქართული ენის (დედაენის) მასწავლებლებს არ მოუმზადებდნენ,—მოძავალი თაობა მმობლიურ ენას დაივიწყებდა, ხალხი გადაგვარდებოდა. ამიტომ იყო, რომ დუმილი და ამ ფაქტისადმი შერიგება მიაჩნდათ მათ „დედ-მამის მკვლელობად".

მიუხედავად ქართველი საზოგადოების წინააღმდეგობისა, ზ ა ხ ა რ ო ვ ი არაფერს უშინდებოდა. მას მხარს უჭერდნენ მეფის მოადგილე, სასწავლო ოლქის მზრუნველი და სხვა ჩვენში მოვლენილი

* ბ. წ ე რ ე თ ე ლ ი, I, 414.

„დიდებული გვამები“. ქართული ენა არც შემდეგ წლებში შეუტანიათ თბილისის სამასწავლებლო სკოლის სასწავლო გეგმაში. ამ სკოლის ქართველი მოწაფეები მშობლიურ ენას მაინც სწავლობდნენ მაგრამ სკოლის ადმინისტრაციისაგან დამოუკიდებლად, თავისუფალ დროს და თავის ხარჯით.

სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი თბილისის სამასწავლებლო სკოლაში 1867 წლიდან რეგულირდებოდა დირექტორის სპეციალური ინსტრუქციით („ინსტრუქცია ალექსანდრეს სახელობის სკოლის მასწავლებელ-აღმზრდელებს“).* ინსტრუქცია ეხებოდა შემდეგ (ზოგად) დებულებებს: 1. მასწავლებელ-აღმზრდელთა მუშაობის მიზნები, 2. მათი (მიზნების) მიღწევის საშუალებანი, 3. აღმზრდელთა მუშაობის მიმართულება, 4. ქრისტიანული რელიგიის სულისკვეთებით აღზრდის აუცილებლობა, 5. სკოლისგარეშე ყოფაქცევაზე მეთვალყურეობის აუცილებლობა, 6. აღზრდის მიზნების მიღწევის ძერძო საშუალებანი: ა) უშუალო მეთვალყურეობა მოსწავლეებზე, ბ) მათთან მუდმივად ყოფნა, გ) საუბრები და ლიტერატურული კითხვა; 7. მოსწავლეებთან აღმზრდელთა მუშაობის ხერხები, 8. წახალისება და დასჯა, 9. აღმზრდელთა დამოკიდებულება ურთიერთშორის.

ამ ზოგად დებულებათა გარდა, ინსტრუქცია შეიცავდა კიდევ ერთ კარს—აღმზრდელების ძერძო მოვალეობათა შესახებ. მართალია, თბილისის სამასწავლებლო სკოლის ინსტრუქციაში ახალი არაფერი იყო, მაგრამ ის წარმოადგენდა პედაგოგიკურ მეცნიერებათა მონაცემების დალაგებას აღნიშნულ საკითხებზე და ამით იწვევდა სათანადო ინტერესს მასწავლებელთა წრეებში. იმავე 1867 წლის აგვისტოში აღნიშნული ინსტრუქცია მოიწონა კავკასიის სასწავლებელთა მთავარმა ინსპექტორმა და ცირკულარულად დაუგზავნა იგი კავკასიის ყველა გიმნაზიასა და პროგიმნაზიას სახელმძღვანელოდ.

1869 წელს თბილისის სამასწავლებლო სკოლამ ზეიმით აღნიშნა თავის მოსწავლეთა პირველი გამოშვება 13 კვალიფიკაციური პედაგოგის რაოდენობით.

1870 წელს შემუშავდა პროექტი რუსეთში სამასწავლებლო ინსტიტუტების დაარსების (უფრო სწორად: აღდგენის) შესახებ. თბილისის სამასწავლებლო სკოლის ადმინისტრაციამ გადაწ-

* Циркуляр, 1868, VIII, 44—45.

ყვიტა მოემზადებინა ნიადაგი სამასწავლებლო სკოლის გადაკეთებისათვის სამასწავლებლო ინსტიტუტად და ამ მიზნით 1870 წლიდან თბილისის სამასწავლებლო სკოლის სასწავლო გეგმასა და პროგრამებში შეაქვთ ცვლილებები მომავალი სამასწავლებლო ინსტიტუტების სასწავლო გეგმისა და პროგრამების მიხედვით. 1870 წლის ანგარიშში აღნიშნული სკოლის დირექტორი ამბობს, რომ „სამასწავლებლო სკოლა მიილტვოდა შეძლების მიხედვით შეესრულებინა პროგრამა დაპროექტებული სამასწავლებლო ინსტიტუტებისა, რამდენადაც ამის საშუალებას გვაძლევდა საშწლიანი კურსის მოკლევადიანობა, სკოლაში შემსვლელთა სუსტ მომზადებასთან ერთად". დირექტორი ამავე ანგარიშში მოითხოვდა აგრეთვე სკოლისათვის მე-4 კლასის მომატებას, რომ ამით უფრო მაღლა აეწია არარუს მოსწავლეთა მიერ რუსული ენის დაუფლების საქმე და საერთოდ ყველა მოსწავლეთა ცოდნის დონე სხვა საგნებში.

სამასწავლებლო სკოლა დიდხანს არ დარჩენილა ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოების გამგებლობაში. 1871 წლის დასაწყისში ის გადაეცა კავკასიის სასწავლო ოლქს და სახაზინო ხარჯზე ექვადავიდა. ამ მომენტისათვის თბილისის სამასწავლებლო სკოლაში სწავლობდა 45 მოწაფე. აქედან: ქართველი—22, რუსი—8, სომეხი—7, ოსი—6, აფხაზი—1, უდინი—1; წოდების მიხედვით: თავადი—3, აზნაური—17, სასულ. წოდ.—5, გლეხი—20. აღნიშნულ დროისათვის საგრძნობლად გაფართოვდა სახალხო სკოლების კურსი, სამაზრო სკოლებსაც მიემატა ერთი კლასი და ოთხწლიანი საქალაქო სკოლებიც შემოდიოდა პრაქტიკაში. საჭიროდ მიიჩნიეს ამ სასწავლებელთათვის უფრო ფართო განათლების პედაგოგების მომზადება, ვიდრე ეს შეეძლო სამასწავლებლო სკოლას და, ამის გამო, 1871 წელს, ალექსანდრე II სახელობის თბილისის სამასწავლებლო სკოლა გადაკეთდა ალექსანდრეს სახელობის თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტად. ეს იყო პირველი ინსტიტუტი მთელ იმპერიაში, რადგანაც სამასწავლებლო ინსტიტუტებმა ბოლოდ 1872 წლიდან იწყეს არსებობა რუსეთის სხვა ადგილებში.

—

აღნიშნულ პედაგოგიურ სასწავლებელთა პარალელურად 60-იან წლებში საქართველოში პედაგოგიური განათლების გავრცელებისა

და მასწავლებელთა მომზადების საქმეს ხელს უწყობდა აგრეთვე ზოგადი განათლების სასწავლებლებთან არსებული პედაგოგიური კლასები ან კურსები და თბილისის პედაგოგიური კურსები და თათბირები, რომლებსაც ამ პერიოდში სისტემატური ხასიათი მიეცა.

1. წმ. ნინოს სახელობის თბილისის ქალთა სასწავლებლის პედაგოგიური კლასი. წმ. ნინოს სახელობის თბილისის ქალთა სასწავლებლებთან 1864 წელს დაარსდა მე-7 პედაგოგიური კლასი. იგი დაარსდა ამავე სასწავლებლის სასწავლო ნაწილის მმართველის ე. ჟელიხოვსკის ინიციატივით. პედაგოგიურ კლასში გადადიოდა ამ სასწავლებლის მეექვსე კლასიდან ყველა, ვისაც კი სურვილი ჰქონდა მასწავლებლობისა. მე-7 პედაგოგიურ კლასში ასწავლიდნენ: 1. პედაგოგიკას (ე. წ. „Опытная педагогика"), 2. დიდაქტიკას (რუსული ენის, არითმეტიკის, ბუნებისმეტყველების და ხაზვის სწავლების კერძო მეთოდიკებით), 3. ბუნებისმეტყველებას, 4. ხაზვას; ამასთან მე-7 კლასის მოსწავლეები აწარმოებდნენ პედაგოგიურ პრაქტიკას (გაკვეთილების გადაცემას) ამავე სასწავლებლის დაბალ კლასებში.

წმ. ნინოს სახელობის თბილისის ქალთა სასწავლებელი ამზადებდა დაწყებითი ორკლასიანი სკოლების მასწავლებელ ქალებს.

2. თბილისის სასულიერო სემინარიასთან არსებული პედაგოგიური კურსები. ეს კურსები გაიხსნა 1866 წელს ამავე სემინარიის მასწავლებლის ღვთისმეტყველების მაგისტრის მღვდ. გიორგი ხელაძის ინიციატივით. იღებდნენ სემინარიის კურსდამთავრებულთ, რომლებსაც სურდათ მასწავლებლობა. კურსები იყო ერთწლიანი და ამზადებდა საეკლესიო-სამრევლო სკოლებისა და სასულიერო სასწავლებელთა მასწავლებლებს.

3. პედაგოგიკური თათბირები. 1866 წლიდან თბილისში, მსგავსად პეტერბურგისა და ნოსკოვისა, იმართებოდა საჯარო პედაგოგიკური თათბირები (Педагогические собрания). თათბირებზე განიხილებოდა შემდეგი საკითხები: 1 აღზრდის მიზნები და ამოცანები, 2. სწავლების მეთოდები, 3. სასწავლო გეგმები, 4. პროგრამები (შედგენა და განხილვა), 5. სახელმძღვანელოები (არსებული სახელმძღვანელოებისა და ადგილობრივი პროექტების განხილვა) და 6. სახალხო განათლებისა და პედაგოგიკის ისტორიის საკითხები. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ თათბირის მონაწილეებს აინტერესებდათ კავკასიის სახალხო განათლების ისტორიის საკითხე-

ბიც. მაგალითად, 1867 წლის 27—29 იანვრის საჯარო პედაგოგიკური თათბირის მასალიდან ჩანს, რომ არჩეული ყოფილა სპეციალური კომიტეტი კავკასიის გიმნაზიების ისტორიის შესადგენად.* მართალია, ასეთი ისტორია არ ყოფილა შედგენილი, მაგრამ საამისო სურვილიც კი აღსანიშნავია. პედაგოგიკური თათბირები იმართებოდა თბილისის კლასიკური გიმნაზიის შენობაში. მასში მონაწილეობდა თბილისის თითქმის მთელი მასწავლებლობა. განსაკუთრებულ ინიციატივას კი იჩენდნენ თბილისის კლასიკური და რეალური გიმნაზიების, 1-ლი თანრიგის ქალთა სასწავლებლის, წმ. ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებლისა და ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო სკოლის მასწავლებლები. თათბირები დიდ ინტერესს იწვევდა თბილისის მასწავლებლობაში. იქ „ცხარე კამათი იმართებოდაო“, წერდა გაზეთი „კავკაზი“ (50). ამასთან ძალიან ხშირად პედაგოგიკური თათბირების მასალები იბეჭდებოდა ქართულ და რუსულ პრესაში, განსაკუთრებით „კავკაზში“.

პედაგოგიკურ თათბირებსა და ყრილობებს მართავდა აგრეთვე კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოებაც.

4. საზაფხულო პედაგოგიური კურსები. 1867 წლიდანვე შემოდის პრაქტიკაში საზაფხულო პედაგოგიური კურსების ორგანიზაცია დაწყებითი სკოლების მასწავლებელთათვის. კურსების მიზანი იყო უკანასკნელთა პედაგოგიკურ-მეთოდიკური კვალიფიკაციის ამაღლება, პრაქტიკაში გამოცდილი მეთოდების პოპულარიზება, ახალი მეთოდების გაცნობა, მასწავლებელთა გამოცდილების გაზიარება, ახალი პედაგოგიკური ლიტერატურის გაცნობა ან რეკომენდაცია და სხვ. პირველი ასეთი კურსები გაიხსნა 1867 წლის ზაფხულზე ქ. თელავში. კურსებზე მოწვეული იყვნენ კავკასიის გიმნაზიების მოსამზადებელი კლასების მასწავლებლები. ლექციებს კითხულობდნენ თბილისის გიმნაზიისა და თბილისის ქალთა პირველი თანრიგის სასწავლებლის მასწავლებლები. პედაგოგიკას უკითხავდა ბელიხოვსკი.

5. ქალთა პედაგოგიური კურსები. თბილისის ქალთა პირველი თანრიგის სასწავლებლისათვის VII პედაგოგიური კლასის მიმატებით ეს სასწავლებელი აღარ იყო დაინტერესებული მასთან პედაგოგიური კურსების არსებობით. ასეთი კურსების საჭიროება კი ისევ დიდი იყო. ამის გამო, თბილისის წმ. ნინოს სახელობის ქალთა

* „Кавказ“ 1837, № 11.

სასწავლებლის ინსპექტორის, ცნობილი ბესარიონ ღოღობერიძის ინიციატივით თბილისში მოეწყო ქალთა პედაგოგიური კურსები. კურსები იყო ერთწლიანი. მსმენელთა უმრავლესობას წარმოადგენდა თბილისის დაწყებითი სკოლებისა და საშუალო სასწავლებელთა დაბალი კლასების მასწავლებლობა. კურსებზე იკითხებოდა ლექციები ფილოლოგიურ, ფიზიკა-მათემატიკურ და საბუნებისმეტყველო საგნებში, აგრეთვე პედაგოგიკა-დიდაქტიკაში. წლის დამლევს მსმენელთა ცოდნის შესამოწმებლად იმართებოდა კოლოქვიუმები. კურსები, მართალია, არაფერ იურიდიულ უფლებას აძლევდა მსმენელებს, მაგრამ საგრძნობლად უწყობდა ხელს მათი ზოგადი და პედაგოგიკური კვალიფიკაციის ამაღლებას და ამიტომ კარგი ავტორიტეტიც ჰქონდა დამსახურებული.

ქუთაისში სამასწავლებლო სემენარიის გახსნის საკითხისათვის. სამოციანი წლების მეორე ნახევარში, როგორც ვწერდით, სწრაფად გაიზარდა ხალხის ინიციატივა განათლების საქმეში. მოსახლეობა მოითხოვდა სკოლებსა და მასწავლებლებს და, როცა მთავრობის ორგანოები, ვითომდა უსახსროების გამო, უარს ეუბნებოდა სკოლების გახსნაზე, ის თავის ხარჯით ხსნიდა სკოლებს და იწვევდა მასწავლებლებს. მაგრამ სახსრების გამოლება შედარებით უფრო ადვილი იყო, ვიდრე სკოლის გახსნის ნებართვის მიღება და მასწავლებლის გამონახვა. ხოლო თუ პირველი სიძნელის გადალახვას, დაბეჯითებითი მოთხოვნის შედეგად, ხალხი ზოგჯერ მაინც ახერხებდა სამაგიეროდ მეორე სიძნელე ხშირად გარდაუვალი ხდებოდა მისთვის. გარდაუვალი ხდებოდა იმიტომ, რომ ოფიციალურ და მთავრობის ნებართვით გახსნილ სკოლებში (სხვანაირად კი იმ დროს სკოლის გახსნა აღარ შეიძლებოდა) სწავლების უფლება ჰქონდა მხოლოდ მასწავლებლის ოფიციალური წოდების მქონე პირებს. ასეთები კი 60-იან წლებში ისე ცოტანი იყვნენ, რომ სახელმწიფო სკოლების მოთხოვნილებებსაც კი ვერ ფარავდნენ. ეს გარემოება ძალზე აფერხებდა სახალხო სკოლების გახსნას.

ქუთაისის გუბერნიის მოსახლეობა, მისი მოწინავე ადამიანების შთაგონებით, შედარებით, ადრე მიხვდა, რომ სკოლების გახსნისათვის, პირველ ყოვლისა, აუცილებელი იყო მასწავლებელთა მომზადება. ამ მიზნით ჯერ კიდევ 1854 წელს მოითხოვა მან ქ. ქუთაისში სამასწავლებლო სემენაარიის დაარსება, მაგრამ უფრო გაბედულად და აქტიურად ეს მოხდა 1869 წელს. ამ წლის განძავლობაში ქუთაისის გუბერ-

ნიის მკბოვრებთ სასოფლო თათბირზე ერთხმად გამოჰქონდათ გადაწყვეტილებანი თავის ხარჯით ქ. ქუთაისში გაეხსნათ სახალხო სკოლების პედაგოგთა მოსამზადებელი სასწავლებელი—სამასწავლებლო სემინარია. კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი ოავის ანგარიშში 1870 წლისათვის მოახსენებს მეფის მოადგილეს კავკასიაში, რომ „ქუთაისის გუბერნიის სასოფლო საზოგადოებათა განაჩენი, ამ გუბერნიაში სამასწავლებლო სემინარიის მოსაწყობად ყოველწლიური შესატანის გამოლების შესახებ, გუბერნიის უფროსის გრაფ ლევაშოვის მიერ წარმოდგენილია დასამტკიცებლად თქვენი იმპერატორობითი უმაღლესისათვის“.*

მეფის მოადგილემ, დიდმა მთავარმა მიხეილმა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის ანგარიშს ქუთაისში სამასწავლებლო სემინარიის დაარსების შესახებ დააწერა:

„გრაფ ლევაშოვის განზრახვას ქუთაისში სამასწავლებლო სემინარიის მოწყობის შესახებ, როგორც უაღრესად სასარგებლო და სასურველ საქმეს, მსურს მიეცეს მსვლელობა შესაძლო სიჩქარით“.**

მაგრამ ეს მხოლოდ ფორმალურ მიმოწერასა და მოხსენებებში, არსებითად კი ქუთაისის სამასწავლებლო სემინარიის დაარსების საქმე მთავრობამ კარგა ხნით გადასდო ყოველგვარი მიზეზის გარეშე.

—

60-იანი წლების მეორე ნახევარში სასწავლებელთა რიცხვის ჩქარ ზრდას ძალიან ჩამორჩა მასწავლებელთა კადრების მომზადების ტემპები. პედაგოგიურ სასწავლებელთა ქსელი და პროფესიულ მასწავლებელთა რიცხვი ოდნავადაც ვერ სწვდებოდა სკოლების მზარდ მოთხოვნილებებს. ეს გარემოება ბუნებრივად იწვევდა პედაგოგიურ სამუშაოზე მასწავლებელთა წოდების არმქონე პირების გამოყენებას. ასეთ მდგომარეობას წინათაც ჰქონდა ადგილი. მაგრამ მაშინ ასეთ „მასწავლებელთა“ რიცხვი ცოტა იყო და სახალხო განათლებას ისე ღრმად არ ემჩნეოდა მათი „მოღვაწეობის“ კვალი. ახლა კი, ე. ი. 60-იანი წლების დასასრულისათვის, ეს კვალი ისე გაღრმავდა, რომ ხალხში დიდ უკმაყოფილებას იწვევდა; კიდევ

* Циркуляр, 1871, V—VI, 58.

** იქვე, 22.

ბეტი, სწავლა-განათლების მსურველი მოსახლეობა ამის გამო აშკარად გაურბოდა ისეთ სკოლებს, სადაც სწავლება აღნიშნული „მასწავლებლების“ ხელთ იყო და მათთან მიბარებას ამჯობინებდნენ თავისი შვილები უსწავლელი დაეტოვებინათ.

რუსეთის მთავრობამ დაინახა, რომ სკოლების რიცხვის გადიდება ჯერ კიდევ არ მოასწავებდა განათლებულ მოქალაქეთა რიცხვის გამრავლებას. უკანასკნელი უფრო მეტად დამოკიდებული იყო სერიოზული ზოგადი და სპეციალური განათლების მქონე პედაგოგების რიცხვის გადიდებაზე. მაგრამ, რადგანაც სამასწავლებლო სკოლა და მასწავლებელთა მოსამზადებელი კურსები ან სხვადასხვა სასასწავლებელთან არსებული დამატებითი სპეციალური პედაგოგიური კლასები ცოტა იყო, საჭირო შეიქნა მასწავლებელთა წოდების მისაღებად საექსტერნო გამოცდების სისტემის შემოღება.

1868 წლის 22 აპრილს განათლების მინისტრის წარდგენით და მეფის დასტურით სახელმწიფო საბჭომ სახელმწიფო სამსახურის წესდების („Устав о службе по определению правительства“, СЗ, III, 1857) 353-ე ნუხლის შესაცვლელად შემოიღო სპეციალური გამოცდები მასწავლებელთა წოდების მისაღებად.

გამოცდები წესდებოდა გიმნაზიისა და პროგიმნაზიის, მარიამ დედოფლის სახელობის სასწავლებელთა, სამაზრო სასწავლებელთა, საშინაო მასწავლებელთა, სამრევლო და დაწყებითი სკოლების მასწავლებელთა და აგრეთვე გიმნაზიისა და პროგიმნაზიის აღმზრდელთა წოდების მისაღებად. სპეციალური გამოცდები იყო სრული და შემცირებული. სრული გამოცდები ითვალისწინებდა გამოცდას იმ სახელმწიფო სასწავლებელთა ზოგადი და სპეციალური კურსის მიხედვით, რომლებიც იძლეოდნენ იმ მასწავლებლის წოდებას, რომელსაც მოითხოვდა ესა თუ ის პირი, ხოლო შემცირებული გამოცდა ითვალისწინებდა სპეციალურ-პედაგოგიური ცოდნის შემოწმებას. ამის მიხედვით სრულ გამოცდას აბარებდნენ ის პირები, რომელთაც არ ჰქონდათ დამთავრებული აღნიშნული სახელმწიფო სასწავლებელი, ხოლო შემცირებულს—ისინი, ვისაც დამთავრებული ჰქონდა ასეთი სასწავლებელი, მაგრამ საჭირო იყო მათი პედაგოგიური მომზადების შემოწმება.

სპეციალური გამოცდები გიმნაზიისა, პროგიმნაზიისა და აგრეთვე მარიამ დედოფლის სახელობის სასწავლებელთა მასწავლებლებისა და აღმზრდელთა წოდების მისაღებად წარმოებდა უნივერსიტეტების ისტორია-ფილოლოგიის და ფიზიკა-მათემატიკ ფაკულ-

ტეტებზე და, მაშასადამე, ამ ფაკულტეტების კურსის მიხედვით. სამაზრო სასწავლებელთა და საშინაო მასწავლებელთა წოდების მისაღებად კი ასეთი გამოცდები წარმოებდა იმ ქალაქებში, რომლებშიც იმყოფებოდა ოლქის მზრუნველი, რომლის განკარგულებით დგებოდა საგამოცდო კომისიები, ამ ოლქის სასწავლებელთა ინსპექტორის ან უნივერსიტეტის პროფესორის თავმჯდომარეობით. სხვაგან კი—იმ ქალაქებში, სადაც არსებობდა გიმნაზია; აქ გამოცდები ტარდება გიმნაზიის პედაგოგიურ საბჭოში გიმნაზიის კურსის მიხედვით. ქალაქის სამრევლო და დაწყებითი სკოლის მასწავლებლის წოდების მისაღებად სპეციალური გამოცდები წარმოებდა სამაზრო სასწავლებლის პედაგოგიურ საბჭოში, ამ სასწავლებლის კურსის მიხედვით, ხოლო სოფლის სამრევლო და პირველდაწყებითი სკოლის მასწავლებლის წოდების მისაღებად კი—ქალაქის სამრევლო და დაწყებით სკოლაში, რომელიც ერთი ან ორი კლასით უფრო მაღალი ტიპისა უნდა ყოფილიყო, ვიდრე სოფლის ასეთივე სკოლა.

ამ წესდებიდან, რასაკვირველია, ბევრ გამონაკლისს ჰქონდა ადგილი. ჯერ ერთი: გიმნაზიის პირველი ოთხი კლასისა და პროგიმნაზიის მასწავლებელთა წოდების მისაღებად არ იყო აუცილებელი გამოცდების ჩაბარება უმაღლესი სკოლის (უნივერსიტეტის) სათანადო ფაკულტეტის პროგრამის ფარგლებში (საკმარისი იყო გიმნაზიის და ხშირად მარიამ დედოფლის სახელობის სასწავლებლის, წმინდა ნინოს სახელობის და პირველი თანრიგის სასწავლებელთა სრული კურსი პედაგოგიური კ ლ ა ს ი თ); მეორე—სამაზრო სასწავლებლის მასწავლებლის წოდების მისაღებად შეიძლებოდა ძირითად საგნებში (უკეთ იმ საგნებში, რომლის მასწავლებლობასაც მოითხოვდნენ) ჩაბარება გიმნაზიის კურსის მიხედვით. დანარჩენებში კი საკმარისი იყო იმავე სამაზრო სკოლის კურსი; ამას გარდა, სამაზრო სკოლისა და ქალაქის სამრევლო და დაწყებითი სკოლის მასწავლებლის წოდებაზე შეიძლებოდა აგრეთვე გამოცდების ჩაბარება სამასწავლებლო სემინარიებში 1870 წლიდან (თბილისში კი საკასწავლებლო სკოლაში 1868 წლიდან და სამასწავლებლო ინსტიტუტში 1871 წლიდან).

ხატვის, სუფთაწერის და ხაზვის მასწავლებელთა წოდებაზე გამოცდები წარმოებდა სხვა სპეციალური წესით, რომელიც შემუშავებული იყო განათლების სამინისტროს მიერ სამხატვრო აკადემიასთან შეთანხმებით.

* *
*

სამოციანი წლების ქართულ პედაგოგიურ პრაქტიკას ზემოხსენებული სპეციალური პედაგოგიური სასწავლებლების დაარსებით არ განუცდია რაიმე არსებითი ცვლილება. ამ სასწავლებლებს კადრების გამოშვება შეეძლო მხოლოდ 4—6 წლის შემდეგ, მაგრამ რიცხვით და ხარისხით ისინი ვერც შემდეგ მოახერხებდნენ ძველი მდგომარეობის გარდაქმნას. საერთოდ, აღნიშნულ სასწავლებელთა არსებობას ნაკლებად გრძნობდა სამოციანი წლების მეორე ნახევრის სახალხო განათლების ქსელი.

ქართული პრესა ყველაზე აგრძელებდა სასკოლო სწავლების სამართლიან, მოურიდებელ კრიტიკას. განსაკუთრებით აქტიურობას იჩენდა ამ ნიხრივ გაზეთი „დროება" და მისი მესვეურები გიორგი წერეთელი და სერგეი მესხი. ეს გაზეთი სისტემატურად ათავსებდა პედაგოგიური ხასიათის წერილებს (როგორც ორიგინალურს, ისე თარგმანებს), უნერგავდა ხალხს განათლების სიყვარულსა და ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდას უდიდეს საზოგადოებრივ საქმედ აღიარებდა. გაზეთი გაბედულად ებრძოდა საქართველოს ოფიციალურ სასწავლებელთა რეჟიმს, მმართველობას, სწავლების მეთოდებს, ამხელდა მასწავლებელთა უვიცობას და მოუწოდებდა ხალხს თვით აღზრდა ხელში თავისი განათლების ინიციატივა. 1867 წელს „დროების" ფურცლებზე დაბეჭდა ბ. პ.—შვილის* მეტად საგულისხმო ნარკვევი: „ნაამბობი ცეცხლსა და წყალშუა გამოელილისა, ჩვენი აღზრდისა და განათლების სურათი."** ავტორი პირველი პირით აგვიწერს მაშინდელი სკოლის სასტიკ რეჟიმს, სწავლების სქოლასტიკურ მეთოდებს, მასწავლებელთა თავხედობასა და უვიცობას, მოსწავლეთა ყოფა-ცხოვრების მძიმე, ყაზარმულ პირობებს და მათი ფიზიკური დასჯის ველურ ფორმებს, მოსწავლეთა სკოლისგარეშე ცხოვრებას და მთავრობის სრულ უყურადღებობას სკოლებისადმი. ასეთ სკოლებში სწავლას ავტორი ახასიათებს თვით მოწაფეებში გავრცელებული სასიმღეროთი:

„ორთითი და ფიწალიო
მე აქ ვერას ვისწავლიო
დამითხოვეთ, შინ წავიდე
ოროველას ვისწავლიო".

---

* ვასილ პეტრიაშვილის.
** „დროება", 1867, №№ 4—7.

ამის მიზეზად ავტორი ასახელებს: 1. სკოლებში არსებული ფიზიკური დასჯის დესპოტურ წესებს. 2. იძულებით სწავლებას, 3. მასწავლებელთა უკეთობას, 4. ადმინისტრაციის უხეშ სმართველობას და სხვ.

1868 წელს ივანე „დროებაში“ (№ 6) დაიბეჭდა გ. წერეთლის „ჩვენი ცხოვრების ქრონიკა“ (ქ—ელის (ქეთელის) ფსევდონიმით). ავტორი ეხება ხალხის აღზრდა-განათლების ჩქარი ტემპით განვითარების აუცილებლობას და აღნიშნავს, რომ „სკოლებია დაშენებით“ და „მასწავლებელთა მიჩენით“ საქმე არ ეაკეთდა. ამის ძირითადი მიზეზი ლ. გ. წერეთლის აზრით, ისაა, რომ:

„მასწავლებელნი ვერ ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას. ისინი ასწავლიდნენ უაზვილებს, ბაგრამ ჭკუა-გონების გახსნის მაგივრად, ჭკუა-გონებას ულშობდნენ შეუფერებელი სწავლებითა; განათლების მაგივრად მეხსიერებას უკარგავდნენ; საშასადაოე ბარტო სკოლების დაუდგება და ბასწავლებლების ბიჩენა არ ყოფილა საკმაო ხალხის განათლებისთვის. უფრო საჭირო ის ყოფილა, რომ მასწავლებლებს სცოდნოდათ, თუ რა რიგად ესწავლებინათ“.*

ეს იყო მეტად მკაცრი, ბაგრამ საესებით საბართლიანი განაჩენი 60 იანი წლების სკოლებისა და ბასწავლებელთა შესახებ. ჩვენი სახელოვანი ბელეტრისტი და პუბლიცისტი იშვიათი დაკვირვების უნარს იჩენს საბალხო განათლების მდგომარეობაზე. ის ხედავს, რომ მასწავლებლის კვალიფიკაციის ამაღლების გარეშე სკოლა ვერ მისწვდება თავის ბიზანს.

პირველი ნოხიერებელი, რომელსაც ლ. გ. წერეთელი უყენებს მასწავლებელს, არის სწავლების ცოდნა, ე. ი. მეთოდიკური ოსტატობა, ბაგრამ ამასთან გიორგი წერეთელი, როგორც ფართო ზოგადი განათლების ბეჭეს ადამიანი, მშვენივრად ერძნობს, რომ მეთოდიკური დახელოვნება შეუძლებელია სწავლების ობიექტის ანუ ბავშვის ბუნებისა და სწავლების კანონების ცოდნის გარეშე, საერთოდ პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების, ცოდნის გარეშე.

„მასწავლებლებს უნდა შეეტყოთ ყმაწვილის ბუნება,— აგრძელებს ლ. გ. წერეთელი,—და იმ რიგად უნდა მოპყრობოდნენ, რომ

---

* ლ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზულებათა სრული კრებული, სიმ. ხუნდაძის რედაქციით, I, 200.

ოშინი ჭკუა-გონება თანდათან ეკავშირებინათ, თანდათან მესიერება აესილებინათ. ამის ჯამო საჭირო იყო შესდგომოდნენ სწავლების კანონების გამოკვლევასა. მრავალი სწავლული წეუდგა ამ საქმეს და აქედან წაოსოდა ახალი სწავლა, რომელიც შეიცავს კანონებს, თუ ოა რიგად უნდა ასწავლოს ბასწავლებელმა მოწაფეს. ამ სწავლას ჰქვიან „პედაგოგია". რამდენადაც ხალხის განათლება ბიეციალბელი საქიროებაა იმის მდგომარეობისათვის, იმ ენად პედაგოგიას დიდი ბნიშვნელობა ეძლევა ამ ბანაა".* ასე მბურვალედ მოეწოდებდა 1864 წელს გიოოგი წერეთელი ჩვენ მასწავლებლობასა და ახალგაზრდობას ესწავლათ პედაგოგიური მეცნიერებანი. ეს სწამდა, რომ ხალხის განათლებისათვის ზრუნვა, პირველი ეოველისა, პედაგოგიკის ცოდნასა და ბისი პრაქტიკული გამოყენების ენარს ბოითხოვდა; ის დარწმენილი იყო, რომ ხალოდ სოლიდური პედაგოგიური განათლების ბეონე ხასწავლებელს შეეძლო ხალხის საუდვილი სამსახური, ახალი თაობის რაციონალური აღზრდა.

—

რა მდგომარეობაში იყო პედაგოგიკური მეცნიერების შენების საქმე XIX ს. სამოციანი წლების რუსეთსა და საქართველოში?

ჩვენ ვწერდით**, რომ რუსეთის დიდი დემოკრატ-რევოლუციონერების (ბელინსკის, გერცენის, ჩერნიშევსკის, დობროლუბოვის), ნ. ი. პიროგოვის პედაგოგიური იდეების, რუსეთის სკოლის პრაქტიკული გამოცდილებისა და უცხოეთის პედაგოგიკის საუკეთესო მიღწევათა გამოყენების საფუძველზე, 60-იანი წლების დამდეგ უკვე იყო შექმნილი რეალური პირობები მეცნიერული პედაგოგიკის აღორძინებისათვის; მაგრამ ამ დროს რუსეთში ჯერ კიდევ არ იყო გარკვეული პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების, აღნაგობის განსაზღვრული ელემენტები, შინაარსის დამდგენი ფაქტორები, კვლევის მეთოდი, კანონები და მოსაზღვრე დისციპლინებიდან ბისი გამიჯვნული პრინციპები. არ იყო აგრეთვე ნაცადი პედაგოგიკის ფილოსოფიური დასაბუთება.

60-იან წლებში ეს პრობლემები ძირითადად გადაჭრა დიდმა პედაგოგმა კ. დ. უშინსკიმ, რითაც დაასრულა რუსული პედაგოგიკის მეცნიერული ჩამოყალიბება და მისა ხეროთმოძღვარი შეიქნა.

---

* გ. წერეთელი, I, 200.

** იხ ჩვენი ნაშრომი—უსინსკი, 5, 67, 1945.

უშინსკის პედაგოგიკური მოძღვრების ძირითად პრინციპს წარმოადგენს ხ ა ლ ხ უ რ ობ ა. ხალხურობის პრინციპად უშინსკის მიაჩნია ამა თუ იმ ხალხის მთლიანობა, რომელიც შეადგენს ამ ხალხის შინაგან ფსიქიურ სამყაროს და მის ხასიათში ელინდება. ეს პრინციპი არის ხალხის შემაკავშირებელი ძალა და უმაღლესი იდეა. იგი ზოგადია და თანაც საერთო მთელი ხალხისათვის, ამდენად ის უფრო მაღალია, ვიდრე წოდებრივი და პროფესიული თვისებები. ხალხურობის პრინციპის თავისებურება ქმნის ეროვნულ ტიპს, რომელიც ერთ ხალხს არჩევს მეორისაგან, ხოლო განვითარების მაღალ ეტაპზე კი ნაციონალური განსხვავების საფუძველსაც წარმოადგენს. ხალხურობის დამახასიათებელ თვისებებს შეადგენს: ხალხისა და საშობლოს მგზნებარე სიყვარული, მისი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა, ისტორიული წარსულის პატივისცემა, სახალხო მორალის განმტკიცება; ხალხის სინდისი, მისი მიდრეკილებანი, ზნე-წესებები, ტრადიციები, წარმოდგენები და საერთოდ იდეალები და მისწრაფებანი. ხალხურობა მოჩანს ხალხის ხასიათში. „ხასიათი,—ამბობს უშინსკი,—არის ის ნიადაგი, რომელშიაც ფესვებგამდგარია ხალხურობა". ხალხურობა სულია ხალხისა. „ხალხი ხალხურობის გარეშე —უსულო სხეულია, რომელიც მხოლოდ გახრწნის კანონს ექვემდებარება... აღზრდა, თუ მას არ სურს იყოს უძლური, უნდა იყოს ხალხური".*

ხალხურობის პრინციპის ნიადაგზე უშინსკიმ ააგო ნაციონალური აღზრდისა და სახალხო განათლების სისტემა. და რამდენადაც ყოველ ხალხს აქვს თავისი განსაკუთრებული იდეალი ადამიანისა, იმდენად მისი აღზრდა არსებითად ნაციონალურია. ზოგადკაცობრიული აღზრდის იდეა (ნ. პ ი რ ო გ ო ვ ი) აბსტრაქციად მიაჩნდა უშინსკის და გამოდიოდა რა ბ ე ლ ი ნ ს კ ი დ ა ნ, აღნიშნავდა, რომ ასეთი აღზრდის წყარო ნაციონალურია თავის სათავეებში. ამიტომ ზოგად კაცობრიული აღზრდა არ არსებობს ნაციონალურის გარეშე. ეს (ნაციონალური) გზა არის საშუალება, რომლითაც „საშობლოს პეილი" შეიძლება იქცეს „ზოგად ადამიანურ" პიროვნებად.

მ შ ობ ლ ი უ რ ი ე ნ ი ს მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა ბ ა ვ შ ვ თ ა აღზრდის პროცესში კ. დ. უშინსკიმ დაასაბუთა ისე, როგორც არავინ მსოფლიო პედაგოგიკის ისტორიაში. ბავშვის ყოველმხრივ შეუწყვეტ-

---

* К. Д. У ш и н с к и й, Собр. пед. соч., 109.

ლა, როგორც პედაგოგიკის საგანი, მისი ფსიქიკის შესწავლით უნდა დაიწყოს, ხოლო ამ ფსიქიკის „გასაღები“ კი ბავშვის დედაენაა. უშინსკის თქმით, „ბავშვისათვის ნმობლიური ენა არის მის ირგვლივ არსებული ბუნებისა და ცხოვრების საუკეთესო განმარტებელი“ და ცოდნის შეძენის ყველაზე უკეთესი საშუალება. აქედან ბუნებრივი დისციპლინების შესწავლა დედაენაზე და საერთოდ ბავშვის განვითარება ნმობლიურ ენის საშუალებით—უშინსკის პედაგოგიკის უმთავრესი მიზანია.

უშინსკის მოძღვრება სახალხო სკოლის მასწავლებლისა და დიდაქტიკის შესახებ,—ახალ ეტაპს წარმოადგენს პედაგოგიკის ისტორიაში თავისი ორიგინალობით და მთელი იმ გამოცდილების განზოგადებით, რომელიც ამ მხრივ პედაგოგიკურ მეცნიერებას მოეპოვება.

კ. დ. უშინსკი არის დაწყებითი სკოლისათვის დიდი ცოდნით და იშვიათი პედაგოგიკური ოსტატობით შედგენილი სახელმძღვანელოების ავტორი, ხოლო მისი „Родное слово“-ს თავისი მეთოდით, მასალით და ბავშვის ინტერესების ცოდნით ბადალი არ მოეპოვებოდა მთელს ევროპაში.

უშინსკის პედაგოგიკისათვის, ხალხურობის ძირითადი პრინციპის ფარდა, დაახასიათებელია ორიგინალობა და ჰუმანიზმი. აქედან ორიგინალობას საზღვრავდა რუსეთის სინამდვილისადმი შესაფერისი, თავისებური, ისტორიულ-ნაციონალური სპეციფიკის ანსაზღვრული აღზრდის პრინციპებისა და სისტემის აუცილებლობა, ხოლო ჰუმანიზმს—ბავშვის (ადამიანის) პიროვნების მოქალაქეობრივ ღირსებათა პატივისცემა, მისი ინდივიდუალური ნიჭისა და ინიციატივის ყოველმხრივ განვითარება, ბისსა და ხალხის ინტერესებს შორის ანტაგონისტური წინააღმდეგობის დაძლევის საფუძველზე.

მეორე შეტად ნაბიჯნელოვანი ფიგურა რუსეთის XIX საუკუნის 60 იანი წლების პედაგოგიკისა იყო დიდი მწერალი ლევ ტოლსტოი.

ლევ ტოლსტოის დიდი ცხოვრების უმთავრეს საგანს, მხატვრული შემოქმედების შემდეგ, წარმოადგენდა პედაგოგიკა და სახალხო განათლება. ორ ათეულ წელზე მეტს ეწეოდა იგი თეორიულ და პრაქტიკულ პედაგოგიკურ მოღვაწეობას და მთელი ეს დრო სახალხო განათლების არსებული სისტემის მკვეთრ კრიტიკასა და აღზრდის ახალი გზებისა და მეთოდების ძიებას მოანდომა.

ფეოდალური ადამიანის ძიებამ მიიყვანა იგი მხატვრული ლიტერატურისა და პედაგოგიკის ერთიანობის აღიარებამდე. ერთიც და

ნეორეც მას „საუკეთესო პიროვნების“ შექმნის საშუალებად მიიჩნდა. მასთვის პედაგოგიკა და მხატვრული ლიტერატურა ადამიანის აღზრდისა და გარდაქმნის მიზანს ემსახურება. იშვიათი ხელოვნებისა და ფსიქოლოგის ლევ ტოლსტოის ადრინდელი შედევრები „ბავშვობა“, „ყრმობა“, „სიჭაბუკე“ და მრავალი საბავშვო მოთხრობა მოზარდი ადამიანის სულის, მისი შინაგანი სამყაროს მაგიერ წვდომას წარმოადგენენ, მის მომავალ დანიშნულებას სახავენ.

უდიდესი რეალისტი ხელოვნებაში, მართალია, რომანტიკოსად რჩებოდა პედაგოგიკაში, მაგრამ მის ლაკონიურებულ ფალს არ შეეძლო არ შეენიშნა ის წინააღმდეგობა, რომელიც არსებობდა მომავალი ადამიანის იდეალურ მისწრაფებათა და მისი დროის მწარე სინამდვილეს შორის. შეუბრალებლად ამსხვრევდა ეს სინამდვილე ყოველგვარ კეთილშობილ აღმაფრენას, ბურუსით მოსავდა ადამიანის დანიშნულებას. ნაგრამ... „იდეალი ზეცაა, საკვიროა საძირკვლის განმტკიცება“ და ერთ-ერთ წერილში პოეტ ფეტისადმი, 1860 წელს, ტოლსტოი აღნიშნავდა: „ჩვენ ახლა სსვა გვინდა... ჩვენ გვეპირდება ნარფუტკას და ტარასკას ცოტა რამ ნაინც ვასწავლოთ ინისაგან, რაც ჩვენ ვიცით“. ეს ის დრო იყო, როცა 60-ანელთა მოწინავე რევოლუციურ-დემოკრატიული იდეებისა და ნაციონალურ-გამანთავისუფლებელი ბრძოლობის ხელგაშლილნი ხალხი და ხალხურობის პრინციპი შეიჭრა საზოგადოებათმეცნიერების ყველა დარგში და ხელოვნებაში. განსაკუთრებული სიმასკილით ხალხი და ხალხურობის პრინციპი აისახა ხელოვნურ ლიტერატურასა და პედაგოგიკაში—ლევ ტოლსტოისა და კონსტანტინე უშინსკის შემოქმედებაში. მაგრამ ტოლსტოიმ ხალხი და ხალხურობის იდეა ფაუდვა საფუძვლად თავის პედაგოგიკურ მოღვაწეობასაც. 60 იანი წლების, ამ ახალი პერიოდის დასაწყისს, ტოლსტოი შეხვდა ხალხის ფართო მასებში განათლების შეტანის არა მარტო იდეურ ნაკადგებლად, არამედ პრაქტიკულ მუშაკადაც: 1859 წელს ლევ ტოლსტოის უკვე განახლებული ჰქონდა თავისი სკოლა იასნაია-პოლიანაში და მასწავლებლობას ეწეოდა. „სახალხო განათლება ძალიან ახლოს მიმაქვს მე გულთან, მე ძალიან ბევრს ვმუშაობდი მასზე,“— წერდა ტოლსტოი ცოტა გვიან, 1874 წელს.

თავის პრაქტიკულ-პედაგოგიური მოღვაწეობის დროს ლ. ტოლსტოი გამოდიოდა თავისუფალი აღზრდის პრინციპიდან. ცნობილია, რომ იგი, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში, გატაცებული იყო

ჟან-ჟაკ რუსოთი, მისი აზრით „თავისუფალი აღზრდის“ თეორია ყველაზე უფრო სწორად უპასუხებდა „ბავშვის პიროვნების ღრმა სიყვარულისა და პატივისცემის“ იდეას, რომელიც XIX ს. 60-იანი წლების რუსეთის პედაგოგიკაში ყველას ძვირ იყო აღიარებული. ბავშვის პიროვნებაში ლევ ტოლსტოი, პირველ ყოვლისა, ადამიანს ხედავს, ხოლო მისი ნიჭისა და უნარის ყველაზე უფრო ბუნებრივი და ყოველმხრივი განვითარების საშუალებად თავისუფალი აღზრდა მიაჩნდა. მისი აზრით, აღმზრდელს უფლება არა აქვს თავისი აზრები და იდეები აღსაზრდელს თავზე მოახვიოს იძულებით. „პედაგოგიკის კრიტერიუმი,—წერს ტოლსტოი,—არის მხოლოდ ერთი—თავისუფლება“.* მაგრამ ეს თავისუფლება აღმზრდელის პიროვნებას თავისუფლებას კი არ გულისხმობს. როგორც აქამდე რუსოსთან ვხედავთ, არამედ—აღსაზრდელისას. ტოლსტოი გადაჭრით ეწინააღმდეგება ბავშვის პიროვნების განვითარებაში მასწავლებლის „ხელში ჩარევის“ ყოველ ფორმას. რუსოსაგან განსხვავებით, ბავშვს საზოგადოებისა და გარემოს ღვიძლ პროდუქტად აღიარებს ლევ ტოლსტოი და ის იბრძვის თავისი დროის რეაქციული განათლების სისტემის წინააღმდეგ არა იმისათვის, რომ ის ბავშვს საზოგადოების გავლენაში აქცევს, არამედ იმისათვის, რომ ცუდი და უხეშია ეს გავლენა. „აუცილებლად უნდა ვიცნათ ცხოვრება, წერს ტოლსტოი, მხოლოდ ეს მოგვცემს საშუალებას ვიცოდეთ რა არის საჭირო საუკეთესო ადამიანის აღზრდა-განათლებისათვის“. ცხოვრება—ეს არის ხალხი, რუსი ადამიანები და ამიტომ მათთან სიახლოვე აძლევს აღზრდას ცხოველმყოფელ ძალას. ბავშვი, თუ ის კარგად არის დაკავშირებული ცხოვრებასთან—თვითონ იზრდება. ეს არის თვითაღზრდის გზა. აღმზრდელი უხემად ერევა ამ საქმეში, თუმცა მას არა აქვს ამისი უფლება, რადგანაც, ნებით თუ უნებლიეთ, თავისი შეაქვს ბავშვის თვითაღზრდაში და ამით აზიანებს მას. ასე ფიქრობს ტოლსტოი, მაგრამ თუ წარმოვიდგენთ, რომ მას მხედველობაში ყავს თავისი დროის ჩამორჩენილი და მეფის „კაზიონური“ სულით გაჟღენთილი მასწავლებლება—ყველაფერი გასაგები გახდება.

როგორ ესმის ლევ ტოლსტოის პედაგოგიკა, როგორც მეცნიერება? რას აღიარებს მის საგნად? პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ პედაგოგიკას, მისი აზრით, საფუძვლად უდევს განვითარების იდეა, „განვითარების (ხაზი ავტორისაა, გ. თ.) საწყისი გზას უნა-

---

* Л. Толстой, Педагогич. соч., 53.

ლებს პედაგოგიას", წერდა იგი 1874 წელს და აპტკიცებდა, რომ ეს განვითარება დაფუძნებულია ადამიანის განათლებაზე, რომელიც წერა-კითხვის ცოდნით იწყება. უკეთუ პედაგოგიკის მანათობელი იდეა განვითარებაა, ხოლო ეს უკანასკნელი კი განათლებაზე შენდება, მაშინ ცხადი უნდა იყოს, რომ პედაგოგიკის საკვლევი საგნად დასახული უნდა ყოფილიყო ის, რასაც იგი თავის მანათობელი იდეისაკენ მიჰყავს, ე. ი. გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა. ტოლსტოი წერდა: „პედაგოგიკის საგანი უნდა იყოს და არის მხოლოდ განათლება. განათლება, ფართო გაგებით, როგორც ჩვენა გვრწამს, შეადგენს იმ მოვლენათა ერთობლიობას, რომლებიც ანვითარებენ ადამიანს, აძლევენ მას ფართო მსოფლმხედველობას".* ეპვს გარეშეა, განათლების აღიარება განვითარების საფუძვლად და მსოფლმხედველობის წყაროდ სავსებით სწორი და მეცნიერული დებულებაა, ხოლო გასული საუკუნის 60-იანი წლების რუსული პედაგოგიკისათვის კი სრულებით ახალ და მოქმედ პრინციპად უნდა ჰივიჩნიოთ.

მიუხედავად იმ სიახლისა და აქტუალობისა, რომელსაც ვხედავთ ჩვენ ტოლსტოის მიერ პედაგოგიკის საგნის დეფინიციაში, მას ერთი ნაკლი მაინც ახლავს. ეს არის აღზრდის მოწყვეტა განათლებისაგან და ამით მისი გამოთიშვა პედაგოგიკის საგნის შინაარსიდან. რადგანაც, ტოლსტოის აზრით, „აღზრდა არის ერთი ადამიანის მისწრაფება გადააქციოს მეორე ისეთად, როგორიც თვითონ არის",—ის არ შეიძლება იყოს ადამიანის გონივრული მოღვაწეობის ანუ მეცნიერების საგანი. მეორე ალაგას აღზრდა ესმის ტოლსტოის როგორც ხანგრძლივი პროცესი „ერთი ადამიანის ზემოქმედებისა მეორეზე იმ მიზნით, რომ აღსაზრდელს შეათვისებინოს გარკვეული ზნეობრივი ჩვეულებები",** მაგრამ რამდენადაც ორივე შემთხვევაში აღზრდა არის იძულება („გადააქცია", „შეათვისებინა") და თან დასაჯასაც გულისხმობს, იმდენად იგი (აღზრდა) დაუშვებელია, საზიანოა. განათლება კი თავისუფლებაზეა დაფუძნებული, რომელიც, ტოლსტოის აზრით, მასწავლებლისა და მოსწავლის თავისუფალ ურთიერთობას წარმოადგენს. „განათლება—ფაქტებისა და მათი ურთიერთობის ცოდნაა"; მასწავლებელი ასწავლის, მოსწავლე კი, თუ საინტერესოსა და სასარგებლოს ხედავს მასწავლებლის ასეთ მოქმედებაში,—სწავლობს თავის ნებით და სურვილით,

---

* Л. Толстой, Педагогич. соч., 106.

** იქვე, 107.

ბაშასადამე, იძულების გარეშე. ამიტომ, ტოლსტოის ადრინდელი შეხედულებით, აღზრდას, როგორც იძულებას და მავნეს, არაფერი აქვს საერთო განათლებასთან, როგორც თავისუფალ და სასარგებლო მოქმედებასთან. აღზრდის ასეთი, ცხადია, არამართებული გაგება ტოლსტოის მიერ, გულისხმობს არა აღზრდას საერთოდ, არამედ მისი დროის აღზრდის უხეშ სისტემას, და ამასთან იგი, როგორც აღვნიშნეთ, ტოლსტოის ადრინდელი, 1862 წლის, პერიოდის განმარტებაა, რომლის ნაკლიც შემდეგში მან სრულიად გამოასწორა. სახელდობრ, ტოლსტოი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღზრდა, ზნეობრივი განვითარების გარდა, ცოდნის მიღებასაც გულისხმობს, რომ ის მჭიდროდაა დაკავშირებული განათლებასთან და საზიანოს არაფერს შეიცავს.

ლევ ტოლსტოის მიერ თავის პედაგოგიკურ შეხედულებათა გადახედვას, ჭეშმარიტების დადგენას, ხელი შეუწყო 80-იანი წლების მოწინავე საზოგადო მოღვაწეებისა და პედაგოგების (ნ. ჩერნიშევსკის, კ. უშინსკის, ბუნაკოვის, ე. მარკოვის და სხვ.) ობიექტურმა, სამართლიანმა კრიტიკამ. ხოლო განსაკუთრებული როლი ამ მხრივ ითამაშა მისმა საკუთარმა პედაგოგიურმა გამოცდილებამ. 1874 წელს ტოლსტოი წერდა: „15 წლის წინათ, როდესაც მე შევუდექი სახალხო განათლების საქმეს ყოველგვარი წინასწარგანზრახული თეორიებისა და შეხედულებების გარეშე, მხოლოდ ერთი სურვილით: პირდაპირ, უშუალოდ დავხმარებოდი ამ საქმეს, როგორც მასწავლებელი ჩემი სკოლისა,—მე წავაწყდი ორ საკითხს: 1. რა უნდა ვასწავლო და 2. როგორ უნდა ვასწავლო?".* იშვიათი გამჭრიახობით სწვდა ლევ ტოლსტოი პედაგოგიკის ამ ორ ძირითად საკითხს. მათ უშუალო გადაჭრაზე მუშაობდა იგი როგორც სახალხო სკოლის მასწავლებელი და ძალიან მოკლე დროში გაარკვია, რომ საკითხი—რა უნდა ვასწავლოთ—შეიცავს როგორც პოზიტიურ მეცნიერულ ცოდნას, ისე ზნეობრივ ნორმებს, როგორც საგანმანათლებლო, ისე აღმზრდელობითს იდეებსა და პრინციპებს. ხოლო საკითხი—როგორ უნდა ვასწავლოთ—გულისხმობს, პირველ ყოვლისა, მასწავლებლის აუცილებლად გამოყენებას და მის პედაგოგიურ ოსტატობას, ისევე როგორც სწავლების მეთოდების მრავალგვარობას.

---

* Л. Толстой, Пед. соч., 299.

რა ზიგზაგები და გარეგანი წინააღმდეგობაც არ უნდა ახასიათებდეს ტოლსტოის პედაგოგიკურ აზროვნებას, და ეს მართლაც ასეა, მისი ძირითადი იდეები ყოველთვის ზეიცავდნენ გარკვეულ შინაგან სიმართლეს. ტოლსტოი როგორც დიდი კრიტიკული რეალისტი და უტოპიური, ბავშვივით თვალის მქონე ადამიანი, თავის პედაგოგიურ პრაქტიკაში ნათლად დარწმუნდა, რომ სწავლების ანუ ცოდნის გადაცემის დროს მოსწავლე იღებს როგორც აღზრდას, ისე განათლებას, და რომ ეს ორი მომენტი ცალ-ცალკე არ არსებობს და, მით უმეტეს, ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება, როგორც ტოლსტოი წერდა: „ის დაყოფა, რომელსაც მე ვაშინდელ (ლაპარაკია 60-იან წლებზე—გ. თ.) პედაგოგიკურ წერილებში ვახდენდი აღზრდასა და განათლებას შორის, —ხელოვნურია. აღზრდა და განათლება განუყოფელი არიან. არ შეიძლება აღზარდო ცოდნის გადაცემის გარეე, ხოლო ყოველგვარ ცოდნას აქვს აღმზრდელობითი ზემოქმედება“.* აქედან უკვე საესებით ნათელი ხდება, რომ ლევ ტოლსტოი პედაგოგიკას სთვლის მეცნიერებად არა მარტო განათლების შესახებ, არამედ მეცნიერებად აღზრდა-განათლების შესახებ. მაგრამ ეს ის შესამე ელემენტიც. ეს არის სწავლება. სწავლება, ტოლსტოის აზრით, არის „განათლების საშუალება“, „ერთი ადამიანის მიერ მეორისათვის ცოდნის (ცნობების) გადაცემა“, ხოლო შემდეგ, გამოდიოდა რა იგი სწავლისა და განათლების ერთიანობის პრინციპიდან, აღიარებდა, რომ „სწავლება ეს საშუალება როგორც განათლებისა, ისე აღზრდისა“.**

აზგვარად, საღმა თეორიულმა კრიტიკამ და საკუთარმა პედაგოგიურმა პრაქტიკამ დაარწმუნა ტოლსტოი აგრეთვე იმაშიც, რომ „მეცნიერების აღმზრდელობითი ელემენტი არ შეიძლება ისწავლებოდეს იძულებით“, რომ ეს ელემენტი ძევს საგნის სწავლებაში, საგნისადმი მასწავლებლის სიყვარულში.

„გინდა ზეცნიერებით აღზარდო მოწაფე? გიყვარდეს შენი მეცნიერება და იცოდე იგი. მოწაფეებიც შეგიყვარებენ შენ და შენს მეცნიერებასაც, და შენ აღზრდი მათ“.*** ტოლსტოი მოითხოვდა მაღალი განათლების მასწავლებელთა შომზადებას და ამ მიზნით სათანადო უმაღლესი სახალხო (პედაგოგიური) სასწავლებლის დაარსებას.

---

* Л Толстой, Пед. соч, 371.
** იქვე, 133.
*** იქვე, 134.

ლევ ტოლსტოი მწვავედ განიცდიდა ხალხის კულტურულ ჩამორჩენილობას, მისი დიდი უმრავლესობის უწიგნურობას. ის აღნიშნავდა, რომ ხალხს თავისთავად სურს განათლება, მაგრამ თუ მაინც საკლებად ეტანება მას, იმიტომ რომ თანამედროვე სკოლები ვერ უპასუხებენ მის მოთხოვნილებებს. ხალხი ვერ ხედავს მასში რაიმე სარგებლობას, „ყველა თანასმაა იმაზე, რომ სკოლები არ არიან სრულყოფილი (მე კი ჩემის მხრივ დარწმუნებული ვარ, რომ ისინი მავნებელი არიანო)“,* — წერდა ტოლსტოი 1862 წელს. სკოლა აცდენს ბავშვებს. წლობით ასწავლიან აქ მოწაფეებს და წერა-კითხვაც კი არ იციან სრულიანად მისი დასრულებისას. სოფლის დიაკვანი და ვინმე „წიგნობარი“ უკეთ და მოკლე დროში ასწავლის წერა-კითხვას, ვიდრე სკოლა 2—3 წელს. „მე ნგონია, — ამბობს ტოლსტოი, — ზედმეტია იმის მტკიცება, რომ სკოლა, სადაც სამ წელიწადს სწავლობენ იმას, რისი სწავლაც ექვს თვეში შეიძლება, არის უქმადმყოფობისა და სიზარმაცის სკოლა. ამიტომ, გასაგებია, რატომ გაურბის მას ხალხი“.

როგორი უნდა იყოს კარგი, ხალხის საყვარელი და სანდო სკოლა? ასეთი სკოლა, ტოლსტოის აზრით, უნდა იყოს ხალხთან, მის ბედთან და უბედობასთან. მას უნდა ესმოდეს ხალხის და ხალხიც გაიგონებს მისას, ენდობა და შეიყვარებს მას. „სკოლა კარგია მხოლოდ მაშინ, როცა მას შეცნობილი აქვს ის ძირითადი კანონები, რომლითაც ცხოვრობს ხალხი“.** მთავარი მიზანი კარგი სახალხო სკოლისა არის მეცნიერული ცოდნის გავრცელება მოსწავლეებში და ამით — მოსახლეობაში. „სკოლასო, — ამბობს ტოლსტოი, — უნდა ჰქონდეს ერთი ამოცანა: ეს ამოცანაა ცნობების, ცოდნის გადაცემა“, ის უნდა წარმოადგენდეს „განმანათლებლის შეგნებულ მოღვაწეობას გასანათლებელისათვის“. სკოლას პრაქტიკული ამოცანაც უნდა ჰქონდეს დასახული: ის, ტოლსტოის აზრით, ზოგად განათლებასთან ერთად, უნდა აძლევდეს მოსახლეობას ელემენტარულ სასოფლო-სამეურნეო ცოდნას და ყოფა-ცხოვრებაში გარკვევის საშუალებებს. აქედან გამომდინარე, ტოლსტოი სასტიკად ილაშქრებდა ცხოვრებაში განოუსადეგარი საგნების სწავლების, კერძოდ, ძველი, ბერძნული და ლათინური ენებისა და საერთოდ კლასიკური განათლების სისტემის წინააღმდეგ.

---

* Л. Толстой, Собр. соч., 46.

** იქვე, 47.

ლევ ტოლსტოის თვითონ სურდა შეექმნა იდეალური, სანიმუშო სახალხო სასწავლებელი. მის მიერ „იასნაია-პოლიანაში“ გახსნილი სკოლა, მართალია, ბევრ სიახლეს შეიცავდა ოფიციალურ დაწესებით სკოლებთან შედარებით, მაგრამ რამდენადაც ამ სკოლის დამაარსებელსა და ხელმძღვანელს სკოლის არსებობის პერიოდში (60-იან წლებში) თვითონ არ ჰქონდა გარკვეული პედაგოგიური სისტემა, ხოლო რაც ჰქონდა ისიც „თავისუფალი აღზრდის“ თეორიის რეციდივს წარმოადგენდა,—მის სკოლას არ შეეძლო თავისი ხელმძღვანელის საუკეთესო იდეები განეხორციელებინა, სანიმუშო სკოლად გამხდარიყო.

ლევ ტოლსტოის დიდი ღვაწლი მიუძღვის აგრეთვე სწავლების მეთოდების ძიების საქმეშიც. მართალია, მისი „ანბანი“ აგებული იყო მისი დროისათვის უკვე საკმაოდ მოძველებულ, ანბანთშეერთების მეთოდზე, მაგრამ ეს მეთოდი, ჯერ ერთი—უკეთეს მეთოდად მიაჩნია მას, და მეორე—სწავლების ეფექტიურობას, ტოლსტოის აზრით, მეთოდი არა სწყვეტს. მისი დაკვირვებით, არცერთ მეთოდს არ შეიძლება მიეცეს უპირატესობა სწავლების პროცესში. მაგალითად, 60-იან წლებში გავრცელებული ბგერითი მეთოდის შესახებ ტოლსტოი ამბობდა, რომ ის არის „გერმანული სულის ყველაზე უფრო კომიკური ნაყოფი“ (63) და ამასთან, სხვა მეთოდების კრიტიკის შედეგად, წერდა: „ერთი სიტყვით, არ არსებობს საუკეთესო მეთოდი. საუკეთესო მეთოდი სათანადო მასწავლებლისათვის არის ის, რომელსაც ყველაზე უფრო კარგად იცნობს იგი“ (72). მასწავლებელს, ტოლსტოის აზრით, შეიძლება ჰქონდეს ერთი მეთოდი, მაგრამ მისი გამოყენების პარალელურად ის სხვა მეთოდებსაც უნდა მიმართავდეს „როგორც დამხმარე საშუალებას“. ანგვარად, ყველაფერი მასწავლებლის ცოდნასა და ოსტატობაზე არის დამყარებული, მაგრამ ის მუდამ ძიებაში უნდა იყოს. ყველა მასწავლებელმა უნდა იცოდეს, რომ ყოველი მის მიერ შემუშავებული მეთოდი არის მხოლოდ საფეხური, რომელზეც ის უნდა დადგეს იმისათვის, რომ წინ წავიდეს.“ ტოლსტოი ფიქრობს, რომ სწავლება (გადაცემა) არის ხელოვნება და ამიტომ მისი მეთოდებისა და ფორმების გაუმჯობესება-განვითარება დაუსრულებელია.

მრავალი სხვა პროგრესული იდეა წამოაყენა აგრეთვე ლევ ტოლსტოიმ. დღესაც ხშირად ირეკრებენ ხოლმე მის სავსებით მართებულ აზრს იმის შესახებ, რომ „აღზრდა წარმოგვიდგება

ჩვენ რთულ და მძიმე საქმედ მანამ, სანამ საკუთარი თავის აღზრდის გარეშე მოვინდომებთ ჩვენი შვილების ან სხვების აღზრდას",* ე. ი. ჯერ საკუთარი თავი უნდა აღზარდო და გაანათლო და შემდეგ შეუდგე სხვის აღზრდა-განათლებას. მაშინ ეს პროცესიც გადავილდება ისე, როგორც მცოდნე და ბოხერხებული ადამიანის ხელში—ყოველგვარი საქმე. მოზარდზე სულიერი გავლენის მთავარ საშუალებად ტოლსტოის მიაჩნია სიმართლე და მოუწოდებს ყველა აღმზრდელს ისე მოაწყოს თავისი ყოფა-ცხოვრება, რომ არ შეეცხვეს აჩვენოს ბავშვებს ყოველი მისი მხარე. აქედან დაასკვნის იგი, რომ „აღზრდა სხვებისა შეიცავს თვითაღზრდასაც", და ეს მომენტი, ბოლენტი თვითაღზრდისა, არის საერთოდ აღზრდის მთავარი არსი.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ლევ ტოლსტოის კიდევ ერთი დიდი დამსახურება რუსეთის პედაგოგიკის ისტორიაში. ეს არის მისი დაუღალავი თეორიული და პრაქტიკული ბრძოლა რუსეთის ნაციონალური და ორიგინალური სახალხო განათლების სისტემისათვის. ამ ბრძოლის მეთაური და სულისჩამდგმელი, როგორც აღვნიშნეთ, იყო დიდი პედაგოგი კ. დ. უშინსკი, მაგრამ ლევ ტოლსტოი, როგორც „ბუმბერაზი ადამიანი", უფრო მეტ საზოგადოებრივ რეზონანს აძლევდა ამ ბრძოლას. ის წერდა, რომ „რუსი ხალხის ორგანიზმს არ შეუძლია ასიმილირება ჩვენს ნიადაგზე გადმოტანილი ევროპული როგორც ფორმით, ისე შინაარსით განათლებისა" და მოითხოვდა რუსეთის ისტორიული და ნაციონალური თავისებურების შესაფერისი და ორიგინალური განათლების სისტემის შექმნას.

—

XIX საუკუნის 60-იანი წლების საქართველოში ახალთაობათა აღზრდა-განათლების თეორია და პრაქტიკა ძალიან ჩამორჩებოდა ამავე პეიოდის მოწინავე საზოგადოებრივ-კულტურულ მოძრაობას. ეს გარემოება არ შეიძლებოდა მხედველობიდან გამოპაროდათ ამ მოძრაობის მეთაურებს. საბოციანელთა ლიდერებისათვის საკვლევით ნათელი იყო, რომ საქართველოს ძველი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობის გარდაქმნა ახალ, ევროპულ საფუძველზე შეუძლებელი იქნებოდა სახალხო განათლე-

* Л. Толстой, Собр. соч., 346.

ბის მთელი ძველი სისტემის რადიკალურად გარდაქმნის გარეშე ისევე ევროპულ საფუძველზე.

ქართული პედაგოგიკის ჩამორჩენილობას, პედაგოგიური განათლების ნაკლები გავრცელების ფაქტს და ევროპული პედაგოგიკის პროპაგანდის აუცილებლობას ჩვენში ყველაზე უფრო მწვავედ გრძნობდა ჩვენი ლიტერატურის დიდი კლასიკოსი და პედაგოგი ილია ჭავჭავაძე. მან, როგორც აღვნიშნეთ 1863 წელს თავის ჟურნალ „საქართველოს მოამბეში“ (II, IX) მოათავსა ხრისტიან პოტგილფ ზალცმანის „კიბრატ კიფერის თარგმანი. რომლის წინასიტყვაობაშიც ილია, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნავდა, რომ „ევროპიელ განათლებულ ხალხებსა აქვთ ვრცელი პედაგოგიური ლიტერატურა და მათში გამოდის ბევრი ჟურნალები, სადაც წმოლოდ ის კითხვები განიხილებიან, რომელნიც აღზრდას შეეხებიან; ჩვენში ხელ არაფერი არის ამაზე დაწერილი და ძლიერ ცოტამ იცის, რომ არსებობს მეცნიერებათა პედაგოგია, რომლის საგანი არის ყმაწვილების აღზრდა“.**

ამ საშეწუხარო ფაქტის ანუ ჩვენი პედაგოგიური ცოდნის სიავიწროეის აღნიშვნის შემდეგ, ი. ჭავჭავაძე ამავე წინასიტყვაობაში არკვევდა ახალი თარბის აღზრდის, მნიშვნელობას და იძლეოდა პედაგოგიკის განმარტებას (რასაც ჩვენ შემდეგ თავში ვეხებით).

ილია ჭავჭავაძის ჟურნალი „საქართველოს მოამბე“, როგორც პროგრესული და ნაციონალურ-განმათავისუფლებელი იდეების მატარებელი მეცნიერულ-ლიტერატურული ორგანო, ნაყოფიერად გრძნობდა პედაგოგიური განათლების დიდ მნიშვნელობას ჩვენი ხალხისათვის და თავისი რედაქტორის, ილია ჭავჭავაძის, პირით დაარსების პირველი დღეებიდანვე იმედიანად პირდება ხალხს:

„საქართველოს მოამბის“ რედაქცია საპედაგოგიო თხზულებებს ჩვენი საზოგადოებისათვის ძლიერ საჭიროდ და სასარგებლოდ რაცხს და ჰფიქრობს შესაძლებისაებრ წარმოუდგინოს თავის მკითხველებს სტატიები, სადაც განიხილება კითხვა ყმაწვილების აღზრდაზე“.***

მართლაც, თავისი არსებობის მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში ილია ჭავჭავაძის ყოველთვიურმა „საქართველოს მოამბემ*

---

* ი. ჭავჭავაძე, პედაგოგიური თხზულებანი, 126, 1938.

** იქვე, 137.

ბრავალი პედაგოგიური ხასიათის წერილი მოათავსა და მათ შორის ნაწყვეტი ადხრდის შესახებ ბელინსკის სტატიიდან „Две сказки Гофмана и сказка дедушки Иринея“ („ბ. ბელინსკის აზრი შვილების აღზრდაზე“), როგორც მეტად პროგრესული და რევოლუციური თავისი დროისათვის.

ქართული პედაგოგიური განათლების აღდგენისა და განახლების საქმეს განსაკუთრებით დიდი ღვაწლი დასდო საქართველოს გამოჩენილმა პედაგოგმა იაკობ სალოსის ძე გოგებაშვილმა. სამოციან წლებშივე ითანამყალობა მან „ყმაწვილ-თაობის“ აღზრდის ბიზნები. ერის საუკეთესო მოძღვლისათვის ბრძოლისა და „ახალი ტიპის ადამიანის“ შექმნის ამ იარაღებიდან გამოსყავდა ეს ბიზნები და ასევე ამოცანებით საბლოვადა იგი სკოლის დაარსებლებას. იაკობ გოგებაშვილმა 1865 წელს შედგენილი „ქართული ანბანით“ და 1873 წელს შედგენილი „ბუნების კარით“ საფუძველი ჩაუყარა მშობლიური ენის სწავლების ახალ იეროგლიფურ ნეთოდს, ხოლო ბევრ თავის ბრავალრიცხოვან სტატიებში ნაწყვეტებელთა მოსაზრების ნესახებ სიტყვიერად არკვევდა პედაგოგიური განათლების საკითხებს, კერძოდ, პედაგოგთა ზოგადების ახალ პრინციპებს, პედაგოგიურ სასწავლებელთა დაარსებისა და სპეციალური პედაგოგიური ლიტერატურის შექმნის აუცილებლობას და სხვ.

პედაგოგიური განათლების შესახებ 60-იან წლებში წერდა აგრეთვე გიორგი წერეთელიც. ესა ეკუთვნის პედაგოგიკის მეორე განმარტება. 1866 წელს გაზ. „დროების“, ერთ-ერთ სარედაქციო სტატიაში „ახალგაზრდა დედებს და ყმაწვილ ქალებს“, ეხებოდა ერა პედაგოგიკის მცსწავლის საჭიროებას სკოლამდელი და საოჯახო აღზრდის გაუმჯობესების ბიზნით, წერდა, რომ „პედაგოგია ნიშნავს სწავლას აღზრდის შესახებ“.** პედაგოგია, გიორგი წერეთლის აზრით, იძლევა ცოდნას, „თე რა რიგათ უნდა გაზრდა ყმაწვილს, ან რა თვისების არის ყმაწვილის ნორჩი აგებულება, ან რიგორ უნდა მოპყრობა ყმაწვილს, ან რა გარემოებაში უნდა ჩადგეს ყმაწვილი, რომ იმას შეეთვისოს მაღალი ზნე და ნაკარი აკებულობა, რომ შემდეგ გახდეს ყოველისფრით სასარგებლო კაცი თავისი ქვეყნისათვის“.**

---

* „საქართველოს მოამბე“, 1863. IX. 30—57: X, 57—71.

** გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზულებათა სრული კრებული, I, 65.

გიორგი წერეთელს ხალხის გაუკეთესების ერთ მთავარ საშუალებად ადრეული ასაკის ბავშვთა საოჯახო აღზრდის გაუკეთესება მიაჩნდა. მისი აზრით, ადამიანის მომავალი საოჯახო აღზრდიდან ყალიბდება და ამიტომ, თუ გვსურს ჩვენი მომავლის გაუმჯობესება, აუცილებელია მეცნიერულად გარდავქმნათ საოჯახო აღზრდა. „მანამ შინაურ აღზრდას ცოტა მაინც გონიერი საფუძველი არ მიეცემა, ჩვენს გამჯობინებასაც არა გაეწყობა რა და ყოველთვის უვარგნი დავრჩებით".* ასე წერს გიორგი წერეთელი და ყოველ მშობელს მოუწოდებს „მოიპოვოს შვილის აღზრდაში დიდი გამოცდილება და ცოდნა." ეს, გიორგი წერეთლის აზრით, შეიძლება მიღწეულ იქნეს პედაგოგიური მეცნიერების ღრმა და ყოველმხრივი ცოდნის საშუალებით. სწოლოდ ამ მიზნით წერდა იგი: „რაც შესაძლებელია ჩვენ ვეცდებით ჩვენს გაზეთში დავსტიოთ ხოლმე ზოგიერთი ცნობა შვილის შინაურ აღზრდაზე," და მართლაც, 1866 წლის „დროების" 26-ე ნომრიდან, ორიგინალური პედაგოგიური წერილების პარალელურად, დაიწყო მან ვრცელი თარგმანების ბეჭდვა იმავე წელს პეტერბურგში პედაგოგი ქალის ა. სიმონოვიჩის რედაქტორობით დაარსებულ ჟურნალ „Детский сад"-იდან, რომელიც ფრიდრიხ ფრებელის სკოლამდელი აღზრდის სისტემას იზიარებდა. გაზ. „დროებაში" ხშირად იბეჭდებოდა აგრეთვე ორიგინალური წერილები პედაგოგიკის ისტორიიდან და ცალკე პედაგოგიკის კლასიკოსების (პესტალოცის, ფრებელის და სხვ.) შესახებ.

ანტიკური პედაგოგიკის და საერთოდ უცხოეთის სახალხო განათლების სისტემების შესახებ იბეჭდება ორიგინალური თუ ნათარგმნი წერილები ჟურნალ „ცისკარში". მართალია, ამ წერილებს უფრო ინფორმაციის ხასიათი ჰქონდა, ვიდრე ევროპული პედაგოგიკური კულტურის პროპაგანდისა, მაგრამ ამ სახითაც საგრძნობლად უწყობდნენ ისინი ხელს ჩვენს პედაგოგიურ განათლებას.

დასავლეთი ევროპის პედაგოგიურ მეცნიერებათა პოპულარიზაციას 60-იან წლებში სისტემატურად აწარმოებდა აგრეთვე გაზეთი „Кавказ"-ი. ის, ჯერ კიდევ 1866 წელს მოუწოდებდა თავის მკითხველებს: „იყავ უფრო დარწმუნებული საკუთარ ძალაში. რასაკვირველია, დისტერვეგს, ფრებელს, პესტალო-

---

* გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზულებათა სრული კრებული, I, 66.

ცის—უცბად ვერ ჩაყლაპავ, მაგრამ აიღე მათგან ის, რაც უფრო მარტივია, მისაწვდომია, რისი შესრულებაც შეიძლება და აუცილებელია შენთვის“ (№ 35). შემდეგ წლებში ეს გაზეთი ვრცლად ბეჭდავდა თბილისის მასწავლებელთა შეკრებებზე წაკითხულ ზოგიერთ მოხსენებასა და ლექციას ისე, როგორც ცალკე სტატიებს პედაგოგიკის საკითხებზე.

XIX საუკუნის 60-იანი წლებისა და შემდგომი პერიოდის ქართულ პედაგოგიკაზე ლაპარაკის დროს არ შეიძლება არ გავიხსენოთ ის როლი, რომელსაც მისი ფორმირების საქმეში ასრულებდა რუსეთის დიდი პედაგოგი კონსტანტინე დიმიტრის-ძე უ შ ი ნ ს კ ი. ქართული პედაგოგიკის ახალ ისტორიაში მას მეტად საპატიო ადგილი უჭირავს. მთელი XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული პედაგოგიკა უშინსკის მოძღვრებასთან უშუალო კავშირით ვითარდებოდა. რუსი და ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრებისა და კულტურული განვითარების დაახლოებით ერთგვარი პირობები XIX ს. მეორე ნახევარში შესაძლებლად ხდიდნენ ამ სახელოვანი კლასიკოსის პედაგოგიკური იდეების ფართო პოპულარიზაციას საქართველოში.

ეროვნული სახალხო განათლების სისტემის აუცილებლობის დასაბუთება და მისთვის ბრძოლა, სახალხო სკოლის ახალი ტიპის შექმნა, ხალხურობა და ჰუმანიზმი, იშვიათი დიდაქტიკური ხელოვნებით შედგენილი სახელმძღვანელოები, ბრძოლა მეფის ბიუროკრატული რეჟიმისა და საგანმანათლებლო პოლიტიკის წინააღმდეგ, მშობლიური ენის დიდი მნიშვნელობის გარკვევა ახალგაზრდობის სწავლა-განათლებისა და ხალხის ეროვნული მთლიანობისათვის, და ბრძოლა მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ უფლების დასაცავად—აახლოებდა კ. დ. უშინსკის ქართველ ხალხთან, რეალურ ნიადაგს უქმნიდა მის მოძღვრებას ჩვენში და გულითადი პატივისცემითა და სიყვარულით ბოსავდა მის სახელს საქართველოს ახალ ისტორიაში.

პირველად საქართველოში კ. დ. უშინსკის სახელი შემოიტანა მისმა შრომებმა, რომლებიც დაიბეჭდა ჟურნალებში „Журнал для воспитания“ და „ЖМНП“ 1857—1860 წლებში, ხოლო „Детский

мир"-მა 1861 წელს* და „Родное слово"-ს პირველმა და მეორე ნაწილმა 1864 წლიდან საკმაოდ პოპულარული გახადეს იგი.

ეს წიგნები, როგორც რუსული ენის სახელმძღვანელოები, ყველა ოფიციალურ სკოლაში იხმარებოდა და მით სწავლობდნენ რუსულ ენას როგორც რუსი, ისე სხვა ეროვნების და. მათ შორის, ქართველი ბავშვებიც. მართალია, უშინსკის სახელმძღვანელოები განკუთვნილი იყო ხოლოდ მათთვის, ვისთვისაც რუსული ენა წარმოადგენდა მშობლიურ ენას (ე. ი. რუსებისათვის), მაგრამ, 60-იან წლებში, სანამ არარუსთათვის რუსული ენის სახელმძღვანელო ჯერ კიდევ არ არსებობდა, უშინსკის ხსენებული წიგნები ასრულებდნენ მის მაგივრობას. 1861 წელს თბილისში გამოვიდა გერასიმე კალანდარიშვილის სახელმძღვანელო „Начальный курс русского языка для грузин", რომელშიც გამოყენებული იყო მასალის განლაგების პრინციპი, უშინსკის „Родное слово"-ს I ნაწილის მიხედვით, აგებული იყო თარგმნითი (ე. წ. პრაქტიკული) მეთოდით და შეიცავდა რუსულ-ქართულ ლექსიკონს. ამიტომ ამ წიგნმა ქართველთათვის ადვილად შესცვალა უშინსკის მშობლიური (რუსული) ენის სახელმძღვანელოს — „Родное слово"-ს პირველი ნაწილი. რაც შეეხება რუსული ენის სწავლების მეორე წლის კურსს—ამის შესახებ იაკობ გოგებაშვილი 1879 წელს გერასიმე კალანდარაშვილის ხსენებული სახელმძღვანელოს მე-6 გამოცემის წინასიტყვაობაში აღნიშნავდა: „პირადად ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ ამ სახელმძღვანელოს დამთავრების შემდეგ, უკეთესია, მიეცეს ბავშვებს უშინსკის „Родное слово" მეორე ნაწილი". ეს წიგნი,—აგრძელებს იგი უშინსკის სახელმძღვანელოს შესახებ,—შედგენილია ნამდვილად გენიალური ხელოვნებით, სავსეა სითბოთი, სინათლით, სიცოცხლით, ინტერესით, ბევრად აღემატება ამავე რიგის სხვა წიგნებს და ჯერ შეუცვლელი რჩება".** შეუცვლელი რჩებოდა იგი 1885 წლამდე, როდესაც გამოიცა ი. გოგებაშვილის, სპეციალურად ქართველთათვის შედგენილი, „Русское слово" ორ ნაწილად.

რაც შეეხება უშინსკის სახელმძღვანელოების საკითხავ მასალას, უნდა ითქვას, რომ ეს მასალა თავისი აღზრდელობითი (ზნეობრივი) და საგანმანათლებლო მნიშვნელობით და აგრეთვე შინაარსით და მხატვრული ღირებულებით საკმაო პოპულარობით სარ-

* „Кавказ", 1861, № 55.

** Г. Каландаришвили. Начальный курс русского языка для грузин, 1879 (მე-6 გამოც.), გვ. III.

გებლობდა საქართველოში. პირველად იმავე იაკობ გოგებაშვილმა შეიცნო უშინსკის საკითხავი მასალის ასეთი ღირებულება და თავისი „ბუნების კარის“ პირველ გამოცემაში, 1868 წელს, შეიტანა უშინსკის „დეტსკი მირიდან“ პირველივე მოთხრობა „ყმაწვილები ბალაში“ („Дети в роще“) და ათიოდე სხვა. ეს მოთხრობები გოგებაშვილს შეჰქონდა „ბუნების კარში“ არა უცვლელად, არამედ გადამუშავებულად ან თავისუფალი თარგმანის სახით. მაგალითად, უშინსკის „როდნოე სლოვოში“ გადმოცემული რუსეთას ზამთარი, გაზაფხული, შემოდგომა გოგებაშვილს შეცვლილი აქვს საქართველოს შესაფერისად, ასევე ბუნების სხვა მოვლენები და ცხოველები. შედგენის პრინციპების მიხედვით და თემატიკურად უშინსკის „დეტსკი მირს“ უეჭველად აქვს გავლენა გოგებაშვილის „ბუნების კარზე“, მაგალითად, უკანასკნელის საბუნებისმეტყველო განყოფილება პირველის უშუალო მიბაძვითაა შედგენილი, მაგრამ მასალის შინაარსის მხრივ მათ შორის დიდი განსხვავებაა.

„დედა ენის“ II ნაწილიც შეიცავს უშინსკის „როდნოე სლოვო“-ს რამდენიმე მოთხრობას, სურათს, მაგრამ ეს საერთო მოვლენაა ქრესტომათიული წესით შედგენილი სახელმძღვანელოებისათვის.

* * *

ასეთი იყო ის საერთო პირობები XIX ს. 60-იან წლებში, როდესაც შეიქმნა სათანადო საფუძვლები ბავშვთა აღზრდისა და სწავლა-განათლების ახალი თეორიის ანუ მეცნიერული პედაგოგიკის აღმოცენებისათვის საქართველოში.

ბევრი თავდადებული შრომა დაენერგია დასჭირდა ამ საქმეს, ბევრი მოწინავე ადამიანის გული და ტვინი დაისერა მისთვის ბრძოლაში, მაგრამ როგორც პედაგოგიური განათლების დამკვიდრება თავისი განვითარების ახალ გზაზე, ისე აღზრდის ახალი თეორიის ანუ ახალი ქართული პედაგოგიკის შექმნა უმთავრესად დაკავშირებულია ჩვენი კულტურის დიდი ბოამაგეების ილია ჭავჭავაძის და იაკობ გოგებაშვილის თავდადებულ მოღვაწეობასთან თავისი ხალხის კულტურული აღორძინებისათვის.

IV. ილია ჭავჭავაძის პედაგოგიკური იდეები

ქართული ლიტერატურის დიდი კლასიკოსი და მე-19 ს. მეორე ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაური ილია ჭავჭავაძე ცნობილია ჩვენში თავისი მრავალმხრივი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული მოღვაწეობით. ქართულმა ლიტერატურამ მასში ჰპოვა დიდი რეალისტი, მებრძოლი სოციალური მოტივებით გაჟღენთილი მხატვარი და ქართული სალიტერატურო მეტყველების განმაახლებელი. ქართული ფილოსოფიური აზროვნებისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში ის უნდა ჩაითვალოს ისტორიული პროცესის მატერიალისტური გაგების უახლოეს წინამორბედად. ჩვენი ეკონომიური ცხოვრების განვითარებისა და გარდაქმნის მიზნით ილია ჭავჭავაძე ენერგიულად უწყობდა ხელს საქართველოს ნაციონალური მრეწველობის განვითარებას, ადგილობრივი სოფლის-მეურნეობისა და საქალაქო წარმოების გაძლიერებას. ის ამავე დროს აძლიერებდა ჩვენში რევოლუციურ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, მტკიცედ იბრძოდა მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ, აფართოებდა ქართული ეროვნული კულტურის განვითარების გზებს, თავდადებულად უწყობდა ხელს საქართველოში მეცნიერული ცოდნის გავრცელებას და ამ მხრივ განსაკუთრებული გატაცებითა და ერუდიციით იბრძოდა ჩვენი ახალგაზრდობის მეცნიერული აღზრდისა და სწავლა-განათლებისათვის.

ილია ჭავჭავაძის ამ მრავალმხრივი საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და აზროვნების ერთ-ერთ ძირითად მომენტს წარმოადგენენ მისი პედაგოგიკური იდეები.

1. აღზრდა-განათლების საზოგადოებრივი მნიშვნელობა

ილია ჭავჭავაძე კარგად გრძნობდა ახალი თაობის მეცნიერული აღზრდის განუზომელ საზოგადოებრივ მნიშვნელობას ჩვენი

ქვეყნის მომავლისათვის. მისთვის ნათელი იყო, რომ საქართველოს პოლიტიკურ-კულტურული განთავისუფლება და განვითარება შეეძლო არა ეროვნულად და სულიერად გადაგვარებულ, „კეთილშობილ“ და „ბრწყინვალე“ გვამთა მოდგმას, არამედ პროგრესულ-დემოკრატიული იდეების საფუძველზე აღზრდილ ახალთაობას. ამ თაობას აკუთვნებდა ილია ჭავჭავაძე ჩვენი მომავალი ცხოვრების მეთაურობას. მას სთელიდა იგი საქართველოს საიმედო ძალად. ჯერ კიდევ 1863 წელს ილია წერდა: „ჩვენ ვგონებთ, რომ ნამეტანი იქნება იმაზედ ლაპარაკი, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნისათვის კითხვას ყმაწვილების აღზრდაზე, რადგანაც, ცხადია რომ ქ ვ ე ყ ნ ი ს მ ყ ო ბ ა დ ი მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ი ა ი მ მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ა ზ ე დ, რ ო მ ე ლ ს ა ც მ ი ს ც ე მ ე ნ ა ხ ა ლ ს თ ა ო ბ ა ს“.* ილია ხშირად წერდა საზოგადოების მომავლისათვის ახალთაობის აღზრდის გადამწყვეტი მნიშვნელობის შესახებ. უფრო მეტიც: ახალგაზრდობას ის აკუთვნებს ერის მთელ მომავალს. „ახალი თაობა.... რ ო მ ე ლ ზ ე დ ა ც მ ი ქ ც ე უ ლ ი ა მ თ ე ლ ი ჩ ვ ე ნ ი ს ა ს ო ფ ლ ე ბ ა დ ა რ ო მ ე ლ ს ა ც ე კ უ თ ვ ნ ი ს ჩ ვ ე ნ ი მ ე რ მ ი ს ი, ე ს ე ი გ ი ჩ ვ ე ნ ი მ ო მ ა ვ ა ლ ი“**. ასეთი სასოებითა და მომავლის იმედით შეჰყურებდა ახალთაობას ილია ჭავჭავაძე და საკვირველი არ არის რომ მისი მეცნიერული აღზრდა-განათლება მას უმთავრეს საზოგადოებრივ და სასიცოცხლო საქმედ მიაჩნდა.

მაგრამ ჯერ ვნახოთ რა მნიშვნელობას აძლევდა ილია ცოდნასა და განათლებას საზოგადოების განვითარების საქმეში.

მისთვის, როგორც დიდი განმანათლებლისათვის, არ არსებობდა არცერთი ისეთი ძლიერი იარაღი და საშუალება ხალხის კეთილდღეობისათვის—როგორიცაა ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო ც ო დ ნ ა დ ა გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა. ხალხის მიერ სწავლა-განათლების დიდი მნიშვნელობის გაგებისათვის ილიას საჭიროდ მიაჩნდა მისი სათანადო ელემენტების წინასწარი ცოდნა; ილიას აზრით, ც ო დ ნ ა ს

---

* „საქართველოს მოამბე“, 1863 წ., № III, მარტი, 49.

** ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, VI, 227, თბილისი, 1927 წ. (როგორც აქ. ისე შემდეგშიც ილიას ტექსტი ციტირებული გვექნება „ქართული წიგნის“ მიერ, პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა ს ა და ალ. ა ბ ა შ ე ლ ი ს რედაქციით გამოცემული — ათტომეულიდან, 1925—1929 წ. თბილისი, ხოლო იმ მასალების ციტირების დროს, რომელიც ამ ათტომეულში არ შედის, მითითებული გვექნება მათი პირველი წყაროები). ხაზი ყველგან ჩვენია — გ. თ.

მ ც ო დ ნ ე უ ფ რ ო ა ფ ა ს ე ბ ს დ ა გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა ს გ ა ნ ა თ ლ ე ბ უ ლ ი. ხოლო იმისათვის, რომ ხალხში წინასწარ შევიტანოთ განათლების ელემენტები განათლების უფრო მეტად დაფასებისათვის, საჭიროა მოწინავე, შეგნებულ პირთა თავდადებული მუშაობა ხალხში სწავლა-განათლების სურვილის აღძვრისათვის.

ასეთ მოწინავე პირებად ილიას მიაჩნია „მასწავლებელი, ექიმი, ტეხნიკი, მიწის შემუშავების მცოდნე (აგრონომი, გ. თ.)—ყველა, ვინც კი მეცნიერებით და ცოდნით შეიარაღებულია";* მათ უნდა შეიტანონ ხალხში პირველი სხივი განათლებისა, უნდა აღძრან წინასწარი სურვილი ცოდნის მიღებისა. ილია ხედავდა, რომ ეს მოწინავე ელემენტები მართლაც იბრძოდნენ ხალხის განათლებისათვის, ნაყოფიც ჩანდა, ჯერ ძალიან მცირე, მაგრამ მაინც „ვერვინ იტყვის, რომ ჩვენში გაღვიძებული არ იყოს სწავლისა და განათლების სურვილი,—წერდა ილია,—ამას ბევრი ლარი და ხაზი არ უნდა: ყველა ხედავს, ყველა გრძნობს, ყველა ღაღადებს, ვ ი ნ ც ი ც ი ს, რ ა ძ ლ ი ე რ ი ფ ა რ-ხ მ ა ლ ი ა ც ო დ ნ ა დ გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა, რ ა დ ი დ ი ღ ო ნ ე ა—ე რ ი ს ბ ე დ ნ ი ე რ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს საერთოდ და ცალკე კაცისათვის საკუთრივ..."**. ხალხმა უნდა იგრძნოს სწავლა-განათლების ეფექტიანობა. ილია ბევრჯერ აღნიშნავს, რომ განათლების სიკეთე უნდა მოჩანდეს როგორც სამეურნეო და პოლიტიკური ცხოვრების გაუმჯობესებაში, ისე ძველი ყოფა-ცხოვრების გარდაქმნაში; მაშინ ხალხი უსათუოდ დაეწაფება მას, ცოტას უკვე აღარ იკმარებს და შემდეგ თვით აიღებს ინიციატივას თავისი განათლების უფრო გაძლიერების საქმეში.

ილია ჭავჭავაძეს მშვენივრად ესმის სწავლა-განათლების სტიმულირების საფუძვლები და სწორედ მათი ცხადად გამოვლენისა და პოპულარიზაციით იწყებს თავის ღრმადმოფიქრებულ პროპაგანდას ცოდნის გავრცელებისათვის. რა თემაზეც უნდა წერდეს ილია, ყველგან და ყოველთვის, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, უსათუოდ განათლების დიდ მნიშვნელობას ეხება: ერის ეკონომიური სიღატაკე—განათლების სიმცირის შედეგია, ერის პოლიტიკური დამონება—განათლების სისუსტის ბრალია, ერის სულიერი დაცე-

---

* VII, 249.

** იქვე, 241.

მა—განათლების უქონლობით აიხსნება. „ვინ არ იცის, რომ თავი და ბოლო ჩვენის უღონობისა, უკან ჩამორჩომისა, ჩვენი უბედურებისა,—უმეცრება და უსწავლელობაა“,—წერს იგი*.

განათლება, ამასთანავე, მას მიაჩნია დიდ რევოლუციურ ძალად, რომელიც ჩაგრულ ადამიანს ათავისუფლებს მონობის ბორკილიდან: „არა ღონე არ ექნება გაუნათლებელ კაცს თავისი ჯაჭვის დასამტვრევლად“**,—წერს ილია.

განა ერთგან და ორგან შევხვდებით ჩვენ ილიას ნაწერებში სწავლა-განათლების მნიშვნელობის გარკვევას ზემოხსენებულის მსგავსად; რუსეთის დიდი რევოლუციონერი დემოკრატების ბ. ბელინსკის, ნ. ჩერნიშევსკისა და ა. დობროლუბოვის საგანმანათლებლო იდეებით გატაცებული — ილია ჭავჭავაძე ხშირად წერს:

„ცოდნა, სწავლა-განათლება დღევანდელ კაცისათვის არსებითი პურია. უამათოდ ადამიანი დღეს ყველაფერს მოკლებულია: ადამიანობასაც, სარჩო-საბადებელსაც, ღონეს-ც და შეძლებასაც დღეს უცოდნელად, უსწავლელად კაცი ერთ ნაბიჯს-ც ვერ გადასდგამს ცხოვრების მოედანზედ უშაოცხოდ და უძლეველად“...

„ცოდნა, სწავლა-განათლება დაუშრეტელი წყაროა როგორც კაცადმყოფობისათვის, ისე თავის სარჩოვად, ისე ქონებისა და სარჩოს მოსაპოვებლად“.

„განათლებამ უნდა მისცეს მას (ხალხს, გ. თ.) ძალა ცხოვრებაში საბოძოლველად“...

„ეხლანდელ დროში ცოდნა ყველაფერია: ფულზედაც უფრო დიდი ბაზარი აქვს, ხმალზედაც უფრო მეტადა სჭრის და ზარბაზნებზედაც უფრო ძლიერია***.

სწავლა-განათლების აქტუალური საზოგადოებრივი ფუნქცია ილიასათვის ნათელია. ის სასტიკი მტერია ხალხის ცხოვრებიდან მოწყვეტილი ცოდნისა, ძველი სქოლასტიკურ-დოგმატური სწავლებისა, ფორმალისტური განათლებისა.

ილია ჭავჭავაძის მიერ ცოდნისა და განათლების რეალისტური გაგება, მათი კანონზომიერი დაკავშირება საზოგადოების შრომასა და ბრძოლასთან, მისი ფილოსოფიური კონცეფციებიდან გამოშდინარეობდა.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ილია ჭავჭავაძე საქართველოში ისტორიული მატერიალიზმის წინამორბედია, მაგრამ მეცნიერე-

---

* VI, 156.
** III, 260.
*** VII, 219, 23.

ბისა და ხელოვნების გაგების საკითხებში ის კიდევ უფრო ახლოს მივიდა დიალექტიკურ მატერიალიზმთან. ილია გადაჭრით იბრძვის ისეთი ბურჟუაზიული ლოზუნგების წინააღმდეგ, როგორიცაა: „წმინდა მეცნიერება“ და „ხელოვნება ხელოვნებისათვის“. ამ ლოზუნგების საწინააღმდეგოდ ის სრული დამაჯერებლობით განიხილავს მეცნიერებისა და ხელოვნების წარმოშობა-განვითარების პროცესს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებასა და ცვალებადობასთან კანონზომიერ კავშირში. ის გარკვევით ასაბუთებს თეზისს, რომ მეცნიერება და ხელოვნება ცხოვრებისაგან არიან განპირობებული.

„ცხოვრება ძირია, ხელოვნება და მეცნიერება მასზედ ამოსული შტოები არიან“, სამართლიანად აღნიშნავს ილია ჭავჭავაძე*. მას ბრწყინვალედ ესმის, რომ ცხოვრებისაგან წარმოშობილი და მისი გავლენით განვითარებული მეცნიერება—ხელოვნება და ცნობიერება, როგორც ზედნაშენი, თავისი განვითარების გარკვეულ სტადიებში თვით ახდენენ უკუზეგავლენას ცხოვრებაზე, ე. ი. თავის ბაზისზე და იწვევენ მის შემდგომ განვითარებას; ხოლო უფრო განვითარებული ცხოვრება თავის მხრივ კვლავ იწვევს მეცნიერება-ხელოვნების და ცნობიერების ახალ ზრდას და ახალ განვითარებას. ცხოვრებისა და მეცნიერების ასეთი დიალექტიკა ილიას შემდეგნაირად აქვს გადმოცემული:

„როგორც მიწიდან ამოხეთქილი შტოები ისხამენ ნაყოფსა და საესლად მოჰსწევენ, ისევ მიწას გადმოსცემენ, რომ ახალი ძირი გაიკეთონ და ამ ძირმა სხვა ახალი შტოები ამოხეთქოს, ისე ცხოვრებაზედ ამოსული შტოები—მეცნიერება და ხელოვნება—ისხმენ ზედ ცხოვრების ნაყოფსა და როცა მოჰსწევენ სათესლოდ, ისევ ცხოვრებასვე გადმოსცემენ ახალი ცხოვრების გამოსაკვანძავად. ამისთანა დამოკიდებულება აქვს ცნობიერებას ცხოვრებაზედ და ცხოვრებასა თავის რიგზე—ცნობიერებაზედ“**.

---

* IV, 73.

** იქვე, 73.

ეს დებულება არსებითად სწორი და მეცნიერულია. ჩვენ რომ აქ ცხოვრების, ე. ი. მეცნიერება-ხელოვნებისა და ცნობიერების ბაზისის ნაცვლად წარმოება და საწარმოო ურთიერთობანი გვქონდეს, საქმე გვექნებოდა დაზუსტებულ დიალექტიკურ-მატერიალისტურ დებულებასთან. მაგრამ ეს მატერიალისტური დებულება იქნებოდა მხოლოდ ელემენტი მისი მსოფლმხედველობისა, ვინაიდან ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობა მთლიანად, მისი დროის საერთო ჩამორჩენილობის გამო, ვერ ამაღლდა დიალექტიკურ მატერიალიზმამდე.

მეცნიერებისა და ხელოვნების გამოყენებითი მნიშვნელობის შესახებ ილია აღნიშნავს: „მეცნიერებასა და ხელოვნებას ჩვენ ვუყურებთ, როგორც ცხოვრების გასამჯობინებელ ღონისძიებათა“* და მათს მატერიალურ ძალას ხედავს იმაში, რომ „რაც მაგათგან არის მოყვანილი ცნობაში და დამტკიცებული, ის გადადის ხალხში და იგი სცვლის ხალხის მდგომარეობასა და ცხოვრებასა“**.

ამგვარად, მეცნიერებასა და ხელოვნების დანიშნულებას ილია ჭავჭავაძე ხედავს ხალხის შრომისა და მისი მებრძოლი, რეალისტური აზროვნების განმტკიცებაში.

ბუნებრივია, რომ სწავლა-განათლების სისტემა ილიას ამავე პრინციპზე აქვს აგებული. ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ იგი ცოდნას ეკისრებს აქტიური საზოგადოებრივი ფუნქციის შესრულებას და ცხოვრებასთან მტკიცე, ორგანულ კავშირს. ხოლო მათ შესახებ კი ვინც ცხოვრებას თავს არიდებს განათლების სახელით, „უაზროდ შტვენს“ და „მეშვიდე ცისთვის“ მიუპყრია „გაბეცებული თვალები“,—ილია წერს: „ჩვენ იმათთან საერთო გზა არა ვქონია“. აქედან ადვილი წარმოსადგენია, რომ ილია დაუნდობლად ებრძვის ფორმალიზმს და სქოლასტიკას. ვინც ცოდნა-განათლებას უცქერის როგორც გარეგან—„მორთულობასა და სამკაულს“, ის ბილწავს და აგინებს მას. „ცოდნა, სწავლა-განათლება ასე ახსნილი და გაგებული, სწორედ ცოდნისა და სწავლა-განათლების შეგინებაა, გაუპატიურებაა“,—წერს ილია*** და ამასთან აღნიშნავს, რომ „მიხვედრილს კაცს ცოდნა და

---

* VI, 79.

** იქვე, 83.

*** VII, 253.

სწავლა-განათლება სამკაულად კი არა აქვს მიჩნეული, როგორც ბუზმენტი ჩოხისათვის, ან ძეწკვი გულმკერდისათვის,"*—არამედ პრაქტიკულ, გამოსაყენებელ ძალად.

ასევე დაუნდობლად ებრძვის ილია უაზრო და უშინაარსო ფრაზას მხატვრულსა და მეცნიერულ შემოქმედებაშიც, თუნდაც რომ ეს ფრაზა მაღალი შტილით იყოს დაწერილი. „თხუზულებაში საქმე აზრია, და მაღალს და მდაბალს ფრაზას არაფერი ღირსება არა აქვს, თუ ბრწყინვალე აზრი არ გამოსჭვივის სტატიაში".**

რეალური, საგნობრივი და შინაარსეული განათლება იზიდავს ხალხს, იწვევს მასში ინტერესს და ცოდნის მიღებისადმი ლტოლვას, რადგანაც მხოლოდ ასეთი განათლება აძლევს მას საგრძნობ მატერიალურ და კულტურულ ეფექტს, აძლევს რწმენას თავის ძალ-ღონესა და უნარში, უქმნის მას ძლიერების იმედს, რადგანაც, ილიას თქმით, „ამ წუთისოფელში ბედი იმისია, ვინც ძლიერია. და ძლიერი მარტო მცოდნე კაცია".

ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, როგორი შეაცრი და გამანადგურებელი ცინიზმით ილაშქრებს ილია ჭავჭავაძე ძველი სკოლის რეჟიმისა და სწავლების ფორმალისტური და დოგმატური მეთოდების წინააღმდეგ, ხოლო აქ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ფორმალიზმთან ბრძოლის დროს ის აყენებს თეორიისა და პრაქტიკის მთლიანობის იდეას და მტკიცედ იცავს მას. გარდა იმისა, რომ მთელი მისი საგანმანათლებლო იდეები ამ იდეით არის გამსჭვალული, ის ცალკეც ეხება ამ საკითხს.

სწავლა-განათლებამ, ილიას აზრით, ადამიანს უნდა მისცეს ჰარმონიული თეორიული და პრაქტიკული განვითარება. ადამიანის თეორიული ცოდნა უნდა ვლინდებოდეს მის პირად შრომასა და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში, მის ყოფა-ცხოვრებაში; სამაგიეროდ მისი ცხოვრება და მოქმედება საკუთარი უნდა შეეფერებოდეს მის თეორიულ ცოდნას ისე, რომ ადამიანის მოქმედება და ყოფა-ცხოვრება მისი ცოდნა-განათლების გამომხატველი იყოს. ილია ჭავჭავაძე იშვიათი გამჭრიახობით ხედავს, რომ მისი დროის ბევრ ადამიანში თეორიული განათლება და პრაქტიკული მოქმე-

* VII, 260.
** IV, 814.

დება ერთმანეთთან სრულ წინააღმდეგობაში იმყოფება, რომ მათი ცოდნა სხვაა და საქმე კი სულ სხვა; ამის მიზეზს ილია ფორმალურ განათლებაში ხედავს; ის წერს:

„დღევანდელ დღეს, ადვილად შესაძლოა შეხვდეთ, — კაცი ცოდნით ერთი იყოს, მოქმედებით და ცხოვრებით კი სრულებით სხვა. ეს იმიტომ არის, რომ დედა-აზრი, სკოლაში სწავლა-ცოდნით გამორკვეულნი, მარტო ფორმალურად არიან მიღებულნი და არა მათის შინაგანი აზრითა, არა მათის ბუნებრივის შინაარსითა“*.

ამგვარად, ილია ჭავჭავაძე სწავლა-განათლების მიზნად აღიარებს ადამიანის მთლიან განვითარებას მისი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული მოღვაწეობის ერთიანობის საფუძველზე. ის ებრძვის უსაგნო აბსტრაქტულ ცოდნას, პრაქტიკული ცხოვრებისაგან მოწყვეტილ და ბუნებრივი ანუ რეალური შინაარსიდან გაცლილ სწავლა-განათლებას, ფორმალიზმს.

ილია ენერგიულად იცავს წიგნისა და ცხოვრების სინამდვილის მტკიცე კავშირის იდეას. არც წიგნი ვარგა ცხოვრებისაგან მოწყვეტილი, არც ცხოვრება წიგნის ანუ ცოდნის გარეშე. ჭკუა და ცოდნა თითქოს „თუ არ წიგნში, სხვაგან აღარსად იყოსო“, ამბობს „ოთარაანთ ქვრივის“ არჩილი, რომლის პირითაც ილია გადმოგვცემს შემდეგ ჩეშმარიტებას:

„არც უწიგნობა ვარგა და არც მარტო წიგნიდამ გამოხედვა. უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა და მარტო წიგნითაც საკმაოდ გრძელი არ არის“.

აქედან ილიას დასკვნა ნათელია: წიგნი უნდა ეყრდნობოდეს პრაქტიკულ სინამდვილეს, ხალხთა შრომას და გამოცდილებას. ბოლო პოაქტიკული სინამდვილე, შრომა და გამოცდილება წიგნით უნდა სარგებლობდეს და მას იყენებდეს შემდგომი განვითარებისათვის.

თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთობის საკითხის გადაწყვეტას ის უზგება მათი ერთიანობისა და ურთიერთ ზეგავლენის პრინციპის აღიარებით. ამ პრინციპს ილია გამოხატავს შემდეგნაირად:

---

* VIII, 326—327.

„ცხოვრება ყოველთვის ორ დიდ ტოტად დადის. ერთი ტოტი ბრაზრე ცხოვრებაა (идейная жизнь), მეორე—მ ო ს ა ქ მ ე (практическая), რომლებიც ისე არიან ერთმანეთზე დამოკიდებულნი, რომ ხან ერთია მეორისაგან წარმოდგენილი, ხან მეორე პირველისაგან“*.

თეორიის (იდეის) და პრაქტიკული მოღვაწეობის ასეთი პირდაპირი დამოკიდებულება და ურთიერთ ზეგავლენა მათი განვითარების პროცესში ილიას ესმის როგორც მიზეზისა და შედეგის ურთიერთ ზეგავლენა, როდესაც რაიმე გარკვეული მოვლენა, აღმოცენებული წარსული მიზეზით, არის შედეგი ამ მიზეზისა, მაგრამ თავისი განვითარების პროცესში იწვევს ახალ მოვლენას და თვით ხდება მიზეზი ამ ახალი, მეორე მოვლენისა; თავის მხრივ ეს ახალი მოვლენა როგორც შედეგი წარსულისა, ამავე კანონზომიერებით, თვითონვე იქცევა უფრო ახალი მოვლენის მიზეზად. აქედან: მიზეზი გადადის შედეგში, შედეგი—ახალ მიზეზში.

ეს მატერიალისტური თეზისი ილიას მშვენივრად აქვს დადასტურებული საქართველოს XIX საუკუნის ცხოვრების მაგალითზე. ილია, როგორც რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდი მოღვაწე, ხედავდა, რომ საქართველო, თუმც გარეგნულად მოსვენებულია მტერთა შემოსევისაგან და შინაური ფეოდალთა და მთავართა კინკლაობისაგან, მაგრამ ხალხს თითქოს საქმე გამოელია, არ მოქმედობს, არ იბრძვის, არ მოძრაობს, — ძილსა და მოსვენებას მისცემია. ამ გარემოებას, ილიას აზრით, შეუძლია ჩვენი პრაქტიკული ცხოვრების მოდუნება, რაც თავის გავლენას მოახდენს ჩვენს იდეურ, თეორიულ ცხოვრებაზე. გაჩერებულ ცხოვრებას ხავსი ეკიდება ისე, როგორც ეს დაემართებოდა მრისხანე და მოუსვენარ თერგს, რომ ის დადგეს, შეჩერდეს: „აბა პატარა ხანს დადეგ, თუ მყრალ გუბედ არ გადაიქცე და ეგ შენი საშიშარი ხმაურობა ბაყაყების ყიყინზე არ შეგეცვალოს“ („მგზავრის წერილები“). განვითარებას ილია მხოლოდ მოძრაობაში ხედავს. „მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და აზრის მიმცემი“, და ხალხსაც მოძრაობისაკენ მოუწოდებს.

ილია ჭავჭავაძის მსჯელობას თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობისა და ურთიერთ ზეგავლენის შესახებ კიდევ უფრო ამტკიცებს ბისი შესანიშნავი დებულება, წამოყენებული 1892 წელს:

---

* IV, 221.

„თვით აზრი სხვა არა არის რა გარდა იმისა, რომ საქმეა, ჯერ განუხორციელებელი, და საქმეც აზრია უკვე განხორციელებული“.*

აქ იშვიათი მეცნიერული სიღრმით და კონდენსირებულად არის მოცემული ზემოთ აღნიშნული იდეა; აქვე ჩანს, რომ აზრი (იდეოლოგია) მას მიაჩნია მატერიალური ბუნების მოვლენად, ხოლო აზროვნების პროცესი კი სპეციფიკურ მატერიალურ პროცესად. საქმე ქმნის აზრს, აზრი—საქმეს; აზრი, თუ ის ნამდვილი და სწორი აზრია,—საქმეში უნდა გადავიდეს, საქმედ იქცეს; მაგრამ თუ იგი ჯერ საქმედ ქცეული არ არის, რჩება საქმედ პოტენციაში, ე. ი., ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, — განუხორციელებელ საქმედ. ხოლო საქმის განხორციელება ნიშნავს აზრის საქმედ ქცევას, მაშასადამე, მის გადაქცევას მატერიალურ ძალად.

აუცილებლობა იდეის ანუ თეორიის მატერიალურ ძალად ქცევისა პირველად ჩვენ მოგვცა მშრომელი კაცობრიობის დიდმა ბელადმა და იშვიათი სიღრმის მეცნიერმა კარლ მარქსმა. ცნობილია, რომ კ. მარქსი ძველი მატერიალური ძალის დასამხობად მატერიალურ ძალასვე მიმართავდა, ხოლო თეორიის გამოყენება ამ ბრძოლაში მას შესაძლებლად მიაჩნდა იმ შემთხვევაში, თუ ეს თეორია ხალხში გავრცელდებოდა, გამოიწვევდა ხალხის მოძრაობას, მის ახალ შემოქმედებას და ამით თვით გადაიქცეოდა მატერიალურ ძალად. „თეორია ხდება მატერიალურ ძალად, როდესაც მას დაეუფლებიან მასები“,—წერდა მარქსი და ამით იგი განსაკუთრებული სიცხადით აღნიშნავდა თეორიის დიდ რევოლუციურ ძალას და მის დიდ აქტიურ მნიშვნელობას პრაქტიკული საქმიანობისათვის. ილია ჭავჭავაძე იცნობდა კ. მარქსის ნაშრომებს და ამ შემთხვევაში — აზრისა და მოქმედების განმარტების და მათი ურთიერთდამოკიდებულების საკითხში, ის უეჭველად მარქსის მოძღვრებიდან გამოდის. ამასთან უნდა ვიფიქროთ, რომ ილიას მიერ აზრის აღიარება მატერიალური ბუნების მოვლენად მარქსისვე გავლენით მოხდა; კერძოდ, მარქსის დებულება, რომ „იდეალური არის არა სხვა რამ, არამედ ადამიანის თავში გადატანილი და გადამუშავებული მატერიალური“ („კაპიტალის“ მეორე გამოცემის წინასიტყვაობიდან, 1873 წ.). უეჭველია ილიას ზემოთ მოყვანილი დებულების გამოსავალ პრინციპად უნდა იქნეს აღიარებული.

---

* IV, 224.

დავუბრუნდეთ საკითხს, როგორ ესმის ილიას ახალგაზრდობის აღზრდის პროცესი.

2. აღზრდის პროცესი

ცნობილია, რომ ადამიანის წარმოშობა და გაადამიანება შრომის პროცესსა და სოციალურ ურთიერთობაში მოხდა, რომ ის საზოგადოებრივი გარემოებისა და აღზრდის პროდუქტს წარმოადგენს და, როგორც სოციალური არსი, განიცდის კანონზომიერ ცვალებადობას მისი არსებობის სოციალურ პირობათა ცვალებადობასთან დაკავშირებით. ადამიანის კულტურა, მისი ფსიქიკა და იდეოლოგია თავის წარმოშობასა და განვითარებაში ამავე კანონზომიერებას ემორჩილება. აღზრდა, როგორც ადამიანის მომზადება შეგნებული საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, სოციალურ პროცესს წარმოადგენს და მისი განვითარების ყოველი ეტაპი გარკვეული საზოგადოების ეკონომიურ-პოლიტიკურ მდგომარეობითა და მისი გაბატონებული იდეოლოგიით არის განპირობებული.

ილია ჭავჭავაძეს ახალთაობის აღზრდა საზოგადოების უმთავრეს და აუცილებელ ფუნქციად მიაჩნდა და საზოგადოებრივ ცხოვრებასთან მტკიცე კავშირის გარეშე არ ჰქონდა იგი წარმოდგენილი. უკეთუ ახალთაობას „ეკუთვნის ჩვენი მერმისი", ესე იგი ჩვენი მომავალი, — გარდაუვალ საჭიროებას წარმოადგენს ხალხის მიერ თავისი მერმისის ანუ მომავლის კარგად მომზადება. ეს მერმისი ბავშვი და მოზარდია, ხოლო მომავალი ცხოვრებისათვის მათი მზადება, უპირველეს ყოვლისა, აღზრდას გულისხმობს.

იმისათვის, რომ გავიგოთ როგორ ესმის ილია ჭავჭავაძეს ბავშვის აღზრდის პროცესი, საჭიროა ჯერ გავარკვიოთ როგორ ესმის მას თვით ბავშვი, როგორც აღზრდის ობიექტი.

ჩვენ ვიცით, რომ „ადამიანის არსი მის სოციალობაში მდგომარეობს" (მარქსი). ონტოგენურად ადამიანის სოციალობა მისი დაბადების მომენტიდანვე იწყება, და, მაშასადამე, ბავშვი, როგორც ადამიანი, სოციალური არსია.

ილია ჭავჭავაძეს ბავშვი არსებითად ამნაირადვე ესმის. ერთ თავის ლიტერატურულ-პედაგოგიურ ეტიუდში („უცნაური ამბავი") ის ბრწყინვალედ სჭრის ამ საკითხს. „ბავშვი იგივე ადამი-

---

* III, 280.

ა ნ ი ა",—წერს ილია* და მოითხოვს, რომ პედაგოგი (აღმზრდელი) ბავშვს მიუდგეს როგორც ადამიანურ არსს, ადამიანურ თვისებათა მატარებელს. ამასთან, ბავშვის ადამიანობის აღნიშვნით ილიას სრულებითაც არ სურს წაშალოს არსებული თვისებრივი და ოდენობითი განსხვავება დიდსა და პატარას შორის. მისი აზრით, ბავშვი, როგორც ადამიანი, „პატარაა" და მხოლოდ დასაწყისია იმ საზოგადოებრივი ზრდისა, რის შედეგადაც ის უნდა იქცეს დიდ ადამიანად. „ბ ა ვ შ ვ ი ს ა თ ა ვ ე ა, დ ა ს ა წ ყ ი ს ი ა დ ი დ ი ს ა დ ა მ ი ა ნ ი ს ა",—ამბობს ჩვენი დიდი მოაზროვნე**. ბავშვის ზრდა-განვითარება თავიდანვე გამოდის ადამიანიდან, იწყება როგორც ადამიანური. სოციალური პროცესი და მთავრდება ადამიანითვე; ბავშვ-ადამიანსა და დამთავრებულ ადამიანს შორის ის განსხვავებაა, რომ პირველთან შედარებით ეს უკანასკნელი, ხანგრძლივი სწავლა-აღზრდისა და საზოგადოებრივი გარემოების ხანგრძლივი ზეგავლენის შედეგად, მ ე ტ ი ც ო დ ნ ი თ ა ა აღ ჭ ურ ვ ი ლ ი, მ ე ტ ა დ ა ა გ ა ნ ა თ ლ ე ბ უ ლ ი, მ ე ტ ი ს გ ა მ ო ც დ ი ლ ე ბ ი ს მ ქ ო ნ ე ა, მ ე ტ ი უ ნ ა რ ი ა ქ ვ ს შ რ ო მ ი ს ა დ ა უ კ ე თ ე ს ი მ ო მ ა ვ ლ ი ს ა თ ვ ი ს ბ რ ძ ო ლ ი ს ა. სიტყვა „მ ე ტ ი" აქ ხაზგასმულია და ამით გვინდა აღნიშნოთ, რომ ელემენტები ცოდნისა, განათლებისა, გამოცდილებისა, შრომისა და ბრძოლისა ადრეული, სკოლამდელი ასაკის ბავშვსაც აქვს მოპოვებული, მაგრამ მოპოვებული როგორც დასაწყისი, მცირე ოდენობითი და თვისებითი მასშტაბით, მხოლოდ განვითარებისა და გაზრდის ცხადი ტენდენციით, ამასთან ეს სწავლა, ზრდა, განათლება — განვითარების სხვადასხვა საფეხურზე ქმნიან მასში სრულიად ახალ თვისებებს, ახალ ფუნქციებს, და აჰყავთ იგი ადამიანობის უფრო მაღალ საფეხურზე,

ილიას მშვენივრად ესმის, რომ ბავშვში, როგორც ადამიანში ადამიანობის ძირითადი დამახასიათებელი თვისებანი (აზროვნების, მეტყველების, ცოდნის უნარი და სხვა.) უკვე ბავშვობიდანვე იწყებენ თავის განვითარებას, რომ მასში ბავშვობიდანვეა მოცემული ეს თვისებები ჯერ ტენდენციების, შემდეგ ელემენტებისა და ბოლოს კი სისტემის სახით. როგორც ვნახეთ, მიაჩნია რა ბავშვი დიდი ადამიანის დასაწყისად და სათავედ, ილია წერს: „არ უნდა გვიკვირდეს, რომ რ ა ს ა ც დ ი დ მ დ ი ნ ა რ ე შ ი ვ პ ო უ ლ ობ თ, ი მ ა ს მ ი ს პ ა ტ ა რ ა ს ა თ ა ვ ე შ ი ა ც ვ ხ ე დ ა ვ თ". ამით

* III, 280.

** იქვე.

ილია ავითარებს ზემოთ მოყვანილ თავის დებულებას, რომ „ბავშვი იგივე ადამიანია“, და სურს ხაზი გაუსვას იმ გარემოებას, რომ ბავშვი, როგორც ადამიანი, მატარებელია დიდის ადამიანური თვისებებისა, მაგრამ იმდენად და იმ ზომით, რამდენადაც ის ჯერ მხოლოდ დასაწყისი და სათავეა დიდი ადამიანისა; ის, რაც საერთოა დიდ ადამიანსა და პატარა ბავშვს შორის არის ა დ ა მ ი ა ნ ო ბ ა ანუ სოციალობა. ამით ილია ჭავჭავაძე მშვენივრად ასაბუთებს თეზისს, რომ ბავშვი ისეთივე სოციალური არსია, როგორც საერთოდ ყოველი ადამიანი და მისი აღზრდა, როგორც პროცესი, სოციალური განვითარების პრინციპს ექვემდებარება.

„ყოველი კაცი, რომელსაც კი თვალებზედ ჩამოფარებული არა აქვს რა, ხედავს, რომ ცხოვრება რაც გუშინ იყო, ის დღეს აღარ არის, რომ იგი იცვლება, მიდის წინ და მოაქვს განახლება ყოველისფრისა. წესი, ჩვეულება, აზრი, გრძნობა, ენა, რომელიც მათგან გამომეტყველია, ყველაფერი იცვლება მისი ძლიერი გავლენისაგან“*.

ამას წერდა ილია ჭავჭავაძე 1863 წელს („საქართველოს მოამბეზედ“), და ეს იყო მართლაც მტკიცე საფუძველი მისი ახალი მსოფლმხედველობისა. ამ დებულებაში საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიულ პროცესად აღიარებასთან ერთად, სწორადაა გარკვეული, რომ ადამიანის გრძნობელობითი და აზროვნებითი სფერო ისე, როგორც მისი მეტყველება და ჩვეულება — ტრადიციები საზოგადოებრივი ცხოვრების ანარეკლია, მისგან არიან დეტერმინირებულნი და მისივე ძლიერი გავლენით მუდმივ ცვალებადობას განიცდიან. მართალია, ილიას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არ აღმოუჩენია ისტორიის მატერიალისტური გაგების პრინციპი, მაგრამ უეჭველია ეს დებულება ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ მისი ავტორი, როგორც მარქსამდელი მატერიალიზმის მოწინავე წარმომადგენელი საქართველოში, დიდი მეცნიერული ერუდიციით იცავს გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს პ რ ი ნ ც ი პ ს საერთოდ, და სავსებით სწორად სწყვეტს საკითხს საზოგადოებრივი ცხოვრების მიერ იდეოლოგიის განპირობებისა და მათი ურთიერთ ზეგავლენის შესახებ.

ამ პრინციპებზე აქვს აგებული ილია ჭავჭავაძეს ბავშვის არსობის სოციალური ბუნების გაგება და ამავე პრინციპებიდან გამო-

* IV, 65.

დის იგი აღზრდის პროცესის სოციალურ პროცესად აღიარების დროს. მართლაც, უკეთუ ბავშვის აღზრდის მთავარ ამოცანას მისი აზროვნების განვითარება წარმოადგენს, ხოლო აზროვნება კი განპირობებულია საზოგადოებრივი ცხოვრებითა და ყოფიერებით, — უეჭველია, ბავშვის (ადამიანის) აღზრდა საზოგადოებრივ პროცესად უნდა ვიცნოთ და განვითარებაში მყოფ სოციალურ გარემოს გადამწყვეტი როლი მივაკუთვნოთ ბავშვის აღზრდის საქმეში.

ილია ჭავჭავაძე სწორედ ასეთ როლს აკუთვნებს საზოგადოებრივ წრეს, „საცა ნორჩი სული ბავშვისა პირველად იღვიძებს და მერე ზრდაში შედის", ბავშვის მომავალი, მისი გრძნობების, აზროვნების, მეტყველებისა და სხვა სოციალურ-ფსიქოლოგიურ ფუნქციათა განვითარება პოზიტიური თუ ნეგატიური გზით დამოკიდებულია მის ირგვლივ არსებულ საზოგადოებრივ გარემოზე, ამ საზოგადოებრივი გარემოს პროგრესულ ან რეგრესულ ხასიათზე. ზემოთ მოყვანილ ციტატებში ნათლად არის გაშუქებული ის დებულება, რომ ადამიანის იდეოლოგია, როგორც ცხოვრების და საზოგადოებრივი სინამდვილის საფუძველზე აღმოცენებული და განვითარებული მოვლენა, არა მარტო ასახავს ამ ცხოვრებასა და სინამდვილეს, არამედ გამოხატავს კიდეც მას. საზოგადოებრივი წრის ზეგავლენა სწორედ მათ ასახვასა და გამოხატვაში ვლინდება და ეს ყველაზე უფრო ღრმად და ხანგრძლივად სწორედ ბავშვში იჩენს თავს.

„ი მ წ რ ე ს, ს ა დ ა ც ბ ა ვ შ ვ ი პ ი რ ვ ე ლ ხ ა ნ ი დ ა ნ ვ ე ტ რ ი ა ლ ე ბ ს, დ ი დ ი გ ა ვ ლ ე ნ ა ა ქ ვ ს მ თ ე ლ ს ა დ ა მ ი ა ნ ი ს მ ე რ მ ი ს ზ ე დ. ბავშვის ნორჩი სული და გული მეტად მგრძნობიერია და მალე დამჩნევი ავისა და კარგისა, და ამიტომაც წრე, საცა ბავშვი და მოზარდი სულს იბრუნებს, თავის ბეჭედს ავისას და კარგისას აუცილებლად ზედ დაასვამს ხოლმე. ამ სახით, არავითარი ეჭვია, რომ თითონ წრეს ცხოვრებისას დიდი ზედმოქმედება აქვს მოზარდის თაობის მერმისზედ"*.

აქედან ცხადად გამომდინარეობს არა მარტო საზოგადოებრივი წრის დიდი ზეგავლენის აღიარება ბავშვის აღზრდაზე, არამედ ამ წრის გარდაქმნის აუცილებლობაც აღზრდის გაუმჯობესების მიზნით. მაგრამ სოციალური სინამდვილისა და აღზრდის გარდა-

* VIII, 316—317.

ქმნა თავისთავად, ხალხის აქტიური ჩარევის გარეშე არ ხდება; მან იცის, რომ ეს შეურიგებელი ბრძოლის საქმეა. ასეთი ბრძოლისაკენ მოუწოდებს ის ხალხს ახალთაობის აღზრდის მიზნითაც, ვინაიდან მისთვის აშკარაა, რომ ბრძოლა სოციალური წრის გარდაქმნისა და განვითარებისათვის არის აგრეთვე ბრძოლა ახალთაობის აღზრდის გარდაქმნისა და განვითარებისათვის.

აღზრდის საზოგადოებრივი ხასიათი ილიას დადასტურებული აქვს აგრეთვე თავის ნახატვრულ შემოქმედებაში. ილია ჭავჭავაძის ნახატვრული შემოქმედება მისი საზოგადოებრივი იდეოლოგიისა და თეორიის საუცხოო ილუსტრაციას წარმოადგენს; ილიას მსოფლმხედველობაში არ არსებობს პრინციპულ-იდეური წინააღმდეგობა ფილოსოფიურ აზროვნებასა და ნახატვრულ იდეათა შორის. ის ამ ნხრივ ნონოლიტურია და ამასთან ბედნიერ გამონაკლისს წარმოადგენს იმ კლასიკოსთა შორის, როჟელთა მსოფლმაედველობაც სწორედ ამ წინააღმდეგობით ხასიათდება (გოგოლი, ტოლსტოი, ფლობერი და სხვ.). ილიას პროზასა და პოეზიაში ჩვენ ვხედავთ ინავე საბრძოლო თენების ესთეტიკურ დამუშავებას, რომლებიც მისი ფილოსოფიური და საბეცნიერო-პუბლიცისტური აზროვნებისა და მოღვაწეობის საბროგრამო თემებს წარმოადგენენ.*

ილიას ნახატვრულ ნაწერებში ბევრგან ვხედებით ისეთ უარყოფით ან დადებით ტიპებს, რომლებიც უარყოფითი ან დადებითი საზოგადოებრივი გარემოებისა და აღზრდის შედეგად გამომუშავდნენ. მოთხრობაში „სარჩობელაზედ" ავტორი ნათლად გვიჩვენებს, რომ ორი ახალგაზრდა ძმა ავაზაკობასა და სარჩობელამდე მიიყვანა საზოგადოების უყურადღებობამ, ცუდმა საზოგადოებრივმა ზეგავლენამ და აღზრდამ; ყაზარნელმა თუქურმიშის სკოლამ, უპატრონობამ, მაინაცვლის ნხეცურმა მოპყრობამ, ცემა-ტყეპამ, ლანძღვამ და ფრეკვამ. საზოგადოებისადმი წყრომითა და სასტიკი პროტესტით არის გაჟღენთილი სიტყვები ერთი ამ ახალგაზრდისა, რო-

---

* საკმაოისი დავასახელოთ: ილიას რეოლუციური ნაციონალურ-განმათავისუფლებელი იდეები და „მგზავრის წერილები", „აჩრდილი" და სხვ; ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლა და „გლახის ნაამბობი", „კაკო-ყაჩაღი" და სხვ.; ძველი საზოგადოების გამანადგურებელი კრიტიკა და „კაცია-ადამიანი", „პასუხის პასუხი" და სხვ.; ადამიანის საზოგადოებრივი დანიშნულება და „პოეტი", „ქართველის დედა" და სხვ.; ბრძოლა ასკეტიზმის წინააღმდეგ და „ზანდეგილი" და მრავალი სხვ.

ბულმაც შეიგნო საზოგადოების დამღუპველი ზეგავლენა თავის თავსა და ძმაზე: „ჩვენ ყველასთვის უცხონი ვიყავით, ყველანი ჩვენთვის... ჩვენი ცოდვა ყველამ დაიდო კისრად. მამინაცვალმა კი არა, თქვენ ყველამ გაგვძარცვეთ ჩვენ, თქვენ ყველამ შოგვიღეთ ბოლო". ასეთია ილია ჭავჭავაძის სასტიკი განაჩენი ყველა საზოგადოებისადმი. ამ სიტყვებით ილია აზოგადოებს ბავშვზე კერძო ზეგავლენის ფაქტს, რადგანაც მისთვის ცხადია, რომ ყოველი კერძო პიროვნება საზოგადოების წევრია, რომ ყოველი კერძო პიროვნების ზეგავლენა ბავშვის აღზრდაზე არის ამავე დროს სათანადო მომენტი თვით საზოგადოების ზეგავლენისა. „მამინაცვალმა კი არა თქვენ ყველამ"..., „განა შენ კი ამბანაგი არა ხარ ჩემის მამინაცვლისა. განა შენ კი არ დაბიჩე ერთად ერთი ძმა. განა შენ კი არ მიიყვანე ის სარჩობელამდე",— მიმართავს ჩამოსრჩობილის ძმა მეურმე პეტრეს, რომელსაც უშეალოდ არაფერი მონაწილეობა მიუღია მისი ძმის ჩაბორჩობაში, მაგრამ, როგორც საზოგადოების წევრი, მორალურად მაინც პასუხისმგებელია საზოგადოების მიერ ადამიანის დაღუპვისათვის.

„ელახის ნაამბობის" გმირთაგანის, თავად დათიკოს, გადაგვარება ნეღეგია როგორც მისი სოციალურ-წოდებრივი მდგომარეობის, ისე ძველი საოჯახო და სასკოლო აღზრდა-სწავლისა. გახრწნილი სოციალური ფენა, უქმი და პარაზიტული წოდება, ულტურო და ცრუმორწმუნე ოჯახი, ბინძური და ჩაბორჩენილი ეშობლები,—აი როგორ პირობებში იზრდებოდა დათიკო (კოლა*). თავისი გადაგვარებული, ფეოდალური კლასის, წრისა და ოჯახის დამღუპველი ზეგავლენისაგან შეიძლებოდა პატარა კოლას დაესნა კარგი, მეცნიერული აღზრდით და სწავლა-განათლებით, მაგ-

---

* იხ. ავტორის მიერ ერთ რომანად განარაბული. მაგრამ შემდეგ სამ მოთხრობად დაყოფილი „გლახის ნაამბობის", „კაცია-ადამიანის" და „კაკო-ყაჩაღის" ერთიანი ვარიანტები: „კოლა" და „კაკო" (ტ. III). ამ ვარიანტის მიხედვით, ლუარსაბ თათქარიძე ყავს შვილი სახელად კოლა, რომელიც ამ ერთიანი ვარიანტის უარყოფისა და მისი სამ-მოთხრობად დაყოფის შემდეგ, „გლახის ნაამბობში" დათიკოს სახელით გვხვდება. ილია ჭავჭავაძეს პირველად კოლას (დათიკოს) გადაგვარება საოჯახო და სასკოლო აღზრდის შედეგად ჰქონდა დასახული (იხ. ვარიანტი „კაკო"), მაგრამ ამ შემდეგ „გლახის ნაამბობში" ის უფრო ფართო სოციალურ-ეკონომიური ყოფა-ცხოვრების შედეგად გამოიყვანა. „კაცია-ადამიანში" კი ლუარსაბ თათქარიძე ილიამ შვილი სრულებით არ აღირსა, რომ ამით ხელოვნებით ამოეღო ჩვენი სინამდვილიდან თათქარიძეების მოდგმა და ნაშთი.

რამ მას აღზრდა და სწავლა-განათლება სწორედ თავისი კლასისა, წრისა და ოჯახის შესაფერისი შეხედა და საბოლოოდ დაჭარგა მან ადამიანის იერი.*

როგორ ზრდიდნენ მას ოჯახში?

„კოლა თერთმეტისაც შესრულდა, მაგრამ ჩვეულებისამებრ არსად არა სწავლობდა", მის მამას ეშინოდა, რომ კოლას სწავლა დააკლექებდა, დაღუპავდა მამის-ერთა შვილს; მას უკვე ერჩია კოლა დილიდან საღამომდის საგამდლოსა და საშუალოში ყოფილიყო.

კოლას თავიდანვე ანებივრებდნენ გახრწნილი მშობლები. აჩვევდნენ ხალხის უპატივცემლობას, საცინადაგდებას, ლანძღვა-გინებას და ისე, რომ ბავშვს ყოველივე ეს თავის მოწოდებად მიაჩნდა, ხოლო სხვისათვის კი დიდ სიამოვნებად:

— „აბა, ეტყოდა მამა, ერთი შენებურად შეუკურთხე შენ ბიძიას",—გათამამებული მამისაგან კოლა მართლაც შეუკურთხავდა, მერე ასე რიგად, რომ აქ არ ითქმის, ჩემო მკითხველო. ასტყდებოდა სიცილი, ქება პატარა კოლასი, კოცნა და ხვევნა კმაყოფილი და ბედნიერი დედისა, რომელსაც არ ესმოდა, რომ აქვე, დედის კალთაში საუკუნოდ ხდება და ირყვნება შვილი".**

ასეთივე სასტიკი, მაგრამ სამართლიანი განაჩენი გამოაქვს ილია ჭავჭავაძეს ყველა ამგვარად აღზრდილი შვილის შესახებ: „რომელიც შინავე, დედის კალთაში მიიღებს ხოლმე თესლსა მომავალ წარხდენისა და თავის უბედურებას".

„კოლა შესრულდა ცამეტის წლისა, მაგრამ დედ-მამა მეტის-მეტი სიყვარულის გამო არ იმეტებდნენ შვილსა, რომ სასწავლებლად გაეგზავნათ: საწყალ, მარტივ გაუნათლებელ ქართველებს ამ გამოუმეტებლობაში ეგონათ მართალი სიყვარული—

ბოლოს, როცა კოლა გადადგა თოთხმეტის წლიდამ მეცხრამეტეში, მაშინ კი ძლივს-ძლივს გაბედეს მისი ქალაქში გაგზავნა".***

---

* პატივცემული პედაგოგი ივ. გომელაური 1908 წელს სრულიად სამართლიანად წერდა, რომ „პატარა დათიკოს ცუდად აღზრდის დასურათებით ილია ჭავჭავაძემ ჯერ ისევ ბესამოცე წლების დასაწყისში გააფრთხილა ჩვენი „მოწიფავე" საზოგადოება და მიუთითა ცუდი აღზრდის შედეგებზე, მაგრამ სამწუხაროდ. ჩვენმა საზოგადოებამ ჯეროვნად ვერ ისარგებლა დიადი აზრებით საუცხოვო დასურათებით (ეურნ. „განათლება", 1908 წ., № 1, გვ. 34).

** III, 186.

*** III, 187.

ოთხმეტი წლის კოლა შეიყვანეს გიმნაზიის პირველ კლასში. მას გარს შემოერტყა ულისცილინო, უზრდელი, ბოროტებამდე ცელქი მოწაფეები. მათ აწვალებდა „ოსტატი ერთ კაი სქელ და ჰტყელ ჯოხით, რომელსაც სახაზეს ეძახდნენ სკოლაში... ოსტატის სახე იყო მრისხანე და ზედ ეწერა სურვილი ცემისა“. პირველსავე დღეს კოლა მხეცი მასწავლებლის უდანაშაულო მსხვერპლი შეიქმნა; მას მოწაფეებმა დააბრალეს, რომ იგი სკოლაში ყვიროდა. ამის გამო მასწავლებელმა: „გადააწნა ერთი ათიოდე სახაზე ბეჭებზედ საწყალ კოლას, რომელსაც დანაშაული არა ჰქონდა რა, მერე გამოათრია სკამიდან, თმებით წამოითრია და დაახალა ფიცრის იატაკზე მუხლებზედ.—მე შენ გასწავლი, როგორ უნდა იქცეოდე, ჯერ პატარა დამაცა... უთხრა დორბლიანმა ოსტატმა და ერთიც წაუთავა ლაწანი ყბაში“.

კოლას ყველაფერს რუსულად ასწავლიდნენ იმ დროს, როცა მან რუსული ენა სრულებით არ იცოდა. ამიტომ მას სწავლა ეძნელებოდა, ხოლო „დიდი ჭკვიანი პედაგოგები კოლას უსწავლელობას უნიჭობასა და ზარმაცობას აწერდნენ და სცემდნენ, სცემდნენ საწყალსა ამის გამო. ის კი ვერ მოეფიქრათ, რომ რუსული არ ეცოდინა ახალთ მოსწავლეთა“. კოლას ხშირად უწოდებდა ოსტატი „დურალეის“ და იგდებდა წიხლ-ქვეშ, ჰკრავდა პანღურს და კარში აგდებდა. ამავე ბედში იყო ბევრი სხვა მისი ამხანაგი. ქველა ისინი, დაბერთხალი და შეშინებული სკოლის ჟანდარმული რეჟიმისაგან, გაურბოდნენ სკოლას, იკრიბებოდნენ შეუმჩნეველ ადგილებზე, დადიოდნენ საბანაოდ და სალაბღანდაროდ, „კოლას ჯერ სრულიად სძაგდა ესე ყოველი, მერე ცოტ-ცოტად შეეჩვია და ბოლოს თითონაც დაემსგავსა იმას, რომლის ყოფაც უწინ დაანანახავათაც ეძაგებოდა“.*

ასეთი სასკოლო აღზრდის შედეგად ი. ჭავჭავაძე ასკვნის: „ეგრე აზრდებოდა კოლა ღიმნაზიაში... ეგრე წახდა საუკუნოდ ჩვენი კოლა,—ნიჭიერი, მახვილი, ცქვიტი და გონიერი ყმაწვილი“.**

კოლას დაცემისა და წახდენის მიზეზად ილია სრულიად საჭირბოლიანად სთვლის თავისი დროის საზოგადოებასა და აღზრ-

---

* III, 189—191.

** III, 191.

დას: „ვინ-იცის, ჩვენო მკითხველო, რა კაცი გამოსულიყო იგი სხვა საზოგადოებაში და სხვა-რიგ შინაურ გაზრდაში“*... ილია პირდაპირ აყენებს საკითხს: კოლას წახდენა—„თავის ბრალია თუ სხვისა? და კატეგორიულად უპასუხებს: „რასაკვირველია სხვისა.“ ეს სხვა, მისი აზრით, არის ოჯახი, სკოლა, საზოგადოება.

ასე ბრწყინვალედ ასაბუთებს ილია ჭავჭავაძე აღზრდის სოციალურ ბუნებას, მის დამოკიდებულებას ცვალებადი საზოგადოებრივი გარემოსა, ოჯახისა და სკოლისაგან. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ბავშვის აღზრდის პროცესში ოჯახის და სკოლის როლის ასეთი კლასიკური დახასიათება ჩვენ იშვიათად გვხვდება პედაგოგიკის ისტორიაში და მხატვრულ ლიტერატურაში.

ძველი ფეოდალური მდგომარეობით შეპყრობილ ტიპთა გალერეიდან ილია ჭავჭავაძემ დაგვიხატა აგრეთვე ერთი უკვდავი, კლასიკური სახე, სახე ლუარსაბ თათქარიძისა. ყველასთვის ცნობილია ვინ არის, უკეთ, რა არის ლუარსაბ თათქარიძე. მაგრამ არ შეიძლება-არ გავიხსენოთ, როგორი იყო მისი აზრი სწავლა-განათლების შესახებ?

ჭკუიან და გონიერ ხალხად ის მხოლოდ ჭლექიანებს სთვლიდა. თვითონ უწიგნო იყო, მაგრამ ეს მას სრულებით არ აწუხებდა. ვინაიდან სწავლა—ჭირად მიაჩნდა.

— „დრო გამოიცვალა,—იტყოდა ხოლმე აღმოოხვრით ლუარსაბი—დრო გამოიცვალა. რაც ეს ოაღიც ემმაკური სკოლები შეიოიღეს, მატოლო ქართველი კაცის ხეირი მაშინ წავიდა. ფერი კი აღარ შეოჩათ ჩვენს შვილებსა და... ჭაბი ი ისინი ვერა სჭამენ, სმით ისინი ველარა სმენ, რა კაცები არიან... წიგნი იციან? მე თუ წიგნი არ ვიცი, კაცი აღარ ვარ, ჭედი არა მხურავს, განა. ხორცი მე არ მაკლია და ფერი: წიგნი რა ეაკკაცის ხელობაა,—ეგ ხომ ქალის საქმეა. ვენაცვალე უწინ ელ დროს ფეოლაფერი მაშინ თავის დროზედ იყო მოყვანილი, ყველა თავის ქერქში იყო. ვენაცვალე... კაი ცხენი, კაი თოფი, მარჯვე მკლავი და კაცი იყავ ბატონსანი“.

და ასეთ მსჯელობაში „რუმბივით გაბერილი თავადი გოლაბელი და, თუ ზაფხული იყო, ჭერში ბუზებსა სთვლიდა“.

ამგვარად, თანამედროვე ადამიანის იდეალად ლუარსაბს მიაჩნდა „კაი ცხენი, კაი თოფი, მარჯვე მკლავი“, მაგრამ თვითონ ამასაც მოკლებული იყო და თავის პირად იდეალად გამოსულ

* III, 185.

სიცოცხლე იმისათვის, რომ ეჭამა. „შენ ცხოვრობ, რომ სვა და ჭამო. და არა იმისათვის სვამ და სჭამ, რომ იცხოვრო,“—მიმართავს მას ილია ჭავჭავაძე. მართლაც, მთელი მისი ცხოვრება ჭამაში და ძილში მიმდინარეობდა: „სადილის შემდეგ ძილი, მერე ისევ გაღვიძება, მერე ისევ ჩაი, მერე ვახშამი და ბოლოს ისევ ის სატრფიალო ძილი“, ხოლო დილიდან კვლავ: ჩალაღაჯი, სუკი, ბოზბაში, ზუთხი, თართი და ზურგიელი.

ეს ის ხალხია, „რომელნიც არც თავის სიცოცხლით უმატებენ რამეს ქვეყანას და არც თავის სიკვდილით აკლებენ“.

ასე, ილია ჭავჭავაძემ იშვიათი სიღრმით და დიდი ოსტატობით გვაჩვენა ფეოდალური აღზრდითა და გარეგნობით შექმნილი კაცი, უკეთ, ადამიანური სახის მქონე ცხოველი, დავანახა ამ საზოგადოების ადამიანის ნამდვილი სახე და ამ ადამიანის განათლების ნაკლოვანი იდეალი.

ილია ხედავდა, რომ ასეთი,—სიცოცხლეშივე გახრწნილი გვამები ბევრი იყო მისი დროის საქართველოში. ის ზიზღითა და მწუხარებით აღნიშნავდა 40—50-იანი წლების საქართველოს შესახებ, რომ „ქვეყანა მხოლოდ ლუარსაბ თათქარიძეებით აივსო“, რომ ეს თათქარიძეები საშინლად აწყლულებენ საქართველოს საღ სხეულს და თავის მოყვარე ქართველ ხალხს „პირში უძრახავს“, რომ ეს საძრახისი წყლული საჩქაროდ მოიშოროს.*

ილია ჭავჭავაძემ იცის, რომ საზოგადოება არ არის ერთგვარი, იცის, რომ ის სხვადასხვა ფენებისაგან შედგება და რომ ამ ფენათა შორის არის ეკონომიური, უფლებრივი და კულტურული განსხვავება და ამ სხვაობაზე აღმოცენებული წინააღმდეგობა ყველაფრის მქონე თავადაზნაურობასა (დიდკაცობასა) და არაფრის მქონე მშრომელ გლეხობას შორის. მაშასადამე, ასეთი საზოგადოება ყოველთვის ერთგვარ ზეგავლენას არ ახდენს ყველაზე. მისგან ყველა ერთნაირად არ იზრდება. ეს საზოგადოება იძლევა როგორც უარყოფითი, ისე დადებითი ხასიათისა და ქცევის პირებს. უარყოფითი, ნეგატიური ხასიათისა და ქცევის პირებს ზრდის საზოგადოების გაბატონებული, მაგრამ ისტორიუ-

---

* თავის მოთხრობას „კაცია ადამიანი!?“ ილია ჭავჭავაძემ წარუმძღვარა გონიერი ხალხური ანდაზა: „ძოყვარეს პირში ეძრახე და ძალერს პირუკანაო“. ეტყვს გარეშეა, რომ მისთვის ეს მოყვარე არის ქართველი ხალხი და არა „სულით და ხორცით გახრწნილი“ თავ-დაზნაურობა.

ლად ხანდაზმული და გახრწნილი' თავადაზნაურული ' ფენა, ანუ „დიდკაცობა“:

„ის დიდკაცობა, — წერს ილია ჭავჭავაძე, — როგორც სხვაგან, ისე ჩვენში, სწორედ კუბოა, რომელიც გარედამ ხავერდით არის მოსილი და ბუზმენტებით გაბრწყინვებული, მაგრამ ახსენით ის ბუზმენტები და ახადეთ თავი, შიგ ძვლების და სულის და ხორცის გახრწნილების მეტ ვერას დაინახავთ“.* ასეთია ილია ჭავჭავაძის დროის საზოგადოების გაბატონებული ფენა, და საკვირველი არ არის, რომ ეს ფენა გვაძლევს ლუარსაბ თათქარიძეებს, დათიკოს (კოლას), ბეჟანს („სარჩობელაზედ“) და სხვა, მათ მსგავს გადაგვარებულ პირებს.

საზოგადოების მეორე ფენა, ქონებასა და უფლებას მოკლებული მშრომელი გლეხობაა; ილიას თქმით, ეს გლეხობა არის „უმრავლესობა ქართველობისა. ეს სული და გული ჩვენის ეროვნულის იმედებისა“.** ეს არის შემოქმედი ფენა, მომავლის რეალური პერსპექტივის მქონე, შრომისა და ადამიანის განთავისუფლებისათვის მებრძოლი. ამ ფენის აღმხრდელობითი ზეგავლენა პროგრესული და რევოლუციურია. ამ ფენიდან გამოვიდნენ: ლელთ ღუნია,—ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის მოტრფიალე თერგკიდურელი მოხევე, გაბრო, ზაქრო და კაკო ბლაკიაშვილი,—ბატონყმობის წინააღმდეგ და პიროვნების განთავისუფლებისათვის მებრძოლი გმირები. ეს ხალხი აღზარდა მშრომელთა ფენამ და საკუთარმა ინიციატივამ სწავლა-განათლებისათვის. გაბროს („გლახის ნაამბობი“) თავის ცხოვრების გარემოებამ შეაგნებინა სწავლა-განათლების აუცილებლობა, უპირველეს ყოვლისა, წერა-კითხვის სწავლისა, და შემდეგ საკუთარი გზით მიდის ამ მიზნის მიღწევისაკენ. მან ამის შედეგად შეიგნო, რომ „ბატონ-ყმას შუა სიყვარულის ხიდი არ გაიდება“, ისე როგორც ზაქრო („ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“) თავისი მდგომარეობით მიხვდა, რომ:

„ჩვენი წადილი, ჩვენი იმედი ყოველთვის, ძმაო, არის საფრთხეში, გლეხკაცის და ყმის ლიტონი ბედი ვერა, ვერ გასძლებს ბატონის ხელში“.

---

* IV, 396.
** VII, 14.

როგორ იზრდებოდა გაბრო? სრულიად საწინააღმდეგო გზით. ვიდრე მისი ბატონი დათიკო (კოლა). გლეხკაცის შვილი გაბრო (ვარიანტ „კაკოში“ კაკოდ წოდებული) ბატონის კარზე იზრდებოდა. კვების მიზნით ის „სამზარეულოში ღრღნიდა მზარეულისაგან მიგდებულ ძვალსა“, მოკლებული იყო ყოველგვარ ადამიანურ ღირსებასა და მოპყრობას. მაგრამ ამ პირობებშიც „საშინლად უნდოდა წიგნი ესწავლა“. თავისი საკუთარი ინიციატივით მან კიდეც მიაღწია ამ მიზანს და წიგნის ერთგული მეგობარი გახდა. „ვეფხის-ტყაოსნის“ კითხვაში გაზარდა კაკომ თავისი თავი... ბევრჯერ წაიკითხა კაკომ და გადაიკითხა ვეფხის ტყაოსანი; თანდათან უფრო და უფრო ესმოდა რასაც კითხულობდა“...* გაბრო (კაკო) ხედავდა თავისი კლასის უწყალო ექსპლოატაციას და მის ცნობიერებაში გარკვეულად იზრდებოდა შეურიგებელი პროტესტი ბატონყმური საზოგადოების მიმართ.

დათიკოსა (კოლასა) და გაბროს (კაკოს) შუა „დიდი ზღვა იყო“, ისინი წარმოადგენდნენ ორ საწინააღმდეგო პოლუსს, და ყოველივე ეს საზოგადოებისა, აღზრდისა და სკოლის შედეგს წარმოადგენდა. „სულ სხვადასხვანაირად იზრდებოდნენ ბატონი და ყმა“,—წერს ილია ჭავჭავაძე, და აქედან ნათელია, რომ ისინი სულ სხვადასხვა ადამიანებად იქცნენ სხვადასხვა საზოგადოებრივ გარემოებაში და სხვადასხვანაირი აღზრდის პირობებში.

გავიხსენოთ კ. მარქსის მესამე თეზისი ლ. ფოიერბახის შესახებ: „მატერიალისტური მოძღვრება, რომ ადამიანები გარემოებისა და აღზრდის პროდუქტები არიან, მაშასადამე, შეცვლილი ადამიანები სხვაგვარი პირობებისა და შეცვლილი აღზრდის პროდუქტები არიანო, ივიწყებს, რომ გარემოებას სწორეთ ადამიანები სცვლიან და რომ აღმზრდელი თვით უნდა აღიზარდოს“. ამ თეზისის თვალსაზრისით, ცხადი ხდება, რომ ი. ჭავჭავაძის თეორია აღზრდის პროცესის სოციალური განპირობების შესახებ წარმოადგენს მატერიალისტური მოძღვრების მომენტს იმ ხაკლით, რომელსაც კ. მარქსი ამ თე-

* III, 102.

ზისში მიაწერს საერთოდ მის პერიოდამდე არსებულ მატერიალიზმს, ფოიერბახის მატერიალიზმის ჩართვით.

აღზრდის, როგორც სოციალური პროცესის შესახებ, ილია ჭავჭავაძის შეხედულებათა გარჩევის დროს ბუნებრივად ისმის საკითხი—როგორი იყო ილიას დამოკიდებულება აღზრდის კლასობრივ თეორიასთან და სცნობდა თუ არა იგი აღზრდის კლასობრივ ხასიათს? პასუხი ამ საკითხზე გამომდინარეობს მისი დამოკიდებულებიდან კლასთა ბრძოლის თეორიასთან, საერთოდ, და საქართველოს სინამდვილეში კლასთა ბრძოლის ფაქტთან, რის შესახებაც ჩვენ უკვე გვქონდა ზემოთ ლაპარაკი *, ხოლო აქ კი, დასკვნის სახით, საჭირო იქნება აღვნიშნოთ, რომ ილია ჭავჭავაძე ობიექტურად სავსებით სწორად არკვევდა აღზრდა-განათლების კლასობრივ-წოდებრივ ფუნქციას, მის მონოპოლიას გაბატონებული საზოგადოებრივი ფენის (ე. ი. კლასის) მიერ, მის რევოლუციურ როლს მშრომელი ხალხისათვის, მაგრამ ოფიციალურად, ისე როგორც ერიდებოდა და არ ღებულობდა საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში კლასობრივი ბრძოლის თეორიას, ისევე ერიდებოდა ეცნო აღზრდის კლასობრივი ბუნება და მიეღო მისი კლასობრივი თეორია.

ამგვარად, სავსებით ნათელი ხდება, რომ ილია ჭავჭავაძეს ბავშვი ესმის როგორც ადამიანი და სოციალური არსი, ხოლო ბავშვის აღზრდა კი—როგორც სოციალური პროცესი, განპირობებული ანტაგონისტური სოციალური ფენების საზოგადოებრივ-ეკონომიური და იდეოლოგიური ინტერესით.

ბავშვისა და მისი აღზრდის ბუნების გარკვევა არის პირველი აუცილებელი პირობა ნამდვილი მეცნიერულ-პედაგოგიური სისტემის ჩამოყალიბებისათვის. ამ პრობლემის გადაწყვეტის გარეშე არ შეიძლება შემუშავება არც სწორი პედაგოგიური თეორიისა, არც დიდაქტიკისა და სწავლების მეთოდებისა და არც, საერთოდ, ბავშვის განვითარებაზე სწორი ზემოქმედების სისტემისა. ახალი დროის ბურჟუაზიულ პედაგოგიკაში ბავშვისა და აღზრდის ბუნე-

* იხ. აქვე, გვ. 355—359.

ზის ახსნას, სოციალური თვალსაზრისით, ყველაზე უფრო მეტად ცდილობდა ე. წ. სოციოლოგიური სკოლა: სპენსერი (1820—1903), პაულსენი (1846—1908), ნატორპი (1854—1924), ბარტი (1858—1922), და სხვ. მაგრამ აღნიშნული პედაგოგები მათთვის დამახასიათებელი ბერძნულიზიული სოციოლოგიისა და იდეალისტურ-ეკლექტიკური ფილოსოფიის თვალსაზრისით უდგებოდნენ ბავშვის არსისა და მისი აღზრდის პროცესის შესწავლას, და ამიტომ, ცხადია, მათ ვერ შესძლეს ვერც ბავშვის ბუნების და ვერც მისი აღზრდის პროცესის ობიექტურ-მეცნიერული ახსნა.

ილია ჭავჭავაძემ კი, როგორც აღვნიშნეთ, სავსებით ნათლად და მეცნიერულად გაარკვია აღზრდის საზოგადოებრივი ხასიათი და აღზრდის მთავარი ობიექტის ანუ ბავშვის სოციალური ბუნება. ამით ერთხელ კიდევ დასტურდება ის უდავო ჭეშმარიტება, რომ საქართველოს საამაყო მწერალი და მეცნიერი თავისი ეპოქის ყველაზე მოწინავე პედაგოგიკურ იდეათა სიმაღლეზე იდგა.

3. აღზრდა განათლების მიზნები და ამოცანები

ილია ჭავჭავაძემ ჯერ კიდევ 1863 წელს განმარტა პედაგოგიკა როგორც „მეცნიერება ყმაწვილის აღზრდაზე“ * და ზოგადად გაარკვია აღზრდის მიზნები და ამოცანები.

ახალთაობის აღზრდის მიზნებისა და ამოცანების გარკვევას ილია უდგება ისტორიული თვალსაზრისით. მისთვის არ არსებობს აღზრდის მუდმივი და უცვლელი შინაარსი ან მიზანი. ის, როგორც განვითარების თეორიის წარმომადგენელი, აღზრდის მიზანს არკვევს ისტორიზმის პრინციპიდან გამომდინარე და სათანადო ისტორიული პერიოდის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ამოცანებთან დაკავშირებით. მისი დროის მთავარი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ამოცანა, როგორც აღვნიშნეთ, მდგომარეობდა რუსეთის ცარიზმთან ბრძოლით საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენისა და ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებაში. ამ ამოცანის გადაჭრისაკენ მოუწოდებს ილია ყველა მოწინავე და პროგრესულად მოაზრე ქართველს, ამ ამოცანით საზღვრავს იგი „შვილთა“ ბრძოლას „მამების“ წინა-

* „საქართველოს მოამბე“, 1863, № 3, 49.

აღმდეგ და ამავე ამოცანას უსახავს იგი თავისი დროის ქართველი ახალთაობის აღზრდა-განათლებას. „ჩვენი დაცემული ვინაობის აღდგენა, ფეხზე დაყენება და დაცვა ყოველის მოსალოდნელის ფათერაკისაგან“ *, მიაჩნდა მას ახალგაზრდობის „მომზადების საგნად“ იმ დრომდე, სანამ, მისივე თქმით, „ჩვენი ვინაობა თავის შესაფერს და კუთვნილს ადგილს არ დაიჭერს ჩვენს ცხოვრებაში და საზოგადო საქმეთა სათავეში არ მოექცევა“. ილია ჭავჭავაძე ამასთანავე დასძენს, რომ „სხვა საგანი ამაზედ უმძიმესი, ამაზედ უსაჭიროესი არა აქვს ეხლანდელს საქართველოს შვილს“. ეს მიაჩნია მას ჩვენი ყმაწვილკაცობის მომზადების საგნად, ანუ მიზნად.

რა გზით შეიძლება ამ საგნის (მიზნის) მიღწევა? უმთავრესი გზა, ილიას აზრით, მეცნიერული განათლებით შეიარაღებაში მდგომარეობს. ილია უსაყვედურებს თავისი დროის „ახალ გუნდს“, რომ „ჩვენის ვინაობის“ აღსადგენად მაგ ახალს გუნდს ბევრი არა უქნია რა, რადგანაც იმისათვის საჭირო მეცნიერებაში და ცოდნაში კარგად ქვეითობდნენ“ **. აქედან ცხადია, ილია ჭავჭავაძე ზემოთ აღნიშნული მიზნის (საგნის) მიღწევისათვის მოითხოვს ფართო გონებრივ მეცნიერულ განათლებას.

„ყმაწვილ-კაცობა უნდა მომზადდეს ბეჯითის და ზედმიწევნილ ცოდნითა, უნდა, რამდენადაც შესაძლოა, ძირეულად შეისწავლოს ევროპიული მეცნიერება, წინ გაიმძღვაროს ევროპის გამოცდილება და ამ თოფ-იარაღით შეუდგეს ჩვენის ქვეყნის საქმეს“ ***.

ამით ილიამ მოხაზა საგანი (მიზანი) და გზა (საშუალება) ახალთაობის მომზადებისა: „აი საგანი, აი გზაც მისდა მისაღწევად. აი რისთვის უნდა მომზადდეს ჩვენი ყმაწვილ-კაცობა მთელს ევროპის მეცნიერებით და გამოცდილების ფარ-ხმალით შეკურვილი... ამაზე უკეთესს საგანს, ამაზე უკეთესს გზას, უკვე სხვაგან გამოცდილსა და გამოყენებულს, სხვას ვერას ვურჩევთ ჩვენს საიმედო ყმაწვილ-კაცობას. ეს საგანი და ეს გზა სახე-

* VI, 127; ხაზი ილიასია.

** იქვე, 127—128.

*** იქვე, 130.

ში უნდა გვქონდეს სულ მუდამ, ვიდრე ესეთნი დრონი მეფობენ*. ილია ჭავჭავაძე ღრმად იყო დარწმუნებული, რომ საქართველო მიაღწევს თავის ნაციონალურ განთავისუფლებას და დემოკრატიული მართვა-გამგეობის დამყარებას. ის ამ პერიოდისათვის, უეჭველია, ახალგაზრდობის აღზრდა-განვითარების სრულიად ახალ მიზნებს წამოაყენებდა, ხოლო თავისი დროისათვის მის მიერ ზემოხსენებული აღზრდის მიზნები და საშუალებანი უსათუოდ რევოლუციურ ხასიათს ატარებდნენ და ამასთან ისტორიულ მომენტს ზუსტად უპასუხებდნენ.

ახალი თაობის აღზრდისა და მომზადების აღნიშნული მიზანი და საშუალება მას, როგორც ვნახეთ, მიაჩნდა აუცილებლად „ეხლანდელი (ილიას დროინდელი—გ. თ.) საქართველოს შვილისათვის", „ვიდრე ესეთნი დრონი მეფობენ" და „სანამ ჩვენი ვინაობა შესაფერს და კუთვნილს ადგილს არ დაიჭერს ჩვენს ცხოვრებაში". ამით მას უნდოდა ხაზი გაესვა აღზრდის ისტორიული და ცვალებადი ხასიათისათვის საზოგადოების ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებასა და ცვალებადობასთან დაკავშირებით.

აღზრდა-განათლების პროცესი მას ერთიან პროცესად მიაჩნია; აღზრდაში იგი განათლებასაც გულისხმობს, ისე როგორც განათლებაში ადამიანის აღზრდაც იგულისხმება. ამიტომ გონებრივი აღზრდის მიზნები ილიას პედაგოგიურ შეხედულებათა სისტემაში არ განსხვავდება განათლების მიზნებიდან, მაგრამ რამდენადაც აღზრდა საერთოდ უფრო ფართე ცნებაა, ვიდრე განათლება—იგი საერთოდ აღზრდის უშუალო მიზნად სახავს არა მარტო გონებრივ განათლებას, არამედ გონებრივ, ზნეობრივ, ფიზიკურ და ტექნიკურ განათლებას. ადამიანის ასეთ მრავალმხრივ განვითარებას ილია ხშირად გამოსთქვამს პედაგოგიკის ისტორიაში ცნობილი და მის დროსაც ხმარებული ტერმინით ჰარმონიული განათლება.

აღზრდა-განათლებამ, ილიას შეხედვით, ჰარმონიულად უნდა განავითაროს ადამიანში ყოველი მისი ნიჭი და უნარი. მას დაუშვებლად მიაჩნია რომელიმე ერთი მათგანის განსაკუთრებული განვითარებით მეორის დაქვეითება.

---

* VI, 130.

1. აღზრდა-განათლების პირველ სახედ ილია აღიარებს გონებრივ განვითარებას; გონების თავისუფლება და თვითმოქმედება, მისი აზრით, „ერთად-ერთი ნიშანია ქეშმარიტის განათლებულობისა და აღმატებულობისა“ *, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ მას უნდა შეეწიროს ადამიანის აღზრდა-განათლების სხვა მხარეები. ილია მკვეთრად ილაშქრებს ცალმხრივი განათლების წინააღმდეგ და თავისი დროის პედაგოგიკის მიზნად ადამიანის ყოველმხრივ განვითარებას აღიარებს. ამის შესახებ ის წერს: „დედა-აზრი ეხლანდელის პედაგოგიის მიმართულებისა იგია, რომ ადამიანი, უნდა იწურთვნებოდეს სკოლაში ყოველ მხრით: გონებით, ზნეხასიათით, სულით და ხორცით და არც ერთი მათგანი არ უნდა შეეწიროს მეორეს“ **. მართალია, ასეთი ჰარმონიული აღზრდა-განათლების პრინციპი ილიასათვის, როგორც თვითონ აღნიშნავს, „ახალი აშბავი არ არის“ და თვითონვე სრულიად სამართლიანად ლაპარაკობს, რომ ამ იდეით გამოვიდნენ პედაგოგიკის ისტორიაში „განახლების ეპოქის“ იტალიელი ჰუმანისტი პედაგოგები ვიტორინო და-ფელტრე (1378—1446), პ. ვერჯერიო (1350—1444) და შ. ვეჯიო (1406—1458). მაგრამ ეს პრინციპი XIX საუკუნის დასასრულსაც კი არ იყო განხორციელებული და ილიას იგი მაინც ახალ პრინციპად მიაჩნდა თავისი დროისათვის.

ჩვენთვის ნათელია, რომ ბურჟუაზიას არ შეუძლია ადამიანის ყოველმხრივი, ჰარმონიული, განათლების უზრუნველყოფა. ყოველმხრივ განათლებული ადამიანი მისთვის საფრთხეს წარმოადგენს და ცდილობს დაახშოს მისი ფართო განვითარების რეალური საშუალებანი. კაპიტალისტური საზოგადოება ქმნის „ნაწილობრივ ინდივიდუმს, მარტოოდენ ნაწილობრივი საზოგადოებრივი ფუნქციის მატარებელს“ (მარქსი), რომელიც „ემორჩილება წარმოების ერთ რომელიმე დარგს, მიჯაჭულია მასზე, ექსპლუატირდება მისგან,... ანვითარებს თავისი ნიჭის მხოლოდ ერთ მხარეს ყველა სხვა მხარის ხარჯზე და იცის მთელი წარმოების ერთი დარგი ან რომელიმე დარგის ერთი ნაწილი“ (ენგელსი). ეს ცალმხრივი

* VIII, 286.
** VIII, 334.

განვითარება სპობს ადამიანის სრულყოფილი და მეცნიერული აღზრდის საფუძვლებს, სპობს პიროვნების მიერ ისტორიულად გამომუშავებული ცოდნის სისტემის დაუფლების შესაძლებლობას. ილია ჭავჭავაძემ ეს ტენდენცია ნათლად შენიშნა XIX ს. მეორე ნახევრის საქართველოს სინამდვილეში და აქტიურად გაილაშქრა მის წინააღმდეგ. ამ ტენდენციას მან დაუპირისპირა ადამიანის ყოველმხრივი და თავისუფალი განვითარების პრინციპი, ხოლო პიროვნების ყოველმხრივ-ჰარმონიული განვითარების დარგში ილიასათვის, როგორც ვნახეთ, მთავარი იყო გონებრივი განვითარება.

2. მეორე სახე ადამიანის აღზრდა-განვითარებისა, ილიას აზრით, არის ზ ნ ე ო ბ რ ი ვ ი გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა. მტკიცე ზნეობრივი ნორმების შემუშავება მას მიაჩნდა ყოველი პიროვნების საზოგადოებრივი ყოფა-ქცევის რეგულირების საშუალებად. ადამიანმა უნდა იცოდეს წესი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ესმოდეს თავისი პირადი მოვალეობა ამ საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართ. ილია გაბოდის იმ მოსაზრებიდან, რომ პიროვნებამ უნდა შეუფარდოს თავისი ინტერესი საერთო ინტერესებს ისე, რომ არც თავის საკუთარ ინტერესებს ეკარგოს და არც სხვისას. მართალია, ადამიანის ზორალისა და მორალური განვითარების მიზნის გარკვევის დროს ილია ჭავჭავაძე ა რ ა დ გ ა ს ა მ მ ო რ ა ლ ი ს დ ა მ ი ს ი მ ი ზ ნ ი ს კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი გ ა ნ პ ი რ ო ბ ე ბ ი ს ნ ი ა დ ა გ ზ ე, მაგრამ საერთოდ ადამიანის მორალის საზოგადოებრივი ხასიათი მას კარგად ესმის, მან მრავალ მეცნიერულ-პუბლიცისტურ წერილსა და ეხატერულ ნაწარმოებში გვაჩვენა, რომ ადამიანის ზნეობის შემუშავება საზოგადოებრივი ზეგავლენით ხდება: კარგი ზნე-ხასიათის ანუ კარგად აღზრდილი პიროვნება დადებითი საზოგადოებრივი წრის გავლენის შედეგია, ხოლო ცუდი ზნე-ხასიათის ან უზნეო პიროვნება უარყოფით საზოგადოებრივ გავლენას მიეწერება.

ზნეობრივი აღზრდა ადამიანის სისრულის აუცილებელი მომენტია. გონებრივი განათლება თუმცა მთავარია ადამიანისათვის, მაგრამ აო არის საკმარისი მისი სრულყოფისათვის. „ს ა ვ ს ე ბ ა ე რ თ ო ბ ა დ ა მ ი ა ნ ი ს ა, წ ყ ა ს ი ლ ი ა, ი ძ ა ბ ი ა, რ ო მ მ ი ს გ ო ნ ე ბ ი ს ა ღ მ ა ტ ე ბ უ ლ ე ბ ა ს შ ე წ ო ნ ი ლ ქ ო ნ დ ე ს ა ღ მ ა ტ ე ბ უ ლ ე ბ ა ზ ნ ე-ხ ა ს ი ა თ ი ს ა ც“*. ამ სავსებით სწორ დებულებას ილია ჭავჭავაძე ეჰით ასაბუთებს, რომ ადამიანის მოღვაწეობასა

* VIII, 318.

და აზროვნებაში ხშირად აქვს ადგილი გარკვეულ წინააღმდეგობას მის გონებრივსა და ზნეობრივ მდგომარეობას შორის: ხშირია შემთხვევა, კაცი სწავლულია, მაგრამ ამავე დროს ზნედაცემული და საზოგადოებისათვის მავნე პიროვნებაა. ასეთი ადამიანი, რასაკვირველია, არ აოის დადებითი და სრული პიროვნება. მისი სრული და ჭეშმარიტი ადამიანობისათვის საკმარისი არ არის მარტოოდენ „სწავლულობა და განათლებულობა“, თუნდაც რომ ეს სწავლა-განათლება მაღალი ხარისხისაც იყოს. „საკმაო არ არის, წერილია, რომ კაცი მეცნიერი იყოს, დიდი სწავლა მიეღოს, ბევრი ცოდნა შეეძინოს. ამასთანავე იგი კაი კაციც უნდა იყოს და კაი-კაცობის შემძლებლობაც ჰქონდეს. ეს კაი-კაცობა და კაი-კაცობის შემძლებლობა მარტო ზნე-ხასიათისაგან ეძლევა ადამიანს“*. ამ ციტატის უკანასკნელ წინადადებაში ძალიან კატეგორიულად არის ნათქვამი, რომ კაი-კაცობა მხოლოდ ზნე-ხასიათით ეძლევა ადამიანს. ამით ავტორს სურს მხოლოდ განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ზნეობრივი აღზრდის საკითხს, თორემ ჭავჭავაძის ყოველ მკითხველს მოეხსენება და ჩვენც საკმაოდ ვილაპარაკეთ, რომ ილია ადამიანის კაცურ-კაცობას და ნამდვილ ადამიანურ ღირსებას მჭიდროდ უკავშირებს მის სწავლა-განათლებას. აქედან აშკარაა, რომ ილია ჭავჭავაძე ადამიანის განათლებაში ზნეობრივ აღზრდასაც გულისხმობს. ამასავე ამტკიცებს მისი შემდეგი დებულება: „ჭეშმარიტი განათლება განვითარებულ გონების და გაწურთვნილის ზნე-ხასიათის ერთმანეთთან შეუღლებაა განუყრელად. თუ კაცს ან ერთი აკლია, ან მეორე, იგი განათლებული არ არის“ **; ამასთან ილია დასძენს, რომ „ზნე-ხასიათის წურთვნა დიდად დამოკიდებულია სწავლასა და ცოდნაზედ“. გონებრივი და ზნეობრივი განვითარების ერთიანობა და განუყრელობა აქ მოცემულია, როგორც ჭეშმარიტი განათლების საფუძველი და მისი მთლიანობის პრინციპი, ხოლო, მეორე მხრით, მართებულადაა ხაზგასმული ცოდნის წამყვანი როლი ადამიანის განვითარების საქმეში და ზნეობრივი აღზრდის დამოკიდებულება ცოდნის ანუ გონებრივი განათლების მდგომარეობაზე.

---

* VIII, 318.

** იქვე.

ზნეობრივი და გონებრივი განვითარება, მართალია, მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, პარალელურად ვითარდებიან, მაგრამ ეს ზნეობრივი და გონებრივი განვითარება, ილიას აზრით, ერთი და იგივე ზეგავლენის მეთოდით მოუხერხებელია. ის ფიქრობს, რომ ზნეობრივი განვითარება შეიძლება მივიღოთ აღმზრდელობითი მუშაობით ბავშვთა შორის, ხოლო გონებრივი კი — სწავლის გზით. აღმზრდელობითი მუშაობა მას ხმირად ესმის როგორც „წურთვნა“ და ასხვავებს მას სწავლისაგან. „წურთვნა სხვაა და სწავლა სხვა. ერთს ერთი საგანი აქვს, მეორეს სხვა. წურთვნა მიმართულია ზნე-ხასიათის ზრდასა და განვითარებაზე და სწავლა-კი — გონების გახსნასა და მსჯელობის გაძლიერებაზე“ *. ასე ასაბუთებს ილია მათ განსხვავებას. (მართალია, ტერმინი „წურთვნა“ მექანისტურ ცნებას გვაგონებს და იგი ადამიანის ფიზიკურ განვითარებას უფრო შეეფერება. ვიდრე გონებრივს, მაგრამ ილია მასში აღმზრდელობითს, მაშასადამე, ორგანულ შინაარს სდებს და ადამიანის აღზრდა-განათლების მხოლოდ დასაწყისს საფეხურს გულისხმობს). განსაკუთრებული მტკიცება არაა საჭირო, რომ წვრთნა-ვარჯიშის მოწყვეტა სწავლებისა და სწავლის პროცესისაგან არ შეიძლება, ისევე როგორც არ შეიძლება მათი გაიგივება, ხოლო მათი კავშირი რომ აუცილებლად აქვს ნაგულისხმევი ილიას, იმით მტკიცდება, რომ მათი საშუალებით გამოწვეული შედეგები: ზნეობრივი განვითარება და გონებრივი განათლება, როგორც ვნახეთ, მჭიდრო კავშირსა და ერთიანობაში აქვს მოცემული, და თუ შედეგთა კავშირი ფაქტია, მათი გამომწვევ მიზეზ-საშუალებათა კავშირიც ნათლად დასტურდება.

ზნე-ხასიათი ილია ჭავჭავაძეს ესმის როგორც მეტად კონკრეტული და რეალური შინაარსის ფსიქიური მოვლენა. გამომუშავება „ქვეყნის სასარგებლო“ ლონე-ხერხისა, შრომის სურვილისა, შეუდრეკელობისა ყოველივე სიძნელეთა წინაშე, უშიშრობისა, მტკიცე ნებისყოფისა, ჰუმანური ურთიერთობისა და სამართლიანობის გრძნობისა, აი რა არის, მისი აზრით, ზნე-ხასიათი **. „ადამიანის ღირსება, პატიოსნება, სინდისი, მისი

* VIII, 318.

** VIII, 324—325.

ზნეობითი და ძვირფასი კუთვნილებაა და ყოველივე ესე სახელმწიფოსაგან, საზოგადოებისაგან და თვითეულ ადამიანისაგან პატივცემული უნდა იყოს, სრულიად ხელშეუხებელი“... მაგრამ ამ პირად ზნეობრივ საკუთრებას და მისდამი საყოველთაო პატივისცემას ილია არ აღიარებს გარდაუვალ ფეტიშად და ყოველ პირობებსა და ურთიერთობაში ხელუხლებელ, და სათაყვანებელ კერპად, როგორც ეს ბურჟუაზიული ეთიკის წარმომადგენლებს სჩვევიათ. არა, ილია ჭავჭავაძე მხოლოდ „ქვეყნის სასარგებლო“ ზნეობრივ თვისებათა შენახვასა და პატივისცემას მოითხოვს, ხოლო როცა „ცხადი, უცილო, უტყუარი საბუთი“ გვექნება ხელში, რომ ადამიანი „მაგ. კუთვნილებას სხვის საკნებლად ხმარობს“— მაშინ საზოგადოებას შეუძლია მისი დარღვევა და ამაში არაფერი ანტიმორალური არ იქნება*. ამით ილია ჭავჭავაძე მორალის გაგებისა და დანიშნულების საკითხშიც საზოგადოებრივი ინტერესიდან გამოდის და ცალკე ინდივიდის პირადულ ეთიკას საზოგადოებრივი ეთიკის თვალსაზრისით ხსნის და სოციალური კანონზომიერების სფეროში ათავსებს.

ბავშვთა და მოზარდთა ზნეობრივი განვითარების მიზნით წარმოებულ აღმზრდელობითი მუშაობის გაშლას ილია ჭავჭავაძე მოითხოვს როგორც სკოლაში, მასწავლებელთა მიერ, ისე ოჯახში, მშობელთა მიერ, და აგრეთვე იმ საზოგადოებრივ წრეებში, სადაც ბავშვსა და მოწაფეს უხდება ყოფნა. ეს აღმზრდელობითი მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს აღნიშნული ზნე-ხასიათის თვისებათა გამომუშავების გზით. ამისათვის ილიას სხვა პირად ღირსებათა შორის აუცილებლად მიაჩნია ზ რ დ ი ლ ო ბ ა, როგორც ადამიანის ყოფა-ქცევის მომწესრიგებელი თვისება; პ ა ტ ი ვ ი ს ც ე მ ი ს გ რ ძ ნ ო ბ ა — უფროსების, მასწავლებელთა, მშობლების და ამხანაგების მიმართ; ს ხ ვ ი ს ი დ ა ფ ა ს ე ბ ი ს საჭიროების შეგნება; თ ა ვ მ დ ა ბ ლ ო ბ ა და ზ ო მ ი ე რ ე ბ ა მორიდების გრძნობასთან ერთად, რ ჩ ე ვ ა - დ ა რ ი გ ე ბ ი ს მიღება უფროსებისაგან და კარგი ამხანაგებისაგან, პ ა ს უ ხ ი ს მ გ ებ ლ ო ბ ი ს გრძნობა დანაკისრი მოვალეობის შესრულების მიმართ, წ ე ს რ ი გ ი ს და დ ი ს ც ი პ ლ ი ნ ი ს დ ა ც ვ ა, სკოლასა და სხვა აღმზრდელობითს დაწესებულებაში, საზოგადოების წრეებსა და ოჯახში.

---

* VI, 226.

განსაკუთრებულ აღმზრდელობითს მნიშვნელობას ახალგაზრდობისათვის ილია აკუთვნებს მასწავლებელთა მიმბაძველობასა და მაგალითს. კარგი ქცევისადმი მიბაძვა და კარგი მაგალითის გაშეორება ზნეობრივი განვითარების დიდ ფაქტორებად მიაჩნია მას და ამისათვის მოითხოვს სასკოლო და საოჯახო აღმზრდელობითი პროცესის ისე მოწესრიგებას, რომ ყოველივე, რაც ბავშვს ზრდის, და ყველა, ვინც მის აღზრდას აწარმოებს, მისაბაძი და სამაგალითო იყოს აღსაზრდელისათვის.

3. ბავშვთა და მოზარდთა ყოველმხრივი აღზრდა-განათლების მესამე სახედ ილიას მიაჩნია ფიზიკური განვითარება.

სასკოლო აღზრდის ჩამორჩენილობისა და ცალმხრიობის ერთ-ერთ მიზეზად XIX ს. მეორე ნახევარში ილია ასახელებს მის უყურადღებობას ფიზიკური განვითარებისადმი. „დაეიწყებულია, წერს ილია, რომ კაცს ტანი და აგებულობაც აქვს, რომელიც წურთვნითა და ვარჯიშობით უნდა გაღონიერდეს, გაჯანიანდეს, გამაგრდეს“ *. ჯანის სისალესა და სიმაგრეს ილია ქავქავაძე ადამიანის აღზრდის ერთ მთავარ მომენტად სთვლის და მისი ჰარმონიული განვითარების აუცილებელ მხარედ აღიარებს. აღზრდის პროცესში სულიერ და ზნეობრივ განვითარებასთან ერთად სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვის სხეულის განვითარებასაც. „განახლების“ პერიოდის სკოლის ერთ დადებით თვისებად ილია ასახელებდა მის მისწრაფებას ბავშვის გონებისა და სხეულის თანაბარ განვითარებისაკენ. „ეხლანდელი სკოლა, წერს ილია, ბევრით ჩამოუვარდება „განახლების“ დროების სკოლებს, რომელთაც საგნადა ჰქონდათ თანაბარი წარმატება ადამიანის სულისა და ხორცისა“ *.

ამგვარად, ილიას „თანაბარი წარმატება სულისა და ხორცისა“ მიაჩნია აღზრდისა და სწავლა-განათლების ისეთ ამოცანად, რომელიც სკოლას ყოველთვის მხედველობაში უნდა ჰქონდეს. მის თანამედროვე სკოლას აღზრდის ეს მხარე არ აინტერესებდა. ილიას თქმით, ამ სკოლაში მოსწავლე „სულითა და ხორცით იქანცება, არაქათი უწყდება და ბოლოს გამრჯელ, მხნე, სულითა და ხორცით ღონიერი ადამიანის მაგიერ უძლური, უღონო და ჯან-გალეული კაცი გამოდის სკოლიდამ“ **. ილია ენერგიულად

---

* VIII, 343.

** იქვე.

მოითხოვს ასეთი სკოლის გარდაქმნას „თანამედროვე პედაგოგიის თვალსაზრისით“. ეს თვალსაზრისი სხვა საქმიანობათა შორის მოითხოვდა ბავშვის ჰარმონიულ განათლებას, რომელიც ფიზიკურ განვითარებას აღზრდა-განათლების სხვა მომენტების სიმაღლეზე აყენებდა.

ჯანმრთელი, მხნე, ლონიერი, სიძნელეთა ამტანი, გამძლე, მებრძოლი და გმირული სულისკვეთებით გაჟღენთილი თაობა აირა მიაჩნდა ილია ჭავჭავაძეს ფიზიკური აღზრდის მიზნად.

ასეთია აღზრდის ძირითადი სახეები ილიას მიხედვით. ეს სახეები ამავე დროს აღზრდის მიზნებსაც წარმოადგენენ, მაგრამ აღზრდა-განათლების მიზნები ამით არ ამოიწურება. ილია დამატებით ეხება კიდევ ოთხ მომენტს:

1. ახალგაზრდობის ყოველმხრივი, ჰარმონიული აღზრდა-განათლების ერთ-ერთ მომენტად ილია ჭავჭავაძე სთვლის პროფ-ტექნიკურ განათლებას.

საქართველოს საქალაქო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების რევოლუციური მნიშვნელობა XIX ს. მეორე ნახევარში, როგორც ვნახეთ, ილიასათვის აშკარა გახდა. ის ნათლად ხედავდა, რომ ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და კულტურის გარდაქმნა დამოკიდებული იყო ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობის განვითარებაზე და, ცხადია, ცდილობდა ყოველმხრივ შეეწყო ხელი ამ პროცესისათვის. ის იბრძოდა შრომის ახალი იარაღების შეძენისა და გავრცელებისათვის, მადნეულობის ძიებისა და გადამუშავებისათვის, ნედლეულის საბადოების აღმოჩენისა და ექსპლოატაციის დაწყებისათვის, სოფლის მეურნეობაში ახალ ტექნიკურ კულტურათა გაშენებისათვის, გუთნის მაგივრად მექანიკური იარაღების დანერგვისათვის და სხვ.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარება გადაუდებელ ამოცანად აყენებდა აგრეთვე სათანადო ტექნიკური კადრების მომზადებას. ეს ტენდენცია, რასაკვირველია, არ გამოპარვია მხედველობიდან ილია ჭავჭავაძეს და სამედიცინო და პედაგოგიური განათლების პარალელურად მოითხოვდა აგრონომიულ და საინჟენერო პროფესიულ-ტექნიკური განათლების გავრცელებას როგორც საშუალო, ისე უმაღლესი სკოლის ხაზით. რუსეთში მყოფი ქართველი სტუდენტების წინაშე ილიას არაერთხელ დაუყენებია საკითხი უმაღლესი ტექნიკურ-მეცნიერული ცოდნით შეიარაღების შესახებ, მაგრამ, გამოდიოდა რა იმ მოსაზრებიდან, რომ

საქართველო და საერთოდ ამიერკავკასია აგრარული ქვეყანაა, — ეფრო მეტი ყურადღებითა და ენერგიით ეკიდებოდა აგრო-ტექნიკური განათლების გავრცელებას.

„მთელი ამიერ-კავკასია ძველთგანვე სცხოვრობს და თავს იკვებავს მარტო იმ მრეწველობითა, რომელიც დამოკიდებულია მიწასა და მიწათმოქმედებაზედ. ერთად ერთი წყარო ჩვაურის ერის ეკონომიურის არსებობისა ადგილ-მამულ მრეწველობაა და ამაზეა მთლად ავებული სრული ძალ-ღონე გამოკვებისა, სახელმწიფო ხარჯისა და ბეგარის გაძღოლისა გაუჭირებლად და უნაკლოდ“ *.

ამით ასაბუთებდა ილია ჭავჭავაძე სასოფლო-სამეურნეო განათლების გავრცელებას: „არა გვგონია ბევრი სხვა ადგილი ისე საჭიროებდეს მდაბიო სამეურნეო სკოლებს, როგორც კავკასია საერთოდ და ამიერ-კავკასია საკუთრივ“. რომ ამით „გავრცელდეს და მოეფინოს ქვეყანას მამულის მოვლისა და კეთების ცოდნა იმდენად მაინც, რამდენადაც საყოველ-ტლეოდ გამოსადეგი და მოსახმარია მდაბიო მოქმედებისათვის“ *.

ილია ებრძოდა ყველას, ვინც ხელს უშლიდა ჩვენში სამეურნეო ცოდნის გავრცელებას, ან ვისაც არ ესმოდა ასეთი განათლების საჭიროება. კერძოდ, ის სასტიკად კიცხავდა მ. მაჩაბელს, რომელსაც ჯეროვნად ვერ გაერკვია სასოფლო-სამეურნეო ცოდნის საჭიროება საქართველოში:

„დასაჯერებელი არ არის, — წერდა ილია მ. მაჩაბელის შესახებ, კაცს უმაღლესი სასწავლებელი გამოეევლოს და იქამდე გულისყურ-დაბნეული იყოს, რომ ვერ გაეგოს სამეურნეო სწავლა-ცოდნა საჭიროა თუ არა იმისთანა ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა, რომლის აკლა-დიდება სოფლის მეურნეობაა“ **.

რა არის საგანი სამეურნეო განათლებისა და სამეურნეო სკოლისა? ილია სამეურნეო განათლების საგნად სთვლის, რომ „მუშა ბალეხკაცი ხელობის მცოდნე კაცად გახდეს, სამეურნეო საქმეში დახელოვნდეს და მითპრაქტიკულად გაგებულ მუშად გამოვიდეს. საჩალხო სამეურნეო სწავლა-ცოდნას საგნად ხომ მარტო ესა აქვს“ ***.

---

* „ივერია“, 1886, № 47.
** IX, 263.
*** იქვე, 135

დიდ მნიშვნელობას აძლევდა ილია ჭავჭავაძე სამეურნეო განათლების მატერიალური ბაზის ორგანიზაციას. ასეთი ბაზის შექმნის გარეშე, მისი აზრით, სამეურნეო განათლება ზეპირ-სიტყვიერ და სქოლასტიურ „განათლებად“ გადაიქცეოდა, რომელიც ჩვენს მეურნეობას ზიანის მეტს არაფერს მოუტანდა. წინამძღვარიანთ-კარში ილია წ ი ნ ა მ ძ ღ ვ ა რ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ დაარსებულ სამეურნეო სკოლას, რომლის გახსნის დროს ილია ჭავჭავაძემ მეტად მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა (იხ. ტ. VII, გვ. 21), უკვე ჰქონდა ისეთი სამეურნეო და მატერიალური ბაზა, რომ ილია ჭავჭავაძეს იგი, როგორც დასაწყისი, სავსებით აკმაყოფილებდა.

ილია ფართო მასობრივ პროპაგანდას ეწეოდა სამეურნეო ცოდნის გავრცელებისათვის. უხსნიდა ყველას, რომ ეს არის საშუალება, რომლითაც ხალხს ხელში ეძლევა „ისეთი სახსარი, რომელიც ეკონომიურ ბრძოლას გაუადვილებს და ბუნების, მიწის სიუხვეს არ დაუკარგავს“.

„ივერიის“ არა ერთი და ორი მეთაური უძღვნა ილიამ წინაძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლას, არა ერთი და ორი მშერმეტყველური სიტყვა წარმოსთქვა მან სათავადაზნაურო ბანკის გამგეობისა და სხვადასხვა საქველმომქმედო საზოგადოებათა კრებებზე, და მოუწოდებდა ყველას მხარი დაეჭირა ამ სკოლისათვის და დახმარებოდნენ ზნეობრივად და მატერიალურად მსგავსი სკოლების გავრცელების საქმეს საქართველოს სხვა კუთხეებშიც. ის ფიქრობდა, რომ კერძო ინიციატივა ამ საქმეში საკმარისი არ იქნება. „მაგისთანა სკოლებს იმოდენა მოზრდილი საგზალი უნდა, რომ ძნელად მოსაფიქრებელია ან კერძო კაცი, ან თვით საზოგადოება გასწვდეს და გაუძღვეს“ — წერს ილია, და იცის რა, რომ მთავრობა სხვა მხრივ არ ეხმარება ხალხს, იქვე ამბობს: „ამ ზხრით მაინც, რომ მთავრობა მოეშველოს ჩვენს ქვეყანას და ხელი შეუწყოს, უეჭველია კერძო მეცადინეობაც ფეხს აიდგამს და თავის მხრივ დიდ სამსახურს გაუწევს სახელმწიფოს“ *.

ილია თუმცა მიმართავდა თავისი დროის მთავრობას, მაგრამ დახმარების იმედი არ ჰქონია, და, მართლაც, არც ამ მხრივ დახმარებია ძველი მთავრობა ჩვენს ქვეყანას. სასოფლო-სამეურნეო და, საერთოდ, პროფტექნიკური განათლება რევოლუციამ-

* „ივერია“, 1886, № 47.

დელ რუსეთსა და საქართველოში უფრო უმწეო მდგომარეობაში იყო, ვიდრე განათლების რომელიმე სხვა დარგი.

2. აღზრდა-განათლების უშუალო ბიზანთა შორის ილია ჭავჭავაძე ერთ საპატიო ადგილს უთმობს საღი პატრიოტული გრძნობის გამოწვევას და განვითარებას. ეროვნულ-პატრიოტული აღზრდის პრინციპი ილიას პედაგოგიურ მოძღვრებაში გამომდინარეობს ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის ამოცანებიდან და აბიტომ ეს პრინციპი საესებით თავისუფალია ყოველგვარი ვიწრო ნაციონალისტური და შოვინისტური ელემენტებიდან, უფრო მეტიც, ჩვენ ვნახავთ, რომ ის შეესაბამება თავისებური ინტერნაციონალური სოლიდარობის იდეებს და მეცნიერების ზოგადკაცობრიული განვითარების ხასიათს.

ეროვნულ-პატრიოტული აღზრდა ილიას ესმის როგორც ერთი გარკვეული ნაწილი ან მომენტი ბავშვის სოციალური აღზრდისა საერთოდ. აღზრდის საერთო საზოგადოებრივ მიზნად ილიას, როგორც უკვე გექონდა აღნიშნული, XIX ს. მეორე ნახევრის ქართველი ახალგაზრდობისათვის ნიაჩნდა „ჩვენი დაცემული ეროვნული აღდგენა“ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის გზით. აღზრდას, საერთოდ, ამ ბრძოლისათვის გამოსადეგი ახალთაობა უნდა მოეამზადებინა და ეროვნულ-პატრიოტული აღზრდა, როგორც ნაწილი ამ საერთო აღზრდისა, სწორედ აქეთკენ უნდა ყოფილიყო — და იყო კიდეც — ბიმართული.

ეროვნულ-პატრიოტული აღზრდის პირველ მომენტად ილიას მიაჩნდა სამშობლოსა და ხალხის სიყვარული.

ილია ფიქრობს, რომ სამშობლოს სიყვარული ადამიანს აძლევს ძლიერ სულიერ ენერგიას, ბატებს სიმხნეევის, სიმამაცისა და გაბედულობის გრძნობას, ხდის მას საერთო საქმის ენთუზიასტად და მისაბაძ პიროვნებად. ყოველი ეს თვისება უნდა აღიზარდოს ბავშვში, რომ ის სამშობლო-ქვეყნისათვის თავდადებული და გამოსადეგი პიროვნება გამოვიდეს.

პატრიოტული აღზრდის საჭიროების დასაბუთებისათვის ილია მიმართავს პედაგოგიკის ისეთ კლასიკოსებს, როგორიც არიან ჰენრიხ პესტალოცი (1746—1827), კონსტანტინე უშინსკი (1823—1870) და სხვ.

ჰენრიხ პესტალოციდან მას მოაქვს შემდეგი ციტატი: „პირველ დაწყებითის ცოდნის მოედნად უნდა იყოს სამშობლო“.* ამ მი-

* VII, 219.

ადგილებიდან გამოსვლით ილია ფიქრობს, რომ ბავშვმა პირველადწყებითი ცოდნა სამშობლოში და სამშობლოს შესახებ უნდა მიიღოს. ეს იმიტომ, რომ ბავშვი თავისი წარმოშობით ერთ რომელიმე სამშობლოს ეკუთვნის, მის მიწა-წყალზე იზრდება, მისი ჰაერით სუნთქავს და მისი ხალხის ღვიძლია, და ასეთ მშობლიურ გარემოცვაში მიღებული ცოდნა უფრო მტკიცე და ჭეშმარიტია. მშობლიური გარემოცვა ბავშვთან ახლოა, უფრო ადვილად შეისწავლება მას შიერ; ასეთ საფუძველზე მიღებული ცოდნა ძალზე მკვიდრია და თავის მხრივ მტკიცე საფუძველს წარმოადგენს „უფრო ფართე და ღრმა განათლებისათვის“.

ილია ჭავჭავაძე ფიქრობს, რომ სამშობლოს განსხვავებული თვისება და მისი ხალხის თავისებური ხასიათი ყოველი ეროვნების წარმომადგენელს ემჩნევა; მასში შთანერგილია თავისი ერის სულიერი განვითარების ფესვები და მათ ნიადაგზე სხვადება იგი მეორე ეროვნების წარმომადგენლისაგან. ამასთან ილია სამშობლოსა და ერის განსხვავებულ თვისებასა და მის „განსაკუთრებულ ხასიათს“, ისე როგორც მის წარმომადგენელთა ფიზიკურ თავისებურებას, სათანადოდ ხსნის ქვეყნის ეკონომიურ-გეოგრაფიული მდგომარეობით, მისი ხალხის ისტორიული წარსულით და აწმყო ცხოვრებით. აქედან მას ადვილად გამოდავს დასკვნა, რომ ნაციონალურმა აღზრდამ უნდა მისცეს ახალგაზრდობას თავისი სამშობლო ქვეყნის ეკონომიურ-გეოგრაფიული მდგომარეობისა და მისი ისტორიის დეტალური ცოდნა. ამ ნიადაგზე ახალგაზრდობა მისწვდება თავის „სამშობლოს განსხვავებულ თვისებასა და მის განსაკუთრებულ ხასიათს“ და აქედან შეეძლებს წარმოიდგინოს და [გ]ანიმტკიცოს საკუთარი სულიერი ენერგიის ფესვები.

ილიას ღრმად სწამს, რომ თავის ქვეყნისა და მამულის სიყვარული ადამიანის განუყრელ თვისებას წარმოადგენს. ამ რწმენის დასაბუთებისათვის მიმართავს იგი კ. დ. უშინსკის, როგორც რუსეთის ნაციონალური აღზრდის წარმომადგენელს, და შოაქვს მისგან ციტატი აღზრდის ხალხურობის შესახებ.

კონსტ. უშინსკისთან ერთად ილია ჭავჭავაძე ახალგაზრდობის აღზრდას ხალხურობის პრინციპზე ამყარებს, რომ ამით აღუძრას მას (ახალგაზრდობას) თავისი სამშობლოსა და ხალხის სიყვარული, რადგანაც ეს სიყვარული ადამიანის გულის გასაღებად მიაჩნია.

აღზრდის ამოცანაა ამ გასაღებით შეაღოს მოზარდის გულის კარი, შეისწავლოს მისი ინდივიდუალური გრძნობების საფყარო და განავითაროს იმ მიმართულებით, საითკენაც მას აღზრდის საერთო, საზოგადოებრივი მიზანი მოუწოდებს.

ილია ჭავჭავაძეს ხალხურობა და ეროვნული გრძნობა არა აქვს მიჩნეული ისეთ ფეტიშად, რომ მის იქით იგი ვეღარაფერს აღიჩენდეს. სოლო საკუთარი საშობლოსა და ერის სი-ვარული მას ყრულებით არ უშლის ხელს სიყვარულით და პატივისცემით ეპყრობოდეს სხვის საშობლოს და სხვა ერს.

ნაციონალური სოლიდარობის პრინციპს ი. ჭავჭავაძის პედაგოგიკურ მოძღვრებაში ჩვენ ცოტა ქვემოთ შევეხებით, აქ კი გავიხსენოთ ეროვნულ პატრიოტული აღზრდის მოტივები მისი მხატვრული შემოქმედებიდან.

ილია ჭავჭავაძეს მისაბაძად მიაჩნია ის დრო, როდესაც „ძუძუ ქართლისა უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა, და დედის ნანასთან ქვითინი მთისა მას უმზადებდა მომავალ გმირსა“ („ქართველის დედას“).

ომიანობის დროს, როდესაც „ხალხი აზვირთდა, ხალხი ალსდგა, ხალხი მოქმედობს,“—„მთელი ქვეყნის თავისუფლებისათვის“,— ქართვლის დედა თავის ერთადერთ შვილს—ერთადერთ სიცოცხლეს და სიხარულს— გმირულად უთმობს თავის საშობლოს, მამულს:

„ეჰა, ამ დღისათვის გაგიზარდე, მამულო, შვილი,

სიცოცხლე მივეც, რომ შეიძლოს შენთვის სიკვდილი“ („დედა და შვილი“).

ასეთივე იდეებით ზრდიდა ილია ქართველი სტუდენტობის სულსა და გრძნობას; მისი აღზრდის ერთ-ერთ პრინციპად მიაჩნდა პატრიოტული მოტივი.

საშობლოს სიყვარული ილიასათვის თავისუფლების სიყვარულის სინონიმია. ყველგან, სადაც მამულისათვის თავდადებაზე ლაპარაკობს, ლაპარაკობს აგრეთვე „ძმობა-ერთობა-თავისუფლებისათვის“ თავგანწირვაზე და ქართველ დედასაც მოუწოდებს შთაგონოს ბავშვს „თავისუფლება—კაცთა ნავთსაყუდარი, ჩაგრულის, წვალებულის წმინდა საფარი“.

ილია ჭავჭავაძე ნაციონალურ განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეებს სრულიად ბუნებრივად უკავშირებს ეროვნულ-პატრიოტულ გრძნობებს. პეტერბურგიდან საშობლოში მომავალი, რუსე-

თის დიდი დემოკრატებისა და რევოლუციონერების ბ. ბელინსკის, ნ. ჩერნიშევსკისა და ა. დობროლუბოვის მოწინავე, რევოლუციური იდეებით გაჟღენთილი და ახალი სამოქმედო პროგრამით აღჭურვილი მწერალი, შემდეგნაირი ფიქრით მოადგა საქართველოს საზღვარს:

„როგორ შეეყრები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მე, რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეტყვის იგი მე? ვინ იცის, იქნება მე ჩემმა ქვეყანამ ზურგი შემომაქციოს როგორც უცხო ნიადაგზე გადარგულსა და აღზრდილსა?“ („მგზავრის წერილები“).

არა, საქართველომ მშობლიურად მიიღო ილია ჭავჭავაძე, ვინაიდან ის, „უცხო ნიადაგზე გადარგული და აღზრდილი“, თავის სამშობლოს დაუბრუნდა ნაციონალურ-განმათავისუფლებელ იდეებით და ამ იდეების პრაქტიკული განხორციელებისათვის შეიარაღებული.

საქართველოში დაბრუნებულმა განათლებულმა მწერალმა უფრო მწვავედ იგრძნო სამშობლოს დაბეჩავებული, კოლონიური მდგომარეობა და საერთო პოლიტიკური ატმოსფეროს სიმძიმე, რომელიც სიცოცხლეს უმძიმებდა და სულს უხუთავდა ყოველ პროგრესულად მოაზროვნე ადამიანს, მთელ მშრომელ ხალხს. „მძიმე საცხოვრებელია ეს ჩვენი ქვეყანა გონიერი კაცისათვის, რომელიც თავის თავის გარეშეთად, სხვაზედაც ფიქრობს, სხვაზედაც სწუხს. ის ჩვენში ფრთას ვერ გაშლის, სულს ვერ მოიბრუნებს“. ხოლო „ღარიბს, რომელიც ოფლით შოობს ლუკმასა, მზესთვის ვერ შეუხედნია“.* ასე წერდა დიდი დემოკრატი და განმანათლებელი ილია ჭავჭავაძე 1862 წელს და თავის მოღვაწეობაში ფართო პოლიტიკური პერსპექტივით გაერთიანებული ჰქონდა ეს ორი დიდი იდეალი ნაციონალური და სოციალური: ერის ნაციონალურ-რევოლუციური განთავისუფლება რუსეთის მონარქიზმისაგან და მძიმე სოციალური ატმოსფეროს გაწმენდა გონიერი და ღარიბი ხალხისათვის სულის მობრუნებისა და მზის დანახვების მიზნით.

---

* IV, 346.

ამგვარად, ილია ჭავჭავაძის პატრიოტიზმი თავისი დროისათვის საღი და რევოლუციური პატრიოტიზმია. ამასვე ამტკიცებს მის მიერ მეცნიერებისა და ხელოვნების ინტერნაციონალური გაგება და მისი დამოკიდებულება სხვა ეროვნებათადმი.

ილია ჭავჭავაძე, როგორც დიდი მოაზროვნე, ფიქრობს, რომ ყოველი მეცნიერება და ხელოვნება თავისი წარმომავლობით ნაციონალურია, მაგრამ ამავე დროს ნამდვილი მეცნიერება და ჭეშმარიტი ხელოვნება თავისი საერთო მნიშვნელობით ინტერნაციონალური ბუნებისაა. ის წერს:

„გონების ნაწარმოები იმისთანა მადლიანი რამ არის, რომ მთელის კაცობრიობის კუთვნილებას შეადგენს“*.

რამდენადაც მეცნიერების ყოველი დიდი მიღწევა, ხელოვნების ყოველი საუკეთესო ნიმუში, საბოლოოდ მართლაც სცილდება მისი შემქმნელი ერისა და სახელმწიფოს საზღვრებს და მით სარგებლობს ყველა ხალხი, განურჩევლად ეროვნებისა,– იმდენად მეცნიერებისა და ხელოვნების ასეთი მიღწევა მართლაც საკაცობრიო ხდება, მაგრამ ისტორიულად ის არ კარგავს თავის ნაციონალურ წარმომავლობას და მუდამ საამაყოდ რჩება მის შემქმნელ ერს. არისტოტელი, რუსთაველი, კომენსკი, შექსპირი, გოეთე, დარვინი, პუშკინი, პასტერი, ტოლსტოი, მიჩურინი და სხვა გენიალური მეცნიერები და მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატები ნაციონალური სიამაყის გრძნობით ანთებენ თავის წარმომშობ ერებს, მაგრამ მათი „გონების ნაწარმოების“ საერთო-საკაცობრიო და ინტერნაციონალური დანიშნულება—უდაოა.

ქართველი ხალხის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაური ილია ჭავჭავაძე თავისი მშობელი ერისა და მშობლიური კულტურის მგზნებარე სიყვარულს თავისუფლად უთავსებდა სხვა ერებისა და მათი კულტურის სიყვარულსა და პატივისცემას. პირველ ყოვლისა ეს უნდა ითქვას დიდი რუსი ხალხისა და მოწინავე რუსული მეცნიერებისა და ხელოვნების შესახებ.

ცნობილია, რომ ილია სასტიკი მტერი იყო რუსეთის ცარიზმისა, მაგრამ ის მტკიცე მეგობარია დიდი რუსი ხალხის, მისი მეცნიერებისა და ხელოვნებისა. ილია სრული ობიექტიობით ლაპარაკობს, რომ „რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიწია წარმატების გზაზედ და დიდი ზედმოქმედება იქონია

* IX, 505.

ყოველს მასზედ, რაც ჩვენს სულიერ ძალღონეს შეადგენს და ჩვენს გონებას, ჩვენს აზრს, ჩვენს გრძნობასა და ერთობ ჩვენს მიმართულებას ზედ დააჩნია მათ თავისი აეკარგიანობა".* განსაკუთრებით ეს ითქმის 60-იანი და 70-იანი წლების ქართველი ინტელიგენციის „მიმართულებაზე", რომელმაც „თერგდალეულთა" მეთაურობით დაიწყო თავის განვითარება და ახალ მიმართულებათა ძიება. მხოლოდ ინტერნაციონალური გრძნობით გამსჭვალულ ილია ჭავჭავაძეს შეეძლო დაეწერა რუსეთის მეცნიერებისა და ხელოვნების 80—90 წლების ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაზე გავლენის შესახებ შემდეგი, სრული ჭეშმარიტებით აღსავსე, სტრიქონები:

„საკვირველიც არ არის: რუსულმა სკოლამ—მეცნიერებამ გაგვიღო კარი განათლებისა და რუსულმავე ლიტერატურამ მოაწოდა საზრდო ჩვენს გონებას და გამოჰკვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ. თვითეული ჩვენთაგანი, გინდა თუ არა, უნდა დასწაფებოდა ამ ორ წყაროს თავის სულიერ წყურვილის მოსაკლავად. სხვა გზა არ იყო. ამიტომ საბუთი გვაქვს ვსთქვათ, რომ თვითეული ჩვენთაგანი რუსულის ლიტერატურით გაზდილა. თვითეულს ჩვენთაგანს მის გამონარკვევზედ აუგია თავისი რწმენა, თავისი მოძღვრება და თავისი საგანი ცხოვრებისა საზოგადო საქმისათვის ამ გამონარკვევის მიხედვით გამოურჩევია".*

ვინც კარგად იცნობს რუსეთის XIX ს. მეორე ნახევრის საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების ისტორიას, იცნობს აგრეთვე საქართველოს ამავე პერიოდის საზოგადოებრივი აზრის მდგომარეობას და ამავე დროს მიუდგომელი მსჯელობისა და მოვლენათა შეფასების ობიექტური უნარიც აქვს, მისთვის სხვა მტკიცება საჭირო აღარ იქნება, რომ ილიას ზემოთ მოყვანილი მოსაზრებანი სრულ ჭეშმარიტებად იქნეს აღიარებული.

ამასთან, ილია, ლაპარაკობს რა რუსეთის მეცნიერებისა და მხატვრული ლიტერატურის ქართველ მეცნიერულ ძალებსა და ლიტერატორებზე გავლენის შესახებ, აღნიშნავს, რომ „ამ ზედმოქმედებამ—რუსულის ლიტერატურისამ მარტო იმას შესძინა სიკეთე, რომელმაც ყოველი გამონარკვევი ამ ლიტერატურისა თავის საკუთარ კრიტიკის ქარცეცხლში გაატა-

* VIII. 285.

რა, ბრმად არ იწამა, ბრმად არ მიიჩემა და ამ რიგად არ დაიხვია ხელზედ ცხოვრებაში იოლად წასელისათვის.* რომელიმე მოძღვრების ან მეცნიერულ-ლიტერატურული მიმართულების შეთვისება მხოლოდ მაშინ მიაჩნდა ილიას აქტუალური განვითარების მნიშვნელობის მქონე ფაქტორად, როდესაც შეშთვისებელი კრიტიკულად უდგება და ითვისებს შესასწავლს, ახდენს მის გააზრებას თავის ცნობიერებაში და იჩენს საკუთარი აზროვნების ინიციატივას.

ილია ჭავჭავაძის ასეთი მეგობრული დამოკიდებულება რუსეთის პროგრესული მეცნიერებისა და ლიტერატურისადმი აიხსნება არა მარტო იმით, რომ ის თვით ამ მეცნიერებასა და ლიტერატურაზე აღიზარდა? არა, ილიასათვის ეს საერთო პრინციპის საკითხია და ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ მისთვის მთავარია თვით მეცნიერებისა და ლიტერატურის ღირებულება და არა მისი ნაციონალური წარმოშობა.

3. აღზრდა-განათლების ერთ-ერთ ბიზნად ილიას მიაჩნდა ადგილი ეპირადი ინიციატივისა და თვითმოქმედების უნარის შემუშავება ახალგაზრდობაში.

ინიციატივა აძლევს ადამიანს საკუთარი მოქმედების საშუალებას, აჩვევს დამოუკიდებელი გზით მსვლელობას, უვითარებს მას ახალი საქმის თაოსნობის უნარს, აქტივობას და ახალი აზრის შემუშავების ძალას.

თვითმოქმედება—მთავარია ადამიანისათვის. ის აძლევს ადამიანს ცხოვრების აზრს, ათავისუფლებს სხვაზე დამოკიდებულებისაგან და ანიჭებს არსებობის უფლებას. ილია წერს:

„თვით-მოქმედება, თავის თვისით საქმის აჩენა, გაძღოლა და გატარება—ისეთი თვისებაა ადამიანისათვის, ჯერ-ჯერობით ეგი უფრო მოსაგონია, ვიდრე ბატონი... მარტო ეგი შრომაა, ეგი გარჯაა ნაყოფიერი, რომლისაძირკველიც, ანუ სათავე საკუთარი თაოსნობაა და ძალ-ღონე, კიდევ საკუთარი გარჯვენა. არამც თუ საზოგადო საქმეში ერთ-ერთ კაცის ცალკე ცხოვრებასაც, რომ დავაკვირდეთ, ვნახავთ, რომ არსებობისათვის ბრძოლასა და კიდილში მარტო ეგია გამარჯვებული, ვინც თვით არის საქმის თაოსანი, საქმის ამჩენი და საქმის მომქმედი; ვინც თავის თავზეა მარტო დამოკიდებული და თავის საკუთარს მხნეობას და გარჯას სახავს წყალოდ თავისის ცხოვრების განკარგვისა და წინ წაწევისა".**

---

* VIII, 235—236.

** „ივერია", 1886, № 102.

ამით ილია მოუწოდებს ქართველი ხალხის პროგრესულ ნაწილს, თავს ნუ იტყუებს და გულუბრყვილოდ სხვის დახმარებას ნუ ელის მონარქიის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. მოუწოდებს მას საკუთარი ძალების მობილიზაციისაკენ, გაერთიანებული ენერგიით შეტევისაკენ.

შეტად აქტუალური მოწოდებაა, და ამდენად აუცილებელი ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის გაძლიერებისათვის, გაბედული ბრძოლისა და შრომის მოყვარული ახალგაზრდობის აღზრდისათვის. ილია გულისწყრომით იხსენებს ძველსა და მისი დროის უდარდელობას დიდი საზოგადოებრივი და აქტუალური პრობლემებისადმი. ის საყვედურით აღნიშნავს, რომ „ტკბილმა მამა-პაპურმა ძილმა დაგვღუპა ჩვენ“ და ყველგან მოუწოდებს ახალგაზრდობას დასტოვონ ძველი ტრადიციები, ადათები და ჩვეულებანი, რომლებიც ეხლა ძალზე ბორკავენ ჩვენ წინსვლასა და განვითარებას. მხოლოდ ინიციატიური შრომისა და აქტიური თვითმოქმედების საფუძველზე შეგვიძლია ჩვენ დავაღწიოთ თავი ძველებურ თვლემას, მამაპაპურ ძილს და სხვისი იმედით ცხოვრებას. თ ვ ი თ მ ო ქ მ ე დ ე ბ ა, ა მ ა ვ ე დ რ ო ს, ი ლ ი ა ს მ ი ა ჩ ნ ი ა ს ა ჭ ი რ ო დ მ ა გ ა რ ი ნ ე ბ ი ს ყ ო ფ ი ს ა დ ა მ ტ კ ი ც ე ხ ა ს ი ა თ ი ს ა ღ ზ რ დ ი ს ა თ ვ ი ს, რომლებიც, მისივე აზრით, აღზრდის განუყრელ ნაწილს წარმოადგენენ.

ამასთან, თვითმოქმედება დიდ აღმზრდელობით როლსაც თამაშობს. ილიას ეს როლი ესმის შემდეგნაირად:

„თვითმოქმედებას არამც თუ მარტო პირდაპირი სარგებლობა მოაქვს ხორცისათვის, ამასთან იგი ი მ ი ს თ ა ნ ა ს კ ო ლ ა ც ა რ ი ს, ს ა ც ა ი წ ყ ო ნ ე ბ ა ყ ო ე ლ ი მ ო ზ ა რ დ ი, ი ზ რ დ ე ბ ა ა ხ ა ლ ი თ ა ო ბ ა, ს ა ც ა მ ო ზ ა რ დ ი ს, ახალი თაობის ძალ-ღონეს ნაჭედის სიმტკიცე და სიმაგრე ეძლევა, როგორც რკინას სამჭედლოში“.*

საჭიროა დავდგეთ საკუთარ ფეხზე, ვიაზროვნოთ საკუთარი თავით; „გვეყო, ბატონებო, სხვაზე დანდობა, სხვის მაყურებლობა, ჩვენ თვითონ მივეშველნეთ ჩვენ თავს...“—„გვეყო, ბატონებო, ჩვენის აწმყოსი და მომავლის ბედის სხვაზე მიგდება, ჩვენის გაჭირვებისა, გულისტკივილისა და წადილის პატრონნი ჩვენვე უნდა ვიყენეთ“.**

---

* „ი ვ ე რ ი ა“, 1886, № 102.
** VII, 197—198.

ინიციატივისა და თვითმოქმედების საფუძველზე ახალგაზრდობას უვითარდება კრიტიკული აზროვნების უნარი და ზოგიერთი ავტორიტეტისადმი კრიტიკული დამოკიდებულების შესაძლებლობა. „ყოველი აზრი,—წერს ილია,—მარტო ცარიელი ფრაზაა იმის ხელთ, ვისაც კრიტიკის ცეცხლში არ გამოუფოლადებია და ისე არ შეუთვისებია“. კრიტიკული აზროვნება ამახვილებს ადამიანის აზრს, აძლევს მას უფრო მეტი შემოქმედების ძალას, აჩვევს მას ახალის აღმოჩენის იმედს და რწმენას საკუთარ თაოსნობაში.

ძველი ავტორიტეტებისადმი კრიტიკული დამოკიდებულება აუცილებელია ჭეშმარიტების განვითარებისათვის. ძველი დოგმა და რუტინა, მიუხედავად მათი ავტორის დიდი სახელისა, უნდა იქნეს უკუგდებული. „ბრმად დაჯერება ყოველი იმისი, რასაც ავტორიტეტი ამბობს, რის შემოწმებასაც ყურის-მგდებლის ჭკუა, გონება მისწვდება და რასაც ეს შემოწმება უარყოფს,—მართლა დიდი ხანია უგუნურებად არის მიჩნეული“.* აქედან გამოსვლით ილია მოუწოდებს ახალგაზრდობას თვით იკვლიოს, მოსჩხრიკოს, შეამოწმოს „და თუ ავტორიტეტის აზრი გამართლდა, დაიჯერე მხოლოდ მაშინ და საკუთარ რწმენად ვარდაქმენ სხვისაგან აღმოჩენილი და ნაკვლევი“.* ილია ყოველივე ამას ლაპარაკობს ძველი ავტორიტეტების შესახებ, რომელთა რწმენა ჩვენში უკვე შეირყა და რომელთა ზეგავლენისაგან აუცილებელია ახალგაზრდების განთავისუფლება, რომ არ შეიბორკოს მათი ინიციატივა და თვითქოქმედება.

ილია ჭავჭავაძის მოსაზრება ყალბი ავტორიტეტების გავლენისაგან ახალგაზრდების დახსნის შესახებ—საბრძოლო პროგრამაა XIX-საუკუნის ქართველი ახალთაობისათვის, ძველი დოგმებისა და რუტინის დაძლევისა და მონარქიული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში; ის მოწოდებაა ახალი შემოქმედებისა და აზროვნებისაკენ. ახალგაზრდობა ენერგიულად უნდა მიჰყვეს მეცნიერების განვითარებას, იყოს მისი უკანასკნელი მიღწევების კურსში, „ოორემ,—სწერს ილია,—აქაო და ამ ოცდა-ათ წლის წინად ამა და ამ საგანზე ესა და ეს ითქვაო და დაიჟინონ,—ეს არის უკანასკნელი სიტყვა მეცნიერებისა და ლიტერატურისაო, მაშინ როდესაც უკანასკნელი სიტყვა დღეს სულ სხვაა, უჭიათობა და ჭირვეულობა ერთხელ და ერთხელ შებორკილებულ და დატყვევებულ გონებისა“,**

* VIII, 119.
** VIII, 287.

ესეც რევოლუციური დებულებაა აზრის გასათავისუფლებლად ძველი იდეებისა და ტრადიციებისაგან.

ილია ჭავჭავაძეს სწამს ძლიერი ავტორიტეტობა, რომელიც „ყოველთვის იქნება მეცნიერებაშიც და ცხოვრებაშიც" და ნაშდვილი მეცნიერული ავტორიტეტები, რომლებიც შესწავლილი და გამოყენებული უნდა იქნენ ახალგაზრდების მიერ. ავტორიტეტებისადმი კრიტიკული დამოკიდებულებიდან, ილიას აზრით, „სრულებით ის არ გამოდის, რომ ავტორიტეტობა ეხლა შემუსვრილია და თაყვანისცემა მისი უგუნურობად ცნობილი".* ასეთი შეხედულება ძალს უმეცრებად მიაჩნია და ყველა დიდი, ქეშმარიტი მეცნიერისა და ლიტერატურის ავტორიტეტისადმი დიდ პატივისცემას მოითხოვს და მათი ღირსეული შესწავლისაკენ მოუწოდებს ჩვენს ახალგაზრდობას. ვინ არიან ეს საიმედო ავტორიტეტები?—„ავტორიტეტი მეცნიერებაში ის კაცია, რომელსაც მის მიერ შეთვისებულს მეცნიერებაში გაუთქვამს სახელი და მოუპოვებია ნდობა იმდენად შეურყეველად და უცილობელად, რომ ერთიც და მეორეც საკმაო მიანდებია მისი აზრის შეუცდომლობისა",** და „როცა უტყუარად და კარგად შემოწმებულის საბუთით დამტკიცდა, რომ მისი ნათქვამი გაბართლდა".** ასეთი ავტორიტეტები უნდა იწამო, ილიას აზრით. მათ უნდა ენდო, მათგან უნდა ისწავლო და ღირსეული პატივისცემით მოეპყრა.

4. ახალგაზრდობის აღზრდა-განათლების წინაშე ილია ჭავჭავაძე აყენებს აგრეთვე მ ო მ ა ვ ლ ი ს პ ერ ს პ ე ქ ტ ი ვ ი ს შ ე ქ მ ნ ი ს ა მ ო ც ა ნ ა ს. ილია არცერთ საზოგადოებრივ ღონისძიებას. არ ფარგლავდა მარტოოდენ დღიური ამოცანით. ყოველ მისაღებ და განსახორციელებელ ღონისძიებას ის განიხილავდა და აფასებდა როგორც აწყოო, ისე მომავლის თვალსაზრისით. ასევე, თავის მრავალმხრივ საზოგადოებრივ მოღვაწეობაში ის ყოველთვის ფართო პერსპექტივით მოქმედებდა. ეს პერსპექტივა იყო მისი ქვეყნისა და ხალხის თავისუფალი მომავალი. ილია ჭავჭავაძე XIX ს. ქართველ მწერალთა შორის ერთ-ერთ იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენდა, რომელიც სრულებით არ იყო შეპყრობილი წარსულის კულტით, ისტორიული სიძველეების იდეალიზაციით. მან იცოდა, რომ საქართველოს წარსულში ბევრი რამ არის სანაქებო, მისაბაძი, სასიხარულო, საპიროდ მიაჩნდა მისი ცოდნა, გამოკვლევა, მაგრამ მანვე

* VIII, 119.
** იქვე, 121—122.

იცოდა, რომ დარდი და მწუხარება ჩვენი კარგი წარსულის გამო ვერც აწმყოს გაგვიუმჯობესებს და ვერც კარგ მომავალს შეგვიქმნის.

მომავალი თაობის აღმზრდელ დედას ილია აძლევდა შვილის აღზრდის გარკვეულ პერსპექტივას (ძმობა, ერთობა, თავისუფლება, მამულის სიყვარული, მამულისათვის ბრძოლა, ჭეშმარიტება და განათლებული კვალი) და ამასთანავე მოუწოდებდა:

მას ნულარ ვსტირით, რაც დამარხულა, რაც უწყალოს დროთ
ხელით დანთქმულა;
მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი... ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა
სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენში ვშვათ მყოობადი, ჩვენ უნდა მივსცეთ მომა-
ვალი ხალხს. („ქართველის დედას").

ილია ჭავჭავაძეს ხშირად უყვარდა ხალხური ანდაზის გამეორება: „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა", და ამ ლოზუნგის განხორციელებისათვის მართლაც არაფერს ზოგავდა, ისე როგორც არაფერს ზოგავდა დაემტკიცებინა ბოროტება და მავნეობა კონსერვატული ანდაზისა: „ნუ დააგდებ ძველსა გზასაო". მთელი მისი სიცოცხლე და მოღვაწეობა ახალი გზების ძიებასა და ახალი სამყაროსათვის ბრძოლას წარმოადგენდა. ილია ხშირად მიმართავდა ქართველ ხალხს: „ქართველობა... გაისაჯე, თუ გინდა, რომ მამათა ნათქვამისამებრ, შვილი მამასა სჯობდეს და მომავალი—აწმყოს. დღევანდელის მოშდურავებმა ხვალინდელი დღე მაინც კარგი გავითენოთ"*...

ილიას სწამდა საქართველოს საიმედო მომავალი. ის ოპტიმისტურად იყო განწყობილი ამ მომავლის მიმართ და მოუწოდებდა თაეის ქვეყანას უარეყო ყოველგვარი ნწუხარება, ვინაიდან მომავალი თაობა მას ახლად აღუდგენდა დიდების დღეებს.

სამშობლოს მომავალი დიდების დამკვიდრება ილიას მიაჩნდა ახალგაზრდობის ისტორიულ ამოცანად. საჭირო იყო ახალგაზრდების მეთაური, გმირი, და სწორედ ასეთად შეიქმნებოდა ის ყრმა, რომელიც სიმბოლურად „ბაზალეთის ტბის" ძირის აკვანში იზრდებოდა:

---

* VII, 293.

იქნებ აკვანში ის ყრმა წევს, ვისაც არ ითქმის სახელი,
ვისაც დღედაღამ ჰნატრულობს ჩუმის ნატვრითა ქართ-
ველი.

მომავლის საღი პერსპექტივის შექმნის მიზნით ილია ჭავჭავაძე მოითხოვს ისტორიის მეცნიერულ ცოდნას. მხოლოდ წარსულისა და აწმყოს ანალიზით მიაჩნია მას შესაძლებლად მომავლის სწორი ფათვალისწინება. განვითარების თეორია ისტორიულ პროცესში ფიქსავნდება, ამ პროცესის საშუალებით ეგებულობთ ჩვენ როგორც მატერიალური, ისე იდეური ცხოვრების გენეზისს, მის ცვალებადობას ეპოქების მიხედვით.

ამასთან, ყოველ ეპოქაში ჩანს ძველის ნაშთი და ახალის ჩანასახი, ისე როგორც:

„წარსული—მკვიდრი საფუძველია აწმყოსი, როგორც აწმყო—მომავლისა“, წერს ილია და აგრძელებს: „ეს ს

სასარგებლო და გამოსადეგი, რათა ამით დავზოგოთ ჩვენი ენერგია და დრო ახალის შექმნისათვის, ილია წერს:

„შვილმა უნდა იცოდეს სად და რაზედ გაჩერდა მამა, რომ იქიდამ დაიწყოს ცხოვრების უღელის წევა. შვილს უნდა გამორკვეული ქონდეს რაშია მართალი და კარგი მისი მამა, რაში იყო შემცდარი, რა ავი მიიჩნია კეთილად და რა კეთილი—ავად. რა უმართავდა ხელს, რა აბრკოლებდა. რისთვის ირჯებოდა და მხნეობდა და რისთვის და რაში უქმობდა. უამისოდ თვითონ შვილი რაც გინდა მხნე და გამრჯელი იყოს, უხორთუმო სპილოს ეგვანება, დავით გურამიშვილისა არ იყოს, და ამ წუთისოფელში ვერას გახდება".*

ასეთივე აქტუალური და თანადროებისათვის გამოყენების თვალსაზრისით უდგება ილია პედაგოგიკის ისტორიასა და პედაგოგიკის კლასიკოსებს, განსაკუთრებით ჰუმანისტ პედაგოგებს. ის მოითხოვს: „ყური ათხოვონ ისტორიას, ზოგჯერ უკანაც მოიხედონ და ზოგიერთი რამ შეითვისონ იმ დიდ-ბუნებოვან ჰუმანისტებ-პედაგოგთაგან, რომელთაც უმოძღვრეს კაცობრიობას ბევრი რამ მოზარდის თაობის საკეთილდღეოდ და საბედნიეროდ".**

ისტორიის, როგორც მეცნიერების, განმარტებაშიც არ ივიწყებს ილია ჭავჭავაძე მის როლს მომავლის კვლევის საქმეში. ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია სულ. უკანასკნელ ხანამდე განმარტავს ისტორიას როგორც მეცნიერებას წარსულის ანუ განელილის შესახებ. ილია ჭავჭავაძემ ჯერ კიდევ 1888 წელს, იმ მოსაზრებიდან გამოსვლით, რომ წარსული აწმყოს საფუძველია, აწმყო კი—მომავლისა, მოგვცა ისტორიის შემდეგი დეფინიცია: „რა არის ისტორია? იგია მთხრობელი მისი, თუ რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყვნეთ კვლავადაც".*** ისტორიული მეცნიერების ასეთი აქტუალური ფუნქციის აღნიშვნით ილიამ ძალიან წინ წასწია ისტორიოგრაფიის საქმე საქართველოში.

მართალია, ჩვენს პირდაპირ თემას არ ეხება, მაგრამ, რადგანაც შევეხეთ ილიას მეთოდოლოგიურ კონცეფციებს ისტორიის შესახებ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ჩვენში პირველად ილიამ მოგვცა ქართული ისტორიოგრაფიის ნამდვილი მეცნიერული კრიტიკა იმის დასაბუთებით, რომ არსებითად ჩვენ მეცნიერულად

---

* V, 241.
** VIII, 344.
*** V, 207.

დამუშავებული ისტორია არ გექონდა, რადგანაც მის დრომდე არსებული ისტორია არ იყო გაცილებული „ქართლის ცხოვრების" ისტორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძვლებს და მხოლოდ მეფეთა ისტორიას წარმოადგენდა:

„ჩვენში „ქართლის ცხოვრება" ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა, და ხალხი კი, როგორც მომქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული. თითქოს ხალხის ისტორიის შესამეცნებლად საკმაოა კაცმა იცოდეს მარტო მეფეთა ისტორია".* ილია ილაშვრებს ასეთი ისტორიის წინააღმდეგ და მოითხოვს შეიქმნეს ისტორია ხალხის ყოველმხრივი ცხოვრებისა, მისი წარსულის გადმოცემით, აწმყოს გარკვევით და მომავლის პერსპექტივით. ილიას აზრით, ისტორიას ქმნის მხოლოდ მშრომელი ხალხი, მხოლოდ „ტვირთმძიმენი და მაშვრალნი" წარმოადგენენ ისტორიის განმაახლებელ ძალას, მათი მოძრაობა და ბრძოლა კი ისტორიის განვითარებას მოასწავებს, ხოლო მშრომელთა ბრძოლის შეჩერება ან მათი დროებითი დამარცხება—ისტორიის შეფერხებასა და განახლების ძალთა შეჩერებას გამოიწვევს. სწორედ ასე შეაფასა ილია ჭავჭავაძემ პარიზის კომუნის დაცემა: „ძველად შეფერხდა ისტორია, განახლების შესდგენენ ძალნი".

ილიას სურდა ასეთი ისტორიის შექმნა ანუ აღდგენა, რადგანაც, მისი აზრით, „აღდგენა ისტორიისა—ერის გამოცოცხლებაა, გამომხნეევებაა, აწმყოს გაგება და წარმართვაა, მერმისის გამორკვევაა სიძნელისაგან".** ასეთი ისტორიის დავიწყება, ილიას აზრით, ერის დაცემისა და გათახსირების მაჩვენებელია, ხოლო „ერის დაცემა იწყება იქიდამ, სადაც თავდება წარსულის ხსოვნა".***

ისტორიის შესწავლა ახალგაზრდობის მიერ ილიას საჭიროდ მიაჩნდა არა მარტო წარსულის დიდი კულტურული სიმდიდრისა და გამოცდილების დაუფლებისათვის აწმყო და მომავალ ცხოვრებაში მათი გამოყენების მიზნით, არამედ აგრეთვე იმისათვისაც, რომ ამ გზით ჩვენმა ახალგაზრდობამ უფრო გააფართოვოს თავისი გონებრივი ჰორიზონტი, შესძლოს მომავლის საღი პერსპექტივის შექმნა და მისთვის ბრძოლა.

---

* V, 201.

** იქვე. 214.

*** IV, 257.

4. ბავშვის დედა-ენა და აზროვნება

ადამიანის გონებრივი განვითარების დასაწყისად ილია ჭავჭავაძეს ენისა და აზრის აღმოცენება მიაჩნდა. მეტყველება და აზროვნება მოკმედების წინამორბედია და, სანამ ბავშვი მოკმედების დაწყებას შეესძლებდეს, მანამ მისი ადამიანობის მაჩვენებელი ენა და აზრია. ამიტომ ბავშვის გონებრივი აღზრდა მეტყველების და აზროვნების აღმოცენებიდანვე უნდა დაიწყოს.

ენას და აზრს, ილია ჭავჭავაძე, მათი განვითარების არცერთ სტადიაში არ სთიშავდა ერთმანეთიდან. ორივე მათგანი გონებრივი განვითარების ერთიან პროცესად მიაჩნდა მათი აღმოცენების მომენტიდანვე. ენის განვითარების აუცილებლობას უმთავრესად აზროვნების განვითარების აუცილებლობით ასაბუთებდა, ხოლო აზროვნების განვითარების აუცილებლობას კი — უპირველესად ენის განვითარების აუცილებლობით.

მეტყველების და აზროვნების აღმოცენება და შემდეგი განვითარება მაქსიმალურად უნდა ჰქონდეს ბავშვს გაადვილებული, ამიტომ მათზე ზრუნვა ყოველთვის უნდა ითვალისწინებდეს იმ საფუძვლისა და პირობების შექმნას, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ სიადვილეს. ილია ჭავჭავაძეს ბავშვის ენისა და აზრის ადვილი აღმოცენების უფრო საიმედო საფუძვლად მიაჩნდა ეროვნული გარემოცვა: მშობლიური კულტურა, მიწა-წყალი, ხალხი; სამშობლოს ისტორია, ერის „განსხვავებული თვისება და განსაკუთრებული ხასიათი“, მისი „სულიერი ცხოვრების ფესვები“. ამიტომ, ილიას აზრით, ბავშვის პირველი ენა, რომელსაც ის ადვილად სწავლობს და რომელზეც უადვილდება სწორი აზროვნება, არის მშობლიური ენა ანუ დედა-ენა. პირველად „გონების გახსნა“ სწორედ დედა-ენაზე ხდება, დედა-ენისავე საშუალებით ხდება მისი ჩამოყალიბება, ხოლო შემდგომი განვითარება კი აუცილებლად მოითხოვს სხვა ენების გამოყენებასაც. რამდენადაც უფრო მეტ ენებს სწავლობს ადამიანი და ამდიდრებს თავის ლექსიკონს, იმდენად უფრო აფართოებს და ამდიდრებს თავის აზროვნებას, მაგრამ აზროვნების აღმოცენება, მისი განვითარების დასაწყისი, — მარტო დედა-ენის საშუალებით უნდა მოხდეს. აქედან ილია დასკვნის, რომ საოჯახო და პირველ-

დაწყებითი სწავლების ენა უეჭველად დედა-ენა უნდა იყოს.

ილია ჭავჭავაძე, მასთან იაკობ გოგებაშვილი, გ. წერეთელი, ნ. ცხვედაძე და სხვები მტკიცედ და უკანდაუხევლად იბრძოდნენ იმისათვის, რომ ყოველი ეროვნების ბავშვს თავის დედა-ენაზე დაეწყო მეტყველება და მიეღო პირველდაწყებითი სასკოლო განათლება. ეს იმიტომ, რომ მხოლოდ ამ გზით მიაჩნდათ მათ შესაძლებლად ბავშვთა გონებრივი განვითარების ნორმალურად დაწყება. ამის შესახებ ილია წერს:

„ჩვენ რომ ეგრე დაჟინებით და უკანდაუხევლად ვთხოულობთ დედა-ენისათვის სრულს და დაუბრკოლებელს გზას სასწავლებელში, —ეგ მარტო დედა-ენის სიყვარულით არ მოგვდის. ვთხოულობთ და ვნატრულობთ იმიტომაც, რომ უდედა-ენოდ გონების გახსნა ბავშვისა ყოვლად შეუძლებელია“*.

ამ მოსაზრებას ილია ასაბუთებს პედაგოგიკის კლასიკოსების (კომენსკი, პესტალოცი, უშინსკი) ნაწერებით და პედაგოგიკის მეცნიერული მონაცემებით: „პედაგოგიის ძირეული კანონი კიდეე ამას ამბობს, რომ თუ ცნობიერად და გაგებით უნდა ბავშვმა რამე ისწავლოს, ჯერ თავისი (ენა) კარგად უნდა შეისწავლოსო, რომ მერე სხვისას შეუდგესო“**. ამნაირად, ილია ჭავჭავაძე დედა-ენაზე ბავშვის აღზრდას სკოლამდელ ასაკში (ოჯახში) და პირველდაწყებით სკოლაში, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს ბავშვის აზროვნების რეალური განვითარების თვალსაზრისით.

სკოლის დანიშნულებაა ბავშვს მისცეს ყოველმხრივი განვითარება, რომელშიც ძირითადი არის გონებრივი განათლება. გონებრივი განათლების უზრუნველყოფა შეიძლება მეცნიერული საგნების შესწავლით და, რადგანაც ეს საგნები დაწყებითი სკოლიდანვე ისწავლება, ხოლო დაწყებითი სკოლა კი დედა-ენის სკოლაა, საგნებიც, ცხადია, დედა-ენაზე უნდა ისწავლებოდეს. ეს გარემოება, უეჭველია, დედა-ენის კარგად ცოდნას მოითხოვს, მაგრამ რამდენადაც ბავშვი ოჯახში ვერ ასწრებს თავის დედა-ენის კარგად სწავლას, იმდენად ამ ენის შესწავლა სკოლაშიც უნდა გაგრძელდეს. ამ მოსაზრებიდან გამოსვლით ილია დაასკვნის:

---

* VII, 218.

** იქვე, 223.

„ზემოთ მოყვანილიდამ ცხადია, რომ დედა-ენა ცნობილია არამც თუ უკეთეს და აუცილებელ სახსრად, რომ სკოლამ თავისი დანიშნულება აასრულოს, არამედ უპირველეს საგნადაც, რომელიც ბავშვმა უნდა შეისწავლოს და იცოდეს“. ეს აუცილებელია იმიტომ, რომ ენის ცოდნაზეა დამოკიდებული საგნების შეთვისების ხერხი, ხოლო მათ საფუძველზე ხდება „გონების გახსნა“ და განვითარება, ე. ი. აზროვნება. აქედან ნათელია: აზროვნების განვითარება მოითხოვს როგორც საგნების სწავლას დედა-ენაზე, ისე დედა-ენის ღრმად და ყოველმხრივ ცოდნას. ამიტომ ილიასათვის ცხადია, რომ „საერო (სახალხო, გ. თ.) სკოლა, როგორც პირველდაწყებითი სკოლა ერისა, სხვა არა უნდა იყოს, გარდა დედა-ენისა და სამშობლო ქვეყნის მასწავლებელი სკოლისა, იმისდა მიუხედავად განგრძობილი იქნება მის შემდეგაც სწავლა თუ არა“*.

დაწყებითი სკოლის შემდეგ შეიძლება და აუცილებელიცაა ბავშვმა დაიწყოს სხვა ენების შესწავლაც. ეს გაამდიდრებს მის სიტყვიერ მარაგს, ლექსიკონს — ამით ცნებებს და აზროვნებას. კარგად მეტყველი ბავშვი ისე, როგორც მთელი ხალხი, თავის ენას კიდევ უფრო გაამდიდრებს და ეს თავის ჩხრივ ერის აზროვნებას გააფართოებს:

„ენის მრავალ-სიტყვაობა ერის მრავალაზროვნებას მოასწავებს“, წერს ილია**, და მოითხოვს არა მარტო რუსული და უცხო (ახალი) ენების შესწავლას, არამედ უცხო ტერმინების შემოტანასაც ქართულ ენაში, როდესაც სათანადო ცნების გამოსათქმელად არ მოგვეპოვება შესაფერისი ქართული ტერმინი. მეავე პატრიოტები უცხო სიტყვების შემოტანას ქართულ ენაში უკანასკნელის სიწმინდის შელახვად სთვლიდნენ. ილია ეკავეაძე მათ საყურადღებოდ აცხადებს, რომ საჭირო უცხო სიტყვების შემოტანა ქართულში დიდი ეროვნული საქმეა, ვინაიდან „ენის გამდიდრება სხვისი სიტყვებითა ერს არ დაამდაბლებს, თუ არ აამაღლებს“, და იქვე, მათი მისამართით, ირონიულად წერს: „ინგლისის ენაში თითქმის ნახევარი სიტყვები ფრანგულია, მოდით და წინ გადაუდგეს ან ენა-

---

* VII, 216—221.

** „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი“, 53.

წმინდა ქართველი, ან ენა-წმინდა სომეხი და დაუეინოს, — ჩვენ ვჯობივართო"*.

ენა აზროვნების საშუალებაა, აზრი მეტყველების შინაარსია. ილიას ეს პრინციპი მშვენივრად აქვს შეკვნებული. დედა-ენის, როგორც სააზროვნო ენის, შეცვლა სხვა ენით, ე. ი. აზროვნების საშუალებად სხვა ენის გამოყენება, დედა-ენის დაკნინებას და სრულიად მივიწყებას მოასწავებს. 1879 წელს ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა, რომ „ჩვენი ეგრედწოდებული მაღალი საზოგადოება, ნამეტნავად ქალაქში, თავის სამარცხვინოდ თაკილობს თავის დედა-ენით ლაპარაკსა", ეს „მაღალი" ნახევრადფეოდალური და ბურჟუაზიული საზოგადოება, რომელიც, ჭავჭავაძეს თვეზის გახრწნილ თავს მოაგონებდა, თავისი მავნე რუსიფიკატორული მისწრაფებებით გავლენას ახდენდა ჩვენ ხალხზე, აჩვევდა სხვა ენაზე აზროვნებას, ხოლო საკუთარ ქართულ ენას კი აკარგვინებდა. ილია ჭავჭავაძე ნამდვილ, კონკრეტულ ჭეშმარიტებას აღიარებდა, როდესაც აღნიშნავდა, რომ შავრაზმული რუსული ბიუროკრატიისადმი შეზრდას და ქართული კულტურის ღალატს სწორედ ის „ეგრედ-წოდებული მაღალი საზოგადოება" ანუ ფეოდალურ - ბურჟუაზიული კლასი აწარმოებდა, რომელიც ყველაზე მეტად ჩხაოდა ქართველი ერის სიყვარულზე, დაღუპულ მამულზე და წამებულ სულზე. სწორედ მისი საშუალებით ატარებდა ჩვენში მეფის მთავრობა საქართველოს მოსახლეობის გამარუსებელ პოლიტიკას, სწორედ მასში ხედავდა იგი თავის საიმედო დასაყრდენს კოლონიური მონობის დამყარების საქმეში და აგრეთვე ქართული ენისა და ქართულად აზროვნების გაუქმების დარგში. გადაგვარდა აზროვნება და „გადაგვაგიწყდა ყოველივე, რაც ენის შვენებას შეადგენს, რადგანაც ჩვენი აზრი ჩვენის ენით აღარ მოძრაობს, ჩვენი გული ჩვენის ენით აღარ თბება"**.

როგორც ვნახეთ, ილია ჭავჭავაძეს ბავშვის დედა-ენა მისი აზროვნების საშუალებად მიაჩნდა, მაგრამ ამავე დროს თვით აზროვნებას ენის განვითარების საშუალებად აღიარებდა. როგორც შეუძლებლად მიაჩნდა მას აზროვნება მეტყველების გარეშე, ისევე შეუძლებლად მიაჩნდა მეტყველება ანუ ენა აზროვნების გარეშე:

---

* „სომეხია მეცნიერები და ქვათა ღაღადი", 56—57.

** VI, 46.

„სადაც აზრი არ არი, იქ ენა, რაც უნდა კარგი იყოს, სულ უქმია; მერე მე არსად არ გამიგია, რომ უაზრო ენა იყოს სადმე, აზრი და მხოლოდ ერთი აზრი აძლევს ენას ენის მნიშვნელობას“*...

ასე მეიდრო მთლიანობაში განიხილავს აზროვნების და მეტყველების პროცესს ილია ჭავჭავაძე და სკოლისა და ოჯახის ერთ მთავარ პედაგოგიურ პრინციპად აღიარებს მათ განვითარებას ერთმანეთისაგან მოუწყვეტლად.

5. სკოლის როლი და ამოცანები

ილია ჭავჭავაძის პედაგოგიურ მოძღვრებაში სკოლას და სასკოლო აღზრდა-განათლების სისტემას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

სკოლის მიზანი არსებითად აღზრდის მიზნებით განისაზღვრება და ამდენად ახალგაზრდობის აღზრდისა და სწავლა-განათლების ამოცანების გარკვევის დროს ჩვენ არსებითად უკვე ვარკვევთ აღზრდის გამტარებელი მთავარი ორგანოს ანუ სკოლის ამოცანებსაც. სკოლის სათანადო საფეხური აღზრდის გარკვეულ პერიოდს შეიცავს და, მაშასადამე, პედაგოგიური პროცესის განსაზღვრულ ეტაპს წარმოადგენს.

აღზრდის პროცესისა და მიზნების შესახებ ჩვენ უკვე ვიცით ილიას აზრი. სკოლის როლისა და მიზნების შესახებ კი იგი წერს: „საერო (სახალხო, გ. თ.) სკოლის უმთავრესი საგანი და საქმე საზოგადოდ ის არის, რომ ერის მოზარდს თაობას აუხილოს გონების თვალი, გაუჩარხოს გულის-ყური, გაუწურთნოს და კეთილად მოუმართოს გრძნობა, შეაჩვიოს მოზარდის ჭკუა-გონება მართლმსჯელობასა და თვითმსჯელობასა. საერო სკოლამ უნდა მოუმზადოს ერს გონებით და გულით გაღვიძებული კაცი იმდენად, რომ იგი საკუთარის ჭკუით და გულით გაუჭირეებლივ გაუძღვეს იმ სულიერს და ხორციელს პატარა მოედანს, საცა ერის უმრავლესობა სულს იბრუნებს, სულითა და ხორცით იღწვის და მოქმედებს“**.

---

* IV, 41.

** VII, 215—216.

ამ პირველი ციტატიდანაც კი ნათელია, რომ ილია ჭავჭავაძე საერთოდ. არ ასხვავებს სკოლის მიზანს აღზრდის მიზნებიდან, აქ ჩვენ ვხედავთ სკოლის დანიშნულებას ახალგაზრდობის როგორც გონებრივ, ისე ეთიკურ განვითარებაში და თვითმოქმედების უნარის გამომუშავებაში, რომ ასეთი ახალგაზრდობა „საკუთარი ჭკუით და გულით“ გაუძღვეს ერის უბრალესობის მოქმედებას, რომ „ცნობიერად იცხოვროს და გონიერად იმოქმედოს“. ბოყავს რა კ. უშინკის ეს აზრი სახალხო სკოლის შესახებ*, ილია ჭავჭავაძე სთელის, რომ აქ მოცემულია „თავი და ბოლო საერო სკოლისა“ და შემდეგშიც ხშირად მიმართავს უშინსკის ავტორიტეტს სკოლის სხვა ამოცანების გარკვევის შეხთხვევებში.

ქართველი ხალხის ჩამორჩენის, უღონობისა და უბედურების ბიზეზად ილია ჭავჭავაძე, როგორც ვიცით, სთვლიდა უმეცრებასა და უცოდინარობას და არ ზოგავდა არც ფიზიკურ და არც ნორალურ-ინტელექტუალურ ენერგიას ამ უმეცრებისა და უსწავლელობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ხოლო ამ ღონისძიებათა შორის მას უპირველეს და უმთავრეს ღონისძიებად სამართლიანად მიაჩნდა სკოლა:

„ყველამ იცის, რომ უმეცრების და უსწავლელობის წამალი, სხვათა შორის, სკოლაა. სხვათა შორის მეთვი, სხვათა შორის კი არა, ერთი უპირველესი და მთავარი ღონისძიება სასწავლებელია**“.

სკოლას აქვს აგრეთვე სხვა საპატიო საზოგადოებრივი დანიშნულებაც. ეს დანიშნულება ბავშვის აღზრდაზე და მის მერმისზე გავლენასა და ზემოქმედებაში გამოიხატება. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ილია განსაკუთრებული სიცხადით ასაბუთებდა საზოგადოებრივი აღზრდისა და გარემოების გავლენის გადამწყვეტ მნიშვნელობას ბავშვის მოძავალზე; აღზრდისა და გარემოების არც ამ ფუნქციიდან გამოურიცხავს მას სკოლა. ეხება რა სოციალური წრის ზედმოქმედებას მოზარდი თაობის მერმისზე, ილია წერს:

„არის მეორე საგანიც, რომელსაც. თუ არ მეტი, ნაკლები ზედმოქმედება არა აქვს ადამიანის ავკარგიანად გამოსვლაზედ. ეგ მეორე საგანი სკოლაა***.

აღზრდა-განათლების საზოგადოებრივი იდეებისა და მიზნების მთავარ გამტარებელ დაწესებულებად ილიას, როგორც ვნახეთ,

---

* VII, 215—216.
** VI, 156.
*** VIII, 317.

მიაჩნია სკოლა. სკოლა ახორციელებს აგრეთვე აღზრდის უმუალო და პირდაპირ მიზნებს: არაერთხელ აღუნიშნავს ილიას, რომ გონებრივი აღზრდის („გონების გახსნის") და სწავლა-ცოდნის მეძენის უმთავრესი სახსარი სკოლაა. მაგრამ სკოლა ამავე დროს უნდა ემსახურებოდეს ბავშვის ზნეობრივ აღზრდასაც. რამდენადაც ზნეობრივი განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული გონებრივთან, იმდენად, ილიას აზრით, „თუ სკოლას უნდა თავისი დანიშნულება შეასრულოს, ეგ სწავლა-ცოდნა ზნე-ხასიათის წურთვნასაც უნდა შეურჩიოს, ესე-იგი იმ თვისების სწავლა-ცოდნა უნდა აძლიოს, რაც გონების განახლებასაც შველის და ზნე-ხასიათის წურთვნასა და დამთავრებასაც უხდება და რგებს"*.

სკოლის დანიშნულებაში შედის აგრეთვე ახალგაზრდობის ჯანმრთელობის დაცვა და გამაგრება. თავისი დროის სკოლის ცალმხრივობას ილია მითაც ასაბუთებს, რომ ეს სკოლა არ ზრუნავს მოწაფეთა ფიზიკურ განვითარებაზე და „ტან-აგებულობას ადამიანისას არამც-თუ შველის, არამედ ჭღალავს". სკოლამ უნდა შეზოილოს ტანთ-ვარჯიში და სისტემატური წრთვნა ბავშვის სხეულის გაჯანიანებასა და გაღონიერებისათვის. ფიზიკური აღზრდის მისაბაძ ორგანიზაციად ილიას მიაჩნდა იტალიელი ჰუმანისტი პედაგოგის ვ ი ტ ო რ ი ნ ო დ ა - ფ ე ლ ტ რ ე ს მიერ მანტუას სკოლაში („სიხარულის სახლში") შემოღებული ფიზიკური აღზრდის წესი და მეთოდი. რაში მდგომარეობდა იგი: „სკოლაში სწავლება და გარეთ ჰაერზედ ვარჯიშობა ერთმანეთს რიგ-რიგად მოსდევდა ყოველ დღეს, დანიშნულს საათს, რაგინდ ტაროსიც ყოფილიყო. ყმაწვილები ვარჯიშობდნენ სროლასა, ჭიდაობასა, ცურვასა, ბურთაობასა და შვილდოსნობაში. ზოგჯერ ნადირობისა და თევზაობის ნებასაც აძლევდა. ზაფხულობით ოსტატების თანხლებით ყმაწვილებს საგზავროდ ი ტ ე ბ ს ა ვ ნ ი ს ა ბ ა ს ა ბ ა ს ა ბ ა

ია რომელიმე დარგში. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ საქართველოსა და ამიერკავკასიისათვის, როგორც აგრარული ქვეყნებისათვის, ილია უმთავრესად მოითხოვდა სამეურნეო განათლებას და მის ჭესაფერის სამეურნეო სკოლებს: „ერთი უმთავრესი სახსარი ცოდნის შეძენისა,—წერდა ილია,—სკოლაა, და იმ ცოდნისა, რომელიც... მიწის მოქმედებას ხელს უწყობს და შეჰფერის— ს ა მ ე ურ ნ ე ო ს კ ო ლ ა ა“*. ასეთი სკოლის სახედ და ნიმუშად მას ეჩვენა წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლა.

ილია ჭავჭავაძე იცავს აგრეთვე ეროვნულ - პატრიოტული მოტივის გაძლიერებას ქართულ სკოლებში. ამ მიზნით ის მოითხოვს: „მოგვეცით მართალი სკოლა, ქართველის სულისა და გულის ამაღლებელი, „გონების გამხსნელი. ნუ გაურევთ სკოლის უწმინდეს საქმეში სხვა საქმეს, რომელიც სკოლას არ შეეფერება**. განსაკუთრებული გრძნობით მოითხოვს ილია ახალგაზრდა ქართველ ქალთა პატრიოტული განათლების სკოლებს: „ნურავინ ნუ დაივიწყებს, რომ საქართველოში საქალებო სკოლამ ქართველს უნდა გაუზარდოს ქართველი ქალი, ქართველს უნდა გაუზარდოს ქართველი დედა, ქართველი დაი, ქართველი დედაკაცი. თუ სკოლა ამას არ იქს, ის სკოლა წყალსაც წაუღია, ჩვენ ბევრს არას ვინაღვლით“**. ილიას რომ ქართული ნაციონალიზმი არავინ დასწამოს და ისიც საქართველოს გარეშე, ის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ქართული პატრიოტიზმი მას სურს ქართველებისათვის და ქართული პატრიოტული გრძნობების აღმზრდელი სკოლა კი მხოლოდ საქართველოში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში უნდა აღიზარდონ იმ ქვეყნების პატრიოტები იმ ქვეყნების მკვიდრთაგან და იმათვე სკოლებში. ამასთან აღსანიშნავია, რომ ილია ჭავჭავაძეს ეროვნულ-პატრიოტული სკოლის საქმიანობა დასაბუთებული აქვს პედაგოგიკის იმავე კლასიკოსების მოსაზრებით, რომლებითაც ის ასაბუთებდა პატრიოტული აღზრდის საქმიანობას: პ ე ს ტ ა ლ ო ც ი, დ ი ს ტ ე რ ვ ე გ ი, უ შ ი ნ ს კ ი და სხვ.

ილიას ეროვნული სკოლა არ არის ვიწრო პატრიოტიზმით შეპყრობილი. ის შეიცავს ფართო მხარეთმცოდნეობის ელემენტების სწავლებას. სკოლის პირველი ამოცანა (ეროვნული აღზრდის მხრივ) თუ სამშობლოს სიყვარულია, სამაგიეროდ „მეორე აუცილებელი

---

* VI, 166.

** იქვე, 157.

ღონე და საგანი საერო სკოლისა ადგილობრივი, ერობრივი ელემენტი არის, ესე იგი ის ბუნება, ის ერი, ის ყოფა-ცხოვრება, რომელიც გარს არტყია მოზარდსა და რომელთ შორისაც ბავშვი ტრიალებს და ცხოვრობს"*... ასეთია ილია ჭავჭავაძის ეროვნულ პატრიოტული სკოლა.

გარდა ზემოაღნიშნული თვისებებისა, ილია მომავალი სკოლის წინაშე აყენებს პრაქტიკული ცოდნის გავრცელების ამოცანას, ოჯახთან უშუალო თანამშრომლობას მასზე პედაგოგიური ზეგავლენისათვის, ბავშვთა თვითმოქმედებისა და დამოუკიდებელი ჩვეულებრივ შემუშავებას და სხვ.

ილია ჭავჭავაძე აყალიბებს ახალი, სასურველი სკოლის იდეებსა და ორგანიზაციას ძველი სკოლის წინააღმდეგ დაუნდობელ ბრძოლაში. მკითხველმა უკვე იცის როგორი სისასტიკით აკრიტიკებს ილია ძველ, ფეოდალურ აღზრდას და მის დამღუპველ ზეგავლენას ახალგაზრდობის მომავალზე. ილიას მშვენივრად აქვს დახასიათებული ძველი და თავისი დროინდელი სკოლა, როგორც სქოლასტიკური, ცრუმორწმუნეობის, ფორმალისტური, ცემა-ტყეპისა და ლანძღვა-გინების, ცალმხრივი და ცხოვრებისაგან მოწყვეტილი განათლების დაწესებულება. „თუმცა ეხლანდელ სკოლას. წერს ილია,—განსაკუთრებულ საგნად სწავლა-ცოდნის შეძენა აქვს, მაგრამ ამ საგანს ამაოდ ებღაუბება და ვერა-გზით ვერ სწვდება"**, და თუ ძველი სკოლა ვერც ამ თავის ძირითად მიზანს ასრულებს, ცხადი ხდება, რა ფასი ექნება მას ახალგაზრდობის ჰარმონიული განათლების საქმეში.

ილია თავისი გამოსვლებით სიტყვიერად თუ პრესის საშუალებით განუხრელ ბრძოლას აწარმოებდა ამ ძველი სკოლის წინააღმდეგ, აორგანიზებდა მოწინავე საზოგადოებრივ აზრს ამ მიმართულებით და თვითონ ქმნიდა ამბოხების ტონსა და შეურიგებლობის განწყობილებას. აღსანიშნავია, რომ თავისი დროის საშუალო სასკოლო განათლების სისტემის გამანადგურებული კრიტიკის დროს ილია არ ივიწყებს ამ სკოლაში გამეფებული ძველი (მკვდარი) ენების: ბერძნულისა და ლათინურის სქოლასტიკური სწავლების მავნე მნიშვნელობას ახალგაზრდობისათვის. ბერძნულმა

* VII, 221.

** VIII, 323.

და ლათინურმა დაჰკარგეს თავის მეცნიერული მნიშვნელობა საშუალო სკოლისათვის. ისინი ზედმეტ ბარგად აწვენ კისრად მოსწავლე ახალგაზრდობას და უნაყოფოდ ართმევდნენ იმ დროს, რომელიც მაო მეცნიერებათა საფუძვლების შესწავლისათვის უნდა მოეხმარათ.

როდესაც გადაწყდა (1896) სათავადაზნაურო სკოლა ტექნიკური განხრის სასწავლებლად გადაკეთების მაგივრად გიმნაზიად გადაკეთებულიყო, ილია ირონიულად წერდა: „კარგი და პატიოსანი. ამ სახით გაიმარჯვა ბერძნულმა და ლათინურმა ჩვენში. ნეტავი ჩვენ... ყველაფრით სავსენი ვიყავით, ეს ბერძნული და ლათინური-ღა გვაკლდა და ამასაც ხომ ვისწავლით“... და შემდეგ სამართლიანად დასძენს: „მკვდრების სუნით გვინდა მოვშხამოთ საღი ჰაერი სკოლისა“*. სქოლასტიკურ და მოშხამულ ატმოსფეროს სკოლად ილიას მიაჩნდა თავისი დროის გიმნაზია და მისი ტიპის სასწავლებლები. „ჯერ თვით პროგრამა გიმნაზიისა აიღეთ თავისის ლათინურით და ბერძნულით, რომელნიც იმოდენა ხეირს აყრიან ყმაწვილს, როგორც წყლის ნაყვა, ანუ ნაცრის ქექა,“** და სთვლის ამ ენების შესწავლას მძიმე ტვირთად და უნაყოფოდ ბავშვებისათვის.

სწორედ ამ სახის სკოლების წინააღმდეგ მიმართა მან თავისი მკვეთრი სიტყვა, ბასრი კალამი და რევოლუციური საქმე როგორც პედაგოგმა, ნსატვარმა და პოლიტიკურმა მოღვაწემ. ძველი სკოლის საპირდაპიროდ ქმნიდა ილია ჭავჭავაძე ახალ სკოლას, მაგრამ მისი ინიციატივით და თაოსნობით დაარსებული სკოლები მაინც ძალიან შორს იყვნენ ისეთი სკოლებიდან, როგორიც თვითონ მას და მის სახელოვან თანამებრძოლებს სურდათ, რომ შეექმნათ. ასეთი სკოლების შექმნა ძნელი საქმე იყო მონარქიული თვითმპყრობელობის კოლონიური პოლიტიკის გამო. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ XIX ს. მეორე ნახევრის ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის წარმომადგენლები ახალი სკოლისათვის ბრძოლას აღიარებდნენ ამ მოძრაობის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად და სახავდნენ მთელ რიგ პრაქტიკულ ღონისძიებებს ქართული სწავლა-განათლების გარდაქმნის დარგში.

ილია ჭავჭავაძე, პირველ ყოვლისა, მოითხოვდა ახალ გიმნაზიას. ეი, როგორც ვნახეთ, არ ყოფილა გიმნაზიისა და მისი ტიპის სკო-

* IX, 77—8.
** VII, 2 0.

ლების მოტრფიალე, მაგრამ მათ მაინც მხარს უჭერდა, რადგანაც გიმნაზიის გარდა სამეურნეო სასწავლებლებში, სამასწავლებლო სემინარიებში და სხვა საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სკოლებში კურსდამთავრებულებს უფლება არ ჰქონდათ უმაღლეს სასწავლებლებში (მაგ., უნივერსიტეტში) შესვლისა, იმ დროს როდესაც უმაღლესი განათლების მსურველთა რიცხვი საქართველოში სწრაფად იზრდებოდა და ამავე დროს დიდი ენერგიით სწარმოებდა ბრძოლა ჩვენში უნივერსიტეტის გახსნისათვის. უნივერსიტეტში, რომ ქართველებსაც ჰქონოდათ შესვლის უფლება, საჭირო იყო საშუალო განათლება გიმნაზიებში მიეღოთ ან მათი კურსით ჩაებარებინათ სათანადო გამოცდები. ამიტომ უჭერდა მხარს ილია გიმნაზიებს, თუმცა მათ არსებით რეფორმას კი მოითხოვდა. ამასთანავე მან იცოდა, რომ კავკასიის ოლქის მზრუნველის, ი ა ნ ო ვ ს კ ი ს, ხელში და, საერთოდ, მისი დროის განათლების სისტემაში გიმნაზიის გაუმჯობესება ძნელი და მიუწვდომელი იყო. ამიტომ ილია მოითხოვდა საკუთარ ახალ გიმნაზიას, ახალ საშუალო სასწავლებელს: „ჩვენ ჩვენი საკუთარი გიმნაზია გვინდა," წერდა იგი, „საჭიროა გავმართოთ ჩვენი საკუთარი საშუალო სასწავლებელი და მივსცეთ ჩვენ შვილებს სწავლის უფრო ფართო და უფრო ვრცელი გზა"*. ეს ახალი საშუალო სკოლები უნდა მოეწყონ მეცნიერების უკანასკნელ მიღწევათა მიხედვით და სანიმუშო, სამაგალითო სკოლებად გადაიქცნენ საქართველოში „როგორც გარეგანი მორთულობითა და მოწყობილობითა, ისე სწავლის მიმდინარეობითა..., როგორც ეხლანდელი პედაგოგია ოხოულობს"**. მაგრამ შორსმჭვრეტელი ილია არც ამ მართლა აუცილებელ მეცნიერულ-პედაგოგიურ ღონისძიებებს სთელის საკმარისად, რომ ხალხის ფართო მასები ჭიიზიდოს სასწავლებელმა. ჩვენი ხელმოკლე და ღარიბი ხალხისათვის მატერიალურად ის ხელმიუწვდომელი იქნება. ამისათვის საჭიროა ჩვენ საშუალო სასწავლებლებთან მოიწყოს სრული პანსიონები მოსწავლეებისათვის: „ჩვენ საკუთარი სასწავლებელი უნდა ვიქონიოთ, მერე იმისთანა, რომ ჩვენ შვილებს ბინაც ჰქონდესთ, საზრდოებაც და სწავლაც"***. ასეთი მეცნიერულ-პედაგოგიურად და მატერიალურად მოწყობილ

---

* VII, 292, 209.

** იქვე, 298.

*** იქვე, 291.

სკოლებს ილია უწოდებს „ახალ სკოლებს“. ისინი მართლაც ახალნი იყვნენ შედარებით მისი დროის სახელმწიფო და კერძო სკოლებთან, მაგრამ პრაქტიკული განხორციელება მათ არ ღირსებიათ ძველი რეჟიმის დროს.

6. მასწავლებელი და მისი დანიშნულება

ბავშვთა აღზრდის ცენტრალური ფიგურა—მასწავლებელი და მისი მაღალი დანიშნულება — არ შეიძლებოდა დარჩენილიყო და არც დარჩენილა ილია ჭავჭავაძის ყურადღების გარეშე. იქ, სადაც ის ეხებოდა აღზრდის მიზნებს, სკოლის როლს, საზოგადოების ზეგავლენას ბავშვის აღზრდაზე და სხვა სასწავლო-პედაგოგიურ საკითხებს,—ყველგან აყენებდა მასწავლებლის საკითხს და ამუქებდა მის როლს ბავშვის აღზრდისა და სწავლა-განათლების მიმართ.

უპირველეს ყოვლისა, ილია ჭავჭავაძე მასწავლებლის უმთავრეს მოვალეობად სთვლიდა მის ფართო განათლებას როგორც თავის სპეციალურ, ისე სპეციალურის მოსაზღვრე დისციპლინებში, შემდეგ—ღრმა დიდაქტიკურ განათლებას ანუ, როგორც ის აღნიშნავდა, „სასწავლო მეთოდების“ ზედმიწევნით ცოდნას, ბავშვის უსაზღვრო სიყვარულს, მასზე ხანგრძლივი დაკვირვებისა და მისი ცხოვრების ყოველმხრივ შესწავლის უნარს, საზოგადოებრივი მუშაობით გატაცებას, განსაკუთრებით გლეხთა შორის, ბავშვის მშობლებთან მჭიდრო კავშირის დამყარებას, პასუხისმგებლობის გრძნობას დაკისრებული მოვალეობისადმი და სხვა ისეთ თვისებებს, რომლებიც აუცილებელია მასწავლებლისათვის, როგორც ჩვენი მომავლის აღმზრდელისათვის.

მასწავლებლის როლსა და ამოცანებზე ყველაზე უფრო ვრცლად ილია შეჩერდა თავის პედაგოგიურ და მხატვრულ-ლიტერატურულ ეტიუდში „უცნაური ამბავი“, რომელიც ჩვენ უკვე რამდენჯერმე ვახსენეთ. ამ ნარკვევის მთავარი პერსონაჟი სოლომონი, სემინარიაში კურსდამთავრებული, დიდი გატაცებით ლაპარაკობს ბავშვის აღზრდაზე და ცდილობს „წიგნით, ხილვით თუ სმენით“ ყრმის აღზრდა ისწავლოს. ესაა მისი „უდიდესი საქმე“, საოცნებო მიზანი და „ცხოვრების სიზმარი“. პედაგოგიური საქმის სიყვარული მას „სემინარიიდანვე დაყვა“ და მთელი თავისი ჭკუა და გონება ამ საქმისათვის აქვს განზრახული.

პირველი, რითაც პედაგოგი უნდა იწყებდეს თავის მოღვაწეობას, ეს არის მისი მოვალეობის სრული შეგნება. ილია ჭავჭავაძე ბავშვის აღზრდის სირთულის შესახებ, სოლომონის პირით, ლაპარაკობს:

„ძნელი საქმეა და უფრო დიდი და მძიმე ვალია. „მ ზ რ დ ე ლ ი ყ რ მ ი ს ა მ ე ო რ ე შ ე მ ო ქ მ ე დ ი ა“*.

პედაგოგობა ილიას მიაჩნია მეტად „დიდ პასუხ-საგებელ საქმედ,“ „მძიმე მოვალეობად“, და ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებული მეცნიერული სიღრმით აღნიშნავს მასწავლებლის როლს მოზარდის აღზრდისა და სოციალური ჩამოყალიბების საქმეში. ილიას აფორიზმული დებულება: „მ ზ რ დ ე ლ ი ყ რ მ ი ს ა მ ე ო რ ე შ ე მ ო ქ მ ე დ ი ა“ დიდი პრინციპული პედაგოგიური დებულებაა. ყრმის პირველ შემოქმედად ილია გულისხმობს მ შ ობ ე ლ ს, რომელიც აძლევს ყრმას ადრეულ ფიზიკურ აღზრდას. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ილია ბავშვს, როგორც ადამიანს, სოციალურ არსად, ხოლო მის აღზრდას სოციალურ პროცესად აღიარებს, და ამიტომ, მისი აზრით, „ადამიანობას პირველი ადგილი უნდა დაეთმოს ბავშვის წვრთვნა-სწავლაში“, რასაც პ ე დ ა გ ო გ ი ა ნ უ ა ღ მ ზ რ დ ე ლ ი ახორციელებს, ე. ი. აქცევს ბავშვს სრულყოფილ, განათლებულ ადამიანად და, მართლაც, მის მეორე შემოქმედად გვევლინება. რამდენადაც ამ მეორე შემოქმედებისა-ვის-აღზრდის პროცესში ილიას „პირველი ადგილი“ აქვს დათმობილი, ცხადი ხდება, რომ ახალგაზრდობის აღზრდასა და სწავლა-განათლებაში პედაგოგის როლი მას პირველ და უმთავრეს როლად მიაჩნია.

ბავშვის მომავალი მის აღზრდაზეა დამოკიდებული. ეს დებულება ილიას ძირითად საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პრინციპად მიაჩნია, და რამდენადაც პედაგოგის როლი ბავშვის აღზრდაში პირველია ანუ ძირითადი, იმდენად ბავშვის მომავლის შექმნა ძ ი რ ი თ ა დ ა დ პედაგოგზეა დამოკიდებული. ამგვარად, ბავშვის მომავლის შექმნა პედაგოგის უმთავრესი დანიშნულებაა.

ბავშვის აღზრდის სიმძიმეს ილია ხედავს, უპირველეს ყოვლისა, მისი შ ე ს წ ა ვ ლ ი ს სიძნელეში. ბავშვის აღზრდა მისი შესწავლითა და აღზრდის მიზნების ცოდნით იწყება, და, მართლაც, აღზრდა აღსაზრდელის შესწავლით უნდა დაიწყოს. მაგრამ რატომ არის ძნელი ბავშვის შესწავლა? ილია უპასუხებს:

* III, 277.

„ბავშვის ბუნება საიდუმლოთა საიდუმლოა. ბავშვი იგივე ადამიანია და მით უფრო ძნელი საცნობელია, რომ ძნელ წასაკითხი ქარაგმით არის დაწერილი, თუ ესე ითქმის, და არა სხვილი დასრულ ასოებით, როგორც დამთავრებული კაცი"*.

პედაგოგის მეორე დანიშნულებას წარმოადგენს გამოარკვიოს ბავშვის ეს „საიდუმლოთა საიდუმლო", ამოხსნას „ქარაგმით დაწერილი" მისი შინაგანი სულიერი ვითარება, გრძნობა, აზრი, ნებისყოფა, ინტერესი, მეტყველება და სხვ. ამისათვის ილიას საჭიროდ მიაჩნია ჯერ ფართო პედაგოგიური, ფსიქოლოგიური, ბიოლოგიური და ისტორიულ-ლიტერატურული განათლება, შემდეგ კი ბავშვის უსაზღვრო და გულწრფელი სიყვარული, მასთან, მშობლიური დაახლოვება და მეგობრობა.

„თუ წრთვნა გინდა ბავშვისა, იგი შენ უნდა ჩაისო გულში და იმან შენ", აცხადებს ილია, და ეს ურთიერთ სიყვარული მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის აღზრდის აუცილებელ პირობად მიაჩნია. ასე მიუდგა სოლომონი აღზრდის ობიექტს და „ბავშვის პატარა გულმა მაშინვე იგრძნო მეგობარი".

ბავშს მოეწონა მასწავლებელი, მასწავლებელს ბავშვი, და „ძნელი დასაწყისი სწავლა-წვრთვნისა ერთ დღეს მომიხერხდა: მე და ბავშვი დავმეგობრდით, ბეწვის ხიდი გავიარე"*,—ამბობს სოლომონი.

საუცხოო მხატვრული შედარებაა; ბავშვთან დამეგობრება უეჭველად ბეწვის ხიდზე გავლაა. მართლაც, თუ ბავშვთან დამეგობრება მისი აღზრდის აუცილებელი პირობაა, და ამასთან მეგობრობის დამყარება ან დაუმყარებლობა კი სწყვეტს საკითხს აღმზრდელად ვარგისობის ან უვარგისობის შესახებ—მაშინ უდავოა, რომ ბავშვთან დამეგობრების ცდა იმდენად საფრთხილოა, რამდენადაც მისი დამყარებით მასწავლებლად ხდები და ბავშვის მომავალს ქმნი, ხოლო მის დაუმყარებლად კი ისპობა შენი პედაგოგობა, ისე როგორც ბეწვის ხიდზე გავლით სიცოცხლეს ინარჩუნებ, ხოლო მისი გაწყვეტით სავსებით ისპობი. ამიტომ, ილია ჭავჭავაძე ზემოთ მოყვანილი ლაკონიური ფრაზით ძალიან სხარტად და მკაფიოდ წყვეტს დიდ პედაგოგიურ პრობლემას,—ბავშვთან

* III, 280.
* III, 285.

დამეგობრების აუცილებლობას მისი რაციონალური აღზრდის მიზნით.

რამდენადაც პედაგოგი ბავშვის აღზრდის მთავარი შემოქმედი ძალაა, იმდენად მის დამსახურებას მიეწერება ბავშვის კარგი მომავალი ანუ კარგად აღზრდილი ბავშვი, და ვერ ასცდება პასუხისმგებლობას ბავშვის ცუდი მომავლისათვის ანუ ცუდად აღზრდილი ბავშვისათვის. საქართველოს ცნობილი პედაგოგის ნ. ზ. ცხვედაძისადმი მიძღვნილ საახალწლო მიგებებაში ილია ჭავჭავაძეს „ბრძნობილი პედაგოგიის" პრინციპად მიაჩნია მასწავლებლის სასტიკი პასუხისმგებლობა ცუდად აღზრდილი ყრმის მიმართ:

„სწავლას ნურას დააბრალებთ, თუ ვერ იქმნა შვილი წვრთნილი, ცემა გმართებს აღმზრდელისა, რა ყრმა ნახოთ ავად ზრდილი".

გადაჭარბებულად არ შეიძლება იქნეს მიჩნეული ცუდი პედაგოგის ასეთი გაკიცხვა. ეს კიდევ უფრო ადიდებს პედაგოგის პასუხისმგებლობას ბავშვების აღზრდის მიმართ და ავალებს გამუდმებით იზრუნოს საკუთარი თავის კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

სასკოლო აღზრდა-განათლების დარგში ილია ჭავჭავაძე პედაგოგის როლს საზღვრავს საგანმანათლებლო და საალმზრდელო ფუნქციით. პედაგოგის საგანმანათლებლო ფუნქცია მდგომარეობს იმაში, რომ მან უზრუნველყოს მოსწავლის აღჭურვა მეცნიერული განათლებით, ცოდნის იმ მარაგის მიცემით, რომლის შედეგადაც მოსწავლე ადვილად შესძლებს შენდგომ განვითარებას თვითგანათლების გზით. პედაგოგის აღმზრდელობითი ფუნქცია კი იმაში მდგომარეობს, რომ უზრუნველყოს მოსწავლის ზნეობრივი სიმტკიცე, ადამიანობა და ჰუმანური გრძნობების გამომუშავება, პიროვნების ღირსების დაცვა და პატივისცემა, ზრდილობა, მორიდება, თავმდაბლობა და სხვ. აღმზრდელობითი შუშაობის ხაზით ილია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ზნეობრივ აღზრდას და მასწავლებლისადმი მიბაძვა მას ამ ნხრივ გადამწყვეტად მიაჩნია. ლაპარაკობს რა მოსწავლეთა ზნე-ხასიათის წარმატებაზე, ილია წერს, „ამ შენთხვევაში დიდი რამ არის ოსტატის მოხერხებულება, ყოფა-ქცევა, მაგალითი, სიფრთხილე, წინდახედულება". იმის დასამტკიცებლად, თუ როგორი ძალისაა მასწავლებლის (ოსტატის) მაგალითი მოსწავლეთა ზნეობრივი აღზრდისა და გამოსწორებისათვის, ილიას მოაქვს შემდე-

გი ამონაწერი ერთი ავტორიდან (რომელსაც ილია არ ასახელებს) ახალგაზრდა მასწავლებელს, რომელიც პირველად შევიდა სკოლაში.

„გასაკვეთის ახსნის დროს დასჭირდა კლასის დაფაზედ წერა. როცა წერა დაიწყო, რა თქმა უნდა, ხერგშეკცეული იქნებოდა და შეგირდებს ვერა ჰხედავდა. ამ დროს დაფას მოხვდა და ზედ დააჯდა დაღეგილი ჭალალდი, რასაკვირველია, ერთ-ერთის შეგირდისაგან ნასროლი. ოსტატმა უკან არც კი მოიხედა და განაგრძო წერა, მითომ-და საყურადღებო არა მოხდა რაო. როცა გაათავა წერა, მოუბრუნდა შეგირდებს და უთხრა: „ბატონებო, დღეს ჩემი პირველი გასაკვეთია, პირველი ნაბიჯია ოსტატობის სარბიელზედ სამართალსა ვთხოვ თქვენს პატიისცემას, თქვენს სინდისსა... იქნება თქვენის სიყვარულის ღირსი გამოვდგე. ჯერ გამიცანით, გამომცადეთ და მერე გამიკითხეთ... მე არ ეინდა შევიტყო ვინ არის ამ უკადრისის ცელქობის მომქმედი. დაშნაშავის სახელი რომ შევიტყო, — ვინ იცის, მეც კაცგარ — იქნება გულში ბისი ჯავრი ჩავიყოლო და ჯავრმა ცოტად თუ ბევრად იმახე გული ამაყურეგინოს“.

„როცა ოსტატმა გაათავა ლაპარაკი, მეგირდებში ჩუმი ჩოჩქოლი ასტყდა... ბოლოს წამოდგა ფეხზედ ერთი მათგანი და უთხრა ოსტატსა: „ნება მომეცით მე. მოვითხოვო თქვენთან ბოდიში ყველას მაგიერ: ყველა ჩემი ამხანაგები გთხოვენ გვაპატიოთ ეგ მეტად ცუდი საქციელი ერთის ჩვენგანისა“*.

თავის მხრივ ილია ჭავჭავაძე მასწავლებლის აღნიშნულ საქციელს შემდეგ სამართლიან შენიშვნას უკეთებს: „ერთი ასეთი ჭკვიანური, გულთბილი საქციელი ოსტატისა უფრო ძლიერ მოქმედებს ბავშვის გაადამიანებაზედ, ვიდრე სამისა და ოთხის წლის ზეპირება-გრამატიკასა თუ სხვა რისამე ამისთანისა“**.

ილია განსაკუთრებით ჩერდება სოფლის მასწავლებლებზე. მათ, ილიას აზრით, ბავშვების აღზრდა-განათლებისა და სკოლის პატრონობის გარდა, ევალებათ სოფლის ღარიბთა შორის კულტურული მუშაობის წარმოება: წერა-კითხვის გავრცელება, პოპულარული საუბრებისა და ლექციების მოწყობა მეურნეობისა და კულტურის თემებზე, ბრძოლა ძველი და უარყოფითი ხალხური ტრადიციებისა და ჩვეულებების წინააღმდეგ, ბრძოლა ცრუ-მორწმუნეობასთან და სხვ. ასეთ მისიას სოფლის მასწავლებელი ასრულებს „ბევრჯერ მშიერი, ბევრჯერ მწყურვალი, ბევრჯერ სიცივეში, ზოგჯერ რიგიანი სადგურიც არა აქვს, რომ ავდარს მაინც გადაურჩეს გაულა-

---

* VIII, 319—320.

** იქვე. 321.

აველად"...* ასეთ პირობებში უხდებოდათ მუშაობა ჩვენს მასწავლებლებს ძველ დროში. ილიას დაკვირვებულ თვალს არ გამოპარვია მათი ასეთი მძიმე მატერიალური მდგომარეობა და ყოველთვის იბრძოდა საზოგადოებრივი აზრის მობილიზაციისათვის მათი მდგომარეობის შესამსუბუქებლად. კერძოდ, ის მოითხოვდა, რომ თვით საზოგადოება და საზოგადოებრივი ორგანიზაციები დახმარებოდნენ მასწავლებლებს. ილია აღნიშნავს, რომ მის დროს სოფელში მასწავლებლობა დიდ მსხვერპლსა და თავგანწირვას მოითხოვდა:

„აცმა რომ სამართლიანად გასინჯოს ეს ყოვლად უნუგეშო მდგომარეობა სოფლის მასწავლებლისა,—წერდა ილია 1886 წელს, დააკვირდეს მის დაუღალავ ღვაწლს ყოველის დღისას, არ შეუძლიან იმ აზრზე არ დადგეს, რომ სოფლის მასწავლებლობა სწორედ თავის გაწირვაა, მსხვერპლია, ადამიანის უმადურობით უფრო გამწარებული, უფრო გამწვავებული"**.

მიუხედავად ილია ჭავჭავაძის ენერგიული ბრძოლისა სახალხო მასწავლებელთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, რევოლუციამდელ რუსეთის მთავრობას მათი ბედი ნაკლებად აინტერესებდა. სახალხო მასწავლებელი რჩებოდა ეკონომიურად ღატაკი და პოლიტიკურად უფლებააყრილი.

ჩვენ ვნახეთ ძველი სკოლის დაუნდობელი კრიტიკა ილიას მიერ და მასთან ძველი მასწავლებელისაც. წინა თაობებში გაცნობილი ძველი საზოგადოების წარმომადგენელნი, როგორც ძველი გარეშოებისა და აღზრდის პროდუქტები, უეჭველია, ძველი მასწავლებლის „შემოქმედების" პროდუქტებიც არიან. ილია გვიხატავს რუსეთის ბიუროკრატული სკოლის „ჩინოვნიკ" მასწავლებელთა ყოცხალ სერიას: სწავლების დოგმატიკებს, „მასწავლებლებს", რომლებიც ამახინჯებენ ბავშვის სულსა და ხორცს, რომლებსაც არა აქვთ ჯეროვანი განათლება, არ იციან სწავლების მეთოდები, მოწყვეტილი არიან საზოგადოების პროგრესულ ძალებს, ბრმად ემორჩილებიან მონარქიული რეჟიმის საგანმანათლებლო და ყოველგვარ სხვა პოლიტიკას, სდევნიან ჰატარა ერების კულტურას და ენას, სთიშავენ სკოლას ოჯახისაგან, მისდევენ მოსწავლეთა ცემა-ტყეპას, გინებას, შეურაცხყოფას.

---

* VIII, 321.
** VII, 234.

ძველი, უდიერი და უმეცარი, მასწავლებლის სახის ჩვენებით არ დაკმაყოფილდა ილია ჭავჭავაძე. მისი გამანადგურებელი კრიტიკის პარალელურად ილიამ მოგვცა, თუმცა დაუსრულებელი, მაგრამ მაინც გარკვეული სახე ახალი მასწავლებლისა. ესაა ს ო ლ ო მ ო ნ ი — „უცნაური ამბავის" მთავარი მოქმედი ფიგურა, რომელსაც ჩვენ უკვე ვიცნობთ. ილიას მიხედვით, მასწავლებლის იდეალი, როგორც ვნახეთ, იყო ყოველმხრივ განვითარებული სახალხო მოღვაწე, მაღალი პედაგოგიური განათლების მქონე, ბავშვის კარგად მცოდნე და მოყვარული, თავის საქმეზე პასუხისმგებელი, მატერიალურად უზრუნველყოფილი და პოლიტიკურად უფლებამოსილი.

7. დიდაქტიკური მოსაზრებანი

სწავლების ზოგად პრინციპულ საფუძვლებსა და მეთოდურ საკითხებს ილია ჭავჭავაძე ეხებოდა უფრო სპორადულად, ვიდრე სისტემატურად. თავისი დიდაქტიკური მოსაზრებანი მას გამოთქმული აქვს აღზრდა-განათლების საერთო საკითხებთან დაკავშირებით და უმთავრესად პოლემიკურ ფორმებში. დიდაქტიკური და მეთოდური პრობლემები ილია ჭავჭავაძეს სპეციალურად არ დაუმუშავებია, მაგრამ მის პედაგოგიურ თხუზულებებში ჩვენ გვხვდება შემდეგი ხასიათის მოსაზრებანი: აღზრდის მიზნებისა და სწავლების ამოცანების ერთიანობა, მეცნიერულ დისციპლინათა სწავლების მეთოდების დაკავშირება ბავშვის ასაკთან და მისი განვითარების დონესთან, მეთოდების სხვადასხვაობა შესასწავლი დისციპლინების სპეციფიკურობის მიხედვით, თვალსაჩინოების წამყვანი მნიშვნელობა სწავლების პროცესში, მოწაფის აქტივობის, ინიციატივისა და თვითმოქმედების უზრუნველყოფა სწავლების დროს, სწავლებისა და პრაქტიკული შრომის კავშირი.

სწავლების კოლექტიური ფორმების გამოყენების დროს ილია არ ივიწყებს ბავშვის ინდივიდურ თვისებათა გათვალისწინების აუცილებლობას. რამდენადაც სასკოლო ჯგუფის ბავშვებს ბევრი რამ საერთო აქვთ თავისი ასაკობრივი მდგომარეობით, ცოდნის მარაგით, ყოფა-ქცევით, ზნე-ხასიათით,—იმდენად საჭიროა და აუცილებელი მათი კოლექტიური სწავლება საზოგადოებრივ-კოლექტიური აღზრდის მიზნით, მაგრამ ამავე დროს, რამდენადაც ბავშვთა ჯგუფში არ შეიძლება ყველას ჰქონდეს ზუსტად ერთგვარი ასაკი, ცოდნის ერთგვარი მარაგი, ერთნაირი ოჯახური წრის ზეგავლენა, ერთი და იგივე ყოფა-ქცევა და ზნე-ხასიათი, იმდენად საჭიროა

და აუცილებელი მათი სწავლა-განათლება დიფერენცირებულ იქნეს ცალკეულ ბავშვთა ინდივიდურ თვისებათა მიხედვით; ამან გარდა, ილია ჭავჭავაძე ბავშვისადმი ინდივიდური მიდგომისა და სპეციფიკური ზეგავლენის საჭიროებას ასაბუთებს აგრეთვე იმ განსხვავებული წარმატებისა და სწავლის ტემპის მიხედვით, რომელსაც შეუძლია იჩენდეს ერთი ბავშვი მეორესთან შედარებით.

ილია ჭავჭავაძე არ ყოფილა ინდივიდური აღზრდის მომხრე. ის ბავშვისადმი ინდივიდურ მიდგომასა და მასზე ინდივიდურ ზეგავლენას მოითხოვდა საზოგადოებრივი აღზრდის მიზნით და ამიტომ ეს ინდივიდური მიდგომა და ზეგავლენა მხოლოდ აღზრდის ფორმად ან მეთოდად მიაჩნდა. პატარა პატიკოს ცალკე ზრდის მისი მასწავლებელი სოლომონი („უცნაური ამბავი"), ისე როგორც გაბრო სხვა შეგირდებიდან ცალკე გამოჰყო მისმა მასწავლებელმა მღვდელმა, ვინაიდან გაბრო სწავლის პროცესში შევარდენივით ჩქარი იყო, მეტს მუშაობდა, მეტ წარმატებას იჩენდა და მეტის გაკეთებაც შეეძლო („გლახის ნაამბობი"), მაგრამ ორივე შემთხვევაში ამ ცალკე ინდივიდურ მიდგომას და სწავლების ფორმას საზოგადოებრივ-კოლექტიური აღზრდის მიზანი უდევს საფუძვლად.

სასკოლო განათლების დარგში გადამწყვეტ მნიშვნელობას მასწავლებლის შემდეგ ილია აკუთვნებდა სასწავლო გეგმებს და პროგრამებს. სასწავლო გეგმები საზღვრავენ იმ დისციპლინებს, რომლებიც მოწაფეებმა უნდა შეისწავლონ თავისი მეცნიერული განვითარებისათვის, ხოლო პროგრამები კი არკვევენ ამ დისციპლინათა შინაარსს და მოცულობას სათანადო სასკოლო კლასის ბავშვთათვის. ჩვენ ვიცით, რომ ახალგაზრდობის მეცნიერული განათლების ძირითადი ორგანო არის სკოლა, ხოლო მაგ. მეცნიერული განათლება დამოკიდებულია დისციპლინების შესწავლაზე, დისციპლინების შინაარსს კი პროგრამები განსაზღვრავენ. აქედან ნათელია სასკოლო პროგრამების განუზომელი მნიშვნელობა ახალგაზრდობის სწავლა-განათლების საქმეში.

ილია ჭავჭავაძე სწორედ ასე აყენებს საკითხს. სკოლას მხოლოდ იმდენად შეუძლია მოუტანოს ხალხს სიკეთე, რამდენადაც მას მეცნიერულად გამართული პროგრამები მოეპოვება ყველა დისციპლინაში. წინააღმდეგ შემთხვევაში სკოლა ვნების მეტს არაფერს მოიტანს; ილია წერს:

„სკოლა, სასწაელებელი, ორპირი ხმალია. ვნების მოტანაც შეუძლიან-და დიდის სიკეთისაც, ეგ იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ არის მოწყობილი და აგებული პროგრამა სწავლებისა"*.

სასწავლო პროგრამები, ილიას აზრით, მეცნიერული დისციპლინის შინაარსისა და მოცულობის გარკვევის გარდა, უნდა აკმაყოფილებდნენ პედაგოგიკურ მოთხოვნილებებს, უნდა შეეფერებოდნენ ბავშვის განათლების დონეს და შესაძლებლობას, უნდა ითვალისწინებდნენ იმ ადგილობრივ საზოგადოებრივ და სასკოლო პირობებს, რომლებშიც ბავშვს უხდება სასწავლო მუშაობა. უამისოდ პროგრამა ვერ შეასრულებს თავის დანიშნულებას და სასწაკლებელი კი თავის მიზანს. სასწავლებლებში მოწაფეთა რიცხვის შემცირების ერთ მთავარ მიზეზად ილიას მიაჩნია სწორედ პროგრამების უვარგისობა, „უთავბოლობა და უმსგავსოება".

„იმიტომ, რომ ის პროგრამები არ შეესაბამება არც პედაგოგიურს მოთხოვნილებას, არც აქაურს ვითარებას, და არც ბავშვის ძალღონეზედ არის დაფუძნებული"**.

ილია ჭავჭავაძე ხშირად მიმართავს კომენსკის და პესტალოცის თავის პედაგოგიკურ-დიდაქტიკურ მოსაზრებათა დასაბუთებისათვის და მშვენივრად იყენებს მათ. ილიას „პედაგოგიის ძირეულ კანონად" მიაჩნია შემდეგი დიდაქტიკური დებულება:

„ახალი ძველის შემწეობით უნდა ისწავლებოდეს, შორეული მახლობლით, უცნობი ცნობილით"***.

ამ დებულებებს ილია განსაკუთრებით იყენებს დაწყებითს სკოლებში ქართული ენის უფლების დაცვისა და რუსული ენის სწავლების უფროს კლასებში (მე-3—4) გადატანის დასაბუთების დროს. ახალის შესწავლა ძველის შეჭწეობით მხოლოდ მშობლიური ენის საფუძველზე შეიძლება, შორეული და უცნობი ახლობლად და ცნობილად მხოლოდ მშობლიური ენის საშუალებით შეიძლება გადაიქცეს. რუსული ენის შესწავლა უნდა დაიწყოს, ილიას აზრით, მხოლოდ მაშინ, როცა მას, როგორც ახალს, გამაგრებული ექნება ძველი საფუძველი, ე. ი. მშობლიური ენა; ის გადაიქცევა მახლობლად

* VI, 156.
** იქვე, 145.
*** VII, 224.

და ცნობილად იმავე მშობლიური ენის შეხწავლობით. სხვა საგნების სწავლების დროსაც, რასაკვირველია, იგივე დებულებები უნდა იქნან გამოყენებული. ილიას ჭეშმარიტ პედაგოგიურ პრინციპად მიაჩნია. მისივე თქმით, პედაგოგიკაში „გამოჩენილი და განთქმული კაცის ინ. ტალოცის შემდეგი დებულება:

„ბავშვის სულიერნი ძალნი შორეულზედ, უცხოზედ არ უნდა ავარჯიშონო, ვიდრე ძირი არ გაჰმაგრებიათ და არ გავარჯიშებულან იმაზედ ვარჯიშითა, რაც ბავშვის ღვიძლი და თავისიანიაო"*.

აღსანიშნავია, რომ ქართული სალიტერატურო ენის და მართლწერის გარდაქმნის აუცილებლობას ილია ასაბუთებდა არა მარტო ენის განვითარების ინტერესებით, არამედ მათი ადვილად სწავლების თვალსაზრისითაც. ბარბარე ჯორჯაძის წინააღმდეგ ბრძოლა ქართული ანბანიდან ძველი ასოების (უ, ᲣᲣ, კ, ᲨᲨ, ᲩᲩ, ᲪᲪ) ამოგდებისათვის, ილიას იმიტომაც მიაჩნდა საჭიროდ, რომ

„ეგ მოაშორებდა ახალ მოსწავლეს რამდენიმე უსარგებლო ასოს სწავლასა და მწერალსაც გაუადვილებდა წერასა"**.

სწავლის მეთოდებზე წერისა და ლაპარაკის დროს ილიას ყურადღებულთვის მხედველობაში ჰქონდა მათი კავშირი საგნის შესწავლის მიზნებთან და სწავლებისა და სწავლის პირობებთან. მეთოდი, მისი აზრით, ბავშვს უნდა აძლევდეს თვალსაჩინო წარმოდგენას შესასწავლ თემაზე, ის უნდა იწვევდეს მოწაფის აქტივობას და თვითმოქმედებას. აღორძინების ხანის პედაგოგიკის მიმოხილვის დროს („პედაგოგიის საფუძვლები") და სხვა არა სპეციალურ-პედაგოგიურ წერილებში ილია მკვეთრად იბრძვის ძველი ფორმალისტურ-დოგმატური და ზეპირ-სიტყვიერი მეთოდების წინააღმდეგ და მოითხოვს სწავლების ისეთი მეთოდების დამკვიდრებას, რომლებიც ეხმარებოდნენ მოწაფეების მიერ მეცნიერებათა ნორმალურად შესწავლას, წიგნისა და ცხოვრების მტკიცე კავშირის დამყარებას, მოწაფეთა აქტივობასა და თვითმოქმედებას.

8. საოჯახო აღზრდა და თვითგანათლება

ბავშვის პირველი აღმზრდელი მშობელია, ხოლო პირველი აღზრდელობითი ზეგავლენის წრე კი—ოჯახი. ილია ჭავჭავაძის დროს რუსეთსა და საქართველოში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულე-

---

* იქვე, 217.

** IV, 45.

ბები ძალიან იშვიათად მოიპოვებოდა; ამიტომ ოჯახი იყო თ ი-
თ ქ მ ი ს ერთადერთი უჯრედი სკოლამდელი აღზრდისა, ხოლო
მშობელი კი თ ი თ ქ მ ი ს ერთადერთი აღმზრდელი სკოლამდელი
ასაკის ბავშვისა. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ, რა მნიშვნელობა
აქვს სკოლამდელი ასაკის პერიოდში ბავშვის სწორ მეცნიერულ
აღზრდას მთელი მისი შემდგომი განვითარებისათვის — ჩვენთვის
ნათელი გახდება, თუ რატომ აქცევდა ილია ესოდენ ფიცხელ ყუ-
რადღებას საოჯახო აღზრდას და მშობლის აღმზრდელობითს
როლს.

ილია ჭავჭავაძეს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ აღზრდა-განა-
თლების საქმე ჩვენ ძ ი რ ი დ ა ნ უნდა გარდავქმნათ, ხოლო ეს ძირი
კი არის ოჯახი და მშობელი. თუ ჩვენ გვსურს ბავშვის აღზრდის
გარდაქმნა—უნდა დავიწყოთ ოჯახის გარდაქმნით. ამის საშუალება—
განათლებაა. კარგად განათლებული ოჯახი და მშობელი ბავშვის
აღზრდას მეცნიერულ-პედაგოგიურ საფუძველზე დაამკვიდრებს და
საუკეთესო მომავალსაც მიიღებს, გაუნათლებელი ოჯახი და მშო-
ბელი კი ამას მოკლებულია. ოჯახის გარდაქმნისათვის საჭიროა მის
წევრთა თანამშრომლობა საერთო შრომის ნიადაგზე. ილიას საჭი-
როდ მიაჩნია ოჯახის განმტკიცება ახალ საფუძველზე, ცხოვრების
ახალ მოთხოვნილებათა მიხედვით, და არა მისი უარყოფა და მო-
სპობა, როგორც მოითხოვდნენ „უარმყოფელობის“ ნიღილისტური
სენით შეპყრობილი ივ. გ ო მ ა რ თ ე ლ ი და არჩილ ჯ ო რ ჯ ა ძ ე.
ილია თავის მახვილი პოლემიკური ტონით და გამანადგურებელი
ცინიზმით აბათილებს „გომართლის ფილოსოფიას და არჩილ
ჯორჯაძის ფსიქოლოგიას“ ოჯახის პროგრესული როლის უარყო-
ფისა და მავნე დაწესებულებად გამოცხადების გამო. ილია ფი-
ქრობს, რომ ოჯახის, როგორც კოლექტივის, გარდაქმნა ჩვენ უნდა
დავიწყოთ მის ცალკეულ წევრთა გარდაქმნით; წინააღმდეგ შე-
მთხვევაში გამოუვალ, ჯადოსნურ, წრესთან გვექნებოდა საქმე:
გაუნათლებელი ოჯახი გაუნათლებელ შვილებს ზრდის, გაუნათლე-
ბელი შვილები — გაუნათლებელ ოჯახს ქმნიან და ასე დაუსრუ-
ლებლად. ეს გარდაქმნა უნდა დავიწყოთ ოჯახის უფროს წევრთა
ანუ მშობლების შეგნებაში მათი შვილის კარგად აღზრდის მოვა-
ლეობის შეტანითა და განმტკიცებით.

„საჭიროა ვიცოდეთ,—წერს ილია,—რომ შ ვ ი ლ ი ს გ ა ზ რ დ ა,
შ ვ ი ლ ი ს კ ა ც ა დ გ ა ნ ო ყ ვ ა ნ ა უ წ მ ი ნ დ ე ს ი და უ დ ი-
დ ე ს ი ვ ა ლ ი ა მ შ ო ბ ლ ე ბ ი ს ა... გაზრდა შვილისა ისეთი

მოვალეობაა, რომ სხვა ყველაფერი ამას უნდა შევწიროთ, ამას უნდა შევალიოთ, სხვაგან და სხვაში უნდა დავიკლოთ და ყოველივე ნაწვავ-ნადაგი, ყოველივე ამაგი და უფროს-ეოთი დრო ამას უნდა შევახმაროთ"*.

შემდეგ ილია აღნიშნავს, რომ ამისათვის მარტო სურვილი არ არის საკმარისი, საჭიროა ხარჯები. როცა რაიმე აუცილებელი ნივთიერი მოთხოვნილება დაგვებადება,—უცბად ვშოულობთ სათანადო სახსრებს მის დასაკმაყოფილებლად; ხოლო შვილის აღრზდაზე არ ვზრუნავთ „მაშ თან ხომ არ გადავყვებითო მაგ ხარჯსა და მოვალეობას, როცა ჩვენ თვითონაც არა გვაბადია-რაო. სწორედ თან უნდა გადაჰყვეს იგი, ვისაც წმინდა მოვალეობა დედ-მამობისა ზურგზედ აჰკიდა ბედმა და წუთისოფელმა. ტანთ მოიკელ, ფეხთ მოიკელ, მშიერ-მწყურვალი იარე და ნუ ჩასდგები-კი ჯერ შვილისა და მერე ქვეყნის ცოდვაში,—აი რა უნდა ეწეროს გულის ფიცარზედ იმ წმინდა საქმეს, რომელსაც მამა-შვილობას ეძახიან"**.

ასე კატეგორიულად აყენებს საკითხს ილია ჭავჭავაძე და მოუწოდებს ყველა მშობელს თავის პირდაპირი და წმინდა საზოგადოებრივი მოვალეობისაკენ. ამ მოვალეობის განხორციელებით გარდაიქმნება ოჯახი და გაუმჯობესდება აღზრდაც, ვინაიდან კარგად, მეცნიერულად, აღზრდილი შვილები განათლებულ ოჯახს შექმნიან, განათლებული ოჯახი კი მეცნიერულ აღზრდას აწარმოებს და ა. შ.

ოჯახმა რომ ბავშვის წესიერი, მეცნიერული აღზრდა შესძლოს, საჭიროა მას მჭიდრო კავშირი ჰქონდეს სკოლასთან და სკოლის მასწავლებლებთან. ამით ოჯახი ისწავლის: პედაგოგიკის საფუძვლებს, სწავლების მეთოდებს, ბავშვზე სწორი ზეგავლენის ფორმებს. გაეცნობა იმ პედაგოგიურ პრაქტიკას, რომელიც დაგროვილი აქვს სხვა ოჯახებს და აღმზრდელობითს დაწესებულებებს და ისწავლის აგრეთვე საკუთარი აღმზრდელობითის გამოცდილების განზოგადოებას და მისგან სათანადო წესების გამოყვანას. ილია ჭავჭავაძემ იცის, რომ ჩვენში ბევრ ოჯახს ჯერ კიდეე არ აქვს შეგნებული ეს აუცილებლობა და ამიტომ თვით სკოლამ და პედაგოგებმა უნდა იკისრონ ოჯახთან მუდმივი კავშირის დაჭერის ინიციატივა. ილია დიდ უკმაყოფილებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ ეს დიდი

---

* VII, 262.

** იქვე.

ეშმარიტება საესებით ბათილდება „ჩვენებური პედაგოგების ენელში, რომლებიც, დღეს-აქამომდე ესე წინდაუხედავად ეურჩებიან ყოველს იმას, რაც კი სკოლისა და ოჯახის კავშირის დამკვიდრებას შველის“*.

ოჯახისა და სკოლის კავშირს მაშინ აქვს ერთმანეთისათვის დადებითი მნიშვნელობა, როდესაც ორივე მოკავშირე მხარე საერანადო განათლებისა და მეცნიერული ცოდნის სიმაღლეზე დგას. მაგრამ როდესაც ერთი მათგანი, მაგალითად, ოჯახი, ვერ დგას საერანადო განათლების სიმაღლეზე, სკოლას მაშინაც შეუძლია ეს კავშირი დადებითად გამოიყენოს არა მარტო ოჯახისათვის, არამედ თავისთავისათვისაც იმით, რომ ოჯახთან კავშირს, შეაქვს რა კულტურა გაუნათლებელ ოჯახში, ავითარებს მის წევრებს, მათ შორის ბავშვებსაც, და ამით სკოლა იმზადებს თავისთვის უფრო ცოდნე და სწავლის მოყვარულ კონტინგენტს.

გაუნათლებელ, ჩამორჩენილ ოჯახს, რასაკვირველია, მხოლოდ უარყოფითი ზეგავლენა შეუძლია ჰქონდეს ბავშვის აღზრდაზე, ეს მერმისზე. ამის მაგალითი ჩვენ უკვე მოგვცა ილიამ კოლას ტიპის გამოვლინებით, რომელიც თავისი უარყოფითი, არაადამიანური თვისებებით მარტო საზოგადოებისა და სკოლის პროდუქტს კი არ წარმოადგენს, არამედ ოჯახისაც. მოვიგონოთ ილიას სიტყვები გადაგვარებულ კოლას შესახებ: „ვინ იცის ჩვენ მკითხველო, რა კაცი გამოსულიყო იგი სხვა საზოგადოებაში და სხვა-რიგ შინაურ გაზრდაში“, ისევე იღუპება „ყოველი ქართველის შვილი, რომელიც შინავე, დედის კალთაში მიიღებს ხოლმე თესლსა მომავალი წარხდენისას და თავის უბედურებისას“**.

ამ მოსაზრებათა სიფუძველზე ილია ჭავჭავაძე ახალგაზრდობის აღზრდის ინტერესების მიზნითვე მოითხოვს ოჯახის, როგორც „ყმაწვილთა აღზრდის პირველი ძირის“, გარდაქმნას მისი განათლებისა და პედაგოგიზაციის საშუალებით.

ილია ჭავჭავაძეს მხედველობიდან არ გამოპარვია აგრეთვე ოჯახის მოვალეობა „უკანონოთ შობილთა უფლების“ დაცვისა და მათ ნორმალურ და წესიერ აღზრდაზე ზრუნვის საქმეში. მან დიდ უსამართლობად და საზოგადოებრივ უკულმართობად მიაჩნდა,

---

VI, 142.

** III, 186.

რომ მისი დროის რუსეთსა და საქართველოში ე. წ. უკანონოდ დაბადებული ბავშვები მოკლებული იყვნენ „კანონიერად“ დაბადებულ მოქალაქეთა უფლებასა და წესიერ აღზრდა-განათლებას. ილია კატეგორიულად ილაშქრებდა ამ წესის წინააღმდეგ; ის მოითხოვდა ბავშვი განთავისუფლებულიყო მშობელთა დანაშაულზე პასუხისგებისაგან, თუ მისი „უკანონოდ“, ე. ი. ქორწინების გარეშე გაჩენა, დანაშაულად ჩაითვლებოდა. „თუ დედ-მამის მოქმედება ამ შემთხვევაში, კ ა ნ ო ნ ი ს დ ა ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს თ ვ ლ ი თ საზღაური დანაშაული და ცოდვაა, შვილი მათი რათ უნდა დაისაჯოს მათის ცოდვისა და დანაშაულობის გამო?“*. იმის მაგიერად, რომ მშობლებს ქორწინების გარეშე გაჩენილი შვილის დაბადება ისევე გაეხარდეს, როგორც ქორწინებით გაჩენილისა ისინი ხშირად წყევლა-კრულვით იხსენიებენ მას „და საცოდავს, უმწეოსა და უცოდველს ახალ-შობილს პაწაწას ხშირად ან ადრე და მალე გამოასალმებენ ხოლმე ამ შეუბრალებელს წუთისოფელს“*.

ილიას ყოველივე ასეთი უკუღმართობა მიაჩნია „ჭკუა-გონების თვალთა მოკლედ ხედვის“ შედეგად და, უპირველეს ყოვლისა, ოჯახის მოვალეობად სთვლის შეიგნოს თავისი უდიდესი ბუნებრივი მოვალეობა პატარა, უმწეო ბავშვების წინაშე, უკუაგდოს ყოველგვარი ცრუ და ყალბი რწმენა ბავშვის „უკანონობის“ შესახებ. მოეპყრას ასეთ ბავშვს როგორც პატარა ადამიანს, გამოიჩინოს ჰუმანური გრძნობა მის წინაშე და მისცეს მას ჩვეულობრივი, წესიერი აღზრდა და სწავლა-განათლება.

1898 წელს ილია ჭავჭავაძე დიდი კმაყოფილებით შეხვდა კანონპროექტს „უკანონოდ“ შობილთათვის სათანადო იურიდიულ უფლებათა მინიჭების შესახებ, კერძოდ მათი აღზრდისათვის მშობელთა მოვალეობის განსაზღვრის შესახებ და იმედს გამოთქვამდა, რომ ქორწინების გარეშე გაჩენილი შვილების უფლებათა შეზღუდვა „ოდესმე თავის დროსა და ჟამს მოსპობს და მარტო ისტორიაში-და თუ დარჩება კაცობრიობის არა-სასახელო სახსოვრად“..., მანამდე კი ასეთ შვილთა აღზრდას ოჯახისა და მშობლის უწმინდეს მოვალეობად სთვლიდა.

საოჯახო აღზრდასა და შინაურ განათლებასთან დაკავშირებით ილია ჭავჭავაძე აყენებს აგრეთვე თ ვ ი თ გ ა ნ ა თ ლ ე ბ ი ს სა-

* VIII, 296.

კითხს. როგორც ვნახეთ, იგი სრულიად სამართლიანად აღნიშნავდა, რომ მეცნიერება და სწავლა-განათლება ყველასათვის ხელმისაწვდომი არ არის, რომ თვით მთავრობა ცდილობდა სკოლა და განათლება მხოლოდ დიდკაცობისა და წარჩინებულ წოდებათა მონოპოლიად გადაექცია.

მაშ, როგორ მივაწოდოთ ხალხს აუცილებელი სწავლა-განათლება, თუ კი მეცნიერება უმცირესობის და „რჩეულთა“ მონოპოლიას წარმოადგენს? სკოლათა ქსელის გაფართოებისა და მეცნიერებაზე წოდებრივ - ქონებრივი პრივილეგიის მოსპობისათვის ბრძოლის გარდა, ილია ჭავჭავაძე საჭიროდ სთვლის გამოინახოს „ისეთი ღონისძიებაც, ისეთი საშუალებაც, რომელმაც იმისთანა თვისება უნდა იქონიოს, რომ ყველგან მისწვდეს, გამოფინოს საქვეყნოდ კაცის ჭკუის ძვირფასი მარგალიტები საყოველთაო მოსახმარებლად, რომ მრავალთათვის მისაწვდომი გახდეს ის, რაც დასაკუთრებული აქვს ცოტასა“*.

ერთ ასეთ, სკოლისგარეშე განათლების ღონისძიებად და საშუალებად ილია სთვლის ბ ე ჭ დ ვ ი თ ი ს ი ტ ყ ვ ა ს, ლიტერატურას, განსაკუთრებით კი ისეთ ლიტერატურას, რომელიც „ადვილად უნდა ასრულებდეს ზემოთ თქმულს შუამავლობასა მეცნიერებასა და ცხოვრებას შორის“ — ასეთად ილიას მიაჩნია პ ო პ უ ლ ა რ უ ლ ი ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა.

მეორე საშუალება — თ ვ ი თ გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა ა. ადამიანის თვითგანათლება ილიას მიაჩნდა განათლების მეტად აქტუალურ და მნიშვნელოვან ფორმად. თვითგანათლების საშუალებით ადამიანს შეუძლია მიაღწიოს განათლების მწვერვალებს, შეუძლია დაეუფლოს ყოველგვარი მეცნიერების საფუძვლებს და საზოგადოების გამოსადეგ პიროვნებად გადაიქცეს.

თვითგანათლება, მართალია, გარდაუვალი აუცილებლობაა სკოლისგარეშე დარჩენილი ახალგაზრდობის განათლებისათვის, მაგრამ ის საჭიროა აგრეთვე ყოველნაირი ტიპის, საშუალო თუ უმაღლესი, სკოლის კურსდამთავრებულთათვისაც: „დღეს ყველასათვის ცხადად დანახულია, წერს ილია, რომ ვ ე რ ც ე რ თ ი ს კ ო ლ ა, თ უ ნ დ ა ც უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი, ი მ ო დ ე ნ ა ს ა ვ ს ე ბ ი ნ ო ნ ა ს ვ ე ა რ ი ძ ლ ე ვ ა, რ ო მ კ ა ც ი მ ა რ თ ლ ა მ ე ც ნ ი ე რ ი დ ა ს წ ა ვ ლ უ ლ ი ი ყ ო ს, ა მ

* IV, 75.

სწავლა-ცოდნაზე შეყენებული და გაჩერებული... ჩვენ ისეთი კაცი არ გვახსოვს, რომ უნივერსიტეტიდან თუ სხვა სკოლიდან გამოსვლის უმალ თავი ეჩინოს მეცნიერებასა და სწავლ-აცოდნაში. ვისაც თავი უჩენია, იმას სკოლის, უნივერსიტეტის შემდეგ უშრომია... ვიმეორებთ, თუ დღეს მეცნიერნი და სწავლულნი არიან, მარტო იმ ით, რომ სკოლისა და უნივერსიტეტის შემდეგ თითონ თავით თვისით შეუძენიათ სწავლა და ცოდნა"*.

ამგვარად, ილია ჭავჭავაძე დამაჯერებლად ასაბუთებს სკოლის-შემდგომი და სკოლისგარეშე განათლების აუცილებლობას, რომლის ძირითად ფორმას სწორედ თვითგანათლება წარმოადგენს.

—

ილია ჭავჭავაძის პედაგოგიკური იდეების მეცნიერული მესწავლა და მწყობრი დალაგება მეტად სერიოზულ ამოცანას წარმოადგენს როგორც ქართული პედაგოგიკის ისტორიის შენების მიზნით, ისე თვით ილიას ყოველმხრივი შესწავლისა და ღირსეული დაფასების თვალსაზრისით. ამასთან, ილიას მდიდარ პედაგოგიკურ მემკვიდრეობაში ბევრი „რაციონალური მარცვალი" მოიპოვება, რომელსაც წარმატებით გამოიყენებს ჩვენი თანამედროვე, საბჭოთა სკოლა.

* *
*

XIX საუკუნის 60-იან წლებში აღმოცენებული ქართული პედაგოგიკური აზროვნება შემდგომ პერიოდში გაიშალა და განმტკიცდა როგორც მეცნიერული ცოდნის სისტემა. მის ყველაზე უფრო თვალსაჩინო მიღწევას წარმოადგენდა ისეთი პრობლემების დასმა, როგორიცაა: ბავშვის ფსიქიური ბუნების შესწავლისა და კვლევის აუცილებლობა, მისი მეცნიერული აღზრდა-განათლებისათვის; საზოგადოებრივი აღზრდის განპირობება სოციალური გარემოთი და ყოფა-ცხოვრებით; მასწავლებლის თვისებები და მისი პროფესიის დამახასიათებელი ნიშნები. ამავე პერიოდის ქართულ პედაგოგიკაში დაისვა აგრეთვე დიდაქტიკის სპეციალური საკითხებიც და უფრო მაღალ საფეხურზე იქნა აყვანილი იმ პრობლემათა კვლევა, რომელნიც XIX საუკ. პირველი ნახევრის მონაპოვარს წარმოადგენდნენ.

---

* VIII, 323.

მართალია, XIX საუკ. 60-ანი წლების ქართული პედაგოგიკა საგრძნობლად ჩამორჩებოდა თავისი დროის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ახალ ამოცანებს, მაგრამ ამ პერიოდიდან მისი განვითარება მტკიცედ წარიმართა ქართველი ხალხის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გზით, რაც ამდიდრებდა მას შინაარსით და ამახვილებდა მის საზოგადოებრივ დანიშნულებას.

ჩვენ აქ ვცადეთ ნათელყოფა იმისა, რომ XIX საუკუნის 60-ანი წლების ახალი ქართული პედაგოგიკა ყველაზე უკეთ მთლიანი სახით ილია ჭავჭავაძის პედაგოგიკურ იდეებში გამოიხატა, მაგრამ მისი შემდგომი განვითარება და, პირველ ყოვლისა, მისი სრულყოფა დიდაქტიკით ანუ სწავლების თეორიით დაკავშირებული იყო იაკობ გოგებაშვილის სახელთან, რომლის პედაგოგიკური იდეებიც განხილული გვექნება ამ ნაშრომის მესამე წიგნში.

სახელთა საძიებელი

ა

აბაშელი ალ. 485
აბაშიძე ივ. 55
აბოვიანი ხაჩ-ტურ 48
აბხაზი ივ. (ჯენერალი) 39, 40
აბხაზოვი თ. 298
ავალიშვილი ნიკ. 368
ავალიშვილი (ავალოვი) გიორგი 268
ავთანდილაშვილი ხაალ 33, 39, 130
298, 316, 332
ალექსანდრე I 17, 29, 68, 70, 75, 76
86, 100, 144, 177, 178, 189
285, 293, 297
ალექსანდრე II 146, 386, 426, 448, 451
453, 454, 455, 457, 458, 460
ალექსიშვილი ეფრემ 180, 271, 286
ალექსიშვილი ტარასი 203
ანგროსოვი 235
ამილახვარი გიკი 55
ამილახვარი ანა 116
ამილახვარი ალ. 262
ათანასე (ბერძ. არქიმანდ.) 285
ანანიაშვილი დავით 280
ანდრონიკაშვილი იასე 107, 108
ანენკოვი პ. 41
ანსილიონი 231
ანტონი I 55, 265, 270, 280, 231
ანტონ II 25, 113, 177, 265, 266
ანტონოვი ხ. 51, 64
არისტოტელე 281
არდაზიანი ლ. 64, 99, 371
არსენი (ბურიის არქიმანდ.) 127
აღმაშენებელი დ.—იხ. დავით აღმაშენებელი
ახვერდოვი პ. ნ. 120, 135, 282
ახვერდოვი (საქართველოს მმართ.) 181
ახუნდოვი მირზა ფატალი 43

ბ

ბაგრატიონი (ბატონიშვილი) იოანე
24, 28, 59, 281, 285, 288, 313,
314, 338
ბაგრატიონი (ბატონიშვილი) დავით
280, 281
ბაგრატიონი ერეკლე 415
ბაგრატიონი (ბატონიშვილი) თეიმურაზ
59, 61, 271, 281
ბაგრატიონ-ბუხოანელი გ. 38, 353
ბაირონი 523
ბაკიზანოვი აბას 48
ბაკურაძე ი. 13, 94
ბარბიერი (მუსიკოსი) 51
ბარათაშვილი მიხ. 62
ბარათაშვილი ნიკ. 28, 39, 40, 41, 42,
60, 63, 63, 107, 108, 117, 180
257, 277
ბარათაშვილი მამუკა 268
ბარათაშვილი გიორგი 353, 371
ბარათაშვილი მარიამ 269
ბარათაშვილი ხაალ 269
ბარდაველიძე—ლომია 212
ბარიატინსკი (მეფისნაც.) 159, 165,
166, 309, 385, 425, 426
ბარკლაი დე-ტოლი 97
ბატონიშვილი დიმიტრი 25, 268, 278
ბატონიშვილი ოქროპირ 35
ბატონიშვილი ალექსანდრე 36

ბატონიშვილი იულიონ 177
ბატონიშვილი ბაგრატ 267
ბატონიშვილი იოანე—იხ. ბაგრატიონი იოანე
ბატონიშვილი დავით—იხ. ბაგრატიონი დავით
ბაუმეისტერი 281
ბაჭრაძე დიმიტრი 39, 59, 90, 117, 180, 284, 376, 431, 442, 443
ბაჭარი (შვილი ვახტ. VI) 279
ბებუთაშვილი მიხეილ 107, 285
ბეგიაშვილი თ. 13
ბეკენდორფი 46
ბეთანიშვილი მ. 236, 237
ბელინსკი 41, 89, 353, 365, 368, 370, 371, 372, 373, 374, 375, 377, 467, 468, 479, 487, 522
ბელიაევი ვ. 60
ბელი 95, 192, 258, 259
ბენაშვილი სიმ. 116
ბეპრე 189
ბერგი 117
ბერიძე (მომღ.) 124.
ბერიძე ვ. 13, 187.
ბერძენიშვილი (ბერძენოვი) ნ. 90, 207 448
ბერძენიშვილი მ. 13
ბეჟანოვი ბ. 108
ბესიკი 55, 237, 262
ბესტუჟევი პ. ა. 46
ბესტუჟევ—მარლინსკი ა. ა. 46
ბექმეზინი შორა 213, 214
ბზვანელი ლადო 239
ბიუ 411
ბლუდოვი 98
ბობილევი ფედოტ 392, 393
ბოდენშტედტი ფრიდრიხ 47
ბონავენტური (პატრი) 97
ბოლოხოვიტინოვი ე. 10, 68
ბროსე მ. 23, 36, 45, 46, 47, 61, 68
ბუაძე (მღვდ.) 128
ბუკრინსკი 81, 181
ბუნაკოვი 473
ბურნაშოვი 67
ბუტკოვი 307

გ

გაბაშვილი ეკატ. 124
გაბაშვილი ზაქარია 268
გაბრიელი (არქიმ.)—იხ. ჭიკოძე გერ.
გაგარინი გ. გ. (მხატ.) 47
გაბი (სენატორი) 27, 128, 141, 143
გაიოზი 261
გალიციანი 86, 101, 295, 296
გამბა ჟან-ფრანსუა (კავალერი) 50
გარსევანიშვილი ი. 83, 179
გაწერელია ა. 135
გეგელაშვილი ისიდორე 115, 246
გენადი (მღვდელმონაზ.) 178
გეორგ IV (სომეხ. კათ.) 98
გერმანე (არქიმანდ.) 261
გერტენი 31, 41, 185, 317, 351, 353, 369, 467
გილიარევსკი ი. 280
გიორგი XII 24, 288
გოგებაშვილი ი. 90, 248, 351, 332, 353, 354, 361, 362, 363, 370, 378 379, 432, 479, 482, 483, 534, 560
გოეთე 523
გოგიჩაიშვილი ფილიპე 415
გოგოლი 28, 47, 134, 165, 186, 431, 498
გოხალიშვილი გ. 35
გოლოვინი 60, 127, 133, 300, 301
გომელაური ივანე 166, 500
გომართელი ივ. 554,
გორსკი 108—იხ თუმანიშვილი მიხ.
გორდეევი გ 46, 53
გრანოვსკი 41, 431
გრეჩი ნიკოლაი 273
გრიბოედოვი ა. ს. 46, 47, 50, 59, 135, 431
გრიგოლი (მღვდელი) 73

გრიგოლი (სომეხ. არქიმანდ.) 97
გრიშაშვილი ი. 26
გრუზინსკი იოანე 59
გრუზინსკი ირაკლი იხ. ბაგრატიონი ერეკლე
ხუდოვიჩი 78, 80, 291
გულიაევი ს. 181
გურამიშვილი 237, 248, 262
გურიელი (კნ. ეკატ. ჩაჩუასი) 125
გურიელი მამია 50, 59, 117, 124, 125, 215,

დ

დადიანი ლევან 59, 117, 125
დადიანი დავით 59, 117
დადიანი კ. 60
დადიანი შენიკი 94
დადიანი ნიკო 125, 266
დავით ალმაშენებელი 243, 268
დავითაშვილი იოსებ 246
დავით (რექტორი) 279
დალამბერი 319
დარვინი ჩარლზ 23, 89
დარეჯანი (დედოფ.) 87
დემენტიევი ნიკ. 186, 257
დენისოვა (დეიისენკო) 124
დერეკავინი 221
დვანიკე 51
დიბიჩი ი. თ. 137
დიდრო 319
დიასამიძე 127
დიუბა დე-მონპერე 212, 217, 220
დიუმა ალ. 48
დისტერვეგი 480, 540
დობროლიუბოვი 89, 351, 353, 374, 377, 433, 467, 487, 522
დოდაშვილი სოლ. 33, 35, 39, 50, 53, 54, 55, 56, 62, 90, 108, 130, 179, 180, 265, 271, 273, 281, 292, 299, 314—340
დორე 123
დოსითეოსი 93
დუბროვინი 29, 66
დუნკელ-ველინგი 47
დუმბაძე ი. (ბერი) 113, 267

ე

ედილი ხ. 116, 212
ჭვგენი (ეგზარხოსი) 127
ჭვგენი (სემ. რეკტ.) 265
ჭვსეევი (ეგზარხ.) 405
ჭკატერინე II 71, 191, 192, 289
ენგელსი ფრ. 31, 48, 49, 345, 510
ერეკლე II 41, 87, 405, 485
ერისთავი გიორგი 33, 38, 51, 55, 57, 60, 64, 117, 180, 293, 39ა, 446
ერისთავი ელიზბარ 33, 35, 298, 316
ერისთავი დიმიტრი 33, 298
ერისთავი კ. თ. 59
ერისთავი რაფიელ 112, 180, 414, 447
ერისთავი ვ. (ეპისკოპ.) 113, 177
ერისთავი დავით 123
ერისთავი რევაზ 406
ესაძე ს. 12

ვ

ვაჟა-ფშაველა 117, 229, 247, 249
ვარლამო ი 108
ვახტანგ VI 27, 68, 207, 268, 279
ვახუშტი 279
ვერჯერიო პ. 510
ვესელი ნ. 370
ვეჯიო ბ. 510
ვიტორინო 510, 539

ვიქტორინი 452
ვიშნევსკი თ. 46
ვოლტერი 50, 179, 320
ვორონცოვი 42, 43, 44, 45, 48, 123, 144, 147, 154, 158, 161, 163, 164, 165, 303, 304
ვოსტოკოვი 273, 274

ზ

ზავადოვსკი 78, 79, 84, 181, 291
ზავილეისკი პეტ. 36, 60
ზაკრევიჩი (გენ.) 293
ზალცმანი ხ. 368, 478
ზახაროვი 452, 456
ზედგენიძე ლ. 55
ზუბოვი პლ. 20, 47

თ

თამაშაშვილი 50
თამარაშვილი მ. 96
თარხნიშვილი ივ. 376
თაყაიშვილი ეკვთ. 50, 262, 279, 281
თედორაძე 212
თეიმურაზ I 267
თეიმურაზ II 267
თულაშვილი ე. 55
თულაშვილი ვახტანგ 428, 432
თუმანიშვილი მიხ. 34, 60, 63, 83, 108, 117, 437
თუმანიშვილი დიმიტრი 47, 269
თუმანიშვილი-წერეთლისა ა. 124
თუმანიშვილი გიორგი 179, 268
თურქესტანიშვილი ივ. 286

ი

იასე (დეკანოზი) 179
იაზიკოკი 68, 218
იაკუბოვიჩი 46
იალღუზიძე ივანე 179
იანოვსკი 543
იანიცკი 123
იანკოვიჩ-დემირიევო თ. ი. 71, 191
იაცენკო გ. პ. 50
ივანენკო ვ. ნ. 44
ილიაშენკო 412
იმედაძე ლაზრო 246
ინგოროყვა პ. 39, 485
იოანე (წილკ. არქიეპ.) 113, 177
იოანე (მღვდ.) 176, 177, 279
იოანე (ქართ. მღვდელმონაზ.) 279
იოანე (ეგზარხ.) 265
იოანესი (სომეხ. პატრიარქი) 98
იოსელიანი იოანე 85
იოსელიანი გ. 90, 440, 441, 442
იოსელიანი პლ. 38, 54, 56, 62, 67, 68, 88, 90, 96, 112, 143, 179, 180, 245, 246, 263, 254, 265, 268, 269, 286, 341, 353, 438, 439
ირაკლი II იხ. ერეკლე II
ისაია 295
ისარლოვი 448
ისიდორე (მიტროპ.) 406
იუვენალი 210

კ

კახლოვი 371
კალინინი მ. 31
კალანდარიშვილი გერ. 90, 431, 432, 482
კანკრინი 140, 141
კანონიჩი 123, 411
კანტი 295

ჯაპტერევი პ. 146
ჯარასი 91
ჯარბელაშვილი პ. 112
ჯარაკოზოვი 385
ჯასტელა 133, 282
ჯერესულიძე ივ. 57, 264, 269, 270, 353, 364, 372, 373, 380, 415
ჯიკნაძე ფილადელფოს 33, 112, 178, 280, 316, 318
ჯირიონი (ეპისკოპ.) 12, 94, 406
ჯიუხელბეკერი 46
ჯლდიაშვილი დავ. 168
ჯნიაზკოვი ს. 146, 165, 290
ჯნორინგი 26, 29, 70, 72, 97, 113, 180
კოვალენსკი 29, 49, 67, 68, 72, 73
კონდილიანკი 281
კომენსკი 245, 438, 534, 552
კორნელი 50
კოლუბაკინი 123, 169
კორნეევი 73
კორლანანშვილი ზ. 236
კოტევნიკოვი ნ. 46
კოხანოვი 143
კუპფერი 109
კურდღელაშვილი 116
კუტაისოვი 29
კრიჟანოვსკი 183

ლ

ლავისი 189
ლავრენკო ლიდია 426
ლაზარევი 26, 301, 302
ლაიბნიცი 530
ლანკასტერი ჟ. 95, 192, 193, 258, 259
ლამბერტი არქანჯელო 217, 218
ლეგალიანი 46
ლევაშოვი 462
ლენინი 19, 165, 209, 323, 340, 345, 346, 348, 349, 350, 351, 355
ლერმონტოვი 41, 47, 431
ლეტელიე 36
ლიუდოვიკ XIV 179
ლიტვინოვი 67, 80, 84
ლობოვი 90
ლობკინი 281
ლომონოსოვი 274
ლომოური ნ. 90
ლოკი ჯონ 210
ლორთქიფანიძე ნიკო 60
ლორ თქიფანიძე კირ. 351, 354, 356
ლუბკინი 181
ლუდვიგი ემ. 89, 92

მ

მაგარსკი—იხ. დოდაშვილი ს.
მაგნიცკი ზ. ლ. 99, 100, 295, 296
მაიკოვი 431
მაკალათია ს. 212, 247
მალცევი პ. 181
მანასეინი 186
მამაცაშვილი მარიამ 414
მამაცაშვილი იოსებ 33, 39, 298, 316, 317
მამაცაშვილი კონსტ. 39, 41, 83, 160, 392, 393, 394, 413
მარი იაკობ 166
მარი ნიკო 166
მარიამ (დედოფალი) 403, 463, 464
მარკოვი 473
მარკოზოვი 127
მარსოვი 124
მარტინი 117
მარქსი კ. 30, 31, 49. 60, 339, 345, 393, 505, 510
მაქსიმოვიჩი 269
მაღალაშვილი დ. 55
მაღალაშვილი კ. 55
მაყაშვილი იოანე 314

მაჩაბელი დავით 55, 63, 271
მაჩაბელი მიხ. 55, 517
მაჭავარიანი გვიტია 116
მგალობლიშვილი სოფ. 15, 90, 115, 180, 187, 209, 225, 226, 230, 231, 244, 246
მდივანი ეგნატე 179
მდივანოვი ს. 432
მედინსკი ე. ნ. 145
მელნიკოვი ანდრეი 36
მელიქიშვილი ლ. 60, 83, 108
მენშიკოვი 29
მესხი სერგი 351, 354, 367, 431, 465
მეუნარგია ი. 114, 137, 253, 257, 431, 432
მეიფარიანი 51
მეჩნიკოვი 29
მეხითარი 281
მთვარელაშვილი ნიკო 249
მილიუკოვი პ. 290
მილიუტინი 311
მილტონი 179
მირზა-შაფი 48
მირსკაია ს. ი. 432
მიქაძე სიმონ 167
მიხეილი (დიდი მთავ.) 462
მიხეილი (არქიმანდ.) 285
მიხაილოვა ე. 404
მოლოდინაშვილი ზ. 286
მონასტირსკი 122
მონასტირცევი 123, 411
მონტესკიე 320
მორდვინოვა-დანილოვიჩი 133
მოსე (ეგზარხ.) 285
მოძალევსკი ლ. ნ. 11, 67, 164, 301, 450
მრევლიშვილი ა. 168
მურავიოვი ნიკ. 53, 165
მურავიოვი ა. ნ. 47
მურიე 414, 447
მუსინ—პუშკინი კ. 46, 49, 269
მუხრანსკი ივ. 116
მუხრანსკი კ. 60
მძინარიშვილი (დიაკვ.) 116

ნ

ნადეჟდინი 213
ნაზაროვი ი. 60
ნათაძე გიორგი 116, 228
ნათაძე მართა 116, 228
ნაკაშიძე პეტრე 431
ნატორპი 507
ნევეროვი იანუარი 9, 386, 387, 388, 390, 418
ნეიდგარტი 122
ნეკრასოვი 351, 369, 374
ნეოფიტე (მღვდელმონაზ.) 177
ნერსესი (პატრიარქი) 54, 98
ნესელორდე 46
ნიკიტინი 123
ნიკოლაი ა. პ. (ბარონი) 147, 163, 169, 309, 310, 311, 312
ნიკოლაძე ნ. 351, 354, 369, 370, 373, 374, 429, 431
ნიკოლოზ I 26, 31, 102, 103, 121, 122, 144, 145, 146, 147, 154, 157, 209, 289, 297, 317, 394, 406
ნიკოლოზ (მიტროპოლიტი) 269
ნინოშვილი ეგნატე 224
ნოვიკოვი ნ. 319
ნოროვი ა. 168

ო

ოგაროვი 41
ოდოევსკი ა. ი. 47
ოლგა თედ.-ას. (კავკ. მეფისნაც. მეუღ.) 407, 448
ორბელიანი ალ. 33, 35, 39, 44, 45, 51, 59, 64, 97, 180, 216, 217, 219, 227, 229, 298, 316, 350, 369, 37[illegible]

ორბელიანი გრ. 33, 38, 39, 41, 42, 60, 63, 83, 117, 134, 135, 137, 179,160, 253, 277, 353, 392
ორბელიანი ვახტ. 33, 39, 63, 298
ორბელიანი მანანა 43
ორბელიანი სულხან-საბა 238, 244, 261, 271
ორბელიანი დავით 268
ორბელიანი დიმიტრი 268
ორბელიანი მხეკაბუკ 269
ორჟიეკი ნ. 46
ოსეს-შვილი იოანე (მიქაძე) 177
ოსტროვსკი 369
ოქროაშვილი დიმ. 261

პ

პავლე I 67, 74
პასკევიჩი 105, 109, 118, 133, 140, 293
პასერბსკი ა. 316
პაულსონი ი. 370, 507
პაულიჩი 79, 137
პაუშენკო დიმიტ. 36
პესოჩინსკი 169
პეხტალოცი 427, 438, 480, 519, 534, 540, 552, 553
პესტელი 34
პეტრიაშვილი ალ. 80, 177, 178, 285
პეტრიაშვილი ვ. 90, 368, 376, 465
პეტრიწონელი 55
პეტცოლდი ალ. 397
პიროგოვი ნ. 377, 467, 468
პისარევი 89, 351, 369. 374, 377
პლუტარქი 179
პლეშჩეევი 73, 181
პნინი ი. 319
პოზენი 29, 30
პოკროვსკი 73, 181, 315
პოლონსკი ი. ბ. 47
პომიალოვსკი ნ. გ. 15, 68, 90, 91. 92
პოპოვი 12
პოტო 139
პრიმა ალ. 392
პროკოპოვიჩი თეოფანე 261
პროკოპოვიჩი-ანტონსკი (რუს. პედ.) 189
პუშკინი ა. 28, 46, 47, 189, 190. 374, 431, 523
პუშჩინი მ. 46

ჟ

ჟელიბოვსკი ვ. 459, 460
ჟინიუ 411
ჟორდანია თედო 90, 281

რ

რადე 414
რადიშჩევი ა. 319, 320
რაევსკი 122, 123
რაზმაძე სოლ. 33, 34, 39, 298, 316
რაზუმოვსკი 79
რასინი 50
რამბო 189
რილეევი 34, 316
როზენი 60, 98, 109, 119, 122, 128, 130, 133, 138
როლე 23
რომანოვსკი ვ. 12, 67,
რტიშჩევი 22, 81, 84
რუნიჩი 296
რუსთაველი შოთა 55, 523
რუსანოვი თეოფილაქტე 25
რუსო ჟან-ჟაკ 471
რჩეულიშვილი ს. 55
რჩეულიშვილი გრიგოლ 64
რცხილაძე მაგდა 116

ს

ააკაძე დიმიტრი 268
სალტიკოვ—შჩედრინი 23, 65, 351, 353, 369
სარაჯიშვილი 285
სენკოვსკი ჰ. 46, 53
სენკოვსკი ო. 108
სემიონოვი ვ. ნ. 147, 165
სერბოვი ნ. 146. 165, 290
სერნიკ-სოლოვიოვიჩი 351
სვისტუნოვი პეტრე 72
სიდამონიძე ზაქარია (დეკანოზი) 179
სიმონოვიჩი (იმერეთის მმართვ.) 22, 81, 84
სიმონოვიჩი ა. 370, 427, 480
სიპიაგინი 82, 104, 137, 140, 182, 425
სნელე 281
სოლონი 186
სოლოგუბი ვ. ა. 51
სოლოვიოვი 431
სოლომონ II 66, 67
სულხანიშვილი ჰ. 127
სულხანიშვილი (სულხანოვი) ა. 286, 353, 354, 435
სპენსერი 507
სტალინი 18, 23, 24, 32, 46, 88, 89, 92, 126
სტასულევიჩი 369
სტრეკალოვი 125,
სტეპანოვი ჰ. 46

ტ

ტარასი (არქიმანდ.) 271, 279
ტატიშვილი ანტონ 116
ტერ-აკოფოვი 123, 411
ტიტკოვი ივანე 108
ტოლსტოი ლ. ნ. 47, 378, 469, 470, 471, 472, 473, 474, 475, 476, 477, 498
ტოლსტოი 95
ტორმასოვი 23, 79, 86, 137, 178, 181
ტროე 186, 259
ტურგენევი ი. 41

უ

უვაროვი 60, 100, 101, 130, 143, 144, 146, 157, 303, 362
უვანსკი 186, 257
ფმიკაშვილი პეტ. 354, 367, 379, 415, 430, 432, 443
უსპენსკი 369
უშინსკი კონსტანტინე 191, 273, 370, 378, 434, 435, 438, 441, 450, 467, 468, 469, 470, 473, 477, 481, 483, 519, 520, 534, 538, 540

ფ

ფაგრი ევგენია 124, 411
ფალავანდიშვილი 37
ფალავანდიშვილი ზ. 60
ფენელონი 179
ფეოფილაქტე (ეგზარხ.) 94, 127
ფერლიუსონი ადამ 281
ფეტი 470
ფირალიშვილი გოდერძი 277, 278
ფირცხალავა სიმ. 14
ფლობერი 498
ფოიერბახი 92, 339, 505, 506
ფოგელი 428, 432
ფოსტრატი რუდოლფ 278
ფრებელი 427, 480
ფრონელი ალ. 11
ფულკი 412
ფურცელაძე ანტონ 374
ფურცელაძე 116
ფურცელაძე დ 90, 432
ფურცელაძე ს. 55

ჭ

ჭართველიშვილი ი. 113, 177, 178, 265, 266
ჭიტიაშვილი 116
ჭიტუნაშვილი 127
ჭიჭოძე გერასიმე 62, 90, 419
ჭიჭოძე შოთ 91
ჭორიძე (ბოშლერალი) 124
ჭრისტეფორე (არქიმანდ.) 406

ლ

ლამბარაშვილი (ბაბარაოვი) 197
ლამბაშიძე დავით 421
ლოლანაძე მაქსიმ 368
ლოლობერიძე ბესარიონ 351, 427, 461
ლოლობერიძე გიორგი 431

ყ

ყახბეგი ალ. 123
ყიფიანი დიმიტრი 33, 38, 60, 83, 180, 182, 186, 255, 277, 286, 298
ყიფიანი ლეტე დიმიტრის-ძე 116
ყიფიანი ნინო 116
ყიფიანი დავით 311
ყიფიანი მ. 428, 432
ყორღანოვი მოსესა 267, 268, 270

შ

შავთელი 55
შაკულიანი (პატრი) 59
შარლე 412
შერგერ რ. 12
შექსპირი 523
შიშკოვი ა. 82, 101, 102, 104, 137, 182, 289, 296
შჩედრინი—იხ. სალტიკოვ-შჩედრინი

ჩ

ჩარეკიშვილი პეტ. 400, 401, 402, 403
ჩარტორიტსკი 59
ჩახრუხაძე 55
ჩერნიშევსკი 89, 351, 353, 365, 369, 373, 374, 375, 377, 467, 473, 487, 522
ჩერნიშევი ა. ი. 29, 128, 302, 304
ჩეხოვი ნ. ვ. 429
ჩინჩალაძე (მღვდ.) 127
ჩიქოვანი ალ. 180
ჩიქოვანი მარიამ 281
ჩაჩიკაშვილი ნიკოლოზ (მღვდ.) 267
ჩოლოყაშვილი ზ. 33, 316
ჩოჩიშვილი თომა 197
ჩუბინაშვილი იასე (დეკანოზ.) 179
ჩუბინაშვილი დავით 39, 59, 62, 83, 179, 180, 269, 270, 273, 283, 295, 307, 308
ჩუბინიძე დავით (მღვდ.) 112, 179
ჩუგუნოვი 280
ჩხეიძე გაბრიელ 261
ჩხეტია შ. 13, 369

ც

ცაგარელი ალ. 59, 68, 90, 307, 376
ცინცაძე ი. 240
ცინცაძე ნიკოლოზ 240, 242
ციციანოვი 49, 66, 67, 69, 73, 76,

77, 78, 83, 84, 117, 177, 178, 181, 251, 284, 290, 291, 292, 293
ცაციშვილი დიმიტრი 279
ცხვედაძე ნ. 90, 534, 547

ძ

ძაინო ლიუდვიგ 124
ძიმისტარაშვილი ს. 13

წ

წერეთელი აკაკი 15, 117, 180, 183, 184, 185, 186, 212, 218, 219, 223, 232, 237, 239, 242, 246, 256, 259, 265, 277, 351, 354, 370, 371, 375, 431
წერეთელი ალ. 59
წერეთელი ანა 116
წერეთელი ოქროპირ 50
წერეთელი გიორგი 15, 180, 184, 186, 255, 256, 257, 258, 265, 351, 354, 367, 368, 375, 404, 427, 431, 456, 465, 466, 467, 479, 480, 534
წერეთელი ექვთიმე 353
წერეთელი ვ. ს. 445
წერეთელი როსტომ 116
წინამძღვრიშვილი ი. 351, 354, 518
წიწვინიძე ანდრია 269

პ

პავლავაძე ალ. 26, 33, 38, 47, 49, 50, 60, 63, 120, 268, 280
პავლავაძე ილია 15, 40, 115, 117, 123, 132, 139, 180, 182, 183, 347, 351, 352, 354, 355, 356, 357, 358, 359, 360, 361, 363, 365, 366, 368, 370, 371, 372, 373, 376, 378, 441, 444, 478, 483, 484—560
პავლავაძე დავით 60
პავლაეაძე ნინო 134
პიპინაძე ხ. 178, 179
პონქაძე დ. 64, 90, 180, 437
პყონია მირიან 108

ზ

ზანიკოვი ი. ბ. 23, 47
ბატენოვსკი 411
ბელაშვილი იოანე 179, 273, 331, 332
ბელაშვილი პეტრე 116
ბელთუბნელი მიხ. 108
ბელიძე გიორგი 367, 428, 459
ხერასკოვი 274
ხიზანიშვილი ნ. 90, 247, 248
ხლამოვი 411
ხუნდაძე ტრ. 13, 82
ხუნდაძე ს. 255, 374, 466
ხუციშვილი ს. 273, 318

ჯ

ჯაბადარი 426
ჯავახიშვილი გ. 116, 414
ჯავახიშვილი ელისაბედ 55
ჯამბაკურიანი ალ. (იხ. ორ.ბელიანი ალ.)
ჯანაშია ნიკო 221
ჯანაშვილი სოფიო 116
ჯანაშკილი მ. 90, 266, 267, 419
ჯანდიერაშვილი ლ. 368
ჯაფარიძე 51
ჯვარელი 437, 445

ჯიუქია ბერუკა 187
ჯორჯაძე დ. 60, 83
ჯორჯაძე ბარბალე 353, 553
ჯორჯაძე ა. 554
ჯულჯელი სიმ. 281

ჰ

ჰაკე 123, 411
ჰაკსტჰაუზენი 98, 134, 282
ჰეროდოტე 179
ჰოლბახი 319
ჰომიროსი 179

ს ა რ ჩ ე ვ ი

	გვ.
ავტორისგან	5

ნ ა წ ი ლ ი პ ი რ ვ ე ლ ი: სახალხო განათლება და პედაგოგიკური იდეები XIX საუკუნის პირველ ნახევარში.

I. ზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრება .	17
II ხასკოლო ქსელი:	
1. „განათლება" მეფის მოხელეთა გაგებით	65
2. პირველი ნაბიჯი	71
3. 1804 წლის წესდება	74
4. თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი	76
5. თბილისის სასულიერო სემინარია და სასწავლებლები	85
6. „ურთიერთსწავლების" სკოლა	95
7. კათოლიკური და სომხური სკოლები	96
8. სახალხო განათლების მმართველობა.	98
9. 1828 წლის წესდება .	102
10. 1829 წლის დებულება	103
11. თბილისის გიმნაზია და სამაზრო სასწავლებლები	105
12. საეკლესიო-სამონასტრო და საშინაო სკოლები	112
13. კერძო სკოლები და პანსიონები	117
14. გურიისა და სამეგრელოს მფლობელთა სკოლები	124
15. სასოფლო სკოლების უქონლობა	126
16. ეროვნულ უმცირესობათა განათლების საქმე .	128
17. 1835 წლის დებულება	129
18. ქალთა განათლება . .	131
19. სამხედრო სასწავლებლები	134
20. პროფტექნიკური განათლება	140
21. სახალხო განათლების მმართველობა 40-იან წლებში. 1848 წლის დებულება	143
22. სასწავლო დრო. ვაკაციები. სწავლის ქირა. ატესტაცია . .	154
23. სასკოლო განათლება და მისი მმართველობა 50-იან წლებში	158
III. მასწავლებლობა და პედაგოგიური შრომა:	
1. ძველი ოსტატები	176

2. ოფიციალური წოდების მასწავლებლები 160
3. ხალხური წოდების მასწავლებლები 186
4. მოხეტიალე მასწავლებლები . . 188
5. კერძო მასწავლებელ-ლმზრდელები 188
6. მასწავლებელთა მოვალეობანი 190
7. მასწავლებელთა მოიზადება-დანიშვნის წესი . . 193
8. მასწავლებელთა უფლებრივ-მატერიალ. პირობები 197

IV. ხალხური სწავლა-აღზრდის ძველი წესები:

1. ფიზიკური აღზრდის წესები 210
2. ქალთა აღზრდისა და ყოფაქცევის წესები 214
3. გაბარება-გაძიძება 218
4. დაწინდვის წესი . 222
5. სწავლის წყურვილი 223
6. ზნეობრივი აღზრდა . . . 228
7. ფიზიკური დასჯის საკითხი . 233

V. სწავლების მეთოდები და ფორმები:

1. კითხვის მეთოდიკა: ანბანის გაცნობა, ანბანთქმანი, დამარცვლა, ამოსაღები . 235
2. წერის მეთოდი 243
3. ხერის ბეჭი, ფიქალი, ბეღურის ფოთოლი . 245
4. ურთიერთსწავლების ტრადიციები 247
5. ანგარიშის, რუსული ენის, საღვთო სჯულის სწავლების მეთოდები 251
6. ლანკასტერის სისტემა 258

VI. სახელმძღვანელოები:

1. ქართული ენისა და მწერლობის სახელმძღვანელოები 261
2. რუსული ენის სახელმძღვანელოები 271
3. ისტორიისა და გეოგრაფიის სახელმძღვანელოები 278
4. ფიზიკა-მათემატიკის სახელმძღვანელოები . . 279
5. ფილოსოფიური საგნების სახელმძღვანელოები 280
6. უცხო ენების სახელმძღვანელოები 282
7. იოანე ბაგრატიონის წიგნები როგორც სახელმძღვანელოები 283
8. მთავრობის ღონისძიებანი 284

VII. ბრძოლა უმაღლესი განათლებისათვის 288

VIII. პედაგოგიური იდეები. . 313

ნაწილი მეორე: სახალხო განათლება და პედაგოგიური იდეები მე-19 ს. 60-იან წლებში.

I. ზოგადეროვნულ-კულტურული ცხოვრება 345

II. ზოგადი და პროფტექნიკური განათლება:

1. ბრძოლა სახალხო სკოლისათვის . 377
2. 1864 წლის დებულება და წესდება 380
3. სახ. განათლების მმართველობა. 1867 წლის დებულება 385
4. ტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო განათლება . 391
5. ქალთა განათლება . . . 398
6. სასკოლო ქსელი . . 408
7. სკოლამდელი აღზრდა . . 425
8. სკოლისგარეშე განათლება 428

III. პედაგოგიური განათლება 433

IV. ილია ჭავჭავაძის პედაგოგიკური იდეები:

1. აღზრდა-განათლების საზოგადოებრივი მნიშვნელობა 484
2. აღზრდის პროცესი 494
3. აღზრდა-განათლების მიზნები და ამოცანები 507
4. ბავშვის დედა-ენა და აზროვნება 533
5. სკოლის როლი და ამოცანები 537
6. მასწავლებელი და მისი დანიშნულება 544
7. დიდაქტიკური მოსაზრებანი 550
8. საოჯახო აღზრდა და თვითგანათლება 553

ბიბლიოგრაფია 561